



კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„კულტურათაშორისი დიალოგები“

შრომები

IV

Administration of State Attorney-Governor in Kakheti Region
Iakob Gogebashvili Telavi State University

„INTERCULTURAL DIALOGUES“

Scientific Papers

ISSN 2233-3401

თელავი – 2017 – Telavi

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

IV საერთაშორისო სამეცნიერო
კონფერენცია

„კულტურათაშორისი დიალოგები“

შრომები

Iakob Gogebashvili Telavi State University

IV INTERNATIONAL SCIENTIFIC
CONFERENCE

„INTERCULTURAL DIALOGUES“

Scientific Papers

თელავი - 2017-Telavi

საორგანიზაციო კომიტეტი:

თავმჯდომარე:

ირმა შიოშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

თანათავმჯდომარეები:

ნუნუ გელდიაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი

მანანა ღარიბაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფესორი

კომიტეტის წევრები:

მზია მაისურაძე - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

როინ ჭიკაძე - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი

ნინო კახაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

გოჩა კობიაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი

თამარ შიუკაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტის ასისტენტი ინგლისური ენის მიმართულებით, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

ქეთევან შაშვიაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის სპეციალისტი სამეცნიერო მიმართულებით, განათლების დოქტორი

შორენა ლაზვიაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი

სარედაქციო კოლეგია:

როინ ჭიკაძე - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, თელავი, საქართველო

ნუნუ გელდიაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, თელავი, საქართველო

მანანა ღარიბაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფესორი, თელავი, საქართველო

ნინო კოჭლოშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

მაგდა დავითაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

ნანა რინკიაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი; ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი, თელავი, საქართველო

დავით მახაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი; პედაგოგიკის, მეთოდოლოგიისა და ფსიქოლოგიის გაერთიანებული დეპარტამენტის ასოც. პროფესორი

ნინო გიორგაძე - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი

ია ჯიმშიტაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და

სამართლის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორ

სედა ასატუროვა - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენებისა და საზღვარგარეთის ლიტერატურის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, თელავი, საქართველო

ნელი ცქიტიშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი, თელავი, საქართველო

თემურ ჯაგოდნიშვილი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისი, საქართველო

დალი ბახტაძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, თბილისი, საქართველო

ციური ახვლედიანი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი, თბილისი, საქართველო

მანანა მიქაძე - ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის პრეზიდენტი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქუთაისი, საქართველო

ნათელა მაღლაკელიძე - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისი, საქართველო

ხათუნა თუმანიშვილი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აღმოსავლეთმცოდნე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი არაბული ფილოლოგიის მიმართულებით, თბილისი, საქართველო

გიორგი გოგოლაშვილი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არნოლდ ჩიქობავას ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების გამგე, თბილისი, საქართველო

ნათელა დოღონაძე – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო

დავით ჭიოტაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, გორის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, გორი, საქართველო

მანანა რუსიშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ინგლისური ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი; თბილისი, საქართველო

მაია ბარამიძე – ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი; ბათუმი, საქართველო

მაია კიკვაძე – ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; ბათუმი, საქართველო; თურქეთის რიზეს რეჯეფ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება ასოცირებული პროფესორი; რიზე, თურქეთი

რუსუდან საღინაძე – ფილოლოგიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, ქართული ენის მიმართულების ხელმძღვანელი; ქუთაისი, საქართველო; თურქეთის რიზეს რეჯეფ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება პროფესორი; რიზე, თურქეთი

ხატია ხატიაშვილი – ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათა ცენტრის მასწავლებელი რუსული ენის მიმართულებით; თბილისი, საქართველო

ქეთევან ჯაში – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სევილიის უნივერსიტეტის (ესპანეთი) მკვლევარი; სევილია, ესპანეთი

მარინე ლევიძე – ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, შუა აღმოსავლეთის ამერიკული უნივერსიტეტი; ქუვეითი

შერლი ვეიდ მაკლოულინი - კინ სთეიტის კოლეჯის პროფესორი
განათლების მეცნიერებების მიმართულებით; ნიუ-ჰემფშირი, ამერიკა

ლორენცო ვენცი - დოქტორი, ტუმას უნივერსიტეტის საპატიო
პროფესორი ეკონომიკისა და აგროეკონომიკის მიმართულებით; ტუმა,
იტალია

ჰარუნ ჩიმქე - ფილოლოგიის დოქტორი, ქართული ფილოლოგიის
დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რეჯეფ ტაიფ ერდოღანის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი; რიზე, თურქეთი

ჯონ ნიკერსონ ვენდელი – განათლების დოქტორი, დოკიოს
უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტის პროფესორი; დოკიო,
იაპონია

ირენა კუდლინსკა – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
პროფესორი, ბიძგცკას ეკონომიკის უნივერსიტეტის გამოყენებითი
ენათმეცნიერების დეპარტამენტის უფროსი; ბიძგცკა, პოლონეთი

- გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017
- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISSN 2233-3401

უაკ (UDC) 008.1

9772233340000

კ - 899

Organizing Committee:

Chairman:

Irma Shioshvili – Rector of Iakob Gogebashvili Telavi State University

Co-chairpersons:

Nunu Geldiashvili –Professor, Vice Rector for Science, Iakob Gogebashvili Telavi State University

Manana Garibashvili – Head of the Representative Board, Professor, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Committee Members:

Mzia Maisuradze – Head of the Administration, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Roin Chikadze – Professor of the Department of Georgian Philology, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Nino Kakhashvili – Head of the PR department, associated professor of the department of Philosophy, Faculty of Social Sciences, Business and Law, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Gocha Kobiashvili – Head of Material Resources Management Department, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Tamar Shiukashvili – Assistant (English Language) of the Department of Foreign Languages and Literature, Academic Doctor of Philology, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Ketevan Shashviashvili – Academic Doctor of Education; Specialist (field-Science) of the Rector's Office, Academic Doctor, Iakob Gogebashvili Telavi State University

Shorena Lazviashvili – Assistan Professor, Doctor of Philology, Department of Foreign Languages and Literature, Iakob Gogebashvili Telavi State University

Editorial Board:

Roin Tchikadze - Chair of the Editorial Board, Professor of the Department of Georgian Philology, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Nunu Geldiashvili –Professor, Vice Rector for Science, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Manana Garibashvili – Head of the Representative Board, Professor, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Magda Davitashvili – Dean of the Faculty of Exact and Natural Sciences, Professor, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Davit Makhashvili – Dean of the Faculty of Education Sciences; Associated Professor of the Faculty of Department of Education Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Nino Giorgadze – Associate Professor, Head of the Department of Georgian Philology, Iakob Gogebashvili Telavi State University

Ia Jimshitashvili – Professor, Head of the Quality Assurance of the Faculty of Social Sciences, Business and Law, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Seda Asaturova – Associated Professor of the Department of Foreign Languages and Literature (Russian Language), Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Nino Kotchloshvili –Dean of the Faculty of Humanities, Professor of Georgian Philology, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Nana Rinkiashvili – Dean of the Faculty of Social Sciences, Business and Law; Associate Professor of the Department of Economics and Tourism, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Nelly Tskitishvili – Associated Professor of the Department of Economic and Tourism, Faculty of Social Sciences, Business and Law, Iakob Gogebashvili State University, Telavi, Georgia

Temur Jagodnishvili – Doctor of Philology, Professor of Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

Dali Bakhtadze – Doctor of Philology, Honorable Professor of Ilia State University, Tbilisi, Georgia

Tsiuri Akhvlediani – Doctor of Philology, Professor Emeritus of Ivane Javakhishvili State University, Tbilisi, Georgia

Natela Maghlakelidze – Doctor of Pedagogical Sciences, Professor of Ilia State University, Tbilisi, Georgia

Manana Mikadze – Head of the Foundation for Development of Art and Pedagogical Sciences, Doctor of Pedagogical Sciences, Professor of Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Khatuna Tumanishvili – Doctor of Philology, Orientalist, Professor in Arabic Philology, Ivane Javakhishvili State University, Tbilisi, Georgia

Giorgi Gogolashvili – Doctor of Philology, Professor, Head of the Department of Kartvelian Languages, Arnold Chikobava Institute of Linguistics, Tbilisi, Georgia

Natela Doghonadze – Doctor of Pedagogical Sciences, Professor, International Black Sea University Tbilisi, Georgia

Davit Tshiotashvili – Doctor of Economics, Professor, Gori State Teaching University, Gori, Georgia

Manana Rusieshvili – Doctor of Philology, Professor, Head of the Department of English Philology, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

Maia Baramidze – Doctor of Philology, Associate Professor, Head of the Department of Georgian Philology, Batumi Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia

Maya Kikvadze – Doctor of Philology, Associate Professor of the department of Georgian Philology, Batumi Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia;

Associate Professor of the Department of Georgian Philology, Recep Tayyip Erdogan State University, Rize, Turkey

Rusudan Saginadze – Doctor of Philology, Professor of the Department of Philology, Head of the Georgian Language, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia; Professor of the Department of Georgian Language and Literature, Recep Tayyip Erdogan State University, Rize, Turkey

Khatia Khatiashvili – Doctor of Philology, Invited teacher of the Russian Language, Ivane Javakishvili Tbilisi State University Language Centre, Tbilisi, Georgia

Ketevan Djachy – Doctor of Philology, Professor, Researcher of Seville (Spain); Seville, Spain

Marine Levidze – Doctor of Philology, Assistant Professor, American Univerrsity of the Middle East, Kuwait

Shirley Wade McLoughlin –Professor in Educational Sciences, Keene State College, New Hampshire, USA

Lorenzo Venci – Doctor in Economics and Agro-Economics, Honorable Professor of University of Tuscia, Italy

Harun Cimke – Doctor of Philology, Head of the Department of Georgian Philology, Recep Tayyip Erdogan State University, Rize, Turkey

John Nickerson Wendel – Doctor of Education, Professor of the Faculty of Foreign Languages, Dokkyo University, Dokkyo, Japan

Irena Kudlinska – Candidate of the Philological Sciences, Professor, Head of the Department of Applied Linguistics, Bydgoszca University of Economics, Bydgoszca, Poland

კათოლიკური განათლების კერები მე-19 საუკუნის გურია-სამეგრელოში

ცნობილია, რომ საქართველოში სასულიერო სასწავლებლები უძველესი დროიდან არსებობდა. მათ დიდი როლი შეასრულეს სასულიერო კადრების მომზადებაში. ერთი ნაწილის არსებობა გურია-სამეგრელოში XIX საუკუნემდე საქართველოში კათოლიციზმის ისტორიას უკავშირდება. საკუთრივ კათოლიკური ეკლესიის მისია საქართველოში XIII საუკუნიდან დაიწყო, XIV საუკუნეში კი აფხაზეთში კათოლიკური ეპარქია გაიხსნა, რომელიც XVII ს-ის დამდეგიდან გააქტიურდა.

აკად. კ. კეკელიძის მოსაზრების თანახმად, „მისიონერების დახმარებით ქართველებს უნდოდათ დაემსახურებინათ რომის პაპის ყურადღება, ხოლო უკანასკნელთა საშუალებით – დასავლეთ ევროპის ხელმწიფეებისა, რომელთაგან ისინი შველას მოელოდნენ სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში“ და თავისთავად, მისიონერები, რომლებიც „ნამდვილად იყვნენ დახელოვნებული აგენტები დასავლეთ ევროპის კაპიტალისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური ექსპანსიისა აღმოსავლეთში“, მოხერხებულად იყენებდნენ ადგილობრივ ხელისუფალთა ამ მისწრაფებას და ავრცელებდნენ კათოლიკურ სარწმუნოებას მოსახლეობაში (კეკელიძე კ. 3 : 77). ამ მიზნით ისინი სწავლობდნენ ქართულ ენას და აარსებდნენ სხვადასხვა თეოლოგიური ხასიათის სკოლებს. პატრ კლემენტე გალანოს მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ მისიონერებმა გურიის პროვინციაში დააარსეს სკოლები, სადაც ბავშვებს ასწავლიდნენ წერა-კითხვასა და თეოლოგიას. ანალოგიური ვითარება აქვს აღწერილი სამეგრელოს მაგალითზე პატრ ძამპს, რომელიც აცხადებს: „კოლხიდის მთავარმა ბევრი კეთილშობილი ყმაწვილი მოგვაბარა გასაწვრთნელად და სარწმუნოების პირველ დასაწყისის ცოდნის სასწავლელად“. აღნიშნული ციტატის შემსახებ ვეცნობით მკვლევარ ს. გამსახურდიას ნაშრომში, სადაც ასევე მითითებულია: „ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს რომის საეკლესიო (პროპაგანდის) კოლეგიის სასწავლებელში აგზავნიდნენ, სადაც ისინი თეოლოგიასთან ერთად ღრმად ეუფლებოდნენ ფილოსოფიურ მეცნიერებას და სპეციალური უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ საქართველოში დაბრუნებულნი, კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას ხელს უწყობდნენ“ (გამსახურდია სვ. 2 : 115-117).

ზოგადად, „საქართველოს სოფლებში განაწილებული კათოლიკე მღვდლები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ იქ სკოლები დაეარსებინათ. მღვდელსა და ეკლესიას სოფელი ინახავდა, „სოფლის სკოლებში უფრო მეტად ერთი მღვდელი მოღვაწეობდა და ის ბავშვებს დაწყებით განათლებას აძლევდა, ასწავლიდა წერა-კითხვას, მშობლიურ ენას, გრამატიკას, თეოლოგიას. სკოლებისთვის განკუთვნილი ზოგიერთი სახელმძღვანელო წიგნი რომში დაარსებულ ქართულ სტამბაში იბეჭდებოდა.

მისიონერების მხირადად ადგილობრივ მთავართა და კათალიკოსთა მხარდაჭერითაც სარგე ბლობდნენ. აქტიურობისაკენ მათ ხშირად ქართველი ღვთისმსახურები

მოუწოდებდნენ, შთააგონებდნენ, დარჩენილი ყვენ სამრევლოებში, საზოგადო ღვთისმსახურება შეესრულებინათ დახალხის განათლებაზე ეზრუნათ. კათოლიკეები მართლმადიდებლების ტაძრებში წირვას ხშირად უპრობლემოდ ასრულებდნენ. აღნიშნული ადასტურებს, რომ დასავლეთ საქართველოს მულტირელიგიური მოსახლეობა ურთიერთობის საკმაოდ მაღალიკულტურით გამოირჩეოდა.

1629 წელს ბიჭვინთის ეკლესიას დომინიკანელთა ორდენის ოთხი მისიონერი ეწვია, 1634 წელს კი გურიის შემოქმედელი ეპისკოპოსის თხოვნით, თეატინელ მისიონერთა პრეფექტმა, რადგან თეატინელ მისიონერთა მუშაობა გორში (სპარსეთის ჯარის იქ ყოფნის გამო) მეტად ძნელი ხდებოდა და ვატიკანისგან ნება ჰქონდათ, წასულიყვნენ საქართველოს სხვა მხარეებში, გორიდან გურიაში სამოღვაწეოდ წარგზავნა სამი პიროვნება: ორი იტალიელი – მხატვარი, ექიმი და მისიონერი დონ კრისტოფორო კასტელი, ქართულის მცოდნე დონ ანტონიო ჯორდინა (დონ ანტონიო ჯორდინამ შეისწავლა ქართული ენა. მან შეადგინა ქართული ენის გრამატიკა, იტალიურ-ქართული სიტყვარი) და ფრანგი – მმა კლავდიო. მისიონერებმა ნაყოფიერი მუშაობა გაშალეს, მაგრამ მათ მოღვაწეობას წინ აღუდგა ალავერდელი ეპისკოპოსი, რომელიც იმ დროს სამეგრელოში მოღვაწეობდა და შემოქმედელი ეპისკოპოსისგან კატეგორიულად მოითხოვა მათი განდევნა. გურიის კათალიკოსმა მალაქიამ, რომელიც სიმპათიით იყო განწყობილი მისიონერების მიმართ, ისინი ოზურგეთში ჩაიყვანა და ბინა და პატარა ეკლესია მისცა გურიელის სასახლის ბაღში (საგულისხმოა, რომ შემდგომში ალავერდელმა ეპისკოპოსმა მისიონერების გავლენით კათოლიკობა მიიღო და კათოლიკედ გარდაიცვალა). „მისიონერთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კასტელი, რომელმაც 26 წელი დაჰყო საქართველოში, ძირითადად აფხაზეთში, სადაც ქადაგებდა, წირავდა, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ჩანაწერებსა და ჩანახატებს აკეთებდა, რომელთა მეცნიერული ღირებულება დღესერთობ დიდია,“ – მიუთითებენ სამეცნიერო ლიტერატურაში (პაპუაშვილი ნ.4 : <http://matiane.wordpress.com>).

მნიშვნელოვანი მისიონერთა მოღვაწეობიდან იყო ის, რომ მათ თავი მოუყარეს 20-მდე ბავშვს და შექმნეს თავისებური სკოლა-კოლეჯი, სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას ქართულად და იტალიურად, ქრისტიანულ მოძღვრებას. მასწავლებელი იყო დონ ანტონიო ჯორდინა, ვის შესახებაც დონ არქანჯელო ლამბერტი წერდა: „იგი დიდი სიადვილით ეუფლებოდა ენებს ... მან უკვე შეადგინა ქართული გრამატიკის კარგი ნიმუში. ამ ენაზე ისე სწრაფად ლაპარაკობდა, რომ ამ ქვეყნის მკვიდრი გეგონებოდათ. ასევე ფლობდა თურქულს. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ყველას წინაშე, განსაკუთრებულად კათოლიკოს-მთავრის მალაქიას წინაშე.“ დონ ანტონიოს მიერ წამოწყებული საქმეები დიდხანს არ გაგრძელებულა. ჯერ მისიონერის სახლს ერთ ბნელ ღამეს, როდესაც ძლიერი ქარი ქროდა, ცეცხლი წაუკიდეს და დაწვეს და ვერაფერი გადაარჩინეს, მეორე დიდი უბედურება კი ის იყო, რომ 1637 წლის ზაფხულში გარდაიცვალა დონ ანტონიო ჯორდინა და სკოლამაც შეწყვიტა არსებობა.

როგორც ი. ტაბაღუა მიუთითებს, „მისიონერებს ბევრი მტერი ჰყავდათ. მათ სახელს უტეხდნენ. ხალხმა მოითხოვა მისიონერთა გურიიდან განდევნა. 1639 წელს კათოლიკოს-მთავარ მალაქიას გარდაცვალების შემდეგ ლევან დადიანმა დონ კრისტოფორო კასტელი სამეგრელოში გადაიყვანა და ამით დასრულდა თეატინელ მისიონერთა მოღვაწეობა გურიაში“ (ტაბაღუა ი. 7 : 1-2). „ლევან დადიანი ევროპიდან

სამეგრელოში ჩამოსულ კათოლიკე მისიონერებს დიდი პატივით იღებდა და ყოველმხრივ უწყობდა ხელს მათ საქმიანობას. მათი საშუალებით სცადა სამეგრელოს მთავარმა რომის პაპთან ურთიერთობის დამყარება “ (საქართველო XVII საუკუნეში, 6 : <http://ka.wikipedia.org>).

თავად ლევან II დადიანი, როგორც კათოლიკე, ისე მოინათლა და საქვეყნოდ აღიარა კათოლიკობა. მას მიუღია პროპაგანდის კოლეგიის დაარსების შესახებ პაპის ბუღალა (წიგნი), რომლითაც პაპი მოუწოდებდა ყველა ტომის ხალხს, გაეგზავნათ ყმაწვილები აღნიშნულ სკოლაში „კათოლიკე სარწმუნოების მოძღვრებაში გასაწვრთნელად“. მთავარს საპასუხო წერილი გაუგზავნია პაპისთვის, რომლითაც დიდ მადლობას უცხადებდა მისიონერების გამოგზავნისათვის, სთხოვდა სხვების გამოგზავნას, აღიარებდა პაპს ყველა ქრისტიანის მწყემსად და აუწყებდა რომის ეკლესიასთან თავისი შეერთების ამბავს.

რომის ეკლესიის წარმომადგენლობა დასავლეთ საქართველოში ჰუმანიტარულ მისიას XIX ს-ის პირველ ნახევარშიც აქტიურად ახორციელებდა. როგორც მიუთითებენ, „საქართველოს პოლიტიკური სუვერენიტეტის დაკარგვამ ამქვეყნის კათოლიკური ეკლესიების უფლებებიც შელახა. რუსეთის თვითმპყრობელმა მთავრობამ 1844-1845 წლებში კათოლიკე მისიონერები დასავლეთ ევროპის აგენტებად გამოაცხადა და ისინი ქვეყნიდან გააძევა. ამ გარემოებამ ქართველი კათოლიკეები აიძულა მეტად ეზრუნათ ადგილობრივი სასულიერო კადრების მომზადებისთვის. და მართლაც, XIX ს-ის 40-50-იან წლებში ქართველი კათოლიკე სამღვდელოება გააქტიურდა. კულტურისა და განათლების სფეროს განსაკუთრებული ამაგი მღვდლებმა – პეტრე ხარისჭირაშვილმა, ივანე გვარამაძემ და მიქაელ თამარაშვილმა დასდეს“ (პაპუაშვილი ნ. 4 : <http://matiane.wordpress.com>).

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როგორც ს. გამსახურდია აღნიშნავს, „ქვეყნის მმართველთა მიერ სწავლა-განათლებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევამ და ამასთან დაკავშირებით ჩატარებულმა ღონისძიებებმა განამტკიცა საზოგადოებრივი აზრი განათლების მიღების აუცილებლობის შესახებ, ხელი შეუწყო განათლებული კადრის შექმნას“ (გამსახურდია სვ. 2 : 203). მკვლევარ ი. ბასილაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართულმა ქრისტიანულმა ეკლესიამ, აღიმაღლა რა ავტორიტეტი, დააკანონა თავისი მაღალი უფლებები, უდიდესი ამაგი დასდო ქართული ენის, ლიტერატურის, მართლმადიდებლური პედაგოგიური აზროვნების საქმეს. ეკლესია-მონასტრები ქართული განათლების, მწიგნობრობისა და პედაგოგიური აზროვნების კერებს წარმოადგენდა. ქართული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური პედაგოგიკა ქართველ ახალგაზრდებს ცოდნას უმთავრესად ამ კერებში აზიარებდა. წინა პლანზე წამოვიდა ქრისტიანული აღზრდისა და აღმზრდელის როლი. ახორციელებდა რა თავის მიზანს, ქართული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური პედაგოგიკა ახალგაზრდობას ამზადებდა იმქვეყნიური ცხოვრებისათვის, ამასთანავე, ცდილობდა მათ ზნეობრივ სრულყოფას. სწავლების პროცესში მასწავლებელს უნდა ეზრუნა მოსწავლის ზნეობრივ აღზრდაზეც, მასში ქრისტიანული თვისებების ჩამოყალიბებაზე და ეს ზრუნვა მას გამოემჟღავნებინა არა მარტო სიტყვიერი ქადაგებით, არამედ პირადი ცხოვრების მაგალითითაც“ (ბასილაძე ი., 1 : 64).

ლიტერატურა:

1. ბასილაძე ი., ქრისტიანული პედაგოგიკის საგანი, ამოცანები, პრინციპები და მეთოდები., ქუთაისი. 2010 წელი.

2. გამსახურდია სვ., სწავლა-განათლება ძველ საქართველოში., გამ. „განათლება“, თბილისი. 1975 წელი.
3. კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია., ტ.I., თბილისი., 1960 წელი.
4. **პაპუაშვილი** ნ.მართლმადიდებლები და კათოლიკეები საქართველოში. ვიდრე ერთმორწმუნეობის სამოსელი გაირღვეოდა.: <http://matiane.wordpress.com>
5. როგავა ა., სახალხო განათლება ერეკლე მეორეს ხანაში ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბილისი.,1950 წელი.
6. საქართველო XVII საუკუნეში, : <http://ka.wikipedia.org>
7. ტაბაღა ი. „თიატინელ მისიონერთა სკოლა ოზურგეთში 355 წლის წინ“, გაზ. „განათლება“ 30 ივლისი, 1993 წელი.

Lali (Barbare) Abdaladze

Gelati Theological Academy and Seminary, Kutaisi

Maia Akhvlediani

Akaki Tsereteli State University, Kutaisi

Abstract

Catholic education centers in the 19th century Guria-Samegrelo

One part of Georgian theological schools in Guria-Samegrelo is associated with Catholicism till the 19th century. The multi religious population of Western Georgia was quite high in culture. The influence of missionaries - Don Christopher Castell and Don Antonio Jordin is priceless. They created a special school-college where they were teaching reading and writing in Georgian and Italian languages, Christian doctrine. The Roman Catholic Church was actively involved in the humanitarian mission in western Georgia in the first half of the XIX century. In the 40-50s of the 19th century, the Georgian Catholic clergy became active. The great contribution to Rome's mission. Local Catholics have a significant role in the field of Georgian public education

საკვანძო სიტყვები: პედაგოგიური აზროვნება, სკოლა-კოლეჯი, კათოლიციზმი,მისიონერები, მულტირელიგიური მოსახლეობა

Key words: Pedagogical thinking, School-collage, Catholicism, Missions, Multi religious habitants

Lela Abdushelishvili

კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი

Developing Verbal and Non-Verbal Communication Skills of Tour-guides for Dealing with Foreign Tourists Effectively

Tour guides make the tour company successful and famous. In fact, tour guides are the key driver of the whole operation and, therefore, being a tour guide is an extremely demanding job which combines performance, memory, and customer service. They play a significant role in introducing the target place to visitors and act as connectors between the target place and tourists. They guide native or foreign people around and inform them in an attractive and significant manner. Therefore, if they perform improperly and unsuccessfully, they may have a negative effect.

Although every tour and the guide are different, there is a special combination of skills that make them really distinguished. Therefore, it is essential that tour guides have the following skills developed in order to deal with foreign visitors efficiently.

To start with, tour guides need to have excellent verbal communication skills and speak in an easy-to-understand manner. They should know how to communicate with various people, have interpersonal skills that are essential to interact with a variety of people and be approachable. As Pond states, "The tour guide shows his/her skills through mixing and establishing relations with visitors" (Pond, K.L.1993).

Making a good speech, moving hands and head naturally, having a clear voice are those assets that a tour guide needs. Besides, non-verbal communication skills enable the tour guide to start an effective conversation with tourists and respond to their problems, questions and complaints in an appropriate way. Non-verbal communication includes such skills as positioning yourself, gestures, face and eyes, clothing. Therefore, attention to all these factors by a tour guide enables him/her to establish communication with and attract tourists. It is a fact that tourists first judge about tour guide's personality according to his/her non-verbal communication. Therefore, a tour guide should try to impress tourists in a way that their judgment about him is positive.

It all comes down to communication. A tour guide must be articulate and easy to understand, and know how to communicate with large and varying groups of people. A good guide will not only have the physical capability to command attention and project their voice clearly, but also have the interpersonal skills necessary to interact with new people every single day, answer questions, and be approachable.

When a tour guide runs a tour, s/he is selling more than just the sights and sounds; it is knowledge, history, and a story, and the guide must make all of that information compelling. If a tour guide is reading off of cards or getting facts wrong, visitors will not be impressed. The ultimate goal is for the guide to know the script so well that it should seem like it's their own story, and it should flow naturally from them rather than being obviously memorized. They're not just giving out information; they're essentially playing a role.

No one wants a dry, boring, humorless history lesson; people get bored and just don't have a good time. A guide with a good sense of humor will be able to inject some zest into their scripts and make the guests feel at ease and happy, increasing their enjoyment of the tour and cutting any tensions that may arise.

Even if your guide isn't a local, they should have the knowledge of the best restaurants and have the passion for the city or activity conveying it to visitors.

Besides, the guide should know more than just the standard script and be able to pass the knowledge in an entertaining and compelling way. Flexibility is another skill and adjusting for spontaneous moments and using a unique approach for different types of guests gives the tour guide a competitive advantage.

Tourism includes close interaction among tourists, service suppliers, source and target countries, private organizations. Besides, tour guides should attract, transport, entertain, offer services to,

inform, guide and manage visitors. They can't do the job if they do not like people, care about them, enjoy their company and get on well with everyone.

Thus, while preparing tour guides for entering into the profession, it is essential that their public speaking and narration skills are developed effectively. They would have to speak in front of lots of people and, therefore, understand basic principles of public speaking. Thus, they should be taught how to speak clearly, project the voice, talk calmly and slowly so that people can understand. Story-telling is one of the major elements of tours. Being able to be enthusiastic, capturing the audience's attention and making sure tourists feel like at home will help to a tour guide.

One tour guide explains that it can be a challenge when you first have to do the commentary on tours: "It is nerve-wracking and scary to stand up in front of all those people and speak. It does get easier though and eventually you learn to improvise and add in a few of your own stories and extra bits of info you come across. You are just talking and if you think about the commentary as though you are just speaking to a group of your friends, it makes you relax and you gain confidence."

One important part of narrating to people is to not overwhelm them with facts and figures. Dates are important to know, but it is not interesting for people to listen to lists of dates. Rather make it more interesting by formulating a story around it. Cherie Anderson explains that tour guides should find stories around the sights or areas that they are showing. It doesn't have to be long, just a line or two, but something that will capture people's attention and imagination. She says that, for example, instead of listing dates that certain structures were built, you could rather tie in the building of a monument with other things that happened in history such as the ending of a war perhaps.

Another tour guide, Adam Edwards, working in California stresses the importance of throwing in some fascinating facts and additional information to your narration.

"If someone asks me, 'Is that the accelerator there?' I don't simply say yes and leave it at that. I throw in some extras, for example, I say, 'Well, that it just a part of it. The actual beam is roughly 25 feet underground. But to power the beam we use 240 klystrons. See those machines over there with the red cylinders? They are located above the beam in this shed which 2 miles long and actually the longest building in the world. In fact it is around 10 feet longer than the Hong Kong airport terminal! Any fascinating fact is great to share and gives visitors that wow factor, which guides enjoy as well.'"

The next skill is that of solving the problem. The tour guide comes across a variety of problems on day-to-day basis. These range from technical problems with a bus to being hot inside. Therefore, s/he has to be a good problem-solver and know how to deal with issues fast and with less effort.

In social interaction non verbal signs are more reliable than verbal ones. Therefore, tour guides should improve their non-verbal behavior. They should take into consideration the fact that the first impression is extremely important. Non-verbal communication includes all the messages that people exchange: gestures, face and eyes, positioning yourself. The tour guide should also pay attention to these since it will help him/her to establish communication with tourists and attract their attention. It is worth mentioning here that tourists judge the tour guide's personality according to his/her non-

verbal communication. Body movements and non-verbal communication play the most important role in the transfer of the messages. Therefore, the tour guide should impress them so that their judgment is positive.

An experienced tour guide should be well aware of the elements of non-verbal communication in the formation and transfer of non-verbal messages to tourists. This is quite a hard goal and it should be achieved through learning, practicing and experiencing. Therefore, the tour guide should have the ability to manage his/her personal interpersonal communications. Otherwise, contradictory messages will be transferred which will cause confusion.

Taking all the above-mentioned into consideration, it is an ultimate goal of the instructor to develop all the above-mentioned effective communication skills of tour guides through task-based teaching and methodology thus preparing them for successfully handling their day-to-day professional activities and succeed.

ლელა აბდუშელიშვილი
კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი

ექსკურსია-მძღოლის/გიდის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის უნარების განვითარება უცხოელ ტურისტებთან ეფექტური ურთიერთობისათვის

რეზიუმე

ექსკურსია-მძღოლს/ გიდს მოაქვს წამრატება ტურისტული სააგენტოსათვის. ფაქტობრივად გიდი არის ცენტრალური ნაწილი ტურ-სააგენტოსი. შესაბამისად, მოთხოვნა წარმატებულ და გამოცდილ ექსკურსია მძღოლებზე დღითი დღე იმატებს. ისინი მნიშვნელოვან როლს თანაშობენ სტუმრებისათვის კონკრეტული ტურისტული დანიშნულების ადგილის გაცნობაში და ერთგვარ დამაკავშირებელ ხაზს წარმოადგენენ ტურისტულ ობიექტს შრის.

საკვანძო სიტყვები: ექსკურსია-მძღოლი, ვერბალური კომუნიკაცია, არავერბალური კომუნიკაცია, ტურსტი, ტურსააგენტო

Key words: guide, verbal communication, non-verbal communication, tourist, tour agency

მაია ალადაშვილი, ნანული ხიზანიშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

მცირე და საშუალო ბიზნესის ძირითადი ასპექტები საქართველოში

თანამედროვე პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება უკავშირდება მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე გლობალურ პროცესებს. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მცირე ბიზნესის მოქმედების არეალი გაფართოვდა. მცირე და საშუალო საწარმოების მნიშვნელობის ზრდას ხელი შეუწყო განვითარებულ ქვეყნებში სამომხმარებლო ინტერესის გაფართოებამ. შემთხვევითი არ არის, რომ ტრანსნაციონალური კომპანიები მეწარმეობის მცირე ფორმების მეშვეობით ცდილობენ თავიანთი გავლენის გაფართოებას განვითარებად ქვეყნებში.

მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ხშირად „ფარულ ჩემპიონებსაც“ უწოდებენ, რადგან მათი წილი მსოფლიო ბაზარზე 50 პროცენტზე მეტს შეადგენს, მათი საქონელი და მომსახურება „უხილავი“ ან ნაკლებად შესამჩნევია, ახასიათებთ გამძლეობისა და სიცოცხლისუნარიანობის მაღალი დონე, გააჩნიათ მნიშვნელოვანი საექსპორტო წილი, არიან გლობალური კონკურენტები და დიდი წვლილი შეაქვთ ქვეყნის წარმატების ბალანსში.¹

საქართველოში მცირე მეწარმეობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ბაზას საფუძველი ჩაუყარა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 6 აგვისტოს დადგენილებამ „საქართველოს რესპუბლიკაში მცირე სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც 1999 წლის 23 ივლისს მიიღო საქართველოს პარლამენტმა. სწორედ ეს დოკუმენტი განსაზღვრავს ქვეყანაში მცირე საწარმოთა განვითარებასა და სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძვლებს.

მთელი მსოფლიოს მასშტაბით „მცირე საწარმო“ მიკუთვნებისათვის ყველაზე ხშირად შემდეგ კრიტერიუმებს იყენებენ: პერსონალის რაოდენობა; ბრუნვის მოცულობა; აქტივების სიდიდე; საკუთარი კაპიტალის სიდიდე; საკუთრების სტრუქტურა.

საქართველოში მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების განმარტებებს იყენებენ მხოლოდ საწარმოთა ზომის და ბრუნვის მიხედვით. მაგალითად, მცირე და საშუალო ბიზნესს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა რაოდენობა და წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობებს:

მცირე საწარმო - 20 დასაქმებული, 500 ათასი ლარი;

საშუალო საწარმო - 100 დასაქმებული, 1500 ათასი ლარი;

მსხვილი საწარმო - მეტი 100 დასაქმებულზე, მეტი 1500 ათას ლარზე.

გარდა ამისა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, დადგენილია მიკრობიზნესის ცნებაც. ეს სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მიღებული წლიური შემოსავალი არ აღემატება 30 000 ლარს.

საქართველოში მცირე ბიზნესის შექმნის პროცესი მეტად რთულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სოციალურ პირობებს დაემთხვა, რომელიც რიგი თავისებურებით ხასითდებოდა, კერძოდ, თუ განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის განვითარება მცირე საწარმოთა შექმნით დაიწყო და მათგან წარმოიშვა მსხვილი სტრუქტურები, საქართველოში პირიქით, მოხდა საბჭოთა პერიოდში არსებული მსხვილი, მონოპოლიური, არაეფექტიანი საწარმოების დაშლა მცირე საწარმოებად და მეორე, მცირე საწარმოები შეიქმნა ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე მოხდებოდა კანონის მიღება „საქართველოს რესპუბლიკაში მცირე სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ“, რამაც ამ საწარმოთა ქაოსური განვითარება განაპირობა.

მცირე საწარმოთა წარმოქმნის სამი ძირითადი გზა არსებობს:

1. მათი დამოუკიდებლად წარმოშობა, როგორც შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანების ინიციატივა და წამოწყება;
2. სახელმწიფოს, ან სხვადასხვა საზოგადოებრივი ფონდის მხარდაჭერის საფუძველზე მცირე საწარმოთა წარმოქმნა;
3. მსხვილი კორპორაციების მიერ მცირე საწარმოთა შექმნა მსხვილი სტრუქტურების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

მიმდინარე პერიოდში საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ჩამოყალიბების პირველი მეთოდია უპირატესი, ანუ საწარმოთა უმრავლესობა ადამიანების ინიციატივით ხდება, განსაკუთრებულად მზარდი ხვედრითი წილით გამოირჩევა ინდივიდუალური საწარმო რაც ჩვენი აზრით, პარტნიორის თუ ინვესტორის მიმართ უნდობლობის მაღალი ხარისხით არის გამოწვეული.

¹ რ.გველესიანი, მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა. „სამშობლო“, თბილისი, 1999.გვ.22

მცირე და საშუალო ბიზნესს ახასიათებს მთელი რიგი უპირატესობები:

- მცირე საწარმოები, განსხვავებით მსხვილი კორპორაციებისგან, მოქნილობით და მობილობით გამოირჩევა. ისინი ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური თუ სამართლებრივი ცვლილებების მიმართ სწრაფი რეაგირების უნარით ხასიათდებიან.
- საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების კიდევ ერთი დადებითი მხარეა ის, რომ იგი ხელს უწყობს ადამიანების დასაქმებას, მათ ჩართვას ეკონომიკურ გარდაქმნებში, ვინც დაკარგეს სამუშაო, ან ნაკლებად შრომისუნარიანი გახდნენ.
- მარტივი და იაფია ერთი მფლობელიდან მეორეზე ოპერაციების გადაცემის პროცესი, ანუ მფლობელის შეცვლის შემთხვევაში შეუფერხებლად და უპრობლემოდ შეიძლება მათი საქმიანობის გაგრძელება.
- მცირე საწარმოებს ახასიათებთ ახალი ტექნოლოგიების, ასევე ინოვაციების დანერგვის სისწრაფე.

მცირე ბიზნესის განვითარებას საქართველოში ხელს უშლის შემდეგი ფაქტორები:

- ბაზრის არასრულყოფილება;
- ქვეყანაში მიმდინარე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი;
- ეროვნული ვალუტის არასტაბილური კურსი;
- გადასახადების რაოდენობათა სიმრავლე და მაღალი დონე;
- განუვითარებელი სასაქონლო-საწარმოო და სავაჭრო ბიზნესები, რის გამოც პრობლემად რჩება როგორც მეწარმეთა ნედლეულით და მასალებით მომარაგების, ასევე გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციის საკითხი, რომელსაც ქაოსური ხასიათი აქვს;
- მონოპოლისტი საწარმოების ფარული წინააღმდეგობა და სხვა.
- საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ძალიან დაბალი დონე. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ მცირე საწარმოები ცალკ-ცალკე, ერთიმეორისგან იზოლირებულად, ყველა მათგანი თავისთვის ცდილობს იმ პრობლემური საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც უფრო ეფექტურად გადაწყდებოდა საერთო ძალისხმევით.
- მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია ფულადი სახსრები, რათა ფართოდ ჩაებას მეწარმეობის განვითარებაში.
- მცირე მეწარმეობის პრობლემებს ამწვავებს შიდაეროვნული დაპირისპირება, საზოგადოების გახლეჩა სხვადასხვა პიროვნებების თუ პარტიების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. ბიზნესმენთა საქმიანი წამატების საწინდარი ხდება არა მათი პიროვნული და ბიზნეს-უნარები, არამედ ხელისუფლების მიერ მათთვის მიცემული პრივილეგიები, რაც არათანაბარ პირობებში აყენებს მცირე მეწარმეებს.
- კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მცირე ბიზნესის სამართლებრივი ბაზის სისუსტე, რაც გამოიხატება შემდეგში: არ არსებობს საწარმოთა კონტროლის ორგანიზაციის შესაბამისი წესი, რითაც დადგენილი იქნებოდა ვის აქვს უფლება, როდის და რა ინტერვალით, შეამოწმოს მცირე საწარმო. მიმდინარე პერიოდში არცთუ იშვიათად ხდება საწარმოთა დუბლირებული ემოციები, რაც უწყებრივი ინტერესებით არის ნაკარნახევი და ეკონომიკის კრიმინალიზაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.
- ძალიან მნიშვნელოვანია საგადასახადო ჯარიმების და საურავების არაადეკვატურობა მეწარმის საქმიანობასთან და მის ფინანსურ მდგომარეობასთან შედარებით, რაც არაერთელ გახდა მეწარმის სუიციდის მიზეზი ან, უკეთეს შემთხვევაში, საწარმოს დახურვის მიზეზი.
- კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ქართულ მცირე ბიზნესში არის პოტენციურ მეწარმეთა ცოდნის და კვალიფიკაციის ძალიან დაბალი დონე. ისინი საქმიანობას ხშირ შემთხვევაში იწყებენ ყოველგვარი წინასწარი გაანგარიშების გარეშე, ბიზნეს-გეგმა მხოლოდ საბანკო კრედიტის მისაღებად აუცილებელ ფორმალურ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელიც ძირითადად შედგენილია არა თვით მეწარმის მიერ, რაც ბიზნეს-გეგმის შედგენის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს, არამედ ბანკის საკრედიტო ექსპერტის დახმარებით, რომლისთვისაც უფრო მნიშვნელოვანია მეწარმის საკრედიტო პოტენციალის დადგენა და არა მისი მომგებიანობის თუ სხვა ძირითადი ეკონომიკური პარამეტრების განსაზღვრა.

გაუზარებლად და სპონტანურად საქმის დაწყებით კი საწარმოს ეფექტიანად ფუნქციონირების ალბათობა ძალიან მცირეა.

ყოველივე ზემოთხაზოთვლილი ფაქტორები არის გამოძვევენი იმ შედეგის, რომ საქართველოში რეგისტრირებული მცირე და საშუალო საწარმოთა თითქმის 50 % 1-3 წელიწადში აჩერებს სამეწარმეო საქმიანობას, რაც უარყოფითად აისახება როგორც თვით მეწარმის, ასევე მთლიანად სახელმწიფოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ძირითადი მიმართულებები

მცირე ბიზნესის სფეროში მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მცირე და საშუალო საწარმოები წარმატებით ფუნქციონირებენ და წამყვან ადგილს იკავებენ კვლავწარმოებით სისტემაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს მიერ შემუშავებულია მეწარმეობის მხარდაჭერის ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა და თანამიმდევრულად ხორციელდება იგი.

დღეს საქართველო ევროკავშირთან ახალი ურთიერთობების ფორმირების პროცესშია. საქართველოს ინტერნაციონალიზაციისთვის ევროპულ სივრცეში არასაკმარისი რესურსული პოტენციალი გააჩნია. ევროპულ ბაზარზე დივარსიფიკაციისთვის აუცილებელია ახალი რესურსების შექმნა, რომელიც სწორედ ევროპული გამოცდილების გაზიარებით არის შესაძლებელი.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ამის მაგალითია თუნდაც ის ფაქტი, რომ 2016 წლიდან ხორციელდება მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს სახელმწიფო გრანტების გადაცემა ახალი თუ მოქმედი მცირე საწარმოთა ხელშეწყობის მიზნით, ასევე, 2015 წლიდან ევროკავშირი გეგმავს დაეხმაროს საქართველოს ბანკებს დაფარონ ის რისკები, რომელიც თან ახლავს მცირე ბიზნესის მიერ შეთავაზებული ბიზნეს-გეგმების დაფინანსებას. ევროკავშირის გრანტები (51 მილიონი ევროს ოდენობით) მიმართული იქნება იმაზე, რომ სახელმწიფო უწყებები და კერძო სექტორი ახალ სტანდარტებზე გადავიდნენ. ეს არის ყოვლისმომცველი პროგრამა - „ევროპა საქართველოსთვის“, რომელიც მოიცავს 2 ძირითად მიმართულებას: სახელმწიფოს ინსტიტუციონალურ რეფორმებს და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. ინსტიტუციური რეფორმები გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას, ხოლო ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარება ხორციელდება მათ ახალ სტანდარტებზე გადასვლის მიზნით, რომელიც ხელს შეუწყობს ევროკავშირთან ვაჭრობის გაფართოვებას.

სულ ახლახან, 2017 წლის მაისის თვეში, საქართველოს ერთ-ერთი კომერციული ბანკის მიერ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან მიღებული დაფინანსებიდან 100 მილიონი ევროდან 20 მილიონი ევრო განკუთვნილია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისთვის, მითუმეტეს, რომ აღნიშნული თანხა ეროვნულ ვალუტაში მიეცემათ მსესხებლებს, რაც კიდევ უფრო ზრდის ამ პროდუქტის მიმზიდველობას, მაგრამ, ყველა ამ ტიპის ღონისძიებას აქვს ერთჯერადი, პერმანენტული ხასიათი, თანაც თანხების, ვადების და მრავალი სხვა ტიპის შეზღუდვის გამო, ყველასთვის როდია ხელმისაწვდომი.

სწორედ ამიტომ, მცირე ბიზნესის კიდევ უფრო განვითარებისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ამოცანების განხორციელება:

- შემუშავდეს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სპეციალური სახელმწიფო თანამიმდევრული პროგრამა, რომელშიც განისაზღვრება მცირე საწარმოთა საგადასახადო, საკრედიტო და სხვა სახის შეღავათები, ასევე მცირე ბიზნესთან სახელმწიფოს შესაბამის ორგანოების ურთიერთობების პრინციპები, სტრუქტურა და უფლება-მოვალეობები. სამართლებრივი ბაზის შექმნასთან ერთად, აუცილებელია ინფორმაციული, საკონსულტაციო, მარკეტინგის, სასწავლო და სხვა ფართო ქსელის შექმნა.
- სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს მცირე ბიზნესის განვითარებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტები და

კონკრეტული ფორმები, განხორციელდეს ეკონომიკური საქმიანობის სახეობების, რეგიონებისა და მოსახლეობის ცალკეული ფენების მიხედვით დიფერენცირებული ლიბერალური საგადასახადო, საბაჟო, საინვესტიციო და სხვა პოლიტიკა.

- მცირე და საშუალო საწარმოთა კოორდინაცია, ე.წ. „მეწარმეობითი ქსელების“ შექმნა, რომელიც გააერთიანებს მსგავს პრობლემებზე მომუშავე საწარმოებს.
- მცირე საწარმოთა რეგისტრაციის პერიოდში აუცილებელ მოთხოვნად იქცეს როგორც დეტალური ბიზნეს გეგმის წარმოდგენა მეწარმის მიერ, ასევე მისი შესაბამისი ბიზნეს-კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობა, რაც თავიდან აგვაცილებს როგორც თვით საწარმოს არაეფექტური საქმიანობით მიღებულ ზარალს, ასევე დაცული იქნება სხვა საწარმოთა ინტერესები, რომელთაც შესაძლოა საქმიანი ურთიერთობა ჰქონდეთ ამ საწარმოსთან მისი ეკონომიკური ფუნქციონირების პროცესში.
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს ყველა რეგიონში შეიქმნას რეალურად მოქმედი ბიზნესის ცენტრები, განსაკუთრებით საუნივერსიტეტო ქალაქებში, სადაც სისტემატურად განხორციელდება მოქმედ და პოტენციურ მეწარმეთა თეორიული ცოდნის და კვალიფიკაციის დონის ამაღლება ბიზნესის განვითარების ყველა მიმართულებით.
- მცირე ბიზნესის ხელშეწყობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიძლება გახდეს ე.წ. „ბიზნეს-ანგელოზების“ კაპიტალის ჩართვა მათ საქმიანობაში. „ბიზნეს-ანგელოზები“ არიან კერძო ინვესტორები, წარმატებული კომერსანტები, სპეციალისტები, სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ფლობენ მნიშვნელოვან დანაზოგს და ახორციელებენ საკუთარი ფულის ინვესტირებას ახალშექმნილ ფირმაში. ეს პრაქტიკა წარმატებულია მთელს მსოფლიოში. გამოკვლევებით დადგენილია, რომ დამწყებ ფირმებში განხორციელებული ინვესტიციების 90 % „ბიზნეს-ანგელოზებზე“ მოდის, რადგან მათ მიერი ფულის გაცემის პროცედურა უფრო მარტივია და გაცილებით იაფი, ვიდრე ბანკებიდან და სხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან ნასესხები კაპიტალი.
- დაიხვეწოს კანონმდებლობა, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული მეწარმეთა და დაქირავებულ მუშაკთა უფლებები და ურთიერთმოვალეობები, კანონმდებლობა უნდა ასტიმულირებდეს უკეთესი მეურნეობრივი მაჩვენებლების მიღწევას და მცირე ბიზნესის უსაფრთხო, შეუფერხებელ და სტაბილურ განვითარებას.
- სისტემატური მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს მცირე მეწარმეობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის მუდმივი სრულყოფისათვის და ეს სავესებით ბუნებრივია, რადგან ეკონომიკური ურთიერთობები ყოველდღიურად წარმოშობს ახალ-ახალ სამართლებრივ პრობლემებს, რომელთა დროულად მოწესრიგება ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გველესიანი რ. (1999): მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა. „სამშობლო“. თბილისი.
2. ორჯონიკიძე ნ., ყიფიანი ლ., ზაგდასარიანი ვ., (2007): მცირე ბიზნესი. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი.
3. კობერიძე ბ. (2015): მცირე და საშუალო მეწარმეობის გამოწვევები საქართველოში. // „ეკონომიკა“, N 1-2. 129-139.
4. კობერიძე ბ. (2015): მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაციის თეორიული პრობლემები და ინსტიტუციური პროგრამები. // „ეკონომიკა“, N 3-4. 4-15.
5. შენგელია ნ., შენგელია რ., წიკლაური ჟ. (2014): ბიზნეს-ანგელოზები და ვენჩურული კაპიტალი - მცირე ბიზნესში კერძო კაპიტალის ინვესტირების მნიშვნელოვანი წყარო. // „ეკონომიკა“, N3-4. 161-166.
6. ჭიკაძე ნ., კურტანიძე მ. (2014): მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგია და სახელმწიფო რეგულირება. // „ეკონომიკა“, N 10-12. 172-179.

7. www.geostat.ge
8. www.geoeconomics.ge
9. www.nbg.gov.ge

Maia Aladashvili, Nanuli Khizanishvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Key Aspects of Small and Medium Business in Georgia

Abstract

The present article presents essence of small and medium business, as well as role and importance in development of market economy, also advantages SME compared to large corporations. The factors impeding development and activities of SME in Georgia are also reflected along with the reasons and recommendations that are provided in the summary of the development. Comprehensive picture of challenges facing the small and medium enterprises as well as goals of the sector are well described in the article.

საკვანძო სიტყვები: მცირე; ბიზნესი; ფინანსები; პრობლემა; ბაზარი

Key Words: Small; Business; finance; Problem; Market.

ნარგიზ ალასანია, დარეჯან ჯაში

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობა და განვითარების პერსპექტივები

სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, დადებითი შედეგის მიღწევის უპირველესი გარანტია იქნება მკაფიოდ განსაზღვრული, კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ იმართული აგრარული პოლიტიკა.

სახელწოდება „ხულოს“ ძველი ფორმა „ხულა“ და ნიშნავს სავაჭრო სახლს. შუა საუკუნეებში აქ გადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც სამცხე-ჯავახეთს გოდერძის უღელტეხილით აჭარა-შავი ზღვისპირეთთან აკავშირებდა. ღსმალთა ბატონობის ხანაში ზემო აჭარის პოლიტიკრმა ცენტრმა სხალთიდან ხულოში გადაინაცვლა. 1874 წელს მისი მოსახლეობა 100 კომლზე მეტი არ იქნებოდა. [3] დაბის სტატუსი მიიღო 1964 წელს ამჟამინდელ საზღვრებში. 2006 წლიდან არსებობს ხულოს მუნიციპალიტეტის სახით. ხულოს მუნიციპალიტეტს სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება თურქეთის რესპუბლიკა, დასავლეთით შუახევის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთ-დასავლეთით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ადიგენის მუნიციპალიტეტი.

მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 71000 კმ². ადმინისტრაციული ცენტრია დაბახულო. სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე მოსახლეობის სიმჭიდროვე კი 1 კვ. კმ-ზე 150 კაცს შეადგენს. ხულოს მუნიციპალიტეტში შედის 13 ტერიტორიული ორგანო და 84 სოფელი.



ხულოს მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ძალიან მაღალი სიმჭიდროვეა, სავარგულების ზრდა კი მისი შეზღუდული რესურსების გამო პრაქტიკულად შეუძლებელია. ხულოს მუნიციპალიტეტში მთლიანად დაცვადი სახეობების მნიშვნელოვანი რაოდენობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ.[4]

და ის კაცი, იესო, იყო წამბილწავი და ხელმყოფი სიწმინდეთა. ჩვენ იგი

მოვაკვდინეთ შეგნებულად და სუფთა სინდისით.

და ასე დავხოცავთ ყველას, ვინც მოსეს მცნებებს გარდავა და დაამცრობს ჩვენს

წმიდათაწმიდა ადათებს. ჩვენ და პონტოელმა პილატემ ვიცოდით, საშიში იყო ის კაცი, და ბრძნულადაც მოვიქცეთ, ბოლო რომ მოვუღეთ მას.

მოვესწრები, ასეთივე აღსასრული ექნებათ მის მიმდევრებსაც და ჩაჩუმიდება

მისთა სიტყვათა გამოძახილი. იუდეას თუ სიცოცხლე უწერია, უნდა გაცამტვერდეს ყველა მისი მტერი და ორგული. ხოლო თუ იუდეას სიკვდილი ელის, ჩემს ჭაღარაზე ნაცარს დავიყრი სამოელ წინასწარმეტყველივით, ტანზე შემოვიხევე ამ შესამოსელს აარონისას დაჯვალაში ვივლი ჩემთა დღეთა აღსასრულამდე.“ ჯიბრანი ხ.ჯ. (2003) იესო ძე კაცისა, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, გვ.30

ჯიბრანის კაიაფას სისასტიკეს მისი ტრადიციასთან სიახლოვე და რჯული დაცვის სურვილი ხსნის. მცირე მაგრამ საოცრად ნათელ პორტრეტში ლიბანელი მწერალი ფანატიური პატრიოტიზმით დაბრმავებულ პიროვნებას გვიხატავს და რაც არცთუ მეორეხარისხოვანია, იგი ქრისტეს მიმართ გადაწყვეტილებაში პილატეს და კაიაფას ერთად მოიაზრებს. სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ მათ ორივეს აწყობთ იესოს სიკვდილი. ერთს თორის და ტრადიციის ჯავრი აქვს, მეორეს კი უბრალოდ სიწყნარე უნდა მისდამი რწმუნებულ ქვეყანაში. მათ ორივეს ეშინიათ მქადაგებლის რომელიც პოპულარობას იხვეჭს და გადაწყვეტილებაც ერთგვაროვანი აქვთ. იესოს სიკვდილს ალტერნატივა არ აქვს. აღარსად სჩანს ბულგაკოვისეული ებრაელთა მღველმთავრის ბოროტებით გაოცებული, სინდისგადვიძებული პროკურატორი. ადამიანზე მაღლა დგას ყველაფერი: ერის ინტერესი, კანონი, ტრადიცია.

ჯიბრანის, ბულგაკოვის და ბევრი სხვა მწერლისათვისაც კაიაფა სახარებისეული ისტორიის ერთ-ერთი მოქმედი გმირია. ის იხატება შემოქმედის კალმით და ამბის სისრულის, ეპოქის პორტრეტის, ყველაზე ცნობილი სისხლიანი ისტორიის ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილად იქცევა.

ქართული ისტორიული რომანის ფუძემდებელმა, ვასილ ბარნოვმა კი მას მთელი მოთხრობა მიუძღვნა. ნაწაროებს სახელად ოსებ კაიაფა ჰქვია და უკვე სათაურიდანაც ჩანს, რომ ამ შემთხვევაში სინედრიონის თავკაცი კულუარებიდან წინა ხაზზე გადმოინაცვლებს. ბარნოვს, რომელსაც ბრწყინვალე საღვთისმეტყველო განათლება ჰქონდა მიღებული და რომელიც ზედმიწევნით კარგად იცნობდა ისტორიას ოსებ კაიაფა როგორც პიროვნება ისე აინტერესებს. დიახ, არა მხოლოდ როგორც რელიგიურ-პოლიტიკური ფიგურა ან რომის მმართველობასთან დაპირისპირებული ან დაახლოვებული პირი, არამედ პიროვნება, რომელსაც განგებამ არგუნა შეესრულებინა საკვანძო როლი ქრისტეს ამქვეყნიერი არსებობის დასრულებაში.

იმისათვის რომ მკითხველმა კაიაფას გადაწყვეტილების არსი გაიგოს, ბარნოვს საჭიროდ მიაჩნია გარკვეული ისტორიული წანამდვრის შემოტანა ნაწარმოებში რომლითაც ავტორი მკითხველს ებრაელთა ისტორიის იმ უმძიმეს პერიოდს აცნობს, რომესაც ისინი რომაელთაგან შევიწროებულ-დამცირებულები თავგამოდებით ცდილობდნენ რამენაირად

შენარჩუნებინათ რჩეული ერის სახე. ერის ისტორიიდან ბარნოვი თავად კაიაფას ბიოგრაფიაზე გადადის, სადაც განსაკუთრებით უსვამს ხაზს მის განსწავლულობას: „იოსებ კაიაფა აღიზარდა იერუსალიმს, სვიმონ ბენ-სათახისაგან დაარსებულ სასწავლებელში. ეს სკოლა გაირჩეოდა სხვა სკოლებიდან, რომლებიც გაფანტულები იყვნენ მაშინ პალესტინაში: აქ უფრო ვრცლად ასწავლიდნენ საღმრთო წერილს და იმის განმარტებას, სხვებში კი საღმრთო სჯულის ნაწყვეტ-ნაწყვეტად ახსნით კმაყოფილდებოდნენ. გარდა ამისა, ამ სასწავლებელს უფრო მეტად ეტყობოდა ეროვნული ხასიათი. იერუსალიმში, ისრაელების დედაქალაქში, უფრო საგრძნობელი ხდებოდა უცხოეთის მფლობელობა, აქ მეტი იყო იმისადმი სიძულვილი, აქ უფრო გაძლიერებული მამულის სიყვარული და ყველა ეს სასწავლებელსაც ემჩნეოდა. ნიჭიერმა იოსებ კაიაფამ ზედმიწევნით შეისწავა სასწავლებლის მოძღვრება, შეითვისა სწავლა-მომართულება. მაგრამ შემდეგ, როდესაც გაიცნო ელიონთა სიბრძნე და ალექსანდრიელი რაბინების შეხედულება, ზოგიერთ კითხვებში გადაუხვია საზოგადო გზას, თავისებურ შეხედულებას დაადგა. საღმრთო სჯულის შესწავლამ ის იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ იქ ცხადად არაფერია მოთხრობილი კვდრეთით აღდგომაზე და საუკუნო ცხოვრებაზე, რომ საიქიო ცხოვრება ძველ აღთქმაში არამც თუ არსად არ არის ცხადად აწერილი, არამედ ზოგ ადგილას საიქიო და სამარე ერთ და იმავე საგნად მიაჩნიათ საღმრთო მწერლებს; ამიტომ უარჰყო კვდრეთით აღდგომა და დაუსრულებელი ცხოვრება. რადგან საუკუნო ცხოვრება უარჰყო, ამისთვის საღმრთო წერილის ყველა ის ადგილები, სადაც ღმერთი აღუთქვამს ისრაელს დიდებას და განცხრომას, ისე ახსნა, რომ ეს სიკეთე და სიმძლავრე ამ ქვეყნად, მხოლოდ ამ ქვეყნად უნდა ღირსებოდა რჩეულ ერს.“ ბარნოვი ვ. იოსებ კაიაფა (1961), თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, გვ. 147

აი, ასე შევეყვართ ვასილ ბარნოვს თავისი პერსონაჟის არსში, მისი კაიაფა ცდილობს სრულყოფილად დაეუფლოს რჯულს, მაგრამ საკუთარ განსჯას და წმინდა წერილის მისეულ ინტერპრეტაციას იგი იმქვეყნიური ცხოვრების უარყოფამდე მიჰყავს. თურმე ის გზასაცდენილი მორწმუნეა, რომელიც შემდგომში რწმენაშერყეულ მღვდელმთავრად გვევლინება.

ბარნოვი შემდგომ თხრობაში აყალიბებს აზრს რომელმაც პრინციპულად უნდა ახსნას კაიაფას მიერ იესოს მიუღებლობა: „აღთქმულ მესიასაც ამ თვალთ შეჰხედა, მესია მისთვის ქვეყნიური მეფე იყო, მხოლოდ ქვეყნიური მეფე, ეროვნული გმირი, რომელს წამოგზავნიდა ცა. იგი შემუსრავდა თესლთ ძლიერებას, დაიმორჩილებდა მათ, მორჩმული დაჯდებოდა დავითისა და სოლომონის გაახლებულ სამეფო ტახტზე. მესიას თითქმის ყველა ებრაელეზიც ისე უყურებდნენ მაშინ, როგორც რომაელთა ხელიდან დამხსნელს.“ ბარნოვი ვ. იოსებ კაიაფა (1961), თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, გვ. 147

ბარნოვის ნაწარმოებში შემოქმედი ნაბი-ნაბიჯ მიდის კაიაფას ტრაგედიამდე. თავისი მოთხრობის მთავარი გმირი მას ისევე აინტერესებს, როგორც ბულგაკოვს მისეული პილატე. როგორც ბულგაკოვი ქმნის თავის, საკუთარ პილატეს, ისე ბარნოვი ყვება თავისი, უშუალოდ მის მიერ გაცოცხლებული იოსებ კაიაფას ისტორიას.

ბარნოვის მოთხრობის მიხედვით კაიაფას ახალგაზრდობაშივე აქვს ხილვა, რომლის დროსაც მას გამოეცხადება ანგელოსთა დასით გარშემორტყმული ტანჯული სახე, რომელის საყვედურობს მომავალ მღვდელმთავარს: “-მღვდელ-მთავარო კაიაფა! შენ ვერმიცანი მე და მხსნელი სოფლისა მიმეც სატანჯავად წარმართთა! -მე, უფალო?!”-შესძახა შემკრთალმა კაიფამ და ფეხზე წამოხტა. ჩვენება მიეფარა.“

ვასილ ბარნოვი სინედრიონის მსჯელობის აღწერისას ზუსტად გამოკვეთავს ყველა იმ არგუმენტს, როს გამოც უნდა ყოფილიყო მიუღებელი საბჭოსათვის ქრისტიანთა მოძღვრება და ცივი, ლოგიკური მსჯელობით მიჰყავს თავისი პერსონაჟი ამ აზრამდე:“

დიალ, მაგის მქადაგებელი უნდა მოისპოს: მთელი ერის დაღუპვას სჯობს ერთი კაცი დაიღუპოს! კრებამ დაადგინა მოეკლათ იესო. “ბარნოვი ვ. იოსებ კაიაფა (1961), თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, გვ. 148

თუკი ბულგაკოვთან ჩვენ პილატეს განცდებს ვეზიარებით, ბარნოვთან იოსებ კაიაფას სინანულის მომსწრე ხდება მკითხველი: *“კაიაფამ ველარ დაივიწყა იესოს სახე და მისი შეხედვა. რაც უნდა ლხინში, თუნდ საქმეში ყოფილიყო გართული, ეს სახე მოულოდნელად მოელანდებოდა, ცხადად დაუდგებოდა წინ სევდით ასვსე მოსაყვედურე თვალები და სულს უბუთავდნენ. მეტადრე ხშირად ევლინებოდა მას ეს სახე შემდეგში, როდესაც ვიტელიმ ჩამოაგდო ის მღვდელ-მთავრობიდან და როცა საყვარელი მეუღლე მელქოლაც დაკარგა. ბოლოს ხომ მაინც ამ ჩვენებამ გადიტანა თან კაიაფა.”* ბარნოვი ვ. იოსებ კაიაფა (1961), თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, გვ. 149

ვასილ ბარნოვის მოთხრობა რომ ისეთივე პოპულარული იყოს მსოფლიოში როგორც ბულგაკოვის რომანი, მაშინ ალბათ მისეული კაიაფა ბულგაკოვისეულ პილატეზე არანაკლებ აზრთა სხვადასხვაობას და ჭიდილს გამოიწვევდა. ისტორიულ თემაზე მომუშავე მწერლებს ხშირად სწამებენ ტენდენციურობას თუ არაობიექტურობას, მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ სრული უფლება დაინახონ ისტორიული პერსონაჟი ისე, როგორც ამას მათი შემოქმედებითი ალლო თუ ინტუიცია ჰკარნახობთ.

ბევრია მსჯელობა იმაზე თუ ვის გავლენას განიცდიდა ბიბლიური სიუჟეტების წერის დროს მიხეილ ბულგაკოვი, რომელი ავტორების აზრს დაეყრდნო იგი სახარებისეული ამბის თხრობისას. გარკვეული იდეოლოგიური სარჩული გამოსჭვივის როგორც რუსი, ასევე ქართველი მწერლის მსჯელობაშიც. ისინი, თუმცა ერთმანეთისაგან განსხვავებულად, მაგრამ მაინც მომხდარი ამბის ახსნას ცდილობენ. სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენს არაბი მწერლის სტილი. საოცარი უშუალობითა და სისადავით ჩვენ გველაპარაკება მთხრობელი, რომელიც არაფრის ახსნას არ ცდილობს რელიგიურ-პოლიტიკური ფორმულებით. ის უბრალოდ ახმოვანებს პერსონაჟებს, მისი წიგნის თითო თავი, თითო გმირს ეკუთვნის. ყველა მათგანი თავისი გადასახედიდან ცდილობს დაგვანახოს ვინ იყო იესო, რომელიც ამ ნაწარმოებში არის ძე კაცისა და არა ძე ღვთისა. ჯიბრალ ხალილ ჯიბრანის წიგნში განხილულ ავტორთაგან ყველაზე ნაკლებად ისმის ქრისტიან თუ არაქრისტიან ავტორთა ხმები. მისი პერსონაჟები მარტივად აღსაქმელი და საოცრად ბუნებრივები არიან. ჩნდება მისტიური განცდა იმისა, თითქოს მწერალი პირადად იცნობდა კაიაფას, პილატეს თუ იუდას და უბრალოდ გადმოგვცემს იმას, რაც მას თავად აქვს მოსმენილი მათ ბაგეთაგან.

საქვეყნოდ ცნობილია, რომ ისტორიული პერსონაჟების გაცოცხლება მწერალთათვის რთული და ფრიად სარისკო საქმეა, მეტადრე თუ ეს ეხება რელიგიურ ტექსტებში ასახულ ამბებს. ამ დროს მწერალი ყოველთვის დგება საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს შერისხული მკითხველთა გარკვეული ჯგუფების მიერ, დაჰბრალდეს ისტორიის შეგნებული დამახინჯება, ოფიციალური რელიგიის მიმართ გალაშქრება და კიდევ მრავალი ისეთი რამ, რაც მის ნააზრევთან არანაირ კავშირში არ არის. და მაინც მწერლები აცოცხლებდნენ და კიდევაც გააცოცხლებენ ისტორიას, გამოიხმობდნენ და მომავალშიც გამოიხმობენ წარსულიდან პერსონაჟებს.

ჩვენს მიერ განხილულ ისტორიული პერსონაჟის სამ ლიტერატურულ ვერსიას უდაოდ აქვს საერთო, მაგრამ შეიძლება მათ შორის განსხვავებაც. განსხვავებული იყო მწერლების მიზანი იოსებ კაიაფას პორტრეტის აღწერისას, განსხვავებულია სტილიც და ხერხებიც. ასეთივე მსგავსებები და სხვაობები მოიძებნება იმ ისტორიული პორტრეტების შედარებისას რომელიც სხვა ავტორებმა აღწერეს, განსხვავებულია ხოლმე ეპოქის აღქმაც. მიუხედავად ყველა ჩამოთვლილი სირთულისა, ან იქნებ მისი წყალობითაც, განხილულმა მწერლებმა თავისი არაორდინალურობით და სითამამით ბიძგი მისცეს მრავალჯერ გააზრებული ამბის

თავიდან გააზრებას, ბერჯერ განსჯილი კაიაფას თავიდან განსჯას და ესტაფეტა გადასცეს შემდგომი ეპოქის შემოქმედებს ახალი კაიაფას აღმოსაჩენად.

ლიტერატურა:

1. ბარნოვი ვ. იოსებ კაიაფა (1961), თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი
2. ბულგაკოვი მ.ა. (2011): ოსტატი და მარგარიტა, გამომცემლობა პალიტრა, თბილისი
3. ჯიბრანი ხ.ჯ. (2003) იესო ძე კაცისა, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი
4. А. Гаркави, Л. Каценельсон, (1991) Еврейская Энциклопедия, издательский центр “Терра” Москва, том IX, ст

Sophio Arsenishvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Three prosaic images of one historical figure: Joseph Caiaphas in works of Mikhail Bulgakov, Vasil Barnov and Gibran Kahlil Gibran

Abstract

The article aims to show similarities and differences in prosaic image of historical person Joseph Caiaphas described by three writers : M. Bulgakov, V. Barnov, G. Gibran.

The above mentioned authors lived in nearly same period of time; they all tried to reconstruct the pictures of main actors of Christian drama after 20 centuries. If in case of Bulgakov and Gibran Caiaphas is one of the personages of their famous books (“Master and Margarita” and “Jesus Son of the Man”), Georgian writer, V. Barnov created the separate novel named “Joseph Caiaphas”.

Who is Caiaphas? Insensitive politician who only cares for his position as the head of Sinedrion or patriot fighting for survival of his nation? What are the reasons of releasing Barabbas and not Jesus? These are the questions which are answered by writers according to their understanding of the key moment of Christian history. Comparative research of those three visions forms the plot of the article.

Key words : Caiaphas, Jesus, Pilate Pontius, Christianity, History

საკვანძო სიტყვები: კაიაფა, იესო, პილატე პონტოელი, ქრისტიანობა, ისტორია

Седа Асатунова

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

Сопоставительный анализ предложно-именных и послеложно-именных сочетаний (На материале русского и грузинского языков)

Введение. Предлоги - это служебные слова, выражающие различные отношения между двумя объектами, между объектом и действием, между объектом и признаком в составе словосочетания. Предлоги служат для выражения падежных значений, которые они передают в сочетании с именами в форме косвенных падежей. (Шанский Н.М.,

Тихонов А. Н.(1987) Словообразование. Морфология. Москва: Просвещение. С.234). Предлоги в сочетании с именем в косвенном падеже выражают зависимость данного имени от других слов в словосочетании.

По определению Акакия Шанидзе, послелогом называется слово, не имеющее самостоятельного значенияЮ или комплекс звуков, который прилагается к той или иной падежной форме имени для обозначения местоположения, направления, назначения или другого какого-либо отношения к названному предмету.

Предлоги как служебные слова, не обладающие номинативным значением, употребляясь с именем в косвенном падеже, развивают, дополняют, усиливают значение имени разнообразными оттенками и уточняют синтаксическую роль падежной формы в строе предложения.(Розенталь Д.Э., Голуб И.Б., Теленкова М. А.(2002).Современный русский язык. Москва: Айрис-Пресс. С.271).

В русском языке все падежи, кроме именительного, употребляются и без предлогов, и с предлогами, предложный падеж без предлогов не употребляется. В грузинском языке существуют послелоги (თახდებულო), которые употребляются с той или иной падежной формой и выражают различные отношения между двумя именами или между именем и глаголом. (კვკჳძე ლ. (1981). ქართული ენა. ნაწილი I. თბილისი: განათლება. С.318).

Русские предлоги всегда находятся перед именем, грузинские послелоги, в основном, следуют за именем, иногда сливаясь с ним. Реже послелоги могут располагаться перед именем. Таким образом для предлогов характерна лишь препозиция, для послелогов – постпозиция, хотя имеет место и препозиция. Отношения, передаваемые предлогами и послелогами, во многом отражают отношения, существующие в действительности. Эти отношения весьма разнообразны: пространственные, временные, причинные, целевые и др. Именно поэтому предлоги делятся на причинные, целевые и т. д.

Следует отметить, что сопоставлению русских предлогов и грузинских послелогов посвятили свои работы такие русисты, как: Георгий Голетиани, Ираклий Церцвадзе, Тамара Кевлишвили и др.

Методы. В работе использованы следующие методы исследования: описательный, классификационный, метод сопоставительного анализа.

Обсуждение. Предметом нашего обсуждения являются русские предложно-именные и грузинские послеложно-именные сочетания.

Цель работы – установить соответствия между функцией русских предлогов и грузинских послелогов, выявить сходство и различия между ними. Следует отметить, что и в русском, и в грузинском языке предлоги и послелоги всегда связаны с определенным падежом (или падежами).

Рассмотрим русские предложно-именные сочетания. По происхождению предлоги распадаются на первообразные и производные. Первообразные предлоги возникли в древнейшее время, этимологически они восходят к знаменательным словам, но с точки зрения современного русского языка являются немотивированными: без(безо), в(во), до, для, за, из(изо), к, на, о(об, обо), от, по, пред (перед), при, с, у, чрез(через). Среди первообразных предлогов выделяется группа так называемых сложных предлогов, слившихся из простых: из-за, из-под, по-за, по-над. Производные предлоги образованы от

знаменательных слов и в современном русском языке находятся в живых словообразовательных связях с ними. По этому признаку М.А. Теленкова, вслед за В.В.Виноградовым, выделяет следующие группы предлогов:

1) предлоги **наречные**: **вдоль** (**вдоль** реки – **вдоль** и **поперек**), **вокруг** (**вокруг** дома – **вокруг** тишина), **мимо** (**мимо** нас – **пройти мимо**), **напротив** (**напротив** здания – **сидеть напротив**), **позади** (**позади** всех – **идти позади**) и др.

2) Предлоги **отыменные**: **ввиду**, **вроде**, **вследствие**, **наподобие**, **насчет**, **посредством**, **путем**, **по поводу**, **по причине**, **по случаю**, **в продолжение**, **в течение** и др. Эти предлоги по происхождению обычно являются сочетаниями препозитивных непризводных предлогов и существительных в косвенных падежах;

3) Предлоги **отглагольные**: **благодаря**, **включая**, **исключая**, **спустя** и др. (Розенталь Д.Э., Голуб И.Б., Теленкова М.А. (2002). Современный русский язык. Москва: Айрис-Пресс. С.270-271). Отглагольные предлоги Н.М.Шанский и А.Н.Тихонов называют деепричастными, поскольку из глагольных форм только деепричастия могут переходить в предлоги. (Шанский Н.М., Тихонов А.Н. (1987). Словообразование. Морфология. Москва: Просвещение. С.238).

По структуре производные предлоги бывают простыми, состоящими из одного слова (**кроме**, **около**, **навстречу**, **включая**) и составными, состоящими из двух или трех элементов (**во время**, **по причине**, **несмотря на**, **в связи с**, **по отношению к**).

Вслед за В.В.Виноградовым, М.А.Теленкова к предлогам относит так называемые **сложно-составные предложные обороты**, которые включают два и более элементов, еще не вполне слившихся. Они образованы сочетанием:

- 1) Наречия с предлогом: **впредь до**, **независимо от**;
- 2) Деепричастия с предлогом: **исходя из**, **не говоря о**, **несмотря на**, **судя по**;
- 3) Предлога, существительного и предлога: **в зависимости от**, **в ответ на**, **в отношении к**, **по пути к**, **в соответствии с**.

По значению многие предлоги (особенно пространственные) соотносятся с соответствующими префиксами: **войти в** лес, **съехать с** горы, **подлезть под** диван; **безголосый** – **без** голоса; **петь и при** этом плясать – **приплясывать**. (Лекант П.А. (Ред.)(2001). Современный русский язык. Москва: Дрофа. С.349).

В грузинском языке также наблюдается соответствие послелогов и префиксов, но только глагольных префиксов (ზმბისწობი). Лео Квачадзе отмечает, что некоторые послелог и глагольные префиксы по происхождению являются одним и тем же, однако с именем употребляются послелог, а с глаголом – префиксы (ზმბისწობი, превербы): **გან**(განავითარა, მეგობრისაგან); **გამო** (გამოვიდა, სიხარულის გამო и др.) (კვაჭაძე ლ.(1981). ქართული ენა. ნაწილი I. თბილისი: განათლება. С.318).

Многие предлоги многозначны. Так, предлог **над**, например, имеет пространственное значение (**пролетать над** городом) и объектное значение (**задуматься над** задачей).

Обратимся к грузинским послелогам. Лео Квачадзе считает, что послелог не совсем лишены лексического значения. По словам ученого, послелог в этом отношении бывают разными: значение древнейших послелогов (**გან**, **ურთ**, **ებრ**, **თვის**, **გამო**...) ослаблено, а у современных послелогов оно более ясно

прослеживается.(კვაჭაძე ლ.(1981). ქართული ენა. ნაწილი I. თბილისი: განათლება. С.318). Некоторые послелогои имеют одно значение (-ურთ, -კენ, -მიერ), другие – несколько, т. е. имеем однозначные и многозначные послелогои. Разные значения одного и того же послелога зависят, с одной стороны, от лексического значения того слова, к которому примыкает послелог („აპრილში წავიდა“ - „თბილისში წავიდა“), с другой – от того слова, которое управляет этой предложно-именной падежной формой („ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა“ – „ავადმყოფობისაგან განთავისუფლდა“) (კვაჭაძე ლ. (1981). ქართული ენა. ნაწილი I. თბილისი: განათლება. С.318).

По структуре послелогои, так же, как и предлоги, бывают простыми и сложными. Простые: -თვის, -კენ, -ში, -ზე. Некоторые из них образованы путем упрощения производящей основы.

Послелогои - это или отдельные неизменяемые слова или элементы, слившиеся с падежной формой имени (или же слившиеся с корнем слова:

ლომებრ (ლეო კვაჭაძე). Большинство отдельно стоящих послелогов следует за падежной формой имени („ამხანაგის მიერ,“ „სიცოცხლის გამო“), однако некоторые из них могут следовать за падежной формой имени или предшествовать падежной форме имени („ამხანაგების გარდა“, но: „გარდა ამხანაგებისა“).

Следует отметить, что предлоги в русском языке, с одной стороны, и послелогои в грузинском языке, с другой, - всегда связаны с определенным падежом (или падежами). Как было отмечено выше, в русском языке с именительным падежом предлоги не употребляются, тогда как в грузинском языке именительный падеж может употребляться с послелогом, но только с одним (ვით), и то только в том случае, если корень слова (имени) оканчивается на согласный (მარწყვით). По характеру предложного управления в русском языке можно выделить следующие группы предлогов.

I. Предлоги, употребляемые только с одним падежом:

1. Предлоги, требующие родительного падежа: из(изо), от(ото), без(безо), до, для, у, из-за, из-под, около, среди (из Москвы, из камня; от друзей, от жары; без необходимости, без шапки; до города, до блеска и др.);

2. Предлоги, требующие дательного падежа: к(ко), согласно, благодаря (к сестре, к доске; согласно приказу, благодаря вам);

3. Предлоги, требующие винительного падежа: про, сквозь, через(чрез) (про любовь,; сквозь тучи; через лес);

4. Предлоги, требующие творительного падежа: над (надо), перед (передо), пред (предо)(над городом; перед экзаменом, перед зданием);

5. Предлоги, требующие предложного падежа: при (при школе).

II. В русском языке имеются предлоги, которые могут употребляться с несколькими падежами (с двумя или с тремя), разумеется, в разных значениях:

1. Предлоги **в**, **на** требуют винительного и предложного падежа (идти на почту, работать на почте; прийти в университет, учиться в университете);

Предлоги **за**, **под** требуют винительного и творительного падежа (залез под стол, сидит под столом).

2. Предлоги **с**, **по** употребляются с тремя падежами:

с – с родительным, с винительным и с творительным падежами (слететь с крыши, стереть с доски; величиной с дыню; пирожные с кремом, беседовать с другом;

по – с дательным, с винительным и с предложным падежами (подняться по лестнице; трава по пояс; по окончании университета).

Георгий Гоголашвили подробнейшим образом охарактеризовал особенности употребления послелогов с разными падежными формами с учетом многозначности послелогов.

Послелог примыкает к имени существительному, к имени прилагательному и к имени числительному, к местоимениям, к наречиям, к масдару и к разным падежным формам причастия (გოგოლაშვილი გ. (რედ.) (2011). თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. სალიტერატურო ენა. თბილისი: მერიდიანი. С.137).

Послелог употребляется со всеми падежными формами, кроме повествовательного(მოთხრობითი) и звательного (წოდებითი).

1.С именительным(სახელობითი) падежом употребляется послелог -ვით (მტრედვით);

2.К падежной форме дательного(მიცემითი) падежа прилагаются послелог - ვით, -თან, -ზე, -ში (ჩემსავით; მამასთან, ძმასთან, სოფელთან; მასწავლებელზე, მოსწავლეზე; ქვეყანაში, სიბერეში, გამგებობაში, ცხოველებში);

3.К родительному (ნათესაობითი) падежу примыкают послелог -თვის, -გან, -ებრ, -თანავე, დამი (მეგობრისთვის, ჯანმრთელობისთვის; რკინისგან, ხისგან, მეგობრისგან и др.).

4.С творительным (მოქმედებითი) падежом употребляется послелог - ურთ (ჩანთითურთ), а также послелог -ი(დან) (ქვეყნიდან, ზღვიდან).

5.С обстоятельственным (ვითარებითი) падежом употребляется послелог - მდე/მდის (ასამდე, კარამდე, მუხლამდე).

Выводы. Анализ выявил следующие различия между предлогами и послелогам:

1. Предлоги всегда находятся в препозиции, а послелог, за редким исключением, - постпозитивны.

2.Русские предлоги – это всегда отдельные слова, которые не сливаются с именем, а грузинские послелог – это или отдельные слова, следующие за именем, не сливаясь с ними, или элементы, слившиеся со словами, иногда, с корнями.

3.В русском языке именительный падеж не употребляется с предлогами, предложный падеж употребляется только с предлогами, а в грузинском языке именительный падеж может употребляться с предлогом, хотя и только с одним.

Послелог не употребляется с повествовательным и звательным падежами.

4.В русском языке предлоги, в зависимости от источника словообразования, делятся на наречные, отыменные, отглагольные (деепричастные). В грузинском

языке послелого также образуются от самостоятельных частей речи, которые со временем потеряли самостоятельность: это имена, наречия. В отличие от предлогов послелого образуются также от безличных глаголов.

Кроме различий, анализ выявил также сходство между предлогами и послелогами:

1. В обоих языках – это слова, не имеющие самостоятельного значения.
2. И в русском, и в грузинском языке предлоги и послелого бывают как простыми, так составными.
3. По значению многие предлоги и послелого соотносятся с соответствующими префиксами, в грузинском языке – это только глагольные префиксы (превербы, ზმბისწობი).
4. С помощью предлогов и послелогов могут передаваться различные отношения. Наиболее отчетливо выделяются объектные и обстоятельственные отношения (пространственные, временные, причинные и др.)

Таким образом, несмотря на существующие различия, предлоги и послелого имеют во многом сходные значения и выполняют одну и ту же функцию, т.е. являются вспомогательными словами, не имеющими самостоятельного значения. И в то же время без предлогов и послелогов было бы невозможно передать объектные и обстоятельственные отношения.

литература:

- 1.Лекант П.А. (Ред.)(2001) Современный русский язык. Москва: Дрофа.
- 2.Розенталь Д.Э., Голуб И.Б., Теленкова М.А.(2002). Современный русский язык. Москва: Вйрис-Пресс.
- 3.Шанский Н.М., Тихонов А.Н.(1987).Словообразование. Морфология. Москва: Просвещение.
- 4.კვაჭაძე ლ.(1981). ქართული ენა. ნაწილი I. ლექსიკა, ფონეტიკა, გრაფიკა და მორფოლოგია მართლწერის საკითხებითურთ. თბილისი: განათლება.
- 5.გოგოლაშვილი გ. (რედ.) (2011). თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. სალიტერატურო ენა. თბილისი: მერიდიანი.
- 6.Голетиани Г.Г.(1970).Сопоставительная грамматика русского и грузинского языков. Тбилиси: Издательство Тбилисского университета.
- 7.Кевлишвили Т.В.(1986). Сборник упражнений по русско-грузинской сопоставительной грамматике. Тбилиси: Ганатлеба.
- 8.Церцвадзе И.И. (1980). Словарь русских словосочетаний с зависимой управляемой формой и их грузинских эквивалентов. Тбилиси: Издательство Тбилисского университета.

Seda Asaturova

Iakob Gogebashvili State University, Telavi

The Opposite Analysis of Advancing and Cohesive Rotations

Abstract

The most important function in Russian and Georgian languages is the words of independent meaning, which will be attached to some form of the name. In this work, we discussed the Russian proxies and the Georgian converts in turn, their functions and meaning. The study revealed that the Russian preposition was written separately and always stood before the name and the Georgian name is followed by the name, except for some exceptions. Some are written separately, some are

attached to the word or the base. The precedent is derived from the name, the verb form and the verb and the derivative name, from the verb form and the verb that has lost independence. Despite the differences between the advances and the compulsion, the study revealed their basic similarity.

This is the main function of the advancement and compulsion, expressing objective and circumstantial relations. We believe that the material we have learned will facilitate translation.

Key words: Preposition, compromise, postpositivity, case.

Ключевые слова: предлоги, послелог, препозиция, постпозиция, падежи.

ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

ახალგაზრდული სოციოლექტის ლინგვისტური თავისებურებანი /ფრანგული ენის მასალაზე/

თანამედროვე ლინგვისტიკაში ენა განიხილება ინდივიდთან, მის აზროვნებასთან, მსოფლმხედველობასთან, სულიერ კულტურასა და პრაქტიკულ მოღვაწეობასთან მჭიდრო კავშირში. ამ თვალსაზრისით, ახალგაზრდული ენა ლინგვოკულტუროლოგიური კვლევისა და ანალიზის მნიშვნელოვან და პერსპექტიულ სფეროს წარმოადგენს. ახალგაზრდული ენა ურთიერთქმედებს მეტყველების ისეთ სხვადასხვა სახეობებთან, როგორებიცაა მდაბიური მეტყველება, პროფესიონალური და სოციალური ჟარგონები, კრიმინალური არგო; ახალგაზრდული კომუნიკაციის მახასიათებელი ნიშნებია ურთიერთობის შეუზღუდავი, არაფორმალური, თამამი ტონი და ემოციურობის მაღალი ხარისხი. ახალგაზრდა თაობა მუდამ ცდილობს გამოავლინოს საკუთარი სუბკულტურის დემონსტრირება არა მარტო გარეგნული ნიშნებით – ტანსაცმლის აქსესუარებით, ვარცხნილობით, ტატუირებით, არამედ საურთიერთო ენითაც. ახალგაზრდული კომუნიკაციის თავისებურებანი, უპირველეს ყოვლისა, ქალაქებში შეიმჩნევა და იგი განსხვავდება ნორმირებული ენისაგან. ახალგაზრდული სოციოლექტის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ახალგაზრდულ ენაში ჭარბობს ტენდენციები არა ნორმინაციისაკენ, არამედ საკუთარი ლექსიკის იდეოლოგიზაციისაკენ, რითაც გამოხატავენ საკუთარ შეხედულებებსა და პრინციპებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ურთიერთობის ახალგაზრდულ სფეროში, წინა პლანზეა წამოწეული არა მისწრაფება ენის გასაიდუმლოებისაკენ, არამედ პრაგმატულ-იდეოლოგიური იდეა, რომ დაუპირისპირონ თავიანთი მორალი, თავიანთი იდეალები, თავიანთი აზროვნება და ქცევა უფროსი თაობის სამყაროს, საყოველთაოდ აღიარებულ სოციალურ და ქცევით ფორმებს.

ახალგაზრდული სოციოლექტი წარმოადგენს როგორც ზოგადი ლინგვისტიკის, ასევე სოციალური ლინგვისტიკის კვლევის ობიექტს. ახალგაზრდული ენის დახასიათებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ლექსიკური გამდიდრების სპეციფიკურ თავისებურებათა შესწავლას, მისი ლექსიკონის შევსების სხვადასხვა საშუალებათა პროდუქტიულობის განსაზღვრას, სიტყვაწარმოების სხვადასხვა ხერხებს შორის ურთიერთობათა გამოვლენას. ახალგაზრდული სოციოლექტის ახალი სიტყვები, ძირითადად, იქმნება სალიტერატურო ენის სიტყვაწარმოებელი მოდელების მიხედვით; თუმცა ახალგაზრდების ენაში, სიტყვაწარმოება ფლობს

მთელ რიგ თავისებურებებს და ასრულებს საკუთრივ ნომინატიურ ფუნქციას ადამიანურ და ემოციურ-ექსპრესიულ ფუნქციებთან შერწყმით. ფაქტიური მასალის ანალიზი აჩვენებს, რომ ახალგაზრდულ ლექსემათა ემოციურ-შეფასებითი მნიშვნელობის გამოვლენა და თავისებურება ბევრადაა დამოკიდებული იმ სიტყვამაწარმოებელ მოდელთა სტრუქტურულ-სემანტიკურ თავისებურებებზე, რომელთა მიხედვითაც ისინი იქმნებიან. ყველაზე მეტად აქტიური და პროდუქტიულია ისეთი პროცესები, როგორებიცაა მეტაფორული გადატანა, ნასესხობები და კოდირება; შუალედური მდგომარეობა უჭირავთ არგოტიზმებსა და შეკვეცილ ფორმებს; ნაკლებად ხშირია პრეფიქსაციისა და რედუპლიკაციის გამოვლენა. ახალგაზრდულ სოციოლექტში, გადააზრებული ლექსიკური ერთეულები ჩნდებიან მსგავსების მიხედვით სახელთა გადატანის სემანტიკური პროცესის საშუალებით. მეტაფორიზაციის დროს, ასეთი სიტყვები მოტივირებულია, რაც ხელს უწყობს, ახალგაზრდულ მეტყველებაში, მათ მუდმივ რეპროდუქტიულობას შესაბამისი მნიშვნელობებით. მეტაფორის ფართოდ გამოყენება აიხსნება მის მიერ კომიკური ეფექტის შექმნის უნარითა და ახალგაზრდა კომუნიკანტთა განწყობის ირონიული ტონალობის ხაზგასმით: **clapet** ('პირი' – სიტყვასიტყვით: 'სარქველი'), **citron** ('თავი' – სიტყვასიტყვით: 'ლიმონი'); «**Se creuser le citron, réfléchir, chercher une idée**» ('თავის თხრა, ფიქრი, აზრის ძებნა'); «**Ferme ton clapet, tais-toi!**» ('დახურე პირი, გაჩუმდი!').

ახალგაზრდულ სოციოლექტში, დიდი რაოდენობის ნასესხობათა (განსაკუთრებით ანგლო-ამერიკულთა) გამოყენება მიაჩნშნება მათი (ნასესხობების) ფონეტიკური ფორმის არასტანდარტულობაზე, ეგზოტიკურობაზე, პრესტიჟულობასა და ექსპრესიულობაზე. ფრანგი ახალგაზრდების ცნობიერებაში, უცხოურენოვანი სიტყვების დამკვიდრებას ხელს უწყობს მასობრივ ინფორმაციათა საშუალებები, სხვადასხვა მუსიკალური მიმდინარეობები, კომპიუტერული თამაშები: **party** ('გასართობი საღამო'), **show-biz – showbizness** ('შოუ-ბიზნესი'), **disk-jockey** ('დისკოთეკის წამყვანი'), **drink** ('დალევა'), **rock** ('როკი'), **singer** ('მომღერალი'), **trip-hop** ('საზღვარგარეთული მუსიკა'), **smoke** ('მოწევა'), **file** ('ფაილი'), **CD-ROM** ('დრავი კომპაქტ-დისკის ჩანაწერის წასაკითხად'), **flop** ('დისკეტა'), **chat** ('ინფორმაციის გაცვლის გვერდი'), **click** ('დაჭერა'), **payo, payotte** (ბოშური: 'ბიჭი, გოგონა' – არაბოშა), **macho** (ესპანურ-ამერიკ. 'მამაკაცი'): «**Et pourtant, avant de tomber dans la potion magique du show-biz, les Greta, Pita et autres divas avaient tout l'air de Josiane Tartemoule**», «**Où sont passés les machos ?**».

ფრანგი ახალგაზრდების სოციალური შემადგენლობის არაერთგვაროვნება გავლენას ახდენს მათ სალაპარაკო ენაზეც. ახალგაზრდული მეტყველების კავშირი არგოსთან, რომელიც განკუთვნილია სხვა ჯგუფების წარმომადგენელთა მიერ მათი ენის გაგების შეზღუდვისათვის, გამოიხატება მრავალი სიტყვამაწარმოებელი მოდელის ერთობით, განსაკუთრებით – კოდების. რაც უფრო მაღალი ხარისხითაა სიტყვა კოდირებული, მით უფრო უცნაურ და უჩვეულო ფორმას იძენს ის და მით უფრო საინტერესოა მისი გამოყენება ახალგაზრდულ წრეში. კოდირების პროცესი ხორციელდება სიტყვათა დეფორმაციის (ვერლანი), ანბანური კოდისა და ციფრების საშუალებით. ეს არის თვითგამოხატვის თავისებური ხერხი, რომელიც ექსპრესიულ ფუნქციას ასრულებს ახალგაზრდების მეტყველებაში: **reum** < **mère** 'დედა', **reup** < **père** 'მამა', **renpas, renps** < **parents** 'შობლები', **iep** < **pied** 'ფეხი', **zen** < **nez** 'ცხვირი',

teute < **tête** ‘თავი’, **steuv** < **veste** ‘ქურთუკი’, **leust** < **style** ‘სტილი’, **zonblou** < **blouson** ‘კოფთა’, **neuj** < **jean** ‘ჯინსი’, **Koi 2 9?** < **quoi de neuf?** ‘რა არის ახალი?’ და სხვ.

არგოტიზმები ფლობენ უზარმაზარ ემოციურ-შემფასებლურ პოტენციალს, რის წყალობითაც ისინი ძლიერ მოთხოვნადი არიან ახალგაზრდულ სოციოლექტში: **mec** ‘ტიპი, კაცი’, **cul** ‘იდიოტი’, **con** ‘სულელი, კრეტინი’, **paluche** ‘ხელი, ხელის მტევანი’, **compote** ‘თხზულება’, **un coup de pot, du bol** ‘შანსი, წარმატება’, **un avaro, de la mousse** ‘წარუმატებლობა, ჩავარდნა’ და სხვ.

ახალგაზრდულ მეტყველებაში შეკვეცილი ფორმების გამოყენება აიხსნება ექსპრესიულობისა და ლაკონიურობისაკენ მისწრაფებით: **récré** – **récréation** ‘დასვენება, შესვენება’, **imper** – **imperméable** ‘საწვიმარი ლაბადა’, **chôme** – **chômage** ‘უმუშევრობა’, **exo** – **exercice** ‘სავარჯიშო’, **manip** – **manipulation** ‘პრაქტიკული სამუშაო, ოპერაცია’, **expo** – **exposition** ‘გამოფენა’, **blème** – **problème** ‘პრობლემა’, **plôme** – **diplôme** ‘დიპლომი’, **lastique** – **élastique** ‘რეზინა’, **teille** – **bouteille** ‘ბოთლი’, **vail** – **travail** ‘სამუშაო’, **za** – **pizza** ‘პიცა’ და სხვ.

ახალგაზრდულ სოციოლექტში, რედუქციაციის გამოყენება უკავშირდება მოცემული სოციალური ჯგუფის სურვილს, რომ შექმნას ახალი ემოციურ-შეფასებითი ლექსიკური ფორმები, ხატოვან საშუალებათა რეალიზაციისაკენ სწრაფვით: **olé olé** ‘თავხედი, თავისუფალი’, **nunuche** ‘მოსულელი’, **fute-fute** ‘ჭკვიანი, გონიერი’, **foufou, fofolle** ‘შემლილი’, **culcul, cucul** ‘სულელი’, **doudoune** ‘ქალი’, **ronron** ‘რუტინა, მონოტონურობა’ და სხვ.

ახალგაზრდების ენაში, არსებით როლს თამაშობს და ექსპრესიულ ხერხს წარმოადგენს ლექსემათა წარმოება აფიქსაციის გზით. ხშირად გამოიყენება უარყოფითი შეფასების (დამცირების, სიძულვილის და ა. შ.) მატარებელი სუფიქსები: **cossard** ‘ზარმაცი’, **gueulard** ‘აგრესიული, სკანდალისტი’, **ringard** ‘წარუმატებელი’, **trouillard** ‘შშიშარა’, **zonard** ‘ხულიგანი’, **débilos** ‘სულელი’, **nullos** ‘არარაობა’ და სხვ. პრეფიქსები გამოიყენება ნომინაციის ობიექტთა გამოსაყოფად უპირატესობისა და ჰიპერბოლიზაციის თვალსაზრისით: **supernana** ‘ძალიან ლამაზი, მომხიბლავი, მომაჯადოებელი გოგონა’, **mégalomane** ‘ამბიციებით სავსე’ და სხვ.

ამგვარად, აშკარად ჩანს, რომ ფრანგ ახალგაზრდათა მეტყველება გამსჭვალულია ექსპრესიული და შემფასებლური ნიუანსებით. უფროსი თაობის სასაუბრო მეტყველებაში ექსპრესიული ფუნქცია გაცილებით ნაკლებად დომინირებს (შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ თანმხლებია), ვიდრე ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში. ახალგაზრდულ კომუნიკაციაში გაცილებით მაღალია ემოციურობაც, თვითგამოხატვისადმი მისწრაფებაც, რაც ასახვას პოულობს ენაში ახალი გამომხატველობითი საშუალებებით და არასტანდარტული ლექსიკური ერთეულებით.

ლიტერატურა:

Calvet L.-J. Les voix de la ville. Paris, Payot, 1994.

Guilbert L. Peut-on définir un concept de norme lexicale? Langue française. Larousse, 1972. № 16. გვ. 29-48.

**Linguistic Peculiarities of Younger Sociolect
/On the material of the French Language/**

Abstract

Youth language is considered to be a sociolect that functions in the communication process of a defined age category and is characterized by the abundance of emotional-appraisal vocabulary. French youth sociolect is a special functional specialization based on the general system of phonetic, grammatical and lexical means of the French language.

საკვანძო სიტყვები: სოციოლექტი, სოციალური ჟარგონი, კრიმინალური არგო, მეტაფორიზაცია, რედუპლიკაცია.

Key Words: sociolect, social jargon, criminal argo, metaphorisation, reduplication

ბაკურ ბაკურაძე

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

**კომბინატორული შინაარსის მქონე ამოცანები დაწყებითი კლასების
მათემატიკის სასკოლო კურსში და მათი ამოხსნის მეთოდური
თავისებურებები**

მეთოდურ ლიტერატურაში პრაქტიკული შინაარსის მათემატიკური ამოცანების ამოხსნას ზოგიერთი მკვლევარი ყოფს სამ ეტაპად:

1. ამოცანის ფორმალიზაცია; 2. პრაქტიკული რეალიზაცია; 3. ინტერპრეტაცია.

ამოცანათა და მაგალითების ნებისმიერი სისტემის ამოხსნის დროს მოსწავლეები ხვდებიან სრულად ან ნაწილობრივ მაინც ამ ეტაპებს, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ საკითხს დავუთმოთ გარკვეული ყურადღება, რადგან სრულყოფილად არ არის დამუშავებული ამ საკითხების მეთოდური საფუძვლები.

განვიხილოთ ამოცანების ამოხსნის ეტაპები დაწვრილებით.

1. ფორმალიზაცია-არის მოცემული სიტუაციიდან გადასვლა ფორმალურ მათემატიკურ მოდელზე, რომელიც მიახლოებით ასახავს ამ სიტუაციას.

კომბინატორული შინაარსის ამოცანების ამოხსნის ამ ეტაპს მიეკუთვნება: ამოცანის პირობის შესწავლა, დადგენა იმისა, გამოყოფილ ქვესიმრავლეებში ელემენტების დალაგებას აქვს თუ არა მნიშვნელობა, იმის განსაზღვრა, თუ რომელი წესი უნდა იქნეს გამოყენებული ყველა შესაძლო შემთხვევათა რიცხვის მოსაძებნად.

2. რეალიზაცია-არის ამოცანის ამოხსნა მისთვის განკუთვნილი მეთოდის მიხედვით, ამ დროს მოსწავლეები გამოიყენებენ ზოგად წესებს და ფორმულებს ყველა შემთხვევათა რიცხვის მოსაძებნად.

3. ინტერპრეტაცია-არის ამოცანის ამოხსნის გათვალისწინება, ამოხსნის სისწორის შემოწმება და პრაქტიკული მნიშვნელობა.

კომბინატორული შინაარსის ამოცანების ამოხსნის ინტერპრეტაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა გზით, როგორც არის დიაგრამების და ნახაზების აგება, გრაფების გამოყენება, ექსპერიმენტული ლაბორატორიული შემოწმება და სხვ.

ყოველი ტექსტიანი ამოცანა აღწერს რეალურ სიტუაციას ან მასთან მიახლოებულს, სადაც საჭიროა გავიგოთ უცნობი სიდიდე ან გავაკეთოთ რაიმე თვისობრივი დასკვნა

დამახასიათებელი ამ სიტუაციისათვის. პირველ ეტაპზე საჭიროა უცნობი სიდიდე შევიტანოთ ამოცანის პირობებში, მისი საშუალებით გამოვსახოთ სხვა სიდიდეები და შევადგინოთ ამოცანის პირობებიდან გამომდინარე მათემატიკური მოდელი. ეს შეიძლება იყოს განტოლება, ფორმულა და სხვ. შესაძლებელია, რომ ეს მათემატიკური მოდელი შესაბამებოდეს კიდევ სხვა სიტუაციას.

ეს სამი ეტაპი სქემატურად ასე წარმოდგება:



საილუსტრაციოდ განვიხილოთ კომბინატორული შინაარსის ამოცანების ამოხსნა ამ ეტაპების გათვალისწინებით.

ამოცანა 1. რამდენი სამნიშნა რიცხვის შედგენა შეიძლება ციფრებით 1, 3 და 9, ისე, რომ რიცხვში ციფრი არ განმეორდეს.

ამოხსნა. I ეტაპი - ფორმალიზაცია. აქ მოსწავლეები გაარკვევენ, რომ მოცემული ციფრებიდან საჭიროა შევადგინოთ სამნიშნა რიცხვები, რომელიც შედგება სიმრავლისაგან {1, 3, 9}. განსაზღვრება, რომ რიცხვში ციფრის გამეორება არ შეიძლება, მნიშვნელობა აქვს ელემენტების დალაგებას, ასე მაგალითად, რიცხვები 391 და 913 სხვადასხვაა. რიცხვები 333 და 999 არ არის დასაშვები. მოსწავლეები დაადგენენ, რომ საჭიროა მოცემული სიმრავლის ყველა შესაძლო დალაგებათა რიცხვის მოძებნა და ამისათვის გამოიყენებენ საჭირო წესს და მოახდენენ ყველა შემთხვევის განხილვას.

II ეტაპი-რეალიზაცია. აქ მოსწავლეები ახდენენ მათთვის ცნობილი წესით ან ფორმულით გამოთვლას მოცემული სიმრავლის ყველა შესაძლო დალაგებათა რიცხვის მოძებნას ან ახდენენ ყველა შესაძლო შემთხვევების ჩამოთვლას. თუ გამოვიყენებთ ყველა შესაძლო გადანაცვლებათა რიცხვის მოსაძებნად ჩამოყალიბებულ წესს მივიღებთ, რომ სამი ციფრისაგან შეიძლება შევადგინოთ $1 \cdot 2 \cdot 3 = 6$ რიცხვი.

III ეტაპი-ინტერპრეტაცია. ამ ეტაპზე მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით აგებენ ე.წ. გრაფ-ხეს, რომელზედაც ილუსტრირებულია მოცემული სიმრავლის ელემენტების განლაგება ყველა შემთხვევაში. მისი საშუალებით თვალსაჩინოდ ჩანს, თუ როგორ მიიღება თითოეული სამეზბნი რიცხვი.

კომბინატორული ხასიათის ამოცანების ამოხსნის დროს ამოცანის ამოხსნის სისწო-რის შესამოწმებლად ზოგჯერ მიზანშეწონილია გამოყენებულიქნას ლაბორატორიული მეთოდი. მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოებში გვხვდება ისეთი შინაარსის ამოცანები, სადაც საჭიროა მრავალჯერადი ცდების ჩატრება, როგორც არის აწონა, სითხის გადასხმა ერთი ჭურჭლიდან მეორეში და სხვ.

ამოცანა 2. გვაქვს ერთნაირი ზომისა და ფორმის 9 მონეტა, რომელთა შორის ერთი ყალბია (მსუბუქია დანარჩენებზე). დადგინეთ ყალბი მონეტა ორი აწონით პინებიანი სასწორის გამოყენებით (საწონების გარეშე).

ამოხსნა. მოსწავლეები დარწმუნდებიან, 9 მონეტის გაყოფა ორ ნაწილად სასურ-ველ შედეგს ვერ იძლევა. ამიტომ მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს მონეტების ჯგუფებად დაყოფის სხვა გზის მოძებნა, რისთვისაც სასურველია მასწავლებელმა მოსწავლეებს გაახსენოს თუ რომელ რიცხვებზე იყოფა რიცხვი 9. მოსწავლეები მიხვდებიან, რომ უმჯობესია 9 მონეტის დაყოფა მოხდეს სამ ტოლ ჯგუფად, თითო-ეულში 3 მონეტა. პირველი აწონით მოსწავლეები დაადგენენ 3 მონეტის შემცველ რომელ ჯგუფშია ყალბი მონეტა. რაც დადგინდება ამოხსნის სტრატეგია, მოსწავლეებისათვის სირთულეს აღარ წარმოადგენს ამოცანის ამოხსნა. კერძოდ, ისინი მეორე აწონით ადგენენ 3 მონეტისაგან რომელია ყალბი მონეტა.

გრაფების გამოყენებისას მოსწავლეებს შეიძლება გავაცნოთ თუ რა არის გრაფის წვერო, წიბო, იზოლირებული წვერო და სრული გრაფი.

კომბინატორული შინაარსის მქონე ამოცანების ამოხსნის დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამოხსნის სამივე ეტაპის განხილვას. სწავლების შემდგომ ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა

მიაქციოს მესამე ეტაპს, რადგან ამ ეტაპის განხილვისას მოსწავლეები ნათლად ხედავენ ამოცანის ამოხსნის პრაქტიკულ ღირებულებას, ადგენენ ამოცანაში საპოვნის სიდიდის იმ ოპტიმალურ მნიშვნელობებს, რომელიც სინამდვილეს შეეფერება და ხელსაყრელია.

სიმრავლიდან ყველა შესაძლო წყვილთა რაოდენობის გამოყოფა

მეთხე კლასში მოსწავლეებს პროგრამის მიხედვით სიმრავლის ცნება ეძლევათ მაშინ, როდესაც გადიან ნატურალურ რიცხვებს. ამ თემასთან დაკავშირებით მათემატიკის სახელმძღვანელოში არის ისეთი შინაარსის ამოცანები, რომლებშიც მოთხოვნილია მცირე რაოდენობის ელემენტების მქონე სიმრავლეებიდან ყველა შესაძლო წყვილების გამოყოფა და მათი რიცხვის მოძებნა.

მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით ასეთი ამოცანების ამოხსნას მოსწავლეები ახდენენ არასრული ინდუქციის მეთოდის გამოყენებით და ადგენენ კანონზომიერებებს სიმრავლის ელემენტების რაოდენობასა და გამოყოფილ წყვილთა რაოდენობებს შორის და ახდენენ ჰიპოთეზის ფორმულირებას. ამის შემდეგ მოსწავლეები ჩამოყალიბებულ ჰიპოთეზას ამოწმებენ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითზე, რის საფუძველზეც ჩამოაყალიბებენ მარტივ წესებს.

წარმოდგენილი სქემის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ამოცანები.

ამოცანა 3. რამდენი ორნიშნა რიცხვის შედგენა შეიძლება ციფრებით 1 და 3?

ამოცანის ამოსახსნელად მასწავლებელი დასვამს კითხვებს:

რომელი ორნიშნა რიცხვების ჩაწერა შეიძლება მოცემული ციფრებით, თუ პირველ ადგილზე დავწერთ 1-ს?3-ს?

რამდენი ორნიშნა რიცხვის შედგენა შეიძლება სულ ორი ციფრისაგან?

ანალოგიური მეთოდით მასწავლებელს გაკვეთილზე შეუძლია ამოხსნას და დაწვრილებითი კომენტარები გაუკეთოს ასეთ ამოცანას:

შეადგინეთ სიმრავლე იმ ორნიშნა რიცხვებისა, რომელთა ჩასაწერად გამოიყენება ციფრები 1, 3 და 9.

მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით დაადგენენ, რომ სამი ციფრისაგან, რომელთაგან არც ერთი ნული არ არის, შეიძლება შევადგინოთ 9 ორნიშნა რიცხვი.

ამოცანების განხილვის შემდეგ მიზანშეწონილია მოსწავლეებ შეადგენენ ცხრილს.

სიმრავლე	ელემენტების რაოდენობა	წყვილთა რაოდენობა	კავშირი წყვილთა რაოდენობასა და ელემენტების რაოდენობას შორის
{1, 3}	2	4	$2 \cdot 2 = 2^2 = 4$
{1, 3, 9}	3	9	$3 \cdot 3 = 3^2 = 9$

ამის შემდეგ მასწავლებელი სიმრავლის ელემენტების რაოდენობასა და წყვილთა რაოდენობას შორის კავშირს მოსწავლეებს დაადგენინებს კითხვებით:

რამდენ ელემენტს შეიცავს პირველი სიმრავლე?

რამდენი წყვილი მივიღეთ პირველი სიმრავლის ელემენტებისაგან?

როგორ შეიძლება პირველი სიმრავლის ელემენტების რაოდენობისაგან მივიღოთ წყვილთა რაოდენობა?

რამდენ ელემენტს შეიცავს მეორე სიმრავლე?

რამდენი წყვილი მიიღება მეორე სიმრავლის ელემენტებისაგან?

მოვიგონოთ პირველი სიმრავლის განხილვის დროს მიღებული შედეგი და მოვიფიქროთ, როგორ შეიძლება სიმრავლის ელემენტების რაოდენობისაგან მივიღოთ წყვილთა რაოდენობა?

გაითვალისწინეთ პირველი და მეორე სიმრავლის განხილვის შედეგად მიღებული შედეგები და მოისაზრეთ, რა წესით შეიძლება გამოვიანგარიშოთ წყვილთა რაოდენობა, თუ ვიცით სიმრავლის ელემენტების რაოდენობა.

მოსწავლეებისაგან მივიღებთ სხვადასხვა პასუხებს, რომელსაც მასწავლებელი შესწორების შემდეგ ჩამოაყალიბებს ასე:

სიმრავლის ელემენტებისაგან შედგენილი ყველა წყვილთა რაოდენობა უდრის მოცემული სიმრავლის ელემენტების რაოდენობის თავის თავზე ნამრავლს.

ამ წესის გამოყენება დაწყებითი კლასების მათემატიკის კურსში, როცა განიხილება კომბინატორული შინაარსის ამოცანები იძლევა დროის საგრძნობ ეკონომიას, რაც საშუალებას იძლევა გამოთავისუფლებული დრო მოხმარდეს სხვა საკითხების საფუძვლიან შესწავლას. წყვილთა რაოდენობის სწრაფად და სწორად დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს შემდგომ კლასებში ფუნქციის შესწავლის დროს.

ამოცანებისა და სავარჯიშოების ამოხსნის დროს მოსწავლეებს უხდებათ სასრული სიმრავლეებიდან ქვესიმრავლეთა გამოყოფა, ზოგიერთ შემთხვევაში გამოყოფილ ქვესიმრავლეებში მნიშვნელობა აქვს დალაგებას, ზოგიერთ შემთხვევაში კი, გამოყოფილ ქვესიმრავლეებში მნიშვნელობა არა.

დაწყებითი კლასების მათემატიკის კურსში განიხილება კომბინატორული შინაარსის ამოცანების ძირითადად ორი ტიპი: 1. სიმრავლიდან ქვესიმრავლეების გამოყოფა; 2. მოცემული სასრული სიმრავლის ყველა ქვესიმრავლეთა რიცხვის გამოთვლა და იმ ქვესიმრავლეთა რიცხვის გამოთვლა, რომელიც აკმაყოფილებს ამოცანაში ან სავარჯიშოში მოყვანილ გარკვეულ პირობებს.

კომბინატორიკის საწყისი ცნებები დაწყებით კლასებში განხილულ უნდა იქნეს ფარულად, ტერმინების დასახელების გარეშე. სასწავლო პროცესში არ უნდა გამოვიყენოთ სიტყვები „წყობა“, „ჯუფთება“, „გადანაცვლება“ და სხვ.

მოსწავლეები არასრული ინდუქციის მეთოდის გამოყენებით, მარტივი კომბინატორული ამოცანებისა და სავარჯიშოების ამოხსნის დროს დაადგენენ გარკვეულ კანონზომიერებებს და ჩამოაყალიბებენ შესაბამისად მარტივ წესებს, შემდეგ ამ მარტივ წესებს გამოიყენებენ ისინი სავარჯიშოების შესრულების დროს.

პედაგოგიურმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ იმ ჯგუფებში, სადაც გამოყენებული იქნა კომბინატორიკის საწყისი ცნებები ფარულად, ტერმინების გამოყენების გარეშე, მოსწავლეები მოკლედ და რაციონალურად პოულობენ ყველა შესაძლო შემთხვევათა რიცხვს და სავარჯიშოების შესრულების დროს იგებენ დროში, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მათემატიკის სწავლების დროს, რადგან დროის პრობლემის სწორად გადაწყვეტა არის თანამედროვე გაკვეთილის ერთ-ერთი ძირითადი მომენტი და ამ მომენტის სწორად გადაჭრაში ხელს გვიწყობს ზემოთ ჩამოთვლილი ცნებების შეტანა და მარტივი წესების გამოყენება.

• **გადანაცვლება.** განვიხილოთ გაკვეთილის მსვლელობა, სადაც მოსწავლეები გაეცნობიან გადანაცვლების შესახებ ამოცანას, რომლის განხილვა საშუალებას იძლევა მოხდეს მისი განზოგადება, რაც მეთოდური თვალსაზრისით საკითხის შესწავლაში წინგადადგმულ ნაბიჯად მიგვაჩნია.

ამოცანა 4. რამდენი ერთნიშნა რიცხვის შედგენა შეიძლება ერთი ციფრით, მაგალითად 9-ით?

ამოცანა 5. რამდენი ორნიშნა რიცხვის შედგენა შეიძლება ორი ციფრისაგან, მაგალითად 1-ით და 3-ით, ისე რომ, რიცხვში არ იყოს ერთნაირი ციფრები?

ამოცანა 6. რამდენი სამნიშნა რიცხვის შედგენა შეიძლება სამი ციფრისაგან, მაგალითად 1-ით, 3-ით და 9-ით, ისე რომ, რიცხვში არ იყოს ერთნაირი ციფრები?

ამ მაგალითების განხილვის შემდეგ მოსწავლეებს შევავსებინეთ ასეთი ცხრილი:

სიმრავლე	ელემენტების რაოდენობა	რიცხვთა რაოდენობა	კავშირი ელემენტების რაოდენობასა და რიცხვთა რაოდენობას შორის
{9}	1	1	$1 = 1$
{1, 3}	2	2	$1 \cdot 2 = 2$
{1, 3, 9}	3	6	$1 \cdot 2 \cdot 3 = 6$

პირველი სამი სვეტის შემდეგ მოსწავლეებს მეოთხე სვეტი შევავსებინეთ დასმულკითხვებზე პასუხებით:

რამდენ ელემენტს შეიცავს პირველი სიმრავლე?

რამდენი რიცხვის შედგენა შეიძლება ერთი ციფრისაგან?

რამდენ ელემენტს შეიცავს მეორე სიმრავლე?

რამდენი რიცხვის შედგენა შეიძლება ორი ციფრისაგან?

როგორ მიიღება რიცხვთა რაოდენობა სიმრავლის ელემენტების რაოდენობისაგან?

რამდენ ელემენტს შეიცავს მესამე სიმრავლე?

რამდენი რიცხვის შედგენა შეიძლება სამი ციფრისაგან?

შეიძლება წარმოვადგინოთ რიცხვთა რაოდენობა მესამე სიმრავლის შემთხვევაში?

გაითვალისწინეთ თითოეული სიმრავლის ელემენტებისაგან შედგენილი ყველა რიცხვის დამოკიდებულება სიმრავლის ელემენტების რაოდენობასთან და ჩამოაყალიბეთ წესი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში ჩვენ გამოვთვალეთ სამეწმენტიანი სიმრავლის ყველა შესაძლო დალაგებათა რიცხვი ორ ელემენტად.

• **წყობა.** წყობის შესწავლის დროს მიზანშეწონილია მასწავლებელმა კლასში განიხილოს შემდეგი შინაარსის ამოცანები:

ამოცანა7. რამდენი ორნიშნა რიცხვის დაწერა შეიძლება ციფრებით 1-ით და 3-ით, ისე რომ რიცხვში ციფრები არ განმეორდეს?

ამოცანა8. რამდენი ორნიშნა რიცხვის დაწერა შეიძლება ციფრებით 1, 3 და 9-ით, ისე, რომ რიცხვში ციფრები არ განმეორდეს?

ამ ამოცანების განხილვის შემდეგ მიზანშეწონილად მიგვაჩნია უფრო რთული ამოცანის განხილვა.

ამოცანა9. შეადგინეთ სიმრავლე ყველა ორნიშნა რიცხვებისა, რომლებიც შეიძლება ჩაიწეროს ციფრებით 1, 2, 3, 4 ისე, რომ რიცხვში ციფრები არ განმეორდეს.

მასწავლებელი კლასში დასვამს შემდეგი შინაარსის კითხვებს:

რომელი ორნიშნა რიცხვების დაწერა შეიძლება მოცემული ციფრებით, თუ პირველი ციფრი იქნება 1? თუ პირველი ციფრი იქნება 2? თუ პირველი ციფრი იქნება 3? თუ პირველი ციფრი იქნება 4?

სულ რამდენი ორნიშნა რიცხვის დაწერა შეიძლება მოცემული ოთხი ციფრით?

ამის შემდეგ დავხაზოთ ცხრილი და მასში შევიტანოთ მიღებული მონაცემები.

სიმრავლე	ელემენტების რაოდენობა	წყვილთა რაოდენობა	კავშირი წყვილთა რაოდენობასა და ელემენტების რაოდენობას შორის
{1, 3}	2	2	$2 \cdot 1 = 2$
{1, 3, 9}	3	6	$3 \cdot 2 = 6$
{1, 2, 3, 4}	4	12	$4 \cdot 3 = 12$

მასწავლებელმა კავშირი ელემენტების რაოდენობასა და წყვილთა რაოდენობას შორის უნდა დაამყაროს ასეთი შინაარსის კითხვების დასმით:

რამდენ ელემენტს შეიცავს პირველი სიმრავლე?

რამდენი წყვილი მიიღება ამ ორი ელემენტისაგან?

როგორ მიიღება წყვილთა რაოდენობა პირველი სიმრავლის წყვილთა რაოდენობისაგან? მეორე სიმრავლის ელემენტების რაოდენობისაგან?

რას უდრის მესამე სიმრავლისაგან შედგენილი წყვილთა რაოდენობა?

რა წესი შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ მოცემული სიმრავლიდან დალაგებული წყვილების გამოყოფის შესახებ?

ამ ამოცანების განხილვით მოსწავლეებმა ფაქტიურად მოახდინეს გამოანგარიშება მოცემული სიმრავლიდან ორელემენტიანი დალაგებული ქვესიმრავლეთა რიცხვისა, ე.ი. გამოთვალეს ორელემენტიანი წყობა.

დალაგებულ წყვილთა რაოდენობის განსაზღვრას გამოყენება აქვს შემდგომ კლასებში ალგებრისა და გეომეტრიის კურსებში.

• **ჯუფთება.** მეოთხე კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოში გვხვდება ისეთი შინაარსის ამოცანები, სადაც მოცემული სიმრავლის ელემენტები არის გეომეტრიული ობიექტები: წერტილი, წრფე და სხვ. და გამოყოფილ ქვესიმრავლეებში ელემენტების დალაგებას მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად, თუ ავიღებთ ორი წერტილისაგან შედგენილ წყვილს, მაშინ ამ ორ წერტილზე წრფის გავლების შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ წყვილში პირველ ადგილზე რომელი წერტილი იქნება. განვიხილოთ ამოცანები, რომელთა ამოხსნა გვეხმარება სიმრავლიდან გამოყოფილ ქვესიმრავლეთა რიცხვის დადგენაში.

ამოცანა 10. რამდენი წრფის გავლება შეიძლება ორ წერტილზე? სამ წერტილზე (თუ ეს სამი წერტილი ერთ წრფეზე არ მდებარეობს)?

წერტილთა სიმრავლეები აღვნიშნოთ M -ით და N -ით, ხოლო წერტილები A, B და C ასოებით. მაშინ $M = \{A, B\}$, $N = \{A, B, C\}$.

რამდენი წერტილია საკმარისი წრფის ასაგებად?

რა არის საჭირო საძებნი წრფეების ასაგებად?

რამდენი წყვილი წერტილის გამოყოფა შეიძლება სიმრავლიდან, თუ წყვილში ელემენტების დალაგებას ექნება მნიშვნელობა?

რამდენი წრფის გავლება შეიძლება (A, B) და (B, A) ორ წყვილ წერტილზე?

რამდენი წრფის გავლება შეიძლება ორ წერტილზე?

როგორ წერტილთა წყვილების გამოყოფაა საჭირო მოცემული სიმრავლიდან წრფის ასაგებად?

რომელი წყვილი წერტილების გამოყოფა შეიძლება N სიმრავლიდან, თუ წყვილში ელემენტების დალაგებას მნიშვნელობა ექნება.

დაასახელეთ იმ წყვილ წერტილთა სიმრავლიდან ისეთი წყვილი წერტილები, რომლებზედაც გაივლება მხოლოდ ერთი წრფე?

რამდენი წრფის გავლება შეიძლება მოცემულ A, B და C წერტილებზე?

ამის შემდეგ მიზანშეწონილია მიღებული მონაცემები მასწავლებელმა შეიტანოს ცხრილში. პირველი ოთხი სვეტის შევსება მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ ამოხსნილი მაგალითების გამოყენებით. მეხუთე სვეტის შესავსებად მასწავლებელმა უნდა დასვას შემდეგი შინაარსის კითხვები:

რამდენი წყვილი წერტილი გამოიყო M სიმრავლიდან, როცა წყვილში წერტილთა დალაგებას მნიშვნელობა ჰქონდა?

რამდენი წყვილი წერტილის გამოყოფა შეიძლება იმავე M სიმრავლიდან, როცა წყვილში წერტილთა დალაგებას არ აქვს მნიშვნელობა?

სიმრავლე	ელემენტთა რაოდენობა	წყვილთა რაოდენობა		კავშირი წყვილთა რაოდენობასა და ელემენტების რაოდენობას შორის, როცა ელემენტების დალაგებას მნიშვნელობა არა აქვს
		დალაგებული	დალაგების გარეშე	
$\{A, B\}$	2	$2 \cdot 1 = 2$	1	$\frac{2 \cdot 1}{2} = 1$
$\{A, B, C\}$	3	$3 \cdot 2 = 6$	1	$\frac{3 \cdot 2}{2} = 3$

მოსწავლეები დააკვირდებიან შედგენილი ცხრილის მეხუთე სვეტს და შეამჩნევენ, რომ როცა სიმრავლე შეიცავს ორ ელემენტს, მაშინ წრფეთა რაოდენობა უდრის ელემენტთა რაოდენობის ნახევარს გამრავლებულს ერთზე, როცა სიმრავლე შეიცავს სამ ელემენტს, მაშინ ელემენტთა რაოდენობის ნახევარი გამრავლებული 2-ზე. ე.ი. წრფეთა რაოდენობა უდრის წერტილთა რაოდენობის ნახევრის ნამრავლს ერთით შემცირებულ წერტილთა რიცხვზე. ამის შემდეგ ჩამოყალიბდება შემდეგი წესი:

წყვილთა რაოდენობა, გამოყოფილი მოცემული სიმრავლიდან, როცა წყვილში ელემენტების დალაგებას მნიშვნელობა არა აქვს, უდრის ელემენტების რაოდენობის ნახევრის ნამრავლს ერთით შემცირებულ ელემენტთა რაოდენობაზე.

ამ წესის გაანალიზების შემდეგ მოსწავლეები დარწმუნდებიან, რომ წერტილთა ნებისმიერი რაოდენობის შემთხვევაში, როცა არც ერთი სამი მათგანი არ მდებარეობს ერთ წრფეზე, გავლებული წრფეთა რიცხვი უდრის წერტილთა რაოდენობის ნახევრის ნამრავლს ერთით შემცირებულ წერტილთა რიცხვზე.

ამ წესის გამოყენება საშუალებას გვაძლევს მეოთხე და მომდევნო კლასებში გავზარდოთ წერტილთა რიცხვი, რომელზედაც გვსურს წრფეების გავლება, ზოგჯერ აღნიშნული წესი დაგვეხმარება მოძებნილ წრფეთა რიცხვის სისწორის დადგენაში.

• **ორი სიმრავლის ელემენტებისაგან ყველა შესაძლო წყვილების შედგენა.** მათემატიკის სასკოლო კურსში დაწყებული მეოთხე კლასიდან გვხვდება სხვადასხვა სიმრავლეები და საჭიროა მათგან ანალოგიური წყვილების შედგენა. მაგალითად მეექვსე კლასში ფუნქციის ცნების შემოტანის დროს საჭიროა ორი სხვადასხვა სიმრავლისაგან შევადგინოთ ყველა შესაძლო წყვილები ისე, რომ თითოეულ წყვილში პირველ ადგილზე იყოს პირველი სიმრავლის ელემენტი, ხოლო მეორე ადგილზე მეორე სიმრავლის ელემენტი.

მეოთხე კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოში მოთავსებული მასალა საშუალებას იძლევა ზემოთ მოყვანილი ზოგადი წესი ჩამოვაყალიბოთ კონკრეტული მაგალითების განხილვით და შემდეგ ეს წესი გამოვიყენოთ როგორც ალგებრის, ისე გეომეტრიის სწავლების დროს.

მეოთხე კლასში, ორი სხვადასხვა სიმრავლისაგან ყველა შესაძლო წყვილთა რაოდენობის დადგენისთვის მიზანშეწონილია შემდეგი ამოცანის განხილვა:

ამოცანა 11. რამდენი წყვილის შედგენა შეიძლება ორი A და B სიმრავლის ელემენტებისაგან ისე, რომ ყოველ წყვილში პირველ ადგილზე იყოს A სიმრავლის ელემენტი, ხოლო მეორე ადგილზე B სიმრავლის ელემენტი.

1. $A = \{2\}$ და $B = \{3\}$; 2. $A = \{2\}$ და $B = \{3, 4\}$; 3. $A = \{2, 3\}$ და $B = \{4, 5, 6\}$;

სიმრავლის ელემენტების რაოდენობა		წყვილთა რაოდენობა	კავშირი სიმრავლის ელემენტების რაოდენობასა და წყვილთა რაოდენობას შორის
A	B		
1	1	1	$1 \cdot 1 = 1$
1	2	2	$1 \cdot 2 = 2$
2	3	6	$2 \cdot 3 = 6$

მასწავლებელი დასვამს კითხვებს:

რამდენი წყვილის შედგენა შეიძლება პირველ შემთხვევაში?

რამდენი წყვილის შედგენა შეიძლება მეორე შემთხვევაში?

რამდენი წყვილის შედგენა შეიძლება მესამე შემთხვევაში?

ამის შემდეგ მოსწავლეებს დავუხმარებთ ცხრილის შედგენაში.

კავშირი A და B სიმრავლეებს შორის უნდა დამყარდეს კითხვებით:

როგორ მიიღება წყვილთა რაოდენობა პირველ შემთხვევაში? მეორე შემთხვევაში? მესამე შემთხვევაში.

რა წესი შეგვიძლიათ ჩამოვაყალიბოთ ორი სხვადასხვა სიმრავლისაგან შედგენილი წყვილთა რაოდენობაზე.

ამ წესის გამოყენებაზე მიზანშეწონილია საკლასო მეცადინეობაზე ამოხსნილ იქნას ასეთი ამოცანა: მთამსვლელს მწვერვალზე ასვლა შეუძლია 4 სხვადასხვა გზით. მწვერვალიდან ჩამოსვლა კი-3 სხვადასხვა გზით. რამდენი სხვადასხვა მარშრუტით შეუძლია მთამსვლელს მწვერვალზე ასვლა და უკან დაბრუნება?

ამოხსნის პროცესი მიზანშეწონილია წარიმართოს შემდეგნაირად:

მწვერვალზე ასასვლელი გზების სიმრავლე აღვნიშნოთ $A = \{1, 2, 3, 4\}$, ხოლო უკან დასაბრუნებელი გზების სიმრავლე $B = \{5, 6, 7\}$. შევადგინოთ ყველა შესაძლო წყვილები იმ პირობით, რომ წყვილის პირველი ელემენტი იყოს A სიმრავლიდან, ხოლო მეორე ელემენტი B სიმრავლიდან. ამ ორი სიმრავლიდან შედგენილი წყვილი აღნიშნავს მწვერვალზე ასვლას და უკან დაბრუნებას. მაგალითად, წყვილი $(3, 5)$ ნიშნავს, რომ მთამსვლელი მწვერვალზე ავიდა მე-3 გზით, ხოლო უკან დაბრუნდა მე-5 გზით. წყვილთა განხილვის შემდეგ მოსწავლეები დარწმუნდებიან, რომ მთამსვლელს იმდენნაირად შეუძლია ავიდეს მწვერვალზე და უკან დაბრუნდეს, რამდენი წყვილის შედგენაც შეიძლება ამ ორი სიმრავლისაგან იმ პირობით, რომ წყვილის პირველი ელემენტი იყოს A სიმრავლიდან, ხოლო მეორე ელემენტი B სიმრავლიდან. გამოთქმული წესის გამოყენებით მოსწავლეები მარტივად დაადგენენ, რომ მთამსვლელს მწვერვალზე ასვლა და უკან დაბრუნება შეუძლია $4 \cdot 3 = 12$ სხვადასხვა გზით.

ამ წესის გამოყენებით მოსწავლეებს სწრაფად შეუძლიათ პასუხი გასცენ არა მარტო ამ ამოცანაში დასმულ კითხვას, არამედ ასეთი შინაარსის მქონე ნებისმიერ ამოცანას.

Bakur Bakuradze

Akaki Tsereteli State University, Kutaisi

Tasks with Combined Content in Mathematical School Course in the Primary Grade and the Methodological peculiarities of their Solution

Abstract

The article describes the methodological peculiarities of solving problems with combinatorial content in primary grades. It is established that the combinatorics concepts in primary grades should be considered secretly without having to use the terminology. Learning process should be followed in primary grades not use the words "formation", "pairing", "relocate", etc. At this age, pupils use the incomplete induction method, using a simple combination when solving the task, will set up certain regularities and formulate according to simple rules, then these rules will be used when they perform the exercises. The advantage of such approach was determined by the conducted pedagogical experiment. In the article the study of theoretical issues of combinatorial concept is disseminated and the methodological.

საკვანძო სიტყვები: კომბინატორული შინაარსი, მარტივი კომბინაცია, დაჯგუფება, წყობა, გადანაცვლება

Key words: combinatorial content, simple combination, pairing, formation, relocate

ხარი ქართულ ყოფასა და მწერლობაში

ქართული კულტურა მსოფლიო კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ანტიკურობის გავლენით ქმნიდა საკუთარ წარმართულ რელიგიას, ღმერთების პანთეონს, მაგრამ ქართული მითოსური სამყარო ბერძნულ-რომაულზე მცირერიცხოვანი და მოკრძალებულია. ქართველი კაცის ბუნებამ ადვილად შეითვისა ყველა ის წარმართული ღვთაება, რომელიც სიკეთის ქმნადობასა და მიწათმოქმედებასთან ასოცირდება. უხვმოსავლიანობა და ნაყოფიერება გლეხის კეთილდღეობის საწინდარი გახლდათ, ამიტომ სწორედ იმ ღმერთებს ეთაყვანებოდნენ ყველაზე მეტად, რომლებიც მოსავლიანობის მფარველებად მიიჩნეოდნენ.

„ქართველებისათვის შვილივით ძვირფასი და სალოცავი იყო ხარი, რომელიც არწივსა და ლომთან ერთად მზის სიმბოლოდაც მოიაზრებოდა“ [1,30]

ხარის ის არსებაა, რომელსაც ეკისრება ის მისია, რასაც ბრძენკაცი ვერ კისრულობს. ამის საუკეთესო მაგალითებს იძლევა ეკლესიებსა და სალოცავი ადგილების ანდრეზები, რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული მთელს მსოფლიოში და, კერძოდ, საქართველოს მთასა და ბარში.

თავისუფლად გაშვებული უღელი ხარი მიაგნებს იმ ადგილს, სადაც ხალხმა ეკლესია უნდა ააგოს და ხატი უნდა დაასვენოს (ამგვარად იქნა აღმოჩენილი კალის ზემოთ ლაგურკას ადგილი, სვანეთში), ან დაარსდეს რომელიმე წმინდანის სალოცავი (წმ. მაქსიმეს სალოცავი ლეჩხუმში) პირუტყვის გაუაზრებელი მოქმედება – სვლა გადაწყვეტს ხალხის საგონებელს, რადგან პირუტყვის სვლაში თუ დადგომაში ის ხედავს წმინდანის ნების გამოვლინებას [1,32].

ასევე გამორჩეულია ის შუალებები გზაში, სადაც ყოვნდება, ისვენებს ხარი. ამ მოტივზეა აგებული ლომისის, ხევის სპარსანგელოზის, მარწმის წმინდა გიორგის და სხვა მოტაცებული ხატების უკან დაბრუნების ანდრეზები.

მოტაცებულმა ხატმა გზა უნდა გაიკვლიოს უცხო ქვეყნიდან, მოძებნოს, ხელახლა აღმოაჩინოს თავისი საარსო ადგილი – კვრივი.

იმ შვიდი ათასი კაციდან, რომელიც ხატთან ერთად უნდა დაბრუნებულიყო ტყვეობიდან, არავინ გამოჩნდა, რომ წარმოუძღვეს ხატსა და ხალხს და შეუცდომელი გზით მიიყვანოს თავის ადრინდელ საარსომდე. ანდრეზებში ხატის ტრანსპორტად გამოჩნდება ხარი, რომლის რქებზე უნდა იყოს ხატი დასვენებული. ხარი გზას იკვლევს არა საკუთარი ნებით, არამედ ხატის ნებით. ხატს მოჰყავს უკან ხარი და შვიდი ათასი ტყვე ქართველი.

ანალოგიურია მარწმის წმინდა გიორგის ხატის დაბრუნების ანდრეზიც. ხატი ლეკეთშია დატყვევებული და აზარალებს ხალხს. მოლას ეცხადება ხატი, მოზვრის რქაზე მიმაკარით და ნებაზე გამიშვითო. „მიაკრეს ხატი მოზვრის რქებს და გაუშვეს მოზვერი. მიდის მოზვერი, ხატი გზას უჩვენებს, მივა მარწმეში, თავის ძველ ადგილზე და ერთი ასკილის ძირში დაისვენებს. მარწმელ მღვდელს დაესიხმრება ხატი, რომელიც ეტყვის: მომძებნეთ სადაც მნახავთ, იქ ამიშენეთ ეკლესიაო.

მღვდელი გაგზავნის თუ არა ხატს, მოზვერი იმწამსვე მოკვდება. იმ ადგილას ააშენებენ ეკლესიას და დაასვენებენ წმინდა გიორგის ხატს“ [3,77].

ხარის კულტი ქართულ ფოლკლორში მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია.

შიოლას დას (ბალადა „შიოლა და მთრეხელი“) დიდი საწუხარი ჰქონდა. იგი თითქოს ფიქრში ესაუბრებოდა ძმას: „მიწა დამეყარაო“. შენი მამკლავი შემეფარა და ისიც მამიკლესო“. ამ საწუხარმა ქერეთ რძალს ბევრი რამ შეაძლებინა. ჯერ იყო და, მან სათანადო პატივისცემით გაისტუმრა იმქვეყნად თავის სახლში მოკლული მთრეხელი. ბესარიონ გაბური გვიამბობს. „შიოლას დამ... დაუყენა წინ მკვდარ მთრეხელს ქორა თავისი ხარი, სამთრეხლოს მთამდე მახყვ, მთაზეით დაბრუნდ, უთხრა მთრეხელს: ღმერთმა გაცხონას, მთრეხელო, სტუმარო ჩემს სახლში დახარჯულო! მალე კი ამოვიყრი ჩემ მამულით ჯავრ“. [8,337]

ზემოთ მოტანილ ნაწყვეტში ერთ საინტერესო სიმბოლიკასთან გვაქვს საქმე: შიოლას დამ „ქორა ხარით“ გააცილა მთრეხელი. ქორა ხარი თეთრ ხარს ნიშნავს. ქორა ხარი საკულტო ცხოველია. მას სამლოცველოებთან ჰკლავენ ცოდვების გამოსასყიდად მოსული მთიელები. ქორა ხარის დაკვლით ხდება ერთმანეთთან მოსისხლე ქისტების შერიგება. ქორა ხარს მოიყვანს ლაშარის ჯვარში ფშავლებთან შესარიგებლად მოსული თუში თილისძე, რომელმაც „დასწვა, დასდაგა ხოშარა, ცამდე აუშვა ალია“.

„მაცალეთ ფშავლის შვილებო
მალოცეთ თქვენი ხატია,
სამხვეწროდ მომიყვანავის
თეთრი ქორაი ხარია.

ბაბილონის მეფე და უმაღლესი ქურუმი თეთრ ხარს სწირავდნენ ღმერთ მარდუქს. ნართების ეპოსის ერთ-ერთი გმირის-ურუზმაგის დაღუპული შვილი, რომელიც საიქიოს მუფემ ბარასთირმა დროებით გამოუშვა სამზეოში, მამას ევედრება, თეთრი ხარით გადაუხადოს ქელები, იმ ხარით, რომელიც მან და ურუზმაგმა თექთურქების ქვეყნიდან გამორეკეს სხვა ნადავლთან ერთად. [9...85]

ჩვენ ამ ნაშრომში ამით შემოფარგლებით, რადგან ხარზე მრავალი ნაშრომი და გამოკვლევა შემოგვთავაზეს ჩვენმა მეცნიერ-მკვლევარებმა. ხარის მიმართ არც ჩვენი მწერლები დარჩნენ გულგრილნი და თავინთ შემოქმედებას სხვა ელფერი შესძინეს.

შოთა ნიშნიანიძის პოეზია ნაიალადარი ხარის გამბედაობით შემოიჭრა ქართულ ყოფაში და, მისანი წიქარას მსგავსად ყველა ჩვენგანის თანამდგომი და ერთგული მეგობარი გახდა. მას თავისი პოეტური მრწამსი ღვთაებრივი ინსიგნიებით აღბეჭდილ ქვეყნის მარჩენალ ხართან (წიქარასთან) აქვს ასოცირებული, – წერს პროფ. აპოლონ ცანავა [4,15]

პოეტი აკადემიკოსი გრიგოლ აბაშიძე აღნიშნავდა, რომ შოთა ნიშნიანიძე ერთ-ერთი პირველთაგანია იმათ შორის, „ვინც უკანასკნელ ათწლეულში ქართული პოეზის მოყვარულთ ახალი სიხარული და იმედი მოუტანა“. ასევე ისიცაა მითითებული, რომ შოთა ნიშნიანიძის პოეზიის ერთ-ერთი ასპექტი ქართული მითოლოგიაა. „მის ლექსებში ჭინკები და ოჩოკოჩები, ტყისკაცები და ქონდრისკაცები, დევები და კუდიანები ისევე შინაურად გრძნობენ თავს, როგორც ქართულ ზღაპრებში. მას გასაოცარი ხედვა აქვს და მისი ფანტაზია ხშირად გვაკვირვებს დანახულის მოულოდნელობით, წარმოსახვის უჩვეულობით. პოეტი გვეუბნება:

„გმადლობთ, დევებო, ტყისკაცებო, ქონდრისკაცებო,

ჭინკებო, ქოსატყუილებო, სადაც არსებობთ!
ბავშვობა უკვე გასულია, რად არ მეშვებით
და ზღაპრებიდან ცხოვრებაში რად გამოხვედით?

ქართულ პოეზიაში ხარის კულტის მეტაფორა ისე ძალუმად არავის გამოუყენებია, როგორც ეს შოთა ნიშნიანიძემ გამოიყენა. ხარის ღვთაებრივი ჩამომავლობა, მისი შრომისმოყვარეობა, პატრონისადმი ერთგულება და ზოგჯერ მისანი წიქრასავით თვითშეწირვაც კი პოეტისათვის პოეტური მოღვაწეობის ტოლფერდია:

მე ვარ მისანი ხარი წიქარა,
შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო.
ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე,
რომ გემსახურო და გიერთგულო...
რამდენჯერ ვმდგავარ სამოთხის კართან
ქედგახეხილი, გადატყაული...
ღმერთთან საუბრის და ნიჭის გარდა
არაფერი მაქვს დანაშაულო.
და როცა მიწას მივებარები
ნაჯაფარი და ტანდაკორძილი –
შენზე დამრჩება ისევ თვალები
ანგელოზების ამოკოცნილი.

სხვა ლექსებში უფლისაგან დალოცვილ ხარს, რომელსაც მაღალმა ღმერთმა ადამიანის შენახვა დააწერა რქაზე „ადამიანის შენახვა მე დამაწერა რქაზედა“. შოთა ნიშნიანიძე საკუთარი მოღვაწეობის ეტალონად მიიჩნევს: „ვიყო ხარივით ამტანი, ვიყო ხარივით მომთმენი, ჩემი პატარა ქვეყნისთვის მეც შევძლო ხარისოდენა“. ხარი, როგორც ღვთაებრივი ატრიბუტების მატარებელი (რქები მთავარი ინსიგნაციაა) ქართველთა საფიცარია, მათი ღვთაებაა:

„რიონისპირ ჩავიარე, ჩრდილში იწვა ნიშა ხარი,
ქართველების საფიცარი, როგორც ძველთაძველი ღმერთი,
თვალზე ცრემლი მომერია... ვიდექ სიამაყით მთვრალი,
ასეთივე მყავდა პაპა, გამზრდელიც და წინაპარიც....
ანგელოზნი ეხვეოდნენ, როგორც ამაღლების ფრესკას,
ნაჯაფარ ქედს უკოცნიდნენ და რქებს შემოდგომა ესხა“.

ხარის ერთგულება და დიონისური სიკეთე შ. ნიშნიანიძის პოეზიაში მეტაფორიზმების გარკვეულ სისტემას ქმნის და ერთგვარ მხატვრულ პრინციპადაც გვევლინება:

„ხარო, ნუ იქნები ბედის უმადური –
შუბლზე გახატია მთვარე ურარტული
ხარო, შემოგბედავ ყელზე შემოჭდომას,
რქებით აიტაცე მზე და შემოდგომა.
გასწი ალაზნისკენ, გასწი რიონისკენ,
ვაზის გვირგვინებით მოგვყავს დიონისე,
მოგვყავს დოვლათის და სიხარულის ღმერთი,
დაე, ლხინი იყოს საქართველოს ხვედრი“

ეს დიონისური – მიწისმძიერი სიკეთე, როგორც ცოცხალი არსება, საქართველოს ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში იმ ხარებს შემოჰყავთ, რომლებსაც შუბლზე

ურარტული მთვარე ახატიათ (ნაწილიანი, ღვთაებრივი ინსიგნაციებით აღბეჭდილნი არიან).

დიდმა მწერალმა ნოდარ დუმბაძემ თავის მოთხრობაში „კორიდა“ მთელი მითოსურ-რელიგიური სამყარო გააცოცხლა.

მოთხრობის გმირი – დათო, რომელიც ხუმრობანარევი სევდით გვიამბობს მოგზაურობის დეტალებს, ნანახით თავზარდაცემულია. არენაზე ნანახი თეთრი ხარი დათოსთვის ის ცხოველია, რომელიც ქართველი კაცის სალოცავად იქცა, რომელსაც მან პოეტური სიტყვა მიუძღვნა და, როგორც მარჩენალს ოჯახის კეთილდღეობა დაუკავშირა.

„კორიდა“ ესპანური კულტურის ნაწილია. შესაძლოა, ეს სისხლიანი ტრადიცია მაინცდამაინც არ იზიდვდეს უცხოელ სტუმარს, მაგრამ ქვეყნის ისტორიის გაცნობისათვის ყველა ტრადიცია საინტერესოა.

ნ. დუმბაძემ თავის მოთხრობაში ჩართო რამდენიმე სტროფი შოთა ნიშნიანიძის არაჩვეულებრივი ლექსიდან „ხარი“ და ამით კიდევ უფრო გაამძაფრა თხრობის სტილი.

სამეგრელოში გავრცელებული იყო სპორტული სანახაობა „კურული“. იგი კვირა დღეს იმართებოდა სოფლის მახლობლად – მოედანზე. სპეციალურად მომზადებული და გაწვრთნილ ბუღას აბამდნენ მოედნის ცენტრში დასმულ პალოზე და ორი კაცი იწყებდა მის გამოჯავრებას. ამასთანავე სასტიკად იცავდნენ ბუღასთან მოქცევის წესებს. მას მხოლოდ სხეულს გარკვეულ ნაწილებში წვდებოდნენ. გაღიზიანებულ ბუღას აუშვებდნენ და ერთ-ერთ მეზრდოლთაგანი შეებმებოდა მას. გააფთრებულ ბუღას შემოტევათა მოგერიებასთან ერთად მას უნდა შეებოჭა და წაექცია იგი მიწაზე.“. გ. ჩიტაიას ვარაუდით, „კურული“ უნდა ასახავდეს ხარის მოთვინიერებას, მის გახედნას. იმ თავდადებული ბრძოლის მსგავსად, რომელსაც შუმერების გმირები გილგამეში და ენქიდუ გარეულ ხარებთან აწარმოებდნენ [5,160].

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევათა მიხედვით თეთრი, ანუ წმინდა გიორგი ქართველთა უძველეს რწმენებში გარდა იმისა, რომ მიწათმოქმედ მხვენელ-მთესველთა დამცველი და მათი მფარველი ღვთაებაა, აგრეთვე გაუმჯობესებული სახვნელის – გუთნის გამომგონებლებიც [6, ნკ. II].

ხარების ფალავნობის ქართული ტრადიცია, კავკასორის ფესტივალის ტრადიციის სახით, დღეს მხოლოდ ტაო-კლარჯეთში, ართვინშია შემორჩენილი (ჩვენებურებთან).

„ართვინის მთავარ ქუჩაზე წიქარა ხარს უამრავი ხალხი შემოხვევია. ეს ხარი დღევანდელი დღის მთავარი გმირია, მთელი ქალაქი მის სანახავად გამოფენილა. ისიც თითქოს საერთო ზეიმს აჰყოლია, გულშემატკივრებთან ერთად დინჯად, გონიერი მზერით, ნამდვილი ფალავანი, მოაბიჯებს... ხალხი ყიჟინითა და ზურნა-დაფდაფით ეგებება. სულ მალე წიქარას გარშემო ართვინელები ხორუმის ცეკვას იწყებენ.

ეს უძველესი ქართული ტრადიციია, რომელიც ისტორიული საქართველოს ტერიტორიებიდან მხოლოდ ართვინის ვილაიეთის მთიანეთში შემორჩენილა. ტრადიციას ხარების შერკინება, ანუ როგორი აქაური ჩვენებურები იტყვიან, ხარების დაჭედვა ჰქვია. მამა-პაპათა ამ წეს-ჩვეულების შესახებ ზეიმზე სტამბოლიდან საგანგებოდ ჩამოსული ცნობილი ქართველი მომღერალი ბაიარ შაჰინი გუნდარიძე გვიყვება: „ეს ტრადიცია ტაო-კლარჯეთისკენ ართვინისთვინ ძაან ძველია და მე მგონი რომ ეს წესი საქართველოში უკვე აღარ შემორჩენილა. მაგრამ ეს იმას არ

ნიშნავს, რომ ჩვენ, აქაურმა ქართველებმა ეს ადათი სხვებისგან გადმოვიღეთ. არა! ეს აქ, ქართველებიდან დაწყებული წესია და ამით ჩვენ ძალიან ვამაყოფთ [7,22].

ლიტერატურა:

1. კიკნაძე ზ. ქართული მითოლოგია, თბ., 2016.
2. კაიშაური ლ. მთიულური ტექსტები, თბ., 1978.
3. ხალხური სიბრძნე, ტ. III, ქართული ეპოსი, თბ., 1964.
4. ცანავა აპ. ფოლკლორი და თანამედროვე ქართული მწერლობა, თბ., 1986.
5. ჩიტაია გ., თოხის კულტურა, დასავლეთ საქართველოში (კოლხეთი, 1959).
6. ჯავახიშვილი ივ. საქ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV ნაკ. II.
7. კალანდია გ., 2016. ქართული ხალხური პოეზია, I – სურული ტფ., 1931.
8. ნარტები, ტარგმნა მერი ცხოვრებოვამ, ცხინვალი, 1988

Mariam Bakuridze

International Black Sea University, Tbilisi

Bull (Khari) in the Georgian Life and Literature

Abstract

The Georgian culture represents the important part of world culture which under the influence of antiquity created own pagan religion, a pantheon of gods. However, the Georgian mythological world is smaller and is more modest Greek-Roman. The nature of the Georgian has easily accepted all those pagan gods, which associate with act of good and agriculture. Productivity and fertility were pledge of well-being of peasants, therefore in Georgia most of all worshipped to those deities which were patrons of productivity. The Georgian as own child cherished the Bull (Khari) who along with the Eagle and the Lion was perceived by the Sun symbol.

Keywords: the Bull (Khari), S. Nishnianidze, N. Dumbadze, “Bullfight”, ”Kurulo”.

საკვანძო სიტყვები: ხარი, შ. ნიშნიანიძე, ნ. დუმბაძე, „კორიდა“, „კურული“

Nino Baluashvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Modern Approaches in Literature Teaching

Introduction

Literature has many positive outcomes and some scholars and scientists clearly indicate its importance in foreign language teaching (Banu, 2012; Carter & Long, 1991; Collie & Slater, 1987; Dalmau, Bobkina, Martes, 2012; Khatib & Shakouri, 2013; Kheladi, 2013; Lazar, 1993; Mokhtari, 2014; Nasirahmadi, Madarsara & Aghdam, 2014; Vandrick, 1997). According to Collie and Slater (1987) the following reasons support its integration into FLT and SLT curriculum:

- Valuable authentic material;
- Cultural enrichment;

- Language enrichment;
- Personal involvement.

The scientists also indicate the importance of literature in terms of its significance in developing all four skills, grammar and vocabulary (Banu, 2012). Besides reading skill, according to Durant (1995), literature promotes speaking and critical thinking skills, as it gives us a lot to think and speak. So it should be integrated in the FLT curriculum, but of course, some difficulties must be paid more attention to make a students' fiction reading process easier and smoother.

According to many researchers literature teaching increases readers' motivation (Carter & Long, 1991; Krashen, 1993; Küçükoglu & Arikan, 2011; Vandrick, 1997; Yeasmin, Azad & Ferdoush, 2011), which is considerably related to the teacher's teaching style and approaches. Teaching fiction to students is a very creative process that lets teachers use many creative activities, as well as they can utilize some researchers' advice and implement some teachers' successful practice into their lessons, although there are no clearly shaped instructions in the field (Dalmau, Bobkina, Martes, 2012; Erkaya, 2005).

It is very desirable to take literature teaching approaches into consideration in the process of fiction teaching. Therefore, in the present work we will review some most common approaches briefly.

Common approaches in literature teaching

According to Lazar (1993) there are three following approaches to be used at the literature lesson:

- language-based approach;
- literature as content;
- literature for personal enrichment.

Carter and Long (1991) also suggest us the following approaches of literature teaching:

- cultural approach
- the language based approach
- the personal growth approach

The language based approach means teaching the language through literature texts and it often involves stylistic analysis. According to Lazar (1993), procedures of language based approach are related to the teaching literary texts. The purpose of this particular approach is to provide students with the necessary information and knowledge for text interpretation and critical judgment. However, as Lazar states, some supporters of the same approach think that students are not always ready for detailed stylistic analysis. Brumfit and Carter (1986) are among them, who although do not deny the necessity of the stylistic analysis, consider it insufficient. According to them, it cannot be the only method in the process of literature reading/teaching and utilizing the other language based activities is essential.

Cultural approach means using literature to increase readers' cultural competence, introducing authors' biographies and deepening the social, historical and political knowledge of the epoch reflected in the literary texts. The approach also involves teaching/introducing the literature genres and literary theory (Kheladi, 2013; Lazar 1993).

The personal growth approach is oriented on increasing students' interests and pleasure while reading literary texts. According to Kheladi "When reading a literary text, the students are actively involved with its content. This active interaction will result in creating a more memorable, yet absorbing literary experience" (2013, p. 19). Lazar (1993) thinks that personal growth approach conditions readers to involve emotionally and intellectually, which results in Language acquisition. Teachers' role is especially important in the text selection that will guarantee students' motivation.

However, in literature teaching there is somehow different approach which is a combination of the above mentioned approaches. This teaching approach is called an integrated approach. According to Savvidou (2004), literature teaching makes a teaching process more enjoyable and

stimulating. As kheladi (2013) considers, the integrated approach “seeks to enhance the students’personal development; it enriches their cultural backgrounds and develops their language skills as well” (p. 20).

In the integrated approach text interpretation and analysis are also important, though they are not as analytical as in stylistic analysis. Working on vocabulary and structure, activating prior knowledge and rising cultural awareness, as well as creating an opportunity for students to react and respond to the text is meant under this approach.

Of course, one particular approach is not motivating enough to use in the literature teaching with all kinds of language learners. Also, it doesn’t have the same significant improvement in terms of reading comprehension development among different types of students. Therefore, integrated approach seems to be more promising and result-oriented to be used in the classroom.

Highlights from previous research

Nowadays in the field of foreign language teaching the term “modern” or “contemporary” refers to the teaching methodology which is student-oriented. Nearly nobody thinks that the old-fashioned teacher-oriented method in which students’ interests and desires were not considered was successful. Indeed, their interests, demands, desires should be considered significantly not only when designing literature teaching syllabus, but during the whole course as well.

Necessity of the integrated approach was proved by several studies. According to Al-Mahrooqi (2012) who researched the teaching methodology in literature classes four types of teachers were revealed:

- Type 1 – discussed a lot and offered his/her own text interpretation to students;
- Type 2 – gave many instructions and focused on the vocabulary teaching a lot;
- Type 3 – for him/her text analysis was very important and paid a lot of attention and time to it. Students had a lack of knowledge about the author and the story itself.
- Type 4 – he/she used a combination of different methods. He involved students in the text analysis. Learners also discussed and shared their experience.

The research revealed the students’ positive attitude and motivation in the class of teacher type 4, therefore it is essential to consider the outcomes of this study and implement the integrated approach in the literature teaching. Effectiveness of the same approach was also proved by the study conducted by Yimwilai (2015), in which the experimental groups showed better results in the tests, development of critical analysis and attitude towards literature reading than control group did. This integrated approach consisted of three phases: in the first phase students were assigned to read a literary text at home and given it together with the vocabulary items; in the second phase students were provided with the culturally loaded prior knowledge; The third phase consisted of discussion about the text and doing post reading activities.

Divsar & Tahriri (2009) also recommend us to use the three-phase integrated approach. According to the authors, difficulties of the literary works can be overcome and pedagogical approaches and appropriate instructions need to be paid more attention. The phases in literature teaching are not fixed and some different types of them may be used, or the order of the phases might not be the same. For example, in the work of Akubardia (2015), who also suggests the usage of the three-phase model of text procession, the stages of teaching methodology are as follows: the prior knowledge activation, working on the text and text alteration phases.

Considering students’ interests means selecting the right literary texts appealing to them so that they should turn into active readers and enjoy the pleasure of reading. Numerous researchers point out the importance of selecting the appealing material as it increases students’ motivation a lot (Akubardia, 2015; Bakhtadze, 2015; Collie & Slater, 1987; Lazar, 1993; Lima, 2010; Nuttall, 2000; Vandrick, 1997). Lazar (1993) suggests us to give students a list of 20-30 themes to choose from. The students should select the five themes that are the most appealing to them. The author also recommends us to give opportunities to students to read texts individually that particularly interest

them. Bakhtadze (2015) thinks it is very important to send a questionnaire to students via e-mail to reveal their interests and teachers could design syllabus according to them.

The difficulty of the text should be taken into consideration. Researchers (Akubardia, 2015; Collie & Slater, 1987; Lima, 2010; Nuttall, 2000) warn us that in case of selecting a very difficult material students' motivation falls significantly.

Practical implementation of student-oriented approach and its accompanying activities

Researchers and teacher practitioners also suggest us general or particular activities that might be utilized at the lesson. According to (Mckay, 2001), detailed stylistic analysis reduces the possibility of the students' involvement in the text and pleasure of reading a literary work that might be received without it. She recommends that at first, for the esthetical purpose a text should be read for pleasure. And class activities should include:

- Sharing personal attitude towards literary work
- Activities that cause readers return to the texts and find supporting information for their text interpretation;
- Other tasks that focus on important aspects of the texts (description of the characters, point of view, etc.)

The same author (Mckay, 2001), also suggests particular activities. For characters' description she advises us to use a diagram at the lesson in which students provide the following information:

- what attitude do other characters have towards this particular character;
- This character's words and actions;
- Authors' own description of the character;
- Reader's own opinion about him/her.

While filling the diagram we should ask students to return to the text to support their own interpretation. Besides, to overcome the difficulty of non-chronological order of text events, (Mckay, 2001) suggests charts and diagrams to be used at the lesson that indicates information considering action, time, location, characters and events.

It is also vital that the students should see how the authors' values and views are reflected in the texts. According to Thakarar (2015, p. 416), several activities can and should be used while teaching literature:

- Warm-up activity
- Listening and Comprehension tasks
- Study skills and dictionary work
- Silent reading
- Discussion in the target language
- Expression of personal response
- Stylistic analysis
- Written response and creative writing

Pre-reading activities promote students' interest and increase their motivation. They also have a function of preparing students for text reading, understanding their knowledge of this topic and activating prior knowledge. According to Alyousef (2006), some teachers ignore pre-reading stage and activating prior knowledge due to the lack of time, but it is very important and should be gone through at the lesson.

Yeasmin, Azad & Ferdoush (2011) suggest us many activities that are presented in the table NO 1. These activities include pre-reading stage, while-reading and post-reading ones. They result in student's involvement in the lesson, focusing on the vocabulary, discussion, preparing presentations and foster creative writing.

Table # 1. Suggested Activities
(The table is designed by the author according to Yeasmin, Azad & Ferdoush 2011, p. 289-293)

Guessing from the Title	Relating the events from the story
Visual prompts	Making a story time-line
Key Words	Retelling the story
Listing words	Guessing appropriate words (vocabulary exercise)
Using Total Physical Response	Role play
Story telling with objects	Letter writing
Thematic discussions	Discussion questions
Reading the story aloud	Rewriting a Story
Literary and non-literary texts usage	Making Presentations

Dalmau, Bobkina, Martes (2012) suggest us a literature teaching model, which is based on five purposes and perspectives: a cultural heritage perspective; a language skills perspective; a personal growth perspective; a functional perspective; a critical literacy perspective. Activities are designed according to them and represent the excellent resource for reading comprehension development and stimulating students. The activities are designed by the authors according to Conan Doyle 's story "A Scandal in Bohemia". In the table No 2 one example is provided according to the five perspectives.

Table # 2. Activities in relation to the each perspective
(The table is designed by the author according to Dalmau, Bobkina, Martes, 2012, p. 223-232)

<i>Cultural Heritage Perspective</i>	Finding differences between Sherlock and Watson in terms of obeying social conventions and their personalities.
<i>Language Skills Perspective</i>	Finding words in the text related to the emotions. Then Classifying the words according to the connotation (positive, negative, neutral).
<i>Personal Growth Perspective</i>	Writing a letter to a Victorian woman explaining how women live nowadays and the advantages they have.
<i>Functional Perspective</i>	Creative writing: students imagine that they are journalists and a murder has been committed. Then they write a short newspaper article describing what happened – they follow the five Wh-questions used in journalism (Who, What, Where, When, How).
<i>Critical Literacy Perspective</i>	Reading the rules for domestic servants in Victorian times. Thinking about the relationship between masters and domestic servants in this period. Changing the given rules according to current domestic workers.

As seen from the tables, besides increasing cultural awareness, above mentioned activities promote connecting the fiction with real life and develop critical thinking ability. Khatib and Shakouri, (2013, p. 106) also point out the role of fiction in developing critical thinking, and they suggest us to utilize Socratic questions as they enable readers discover new, complex ideas, get closer to general truth, as well as they can solve a lot of issues and problems.

As I have already mentioned above, difficulties that arise while reading literature have to be overcome. According to the qualitative (phenomenological) research carried out at Telavi State University that gathered valuable in-depth information about while reading processes, some difficulties were revealed that the students encountered: a lot of new vocabulary, word usage in contexts unfamiliar to them, text structure and discourse markers, conditional sentences and passive voice, difficulties in a) understanding author's intentions for writing the text; b) understanding the

writer's artistic style; c) comprehending the parts full of descriptions; d) usage reading strategies effectively (Baluashvili, 2016; 2017). So, these aspects need to be paid more attention in the class.

Modern, student-oriented approaches also mean to concentrate not only on their interests but also on their needs. According to the same research, most of the students did not study vocabulary intentionally. They just looked up them in the dictionary and did not return them for purposeful learning. So, vocabulary exercises are much needed at the lesson as they enable readers pay attention to them and make an acquisition process easier. Or through focusing readers on new vocabulary items they are made to start realizing their importance and study them later. However, excessive attention to vocabulary results in a negative outcome as it reduces students' motivation (Al-Mahrooqi, 2012).

Strategy learning is also very important as according to Baluashvili (2017), "the research also revealed the fact that some strategies turn into anti-strategies due to their ineffective usage that hinder accurate comprehension. Also, development of most students' reading comprehension by independent reading is very slow and purposeful teaching of using strategies effectively is needed" (p. 23). But again and most importantly, teaching methodology needs constant monitoring by teachers and in case of unsuccessful one they have to alter and adjust it to students' interests as their motivation is the most essential drive in language learning.

Responding to texts is an essential aspect of literature teaching. Many students involve in the discussion and happily share their experience connected to the theme of the book they have read. This results in a more stimulating atmosphere and promotes speaking skill. Vandrick (1997) recommends organizing a discussion that enables students speak about their attitude towards some aspects of the material and connect the stories reflected in the text to real life.

Conclusion

Thus, literature needs to be taught through not one particular isolated approach, but with the methodology that combines some aspects of them, namely, through integrated approach. As literature is valuable as the authentic material to be utilized for a language learning purpose, as well as for gaining cultural competence and motivating students to become lifelong readers, those advantages of it should be integrated and taught to students in the most effective way. A list of suggested materials, vocabulary exercises, good but brief instructions about texts structure, some important grammatical aspects, strategy usage and prior knowledge should be provided at the lesson to deal with the difficulties that arise while reading fiction. Discussion must be organized about what authors intend to say. These discussions should include reader's personal response to the text and characters. Paying more attention to important details and some parts that were considered as especially complicated by students are also crucial. Ambiguity, flaws and gaps that arise during the reading process also need to be overcome to achieve successful comprehension.

References

1. Akubardia, E. (2015). Methodology of working on the literary texts in the process of the German language teaching at universities. Doctoral Dissertation. I. Javakhishvili Tbilisi state university. Tbilisi.
2. Al-Mahrooqi, R. (2012). An investigation of literature teaching methodologies at a higher educational institution in Oman. *TESOL Journal*, 6(1), 172-180.
3. Alyousef, H. S. (2006). Teaching reading comprehension to ESL/EFL learners. *Journal of Language and Learning*, 5(1), 63-73.
4. Bakhtadze, I. (2015, May). Methods of teaching English Novel academic course: Raising student's awareness in the main literary movements of the 19th century (on the example of O. Wilde's Picture of Dorian Gray). In N. Doghonadze, E. Pipia, & N. Parjanadze, (Eds.), *The Fifth International Research Conference on Education, English Language Teaching, English Language and Literature in English* (pp. 53-61). Tbilisi, Georgia: International Black Sea University.
5. Baluashvili, N. (2016). Developing reading comprehension through literary texts (*phenomenological study*). Doctoral dissertation. I. Gogebashvili Telavi state university. Telavi.

6. Baluashvili, N. (2017). Developing reading comprehension through literary texts (*phenomenological study*). (Doctoral Dissertation, I. Gogebashvili Telavi state university, 2016). *Dissertation Abstract*. Telavi.
7. Banu, N. M. S. (2012). Learning of Language through Literature. *ELT Voices – India*. 2(5), 61-68. Retrieved October 24, 2016, from http://eltvoices.in/EVI25/EVI_25_4.pdf
8. Brumfit, C. J. & Carter, R. A. (1986). *Literature and language teaching*. (7th ed.). Oxford: Oxford University Press.
9. Carter, R. & Long, M. (1991). *Teaching literature*. London: Longman.
10. Collie, J., & Slater, S. (1987). *Literature in the language classroom: A Resource book of ideas and activities*. Cambridge: CUP.
11. Dalmau, M.F.C., Bobkina, J., Martes, M. P. S. (2012). The Use of literature as an advanced technique for teaching English in the EFL/ESL classroom. *Educación y Futuro*, 27. Pp. 217-236. Retrieved July 4, 2016, from [file:///C:/Users/Levani%20Akhauri/Downloads/Dialnet-TheUseOfLiteratureAsAnAdvancedTechniqueForTeaching-4060948%20\(1\).pdf](file:///C:/Users/Levani%20Akhauri/Downloads/Dialnet-TheUseOfLiteratureAsAnAdvancedTechniqueForTeaching-4060948%20(1).pdf)
12. Divsar, H. & Tahriri, A. (2009). Investigating the effectiveness of an integrated approach to teaching literature in an EFL context. *Journal of Pan-Pacific Association of Applied Linguistics*, 13(2), 105-116. Retrieved October 1, 2016, from http://paal.kr/download/13_2_06_Hoda%20Divsar%20and%20Abdorrezza%20Tahriri.pdf
13. Durant, A. (1995). Introduction to “Language through Literature” approaches to teaching literature in English in L2 contexts. In, M. Linnarud, T. Ronnerstrand, Y. Leffler, & R. Kvillerud (eds.), SPRAK OCH FIKTION. Hogskolan I Karlstad Press. pp.291-311. Retrieved March 12, 2016, from http://eprints.mdx.ac.uk/8189/1/Interactive_methods_%28Language_through_literature%29.pdf
14. Erkaya. O.R. (2005). Benefits of using short stories in the EFL context. *Asian EFL Journal*, 8, 1-13.
15. Khatib, M., & Shakouri, N. (2013). Literature stance in developing critical thinking: A pedagogical look. *International Journal of Research Studies in Language Learning*, 2(4), 101-108.
16. Kheladi, M. (2013). Investigating EFL Learners’ Attitudes towards Literature Teaching Methods: Case of 2nd Year LMD Students at the University of Tlemcen. Dissertation. University of Tlemcen, Algeria.
17. Krashen. S. (1993). *The Power of Reading: Insights from the research*. Englewood: Libraries unlimited, Inc.
18. Küçükoglu, H., & Arikan A. (2011). Prospective English language teachers’ views on literature in their teacher education curriculum and its potential value. *Procedia - Social and Behavioral Sciences*, 15, 1718–1722.
19. Lazar, G. (1993). *Literature and language teaching: A guide for teachers and trainers*. Cambridge: Cambridge University Press.
20. Lima, C. (2010). Selecting literary texts for language learning. *Journal of NELTA*, 15(1-2), 110-113.
21. McKay, S. L. (2001). Literature as content for ESL/EFL. In M. Celce-Murcia (Ed.), *Teaching English as a second or foreign language* (3th Ed) (pp. 319-332). Boston, MA: Heinle & Heinle.
22. Mokhtari, R. (2014). The comparative study of literary vs. non-literary text and Iranian EFL learners’ performance on cloze tests of inference. *Journal of Language Teaching and Research*, 5(1), 163-174.
23. Nasirahmadi, A., Madarsara, F. A., & Aghdam, H. R. (2014). Cultural issues and teaching literature for language learning. *Procedia- Social and Behavioral Sciences*. 98, 1325-1330.
24. Nuttall, C. (2000). *Teaching reading skills in a foreign language*. Hong Kong: Macmillan Heinemann English Language Teaching.
25. Savvidou, C. (2004). An integrated approach to teaching literature in the EFL classroom. *The Internet TESL Journal*, 10(12). Retrieved November 6, 2016, from <http://iteslj.org/Techniques/Savvidou-Literature.html>
26. Thakarakar, G. (2015). Literature in EFL/ESL classroom: A multifaceted practice in ELT. *Research Scholar*, 3(1), 414-421. <http://www.researchscholar.co.in/downloads/70-mr.-gaurav-thakarakar.pdf>
27. Vandrick. S. (1997). Reading and responding to novels in the university ESL classroom. *The Journal of the Imagination in Language Learning*, 4, 104-107.
28. Yeasmin, N., Azad, M. A. K., & Ferdoush, J. (2011). Teaching Language through Literature: Designing appropriate classroom activities. *ASA University Review*, 5(2), 283-297.
29. Yimwilai, S. (2015). An integrated approach to teaching literature in an EFL classroom. *English Language Teaching*, 8(2), 14-21.

თანამედროვე მიდგომები მხატვრული ლიტერატურის სწავლებაში

რეზიუმე

მხატვრული ლიტერატურის სწავლება უცხო ენის შემსწავლელთათვის გარკვეულ სირთულეებთან ასოცირდება, რის გამოც მისი ინტეგრირება სასწავლო პროგრამებში რამდენიმე ათეული წლის წინ საკმაოდ იშვიათად ხორციელდებოდა, მისი სწავლების ფორმები და მეთოდები კი ნაკლებად მიმზიდველი იყო შემსწავლელთათვის. დღეს ამ მხრივ ვითარება მნიშვნელოვნად შეცვლილია, რადგან მეცნიერებსა და პედაგოგებს უკვე გააზრებული აქვთ მხატვრული ლიტერატურის საშუალებით ენისა და კულტურის შესწავლის, ასევე მოტივაციის ზრდის შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრული ლიტერატურის სწავლება ისეთი მასშტაბებით არ მიმდინარეობს, როგორი სარგებლის მოტანაც შეუძლია მას ენის შემსწავლელთათვის, თანამედროვე სწავლებაში მისი დანერგვის ტენდენცია თანდათან იზრდება, ისევე როგორც თანდათანობით უმჯობესდება მისი სწავლების მიდგომები. აღნიშნული სტატია წარმოადგენს სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას, რომელშიც შეჯამებული და წამოწეულია მხატვრული ლიტერატურის სწავლების სტუდენტზე-ორიენტირებული ფორმები და მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: მხატვრული ლიტერატურის სწავლება, უცხო ენის შემსწავლელები, სწავლების მიდგომები, აქტივობები, გააზრებული კითხვა.

Key words: literature teaching, foreign language learners, teaching approaches, activities, reading comprehension.

მაია ბარამიძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

თუმცა' კავშირის ფუნქციისათვის ქართულში

თუმცა' კავშირი სპეციალურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებში ჩათვლილია როგორც მაერთებელ (მაპირისპირებელ), ისე მაქვემდებარებელ კავშირად. ასე, მაგალითად: ლ.კვაჭაძე **თუმცა'** კავშირის მორფოლოგიის კურსში ასახელებს **მაგრამ'**, **ხოლო'**, **კი'** კავშირების გვერდით და წერს: „ეს კავშირები ერთმანეთთან აპირისპირებს ორ ერთგვარ წევრს ან ორ წინადადებას“. მაგალითად მოაქვს: „*თუმცა მწიფეა, მაგრამ უგემური*“. ასევე **თუმცა'** დასახელებულია მაქვემდებარებელთა რიგში, უწოდებს მას დათმობის კავშირს, მაგალითად მოაქვს: „*თუმცა შემოდგომა იყო, მაგრამ მაინც საგრძნობლად ცხელია*“ (კვაჭაძე.1981:323-324). სინტაქსის კურსშიც იგივე თვალსაზრისია გატარებული (კვაჭაძე. 1988:234; 386).

საყურადღებოა, რომ ა.შანიძე „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ (1973), მორფოლოგიაში, როცა კავშირებზე ლაპარაკობს, **თუმცა'** კავშირი მაქვემდებარებელთა რიგშია დასახელებული როგორც დათმობის კავშირი (შანიძე.1973:607). მაპირისპირებლებში იგი არ არის მოხსენიებული, მაგრამ VII-VIII კლასების „ქართული ენის სინტაქსის

სახელმძღვანელოში“ (1976) შერწყმულ წინადადებაზე მსჯელობისას გამოყოფს **თუმცა**’ კავშირიან შერწყმულს, აქ იგი მაპირისპირებელად არის ჩათვლილი: „ეს ბიჭი დიდია, **თუმცა** უღონო“ (გვ.59); „**ვანო** ნიჭიერია, **თუმცა** ზარმაცი“ (იქვე).

ე.ი. ა.შანიძეც საბოლოოდ **თუმცა**’ კავშირს თვლის მაპირისპირებელად და დათმობის მაქვემდებარებელ კავშირად.

ასევე ანტ.კიზირია „ქართული ენის პრაქტიკუმში“ (1984) მაპირისპირებელთა რიგში არ ასახელებს ამ კავშირს, თვლის მას მხოლოდ მაქვემდებარებელად (დათმობის კავშირად). სინტაქსის კურსში კი **თუმცა**’ უკვე ჩათვლილია როგორც მაპირისპირებელად (შერწყმულ წინადადებაში ერთგვაროვანი წევრების დასაპირისპირებლად), ასევე მაქვემდებარებელად (მთავარი და დათმობითი დამოკიდებული წინადადებების დასაკავშირებლად): *კეთილი იყო გარსევანი, თუმცა ხელმაგარი, ჯიქი (კიზირია.1984:209); თუმცა ასეთი იყო გიორგი, მაგრამ თავისის დედის ყურმოჭრილი ყმა იყო თითქმის“ (კიზირია.1984:247)...*

შ. ძიმიგურის მონოგრაფიაში „კავშირები ქართულ ენაში“ (1969) **თუმცა**’ კავშირი მაპირისპირებელთა რიგში არაა დასახელებული (ძიმიგური.1969:46). იგი მაქვემდებარებელი პირობითი (პირობითობა **მცა**’ ნაწილაკით არის გამოხატული) და დათმობითი კავშირია, დათმობითის მნიშვნელობით შ. ძიმიგური ხმარობს „გამორიცხვით“.

საინტერესოა, რომ შ.კეკელიასა და აკ. დავითიანის ავტორობით გამოსულ „ქართული ენის სახელმძღვანელოში“ (1981), **თუმცა**’ ცალკე, დამოუკიდებელ კავშირად არც არის ჩათვლილი, იგი მიაჩნიათ **თუ**’ კავშირის ვარიანტად (კეკელია...1981:236).

თუმცა’ ძველ ქართულ ენაში საკმაოდ გავრცელებული კავშირია, მაგრამ მნიშვნელობა თანამედროვე ქართულისაგან განსხვავებულია. მისი მნიშვნელობაა „**რომ**“, აქ ხელშესახებია **მცა**’ ნაწილაკის ცნობილი ფუნქცია ძველ ქართულში: კავშირებითი მნიშვნელობას ანიჭებდა ფორმას. რამდენიმე მაგალითი: *უფალო, აქა თუმცა იყავ, ძმა ჩემი არამცა მოკუდა ი. 11.21; ესე თუმცა იყო წინაწარმეტყუელი, უწყოდამცა* (ეს რომ წინასწარმეტყუელი ყოფილიყო, ეცოდინებოდა). მაგალითები მოგვსთავს ფ. ერთელიშვილის წიგნიდან „**რთული** წინადადების ისტორიისათვის ქართულში“ (ერთელიშვილი.1963: 106-107).

ანტ. კიზირია: *ესელა თუმცა მეცნა, არამცა შემოგიტევე შენ (შ.წ.).*

თუ’ კავშირის სახესხვაობაა უკუეთუ+თუ’, უკუეთუ+მცა’, ლა+თუ’, და+ლათუ’, დალათუ+მცა’, დალაცათუ’, რამეთუ’...

უკუეთუმცა’ და **თუმცა**’ ერთმანეთის ზადალია. ოთხთავის რედაქციებში ისინი ენაცვლებიან ერთმანეთს: *უფალო, აქა თუმცა იყავ, ძმა იგი ჩემი არამცა მოკუდა C ი.11,21; უფალო, უკუეთუმცა აქა იყავ, არამცა მომკუდარ იყო ძმა იგი ჩემი DE ი.11,21.*

ამ მონაცვლეობაზე ყურადღებას ამახვილებს ანტ. კიზირია (კიზირია.1969: 152-153), მოაქვს მაგალითები ოთხთავის რედაქციებიდან: *DE: უკუეთუმცა ვიყვენით დღეთა მათ მამათა ჩუენთასა, არამცა ვიყვენით მათ თანაზიარ სისხლსა მას წინაწარმეტყუელთასა მ.23,30; C: ვიყვენით თუმცა ჩუენ დღეთა მათ მამათა ჩუენთასა, არამცა ზიარ ვიყვენით მათ თანა სისხლსა მას წინაწარმეტყუელთასა.*

პირობით კავშირად არის ჩათვლილი **თუცა**’, **თუმცა**’ (აგრეთვე **უკუეთუ**’, **უკუეთუმცა**’) შ.ძიმიგურთან ძველი ქართულისათვის (და საშუალ ქართულშიც). იმავე მაგალითებს ასახელებს, რასაც ანტ. კიზირია, გარდა ამათ: *ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსქენისთა (შ. 9. III. 23); ნუ იყოფინ, თუმცა ჩემ ძლით რა შეჰმთხუოდა ძმასა ამას (ზარზმ. 171,1); არასადა მომეც თიკანი ერთი თხათადა, თუმცა მეგობართა ჩემთა თანა ვახარე (ბოლნ. 42,13).*

ე.წ. საშუალო ქართულშიც ასეთივე აქვს ამ კავშირს: *თუმცა ესე არა ჰქმნა, აწე ომი არს შენი და ჩვენიო* (ამირან. II, 52, 4).

თუმცა’ს დღევანდელი მნიშვნელობის ეკვივალენტი ძველში იყო **დაღაცათუ**, **დაღათუ**: *დაღაცათუ ბოროტთა გუემთა შინა იყო, ხოლო გონებად მისი ცოცხლად ეგო; დაღათუ რაოდენვე უსუსურ ხარ, გარნა გრწმენინ იგი* (მიძიგური.1969:128). *ხოლო იგი დაღაცათუ ჯორციტა არა იყო მათ თანა, არამედ სულთა მათ თანა ვიდოდა და ხედვიდა* (მიძიგური.1969:132).

როცა **თუმცა**’ კავშირი წინადადებების შესაერთებლად გვხვდება, მას ჩვეულებრივ ყველა ავტორი თვლის მაქვემდებარებელ კავშირად, რომელსაც დათმობის გამოხატვის ფუნქცია აკისრია. ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ამ ტიპის წინადადება ასეა განმარტებული: „დათმობითი დამოკიდებული წინადადება, რომლის მიხედვითაც არ არის მოსალოდნელი ის, რაზედაც მთავარ წინადადებაშია ლაპარაკი.

მაგალითად: *მზეს თუმცა უხვად მოეფინა დედამიწაზე თავისი სხივები, მაგრამ ჯერ კიდევ გრილოდა*. ამ მაგალითს ახლავს ასეთი განმარტება: თუ „მზეს უხვად მოეფინა დედამიწაზე თავისი სხივები“, არ არის მოსალოდნელი, რომ „ჯერ კიდევ გრილოდეს“. მთავარი წინადადების შინაარსი უპირისპირდება და უგულებელყოფს იმას, რაც დამოკიდებულ წინადადებაშია ნათქვამი (კვაჭაძე.1988:386).

ა. შანიძე წერს: დათმობითი დამოკიდებული წინადადება ისეთ რამეზე მიგვითითებს, რის მიხედვითაც მთავარ წინადადებაში გადმოცემული ამბავი საერთოდ მოსალოდნელი არ არის, მაგრამ აღებულ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია: *მგელი თუმცა დაჭრილი იყო, მაგრამ მაინც ჩქარა გარბოდა* (შანიძე.1973:110). „ამ რთული წინადადების აზრი ის არის, რომ დაჭრილ მგელს ჩქარა რბენა საზოგადოდ არ შეუძლია, მაგრამ მგელი, რომელზეც საუბარია, დაჭრილი იყო და მაინც ჩქარა გარბოდა“.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ასეთი განმარტებაა: დათმობითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს ისეთ მოვლენას, რომლის განხორციელება მთავარი წინადადების მიხედვით არ არის მოსალოდნელი, მაგრამ მაინც სრულდება“.

შ. მიძიგური ამ ტერმინს - დათმობით არ თვლის მისაღებად, როგორც ისეთს, რომელიც საკმარისად ზუსტი არ არის, ძნელი ასახსნელია და რომლის საფუძველიც ლიტერატურაში არ არის დასაბუთებული და გარკვეული (მიძიგური.1969:128).

შ.მიძიგური ასახელებს მაგალითს: *თუმცა ავად ვარ, მაგრამ მაინც მივდივარ სანადიროდ* - აქ, მისი აზრით, დათმობა კი არ არის, არამედ გამორიცხვაც: მთავარი წინადადების შინაარსი სრულდება იმისდამიუხედავად, თუ რა არის გამოთქმული დამოკიდებული წინადადებით. სხვანაირად რომ ვთქვათ: „მთავარი წინადადება“ გამორიცხავს „პირობას“, რომელიც მოცემულია მასთან დაკავშირებულ წინადადებაში. გამორიცხულობაა ამ ტიპის წინადადების სემანტიკური ბუნება (მიძიგური.1969:128).

ყველა მკვლევარი აღიარებს, რომ „დათმობითის წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება უახლოვდება მაპირისპირებელ კავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელში არ არის გამოხატული პირობა და მაპირისპირება უფრო მკვეთრად არის გამოხატული, თანაც რთულში შემავალი წინადადებები ერთმანეთის მიმართ უფრო თანასწორია. შედარებულია ორი მაგალითი: *დაუშაღეს, მაგრამ არ დაიშალა; თუმცა დაუშაღეს, მაგრამ მაინც არ დაიშალა* (კვაჭაძე.1988:387).

როგორც ვხედავთ, განსხვავებას სტრუქტურაში აქ ქმნის **თუმცა'** კავშირი. პირველში ის არ არის, მეორეში - არის. მთავარი მნიშვნელობა ამ მსგავსების თვალსაზრისით აქ ენიჭება **მაგრამ'** მაპირისპირებელ კავშირს.

ჩვენი მხრივ გვინდა დავუმატოთ, რომ სწორედ ამავე მიზეზით ასეთი წინადადების შემცველი რთული წინადადება ემსგავსება არა მარტო თანწყობილს, არამედ შერწყმულსაც, რატომღაც ამ საკითხზე მსჯელობისას ყურადღება ამ ფაქტზე არ მახვილდება. ერთგან შეცდომაც კი არის გაპარული, მაგალითად: *თუმცა მამას გული მოუვიდა, მაგრამ სიცილის გამო გაჯავრება ვერ მოახერხა*. ასეთი მაგალითია თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში; და მართლაც აქ ორი წინადადებაა, მაგრამ მეორე წინადადება, თანწყობილს კი არ უახლოვდება, არამედ შერწყმულს: *ქალი თუმცა დაიღალა, მაგრამ ბერსაჭირის გასავალს მაინც მშვიდობიანად მიაღწია*.

ავტორი თვლის, რომ ეს ორივე წინადადება რთულ თანწყობილ წინადადებებს ემსგავსება, მაშინ როცა მეორე შერწყმულია.

ე.წ. დათმობითი ანუ მისი ტერმინით - გამორიცხვითი წინადადებების შემცველ რთულ წინადადებაზე ვრცლად მსჯელობს შ.მიძიგური, იმოწმებს სხვა ავტორთა შეხედულებებსაც, რომელთა მიხედვით, ამგვარი ტიპის კონსტრუქცია სტრუქტურულად ეთიშება ქვეწყობის ჩვეულებრივს კონსტრუქციას და თანწყობას ეკედლება. შ.მიძიგური მიზანშეწონილად არ თვლის, ამ ტიპის კონსტრუქცია პარატაქსულად ჩათვალოს. აქ, მისი აზრით, ტიპობრივი პარატაქსი არ გვაქვს. უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია პეშკოვსკის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ასეთი წინადადება პარატაქსულ-ჰიპოტაქსურია. შ.მიძიგური უფრო აზუსტებს, აკონკრეტებს ამ აზრს: ასეთი წინადადება ჰიპოტაქსურია ლოგიკურად, პარატაქსულია სტრუქტურულად (მიძიგური.1969:130).

ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე, რომელიც, ჩვენი აზრით, განაპირობებს სწორედ ამ წინადადების სტრუქტურას. როგორც დავინახეთ, ე.წ. დათმობითის შემცველი წინადადების სტრუქტურას სადავოდ ხდის ის გარემოება, რომ მასში არის მაპირისპირებელი კავშირი. შ. მიძიგური: „წინადადებათა ჰიპოტაქსური კომპლექსი არსებითად გამორიცხავს მთავარ წინადადებაში კავშირს (ამ შემთხვევაში - მაპირისპირებელ კავშირს). აქ კი სხვაგვარი გარემოება გვაქვს: ორსავე მარტივ წინადადებაში კავშირია მოცემული: ერთში გამორიცხვითი (ანუ დათმობითი) და მეორეში - მაპირისპირებელი (მიძიგური.1969:129). ლ. კვაჭაძე: ამ ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადება ემსგავსება მაპირისპირებელ კავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებას.

ამ ტიპის წინადადებებთან დაკავშირებით დაისმის სწორედ **თუმცა'** კავშირის მნიშვნელობის, სემანტიკის საკითხი. ეს კავშირი აქ მხოლოდ და მხოლოდ მაპირისპირებლის მნიშვნელობით არის ნახმარი. ამიტომ არის შესაძლებელი მათი მონაცვლეობა. როცა **მაგრამ'** გვაქვს, მაშინ შეიძლება **თუმცა'** არ იყოს, შინაარსი კი იგივე იქნება.

ჩვენ ამოვიწერეთ ქართული ენის სახელმძღვანელოებიდან (ა.შანიძე, ლ.კვაჭაძე, ანტ.კიზირია, ალ.ღლონტი) წინადადებები, რომლებშიც მაპირისპირებელი **მაგრამ'** არის, **თუმცა'** კი - არა: იგი უმტკივნეულოდ შეიძლება დავუმატოთ ისე, რომ წინადადების აზრი არ შეიცვალოს, ეს ის წინადადებებია, რომლებიც მოტანილია შერწყმულისა და რთული თანწყობილის ნიმუშებად. დავიმოწმებთ ზოგიერთს.

შერწყმული: *ღრუბლიანი, მაგრამ წყნარი დღე იყო; ხობები ყურს უგდებდნენ, მაგრამ არ ელაპარაკებოდნენ; კაცმა ხანჯლის ტარს გაივლო ხელი, მაგრამ ისევ თავი შეიკავა; უმთვარო, მაგრამ ნათელი ღამე იყო; მყინვარი! დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია*

და თეთრი; ბევრი ეწვალა, მაგრამ კაცის ქვემოდან ვერ გამოძვრა; გაიღვიძა, მაგრამ ცხენები ვერც ახლა დაინახა; ბევრჯერ წასწრებია ვანო ასეთ ამბავს, მაგრამ არასოდეს ჩაჰფიქრებია; ძალიან დააკვირდა გულასპირი, მაგრამ ის მეორე ბიჭი ვერ იცნო; დაღლილი ვიყავ, მაგრამ მამიდაჩემის სკივრი გადავქექე; ბოცომ შვილდი მეორედ მოლუნა, მოსდო საცერე და სტყორცნა, მაგრამ ააცდინა; ჩემს ნათქვამს გაგებით გაიგებთ, მაგრამ გრძნობით ჯერ ვერ იგრძნობთ; მიტაცებენ ეს ლამაზი პარიზელები, მაგრამ მაშინებენ; გეზი არ აუღია, მაგრამ რატომღაც მტკვრისაკენ კი წავიდა; ამ ცრელის გადაყლაპვას ცდილობდა, მაგრამ ვერ შეძლო; არე-მარეს თვალი მიმოავლეს, მაგრამ ჰაშიმბაის გარდა ვერავინ შენიშნეს; გამოლაპარაკება დააპირა, მაგრამ ისევ დუმილი არჩია; შემდეგ დღეებში ყოველ მოცლილ დროს ქალაქში დაეხეტებოდა იოკიმე, მაგრამ სურანას ველარსად ხვდებოდა; ერასტი სამუშაოს ძებნას შეუდგა, მაგრამ ვერსად ვერაფერს მიაგნო; რამდენიმე თვის ჩამოსული იყო ელენე სოფლიდან, მაგრამ ჯერ არსად გამოდიოდა; მე ჯერ ვმალავდი, მაგრამ ბოლოს ყველაფერი გულახდილად ვუამბე; ძლიერ გულკეთილი ქალი იყო ელიკო, მაგრამ ამაყი.

რთული თანწყობილი: ირაკლის სიფიცხლე იპყრობდა, მაგრამ თავს იკავებდა; ბევრი უშაღეს, მაგრამ არ დაიშალა და წავიდა; მეურმეები აიშალნენ, მაგრამ ჩვენმა პეტრემ თავისი სტუმრები თავის ადგილას ველარ ნახა; ხან ეკალი ედება, ხან მაყვალი სწევს უკან, მაგრამ გოგონა მაინც მისდევს ციკანს; ამგვარი რამ ბევრი უთხრეს, მაგრამ გამგონე სად იყო? ყველას გვეცინებოდა, მაგრამ ვინ გაბედავდა სიცილს უფროსთან; ფრთოსნებში ყველაზე თვალწარმტაცი ხოხობი იყო, მაგრამ მას კეკლუცობაში არც კაკაბი ჩამოუვარდებოდა; ნათელი და თბილი დღეები ზამთარშიც გამოვარდება ხოლმე, მაგრამ ის გაზაფხული არ არის; დღე იყო, მაგრამ მზე გამქრალიყო; შენ გინდა ის ქალი დაივიწყო, მაგრამ მე არ დაგავიწყებ; ეწყინა მეუღლის სიტყვა ლევანს, მაგრამ მაინც თავი შეიმაგრა.

იმ რთულ წინადადებებში, რომლებიც ქვეწყობილად არის ჩათვლილი, ხოლო მათი დამოკიდებული - დათმობითად, ხშირად **თუმცა** არის, **მაგრამ** არ არის:

მის აწ გაქვავებულ სახეს არავითარი ღელვა არ ეტყობოდა, თუმცა მის გულში ორი მძლავრი გრძნობა ებრძოდა ერთმანეთს; თუმცა მისი დადგა, მათს ბაღში ერთი მწვანე ბალახიც არ მოჩანდა; ეს პირველი იყო მისგან რკინიგზის მატარებლის ახლოს ნახვა, თუმცა მისი სტვენისა და შორიდან მისი ვეშაპისნაირი სრიალისათვის რკინის ზოლებზე ხშირად ეყურებინა; გული რაღაც სევდით ევსებოდა ამის გაგონებაზე, თუმცა დაჯერებამდის მეტად შორს იყო; მე თაიგული მივუტანე დედის აკლდამას, თუმცა სიუხვე ვარდ-ყვავილთა როდი აკლდა მას.

შეიძლება ვთქვათ, რომ **თუმცა** მნიშვნელობით იგივეა, რაც **მაგრამ**. ორივე ამ კავშირთან შეიძლება იყოს **მაინც**: ეს ბიჭი დიდია, თუმცა უღონო; ვანო ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი : ორივე ამ კავშირთან შეიძლება იყოს **მაინც**.

ბიჭმა სიმდიდრე კი შეიძინა, მაგრამ ტყეში შეშის მოსაჭრელად **მაინც** დადიოდა; თევდორემ მორცხვად გაიღიმა, მაგრამ ხმის ამოღება **მაინც** ვერ მოახერხა; ზურია წამოდგა, მაგრამ მოხუცის ჩალილაგებული თვალისათვის თვალი **მაინც** არ მოუშორებია.

ასევეა: თუმცა მივარდნილ კლდეებში ბრწყინავს ოქრო, **მაინც** ათასობით მოიკლავენ თავს მის სამეზნელად; თუმცა გარეთ კარგი დარი იდგა, ოთახი **მაინც** გაეთბოთ. თუმცა დადიანის პატრიოტული სიტყვები დიდად მოეწონა, წინდახედული ერისთავი **მაინც** ვერ ენდო ახლად გაცნობილს.

ტრადიციულად სპეციალური ლიტერატურის მიხედვით **თუმცა** მიჩნეულია დათმობითი დამოკიდებულის შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების კავშირად. თუ ასეთ

წინადადებას **თუმცა** კავშირს მოვაცილებთ, მათი სტრუქტურა შეიცვლება - ისინი გადაიქცევიან რთულ თანწყობილ ან შერწყმულ წინადადებად.

ასე მაგალითად: ქართული ენის სინტაქსის სახელმძღვანელოში **დათმობითი დამოკიდებულის** შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებად დასახელებულია: *თუმცა მამას გული მოუვიდა, მაგრამ სიცილის გამო გაჯავრება ვერ მოახერხა; თუმცა ნატო მთელი თავისი არსებით მიილტვოდა თეატრისაკენ, მაგრამ მაინც დაიგვიანა; თუმცა წინა ღამით თოვლი მოვიდა, მაგრამ ამ დილას კი ცა მოიწმინდა...*

თუმცა კავშირის გარეშე გვექნება: **რთული თანწყობილი:** *მამას გული მოუვიდა, მაგრამ სიცილის გამო გაჯავრება მოახერხა; წინა ღამით თოვლი მოვიდა, მაგრამ ამ დილას კი ცა მოიწმინდა.* **შერწყმული:** *ნატო მთელი თავისი არსებით მიილტვოდა თეატრისაკენ, მაგრამ მაინც დაიგვიანა.*

ხდება პირიქითაც - **თუმცა** კავშირის დამატებით რთული თანწყობილი და შერწყმული წინადადებები იქცევა დათმობითის შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებად. სახელმძღვანელოებში რთული თანწყობილი და შერწყმული წინადადებების ნიმუშებად მოხმობილია: **რთული თანწყობილი:** *ჩაი პირს უთუთქავდა მირზას, მაგრამ შეუსვენებლივ სვამდა; ეწყინა მეუღლის სიტყვა ლევანს, მაგრამ მაინც თავი შეიმაგრა.* **შერწყმული:** *მიტაცებენ ეს ღამაში პარიზელები, მაგრამ მაშინებენ; ხოხბები ყურს უგდებდნენ, მაგრამ არ ელაპარაკებოდნენ.*

თუმცა კავშირის დამატებით: *თუმცა ჩაი პირს უთუთქავდა მირზას, მაგრამ შეუსვენებლივ სვამდა; თუმცა ეწყინა მეუღლის სიტყვა ლევანს, მაგრამ მაინც თავი შეიმაგრა.* **შერწყმული:** *თუმცა მიტაცებენ ეს ღამაში პარიზელები, მაგრამ მაშინებენ; თუმცა ხოხბები ყურს უგდებდნენ, მაგრამ არ ელაპარაკებოდნენ.*

როგორც ვხედავთ, **თუმცა** კავშირი განსაზღვრავს ამ ტიპის წინადადებათა სტრუქტურას.

ბიბლიოგრაფია

1. ერთელიშვილი ფ. (1963): რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში. თბილისი.
2. კეკელია შ., დავითიანი აკ. (1981): ქართული ენის სახელმძღვანელო. თბილისი.
3. კვაჭაძე ლ. (1981): ქართული ენა. ნაწილი. I. თბილისი.
4. კვაჭაძე ლ. (1988): თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი.
5. კიზირია ანტ. (1984): ქართული ენის პრაქტიკუმი. თბილისი.
6. კიზირია ანტ. 1969: რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში. თბილისი.
7. შანიძე ა. (1973): ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი.
8. შანიძე ა. (1976): VII-VIII კლასების ქართული ენის სინტაქსის სახელმძღვანელო. თბილისი.
9. ძიძიგური შ. (1969): კავშირები ქართულ ენაში. თბილისი.

Maia Baramidze

Shota Rustaveli State University, Batumi

About the Conjunction – *t'umca* (Although) in Georgian

Abstract

The present paper deals with the different views on the conjunction - although (A. Shanidze; Sh. Dzidziguri; L. Kvachadze; A. Kiziria; A. Davitiani...). Some examples containing these conjunctions are analyzed in the paper; it is highlighted that **although** is equalized with **but** with its semantics (expressing opposition).

Traditionally, a sentence with the conjunction – although – is considered to be a complex sentence, its subordinate clause is called a concessive clause.

Similar sentences are very close to compound sentences (as it is given in the scientific literature) and, in our opinion, to sentences with multiple parts.

საკვანძო სიტყვები: სინტაქსი, თუმცა' კავშირი, მაგრამ' კავშირი, რთული თანწყობილი წინადადება, შერწყმული წინადადება, დათმობითი წინადადება.

Key words: syntax; conjunction – although; conjunction – but; a compound sentence; a sentence with multiple parts; a concessive clause.

დალი ბახტაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

ქართული ენის ზოგიერთი ტიპოლოგიური მახასიათებლების საკითხისათვის ინდოევროპულ ენებთან მიმართებაში

1. შესავალი. ენის ფსიქოლოგია „ეთნოსის/ხალხის ენის თეორია“ (ჯ. ლაკოფი), მასში დევს ხალხის ისტორია, მეხსიერება (ი.მ. ლოტმანი). აღქმა-აზროვნებითი და ენობრივი ურთიერთკავშირი განაპირობებს იმას, რომ ენა, შესაბამისად, ხალხის მეხსიერება, უდიდეს ლინგვისტურ ინფორმაციას ინახავს, რომელიც უნივერსალურიც არის და თვითმყოფადიც. ჩვენი ნაშრომის მიზანია, მოახდინოს სინქრონული და ისტორიული ლინგვისტური ანალიზი ორი შეპირისპირებული ენის – გერმანულისა და ქართულის ბაზაზე. ამის მიზეზი ის არის, რომ ყოველ ენაში ათასწლეულების განმავლობაში შემუშავებული მასალა ინდივიდუალურია, მისთვის დამახასიათებელი ლექსიკითა და სინტაქსური წყობით, სახიერებასა და ანალოგიებზე დაფუძნებული ფრაზეოლოგიით, რიტორიკით, შაბლონებითა და ა.შ. ისტორიული კონტექსტი ის სიცოცხლე და ცხოველმყოფელობაა, რომელიც ენამ საუკუნეებს გადმოატარა, დროს გაუძლო და ენას შემოქმედებითი, დინამიკური სიძლიერე შეუნარჩუნა, ხოლო მის ფორმებსა და სტრუქტურებში გარდასული ეპოქები დაილექა, კრისტალიზაცია განიცადა. ენის ლექსიკურ მარაგში, გრამატიკულ წყობაში დროთა განმავლობაში მიმდინარე ცვლილებების ისტორიულ-სოციოლოგიური ანალიზი ენათმეცნიერებაში დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ხალხის/ეთნოსის სურვილები, რელიგიური, ყოფითი, ხელოვნებისეული, სოციალური, ეკონომიკური თვალსაზრისები, პოზიციები და ა.შ. ემატებიან გარესამყაროს აღქმის, გამოყენების სფეროს და ქმნიან ე.წ. „ადამიანის სამყაროს“. ეს სამყარო აისახება ენაში.

საინტერესოა „ადამიანის (ეს) სამყარო“ საუკუნეთა მანძილზე ენობრივად როგორ არის წარმოდგენილი? ცხადია, ზოგი შიდაენობრივი მიზეზებითაა განპირობებული, სხვანი – ნასესხობებით (მარტო ფორმით, ან ფორმითა და შინაარსით სესხება), ანაც შეივსება სამყაროს თუ გარესამყაროს იმ ელემენტებით, სურათ-ხატებით, შედარებებითა თუ მეტაფორებით, რომლებთანაც ადამიანს განსაკუთრებით მჭიდრო შეხება აქვს. ზოგიერთი ენა ამ თავის საუნჯეს საუკუნეების განმავლობაში ინახავს, ინარჩუნებს, მასში დავანებულია ეთნოსის მთელი სულიერება. მაგრამ ეს როდი ნიშნავს ენის უძრაობას, სტატიკას, ამ საუკუნეების განმავლობაში ენა ცოცხლობს, ვითარდება, იცვლება, ფართოვდება, მყარად და ძარღვიანად არსებობს: ხდება სიტყვათა მნიშვნელობების, გრამატიკული და ფონეტიკური სტრუქტურების, ანუ ენის მოცემული სისტემის ცვლილება – გარდასახვა – გადატანა, სხვათა უცვლელი შენარჩუნება და ა.შ. ცვალებადობის ასეთ პროცესს ყველა ენა ვერ უძლებს, ხდება ლექსიკური და გრამატიკული წყობის ძირეული შეცვლა და ძნელად მყარდება კავშირი ენის განვლილ ისტორიულ საფეხურებსა და თანამედროვე მდგომარეობას შორის.

2. წარსულთან აწმყოს კავშირის იდენტიფიკაცია. ენის ევოლუციის ინტერდისციპლინარული ანალიზი.

ა) გერმანულ ენაზე – Deutsch-ზე (იმავე Teutonisch-ზე) მოლაპარაკე ხალხები გერმანიკული ტომების (Germanen) მემკვიდრეებად სახელდებიან, თუმცა ჯერჯერობით საგვარეულო და ენობრივი იდენტიფიკაციის უტყუარი დასაბუთება ვერ მოხერხდა. დადასტურებულია, რომ უძველესი ფუძე teuta ინდოგერმანიკული წარმოშობისაა და „დასახლებულ ერთობას/ერთიანობას“ (Siedlungsgemeinschaft) წარმოადგენს. ლათინური ფორმა thiuta იმ ხალხის სახელწოდებაა, რომელიც ლათინურ ენაზე არ ლაპარაკობდა. ეს ენობრივი სხვაობა წერილობითაც დადასტურებულია: 786წ. კარლოს დიდის კაპლანის ანგარიში პაპის ჰადრიანისადმი (Papst Hadrian) ინგლისის სინოდის შესახებ ორენოვანია – ლათინური და გერმანული (romana und theudisce). ასევე 842 წლის წერილობითი ძეგლი „სტრასბურგის ფიცი“ („Straßburger Eide“) შესრულებულია ლათინურ და გერმანულ (deutsch) ენებზე: in Romana lingua und in Teudisca lingue (Demandt 2007: 19). ეს thiudisca lingua/zunga გერმანული ენის (Deutsch-ის) ადრეული ნიმუშია. მიუხედავად გერმანიკულ ტომთა ნათესაობასა და ერთიან წარმომავლობაზე დღემდე არსებულ აზრთა სხვადასხვაობისა, იაკობ გრიმმა (Jacob Grimm 1785-1813) და ფრანკ ბოპმა (Franz Bopp 1791-1867) შეიმუშავეს ინდოგერმანიკული ფუძეენის მეცნიერული თეორია, დაადგინეს გერმანიკული ენების (Germanisch) ნათესაობა კელტურთან, ლათინურთან, ბერძნულთან; დამთხვევები სანსკრიტთან ინდოეთში, ევროპაში ინგლისურთან, ამავე ჯგუფში გააერთიანეს სლავური და ირანული ენები და განაცხადეს, რომ ინდოგერმანიკულ ტომები ჩინეთის საზღვრებიდან ატლანტის ოკეანემდე სახლობდნენ. ევროპაში კი ინდოგერმანიკული ენების წინარე და გადარჩენილ ენებად მოიხსენიებიან ბასკებისა და კავკასიაში რამდენიმე ტომის გადარჩენილი ენები. ფინელები, უნგრელები და თურქები ევროპაში შუასაუკუნეებში მოსული ხალხებია. 1820 წელს იაკობ გრიმმა გერმანიკულ ენათა ნათესაობა დაამტკიცა ე.წ. „ბგერათა პირველი, ანუ გერმანიკული გადაწევით“, რომელიც ენათმეცნიერებაში „გრიმის კანონითაა“ ცნობილი. ამით მან ენა აქცია იდენტიფიკაციის კრიტერიუმად (Demandt 2007: 18, 19, 42). მართალია, გერმანელთა (Deutsche) იდენტურობის საკითხი დიდი ხნის განმავლობაში სადავო რჩებოდა, გვიან შუასაუკუნეებამდეც კი სიტყვა Deutsch მწიგნობართა (მკითხველ-მწერალთა) მიერ გამოიყენებოდა და იდენტიფიკაციის ენობრივ-კულტურული ცნება მოგვიანებით შეიძინა. აღიარებული აზრია, რომ ტაციტუსმა (Publius Cornelius Tacitus – დაახლ. 55-120წწ.) თავისი ნაშრომით Germania („De origine et situ Germanorum“ – დაახლ. 98წ.) რომაელები სარკეში ჩაახედა გერმანიკულ ბარბაროსების (არალათინურად მოლაპარაკე ხალხის) თავისუფლებისმოყვარეობასა და ცხოვრების წესებზე და მათი განსხვავებულობა დაანახა (François/Schulze (Hrsg.) 2009: 167-186, hier 174).

ბ) ა. ჩიქობავას მოსაზრებით „ქართული ენის ფონემატიკური სისტემა უპრეცედენტოდ კონსერვატორულია. კონსერვატორულობა იმიტომ, რომ ძველი ქართული და ახალი ქართული არ წარმოადგენენ ორ სხვადასხვა ენას, როგორც ბერძნული, ლათინური და იტალიური, ძველი სომხური და ახალი სომხური“ (ჩიქობავა 2008). ქართულ ენაში საუკუნეების სიმდიდრეა დაუნჯებული. უწყვეტია კავშირი წარსულ საუკუნეებსა და ენის სინქრონიას – დღევანდელ მდგომარეობას შორის.

ქართველ მეცნიერთა ბოლოათწლეულების გამოკვლევები ქართველურ ენათა გენეზისისა და ახლოაღმოსავლურ უძველეს ეთნოსებთან მათი კავშირის შესახებ თანდათან ბურუსით მოცულ ქართველურ ტომთა პრეისტორიას ნათელს ჰფენს და მტკიცებულებებითა და დასაბუთებებით დაბეჯითებით გვაწვდიან მასალას, რომ ქართული ენის უწინარესობით, ისტორიულ-კულტუროლოგიური წყაროებითა და არქეოლოგიური მასალით, შუმერები და ქალდეელები ძვ.წ. VII-VI ათასწლეულში ახლოაღმოსავლეთსა და შუამდინარეთში მცხოვრები ქართველური ტომებია თავიანთი ერთიანი ენობრივ-კულტურული არეალით (სუმბაძე 2006: 19-20), ხოლო ქართული ასომთავრული ანბანის ნიშნები და შუმერული იდეოგრაფები ერთიან სააზროვნო არეალში არიან შექმნილნი და აქვთ მსგავსი გრაფიკული გამოსახულებები (ცინცაძე 2015: 79-85, აქ: 84). ანატოლიაში (კაპადოკიაში) უპირატესად

ქართველური ტომების არსებობაზე, ქართველურ ენებთან, ასევე არქიტექტურასა და საინჟინრო საქმიანობაში ანატოლიურსა და წინარექართულს შორის მსგავსებაზე, წინარექართულსა და შუამდინარეთის ენობრივ და კულტურულ მსგავსებაზე შრომები გამოაქვეყნეს: გ. ქავთარაძემ 1985, ვ. გოილაძე, 2011, ა. ჯავახიშვილმა 1973, გ. ფხაკაძემ 1993 და სხვებმა. ლინგვისტთა აზრით, 2000 წლის წინ არსებობდა დენე – კავკასიური ერთიანობა: ანატოლია – კავკასია – შუამდინარეთი. (კვალი შემორჩენილია ბასკურ, კავკასიურ და სხვა ენებში). ამ ერთიანობის დაშლის მიზეზი ინდოევროპული და სემიტური ტომების ამ გეოგრაფიულ არეალში შემოსვლა უნდა ყოფილიყო, რის შედეგადაც ძვ.წ. II ათასწლეულში ანატოლიაში შეიქმნა ხეთური ცივილიზაცია, ხოლო შუამდინარეთში სემიტების შემოსვლით ყალიბდება აქადისა და ბაბილონის სამეფოები. რაც შეეხება ქართველურ „ენათა ოჯახს, იგი მესოპოტამიურ-პროტოქართველური და დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური ენების ურთიერთმერწყმის საფუძველზე იქმნება. ამიერიდან უკვე საკუთრივ ქართველური ხდება მედიტერანულ მიმართებათა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი (გორდეზიანი 2007: 405).

ამრიგად, ძვ.წ. VI-V ათასწლეულებში არსებული ენობრივ-კულტურული არეალის ყოფნა: ანატოლია-კავკასია-შუამდინარეთი, მათ შორის გამოვლენილი მსგავსებები (მეგრულში და სვანურში დღესაც შემორჩენილია), ლინგვისტურ-სოციალურ-კულტურული პროცესების ანალიზი, საშუალებას იძლევა გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ძვ.წ. III ათასწლეულში, ანთროპოლოგ მ. აბდუშელიშვილის დასკვნის მიხედვითაც, კავკასიის რეგიონში მცირერიცხოვანი უცხო ეთნოსების გამოჩენამ ვერ გამოიწვია რაიმე არსებითი ცვლილებები, ვერ შეცვალა კავკასიის ანთროპოლოგიური სახე, რამაც უნდა ვივარაუდოთ, განაპირობა კავკასიის არეალში ცივილიზაციის ლოკალური კერის არსებობა (ცინცაძე 2015: 93, 94).

მაშასადამე, ქართველურმა ენებმა ძირითადად შემოინახეს დენე – კავკასიური ერთიანობის ნიშნები და, თუკი რამ შეიცვალა ენაში, კვალი დარჩენილია. (იხ. ამ საკითხზე ქართველ მეცნიერთა კვლევების არასრული ჩამონათვალი:

მ. აბდუშელიშვილი 1982: კავკასიის ანთროპოლოგია ბრინჯაოს ხანაში. თბ.

გ. გიგაური 2010: ფარული ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (წერაქვეული დამწერლობა), პირველი ნაწილი, თბ.

გრ. გიორგაძე 2000: უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა. თბ.

გრ. გიორგაძე/ნ. ხაზარაძე 2002: ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და ძველი აღმოსავლური ეთნიკური სამყარო. თბ.

ვ. გოილაძე 2001: ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო. თბ.

რ. გორდეზიანი 2007: მედიტერანულ-ქართველური მიმართებები. თბ.

А.И. Джавахишвили 1973: Строительное дело и архитектура расселения южного Кавказа: V–III тысяч. до н.э. Тбилиси.

Кирион II 2006: Значения раскопок в Халдее для начальной истории Картвел (Грузин). იხ.: თეოლოგიურ-საზოგადოებრივი გაზეთი „ერის ღირსება“ 2006. 52, 7, XII. თბ.

ა. მესხი 2010: შუმერულ-ქართველური შესატყვისობანი. თბ.

გ. ფხაკაძე 1993: დასავლეთ ამიერკავკასია ძვ.წ. III ათასწლეულში. თბ.

გ. ქავთარაძე 1985: ანატოლიაში ქართველ ტომთა განსახლების საკითხისათვის. თბ.

ა. ცინცაძე 2011: მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა. იოანე ზოსიმეს განცხადებული საიდუმლო და საქართველო. თბ. (ციტირებულია მ. ცინცაბაძის მიხედვით: 417).

მ. ცინცაბაძე 2015: აღმოაჩინე ათასწლეულების საქართველო. თბ. გამომც. ი/მ „ბესიკ ბოგველი“.

დღევანდელი გადასახედიდან მარტო ენათმეცნიერებას არ ხელეწიფება ენის ისტორიულ-კულტურული მეხსიერების კვლევა. საჭიროა სხვა მეცნიერული დისციპლინების ფუნდამენტური ცნებებისა და პოსტულატების მოხმობა, დისციპლინათაშორისი ანალიზი. აქ, პირველ რიგში, სახელდება ენის ფილოსოფია ეთნოსის კულტურულ-ისტორიული რაობის განსჯით. თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური

დარგი – ეთნოსის/ხალხის ფსიქოლოგია (Völker-/Ethnopsychologie), რომელიც ეთნოლინგვისტიკისა და ფსიქოლინგვისტიკის ათვლის წერტილად ითვლება. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის შუა ხანებში მის დამფუძნებლად გვევლინებიან ჰ. შტაინტალი (H. Steinthal 1923-1999) და მ. ლაზარუსი (M. Lasarus 1824-1903). ეთნოფსიქოლოგია გერმანულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჰერდერის, ჰუმბოლდტისა და ჰეგელის ფილოსოფიურ და ენათმეცნიერულ კვლევით ტრადიციებზე დაყრდნობით აღმოცენდა. გერმანელმა ჰუმანისტებმა ხალხის თეორიას რომანტიკული სული შთაბერეს და იოჰან გოტფრიდ ჰერდერმა ენა გამოაცხადა ერთიანობის დამამკვიდრებელ ხალხის სულიერებად (Fried 2015: 76).

ენა ხალხის ფენომენის ტოლფასად იყო აღიარებული (Metzler Lexikon Sprache 2000: 782) და სულიერებაზე ორიენტირებული ეთნოლოგიის ერთ-ერთ დარგად მიიჩნეოდა (Brockhaus Wahrig 1981, B. 2: 607). ხალხის ფსიქოლოგიის კვლევით საგანს იმთავითვე წარმოადგენდა ენა, ზნე-ჩვეულება, მითი, სამართალი, რელიგია. გერმანელ ფილოსოფოსს, მწერალს და კულტურის ისტორიკოსს ფრიც მაუტნერს (Fritz Mauthner 1849-1923) ენის ფსიქოლოგიის შესწავლის პროცესში ენის მახვილგონივრულმა კრიტიკამ ათქმევინა, რომ ფსიქოლოგიაში სიძნელები მაშინ იზრდება, როდესაც მხედველობაში ვიღებთ, რომ აზროვნება, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, ენაზეა მიბმული, ხოლო, რაც ენის მეხსიერებამ შემოინახა, საჭიროებს ენათმეცნიერულ-ფილოსოფიურ-ისტორიულ-ფსიქოლოგიურ ანალიზს (Mauthner 2015)². ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის მჭიდრო კავშირზე ლაპარაკობს გერმანელი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი ვილჰელმ მაქსიმილიან ვუნდტი (Wilhelm Maximilian Wundt 1832-1920, „ხალხთა ფსიქოლოგიის“ (Völkerpsychologie) ავტორი ათტომეულისა, რომელიც მისსავე სიცოცხლეში მრავალგზის გამოიცა (Lück 2009: 58, 63).

3. რა ახსოვს ენას? ენის მეხსიერება ყოველგვარ ისტორიაზე უტყუარი ინფორმაციაა. მის გარეშე ვერ იარსებებს ადამიანი, თუნდაც საზოგადოება. მეხსიერება, ზოგადად, ისტორიის საფუძველთა საფუძველია. მის შესახებ შესანიშნავად თქვა მე-20 საუკუნის ფრანგმა ფილოსოფოსმა პოლ რიკიორმა (Paul Riceur 1913-2005): „ისტორია ეს არის მეხსიერება და გადავიწყება, ხოლო მეხსიერება და გადავიწყება – ცხოვრებაა“.

მეხსიერება დაკავშირებულია ეთნოსის კულტურასთან. ლოტმანის მიხედვით (Ю.М. Лотман), კულტურა „კოლექტივის არამემკვიდრეობითი მეხსიერებაა“. ამით მან ხაზი გაუსვა კულტურის არსებობისათვის მეხსიერების მნიშვნელობას: ადამიანის ენა სამყაროსა და მისი სურათის შესახებ ცოდნის ნამდვილი საგანძურია, ადამიანის გონებაში შემონახული და ენაში ასახული. სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელობები, ენობრივი მეტაფორები და სხვა ენობრივი საშუალებები საუკუნეების განმავლობაში აფიქსირებენ და ინახავენ იმ პროცესებსა და შედეგებს, რომლებიც ონთოლოგიურ მეტაფორებად იწოდებიან და ხალხის შემოქმედებითი მოღვაწეობის, ემოციების, იდეათა აღქმისა და ა.შ. შედეგია (Джонсон 2004: 49).

სხვადასხვა ენა, რასაკვირველია, განსხვავებული ენობრივი კოლექტივების კუთვნილებაა. ენათა ამ სიჭრელეში მეხსიერების სიჭრელე კი არ ჩანს, არამედ ენობრივი უნივერსალიების არსებობა, ანუ ყველაფერი ის, რაც ყოველ ენას ახასიათებს, ყოველი ენის

² ფსიქოლოგიაში ბოლო ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში აღმოცენებულმა ახალმა კოგნიტიურ-ფსიქოლოგიურმა მიმართულებამ გააზრებული მიდგომა მოგვცა აღქმაზე, აზროვნებასა და ინფორმაციის გადამუშავებაზე. ფსიქოლოგიამ აჩვენა, რომ საუკუნეებმა ადამიანის სურათი შეცვალა, როგორც ფსიქოლოგიაში იტყვიან „ადამიანმა მეტაფორა შეიცვალა (Draaisma 1999): დეკარტი (1596-1650), მაგალითად, ადამიანს მანქანას ადარებდა (თუმცა მასვე ეკუთვნის გამოთქმა: „მე ვაზროვნებ, მაშასადამე, მე ვარ“ („მე“, როგორც ინდივიდი-ადამიანი)/Ich denke, also bin ich = cogito, ergo sum). რომანტიკოსები ადამიანის სულზე ლაპარაკობდნენ. გოეთე ამბობდა: ადამიანის სული წყალს ჰგავს, ზეციდან მოდის და ზეცაშივე ადის, შემდეგ ისევ დედამიწას უბრუნდება და ეს ცვლა მარადიულიაო. მე-20 საუკუნის ადამიანის მეტაფორა ტელეფონი და რადიო იყო. 21-ე საუკუნეში ადამიანის კოგნიტიური უნარები „კომპიუტერულმა მეტაფორამ“ დაამშვენა. ის აზროვნებისა და მეტყველების/საუბრის ნიმუშად იქცა ფსიქოლოგიაში, ლინგვისტიკასა და შემეცნებით მეცნიერულ დარგებში (Lück 2009: 175, 176, 188).

უნივერსალური ნიშანია. იგივე შეიძლება ითქვას ადამიანური, გონებისეული მეხსიერების უნივერსალიზმზეც (Ревзина 2006: 11).

ამრიგად, ენის კულტურულ-ისტორიული მეხსიერება ასე ნაწილდება:

1) ენობრივი მეხსიერების (ზოგადად, მეხსიერების) გააზრებაში უდიდესი როლი შეასრულა ფილოსოფიამ. ანტიკური ხანიდან (პლატონიდან და არისტოტელედან დაწყებული) სწორედ ფილოსოფიურ დისკურსში ჩამოყალიბდა დამახსოვრება-გადავიწყება-აღდგენა-მოგონების საფუძვლების შემქმნელი თეორიები.³

2) მე-19 საუკუნის დასასრულიდან ფსიქოლოგიამ დაიწყო აზრობრივი/გონებრივი პროცესებისა და მათი ენობრივი ხორცშესხმის შესწავლა, რომელსაც მოჰყვა ფსიქო- და ნეიროლინგვისტიკების, ენის ფსიქოლოგიის, როგორც ენათმეცნიერული დისციპლინების, ჩამოყალიბება და ეთნოფსიქოლოგიაში შემდგომი განზოგადება.

3) თვალთ უხილავი, ადამიანის გონებაში მიმდინარე აღქმით-აზრობრივი მოვლენების ენობრივმა გააზრება-ანალიზმა კოგნიტური მდგომარეობის ახსნასთან მიგვიყვანა და დღეს კოგნიტური ლინგვისტიკა, ე.წ. კოგნიტივისტიკა⁴ 21-ე საუკუნის აქტუალური ენათმეცნიერული დისციპლინაა. მან ძირითად საკითხად განსაზღვრა ცოდნისა და ინფორმაციული შემეცნების პრობლემები, ერთმანეთს დაუკავშირა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგები: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლინგვისტიკა, კულტუროლოგია და სხვ., მაგრამ ფსიქოლოგიაში ნამდვილი გარღვევა მოახდინა ენობრივი მეხსიერებისადმი (და, ზოგადად, მეხსიერებისადმი) ფართო დაინტერესებამ.

რა აერთიანებს ენას და მეხსიერებას, ენას და დისკურსს, ეს მეხსიერება ენაში/„ენის სარკეში“ როგორ აისახება? საქართველოს მართლმადიდებლური სარწმუნოების ავტოკეფალიის ისტორიულ წყაროებში, კერძოდ, მე-5 და შემდგომი საუკუნეების ხელნაწერებსა და ძეგლებში უხვი მასალაა მოცემული, რა დაიმახსოვრა ენამ, რა შეუნარჩუნა მან კოლხურ-იბერიულ ხალხთა მოდგმას, დღევანდელი გაგებით, ქართულ ეთნოსს?

ენისა და მეხსიერების ურთიერთობაში აისახა ადამიანის/ეთნოსის თანდაყოლილი კოგნიციის (აზროვნების, გონებრივი შემოქმედების მენტალური პროცესი) უნარი. მართალია, ყოველ ეთნოსს ის თავისი თვითმყოფადობით განსხვავებული აქვს, მაგრამ მისი სტრუქტურა ყველა ხალხისთვის ერთია: სურათ-ხატი, სახიერება მეხსიერებაში დალექილი, რომელიც ენის საშუალებით საზოგადოების გარემოსთან ურთიერთობისას ცოდნა-გამოცდილების სახით გამოიყენება. ენობრივ მეხსიერებაში თავმოყრილი და შენარჩუნებული ცოდნა-გამოცდილების ხშირად სრულყოფილი სახე, ზოგჯერ კი მხოლოდ მისი ნაკვალევი, საშუალებას იძლევიან აღვადგინოთ ის, რაც ენას ახასიათებდა, რაც ამ ეთნოსის სოციალურ-კულტურულ სახეს განაპირობებდა. სწორედ ენის საშუალებით ხდება

³ პლატონმა მეხსიერების არსი განსაზღვრა, როგორც „აწმყოში არარსებული საგნის/მოვლენის წარმოდგენა“. ამ განმარტებით „დამახსოვრება“ წარმოსახვას, ხილვებს, სიზმარს გაუტოლდა. არისტოტელემ პირიქით, ამ ჩამონათვალთან მეხსიერება ამოიღო, როგორც წარსულთან დაკავშირებული და იმავდროულად გახსენების აქტის ბოლო ეტაპი. მაგრამ გახსენება ცოდნა არ არის, ცოდნა დროის ფაქტორზე არ არის დამოკიდებული. ცოდნაში რასაც დაიმახსოვრებენ, მასვე გაიხსენებ. ამ შემთხვევაში, რაც დამახსოვრებულია, ის ცოდნაცაა (Рикер 2004: 78).

ის, რაც წარსულში იყო და აწმყოში აღარ არის, წარმოდგენაში აღდგება, წარმოისახება. ორივე ფაქტი: ცოდნის გახსენება და აწმყოში არარსებული წარსულის აღდგენა-გახსენებაც არარეალურია (ირეალურია), გონებისეულია. მაგრამ აქ მუშაობს ჭეშმარიტების ფაქტორი, იგივე მოთხოვნილება, საჭიროება: აღდგეს ის ძველი დანახული, მოსმენილი, განცდილი, შემეცნებული იმ სახით, როგორც ეს წარსულში იყო (Рикер 2004: 87). ჭეშმარიტების სწორედ ეს მოთხოვნილება განსაზღვრავს მეხსიერებას, როგორც კოგნიტიურ სიდიდეს.

⁴ კოგნიტური ლინგვისტიკა მე-20 საუკუნის 50-იან წლებში აშშ-ში შექმნილი კვლევის ინტერდისციპლინარული მიმართულებაა. ევროპაში მისი საწყისები ჰუმბოლდტსა და ნეოგრამატიკოსებს უკავშირდება. შემუშავებულია მენტალური პროცესების ანალიზის კოგნიტიური სტრატეგიები: ადამიანის მიერ აღქმა-გაგების, აზროვნების, ინფორმაციის შეგროვება-გადამუშავების ენობრივი საშუალებებით გამოხატულის ნათელსაყოფად. ეს ლინგვისტიკური მიმართულება ენას მიიჩნევს მენტალურ ფენომენად და კოგნიტიურ ფსიქოლოგიაზე დაყრდნობით ადამიანის გონებაში მიმდინარე აზრობრივ აქტებს შემეცნებითი თეორიის ყალიბში აქცევს. კოგნიციის ასპექტებია: აღქმა, წარმოდგენა, მეხსიერება და ცოდნა, დამახსოვრება და მოგონება, აზროვნება და ფიქრი (Lewandowski 1992, B.2: 544-546).

ადამიანის გონებაში მიმდინარე დამახსოვრების თუ მისი აღდგენის, ინფორმაციის ორგანიზების თუ სტრუქტურირების კოგნიტიური მოდელების გამჟღავნება და მას სემანტიკურ (შინაარსობრივ-აზრობრივ) მეხსიერებას უწოდებენ (იხ. R.L. Solso 1988 და მისი რუსული თარგმანი Солсо Р.Л. 1996, გლ. 7).

4. ენის საგანძური. ისტორიულ დისკურსში ენა საუკუნეების განმავლობაში განიცდის თავისი დონეების ტრანსფორმაციას: ლექსიკურ, გრამატიკულ, სიტყვაწარმოებით, სინტაქსურ გარდასახვებს. დისკურსის განფენილობაში წარსულის სემანტიკა თანამედროვეობაშია გადმოსული. ამით წარსულის სემანტიკა თავის სტაბილურობას ამტკიცებს, ამავდროულად იგი აწყმოსთან არის ასიმილირებული, აწმყოს შემადარ თვისებებს იზიარებს. ენის ფსიქოლოგია ხელჩასაჭიდ ძაფს ჰგავს. ამ ძაფის მოწვევით, ენა თითქოს დროის სივრცეში ამოძრავდება და გაიხსენებს იმას, რაც მას მრავალი საუკუნის წინ სრულყოფილი სახით ჰქონდა. მაგრამ ეს ყოველთვის ვერ ხერხდება, ეპოქათა ძნელბედობა ამ პროცესს თავის დაღს ასვამს. ძველ ხელნაწერებსა თუ ტექსტებში ამოკითხული, ნაპოვნი ასეთი მასალა აღქმას აღარ ექვემდებარება, მისი სრული ენობრივი სახე და ფუნქციები წარსულში დარჩა, მაგრამ თავისი არსი მან აწმყომდე მოიტანა, ის „აწმყოს ისე მისდევს, როგორც კომეტას თავისი კუდი“ (Рикер 2004: 61). მაშასადამე, ენამ რაც დაიმახსოვრა, ის პრაგმატულად ნიშნადია.

ენის მეხსიერებით პროცესებში წინა პლანზეა ადამიანის/სუბიექტის ფაქტორი (სუბიექტის ფაქტორზე, ამ გაგებით, ჯერ კიდევ ავგუსტინი, ჯონ ლოკი, ჰუსერლი და სხვანი მსჯელობდნენ). პ. რიკიორი ასახელებს სუბიექტის სამგვარ ფაქტორს: „მე“ (ინდივიდუალური მეხსიერება); „ჩვენ“ (კოლექტიური მეხსიერება) და ე.წ. „შუალედური ტიპი“, როცა ინდივიდუალური და კოლექტიური მეხსიერება ერთიანდება, ანუ ეს არის ის, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ (Рикер 2009: 184).

ხალხის, საზოგადოების მიერ საუკუნეთა მანძილზე ენაში შემონახული და დამახსოვრებული მასალიდან ანალიზისათვის მიზანშეწონილად რა უნდა ჩაითვალოს: – უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების მორალური ლექსიკონი, კერძოდ, შემდეგი კონცეპტები:

მოვალეობის, დანაშაულის, სამართლიანობის, მწუხარების, შენდობისა და თვით ადამიანთა ენის – გარესამყაროზე ცოდნის საგანძური, რასაც კაცობრიობა თავისი მეხსიერებით ატარებს და მისით ახდენს სამყაროს სურათის ფორმირებას (Ревзина 2006: 10).

ენის მეხსიერების საანალიზოდ ჩვენ ავიღეთ ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“//ქართლის ცხოვრება, ტ. 1. 1955: 166-199; XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი (სავარაუდოდ, ლეონტი მროველი), V-VIII სს. ამსახველი თხზულების შემქმნელი, (ქსე, ტ. 11, 1987: 578) და ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, 1, შატბერდის კრებული (X საუკ.) „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, თავი 7, 1979: 320-327; კერძოდ, ის მონაკვეთები, რომლებიც თემატურად საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან არიან დაკავშირებული. დადასტურებული ფაქტია, რომ (მოციქულთა სწორის ნინოს ქართლში ქადაგების შემდეგ 326 წელს ქართლი/იბერია გაქრისტიანდა და ქართული ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოს დაექვემდებარა) 484-486წწ. ვახტანგ გორგასლის დიდი მეცადინეობით საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალიის, ანუ თვით მწყემსობის უფლება მოიპოვა. „შატბერდის კრებული“ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“) ასე აღწერს:

„... ხოლო მეფემან წარავლინა მოციქულნი საბერძნეთა და ითხოვა მეფისაგან და პატრეაქისაგან კათალიკოზი (220V). ხოლო მან მოსცა პეტრე კათალიკოზი. და თან ჰყვანდა მას სამოველ მონაზონი, წმიდაჲ და ღირსი და აღაშენა ქუემოჲ ეკლესიაჲ ვახტანგ მეფემან და დასუა პეტრე კათალიკოზი. და ისე იყო ქართლის მოქცევითგან რაჲ წელსა. მეფენი გარდაცვალებული იყვნეს ათნი, და მთავარეპისკოპოსნი ათცამეტნი. ხოლო პირველი კათალიკოზი იყო პეტრე... („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, თავი 7: 325). იგივე მოვლენა ჯუანშერთან ასეა აღწერილი: „... და ანტიოქიელმან პატრიარქმან აკურთხა თორმეტნი ეპისკოპოსნი და პეტრე კათალიკოსად (ჯუანშერი ქართლის ცხოვრება, ტ.1: 198), და იქვე: „პეტრე კათალიკოზად და განაწესეს მწყემსმთავრად და მამად მთავრად და მთავრად

ყოველთა ეკლესიათა და მღვდელთ მთავართა ეპისკოპოსთა და ყოველთა ერთა მორწმუნეთა ზედა“ (ხელნაწერის გვ. 94a-94b, ჯუანშერი: 198).

ენის ისტორიული მასალა ადასტურებს, რომ ენის სისტემის ცვალებადობა ნელი პროცესია, საუკუნეები, ათასწლეულებიც კი სჭირდება. მაგალითების სიმრავლის გამო, შემოვიფარგლებით ლექსიკური, გრამატიკული, ფონეტიკური თუ სიტყვაწარმოებითი რამდენიმე ნიმუშით, რაც ენამ საუკუნეების განმავლობაში დაკარგა ან რამაც ცვალებადობა განიცადა.

ლექსიკა

1) ვითარმედ სტნავს ზრახვა ესე შენი ჩემდა მომართ... (ჯუანშერი: 166)
თნევა/თნება – სათნო – ჩენა, საწადელი ყოფა, დაჯერება, ნებება, გულისთქმა, მოწონება (ილ. აბულ.: 182)

სინქრონიაში არსებობს სიტყვა: სათნო, სათნოება (არს. სახ. და ზედს. სახ.), ზმნა აღარ არსებობს.

2) რქუა მეფემან: რქუა მას პეტრე; რქუა ნინო ვახტანგს... (ჯუანშერი: 167)
ნიშნავს: თქვა, უთხრა.

რქუმა (1) – წოდება, უწყება, სახელის-დება, თქუმა, ხდა, თხრობა (ილ. აბულ.: 350)
აქვე გვხვდება „თქმაც“: და ვითარცა ესე თქუა წარიყვანა იაკობ მღვდელი საბერძნეთით მოსრული... (შატბერდის კრ.: 323)

სინქრონია: ჩამოთვლილ მნიშვნელობათაგან შემორჩენილია ერთი მნიშვნელობა-რქმევა, სახელის-დება. მაგ.:

და ჰრქვან ადგილსა მას ნასტაგისი (შატბერდის კრებული: 320)

იქვე: ამან (ფარნავაზ) აღმართა კერპი დიდი ცხვრსა ზედა და დასდვა სახელი მისი არმაზი. და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო და ჰრქვან არმაზ (320).

რქუმა (2) – 1) დარქუმა, სარქული; 2) წოდება, უწყება, სახელის-დება, თქუმა, ხდა, თხრობა (ილ. აბულ.: 350).

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ძველი ქართული ენის ლექსიკური ერთეულისათვის, კერძოდ ზმნისათვის, პოლისემიურობაა დამახასიათებელი:

3) რეცა ეგევითარივე გვრგვინი მისცა ვახტანგს, და რქუა: დაარქუე ეგე პეტრეს და აღიღო პეტრე... და დაარქუა სამოელს მონაზონსა... და დაარქუა იგი გვირგვინი ვახტანგს (ჯუანშერი 167, 168).

ამ წინადადებაში „რქუმა“-ზმნის ორივე მნიშვნელობა გვაქვს: „თქმა“ და „დახურვა“-„დარქუმა“ (ილ. აბულ.: 121)

რეცა – თითქოს, ვითომ (ილ. აბულ. 347) ენამ აღარ შემოინახა.

4) ლექსიკურთან ერთად ფონეტიკური პროცესიც გვაქვს ზმნებში: ხდა=ხადა – ღაღად-ყოფა (ღაღადებდა, ამბობდა), გამოხდა, წოდება, ჰმოზა, ძახილი (ილ. აბულ. 559)

ჰად=ჰდა – 1) წვდა, ამოღება, აღება, აღმოჰდა, შიშვლება; 2) გარდაჰდა, მიმჰდელი, მოჰდა (ილ. აბულ.: 566).

სინქრონია: „ხდა“ და „ჰდა“ ფონეტიკურად განსხვავებული ორი ლექსემა ენამ აღარ შემოინახა, შატბერდის კრებულში კი გვითხულობთ:

... წარიქცინა და შეჰადნა იგინი კედარსა მას ქვეყანასა (გვ. 320)

5) ... ჰმადლობდა ღმერთს და იტყოდა (შატბ. კრ. 323)

სინქრონია: ზმნა „ჰმადლობდა“ აღარ იხმარება, დარჩენილია არსებითი სახელი შესიტყვებებში: მადლობის თქმა, მადლობა უთხრა.

6) გვხვდება მეტაფორები და ეპითეტები:

რამეთუ ღმრთისა მიერ მთავრობს, ვითარცა ლომი შორის ცხოვართა (Prä-position) (ჯუანშერი: 197)

მეტაფორული შედარება: ვითარცა ლომი შორის ცხოვართა.

მთავრობა – მსაჯულება, თავი (ილ. აბულ. 240), ენის სინქრონიაში აღარ შემონახულა.

7) მიქელ ეპისკოპოსის მიმართ: მეგუადრუცე ხარ ქრისტესი (ჯუანშერი: 197)

გუადრუცი – ყუთი, ყულაბა (ილ. აბულ.: 97 – მპარავი იყო და გუადრუცი იგი აქუნდა მას) – ეპითეტი.

8) ფრაზეოლოგიზმები:

მიჰყოველი გვრგვინსა ნათლისასა... (ჯუანშ.: 167)

უმეტესად ხილვამან ჯვრისამან დასცა შემრწუნება (168; დღევანდელ ქართულში ზმნაც გვაქვს: შემრწუნდა)

დასცა/ცემა – დაცემა, ხეთქება, განწონა, რტყმა, კვრა, დასობა, დაკოდვა, მიცემა, კვეთება (ილ. აბულ.: 314)

სპარსთა მეფე აძლევდა ვახტანგს ცოლად თვსთაგან მეფეთასა (ჯუანშ.: 196)

ცოლად მიცემა – ცოლება/ცოლობა (ეს ზმნა დღეს ენაში აღარ არის, შემორჩა არს. სახელად), ცოლად შერთვა, ცოლობა.

დაემორჩილეთ თქვენ მეფეთა, რამეთუ არა ცუდად ხმალ აბიეს (197)

ექსორია ყვეს მიქელ ეპისკოპოსი მონასტერსა მღვდარეთასა (ჯუანშ.: 197)

ექსორია – განდევნა, გაძევება, გადასახლება (ილ. აბულ.: 152) სიტყვა ნასესხებია ბერძნულიდან: სულხან-საბა: ექსორია: სხვაგან პატიმრად წარგზავნა, ბერძულია (ს.-ს. ლექსიკონი ქართული, 1, 1991: 247).

ჰამბავი მოჰხდა, ვითარმედ ბაღდადი აგარეანთა დაიპყრესო (შატბ.: 327)

ფონეტიკა

1) დაიკარგა იმ დროისათვის ენაში არსებული ზოგიერთი ხმოვანი და თანხმოვანი: დ, ჯ, ჴ (ეი), ჴ(ოუ, ჴოე)თვალსაჩინოა სხვაობა „ე“-სა და „ჴ“-ს შორის (არტიკულაციური)

„იერუსალჴმით“, „ქრისტჴსი“ (შატბ. კრ. 323, 324)

„ხდა“ და „ჴდა“=„გადა“: შეჴადნა იგინი კედარსა (შატბ. 320)

დროთა განმავობაში ამ ბგერების გათანაბრება მოხდა და საბოლოოდ „ხ“ ჩაენაცვლა „ჴ“-ს, „ე“ ჩაენაცვლა „ჴ“-ს.

2) არსებობდა 5 ძირითად ხმოვანთან ერთად (ა, ე, უ, ო, ი) დიფთონგებიც:

უე, ჴ (უე), უა, ეა, ოე

ქუედი ეკლესია (შატბ.: 325), დასუა (325); მისთვის (ჯუანშ. 166), ქუეყანა, აზოე (შატბ. 330) და სხვ. მრ.

მარცვალშემდგენელი დიფთონგები ხუთ ძირითად ხმოვანთან და, სავარაუდოდ, ძვ. ქართულში არსებულ უმლაუტებთან ერთად (სვანურის მაგალითზე) ხმოვანთა დიდი რაოდენობის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს ძველ ქართულში. ეს მოვლენა, როგორც ჩანს, კავკასიურ არეალში თანდთანთან ხმოვანთა სიჭარბემ გადაფარა: „უე“-მ მოგვცა „ვე“, „ჴ“-მ მოგვცა „ვი“, „ე“ დაიკარგა, „უა“-მ მოგვცა „ვა“- თანხმოვნისა და ხმოვნის ნაერთით ცალკე მარცვალი შედგა. ხმოვანთა დაახლოებითი რაოდენობა ძველ ქართულში, სულ მცირე 10-12 უნდა ყოფილიყო.

მორფოლოგია

1) ნაწევარი/არტიკლი: იმ დროისათვის საკმაოდ მყარად არსებული და გავრცელებული ენაში:

ჯუანშერთან: გვირგვინი იგი (168); საქმე იგი (196); ორნი ეგე არა (167) წმინდანი იგი (166); სილალე ესე ამპარტავენებისა (196); შეუვრდი პირველად დიდსა იმას (167); ესე ყოველი (168); რომელი იგი იხილე (168); ორნი ესე მათნი (198) და სხვ.

შატბერდში: ესე აზრი წარვიდა არიან ქართლად (320)

საკუთარ სახელთან გვხვდება ჩვენებითი ნაცვალსახელი: ესე რაჟდენ იყო მამძუმე ვახტანგისა ცოლისა (ჯუანშ.: 199); იყო კაც ერთ იერუსალჴმს – განუსაზღვრელი არტიკლია.

არტიკლის ფუნქცია ძირითადად განსაზღვრულ-განუსაზღვრელობის აღმნიშვნელია ძველ ქართულში, ანუ შანიძის მიხედვით: ა) გაურკვეველი გაერკვიათ და ბ) აღენიშნათ მიმართება პირისადმი: ესე (I პირისადმი), ეგე (II პირისადმი), იგი (III პირისადმი). პირისადმი მიმართება დღესაც ზმნური კატეგორიაა. ნაწევრიანი სახელი ბრუნვანაკლია, არ გააჩნია წრფელობითი დ წოდებითი (შანიძე 1976: 30).

2) სახელთა ბრუნვა. 9 ბრუნვიდან სინქრონიაში გვაქვს 7 ბრუნვა: წრფელობითი და მიმართებითი დაიკარგა. ჯუანშერთან და შატბერდის კრებულში, მართალია, აღწერილია V-VIII საუკუნეების მოვლენები, მაგრამ ენის სისტემის მდგომარეობა X-XI საუკუნეებისა უნდა იყოს. შესაბამისად, სახეზეა გამოკვეთილად მტკიცედ ხმარებული წრფელობითი. მიმართებითი ბრუნვა თავისი შედგენილობით ნათესაობითის მსგავსია: ნათ. – კაცის(ა), მიმართ. – კაცისა. ამიტომ ტექსტში მიმართებითის ფუნქციური ანალიზია საჭირო და იმ აუცილებელი სხვაობის დადგენა, რაც ნათესაობითსა და მიმართებითს შორის არსებობდა. შეიძლება აღმოჩნდეს მიმართებითის ნათესაობითთან შერწყმის ტენდენცია.

წრფელობითი (ითავსებს, დღევანდელი გაგებით, სახელობითის, მოთხრობითის, წოდებითის ფუნქციებს):

... და თვთ ვახტანგ დაჯდა უჯარმოს... (ჯუანშ.: 199) – (სახელობითის ფუნქცია, თუმცა აქვე გვაქვს სახელობითი: ვითარ ეტყვს ღმერთი პოლიკარპოსს (166).

... რქუა მას პეტრე... (166: მოთხრ. ფუნქცია), თუმცა იქვე გვაქვს მოთხრობითი: რქუა მეფემან.

... და რქუა ნინო ვახტანგს (მოთხრ. ფუნქ.: 167)

... იყო სამ წელ ეგრეთ (სახელ. ფუნქც. შატბ.: 322)

შანიძის მიხედვით, წრფელობითზე ნაწევარის შერწყმით წარმოიშვა სახელობითი და „მიუხედავად ამისა წრფელობითს შერჩა ზოგი რამ ძველი ვითარებიდან“ (შანიძე 1976: 153). მაგრამ კონკრეტულად ვითარებითის რომელ თვისებაზეა საუბარი წრფელობითში, ავტორი არ აზუსტებს. წრფელობითი იხმარება ქვემდებარედ, პირდ. დამატებად, შედგენილი შემასმენლის ნაწილად და ამიტომ, უწოდა ფრანც ცოლერმა ამ ბრუნვას შემასმენლობითი (das Prädikativ) (შანიძე: 153). ცნობილია, ქართულ ბრუნვათა სინტაქსური მრავალფუნქციურობა: ქვემდებარეს, დამატებას რამდენიმე ბრუნვა აქვს, მაგრამ ეს მოვლენა სახელის კატეგორიის ფარგლებს არ სცდება. თუკი წრფელობითი ორ კატეგორიას შეითავსებს (როგორც ამას ვითარებითი აკეთებს); სახელურსა და ზმნურს, მაშინ იგივე შეიძლება ითქვას სახელობით ბრუნვაზეც, რადგან ისიც შედგენილი შემასმენლის ნაწილია. ეს შანიძესთან არ არის ახსნილი.

შესაბამისად, ბრუნვათა ტიპოლოგიური სახის გამოკვეთისათვის, დავახასიათებთ ვითარებით ბრუნვას, რათა ბრუნვათა სისტემის ნიშან-თვისებები ნათლად გამოიკვეთოს:

ვითარებითი. ვითარებითის ფუნქციებია: ა) მიმართულების, მიწევის პუნქტის აღნიშვნა: მოვიდა სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად, ქალაქად, ციხედ (შატბერდი: 325) – კითხვა სად? ბ) გამოხატავს მიზანს და აქვს საწყისის ფუნქცია: და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დასალეწად (შატბ.: 324); გ) „გარდაქცევა“ ზმნა მოითხოვს ვითარებითს (ეს პუნქტი რატომ გამოჰყო შანიძემ? მართო „გარდაქცევა“ – ზმნა მართავს ვითარებით ბრუნვას? სხვა მსგავსი ზმნები არ სახელდებიან ძველ ქართულში? გამონაკლისია? მიღევადი მოვლენაა?) დ) შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილში ადრე წრფელობითი იყო, მოგვიანებით სახელობითი და ზოგჯერ ვითარებითიც (!): თქვენ ჰყავთ იგი ქუეზად ავაზაკთა; ვიყო მე თქვენდა ღმერთად (რად? მაერთ ზმნებთან „ყოფნა“/„გახდომა“ იგი შედგენილი შემასმენელია), იქვე სხვა მაგალითებიცაა:

დადგინებულ ვარ ქადაგად და მოციქულად და მოდლურად წარმართთა (რად?);

სპასალარად თორნიკ განაჩინეს; დაჭრენით საცნისნი თქუენნი ვრმლად და მანგლები თქუენი ლახურებად (ციტირებულია შანიძის მიხედვით. 1976: 157) (კითხვებია – რად?). შანიძე თვითონ ასკვნის, რომ ზმნებთან: განიპო ორად, დავდეგ მეუფედ, დადგინებულ ვარ ქადაგად, განაჩინეს სპასალარად, დაჭრენით ლახურებად „არსებითი გამოხატავს გარდაქცევითს დამატებას“ (იქვე, 157). ცხადია, აქ შედგენილი შემასმენელი არ არის, მაგრამ „გარდაქცევით დამატებაში“ ავტორი დამატების რომელ სახეობას გულისხმობს?

ვითარებითი ბრუნვა ქართული ენის კუთვნილი ბრუნვაა: გამოხატავს ადგილის, მიზნის, ვითარების გარემოებებს და აუცილებლად – დამატებას (ოღონდ არც პირდაპირს, არც ირიბს ან უბრალოს, მაშ რომელს?). დამატებად ხომ სუფთა, უთანდებული ვითარებითია

მოცემული და თუ – მდე/მდის თანდებულები დაემატება (ცადმდე ამაღლდება), ადგილის ან დროის გარემოებად იქცევა.

სინქრონიზიკ დამატება გვაქვს: დანიშნეს დირექტორად, გაამწესეს მინისტრად, დაჭრეს ხმლებად და ა.შ. – რად?

მაგალითები შატბერდიდან: ... და მოციქულად და მახარებლად შეემკო (რად? (324); დაჯდა მეფედ ბაკურ (324); ვითარმედ პირველ მიწევნულ იყო კუართი იგი ქრისტესი იერუსალჴმით მცხეთად (სად? – 323).

ის, რომ ვითარებით ბრუნვაში ერთიანდება სახელისა და ზმნის კატეგორია (ნომინაცია და პრედიკაცია) უფრო დაზუსტებით წარმოდგენილია ქართული ენის ჯერ კიდევ შეუსწავლელ ერთ სინტაქსურ კონსტრუქციაში, რომლისთვისაც პირობითად ლათინურ ტერმინს Nexus-ს გამოვიყენებთ, შესაბამისი სახელი კი ალბათ შემდგომში მოეპეზნება.

სინტაქსი

ინდოევროპული ენებისათვის წარსულში დამახასიათებელი იყო და დღესაც აქტუალურია ე.წ. Nexus, ანუ წინადადების განსაკუთრებული ტიპი, გამოყენებული ყოველდღიურ სასაუბრო ენასა და ურთიერთობებში. ეს ისეთი წინადადებაა, როდესაც ორი ან მეტი იდეა/წარმოდგენა/აზრი ერთმანეთთან ურთიერთობას ამყარებს. ო. იესპერსენმა მას სინტაქსური/სინტაგმატური ტიპი უწოდა. ეს არ არის წინადადების არც თანწყობა და არც ქვეწყობა, რომლებიც თავიანთი კონსტრუქციით/აგებულებით სტატიკურია. ნექსუსი წარმოადგენს დინამიურ-პროცესუალურ მოქმედებას, რომლის სტატიკაში გადაყვანა მისი ტრანსფორმაციით შეიძლება, ანუ შეიძლება აქციო კავშირიან ქვეწყობად ან თანწყობად (Lewandowski 1994, 2, 745). სასწავლო გრამატიკებში ამ პროცესს ლათინური ტერმინი აქვს accusativus cum infinitivo (Akkusativ mit Infinitiv) = ბრალდებითი ბრუნვა ინფინიტივი/საწყისით). იგი ლათინურ და სხვა ი.ე. ენებში ძალზე გავრცელებული იყო და დღესაც შემორჩენილია. ეს არის ორი სხვადასხვა მოვლენის/საქმის ვითარების ენობრივად გამოხატული წევრების ისეთი სინთეზი/შეერთება ისეთ წინადადებაში, ყოველგვარი სასვენი ნიშნის გარეშე, როდესაც წინადადებაში პირველი ზმნის პირდაპირი დამატება (იგივე აკუზატივის ობიექტი) იმავდროულად მეორე ზმნის (საწყისი ფორმით გადმოცემულის) სუბიექტია. ასეთი ინფინიტივიანი ნაერთი (Infinitivanschluss) სინტაქსში გარეგნულად მარტივ წინადადებას ჰგავს, მაგრამ შინაარსობრივად რთულია და მას Inhaltssatz (აზრობრივი წინადადება) ჰქვია (Duden 1998: 766). მაგ.:

Karl hört seine Schwester die Lieder Schuberts singen.

Karl hört seine Schwester + Seine Schwester singt Schuberts Lieder//Karl hört, dass seine Schwester Schuberts Lieder singt.

ა) აკუზატივში მდგომ დამატებას აზრობრივად ერწყმის მეორე ზმნის ინფინიტივი, რომლისთვისაც პირდაპირი დამატება ქვემდებარეა. ეს კონსტრუქცია გერმანულ ენაში დღესაც გვხვდება ზმნებთან: sehen, hören, fühlen, lassen, heißen, machen, finden, spüren; ასევე ზოგჯერ ზმნებთან: (be)merken, wissen, meinen: Er bemerkte einen Reiter auf sich zukommen. Ich weiß/drüben im Wald eine Höhle liegen (Duden, 1998: 772-776, hier 776).

ის რაც ჰქონდა ინდოევროპულს და ამ ჯგუფის ენებმა დღევანდლამდე მოიტანეს, ქართულისათვის თვითმყოფადი და ქრონოლოგიურად, სავარაუდოა, ადრეულიც იყოს. ეს ენის მეხსიერებაში შემონახული მაგალითებით დასტურდება. ქართულში ინფინიტივის ფუნქციას ასრულებს სახელზმნა – საწყისი ვითარებითი. ეს საწყისი უღლებადი ზმნის პირდაპირი დამატებისათვის აზრობრივი ზმნაა. მაგ.:

... [მან]... წარავლინა მოციქული თხოვნად მღვდელთა... (შატბ.: 322) ტრანსფორმაცია:

მან წარავლინა მოციქული + მოციქულს უნდა ეთხოვა მღვდელთათვის

წარავლინა რისთვის? – თხოვნად – ვითარებითი/საწყისი პირველი ზმნის მიზნის გამომხატველია. ეს მიზანი ერთ წინადადებაში აერთიანებს ორი ზმნის მოქმედებას საზიარო წევრებით და აზრობრივი ერთიანობით.

და მოუვლინეს მცხეთით მეფემან და ცოლმან მისმან ნანა იოვანე მთავარეპისკოპოსი ხილვად და წაყვანებად... (აქ საუბარია ბოდბეში წმ. ნინოს ავადმყოფობაზე).

მოუვლინეს იოვანე მთავარეპისკოპოსი + მთავარეპისკოპოსს უნდა ეხილა (ენახა) და წაყვანა იგი (ნინო) (შატბ.: 324).

ქართულში პირდაპირი ობიექტისა და მეორე ზმნის სუბიექტის იგივეობას იმეორებს ირიბი ობიექტისა და მეორე ზმნის სუბიექტის თანამთხვევა:

[მეფემან] მიუბოძა მას მცხეთად საჯდომად (შტბ.: 320)

მეფემან მიუბოძა მას მცხეთა + ის მცხეთაში უნდა დამჯდარიყო

ირიბი დამატება გადავიდა ქვემდებარედ. ეს ადასტურებს ქართულში ნექსუსის გამოყენების ფართო ტენდენციას.

ინდოევროპულის მსგავსად, ნექსუსის მეორე სახეობაც გვაქვს ქართულში: როდესაც ერთ ქვემდებარესთან ორი იდეურად განსხვავებული ზმნა ერთიანდება (საუბარია წინადადების ერთგვაროვან წევრებისაგან განსხვავებულ მოვლენაზე) უღლებადი ზმნა, ისე როგორც ინფინიტივი/საწყისი გავრცობილია, ანუ თავისი წევრით შემოდის:

გერმანულში: Ich helfe ihm das Auto reparieren.

Ich helfe ihm + er repariert das Auto.

Er braucht nicht mich auzurufen.

Er braucht nicht + er ruft mich an.

ქართულში:

და იწყ მეფემან შენებად ქვითა ეკლესიასა გარეუბნისასა (beginnt + zu bauen)

მეფემან იწყ + ის აშენებს ქვით გარეუბნის ეკლესიას

რომელმან მოავლინა სიტყუად წმიდად მისი ცათა მაღალთაით მდაბლად უეჭველად (როგორ?) შობად ჯორციელად (როგორ?) თესლისაგან დავითისა დედაკაცისაგან მარტოდ (როგორ?) შობილისა წმიდისაგან და უბიწოდსა... (შატბ. 323).

კითხვაზე როგორ? წინადადებაში მოცემულია ვითარების გარემოება ვითარებით ბრუნვაში, ხოლო „მოავლინა... შობად“ უღლებადი ზმნისა და მეორე ზმნის საწყისის ნაერთია ვითარებაში.

მან მოავლინა წმიდა სიტყვა + (ამ სიტყვის თანახმად) დავითის თესლისაგან წმიდა და უბიწო დედაკაცს უნდა ეშვა უეჭველად.

ქართულში გავრცობილ საწყისს ვითარებითი მრავალი წევრი შემოჰყავს წინადადებაში და მათი ტრანსფორმაცია თავისი აგებულებით ქვეწყობილ წინადადებას უტოლდება, თუმცა ისინი აზრობრივად და სტრუქტურულად ერთ მარტივ გავრცობილ წინადადებაში თავსდებიან: ... შობად ხორციელად თესლისაგან დავითისა დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა წმიდისაგან და უბიწოდსა...

... და წამოემართა იგი [ხოსრო] ბრძოლად ბერძენთა, [და მოუვლინა გორგასალსა მოციქული... (ჯუანშ.: 199).

ხოსრო წამოემართა (წამოვიდა, გამოემურა) + ის იბრძვის ბერძნებთან (ხოსრო წამოვიდა, რომ ბერძნებს შეებრძოლოს).

ძველ ქართულში მარტივი და რთული წინადადებების სტრუქტურები მტკიცედ ჩამოყალიბებულია, რასაც ვერ ვიტყვით იმავე პერიოდის გერმანულ წინადადებებზე, რომლის წყობაც ჯერ კიდევ მერყეობს.

ქართულში, ისე როგორც გერმანულში შემორჩენილია ახალი წინადადების დაწყების „და“ სიტყვიანი ფორმა:

და ესხნეს ვახტანგს ბერძენისა ცოლისაგან სამ ძე და ორ ასულ (ჯუანშ. 199)

და ვითარცა ესმა ესე ეპისკოპოსსა დაიდასტურა (196)

და ესე იყო პირველ მეფე მცხეთას შინა აზოდ (შატბ.: 320)

ვულფილას (311-383) ბიბლიის გოთურ თარგმანშიც (V, VI ს.) გვაქვს „და“=„jah“ კავშირიანი ნიმუშები:

Jah atstligands ins skip ufarlaiþ, jah qam in Sinai baurg... jah gesaihorands Jesus gelaubein izê gaþ du þamma usliþin (Matthäus IX, V, 1-4. Schmidt. W. 1996) (და ჩაჯდა ნავში

გაემგზავრა და, მივიდა თავის ქალაქში... და რა იხილა იესომ მისი რწმენა, უთხრა იმ დავრდომილს...)

ქართულ წინადადებაში ჭარბობს ზმნა დასაწყისში, გვხვდება მეორე ადგილზეც და ბოლოშიც.

დაუკვირდა ალექსანდრეს და სცნა (შატბ.: 320)

წარავლინა მეფემან მოციქული მოყვანებად კათალიკოსისა... (ჯანაშ.: 196)

გერმანული წინადადება ლუკას სახარებიდან (Luc. 2,1-7; aus dem Tatian, deutsche Übersetzung um 830 Jahr, ahd.) იგივე მოვლენა გვხვდება

Uuad tho gitân in thên tagun, franquam gibot fon demo aluualten keisure... Fuour tho Joseph fon Galileu fon thero burgi thi u hiez Nasareth... (Mettke (Hrsg.) 1982: 146)

ხაზგასმულია წინადადების თავკიდურში მდგომი ზმნები და ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც მე-9 საუკუნისათვის გერმანულ ენაში უკვე არტიკლის შემოტანის საწყისებზე მიუთითებენ. ამავე პერიოდში კი ქართული იწყებს არტიკლის დაკარგვას. გერმანულ არტიკლს პირისადმი მიმართება არასოდეს ჰქონია. დღემდე ის განსაზღვრულ-განუსაზღვრელობისა და სქესის კატეგორიის მქონეა.

ქართული გარდაქცევითი დამატების ნიმუშები:

(გარდაქცევითი – შებრუნებული, შეცვლილი, მიდრეკილი, მრუდე (ილ. აბულ.: 86, 87) კითხვაზე: რა? – რად?

და მოციქულად და მახარებლად შეემკო (შატბ.: 324)

წარიღო ესე საგზლად სულისა (შატბ.: 324)

და თან-ჰყვანდეს კერპნი ღმერთად – გაცი დაგა (შატბ.: 320)

საინტერესოა, დამატების რომელი სახეობა იგულისხმა ა. შანიძემ გარდაქცევით დამატებაში? მსგავსი მოვლენა გერმანულ ენას არ მოეპოვება, ვფიქრობთ, შესაბამისად, არც სხვა ინდოევროპულ ენას.

5) დასკვნა:

გამოიკვეთა ქართული და გერმანული ენების შემდეგი ტიპოლოგიური შტრიხები, რამაც ბოლო ათასწლეულის ენის ფსიქოლოგიაზე წარმოდგენა შეგვიქმნა:

1) ქართული ლექსემა პოლისემანტიკურია, 4-5 (ზოგჯერ კი 9) მნიშვნელობის მატარებელი, რომელთაგან თანამედროვეობამდე ენას ან არცერთი შემორჩა, ან რომელიღაც ერთი (იშვიათად, ორი) განაგრძობს არსებობას. ასეთ მოვლენას გერმანული ენის დიაქრონულ დისკურსში ვერ ვხვდებით.

2) ქართულში ფონეტიკურად გამორჩეულია ხმოვანთა სიმრავლე წარსულში, დიფთონგებისა და უმლაუტების (სვანურის მაგალითზე), ხმოვნების: ა, ჟ (ოჰ, ჰოე), ჳ (ჰე) არსებობა ხუთ ძირითად ხმოვანთან ერთად, მიგვანიშნებს კავკასიურ არეალში ქართული ხმოვნების გამარტივება-შეკვეცის პროცესზე. გერმანულ ენაში კი აქტიურად მიმდინარეობდა დიფთონგიზაცია-მონოფთონგიზაციისა და უმლაუტიზირების ისტორიული პროცესები, ხმოვნების, ნახევარხმოვნების სიგრძე-სიმოკლისა და მახვილიან და უმახვილო მარცვლებში ალოფონური სახეობების ჩამოყალიბება, რაც ამჟამადაც შენარჩუნებულია. ასეთი რამ ქართულს არ ახასიათებს.

3) ბრუნვათა რაოდენობა და პოლიფუნქციურობა (განსაკუთრებით სახელობითი, მიცემითი, ვითარებითი) ქართულში და მათში გრამატიკულ კატეგორიათა სინთეზირება გერმანულ ენაში ანალოგს ვერ პოულობს და ამ ენათა აშკარა ტიპობრივ სხვაობაზე მიგვანიშნებს.

4) V-X საუკუნეების ქართულ ენაში არტიკლი გამოკვეთილად აქტიურად გამოიყენება, ამავე პერიოდის გერმანულ ენაში არტიკლი აქა-იქ იჩენს თავს, იწყებს განვითარებას.

5) წინადადება – ნექსური, იგივე აზრობრივი წინადადება მარტივი გავრცობილი წინადადების სტრუქტურით, ჯერ კიდევ რუსთაველთან ფართოდ გამოყენებული (იხ. ანდერძი ავთანდილისა), დღესაც შენარჩუნებულია ქართულში მცირე სახესხვაობით.

თანამედროვე გერმანულ ენაში ძალზე აქტუალურია ნექსუსი თავისი ინფინიტივური კონსტუქციებით.

ლიტერატურა:

1. Brockhaus/Wahrig 1981: Deutsches Wörterbuch in 6 Bdn., Hrsg. v. Gerhard Wahrig/Hildegard Krämer/Harald Zimmermann, B.2. F.A. Brockhaus. Wiesbaden. Deutsche Verlagsanstalt. Stuttgart.
2. Demandt, Alexander 2007: Über die Deutschen. Eine kleine Kulturgeschichte. Ullsteinbuchverlage. Propylän. Berlin.
3. Джонсон, М. 2004: Метафоры которыми мы живем. Москва.
4. Draaisma, D. 1999: Die Metaphernmaschine. Eine Geschichte des Gedächtnisses. Darmstadt: Primus.
5. Duden 1998: Grammatik der deutschen Gegenwartssprache. Band 4. Dudenverlag, 6. neubearb. Aufl. Mannheim Leipzig Wien Zürich.
6. François, Etienne/Schulze, Hagen (Hrsg.) 2009: Deutsche Erinnerungsorte III. Verlag c.h.Beck. München.
7. Fried, Johannes 2015: Die Anfänge der Deutschen. Der Weg in die Gschichte. Ullsteinbuchverlag. Propylän. Berlin.
8. Lewandowski, Theodor 1994: Linguistisches Wörterbuch, 2 (in 3 Bdn.) 6. Aufl. Quelle Meyer Verlag. Heidelberg Wiesbaden.
9. Lück, Helmut E. 2009: Geschichte der Psychologie. Strömungen, Schulen, Entwicklungen. 4. überarb. Aufl., Verlag W. Kohlhammer. Stuttgart.
10. Mauthner, Fritz 2015: Gesammelte Werke. Philosophische Schriften. Kulturgeschichtliche Werke – Romane + Erzählungen + Autobiographie. ©e-artnow 2015.
11. Mettke, Heinz 1982: Älteste deutsche Dichtung und Prosa. Ausgewählte Texte. Literaturgeschichte Einleitung. Verlag Philipp Reclam juni. Leipzig.
12. Metzler Lexikon Sprache 2000: Hrsg.v.Helmut Glück. Verlag J.B. Metzler, 2. erweit. Aufl., Stuttgart Weimar.
13. Ревзина, О.Г. 2006: Память и язык. В кн.: Критика и семиотика. Вып. 8. с. 10-24.
14. Рикер, Поль 2004: Память, история, забвение. Москва.
15. Staueuble, Irmgard 1985: „Subjektpsychologie“ oder „subjektlose Psychologie“ – Gesellschaftliche und institutionelle Bedingungen der Herausbildung der modernen Psychologie. In: Mitchell G. Ash/Ulfrid Geuter (Hrsg.) 1985: Geschichte der deutschen Psychologie im 20. Jahrhundert. Ein Überblick. Westdeutscher Verlag. Opladen. WVstudium. B.123. S. 19-44.
16. Solso, Robert L. 1988: Cognitive Psychologie. Second edition. Allyn and Bacon. Inc. 1988. Русское издание: Солсо Р.Л. Когнитивная психология. пер. с англ. М. 1996. Гл. 7.
17. Wundt, Wilhelm 1908: Logik der Geisteswissenschaften. Ferdinand Enke. Stuttgart.
18. აბულაძე, ილია 1973: ძველი ქართული ენის ლექსიკონი. გამომც. „მეცნიერება“. თბილისი.
19. გორდუზიანი, რისმაგ 2007: მედიტერანულ ქართველური მიმართებები. III. თბილისი.
20. სულხან-საბა 1991: ლექსიკონი ქართული, 1. გამომც. „მერანი“. თბილისი.
21. სუმბაძე, დენიზა 2006: ქალდეაში წარმოებული გათხრების მნიშვნელობა ქართველთა საწყისი ისტორიისათვის (კირიონ II არქივში მოპოებული გამოკვლევის მოკლე მიმოხილვა. იხ. თეოლოგიურ-საზოგადოებრივი გაზეთი „ერის ღირსება“, თბ. 2006: 19-20).
22. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. სახელგამი. თბილისი 1955. გვ. 166-168; 196-199.
23. შანიძე, აკაკი 1976: ძველი ქართული ენის გრამატიკა, თსუ-ს გამომც., თბილისი.
24. ჩიქოვავა, არნოლდ 2008: ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი.
25. ცინცაბაძე, მარინე 2015: აღმოაჩინე ათასწლეულების საქართველო, იბერიულ-წინარექართული ცივილიზაცია ძვ.წ. IV-ძვ.წ. II ათასწლეულები. თბილისი.
26. ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, 1, შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზ. ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. გამომც. „მეცნიერება“, თბილისი 1979, გვ. 320-327.

For the Issues of Some Typological Characteristics of Georgian Language in regard to Indo-European Languages

Abstract

For centuries, The meanings of words and phrases, language-specific metaphors and other linguistic means fix and store the processes and results which are referred to as ontological metaphors and are the result of people's creative activities, emotions, perception of ideas, etc. Language psychology contains the history, memory of ethnos. Inter-connection of language and perception- thinking conditions the circumstance that the language, and, consequently, the memory of the nation stores huge linguistic information, universal and unique. In historical discourse, language undergoes transformation of its levels during centuries. In the dislocation of discourse, semantics and structure of the past transfers into the present. Analysis of textual materials of the V-X c.c. showed new typological features in Georgian language. Some parallel matches appeared in German, and some were denoted with gap: polysemic nature of Georgian word, multi-functionality of cases, meaning-related load of simple sentence with the relevant linguistic phenomena (nexus) demonstrates uninterrupted line of diachronic projections of these two languages upto the present synchrony, till creation of new typical form.

საკვანძო სიტყვები: ენის ფსიქოლოგია, ნექსუსი, ეთნოფსიქოლოგია, კულტურულ-ისტორიული მემსიერება

Key words: Language psychology, nexus, ethnic psychology, cultural-historical memory, transitional object

ნინო ბერაძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

„ქართული ღმერთი“- ეროვნული იდენტობის გარანტი

ქართული მწერლობა მართოდენ სიტყვაკაზმული შემოქმედებითი სფერო არსადროს ყოფილა. დროისა და სიტუაციის შესაფერისად იტვირთავდა ხოლმე ხალხის წინამძღოლის როლს. იგი მუდამ იზიარებდა, განიხილავდა და განსჯიდა ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას. სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა პრობლემა წამოიწეოდა წინ ლიტერატურაში, აქტუალობიდან გამომდინარე. სოციალურ-პოლიტიკურ ტრაქტატებადაც კი შეიძლება განვიხილოთ ქართველ შემოქმედთა ნაწარმოებები, რომლებიც ქართული ეროვნული იდენტობის არსის განსაზღვრას ისახავდა მიზნად.

ფეოდალური საზოგადოების შედარებით მდგრად კულტურულ ერთგვაროვნებას ხელს დიდად უწყობდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, მოგვიანებით კი, მე-19 საუკუნეში, ეროვნული იდენტობის ჩამომყალიბებლის როლი იკისრა მხატვრულმა ლიტერატურამ.

ეროვნული იდენტობის საკითხების წინ წამოწევა, შეფარვით, განსაკუთრებით აქტუალური გახდა ტოტალიტარიზმის ეპოქაში, როდესაც იდეოლოგიად ყველაფერი ეროვნული. ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევრები ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში განსაკუთრებით გამოყოფენ შემდეგ კონცეპტებს: ენა- ენითი იდენტობა; რელიგია; ტერიტორიის კონცეპტი; პატრიოტიზმის კონცეპტი; ნაციონალური ხასიათისა და ვერბალური ავტოპორტრეტის კონცეპტი; საერთო მითები; გენდერული

კონცეპტები;გავლენათა შედეგები და იდენტობანი და საერთო კულტურა. ხშირად ამ მოცემულობათა მკვეთრი გამიჯვნა შეუძლებელიც არის.

„ქართული სახელწიფოს ისტორიის განმავლობაში დიად იდეას წარმოადგენდა ეროვნული თავისუფლების იდეა.იგი, ქრისტიანობასთან ერთად, გახდა ეროვნული იდენტობის მოპოვებისა და შენარჩუნების აუცილებელი პირობა” (ადა ნემსაძე. 2009.85).ტრადიციული სახელმწიფოები ძირითადად მრავალეთნიკურია.ეთნიებს შორის განსხვავება ქრება, თუ მათ შორის არ არის რელიგიური დაპირისპირება.ხშირად „იდენტობებიც ისეა აგებული“, რომ განმსაზღვრელი რელიგიაა,ეს ძირითადად ეხება აღმოსავლეთის ქვეყნებს,მათ შორის საქართველოსაც“(თ. ბოლქვაძე. 2010.13). „ქართული ქრისტიანობის“ ერთ-ერთი მახასიათებელი მშობლიურ ენაზე მიმდინარე ლიტურგიაა.ქრისტიანობის შემოსვლიდანვე კულტურულად დაწინაურებული იბერია დაუპირისპირდა ბერძნულ ქრისტიანობას და არა მარტო ბერძნულს, არამედ სომხურს (სომხეთში,ტაოში,სპერში,შირაკში), ალბანურს (ჰერეთში), და ენა იყო ის მთავარი მომენტი, რომლის საფუძველზეც ეს კულტურული მოქიშპეობა მიმდინარეობდა“ (ნ.ბერძენიშვილი,1975,414-415). ამიტომ ის ,რაც მეათე საუკუნეში განაცხადა გიორგი მერჩულემ, მეცხრამეტე საუკუნეში ფორმულად ჩამოაყალიბა ილია ჭავჭავაძემ - „მამული, ენა, სარწმუნოება.“

ინტერესს იწვევს მიხეილ ჯავახიშვილისდამოკიდებულება ეროვნული იდენტობისადა მისი მნიშვნელობის მიმართ: „ყმაწვილებო, ამ ქვეყნად მრავალნაირი მოვალეობა არსებობს: წინაშე მეფისა თუ სხვა რომელიმე მთავრობისა, რომელსაც შეჰფიცე, წინაშე ოჯახისა.... წინაშე მშობლებისა.... ეს, რა თქმა უნდა, თქვენი საქმეა... ახლმა თაობამ მრავალი ძველებური მოვალეობაც დაივიწყა, მე კი ძველი კაცი ვარ და ბავშვობიდანვე სისხლსა და სულში ძველი ზნეობრივი ნორმები მაქვს ჩასხმული“.....აღნიშნავს ალვა ჯავარიძე თავისი ამბის მოყოლისას(მ. ჯავახიშვილი.1973.15).მეფის წინაშე მოვალეობა და ერთგულება -ესეც სისხლსა და ხორცში გამჯდარი ჰქონდათ ქართველებს და ეროვნულ თვისებას წარმოადგენდა, ვინაიდან ბაგრატიონები სამშობლო-საქართველოსთან ასოცირდებოდნენ.„ბაგრატიონთა სამეფო დინასტია არის იესიან-დავითიან-სოლომონიანი,სწორედ ასე იწყება ქართველ მეფეთა ბრძანება განკარგულებანი: „ჩვენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატიონმან მეფეთა მეფემან“.ქართველი ბაგრატიონები ებრაელ მეფეთა შთამომავლებად თვლიდნენ თავს, რადგან იესეც, მეც მისი- დავითი, სოლომონიც- მე დავითისა, სახარებაში მოხსენებულნი არიან ქრისტეს წინაპართა შორის. მაშასადამე, ქართველი ბაგრატიონები და ქრისტე ნათესავები არიან.ეს კი ქართული სამეფო დინასტიის განსაკუთრებულობას მოწმობდა.ამასთან ერთად, ქართველი მეფეები გარკვეულ პერიოდში „მესიის მახვილად“ იწოდებოდნენ.ისინიდამცველნიც არიან და გამავრცელებელნიც ქრისტეს მოძღვრებისა.ქართული ჰაგიოგრაფია ასეთ აზრს ატარებდა: თუკი საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა,, ქართული ის ენაა, რომლითაც უნდა ელაპარაკოს უფალი კაცობრიობას მეორედ მოსვლის ჟამს, ბაგრატიონები კი ქრისტეს ნათესავები არიან, ცხადია,ქართველი ხალხი საგანგებო , განსაკუთრებული მისიის მქონეა.იგი მოვალეა ეს მისია ადასრულოს. ქართული ეკლესია (სამეფო ხელისუფლება) ისტორიულ ასპარეზზე ამ იდეით წარმართავს, ამოქმედებს ქართველ ხალხს“ (თ. ბოლქვაძე, 2010 .27).

მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შედეგად ქართველთა დიდი ნაწილი დამპყრობლის სამსახურში ჩადგა. იმპერატორისადმი მსახურება გაიგივდა სამშობლოს მსახურებასთან, რაც აისახა იმდროინდელი საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაში, ამან კი საფრთხის ქვეშ დააყენა ეროვნული იდენტობა .

„დავაშავე წინაშე ჩემთა წინაპართა“- წაიბურტყუნა მამაჩემმა და ამ სიტყვებით ბევრი რამ გამაგებინა. მეც დავაშავე. ჩვენ ჩვენი ძალ-ღონე სხვას შევწირეთ და ჩვენი ბებრუცანა მშობელი - ღარიბ-ღატაკი, მიღებული და უპატრონო მშობელი მაშინდა გავიხსენეთ, როცა იქ, სხვის ქვეყანაში, უკლებლივ ყოველივე დავკარგეთ, ლხინი სხვაგან, ჭირი კი დედასთან - ასე დაგვემართა გადახვეწილებს. ჩვენი მშობელი, ჩვენი ბებრუცანაც დედინაცვალივით

დაგვიხვდა. ყმაწვილებო, ერთი რამ დამიჯერეთ, მშობელს ნურასოდეს ნუ აკადრებთ განკიცხვას, გაქირდვას და გამტყუნებას. თორემ ბოლოს და ბოლოს მწარედ ინანებთ. მას აქვს იდუმალი გონება და სამართალი. იგი ბრძენია, პირ-უთვნელი, და, ვინც მას გადაუდგება, თვითონვე დაიწყევლება და დაიღუპება. ფრთხილად ყმაწვილებო, ფრთხილად იყავით“ (მ.ჯავახიშვილი.1973.16).

იდენტური შინაარსის მქონე ჩანაწერს ვხვდებით მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკში, რომელიც შეიძლება მოთხრობა „ხუთის ამბის“ ერთგვარ გეგმადაც მივიჩნიოთ, რომელმაც მსგავსი განვითარება მიიღო: „თემა: ქართველმა მთელი თავისი სიცოცხლე რუსეთს შესწირა, მერე უკვე ღრმა მოხუცი, სამშობლოს დაუბრუნდა... პენსიისათვის. მიხვდა და თავი მოიკლა“ (უბის წიგნაკიდან, 2005.203). სამშობლო ასოცირდება მშობლიურ ენასთან, მის ფლობასთან. ალვა ჯავარიძე, მოთხრობა „ხუთის ამბავში“, სიამაყით აღნიშნავს, რომ „ჩემთვის მკვდარსა და ეხლა მკვდრეთით აღდგენილ ქართულზე...“ შეუძლია საუბარი. საინტერესოდ წარმოაჩენს ეს პერსონაჟი ოჯახის წევრების დამოკიდებულებას ქართული ენისადმი. „...ჩემს დედ-მამასა და ცოლსაც ქართულსა და ქართველს ვერ გააგონებდით(დედა რუსია და რუსის ქალივე შერთო ვაჟს, ქართველი მამა რუსისგენერლადიქცა).მწერალმა აქ წარმოაჩინა რუსეთის, იმპერიის, დამოკიდებულება დაპყრობილი ქვეყნის მიმართ. მოთხრობის მოქმედ პირებშიეროვნულის დაბრუნება სწორედ ქართულის სწავლებით იწყება... ჩემი ქართული ენის ნაფლეთები შევასწაღე ჩემს ქალიშვილს... ქართული სახელი მზეხა დავარქვი ... ჩემი სიდედრი დიდხანს ურჩობდა, მაგრამ ბოლოს ისიც მოტყდა: საქართველოს ისტორია გადაიკითხა და ნინო-თამარ-ქეთევანი წმინდანებად აღიარა.“ ქართულმა ენამ „დაკარგული ოჯახი“ ისტორიასა და რწმენას დაუბრუნა.

გავიდა დრო და ცარიზმი ბოლშევიზმმა ჩაანაცვლა, საქართველოსათვის კი არაფერი შეიცვლა, კვლავ იმპერიალისტური დამოკიდებულება. მიხეილ ჯავახიშვილის ჩანაწერებშიწავაწყდით ერთ საინტერესო ფრაზას, რომელშიც ზუსტად ვლინდება წყობილებისადმი დამოკიდებულება: „კომკავშირელები ჯერ არ დაბადებულყვნენ, რომ უკვე დაბერდნენ“ ან კიდევ: „ბოლშევიზმი უმწიკვლო და უზადო სარკეა რუსის ხალხის. იგი მისი შვილიც არის, დედაც, შობილიც, მშობელიც. ორივე ერთია, განუყრელია. ვინც ეს ჭეშმარიტება გაიგო, მან ყოველივე გაიგო. დროა გათავდეს უყალბესი ზღაპარი, ვითომ ხალხი სხვა იყოს, ბოლშევიზმი კი რაღაც განყენებული, ციდან ჩამოვარდნილი რისხვა. ვინც ასე მსჯელობს, თავს ვერ დააღწევს სქოლასტიკურ პოლიტიკას ან პოლიტიკურ სქოლასტიკას“(უბის წიგნაკიდან, 2005.206).

მიხეილ ჯავახიშვილს ერთმნიშვნელოვნად ილიას გზა აქვს არჩეული დაალბათ სწორედ ამიტომაცაა მისი შემოქმედება, უმცირესი ჩანაწერების ჩათვლით, ერთგვარი მხილება: „საქართველო ისეთ დღეშია, რომ ერთი პატარა ბანკი იყიდის და გაჰყიდის ჩვენს მიწა-წყალს, ხალხსა და სინდისს“ (უბის წიგნაკიდან. 2005. 195).

ესფრაგმენტები მწერლის ჩანაწერებიდან ერთ რამეს უდავოდ ადასტურებს, მიხეილ ჯავახიშვილს არ ახასიათებს პათეტიკა, მაშინაც კი, როდესაც თითქოს უკვე აღიარებულ ჭეშმარიტებაზე, ქართული ხასიათის დადებითად მიჩნეულ თვისებაზე საუბრობს, მაშინაც კი არ ასვენებს ეჭვი, რომ სინამდვილეში ეს ყველაფერი ურთულდება ქართველს ყოფაცხოვრებას. იგი შორსაა იმ აზრისგან, რომ ყოფა, რომელშიც იმდროინდელი საქართველო იმყოფებოდა, მხოლოდ გარემო პირობებისა და მდგომარეობის ბრალი იყო. მასთან ვერ შევხვდებით წარსულის გაიდებალბასა და რომანტიზებას, რითიც გამოირჩეოდნენ საბჭოთა სისტემასთან იდეურად დაპირისპირებული სხვა მწერლები. თუმცა, კრიტიკული დამოკიდებულება არამც და არამც არ გულისხმობს ნიჰილიზმს და საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული შეხედულებების მიზანმიმართულ ნგრევას, რასაც, არცთუ იშვიათად, დღესვხვდებით და მეტად აქტუალურია.

ტერიტორიულ-პოლიტიკური საზღვრები მხოლოდ გარეგნული მხარეა სახელმწიფოს არსებობისა და ფაქტია, რომ მისი იდეოლოგიური მთლიანობის განსზღვრა მხოლოდ ამ ფაქტორების გათვალისწინებით ვერ მოხერხდება. რელიგია, რწმენა, ეკლესია-

მონასტრები თავის დროზე ქვეყნის სახელმწიფოებრივ იდეოლოგიურ საყრდენად მიიჩნეოდა, ამიტომ აღნიშნავს გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“- სადაც ქართული წირვა-ლოცვა აღესრულება,ის საქართველოა.

საყურადღებოა გიორგი მერჩულის მიზანი, ისტორიული პირის ცხოვრების აღწერის პარალელურად აღწეროს ვითარება, რომელის დროსაც ნაბიჯ-ნაბიჯ იქმნებოდა სხვა უფრო მეტად მნიშვნელოვანი, ვიდრე მხოლოდ საზღვრებია და ტერიტორიები. გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობამ ჩაუყარა საფუძველი სახელმწიფოს მომავალი იდეოლოგიის შექმნას და ამ ყველაფერში მთავარი ფუნქცია ეკლესიამ იტვირთა. იმ დროს ასე იდგა საკითხი - იდენტობას ინარჩუნებდი იმით, რაც სხვისგან განგასხვავებდა და ეს, გვინდა თუ არ გვინდა, იყო რწმენა. ქართული კულტურა ქრისტიანული ხასიათისა იყო.

მშრალი არსის მატარებელი რელიგია ნამდვილად ვერ გახდება ეროვნული იდენტობის განსამზღვრელი, რადგან რელიგია, უპირველესად, ინდივიდუალური ურთიერთობის სფეროა, როგორც კი ამ დანიშნულებას დაკარგავს, აი, მაშინ შეიძლება იქცეს ექსპანსიის იარაღად. სწორედ ამას გულისხმობს ბატონი ლევან გიგინეიშვილი, როდესაც ამბობს: „არის რისკი, როდესაც ესა თუ ის რელიგია ეროვნულ იდენტობასთან ისეა ასოცირებული, რომ ადამიანს დაეჭვების შემთხვევაშიც კი გაუჭირდეს გაბედულად გამოიძიოს ეს ეჭვი იმის შიშით, ვაითუ ეროვნული იდენტობა არ შემერყესო. ამიტომ ტრადიციულ რელიგიას იღებს“სრული პაკეტიტ“, აპრიორულად, უკამათოდ, კრიტიკული გამოძიების გარეშე. აქ საფრთხეა, რომ რელიგია შეიძლება აღარ გამოხატავდეს თავის ნამდვილ არსს, რომელიც სულაც არ არის ეროვნული იდენტობის ნაწილად ყოფნა. რა რელიგიაა ის რელიგია, რომელსაც ადამიანი გაგების და კითხვების დასმის გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ თავის საზოგადოებაში პრობლემების შექმნის, გარიყვის ან თუნდაც იდენტობის მოდიფიკაციის შიშით მისდევს? მით უმეტეს, ქების ღირსია, როდესაც ასეთი ტრადიციული რელიგიურ-ეროვნული იდენტობის მქონე ერის წარმომადგენელი გულწრფელად იტყვის თავის ფიქრებს, ეჭვებს ან თუნდაც თავის, ტრადიციის საპირისპირო პოზიციას გამოაშკარავებს. ამგვარი გულწრფელობა ბადებს ახალ რეალიებს და კაცობრიობის პროგრესიც ასეთ გაბედულ და გულწრფელ მოაზროვნეებზე დგას.“ (გიგინეიშვილი ლ.) სწორედ ასეთი მიდგომა შეინიშნება მიხეილ ჯავახიშვილთან, რომელიც ყოველთვის კრიტიკულია მსგავსი საკითხების შეფასებისას. მის ერთ-ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: „... 1929 წ. აგვისტოში ქართველი ალპინისტები ჯაფარიძის მეთაურობით ავიდნენ ბრუტ-საბძელას მწვერვალზე, სადაც „ჯერ არავინ ასულიყო“, და იქ, ოთხ ნიშას წააწყდნენ. ჩვენს წინაპრებს ამ მიუვალ მთაზე ოთხი ეკლესია აუშენებიათ. მაგონდება ბეთლემის მონასტერი ყაზბეგზე და ათასი მსგავსი ეკლესია, აშენებული მართლა ღვთისათვის და არა ხალხისთვის. როგორც ეტყობა, განდევნილობა ძლიერ ყოფილა გავრცელებული. შახაბასმა გარეჯის უდაბნოში ერთ ღამეს 6000 ბერი გასწყვიტა. მაშ საქართველოში ასი ათასი მაინც იქნებოდა. რელიგიური მწვალებლობა არ ყოფილა, ბერობას კი ქვეყანა შეუჭამია. ბრუტ-საბძელას მაგალითი კიდევ იმას გვეუბნება, რომ ჩვენს წინაპრებს მოუვლელი ერთი მტკაველიც არ დარჩენიათ და საქართველოს გეოგრაფიაც ჩვენზე უკეთ სცოდნიათ“(უბის წიგნაკიდან, 2005, 237).

როგორც ამ ჩანაწერიდან ჩანს, მიხეილ ჯავახიშვილი კრიტიკულია ინსტიტუციის მიმართ, მაგრამ აღიარებს ცოცხალი რწმენის აუცილებლობას პიროვნული და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაში. უბის წიგნაკში პუბლიცისტს

ჩაუნიშავს: „ვინც ღმერთს ემსახურა, ის უეჭველად მოყმეს კი არ ემსახურა, ხოლო ვინც ხალხს ემსახურა, ის უეჭველად ღმერთს ემსახურა“ (ბერის და მისი ანტიპოდის ტიპები ამ დებულებაზე აშენდნენ) (უბის წიგნაკიდან,2005.324). ჯავახიშვილისათვის რწმენა საკუთარი ხალხის სამსახურში ყოფნას და მისთვის ღვწას ნიშნავს,მისი რწმენა აქტიურია. ეს თვალსაზრისი მხოლოდ ერთი ციტატის მიხედვით რომ არ ჩნდება, ფაქტია, სხვაგან ვკითხულობთ: „სატანას მხოლოდ ქრისტე მოერევა. მარქსის შხამს მხოლოდ სახარება გაჰკურნავს. ყოველივე დანარჩენი უქმი ლაყბობაა და მეტი არაფერი“ (უბის წიგნაკიდან,2005.285).მიხეილ ჯავახიშვილისაქართველოს აღორძინებას რწმენის

დაბრუნებას უკავშირებს.წერილში „მასალები ლექციისათვის“ წერს: „...ქართველის გულში თვალიც ვერ მოჰკრა სიმართლეს, ღვთის ხელს ან ამ ანგელოზს ...საჭიროა სიმართლის აღდგენა, ანგელოზის მოძებნა და პოვნა, თორემ არ ძალუძს უანგელოზოდ ცხოვრება და განვითარება არც ცალკე პიროვნებას, არც ეროვნებას, არც რომელიმე მის ნაწილს. ... რწმენა და განვითარებული გონება ანსხვავებსმეტყველ ადამიანს ურწმუნო პირუტყვისაგან. ... ურწმუნოებას კი ფეხდაფეხ მოსდევს სკეპციზი და ცინიზმი, გარინდება და ნირვანა, ნებისყოფის აბულია და სიკვდილი, ან უფრო უარესიც - ზნეობრივი გახრწნა, ეროვნულ-ფიზიკური დეგენერაცია, ასნაირი ბოროტება, ავაზაკობა და ისევ უსახელო სიკვდილი“ (მ.ჯავახიშვილი,2001.652).

რწმენა ქართველთა ეროვნული მახასიათებელი იყო საუკუნეების განმავლობაში, სწორედ ის აძლევდა ძალას მიწასთან გასწორებულს ფეხზე წამომდგარიყო.ის მახვილითა და რწმენით უფრო აშენებდა მომავალს, „ ვიდრეჩაქუჩითა და წერაქვით“. საქართველოში დაბრუნებული, უფრო მეტი, საკუთარ სოფელში დაბრუნებულიაღვა ჯაფარიძე, რომელმაც რუსეთის ტრამალებზე დატოვა მამა, დედა და ცოლიც, უგზო-უკვლოდ დაკარგა ერთადერთი ასული, როცა არ მუშაობდა, „ესე იგი,- როგორც თავად აღნიშნავს,- როცა მიწას არ ვჩიჩქნიდი, რომელიმე წიგნს გადავშლიდი (ის უკვე ქართულად კითხულობს - ნ.ბ) , ან კიდევ წარსულ ლანდებს დავდედი. შოთა რუსთაველი ყოველივეს მავიწყებდა. ... ჩვენი ისტორია სასოწარკვეთილებაში მაგდებდა. მხოლოდ ფსალმუნი და საერთოდ, საღმრთო წერილი მანუგებებდა“ (მ.ჯავახიშვილი 1973.21) .

მიხეილ ჯავახიშვილი ჩანაწერებში აღნიშნავს: „ტფილისი უმშვენიერესი თეთრი ტაძარია, აშენებული მილიონ ქართველი წმინდანის ძვლებზე. მაგრამ ამ წმინდა ეკლესიაში ორასი ათასი ქვემძრომი ცხოვრობს. თეთრი გიორგი უნდა მოვიდეს და გაწმინდოს ეს შებილწული ადგილი. მხოლოდ მაშინ შევძლებ შევიდე შიგ და წმინდა გულით ვილოცო ქართული ღმერთი“ (უბის წიგნაკიდან,2005.324). ვფიქრობთ, ჩანაწერებში არსებული ეს შესიტყვება - „ქართული ღმერთი“ ზუსტად ასახავს მიხეილ ჯავახიშვილის დამოკიდებულებას ეროვნული იდენტობის საკითხისადმი.

ლიტერატურა:

- 1.ბერძენიშვილი ნ (1975):საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VIII.თბილისი
- 2..ბოლქვაძე თ.(2010): ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა:ილიას „ივერია“.გამომცემლობა „უნივერსალი“.თბილისი
- 3..გიგინეიშვილი ლ., burusi.ge
- 4..ნემსაძე ა.(2009): იდენტიფიკაციის პრობლემა ოთარ ჭილაძის რომანებში.გამომცემლობა „მწიგნობარი“.თბილისი.
5. შოშიაშვილინ. ტრადიციულისახელმწიფოდანაციონალურისახელმწიფო
. Read more at: <http://european.ge/nukri-shoshiashvili-tradiciuli-da-nacionaluri-saxelmwifo/>
Copyright © European.ge
- 6..ჯავახიშვილი მ. (1973) :თხზულებანი რვა ტომად.მოთხრობები.ტ.III გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.თბილისი
- 7.ჯავახიშვილი მ. (2001): წერილები.თბილისი
- 8.ჯავახიშვილი მ. (2005): უბის წიგნაკიდან. გამომცემლობა „ინტელექტი“.თბილისი.

Nino Beradze

Iakob Gogebahsvili State University, Telavi

Georgian God- A Guarantee of National Identity

Abstract

Georgian writing used to take a role of a leader in accordance with a period and a circumstance. What Giorgi Merchule stated in the 10th century, It was formulated by Ilia Chavchavadze in the 19th century as “Motherland, Language and Religion”. In Mikheil Javakhishvili’s creative work his

attitude towards the national identity is expressed like that “Dear juveniles, there are all sorts of obligations in the world. From my early childhood, old moral norms are implanted in my soul or blood.” (Mikheil Javakhishvili, 1973, 15)

The identical content can be seen in his notebooks as well. The phrase that was stated about Soviet Georgia in the last century can be matched to our contemporary life: “Georgia is in such a need that just one little bank will buy and sell our territories, people and conscience” (The note-book, 2005, 195) Our history drove me to despair. Only psalm and generally, the Holy Writ consoled me”. The syntagma “Georgian God” precisely describes Mikheil Javakhishvili’s way of thinking and more specifically, his attitude towards the National Identity

Key Words: Faith, National Identity, Mikheil Javakhishvili

საკვანძო სიტყვები: რწმენა, ეროვნული იდენტობა, მიხეილ ჯავახიშვილი

თინათინ ბერიაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

კონცეპტ „ღვინით“ მიღებული ქართული და ფრანგული ფრაზეოლოგიზმების სემანტიკური იდენტობები

სტატია გვინდა დავიწყოთ დიდი გერმანელი ლინგვისტის ჰუმბოლდტის სიტყვებით: „ენა არის ერის სული და ერის სული არის მისი ენა“. ერის მატერიალური და სულიერი კულტურის შესასწავლად და გამოსავლენად კი, საჭიროა, გამოვიკვლიოთ ენის ფრაზეოლოგიური დონე, რომელიც ამ თვისებების საუკეთესო ამსახველია. ფრაზეოლოგიური ერთეულების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს თუნდაც იმიტომ, რომ მათ შესაძლოა, შემოგვინახონ და სიცოცხლე შეუნარჩუნონ ისეთ სიტყვებს, რომლებიც მივიწყებულია და სალიტერატურო ენაში აღარ გამოიყენებიან აქტიურად: **აზამბარში მოყვანა, ღვინის კოკობი, ლართხი გამოუჩინე ჭიქას...** და სხვა მრავალი, რომელთა დავიწყება და ლექსიკიდან გაქრობა, არ შეიძლება.

ლექსემა „ღვინო“ წარმოდგენილია მდიდარი ფრაზეოლოგიური კორპუსით, როგორც ქართულ, ასევე, ფრანგულ ენაში და სამართლიანად აქვს მინიჭებული ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტის სტატუსი. აღნიშნულ თემაზე მოძიებული ფრაზეოლოგიზმების ზედაპირული გადახედვა ასეთ სურათს გვაძლევს: ჩვენ ვხვდებით იმ ადამიანთა სამყაროში, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ღვინის წარმოება-მოხმარებასთან. აღწერილია მათი დამოკიდებულება ღვინისადმი, მათი გამოცდილება თუ ქცევა სხვადასხვა სიტუაციაში. ისინი არ შემოიფარგლებიან ღვინის, როგორც მხოლოდ სასმელის აღწერით, არამედ გადმოგვცემენ იმ ემოციებს, რომელიც დაკავშირებულია მათ სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობასთან, ღვინოსთან მიმართებაში. როგორც ქართულ, ასევე ფრანგულ ლექსიკას ლეიტმოტივად მიჰყვება: **ღვინო კარგია, სამარგებლოა, მაგრამ არა მოჭარბებული.**

როდესაც დავიწყეთ საკითხზე მუშაობა, თავიდან შეგვექმნა განწყობა, რომ, ორი სხვადასხვა სისტემის ენის პირობებში, განსხვავებას აღმოვაჩენდით მეტს, ვიდრე მსგავსებას, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ ერთი სემანტიკური ველი განვიხილეთ, მსგავსებები აღმოჩნდა მხოლოდ სემანტიკური თვალსაზრისით.

თ.გამყრელიძის მიხედვით, „ტიპოლოგიური ანალიზი ხორციელდება იერარქიული ლინგვისტური დონეების მიხედვით. ეს გულისხმობს, რომ ერთმანეთს უნდა შეუდარდეს სხვადასხვა ენის ერთი და იმავე დონის სისტემები (ფონოლოგიური, მორფოლოგიური,

სინტაქსური, სემანტიკური). შესაბამისად, დგინდება ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური უნივერსალიები“ (გამყრელიძე, 2008:401). ამ ეტაპზე ჩვენს მიზანს წარმოადგენს ლექსემა „ღვინით“ შედგენილი ქართული და ფრანგული ფრაზეოლოგიზმების სემანტიკური იდენტურობის წარმოჩენა.

პროფესორ ცისანა ბიბილეიშვილის სტატიაში „ღვინო ქართულსა და ფრანგულ ფრაზეოლოგიზმებში“, ვკითხულობთ: „როგორც შედარებამ დაგვანახა, ღვინოსთან დაკავშირებულ გამოთქმებს გარკვეულწილად უნივერსალური ნიშნები აქვთ, რაც არც გავლენით აიხსნება და არც ნასესხობით, თუნდაც შუალედური ენიდან“. სავარაუდოა, რომ ფრანგული და ქართული ენების პარალელური გამოთქმები ამ ენებში დამოუკიდებლად წარმოიშვა. საერთო საფუძველმა, ცხოვრებაზე დაკვირვებამ, ყოფაში არსებულმა რეალიებმა და საერთო ლოგიკამ ამ გენეტიკურად არამონათესავე და გეოგრაფიულად დაშორებულ ენებში, წარმოქმნა პარალელური გამოთქმები (კავკასიის უნივერსიტეტის შრომები - vinoge.com) .

მოძიებულ ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ფრანგებიც და ქართველებიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ღვინის ზომიერად დალევას, ხოლო შემდგომ, თავის ღირსეულად დაჭერას, რაც ხშირად უძნელდებათ მსმელებს. ასეთ შემთხვევაში, ირონია და დაცინვა არის მათი თანამდევი ორივე ენაში. ჩვენ მიერ მოძიებული პარალელური გამოთქმები დაყავით შემდეგ ჯგუფებად: ა) ღვინის ხარისხის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები, ბ) დალევის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები, გ) თრობის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები და დ) სხვადასხვა თემატიკიდან აღებული ფრაზეოლოგიზმები.

ა) ღვინის ხარისხის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები:

ქართული ფ ე	მნიშვნელობა	ფრანგული ფ ე	მნიშვნელობა
1. ზედაშე ღვინო	საუკეთესო ხარისხის ღვინო, ეკლესიაში გამოსაყენებელი ღვინო	Vin de messe	საუკეთესო ხარისხის, წირვაზე გამოსაყენებელი ღვინო
2. მონათლული ღვინო	წყალგარეული ღვინო	Vin baptisé	მონათლული ღვინო, წყალგარეული ღვინო
3. ღვინო აიძაფება	გაფუჭდება, აიმღვრევა	Vin qui file	ღვინო აიძაფება, გაფუჭდება, აიმღვრევა

ბ) დალევის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები:

ქართული ფ ე	მნიშვნელობა	ფრანგული ფ ე	მნიშვნელობა
1. ყელის ჩასველება	ცოტა ღვინის დალევა	Se mouiller le gosier	ყელის (დასველება) ჩასველება; ცოტა ღვინის დალევა
2. ღვინის გადაკვრა	სულმოუთქმელად, უცბად, სწრაფად დალევა	boire un coup	სულმოუთქმელად, უცბად, სწრაფად დალევა, გადაკვრა

3.ჭიქის დაცლა	ჭიქაზე ბევრი დალევა	ლვინის	Boire chopine à chopine	(ჭიქის ჭიქაზე დაცლა), ბევრი ლვინის დალევა
4.ლობურად სმა	ერთიმეორის მიყოლებით სმა		Boire à la ronde	(წრიულად სმა), ერთიმეორის მიყოლებით სმა
5.ჭიქის წაუქცევს	შესანდობარს დალევს		Faire les libations	შესანდობარის დალევა

გ)თრობის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები:

ქართული ფ ე	მნიშვნელობა	ფრანგული ფ ე	მნიშვნელობა
1.შეპერანგება	შეთრობა	rentrer en grande tenue	/საპარადო ტანსაცმლით დაბრუნება/შეთრობა
2.ლვინოს კარგად იტანს	ბევრს სვამს და არ ეტყობა	Il porte bien le vin	ბევრს სვამს და არ ეტყობა, ლვინოს კარგად იტანს
3.გოლვა ჩაგვიდგა ყელში	დალევა გვინდა, გვწყურია	rafraîchir la gorge	(ყელის გაგრილება) დალევის სურვილი
4.ლვინოში თავს იხრჩობს	ბევრ ლვინოს სვამს	se noyer dans le vin	ბევრ ლვინოს სვამს, ლვინოში თავს იხრჩობს
5.ლვინოში დარდის ჩაღრჩობა	დალევა დარდის დავიწყების მიზნით	Noyer son chagrin dans le vin	ლვინოში დარდის ჩაღრჩობა
6.თავში ასვლა ლვინისა	დათრობა	avoir du vin dans la tête	(თავში ლვინის ქონა), დათრობა, თავში ასვლა ლვინისა
7.ლვინით შეხურება	შეთრობა, შეზარხოშება	Il est chaud de vin	ლვინით /შემთბარია/შეზარხოშებულია, შემთვრალია
8.ლვინო გამონელდა	გამოფხიზლება, ალკოჰოლის გამოსვლა ორგანიზმიდან	Cuver son vin	გამოფხიზლება, ალკოჰოლის გამოსვლა ორგანიზმიდან

დ) სხვადასხვა თემატიკიდან ამოკრეფილი ფრაზეოლოგიზმები:

ქართული ფ ე	მნიშვნელობა	ფრანგული ფ ე	მნიშვნელობა
1.სადღეგრძელოს წარმოთქმა	სუფრაზე ვისიმე დღეგრძელობისთვის, კეთილდღეობისთვის, წარმოთქმული სიტყვა	Boire à la santé de quelqu'un	სუფრაზე ვისიმე ჯანმრთელობისთვის /დღეგრძელობისთვის/ შესმული სასმელი

	და შესმული სასმელი		
2.ფრჩხილზე ღვინის კოკობის დასმა	დანახვება, რომ სასმისი დაცლილია	Faire rubis sur l'ongle	(ფრჩხილზე ლალის დასმა) დანახვება, რომ სასმისი დაცლილია; საქმის დაბოლოება
3.ღვინო ახარებს გულსა კაცისას	ღვინო ადამიანს სიხარულს ანიჭებს	Le bon vin rejouit le coeur de l'homme	კარგი ღვინო ახარებს კაცის გულს

აღნიშნული გამოთქმები შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ტერმინები :

ქართული ფ ე	მნიშვნელობა	ფრანგული ფ ე	მნიშვნელობა
1. ღვინის ქუდი	ღვინის ზემოთ მოგდებული ჭაჭა	le chapeau du vin	ღვინის ქუდი
2.ღვინის გადაღება	ერთი ჭურჭლიდან მეორე ჭურჭელში გადასხმა	Tirer le vin	ღვინის გადაღება
3.ქვევრის დარევა	ჭაჭის ჩაძირვა ქვევრში	Pigeage	ღვინის ქუდის დასველება, ჭაჭის ჩაძირვა ქვევრში
4.ღვინის(ქვევრის) ქუდის ჩატეხვა	ღვინის თავზე მოგდებული ჭაჭის ჩატეხვა ღვინის დარევის დროს	Casser le chapeau du vin	ღვინის თავზე მოგდებული ჭაჭის ჩატეხვა ღვინის დარევის დროს
5.ღვინის დაყენება	ღვინის დამზადება	Faire du vin	ღვინის დამზადება

განვიხილოთ ქართული და ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა წარმოშობაც მოხდა, როგორც სოციალური, ასევე, პრაგმატიკული ფაქტორების შედეგად. სემანტიკურმა ანალიზმა დაგვანახვა, რომ ორი სხვადასხვა სისტემის ენის პირობებში, არსებობს მთელი რიგი ფრაზეოლოგიზმებისა, რომელთაც მსგავსი მნიშვნელობა გააჩნიათ. სემანტიკურად იდენტური ქართული და ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულების შეპირისპირებით გამოვავლინეთ სემანტიკური უნივერსალიები. ჩვენი აზრით, აღნიშნული მსგავსება გამოწვეულია საერთო თემატიკით და ასევე, ღვინის მიღება-მოხმარების მსგავსი ტრადიციებით.

ლიტერატურა:

- 1.გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., და შენგელაია ნ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- 2.თაყაიშვილი ა. (1961) ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები. საქართველოს სსრ მეც.აკადემიის გამომცემლობა.

3. ბიბლიეშილი ც. „ღვინო ქართულსა და ფრანგულ ფრაზეოლოგიზმებში“ კავკასიის უნივერსიტეტის შრომები -vinoge.com
4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი-თბილისი,1986
5. Dictionnaire des vins de France-Hachette 2008
6. <http://littre.reverso.net/dictionnaire-francais>
7. <http://www.littre.org>
8. »Le Robert Dictionnaire des synonymes nuances et contraires «, Paris, 2009

Tinatin Beriashvili

Iakob Gogebahsvili State University, Telavi

Semantic Identities of Georgian and French Phraseological Units connected with Concept “Wine

Abstract

The article deals with the analysis of the Georgian and French phraseological units – semantic universals. Their similarities in the frames of different system languages is caused by the existence of mutual topics and the similar traditions of producing wine.

Key words: Georgian, French, semantic universals

საკვანძო სიტყვები: ქართული, ფრანგული, სემანტიკური უნივერსალია

დარეჯან გაგნიძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

ანიმალიზმი ქართულ ხელოვნებაში

კავკასიის ხალხთა კულტურის თემატიკაში დიდი ადგილი ეჭირა ცხოველთა გამოსახულებებს, რომლებსაც საქართველოში უკვე ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანაში ვხვდებით. ხელოვნების ნიმუშების შესწავლისას გამოიკვეთა გამოსახვის თავისებური მხატვრული სტილი, რომელსაც „კავკასიური“ უწოდეს. ამ პერიოდისაა მაიკოპის (ჩრდილო კავკასია) ყორღანში აღმოჩენილი ორი ვეცხლის თასი, რომელსაც სტილიზირებული ფრინველები და ცხოველები ამკობენ. კოლხური დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნებისათვის დამახასიათებელი იყო ფანტასტიკური ცხოველების გამოსახვა, რომელიც ხშირად გვხვდება ლითონისაგან დამზადებულ ყოფით ნივთებზე. სახასიათო იყო ძაღლის თუ მგლისმაგვარი ცხოველის ფიგურა, რომლის წვრილი და გრძელი კისერი, პატარა მომრგვალებული თავი, წვეტიანი ყურები და სტილიზირებული ტანი დახვეული კუდით მთავრდებოდა. ცხოველის მოძრაობა საოცრად დინამიკურია. რაც შეეხება მგლის გამოსახულებას, გასათვალისწინებელია, რომ ქართველი ხალხის უძველეს რწმენა-წარმოდგენებში მას უდიდესი ადგილი ეკავა: ირმის, ცხენის, თევზის, ძაღლის და გველის კულტებთან ერთად. ცხოველთა კულტი მფარველი ნაყოფიერების ღვთაებასთან იყო დაკავშირებული. ყოველ ნადირს თავისი ღვთაება ჰყავდა, რომელიც ანთროპომორფული ან ზოომორფული სახის იყო. ზოომორფული მოტივების სიუხვეს სხვადასხვა ახსნა მოეპოვება, ერთ-ერთის მიხედვით ადამიანები ზოომორფული მოტივებით გამოხატავდნენ თავიანთ კოსმოგონიურ შეხედულებებს. ისინი გარემოს მათთვის გასაგები ცნებებით აღწერდნენ. მგლისა და ძაღლის კულტების არსებობა ძველ ქართულ ტრადიციაში ერთ სახეში ერთიანდებოდა. მწევრები გაიგივებულნი იყვნენ ღვთაებათა მწევარ-მგლებთან. ქართულ

კულტურულ ტრადიციაში ძალისა და მასთან ასოცირებული მგლის სიმბოლო მრავალ კონტექსტში ვლინდება. „მწევართა და ლაშქართა კულტი იმდენად იყო განვითარებული, რომ მათ სახელზე საგანგებო დღეობებიც კი იმართებოდა.“

ქართველებმა ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში დაიწყეს რკინის წარმოება. საყოველთაოდ ცნობილია ქართველი ტომების როლი მეტალურგიის განვითარებაში. ძველი ბერძენი მწერლები და ფილოსოფოსები: ესქილე, ქსენოფონტი, აპოლონ როდოსელი და სხვები სთვლიდნენ, რომ რკინა და ფოლადი პირველად ქართველთა ტომებმა, კერძოდ ხალიბებმა გააცნეს მსოფლიოს. ხალიბები ქართველთა მთიელი მოსახლეობის, კერძოდ კი ხევსურეთის წარმომადგენლები იყვნენ. რკინის საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნება გამოირჩევა ნატურალისტური და აბსტრაქტული ელემენტების შეთანხმებით. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს მთიულეთში, კერძოდ სტეფანწმინდაში აღმოჩენილი ლითონის პლასტიკა მეომრების და ცხენების გამოსახულებით. ყურადღებას იქცევს ცხენის რელიეფი: ლამაზად მოქნილი კისერი და მაღლა აწეული კუდი სირბილის მოძრაობას მიგვანიშნებს. ცხენის ტანი მორთულია გეომეტრიული ორნამენტით. გვხვდება ასევე ორთავიანი ცხენის გამოსახულებებიც. ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და მითოლოგიური მასალიდან ირკვევა, რომ ცხენის კულტი ცხოველთა მფარველ ნაყოფიერებისა და ასტრალურ ღვთაებებთან იყო დაკავშირებული.

არქეოლოგიურმა გათხრებმა მცხეთა-არმაზში ნათელი მოჰფინა ანტიკური კულტურის ძეგლებს საქართველოში, რომელიც ძირითადად ბერძნული ხელოვნების ზეგავლენით შეიქმნა. დასავლეთი საქართველო და კერძოდ კოლხეთი დაკავშირებული იყო საბერძნეთთან ძველი ელინური მითებით (მითები „არგონავტებზე“ და „პრომეთეზე“). ისევე როგორც ბერძნებს – პრომეთე, ქართველებსაც ყავდათ კოსმიური გმირი – ამირანი, რომელმაც ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა და ადამიანებს ასწავლა მისი გამოყენება, რაც უშუალოდ ლითონის წარმოებას და ხელოსნობის განვითარებას გულისხმობს. ბერძნული კულტურის ზეგავლენითაა შექმნილი ქამრის ლითონის ბალთები, რომლებზედაც ძირითადად ირმის, ცხენის და კვიცის რელიეფური გამოსახულებებია. ირემი ქართულ ფოლკლორში ზებუნებრივი ძალის მატარებელ ღვთაებათა სამყაროსთან დამაკავშირებელ არსებად გვევლინება. იგი არის მზისა და მთვარის ასულის მხლებელი, მისი რქების მეშვეობით შეიძლება ზესკნელში ასვლა, ირმის რქე და მისი წველა ღვთაებათა ხვედრია. ირემი ნადირთ ღვთაების ზოომორფული სახე უნდა იყოს. ამასთან იგი ნაყოფიერების ღვთაებასაც უკავშირდება. რაც შეეხება ხარს, მისი კულტი მთელ საქართველოში იყო გავრცელებული ადრე ბრინჯაოს ხანიდან. მეცნიერთა ნაწილი ხარს მთვარის „ნაწილიან“ არსებად მიიჩნევს, ხოლო ხარის რქებს მთვარის სიმბოლოებად, რომლებიც ასევე კავშირშია სიცოცხლის ხესთან.

საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ მრგვალი პლასტიკა თითქმის აღარ გვხვდება, სამაგიეროდ განვითარდა ქვაზე და ლითონზე რელიეფის ხელოვნება, რომლის თემას ძირითადად ქრისტეს, მარიამის და წმინდანთა ცხოვრების ამსახველი კომპოზიციები წარმოადგენდა.

როდესაც ქართულ ანიმალისტურ ხელოვნებაზე ვსაუბრობთ, ძნელია არ შევეხოთ მხატვარს, რომელმაც ქართულ ხელოვნებას შორს გაუთქვა სახელი. ცნობილია, რომ XIX – XX საუკუნის ანიმალისტური მხატვრობის სამშობლოდ ამერიკას და, კერძოდ, დისნეის ასახელებენ თავისი სახელგანთქმული მულტიპლიკაციური ფილმებით, მაგრამ ხმამაღლა შეიძლება ვუთხრათ მსოფლიოს, რომ დისნეიზე ადრე ჩვენ გვყავდა ნიკო ფიროსმანი, სულიერი ნათესავი მთის მგოსან ვაჟა-ფშაველასი. „ნიკო ფიროსმანაშვილის მიერ სამყაროს აღქმა და გააზრება ენათესავება ვაჟა-ფშაველასას – აქაც კოსმოსური და ლირიკული, გრანდიოზული და მცირე თავსდება მხატვრის შემოქმედებით დიაპაზონში: ეპოსური სურათები, („ბოლნისობა“, „ალაზნის ველი“) ნატურმორტები თუ ანიმალისტური

ნამუშევრები („ირემი“, „შველი წყაროსთან“). მხატვრისთვის ძვირფასია გადაჭრილი ხეც, შველიც და ალაზნის ველის პანორამული სურათიც. ამასთანავე, აშკარად ჩანს ვაჟასა და ნიკოს პიროვნულ ტემპერამენტთა განსხვავება: თუ ვაჟა მეამბოხეა, მარად ჩახმახშემართული მეზრძოლია, ნიკო მჭვრეტელია: იგი შეპყრუებს ქვეყნიერების დისკარმონიულობას და ეს „დაუწყობელი“ ყოფიერება მასში არ აღძრავს ბრძოლის ჟინს, არ იწვევს ცხოველ პროტესტს.“ როგორც ვაჟამ შეძლო თავის შემოქმედებაში აემეტყველებინა მთის ფრინველები და ცხოველები, სული ჩაედგა უბრალო ქვებისა და ბალახებისათვის, ასევე განასულიერა თავის სურათებში ნიკო ფიროსმანმა შვლები და ირმები, დათვი თავისი ბელებით, არწივი, კურდღელი, ლომი... ნიკოს ნახატებში ცხოველები მხოლოდ გამოსახულებები კი არ არიან, არამედ თავიანთი ცხოვრებით და მისწრაფებებით ცხოვრობენ. მათში მეტია ადამიანური, მათი თვალეზი ლაპარაკობენ მათ ხასიათზე; ლომი მზრძანებელია და დესპოტი. შვლები და ირმები ფართედ გახელილი, შიშჩამდგარი თვალეზით გამოხატავენ სიცოცხლის სიყვარულს და შიშს იმ საფრთხისა, ყოველ ნაბიჯზე რომ ელით. რამხელა დედობრივი სიყვარულია დედა დათვში, სიმინდის ყანაში რომ დაასეირნებს პატარა ბელებს, თან რაღაცას უყვება, თითქოს არიგებთ, დათვურ ცხოვრებას ასწავლის შვილებს. ნიკო ფიროსმანის ანიმალისტური ჟანრის ნახატებს ანალოგი არ მოეძებნება მსოფლიოში. ძნელია რაიმე კავშირი გამოიხატოს ფიროსმანის შემოქმედებასა და XIX-XX საუკუნეების ევროპულ იმპრესიონიზმს და მოდერნის ხელოვნებას შორის. ფიროსმანის შემოქმედება ყოველგვარი იზმებისაგან დამოუკიდებლად განვითარდა. მას არც პარიზი უნახავს და არც იმ მიმდინარეობებზე ქონია წარმოდგენა რაც იმ დროის ევროპულ კულტურას ქმნიდა. საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში, კახეთში, სოფელ მირზაანში დაბადებულ ნიკალას სკოლა და მასწავლებელი არ უნახავს. თერთმეტ წლამდე სოფლად ცხოვრობდა, შემდეგ დაობლებული ბიჭი თბილისში გადასულა ბედის და ლუკმა-პურის საძიებლად. სად აღარ სცადა ბედი, ხან რკინიგზაზე მუშაობდა დარაჯად და კონდუქტორად, ერთხანს პატარა სავაჭროც გახსნა, მაგრამ მალე გაკოტრდა და სმას მიჰყო ხელი. ბოლოს დარწმუნდა, რომ მხატვრობა და მხოლოდ ფერწერა იყო მისი ცხოვრება. თბილისში რკინიგზის სადგურის გარშემო არსებულ დუქნებსა და სამიკიტნოებში ქმნიდა თავის შედევრებს. მისი დამკვეთები ძირითადად მედუქნეები და მიკიტნეები იყვნენ. ფულზე არასოდეს არ დაუხატავს. ჭიქა არაყსა და ერთ თეფშს საჭმელზე ქმნიდა სურათებს: მოქეიფე თავადებს, ქორწილებს და სახალხო დღესასწაულებს, საოცარ ქართულ ნატურმორტებს, მედუქნეები აბრებად რომ აკრავდნენ დუქნების შესასვლელებთან, ისტორიულ და ყოფით სურათებს, პორტრეტებს და თითქმის არ არსებობს ფერწერის ჟანრი, რომელშიც ნიკოს თავისი სიტყვა არ ეთქვას. რაც დახატა მხოლოდ საკუთარი ხედვის და მიგნების შედეგია. თერთმეტი წლის მანძილზე სოფლად ნანახი სურათები მთელი შემოქმედების საგზლად ეყო.

„ცხოველები ჩემი სულის მესაიდუმლენი არიანო“, უთქვამს ცხოვრებაში უიღბლო ხელოვანს. უმეგობრო და მარტოსული მხატვარი მხოლოდ მათ უყვებოდა თავის დარდებს. ფიროსმანს თავისი სურათების გმირები ახლოს მოყავს მაყურებელთან და არაფერს გვიმაღლავს მათ შესახებ. ჟირაფი რაღაცით მხატვარს გავს , ნაღვლიანია და დამფრთხალი, საკუთარი სიმაღლით გამოწვეულ წამიერ სიამაყეს შიში სცვლის. რატომღაც დღის სინათლეზე გამოსვლა ვერ გაუბედავს და საღამო აურჩევია ჩვენთან შესახვედრად. თვალეზის გარშემო დადებული შავი ჩრდილები უფრო ამძაფრებენ მის დიდრონ თვალეზში ჩამდგარ ცრემლსა და დარდს. რა საოცარია, პატარა , მიწაზე მხოხავ არსებებს უფრო მეტი ძალა და თადაჯერებულობა აქვთ, ამხელა ულამაზეს არსებას კი ეშინია. მართალია თვითონ არავის ერჩის, მაგრამ მტერი ბევრი ყავს თავისი სიმაღლის და სილამაზის გამო. მკრთალი, ლილისფერი ცა უსასრულო მტრედისფერში იკარგება. მიწას ჭაობისფერ ჩრდილები დასდებია. სადღაც, უსასრულობიდან შემოპარულ ჩამავალ მზის სხივს იმედის ნაპერწკალი შემოაქვს სურათზე. მხატვარი საკმაოდ დამაჯერებლად გვიხატავს ჟირაფის სხეულს, თუმცა ცხოველის სახასიათო პროპორციებს „ამახინჯებს“. კისერი ოდნავ მოკლეა, ტანი ოდნავ

გრძელი და თავიც ჩეულებრივთან შედარებით განსხვავებული. შესაძლოა ფიროსმანს ცოცხალი ჟირაფი არასოდეს ენახა . თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნახვის შემდეგ სხვაგვარად დაეხატა, რადგან მისთვის კარგად ნაცნობ ცხოველებშიც პროპორციები დარღვეულია. საინტერესოა ეს ყველაფერი მართლა პრიმიტივიზმის ნაყოფია თუ დიდი პროფესიონალის შესრულების სტილი.

ფიროსმანს უყვარს ფორმების ძერწვა , მაგრამ არც ისე, რომ ამან დიდი ყურადღება გამოიწვიოს მნახველში, ყოველ შემთხვევაში გამოსახულება სიბრტყობრივი არაა. ასეა მის თითქმის ყველა ნამუშევარში. ფაქტურაზე მეტად ფერს ანიჭებს უპირატესობას, როგორც განწყობის გადმოცემის მისეულ საშუალებას. სურათის ფერები ნაღვლიანია. ლილისფერი ცა თანდათანობით ბაცდება ჰორიზონტზე ღია მტრედისფერამდე. თითქმის ასეთივე ფერი მეორდება ჟირაფის სხეულზე, რომელსაც მისთვის დამახასიათებელი მოხატულობა, მოშავო ფერის ლაქები ამკობს. ჟირაფი არავის დაუხატავს ფიროსმანამდე ქართულ მხატვრობაში, მაგრამ მას ისეთი ქართული ელ-ფერი აქვს, გგონია ჩვენს ტყეებს და მინდვრებში გაზრდილიყოს ეს მშვენიერი არსება.

„დათვი მთვარიან ღამეში“ ფიროსმანის ერთ-ერთი საუკეთესო კომპოზიციაა, რომელიც დიაგნოზიზა აგებული. დიაგნოზის სურათის წინა პლანზე წაქცეული ხე და მასზე მოსიარულე დათვი ქმნიან. ხეზე რითმულად მეორდებიან დათვის ფეხები. როგორც მთლიანი სურათი, ასევე დათვიც მთვარის შუქითაა განათებული. ეს თეთრი ნათება ისეთი ოსტატობითაა გადმოცემული და ისე ლამაზად იკვეთება მუქ ფონზე დათვის მძიმე და რბილი სხეული, ძნელია მის ავტორს პრიმიტივისტი უწოდო. დათვის უკან უზარმაზარი ხე დგას, რომელიც ასევე მთვარითაა განათებული . ფიროსმანი ოსტატურად იყენებს მთვარის ნათებას და სურათზე ყველაზე საინტერესო ადგილებს გვიჩვენებს. მართლაც დიდი პროფესიონალიზმია საჭირო ბნელ ღამეში მაყურებელს მისთვის საინტერესო ადგილები დაანახო და ისე მარჯვედ, რომ მასში არავითარი ხელოვნურობა არ იგრძნობოდეს. ხის უკან, მიტოვებული სახლის ნანგრევების სილუეტია. ცაზე კი კაშკაშა ზამთრის მთვარე ანათებს . აშკარად ქარი უბერავს და ცივა. დათვი კი მიდის ხეზე. უეჭველად რაღაც შენიშნა ხიდან. ჩვენსკენ ოდნავ მობრუნებული დათვის თავი და თვალებზე მოელვარე თეთრი ბლიკები სამსხვერპლოს დაჰყურებენ ზემოდან , წუთიც და ალბად გემრიელი ლუკმით დამთავრდება მისი მთვარეული გასეირნება. სურათის ფერწერა ფერთა ცივ გამაშია გადაწყვეტილი. მქრქალი ცისფერი, მონაცრისფერო ცისფერი და მოთეთრო ცისფერი ერევიან ერთმანეთში და ღამის საოცარ განწყობას ქმნიან.

ფიროსმანის დახატული ცხოველები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ. პირველი „ამა ქვეყნის ძლიერთა ჯგუფია“. ხორცისმჭამელი მტაცებელი ცხოველები ძლიერი ტორებით და კლანჭებით, ბასრი კბილებით და მრისხანე გამოხედვით. საკუთარი მდგომარეობით თვითკმაყოფილი სახეებით რომ იყურებიან სურათებიდან. მეორეში ბალახისმჭამელი ცხოველები არიან. არავის და არაფერს ერჩიან და მთელი ცხოვრება იმალებიან. როგორ უნდათ ლაღად გაინავარდონ, გაიკუნტრუშონ, თვითონაც დატკბნენ ამ ულამაზესი მთების და ნაკადულების ცქერით, მაგრამ წამით თვალის მოდუნება ხშირად სიცოცხლის ფასად უჯდებათ ძლიერთა კლანჭებში ჩავარდნილებს. ერთი რამაა საყურადღებო: ლომი , დათვი, არწივი და გარეული ტახი მაყურებელს არასდროს უყურებენ, მაშინ როდესაც შვლები, ირმები და ჟირაფი პირდაპირ მოგვჩერებიან თვალებში, მტაცებლები კი თვალს ვერ გვისწორებენ. ნეტავი რა უნდოოდა ამით ეთქვა მხატვარს?

ლომის რამდენიმე სურათი დაუხატავს ფიროსმანს. ორი მოყავისფერო-ცეცხლისფერი, მესამეც შავი ლომი, რომელიც 90-იან წლებში საქართველოდან გაქრა. ყველა მათგანზე ლომი მთლიანი სხეულითაა მაყურებლის წინ. ყურადღებას იქცევს ცხოველის სიძლიერე და მბრძანებლური იერ-სახე. მოელვარე, ცეცხლისფერი თვალები და დაღებული პირი, საიდანაც ბასრი კბილები მოუჩანს. ორი კომპოზიცია შავ ფონზეა შესრულებული. პირველ

სურათზე ლომი უკანა ფეხებზე ზის და რაღაცას დიდი ინტერესით მისჩერებია. ეტყობა დანახულით არაა კმაყოფილი და თვალები ბოროტად უელავს. მისი ძლიერი, ნებიერი სხეული ნახტომისათვისაა შემართული. მხატვარი ლომის დასახატად ღია ჩალისფერიდან დაწყებული, მუქ ყავისფერამდე არსებულ ფერთა გამას იყენებს და ძალიან საინტერესოდ ალაგებს მათ ლომის სხეულზე. ფონი ყრუ შავი კი არაა, არამედ მაში მუქი ჭაობისფერი ბალახის კონტურები იკითხება.

ლომის მეორე სურათისათვის „ლომი და მზე“ დაურქმევია მხატვარს. მართკუთხა ფორმის ტილოს მთელ სიგანეზე ულამაზესი ლომია გამოსახული. ძნელია მშვიდად უყურო ცხოველთა განრისხებულ მეფეს, რომელსაც დაშნა უჭირავს მარჯვენა თათით და საომრად მიდის. მის უკან შავ ფონზე სიმბოლურად ოქროსფერი მზე ამოსულა. მზის ფერები ლომის ქვეშაცაა გაფენილი, აშკარად გზას უნათებს ცის მბრძანებელი და მანათობელი ცხოველთა მეფეს.

რაც შეეხება „შავ ლომს“, სხეულის მოძრაობა მშვიდია, მაგრამ დაძაბული. თუ წინა ორი ლომი შავ ფოზეა შესრულებული, აქ ფიროსმანი გამოსახვის საშუალებად ღია ფონს ირჩევს და მოშავო-მოყავისფრო ლაქებით ფარავს ლომის სხეულს. ამ სურათზე შუქ-ჩრდილების ერთგვარი თამაშია. ნახევარტონებს და რბილ გადასვლებს მხოლოდ რამოდენიმე ადგილას იყენებს მხატვარი, სხეულის პლასტიკა ძირითადად კონტრასტებითაა გადმოცემული. ფიროსმანი თითქოს განგებ აჩერებს მოარულ მეფეს, რათა უკეთ გაგვაცნოს. ლომს კი საერთოდ არ აინტერესებს მაყურებელი, მისი ინტერესის სფერო სადღაც, სურათის გარეთაა, ალბად იქ, სადაც ლომის ცეცხლისფერი თვალების მზერის ობიექტია. საოცარია ნახატის ფერწერა. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი მარტივია, მაგრამ თუ დავაკვირდებით როგორ იფანტება მოლურჯო-მოიისფრო ცის ფერი ლიმონისფერ სითეთრეში, მართლაც დარწმუნდები მხატვრის პალიტრის სიდიადეში. ჰორიზონტზე ლომისავე ფერის გორები მოჩანს, მის ფეხებთან კი ჩამავალი მზის ფერებია, ცეცხლისფერი და აგურისფერი ტონებით გაჯერებული.

არა მხოლოდ ქართულ მხატვრობაში, არამედ მსოფლიო ხელოვნებაში არ მოიძებნება მეორე მხატვარი, რომელიც შეძლებდა შეექმნა ამდენი და ასე ღირებული შედეგები ადამიანების გვერდით მცხოვრებ ოთხფეხა არსებებზე, მათ უსიტყვო, ჩუმ და მეტწილად ნაღვლიან ცხოვრებაზე

ლიტერატურა:

1. <http://art-assorty.ru/8763-animalisticheskiy-zhanr.html>
2. <http://dic.academic.ru/dic.nsf/bse/64037/Анималистический>
3. <http://www.dzeglebi.ge>

Darejan Gagnidze

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Animation in Georgian Art

Abstract

The work tells us about the genre of fine art, The main theme of which is the drawing of animals and birds. The patterns of this genre were created in the fine of life, Bronze and Antique periods. It is known that humans have expressed their cosmopolitan motifs for centuries in terms of their cosmopolitan perceptions in the Caucasus and particularly Georgian culture. Niko Pirosmiani played a significant role in his creative work. Only a lone artist trusted them. Not only in Georgian but also

in world art, there is no second artist to be able to create so many masterpieces of people living with people who live without words, whispered, without the life of the grief.

Key words: animalistic , stylized, cosmogenic, giraffe, lion

საკვანძო სიტყვები: ანიმალისტური, სტილიზირებული, კოსმოგონიური, ჭირაფი, ლომი.

ქეთევან გაფრინდაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

თანამედროვე ქართული საზოგადოების მულტიკულტურიზმი

მთელი მსოფლიოსათვის მულტიკულტურალიზმი და მისი ცნება აქტუალური გახდა. საინტერესოა საქართველო მსოფლიო მულტიკულტურალიზმის ფონზე გლობალიზაციის პროცესში მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან მსოფლიოს ცალკეული ნაწილები და ეს მრავალფეროვნება უფრო თვალსაჩინო გახდა. როგორც ხშირად ამბობენ, მსოფლიო სულ უფრო „ვიწროვდება“. რამდენადაც ფართო და ჰეტეროგენულია საზოგადოება, იმდენად მაღლია კულტურული მრავალსახეობის დონე. დღევანდელი საზოგადოებაც სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება.

საქართველოს სხვა კულტურებთან თანაარსებობის დიდი გამოცდილება ოდითგანვე აქვს. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ქართლში გვერდიგვერდ სახლობდნენ ქართველები, სომხები, ხარაზები, ებრაელები, ასურელები და ბერძნები. ყველაზე ადრე კი, საქართველოს არაქართველ მოსახლეობას შორის ებრაელები მოსულან. ქართლში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ფიქსირდება, რომ ამ ტერიტორიაზე ებრაული კოლონიები არსებობდა.

საქართველოში ელინური კუთურის გავლენაც დიდი იყო. ჯერ კიდევ კოლხეთში, საზღვაო სავაჭრო ურთიერთობებიდან გამომდინარე, ქართველური ტომები ბერძნებს უკავშირდებოდნენ, რაზეც კოლხური არქიტექტურაც მეტყველებს.

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას დიდი კავშირები ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან, რაზეც მათი ენობრივი მსგავსებაც მიუთითებს. ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ V საუკუნის ქვემო ქართლში ღვთისმსახურება სომხურ ენაზე მიმდინარეობდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ ტერიტორიაზე ქართველებთან ერთად სომხური მოსახლეობაც ცხოვრობდა.

ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის გვერდით ასევე სახლობდნენ ჩერქეზები, ოსები, ქისტები, ლეკები, ხარაზები, რუსები, იტალიელები, გერმანელები და სხვა. საქართველოში ასეთი კულტურული მრავალფეროვნება პირველ რიგში საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით იყო განპირობებული. მოგეხსენებათ უძველესი აბრეშუმის გზის ერთ-ერთი განშტოება საქართველოზე გადიოდა, რაც სხვადასხვა კულტურათა თავმოყრას იწვევდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი დიდ ქალაქებში. ამის გამო, თბილისი ოდითგანვე მულტიკულტურული იყო.

საუკუნეების განმავლობაში ქართული მოსახლეობა მშვიდობიანად ცხოვრობდა სხვა ერის წარმომადგენლების გვერდით, უზიარებდა მათ საკუთარ ადათ-წესებს და ითვისებდა უცხოური კულტურის ელემენტებსაც. დაპირისპირება ადგილობრივ ქართველ მოსახლეობასა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის იშვიათად ხდებოდა და სერიოზულ ფაზაში არასდროს არ გადადიოდა. ამის შესახებ სამწუხარო ფაქტები კი გასულ საუკუნიდან უნდა ვეძიოთ. ვგულისხმობ აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტებს, თუმცა აქ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი: ოსები საქართველოში ეთნიკურ უმცირესობას

წამორადგენდნენ, რადგან მათ ჰქონდათ საკუთარი სახელმწიფო ჩრდილოეთ ოსეთის სახით და ოსი ეროვნების მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საქართველოში ცხოვრობდა ეთნიკური ქართველებისა და საქართველოს სხვა მოსახლეობის გვერდით. აქედან გამომდინარე, ცხინვალის კონფლიქტი შეიძლება განვიხილოთ როგორც ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი დავა. (იმისდა მიუხედავად, რომ ამ კონფლიქტის წარმოშობა მესამე მხარის ინტერესებში შედიოდა). რაც შეეხება აფხაზეთის კონფლიქტს, მას ეთნიკურ ნიადაგზე აღმოცენებულ დაპირისპირებას ვერ ვუწოდებ შემდეგი მიზეზების გამო: ეთნიკური კონფლიქტი ხდება ორ განსხვავებულ, ჩამოყალიბებულ ეთნოსს შორის (ძირითადად ორივე ეთნოსს საკუთარი სახელმწიფო გააჩნია), აფხაზები კი სხვა ეთნოსი არაა და არც საკუთარი სახელმწიფო გააჩნიათ, ვინაიდან, ისინი ქართველები არიან და მათი სამშობლო საქართველოა. გურამ სანადირაძე და ნიკოლოზ სანებლიძე ამაზე გარკვევით წერენ: „ქართველებისა და აფხაზების ნება-სურვილითა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ლოცვა-კურთხევით გაერთიანდა ქართლი და აფხაზეთი ათასი წლის წინ (ზაგრატი მესამის მეფობისას) ამდენად, ქართველები და აფხაზები არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მკვიდრი მოსახლენი არიან, არამედ ჩვენი სახელმწიფოს დამფუძნებელ ერებს წარმოადგენენ. მათი ერთობა საქართველოს არსებობის საფუძველია. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ აფხაზეთის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი ეთნიკური დაპირისპირება არაა.

საქართველო ისტორიულად არის მულტიკულტურული ქვეყანა. მულტიკულტურალიზმი ღრმად არის აღბეჭდილი ქართულ ეთომეტენტალობაში.

დღეს საქართველოს არაქართველ მოსახლეობას საგრძნობლად ემატებიან ჩინელები, აფროამერიკელები, ინდოელები და თურქები. მულტიკულტურალიზმს საქართველოსთვის დადებითი აქვს ის, რომ შესაძლოა ახალი დადებითი თვისებების შესწავლა უცხო კულტურათაგან და ჩვენი კულტურის განვითარება, მათთვის ჩვენი ტრადიციების გაცნობა.

რა საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს საქართველოსთვის მულტიკულტურიზმი. ქართველებს მიზამდა გვიყვარს და ჩვენს საკუთარს ნაკლებად ვუფრთხილდებით, შეიძლება ნელ-ნელა დავივიწყოთ ჩვენი ადათ-წესები. დღეს ახალგაზრდა თაობის ძირითადი ნაწილი უცხოურ სიმღერას უსმენს, წვეულებებზე ქართულ ცეკვებზე მეტს ე.წ. კლუბურს ცეკვავენ. ბარბარიზმებზე ხომ საუბარი ზედმეტია: „ფართი“, „ნიუსი“, „ფეიქი“, „ოკ“, „ქის უი“ და მრავალი სხვა. თუმცა საფრთხე იმისა, რომ ჩვენ კულტურას ჩაანაცვლებს ინდური, ჩინური ან თუნდაც აფროამერიკული ადათები, იმდენად დიდი არაა, თუ ჩვენ არ დავივიწყებთ მათ. დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის შემთხვევაში, საქართველოს, მისი ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, შეუძლია ტოლერანტული საზოგადოების მართლაც სანიმუშო მოდელი შესთავაზოს მსოფლიოს და, უპირველეს ყოვლისა, თავის მეზობლებს, როდესაც შეიქმნება ჭეშმარიტად მულტიკულტურული და არა პოლიტკორექტული ერთობა, რომელშიც თითოეული ეროვნული თუ რელიგიური უმცირესობა არ დადგება საკუთარი იდენტობის დაკარგვის საფრთხის წინაშე. თუმცა, შუა საუკუნეებისგან განსხვავებით, ამან ხელი არ უნდა შეუშალოს სხვადასხვა ჯგუფის, როგორც მთლიანის ნაწილების თანაცხოვრებას. სწორედ ამიტომ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს არა ეთნიკურ თუ რელიგიურ იდენტობას, არამედ სამოქალაქოს, რაც არ ნიშნავს ეროვნული თუ რელიგიური განსხვავებულობების მოშლას.

კულტურული მრავალსახეობა გულისხმობს როგორც ცალკეულ საზოგადოებაში, ისე მთელს მსოფლიოში არსებული გაგების, დამოკიდებულებების სხვადასხვა ტიპს. დღევანდელი საზოგადოების მთავარი კითხვაც სწორედ ამაში მდგომარეობს: რამდენად „არგია“ კულტურული მრავალსახეობა საზოგადოებრივ წესრიგს და რამდენად ტოლერანტული უნდა იყოს საზოგადოება თანამედროვე კულტურული მრავალფეროვნების მიმართ. კვლევა თავად საინტერესოა, რათა გავიგოთ, თუ როგორი დამოკიდებულებები აქვს ქართულ საზოგადოებას სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ. კულტურული მრავალსახეობა თამამედროვე ცხოვრების რეალობაა და მას ვერსად გავექცევით.

პოსტმოდერნისტები თვლიან, რომ თანამედროვე კულტურა იხრება იმ ერთადერთი შეუქცევადი პროცესისკენ, რომელთან მიმართებაშიც ყველა დანარჩენი კულტურული მოვლენა მეტნაკლები მნიშვნელობის მქონე მეორეხარისხოვან მოვლენად იქნება განხილული. ისინი თვლიან, რომ განვითარებისაკენ ერთადერთი გზა კულტურული რელატივიზმია. ამისთვის კი აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას ადამიანისა და მრავალფეროვანი კულტურული იდენტობის ჯგუფებს შორის ჰარმონიული ურთიერთმოქმედება და მისწრაფება თანაცხოვრებისაკენ.

ყველა დროს თავისი გამოწვევები და პრობლემები მოაქვს, რომელსაც შესაბამისი პასუხის მოძებნა სჭირდება. დღეს საქართველოს წარმატებული განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა ჰარმონიულ ურთიერთობაზე. ეს კი მაშინაა შესაძლებელი, თუ მეტი ვიცით ერთმანეთის კულტურის შესახებ. ასეთი ცოდნა კი ხელს შეუწყობს განსხვავებული ურთიერთპატივისცემას, სტერეოტიპების დაძლევას, კულტურული მრავალფეროვნების, როგორც ფასეულობის დამკვიდრებას და კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას.

ინტერესი კულტურული მრავალფეროვნებისადმი სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. კულტურული მრავალფეროვნება თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი და თანამედროვე ცხოვრების რეალობაა. დღეს პრაქტიკულად წარმოუდგენელია ქვეყანა, სადაც თუნდაც ერთი კულტურული უმცირესობა არ არსებობდეს. კაცობრიობა არასდროს ყოფილა ერთგვაროვანი. დღეს კი გლობალიზაციის პროცესმა მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან მსოფლიოს ცალკეული ნაწილები და ეს მრავალფეროვნება უფრო თვალსაჩინო გახადა. კონტაქტების გახშირებამ და ინტენსიურმა ხასიათმა ნათლად წარმოაჩინა კულტურული განსხვავებულობა, რომელიც ზეგავლენას ახდენს სოციალურ ინტეგრაციაზე. ქართული საზოგადოებაც სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. ნებისმიერი ჯგუფის ეთნიკური (კულტურული) ვინაობა დამოკიდებულია არა იმდენად მისი კულტურის შინაარსზე, არამედ სოციალურ საზღვრებზე, რომელიც სოციალურ ურთიერთობათა სივრცეს განსაზღვრავს.

XX საუკუნის და ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სფეროა მულტიკულტურალიზმი რომელიც ინტერესს იმსახურებს.

ჯონ ბერი შემდეგნაირად განსაზღვრავს მულტიკულტურალიზმს: „ინტეგრაციას, როცა კულტურული მრავალფეროვნება არის საზოგადოების, როგორც ერთი მთელის თვისება, მათ შორის ეთნიკულ-კულტურული ჯგუფებისა, მულტიკულტურალიზმი ეწოდება“. მისი (John W Berry) აზრით, კულტურულად მრავალფეროვანი საზოგადოებები ისინია, სადაც განსხვავებული კულტურის წევრები ან ეთნიკური ჯგუფები ერთად თანაცხოვრობენ, იზიარებენ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სტრუქტურას. ყველა თანამედროვე საზოგადოება დღეს კულტურულად მრავალფეროვანია, მათ აქვთ საერთო კულტურა, ენა, იდენტობა. არსებობს ვარაუდი, რომ ასეთი კულტურული მრავალფეროვნების ფარგლებში საზოგადოებები საბოლოოდ ქრებიან. ეს იმიტომ, რომ კულტურებს შორის ურთიერთობა შემოქმედებითი და რეაქტიული პროცესია, რომელსაც ახალი ზნე-ჩვეულებები და ღირებულებები მოაქვს.

დღეს ქართულ საზოგადოებაში ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები: აზერბაიჯანელები, სომხები, ოსები და სხვ. მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა გულისხმობდა უმცირესობათა დაცვასა და მათი უფლებების აღიარებას, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, მათი კულტურა ყოფილიყო სხვების თანასწორი, „თანაბარი ძალის მქონე“. მის უმთავრეს სიძლიერეს მდიდარი და მრავალფეროვანი, ღია სამოქალაქო საზოგადოების არსებობა განაპირობებს: ინდივიდებს (მოქალაქეებს) შესაძლებლობა ეძლევათ იარსებონ და იმოღვაწეონ ჰომოგენური (ერთგვაროვანი) სახელმწიფოსგან განსხვავებულ, გაცილებით მდიდარ გარემოში, სადაც კულტურა-თაშორისი კომუნიკაცია ყოველდღიურობის ჩვეული გარემოებაა. ამ გზით გაცილებით მარტივდება ერთმანეთისგან განსხვავებულ ჯგუფთა შორის თანაარსებობისა და თანამშრომლობის პროცესი. მულტიკულტურალიზმის

ცენტრალურ იდეას წარმოადგენს მოსაზრება, რომ კულტურულად განსხვავებული ჯგუფები შესაბამის გარემოში აღიარებასა და პატივისცემას იმსახურებენ.

ქართველი ერისთვის თანასწორობის პრინციპის დაცვა მნიშვნელოვანია ყველა მოქალაქისათვის თანასწორუფლებრივი გარემოს უზრუნველყოფა, მათ შორის ჰარმონიული ურთიერთქმედება, მათი მისწრაფება თანაცხოვრებისკენ.

როგორც ჯონ ბერი აღნიშნავს თავის სტატიაში, მულტიკულტურალიზმის კონცეფცია ცდილობს მოიცვას ზოგადი და ფუნდამენტური მოსაზრება, რომ კულტურული მრავალფეროვნება კარგია საზოგადოებისთვის და მისი ცალკეული წევრებისთვის. მრავალფეროვნება რესურსია საზოგადოებისთვის და ყველა ჯგუფისთვის, მათ შორის დომინანტი ჯგუფისთვისაც, რომლებიც უნდა მოერგონ ერთმანეთს იმისთვის, რომ იყოს ჰარმონიულ კულტურათშორისი ურთიერთობა კულტურულად მრავალფეროვან ჯგუფებთან. ყოველ დროს თავისი გამოწვევები და პრობლემები მოაქვს, რომლებსაც შესაბამისი პასუხის მოძებნა ჭირდება. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე, რომლებიც სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს ცხოვრების ტრადიციულ წესებს, სოციალური მდგრადობის, მშვიდობიანი თანაარსებობის შენარჩუნებასა და ტოლერანტული საზოგადოებების ჩამოყალიბებაში სერიოზული როლის შესრულება შეუძლია განათლებას. ქართული, სომხური და აზერბაიჯანული საზოგადოების კულტურისა და განათლების ცნებები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. კულტურა აყალიბებს განათლების შინაარსს, საშუალებებს და კონტექსტს, რადგან იგი განსაზღვრავს აზროვნებისა და მოქმედების წესს, რწმენას. დღეს საქართველოს წარმატებული განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა ჰარმონიულ ურთიერთობაზე. ეს კი მაშინ არის შესაძლებელი, თუ მეტი ვიციტ, ზოგადად, კულტურის ფენომენისა და, კერძოდ, ერთმანეთის კულტურის შესახებ. ასეთი ცოდნა ხელს უწყობს განსხვავებული ურთიერთპატივისცემას, სტერეოტიპების დაძლევას, კულტურული მრავალფეროვნების, როგორც ფასეულობის დამკვიდრებას და კულტურათშორისი კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

ლიტერატურა:

1. JOHN W. BERRY, 2011, "Integration and Multiculturalism: Ways towards Social Solidarity". Papers on Social Representations, 20, 2.1-2.21 1.
2. გურამ სანადირაძე, ნ. სანებლიძე. (2012 წლის 17 02). ანალიტიკა. ეთნიკური პრობლემები და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. Retrieved 2013 წლის 16 04 from Kalmasoba.ge: <http://kalmasoba.com/analitika/527-ethnikuri-problemebi-da-saqarthvelos-sakhelmtsifoebri- damoukidebloba.html>

Ketevan Gafrindashvili

Sokhumi State University, Tbilisi

Georgian Technical University, Tbilisi

Multiculturalism of Modern Georgian Society

Abstract

Georgia is the multicultural country historically. Multiculturalism is deeply illustrated in Georgia ethnic mentality. The interest towards the cultural diversity becomes more and more actual that is the most main confirming sign of modern world and the reality of modern life.

Key words: tolerant society; losing of identity; ethnical; relativism; postmodernist

საკვანძო სიტყვები: ტოლერანტული საზოგადოება, იდენტობის დაკარგვა, ეთნიკური, რელატივიზმი, პოსტმოდერნისტი

Экологическое оценивание природных вод Астаринского района Азербайджана

Как известно, одной из проблем, зарегистрированных в Астаринском регионе за прошедшие годы, является аварийное состояние канализационной сети города Астара. Бытовые-фекальные воды, формирующиеся в городе Астара не доходят до непригодных для эксплуатации очистных сооружений. Канализационные сети, обслуживающие очистные сооружения пришли в непригодное для эксплуатации состояние. Часть сформированных сточных вод, просачиваясь в почву из разрушенных канализационных линий примешивается к подпочвенным водам, а остальная часть вливается в коллектор Каладахна и оттуда продолжает течь в Каспийское море, что приводит к возникновению экологической проблемы для этого региона. До сих пор не исследовались природные воды этого района и мы исследовали эти воды.

Для проведения исследовательских работ были взяты пробы природных вод на территории Астаринского района. Было проведено экологическое оценивание 5 проб природных вод, взятых с этой территории.

Были взяты пробы из следующих водных объектов:

1. проба воды Каспийского моря, взятая с территории Астаринского района;
2. реки Пенсер (Тенгеруд);
3. реки Камышовка;
4. реки Келедехне.
5. коллекторного канала Шахагаджы;

Анализы проводились в Комплексной исследовательской лаборатории ГНКАР, в Комплексной аналитической исследовательской лаборатории Национального мониторингового Департамента по Окружающей среде и в лаборатории кафедры Экологической химии БГУ. В этих лабораториях были определены более 20-ти параметров природных вод, в том числе тяжелые металлы.

Результаты исследований проб природной воды из Астаринского района

Определение тяжелых металлов в пробах природных вод

Определение тяжелых металлов в пробах природной воды из Астаринского района было проведено с помощью прибора Agilent 7500 Series ICP-MS. На рис. показаны градуировочные графики определения тяжелых металлов масс-спектрометрическим методом.

Результаты анализа обработаны методом математической статистики. Как видно из градуировочных графиков, содержание тяжелых металлов было определено с высокой точностью. Результаты проведенных исследований показаны в таблице.




Рис 1. Градуировочные графики определения тяжелых металлов.

Таблица 1.

Определение тяжелых металлов прибором ICP-MS

Наименование водного бассейна	Нормативный документ: EPA 6020 B								
	Содержание металлов, мкг/л (ppb)								
	Al	Ba	Cu	Ni	Zn	Pb	Cr	Fe	As
Каспийское море	89.13	17.11	2.312	0.943	1.385	0.055	0.195	79.24	1.293
Река Пенсер	472	34.98	2.728	1.285	1.189	0.358	0.773	310.4	1.316
Река Камышовка	433.8	33.67	2.426	1.059	1.58	0.111	0.534	265.2	1.079
Река Келедехне	25.96	29.72	1.235	0,603	1,371	0,278	0,035	70,59	1.129
Коллекторный канал Шахагаджы	5.362	28,6	1,164	0,798	0,825	0,39	0,104	13,21	1.133

Как показали результаты исследований, значения RSD не превышали 2-3%, что указывает на точность определения.

Ни в одной из проб природных вод, взятых на территории Астаринского района, не были обнаружены ПАУ и радиоактивные элементы.

Определение фенола в пробах природных вод

Для определения фенола в пробах природных вод, взятых на территории Астаринского района, использовали спектрофотометр UV-1800. Градуировочный график для определения фенола в природных водах этим методом представлен на рис.




Рис. 2. Градуировочный график определения фенола.

Как показали результаты исследований, в пробах природных вод, взятых на территории Астаринского района, содержание фенола несколько превышает нормы ПДК. Содержание фенола в пробах природных вод показано в следующей таблице.

Таблица 2

Содержание фенола в природных водах

Наименование водного бассейна	Нормативный документ: ISO 6439
	Содержание фенола, мг/л
Каспийское море	0,126
Река Пенсер	0,210
Река Камышовка	0,174
Река Келедехне	0,122
Коллекторный канал Шахагаджи	0,154

Определение анионов в пробах природных вод

Сульфат- и хлорид – ионы. Для определения сульфат- и хлорид – ионов в пробах природных вод, взятых на территории Астаринского района, применялся титриметрический метод. Согласно ГОСТу 2874-82, содержание сульфат- и хлорид-ионов в природных водах не должно превышать соответственно 500 и 350 мг/л. В результате исследований было выявлено, что содержание сульфатов и хлоридов в водах рек Пенсер, Камышовка, Келедехне и коллекторном канале Шахагаджи меньше допустимых значений ПДК. Однако содержание сульфатов и хлоридов в пробе воды Каспийского моря, взятой на территории Астаринского района, превышало допустимые нормы ПДК.

Нитрат-, нитрит- и фосфат – ионы. В пробах природных вод, взятых с территории Астаринского района, нитрат-ионы определялись спектрофотометрическим методом салицилатом натрия, нитрит-ионы определялись спектрофотометрическим методом реактивом Грисса и фосфат-ионы определялись спектрофотометрическим методом. Согласно стандартам ГОСТ 2874-82, содержание нитратов в природных водах не должно превышать 45 мг/л, нитрит-ионов - 0 мг/л, а фосфат-ионов 3,5 мг/л. Как показали исследования, содержание

нитратов и фосфатов в пробах природных вод, взятых на территории Астаринского района, меньше допустимых значений ПДК, содержание нитратов же превышает допустимые нормы ПДК. Результаты проведенных исследований показаны в таблице 3.

Таблица 3.

Содержание сульфат-, хлорид-, нитрат-, нитрит- и фосфат – ионов в природных водах

Наименование водного бассейна	Анионы, мг/л				
	SO ₄ ²⁻	Cl ⁻	NO ₃ ⁻	NO ₂ ⁻	PO ₄ ³⁻
Каспийское море	2910	4483	4,9	0,1	0,05
Река Пенсер	115,26	12,58	6,7	0,07	0,15
Река Камышовка	68	8,9	7,8	0,1	0,14
Река Келедехне	26,8	283	3,9	0,12	0,84
Коллекторный канал Шахагаджы	30,6	21,45	6,5	0,15	0,55

Определение общей жесткости и содержания ионов кальция, магния и аммония в природных водах

Общая жесткость. Для определения общей жесткости в пробах природных вод, взятых на территории Астаринского района, применялось комплексонометрическое титрование. Согласно ГОСТу 2874-82, общая жесткость природных вод должна составлять менее 7 мг-экв/л. Как было выявлено в ходе исследований, общая жесткость воды рек Пенсер, Камышовка, Келедехне и коллекторного канала Шахагаджы меньше допустимого значения ПДК. Таким образом, эти воды могут считаться мягкими. Однако жесткость воды Каспийского моря в несколько раз превышала значения ПДК.

Ионы кальция, магния и аммония. Согласно стандартам ГОСТ 2874-82, содержание кальция в природных водах не должно превышать 250 мг/л, магния – 50 мг/л, а аммония 0,5 мг/л. Результаты исследований проб природных вод, взятых на территории Астаринского района, представлены в следующей таблице 4.

Таблица 4

Общая жесткость и содержание ионов кальция, магния и аммония в природных водах

Наименование водного бассейна	Биогенные ионы			
	Общая жесткость, мг-экв/л	Ca ²⁺ мг/л	Mg ²⁺ мг/л	NH ₄ ⁺ мг/л
Каспийское море	67	575,1	465,7	1,25
Река Пенсер	3,2	53,5	6,56	0,70
Река Камышовка	3,6	56,9	9,24	0,69

Река Келедехне	4,0	54.9	15,32	0,68
Коллекторный канал Шахагаджы	2,0	14,6	15,44	0,79

Определение физико-химических параметров в пробах природных вод

В пробах природных вод, взятых на территории Астаринского района с помощью прибора марки "Water Quality Meter" 850081 определялись физико-химические параметры, такие как pH, температура, сухой остаток, количество растворенного кислорода и электропроводимость. С целью очищения от взвешенных частиц пробы природных вод предварительно отфильтровывали через фильтровальную бумагу. Далее проводились измерения на вышеуказанном приборе. Результаты исследований 5 физико-химических параметров природных вод представлены в таблице 5.

Таблица 5

Результаты исследований физико-химических параметров природных вод на приборе марки Water Quality Meter” 850081

Наименование водного бассейна	pH	Сухой остаток мг/л	Растворимый кислородмг/л	ЭлектропроводимостьMs\с	Температура°C
Каспийское море	8,06	2000	7,6	2000	22,4
Река Пенсер	7.74	229	10,7	0,351	20,2
Река Камышовка	7.44	267	10.0	0,402	25,5
Река Келедехне	6,87	51	7.4	0.076	24,5
Коллекторный канал Шахагаджы	7.95	284	12,00	0,434	23,3

S.R. Hajiyeva, T.I. Aliyeva
Baku State University, Baku

Ecological Assessment of Natural Waters of the Astara Region of Azerbaijan

Abstract

As is known, one of the problems registered in the region over the past years is the emergency condition of the sewerage network in the Astara city. Household-fecal waters formed in the Astara city do not reach the sewage treatment facilities that are not suitable for operation. Sewerage networks serving the wastewater treatment plant have become unusable. Part of the wastewater generated by seeping into the soil from the destroyed sewer lines, is mixed with subsoil waters, and the rest is poured into the Kaladakhna collector and from there continues to flow into the Caspian Sea, which leads to an environmental problem for this region.

Keywords: internal waters of Azerbaijan, Astara region, atomic absorption spectrometry, inductively coupled plasma mass-spectrometry, the sulfate, chloride, hardness, calcium and magnesium ions in water

თამარ გელაშვილი

ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტი, ახალციხე

საწყისისა და ინჟინტივის ზოგი მორფოლოგიური თავისებურების ურთიერთმიმართებისათვის ქართულსა და ინგლისურში

„სახელზმნა“ ანტონ პირველის შემოღებული ტერმინია. მან ეს სახელი დაარქვა იმ ფორმას, რომელსაც ჩვენ „საწყის“ ვუწოდებთ. მოგვიანებით მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და

მოიცვა ზმნის უპირო ფორმები (როგორც საწყისი, ასევე მიმდღობა). ზმნის უპირო ფორმები ქართულ და ინგლისურ ენებში სრულიად განსხვავდებიან ზმნის პირიანი ფორმებისგან, რადგან მათ არ შეუძლიათ შეასრულონ შემასმენლის სინტაქსური ფუნქცია წინადადებაში. თვით ტერმინიც „სახელზმნა“ მიანიშნებს მის ორგვარ ბუნებას. სახელზმნებს ზმნური ნიშნების გარდა (რომელიც ტიპურია ყველა მათგანისთვის), გააჩნიათ როგორც სახელის, ასევე, ზედსართავის და ზმნიზედის სახასიათო ნიშნები.(შანიძე ა.,1973, გვ.557).

საწყისი და ინფინიტივი წარმოადგენენ სახელზმნის ერთ-ერთ ფორმას და ისინი რიგი თავისებურებით გამოირჩევიან ინგლისურ და ქართულ ენებში. სტატიის მიზანს წარმოადგენს, წარმოაჩინოს მათი მორფოლოგიური სახასიათო ნიშნები და გამოავლინოს, თუ რამდენად განსხვავდება საწყისის და ინფინიტივის მორფოლოგიური სტრუქტურა, მსგავსი სინტაქსური ფუნქციის არსებობის მიუხედავად, რის საფუძველზეც საწყისსა და ინფინიტივს ხშირად ეკვივალენტურ ფორმებად მიიჩნევენ.

ა. შანიძე ქართულ ენაში საწყისის მორფოლოგიური ანალიზის დროს აღნიშნავს, რომ საწყისი იწარმოება ზმნის აწმყოს (ან მყოფადის) გაუვრცობელ ფუძეზე -ა სუფიქსის დართვით. ე.ი. ზმნის ფორმას უნდა ჩამოვაშოროთ პირის, რიცხვის, მწკრივის ნიშნები; ქცევის, გვარის მაწარმოებელი აფიქსები და შემდეგ დავუმატოთ-- ასუფიქსი(ა-შენებს --- შენებს-ა).

“ სამგლოვიარო მან შექმნა მარში, რომ წყევლა-კრულვა ეთქვა ღმერთისთვის“
(ტაბიძე გ., 2011,გვ.72)

„ეს იყო ვერხვის ფოთლების კვნესა“(ტაბიძე გ.,2011,გვ.68)

„ ამ ხომაღდებს სამუდამოდ გაჰყვა გაოცება, მშვენიერი ზრახვა“(ტაბიძე გ., 2011,გვ.130)

ჟ. ფეიქრიშვილი საწყისის წარმოებაზე საუბრის დროს რამდენიმე ფონეტიკურ მოვლენაზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ წარმოების დროს განსხვავებული სახის ფონეტიკური მოვლენა იჩენს თავს ქართულ ენაში. (ფეიქრიშვილი ჟ., 2010,გვ.229)

ჩვენ მიერ მოძიებული საწყისის მაგალითების საფუძველზე ეს ფონეტიკური მოვლენები ფართოდ გამოვლინდა. განვიხილოთ რამდენიმე კერძო შემთხვევა:

ა) როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, საწყისის -ა მაწარმოებლის დართვის შედეგად ინიან ზმნებში იკვეცება თემის ნიშანი „ი“ , ხოლო-ავ და -ამ-იანებში იკარგება თემის ნიშნის ხმოვანი ა და რჩება ვ და მ ბგერები. ამ ფონეტიკური მოვლენის ნათელსაყოფად გ.ტაბიძის პოეზიაში მოძიებული შემდეგი სტრიქონები შეიძლება იყოს გამოყენებული:

„ ჩქარი გრგვინვა -გრიალით, ქრიან ლურჯა ცხენები“(ტაბიძე გ., 2011,გვ.57)

„ლავრაში ლოცვავერ დავამთავრე“(ტაბიძე გ., 2011,გვ.154)

„მე პირველი მახსოვს შენი ნახვა“(ტაბიძე გ.,2011,გვ.97)

ბ) რაც შეეხება შემდეგ ფონეტიკურ მოვლენას, რომელზეც ა. შანიძე ამახვილებს ყურადღებას, ის ძირითადად -ავ თემის ნიშნიან ზმნებში გვხვდება. ის გამოყოფს ისეთ ფუძეებს, რომლებიც თავდება ნ,რ,ლ ანუ ნარნარა ბგერებით და აღნიშნავს, რომ საწყისის წარმოებისას ვ გადაინაცვლებს სახელზმნის ფუძეში (შანიძე ა., 1973, გვ.560).

ეს ფონეტიკური მოვლენა ვლინდება შემდეგ სტრიქონებში გამოყენებულ სახელზმნებში:

ოხრავს: „ვერც ძილის წინ ნელი ოხვრა, და ვერც თასი ღვინით სავსე“(ტაბიძე გ., 2011, გვ.30)

კლავს: „კვლა მოახსენა ვაზირმან სიტყვა ნაგუშინდელევი“ (რუსთაველი შ ., 1986, გვ.285)

ახალი ქართულისათვის ნორმად არის ქცეული საწყისის წარმოება -ა სუფიქსის დართვით. იგი ახასიათებს ზმნების დიდ უმრავლესობას, მაგრამ ამასთანავე გვხვდება სხვადასხვა სახის გადახვევა: ნარიანი, ომიანი და ოლიანი საწყისების სახით. თითოეული მათგანის სახასიათო ნიშნები აშკარად ვლინდება მათი მორფოლოგიური ანალიზის შემთხვევაში (ფეიქრიშვილი ჟ., 201,გვ.229).

მორფოლოგიური სურათის ნათლად წარმოსადგენად განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ნარიანი საწყისი. ნარიანი საწყისის წარმოებასა და თავისებურებაზე პირველად ყურადღება აკადემიკოსმა ა. შანიძემ გაამახვილა და აღნიშნა, რომ ნარიანი საწყისის წარმოების შემთხვევაში ფუძესა და საწყისის ა-ს შორის მოიპოვება ინფიქსი **ნ**, რომლებიც განსაკუთრებით ვინით დაბოლოებულ ფუძეებს ახასიათებს (შანიძე ა., 1973, გვ.561).

ნარიანი საწყისის ეს თავისებურება ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში ფართოდ გამოვლინდა:

„სამუდამოდ ასამარებს კაცთა **ხსოვნას** სამარის ქვა“ (ტაბიძე გ., 201, გვ.23)

„სანამ **ყოფნის** არ დაგვკრავდა ცაიერადი“ (ტაბიძე გ., 2011, გვ.48)

„მოლოდ შენს **ხსოვნას**, ჩემს საშინელ მარტოობაში“ (ტაბიძე გ., 2011, გვ.54)

ა. შანიძე, ნარიანი საწყისების წარმოებაზე მსჯელობის დროს, რამდენიმე პრობლემატურ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, ის გამოყოფს ისეთ საწყისის ფორმებს, როგორიცაა: **თოხნა, კორტნა, ცოხნა, კოცნა, ვარცხნა** და ა.შ. და მათ პარალელურად მოჰყვას ისეთი პირიანი ფორმები, სადაც -ნ ინფიქსი შენარჩუნებულია: **ვითოხნი, ვკორტნი, ვცოხნი, ვკოცნი, ვივარცხნი და ა.შ.** ზოგი ნარიანი საწყისის ამ თავისებურებიდან გამომდინარე, ისმება კითხვა, პირიანი ფორმებიდან მოდის -ნ საწყისში, თუ საწყისიდან პირიან ფორმებში? ა.შანიძე ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგნაირად მსჯელობს: „ამ კითხვის დასმა მართებულია, თუ გავიხსენებთ, რომ „თოხნა“ წარმომდგარია „თოხი“-ისგან, მოსალოდნელი იყო ვ-თოხ-ავ, ისე როგორც ვ-ბარ-ავ.“ ა. შანიძე ვარაუდობს, რომ ამ კერძო შემთხვევაში ინფიქსი -ნ განვითარდა ჯერ საწყისის ფორმაში, და შემდეგ გადავიდა პირიანი ზმნების ფორმებში (შანიძე ა., 1973, გვ.561).

ომიანი საწყისი. ომიან საწყისებთან დაკავშირებით ჟ. ფეიქრიშვილი აღნიშნავს, რომ გარდაუვალ ზმნების საწყისის ფორმაში -ა სუფიქსის წინ თავს იჩენს **ომ** ინფიქსი. ასეთი საწყისები ომიანი საწყისების სახელით არიან ცნობილი ქართულ გრამატიკაში (ფეიქრიშვილი ჟ., 2010, გვ.229).

ჩვენი საანალიზო მასალის საფუძველზე საკმაოდ დიდი რაოდენობის ომიანი საწყისები გამოვლინდა, რომლის ფუძეში **ომ**- ინფიქსი ფიქსირდება:

„მერი იმ ღამეს მაგ თვალთა **კვდომა**“ (ტაბიძე გ., 2011, გვ.54)

„მაშინ გაისმა მის ხმაში **კრთომა**“ (ტაბიძე გ., 2011, გვ.23)

„რომანიული სარჩული **წყრომის**, შეხვედრა მკაცრი გადასწყვეტს ღამით“ (ტაბიძე გ., 2011, გვ.38)

ოლიანი საწყისი. მსგავსად ზემოთ მოცემული ნარიანი და ომიანი საწყისებისა, ოლიან საწყისებს ზმნის ფუძესა და საწყისის ა-ს შორის **ოლ** ინფიქსი აღენიშნებათ და ამ ნიშნის მიხედვით ხდება მათი სახელდება (ფეიქრიშვილი ჟ., 2010, გვ.229).

„მწუხარე გრძნობა **ქროლის**, მიმოვლის“ (ტაბიძე გ., 201, გვ.54)

„მე მახარებდა მათ გვერდით **წოლა**“ (ტაბიძე გ., 2011, გვ.60)

„და მაშინ ვიგრძნე მე შენი **თრთოლა**“ (ტაბიძე გ., 2011, გვ.71)

ა. შანიძე დამატებით გამოყოფს **სანიან საწყისებს** და მას **ვალ** ფუძის ზმნათა საწყის ფორმად მიიჩნევს. „ვალ ფუძის ზმნათა საწყისია ს-ვლ-ა (მველად: ს-ლვ-ა): შე-სვლა, წა-სვლა, მო-სვლა, მი-სვლა და სხვა, სადაც თავკიდური ს- ფუძის კუთვნილება არ არის“ (შანიძე ა., 1973, გვ.561).

სანიან საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა არნ. ჩიქობავამ და აღნიშნა, რომ **ს** არის ნივთის კატეგორიის ნიშანი, უძველესი დროიდან შემორჩენილი, მაგრამ ეს მოსაზრება არ დამტკიცდა (ჩიქობავა ა., 1942, პარაგრაფი 19).

ჟ. ფეიქრიშვილი ასევე არ გამოყოფს სანიან საწყისებს, როდესაც მიმოიხილავს საწყისების თავისებურებას და წარმოებას. იგი გამოყოფს მხოლოდ ნარიან, ომიან და ოლიან საწყისებს მათი წარმოების თავისებურების გათვალისწინებით (ფეიქრიშვილი ჟ., 2001, გვ.229-230).

სანიანი საწყის ფორმები გამოყენების მხრივ სიმცირით ხასიათდება და ამის არგუმენტად შეიძლება დავასახელოთ ის, რომ ჩვენ მიერ მოძიებული 200-მდე საწყისის მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილს წარმოადგენს სანიანი საწყისის ფორმები:

„მოსვლას აპირებს წვიმა, იგრძნო ღრუბლების გეგმა“ (ტაბიძე გ.2011.გვ.43)

„მზის ჩასვლა იყო-ვით ანარეკლი ძველი დიდების“ (ტაბიძე გ.2011.გვ.7)

ახალ ქართულში შემორჩენილია საწყისის ძველი წარმოების ნაშთები, სადაც საწყისის მაწარმოებლად გამოყენებულია --ილ, სა---ა, სი---ილ, და სი---ულ პრეფიქს-სუფიქსები, “თუმცა მათი უმრავლესობა დღეს უკვე არსებითი სახელის რიგებში დგას, მიუხედავად იმისა, რომ მათ მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოება“ (შანიძე ა.,1973, გვ. 565).

მსგავსი სახის საწყისების ნიმუშებად შეიძლება ჩვენ მიერ შერჩეული საანალიზო მასალიდან გალაკტიონის სტიქონების გახსენება:

„განა როსმე სხვა ამგვარი სიყვარული მეორდება“ (ტაბიძე გ.2011.გვ.23)

„ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული.“ (ტაბიძე გ.2011.გვ.57)

„უძველესი ხეობაა, ხან ლხინის და ხანაც ტირილის“ (ტაბიძე გ.2011.გვ.78)

„და ხშირად მწვავდა ტრფობის სურვილი“ (ტაბიძე გ.2011.გვ.81)

„ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც , ბედის ტრიალი“ (ტაბიძე გ.2011.გვ.57)

„უსასოობა, სიკვდილი, ნადგურდება და იხრწნება“ (ტაბიძე გ.2011.გვ.)

ამგვარად, საწყისის მორფოლოგიური თავისებურებებიდან ჩვენ ყურადღება გავახვილეთ მისი წარმოების თავისებურებაზე. მოცემული მსჯელობის და საანალიზო წყაროების გამოყენებით ვლინდება, რომ საწყისის წარმოება ქართულ ენაში საკმაოდ მრავალფეროვანია, როგორც მაწარმოებელი აფიქსების, ასევე ფონეტიკური თავისებურებების მხრივ. სწორედ ამ თავისებურებების გათვალისწინებით გამოიკვეთა ომიანი, ნარიანი და ოლიანი საწყისები ქართულ ენაში. სტატიაში ყურადღება გავამახვილეთ საწყისის ძველი წარმოების ნაშთებზეც, რომელთა უმრავლესობა დღეს არსებითი სახელების კატეგორიაში განიხილება.

ქართული ენისგან განსხვავებით, სრულიად სხვაგვარი სურათი იქმნება ინგლისურ ენაში ინფინიტივის მორფოლოგიური ანალიზის დროს, რადგან ინფინიტივი არის ზმნის საწყისი ფორმა, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი ფლექსიური ელემენტებისგან და ინფინიტურ მარკერად მხოლოდ **to** ნაწილაკი სახელდება.

„I should have wished to go into the differences“ (Wild O.,1979, p.79)

“I should find myself taking up a pen to try to write a history.” (Wild O.,1979, p.85)

ლინგვისტურიტერმინი „ ინფინიტივი“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „finitivus“, რაც გულისხმობდა ულიმიტოს, უსრულს. ძველ ინგლისურში ინფინიტივად მოიხსენიებდნენ ზმნურ სახელს, რომელიც ფლექსიის საშუალებით იცვლებოდა ბრუნვათა მიხედვით. ნომინატივსა და აკუსატივში მას დაერთოდა სუფიქსი -an (writan), ხოლო დატივში -სუფიქსი -anne(writanne). ინგლისური ენის განვითარების მეორე საფეხურზე, რომელიც „შუა ინგლისურის“ (Middle English) სახელით არის ცნობილი ინგლისურ ლინგვისტიკაში და მას ახასიათებენ, როგორც „დაბოლოების ჩამოშორების“ პერიოდს, ინფინიტური სუფიქსები იცვლება და მათ ადგილს “-e “ დაბოლოება იკავებს, თუმცა ამავედროულად დატივში ინფინიტივის წინ ყოველთვის ხმარობდნენ წინდებულს **to**, რომლის დანიშნულება იყო გადმოეცა მიზანი ან მიმართულება. თანამედროვე ინგლისურში **to** ნაწილაკმა შეინარჩუნა ორივე ფუნქცია და სწორედ ამიტომ **to**+ინფინიტივი მოქმედების მიზანს, ხოლო მხოლოდ **to** ნაწილაკი მოქმედების

(https://www.researchgate.net/publication/265819933_Infinitives_in_the_History_of_English_1).

ზემოთ თქმულის ნათელსაყოფად მოძიებული საანალიზო მასალიდან შეიძლება შემდეგი წინადადებების ციტირება:

“I want my boy Harry to become a doctor.”(Wild O.,1979,p.83)

“It doesn’t seem quite the right way to begin a book.”(Haggard H.R., 2003, p. 25)

“I trekked down to the Diamond Fields...”(Haggard H.R., 2003, p. 45)

ძველ ინგლისურში გამოყენებული ნომინატური და აკუზატური ფორმები, ანუ ის ფორმები, სადაც ინფინიტივი “to” წინდებულის გარეშე გამოყენებული, შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე ინგლისურში “bare infinitive”-ის (ინფინიტივი to ნაწილაკის გარეშე) წინამორბედ ფორმად, მაშინ როდესაც “to” წინდებულის გამოყენება დატივის ფორმაში, სრული ინტინიტივის (ინფინიტივი to ნაწილაკით) წინამორბედ ფორმად მიიჩნევა ([file:///C:/Users/GGG/Downloads/978-5-7996-1172-9_2014%20\(2\).pdf](file:///C:/Users/GGG/Downloads/978-5-7996-1172-9_2014%20(2).pdf)):

“Though of course there may be a black sheep among them.”(Wild O.,1979,p.94)

“But at that time, I could not remember who he was”(Wild O.,1979,p.47)

ამგვარად, წარმოებული მორფოლოგიური ანალიზის საფუძველზე შეძლება დავასკვნათ, რომ სრულად და ნათლად გამოვლინდა საწყისის და ინფინიტივის თავისებურებები დერივაციული სტრუქტურის შედარება-შეპირისპირების საფუძველზე, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ საწყისის წარმოება მრავალფეროვანია ქართულ ენაში და დერივაციის თავისებურებიდან გამომდინარე, არსებობს საწყისის ომიანი, ნარანი, ოლიანი და სანიანი ფორმები, ამის საპირისპიროდ, ინგლისურ ენაში ინფინიტივი სრულიად თავისუფალია ყოველგვარი ფლექსიური ელემენტებისგან და აქედან გამომდინარე, დერივაციული მრავალფეროვნებისგან. ქვემოთ მოცემული ცხრილი საწყისის და ინფინიტივის დერივაციული ალომორფიზმის ვიზუალური ილუსტრირებაა:

საწყისი (ქართულ ენაში)	ინფინიტივი (ინგლისურ ენაში)
წყევლ-ა	To curse
კვნეს-ა	To moan
ლოცვ-ა	To pray
ნახვ-ა	to see
კვლ-ა	To kill
ოხვრ-ა	To moan
ხსოვ-ნ-ა	to remember
ყოფ-ნ-ა	To be
კრთ-ომ-ა	to tremble
კვდ-ომ-ა	To die
ქრ-ოლ-ა	to hiffle
წ-ოლ-ა	to lie

ლიტერატურა:

1. შანიძე ა., 1973, „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, მორფოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ფეიქრიშვილი ჟ., 2007, „ქართული ენის მორფოლოგია“. ქუთაისი.
3. ჩიქობავა ა., 1942, „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულში“. თბილისი.
4. ყორღანაშვილი უ., 1973, „სახელშემნის სწავლების ზოგიერთი საკითხი“, თბილისი.
5. ცხადაძე ბ., 1986, „მასდარის წარმოება ძველ ქართულში“, თბილისი.
6. Jersperson O., 1987, „Essentials of English Grammar“, London: George Allen and Unwin LTD.
7. [file:///C:/Users/GGG/Downloads/978-5-7996-1172-9_2014%20\(2\).pdf](file:///C:/Users/GGG/Downloads/978-5-7996-1172-9_2014%20(2).pdf)
8. [file:///C:/Users/GGG/Downloads/40496%20\(2\).pdf](file:///C:/Users/GGG/Downloads/40496%20(2).pdf)
9. https://www.researchgate.net/publication/265819933_Infinitives_in_the_History_of_English_1

საანალიზო წყაროები:

1. ტაბიძე გ., 2011, პოეზია. ტ. I. თბილისი.
2. რუსთაველი შ., 1986, „ვეფხისტყაოსანი“, განათლება, თბილისი.
3. Haggard H.R., 2003, „King's Solomon's Mines“, Progress Publisher, Moscow.
4. Wild O., 1979, „The Picture of Dorian Gray“, Progress Publisher, Moscow.

Tamar Gelashvili

Akhaltiske State Teaching University, Akhaltsikhe

Morphological Characteristics of Some Verbal Nouns in the Georgian and English Languages Abstract

The initials and the infinitive are the none-finite forms of the verb and they are characterized by number of peculiarities in the Georgian and English languages. The article deals with some forms of isomorphism and allomorphy in the Georgian and English languages which are completely and clearly demonstrated on the basis of the derivative structure of the initial and infinitive. The aim of the article is to demonstrate some of the morphological characteristics and reveal how much the morphological structure of the initial and the infinitive differ, despite the existence of their similar syntactic functions.

საკვანძო სიტყვები: დერივაციული ელემენტები, ინფიქსები, ალომორფიზმი, იზომორფიზმი, ფონეტიკური მოვლენები.

Keywords: derivative elements, infixes, allomorphy, isomorphism, phonetic effects.

ნანი გვარიშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის მოსალოდნელი გავლენა მთიანი აჭარის ეკოსისტემებზე


თემის აქტუალობა

ცნობილია, რომ მსოფლიოს მასშტაბით ბიომრავალფეროვნების დაკარგვა უკავშირდება ჰაბიტატების დაკარგვას, განადგურებასა და ფრაგმენტაციას. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოზე და აჭარაზე, სადაც ჰაბიტატები და ბიომრავალფეროვნება იმყოფებიან საფრთხის ქვეშ, ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული პროექტების და სხვადასხვა საქმიანობის გამო, იმის გათვალისწინებით, რომ ჰაბიტატის ბუნება, მასშტაბი და

სივრცითი კონფიგურაციები აისახება ამ ტერიტორიაზე არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე [4].

აჭარა თავისი განუმეორებელი ბუნებრივი ლანდშაფტით ერთ-ერთი უნიკალური რეგიონია საქართველოში. იგი ხასიათდება ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემებით, სადაც დღესაც გაბატონებულია რელიქტური და ენდემური სახეობები. აქ, საკმაოდ მცირე ტერიტორიაზე განვითარებულია მრავალგვარი ეკოსისტემები, კოლხეთის დაბლობის ტენიანი შერეულფოთლოვანი ტყეებით დაწყებული მაღალმთის თავისებური ეკოსისტემებით დამთავრებული [1], რაც სოფლის მეურნეობის და საკურორტო-რეკრეაციული დარგების განვითარების მეტად ხელსაყრელ პირობებს იძლევა.

მდ. აჭარისწყლის ხეობაში ხორციელდება ჰესების კასკადის პროექტი, რომელიც მიმართულია ქვეყნის შიგნით ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და ენერგეტიკული სექტორის მდგრადობისკენ. დერივაციული ტიპის კასკადური ჰესების ინფრასტრუქტურის ნაგებობები უნდა განთავსდეს ხელვაჩაურის, ხულოს, ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე და შესაბამისად, გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებაც მოსალოდნელია ამ მუნიციპალიტეტების საკმაოდ დიდ ტერიტორიებზე [3].



უნდა აღინიშნოს, რომ დერივაციული ჰესი, კაშხლიანთან შედარებით, ნაკლები მასშტაბის გარემოსდაცვით რისკებს შეიცავს, ვინაიდან არ საჭიროებს დიდი ფართობის დატბორვას, რასაც თან ახლავს ეკოსისტემებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წყლით დაფარვა. თუმცა, დაგეგმილი ჰესების რაოდენობიდან, გეოგრაფიიდან და რაც მთავარია, პროექტების დიზაინიდან გამომდინარე, როცა მდინარის ნაწილი (90%) ბუნებრივი კალაპოტიდან გადაისროლება დერივაციულ მილში ან არხში და მიემართება ელექტროტურბინებზე, არანაკლებ საშიშროებას შეიცავს ვიდრე წყალსაცავიანი ჰესები. ამის გამო ბიოლოგიური მრავალფეროვნება ნადგურდება არა დატბორვით, როგორც ეს დიდკაშხლიანი ჰესების შემთხვევაშია, არამედ წყლის წართმევის გამო [2].

კვლევის მიზანი და ამოცანები

მდ. აჭარისწყლის ხეობის ბუნებრივ ჰაბიტატებზე, კასკადური ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებული სამშენებლო და საექსპლუატაციო საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების შესწავლა, ბიომრავალფეროვნების სავარაუდო საფრთხეებისა და ტენდენციების პროგნოზი და ეკოლოგიური რისკების პრევენცია.

კვლევის ობიექტი და მეთოდები

კვლევის ობიექტია მდ. აჭარისწყალზე მშენებარე ჰესების მიმდებარე არეალის ბუნებრივი ჰაბიტატები. ჩატარდა რეკონოსცირებულ-მარშრუტული კვლევები. ანალიზისათვის გამოყენებული იქნა საერთაშორისო მონაცემთა ბაზები და სხვადასხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოს სამინისტროების დეპარტამენტების ხელთ არსებული ინფორმაცია.

შედეგები

მდ. აჭარისწყლის ხეობაში მშენებარე, დერივაციული ტიპის კასკადური ჰესები შედგება კაშხლებისა და დამბების, წყალსაცავების, სადერივაციო გვირაბების, სათაო ნაგებობებისა და მიმყვანი გზების კომბინაციებისაგან. ჰესების მშენებლობის არეალში და მიმდებარე ტერიტორიებზე განლაგებულია, ბუნების კონსერვაციის რამდენიმე ობიექტი:

მაჭახელას ეროვნული პარკი, სადაც ტერიტორიის 75% წარმოდგენილია ხელუხლებელი ტყეებით და მტირალას ეროვნული პარკი, სადაც ტერიტორიის 65% დაფარულია ნაკლებად სახეცვლილი ტყეებითა და ბუჩქნარით (IUCN კატეგორია II, კრიტიკული ჰაბიტატი (IFC, 2012b)). ამ არეალშია შავშეთის, აჭარა-იმერეთის და ბათუმის ქედების IBA (ბიომრავალფეროვნების ძირითადი ზონა), რომლის ფარგლებში არსებული მდინარეები და ტყეები მნიშვნელოვანი ჰაბიტატებია ბიომრავალფეროვნებისათვის. აქ წარმოდგენილი ჰაბიტატების ყველა ტიპი ბუნებრივია, რომლებსაც აქვთ მაღალი და საშუალო კონსერვაციული ღირებულება.

ჰესების სამშენებლო და საექსპლუატაციო საქმიანობა მდ. აჭარისწყლის ბუნებრივ ჰაბიტატებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას მოახდენს. პროექტი მოითხოვს გზებისა და კომუნიკაციების მოწყობას, რის გამოც მშენებლობის არეალში დაზარალდება, დაიკარგება მაღალი და საშუალო კონსერვაციული ღირებულების ბუნებრივი ჰაბიტატები. კერძოდ, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტის არეალში (შუახევის სქემა): მუხნარები (*Querceta*; *Quercus petraea*, *Q. dschorochensis*), წიფლნარები (*Fageta*; *Fagus orientalis*), მდინარისპირა მურყნარები (*Alneta*; *Alnus barbata*), მდინარის პირა მდელოები. ქედის მუნიციპალიტეტის არეალში (კორომხეთის სქემა): წაბლნარები (*Castaneta*; *Castanea sativa*), მუხნარ-რცხილნარები (*Querceto Carpinetum*; *Carpinus caucasica*, *Quercus petraea*, *Q. dschorochensis*, *Q. hartwissiana*), ხეობების შერეულფოთლოვანი ტყეები კოლხური ქვეტყით (*Q. dschorochensis*, *Q. hartwissiana*, *Fagus orientalis*, *Ulmus glabra*, *Carpinus caucasica*), შერეული ტყეები (*Picea orientalis*, *Abies nordmanniana*, *Carpinus caucasica*, *Alnus barbata*, *Salix caprea*), მდინარის პირა მდელოები. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიდამოებში (ხერთვისის სქემა): წაბლნარები (*Castaneta*; *Castanea sativa*, *Fagus orientalis*), მდინარის პირა მდელოები.

მდ. აჭარისწყლის ხეობა და მიმდებარე ტერიტორიები ფლორისტული და ცენოტიპური მრავალფეროვნების ერთად გამოირჩევა რელიქტური და ენდემური სახეობების და კავკასიის, საქართველოსა და აჭარის წითელ ნუსხებში შეტანილი სახეობების სიმრავლით. ჰესების მშენებლობის არეალში გვხვდება საკონსერვაციო მნიშვნელობის მცენარეთა სახეობები: საქართველოს ენდემები: *Galanthus woronowii*, *Cirsium caput-medusae*, *Cirsium imereticum*, *Alcea transcaucasica*, *Rubus woronowii*; აჭარა-ლაზეთის ენდემები: *Quercus dschorochensis*, *Amaracus rotundifolium*, *Linaria adzharia*, *Cyclamen adzhariense*, *Astragalus sommieri*, *Osmanthus decorus*; კოლხეთის ენდემები: *Ficus carica* (*F. colchica*), *Hedera colchica*, *Staphylea colchica*, *Buxus colchica*. საქართველოსა და აჭარის წითელი ნუსხების „მოწყვლადი“ სახეობები: *Castanea sativa*, *Buxus colchica*, *Juglans regia*, *Quercus hartwissiana*, *Ulmus glabra*, *Taxus baccata*. აჭარის, საქართველოს და კავკასიის წითელი ნუსხების „მოწყვლადი“ სახეობები: *Staphylea colchica*, *Osmanthus decorus*. „გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომი“ საქართველოსა და აჭარის წითელი ნუსხების სახეობები: *Astragalus sommieri*, *Arbutus andrachne*, *Ostrya carpinifolia*.

ენდემური და ბიოლოგიური კონსერვაციული ღირებულებით გამოირჩევა მდ. აჭარისწყლის იქთიოფაუნაც. მდ. აჭარისწყლის აუზში ბინადრობს 16 ენდემური სახეობა სახეობა, რომელთაგან ორი შავი ზღვის აუზის ენდემია: *Salmo labrax* Pallas, *Salmo labrax fario* Linnaeus. ექვსი სახეობა კოლხეთის ენდემია: *Chondrostoma colchicum*, *Phoxinus colchicus*, *Gobio lepidolaemus*, *Alburnus derjugini*, *Alburnoides fasciatus*. ორი არის კოლხეთ - ანატოლიის ენდემი: *Capoeta tinca*, *Luciobarbus escherichii*. ორი კავკასიის ენდემია: *Cobitis satunini*, *Ponticola constructor*. სამი სახეობა შედის საქართველოს წითელ ნუსხაში, ხოლო 6 სახეობა შედის ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელ ნუსხაში.

აჭარისწყლის ხეობაში დაფიქსირებულია ძუძუმწოვრების 62 სახეობა, რომელთა შორის არის ცხოველთა სახეობები, რომლებიც საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობით და კონვენციებით არიან დაცულნი.

ჰესების მშენებლობა ხორციელდება ხელუხლებელ ეკოსისტემებსა და დაცული ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს (მაჭახელა), რაც გამოიწვევს უარყოფით ზეგავლენას ბიომრავალფეროვნებაზე. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, შემოთავაზებული საქმიანობით არ უნდა დაირღვეს კანონი. საქართველოში მოქმედი „გარემოს დაცვის შესახებ“, „საქართველოს წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის შესახებ“ კანონების მიხედვით, აკრძალულია ქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა სამყაროს, საბინადრო გარემოს და სამიგრაციო გზებს. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების პოპულაციების შემცირება, მათი საბინადრო გარემოს და საარსებო პირობების გაუარესება.

ჰესების სამშენებლო და საექსპლუატაციო საქმიანობისათვის თანმხლებია ხმაური, მტვერი, ღამის განათება, რომელებიც მიმდებარე ეკოსისტემების ბიოტურ კომპონენტებზე, განსაკუთრებით ცხოველთა სამყაროზე უარყოფით გავლენას მოახდენს. წონასწორობიდან გამოსულ ეკოსისტემებში პრობლემა შეექმნება ცხოველთა მიგრაციასა და მოზუდარ ფრინველებს.

ამას ემატება უცხო ინვაზიური სახეობები, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით წარმოადგენენ უდიდეს საფრთხეს ბუნებრივი ჰაბიტატისთვის, განსაკუთრებით დეგრადირებული ჰაბიტატებისათვის. დეგრადირებულ ჰაბიტატებში ძალზე მაღალია ინვაზიური მცენარეების გავრცელების რისკი, რასაც ხელს შეუწყობს ჰესების მშენებლობის პროცესში ტრანსპორტის ინტენსიური გამოყენება.

ამასთან მდ. აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობა სავარაუდოდ გამოიწვევს აჭარისწყლის ხეობაში კლიმატის ცვლილებას. მითუმეტეს, რომ აქ კლიმატი სპეციფიკურია, ტენიანია და იგი იცვლება ვერტიკალური სარტყლიანობის მიხედვით. ეს უკანასკნელი, კი განაპირობებს ვერტიკალური სარტყლიანობის მიხედვით ნიადაგობრივი საფარის ცვლილებასთან შესაბამისად მცენარეული საფარის ცენოტიპურ მრავალფეროვნებას.

სამშენებლო ობიექტის ფარგლები მოიცავს რა კრიტიკულ ჰაბიტატების არეალს, არსებული ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება-კონსერვაციისა და აღდგენისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას მცენარეთა და ცხოველების სახეობები არა როგორც საფრთხის წინაშე მყოფი ინდივიდები, არამედ, როგორც ბუნებრივი ეკოსისტემების შემადგენელი კომპონენტები, რომლებსაც ევოლუციური განვითარების ხანგრძლივ პროცესში ჩამოუყალიბდათ ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებები და გარემოსთან შესაბამისი ადაპტაცია. ამ კავშირების რღვევა გამოიწვევს ისეთ შეუქცევად პროცესების ჯავს, რომლებიც გამოიწვევს ბუნებრივი ეკოსისტემის დაღუპვას და ახალი დეგრადირებული ეკოსისტემების ჩამოყალიბებას.

პრევენციის მიზნით ჰაბიტატების აღდგენის პროცესში, ტყეების ბუნებრივი განახლება, უფრო უპრიანია, ვიდრე ხელოვნური განაშენიანება, თუმცა იგი ძალიან ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ხასიათდება სერიული ეკოსისტემების თანმიმდევრული ცვლით.

უკეთესია ჩვენი მიზანი იყოს მცირე და საშუალო ზომის ჰესების მშენებლობა. საქართველოში იმდენი მდინარეა, რომ თავისუფლად შეიძლება, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ისე მივიღოთ ენერგია, კაშხალიც კი არ დაგვჭირდეს.

ამგვარად, მდ. აჭარისწყლის ხეობის ბუნებრივ ჰაბიტატებში, კასკადური ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებული პროექტის საჭიროება და მიზანი უნდა ამართლებდეს იმ რისკებსა და უარყოფით შედეგებს, რაც შეუძლია მოუტანოს ამ კასკადებისა და დამბების მშენებლობამ და ექსპლუატაციამ რეგიონის ბიომრავალფეროვნებას, პროექტის უშუალო სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობას. საზოგადოებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ ობიექტურად უნდა შეფასდეს, რამდენად ღირებულია ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობა და ოპერირება იმ უარყოფითი შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა მოჰყვეს ამ პროცესებს.

დასკვნა

მდ. აჭარისწყლის ხეობაში მშენებარე, დერივაციული ტიპის კასკადური ჰესების არეალში წარმოდგენილი ჰაბიტატების ყველა ტიპი ბუნებრივია, რომლებსაც აქვთ მაღალი და საშუალო კონსერვაციული ღირებულება.

ჰესების მშენებლობის არეალში გვხვდება საკონსერვაციო მნიშვნელობის საქართველოს, აჭარა-ლაზეთისა და კოლხეთის მცენარეთა ენდემური სახეობები.

ენდემური და ბიოლოგიური კონსერვაციული ღირებულებით გამოირჩევა მდ. აჭარისწყლის იქთიოფაუნაც.

ხეობაში გვხვდება ძუძუმწოვართა სახეობები, რომლებიც საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობით და კონვენციებით არიან დაცულნი.

ჰესების მშენებლობა ხორციელდება ხელუხლებელ ეკოსისტემებსა და დაცული ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს (მაჭახელა), რაც გამოიწვევს უარყოფით ზეგავლენას ბიომრავალფეროვნებაზე.

უცხო ინვაზიური სახეობები, თავიანთი მნიშვნელობით წარმოდგენენ უდიდეს საფრთხეს დეგრადირებული ჰაბიტატისთვის.

პრევენციის მიზნით ჰაბიტატების აღდგენის პროცესში, ტყეების ბუნებრივი განახლება, უფრო უპრიანია, ვიდრე ხელოვნური განაშენიანება.

დერივაციული ჰესების შემთხვევაში მდინარე და მისი სანაპირო ჰაბიტატები ძლიერ დეგრადირდება დერივაციის მონაკვეთებზე, 90%-ით შემცირებული წყლის ნაკადის გამო; პრაქტიკულად ნადგურდება თევზების სამიგრაციო გზები.

მნიშვნელოვანია ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე - ტყის ეკოსისტემებზე, იშვიათი და საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე და მათ ჰაბიტატებზე, იქთიოფაუნაზე.

ლიტერატურა:

1. ნ. გვარიშვილი. 2014. ხმელეთის ეკოსისტემები. /სახელმძღვანელო/. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი. 283 გვ.
2. В.Н. Горбачев. 2012. Негативное влияние крупных водохранилищ на окружающую среду. Ульяновский медико-биологический журнал. №2.
3. www.ebrd.com/english/pages/project/eia/45335bapg.pdf.
http://greenalt.org/wpcontent/uploads/2013/07/Shuakhevi_HPP_on_Adjaristkali_GA_comments.pdf

Nani Gvarishvili

Shota Rustaveli State University, Batumi

The Expected Impact of Hydroelectric Station Cascade Construction at Ecosystem of Highland Adjara

Abstract

The Article gives an analysis of Hydroelectric Station Cascade Construction impact at river Adjaristkshali. It is mentioned that the impact is complex which has positive and negative aspects.

The hydroelectric stations are important for economic development but constructions and exploitation of derivative hydroelectric station would importantly damage land and water ecosystems of highland Adjara. There is created risks to face loss, destroy and fragmentation of natural habitats, which will cause violation of ecological balance and withdrawal of rare plants and animals from natural habitats.

Problem prevention requires timely and consequential performance of extenuating and compensation measures.

Key words: construction of hydroelectric stations, losing habitats, ecological problems.


საკვანძო სიტყვები: ეკოსისტემები, ეკოლოგიური პრობლემები, ჰესების მშენებლობა, ჰაბიტატების დაკარგვა, საკომპენსაციო ღონისძიებები

პოტენციური დამსაქმებლის კვლევა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კარიერულ შესაძლებლობაზე

ბოლონის პროცესებმა საქართველოს განათლების სისტემა მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა. ევროპელი ექსპერტების მთავარი მოთხოვნა და რეკომენდაცია საგანმანათლებლო კურიკულუმების იმგვარად დაგეგმვა და განხორციელებაა, რომ მაქსიმალურად იყოს მორგებული სტუდენტის საჭიროებებზე და შესაბამისად, კურსდამთავრებულს კონკურენტუნარიანობას სძენდეს დასაქმების შრომის ბაზარზე. ამ მოთხოვნათა კვალდაკვალ, გადასინჯვა და დამატება მოითხოვს კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესებში ჩართულ ადამიანური რესურსების სტატუსებმა. თუ ადრინდელ სასწავლო გეგმების განხორციელებაში მონაწილეობდა მხოლოდ სასწავლო პერსონალი, ახლა კურიკულუმის შექმნაში თითქმის ერთნაირად ჩაერთვნენ პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებელი და ყველა დაინტერესებული პირი. წინამდებარე კვლევა დამსაქმებლის გამოკითხვას ეძღვნება.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნა 50 ორგანიზაცია, მათ შორის თელავის და თელავის რაიონის სოფლების სკოლები, რომელმაც ჯამში შეადგინა სულ - 1636 ადამიანი. აქედან, 892 ადამიანს დამთავრებული აქვს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.


პირველ კითხვაზე: (თესაუ) კურსდამთავრებულები აკმაყოფილებენ თქვენი ორგანიზაციის/კომპანიის/დაწესებულების მოთხოვნებს? 50-მა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა დააფიქსირა დადებითი პასუხი (გრაფიკი 1)



გრაფიკი 1


მეორე კითხვაზე, ქვემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციებიდან ხუთბალიანი სისტემით როგორ შეაფასებდით თესაუ-ს კურსდამთავრებულების პროფესიულ შესაძლებლობებს? შედეგები ასე გამოიკვეთა:

1. სფეროს ცოდნა : გამოკითხული 50 ორგანიზაციის ხელმძღვანელიდან 38 - მა დააფიქსირა 4 ბალი, 12 კი - 5 ბალი (გრაფიკი 2).




(გრაფიკი 2

2. სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი --- გამოკითხული 50 ორგანიზაციის ხელმძღვანელიდან 40 - მა დააფიქსირა 4 ბალი, 10-მა კი 5 ბალი




(გრაფიკი 3).

3. ანალიზისა და ლოგიკური დასკვნის უნარი --- გამოკითხული 50 ორგანიზაციის ხელმძღვანელიდან 10 - მა დააფიქსირა 3 ბალი, 30-მა დააფიქსირა 4 ბალი, 10-მა დააფიქსირა 5 ბალი (გრაფიკი 4)



(გრაფიკი 4)

4. კომუნიკაციის უნარი -- გამოკითხული 50 ორგანიზაციის ხელმძღვანელიდან 40- მა დააფიქსირა 5 ბალი, 10-მა კი 4 ბალი (გრაფიკი 5) .




გრაფიკი 5

შემდეგ კითხვაზე: გთხოვთ, მოკლედ განგიმარტოთ რას მიიჩნევთ თქვენს ორგანიზაციის/კომპანიის/დაწესებულების მიერ კურსდამთავრებულის დასაქმებულობის ეფექტურ პირობას?

ა) ენის ცოდნა ბ) დარგობრივი ცოდნა გ) ეფექტური კომუნიკაცია დ) სტრესულ გარემოში ეფექტური ადაპტირების უნარი ე) გუნდური მუშაობა ვ) კრეატიულობა.


შედეგები ასეთია:

ა) ენის ცოდნა ---- ეფექტურ პირობად - გამოკითხული 50 ორგანიზაციის ხელმძღვანელიდან --- 30-მა დააფიქსირა. 20 კი არ ჩათვალა საჭიროდ (გრაფიკი 6).




გრაფიკი 6

ბ) დარგობრივი ცოდნა ---- ეფექტურ პირობად - გამოკითხული 50 ორგანიზაციის ხელმძღვანელიდან --- 40-მა დააფიქსირა, 10 კი არა (გრაფიკი 7).



გრაფიკი 7


გ) ეფექტური კომუნიკაცია - ეფექტურ პირობად, გამოკითხული 50 ორგანიზაციის ხელმძღვანელიდან --- 50-მა დააფიქსირა კი (გრაფიკი 8).



ეფექტური კომუნიკაცია

გრაფიკი 8


დ) სტრესულ გარემოში ეფექტური ადაპტირების უნარი -- ეფექტურ პირობად, გამოკითხული 50 ორგანიზაციის ხელმძღვანელიდან 30-მა დააფიქსირა კი, ხოლო 20-მა



- არა (გრაფიკი 9)


გრაფიკი 9

ე) გუნდური მუშაობა - ეფექტურ პირობად, გამოკითხული 50 ორგანიზაციის ხელმძღვანელიდან 50-მა დააფიქსირა კი (გრაფიკი 10).



გრაფიკი 10


ვ) კრეატიულობა - ეფექტურ პირობად, გამოკითხული 50 ორგანიზაციის ხელმძღვანელიდან 20-მა დააფიქსირა კი, 30 კი არა (გრაფიკი 11).



გრაფიკი 11

შემდეგ კითხვაზე: იცნობთ თუ არა თესაუ - ს კურიკულუმებს? შედეგები ასეთია:


გამოკითხული 50 ორგანიზაციის ხელმძღვანელიდან 43-მა დააფიქსირა კი, 7 კი მეტნაკლებად (გრაფიკი 12).



გრაფიკი 12

მომდევნო კითხვაზე: თქვენი აზრით საკმარისია თუ არა კურიკულუმებში (სპეციალობების მიხედვით) განლაგებული კურსები, წარმატებული სპეციალისტების მოსამზადებლად (უარყოფითი პასუხის შემთხვევაში სპეციალობის მიხედვით რა საგნებს დამატებით)? შედეგები ასე გამოიყურება:

გამოკითხული 50 ორგანიზაციის ხელმძღვანელიდან 43-მა დააფიქსირა კი, 7 კი არა (გრაფიკი 13).



გრაფიკი 13

ბოლო შეკითხვაზე: როგორ ფიქრობთ, თესაუ - ს კურსდამთავრებულები ორიენტირებული არიან თუ არა კარიერული წინსვლისკენ?

გამოკითხული 50 ორგანიზაციის ხელმძღვანელიდან 50-მა დააფიქსირა კი.

როგორც ვხედავთ, შედეგები არც თუ ისე ცუდია. პასუხები ერთი შეხედვით აჩვენებს, რომ საუნივერსიტეტო კურიკულუმები აძლევენ სტუდენტებს ცოდნასა და ტრანსფერულ უნარ - ჩვევებს, რომლებიც მათ ეხმარებათ დასაქმებასა და კარიერულ წინსვლაში. უფრო მეტიც, გამოიკვეთა, რომ ორგანიზაციების ხელმძღვანელები ასე, თუ ისე იცნობენ საუნივერსიტეტო კურიკულუმებს, რაც მათ ამ კურიკულუმების შექმნასა და განხორციელებაში ჩართულობაზე მიუთითებს. თუმცა, მათ მიერ დასაქმებულთა კარიერულ წინსვლისათვის მზაობაზე დადებითი პასუხი ერთგვარად ფორმალურად გვეჩვენება. ამაზე მიუთითებს გამოკითხვები და ინტერვიუ სტუდენტებთან საკუთარი კარიერული წინსვლის დაგეგმარების შესახებ, საიდანაც იკვეთება, რომ ისინი ჯერ კიდევ საჭიროებენ რჩევებსა და დამატებითი უნარ-ჩვევებით აღჭურვას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაგეგმონ უნივერსიტეტში შესვლისთანავე საკუთარი კარიერული გზა (თუმცა ამ საკითხების დაწვრილებით შესწავლას სხვა კვლევას ვუძღვნი).

ამგვარად, ბოლონის პროცესმა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საგანმანათლებლო პროცესების წარმატებით წარმართვისათვის კურიკულუმების განმახორციელებელ პერსონალთან ერთად, მონაწილეობა დამატებითი რესურსები და სტატუსები შესთავაზა. მათ შორის დამსაქმებელი ცენტრალურ ადგილს იკავებს.

გამოყენებული ლიტერატურა და მასალები:

- 1) ლეჟავა. დ; ამაშუკელი მ. „ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოში: ძირითადი მიღწევები და გამოწვევები, თბილისი, 2016წ.
- 2) იაკობ გოგებაშვილი სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის მასალები, 2017 წლის ოქტომბერი- აპრილი.

NiNo Gigilashvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

The research of Potential Employer in the Field of Career Opportunities of Iakob Gogebashvili Telavi State University Graduates

Abstract

The Bologna process offered to the Higher Education Institutions additional resources and statuses for the better leading of educational processes by staff who realize curriculums. The main request and recommendation of European experts is to plan and implement student oriented educational curriculums. It also gives the student priority in labor market. According these recommendations, it is needed to be revised and added the statuses of human resources included in planning and implementation process. Earlier in this process were taking part only teaching personnel, but now students, employers, personnel and all stakeholders are taking part in the process. The present research is about employers interviewing.

საკვანძო სიტყვები: კვლევა, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული, სკოლა, კომპეტენცია, ცოდნა, პრაქტიკა

Key words: research, employer, graduate, school, competence, knowledge, practice

ნინო გიორგაძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელობის უნივერსიტეტი, თელავი

ნინო ქუთათელაძის შემოქმედებითი პორტრეტისათვის

დღევანდელ ქართულ მწერლობაში ბევრი არ გვეგულება ნინო ქუთათელაძის სიღრმის შემოქმედი. პროფესიით ჟურნალისტი მხატვრული სიტყვის უზადლო მსახურია. მისი წიგნები: „ბრძენთა ვარამი“, „ტფილისური ნოველები“, პოეტური კრებულები: „ფოთლის ფარდა“, „მუსიკა სცენიდან“, „თეთრი ათინათი“, „სამი მონოლოგი“, „ჰოი, ლიპარიტ“, „შვიდი პოემა“, „ლექსები, პოემები“ შემოქმედის ღირსეული „სიცოცხლის საფასური“ გახლავთ.

ნინო ქუთათელაძისათვის პოეზია სულის საოხი ტაძარიცაა, ქვეყნის ხსნის სავედრებელი უფლის სახლიც და ზარის სათქმელი ამბიონიც. ბოლო დროს გამოცემული წიგნის წინასიტყვაობაში, რომელსაც პოეტმა „მცირე აღსარება“ უწოდა, ვკითხულობთ: „მადლობას ვწირავ, მუხლს ვიდრეც უფლის წინაშე, რომ მან სილამაზისა და ტანჯვის, სიხარულისა და მწუხარების, სიყვარულისა და თმენის ყველა კარი შემადებინა“ (ქუთათელაძე. 2015: 3). სწორედ ამ კართაგან დანახული სამყარო მოჩანს ნინო ქუთათელაძის შემოქმედებაში, სამყარო, რომელიც ჭეშმარიტების მსახურის თვალითაა დანახულ-შეცნობილი.

სალიტერატურო კრიტიკაში ზოგჯერ გაკრთება ხოლმე აზრი ნინო ქუთათელაძის პოეზიაში ტრადიციული ქართული ლექსის მემკვიდრეობაზე, რასაც პოეტი კატეგორიულად უარყოფს. საკუთარი შემოქმედების ინდივიდუალობის შესახებ იგი საგულისხმო თვალსაზრისს აყალიბებს ერთ-ერთ ინტერვიუში: „ - მე არ ვთვლი, რომ ტრადიციულ მაგისტრალურ ხაზს ვაგრძელებ, თუმცა რითმიან ლექსს ხშირად ვწერ და დღემდე მგონია, რომ ყველა სათქმელს თავისი ფორმა სჭირდება. არის ლექსი, რომელიც პირდაპირ, ჯიქურ მოითხოვს რითმას. საერთოდ, ცნობილია, რომ მხატვარმა თუ ხატვა არ იცის, ის ვერასოდეს გახდება კუბისტი, იმპრესიონისტი, სიურეალისტი ან სხვა და სხვა. ასეა რითმიანი ლექსიც... თუ რითმიანი ლექსის წერა არ შეგიძლია, შენ პოეტი არც ხარ (ეს ჩემი აზრია, რა თქმა უნდა). ლექსი კი არ უნდა აკეთო, საჩუქარივით უნდა მიიღო უფლისგან. ჩემი სტიქია რიტმულად მოწესრიგებული ვერლიბრია. ის არ გიზღუდავს სათქმელს, არ გიწესებს ჩარჩოებს, განგაწყობს სააზროვნოდ... მე ჩემს მასწავლებლად ქართული საგალობლები მიმაჩნია, ოდნავ არეული რითმითა და სათქმელის სიღრმით, განუმეორებელი რიტმითა და სულიერი სიფაქიზით. აი, სწორედ მათში მქდავანდება, რომ სიტყვა უფალია და არა მხოლოდ იმიტომ, რომ საგალობელი რელიგიის კუთვნილებაა, არამედ იმიტომაც, რომ მასში სიტყვისა და სათქმელის ესთეტიკა აბსოლუტურად თანხვედრილია” (შაიშმელაშვილი, 2015. 35).

ეს ვრცელი ამონარიდი სრულ წარმოდგენას გვიქმნის პოეტის შემოქმედებით ბუნებასა და სულიერ სიმაღლეზე. თუმცა, ლექსთწყობის საკითხებზე რომ არაფერი ვთქვათ, ვფიქრობთ, ნინო ქუთათელაძე მაინც აგრძელებს კლასიკოსთა ტრადიციებს. მისთვის ისევე მიუღებელია უსაგნო პოეზია, როგორც ილიასთვის, აკაკისთვის. ვაჟასთვის. მასაც უჭირს უკეთურზე თვალის დახუჭვა, მასაც ვერ უპოვია შვება „ქვეყნის უბედურებით გულალტკინებულსა”.

„ხელოვნება სიმართლით უნდა ემსახურებოდეს ხალხსა და ქვეყანას. მე ღრმად მწამს, - წერს პოეტი - როცა შემოქმედი რაღაც ღირებულს ქმნის, ზურგს უკან ყოველთვის ანგელოზი უდგას, მხარს უმაგრებს და ისიც ხშირად უფლის კარნახით საზრდოობს” (შაიშმელაშვილი, 2011, 15). უფლის კარნახით ნასაზრდოები ბევრია ნინო ქუთათელაძის შემოქმედებაში. „ბადაგისფერი მზე” ათინათობს მის ლექსებში და გაყინული სულების, უსიყვარულოდ დარჩენილი გულების გათბობას ლამობს.

პოეტის მეგრძოლი, შეუპოვარი ბუნების მიუხედავად, მის შემოქმედებაში უპირველესად ქალური სისუსტე და კდემა იჩენს თავს:

ვიღაცა მიმსხვრევს ნაფერებ ღიმილს,
გალურსულ ხეებს სიგრილე კვეთავს,
თოვლი მოსულა, ქარი დამდგარა,
სიმღერა დადის დარდად და რეტად.

(ქუთათელაძე: 2015, 17)

თუმცა, პოეტისათვის ამღერებული დარდიც შვებაა, რადგან პოეზიაა მისი ნავთსაყუდელი, მხოლოდ მას ძალუმს „ღამის ცისფრად ამოლექსებაც” და „მუსიკალური ფერების ველზე” ცისფერი ფერის გაბატონებაც.

ნინო ქუთათელაძის პოეზიაში ზოგჯერ შემოდგომის ფერები სჭარბობს, მაგრამ სწამს და სჯერა, რომ „შემოდგომითაც ამოდის მზე და - ერთი დღე მაინც გაიმზიანებს”. ეს მზიანი დღე აუცილებლად დაუდგება მის სამშობლოსაც თუკი იზეიმებს სიყვარული და ურთიერთდანდობა. სამარადჟამო გადამახილად და პოეტურ ანდერძად გვესახება მისი ლექსი „საქართველოს”:

როცა ყველაფერს დავწერ და ვიტყვი,
როცა სათქმელი აღარ დამრჩება,
როცა დავხურავ სუყველა კარებს
და არ ვიქნები მეტი ამქვეყნად,
აღბათ ვიქცევი იმ ცისფერ ტაძრად,
სადაც ირბენენ თეთრი ბავშვები,
რომ მერე შენს ღმერთს

შეეწირონ სულით და ხორციით! –
„მე უკვე მოვრჩი...
და თუკი ვინმე შესძლებთ დანდობას,
მე ნუ დამინდობთ,
ერთმანეთი დაინდეთ მხოლოდ.

(ქუთათელაძე: 2015, 15)

პოეტს გაცნობიერებულ-გათავისებული აქვს, რომ დარდია და დარდად გაფრინდება „დარდების მერე“, მაგრამ მანამდე უნდა ქვეყანა დააჯეროს, უნდა ქვეყანა შეაჯეროს, რომ „გულში ათასი ცოდვის ღველფია // და აღარ არის ამქვეყნად ვინმე // წყალობისა და წყალის მომტანი“ (ქუთათელაძე: 2015, 35).

ათასი უკეთურება დაუფლებია ზეცას დაშორებულ, მუცელს გადაყოლილ ქვეყანას, ქვეყანას, რომელიც „იმედის სანთლებს ნელ-ნელა აქრობს“. ზეცისკენ ყურება უნდა შეძლონ ადამიანებმა, ზეციდან მიღებული მადლის ძიებაში უნდა იყვნენ მუდამ, რომ სამყარო „მიღმა დარჩენილს არ დაემსგავსოს“.

მწერლობის ჩასახვიდან დღემდე თემები მეორდება, მეორდება თითქმის უცვლელად, მაგრამ ფორმით, გააზრებით, გადმოცემის ინდივიდუალობით, ხმით, სახისმეტყველებით, მაინც განსხვავებულია. შეუძლებელია გულგრილად წაიკითხო „ყიდვა-გაყიდვის ბაღადა“. ჩემთვის ეს ლექსი ნიკო ლორთქიფანიძის ნოველის („იყიდება საქართველო“) გაგრძელებაცაა და ახლებური ვარიაციაც, წარმოდგენილი თავისებური სიღრმითა და ხედვით. პოეტი ყიდის „უღმერთო ღამეს“, ყიდის „დარდს და ნანატრ ედემს“, ყიდის „ჩითებს მინდვრად გაშლილს, ყვავილების მოიმედეს“, ყიდის „ლერწმებს ცამდე ასულს, გულში ნასროლ ყველა ტყვიას, გათიბულს და გამოთიბულს სიყვარულის რია-რიას“, ყიდის „ვარსკვლავთცვენის ფერებს“, „საფლავების სამოსახლოს გულისტკივილს, ლექსთა ძახილს, მზისკენ სწრაფვას“. სასიცოცხლო ფერების გარეშე პოეტს ქვეყანაში შექმნილი რეალობა ტოვებს. ამ ცოდვა-ბრალიან საწუთოში პოეტი მარტო არ არის. „ყველა ყიდის, ყველა დაობს, // და ეშმაკიც აქვე სახლობს; // დღეს ყველაზე მთავარია - // ვყიდით, ვყიდით, ვყიდით ხალხო!“ (ქუთათელაძე: 2015, 44). სწორედ ამ ბოლო სტროფში იჩენს თავს აშკარა და შეფარული ალუზია ნიკო ლორთქიფანიძის ნოველასთან.

ეს დაუწყებელი ტკივილი არაერთგზის ხმიანობს პოეტის ლირიკაში.
ყველა ღომს თავის მეღა ჰყავს,
ყველა თავისას ციცქნის,
საუკუნენი სერავენ
სევდას დარდის და ლიქნის...

(ქუთათელაძე: 2015, 73)

ამიტომაც არ უჩანს ბოლო უსასოობასა და წუხილს. რისთვის არ შეუდარებიათ მამული, მაგრამ ასე ლამაზად, გამორჩეულად ცოტას თუ უთქვამს:

მე სინანულის ჩიტი ვარ,
ყველას მაგიერ ვნანობ,
ჩემო საწყალო მამულო,
უფლის ცრემლო და ცალო.

(ქუთათელაძე: 2015, 72)

„უფლის ცრემლია“ მამული, უფლის „ცალია“ და მაინც უჭირს, რადგან „ათასწლეულის მირაჟში“ მყოფი მუდმივად ბელადის მადიებელი ერი ვერ მისულა შეუმცდარ დასკვნამდე – „მე ვარ და ჩემი უფალიო“.

საქართველოში კარგი მთქმელი მუდამ იყო და მუდამაა თითო-ოროლა, მაგრამ არ ყოფილა კარგი გამგონე არც როდის. დასაბამიდან აქ „მართალი გიჟის მსგავსია, მტყუანი მართალს ჩემობს“. ამიტომაც გზა - სავალი მუდამ უცვლელი და ეკლიანი გვაქვს. ამ გზის განწმენდად „მომავალთ“ იგულებს პოეტი, სახვალიოდ „დამზრალი ჯიშის ფესვის“ მომძლავრება ეიმედება.

ნინო ქუთათელაძე ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „ქართული ლიტერატურა ღირსებაზე აღმოცენებული ლიტერატურაა“. შემოქმედისათვის ღირსება უპირველესად პირუთვნელობა და სიმართლის სამსახურია, რაც ასე ბუნებრივი და ორგანულია პოეტისათვის. მისთვის უცხოა გამოკვეთილი პოზიციის არქონა, თავსმოხვეული აზრის მიღება-გაზიარება. ამიტომაც სძულს არაქართული წარმომავლობის ლექსემა - „კონფორმიზმი“, რომლის შინაარსი, სამწუხაროდ, ქართულ ხასიათსაც გულისხმობს. ლექსი სათაურის ორგანული ნაწილი, მისი განმარტებითი, ქართული რეალობით დატვირთული მხატვრული გააზრებაა. ვთვლით, რომ ლექსი „კონფორმიზმი“, ნინო ქუთათელაძის პოეზიის არაერთ მახასიათებელს შეიცავს, ამიტომ წარმოვადგენთ სრულად:

რა საშინელი სიტყვაა, ღმერთო,
ძმას რომ წაგართმევს,
დას რომ დაძირავს,
დაგათმობინებს მცხეთას და ხერთვისს
ასე მარტივად...
უფრო საშიში სიტყვის არსია,
არსზე საშიში მკვლელის მანტია,
არც სიყვარული, არც სინანული!...
- ეს თამაშია!
ეშმა, რომელიც სულში ჩასახლდა,
ათას წლის წინათ აიღო გეში,
ახლა გადიდდა და გაათასდა
და უფალს ებრძვის!
რა საშინელი სიტყვაა, ღმერთო,
მარადიული სახადი ერის -
„ოღონდ მე არა, ოღონდ მე არა,
წყალს წაუღია სხვა ყველაფერი!“

(ქუთათელაძე: 2015, 74)

იქნებ ყველა ეს თვისება საფუძველი იმ სიგლახის, ტკივილისა და განსაცდელის, რამაც ბოლო ათწლეულში კიდევ უფრო იძალა. იქნებ აფხაზეთი და სამაჩაბლოც ამ ერთ სიტყვაში მოქცეული უგერგილობა-უკეთურობის მსხვერპლია... ვინ იცის?!...

აფხაზეთი პოეტის ტკივილია და ხშირად ხშიანობს ეს ტკივილი მის ლირიკაში. არ შეიძლება არ გავიხსენოთ „ტრიოლეტები აფხაზეთს“, რომელიც არის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი, რაც კი რამ დაწერილა აფხაზეთზე. ლექსს რვა ტრიოლეტი ამთლიანებს და თითოეულის წაკითხვისას გული გეწურება, მთელი სიცხადით ხედავ მძიმე რეალობას:

სიყვარული არ ქრისტიანობს საქრისტიანოს
და უთვალავი ზანზალაკი შეაბეს ეშმას;
ყოველი ტრიოლეტის დასაწყისი დასასრულიცაა და ამ საწყის-სასრულში იკითხება
მთელი ტკივილი პოეტისა და სრულიად საქართველოსი:

ენგურის გაღმა და გამოღმა დარჩა ქვეყანა,
აღარც ის არის, აღარც ჩვენ ვართ აღარაფერი...

ნინო ქუთათელაძეს თავისი დამოკიდებულება აქვს თავისუფლებაზე და ამ დამოკიდებულებას ვაჟას სიტყვებით აჟღერებს: „თავისუფლება ხალხისთვის წართმეული ბედნიერებაა“. - ჩემი აზრით, ამაზე ზუსტი განსაზღვრება შეუძლებელიცაა, ასკვნის იგი და ვერც შევედავებით. ამავე წერილში პოეტი შენიშნავს: „მთელი ცხოვრება თავისუფლების ძებნაში გავიდა... ჩემი თავისუფლების კია არა, ჩემი სამშობლოს თავისუფლების. მაშინ, იმ ავბედითი საბჭოთა ქვეყნის პირობებში ვწერდი: „ჩემმა სიკვდილმა // უნდა გადავლოს გულების ზღუდე//და აამღეროს // ქვეყნის დიდზე დიდი ტკივილი - // თავისუფლება!“ ვერ იქნა და ვერ ავამღერე თავისუფლება, ვერც გაკლდევებული, კონფორმიზმს დამორჩილებული გულები გადავლაზე. ხანდახან მგონია, სულ ტყუილად ჩაიარა

ცხოვრებამ... „ხანდახან ვფიქრობ, იქნებ მართლაც ჯობდეს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღედ 30 თებერვალი გამოვაცხადოთ, დღე რომელიც ბუნებაში არ არსებობს?! ღმერთო, დაგვიფარე ამგვარი ფიქრისგან! (გაზ. „ლიტ.საქართველო“, 2015).

უსასრულოდ შეიძლება წერა და ფიქრი ნინო ქუთათელაძის პოეზიაზე. უკიდევანოა მისი პოეტური სამყარო, იქ დავანებული ტკივილი, სიხარული, ემოცია, სიღრმე აზრისა და განცდისა...

ნინო ქუთათელაძის შემოქმედებაში არანაკლებ ღირებულია პოეტური ეპოსი. მისი პოემები: „შუშანიკის საგალობელი“, „სიმღერა წყვდიადში“, „სატანური სპექტრი“, „ჰოი, ლიპარიტ!“, „ჩემი ცხოვრების სამი სეზონი“, „მასხარათათვის და მასხრობათათვის“, „ქარონის ნავი“ პოეტის ნიჭიერების კიდევ ერთი დასტური და განაცხადია.

შემოქმედი წერას რომ უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება ეს მის პოეზიასაც აჩნია, მაგრამ პასუხისმგებლობა უფრო მძლავრობს პოეტური ეპოსის ქმნადობისას. აკი „შუშანიკის საგალობლის“ შექმნის ისტორიაზე თხრობისას დასძენს კიდევ - „ათი-თორმეტი წელი მაწვალებდა ეს თემაო“ - და შემდეგ, ამ წვალეზის საფუძველსაც გვიმხელს: „განსაკუთრებით მაშინ გაიზარდა ჩემი ინტერესი შუშანიკისადმი, როცა გავეცანი ნ. მარისა და ლ.მელიქსედეგის შეხედულებას მამიკონიანთა საგვარეულოს ლაზური წარმოშობის შესახებ. მოგვიანებით მუშაობა მომიხდა ვახტანგ გორგასლის პერიოდის, მისი გამეფების, ვარსკენის დასაჯის ისტორიულ თუ ლიტერატურულ თხზულებებზე, რათა გამერკვია თითოეული მათგანის სახე და ხასიათი...

მაგრამ მთავარი მაინც შუშანიკი იყო. და აი, აქ გაიელვა თითქმის ყველა ქალმა საქართველოს ისტორიიდან. თითოეული თავის სიტყვას ამბობდა შუშანიკის ხასიათის გამოკვეთაში. აქ იყვნენ ყველა - ანტიკური მედეადან დაწყებული დღეს მოღვაწე ქალებით დამთავრებული“ (ქუთათელაძე: 2002, 3).

როგორც უკვე შევნიშნეთ, შემოქმედი თავის მასწავლებლად და პოეტური გეზის მიმცემად ქართულ საგალობლებს მიიჩნევს, რომლის მრავალხმიანობა განსაკუთრებული ჟღერადობით „შუშანიკის საგალობელში“ გამოვრთა. ოცი საგალობელი, შიგადაშიგ ჩართული ხუცესის ნუგეში, დატირება და ეპილოგი სრულად იტევს პოემის დაწერის აზრსა და მიზანს.

შეუძლებელია, ასევე ორიოდ სიტყვით არ შევჩერდეთ პუბლიცისტურ პოემაზე „მასხარათათვის და მასხრობათათვის“. ნ. ქუთათელაძე პროფესიონალიზმი მხატვრულ ნააზრევშიც იჩენს თავს. კრიტიკულ-პუბლიცისტური ინტონაციები ბუნებრივად ჯდება მის პოეტურ სიტყვაში. აქ ვერ ნახავთ ყალბსა და ხელოვნურს, მხოლოდ სინამდვილით განცდილი ტკივილი ხმიანობს. პოემის პირველივე სტრიქონებში ირეკლება ქვეყნის ტრაგიზმი:

მასხარათათვის მზე ამოვიდა,
მასხრობისათვის საამო დროა...
დროა, წაშალო უკვე ხსოვნიდან,
ეს მიწა შენი სამშობლო რა...

(ქუთათელაძე: 2002, 79)

მკითხველის თვალწინ ისე ნათლად და ხელშესახებად იძერწება მასხარის სახე, შეუძლებელია ვერ იცნო, ვერ გაიხსენო, ვერ მიაშგავსო... თუმცა ძნელია, ძნელია 2001 წელს დაწერილ პოემაში ზუსტად გაიზრო მოქმედების დრო და სივრცე:

ხელჩაქნეული იოლად ბრუნავს
ეს დედამიწა, მიდის ცხოვრება...
ის, რაც გადურჩა მასხრების ხტუნვას,
სულ გადაჭამეს შავმა ღორებმა.

(ქუთათელაძე: 2002, 85)

ცხოვრების კანონზომიერებადქცეული მასხარ-მასხრობა იყო, არის და სამწუხაროდ, ალბათ, იქნება. ეს გამოუვალი, მოჯადოებული წრეც სწორედ რომ მასხარ-მასხრობის ნაბომკარია.

მწერლის ყველა პოემა დატვირთულია აზრით, ფიქრით, მებრძოლი და შეუპოვარი სიტყვით, სიტყვით, რომელიც გაფხიზლებს და დუმილის უფლებას არ გიტოვებს.

ნინო ქუთათელაძემ მცირე პროზაშიც მოსინჯა კალამი და არც თუ წარუმატებლად. მისი „ტფილისური“ ნოველები ახალ ფორმაში გადასული ნაცნობი განცდებია სრულიად განსხვავებული სახეებით.

თბილისზე დაწერილი წიგნების მოტფრიალე მწერალს საკუთარი ნოველები საყვარელი ქალაქის წინაშე გაღებულ ვალად მიუთვლია. „სახურავზე წვიმის იავნანით“ აღზრდილს ეუცნაურება სახეწაშლილი, ხიზლდაკარგული თბილისი. გაშლილი, გულდია „იტალიური ეზოების“ აღვას თან გაჰყოლია მშვენიერება და ხალასი ბუნება თბილისური ხასიათისა. სწორედ ამ გარდასულის გაცოცხლებასა და და დაბრუნებას ლამობს ავტორი „ტფილისურ ნოველებში“. მისი ნოველის გმირები თავანკარა ქართულით საუბრობენ, სიტბოს, სიკეთეს, სიყვარულს უშურველად არიგებენ და თანამედოვე მკითხველს კიდევ ერთხელ ახსენებენ, რა ბედნიერებაა ქართველად ყოფნა, როცა ხარ ჭეშმარიტად ადამიანი.

ნინო ქუთათელაძის ორიგინალურ მხატვრულ შემოქმედებას გარკვეულწილად ავსებს და ამდიდრებს ანდრეი ბელის „პეტერბურგის“ შესანიშნავი თარგმანი. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, XX საუკუნის 10- 20-იან წლებში მოდერნიზმის სახარებად მიჩნეული თხზულება დღემდე ქართულად თარგმნილი არ ყოფილა. მთარგმელი დიდი სირთულეებისა და გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. რუსულ ლიტერატურაში ანდრეი ბელის მოღვაწეობის პერიოდი „ვერცხლის საუკუნედაა“ მიჩნეული. არ იყო ადვილი ამ ეპოქის მხატვრულ-ლიტერატურულ ტენდენციებში გარკვევა, მოდერნიზმის ენობრივ და სტილურ ნიუანსებში წვდომა, რომანისათვის დამახასიათებელი რიტმული პროზის შეგრძნება-გათავისება. „პეტერბურგის“ კითხვისას „ჩვენ თავალწინ გადაიშლება ჩვეული სამყაროს რიტმული რღვევისა და დაქუცმაცების პანორამა. რომანი ისეა აგებული, რომ მისი ცალკეული თავი და პასაჟიც კი შინაგანად დამთავრებულია. ყოველ მათგანს საკუთარი აღქმით- სმენითი და ტემპორალური თავისთავადობა გააჩნია. ამგვარი მოცემულობა არ უნდა ავურიოთ რიტმული პროზის ჩვეულ გაგებაში. სწორედ მეტრო-რიტმული და ჰარმონიული პოლიფუნქციურობა ქმნის ანდრეი ბელის ამ რომანის განსაკუთრებულ ატმოსფეროს, რომლის წნევაც არა უბრალოდ ყოველ წინადადებაში, თითოეულ აქცენტშიც იგრძნობა და თითქმის გადაულახავ სიძნლევებს უქმნის მთარგმნელს. ამიტომაც წინადადებები და მთლიანად ტექსტი კარგავს ინფორმაციის გაცემის ფუნქციას და სიტყვათა აზრობრივი და ფონემატური სტრუქტურის რღვევად აღიქმება. ოღონდ ეს რღვევა ნებისმიერი არ არის. რომანის სემანტიკური ველის ადეკვატური აღქმისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს უმცირეს არტიკულირებად ნაწილაკთა თავისებური ახმოვანება“.

(სანებლიძე: ჟურნ. „ცისკარი“, # 5, 2016).

ნიკოლოზ სანებლიძის ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო ნათელს ხდის, რა სიძნელის წინაშე აღმოჩნდა მთარგმნელი და როგორ შეძლო მოდერნისტული პოეტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის შემოქმედების ინდივიდუალობა ბოლომდე შენარჩუნებინა თარგმანში, შენარჩუნებინა ისე, რომ ყოველმხრივ გამოეკვეთა ქართულის ენობრივი შესაძლებლობანი.

შეუძლებელია ნინო ქუთათელაძის შემოქმედებით პორტრეტზე საუბრისას ორიოდ სიტყვით არ შევხვით მის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს.

მწერალმა „ბრძენთა ვარამი“ უწოდა ლევან გოთუას შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილთა კრებულს. მწერლის მხატვრულ მემკვიდრეობაზე ყველაზე ზუსტ აქცენტებს შემოქმედებასთან წილნაყარი აკეთებს. ასეა ამ შემთხვევაშიც, წიგნის სახელწოდება აჯამებს და იტევს ავტორის უმთავრეს სათქმელს. ლევან გოთუას რომანის, დრამის, მოთხრობის გმირები ისევე ასოცირდებიან სიბრძნესთან, როგორც ვარამთან. სწორედ რომ ბრძენ გმირთა ვარამია ლევან გოთუას მხატვრული მატანე...

„ეს წიგნი კრიტიკული ლიტერატურის წილი არ გახლავთო“, წერს ბოლო სიტყვაში ავტორი, მაგრამ ვერ დავეთანხმებით. ბევრი დაწერილა ლევან გოთუაზე, ბევრიც უთქმელია ჯერაც, მაგრამ „ბრძენთა ვარამი“ ერთე-ერთი საუკეთესო საწონ-საზომია მწერლის შემოქმედებისა. წიგნში შესული წერილები საოცარი ნაზავია ლევან გოთუას ცხოვრებისეული ეპიზოდების ჩანარებისა და მისი შემოქმედების ლიტერატურულ-კრიტიკული ანალიზის, რაც თავისთავად ბადებს „ბრძენთა ვარამის“ ბიოგრაფიულ რომანად ქცევის საფუძველს და სურვილს.

ნინო ქუთათელაძეს და ლევან გოთუას შემოქმედებითი თვალსაზრისით ბევრი აქვთ საერთო, უპირველესად კი ღირებულებათა ერთგულება რის გარეშე უფასურია, უმაღლოა მწერლობაცა და ცხოვრებაც.

„სიბრძნე და ზნეობა - აი, ის ორი დვრიტა, რომელსაც ლევან გოთუას შემოქმედება ეყრდნობა“. (ქუთათელაძე:2002) იგივე დვრიტაა საყრდენი ნინო ქუთათელაძის შემოქმედებისა. აქ იჩენს თავს სულთა კავშირი ამ ორი შემოქმედისა, არა მხოლოდ ახლობლურ-ნათესაური, არამედ სამწერლოც. ასეთი მუდამ ერის სულიერ მედროშეობას ტვირთულობენ, მთავარია იყოს შემსმენი და გამგონი, თქმულის გულისყურამდე დამტანი.

„იმ ტიპის მწერლობას, რომელსაც ლევან გოთუა ემსახურებოდა, არასახარბიელო დრო ერგო წილად და ვშიშობ, ეს დრო ჯერაც გრძელდება“ (ქუთათელაძე: 2002,94) შენიშნავს ნინო ქუთათელაძე. სამწუხაროდ, ეს „არასახარბიელო დრო“ მხოლოდ ლევან გოთუას არ ხვდა წილად... იქნებ მუხთალი დროის შვილია ნინო ქუთათელაძის შემოქმედებაც... მაშ რას უნდა მივაწეროთ ამგვარი დუმილი ნიჭიერ შემოქმედზე?...

ლიტერატურა:

1. სანებლიძე ნ. (20016): პეტერბურგული „ვერცხლის საუკუნე“ ქართულად. ჟურნ. „ცისკარი“, #5. თბილისი.
2. ქუთათელაძე ნ. (2002): შვიდი პოემა. „ოპიზა“. თბილისი.
3. ქუთათელაძე ნ. (2005): ბრძენთა ვარამი. „ეროვნული მწერლობა“. თბილისი.
4. ქუთათელაძე ნ. (2009): ტფილისური ნოველები. „ეროვნული მწერლობა“. თბილისი.
5. ქუთათელაძე ნ. (2012): ლექსები, პოემები. „ეთნოპოლიტიკა“. თბილისი.
6. ქუთათელაძე ნ. (2015): კიდევ ერთხელ თავისუფლებაზე. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. თბილისი.
7. შაიშმელაშვილი თ. (2015): ინტერვიუ მწერალთან. ჟურნ. „ანეული“. #2. თბილისი.

Nino Giorgadze
Iakob Gogebashvili State University, Telavi

For the creative Portrait of Nino Kutateladze

Abstract

Nino Kutateladze is the prominent creator of the Modern Georgian literature. She is a journalist by profession but she is a famed writer as well. She is the author of the following works: “Torment of Sage”, “Tbilisian Novels”, “Tpilisi Novels”. Collected poetic works: “Leaf Curtain”, Music from the Scene”, White Afterglow”, Three Monologues”, “hey, Liparit”, “Seven Poems” are the worthy treasure of her creative works. გახლავთ.

საკვანძო სიტყვები: ბრძენთა ვარამი, შვიდი პოემა, პოეტური კრებული, ტფილისური ნოველები, მთარგმნელი.

Key words: Torment of Sage, Seven Poems, Collected poetic works, Tpilisi novels, Translator

პერფორმანსის მნიშვნელობა თანამედროვე ქართულ პოეზიაში

პერფორმანსი ის უახლესი არტ-ფორმაა, რომლის მზარდი პოტენციალი და თანამედროვე სამყაროს მიმართ რელევანტურობა, თვალშისაცემი და უდავოა. გამომდინარე რადიკალურად აჩქარებული სოციალური ტემპო-რიტმიდან, რასაც მოითხოვს ახალი ყოფა და რასაც ჩაუნაცვლებლად და უშეღავათოდ გვთავაზობს, გამომდინარე დროის დეფიციტიდან, შინაგანი -ადამიანური ძალების შესუსტებიდან და გრანდნარატივების დევალვაციიდან, თანამედროვე ადამიანს აღარ ჰყოფნის დრო და სურვილი, ბეჭდურ ფორმატში მხატვრული ლიტერატურის გასაცნობად. მძლავრი და ისტერიული ინტერნეტ-ტალღა ანადგურებს სხვა ყველა შესაძლო სიახლესა და ხდომილებას, და დესტრუქციულ შხეფებად აცვივა ჩვენს პოსტმოდერნულ ყოფას.

პერფორმანსის სხვადასხვა ნაირსახეობიდან გვინდა გამოვარჩიოთ პერფორმანსული პოეზია, იგივე - პოეტური პერფორმანსი. ზოგადად, პერფორმანსი შესრულებას, გამოსვლას, წარმოდგენას აღნიშნავს და ვიზუალურ ხელოვნებათა რიცხვს განეკუთვნება. ის სრულდება განსაზღვრულ დროსა და განსაზღვრულ ადგილზე, და მისი გავრცელება-კოპირება-გამეორება მიზანშეწონილი არ არის. პერფორმანსი კონცეპტუალური ხელოვნებაა, რომელიც ავანგარდის ესთეტიკის მატარებელია. პერფორმერი აუცილებლად რაღაცას ამბობს ან რაღაცისკენ მიგვანიშნებს. მისი ეს გზავნილი მკაფიო და სწორხაზოვანია. ხელოვნების ნებისმიერი დარგის მთავარი არსიც სათქმელის არსებობასა და მის გამოხატვაში მდგომარეობს, თუმცა პერფორმანსი ამ კუთხით გაცილებით ფართო მასშტაბებს იძენს. ხელოვნების კრიზისის ფონზე, პერფორმანსი ერთ მნიშვნელოვან ნიშად გვესახება, მისი მისაწვდომობის და თვით ამ ხელოვნებაში არსებული კრიზისის გამჟღავნების გამოც. ხელოვნების არც ერთი დარგი არ არის სრულყოფილი. ეს თეზა შეგვიძლია გავავრცელოთ პოეზიაზეც, მიუხედავად იმისა, რომ პოეზია და ფილოსოფია ოდითგანვე გამოხატვის ყველაზე თვითკმარ და აკადემიურ ფორმად მიიჩნეოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა აქამდე არსებული არტ-ფორმა იმ ერთ, თვითმყოფად ფორმაში მოიყრიდა თავს და აღარ ექნებოდა საშუალება და მიზეზი ცალკე არსებობისა. როგორც პიტიმირ სოროკინი აღნიშნავს ნაშრომში „ხელოვნების კრიზისი“, „კულტურის არც ერთი ფორმა არ არის უსაზღვრო თავის შემოქმედებით შესაძლებლობებში, ისინი ყოველთვის შეზღუდულია. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა არა რამდენიმე ფორმა ერთი კულტურის, არამედ ერთადერთი, აბსოლუტური, რომელიც შეიერთებდა ყველა ფორმას“. (4. 12) პოსტმოდერნული ეპოქა და სააზროვნო სივრცე განაპირობებს დიადსა და მდარე შემოქმედებით პროდუქტებს შორის რანჟირების უარყოფას. უკეთ რომ ვთქვათ, პოსტმოდერნიზმში აღარ არსებობს არტისტიული დიდპატარაობა. პოსტმოდერნიზმში ყველას და ყველაფერს აქვს თანაბარმნიშვნელოვანი არსებობის უფლება; მოდერნიზმისაგან განსხვავებით, ძველიც და არქექტიპულიც მისაღებია, მისაღებია ირონიით, ნიჰილიზმით, კარნავალურობით, ძიებისა და ეგზისტენციალური ჩაღრმავების გარეშე. თუმცა, ასეთი განურჩევლი მიდგომა იწვევს თვით ხელოვნების არსის დევალვაციას. მხოლოდ ძველი მასალების დეკონსტრუქცია - რეკონსტრუქცია აღარ

იმღევა შემოქმედებითი აღმაფრენის საშუალებას. შემოქმედებითი ძალების და ფორმების ამოწურვა კი განაპირობებს მკვდარ, უმოქმედო საზოგადოებას. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა, კულტურამ და ხელოვნებამ განიცადოს ტრანსფორმაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში დადგება შემოქმედებითი სტაგნაციის მომენტი. ჩვენ, ცხადია, არ ვამბობთ, რომ ლიტერატურა, პოეზია, როგორც დამწერლობა, უნდა შეიზღუდოს, თუმცა ვსაუბრობთ გამოხატვის იმ განახლებულ ფორმებზე, რომელსაც პერფორმანსი ანიჭებს ლიტერატურას. პერფორმირებული ლიტერატურა ჩვენი საზოგადოებისათვის გაცილებით შეღწევადი და მისაღებია, იმ რიგი მიზეზების გამო, რომლის შესახებაც ზევით უკვე მოგახსენეთ.

ლიტერატურა და პერფორმანსი მხოლოდ ახალ დროში არ კვეთენ და ავსებენ ერთმანეთს. უდამწერლობო ეპოქაში, როდესაც ფიქციას ზეპირსიტყვიერების სახე ჰქონდა, ფოლკლორული ნიმუშები საქართველოში ვრცელდებოდა მესტიერების, მგოსნების, ხუმარების, მეჩონგურების მეშვეობით, საბერძნეთში - აედების, შემდგომში - რაფსოდების მეშვეობით, ევროპაში ასეთებად მოიაზრებოდნენ ბარდები, რუსეთში - სკომოროხები, უკრაინაში - კობზარი, საფრანგეთში - ჟონგლიორი და ტრუბადური, ინდოეთში - ბჰარატა, აზერბაიჯანსა და სომხეთში ამ როლს ასრულებდნენ აშულები. მათი წარმოდგენები თავისუფლად შეგვიძლია მოვიხსენოთ პერფორმანსის წანამდღვრებად. ისინი ცეკვა-სიმღერის ელემენტებითა და სხვადასხვა ვიზუალური ჟესტებით წარმოადგენდნენ თავიანთ ან სხვათა მიერ შეთხზულ ტექსტებს. რენესანსის დროს არსებობდნენ ასევე მოხეტიალე პოეტები, რომლებიც ღია წარმოდგენებს მართავდნენ მსმენელთათვის. თანამედროვე ყოფაში პერფორმანსად შეიძლება ჩაითვალოს თეატრი, მუსიკა, ცეკვა, საცირკო წარმოდგენა, შაპიტო და სხვა. პერფორმანსი ოთხ საბაზისო მოცემულობას ეყრდნობა, ესენია: დრო, ადგილი, პერფორმერის სხეული ან აწმყოს მიმართ მისი დამოკიდებულება და პერფორმერის ურთიერთობა მაყურებელთან. სამოციან წლებში განვითარებული ვიზუალური ხელოვნების მიმდევრები ცდილობდნენ, პერფორმანსული წარმოდგენები თეატრის ანტითეზად ჩამოეყალიბებინათ, ძირეულად ამოეყირავებინათ კულტურული ნორმები და ხელოვნების ტრადიციული გაგებისთვის სუბსტანცია შეეერყიათ. პერფორმანსი გავრცელდა არა მარტო ამერიკასა და ევროპაში, არამედ რუსეთსა და აზიაშიც. იტალიურ-რუსული ფუტურიზმი და დადაიზმი პერფორმანსის ერთ-ერთ ძირითად წანამდღვრად ითვლება. 90-იანი წლებიდან პერფორმანსი კულტურაში ხელოვნების მეინსტრიმულ მიმართულებად განისაზღვრა. პოეტური პერფორმანსი ამჟამად უკვე გავრცელებული არტ-ფორმაა და პოეზიის სადამოების ნაცვლად, პოეტები, ხშირად, პერფორმანსს გვთავაზობენ. ჩნდება ლოგიკური კითხვები: რა ნიშნებით შეიძლება გავმიჯნოთ პოეტური სადამო ან შეხვედრა და პოეტური პერფორმანსი? რამდენად ხელმოსაჭიდი და თვალშისაცემია ეს განსხვავებები? თუ არ არის რაიმე არსებითი სხვაობა, რატომ არსებობს ტენდენცია ერთის ჩანაცვლებით მეორეთი? და ბოლოს, თუ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ პოეტური პერფორმანსი არსობრივად განსხვავდება პოეტური სადამოსგან, რატომ ირჩევენ თანამედროვე არტისტები ამ პირველს; მოდური ტენდენციის გამო თუ იმიტომ, რომ პოეზიის წარდგენის ძველ, კონვენციურ ფორმებში უკვე ვეღარ ხედავენ თანამედროვე პოეზიის მომავალს?

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ლიტერატურა სოციალურ ფაქტად მიიჩნევა, და „ეს იმიტომ, რომ ტექსტი საკუთრივ ლიტერატურად მხოლოდ გაცვლის პროცესით იქცევა - როცა მას წაიკითხავენ, მოისმენენ ან იხილავენ, როგორც ლიტერატურულს ანუ როცა იგი სოციალიზირებულია. თუნდაც მხოლოდ

იმიტომ, რომ ის წარმოადგენს ენობრივ ნაშრომს, იგი უდავოდ მონაწილეობს სოციალურ რეალობაში, რომელსაც ენა წარმოადგენს.“(1. 49) პოეტური პერფორმანსი ანუ ლიტერატურა პერფორმანსში გაცილებით უფრო სოციალიზებულია, ვიდრე ლიტერატურა - წიგნში. პერფორმანსი ახდენს „აქ და ახლას“ ანუ აწმყოში მყოფობის რეალიზებას და ამ მყოფობაში ქმედების საუკეთესო ხდომილებას. პერფორმანსის ძირითადი არსი მის სპონტანურ კონცეპტუალობაშია, რომელიც პოსტავანგარდული თვისებების მატარებელია. სწორედ ამიტომ მისი ფუნქცია აბსოლუტურ თანხვედრაშია პოსტმდერნული დროისა და სივრცის ძირითად მოთხოვნებთან; რომ ლაკონურად, ირონიით, კარნავალურად, დესტრუქციულად, ორმაგი კოდირების საშუალებით ასახოს აწმყოს საზრისი თუ უსაზრისობა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ პერფორმანსი უფრო მეტად ანარქისტულ-ავანგარდისტული საზრისის მატარებელია; ამ შემთხვევაში, საკმარისია გავიხსენოთ უახლოეს ქართულ რეალობაში მოქმედი პერფორმერები, - დავით ჩიხლაძე და ზურაბ რთველიაშვილი. ისინი, თავიანთი ხელოვნებით, სოციალური მოვლენების ფორსირებას ახდენდნენ და პოეტ - ტრიბუნთა რიცხვს განეკუთვნებოდნენ. თუმცა, აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ პერფორმანსის კარნავალურობა, სპონტანურობა, ორმაგი კოდირების ელემენტები. რაც შეეხება პოსტმდერნული კულტურის ერთ-ერთ მთავარ პოსტულატს, ანტილოგოცენტრიზმს; პერფორმანსში მას ადგილი არა აქვს. შეიძლება ითქვას, მისი საპირისპირო - ლოგოცენტრიზმის პირდაპირი ინსცენირებაა. როგორც ჟაკ დერიდა წერდა, მეტყველება უკეთ აღნიშნავს მნიშვნელობას და რეპრეზენტაციის ნამდვილობას, ვიდრე წერა, ანუ მას მეტი სიახლოვე აქვს ლოგოსთან.

მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს თუ მივადევნებთ თვალს, თვალშისაცემია პოეტური სადამოს ხშირი ჩანაცვლება პოეტური პერფორმანსით. მაგალითად: „ვზივარ და გიქსოვ“, „ფერადი ქოლგების პოეტური პერფორმანსი“, „სარკე“, პოეტური პერფორმანსები „ვარდების რევოლუციის“ დროს და ა.შ. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიცაა, რომ პერფორმერი და პუბლიკა გაცილებით მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს; იშლება ზღვარი პოეტის გამონაგონ სამყაროსა და მსმენელის რეალურ მყოფობას შორის და აბსოლუტურად ასახავს პოსტმდერნულ ორმაგი კოდირების ტენდენციას. „პირველად იყო სიტყვა“ ანუ ლოგოსის პირველქმნილობა, მთელი თავისი ძალმოსილებით, შეუცვლელ ეფექტს ახდენს მსმენელზე. „თანამედროვე პოსტმდერნულ სამყაროში, რომელიც იტევს მდერნულს და ავანგარდულს, ხელოვნების დანიშნულება, პირველ რიგში, სოციუმთან კონტაქტია. ხელოვნება გახდა ანგაჟირებული. ის ცხოვრებას ასახავს ისეთს, როგორიც არის“. (3) სწორედ ხელოვნების სოციალურად ყველაზე გახსნილ მიმართულებად გვესახება პერფორმანსი, ამ შემთხვევაში - პოეტური პერფორმანსი.

გამომდინარე ზემოთმოყვანილი თეორიებიდან, ჩვენ ხელჩასაჭიდი ზღვარი გავავლეთ პოეტურ სადამოსა და პოეტურ პერფორმანსს შორის; თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ეს ზღვარი ძალიან მკვეთრი და ურღვევია. ასევე ცხადად ვაჩვენეთ, რატომ შეიძლება იყოს პერფორმანსი უფრო რელევანტური და მიმზიდველი ხელოვანთათვის, ამ შემთხვევაში - პოეტებისთვის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პერფორმანსი სინკრეტული მოვლენაა, რადგან მასში დაუნაწევრებლად და სიმბიოზური თანაცხოვრებით შერწყმულია გამომსახველობის სხვადასხვა ფორმები. შეგვიძლია, პარალელი გავავლოთ პერფორმანსსა და ხალხურ დღესასწაულებსა და სანახაობებს შორის, როგორებიცაა „ბერიკაობა“, „ყეენობა“ და სხვა. პერფორმანსი

იმღევა იმპროვიზაციის დიდ ასპარეზს და ხელშესახებია ყველა დამსწრე პირისთვის.

პოეტურ პერფორმანსს აქვს რესურსი, წვლილი შეიტანოს პედაგოგიურ საქმიანობაში, კერძოდ: მასწავლებლებმა იგი გამოიყენონ, როგორც სახალისო მეთოდი, რათა მოსწავლეებს უკეთ შეასწავლონ პოეზია. ინტერნეტგაზეთ www.mastsavlebeli.ge -ში ვკითხულობთ: “სათქმელის ამ საინტერესო და განსხვავებული ფორმის მოსწავლეებისთვის წარდგენის, გაცნობის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს მოცემული (შესასწავლი, საპროგრამო ან საგანგებოდ შერჩეული) ლექსის გადაკეთება პერფორმანსად. მოსწავლეები არ იქნებიან შეზღუდულნი გამოხატვის ფორმებით, მათ შეუძლიათ გამოიყენონ ნებისმიერი საშუალება „ლექსის გასაცოცხლებლად“. შეუძლიათ, გაერთიანდნენ ჯგუფებში ან წარმოადგინონ ინდივიდუალური პროექტი“. (2)

როგორც ზეპირმეტყველება მოგვევლინა ფოლკლორის მთავარ შემნახველ-გადამრჩენელ წყაროდ, პოსტმოდერნულ ხანაში, შესაძლებელია, პოეტურმა პერფორმანსმა აიღოს თავის თავზე პოეზიის სიცოცხლის გახანგრძლივებისა და განახლება-გადახალისების საქმე.

ლიტერატურა:

1. არონი, პოლ; ვიალა, ალენ; (2011); ლიტერატურის სოციოლოგია; გამომცემლობა „კლიო“; თბილისი
2. ლომიძე, ნინო; პოეზია და პერფორმანსი - პოეტური ნაწარმოების სწავლება; <http://mastsavlebeli.ge/?p=14046>
3. მაკალათია, დიანა; ხელპირდაუბანელი ხელოვნება ანუ ესთეტიზმიდან ანტიესთეტიზმამდე; <http://studentresearch.iliauni.edu.ge/images/pdf/Dmakaltaria.pdf>
4. სოროკინი, პიტიმირ; (2006); ხელოვნების კრიზისი; მბმ პოლიგრაფი; ქუთაისი

Nino Gogiashvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

The Importance of Performance in Modern Georgian Poetry

Abstract

Poetic performance i.e. the literature in performance is much more socialized than literature in the book. The performance function absolutely coincides with the basic requirements of postmodern time and space in reflecting the significance or senselessness of the present through double coding, in a destructive, concise, ironic and carnival form. We drew the tangible line between a poetic event and a poetic performance; However, we can not say that this boundary is very strict and indestructible. It is also clearly explained why the performance can be more relevant and attractive for artists, in this case, for poets. It can be said that the performance is a syncretic phenomenon, since it is composed of various forms of expressiveness that are inseparable and are in a symbiotic coexistence. We drew parallels between the performance and public holidays and celebrations. The article also deals with the poetic performance resources, which are useful for pedagogical activities.

საკვანძო სიტყვები: პერფორმანსი, პოეზია, პოსტმოდერნიზმი, სადამო, ლიტერატურა

Keywords: performance, poetry, postmodernism, evening, literature

ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის რეალიზების ზოგიერთი მეთოდური ასპექტი დაწყებით კლასებში

პედაგოგიური ექსპერიმენტით დადასტურდა, რომ დაწყებითი კლასების სასწავლო პროცესში მოსწავლეების მიერ მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის რეალიზების განხილვა მიზანშეწონილია, როგორც შემეცნებითი პროცესის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს:

ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის პრობლემური კითხვების სისტემას, რომლებიც დაწყებითი კლასების მოსწავლეებს უნვითარებს ზოგად მსოფლხედველობას.

კითხვების რაოდენობა და მათი გადანაწილება განისაზღვრა გაკვეთილებზე განხილული თითოეული საკითხის აქტუალობის ხარისხის მიხედვით, თუ რამდენად „ინტერდისციპლინარული“ იყო განხილული თემა; პრობლემური სიტუაციების შექმნის მეთოდურ ხერხებსა და მათი გადაწყვეტის გზებს, რომლებიც ემყარება მოსწავლეების მიერ დაწყებითი კლასების სასწავლო საგნებიდან ათვისებული ცოდნის საფუძვლებს; მოსწავლეთა დამოუკიდებელ სამუშაოებს, კომპლექსურ დავალებებს, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას.

ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის რეალიზებაზე მომუშავე დაწყებითი კლასების მასწავლებელთა გამოცდილების შესწავლამ და ხანგრძლივმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა თვლის ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის რეალიზებას სწავლების პროცესის ოპტიმიზაციის ერთ-ერთ პირობად, მაგრამ საგნების ამ ურთიერთკავშირებს იყენებენ არასაკმარისად ეფექტურად. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის რეალიზება გულისხმობს მოსწავლეთა საძიებო საქმიანობას, რაც თავის მხრივ მოითხოვს ორიენტირებას პრობლემის პირობებში მის მიღებას, ფაქტების ანალიზს. მონაცემთა შორის კავშირის დადგენას. ადრინდელ გამოცდილებაზე დაყრდნობას, არსებითი ნიშნების გამოყოფას და მათ ერთმანეთთან შესაბამისობას განზოგადების და დასკვნების ფორმირებას.

დაწყებით კლასებში სასწავლო საქმიანობა წარმოადგენს გონებრივი და პრაქტიკული მოქმედების სისტემას, რომელთა რეალიზება ხელს უწყობს ცოდნის ათვისებას, უნარ-ჩვევების დაუფლებას და მათ გამოყენებას სხვადასხვა ამოცანის ამოსახსნელად.⁸

დაწყებითი კლასებისათვის ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის ხასიათის შემეცნებითი მათემატიკური ამოცანების მეთოდური სისტემის შესადგენად ჩვენ გამოვიყენეთ შემეცნებითი ამოცანების დიდაქტიკური სისტემის აგების ძირითადი პრინციპები. ამოცანების ტიპოლოგიის საფუძვლად აღებულია დაწყებითი კლასების მათემატიკის სასკოლო კურსის ის ძირითადი თემები, რომლებიც ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის შემცველია. ამოცანების შინაარსი შერჩეულია ისე, რომ ამოცანების ამოხსნის აზრი და შედეგი აფართოებს იმ ცნებების საზღვრებს, რომლებიც შეისწავლება სხვა სასწავლო დისციპლინებში. ყოველი ამოცანისათვის მომზადებულია კითხვების სისტემა მოსწავლეების მიერ ამოცანების ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის შინაარსის გაგების მიზნით და მათ მიერ სხვა სასწავლო დისციპლინებიდან ცოდნის აქტივიზაციისათვის. ამოცანების შედგენისათვის ჩვენ გამოვიყენეთ მეთოდიკა, რომელიც შემუშავებულია პირველი-მეოთხე კლასის მათემატიკისა და ბუნებისმცოდნეობის მასალაზე დაყრდნობით.

ექსპერიმენტის მსვლელობაში ჩვენ ვიყენებდით ამოცანების ტიპოლოგიას მოსწავლეთა აქტიური, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისათვის. მასწავლებლის მიერ ამოცანების ტიპოლოგიის ცოდნა არის განმავითარებელი

სწავლების განხორციელების მნიშვნელოვანი პირობა. მოვიყვანოთ ზოგიერთი ამოცანის ტიპი, რომელსაც ჩვენ ვიყენებდით დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან მათემატიკის გაკვეთილებზე.

ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია ტურისტულ მარშრუტებთან და ისტორიულ ძეგლებთან. ასეთი სახის ამოცანების განხილვა ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ბუნების-მცოდნეობაში მიღებული ცოდნის განმტკიცებას და ეწევა ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას, აღძრავს მათ ინტერესს საქართველოს ისტორიული ადგილების შესწავლისადმი და განაწყოფს მათ აქტიური დასვენებისადმი, რომლის დროსაც მოსწავლეები იღებენ კონკრეტულ ცოდნას ტურისტული მარშრუტის გეოგრაფიის, ბუნებრივი პირობების, ადგილობრივი მოსახლეობის საქმიანობის და სხვა ფაქტების შესახებ, რაც აფართოებს მოსწავლეთა ზოგადი განათლების დონეს და ხელს უწყობს მათ დაინტერესებას, ქმნის ცოდნის დამოუკიდებლად მიღების მზაობას.

ამოცანა. გია სათაფლიის ტურისტულ მარშრუტში წავიდა. სადაც მან სამი დღე დაჰყო და სულ 48 კილომეტრი გაიარა. პირველ დღეს ის მოძრაობდა 3 საათის განმავლობაში 4 კმ/სთ სიჩქარით. მეორე დღეს 4 საათის განმავლობაში 3 კმ/სთ სიჩქარით. მესამე დღეს ის 6 საათის განმავლობაში მოძრაობდა. რისი ტოლი იყო გიას სიჩქარე მესამე დღეს?

ამ ამოცანის ამოხსნას მასწავლებელი იწყებს წინასწარ შერჩეული კითხვებით:

- რა იცით ზოგადად ტურისტული მარშრუტების შესახებ?
- რა დანიშნულება და ფუნქცია აქვს ტურისტულ მარშრუტებს?
- როგორი სახის ტურისტული მარშრუტები იცით?
- თქვენ თუ ყოფილხართ ტურისტულ მარშრუტში?
- როგორი სახის ტურისტული მარშრუტები მოგწონთ? (ისტორიული ადგილების, ეკლესია-მონასტრების, მთის, ზღვის, კრუიზი გემით, ავტოტური თუ სხვა?)
- საქართველოს რომელ მხარეში მდებარეობს სათაფლია?
- ამ მხარის კიდევ რომელი ტურისტული მარშრუტი იცით?
- რა იცით „პრომეთეს მღვიმის“ შესახებ?
- რით არის გამორჩეული სათაფლია?
- მსოფლიო მასშტაბით, სათაფლიის გარდა კიდევ სად არის დინოზავრის ნაკვალევი შემორჩენილი?
- რა იცით დინოზავრების შესახებ?
- რით იკვებებოდნენ დინოზავრები?
- რა იყო დინოზავრების გადაშენების მიზეზი?

ასეთი შინაარსის მქონე კითხვების დასმით და მათზე პასუხების გაცემის შემდეგ მასწავლებელმა შესაძლებელია მოსწავლეებს მისცეს დავალება დამოუკიდებლად მოიძიონ მასალები იმ ტურისტული მარშრუტების შესახებ, რომელიც თითოეულ მოსწავლეს აინტერესებს და მომდევნო გაკვეთილზე შეიძლება მივცეთ მოსწავლეს მის მიერ შერჩეული ტურისტული მარშრუტის შესახებ გააკეთოს 3-5 წუთიანი პრეზენტაცია, რატომ დაინტერესდა მოსწავლე ამ ტურისტული მარშრუტით, რით არის განსაკუთრებული მის მიერ შერჩეული ესა თუ ის ტურისტული მარშრუტი, მოსწავლე არის თუ არა თვითონ ნამყოფი ამ მარშრუტში. თუ ნამყოფია, შესაძლოა მოსწავლემ პრეზენტაციაზე წარმოადგინოს გადაღებული სურათები, ვიდეო მასალა, მის მიერ შეგროვილი ნივთები, სუვენირები და სხვ. თუ მოსწავლეების მიერ პრეზენტაციაზე წარმოდგენილმა რომელიმე ტურისტულმა მარშრუტმა გამოიწვია მთელი კლასის, ან მოსწავლეთა საგრძნობი უმრავლესობის დაინტერესება, მაშინ შესაძლოა მოეწყოს სასწავლო ექსკურსია, რომლის დროსაც მოსწავლეები საკუთარი თვალთა ნახავენ და ახლოს გაეცნობიან მარშრუტის ღირსშესანიშნაობებს.

ამოცანები საქართველოს ქალაქების გეოგრაფიულ მდებარეობის გარკვევაზე. ასეთი სახის ამოცანების განხილვა ეხმარება მოსწავლეებს საქართველოს დასახლებული პუნქტების

გეოგრაფიული მდებარეობის გარკვევაში, რაც გამოიხატება იმაში, რომ მოსწავლეები ერკვევიან რომელი დასახლებული პუნქტი რომლის შემდგომ მდებარეობს, რა მანძილებია მათ შორის, რომელ ქალაქებს შორის იქნება სატრანსპორტო საშუალება დროის მოცემულ მომენტში და სხვ.

ამოცანა. თბილისიდან ქუთაისამდე 228 კილომეტრია, თბილისიდან ხაშურამდე–130 კილომეტრი, თბილისიდან გორამდე–66 კილომეტრი. ქუთაისიდან ზესტაფონამდე–45 კილომეტრია. ქუთაისიდან თბილისში ერთდროულად გავიდა მიკროავტობუსი, რომელიც საშუალოდ 60 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს და მსუბუქი ავტომობილი, რომელიც საშუალოდ 76 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს. სად იქნებიან ისინი გამოსვლიდან 3 სთ-ის შემდეგ?

მოცემულ ამოცანაში პირველ რიგში მოსწავლემ უნდა დაადგინოს თბილისი-ქუთაისის მარშრუტში რომელი ქალაქი რომელის შემდეგ მდებარეობს. ამაში მოსწავლეებს დაეხმარება მასწავლებლის მიერ გონივრულად შერჩეული კითხვები:

- როცა ქუთაისიდან მივდივართ თბილისში, გზად რომელ ქალაქებს გავივლით?
- როგორი თანმიმდევრობით გავივლით ამ ქალაქებს?
- შეგვიძლია თუ არა გამოვთვალოთ ქუთაისიდან ამ ქალაქებამდე მანძილები?
- რამდენია ეს მანძილები?
- შეგვიძლია თუ არა გამოვთვალოთ თბილისიდან ამ ქალაქამდე მანძილები, რომლებიც ამოცანის პირობებში არ არის?
- რისი ტოლია ეს მანძილები?
- რა მანძილს გაივლის მსუბუქი ავტომობილი 3 საათში, თუ ის 76 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს?
- სად იქნება მსუბუქი ავტომობილი ამ დროს?
- რა მანძილს გაივლის ავტომობუსი 3 საათში, თუ ის 66 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს?
- სად იქნება ავტომობუსი ამ დროს?

ამოცანები, რომლებიც გარეულ ცხოველებს უკავშირდება.ამოცანა. ციყვს წინა თათებზე ოთხი თითი აქვს, უკანა თათებზე ხუთ-ხუთი. სულ რამდენი თითი აქვს ციყვს თათებზე?

- რომელი გარეული ცხოველები იცით? ჩამოთვალეთ.
- რა სარგებლობა მოაქვთ გარეულ ცხოველებს?
- რით იკვებებიან გარეული ცხოველები?
- რა განსხვავებაა ბალახისმჭამელ და ხორცისმჭამელ გარეულ ცხოველებს შორის?
- გარეული ცხოველების რომელ სახეობებს იცნობთ?
- რით იკვებებიან მღრნელები? ციყვი?
- ვის გინახავთ ციყვი? გვიამბეთ ციყვზე.
- რა სარგებლობა მოაქვს ციყვს?რაში გამოიყენება ციყვის ტყავი?

ამოცანები, რომლებიც უკავშირდება დროის სხვადასვა სარტყლებს და თვეში დღეთა და კვირეთა რაოდენობას. ამოცანა. როდესაც თბილისში შუადღეა, ლონდონში 9 საათია. რა დრო იქნება თბილისში, როცა ლონდონში იქნება დღის 4 საათი?

- რატომ უჩვენებს ამ ქალაქებში საათი სხვადასხვა დროს?
- სად გადის გრინვიჩის მერიდიანი?
- რა კავშირი აქვს გრინვიჩის მერიდიანს დროის ათვლასთან?
- დროის კიდევ რა ერთეულები იცით?
- დაახასიათეთ ისინი. როგორ გესმით გამოთქმა „წუთი საათს ზომავს?“

ასეთი ტიპის ამოცანები ხელს უწყობენ მოვლენების ურთიერთკავშირში განხილვის და ერთი გამყარებული გონებრივი ოპერაციიდან მეორეზე გადასვლის უნარებს.

ამოცანა. წელიწადში არის თუ არა ისეთი თვე, რომელშიც ხუთი კვირა დღეა? როგორ გავიგოთ გამოთვლის გარეშე იქნება თუ არა თვეში ხუთი კვირა დღე?

ამოცანა. საშობაო არდადეგები იწყება 29 დეკემბერს და მთავრდება 15 იანვარს. გოგონამ თქვა, რომ ის ისვენებდა 17 დღე, სწორად გამოთვალა მან თუ არა დღეების რაოდენობა?

ამოცანები, რომლის პირობები უკავშირდება სოფლის მეურნეობას. ასეთი შინაარსის მქონე ამოცანები უმთავრესად მოსწავლეებისათვის საინფორმაციო ხასიათს ატარებს და მათ აცნობს ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულების წესს, მოსავლიანობის გაზრდის ზოგად მეთოდებს, კონკრეტული რეგიონისათვის დამახასიათებელ სასოფლო-სამეურნეო კულტურებსა და მათი მოვლა-პატრონობის წესებს. ამოცანებში აღებული მონაცემები მიახლოებულია რეალურთან და სინამდვილეს ასახავს.

ამოცანა. ორ ნაკვეთზე ქერი დათესეს. ერთ ნაკვეთზე, რომლის ფართობი 6 ჰექტარია სასუქები არ შეუტანიათ. მეორეზე კი, რომლის ფართობი 7,5 ჰექტარია. ის კარგად გაანოყიერეს მინერალური და ორგანული სასუქებით. პირველი ნაკვეთიდან 100,8 ცენტნერი ქერი მიიღეს. მეორედან 405 ცენტნერი. როგორ იმოქმედა მოსავლიანობაზე ნაკვეთის სასუქებით განაყოფიერებამ? რამდენჯერ გაიზარდა მოსავლიანობა მეორე ნაკვეთზე?

- რა დანიშნულება აქვს მინერალურ და ორგანულ სასუქებს?
- რომელი სახის მინერალური სასუქები იცით?
- რომელი სახის ორგანული სასუქები იცით?
- როგორ მოქმედებს ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენება მოსავლიანობაზე?
- გაგიგიათ ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესახებ?
- სასარგებლოა თუ არა ზედმეტი რაოდენობით მინერალური სასუქების გამოყენება?
- რა ემართება ამ დროშს მოწეულ მოსავალს?
- ვარგისია თუ არა საკვებად ასეთი პროდუქტი?

ამოცანები, რომელთა პირობები შეიცავს სამკურნალო მცენარეებს. ამ შინაარსის მქონე ამოცანები მოსწავლეებს აცნობს ზოგიერთ იმ მცენარეს, რომლებიც გამოიყენება, როგორც სამკურნალო საშუალებები ტრადიციული მკურნალობისას და ფართო გამოყენება აქვს ხალხურ მედიცინაში. კონკრეტული სამკურნალო მცენარეების მიმართ დამატებით მასწავლებელი მოსწავლეებს მიაწვდის ინფორმაციას, თუ რა სამკურნალო თვისებები აქვს ამა თუ იმ მცენარეს და ამასთანვე მოსწავლეებს ვაფრთხილებთ, რომ ექიმის დანიშნულების გარეშე თვითმკურნალობა აკრძალულია და ოჯახის პირობებში მათ მიერ სამკურნალო მცენარეების გამოყენება დაუშვებელია.

ამოცანა. ზაფხულის არდადეგებზე ნიკო, ვანო და თინა სამკურნალო ბალახებს – ბარამბოს, გვირილას და ბადის პიტნას აგროვებდნენ. ნიკომ 1030 გრამი ბარამბოს ყვავილი შეაგროვა. ვანოს მიერ შეგროვილი გვირილა ნიკოს შეგროვილ ბარამბოზე 180 გრამით მეტი იყო. თინას შეგროვილი ბადის პიტნა 690 გრამით ნაკლები იყო ვანოს და ნიკოს შეგროვილ ბარამბოსა და გვირილასთან შედარებით. რამდენი სამკურნალო ბალახები შეაგროვა სამივე ბავშვმა ერთად?

- გსმენიათ თუ არა რაიმე ბარამბოს, გვირილას და ბადის პიტნის შესახებ?
- გიყვართ თუ არა ბარამბოს კანფეტები? ი
- ყენებთ თუ არა სახლში გვირილას ექსტრაქტის მქონე შამპუნებს?
- გიყვართ თუ არა პიტნის გემოს მქონე კანფეტები? ჩაი? საღეჭი რეზინი?
- ჩამოთვლილს გარდა კიდევ რომელ სამკურნალო მცენარეებს იცნობთ?
- იცით თუ არა ისეთი სამკურნალი მცენარეები, რომელთა ღეროები გამოიყენება სამკურნალოდ?
- იცნობთ თუ არა კენკროვან სამკურნალო მცენარეებს?

ამოცანები საკვებ პროდუქტებში ნივთიერებების პროცენტული შემცველობის შესახებ. დაწყებითი კლასების მათემატიკის კურსში პროცენტებზე ამოცანების სწავლებას საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა, მაგრამ ისეთი შინაარსის მქონე ამოცანები, რომლებიც საკვებ პროდუქტებში ადამიანისათვის საჭირო მინერალების შემცველობაზე იყოს გავლილი თითქმის არ არის სასწავლო პროგრამაში. ამიტომ ამ შინაარსის ამოცანებს მოსწავლეები ხალისით ხსნიან და თან ეცნობიან რომელი მინერალებისაგან შედგება ესა თუ ის სასკვები პროდუქტი. მაგალითისათვის მოვიყვანოთ რამდენიმე ამოცანის პირობა.

მარწყვი 6% შაქარს შეიცავს. რამდენი კილოგრამი შაქარია 15 კილოგრამ მარწყვში?

კიტრი საშუალოდ 95% წყალს შეიცავს. რამდენ კილოგრამ კიტრშია 19 კილოგრამი წყალი?

ამოცანები, რომლებიც კონკრეტული გეოგრაფიული ობიექტების ფიზიკურ მონაცემებს შეიცავენ. დაწყებითი კლასების მოსწავლეები ადვილად იმახსოვრებენ კონკრეტული გეოგრაფიული ობიექტების ფიზიკურ მონაცემებს, რომლებსაც შემდგომში ისინი გამოიყენებენ მათემატიკური შინაარსის ამოცანების ამოხსნისას. ასეთი კონკრეტული გეოგრაფიული ობიექტები შეიძლება იყოს მდინარეები, მთები, ოკეანეები, ტბები, უდაბნოები და სხვ.

ამოცანა. იალბუზის სიმაღლე 5642 მეტრია. მყინვარწყერისა—5033 მეტრი. იალბუზზე რამდენი მეტრით დაბალია მყინვარწყერი?

ამოცანა. მსოფლიო ოკეანის ყველაზე ღრმა ადგილია მარიანას ღრმული 11022 მეტრი. ყველაზე ღრმა ტბა კი ბაიკალი—1620 მეტრი. ბაიკალის ტბაზე რამდენი მეტრით ღრმაა მარიანას ღრმული?

ასევე შეიძლება განვიხილოთ ისეთი შინაარსის ამოცანები, რომლებიც ეხება ატმოსფერულ ნალექების მოსვლას, ატმოსფერული წნევის ცვალებადობას და სხვ. მაგალითად,

ამოცანა. ბათუმში წელიწადში დაახლოებით 3000 მ ნალექი მოდის. თბილისში დაახლოებით 600 მმ. რამდენი კუბური მეტრი წყალი მოდის ერთ კვადრატულ მეტრზე თითოეულ შემთხვევაში? შედეგები შეადარეთ.

მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების გაკვეთილების ურთიერთდაკავშირებულად ჩატარება საშუალებას იძლევა ამაღლდეს მოსწავლეთა ცოდნის ხარისხი და სიმტკიცე. მათემატიკის გაკვეთილებზე ეფექტურია კომპლექსური ხასიათის ამოცანების განხილვა ბუნებისმცოდნეობიდან. მოსწავლეები ეჩვევიან მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, მის გადატანას ახალ სიტუაციებში, მთავარის გამოყოფას, მოქმედებათა საორიენტაციო სქემების შედგენას, თეორიის პრაქტიკასთან კავშირის განხორციელებას.

Irine Gogiberidze

Akaki Tsereteli State University, Kutaisi

Some Methodological Aspects of Realization of Interdisciplinary Methodology in Primary Classes

Abstract

Pedagogical experiment confirmed that, it is advisable to discuss realization of connections between maths and natural sciences in beginners teaching process as a component part of cognitive process. There are mathematical sums connected with concrete subject of natural science in primary classes. These sums are profitable for students to strengthen gained knowledge in natural science and help through creation of new knowledge. Maths' and natural sciences interconnected lessons make a possibility to rise a quality of knowledge. It is effective to discuss combined sums from natural science in the maths lesson. Student are trained to use gained knowledge in practice, to transfer it in new situation, to divide the main, to make schemes of orientational action and to realize connections between theory and practice.

საკვანძო სიტყვები: ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია, დაწყებითი კლასები, საბუნებისმეტყველო მეცნიერება, კოგნიტური

Key words: Interdisciplinary methodology, primary classes, natural science, cognitive

აკაკი შანიძე – ქართული მეცნიერების რაინდი
(დაბადებიდან 130 წლისთავის გამო)

1918 გაზაფხულია. ოსმალებმა „შემოუტყეს ბათუმის მხარეს“. ახალგაზსნილ ქართულ უნივერსიტეტს წინადადებას აძლევენ, შეჩერდეს სასწავლო პროცესი მოსალოდნელი საფრთხის გამო. 3 აპრილს შეიკრიბა პროფესორთა საბჭო. დაადგინეს: „უნივერსიტეტი არ დაიკეტოს და ლექციების კითხვა გაგრძელდეს. იმ სტუდენტთა და მსმენელთათვის, რომელნიც ომში წავლენ, გამოტოვებული ლექციები განმეორებულ იქნეს“... თბილისში მოსალოდნელი სამომავლო მოქმედების ან არეულობის შემთხვევაში „საშიშროების მოახლოების დროს პროფესორები უნივერსიტეტის შენობაში უნდა დარჩნენ და ხელი შეუწყონ მის დაცვას“... გადაწყვეტილებას ხელს აწერენ პროფესორთა საბჭოს წევრები: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი და ი. ყიფშიძე. ამ გადაწყვეტილებას პროფ. სერგო ჯორბენაძემ რაინდული გადაწყვეტილება უწოდა. დიახ. ისინი ქართული მეცნიერების რაინდები იყვნენ. ჩვენ დღეს აკაკი შანიძეზე ვისაუბრებთ.

* * *

აკაკი შანიძე – ჭეშმარიტი რაინდი ქართული მეცნიერებისა, ქართული უნივერსიტეტისა!

როცა აკაკი შანიძის შესახებ ვსაუბრობთ, პიროვნულ და მეცნიერულ გმირობად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან, ახალგაზრდა კაცმა, ფეხდაფეხ მოიარა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, შეკრიბა და ჩაიწერა ფასდაუდებელი დიალექტოლოგიური და ფოლკლორული მასალა (ამის თაობაზე ბევრი თქმულა)...

ა. შანიძის პიროვნულ და მეცნიერულ გმირობად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ იგი იოსებ ყიფშიძესთან ერთად გვერდით დაუდგა დიდ ივანე ჯავახიშვილს, დათმო პეტერბურგის უნივერსიტეტში მომზიბლავი პერსპექტივა და გადადგა საკმაოდ სარისკო და სახიფათო ნაბიჯი – ბრუნდება თბილისში და იწყება ზრუნვა უნივერსიტეტის დაარსებისათვის...

ა. შანიძის პიროვნულ გმირობად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ იგი აქტიურად ჩაება იმპერიასთან პუბლიცისტურ ბრძოლაში: ი. ჯავახიშვილის ჯგუფი იბრძვის ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის; იმპერია უპირისპირდება ეროვნული უნივერსიტეტის იდეას და ცდილობს თბილისში დააფუძნოს რუსული სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბრძოლის წინა ხაზზე აკაკი შანიძე დადგა...

აკაკი შანიძის პიროვნულ გმირობად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მან 1917 წელს დაწერა და გამოაქვეყნა „ქართული ეროვნული ჰიმნი“, თუმცა ამის თაობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. და სხვა...

ამჯერად მე ვისაუბრებ ერთ საკითხზე – როგორი იყო აკაკი შანიძის პოზიცია 1930 წელს – როცა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ივანე ჯავახიშვილს სამსჯავრო მოუწყო. ეს ისტორიაში „ტირანიის სამსჯავროდ“ არის ცნობილი.

* * *

ქართული უნივერსიტეტი ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის პრობლემად იქცა. იგი განიხილება საბჭოთა წყობილების იდეურ ოპოზიციად თავისი მეცნიერული მოღვაწეობით, თავისი საზოგადოებრივი საქმიანობით. თავისი მორალურ-ზნეობრივი სახით ბოლშევიკურ ხელისუფლებას განსაკუთრებით ივანე ჯავახიშვილის პიროვნება ეჩხირებოდა თვალში. ივანე ჯავახიშვილმა უბადლო ორგანიზატორული ნიჭის წყალობით ირგვლივ შემოიკრიბა იმ-

დროინდელი ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი. „ივანე ჯავახიშვილის ჯგუფი“ – როგორც მოიხსენიებდნენ შემდგომ, სერიოზული იდეოლოგიური პრობლემა იყო კომუნისტებისათვის. საჭირო იყო ამ ჯგუფის დაშლა, სამაგალითოდ დასჯა, დღის წესრიგში დადგა ივანე ჯავახიშვილის განადგურება; ეს იქნებოდა წინაპირობა მისი ჯგუფის „განეიტრალებისა“...

* * *

...1925 წელს მთავრობამ იერიში მიიტანა უნივერსიტეტის ავტონომიაზე. დიდი მეცნიერი შეებრძოლა ამგვარ ქმედებას და ძვირადღეობდა დაუჯდა. 1926 წლის ივნისიდან ივანე ჯავახიშვილი გადააყენეს რექტორობიდან და პრაქტიკულად ჩამოაცილეს უნივერსიტეტს. ამ „ღონისძიებამ“ ხელისუფლებისათვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. უნივერსიტეტი ისევ იდეურად მიუღებელ დაწესებულებად რჩება ხელისუფლებისათვის... გადაწყდა: უნდა მოხდეს უარყოფა ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობისა და განადგურება მისი ჯგუფისა.

ჯერ კიდევ 1927 წელს ლავრენტი ბერია ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში წერდა, რომ სტუდენტობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ივანე ჯავახიშვილი, ის მათი კერპი იყო. უნივერსიტეტის 10 წლის საიუბილეო სხდომაზე სტუდენტები ცივად შეხვდნენ ფ. მახარაძეს, თ. ლლონტს და სხვებს; მაგრამ ჯავახიშვილის დასახელებისას დარბაზი დაინგრა ოვაციებით, თუმცა თავად ჯავახიშვილი სხდომას არ ესწრებოდა (ვემყარები კრებულს „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, დოკუმენტები და მასალები“; გამოსაცემად მოამზადა მ. ვაჩნაძემ და ვ. გურულმა; „არტანუჯი“, 2004 წ. 470 გვ.)...

გავიხსენოთ: ლავრენტი ბერია იმჟამად საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (უშიშროების სამსახურის) უფროსია და, რაც მთავარია, ბერიაა!

ი. ჯავახიშვილმა თითქმის დატოვა უნივერსიტეტი; მაგრამ ხელისუფლება მაინც ვერ ისვენებს; უნივერსიტეტი მისთვის საშიში ზონაა...

1930 წლის ივლისში მოხდა უნივერსიტეტის რეორგანიზაცია. თსუ დაიშალა ოთხ ინსტიტუტად (სამედიცინო ინსტიტუტი, საფინანსო-კოოპერაციული ინსტიტუტი, საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი და პედაგოგიური ინსტიტუტი). ეს რეორგანიზაცია არ აღმოჩნდა საკმარისი. პედაგოგიურ ინსტიტუტში უნივერსიტეტის ტრადიციები ისევ ცოცხლობს. ამის განადგურება იყო საჭირო და გადაწყდა: **ივანე ჯავახიშვილისა და მისი გუნდის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა ბოლომდე მიეყვანათ.**

1930 წელს პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად ბოლშევიკი ივანე ვაშაყმაძე დაინიშნა, სწორედ მას დაევალი დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა – „კონდრატიევიშინის“ განადგურება.

„საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ წინასწარ განსაზღვრა იმ მეცნიერთა სია, რომელთაც ბრალი უნდა დასდებოდათ არამეცნიერული შეხედულებების წამოყენებასა და პროპაგანდაში“.

სამარცხვინო სამსჯავროს ადგილად შეირჩა საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, სამსჯავროს გახსნის დღედ – 1930 წლის 13 დეკემბერი, მთავარ ბრალმდებლად – პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ვანე ვაშაყმაძე. „სამარცხვინო სამსჯავროს მიზანი იყო ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის, ასევე სხვა დიდი ქართველი მეცნიერების იდეური განადგურება“ (მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, გვ. 13).

დისკუსია 3 დღეს გაგრძელდა. დისკუსიის მასალები სრულად არ შემოგვენახა. არ ჩანს თავად ი. ვაშაყმაძის სადისკუსიო მოხსენება. თუმცა ამ მოხსენების საჟურნალე ვარიანტი გამოქვეყნდა შემდგომ „მნათობში“ (1931, №1-2, გვ. 102-216), ჩვენ ამ პუბლიკაციით ვსარგებლობთ. დისკუსიის სულისკვეთების, მისი მიზეზისა და მიზნის ნათლად წარმოსადგენად ჩავიკითხავ ვრცელ ამონარიდს ი. ვაშაყმაძის მოხსენებიდან: „თუ გადავავლებთ, თვალს ჩვენს კულტურულ ფრონტს, განსაკუთრებით კი მეცნიერებას, ჩვენ დავინახავთ, რომ არავითარ ღირსშესანიშნავ მეცნიერულ კვლევა-ძიებას არ ქონია ადგილი. არა თუ კვლევა-ძიებას, არა-

მედ პროგრესულ-მეცნიერულ ძალებსაც არ აძლევდნენ საშუალებას აქ ჩამოსვლისა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ქართველ მეცნიერთა მიერ **ნ. მარის წინააღმდეგ** კამპანიის წარმოება და თითქმის ბოიკოტის გამოცხადებაც კი. **მეცნიერებას საქართველოში დაეპატრონა პირწავარდნილი ნაციონალიზმი...** მეცნიერებაში ყველაფერი ის, რაც არ უწყობდა ხელს ნაციონალიზმს, ნაციონალისტური სულის განმტკიცებას – დევნილი იყო“... („ტირანიის სასჯელი“, გვ. 14; ქვევით მივუთითებთ მხოლოდ წიგნის გვერდს).

ნიკო მარის სახელი დისკუსიაში მრავალჯერ გაიჟღერებს. მისი პოზიციისადმი კრიტიკული დამოკიდებულება – დანაშაული იყო; 1930 წელს ნ. მარი შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. ეს ანგარიშგასაწევი არგუმენტი იყო... მარისტები ბოროტად სარგებლობდნენ ამ არგუმენტით... **ნაციონალიზმი** მთავარი ბრალდება იყო არაკეთილსაიმედო მეცნიერთა მიმართ.

ისევ ამონარიდი ი. ვაშაყმაძის მოხსენებიდან: „მიუხედავად იმისა, რომ მარქსიზმს საქართველოში კარგა ხნის ისტორია აქვს, ქართველი პროფესორები და მეცნიერები, რომლებიც უმთავრესად გამოსულნი იყვნენ გაბატონებული კლასის წრეებიდან, ვერ ამჩნევდნენ მას. ეს ნაციონალისტური ტენდენციები საზოგადოებათ-მეცნიერებაში ნაწილობრივ გადმოვიდა და განაგრძობდა არსებობას საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც; **უმთავრესად კი ის შეეხება საქართველოს ისტორიკოსებს (ივ. ჯავახიშვილის შკოლა), ქართულ ლიტერატურას და ენათმეცნიერებას (კოტეტიშვილი, ა. შანიძე, თოფურია, ჩიქობავა და სხვ.**“, გვ. 38).

საინტერესო პარალელი: XXI საუკუნის დასაწყისში უცხოური გრანტი (35 000 დოლარი) მიიღო პროექტმა „წინ, ტრადიციისაკენ“. აი, რა წერია ამ დოკუმენტში: „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ გადამწყვეტ დაბრკოლებად წარმოგვიდგება ე. წ. ეროვნული იდეოლოგიის შესახებ გავრცელებული შეხედულება და ტერმინ „ტრადიციის“ მცდარი გაგება. ამ თვალსაზრისით ძირითადი გამავრცელებელი მექანიზმია საშუალო სკოლა, ხოლო მიმწოდებლები – ისტორიისა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები. ამ საგნების სწავლებისას ჯერ კიდევ განსაკუთრებით შეინიშნება ეროვნულ სახელმწიფოზე, პატრიოტიზმზე, საზოგადოების რელიგიურ მოწყობაზე ვადაგასული წარმოდგენების გაბატონება“ (გაზეთი „რაო-რაო“, 2004 წ., №315). ამონარიდის ავტორია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მაშინდელი ხელ-ლი ზურაბ ჭიაბერაშვილი...

ისტორია მეორდება!

როგორც აღინიშნა, ხელისუფლებას ივანე ჯავახიშვილის ბედი „გარკვეული“ აქვს. მასთან ერთად უნდა განადგურდეს მისი ჯგუფი... **აკაკი შანიძე**, როგორც ვნახეთ, **უმთავრესი „ჯავახიშვილისტია“...** და არა მხოლოდ ა. შანიძე...

დისკუსია სამ დღეს გრძელდებოდა. სტენოგრამა იწერება, თუმცა ყველა გამოსვლა არაა შემონახული, როგორც ვთქვით. დისკუსია მწვავეა. სამსჯავროზე გამოყვანილ პროფესორ-მასწავლებელთაგან ითხოვენ, აღიარონ, რომ არიან ჯავახიშვილის ჯგუფის წევრები და უნდა დაგმონ ჯავახიშვილი, უარყონ იგი...

განსაკუთრებით აქტიურობენ ბოლშევიკი სტუდენტები და ასპირანტები. რამდენიმე ამონარიდი მათი გამოსვლებიდან:

სტუდენტი გაბუნია: (ზოგი გამომსვლელი მოიხსენება მხოლოდ გვარით, ზოგი სახელითა და გვარით; ზოგი წოდებითა და გვარით... ჩვენც ასე წარმოვადგენთ, თუმცა ზოგ შემთხვევაში უფრო ზუსტი ცნობებიც მოგვეპოვება...); „ჩვენთვის პროფესორი არ არის კერპები... აი მე ეხლა რასაც წაგიკითხავთ, არც ერთ პროფესორს არაფერი არ უთქვამს ქართული ერის ჰიმნის შესახებ (კითხულობს).

აი, ამას ამბობს პროფესორი შანიძე. ეს არის პატრიოტული ლექსი ნაციონალურ მორევში გახვეული. დღეს ამ პოეტისაგან ჩვენ მოვითხოვთ განაცხადოს, რა თვალსაზრისისაა იდეალიზმზე და საჭიროა სთქვას შანიძემ, რა თვალსაზრისი ჰქონდა.

შემდეგ, ამხანაგებო, მე რამოდენიმე დროს შევაჩერებ თქვენ ყურადღებას აი ამ ლექსზე (კითხულობს).

აი, პროფესორი გამოვიდეს აქ და გვითხრას, რა თვალსაზრისის არის და როგორ გვზრდის ჩვენ, ამ თვალსაზრისზე თუ მოახდინა გარდატეხა. საბოლოოთ უნდა ვსთქვა, რომ ჩვენში კერპები არ არსებობენ, მათი ადგილი არის სიძველეთა მუზეუმში“... ამგვარი გამოსვლები ხანგრძლივ ტაშს იმსახურებს (გვ. 77).

ასპირანტი ყალიჩავა: „ჯავახიშვილი პოლიტიკის გარეშე არ სდგას. ის დაწერილი არის მენშევიზმის სულის კვეთებით... მას დირექტივები ჰქონდა მენშევიკებისაგან... ის უქადაგებს დავითის ტახტს... აქ გამოდიან მისი მოწაფეები პირდაპირ დაგეშილები და ჯავახიშვილის ბრძანებას ასრულებენ... ჩვენ ასეთი ხალხი არ გვინდა ჩვენს უნივერსიტეტში...“

შემდეგ რას წარმოადგენს წერეთელი და ჯავახიშვილი. მე ვიცი ერთი ფაქტი: როდესაც რუსეთმა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა ლენინი, მაშინ ჩვენი გრ. წერეთელი და ჯავახიშვილი მოგროვდნენ და ლაპარაკობდნენ, გაკვეთდით ხალხი, ლენინი მოკვტაო... დასკვნა ჩემი ასეთი არის, რომ ჯავახიშვილი და წერეთელი არის აშკარა მავნებლები“ (გვ. 95).

სტუდენტი დემეტრაშვილი: „საჭირო არის გონს მოხვიდეთ მეცნიერებაში... სჯობია, იგოთ პროლეტარიატის სულის კვეთება და მოხვიდეთ ჩვენთან“ (გვ. 73).

სტუდენტი ხომერიკი: „შავრაზმელი გრ. წერეთელი აუცილებლად უნდა იქნას გაძევებული პროფესორებიდან“ (გვ. 74).

„პროლეტსტუდენტები“ (თავიანი ტერმინია) ებრძვიან ივანე ჯავახიშვილს და ერთმანეთში ერევანს ივანე და მიხეილი; სტუდენტი დემეტრაშვილი ამბობს: „ჩვენ ვიცნობთ თქვენ ნაწარმოებს, როგორც არის „შადური“, „დამპატიჟე“. ჩვენ კარგად ვიცნობთ ჯავახიშვილის შემოქმედებას“ (გვ. 72). ამგვარ გამოსვლას დარბაზი ხანგრძლივი ტაშით აჯილდოებს...

ე. წ. „ჯავახიშვილის ჯგუფის წევრები“ გმობენ ივანე ჯავახიშვილს, ემიჯნებიან მას... გიორგი მერჩულე გვახსენდება: „რომელნიმე მძლავრობით, რომელნიმე შეტყუვლით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით... ირწევინ, ვითარცა ლერწამნი“.

სარგის კაკაბაძე: „აქ ვაშაყმაძემ ბრძანა, რომ ივანე ჯავახიშვილი არის დიდი ნაციონალიზმის მიმდევარი... ეს ნაციონალიზმის მიმდევარი კი არ არის, არამედ არის ფეოდალური წესწყობილების მიმდევარი“ (გვ. 47). „მარის იაფეტოლოგია დაუახლოვდა მუშათა კლასს... ეხლანდელ მომენტში საჭიროა ჩვენ ამოუდგეთ გვერდში მუშათა კლასს...“ (გვ. 47).

სიმონ ხუნდაძე: „ჯავახიშვილი დიდი მეცნიერი არის, დიდი ნიჭიერი კაცი არის, მაგრამ ჩვენთვის ამჟამად მიუღებელი არის. ეს ისტორია, მისი ნაწერი არ არის სოციალისტური ენით ნაწერი. (გვ. 52).

ზოგჯერ ისეთი პირებიც დაუპირისპირდებიან ივანე ჯავახიშვილს, დღეს წარმოდგენაც რომ მნელია...

დოცენტი ბერძენიშვილი: „მე არ უნდა მოგეთავსებინეთ ჯავახიშვილის ჯგუფში... რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას პროფ. ივანე ჯავახიშვილთან, ასეთი არის. მე მას უღრმეს პატივს ვცემ, როგორც ჩვენს ხელმძღვანელს, განსაკუთრებით ისტორიის დარგში, მაგრამ ყველა ეს მე სრულიად არ მიშლის ხელს არ გავიზიარო მისი იდეოლოგიური კონცეპცია“ (გვ. 79).

სიმონ ჯანაშია: „ივანე ჯავახიშვილის უდიდესი პატივისცემა მაქვს. მან დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ქართულ ისტორიულ მატერიალიზმში. მე პატივს ვცემ მას, როგორც კარგ, ნიჭიერ მეცნიერს, მაგრამ მე არავითარი საერთო არა მაქვს ამ ჯგუფთან და მათი ინტერესები ჩვენ არ გვაქვს“ (გვ. 69).

მსგავსი გამოსვლები ცნობილი თუ უცნობი ავტორებისა, მრავლადაა... როგორც ითქვა, ტონის მიმცემი და მთავარი ბრალმდებელი რექტორი ივანე ვაშაყმაძეა.

აი, ეს კი უკვე **განაჩენია:** ი. ვაშაყმაძე – „ამიერიდან ჩვენი მეცნიერების არც ერთ დარგში არ დავუშვებთ ძველი გაბატონებული კლასების იდეოლოგიის არსებობას. ან მარქსიზმის,

დიალექტიკური-მატერიალიზმის ცნობა და მით ხელმძღვანელობა, ან მეცნიერების ფრონტიდან სრულიად გაქრობა – აი, ასე არის ისტორიის მიერ საკითხი დასმული“ (გვ. 44).

ზემოთაც ვთქვით, ბრალდება უმთავრესად შეეხება თვით ჯავახიშვილსა და მის უახლოეს გარემოცვას; „უმთავრესად კი ეს შეეხება საქართველოს ისტორიკოსებს (ივ. ჯავახიშვილის შვოლა), ქართულ ლიტერატურას და ენათმეცნიერებას (კოტეტიშვილი, ა. შანიძე, თოფურია, ჩიქობავა და სხვ.)“ (გვ. 38).

* * *

ახლა უფრო ვრცლად, ენათმეცნიერებაზე და კერძოდ, აკაკი შანიძეზე: ი. ვაშაყმაძის მოხსენებიდან – „მართალია, ქართული ენის და ზოგადი ენათ-მეცნიერების დარგში სწარმოებს მეტად ნაყოფიერი მუშაობა, რომელსაც აქვს უაღრესად მეცნიერული მნიშვნელობა, მაგრამ აქვე საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ უმთავრეს დეფექტებზე და შეცდომებზე. უნდა აშკარად ვაღიაროთ, რომ დღემდე ორივე კათედრის შემადგენელი მეცნიერული მომუშავენი იდგნენ ანტიიაფეტურ მეთოდოლოგიის თვალსაზრისზე. ისინი მტრულად უყურებდნენ ნ. მარის მუშაობის უდიდეს მიღწევებს ენათმეცნიერების მეთოდოლოგიის დარგში. ამას თუ დავუმატებთ განსაკუთრებით აკ. შანიძის ნაციონალისტურ მიმართულებას, რომელიც ჯავახიშვილის მოწაფეთ ითვლება და მათ ფორმალისტურ მეთოდს ქართული ენათმეცნიერების შესწავლის დარგში, მაშინ აშკარა გახდება ჩვენთვის ის უდიდესი საფრთხე, რომელიც მოუდის ამ მეცნიერებათა განვითარებას, თუ არ შეიცვალა მათი მეთოდოლოგია“ (გვ. 42).

ივანე ვაშაყმაძის აზრით, დისკუსიის მიზანს ვერ მიაღწია; აკაკი შანიძეს ვე „შეაგნებინეს“ თავისი „დანაშაული“...

ამონარიდი რექტორის საბოლოო სიტყვიდან: „რაც შეეხება იმ ადამიანს, რომელიც **ჭაობში იყო მოყოლილი, ე. ი. აქ მე ლაპარაკი მაქვს აკ. შანიძეზე**, მან არაფერი არ სთქვა, არ იკადრა და არ გამოვიდა აქ. წაიკითხეს მისი ლექსები, სადაც ის დიდ მეცნიერათ გრძნობს თავს. ეს მეცნიერი ეკუთვნის ანტიიაფეტურ დაჯგუფებას და რომელიც სცილობდა გამასხარაობას მარის ნაწერებისას, ისეთი პიროვნებისას, რომელიც შევიდა 1930 წელს პარტიაში... მას უნდა ეთქვა, რომ ჩვენ არ ვართ მომხრე ჯავახიშვილისო. უნდა ეთქვათ, რომ ჩვენ არ გვინდა ის გზა, რომელი გზითაც ის მიდის“... (გვ. 107).

ლექსი ზემოთაც ვახსენეთ. რა ლექსებზეა საუბარი?

1917 წლის 5 დეკემბერს აკაკი შანიძემ დაწერა ლექსი „ქართული ეროვნული ჰიმნი“. ლექსი დაიბეჭდა ჟურნალ „პრომეთეში“ 1918 წელს (№1). ლექსის დაწერის ისტორია ჩემთვის უცნობია. კომუნისტური რეჟიმის პირობებში ამ ლექსის ხსენება არ შეიძლებოდა. ლექსი 16 მარცვლიანი; შედგება 9 სტროფისაგან, მე-9 სტროფი I-ის გამეორებაა. არსებითი სამიზნე სწორედ პირველი სტროფია:

„აბა ფხიზლად, ქართველებო, მივჰყევთ მამა-პაპათ კვალსა!

წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩაუფიქრდეთ მომავალსა!

ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა!

ყური ვუგდოთ გურჯი-ბოლაზს და ნუ ვაღებთ დარიალსა!“

ამ ლექსის გამო სამსჯავროზე აკაკი შანიძეს მაინც მოუხდა განმარტების გაკეთება:

„ჩემს წინააღმდეგ ულაპარაკიან და წაუკითხნიათ ჩემი ლექსი, რომელიც დაწერილია 17 წ. 5 დეკემბერს (კითხულობს).

ეს ლექსი უნდა გახსოვდეთ, რომელ თარიღშია დაწერილი. იმ დროს ხდებოდა რევოლუცია, ჯერ ლენინგრადში იყო, შემდეგ მოსკოვში. კავკასიის მთები შორს იყო და დენიკინის ჯარი იდგა და მე მის წინააღმდეგ ვწერდი“ (გვ. 111).

ხუმრობაც სცადა „ნაციონალიზმის“ თემაზე.

ა. შანიძე: „რაც შეეხება ნაციონალიზმს... მე ვამბობ, რომ მარის ცდა უდიდესი არის. მე კი გამომიყვანეს შოვინისტი და მემარჯვენე. როდესაც მან ერთხელ მკითხა, შენ ნაციონალისტი ხარ? უპასუხე, რათ გიკვირს, შენი გაზრდილი ვარ-მეთქი (ხუმრობა)“...

თავმჯდომარეს არ ეხუმრება და სასწრაფოდ შეაწყვეტინა: „ამხანაგებო, ყოვლად შეუძლებელია ცილისწამება იმ პიროვნებებისადმი, რომელიც შემოსულია კომუნისტურ პარტიაში და ითვლება კომპარტიის წევრად ნ. მარი“ (გვ. 117).

დარბაზი ბოხოქრობს. უყვირიან აკაკი შანიძეს: „გმოზ თუ არა ნაციონალიზმს?“... „ისაუბრეთ თქვენი დამოკიდებულების შესახებ ჯავახიშვილთან!“...

და აქ გამოჩნდება ის რაინდული სული აკაკი შანიძისა, ის პოზიცია, რაც სხვამ ვერ გაბედა:

„მე არ ვეკუთვნი იმ პირებს, რომლებსაც სურთ ჯავახიშვილის ჩაწიხვლით გაიკეთონ თავიანთი კარიერა... მე არ შემიძლია ზევრის ლაპარაკი, რადგან მე პრაქტიკული მომუშავე ვარ... რაც შეეხება სტუდენტობას, რომ მე ასე მახასიათებენ, ალბათ, სხვა რამე იქნება და ჯავახიშვილის წინააღმდეგ გალაშქრებით იკეთებენ კარიერას. მე ეს კაცი არა ვარ“ (გვ. 113).

ამის თქმა რისკი იყო, სიცოცხლის რისკი! ივანე ჯავახიშვილის, ქართული უნივერსიტეტისა და ქართული ენის ერთგულებამ ეს სარისკო ნაბიჯი გადაადგმევინა აკაკი შანიძეს!...

საბედნიეროდ, აკაკი შანიძე გადარჩა...

Giorgi Gogolashvili

Arnold Chikobava Institute of Linguistics, Tbilisi

Akaki Shanidze - Georgian Science Cavalier (on the 130th anniversary of his birth)

Abstract

Akaki Shanidze is a real cavalier of the Georgian science and the Georgian University! He visited all the mountainous regions of the country and selected precious dialectic and folk materials. Next to Ioseb Khipshidze he expressed his support to Ivane Javakhishvili. He left Petersburg University, returned to Tbilisi and started a risky activity i.e. the foundation of the university.

საკვანძო სიტყვები: აკაკი შანიძე, ფოლკლორული, დიალექტოლოგიური, პუბლიცისტური, ქართველი ინტელიგენცია

Key words: Akaki Shanidze, folkloric, dialectological, publicistic, Georgian intelligensia

ნინო გორგიშელი

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, გორი

ტექსტის ჟანრობრივი ტიპოლოგია და თარგმანი

სათარგმნი ტექსტები პირობითად იყოფა ინფორმაციულ და მხატვრულ ტექსტებად. მხატვრული ტექსტები მოიცავს მხატვრული ლიტერატურის, ლიტერატურული კრიტიკისა და პუბლიცისტუკის ჟანრულ მრავალფეროვნებას. მათორი ძირითადი ფუნქცია აკისრიათ: ზემოქმედებითი და ესთეტიკური. გ.გაჩეჩილაძის აზრით, ასეთ ტექსტებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გადმოცემის ფორმა, ნაწარმოების ესთეტიკური ღირებულება და მისი ემოციურ-

ექსპრესიული ზემოქმედება მკითხველზე. ინფორმაციული თარგმანის ძირითადი ფუნქცია კი არის რაიმე სახის ინფორმაციის გადმოცემა და არა მხატვრულ ესთეტიკური ზემოქმედების მოხდენა მკითხველზე. მხატვრული თარგმანის ადეკვატურობა გულისხმობს თუ რამდენად შეესაბამება თარგმანი დედანს თავისი ესთეტიკური ფუნქციით. ტრადიციულად ითვლება კიდევ, რომ პოეზიის თარგმანი შეუძლებელია. პოეტური ნაწარმოები ხატოვანი, მეტაფორული მეტყველების მწვერვალს წარმოადგენს, რომელსაც ემატება რიტმის, ზომის, რითმის, რეფრენის, ლექსთწყობის შენარჩუნების აუცილებლობა – ეს ფორმის თავისებურებებია, რომელიც ლექსის შინაარსს განუმეორებელ სილამაზეს ანიჭებს. არცერთ მხატვრულ ტექსტში ფორმას არა აქვს ესოდენ დიდი მნიშვნელობა, როგორც პოეზიაში.

ინფორმაციული თარგმანის ძირითადი ფუნქცია არის რაიმე სახის ინფორმაციის გადმოცემა და არა მხატვრულ-ესთეტიკური ზემოქმედების მოხდენა მკითხველზე. მხატვრული თარგმანი კი წარმოადგენს მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოების თარგმანს.

ლიტერატურა თავისი სიტყვიერი ბუნებიდან გამომდინარე ხელოვნების ერთადერთი სახეობაა, რომელიც შეზღუდულია ნაციონალური ენობრივი საზღვრებით. ლიტერატურული ნაწარმოები მხოლოდ მათთვის არის გასაგები, ვინც იმ ენას ფლობს, რომელზედაც ეს ნაწარმოები არის დაწერილი, მაშინ როცა მუსიკა, ფერწერა, ქანდაკება, თეატრი და კინოც კი გასაგებია ნებისმიერი მნახველისა თუ მსმენელისათვის. ასე, რომ ლიტერატურის გავრცელება იმ ენობრივი სივრცის მიღმა, რომელშიც იგი შეიქმნა, შესაძლებელია მხოლოდ თარგმანის საშუალებით (გაჩეჩილაძე 1959: 64).

მხატვრული თარგმანი ასრულებს: 1. ესთეტიკურ ფუნქციას და 2. შემეცნებით ფუნქციას. შემეცნებითი ფუნქცია მოიცავს: ა) უცხო ქვეყნების ცხოვრების, მათი ყოფის, ზნე-ჩვეულებებისა და ისტორიის გაცნობას; ბ) უცხოენოვანი ლიტერატურის რეპრეზენტაციასა და მისი განმსაზღვრელი ტენდენციების გამოკვეთას, ავტორის სტილისა და ცალკეული ნაწარმოებების თავისებურებების წარმოჩენას; გ) დედნის ინტერპრეტაციას (შვეიცერი 1988:78).

მხატვრული თარგმანის ძირითადი პრობლემა ჩინებულად ჩამოაყალიბა ბიბიხინმა: „მთარგმნელი იხლიჩება ორ შეუთესვებელ, პოლარულ ამოცანას შორის: შეიყვანოს მკითხველი უცხოენოვან სამყაროში და სხვა ენაზე მეტყველი ავტორი შეიყვანოს სხვა ლიტერატურულ გარემოში...“ (ბიბიხინი 1995: 45).

მხატვრული თარგმანის პრობლემას საინტერესოდ განიხილავს ერნსტ მერიან-გენასტი: „მთარგმნელი თარგმნის ანუ გადმოაქვს ტექსტის შინაარსი ორი მიზანმიმართულებით; მას ან გადმოყავს უცხოელი მწერალი თავის მკითხველთან, ან თავის მკითხველი გადაყავს უცხოელ მწერალთან. აქედან გამომდინარეობს თარგმანის ორი განსხვავებული მეთოდი. პირველ შემთხვევაში მთარგმნელის ამოცანაა დაუახლოვოს ორიგინალი თავისი თანამემამულეების ენასა და აზროვნების წესს, რათა აიძულოს ავტორი ილაპარაკოს როგორც მათმა თანამემამულემ, მეორე შემთხვევაში კი მკითხველი ნათლად უნდა აცნობიერებდეს, რომ მას უცხოელი მიმართავს. მან უნდა აღიქვას ახალი, მისთვის უცხო აზრები და გამოხატვის საშუალებები და თავი იგრძნოს არა სახლში, არამედ უცხოეთში...“ (გენასტი 1958:42) და მართლაც, მხატვრულ თარგმანსა და ორიგინალს შორის განსხვავება დამოკიდებულია სათარგმნ ობიექტზე; მთარგმნელი უკვე არსებულ ნაწარმოებს აძლევს ახალ სიცოცხლეს უცხო სოციალურ - ისტორიულ და

ეროვნულ სივრცეში. მხატვრული თარგმანის მიმართ არსებობს განსხვავებული მიდგომები. ენათა შორის განსხვავებები არ იძლევა „ასლის“ გადაღების საშუალებას.

დედნის მხატვრულობის გათავისების და გაცოცხლებული სურათის შექმნის პროცესში ყოველი მთარგმნელი უცხოობლად ასახვს თავისი ეპოქის ნიშნებსაც - ენას, პოეტიკას, თარგმნის მანერას. იგი მიმართავს მხატვრულ კომპენსაციას, ადეკვატურ ცვლილებებს, განმარტებით შტრიხებს, ქმნის ენაში ახალ გამომსახველობით საშუალებებს, აფართოებს ორიგინალისა და მიზნობრივი ლიტერატურის ჩარჩოებს. ყოველივე ამის შედეგად წარმოიშვება დიალექტიკური ურთიერთკავშირი, რადგანაც ორიგინალი ნაწილობრივ გადადის თავის საპირისპირო სახეში - თარგმანში, ისევე, როგორც თარგმანი ნაწილობრივ გადადის ორიგინალში. მათი არსი კი იხსნება ურთიერთშერწყმის, ურთიერთშეჯვარების შედეგად.

სათარგმნი ტექსტების კლასიფიკაციის ძალზე საინტერესო მცდელობა ჟორჟ მუნენს უკავშირდება. მის მიერ გამოყოფილი პირველი ჯგუფი - რელიგიური თარგმანი - შინაარსობრივი ნიშნით გამოიყოფა; მეორე ჯგუფი - მხატვრული თარგმანი - ენობრივით; მესამე ჯგუფი - ლექსების თარგმანი - ფორმით; მეოთხე ჯგუფი - საბავშვო ლიტერატურის თარგმანი - მიმღებზე ორიენტაციით; მეხუთე - სასცენო ნაწარმოებების თარგმანი - ტექსტების გამოყენების თვალსაზრისით; მეექვსე ჯგუფი - თარგმანი და კინო (ფილმების თარგმანი) - გამოიყოფა სპეციფიკური ტექნიკური პირობებიდან გამომდინარე და მეშვიდე - ტექნიკური თარგმანი - ასევე შინაარსიდან გამომდინარე (მუნენი 1967:26-28).

კარლ ბიულერი აღნიშნავდა, რომ ენა ერთდროულად წარმოადგენს „აღწერას“ (რომელიც ინფორმაციის რეპრეზენტაციას ახდენს), „გამოხატვას“ (რომელიც ემოციური და ესთეტიკური განცდის სიმბოლიზაციას ახდენს) და „აპელაციას“ - მიმართვას (რომელიც მოქმედებისკენ ან რეაქციისკენ მოგვიწოდებს). ეს ფუნქციები ერთიანია და სხვადასხვა ტიპის გამონათქვამებში განსხვავებულ იერარქიულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. ერთ ტექსტში წინა პლანზე შეიძლება აღწერა იყოს წამოწეული, მეორეში გამოხატვა, ხოლო მესამეში-აპელაცია. პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ტექსტები ამ თვალსაზრისით სტერილურები არ არიან და ხშირად ხვდება ფუნქციათა გადაკვეთა-მონაცვლეობაც. კონკრეტულ ტექსტში ამა თუ იმ ფუნქციის დომინირების თვალსაზრისით კ.ბიულერი სამ ძირითად ტიპს გამოყოფს: ენის აღწერით ფუნქციას შეესაბამება შინაარსზე ორიენტირებული ტექსტები (შეტყობინებები, კომენტარები, რეპორტაჟები, კომერციული კორესპონდენცია, საქონლის სპეციფიკაცია, ინსტრუქციები, საპატენტო აღწერილობები, ოფიციალური დოკუმენტები, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა და ა.შ.); გამოხატვის ფუნქციას - ფორმაზე ორიენტირებული ტექსტები (მხატვრული ლიტერატურის ნაირსახეობები, რომლებშიც ფორმას სპეციალური ესთეტიკური ფუნქცია ენიჭება. თარგმანმა სწორედ ფორმის ანალოგიის საშუალებით უნდა მიაღწიოს თანაბარძალოვან ესთეტიკურ ზემოქმედებას. თუ ორიგინალში ავტორი არღვევს ენობრივ ნორმას, მთარგმნელს აქვს უფლება ფორმაზე ორიენტირებულ ტექსტში გადაუხვიოს ნორმას და გასაქანი მისცეს თავის ფანტაზიას, თუ ამგვარი გადახვევა ესთეტიკური ზემოქმედების მიზანს ისახავს); ხოლო მიმართვის ფუნქციას - აპელაციაზე ორიენტირებული ტექსტები, რომელთათვის რელევანტურია ექსტრალინგვისტური ეფექტის მიღწევა და თარგმანში მთავარია მსმენელის ან მკითხველისადმი მიმართვის შენარჩუნება, რაც მათ გაფორმებაშიც აისახება (ბიულერი 1993:223-225). მიმართვაზე ორიენტირებული ტექსტების ენობრივი

გაფორმება, კ.ბიულერის აზრით, უნდა დაემორჩილოს მეტყველების სპეციალურ მიზანდასახულობას. ასე, მაგალითად, სარეკლამო ტექსტი შეიძლება არ შეიცავდეს საკუთრივ ინფორმაციას და არც ვარაუდობდეს ესთეტიკურ ზემოქმედებას. ამ ჯგუფს ავტორი მიაკუთვნებს ყველა ტექსტს, რომლებშიც აპელაციური ფუნქცია დომინირებს: რეკლამა, აგიტაცია, პროპაგანდა და სხვ. ამ შემთხვევაში მთარგმნელი, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიისწრაფოდეს ორიგინალის მსგავსი ეფექტის მიღწევისკენ, რის გამოც გარკვეულ შემთხვევებში მას, სხვა ტიპის ტექსტების თარგმანისგან განსხვავებით, ფორმისა და შინაარსიდან გადახვევის მეტი თავისუფლება ენიჭება. ამგვარი ტიპის ტექსტების თარგმანის შეფასებისას, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, თუ რამდენად ჩასწვდა მთარგმნელი შესაბამისი ტექსტის ექსტრალინგვისტურსა და ექსტრალიტერატურულ მიზანდასახულობას და შეიცავს თუ არა მისი ვარიანტი იმავე მიმართვას, რომელსაც შეუძლია იგივე ზემოქმედება მოახდინოს, როგორსაც ორიგინალის ავტორმა მიაღწია (ბიულერი 1993:223–225).

განსხვავებული ტიპის ტექსტებს განსხვავებული ამოცანები აქვთ, რაც თარგმანის სტრატეგიაში აისახება. კატარინ რაისი კარლ ბიულერის კონცეფციას იღებს საფუძვლად და თვლის, რომ თარგმანის შეფასება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად არის შენარჩუნებული თარგმანში ორიგინალში არსებული შინაარსი და ინფორმაცია.

კარლ ბიულერის სამ ტიპს კატარინ რაისი მეოთხესაც ამატებს, რომელსაც ის აუდიომედიალურს უწოდებს. ამ ჯგუფში ის მოიაზრებს ტექსტებს, რომლებიც წერილობითი სახით არიან დაფიქსირებულნი, მაგრამ ადრესატამდე არაენობრივი გარემოს მეშვეობით ზეპირი ფორმით (სამეტყველო ან სიმღერის სახით აღწევენ) და სმენით აღიქმებიან. ამასთანავე დამხმარე საშუალებები ეფექტიანობის სხვადასხვა ხარისხით ხელს უწყობენ შერეული ლიტერატურული ფორმის რეალიზაციას. ის აღნიშნავს, რომ აუდიომედიალური ტექსტები არა მარტო ენობრივი საშუალებებით იქმნება, არამედ უფრო მსხვილი კომუნიკაციური მთლიანობის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენენ. ამ ჯგუფს კ.რაისი მიაკუთვნებს პრაქტიკულად ყველა ტექსტს, რომლებიც გარეენობრივ გარემოს მოითხოვენ, რათა მსმენელამდე მიაღწიონ და რომელთა ენობრივი გაფორმებისას(როგორც ორიგინალში, ასევე თარგმანში) გათვალისწინებული უნდა იყოს ამ პირობების სპეციფიკა. ამგვარი ტიპის ტექსტებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეტყველების ტექნიკა, დამატებითი აკუსტიკური და ოპტიკური დამხმარე საშუალებები. მათი ფლობა და გათვალისწინება მნიშვნელოვნად განაპირობებენ როგორც ორიგინალის, ასევე თარგმანის ტექსტის წარმატებას. აუდიო - მედიალურ ტექსტებს კ.რაისი მიაკუთვნებს სასცენო ნაწარმოებებს - მიუზიკლიდან დაწყებული ოპერისა და ოპერეტის, კომედიისა და ტრაგედიის ჩათვლით. ის ხაზს უსვამს იმის აუცილებლობას, რომ უნდა გაიმიჯნოს სცენარების, დრამისა და ლიბრეტოს თარგმანები სასწავლო ხასიათის ტექსტებისა (რომლებშიც ძირითადი ყურადღება ენობრივ მხარეზე უნდა იქნეს გადატანილი) და დადგმისთვის განკუთვნილი თარგმანებისაგან (რომელთა ზემოქმედების ეფექტი მუსიკალური თანმხლებით, მსახიობთა ქესტითა და მიმიკით, კოსტიუმებით, დეკორაციებითა და დამხმარე აკუსტიკური საშუალებებით არის გაძლიერებული). აუდიომედიალური ტექსტები, ავტორის მიხედვით, შეიძლება შინაარსზე (რადიომოხსენება, დოკუმენტური ფილმები), ფორმაზე (რადიონარკვევები და დადგმები) და მიმართვაზე ორიენტირებულ (კომედია, ტრაგედია) ტექსტებს შორის გადანაწილდეს. თუ

შინაარსზე ორიენტირებული ტექსტისგან კრიტიკოსი მოითხოვს შინაარსის პლანის ინვარიანტულობას, ფორმაზე ორიენტირებულისგან - ფორმისა და ესთეტიკური ზემოქმედების ანალოგს, მიმართვაზე ორიენტირებულისაგან - მიმართვის შესაბამისი ეფექტის იგივეობას, აუდიო-მედიალური ტექსტების თარგმანისას უპირველეს ყოვლისა უნდა შეფასდეს, თუ რამდენად მოხდა ორიგინალში არსებული გარეენობრივი გარემოს პირობების ფაქტორების გათვალისწინება ერთიანი შერეული ლიტერატურული ფორმის გადმოცემისას (რაისი 1978:203).

გამოიკვეთა მხატვრული ტექსტების თარგმნის სპეციფიკასთან დაკავშირებული ზოგადი შეფასებითი კრიტერიუმები, რომლებიც რელევანტურია დრამატურგიული ტექსტებისათვის:

1. თარგმანი წარმოადგენს თვით კულტურის ფაქტორს, სამყაროს კულტურული ათვისებისა და კაცობრიობის კოლექტიური მეხსიერების გაფართოების ინსტრუმენტს;

2. მხატვრული ნაწარმოების თარგმანის მთავარი მოთხოვნაა, გადმოსცეს სათარგმნი ნაწარმოების სული;

3. ყოველი თარგმანი ისეთივე შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს მკითხველზე, როგორსაც ორიგინალი ახდენს „თავის“ მკითხველზე;

4. მხატვრულ თარგმანში არაფერი არ უნდა იყოს გამოტოვებული, დამატებული ან გადასხვაფერებული. მასში არსებული ნაკლოვანებებიც შესაბამისად უნდა იყოს შენარჩუნებული. ამგვარი თარგმანების მიზანია, ისეთნაირად ჩაანაცვლოს პირველწყარო, რომ მისცეს შესაძლებლობა სხვა კულტურის წარმომადგენლებს, ვინც არ იცის ორიგინალის ენა, იმსჯელოს, გააცნობიეროს და დატკბეს ტექსტის ღირსებებით;

5. მხატვრული ლიტერატურის თარგმანი მოითხოვს ორიგინალის ინდივიდუალური თავისებურების და ესთეტიკური აღქმის შენარჩუნებას;

6. თარგმანმა უნდა შეინარჩუნოს უცხოენოვანი ორიგინალის შინაარსობრივი ნიუანსები, მისი სახოვანება, გაითვალისწინოს დონორი რეციპიენტიენების შესაძლებლობები და სემანტიკური და გამომსახველობითი თავისებურებები;

7. მხატვრული ტექსტის თარგმანი, აგრეთვე, განიხილება, როგორც კომუნიკაციური აქტივობის განსაკუთრებული ნაირსახეობა. თარგმნის განხორციელების პროცესში ჩვენ საქმე გვაქვს არა თარგმნის უტილიტარულ გაგებასთან, არამედ კულტურათშორის, კულტურულ-ეთნიკურ და მხატვრულ კომუნიკაციასთან, რომლის მთავარ ღირებულებას წარმოადგენს თვით ტექსტი, როგორც შინაარსობრივი მთლიანობა და მხატვრული ასახვისა და აღქმის ობიექტი.

ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე გ. მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები. თბ., 1959.
2. Библихин В. В. Опыт сравнения разных переводов одного текста / В. В. Библихин Тетради переводчика: сб. Научно теоретический. – М. Высшая школа 1995.
3. Бюлер К. Теория языка. Репрезентативная функция языка. — М.: Прогресс, 1993.
4. Райс Катарина. Классификация текстов и методы перевода. Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике. М., Наука, 1978.
5. Швейцер А.Д. Теория перевода: статус, проблемы, аспекты. М.: Наука, 1988.
6. Genast Ernst Merian. Goete und Französische: Les belle Lettres 1958.
7. Mounin G. Die Übersetzung. Geschichte. Theorie. Anwendung. München, 1967.

Text Genre Typology and Translation

Abstract

The article is dedicated to text genre typology. Translating texts are divided into informational and literary texts. Literary texts include fiction, literary criticism and journalism genre diversity. They have two main roles: influential and aesthetic. In these kinds of texts aesthetic value of the work has a particular importance. The basic function of informational translation is to convey any kind of information and do not have aesthetic influence on readers.

In the article we analyzed the inner connection between translation strategies and text genre diversity.

საკვანძო სიტყვები: ჟანრობრივი ტიპოლოგია, მხატვრული ტექსტი, ინფორმაციული ტექსტი, ლიტერატურული კრიტიკა, პუბლიცისტიკა.

Key words: Genre typology, literary text, informational text, literary criticism, journalism.

Temel Gokturk
Artvin Coruh University, Artvin, Turkey

The Use of Trap Plants in the Control of *Ricaniasimulans* (Hemiptera: Ricanidae)

INTRODUCTION

Ricaniasimulans (Walker, 1851) (Hemiptera: Ricanidae) is a significant polyphagous pest in Japan, Southern China, Korea, Ukraine, Russia, Georgia, and Turkey (Gokturk and Aksu, 2014). *R. simulans* is a natural insect in Southern Asia and there migrated to Russia in 1900s, to Georgia in 1950s (Avidzba and Bobokhidze, 1982) to Turkey 2006s.

All agricultural plants including bushes and saplings are spoiled through feeding of cell sap by *R. simulans* nymph and adults. *R. simulans* has become one of the most important species in coastal region of Artvin, Rize and Trabzon at Eastern Black Sea Region in Turkey (Demir, 2009; Gokturk and Aksu, 2014).

It is a serious pest of kiwifruit, tea and vegetable plants in this region. Chemical pest control is most used against this pest. Because the use of chemical pesticides is banned since the dominant plant in infested areas is tea and pesticides may cause chemical residues. We haven't got practicable control method for this pest. Thus, a research on the possibility of alternative pest control was taken into consideration. Some researches tested *Lecanicillium muscarium* pathogen (Guclu et al., 2010), entomopathogens (Eken et al., 2013), Azadirachtin and Spinosad (Ak et al., 2013) and light traps (Gokturk and Mihli, 2015) for the control against *R. simulans*. but they have not achieved a full success and population level increased day by day.

The most recommended control method for *R. simulans* is the mechanical control method in which the fence plants, bushy plants, blackberry and perennial herbaceous plants that grow on the

fences of the gardens where the insect lays its eggs are cleaned and destroyed in suitable season (Gokturk and Aksu, 2014).

Trap plants can be used for insect control at sometimes. Some insects, if given a choice, will opt to feed and put egg on one type of plant or another. Therefore, certain plants can be strategically placed so that they lure harmful insects away from plants you wish to protect.

These are commonly referred to as "trap plants." Once the trap plant has become infested or put egg, the target insect can be picked off and dropped in soapy water or the entire plant can be pulled up and disposed of. Since the 1930s, there have been many reported cases of successful trap cropping for management of various insect pests resulting in great reduction in the use of pesticides. The benefits of trap plants include reduced dependence on insecticides, low cost of trap crop seed, conservation of natural enemies, and better crop and environmental quality (Hokkanen, 1991; Shelton and Badenes-Perez, 2006).

This study was conducted for the purpose of determining the efficiencies of trap plants to be used in the control of *R.simulans* during the summer and autumn months in Turkey, Artvin, Hopa.

1. MATERIALS AND METHODS

Rubusfruticoccus, *Spirea ulmaria*, *Actinidia deliciosa* and *Camellia sinensis* were used as trap plant in this study. 20 pieces of each species were grown in pots. These plants were placed on the edge of kiwi garden in July. Total eighty pots were tilled and moved to the laboratory in October 2016. Eggs in trap plants are checked and nymphs of *R.simulans* were counted in May and June 2017. Eggs in trap plants were counted and statistically analyzed. The most preferred trap plant for laying eggs was identified.

2. RESULT AND DISCUSSION

All trap plants have got egg of *R.simulans* (Table 1; Figure 1, 2, 3, 4). Female adults of *R.simulans* were placed between 17 and 120 eggs on the trap plants. 95% of the eggs in the plants have emerged nymphs.

Table 1. The Results of Homogeneity Group Test (Duncan Test, $p=0.05$) Number of eggs in trap plants of *R.simulans*

Host Plants	N	Mean	Std. Deviation	Std. Error	95% Confidence Interval for Mean		Minimum
					Lower Bound	Upper Bound	
<i>Spirea ulmaria</i>	20	87,7000	19,86560	4,44208	78,4026	96,9974	45,00
<i>Rubusfruticoccus</i>	20	47,1000	17,77313	3,97419	38,7819	55,4181	17,00
<i>Actinidia deliciosa</i>	20	75,6000	22,75591	5,08838	64,9499	86,2501	41,00
<i>Camellia sinensis</i>	20	73,9000	24,05236	5,37827	62,6432	85,1568	42,00

Note: In each column, there is no significant difference between the averages with the same small letter above them ($p<0.05$).




Figure 1. Egg number in *Spireaulmaria*




Figure 2. Egg number in *Rubusfruticocus*




Figure 3. Egg number in *Actinidiadeliciosa*




Figure4. Egg number in *Camelliasinensis*

Considering of eggs number in each 20 plants are counted in *Spireaulmaria* 1754, *Rubusfruticocus* 942, *Actinidiadeliciosa* 1512, *Camelliasinensis* 1478. It was seen that the most eggs (120) were left to *Spireaulmaria* and the least eggs (17) *Rubusfruticocus*. The number of eggs left to *Actinidiadeliciosa* and *Camelliasinensis* were found closed.

More research is needed to understand how trap crops work and how they can be most efficiently deployed before this method can be adopted more widely in pest management. The trap plants in the pot must be placed in the field before the egg laying period and removed from the field in the autumn and destroyed. We believe that this will be a success with the struggle to be done in this way.

REFERENCES

- Ak, K., Guclu S. and Sekban, R. (2013), "A new pest in East Black Sea Region, *Ricaniasimulans* (Walker, 1851) determining effectiveness of bio-pesticides with active substances of Azadirachtin and Spinosad against (Hemiptera: Ricaniidae)", Journal of Agricultural Sciences Research, 6 (1): 10-14.
- Avidzba, N.S. and Bobokhidze, Z.M. (1982), "Biophenology of the Japanese leafhopper", Zashchita Rastenii, No:6, pp. 36.
- Demir, E. (2009), "*Ricania* Germar, 1818 species of Western Palaearctic Region (Hemiptera: Fulgoromorpha: Ricaniidae)", Munis Entomology & Zoology, 4(1): 271-275.
- Eken, C., Ak, K., Guclu, S. Genc, T. and Sekban, R. (2013), Fungal flora of *Ricaniasimulans* (Hemiptera: Ricaniidae). XI. National Ecology and Environment Congress, 01-04 Sept. 2013. Samsun, Turkey, p. 208.
- Gokturk, T. and Mihli, A. (2015), "Investigations on struggling with *Ricaniasimulans* (Walker) 1851 (Hemiptera: Ricaniidae) an important pest of the Eastern Black Sea Coastlines". Artvin Coruh University Journal of Forestry Faculty, 16(1): 89-93.
- Gokturk, T. and Aksu, Y. (2014), Morphology, biology and damage of *Ricaniasimulans* (Walker, 1851) (Hemiptera: Ricaniidae) engaged in damage to agricultural areas and forests. II. Forest Entomology and Patology Symposium. 7-9 Apr. 2014. Antalya, Turkey, 279-281.
- Guclu, S., Ak, K., Eken, C., Akyol, H., Sekban, R., Beytut, B. and Yildirim, R. (2010), "Pathogenicity of *Lecanicillium muscarium* against *Ricaniasimulans*". Bulletin of Insectology, 63(2): 243-246.
- Hokkanen, H. (1991), "Trap cropping in pest management", Annual Review of Entomology, 36, 119-138.
- Shelton, A.M. and Badenes-Perez, F.R. (2006), "Concepts and applications of trap cropping in pest management", Annu. Rev. Entomol., 51: 285-308

თემელ გოქთურქი

ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტი, ართვინი

Ricaniasimulans (Hemiptera: Ricaniidae) 'ის წინააღმდეგ ბრძოლაში მახე მწერების გამოყენება

რეზიუმე

Ricaniasimulans შავი ზღვის სანაპირო ზოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აგროკულტურული მავნებელია. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში განსაკუთრებით შეიმჩნევა მისი ყოველდღიური გავრცელება და მის მიერ მიყენებული ზიანი. ქიმიური ნივთიერებების გამოყენება ამ რეგიონში დაუშვებელია, ვინაიდან ამ ტერიტორიაზე მოჰყავთ ორგანული ჩაის კულტურა. შედეგად, საჭიროა შემუშავდეს სტრატეგიები ამ მავნებლის საკონტროლოებად და საბრძოლოებად. 2016-2017 წელს ჩატარებული კვლევების შედეგად ირკვევა, რომ მცენარეები *Rubus fruticosus*, *Spirea ulmaria*, *Actinidia deliciosa* and *Camellia sinensis* გამოყენებული იქნა როგორც ერთვარი მახე ამ პრობლემის დასაძლევად.

Keywords: *Ricaniasimulans*, trap plants, control

საკვანძო სიტყვები: *Ricaniasimulans*, მახე მცენარეები, კონტროლი

Important Pest Insects of the Border Area of Georgia and Turkey

1. INTRODUCTION

Georgia and Turkey, which have a 276 kilometer border, are two friendly countries. There are agricultural and forest areas in this border area. Spruce, fir, pinus, boxwood forests and agricultural areas are located on both sides of the border. In order to get desirable level of benefit from the forest and agricultural areas a sustainable management should be applied.

Healthy forest and agricultural areas could be possible via eradicating of the harmful agents or could be kept under economic threshold level (Canakcioglu and Mol, 1998). Insect pests are the main agents affecting the healthy of forests and agricultural areas. There are many insect species that cause damage in plants. Coleoptera, the largest order in the animal kingdom, with close to 390,000 described species in almost 30,000 genera of 176 families worldwide, representing about 40% of known insects. The subfamily Scolytinae (Coleoptera: Curculionidae), with more than 6,000 described species, is one of the largest group of Coleoptera. Butterflies are the Charismatic Megafauna of the Insect World. World butterflies number about 17,280 species representing described taxa, 1855 genera, 35 subfamilies, and 7 families (Shields, 1989). Hemiptera team is one of the biggest insect teams containing more than 50,000 defined species. Ricaniidae family included in this team is a family containing 46 types and 450 species (Bu et.al., 2010; Ginezdilov, 2009).

Most insect species are known to attack and kill living trees, causing large economic losses. The border area of Turkey and Georgia have given great losses by effects of pest insect species in recent years. These species have not been studied extensively. The aim of this study was to determine the insect fauna in the border area.

2. MATERIALS AND METHODS

The main material of this study has been the species of insect existing in Artvin province, Turkey and Batumi province, Georgia. The adult insects were collected mainly from agricultural fields, parks and forest areas near the border (Kemalpasa, Camili, Savsat (Sarp, Kazimiye, Serefiye, Kayadibi, Duzenli, Maral, Ugur, Demirkapi, Cermik, Akdamla, Erikli) – Sarpi, Khelvachauri, Keda, Shuakhevi (Makhuntseti, Tskhemna, Oktomberi, Makhe, Goginavri, Merisi, Tbeti, Zinera, Chirukhi, Darchidzebi, Tomasheti, Shubani, Kutauri, Kobalta, Sumushauri) where they were active between May and October in 2010 and 2017. Pheromone traps and net were used to catch insects. The trapped insects were identified in the laboratory.




Figure 1. Map of study area

3. RESULT AND DISCUSSION

A total of 23 harmful species were detected in the study. These species belong to 19 Coleoptera, 3 Lepidoptera and 1 Hemiptera order (Table 1). In the study area, bark beetle species of the Coleoptera order (Curculionidae; Scolytinae) were mostly identified.

Table 1. Important pest insects of Georgia and Turkey border area

Insect species	Order/Family	Host plant
<i>Hylastes ater</i> (Paykull, 1800)	Coleoptera; Curculionidae	<i>Picea orientalis</i> , <i>Abies nordmanniana</i>
<i>Hylastes cunicularius</i> (Erichson, 1836)	Coleoptera, Curculionidae	<i>Picea orientalis</i> , <i>Abies nordmanniana</i> , <i>Pinus</i>
<i>Hylurgops palliates</i> (Gyllenhal, 1813)	Coleoptera, Curculionidae	<i>Picea orientalis</i> , <i>Abies nordmanniana</i> , <i>Pinus</i>
<i>Tomicus piniperda</i> (Linnaeus, 1758)	Coleoptera, Curculionidae	<i>Picea orientalis</i> , <i>Pinus sylvestris</i>
<i>Tomicus minor</i> (Hartig, 1834)	Coleoptera, Curculionidae	<i>Picea orientalis</i> , <i>Pinus sylvestris</i>
<i>Dendroctonus micans</i> (Kugelann, 1794)	Coleoptera, Curculionidae	<i>Picea orientalis</i>
<i>Ips acuminatus</i> (Gyllenhal, 1827)	Coleoptera, Curculionidae	<i>Picea orientalis</i> , <i>Pinus sylvestris</i>
<i>Ips cembrae</i> (Heer, 1836)	Coleoptera, Curculionidae	<i>Picea orientalis</i>
<i>Ips amitinus</i> (Eichhoff 1871)	Coleoptera, Curculionidae	<i>Picea orientalis</i>
<i>Ips duplicatus</i> (Sahlberg, 1836)	Coleoptera, Curculionidae	<i>Picea orientalis</i>
<i>Ips sexdentatus</i> (Boerner, 1776)	Coleoptera, Curculionidae	<i>Picea orientalis</i> , <i>Abies nordmanniana</i> , <i>Pinus</i>
<i>Ips typographus</i> (Linnaeus, 1758)	Coleoptera, Curculionidae	<i>Picea orientalis</i>
<i>Xyloterus lineatus</i> (Olivier, 1795)	Coleoptera, Curculionidae	<i>Picea orientalis</i> , <i>Abies nordmanniana</i> , <i>Pinus</i>
<i>Cryphalus abietis</i> (Ratzeburg, 1837)	Coleoptera, Curculionidae	<i>Picea orientalis</i> , <i>Abies nordmanniana</i>
<i>Cryphalus piceae</i> (Ratzeburg, 1837)	Coleoptera, Curculionidae	<i>Picea orientalis</i> , <i>Abies nordmanniana</i>
<i>Pityogenes bidentatus</i> (Herbst, 1783)	Coleoptera, Curculionidae	<i>Picea orientalis</i>
<i>Pityogenes chalcographus</i> (Linnaeus, 1761)	Coleoptera, Curculionidae	<i>Picea orientalis</i> , <i>Pinus sylvestris</i>
<i>Pityogenes bistridentatus</i> (Eichhoff 1878)	Coleoptera, Curculionidae	<i>Picea orientalis</i>
<i>Pityokteines curvidens</i> (Germar, 1821)	Coleoptera, Curculionidae	<i>Picea orientalis</i> , <i>Abies nordmanniana</i> , <i>Pinus</i>
<i>Cydalima perspectalis</i> (Walker, 1859)	(Lepidoptera: Crambidae)	<i>Buxus sempervirens</i>
<i>Hypantria cunea</i> (Drury 1773)	(Lepidoptera: Arctiidae)	Quercus, Populus, Salix, Tilia, Betula, Malus, Larix, Ulmus, Diospyros, fruit trees
<i>Lymantria dispar</i> (Linnaeus, 1758)	(Lepidoptera: Lymantriidae)	
<i>Ricania simulans</i> (Walker, 1851)	(Hemiptera; Ricanidae)	All vegetables, Kiwi, fruit trees

As a result, it was determined that *Dendroctonus micans*, *Ips typographus*, *Hypantria cunea*, *Lymantria dispar*, *Cydalima perspectalis* and *Ricania simulans* are the most harmful insect species in

border area. From these species, *Hypantriacunea*, *Lymantria dispar* and *Ricania simulans* are damaging in agriculture areas, *Cydalia perspectalis*, *Dendroctonus micans* and *Ips typographus* are damaging in the forest areas.

Ips typographus (Linnaeus, 1758) (European spruce bark beetle), *Dendroctonus micans* (Kugelann, 1794) (Great spruce bark beetle) has spread all over the spruce forests in Georgia and Turkey. In 1980-2010, about 1 million m³ spruces have been dried up as a result of bark beetle species in Artvin forest. In 1990s, *D. micans* and *I. typographus* have caused to dry 50 to 100 thousand m³ per year. Insect damage is also seen in Acara forests, Especially in the forests of the Chirukhi forest. There is used mechanical, biotechnical and biological methods in the control of bark beetles. *Ips* species can be used to control pheromone traps (Hardling and Ravn, 1985; Weslien and Lindelow, 1990). Pheromone traps have been used in Turkey for many years. Georgia was also used in the Chirukhi region in 2008-2009.

The most important natural enemies of bark beetles include birds (woodpeckers), arthropod predators and parasitoids, and fungi. *Rhizophagus grandis* is special predators of *D. micans*. The ant beetle [*Thanasimus formicarius* (L.) (Col., Cleridae)], one of the most common predators of *I. typographus* (L.). Woodpeckers are also important predators of bark beetles. Not only does their feeding increase mortality, but also their scaling of the bark indirectly increases mortality. These bark beetles are an essential component of every spruce forest ecosystem. But If bark beetles make epidemics they become very dangerous. So they should be constantly monitored.

Hypantria cunea (Drury 1773) (Fall webworm) and *Lymantria dispar* (Linnaeus, 1758) (Gypsy moth) are significant defoliator of a wide range of broadleaf in Black sea coast Turkey and Georgian border area. These species are causing great damage to park plants and fruit trees. Larvae stage of these species are preferred hosts *Quercus*, *Populus*, *Salix*, *Tilia*, *Betula*, *Malus*, *Larix*, *Ulmus* and *Diospyros* species.

H. cunea is a polyphag pest and fed with more than sixty plant species (Gokturk et al., 2010). The loss in Georgia is more than that in Turkey. Small infestations of *H. cunea* and *L. dispar* particularly on ornamental trees can be controlled by collecting and destroying the egg masses before the eggs hatch (Brandt, 1994). Mass-trapping through the use of pheromones can also assist with control. A number of natural predators can be used to control *L. dispar* and *H. cunea*. Especially, the protection of the birds and the hanging of the bird's nest is important.

Cydalis perspectalis (Walker, 1859) (Box Tree Moth) were observed on plants of *Buxus sempervirens* in Turkey and Georgia. Especially in recent years, larvae infested the young shoots of plants with damage on leaves and death of parts of the attacked plants. The species frequently impacts on the quality of ornamental plants and leads to economic losses. *Buxus* plants infested by *C. perspectalis* can be identified by the presence of a high number of dead leaves and of a considerable amount of webbing with frass and cephalic capsules of earlier larval stages. The larvae can completely defoliate *Buxus* bushes and can eventually kill the plants (Sigg, 2009; Hizal et al. 2012). There is information on its chemical (Zhou et al. 2005) and biological control (Choo et al. 1991), as well as on its pheromones (Kawazu et al. 2007).

Ricania simulans (Walker, 1851) is an important pest which causes damage by sucking the juice of the shoots of the trees and the trees, especially the agricultural plants in Black sea coastal areas in border village. *R. simulans* causes important economical losses by its damage in Kiwi gardens. It is stated that wide spectrum insecticides are used against this pest (Avidzba and Bobokhidze, 1982; Dzhashi et al., 1982). But, the use of chemicals is prohibited in tea fields in Turkey. It is thought that the damage of *R. simulans* will increase in later years especially in tea plants.

As a result, Turkey and Georgia border area has got very rich insect fauna. Some of these species are harmful in agriculture, forests and park plants. The 23 identified harmful species are also damaging both sides of the border. *Dendroctonus micans* and *Ips typographus* are the most harmful of the bark beetles that are harmed by coniferous trees. Most of these insects are damaging on *Picea orientalis*, *Pinus sylvestris* and *Abies nordmanniana*. Spruce trees are the most damaged in the field.

H.cunea and *L.dispar* are more harmful on broad-leaved trees. *Cydalima perspectalis* is harmful in the genus *buxus* and the damage increases day by day. *R.simulans* is affecting all plants in Black sea coastal areas and reducing quality.

A single method is not enough to control these harmful insects. The aim of successful pest control is to reach the beetle in all stages of its development. In principle all methods should be used together as an “integrated system.” Another important issue in the control is the co-operation of the two countries.

REFERENCES

- Avidzba, N.S. and Bobokhidze, Z.M.(1982), Biophenology of the Japanese leafhopper. Zashchita Rastenii, No:6, 36 pp.
- Brandt, J.P. (1994), Gypsy moth. Northern Forestry Centre Forestry Leaflet 29, Edmonton, Alberta, Canada, Natural Resources Canada (NRC), Canadian Forest Service (CFS). (available at: <http://cfs.nrcan.gc.ca/factsheets/gypsy-moth-nofc/cat.entomology>)
- Bu, C.P., Lariviere, M.C. and Liang, A.P. (2010), “*Parapiromis* nom. nov., a new name for *Piromis* Fennah (Hemiptera: Fulgoromorpha: Ricaniidae), with descriptions of three new species”, Zootaxa 2400: 29-40.
- Canakcioglu, H. and Mol, T. (1998), Forest Entomology. Part I. Istanbul University, Journal of Forest Faculty, Istanbul, ISBN: 975-404-522-4; n.4155, 455,
- Choo, H.Y., Kaya, H.K, Lee, S.M., Kim T.O. and Kim, J.B. (1991), “Laboratory evaluation of entomopathogenic nematodes, *Steinernema carpocapsae* and *Heterorhabditis bacteriophora* against some forest insect pests”, Korean Journal of Applied Entomology, 30 (4): 227-232.
- Dzhashi, V.S., Nikolaishvili, A.A. and Demetradze, T.Y.(1982), The Japanese leafhopper - a pest of bay. Zashchita Rastenii, No: 2, 57 pp.
- Ginezdilov, V.M. (2009), “A new subfamily of the planthopper family Ricaniidae Amyot et Serville (Homoptera, Fulgoroidea)”, Entomological Review, 89 (9): 1082-1086.
- Gokturk, T., Murvalidze, A. and Aksu Y. (2010), Damage and control of Fall Webworm (*Hyphantria cunea*) in Adjara. International Scientific Conference Modernization of Agriculture in the Conditions of Globalization, Shota Rustaveli State University in Batumi, Georgia. p. 35.
- Harding, S. and Ravn, H. (1985), "Seasonal activity of *Ips typographus* L.(Col., Scolytidae) in Denmark", Zeitschrift für angewandte Entomologie, 99(1-5): 123-131.
- Hizal, E., Kose, M., Yesil, C. and Kaynar, D. (2012), “The new pest *Cydalima perspectalis* (Walker, 1859) (Lepidoptera: Crambidae) in Turkey”, J. Anim Vet Adv. 11 (3): 400-403.
- Kawazu K., Honda H., Nakamura S. and Adati, T. (2007), Identification of sex pheromone components of the box tree pyralid, *Glyphodes perspectalis*, Journal of Chemical Ecology 33(10): 1978-1985.
- Shields, O. (1989), “World numbers of butterflies”, Journal of the Lepidopterists’ Society 43:178-183.
- Sigg, C.R. (2009), Auch das noch: Ein neuer Buchs-Schadling schlagst zu. Massive Schaden durch den Buchsbaumzünsler. Der Gartenbau (Solothurn) 4: 2-4.
- Weslien, J. and Lindelow, A.(1990), “Recapture of marked spruce bark beetles (*Ips typographus*) in pheromone traps using area-wide mass trapping”, Can. J. For. Res. 20, 1786-1790.
- Zhou, Xia, C.Y., Sun, X.Q., Zhu, B., Liu, X.P., Liu, Z.C. and Wang, Y. (2005), “Studies on the biological characteristics and control of *Diaphania perspectalis* Walker”, Journal of Shanghai Jiaotong University – Agricultural Science, 23 (1): 52-56.

თემელ გოქთურქი

ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტი, ართვინი

თურქეთი - საქართველოს სასაზღვრო რეგიონში მნიშვნელოვანი მავნე მწერების სახეობები

რეზიუმე

თურქეთ საქართველოს დამაკავშირებელი სასაზღვრო ზოლი 276 კმ-ია. აგრო კულტურა და ტყის ლანდშაფტი ამ ორ რეგიონში მსგავსია, შესაბამისად, მსგავსია მავნებლების სახეობებიც, რომელთაგანაც აღსანიშნავია *Cydalima perspectalis*, *Dendroctonus micans*,

Hypantiria cunea, *Lymantria dispar*, *Ips typographus* და *Ricania simulans*. ამ სახეობებიდან აგროკულტურის მავნებლებად მიჩნეულია *Hypantiriacunea*, *Lymantria dispar* და *Ricania simulans*; ხოლო ტყის ლანდშაფტს ზიანს მავნებლების შემდეგი სახეობები აყენებენ ზიანს: *Cydalia perspectalis*, *Dendroctonus micans* და *Ips typographus*. საჭიროა კონტროლის გატარება ორივე მხრიდან, ვინაიდან მხოლოდ ერთი რეგიონის მხრიდან ჩატარებული საკონტროლო ღონისძიებები საკმარისი არ არის.

Key words: Turkey-Georgia, harmful insects, control

საკვანძო სიტყვები: თურქეთი-საქართველო, მავნე მწერები, კონტროლი

ნინო გრიგოლია, ნუნუ გელდიაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

მოდალობის ზოგიერთი სემანტიკის გამოხატვის ასპექტები ინგლისურსა და ქართულში

ნებისმიერი გრამატიული კატეგორიის ტიპოლოგიურ ჭრილში შესწავლა ითვალისწინებს ორ ძირითად საფეხურს: პირველი წარმოადგენს ზოგიერთი გრამატიკული კატეგორიის იდენტიფიკაციას სხვადასხვა ენაში, ხოლო მეორე - ამ კატეგორიების იდენტიფიკაციის მსგავსებას ენათა შორის, კერძოდ, განსხვავებული სისტემის მქონე ენებში.

სტატიაში წარმოვადგენთ მოდალურ ზმნებს: will, would და shall, რომლებიც, თავისთავად, შეიძლება განვიხილოთ, როგორც მომავალი დროის გამომხატველი მოდალური ზმნების ჯგუფი. თუმცა, როგორც კვლევამ გვიჩვენა, ეს ერთი შეხედვით მცირე ჯგუფი საკმაოდ პრობლემატურია მოდალური თვალსაზრისით. Will ზმნა ძირითადად განიხილება დამხმარე ზმნებში და იშვიათად არის სუფთა მოდალური ზმნა. ის უთავსებს თავის მოდალურ მნიშვნელობას დამხმარე ზმნის ფუნქციას - გამოხატოს მომავალი დრო. როგორც მოდალური ზმნა, Will გამოხატავს სურვილს, შეთავაზებას, მუქარას, განზრახვასა თუ დაჟინებას.

“No,” he said. “I **won’t** do that. No, I can’t do that. But **I’ll** get up early in the morning, **I’ll** take the new air gun and **I’ll** shoot that cat so **he’ll** never come back. The air gun shoots hard. **It’ll** make a hurt the cat **won’t** forget” [სტეინბეკი; 279].

“არა,” განაცხადა მან. “ამას **არ გააკეთებ**. არა, არ შემიძლია ამის გაკეთება. მაგრამ ხვალ დილით ადრე **ავდგები**, **ავიღებ** ახალ თოფს და ვესვრი იმ კატას, რომ აღარ დაბრუნდეს. თოფს ძლიერი დარტყმა აქვს. ის **ასწავლის** მაგ კატას ჭკუას.

Will სურვილის, განზრახვის, მუქარის გამოხატვის მიზნით გამოიყენება ყველა პირთან, განსაკუთრებით კი პირველ პირთან.

“Fish,” he said softly, aloud, “**I’ll** stay with you until I am dead” [ჰემინგუეი; 43].

თევზო, თქვა მან რბილად და ხმამაღლა, სიკვდილამდე შენთან დავრჩები.

He was painstaking, industrious, and capable, but he had not the will to advance himself.

[23] S. Maugham

ის მონდომებული, შრომისმოყვარე და ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ თავის წარმოჩინების დიდი სურვილი არ ჰქონდა.

His mother told him that there was a young woman in the village who was willing to marry him. სოფლად იყო ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მასზე გათხოვების დიდი სურვილი ჰქონდა. (Salvatore 146) S. Maugham

ძალიან ხშირად Will გამოიყენება if კავშირის შემდეგ პირობით დამოკიდებულ წინადადებაში (conditional 1), სადაც ინარჩუნებს სურვილის გამოხატვის მოდალურ მნიშვნელობას.

“We **won't** ever **change** it. **Will** we hurry? If a bush dies, **we'll put** another one just like it in the same place” [სტეინბეკი; 269].

ჩვენ ამას არასოდეს შევცვლით. არა, ჰარი? თუ ბუჩქი გახმება, სხვას დავრგავთ, ზუსტად ისეთს და ზუსტად იმავე ადგილზე.

“If you try to look at it, Basil, on my word of honour I **will** never **speak** to you again as long as I live” [უაილდი; 212].

“ბეიზილ, თუ ეცდები, შეხედო მას, პატიოსან სიტყვას გაძლევ, ჩემ სიცოცხლეში აღარ გაგცემ ხმას.

Will მოდალური ზმნა აგრეთვე გამოხატავს დაჟინებას.

“Fish,” he said, “I love you and respect you very much. But I **will kill** you dead before this day ends” [ჰემინგუეი, 45].

თევზო, უთხრა მან, მიყვარხარ და პატივს გცემ. მაგრამ დღის ბოლომდე მოგკლავ.

“Keep the blanket around you, the boy said. ‘You **will not fish** without eating until I’m alive’” [ჰემინგუეი, 14].

საბანი მოიხურე, უთხრა ბიჭმა. სანამ ცოცხალი ვარ, მშვიერი ვერ ითევზავებ.

I will put the fear of God into her. [13] S. Maugham მე მას ძალიან შევაშინებ.

Will ზმნის პარალელურად მართებული იქნება განვიხილოთ **Shall** ზმნა, რომელიც გამოიყენებოდა Will ზმნის ფუნქციებით და აწარმოებდა მომავალ დროს; გამოხატავდა სამომავლოდ გაკეთებულ დასკვნებს, განზრახვას, გადაწყვეტილებას. ბოლო წლებში მან შეიცვალა მნიშვნელობა და გამოიყენება მხოლოდ კითხვით წინადადებაში, პირველ პირთან (მხოლოდობითში და მრავლობითში) შეთავაზების ნებართვის ან რჩევის გამოსახატავად. რამდენადაც ჩვენი საკვლევი მასალიდან ერთ-ერთი, “დორიან გრეის პორტრეტი” ან „მოხატული ფარდა“ (ს. მოემი) დაწერილია მეოცე საუკუნის დასაწყისში, მათში განსაკუთრებული სიხშირითაა **Shall** ზმნა პირვანდელი მნიშვნელობით. თუმცა, ნაშრომში წარმოვადგინეთ მხოლოდ ის წინადადებები, სადაც აღნიშნული ზმნა მოდალური მნიშვნელობითაა გამოყენებული.

“**Shall** I leave the things here, sir?” he asked Campbell” [უაილდი; 285].

სერ, აქ დავტოვოთ ნივთები? შეეკითხა კემბელს.

“No trouble, sir. At what time **shall** I be back?” [უაილდი; 286].

რა შეწუხებაა, ბატონო. რომელი საათისთვის დავბრუნდე?

“Or **shall** we lunch with our little Duchess? She says she never sees you now” [უაილდი; 340].

ჩვენს პატარა გრაფინიასთან ხომ არ ვისადილოთ? სულ იმას ამბობს, რომ ვერ გნახულობს ბოლო ხანებში.

We shall just have to brazen it out [12] S. Maugham

ახლა თავი უნდა დავიძვრინოთ

How shall I get out? You'd better wait a bit. I'll look out and see that it's all right. [11] S. Maugham

როგორ გავიდე გარეთ? სჯობს ცოტა ხანს მოიცადო. გავიხედავ და ვნახავ ყველაფერი რიგზეა თუ არა.

რაც შეეხება **Would** ზმნას, ის თავდაპირველად იყო **Will** ზმნის წარსული ფორმა, ისევე როგორც ზემოთ წარმოდგენილი **Shall** ზმნის წარსული ფორმა **should** ზმნა იყო. იმ განსხვავებით, რომ **should** ზმნამ შეიძინა სრულიად განსხვავებული, რჩევის მნიშვნელობა, ხოლო **Would** ზმნამ შეინარჩუნა Will -ის ძირითადი ფუნქციები. ასე რომ, გამოხატავს

სურვილს (ძირითადად უარყოფით წინადადებებში), დაჟინებას წარსულში [Kaushanskaya V.L.; 132].

“No, she **wouldn't** tell him. She **would** want to come out and do it again, and she couldn't if he spoiled it for her” [სტეინბეკი; 273].

არა, არ ეტყვის. მას სურს გამოვიდეს და იგივე გაიმეოროს და თუ მისი მეუღლე ყველაფერს გააფუჭებს, ქალი ვეღარ შეძლებს ამის გაკეთებას.

გარდა **Will** ზმნასთან თანმხვედრი ფუნქციებისა, **Would** ასევე გამოიყენება:

1. როგორც Will ზმნის წარსული ფორმა, როდესაც ირიბ თქმაში გადმოვცემთ ვიღაცის ნათქვამს ან ფიქრებს.
2. წარმოდგენილ ფაქტებსა და შედეგებზე სასაუბროდ:

“My head is not clear. But I think the great DiMaggio **would be** proud of me today” [ჰემინგუეი; 83].

გონება კარგად არ მიმუშავებს, მაგრამ ვფიქრობ, დიდი დიმაჯიო ჩემით **იამაყებდა**.

“For there **would be** a great pleasure in watching it. He **would be able** to follow his mind into its secret place. This portrait **would be** to him the most magical of mirrors. As it had revealed to him his own body, so it **would reveal** to him his own soul. And when winter came upon it, he **would still be** standing where spring trembles on the verge of summer. When the blood crept from its face, and left behind a pallid mask of chalk with leaden eyes, he **would keep** the glamour of boyhood. Not one blossom of his loveliness **would** ever fade. Not one pulse of his life **would ever weaken**. Like the gods of the Greeks, he **would be** strong, and fleet, and joyous. What did it matter what happened to the coloured image on the canvas? He **would be safe**. That was everything” [უაილდი; 206].

“მაინც რაოდენი სიამით აღავსებს ადამიანს ამ ამბის თვალ-ყურის დევნება? მას **შეეძლება** საკუთარი აზრის მსვლელობას გაჰყვეს და მისი საიდუმლოებანი ამოიცნოს. პორტრეტი მისთვის სასწაულმოქმედ სარკედ **იქცევა**. და როგორც პირველად ოდესღაც სარკეში საკუთარი თავი იხილა, ახლა ის **გაამიშვლებს** მის სულს და მის საოცრებათა სიღრმეში ჩაახედებს, ხოლო როცა ტილოზე ასახულ მის ორეულს დაუზამთრდება, ის ჯერაც ისევ მთრთოლვარე გაზაფხულისა და სიამეთა გამაცხოველებელი ზაფხულის საზღვარზე წელგამართული **იდგება** კვლავ. ოდეს სურათზე სასიცოცხლო ფერები სრულიად წარიხოცება და მასზე მხოლოდ ფერმიხდილი ნილაბი და კალისფრად გათეთრებული ხეიბარი დარჩება, ჭაბუკური შარავანდით მოსილი დორიან გერი სწორედ მაშინ **დაიწყებს** ამქვეყნიურ ცხოვრებას, დაუმჟღნარი და წარმტაცი მშვენიების სასიცოცხლო მაჯისცემა **არასოდეს შესუსტდება** და ბერძნული ღმერთების დარად ძლიერებას, ფეხმარდობას და მარადიულ სიმხიარულეს **შეინარჩუნებს**. განა სულ ერთი არ არის, რა დაემართება თვით პორტრეტსა და ფერებს ტილოზე? ის ხომ **გადაურჩება** ამ იდუმალ გასნსაცდელს და უმთავრესიც ეს არის ამქვეყნად” [უაილდი, ო., 157].

3. ისეთი შესაძლო ქმედებისა და შემთხვევების აღსაწერად, რაც არ მოხდა, რადგან მისი წინაპირობა არ შესრულდა:

“If I had brains, I **would** have splashed water on the bow all day and drying, it would have made salt, he thought” [ჰემინგუეი; 68].

ჭკუა რომ მქონოდა, მთელი დღე წყალი უნდა **მესხა** ნავზე, აორთქლდებოდა და მარილი მექნებოდა.

“Just then the fish gave a sudden lurch that pulled the old man down on the bow and **would have pulled** him overboard if he had not braced himself and given some line” [ჰემინგუეი, 46].

მოულოდნელად თევზმა მძლავრად შეანჯღრია ნავი და მოხუცი კაცი ნავის კიჩოს მიეხეთქა, **გადაითრევდა** კიდევ ხელები რომ არ ჩაეჭიდა ნავისთვის და თოკი არ მიეშვა.

If he'd come in and seen a strange topee in the hall and come upstairs and found your room locked, surely he would have made some sort of row. [13] S. Maugham

ის რომ შემოსულიყო და დერეფანში ვიღაცის ტოპი ენახა, შემდეგ ზედა სართულზე ამოსულიყო და შენი ოთახი დაკეტილი დახვედროდა, უსათუოდ სკანდალს მოაწყობდა.

If he accused her she would deny, and if it came to a pass that she could deny no longer, well, she would fling the truth in his teeth, and he could do what he chose. [21] S. Maugham

თუ მას ბრალს დასდებდა იგი ამას უარჰყოფდა, და თუ ეს ასე მოხდებოდა უარყოფას აზრი არ ექნებოდა, და სრულ სიმართელეს პირში მიახლიდა, ხოლო შემდეგ რაც უნდა ის ექნა.

4. მიზეზის ან მიზნის გამოსახატავად:

"He cut a piece of line and tied the fish's lower jaw against his bill so his mouth **would not** open and they would sail as cleanly as possible" [ჰემინგუეი].

თოკი ჩამოჭრა და თევზის ქვედა ყბა მახვილზე მიაბა, რათა პირი **არ გახსნოდა** და ადვილად ეცურათ.

5. სურვილის გამოსახატავად:

"**I would like** to go. If I cannot fish with you, **I would like** to serve in some way" [ჰემინგუეი, 7].

მინდა წავიდე. შენთან ერთად თევზაობა თუ არ შემიძლია, **მინდა** სხვაგვარად დაგეხმარო.

"I am tired of myself tonight. I **should like to be** somebody else" [უაილდი, 257].

საკუთარმა თავმა დამალა დღეს. სხვა ადამიანად ყოფნას **ვისურვებდი**.

6. ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგობის საჩვენებლად:

"The breeze was steady. It had backed a little further into the north-east and he knew that meant that it **would not fall off**" [ჰემინგუეი, 91].

ქარი არ დგებოდა. ცოტა შეიცვალა მიმართულება ჩრდილო-აღმოსავლეთით და ამით მოხუცი კაცი მიხვდა, **რომ აღარ ჩადგებოდა**.

7. თავაზიანი თხოვნისას:

"**Would you think** if awfully rude of me if I asked you to go away?" [უაილდი; 97].

ხომ არ გეწყინება, წასვლა რომ გთხოვო?

8. თავაზიანი შეთავაზებებისა და მოპატიჟებისას

"I will try and do something, Dorian, if it **would please you**" [უაილდი; 211].

შევეცდები რამე ვიღონო, დორიან, **თუ** ეს **სასიამოვნო იქნება** თქვენთვის.

9. რჩევის, სწორი გადაწყვეტილების გამოსახატავად:

"If I were him, **I would put in** everything now and go until something broke. But, thanks God, they are not as intelligent as we who kill them" [ჰემინგუეი; 53].

შენს ადგილას რომ ვიყო, ყველაფერს **ვიღონებდი**, წინ გავწევდი, სანამ რამე არ გატყდებოდა. მაგრამ, მაღლობა ღმერთს, ისინი ისეთი გონიერები არ არიან, როგორც ჩვენ, ვინც მათ ვხოცავთ.

"But **I would rather** be exact. Then luck comes you are ready" [ჰემინგუეი; 25].

მირჩევნია ზუსტი ვიყო, როცა ილბალი გაგიღიმებს, მზად უნდა იყო.

10. გადაწყვეტილების, დაჟინების გამოსახატავად.

"Why not tell me what it is? You know **I would help** you" [უაილდი; 324].

რატომ არ მეუბნები, რაშია საქმე? ხომ იცი, **დაგეხმარები**.

“A new life! That was what he wanted. That was what he wanted.... He **would** never again tempt innocence. He **would be good**” [უაილდი, 343].

11. უსულო საგნების გაპიროვნებებისას: **would** ზმნა ასევე გამოიყენება უსულო საგნებზე საუბრისას, როდესაც მოქმელი უკმაყოფილოა რამით და საუბრობს ნივთზე ან ბუნებრივ მოვლენაზე ისე, თითქოს მას საკუთარი ნებით შეეძლოს მოქმედება:

“As it had killed the painter, so it **would kill** the painter’s work, and all that that meant. It **would kill** the past and when that was dead he **would be free**. It **would kill** this monstrous soul-life, and without its hideous warnings, he **would be at peace**” [უაილდი; 345].

რადგან მან [დანამ] მოკლა მახტვარი, მაშინ მოკლავს მის ნამუშევარსაც. ის მოკლავს წარსულს და როცა ის მკვდარი იქნება, ის [დორიან გრეი] თავისუფალი იქნება. მოკლავს ამ ურჩხულ სულს გაუფრთხილებლად და მიანიჭებს მას სიმშვიდეს.

უსულო საგნების განპიროვნებებში გამოიყენება **will** ზმნაც, თუმცა **would** უფრო მიღებულია.

12. **would** ხშირად გამოიყენება წარსულ დროში მომხდარი ქმედებების ასაღწერად მოქმედების აღმნიშვნელ ზმნებთან, მაგრამ არასოდეს გამოიყენება მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნებთან, იგი ხანდახან უფრო პოეტურია და ნოსტალგიასაც გამოხატავს:

Sometimes he **would be** so tired that he could not remember the prayer and then he **would say** them fast so that they **would come** automatically. ხანდახან ისეთი დაღლილი იყო, რომ ლოცვაც კი ავიწყდებოდა ხოლმე, ზოგჯერ კი ისე სწრაფად კითხულობდა რომ სიტყვები თავისთავად მოადგებოდა ხოლმე ენაზე.

წარსულში ხშირად მომხდარ, განმეორებით, ჩვევით ქმედებებს ასევე გამოხატავს **Used to** ზმნა:

“I want to see the Dorian Gray I **used to paint**,’ said the artist sadly” [უაილდი; 208].

‘იმ დორიან გრეის ნახვა მინდა, მე რომ **ვხატავდი**,’ ნაღვლიანად თქვა მხატვარმა.

“They had met at lady Bershire’s the night that Rubinstein played there, and after that **used to be** always **seen** together at the Opera, and wherever the music was going on” [უაილდი; 247].

ისინი ერთმანეთს ლედი ბერშაირთან შეხვდნენ იმ ღამით, როცა იქ რუბინშტეინი უკრავდა და იმის შემდეგ მათ ყოველთვის ერთად **ხედავდნენ** ოპერაში და ყველგან, სადაც მუსიკა უკრავდა.

“ And how happy we **used to be** together!” [უაილდი, 211].

რა ბედნიერები **ვიყავით** ერთად!

როგორც ვხედავთ, **Used to** ზმნით გამოხატული მოქმედება ქართულში ზმნის წარსული ფორმით, აწმყო უწყვეტელით გადმოიცემა.

გადაწყვეტილება, დაპირების გამომხატველი ზმნების გვერდით წარმოვადგინეთ მოდალური ზმნა **Dare**, რომელიც ნიშნავს “გაბედვას”. რომელიც ინგლისურში შეიძლება იყოს როგორც მოდალური, ასევე ჩვეულებრივი სრულფასოვანი ზმნა, მესამე პირისათვის ჩვეული „ა“ ფორმით, ზოგჯერ მაგრამ არა ყოველთვის გვევლინება “to” ნაწილაკითაც.

“ It is a silly habit, I **dare say**, but somehow it seems to bring a great deal of romance into one’s life” [უაილდი; 82].

სულელური ჩვევაა, **გაგბედავ და ვიტყვი (მე ვიტყოდი)**, მაგრამ ადამიანის ცხოვრებას დიდ რომანტიკულობას ანიჭებს.

“Were his own actions merely the dreams that the dead man had **not dared** to realize?” [უაილდი; 257].

“ნუთუ მისი საკუთარი ნამოქმედარი ამ გარდაცვლილი წინაპრის ოცნებაა, რომლის განხორციელება მან სიცოცხლეში ვერ გახედა” [17, 209].

“რა თქმა უნდა, მხედავდა, მერე ადგა და წავიდა. მინდოდა გავყოლოდი, მაგრამ ვერ გავხედე” [დუმბაძე, ნუ გეშინია, დედა!; 223].

თუმცა, მის შესატყვისად თარგმანებში სხვა საშუალებებიც გვხვდება:

“How unreasonable of her! You should give her warning.” ‘I **daren’t**. Mr. Gray. Why, she invents hats for me” [უაილდი; 314].

“ - ოჰ, რა აუტანელი საქციელია! თქვენ უნდა დაითხოვოთ ასეთი ქალი.”

- არ შეიძლება, მისტერ გრეი, ის ქმნის ჩემი ქუდებისათვის ახალ მოდელებს” [17, 280].

“I **dare say** he fell into the Seine off an omnibuss and that the conductor hushed up the scandal” [უაილდი; 334].

“ვფიქრობ, ომნიბუსიდან სენაში გადავარდა და ეს ამბავი კონდუქტორმა მიჩქმალა” [17, 303].

“ - ჩემია და რასაც მინდა, იმას ვუზამ. - მშვიდად თქვა ანეტამ” [ჭილაძე; 365].

“ - მე არასდროს მიგატოვებ, მე არაფრის მრცხვენია, - ჩურჩულებდა ხმაშეცვლილი, სულშემძრული საკუთარი ნათქვამით” [ჭილაძე; 194].

მოცემული აზრის გადმოცემაში დიდ როლს ასრულებს ინტონაცია. ასევე, ძლიერი სურვილის და გადაწყვეტილების გამოხატვისას ქართველ მწერლებთან გვხვდება უნდა ნაწილაკი (უნდა+ზმნა):

“ - გიორგაც უარესად უკიდებდა ცეცხლს, იმის მაგივრად, რომ გაჩუმებულიყო, გასცლოდა, გარიდებოდა, მთელი ხმით უყვიროდა: თვალებს შუა უნდა ჩაგისვა ტყვიაო” [ჭილაძე; 3].

“ - პირიქით, თქვენგან უნდა ვისწავლო ყველაფერი” [დუმბაძე, ნუ გეშინია, დედა!; 13].

“ - დღესვე უნდა ვნახო... გადაუდებელი საქმე მაქვს. - უმწეოდ გაიბრძოლა ქალმა” [ჭილაძე; 405].

ცხრილში ნაჩვენებია სურვილის, გადაწყვეტილების, დაჟინების გამომხატველი ინგლისური მოდალური სიტყვები თუ ზმნები და მათი ეკვივალენტები ქართულში

Will	კილო - მყოფადი უნდა + II კავშირებითი	I will kill you/ მოგკლავ უნდა ვისწავლო
Would	კილო - ხოლმეობითი კილო + მყოფადი	It would be great /კარგი იქნებოდა I would like/ ვისურვებდი He would be good/კარგი გახდება
Shall	II კავშირებითი	Where shall we go? სად წავიდეთ?

ამდენად, წარმოდგენილი მაგალითების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სურვილის, გადაწყვეტილების, დაჟინების ინგლისური მოდალობის გამოხატვას ქართულში ძირითადად ზმნის კილოს ფორმები ითავსებენ, ხოლო ინგლისურში ისინი კიდევ ერთ ზმნასთან ერთად გვევლინებიან, რომელიც ყოვეთვის უპირო პორმითაა წარმოდგენილი, გამონაკლისს წარმოადგენს „dare“ ზმნა, რომელშიც მოდალობა, თავისთავად, შეიძლება განვიხილოთ, როგორც „სამომავლო“ „futurity“ დინამიურ მოდალურ ზმნებთან ერთად. საგულისხმოა აგრეთვე will-ის გამოყენება ნახევრად მოდალურ ზმნებთან - will have to, will be able to. მსგავსი მოდალობები ქართულში ძირითადად ზმნის კოლოს ფორმებითაა გამოხატული (II კავშირებითი, ხოლმეობითი, მყოფადი).

ლიტერატურა:

1. ბაბუხარდია, მ., ყიფიანი, ს. (2012). მოდალობის გამოხატვის სისტემა ინგლისურ ენაში. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი "ენა და კულტურა", 8.
 2. ზამზახიძე ე., ზამზახიძე მ. (2012). ინგლისური ენის გრამატიკა. თბილისი, გამომცემლობა "ვერსი".
 3. მახარაძე, მ. მოდალობა ინგლისურ ენაში და მისი გამოხატვის საშუალებები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ენა და კულტურა". შრომები. ქუთაისი, 2010.
 4. ქორიძე, ე. ენათა შეპირისპირების პრობლემებისათვის. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ენა და კულტურა". შრომები. ქუთაისი, 2010
 5. Blokh M.Y. (1983). A course in Theoretical English Grammar. Moscow, "Visshaya Shkola".
 6. Bolkvadze S., Chelidze K., Gogsadze L., Kazakhashvili L. (1996). General English. Tbilisi.
 7. Palmer, F. R. (2001) Mood and Modality. Second Edition. Cambridge University Press.
- საანალიზო წყაროები და ინტერნეტ-მასალები**
8. დუმბაძე ნ.(1983). რჩეული ნაწერები სამ ტომად. (ტომი II). თბილისი, გამომცემლობა "მერანი".
 9. უაილდი, ო. (1982). დორიან გრეის პორტრეტი. მეორე გამოცემა. (თ. მალრაძე, მთარგმნელი). თბილისი, გამომცემლობა "მერანი".
 10. ჭილაძე, ო. (1981). ყოველმან ჩემთან მპოვნელმან. მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო".
 11. ჰემინგუეი ე. (1957). მოხუცი და ზღვა. (ა. რატიანი, მთარგმნელი). თბილისი. საბლიტგამი.
 12. S. Maugham „The Painted Vail“
 13. Hemingway E. The Old Man and the Sea. Jungle Publications.
 14. Steinbeck, J. 1984. The Pastures of Heaven and Other Stories. Moscow, Raduga Publishers
 15. Wilde, O. (1979). Selections. Volume One. Moscow, Progress Publishers.
 16. <http://www.antat.ru/cgi-bin/img.pl/files/NT2011/NT-4-2011-25.pdf> retrieved on June 1st, 2013.
 17. <http://rae.ru/forum2012/18/3311> retrieved on June 1st, 2013.

Nino Grigolia, Nunu Geldiashvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Aspects of Semantic Expressiveness of Modality in the English and Georgian Languages

Abstract

We are introducing the analyses of English modal auxiliaries in relevant theoretical semantic and pragmatic framework. The research mainly studies modal verbs used in Future Tense known also as auxiliaries.

Observation on literature as well as on every day English, and then comparing them with Georgian translation, the research showed that modal verbs have been experiencing deep interpretation in the context.

This is a small picture of natural language interpretation of modal operators and their logical use.

საკვანძო სიტყვები: შეპირისპირება, მოდალური ზმნები, სემანტიკის გამოხატვა

Key Words: comparison, modal verbs, semantic expression

პირველი "ალიები" და კულტურულ-ლიტერატურული ძვრები ისრაელში

ებრაელთა ოცდაექვსსაუკუნოვანი თანაცხოვრება საქართველოში მეგობრული და ჰარმონიული იყო, თუმცა მათ არასოდეს დავიწყებით თავიანთი ისტორიული სამშობლო, სადაც დაბრუნება საუკუნეების ოცნებად ითვლებოდა. ამიტომ ყოველი ახალი წელი ებრაელისთვის იწყებოდა გამოთქმით:... בְּשָׁנָה הַבִּיאָה (be Shana haba'a biruShalaim...), რაც ქართულად ნიშნავს „მომავალ წელს იერუსალიმში“, ხოლო ყოველი ებრაელი ხშირ-ხშირად იმეორებდა ფრაზას : ...יְרוּשָׁלַיִם תִּשְׁחַד ('im eshqaxex ierushalaim tishqax iamini), რაც ქართულად ასე ითარგმნება: „თუ დაგივიწყო იერუსალიმ, დამივიწყოს ჩემმა მარჯვენამ“.

მე-20 საუკუნეში, 1948 წელს, ისრაელის სახელმწიფოს დაარსების შემდეგ, მიუხედავად საბჭოური, კომუნისტური რეჟიმისა, ებრაელებს საუკუნოვანი ნატვრის ასრულების დიდი იმედი გაუჩნდათ. მათ მეტყველებაში გაჩნდა გამოთქმა „იერუსალიმის „ალია“ და ოცნება, რომ ღმერთი მათაც მისცემდა ძალას, რომ შეერთებოდნენ ამ „ალიას“. მაშინ ბევრი იმ ებრაელისთვის, რომლებმაც არ იცოდნენ ენა (ასეთები კი უმრავლესობას წარმოადგენდნენ) და მით უფრო, ქართველისთვის, გაუგებარი იყო, რას ნიშნავდა ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებული სიტყვა „ალია“. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ცნობილია, რომ რჯულის კანონების ერთგულად მიმდევარი ქართველი ებრაელობა მუდმივად კითხულობდა სინაგოგებში წმინდა წიგნებსა და ლოცვებს, თუმცა უმეტესობამ წაკითხული სიტყვების მნიშვნელობა არ იცოდა. შედარებით მცირე რაოდენობა, განსაკუთრებით რაბინები და მათი ოჯახის წევრები ფლობდნენ ივრითს. სხვადასხვა გადმოცემების ზეგავლენით ისრაელში „ასვლას“ ებრაელები სხვადასხვაგვარად განმარტავენ. მაგალითად: 1) იერუსალიმი მაღალზეა და იქ ადიხარ და არა ჩადიხარ 2) ისრაელი წმინდა მიწაა, ღმერთთან სიახლოვე იგრძნობა და ამიტომ ამბობ ასვლას 3) ვინც მუდმივ საცხოვრებლად მოვიდა, მასზე ვამბობთ ასვლას, ხოლო ვინც ტურისტულად მოდის (თუნდაც ებრაელი იყოს), მასზე ვამბობთ ჩამოვიდა.

ებრაულში אָלָה - „'ალა(3)“ ორი ძირითადი მნიშვნელობით გვხვდება: 1. ავიდა (სიმაღლეზე); 2. ღირდა. სიტყვა „ალია“ ასევე ნიშნავს რეპატრაციას და אָלָה - „'ალა(3)“ ძირიდან მომდინარეობს, აქედანაა სიტყვა რეპატრიანტი - אָלֵה („'ოლე(3)“), რომელსაც ივრითში სიტყვა שָׂרָא („ხადაშ“) ახლავს ხოლმე, რაც ერთად ისრაელში ახალი ასულის ანუ ახალი რეპატრიანტის გამოსახატავად გამოიყენება. ზემოაღნიშნული განმარტებები ზმნის პირველ მნიშვნელობასთან მჭიდრო კავშირშია, ვინაიდან ამ სიტყვით გამოიხატება როგორც სულიერი (წმინდა ქვეყანაში), ისე ფიზიკური ამაღლება (იერუსალიმი ხომ 7 ბორცვზე მდებარეობს, მაღლობი ადგილია). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ებრაელი, მხოლოდ ისრაელში დაბრუნების /გადასვლის/ ჩასვლის აღსანიშნავად იყენებს ალიას/ასვლას, ანუ ისრაელში/იერუსალიმში ადიან, მაგრამ ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, სხვა ქვეყანაზე იტყვიან ჩასვლას, ანუ სხვა ქვეყნებში ჩადიან. ამ აზრის გამოსახატავად ებრაულში უკვე სხვა ზმნა გამოიყენება (ებრაული ზმნა: הִיגָה -higia' -ნიშნავს „ ჩავიდა“, „ ჩააღწია“ ან יָרַד - iarad ნიშნავს „ქვემოთ ჩავიდა“).

ებრაული სიტყვა „ალია“ დასტურდება არამხოლოდ ქართველ ებრაელებთან, არამედ სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ებრაელებთანაც, რომლებიც რუსულ, ინგლისურ, გერმანულ თუ სხვა ენებზე მეტყველებს, ჩვეულებრივ, უთარგმნელად იყენებენ აღნიშნულ სიტყვას. ეს ტერმინი დასტურდება ებრაისტიკის დარგის მკვლევარ-მეცნიერთა ლექსიკაშიც. იგი საერთაშორისო დატვირთვის მქონეა. ამდენად, ებრაელთა ქართულ მეტყველებაში დადასტურებული ფორმები იერუსალიმში /ისრაელში ასვლა გახლავთ ებრაული სიტყვის „ალიას“ პირდაპირი თარგმანი, ანუ ის ამ ებრაული სიტყვის კალკია.

ისრაელის სახელმწიფოს დაარსების შემდეგ და მანამდეც (XIXს.-ის ბოლო XXს.-ის პირველი ნახევარი) ებრაელთა სამშობლოში „ალიამ“ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი მჭიდრო კავშირშია „ალიების“ ისტორიასთან. ეს პროცესი პერიოდებად დაიყო: პირველი „ალია“ ...მეორე „ალია“ და ა. შ. შეიქმნა „ალიების“ ისტორია... ყველა თაობას თავისი ფუნქცია და დატვირთვა ჰქონდა... ებრაული დიასპორის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ძველი აღთქმის პერიოდიდან ყოველთვის ოცნებობდა ებრაელების საერთო დაბრუნებაზე პალესტინაში. ეს იმედები და მისწრაფებები აისახა ბიბლიაში: „დაიდრება უთვალავი ხალხი და იტყვის: მოდი ავიდეთ უფლის მთაზე, იაკობის სახლში; გვასწავლოს თავისი გზები და მისი ბილიკებით ვიაროთ, რადგან რჯული სიონიდან გამოვა და უფლის სიტყვა – იერუსალიმიდან“ (ესაია 2: 3). ისტორიულ სამშობლოში „დაბრუნება“ ებრაული ლოცვების ერთ-ერთი ცენტრალური თემაა.

XII საუკუნიდან მოყოლებული ქრისტიანობისა და ისლამის რელიგიების მიერ იუდაიზმის დევნამ გამოიწვია ებრაელების რიცხვის ზრდა წმინდა მიწაზე. 1492 წელს ეს ნაკადი შეივსო ესპანეთიდან გაძევებული ებრაელების მიერ, რომლებმაც მოგვიანებით დააარსეს ებრაული კვარტალი ქალაქ ცფათში, გალილეაში. XVI საუკუნეში დიდი ებრაული თემი წარმოიქმნა ისრაელის მიწაზე ოთხ „წმინდა ქალაქში“ (იერუსალიმი, ხებრონი, ცფათი და ტვერია). XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მთელი ხასიდური რელიგიური წარმომადგენლობა აღმოსავლეთ ევროპიდან დასახლდა წმინდა მიწაზე. 1882 წელს პალესტინის ებრაული მოსახლეობა იყო დაახლოებით 30-35 ათასი ღრმად რელიგიური ადამიანი. ებრაელები ცხოვრობდნენ უძველეს წმიდა ქალაქებში იერუსალიმში, ტვერიაში, ცფათში, ხებრონში. შედარებით მცირე თემი კი – იაფოში, ღაზაში, ხაიფაში და რამდენიმე სხვა ქალაქში. XIX საუკუნის შუა პერიოდში ებრაელები იერუსალიმში მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ.

პირველი ალია (1882-1903) – ებრაელთა თანამედროვე რეპატრიაციის პირველი დიდი ტალღა ე.წ. პირველი ალია უკავშირდება რუსეთის იმპერიის მიერ 1882 წლის დარბევებს. 1882-1903 წლებში პალესტინაში, რომელიც ოსმალეთის იმპერიის პროვინცია იყო საცხოვრებლად გადავიდა დაახლოებით 35 ათასი ებრაელი. მათი უმრავლესობა ეკუთვნოდა პალესტინურ მოძრაობებს „Hovevei Zion“ (სიონის მოყვარულები) და „Bilu“ (ბილუიმები) , რომლებიც ამოვიდნენ აღმოსავლეთ ევროპიდან (ძირითადად რუსეთის იმპერიიდან); ასევე, მცირე რაოდენობით იემენიდან. უმეტეს წილად ესენი რელიგიური პირები იყვნენ.⁵ ამ პერიოდში ჩასულებმა დაარსეს სასოფლო-სამეურნეო დასახლებები, რომლებიც შემდგომში გადაიზარდნენ ქალაქებში, როგორებიცაა: ფეთახ თიკვა, რიშონ ლეციონი, რეხოვოთი, რომ ფინა და ზიხრონ ია'აკოვი. გადასახლებულების წინაშე დიდი სირთულეები წარმოიქმნა: ... მძიმე გარემო პირობები, სოფლის მეურნეობის სფეროში გამოცდილებისა და რესურსების ნაკლებობა, დაავადებები და ა.შ. სირთულეების დამლევაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბარონმა ედმონდ დე როტშილდმა, რომელმაც თავის მზრუნველობის ქვეშ აიყვანა რამდენიმე დაფუძნებული დასახლება და დაეხმარა კოლონისტებს შეღავათიანი სესხებითა და სპეციალისტებით .⁶

მეორე ალია (1904-1914) – ალიის ახალი ტალღა უკვე ასოცირდება რუსეთის იმპერიაში ახალ დარბევებთან, რომელთა შორის ყველაზე ცნობილი იყო დარბევა კიშინიოვში 1903 წელს. ამ პერიოდში ისრაელის მიწაზე დასახლდა დაახლოებით 40 ათასი ებრაელი აღმოსავლეთ ევროპიდან. ისევე, როგორც პირველი ალიის ემიგრანტები, მეორე ალიის კოლონისტებიც ძირითადად რელიგიური ებრაელები იყვნენ და ნაკლებად სიონისტური ორგანიზაციების აქტივისტები. ამავე დროს, ამ პერიოდში ბევრ კოლონისტს იზიდავდა სოციალისტური იდეები – პალესტინაში პოლიტიკური პარტიებისა და მშრომელთა ორგანიზაციების შექმნა. 1909 წელს მათ დაარსეს პირველი კიბუცი (სამეურნეო დასახლება) – დეგანია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კიბუცურ მოძრაობას. ჩამოყალიბდა

⁵ Государство Израиль, Под общей редакцией И. Орена, Вивлиотека-Алия, Иерусалим, 1990, стр.72

⁶ .39.ე,1992 „החל, לחור, מאיר, בשער העברית, תוכנית ההודיות“

პირველი ებრაული თავდაცვის ორგანიზაცია „ჰა-შომერი“, რომელსაც უნდა დაეცვა ებრაული დასახლებები არაბებისა და ბედუინების თავდასხმებისგან. 1909 წელს იაფოს გარეუბანში დაარსდა დასახლება „ახუზათ ბაითი“ , რომელიც მოგვიანებით, დროთა განმავლობაში გადაიქცა ქალაქ თელ-ავივად. ამავე პერიოდში განახლება დაიწყო ებრაულმა ენამ, რომელზეც გამოდიოდა გაზეთები და იქმნებოდა ლიტერატურა. მსოფლიო ომში გერმანიის მხარეს ოსმალეთის იმპერიის შესვლამ გამოიწვია თურქეთის ხელისუფლების მიერ ქვეყნიდან ებრაული მოსახლეობის განდევნა, რამაც ხელი შეუშალა მეორე ალიას და შეწყვიტა იგი. შედეგად, 1917 წელს ისრაელის მიწაზე ცხოვრობდა დაახლოებით 85,000 ებრაელი.

მესამე ალია (1919-1923) –მეორე მსოფლიო ომის დროს ვლადიმირ ჟაბოტინსკისა და ჯოზეფ ტრუმფელდორის ინიციატივით ბრიტანეთის არმიაში ჩამოყალიბდა „ებრაული ლეგიონი“. ამის შედეგად და ცნობილი ქიმიკოსისა და მეცნიერის, მსოფლიო სიონისტური მოძრაობის ლიდერის ხაიმ ვაიცმანის⁷ დამსახურებით 1917 წლის 2 ნოემბერს გამოიცა „ბალფურის დეკლარაცია“, რომლის მიხედვით ბრიტანეთი მხარს უჭერდა პალესტინაში ებრაული სახლის დაარსების იდეას. ებრაული ლეგიონი აქტიურად იყო ჩართული პალესტინიდან თურქების განდევნაში. 1922 წელს ერთა ლიგამ ბრიტანეთს მისცა პალესტინის მანდატი, რათა უზრუნველ ყოფილიყო პალესტინაში პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ეკონომიკური პირობები ებრაული სახლის უსაფრთხო დაფუძნებისთვის. 1919-1923 წლებში, პირველი მსოფლიო ომის დროს, ისრაელის მიწაზე დაწესებული ბრიტანეთის მანდატისა და ბალფურის დეკლარაციის შედეგად, 40 ათასი ებრაელი ჩავიდა ქვეყანაში. ძირითადად აღმოსავლეთ ევროპიდან. სიონისტურმა ორგანიზაციამ მოაწყო ამ ტალღის ტრენინგი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების სფეროში ჯერ კიდევ რეპატრიანტების დიასპორის ქვეყნებში ცხოვრების დროს. მართალია, ბრიტანული მანდატის ხელისუფლება ყველანაირად ზღუდავდა ებრაულ ალიას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ებრაელი მოსახლეობის რიცხვი ამ პერიოდის განმავლობაში გაიზარდა 90 ათასამდე. ახალ ადგილებზე დასახლებულები მძიმე ფიზიკურ სამუშაოებს ეწეოდნენ, აშრობდნენ ჭაობებს ისრაელისა და ხეფერის უდაბნოებში, არ უშინდებოდნენ მალარიით დაავადებას, რომელიც ყოველ მეორე ახალჩასულს ემართებოდა და გადააქციეს ნიადაგი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის ვარგისად. ამ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა პროფკავშირების ფედერაცია „ჰისტადრუთს“ და თავდაცვის ებრაულ ორგანიზაცია „ჰაგანას“. მეორე და მესამე ალიები იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ამ ტალღით მოვიდნენ ისრაელში ის ახალგაზრდა იდეალისტები, რომლებიც ქვეყნის ძირითად ინტელექტუალურ პოტენციალს წარმოადგენდნენ და აკეთეს დიდი საქმეები ისრაელის სახელმწიფოს დაფუძნებისთვის. საკმარისია დავასახელოთ დავიდ ბენ გურიონი (ისრაელის პირველი პრემიერ მინისტრი), ბიალიკი (ეროვნული პოეტი) და სხვანი. ⁸

მეოთხე ალია (1924-1929) – ამ წლებში ისრაელის მიწაზე ემიგრაციას დაექვემდებარა 82 ათასი ებრაელი, ძირითადად აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპიდან, მეტწილად პოლონეთში და უნგრეთში ანტისემიტიზმის აღზევების გამო. ნაწილი ემიგრანტებისა ავიდა ქვეყანაში საბჭოთა კავშირიდან. ამ ალიაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პოლონეთის ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც გამოიწვია ებრაელების შევიწროებამ ვაჭრობისა და ხელოსნობის სფეროებში. ასევე, იმ შეზღუდვებმაც, რომელიც შემოღებულ იქნა 1924 წელს აშშ-ში ემიგრაციასთან დაკავშირებით. ბევრი ევროპელი ებრაელი , რომელიც გეგმავდა ცხოვრების გაგრძელებას ოკეანის გადაღმა იძულებული გახდა ასულიყო ისრაელში.ეს ჯგუფი შედგებოდა ძირითადად საშუალო კლასის წარმომადგენლებისგან, რომელთა ოჯახები გადმოვიდნენ მზარდ ქალაქებში, დააფუძნეს მცირე საწარმოები, სავაჭრო და კვების ობიექტები. შედეგად, დაახლოებით 23,000 ებრაელი ამ ტალღით

⁷ <http://www.eleven.co.il/article/10865>

⁸1991,א קלך, שעת העברית, דגנר לאור, ג.צ.198

შეურთდა

ქვეყანას.⁹

მეხუთე ალია (1929-1939)¹⁰ – ამ პერიოდში, 1933 წელს გერმანიაში ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლა უბიძგებს ებრაელებს ცენტრალური ევროპიდან ისრაელში ემიგრაციისკენ. 1933-1939 წელს, დაახლოებით 250,000 ებრაელი, ძირითადად გერმანიიდან, ავსტრიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, პოლონეთიდან და ლიტვიდან კანონიერი და უკანონო საფუძველით ავიდნენ ბრიტანეთის მანდატის ქვეშ მყოფ პალესტინაში. მას შემდეგ, რაც 1936 წელს ბრიტანეთმა კიდევ უფრო გაამკაცრა შეზღუდვები პალესტინაში შესვლაზე, ეს ალია გახდა ძირითადად უკანონო –სახელწოდებით „Aliya Bet“ („ალია ბეთი“). შემდგომი ალიების ძირითადი მიზნები იყო: 1933-1942 წლებში - ძალისხმევა, რათა გადაერჩინათ ებრაელები ევროპის დევნას, 1938-1941 წლებში კი- განადგურებას, ხოლო 1945-1948 წლებში - ძალისხმევა, რომელიც მიმართული იყო ბანაკებში გადაადგილებულ პირთა და ჰოლოკოსტას გადარჩენილი ებრაელების ისრაელში განთავსებისკენ. ომის პერიოდის ალიები გამოირჩევა განსაკუთრებული სიმძიმით და მიმართულია ებრაელი ერის გადარჩენისკენ.

მეხუთე ალია გამოირჩევა, ასევე, ებრაულ ენასთან დაკავშირებული ცვლილების თვალსაზრისითაც. ალიებს შორის პირველად რეპატრიანტთა ნაკადი შედგებოდა უფრო მეტად არარელიგიური და ასიმილირებული ებრაელებისგან (ძირითადად გერმანულენოვანები). ამ ტალღის ბევრი ემიგრანტი არ იყო იდეოლოგიურად სიონისტი, თუმცა, ასეთი იდეები მათ გაუჩნდათ რეპატრიაციის შემდეგ. ებრაელი ემიგრანტების რაოდენობა 1929 წლის პალესტინაში მთელი ებრაული სათემოს რაოდენობის თანაბარი გახდა. „იდიში“ აღარ იყო სალაპარაკო ენა ძირითადი ებრაული მოსახლეობისთვის ისრაელის ქვეყანაში (90% 1920 წელს), რამაც ხელი შეუწყო „ივრითის“, როგორც საერთო სასაუბრო ენის პოზიციების გაძლიერებას.

1948 წლის 14 მაისს ისრაელის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ ისრაელისკენ ყველა რეპატრიანტს გაეხსნა კარი, რაც ოფიციალურად განცხადებული იყო დეკლარაციაში. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა რეპატრიანტთა ნაკადი ამ ქვეყნისკენ. რეპატრიაციის ყოველ ტალღას თავისი სახელი, დანიშნულება და მნიშვნელობა ჰქონდა ისევე, როგორც მანამდე განხორციელებულ ალიებს.

როგორც ამ მიმოხილვიდან ჩანს, ერთი პატარა ებრაული სიტყვა „ალია“, რომელიც დროთა განმავლობაში საერთაშორისო ტერმინად იქცა, მსოფლიოში გამორჩეული ბედისწერის მქონე ხალხის– ებრაელების ახალ ისტორიაში დიდი დატვირთვისა და მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულია. რომ არა ალიების შეუქცევადი პროცესი შესაძლებელია ისრაელის სახელმწიფო არც დაარსებულიყო. ცხადია, ამ შემთხვევაში ებრაელი ხალხის ცხოვრება სრულყოფილი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ინსტიტუტებით უზრუნველყოფილი ვერ იქნებოდა. ისინი ვერ იცხოვრებდნენ სახელმწიფოებრივი აზროვნებითა და შეგრძნებით, რომ ებრაელი ერის არსებობას საფრთხე აღარ ემუქრება.

ებრაელი ერის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და კულტურულ, განსაკუთრებით კი რელიგიურ ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირშია ებრაულ ლიტერატურაში განვითარებული პროცესები და ცვლილებები, რომელიც საწყის ეტაპზე განიცდის დასავლეთის ლიტერატურის ზეგავლენას, თუმცა შეინიშნება მხატვრული, პოეტური და ესეს წერის ახალი, ორიგინალური ფორმებიც, რომელიც უნდა განვიხილოთ, როგორც ახალი ებრაული ლიტერატურის დასაწყისად.

თანამედროვე ებრაული ლიტერატურის განვითარება და ებრაული ენის რენესანსი ორი ერთმანეთისგან განუყრელი მოვლენაა. ენა, რომელიც 18 საუკუნის მანძილზე ითვლებოდა მხოლოდ წიგნისა და ლოცვის ენად, XX საუკუნეში გახდა ისრაელის სახელმწიფოს ოფიციალური და ამავდროულად ებრაელი ხალხის ყოველდღიური სასაუბრო

⁹ .55.უ,1992 ,העברית, תשנ"ב, חלח, חלח מאיר, בשער העברי, תשנ"ב, חלח, חלח

¹⁰ История еврейского национального движения 1914-1949, , Вивлиотека-Алия, Иерусалим, 1990, стр.71

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ებრაელი ერი თავის მძიმე ბედისწერას და უსამშობლო ხვედრს საუკუნეების მანძილზე ატარებდა ღრმა რელიგიური მრწამსით და გადარჩა ტრადიციების ერთგულად დაცვის გამო. კულტურულ-ლიტერატურული მიდგომები უშუალო კავშირშია ებრაელი ხალხის რელიგიურ მრწამსთან. ყველა მიმდინარეობა, რაც კი იუდაიზმში და ძველ ებრაულ ლიტერატურაში საუკუნეების განმავლობაში შექმნილა, წმინდა წიგნებიდან იღებს სათავეს. დღესდღეობით გავრცელებული იუდაიზმის ძირითადი მიმდინარეობიდან (ორთოდოქსული, კონსერვატორული, რეფორმისტული, ხასიდიზმი..) XIX- XX საუკუნეებში, იმ პერიოდში, როცა ყალიბდებოდა ახალი იდეური და კულტურულ-ლიტერატურული მოძრაობა, მომძლავრებული იყო რეფორმისტული მიმდინარეობა. იუდაიზმის რენესანსის ეპოქაში წრამოშობილმა კრიტიკულმა აზრმა და რადიკალურმა შეხედულებებმა, რომელიც წმიდათაწმიდა ტრადიციებსაც არ ეპყრებოდა, ნაყოფიერი ნიადაგი მოუმზადა XVIII საუკუნეში გერმანიის ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა „ჰასქალას“ (რაც ებრაულად განათლებას ნიშნავს). აუცილებელი გახდა რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალების მისადაგება დროის მოთხოვნებთან. გარკვეული ჯგუფები მხარს უჭერდნენ ემანსიპაციას იქამდე, რომ მოითხოვდნენ ქალთა სრულ თანასწორუფლებიანობას რელიგიურ ცხოვრებაში. კერძოდ, სარწმუნოებასთან რაიმე შეუსაბამოს ვერ ხედავდნენ ქალის რაბინობაში. მიუხედავად ამკარად გამოკვეთილი სეკულარული ტენდენციებისა, რეფორმისტებს მიაჩნდათ, რომ ორი რამ ხელშეუხებელი რჩება იუდაიზმში: მონოთეიზმი და მორალური მცნებები. იუდაისტური რეფორმაცია ემანსიპაციისა და განმანათლებლობის (ჰასქალა) იდეებს ეფუძნებოდა.¹⁷

ამრიგად, XVIII საუკუნის მიწურულს გაჩნდა მოძრაობა „ჰასქალა“, რომელმაც იუდაიზმის ევროპულ რეალიებთან ადაპტირება დაიხატა მიზნად. იგი ორთოდოქსალურ იუდაიზმს დაუპირისპირდა და რეფორმიზმის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, მაგრამ არაებრაულ მოსახლეობასთან ასიმილაციის შიშმა უკვე XIX საუკუნის დამდეგს ტრადიციული ორთოდოქსული იუდაიზმის გააქტიურება გამოიწვია.¹⁸ გერმანია ამ მოვლენების ცენტრშია. შექმნილი გარემო დიდ ზეგავლენას ახდენდა ებრაულ თემზე. ებრაელთა ასიმილაციის ტალღა სულ უფრო ძლიერდებოდა. როცა თანამედროვეობის სულისკვეთება იუდაიზმის დრომოქმულ ღირებულებებთან პირისპირ აღმოჩნდა, ახალგაზრდობის იუდაიზმისგან გაქცევისა და მისგან თავის დაღწევის საშიშროება რეალური გახდა. „ჰასქალას“ მიმდევრებმა არსებული მდგომარეობა გააცნობიერეს და ჩაებნენ იუდაიზმის კულტურული გადახალისებისათვის მოძრაობაში. მათ გააჩაღეს საგანმანათლებლო საქმიანობა – ფართო მასებში ნერგავდნენ საერო მეცნიერებებს, ხოლო რელიგიური განათლებისას უპირატესობას ანიჭებდნენ წყაროებს- განსაკუთრებით ბიბლიას.¹⁹

„ჰასქალას“ ერთ-ერთი ფუძემდებელი და ლიდერი იყო მოსე მენდელსონი (1729-1786).²⁰ მისი პირველი ფილოსოფიური თხზულებაა „წერილები ესთეტიკის საკითხებზე“. სხვა ნაშრომებთან ერთად მნიშვნელოვანია ასევე ბიბლიის თარგმანები, რომელიც ხელს უწყობდა ბიბლიის ახლებურად შესწავლას, რაც მანამდე მხოლოდ ტრადიციული რაბინისტული სწავლების პრეროგატივა იყო. მოსე მენდელსონის მიერ გერმანულად ნათარგმნმა ებრაულმა ბიბლიამ გამოიწვია დიდი ინტერესი თვით ებრაული ენის მიმართ, რასაც მოჰყვა პერიოდული გამოცემები და სისტემატური კვარტალური მიმოხილვები უკვე

¹⁷ Краткая Еврейская Энциклопедия, том.2, Иерусалим, 1982, стр. 598

<http://www.eleven.co.il/article/12712>

¹⁸ Государство Израиль, Под общей редакцией И. Орена, том.2, Вивлиотека-Алия, Иерусалим, 1990, стр.455

¹⁹ Краткая Еврейская Энциклопедия, том.9, Иерусалим, 1999, стр. 696

²⁰ Shmuel Feiner, Moshe Mendelsson, Gdolei ha-Ruah ve- ha-Yetzita be-am ha-Yehudi-Jerusalem: Merkaz Zalman Shazar letoldot Israel, 2005.-176p.

ებრაულ ენაზე. მენდელსონს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის პერიოდული გამოცემების დანერგვაშიც: 1758 წელს მან გამოსცა ებრაული გაზეთი „კოჰელეთ მუსარ“ (ზნეობის ქადაგი), რომელშიც, როგორც ანონიმი ავტორი, მორალზე და რელიგიის საკითხებზე წერს. ასევე, იგი თანამშრომლობს მოგვიანებით (1783) გამოცემულ ჟურნალ „ჰამასეფთან“ (შემგროვებელი),²¹ რომელიც „ჰასქალას“ მწერალთა უმნიშვნელოვანეს ბეჭდით ორგანოს წარმოადგენს. „ჰასქალას“ მიმდევრები მიისწრაფოდნენ ბიბლიის ენის რენესანსისკენ. ზოგიერთი მათგანი კი იდიშის შევიწროების მომხრეები იყვნენ, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ნაციონალური ლიტერატურა ამ ენაზე ვერ განვითარდებოდა. მენდელსონმა ბევრი სიახლე შეიტანა დოგმატურ იუდაიზმში და ამით ნათელყო მისი შემდგომი განვითარების შესაძლებლობა. მენდელსონისეული იუდაიზმი გაემიჯნა მოსეს კანონსა და განვითარების ახალ არატრადიციულ გზას დაადგა.

გერმანულ „ჰასქალას“ წრეში დიდი პოეტის სახელი მოიხვეჭა მენდელსონის უახლოესმა მეგობარმა ჰარვიგ ვესელმა (1725-1805).²² მწერლმა რამდენიმე ფილოლოგიური ტრაქტატით სათავე დაუდო ბიბლიის ებრაულის აღორძინებას. „ჰასქალას“ აღმზრდელობითი იდეალები ვესელმა ჩამოაყალიბა წერილების კრებულში „divrei Shalom ve emet“ (მშვიდობისა და სიმართლის სიტყვები). „ჰასქალას“ მოძრაობის სათავეებთან იდგნენ შემდეგი მწერლები: წარმოშობით პოლონელი მენახემ მენდელ ლევინი (1749-1826),²³ შალომ ბენ იაკობ კოჰენი (1772-1845), გალიციური „ჰასქალას“ წარმომადგენელი იოსეფ პერლი (1773-1839), რუსეთში „ჰასქალას“ იდეების დამცველი ისააკ ბენ ლევინსონი (1788-1860), მამა-შვილი აბრაამ და მიკჰალ ლებენსონები, დავიდ ფრიშმანი (1865-1923),²⁴ პეტერბურგის ებრაული თემის წინამძღოლი იეჰუდა ლეიბ გორდონი (1830-1892),²⁵ ებრაული რომანის დამფუძნებელი აბრაამ მაჰუ (1808-1867),²⁶ რომლის რომანები განმანათლობისა და ებრაული ნაციონალიზმის ნამდვილ პროპაგანდისტულ ინსტრუმენტად იქცა. ებრაულ რომანში მაჰუს მემკვიდრედ ითვლება პერეც სმოლენსკინი (1842-18850, რომელიც წარმოშობით რუსეთიდან იყო, ასევე მენდელე სფარიმი²⁷ და სხვანი.

XX საუკუნის პირველ ათწლეულებში ისრაელში მხოლოდ რამდენიმე მწერალი მოღვაწეობდა. ისრაელის სახელმწიფოს ფორმირების პერიოდის მწერლების უმრავლესობა პალესტინაში დაიბადა. ებრაული უკვე მათი მშობლიური ენაა. მიუხედავად მწერლების მცირერიცხოვნობისა, ადგილობრივმა ლიტერატურამ შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწია თავდაპირველად პროზაში, შემდეგ კი პოეზიაშიც. ყველაზე გამორჩეულია სახე პროზაში იოსეფ ხაიმ ბრენერი²⁸ იყო, რომელიც ითვლება ისრაელში ებრაელ მწერალთა ცენტრის დამაარსებლად. პირველი მსოფლიო ომის შემდეგი, განსაკუთრებით კი მეორე ალიის დროს, ისრაელში ადიან მნიშვნელოვანი მწერლები და პოეტები აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპიდან და მკვიდრდებიან თავიანთ ისტორიულ სამშობლოში. მათ შორის არის ებრაელების „ეროვნული პოეტი“ ხაიმ ნახმან ბიალიკი,²⁹ რომლის შემოქმედებით იხსნება ახალი ეპოქა ებრაულ პოეზიაში; ასევე, დიდი პროზაიკოსი შმუელ იოსეფ აგნონი, რომელსაც მოგვიანებით ნობელის პრემია მიენიჭა.³⁰ XX საუკუნის 20-30-იანი წლები არის დიდი ალიისა და ისრაელური პოეზიის განახლების წლები, რომელიც ევროპული პოეზიის მოდერნისტული მიმდინარეობები – გერმანული ექსპრესიონიზმის, რუსული სიმბოლიზმისა და ფუტურიზმის ზეგავლენას განიცდიან. ამ თაობის პოეტებს შორის გამორჩეულები არიან აბრაამ შლიონსკი, ური ცვი გრინბერგი, ნათან ალტერმანი და ა.შ.

²¹ <http://www.eleven.co.il/article/11045>

²² <http://www.eleven.co.il/article/10903>

²³ <http://www.eleven.co.il/article/13711>

²⁴ <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000370/ADNAN%20SH.%20DJASIMI.pdf>

²⁵ <http://www.jewishagency.org/leaders/content/26326>

²⁶ <http://www.eleven.co.il/article/12624>

²⁷ <http://www.eleven.co.il/article/12711>

²⁸ А.А. Крюков, Ивритская литература в XX веке, Москва, 2005, стр.36

²⁹ А.А. Крюков, იგივე, გვ.45

³⁰ 1992, תהליך החל, מאיר, בשערי העברית, תשנ"ב, חלק 27, 27.

ცაბრ (ანუ ისრაელში დაბადებულ) მწერალთა პირველი თაობა ასპარეზზე XX საუკუნის 40-იან წლებში გამოდის. მათი პირველი წარმომადგენელია ს.იზჰარი. შემდგომ, ეს თაობა იწოდა "განმათავისუფლებელი ომის თაობად". ამ პერიოდის მწერლები (მოშე შამირი, იგალ მოსინზონი, აარონ მეგედი...) ცდილობენ თავიანთ პროზაში "ახალი ებრაელის" (ცაბარის) პორტრეტის შექმნას, რომელიც მტკიცე და მოუდრეკელია, მოწყვეტილია დიასპორასა და მშობელთა თაობის სამყაროს.³¹

ისრაელური ლიტერატურის განვითარების ახალ ეტაპებზე ხდება ის, რაც მოსალოდნელი იყო: ებრაული შემოქმედებითი ცენტრი ნელ-ნელა დიასპორიდან ისრაელის ქვეყანაში ინაცვლებს. მწერლები ისრაელური რეალობისა და ყოფის პრობლემების აღწერით არიან დაკავებული და საფუძველი ეყრება ისრაელურ ლიტერატურას მრავალფეროვანი თემატიკით, რომელიც სხვადასხვა თაობის მწერლების მიერ სხვადასხვა მხატვრული ხერხებით გადმოიცემა, გამოირჩევა ჟანრობრივი მრავალფეროვნებითაც და რაც მთავარია, გამოხატავს ისრაელის სახელმწიფოს კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების დიალექტიკას.

ლიტერატურა:

გულედანი გ. (1998) : ცნობარი ისრაელზე, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, N 27, თბილისი.

2003 : წმინდა მიწა-კაქტუსების ქვეყანა (თანამედროვე ებრაული პროზის მცირე ანთოლოგია), "საარი", თბილისი.

1990 : Государство Израиль, Под общей редакцией И. Орена, Вивлиоотека-Алия, Иерусалим.

1990 : История еврейского национального движения 1914-1949, , Вивлиоотека-Алия, Иерусалим.

1982 : Краткая Еврейская Энциклопедия, том.2, Иерусалим.

1999 : Краткая Еврейская Энциклопедия, том.9, Иерусалим.

А.А. Крюков (2005) : Ивритская литература в XX веке, Москва.

ფალკი, ავნერი (1993). *Herzl, King of the Jews: A Psychoanalytic Biography of Theodor Herzl*. University Press of America.

Shmuel Feiner (2005) Moshe Mendelsson, Gdolei ha-Ruah ve-ha- Yetzita be-am ha-Yehudi-Jerusalem: Merkaz Zalman Shazar letoldot Israel.

1992, חל חל, חל מאיר, בשעת העברות, הסוכנות היהודית,

1991, א, קל, שעת העברות, עדנה לאודן, שעת העברות, חל ק,

1991, ב, קל, שעת העברות, ..., עדנה לאודן, שעת העברות, חל ב,

ინტერნეტ წყაროები:

<http://www.eleven.co.il/article/10865>

<http://www.eleven.co.il/article/13819>

<http://www.eleven.co.il/article/12712>

<http://www.eleven.co.il/article/11045>

<http://www.eleven.co.il/article/10903>

<http://www.eleven.co.il/article/13711>

<http://www.eleven.co.il/article/12711>

<http://www.eleven.co.il/article/12624>

<http://www.jewishagency.org/leaders/content/26326>

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000370/ADNAN%20SH.%20DJASIMI.pdf>

³¹ წმინდა მიწა-კაქტუსების ქვეყანა (თანამედროვე ებრაული პროზის მცირე ანთოლოგია), "საარი", თბილისი, 2003, გვ.7

The First “Alias” and Cultural-Literary Processes in Israel

Abstract

There is a survey of the period of the state formation of Israel in this article – the period which is closely interlinked with the history of “Alias”. The part of the Jewish Diaspora mostly has been dreaming of the total returning to Palestine since the period of the Old Testament. These hopes and yearnings were depicted in the Bible. “Returning” to the historical homeland is one of the central subjects of Jewish prayers. The process of Jews’ ascending (“Alia”) the homeland was divided into the periods: the first “Alia”, the second “Alia” etc. History of “Alias” was created... Each generation had its own function and meaning... It’s clear from the survey of the article that a short Jewish word “Alia”, which in the course of time turned into an international term, in new history of Jews – the people whose destiny is distinguished all over the world – is a lexical unit of a considerable importance and significance. Without an inconvertible process of “Alias”, the state of Israel most likely wouldn’t have been founded.

There is a close interlink between the social, political, cultural and, particularly, religious life of the Jewish nation and the processes and changes developed in the Jewish literature. Though these changes, at the initial stage, are affected by the literary processes developing in West, new, original forms of artistic, poetical essays are being observed as well which could be regarded as the commencement of a new Jewish literature. Development of the modern Jewish literature and renaissance of the Hebrew language are two inseparable events. Revival of the Hebrew language turned out to be the foundation of the cultural-educational movement “Haskala” that began in the middle of 18th century and set a goal of adaptation of Judaism to European realities. It opposed to the Orthodox Judaism and was supportive of establishing the reformism. It became necessary to adjust faith, conceptions and rituals to the demands of time. Then, later, at the end of the 19th century it was expanded by the Zionist movement which was established and which struggled for foundation of Jewish national hearth in Israel. This is an ideology, the basis of which was the world Jewish Diaspora’s eternal yearning of returning to the homeland.

The article tells us about the cultural-literary changes of that period. In the result of a short survey the following is well-defined: anticipated events are taking place at the new stages of development of the Israeli literature. The Hebrew creative centre is little by little moving from the Diaspora to the State of Israel. Writers are occupied with the problems of description of Israeli reality and conditions of life. The foundation of diverse Israeli literature is being laid. It is conveyed with different artistic methods by the writers of various generations and is distinguished by the genre diversity as well. The highly important fact is that it represents the dialectics of the cultural and social life of the State of Israel.

საკვანძო სიტყვები: ისრაელი, კულტურულ-ლიტერატურული პროცესები, ებრაული დიასპორა, ძველი აღთქმა

Key words: Israel, cultural-literary processes, jewish Diaspora, Old Testament

თეა გურგენიძე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ
იორ-მულანლოს საჯარო სკოლა

ბილინგვური სწავლება, მისი თანმდევი სირთულეები და თანამედროვე ტექნოლოგიები

ბილინგვურმა სწავლებამ ფართოდ მოიკიდა ფეხი საზოგადოებაში. მშობლები დიდ ინტერესს გამოხატავენ შვილების განათლების მიმართ. უნდათ, ოცდამეერთე საუკუნის მოთხოვნებს არ ჩამოჩეს მათი შვილი და სხვებთან ფეხშეწყობილმა გაიაროს ცხოვრების გზა. სწორედ ოცდამეერთე საუკუნის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნად იქცა ის, რომ ადამიანი ფლობდეს რამდენიმე ენას ერთდროულად. სრულყოფილად, უპრობლემოდ შეეძლოს კომუნიკაცია სხვადასხვა

ენაზე მოსაუბრე ადამიანებთან, ხშირ შემთხვევაში სწორედ ეს განსაზღვრავს ადამიანის კარიერული წინსვლის მაშტაბებს. ამიტომაც, რომ ბილინგვური სწავლება ასე აქტუალურია. ეს აქტუალობა მთელ მსოფლიოში იჩენს თავს და განსაკუთრებით იგრძნობა საქართველოში, რასაც განაპირობებს ის, რომ საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა. სხვა ეთნოსის წარმომადგენლები საუკუნეებია საქართველოში ცხოვრობენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ ფლობენ სახელმწიფო ენას – ქართულს, რისი მიზეზიც ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებია. უმეტეს შემთხვევაში გვხვდება ეთნიკური აზერბაიჯანელებით, ან სომხებით დასახლებული რეგიონები, რომლებიც რამდენიმე სოფლისაგან შედგება და რომელთა მოსახლეობის რაოდენობა ათიათასობით განისაზღვრება. ასეთი რეგიონები, ძირითადად, მოწყვეტილნი არიან, როგორც რაიონულ ცენტრს, ისე ქართულ სოფლებს, რის გამოც აქვთ ნაკლები კონტაქტი ქართველ მოსახლეობასთან. ეს ხდება მიზეზი იმისა, რომ პრაქტიკული საჭიროების არარსებობის გამო, ვერ, ან არ სწავლობენ ქართულ ენას. აქამდე წელიწადში რამდენჯერმე მაინც აკითხავდნენ რაიონულ ცენტრებს, ბანკებს ან საპასპორტე მაგიდას, ახლა ამის აუცილებლობაც აღარაა, რადგან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გაიხსნა საზოგადოებრივი ცენტრები, სადაც მოსარგებლე ეთნიკური უმცირესობების წევრები, არათუ სწავლობენ ქართულ ენას, არამედ იქ მომუშავე ქართველებისგან მოითხოვენ მათი ენის ცოდნას, არცოდნის შემთხვევაში კი ძალიან ძნელდება მუშაობა, ამიტომ საზოგადოებრივ ცენტრებში დასაქმებული ქართველები იძულებულნი არიან შეისწავლონ ეთნიკური უმცირესობის ენა, რომ შემდგომ კონტაქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან და სამსახურის შენარჩუნება. ასევე ცუდად აისახება სამედიცინო ცენტრების გახსნა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ადგილობრივ მოსახლეობას აღარ უწევს ურთიერთობა ქართულ ენაზე ექიმებთან, რადგან სამედიცინო ცენტრებში დასაქმებულნი არიან ადგილობრივი კადრები. ამიტომ, სულ არაა საჭირო ქართული ენის არც ცოდნა და შესაბამისად, არც გამოყენება. მოსახლეობა, განსაკუთრებით კი შუახანს გადაცილებულები და ის კატეგორია, ვინც არ აპირებს სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელებას საქართველოში, საერთოდ ვერ ხედავს ქართული ენის ცოდნის აუცილებლობას. ენის ცოდნა საჭირო ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ახალგაზრდები სკოლას ამთავრებენ და უმაღლესი განათლების მისაღებად დედაქალაქს მიაშურებენ. ასეთთა რიცხვი კი სულ რამდენიმე წლის წინ ნულამდე იყო დასული, მაგრამ ბოლო წლებში, სახელმწიფოს მიერ გამოჩენილი კეთილი ნების შედეგად, ეთნიკური უმცირესობების წევრებმა აქტიურად დაიწყეს ქართული ენის შესწავლა. მშობლებმა დაინახეს, რომ ადრეულ ასაკში დაწყებული ზრუნვა განათლებაზე გაცილებით შედეგიანი და ეფექტურია, ამიტომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მდებარე სკოლებში გაჩნდა ინტერესი ქართული სექტორების გახსნასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს ნაკლებად აფერხებთ ურთიერთობაში ენის არცოდნა, ისინი უფროსებზე უკეთ იყენებენ არავერბალური კომუნიკაციას, როგორც ურთიერთობის საშუალებას, მათ, განსხვავებული ფსიქოლოგია აქვთ და რაღა თქმა უნდა ყველა ერთნაირად ვერ ძლევს უცხო ენასთან შეჯახების პრობლემას. ზოგიერთი მათგანი განიცდის გაუცხოვებას, ხდება ჩაკეტილი, არ შედის კონტაქტში არამხოლოდ პედაგოგთან, არამედ თანატოლებთანაც კი, რადგან უყალიბდება დაბალი თვითშეფასება და არასრულფასოვნების გრძნობა უბიძგებს განმარტოვდეს. ეს უარყოფითად აიხლება მის გონებრივ განვითარებაზე და ცუდად მოქმედებს

ბავშვის ფსიქიკაზე. როგორც ვიცით, ბავშვები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან ნებისმიერ, უფროსებისათვის ვითომდა უმნიშვნელო საკითხს. მათ მეხსიერებაში დიდხანს რჩება ნებისმიერი წარმატება, ან წარუმატებლობა. ამგვარად, დასაწყისში, როცა მოზარდს არ ჰქონია არავითარი შეხება უცხო ენასთან და ერთბაშად პირისპირ აღმოჩნდება მის წინაშე, განიცდის შინაგან ფორიაქს, ეს ხელს უშლის ყურადღების მობილიზებასა და გადაცემული ინფორმაციის ათვისებაში.

ბილინგვური სწავლების ერთერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ის, რომ მასწავლებლები ხშირ შემთხვევაში ვერ ფლობენ მოსწავლის მშობლიურ ენას, შესაბამისად ვერ შედიან კონტაქტში მოსწავლეებთან, რის გამოც მოსწავლეები ხდებიან ჩაკეტილები, ისინი ვერ იგებენ იმ ელემენტარულ სამეტყველო ერთეულებსაც კი, რომელსაც მასწავლებელი იყენებს. ცდილობენ, არ ისაუბრონ გაკვეთილზე, მასწავლებლის თხოვნის მიუხედავად, რადგან აქვთ შიში იმისა, რომ მათ ვერ გაუგებენ. ამის გამო კონტაქტი მცირდება თანაკლასელებთანაც, რომლებიც წარმატებით ძლევენ უცხო ენასთან შეხვედრის პრობლემას. ეს ყველაფერი კი იწვევს ბავშვის გარიყვას კლასიდან. ისინი ეთიშებიან არამხოლოდ საგაკვეთილო პროცესს, ექცევიან სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში, შესაბამისად აღარ აქვთ განვითარების პერსპექტივა (უყალიბდებათ დაახლი თვითშეფასება). ბილინგვური სწავლების მიზანია, არა გარიყოს ბავშვი, არამედ მოახდინოს მისი სრული ადაპტირება საზოგადოებაში და დაეხმაროს ბავშვს, შეძლოს საკუთარი თავისა და შესაძლებლობების სრული რეალიზება.

იმ პრობლემების დასაძლევად, რაც თან ახლავს ბილინგვურ სწავლებას, ყველაზე გამართლებულ გზად მიმაჩნია, მასწავლებელი ფლობდეს ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთა ენას, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაკვეთილის მიმდინარეობისას ჭარბობდეს ეროვნული უმცირესობის ენა, ამ შემთხვევაში არათუ მიზნის მიღწევა, მასთან ახლოს მისვლაც კი ვერ მოხერხდება, პირიქით, შესასწავლი ენის გამოყენება უნდა ხდებოდეს მაქსიმალურად, უმცირესობის ენის დახმარებით. ეროვნული უმცირესობის ენის ცოდნა ეხმარება მასწავლებელს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდეს არამხოლოდ მოსწავლესთან, არამედ მათ მშობლებთანაც, განაწყოს ისინი კეთილად როგორც საკუთარი თავის, ასევე შესასწავლი საგნისა და ზოგადად იმ ეროვნების მიმართ, რომლის წარმომადგენელიც არის თავად. ეს კი ენის სწავლებაში დიდ როლს ასრულებს, რადგან მასწავლებელი მისაბამი ფიგურაა, არამხოლოდ მოსწავლეების, არამედ მათი დედმამიშვილებისა და მშობლებისთვის. ერთი პიროვნების მიმართ კეთილგანწყობა, შემდეგ მთელ ერზე ვრცელდება. ეს ხელს უწყობს ხალხის დაახლოებას და ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

კვლევებმა აჩვენა, რომ მიუხედავად ჩვენი დიდი აღფრთოვანებისა დღევანდელი სუპერგანათლებული თაობის მიმართ, განათლების დონე წინა წლებთან შედარებით დაბლაა დაწეული. წიგნის მიმართ ინტერესი და სიყვარული ბავშვს ადრეული ასაკიდანვე უნდა გავუღვიძოთ, რომ შემდგომ მოთხოვნილებად ექცეს მასთან სიახლოვე. წიგნთან პირველი ურთიერთობისასვე ამჟღავნებს იგი თავის დამოკიდებულებას. დაკვირვებული და გამოცდილი თვალი თავიდანვე შეამჩნევს ბავშვის მისწრაფებებს. სასურველია, ბავშვი წიგნს აღიქვამდეს, როგორც მეგობარს, რომლისგანაც, არამხოლოდ ბევრი რამის სწავლა შეიძლება, არამედ, როგორც საშუალებას, ოთახიდან გაუსვლელად ეზიაროს მსოფლიოს სილამაზეს, გაეცნოს ხალხთა ადათ-წესებს, იმოგზაუროს ფერად და საინტერესო სამყაროში. რადგან სწავლა უწყვეტი პროცესია, რომელიც წიგნის გარეშე ვერ იარსებებს და

რომელშიც ჩართული ნებისმიერი ადამიანი ამ დიდი ჯაჭვის მცირე რგოლია, ერთი რგოლის ამოვარდნაც კი ჯაჭვის ერთიანობას არღვევს. სწავლებაში ასევე ერთ-ერთ ძირითად და ძლიერ რგოლს წამოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიები. ტექნოლოგიების დახმარებით შექმნილი რესურსის გამოყენება გაკვეთილზე დასახული მიზნის მიღწევას არამხოლოდ გვიადვილებს, არამედ სწავლის პროცესს სახალისოს ხდის, როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლეებისთვის. ინტერესს აღვიძებს და ამაღლებს მოტივაციას ნებისმიერი რესურსი, რომელიც მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებითაა შექმნილი. თუ წიგნი საშუალებას აძლევს მოსწავლეს გაეცნოს სამყაროს, ტექნოლოგიები ეხმარება ეს სამყარო მეტი ფერადოვნებით აღიქვას. დღევანდელი, ოცდამეერთე საუკუნის მოსწავლე წარმოდგენილია ბუკის, ელექტრული რესურსების გარეშე. ტექნოლოგიების გამოყენებით გამრავალფეროვნებული სწავლება მოსწავლეში მეტ ინტერესს აღძრავს. ბოლო პერიოდში საზოგადოებაში გაჩნდა აზრის იმის შესახებ, რომ კომპიუტერი ანაცვლებს წიგნს და წიგნის მიმართ ინტერესმა კატასტროფულად დაიკლო, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, პირიქითაც კი ხდება, რადგანაც ბუკი ეხმარება მოსწავლეს წიგნით მიღებული ცოდნის განმტკიცებასა და მიღებული ინფორმაციის სხვადასხვა კუთხით დანახვაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების გამოყენება ბილინგვური სწავლებისას. მასწავლებელს შეუძლია თავად შექმნას, ან გამოიყენოს არაერთი რესურსი, რომლებიც გაადვილებს და საინტერესოს გახდის მის მუშაობას. დღეს სოციალურ ქსელსა და განათლების სამყაროს შორის მჭიდრო კავშირია და უკვე ენის ბარიერიც აღარ წარმოადგენს პრობლემას, მასწავლებლებს შეუძლიათ გაეცნონ მსოფლიოს მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილებას, გაუზიარონ საკუთარი გამოხდილება სხვებს და ერთობლივადაც კი დაგეგმონ არაერთი პროექტი. ბოლო პერიოდში მეტად დიდი დაინტერესება გამოიწვია eTwinning-ის პროექტმა, რომელმაც მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მასწავლებლები და მოსწავლეები გააერთიანა, ვირტუალურ სივრცეში თანამშრომლობის, ცოდნის გაზიარების, იდეების გაცვლის, დამეგობრების საშუალება მისცა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართველი მასწავლებლის, რუსუდან გონაშვილის ქსელური პროექტი, რომელშიც საქართველოს ყველა კუთხიდან 100-ზე მეტი მასწავლებელი ჩაერთო. ამ პროექტმა გაზარდა საგრძნობლად მასწავლებლების მოტივაცია, დაახლოვა ისინი ერთმანეთს და შექმნა ერთი დიდი ოჯახი, რომლის წევრებიც ერთმანეთის მიმართ გრძნობენ დიდ პასუხისმგებლობას და უშურველად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ახდენენ საკუთარი პრაქტიკის დემონსტრირებას. ტექნოლოგიების უპირველესი დანიშნულებაც ხომ ესაა, შექმნას ერთიანი სივრცე, სადაც ნებისმიერი ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება.

ლიტერატურა:

1. გილერანი ე. (2014): მოსწავლეთა კონპეტენციების განვითარება eTwinning-ის მეშვეობით. eTwinning-ის ცენტრალური მხარდაჭერის სამსახური. ბელგია. ბრიუსელი.
2. კროლი კ. გერჰარდი პ. (2014) საზოგადოების შექმნა ევროპული სკოლებისთვის. eTwinning-ის ცენტრალური მხარდაჭერის სამსახური. ბელგია. ბრიუსელი.
3. ჰოლმსი ლ. ივინა ი. ვუდი პ. (2001) ბილინგვური განათლება. სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისთვის. „ლიტვურის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდის“ გამოცემების სერია.

Bilingual Teaching, Challenges and Modern Technologies

Abstract

Bilingual teachings are widely spread in the community. In recent years, ethnic minorities have actively started studying Georgian language. Parents have seen, that starting early care for education is much more effective and productive. One of the most important problem of bilingual teaching is that teachers do not know students' mother tongue, accordingly they can't communicate with them. It is desirable that the teacher knows the language of national minority. Technologies made it easier to study the language, it has unite the teachers and students from many countries around the world. Technologies gave them the opportunity to collaborate, share knowledge, and make friends in virtual space.

საკვანძო სიტყვები: ბილინგვური, განათლება, ეროვნული უმცირესობა, მასწავლებელი, ტექნოლოგიები
Key words: Bilingual, Education, National minority, Teacher, Technologies

Lia Davitadze

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი **Incorporating Digital Technology into Teaching English**

Modern reality reveals that digital technologies becoming commonly established in all aspects of human lives and gradually arriving in the classroom are helping learning process, even though there might be many controversial points of view. For sure, technology has become integral part of language learning and teaching all over the world. It is doubtless there are a lot of teachers applying traditional manner of teaching; however, you can find novice teachers who give students wider opportunities to acquire confidence practice and rely on themselves in learning. According to commonly accepted belief, the traditional methods are neither damaging nor bad for students. They prove to be very useful since we all understand each other. However, technologies have considerably changed the traditional, common methods of English teaching. It ensures various opportunities to make English teaching captivating, involving and thought provoking. Alongside, application of modern technologies helps teachers better understand students' need and well-tune the whole teaching process. Technology seems to become the driving aspect of language teaching process. And knowledge English is not only the knowledge of the language but one of the main competences in the 21st century. According to Graddol (1997), technology is core of globalization process and English plays omnipotent role in social, political, sociocultural, business, education, library and other aspect of life, and therefore, it becomes fundamental subject curricula. Its importance becomes immense when we consider that it is key subject for the National Exam for the university entrance and obtaining highly paid jobs. Chris Pim states that "The growth of globalization of trade and the predominance of English in the media, particularly on the internet, have been responsible for driving change in language education policy and there is a global trend towards introducing English language teaching..."[2].

This paper rather presents the number of practical activities to show how apply digital technologies in English language teaching than any subject related theory. The methods used for the purpose of this paper is description of the modern methods in language teaching, especially using of

mobile application in English language acquisition. And surveillance of English language teachers regarding their wish and skills to use various digital applications.

To our belief using of digital technology in English teaching process can be considered as a supplementary source or technical support in the course of teaching. Gochitashvili mentions ‘it is only a supportive material and, primarily, the attention should be drawn on course content and methodology of its delivery’[3]. To answer the question how application of digital technology improves language teaching and learning process, several answers may be mentioned; however, to our understanding the most important aspects are that it creates students’ interest, improve classroom environment and ensures group and team works. Moreover, it improves teaching effect that has immediate response in learning outcomes, in particular in students’ speaking skills and cultivates collaboration between teacher and student. In addition, applying digital technology in language teaching process creates environment for language teaching and expands students’ knowledge about different cultures.

For a long time, an only lighthouse used in the classroom was a simple projector hanging over the teachers’ head that ensured that both students and teacher were staring the wall to see the printed text. Gradually, classrooms started to be equipped with PC and laptops; however, the survey of school and university English teachers for the purpose of this paper shed the light to a very interesting data. 17 teachers were asked to fill the online questionnaire. Among other questions with different purpose, there were questions to see whether the educational institutions they work possess relevant equipment, if teachers themselves have necessary skills to operate digital technologies, if not, how long will it take them to acquire this skill, and finally, how they would feel if using digital technology becomes obligatory. 64.7% of surveyed teachers were not sure if the educational institutions they work for have necessary technical support to operate various digital technology, 29.4% was strictly sure that they don’t and only 5.9% that was 1 person answered for sure positively. To the questions regarding having necessary IT skills to operate digital technologies, only 41.2% gave the positive answers. The rest was not sure about their skills. However, it would be fair to mentioned that 81.3 % of the surveyed mentioned that it would take them a week and lees to get used to the relevant applications in case of necessity. And finally, 58.8% would feel happy, 23.5% and 17.7% content and concerned, respectively, if their relevant educational institutions make using digital technology obligatory. [5]. What does this surveillance imply? If generalize, there are teachers who are ready to acquire relevant skills to run the digital technology as well as w lot to be done by the educational institutions to provide decent working environment for application of this methodology.

There are numerous online platforms that make teacher’s life easier. One can make presentations using *animoto or prez*i, create web exercises using *SMILE, ESL Video or Hot Potato*. [4] . Below we present practical examples how to use online platform and usesmartphone applications simultaneously. Why smartphones? Smartphones are with us to stay for a long time. We, English teachers, need either to prohibit it at the lessons or make use of it. Students sitting at our lessons are using their iPhones or Androids constantly. Why not to make use of this addiction?Various of traditional classroom activities could be altered for students to complete them to use power-packed, hand – held computers to improve their English skills. Therefore, smartphones are not banned and through students’ addictive behaviorswe, dedicated English teachers pursue our own language teaching goals.

Below we present some activities using different applications of IT such as: Interactive Images, QR Reader, Goose chase, Poll everywhere.

Activity 1

Title	Guess the topics through Interactive images
Focus	Introduction of the subject: History of English

Stage	Lead-in
Objective	Sts will have got the main essence of the subject through deciphering the meaning of the sentence in Old English.
Level	B2
Procedure	1. a. T divides the Sts in 4 groups. b. T displays 'Interactive images' to the group and asks them to guess and identify the topics of the subject, they are going to study. c. Groups present their ideas. d. T shows the correct answers. 2. a. T shows the extract of old English text and asks Sts to read and modernize the text in their groups. b. Groups present the sentence in old English + decipher the meaning. c. T asks Sts to find the answer with the help of QR code reader. Recap: T asks Sts to name the words they remember in old English, others give the corresponding words in modern English.
Comments	Interactive images/QR reader

Activity 2

Title	Adjectives to Remember
Focus	Vocabulary
Stage	Warmer, filler, cooler
Objective	Sts will have consolidated opinion adjectives using the application poll everywhere
Level	Starter and above
Procedure	1. T asks students to write the opinion adjectives they remember using the application Poll Everywhere. 2. Students individually write the adjectives using their smartphones and everyone can see each other's answers 3. Teacher monitors the process and in case of missing any adjectives gives hints, students guess and write 4. Teacher divides the students into groups (2,3,4 it depends on the number of the students) and asks groups to make a logical sentence using the opinion adjectives, given on the screen, time limit one minute 5. Groups present the sentences 6. Recap: Groups recall sentences and vote for the best one
Comments	Poll everywhere

Conclusion: It is clear that the main goal of using digital technology in language teaching is to promote student, to motivate him and increase his interest in learning process having created student-oriented, friendly and interactive environment that is practical way to get student fully involved in. In this process, student further develops his communicative competence. We think that

digital technology will wider used in English teaching process in Georgia despite several deficiencies like lack technical support or necessity of further training of teachers.

References:

1. https://www.google.com/imgres?imgurl=http://ecx.images-amazon.com/images/I/416G1CPXWFL_SX329_BO1,204,203,200_.jpg&imgrefurl=http://www.amazon.in/Future-English-Forecasting-Popularity-Language/dp/0863553567&h=474&w=331&tbnid=g0SxERqbX8d2CM:&tbnh=160&tbnw=111&usg=__q1GuhtDLr5j4IhbqMhzMkwaB_Qw=&vet=10ahUKEwjqqoyBhLPVAhVEVhQKHUuNAKQQ_B0IajAK..i&docid=FJnlAJ39MzpeXM&itg=1&client=safari&sa=X&ved=0ahUKEwjqqoyBhLPVAhVEVhQKHUuNAKQQ_B0IajAK
2. https://www.teachingenglish.org.uk/sites/teacheng/files/C607%20Information%20and%20Communication_WEB%20ONLY_FINAL.pdf
3. http://multilinguaeducation.org/storage/uploads/articles_contents/150122053812.pdf
4. <http://www.tesl-ej.org/wordpress/issues/volume15/ej57/ej57int/>
5. <https://docs.google.com/forms/d/1m5DBduYot7QZAdhdT-A0NsvadxdOC4BD0AWUnfG4vc8/edit#responses>

ლია დავითაძე

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი

ციფრული ტექნოლოგიების ჩართვა ინგლისური ენის სწავლების პროცესში

თანამედროვე რეალობა გვიჩვენებს, რომ ციფრული ტექნოლოგიები ადამიანის ცხოვრების თანამდევია ასპექტებია. შესაბამისად, იგი, თანდათან ფეხს იკიდებს სასწავლო გარემოში. თუმცა ამ მოსაზრებას ჯერ კიდევ ჰყავს მოწინააღმდეგენი. თუმცა, ყველასათვის ნათელია, რომ ტექნოლოგიები ენის სწავლების განუყოფელ ნაწილად იქცა მთელ მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არსებობენ ტრადიციული მეთოდების მიმდევარი პედაგოგები, თანამედროვე რეალობაში უკვე უხვად გვხვდება ისეთი ნოვატორი პედაგოგი, რომლებიც სწავლებას თანამედროვე მეთოდებზე დაყრდნობით ახორციელებენ და აძლევენ მოსწავლეებს შესაძლებლობებს გაიმყარონ რწმენა სწავლის მიმართ.

საკვანძო სიტყვები: ციფრული, ტექნოლოგია, სმარტფონი, აპლიკაცია, ინგლისური ენა, სწავლება

key words: digital, technology, smartphone, application, English, teaching

მაგდა დავითაშვილი, თამარ ნადირაძე,
ლამარა ზუროშვილი, ნანა ნაცვლიშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

კანდიდოზური ვაგინიტების სახეობის ეტიოლოგიური სტრუქტურა

გინეკოლოგიურ პრაქტიკაში კანდიდოზი ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ინფექციური პათოლოგიაა, რომლის დროსაც ზიანდება ქალის გენიტალიუმის ყველა სტრუქტურა. ხშირია კანდიდოზური ვულვო-ვაგინიტები,

ცერვიციტები და სხვა დაავადებები, რომლებიც ხასიათდება ქრონიკული რეციდივული მიმდინარეობით და ძნელად ექვემდებარება რადიკალურ მკურნალობას.

საფუარისებრი ასპოროგენური სოკოები აერთიანებს სხვადასხვა სახის მიკროორგანიზმს, რომელთაგან ზოგიერთი იწვევს სხვადასხვა მიკოზს. ზოგი ვიტამინებისა და ცხიმების პროდუცენტებია, გამოიყენება ცხოველთა კვებაში, ხოლო ზოგი ლუდის წარმოებაში.

აღნიშნული სოკოების მიმართ ინტერესი გაიზარდა მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან, ვინაიდან სამედიცინო პრაქტიკაში მკვეთრად გაიზარდა ამ მიკროორგანიზმებით გამოწვეული დაავადებების ხვედრითი წილი [3, 6, 8].

კანდიდოზი არის კანის, ლორწოვანი გარსისა და შინაგანი ორგანოების მიკოლოგიური, ინფექციური დაავადება. ეს დაავადება ცნობილია უძველესი დროიდან ჰიპოკრატესა და გალენის შრომებში. მიკრობი აღმოაჩინა 1839 წელს ლანგენბეკმა. კანდიდას სოკოების ოჯახში გაერთიანებულია 100-მდე სხვადასხვა სახეობა, მათ შორის ყველაზე ხშირად გხვდება: *C. albicans*, *C. tropicalis*, *C. krusei*, *C. pseudotropicalis*, *C. stellatoidea*, *C. parapsilosis* და ა.შ.

აღნიშნულ სოკოებს აქვს მომრგვალო ფორმა. პათოლოგიურ მასალაში ის გვხვდება წაგრძელებული ფორმით, მრავლდება დაკვირვებით, აერობებია, კარგად იზრდება მარტივ საკვებ, სისხლიან და შრატთან საკვებ ნიადაგებზე, კარტოფილის, სტაფილოს, სიმინდისა და ბრინჯის ნახარშებზე დამზადებულ და ლუდის საფუარებიან ნიადაგზე. კლასიკური კანდიდას მოსაშენებლად საბუროს გლუკოზიანი მკვრივი და თხევადი ნიადაგები გამოიყენება.

კანდიდას გააჩნია რთული აღნაგობა, იწვევს სპეციფიკურ იმუნოლოგიურ რეაქციას და მიკოგენურ სენსიბილიზაციას.

პათოგენური მნიშვნელობა აქვს ენდოკრინულ, თირკმლის პათოლოგიებს, მიკროცირკულაციის მოშლას, ჰიპო- და ავიტამინოზს, დისბაქტერიოზს, ნერვული სისტემის ფუნქციურ მოშლილობას, ხანგძლივ ანტიბიოტიკოთერაპიას, იმიდაზოლის პრეპარატების, ციტოსტატიკების, კორტიკოსტეროიდული ჰორმონების (გინეკოლოგიურ პრაქტიკაში მათი ადგილობრივი გამოყენებისას), ანტიდიაბეტური საშუალებების, ორალური კონტრაცეპტივების, ანტიმიკოზური პრეპარატების (გრიზეოფლვინი), იმუნოსტიმულატორების, ფსიქოტროპული პრეპარატების გამოყენებას. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს თვით კანდიდას ჯგუფის სოკოების ადაპტოგენურად შეცვლილ ფორმებს, ვირულენტობის სხვადასხვა ფაქტორითა და ანტიმიკოზური პრეპარატების მიმართ რეზისტენტობის თვალსაზრისით [2, 3, 5, 8].

ყოველივე ზემოაღნიშნული იმაზე მიგვითითებს, რომ პოლიმორფული კლინიკით მიმდინარე კანდიდოზი იყო, არის და იქნება ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სოკოვანი პათოლოგია, ამიტომ მნიშვნელოვანია ამ დაავადების მიკროეკოლოგიის ზედამხედველობითი კონტროლი ბიოლოგიური და ვირულენტური თვისებების ცვლილებების შესწავლით, სახეობის შიგნითა სტრუქტურის ხვედრითი წილის და ანტიკანდიდოზური პრეპარატების მიმართ მგრძნობელობა-რეზისტენტობის განსაზღვრით.

კლასიკური მიკოლოგიური დიაგნოსტიკური ტესტები [2,7] როგორც მორფოლოგიური, ისე კულტურალური დიაგნოსტიკის, არასტანდარტული ინგრედიენტების, რეაქტივების სისუფთავის ხარისხისა და გამოყოფილი კულტურის სახეობის შიდა იდენტიფიკაციის თვალსაზრისით, პირდაპირ დაკავშირებულია დიაგნოსტიკის ხარისხთან.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა კანდიდოზური ვაგინიტების სახეობრივი სტრუქტურის შესწავლა მიკოლოგიური კვლევის თანამედროვე, სტანდარტული, საერთაშორისო დონის ტესტების გამოყენებით.

კანდიდოზების სახეობის შიდა საიდენტიფიკაციო ტესტები (bio Merieux)

კანდიდაზის სახეობები	გლუკოზა	გლიცეროლი	2 კეცო D	L არაზინოზა	D ქსილოზა	ადონიტი	ქსილიტი	გალაქტოზა	ინოზიტი	სორბიტი	2 გეოილ D	N აცეტილ D გლუკოზამინი	ცელიბიოზა	ლაქტოზა	მალტოზა	საქაროზა/ სუკროზა	ტრეგალოზა	მელეზიტოზა	რაფინოზა	ჰიფების არსებობა
<i>C. albicans</i> 1	100	14	99	2	95	4	96	100	0	94	85	99	0	0	100	97	97	4	0	100
<i>C. albicans</i> 2	100	0	100	0	90	1	75	100	0	70	0	100	0	0	90	0	5	0	0	90
<i>C. eiferi</i>	100	80	80	100	100	70	50	100	100	50	0	100	6	0	9	100	100	0	100	100
<i>C. coliculosa</i>	100	60	100	0	0	0	20	1	0	90	0	0	0	0	0	100	85	0	75	0
<i>C. famata</i>	100	98	100	60	80	100	90	100	0	100	99	99	98	70	100	100	99	80	95	1
<i>C. glabrata</i>	100	16	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	94	0	0	1
<i>C. guilliermondii</i>	100	100	88	90	93	94	99	99	0	9	96	99	99	0	94	100	99	94	95	46
<i>C. humicola</i>	100	82	100	100	100	38	54	100	100	95	100	100	91	100	100	82	99	95	100	100

<i>C. inconspicua</i>	100	77	57	0	0	0	0	2	0	0	0	43	0	0	0	0	0	0	0	3
<i>C. kefyri</i> 1	100	69	0	31	91	4	47	100	0	39	0	0	8	99	0	100	1	0	100	89
<i>C. kefyri</i> 2	100	6	7	0	7	0	71	100	0	100	85	0	71	84	100	100	93	100	84	40
<i>C. krusei</i>	100	87	0	0	0	0	0	0	0	0	0	36	0	0	0	100	0	0	0	95
<i>C. lambica</i>	100	70	0	0	25	0	0	0	0	0	0	90	0	0	0	0	0	0	0	100
<i>C. lipolytica</i>	100	100	0	0	0	0	0	0	0	28	0	49	0	0	0	0	0	0	0	93
<i>C. lusitanae</i>	100	95	95	1	80	95	40	40	0	99	60	95	80	0	100	0	100	99	0	100
<i>C. magnolise</i>	100	100	50	0	0	0	33	0	0	99	0	0	0	0	0	99	0	0	84	0
<i>C. mans</i>	100	66	0	0	66	16	83	100	0	83	0	16	0	0	0	100	0	0	0	16
<i>C. norvegensis</i>	100	75	0	0	0	0	0	2	0	0	0	0	95	0	0	0	0	0	0	100
<i>C. parapsilosis</i>	100	95	91	96	96	25	3	99	0	99	93	99	0	0	100	0	97	99	3	99
<i>C. palliculosa</i>	100	100	0	0	67	2	9	56	0	89	100	2	8	0	93	100	97	98	48	86
<i>C. rugosa</i>	100	74	0	5	79	5	44	100	0	99	0	55	0	0	0	0	0	0	0	100

<i>C. tropicalis</i> 1	100	52	1	0	96	32	23	99	1	100	96	99	24	0	100	100	99	99	1	99
<i>C. tropicalis</i> 2	100	6	100	0	100	32	4	100	0	100	0	100	0	0	48	4	100	0	0	100
<i>C. zeylanoides</i>	100	100	95	0	0	5	0	1	0	100	0	100	0	0	0	0	74	0	0	100

მასალა და მეთოდები. გამოსაკვლევად ვიღებდით მასალას ვულვიდან, ვაგინიდან და ცერვიქსიდან სხვადასხვა გინეკოლოგიური პათოლოგიის დროს. ჩანათესი კეთდებოდა საბუროს მყარ ნიადაგზე, ინკუბაცია ტარდებოდა თერმოსტატში 36°C ტემპერატურაზე 24-48 საათის განმავლობაში. ხდებოდა სუფთა კულტურების გამოყოფა (bio Merieux საფრანგეთი) და შემდგომ ეტაპზე ტარდებოდა მათი იდენტიფიკაცია API 20 C AUX ბიოქიმიური სტრიპების საშუალებით, სადაც *Candida*-ს ჯგუფის სოკოების სახეობის შიდა იდენტიფიკაცია ხდებოდა 20 სხვადასხვა მეტაბოლიტური ტესტის გამოყენებით (ცხრილი 1).

კანდიდების მგრძნობელობა-რეზისტენტობას ანტიმიკოზური პრეპარატების მიმართ ვსწავლობდით T ტესტების საშუალებით მინიმალური და მაქსიმალური ფუნგიციდური დოზების განსაზღვრით. მთლიანობაში შევისწავლეთ 44 პაციენტის მასალა.

გამოკვლევა მიმდინარეობდა ქართულ-შვეიცარიულ დიაგნოსტიკურ ცენტრ „ციტოს“ ბაზაზე. შედეგები მუშავდებოდა სტატისტიკურად [1].

კვლევის შედეგები. კანდიდოზური ვაგინიტების სახეობის შიდა სტრუქტურის მიკოლოგიური კვლევის შედეგები წარმოდგენილია მეორე ცხრილში.

როგორც მეორე ცხრილი გვიჩვენებს, ვაგინიტების ძირითადი გამომწვევი არის *C. albicans*, ხოლო *C. tropicalis* და *C. glabrata*-ს ხვედრითი წილი უდრის 4,5% და 2,3%-ს. *C. albicans*-ის ზრდის ინტენსივობის მიხედვით, 24 შემთხვევაში, აღინიშნებოდა ინტენსიური (უხვი) ზრდა, 2-ში - საშუალო ზრდა, 9-ში - მცირე ზრდა, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში აღინიშნებოდა ერთეული კოლონიები. *C. tropicalis* იდენტიფიკაციის ორივე შემთხვევაში ზრდა იყო ინტენსიური. *C. glabrata* ერთ შემთხვევაში ერთეული კოლონიების სახით.

ცხრილი 2

კანდიდოზური ვაგინიტების სახეობის შიდა მიკოფლორა (44 პაციენტი)

კანდიდების სახეები	გამოყოფის სიხშირე	აბს. რიცხვი %
<i>Candida albicans</i>	41	93, 2% ± 0.02
<i>Candida tropicalis</i>	2	4,5 % ± 0,01
<i>Candida glabrata</i>	2	2,3% ± 0,02

ანალოგიური გამოკვლევები ჩატარდა 2002 წელს რუსეთის დერმატო-ვენეროლოგიურ ცენტრალურ კვლევით ინსტიტუტში [5] იგივე bio Merieux

ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელთაც ვულვოვაგინიტების დროს *C. albicans* გამოყვეს 69, 1%, *C. glabrata* 9,3%, *C. parapsilosis* 6, 97%, ხოლო *C. tropicalis* 4,7%. სხვა ავტორების [10] მიერ *C. albicans* იგივე პათოლოგიის დროს ამოითესა 85-90%, *C. glabrata* იზოლირებული იყო 5-10%, *C. tropicalis* და *C. parapsilosis* 3-5%, *C. crusei*, *C. pseudotropicalis* 1-3%-ში [9].

ამგვარად, ჩვენს მიერ მიღებული შედეგები ძირითადად ემთხვევა ლიტერატურის მონაცემებს.

C. albicans მგრძნობელობა-რეზისტენტობის შესწავლამ ანტიკანდიდოზურ-ანტიმიკოზური პრეპარატების მიმართ ATB ტესტის გამოყენებით გვიჩვენა, რომ ყველა შემთხვევაში *C. albicans* მაღალმგრძნობიარე იყო 5 ფლუციტოზინისა და ამფოტერიცინ B-ს მიმართ, ფლუკონაზოლთან მგრძნობიარე იყო 37,5%, ნისტატინთან - 33%-ში, მიკონაზოლთან - 20,8%, კეტოკონაზოლთან, ეკონაზოლსა და იტრაკონაზოლთან - 16%- ში.

მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ კანდიდოზური ვაგინიტების ძირითადი გამომწვევი ქართულ პოპულაციაში არის *C. albicans*. სხვა სახეობებიდან მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით ამოითესა *C. tropicalis* და *C. glabrata*. მეთოდის მაღალი მგრძნობელობის მიუხედავად, იდენტიფიცირებული იყო მიკროფლორის ღარიბი სპექტრი. ვინაიდან ეს მეთოდიკა აბსოლიტურად სტანდარტულია, იძლევა მაღალი ხარისხის იდენტიფიკაციას, ტარდებოდა 3 წლის დინამიკაში. მიღებული შედეგები ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან ასეთი კვლევები საქართველოში პირველია.

პრაქტიკული თვალსაზრისით, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კანდიდოზური ვაგინიტების მკურნალობისათვის, განსაკუთრებით კი რეგიონებში, სადაც არ არის საშუალება ჩატარდეს მაღალი დონისა და ძვირადღირებული მიკოლოგიური კვლევები, სამკურნალო მიზნით, რეკომენდებულია, გამოყენებული იყოს 5 ფლუციტოზინი, ამფოტერიცინი B. ფლუკონაზოლი აქტიურია შემთხვევათა 37%-ში, ხოლო ერთ-ერთი უძველესი ანტიკანდიდოზური პრეპარატი ნისტატინი - 33%-ში, კეტოკონაზოლი, ეკონაზოლი და მიკონაზოლი ფაქტიურად არაეფექტურია.

ბიბლიოგრაფია:

1. Ашмарин В. И. (1982). Статистические методы в микробиологических исследованиях. Медгиз. Москва.
2. Кашкин П. Н., Лисин В. Р. (1983). Практическое руководство по медицинской микологии. Медицина. Москва.
3. Кашкин П. Н., Шеклаков Н. Д. (1978). Руководство по медицинской микологии. Москва.
4. კერესელიძე მ. (2013). კლინიკური ბაქტერიოლოგია. „შპს ფავორიტი პრინტი“. თბილისი.
5. Кисина В. И., Степанова Ж. В., Мирзабекова М. А. (2002). Клинические особенности первичного и рецидивирующего урогенитального кандидоза у женщин. «Вестник дерматовенерологии». №2. 61-63.
6. Коротяев А. И., Бабичев С. А. (2008). Медицинская микробиология, иммунология и вирусология. Санкт-Петербург.
7. Лещенко В. М. (1982). Лабораторная диагностика грибковых заболеваний. Медицина. Москва.
8. Элинов Н. П. (1964). Патогенные дрожеподобные организмы. Ленинград.
9. Redondo-Loper V., Lynch M., Schmitt C. et al. (1990). Torulopsis glabrata vaginitis: clinical aspects and susceptibility to antifungal agents. Obstet Gynecol. №6. 651-655.
10. Sobel J. D. (1998). Vulvovaginitis: when candida becomes a problem. Dermatol Clin. №16. 763-768.

INTRASPECIFIC ETIOLOGIC STRUCTURE OF CANDIDIASIS VAGINITIS

Abstract

As a result of mycologic research of 44 patients, afflicted with candidiasis vaginitis, with help of advanced methods of French biotechnological firm „bio Merieux”, it was stated that the principal etiologic agent is *C. albicans* – 93, 2%. From the rest kinds came forth *C. tropicalis* – 4,5 % and *C. glabrata* – 2,3 %. Based on the own results and taking into consideration the high level of used standard methods which is pioneer traced in Georgia, the authors assert that principal etiologic agent of candidiasis in women genital organs is *C. albicans*.

Susceptibility and the resistance of *C. albicans* to antimycotic preparation and final results of high susceptibility of etiologic agent – 5 flucitozine and amphotericin B was studied. Susceptibility towards fluconazole and nistatin varied between 33 and 37%. Ketoconazole, econazole and mikonazole appeared to be inefficient.

Obtained results presents the theoretical interest for gynecology as well as the practically applied significance for gynecologists and venerologists in the regions of our country where there are no possibilities for mycological researches and the treatment is carried out empirically.

საკვანძო სიტყვები: კანდიდოზი, მიკოზი, პათოგენური, რეზისტენტობა, იდენტიფიკაცია.

Keywords: candidiasis, granulosa, pathogenic, resistant, identification.

თამარ დოგრაშვილი

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

რაჟდენ ჯაჯანაშვილი ცარიზმის საგანმანათლებლო სისტემის შესახებ

ქართველი სახალხო მასწავლებელი და სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი რაჟდენ ჯაჯანაშვილი თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაინიშნა მასწავლებლად ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მიერ გახსნილ ხერთვისის სკოლაში. საზოგადოების სკოლების მიზნებს და წარუმატებლობას რაჟდენ ჯაჯანაშვილმა მიუძღვნა სტატია [1], რომელიც გამოქვეყნდა გაზეთში „დროება“ 1881 წლის 29 მარტს №67. მასში რაჟდენ ჯაჯანაშვილი ქართული პედაგოგიკის ისტორიაში პირველად დაწვრილებით შეეხო ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლების მიზნებს და ამოცანებს და მოგვცა სრულყოფილი ანალიზი საქართველოში არსებული იმდროინდელი საგანმანათლებლო დაწესებულებისა:

„რა მიზანიც აქვს ზემოხსენებულ საზოგადოებას, ეს ჩანს სახელ-წოდებიდან, ე.ი. აღადგინოს ქრისტიანობა განათლების შემწეობით. „საზოგადოების“ წარმატება მაშასადამე დამოკიდებულია ხალხის განათლებაზე. თუ „საზოგადოების“ მოქმედებამ მოჰყვანა ხალხში განათლების სხივები, მაშინ შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ ქრისტიანობის აღდგინებაც ნაყოფიერს საფუძველზედ სდგას; და წინააღმდეგ, თუ „საზოგადოების“ მოქმედება ვერ შეატანს იმ სიბნელეს, რომლითაც გარემოცულია ხალხი, მაშინ შეგვეძლება ვსთქვათ, რომ იმას ვერ მოაქვს ჯეროვანი სარგებლობა, რომ იგი ვერ ახწევს აღნიშნულ მიზანს, რომ იმის მეცადინეობა რჩება უნაყოფოთ და უბრალოთ აძლევს ამ საქმეს თავის ნივთიერ და ზნეობრივ ძალას. მხოლოდობითი წყარო ხალხის განათლებისა - არის სკოლა.“ [1].

რაჟდენ ჯაჯანაშვილის ხალხის განათლების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ სკოლა მიაჩნია, მაგრამ სკოლაში სწავლების ნორმალურად წარმართვისათვის აუცილებელია გარკვეული პირობების, საწავლო გარემოს, მასწავლებლებისა და ადგილობრივი

ხელისუფლების ურთიერთ თანამშრომლობა, არამარტო მოსწავლეთა, არამედ მშობელთა და საზოგადოების მზაობა სწავლისათვის. რაჟდენ ჯაჯანაშვილი თვლის, რომ ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლები ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ამის მიზანად მას მიაჩნია:

„მრავალ მიზეზების რიცხვებს შორის, რომლებიც აბრკოლებენ ქრისტ. აღმ. საზოგადოების სკოლების წარმატებას, მე მოვიყვან მხოლოდ უმთავრესს.

პირველი-ეს ეს განთვსეებული მიმართულება. ყოველ მოქმედებას სკოლაში აწევს მძიმე უღელი ფორმის დამცველობისა-მიმართული განსაკუთრებით ერთი რომელიმე პირის დაკმაყოფილებისათვის. თუ რაიმე სწარმოებს სკოლებში, ეგ უნდა მივაწეროთ სასტიკ ფირმანებს და არა ჭეშმარიტ საქმის სიყვარულს, რომელიც უნდა წინ უძღოდეს სკოლის ყოველ ქმედებას.

მეორე, მაგრამ უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი ამ სკოლების სისუსტისა მდგომარეობს მოწაფეების დედა-ენის სრულ შეურაცყოფაში“. [1].

რაჟდენ ჯაჯანაშვილს ამ სკოლების წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად მიაჩნია მოსახლეობის მატერიალური სიდუხჭირე, მშობლები იძულებული არიან ბავშვები დაიხმარონ ყოველდღიურ საქმიანობაში, რის გამოც ისინი ვერ ახერხებენ ყოველდღიურად გაკვეთილებზე სიარულს, ეს კი იწვევს მათ ჩამორჩენას სწავლაში. გარდა ამისა ქრისტიანული საზოგადოების აღმდგენებელ სკოლებში, ისევე როგორც იმდროინდელ მთელ რუსეთის იმპერიაში, გათვალისწინებული არ იყო მოსწავლეებს შორის რელიგიური სხვაობა და ცხოვრების განსხვავებული ტრადიციები, მოსწავლეთა მშობლების ქონებრივი ცენზი და ისტორიული ბედი. ამ პერიოდში სკოლებში მოსწავლეები ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმევე საგანს სწავლობდნენ, ეს კი ავტორის აზრით არღვევს კლასის დისციპლინას და აძნელებს სწავლას:

„მესამე მიზეზათ სკოლების სისუსტისა უნდა ჩაითვალოს ის სამწუხარო ფაქტი, რომ მოწაფეები ყოველ დღე არ დაიარებიან გაკვეთილებზედ. ჩვენი ღარიბი გლეხი ვერ ახერხებს, რომ ყოველ დღე მოიშოროს თავისი შვილი, რომელიც სახლში ეხმარება, ოჯახობაში ხელს უმართავს. ეს მოვლენა არის საერთო სენი მთელი რუსეთის სახალხო სკოლებისა; მაგრამ ვგონებ ეს სენი არსად მძინვარებდეს ისე, როგორც აქ, ჩვენში.“ [1].

ამ მიზეზების გარდა რაჟდენ ჯაჯანაშვილს სკოლების წარუმატებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ადგილობრივი ხელისუფლების უსულგულო დამოკიდებულება და მღვდელსა და მასწავლებლებს შორის გათულებული დამოკიდებულება მიაჩნია:

„მეოთხე მიზეზათ საზოგადოების სკოლების სისუსტისა ჩაითვლება ადგილობრივი მთავრობის უყურადღებობა. ...

მეხუთე მიზეზი, რომელიც აგრეთვე აბრკოლებს სკოლების წინ მსვლელობას არის მღვდლისა და მასწავლებლის შორის უთანხმოება“. [1].

რაჟდენ ჯაჯანაშვილი განათლების წინსვლის საქმეში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მასწავლებელს, ამ საკითხისადმი მას გვერდი არ აუვლია არცერთ პუბლიკაციაში. განსაკუთრებით საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული სტატიაში „ცოტა რამ პედაგოგიიდან“, რომელიც გამოქვეყნდა „დროებაში“ [3].

„მასწავლებელი, ამბობს პედაგოგია, არის სული სკოლისა“; მე დავუმატებ: სკოლა არის სული ხალხისა. აქედან ჩანს რა უნდა იყოს მასწავლებელი ხალხისთვის. მასწავლებელი არის ის დედა-ბოძი, რომელზედაც დამყარებულია ხალხის გონებითი და ზნეობითი კეთილ დღეობა; მასწავლებელი არის ის ქვა-კუთხე, რომელზედაც აშენებულია ხალხის წინ-მსვლელობა.“ [3]. ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს რაჟდენ ჯაჯანაშვილის დამოკიდებულება მასწავლებლისადმი, როგორც ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნებისადმი, რომელსაც ხშირად გარკვეული მსხვერპლის გაღებაც უწევს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მშობლიურ ენაზე ასწავლონ. ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლებში ნებადართული იყო სწავლება ქართულ და რუსულ ენებზე, მაგრამ ქართულ ენაზე სწავლებას გარკვეული წინააღმდეგობები მოსდევდა იმის გამო, რომ ამ სკოლების ხელმძღვანელებმა ქართული არ იცოდნენ, ამიტომ სკოლების ხელმძღვანელებს არ

შეეძლოთ და არც სურდათ მიღწეული შედეგის დაფასება. ამის გამო რაჟდენი მკაცრი და შეუვალია ასეთი მასწავლებლების მიმართ: „მართალია ... რომ მასწავლებლებმა უნდა ქართულადაც ასწავლონ და რუსულადაც, მაგრამ ჩვენმა მასწავლებლებმა კარგათ იციან, რომ ქართულ ენაში თავიანთი მოწაფეები თუნდა ფილოსოფოსები დახადონ, ეგ უფროსისაგან არ დაფასდება იმიტომ, რომ უფროსმა არ იცის ეს ენა, არც შეუძლიან და არც უნდა ამის დაფასება. აქ მასწავლებლის აზრში უნდა მოხდეს პატარა ბრძოლა: ან უნდა უღალატოს ჭეშმარიტებას, ნამდვილ სარგებლობის და ვალდებულების ცნებას, მაგრამ თავისი უფროსი კი ასიამოვნოს; ან უნდა ემსახუროდეს საქმეს და არა პიროვნებას, იდგეს ჭეშმარიტების გზაზე, მაგრამ მოიკლოს უფროსის პატივისცემა, აღტაცებული ქება და დიდება ანგარიშებში. უნდა გამოვტყდე და ვსთქვა, რომ ამ საზოგადოების სკოლების მასწავლებლებს ყოველთვის ახსოვდათ პირველი აზრი და სცხოვრობდნენ აუშფოთებელივ. მასწავლებელს შეუძლიანთ დედა-ენის დახმარება თუკი ისურვებენ, თუკი დიდ მნიშვნელობას არ მისცემდნენ ოქროს მედლებს...“ [3].

რაჟდენ ჯაჯანაშვილის ფხიზელ თვალს ყურადღებიდან არ გამოპარვია ის გარემოება, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი ნაკლებად ზრუნავდა თავის ცოდნის ამაღლებაზე. თვითონ რაჟდენ ჯაჯანაშვილი არა მარტო სტატიებით, არამედ თავისი ყოველდღიური საქმიანობითაც ყველას იმის საუკეთესო მაგალითს აძლევდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სახალხო მასწავლებელი. რაჟდენ ჯაჯანაშვილი არ იყო შემოფარგლული რომელიმე ვიწრო სპეციალობის ჩარჩოებით. იგი თანაბრად ერკვეოდა როგორც მათემატიკის და პედაგოგიკის, ისე ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიისა და პოლიტიკის საკითხებში. მისთვის უცხო არ იყო, რომ განათლების საქმის მოწესრიგებისათვის მთავარ საფუძველს სწორად შედგენილი სასწავლო პროგრამები და წესდება შეადგენდა. მაგრამ ისინი რუსეთის სატახტო ქალაქის სამეცნიერო კაბინეტებში დგებოდა ოფიციალური ქაღალდების ნაკლებად საიმედო მასალებზე დაყრდნობით. პროგრამის შემუშავებაში არავითარი ანგარიში არ ეწეოდა ხალხთა ნაციონალურ თავისებურებებს და ადგილობრივ პედაგოგთა პრაქტიკულ გამოცდილებას. ჯაჯანაშვილი კანონიერად მოითხოვდა, რომ სასწავლო პროგრამების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მასწავლებლებმა:

„ვინ უნდა შეადგინოს ეს წესები თუ არა იმათ, ვინც უფრო ახლო დგას ამ საქმესთან, ე.ი. მასწავლებლებმა? მაგრამ, საუბედუროთ, ჩვენი მასწავლებლები იმისათვის თავს არ იტკიებენ. ჩვენი სკოლების წესებს იკვლევენ პეტერბურღში, სამეცნიერო კაბინეტებში და ამ გამოკვლევებისათვის სარგებლობენ ოფიციალური ქაღალდებით, რომლებშიც ათში ერთს არ უნდა უჯერებდეთ. და განა გასაკვირველია, რომ ჩვენი სკოლებისათვის შეადგინონ შეუსაბამო კანონები? მასწავლებლები ვალდებული არიან მოუშადათ უმაღლეს მთავრობას მასალა სკოლების კანონმდებლობის შესადგენათ. ამ მასალის მომზადება ერთ კაცს ვერ შეუძლიან, არამედ უნდა იშრომონ ყველა მასწავლებლებმა ერთად და ამ შრომის ასპარეზათ უნდა იყოს პედაგოგიური ჟურნალი.“ [2].

რაჟდენ ჯაჯანაშვილი საჭიროდ ცნობდა პედაგოგიური ჟურნალის დაარსებას, რომელსაც უნდა გაეშუქებინა თანამედროვე სკოლის ყველა მტკივნეული საკითხი. “ამ ჟურნალმა, წერდა რაჟდენ ჯაჯანაშვილი სტატიაში “პედაგოგიურ ჟურნალზე”-უნდა გამოააშკარავოს და გამოიკვლიოს ის მიზეზები, რომლებიც აბრკოლებდნენ ჩვენში სწავლა-განათლებას. ჟურნალმა უნდა გვიჩვენოს, რა ადგილი უნდა ეჭიროს დედა-ენას სწავლების სისტემაში. ჟურნალმა უნდა გამოიკვლიოს, როგორ უყურებს ხალხი სკოლას და რას მოელის მისგან. ჟურნალმა უნდა შეიმუშაოს სწავლების მეთოდები, ყურადღება უნდა მიაქციოს მასწავლებლის მომზადებას. როდესაც ეს ჟურნალი დაარსდება, როდესაც ჩვენი სკოლების საქმეებს გავარჩევთ ჩვენვე, როდესაც გამოვიკვლევთ დედა-ენის მნიშვნელობას პირველ-დაწყებით სწავლაში, -მაშინ შეგვეძლება ვთქვათ, რომ ჩვენ სკოლებს დაუდგათ ახალი დროების ხანა.“ [2].

ასეთი აქტიური და თავდადებული მოღვაწეობისაკენ მოუწოდებდა რაჟდენ ჯაჯანაშვილი ყველა იმას, ვისაც შეეძლო რაიმე სარგებლობა მოეტანა საზოგადო

საქმისათვის. ისევე, როგორც თვითონ იგი არ ზოგავდა ძალასა და ენერგიას, რათა ხალხისათვის სასარგებლოდ გამოეყენებინა მთელი თავისი უნარი და შესაძლებლობა.

რაჟდენ ჯაჯანაშვილს მიაჩნდა, რომ სასწავლო პროცესი დამყარებული უნდა იყოს ეროვნულ და კერძო პიროვნულ თვისებებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგის მიღწევა გაუჭირდება მასწავლებელს, რაგინდ მომზადებულიც არ უნდა იყოს იგი.

რაჟდენ ჯაჯანაშვილმა 1881წლის №79 გაზეთში „დროება“-გამოაქვეყნა სტატია „ცოტა რამ პედაგოგიიდან“, რომელშიც ის გვევლინება, როგორც პედაგოგიკის ისტორიის ღრმა მცოდნე. იგი ანალიზს უკეთებს დროითი ქრონოლოგიით მასწავლებელთა მომზადებას მთელს რუსეთის იმპერიაში, ამავე დროს არ ავიწყდება თავისი ქვეყნის ისტორიული წარსული და პარალელების გავლების გზით აშკარად მიანიშნებს, რომ ჩვენს ქვეყანას უფრო ძირძველი ტრადიციები აქვს სწავლა-აღზრდის საქმეში, ვიდრე რუსეთის იმპერიის სხვა ხალხებს, თვით რუსებსაც კი. ყოველივე ამას რაჟდენ ჯაჯანაშვილი აკეთებს რელიგიასთან მიმართებაში.

რაჟდენ ჯაჯანაშვილი პატიოსანი და განათლებული პედაგოგი იყო, და ისტორიულ კონტექსტში განხილული აქვს თუ ვინ რა გააკეთა რუსეთის იმპერიაში დადებითი სასკოლო განათლების რეფორმების ჩატარების მხრივ და რა მდგომარეობაა სტატიის დაწერის დროს და რა მიდგომებია განსახორციელებელი მდგომარეობის გამოსასწორებლად. ის მასწავლებელთა მომზადებას განიხილავს დროის შესატყვისად, თუ რა მოთხოვნილებებს უყენებს ცხოვრება სკოლას, საჭიროა იმდაგვარადვე განათლებული მასწავლებელი და ამას აკეთებს არა საქართველოს წარსული სინამდვილიდან, არამედ რუსეთის წარსულის სინამდვილესთან მიმართებაში.

რადჟენ ჯაჯანაშვილი უაღრესად პატრიოტი ადამიანი იყო, რომელიც ვერ იტანდა იმდროინდელ სკოლებში გამეფებულ რუსიფიკატორულ პოლიტიკას და სტატიაში მან კიდევ ერთხელ დამაჯერებელი პასუხი გასცა მათ, ვინც აკნინებდა საქართველოს რუსეთთან მიერთებამდე არსებულ ქართულ საგანმანათლებლო სისტემას, მას მიაჩნდა, რომ განათლების მიღების უმთავრესი ფაქტორი არის ქვეყნის თავისუფლება. თავისუფლებისას საქართველოში ქართველობა გაიგივებული იყო მართლმადიდებელ ქრისტიანობასთან, ქრისტიანობა კი სწავლა-განათლებასთან, რადგან გაუნათლებელ ხალხში ვერ გავრცელდებოდა ქრისტიანობა და რომც გავრცელდებოდა, ის ვერ შეინარჩუნებდა ქრისტიანობას, თუ სარწმუნოება არ ექნებოდა ძვალ-რბილში გამჯდარი: „ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ საქართველოში რუსეთთან შეერთების დროს არც ერთი სკოლა არ იყო. ეს განგებ შეცთომილებაა: ისტორიიდან ვიცით, რომ საქართველოში თავისუფლების დროს, წერა-კითხვის ცოდნა გავრცელებული იყო და სწავლა-განათლებაც კარგ მდგომარეობაში, რასაკვირველია, შედარებით სხვა ამის ჯურა სახელმწიფოებთან. როგორ შეიძლება ქრისტიანობის გავრცელება ხალხში, თუ არ გავრცელდებოდა სწავლა-განათლება? ქრისტეს სწავლა იმ გვარია, რომ იმის მიღება მოითხოვს ადამიანისაგან გონებით სიმაღლეს. თუ უსწავლელი ხალხი კიდევ მიიღებს ქრისტიანობას, როგორ შეძლებს ის ამდენს სარწმუნოებისათვის ატეხილ ომებში დაიცვას ქრისტიანობა, თუ ეს სარწმუნოება რბილში და ძვალში არ ექნება გამჯდარი? ჩვენს ხალხში იყო გავრცელებული ქრისტიანობა: მაშასადამე გვყავდნენ მღვდლები და თუ იყვნენ მღვდლები უნდა ყოფილიყვნენ სკოლები, სადაც ეს მღვდლები იზრდებოდნენ. ამასთანავე ყველა მღვდელი ვალდებული იყო ეკლესიასთან გაემართა სკოლა.“ [3].

რაჟდენ ჯაჯანაშვილის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ საქართველომ ეროვნული ღირსებების, ტრადიციების, კულტურის შენარჩუნება რელიგიის წყალობით შეძლო, განსხვავებით სხვა რელიგიებიდან ქრისტიანობა პროგრესული რელიგიაა და მართლმადიდებელი ხალხი სხვა მიდგომას იმსახურებს და სხვაგვარად მოწყობილი სასწავლო სისტემა ესაჭიროება. ქართული პედაგოგიკის ისტორიაში ასეთი აზრი პირველად სწორედ რაჟდენ ჯაჯანაშვილის მიერ იქნა გამოთქმული, რაც მის ღრმა რელიგიურ განათლებაზე და სარწმუნოებისა და სამშობლოს სიყვარულზე მეტყველებს. მას სტატიაში მოჰყავს ისტორიკოსების მიერ დადასტურებული ჩვეულება, რომელიც

ნათლად ასახავს ქალთა აღზრდის საკმაოდ მაღალ დონეს საქართველოში: „გარდა ამისა ეხლა ჩვენში გავრცელებულია ერთგვარი ჩვეულება, რომელსაც ისტორიული განვლილი აქვს. ეს ჩვეულება მდგომარეობს აი რაში: ერთი რომელიმე პატიოსანი ოჯახი იყვანს გასაზრდელათ ღარიბი ოჯახის შვილს, უფრო ხშირათ ქალს. ეს ქალი ამ ოჯახში რჩება სრულ წლოვანებამდინ. გათხოვების დროს ამ ქალის საქმრო ვალდებულია მასწავლებელს მისცეს საოსტატო. ამ სახით ყველა თვალსაჩენი ოჯახი იყო სკოლა. სადაც იზრდებოდნენ ღარიბი და ხშირად შეძლებული ხალხის ქალები.“ არქეოლოგების, ისტორიკოსთა და ენათმეცნიერთა კვლევებმა დაადასტურეს (და მომავალშიც ალბათ ბევრი აღმოჩენები გაკეთდება ამ კუთხით), რომ მართალია რაჟდენ ჯაჯანაშვილის სიტყვები:

„სხვა არა იყოს რა, ეს ამოდენი ისტორიული ნაშთენები, რომლის რიცხვი ჯერაც არ არის გამოკვლეული და რომლების გამოკვლევა ელის მეცნიერებით აღჭურვილ ისტორიკოსებს, ეს მშვენიერი შენობები, ეკლესიები, სიმაგრეები, არხები, ყველა ეს არ გვიმტკიცებს ჩვენი ხალხის გონების სიმაღლეს? როგორ შეეძლო გონებით დაცემულ ხალხს აღეზარდა იმისთანა პირები როგორიც იყვნენ თამარ დედოფალი, შოთა რუსთაველი, დავით აღმაშენებელი, ერეკლე მეორე, მოსე ხონელი, შავთელი, ჩარხუხაძე და სხვ.“ [3].

ობიექტურად აფასებს რაჟდენ ჯაჯანაშვილი ომების უარყოფით გავლენას ერის წინსვლის და განათლების საქმეში. ცხადია, ომს ჭირდება არა მარტო დიდი მატერიალური რესურსი, ნადგურდება შენობა-ნაგებობები, არამედ ომის დროს იღუპება უამრავი ადამიანი, მათ შორის მასწავლებლებიც და სასულიერო პირნიც. ეს კი ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, ძალზედ მძიმეა, მაგრამ საქართველომ საუკუნეების განმავლობაში შეძლო დაეცვა მართლმადიდებლობა, თავისი გვარტომობა და არ დამორჩილდა არცერთ ხალხს, მიუთითებს თუ რა გონებით სიმაღლეზე იდგა ქართველი ხალხი თავისუფლების დროს.

რაჟდენ ჯაჯანაშვილს მიაჩნია, რომ მარტო ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება საკმარისი არ არის ნორმალური განათლების მისაღებად, თუ მას თან არ სდევს მოსახლეობის განსაკუთრებული ცხოვრების წესის გათვალისწინება. ამ წესების გაუთვალისწინებლობა იწვევდა ადგილობრივი მოსახლეობის იძულებით მიგრაციას სხვა სახელმწიფოებში.

როცა ავტორი ამ სტატიაში საუბრობს ბათუმისა და ყარსის მაზრების შესახებ, ჩვენის აზრით ალეგორიულად საქართველოს გულისხმობს, იმიტომ, რომ ბათუმისა და ყარსის მაზრებში მაცხოვრებლები ქართულად მეტყველებდნენ და საუბარი იმაზე, რომ „ჩვენ ყურადღება არ მივაქციეთ იმათ ენას, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ათასი წლობით; ჩვენ ვუბრძანეთ დაეკეტნათ იმათ თავიანთი სკოლები.“ გულისხმობს რუსების მიერ ქართველებისათვის იგივე საქციელის ჩადენას, რასაც რაჟდენ ჯაჯანაშვილი ამ სიტყვებით თავის თავს და ქართველებს აბრალებს. „22 ეკენისთვეს 1802 წ. დაარსდა თბილისში სასწავლებელი 25 მოწაფისათვის, ეხლანდელი გიმნაზია, რომელიც კარგა ხანი ფრიად საცოდავ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ დროდთგან იწყება ჩვენი ხალხის სწავლა რუსეთის კანონ-მდებლობის ხასიათზედ. მაგრამ, საუბედუროთ, მაშინ ჩვენში მოხდა რაც ეხლა ხდება ჩვენ ახლად შემოერთებულ ბათუმისა და ყარსის მაზრებში. რა არის მიზეზი იმ სამწუხარო მოვლენისა, რომ ეს ხალხი სტოვებს თავის სამშობლო ქვეყანას და მიდის მოუსავლეთში? მიზეზი იყო ჩვენი სურვილი, რომ ერთი კალმის მოსმით დაგვევიწყებინა ხალხისათვის ყველა ის, რაც შეუძენიათ ათასის წლის განსაკუთრებულ ცხოვრებით. ჩვენ ეხლავე მოვინდომეთ მოგვეშორებინა ხალხისთვის ყველაფერი რაც მისთვის ძვირფასია და სასურველია. ჩვენ შეურაცხავით იმათი ჩვეულებანი, რომლებიც გადმოცემული ჰქონდათ მამა-პაპიდან, ჩვენ ყურადღება არ მივაქციეთ იმათ ენას, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ათასი წლობით; ჩვენ ვუბრძანეთ დაეკეტნათ იმათ თავიანთი სკოლები.

გავა ოციოდ წელიწადი, გამოჩნდება რომელიმე პოლიტიკოსი პედაგოგი და საქვეყნოდ დაიწყებს ქადაგებას, რომ როდესაც ჩვენ დავიპყარით ის ქვეყანა, იქ მაშინ არც ერთი სკოლა არ იყო: ეხლა კი ნახეთ რა რა ბიჭები ვართ, რამდენი სკოლა

დავხსენითო! ამ სკოლებს როგორც გარეწარ დაწესებებს, ხალხთან საერთო არა აქვთ-რა და საკვირველიც არ იქნება თუ ეს სკოლები დიდი ხანი ცარიელები დარჩნენ. ჩვენ არა გვაქვს არავითარი უფლება ხალხი გავამტყუნოთ.“ [3].

ჩვენი აზრით ეს იყო მიზეზი იმისა, რომ 1882 წლის 6 იანვრის სხდომაზე რაჟდენ ჯაჯანაშვილმა, ნ.ხუდადოვმა და გ.გულისაშვილმა დასვეს საკითხი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის კრებაზე დახურულიყო ამ საზოგადოების მიერ 1881 წლის 23 მარტს გახსნილი სკოლა ქალაქ ბათუმში, რადგან მას რელიგიური მოსაზრებებით მაჰმადიანი ბავშვები გაურბოდნენ. ილია ჭავჭავაძის, პ. უმიკაშვილის, მ. ჯანაშვილის და ნ. ცხედაძის დაჟინებული მოთხოვნით გადაწყდა სკოლის დატოვება და მისთვის დახმარების გაძლიერება. [4, გვ. 220], [5, გვ. 2-6].

აგრძელებს რა ისტორიულ მიმოხილვას რაჟდენ ჯაჯანაშვილი, აღნიშნავს, რომ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში „მასწავლებლებათ დანიშნული იყო ისეთი ხალხი, რომ მთავრობა ხშირად იძულებული იყო დაემწყვდია ესენი ცალკე ოთახში და ყარაულები დაეყენებინათ, რომ სასმელები არავის მიეტანა-რა იმათთვის.

ასეთები იყვნენ ჩვენი პირველი რუსეთიდან ჩამოსული მასწავლებლები.“[3].

საარქივო მასალებით და იმდროინდელი პრესის საშუალებით ჩვენ ვერ მოვახერხეთ ამ ფაქტების მიკვლევა, მაგრამ როგორც ჩანს ეს ცნობილი ამბები იყო. ამიტომ ასე ღიად წერდა ამ შემადრწუნებელ ფაქტებზე და ასე დაუნდობლად ამთრახებდა ლოთ და უზნეო რუსეთიდან ჩამოსულ (რუს) მასწავლებლებს რაჟდენ ჯაჯანაშვილი.

რაჟდენ ჯაჯანაშვილი თვლის, რომ მარტო ქვეყნის თავისუფლება საკმარისი არ არის სწავლა განათლების მისაღებად. საჭიროა საზოგადოების ყველა წევრის, ინდივიდის პიროვნული განთავისუფლება, საჭიროა ხალხის განათლება და ამაღლება იმ დონემდე, რომ მათ შესძლებოდათ თავისუფლების შეთვისება და დაფასება. მის ფიზიკურ გონებას ყურადღების გარეშე არ დარჩენია ე.წ. „ახლადგამომცხვარი მასწავლებლების“ მოღვაწეობის დაწყების კეთილი სურვილები და პრაქტიკულად განუხორციელებელი იდეები, რომელმაც თითქმის კრაზამდე მიიყვანა რუსეთის იმპერიის სახალხო განათლება:

„მასწავლებლები გამოჩნდნენ-ესენი იყვნენ ის ახალგაზრდობა, რომელიც, როგორც მანანას, ისე ელოდნენ გლეხების განთავისუფლებას. ამ ახალგაზრდობას უყვარდა ხალხი და სურდა იმისთვის ეშრომა. მაგრამ საუბედუროთ, ეს გატაცებული მასწავლებლები დიდი ხანი ვერ დარჩნენ სოფლებში, იმიტომ რომ ვერ იცნობდნენ ხალხს, და მაშასადამე არც უყვარდათ იგი. იმათ უყვარდათ ის ხალხი, რომელიც თავში, ოცნებაში ჰყვანდათ გამოსახული, და რომელიც სრულიად არ წაგავდა იმ ნამდვილ, ცოცხალ ხალხს, რომელთანაც იმათ ჰქონდათ საქმე; ამიტომაც ეს ახლადგამომცხვარი მასწავლებლები იძულებული გახდნენ თავი დაენებებინათ ამ საქმისათვის. მომეტებული ნაწილი სკოლებისა დაიკეტა.“ [3].

ზოგიერთი ჭირის მარგებლობისდაგვარად მოხდა რუსეთის იმპერიაშიც, კერძოდ ჯეროვანი მთავრობა მიხვდა, რომ სპეციალურად მომზადებული მასწავლებლების არყოლა იყო მთავარი მიზეზი განათლების დაბალი დონისა და უმეცრებისა, რასაც მოყვა შესაბამისი რეაქციები, კერძოდ რუსეთის იმპერიაში და როგორც მის შემადგენელ ნაწილში საქართველოშიც იხსნება საოსტატო სემინარიების და სამასწავლებლო ინსტიტუტების დაარსება, რომლის კურსდამთავრებულებმაც შემდგომში დიდი როლი შეასრულეს რუსეთის იმპერიაში და საქართველოშიც სწავლა-განათლების საკითხების გადაწყვეტაში. ეს მართლაც პროგრესული ნაბიჯი იყო სწავლა-აღზრდის წინსვლის საქმეში: „მარტო ეხლა მიხვდა მთავრობა, რომ სკოლების წარმატებისათვის ყოვლის უწინარეს საჭირო არიან კარგათ მომზადებული მასწავლებლები. ამ დროს იწყება საოსტატო სემინარიების და ინსტიტუტების დაარსება, და იმ დროსვე, ე.ი. 1865 წ. ჩვენშიაც დაარსდა საოსტატო სემინარია, რომელიც გადაკეთებული იყო ინსტიტუტად 1872 წ. შემდეგ გაიხსნა ყუბანის და გორის საოსტატო სემინარიები და ეხლა, როგორც მოგეხსენებათ, არსდება საოსტატო სემინარია ქუთაისის გუბერნიაში, დ. ხონში. ამ მასწავლებლების დაარსებიდან იწყება ახალი ხანა ჩვენი სკოლებისა.“ [3].

მაგრამ მარტო ასეთი სასწავლებლების გახსნა საკმარისი არ იყო ღირსეული სახალხო მასწავლებლების მოსამზადებლად. საჭირო იყო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სასწავლებლებისათვის, საჭირო სახელმძღვანელოები, სასწავლო პროგრამები და სხვ. თუ როგორ აკმაყოფილებდნენ ამ მოთხოვნებს ეს სასწავლებლები ჩვენ ძირითადად პირველ თავში ვისაუბრეთ, მაგრამ აქ მოკლედ შევეხოთ, თუ როგორ აფასებს რაჟდენ ჯაჯანაშვილი თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის სასწავლო პროგრამებს.

რაჟდენ ჯაჯანაშვილმა სხვა სასწავლებლებთან ერთად მკაცრად გააკრიტიკა თბილისის მასწავლებელთა ინსტიტუტი და ამ ინსტიტუტში მიღებული სწავლების მეთოდი. ის მიუთითებდა, რომ თანამედროვე პედაგოგიურ სასწავლებლებში ბევრი დრო იხარჯება ისეთი საგნების შესწავლაზე, რომლებიც, თუმცა საჭირონი არიან, მაგრამ არა აუცილებელი მასწავლებლისათვის (მაგალითად, ხელოსნობა, მეზღვაობა, წიგნების აკინძვა და სხვ.). იგი მოითხოვდა-გაედიდებინათ სწავლების ვადა პედაგოგიური სასწავლებლებსა და ინსტიტუტში, რათა გაცილებით მეტი დრო დათმობოდა სპეციალური საგნების შესწავლას, კერძოდ პედაგოგიკის თეორიასა და პრაქტიკას, აღზრდის ისტორიასა და თანამედროვე მდგომარეობას. წერილში „კიდევ ცოტა რამ პედაგოგიიდან“ რაჟდენ ჯაჯანაშვილი მოითხოვს, რომ მომავალმა მასწავლებელმა „წაიკითხონ და გაარჩიონ პედაგოგიური თხზულებანი“, შეისწავლონ ჩვენი ენა, ისტორია, გეოგრაფია და სხვ. ამავე დროს, რაჟდენ ჯაჯანაშვილს კარგად ესმოდა ისიც, რომ ოფიციალურ დაწესებულებაში მიღებული სწავლა-განათლება, როგორი ხარისხისაც არ უნდა იყოს იგი, მაინც არ არის საკმარისი. საჭიროა პედაგოგები სისტემატურად გაეცნონ მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის ახალ მიღწევებს, არ ჩამორჩენ ცხოვრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვერ შეძლებენ ახალი თაობის საფუძვლიან მომზადებას.

რაჟდენ ჯაჯანაშვილს კარგად ჰქონდა შეგნებული პედაგოგის მოვალეობის უდიდესი დანიშნულება. იგი სწავლა-განათლების საქმეს უყურებდა, როგორც მეტად რთულ და სერიოზულ საკითხს, მაგრამ მასწავლებელმა რომ შეძლოს თავისი უაღრესად პასუხსაგები მოვალეობის პირნათლად შესრულება, საჭიროა, რომ იგი იყოს ყოველმხრივ განათლებული და მომზადებული, დაუფლებული მეცნიერულ ცოდნას. ამიტომ რაჟდენ ჯაჯანაშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა მასწავლებელთა კადრების მომზადების საკითხს. იგი აღნიშნავდა, რომ არსებული პედაგოგიური სასწავლებლები ვერ უზრუნველყოფენ პედაგოგების მომზადების საქმეს.

რაჟდენ ჯაჯანაშვილის ფხიზელ თვალს ყურადღებიდან არ გამოპარვია ის გარემოება, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი ნაკლებად ზრუნავდა თავის ცოდნის ამაღლებაზე. რაც შეეხება თვითონ რაჟდენ ჯაჯანაშვილს, იგი არა მარტო სტატიებით, არამედ თავისი ყოველდღიური საქმიანობითაც ყველას იმის საუკეთესო მაგალითს აძლევდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სახალხო მასწავლებელი. რაჟდენ ჯაჯანაშვილი არ იყო შემოფარგლული რომელიმე ვიწრო სპეციალობის ჩარჩოებით. იგი თანაბრად ერკვეოდა როგორც მათემატიკისა და პედაგოგიკის, ისე ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიისა და პოლიტიკის საკითხებში.

რაჟდენ ჯაჯანაშვილი ცდილობდა მთელი თავისი უნარი და შესაძლებლობა ხალხის სასარგებლოდ გამოეყენებინა. გამოცემდა სასკოლო სახელმძღვანელოებს, აქვეყნებდა სტატიებს, რომელშიაც დაუფარავად ამხელდა სასკოლო ქსელის და მასწავლებელთა მომზადებაში არსებულ ნაკლოვანებებს და იბრძოდა მათი გამოსწორებისათვის, მოუწოდებდა საზოგადოებას, ვისაც კი შეეძლო ამ კუთხით რაიმე სარგებლობა მოეტანა საზოგადო საქმისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯაჯანაშვილი რ. „ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების სკოლებზე“, გაზეთი „დროება“, 1881 წ., №67.
2. ჯაჯანაშვილი რ. „პედაგოგიურ ჟურნალზე“, გაზეთი „დროება“, 1881 წ., №74.
3. ჯაჯანაშვილი რ. „ცოტა რამ პედაგოგიიდან“, გაზეთი „დროება“, 1881 წ., №79.

4. გაგუა ვ.-სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1974 წელი.

5. გაზეთი „დროება“, 1882 წელი, №126. (ბათუმის სკოლის დახურვა, რაჟდენ ჯაჯანაშვილის ქმწკვს წევრად არჩევა)

Tamar Dograshvili

Akaki Tsereteli State University, Kutaisi

Razhden Jajanashvili about the Tsarism Educational System

Abstract

The article discusses the articles and researches which are published in periodical press by the famous teacher and textbook author Razhden Jajanashvili, where the author considers the school network created by Tsarism in Georgia after joining with Russia, reveals its faulty sides and establishes recommendations for its remediation. He draws special attention to the problem of teacher training. Based on the analysis of the history of Georgia, he developed an original concept in which the teacher's preparation is considered on national grounds and envisages consideration of the local population's customs. It attributes a special role to religion and believes that Georgia has been able to preserve national values, traditions, and culture by the help of religion, unlike other religions, Christianity is a progressive one and Orthodox people deserve a different approach and need a different educational system. In the history of Georgian pedagogy, this idea was first expressed by him, which speaks of its deep religious education and love of faith and motherland. Razhden Jajanashvili's personal example was great, he tried to use all his abilities and opportunity for the benefit of the people. He published school textbooks and articles in which he blamed the lack of school network and teacher.

საკვანძო სიტყვები: რაჟდენ ჯაჯანაშვილი, ცარიზმი, ცარიზმის საგანმანათლებლო სისტემა, რუსეთი, ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა

Key Words: Rajden Jajanashvili, Tsarism, Tsarism Educational System, Russia, Christianity, Orthodox

გუგული დუმბაძე

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი

სამრეწველო საწარმოები, როგორც ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებლები ქალაქ ბათუმში

თემის აქტუალობა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული, ტექნიკური პროგრესის შესაბამისად, გარემოში ანთროპოგენური გზით გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება. ზოგიერთი დამაბინძურებლის კონცენტრაცია ხშირად აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

XX საუკუნეში დღის წესრიგში დადგა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებიდან გარემოს დამაბინძურების რეგულირება, რათა მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია წყალში, ჰაერსა და ნიადაგში ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საქმიანობისთვის საშიში არ ყოფილიყო.

მეორე მსოფლიო ომამდე გლობალური მასშტაბით ელექტროენერგიის გამომუშავების, წარმოებისა და საყოფაცხოვრებო გათბობისთვის ენერგიის ძირითად წყაროს ნახშირი

წარმოადგენდა. იმ პერიოდში პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა აირგამწმენდი, მტვერ- და მჭვარტლდამჭერი დანადგარები, რაც განაპირობებდა ატმოსფერული ჰაერის მაღალ დაბინძურებას ჭვარტლით, მტვრით, გოგირდის ანჰიდრიდითა (გოგირდის დიოქსიდი) და აზოტის ოქსიდებით. ჰაერის დაბინძურება საგანგაშო მასშტაბებს აღწევდა მსხვილ ქალაქებში (კორძაძეა..., 2012).

დღეისათვის აჭარის რეგიონში მთლიანად მოქმედებს 500-მდე სამრეწველო ობიექტი. მათგან, 300-მდე სტაციონალური წყარო იწვევს მცირე ხარისხით ატმოსფეროს დაბინძურებას, ხოლო 115 საწარმო კი ჰაერის შედარებით მსხვილი დამაბინძურებელია.

აქედან გამომდინარე, ქ. ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაში სამრეწველო საწარმოების როლის განსაზღვრა მეტად აქტუალურია. ამ მიმართულებით აღნიშნულ ქალაქში კვლევა საერთოდ არ ჩატარებულა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანს წარმოადგენდა, ქ. ბათუმში არსებული შედარებით მსხვილი სამრეწველო საწარმოებიდან, 2010-2015 წლებში ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის დინამიკის დადგენა; მიმდინარე პერიოდში, დამაბინძურებელი სტაციონალური წყაროების მიმდებარე ტერიტორიაზე, ატმოსფეროს ფონური დაბინძურების მდგომარეობის გამოკვლევა.

კვლევის ამოცანები: 2010-2015 წლებში ქ. ბათუმში მოქმედი საწარმოებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ანგარიშების დამუშავება, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის დინამიკის დადგენა; მსხვილი სტაციონალური წყაროების მიმდებარე ტერიტორიებზე ატმოსფერული ჰაერის სინჯის აღება და ანალიზი, მასში მავნე ნივთიერებების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების დადგენა.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ქ. ბათუმში მოქმედი 115 მცირე, საშუალო და მსხვილი სამრეწველო საწარმო, რომლებიც გარკვეული ხარისხით განაპირობებენ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას.

კვლევის მეთოდები. საქართველოში სათანადო ანალიზური ბაზის და ჰაერის დაბინძურებაზე სრულყოფილი მონიტორინგის სისტემის უქონლობის გამო, რთულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შეფასება. ასევე რთულია სტაციონარული წყაროებიდან გაფრქვევების შესახებ ზუსტი ინფორმაციის მოპოვება, რადგან საქართველოში გაფრქვევის შესაბამისი ინსტრუმენტული გაზომვები არათუ ყველა წყაროზე, არამედ მსხვილ ობიექტებზეც კი არ ხორციელდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მავნე ნივთიერებათა ჯამური ემისიების დასადგენად, კვლევისთვის გამოყენებულ იქნა გაფრქვევების გაანგარიშებითი მეთოდი, რომელიც საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებებს ეფუძნება (საწარმოს სიმძლავრე, გამოყენებული ნედლეული, მოხმარებული საწვავი და აირმტვერდამჭერი საშუალებების ეფექტურობა) და მთელ მსოფლიოში ფართოდ გამოიყენება.

ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შესახებ მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური ანალიზის მეთოდებით (Доспехов, 1985); შეჯამდა და გაანალიზდა ქ. ბათუმში ატმოსფერული ჰაერის ძირითად დამაბინძურებელ საწარმოთა მიერ 2010-2015 წლებში, სულ გამოყოფილი, ჰაერის გამწმენდ ნაგებობაში მოხვედრილი და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების (მტვერი, აზოტისა და გოგირდის ოქსიდები, ოზონი, ტყვია, ნახშირბადის მონოოქსიდი) მაჩვენებლები.

ქ. ბათუმის სხვადასხვა ტერიტორიაზე (ადღია, სამრეწველო ზონა, ბულვარი, ლუდის ქარხნის სიახლოვეს), ჰაერის დაბინძურების ფონური მაჩვენებლების შემოწმება განხორციელდა მავნე ნივთიერებათა შემცველობის გამზომი, პორტატული აპარატით; ჰაერში აზოტის დიოქსიდის (NO₂) რაოდენობა განისაზღვრა გაზოანალიზატორის - OKA-T-ს საშუალებით. გაზოანალიზატორის - OKA-MT საშუალებით გაიზომა გარემოში ნახშირწყალბადების ჯგუფისა (CnHm) და გოგირდწყალბადის - H₂S რაოდენობა.

გარემოში ნახშირბადის მონოოქსიდისა (CO) და გოგირდის დიოქსიდის (SO₂) რაოდენობა განისაზღვრა გაზოანალიზატორ AHKAT-7664-ის საშუალებით.

მიმოხილვა. საქართველოში და, მათ შორის ქ. ბათუმში, 90-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, არსებული მსხვილი ან საშუალო და მცირე სამრეწველო საწარმოები დაიხურა ან გაჩერდა. ასეთი იყო: ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა (დღეს მის ნაცვლად მოქმედი შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“, მანქანათმშენებელი და გემთმშენებელი ქარხნები, ტყავის დამამუშავებელი კომბინატი, ციტრუსკომბინატი, ხის დამამუშავებელი კომბინატი, თამბაქოს ფაბრიკა, ფეხსაცმელების ფაბრიკა, საკონდიტრო ფაბრიკა, ელექტრომექანიკური, ხორცკომბინატი, საზღვაო სანაოსნო, ჩაის ფაბრიკები, სამშენებლო ობიექტები და მრავალი სხვა. საწარმოთა დახურვის შედეგად საქართველოში, ატმოსფერული ჰაერის ხარისხი მკვეთრად გაუმჯობესდა.

2004 წლიდან მნიშვნელოვნად დაჩქარდა რეგიონის ეკონომიკის განვითარება. სწრაფი ტემპით დაიწყო მისი რეაბილიტაცია და ინტეგრაცია, როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ისე გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში.

2005-2016 წლებში ძველი, უმოქმედო ან დაბალრენტაბელური სამრეწველო საწარმოების პრივატიზების შედეგად შეიქმნა და ამუშავდა თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი საწარმოები, რომელთა რაოდენობა დღეისათვის 500-ს აღწევს. მათგან 300-მდე სტაციონალური წყარო იწვევს გარკვეული ხარისხით ატმოსფეროს დაბინძურებას.

დღევანდელი ბათუმის ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების ყველაზე დიდი წყარო შპს „ბათუმის ნავთობტერმინალია“ (G. Dumbadze, 2016), ზეთის საწარმო - შპს „ბათილი“ (2014 წლიდან გაჩერებულია აირგამწმენდი დანადგარის არარსებობის გამო), ბათუმის ნავსადგური, მათთან ერთად, ბათუმის სამრეწველო ზონაში გაშენებული მცირე და საშუალო ზომის, სხვადასხვა სახის სამრეწველო საწარმოები, როგორიცაა ასფალტის, სამშენებლო მასალების, პლასტმასების, საკვების, ჩაის, ყავის და ა.შ. საწარმოები, წისქვილკომბინატები, ამას ემატება ახლად გაჩაღებული მშენებლობების ფართო ქსელი და გზების მოპირკეთება (ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვანი წყარო) და მრავალი სხვა.

კვლევის შედეგები. ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შესახებ შეჯამებულია 115 მოქმედი საწარმოს მიმართ, რომელთა მეშვეობითაც შეფასებულია საერთოდ ძალაქში დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რაოდენობრივი მდგომარეობა.


მიღებული მასალის გადამუშავების, ანალიზისა და განზოგადოების საფუძველზე, ცხრილში წარმოდგენილია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების როგორც საერთო მაჩვენებლები, ასევე ცალკეული შემადგენელი კომპონენტების გათვალისწინებით.

2010-15 წლებში ყველაზე მეტი რაოდენობით გაფრქვევა მოხდა 2013 /2014 წლებში (ნახატი 1), საკაერო აუზში გაიფრქვა გამოყოფილი გაფრქვევის თითქმის მთელი ნაწილი, ხოლო აირ-მტვერდამჭერ დანადგარებში მოხვედრილია უმნიშვნელო რაოდენობა 3013 წ. – 1566 ტონა, ხოლო 2014 წელს კი -ს 888, 7 ტ. 2015 წელს დაფიქსირდა მავნე ნივთიერებათა შედარებითი კლება. ჩვენი აზრით, ეს გამოწვეული უნდა იყოს ზეთის დამამზადებელი ქარხნის შპს „ბათილის“ გაჩერებით, რაც მნიშვნელოვან დამაბინძურებელს წარმოადგენდა.

ცხრილი 1. ქ. ბათუმში 2010-2015 წლებში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, გაწმენდა, უტილიზება. ტ/წელი. საწარმოთა რაოდენობა 115.

წელი	სულ გამოყოფილი, ტ	საკაერო აუზში	მათ შორის		აირადი და თხევადი ინგრედიენტებიდან				მტვერ დამჭერთ
			მყარი	თხევადი და აირადი	SO ₂	NO _x	ნახშირ წყალბადი	CO	CO ₂

2015	2014	2013	2012	2011	2010
28941	31306	32420	27004	28941	19599
27071	30417	30854	25792	27071	17330
286,1	116,3	158	245,2	286,1	259,7
26785	30301	30696	25547	26785	17001
75,2	23	45	24,6	75,2	65,2
55,0	43,7	50,8	39,8	55,0	31,6
1930	1311,5	1556	1887	1930	1696
126,2	55,7	146,3	117,8	126,2	107,6
24556	28584	28885	23463	24556	14958
1870	888,7	1566	1212	1870	2228,4



ნახ.1. სტაციონალური წყაროებიდან გამოყოფილი მავნე ნივთიერება, ტ. 2010-2015წწ.

მტვერდამჭერ დანადგარებში დაჭერილი მავნე ნივთიერებების რაოდენობა ცვალებადია წლების მიხედვით, რაც დაკავშირებული უნდა იყოს პერიოდულად სტაციონალურ წყაროებში აირ-მტვერდამჭერი დანადგარების მწყობრიდან გამოსვლით, ან კიდევ, ახალ საწარმოთა გახსნით.

საკვლევ პერიოდში ატმოსფეროში გამოყოფილ მყარ ნივთიერებათა რაოდენობა 2015 წლამდე მცირდებოდა. 2015 წელს მისი რაოდენობის მკვეთრი ზრდა გამოწვეულია ასფალტის ოთხი ქარხნის ამუშავებით, რომელთა მიერ გამოიყოფა დიდი რაოდენობით ჭვარტლი. დღეისათვის ისინი ქვანახშირის ნაცვლად იყენებენ ბუნებრივ გაზს, რაც გააუმჯობესებს ატმოსფეროს ფონურ მდგომარეობას. საქართველოში გაფრქვეულ თხევად და აირად ნივთიერებათა რაოდენობებში მნიშვნელოვანი რყევა არ შეინიშნება.

ცვალებადობს გაფრქვეული გოგირდის ანჰიდრიდის რაოდენობა, ის განსაკუთრებით მცირეა 2012-2014 წლებში, ხოლო იზრდება 2015 წელს, რაც ჩვენი აზრით დაკავშირებული უნდა იყოს ასევე ასფალტის ქარხნებში საწვავად გამოყენებულ ქვანახშირზე, რაც დიდი რაოდენობით გოგირდის შემცველია.

2016 წელს სამრეწველო საწარმოთა მიმდებარე ტერიტორიებზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კვლევით დადგინდა, რომ ბათუმის „სამრეწველო ზონის“ საკვლევ ტერიტორიაზე გოგირდწყალბადის დონე 25-ჯერ აღემატებოდა ზღვრულად დაშვებულ კონცენტრაციას და შეადგენდა 0,2 მგ/მ³-ს (ზდკ - 0,008 მგ/მ³).

დასკვნა. 2010-2015 წლებში ქ. ბათუმში არსებულ და მოქმედ დაბინძურების 115 სტაციონალური წყაროდან გაფრქვეულ, გამწმენდ ნაგებობებში დაჭერილ და საჰაერო აუზში გაშვებულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა ცვალებადია.

ყველაზე მეტი რაოდენობით მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა დაფიქსირდა 2013 -2014 წლებში (32 420 და 31 305,6 ტ). მათგან, საჰაერო აუზში გაიფრქვა გამოყოფილი გაფრქვევის თითქმის მთელი ნაწილი, ხოლო აირ-მტვერდამჭერი დანადგარებში მოხვდა უმნიშვნელო რაოდენობა. 2015 წელს დაფიქსირდა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შედარებითი კლება.

2016 წ-ს ბათუმის სამრეწველო ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე გოგირდწყალბადის დონე 25-ჯერ აღემატებოდა ზღვრულად დაშვებულ კონცენტრაციას (0,2 მგ/მ³, ზდკ - 0,008 მგ/მ³).

მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ცვალებადობა (ჰარბი გაშვება ან კლება), სავარაუდოდ დაკავშირებული უნდა იყოს აირ-მტვერდამჭერი აპარატების მწყობრიდან გამოსვლასთან, ახალ საწარმოთა გახსნასთან, გამოყენებული ენერგიის წყაროსთან ან კიდევ, ცალკეულ საწარმოთა გაერებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კორძაძე ქ. საქართველოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის შესწავლა და მისი დაბინძურებისგან დაცვის ზოგიერთი მეთოდი. ეკოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. თბ., 2012. -133 გვ.
2. Доспехов Б.А. Методика полевого опыта. Издательство: Агропромиздат, 1985.
3. Dumbadze G. The State of Pollution of Batumi Black Sea Coastline with Oil and Oil Products in 2006-2014.//Proceeding ICAE-2015. PP. 254-257. ISBN 978-9941-0-7644-2. Tbilisi-2015. <http://isae-2015.tsu.ge>

Guguli Dumbadze

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Tbilisi

Economic Sectors as a Source of Ambient Air Pollution in Batumi

Abstract

Ambient air pollution has become an actual problem with Industrial development over the world. Amount of harmful exhausts in the atmosphere increases as a result of technological progress and the concentrations of certain components significantly exceed their permissible thresholds.

In presented research was made the statistical analysis (2010-2015) which revealed the dynamics of harmful substances, from the main economic sectors of the Batumi. Also, was made ambient air sampling analysis outside of the Emission Source.

It is estimated that within the study period, more harmful substances were exhausted in 2013 and 2014, compared with 2015. The concentration of some harmful substances varied by years. Outside of the Emission Source was revealed that the amount of hydrogen sulphide is 25 times higher than the maximum permissible level.

საკვანძო სიტყვები: სამრეწველო საწარმო; დამაბინძურებელი; ატმოსფერული ჰაერი; დაბინძურება

Key Words: Economic sectors; Pollutant; Ambient air; Pollution

ყურძნისეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატის პროანტოციანიდინები

ჩატარებულია რქაწითელის ჯიშის ყურძნიდან დამზადებული ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატის (ბად) ფენოლური ნაერთების - ოლიგომერული და პოლიმერული პროანტოციანიდინების კვლევა. გამოვლენილია პროანტოციანიდინების დიდი რაოდენობით შემცველობა. მაღალი კონცენტრაციით ლოკალიზებული ოლიგომერული და პოლიმერული პროანტოციანიდინები წარმოადგენს ბად-ის სხვადასხვა მიმართულების მაღალი ბიოლოგიური აქტივობის წინაპირობას და შესაბამისად განაპირობებენ მის ფუნქციურ დანიშნულებას სამკურნალო-პროფილაქტიკური და პრევენციული თვალსაზრისით.

თანამედროვე ცხოვრების სპეციფიკიდან გამომდინარე, დღევანდელ დღეს დიდი ყურადღება ეთმობა ბუნებრივი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების შემცველი კვებითი დანამატების (ბად) ტექნოლოგიების შემუშავებას და წარმოებაში დანერგვას. ამის ნათელი დადასტურებაა მრავალი ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატის არსებობა, რომელიც იწარმოება ყურძნისეული წარმოშობის ექსტრაქტებისგან. ყურძნისეული ექსტრაქტები მდიდარია პოლიფენოლების ფართო სპექტრით, რაც განაპირობებს მათ მაღალ ანტიოქსიდანტობას. ფენოლური ნაერთები, თავისი მოქმედებით 20-50-ჯერ აჭარბებს C და E ვიტამინის ანტიოქსიდანტურ აქტივობას. სწორედ ამის გამო, პოლიფენოლები მიჩნეულია ათწლეულის ყველაზე მნიშვნელოვან და საჭირო ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებად.

რქაწითელის ჯიშის ყურძენი და შესაბამისად ნარჩენი (კლერტი, ჭაჭა, წიპწა), მდიდარია ბუნებრივი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბად-ის ტექნოლოგიის შემუშავება ყურძნის სხვადასხვა ნაწილების გამოყენებით, სადაც ლოკალიზებულია ფენოლურ ნაერთთა მთელი სპექტრი და აქვს კომპლექსური ბიოლოგიური აქტივობა, წარმოადგენს XXI საუკუნის კვლევის აქტუალურ მიმართულებას.

ყურძნისეული წარმოშობის ბად-ების პოპულარობას ხელს უწყობს მათი ფარმაცოლოგიური აქტივობა და გამოხატული კლინიკური ეფექტი. ყურძნის სამკურნალო-პროფილაქტიკური მნიშვნელობა აიხსნება მასში შემავალი ფენოლური ნივთიერებების მაღალი შემცველობით, რომლებიც წარმოადგენილია: პროანტოციანიდინებით (ოლიგომერული, პოლიმერული), კატექინებით, ფლავონოლებით, ანტოციანინებით, ფენოლმჟავებით და სხვ. სახით. ეს ნივთიერებები ხასიათდებიან სხვადასხვა მიმართულების მაღალი ბიოლოგიური აქტივობით და შესაბამისად სამკურნალო-პროფილაქტიკური მოქმედებით.

ყოველივე ამის საფუძველზე შემუშავებულია ყურძნისეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების ტექნოლოგიები. მაგალითად, ჩვენს მიერ შემუშავებული ბად-ი „Georgian Vitae rimas XXI“, რომლის მრავალფეროვანი და მდიდარი ფენოლური სპექტრი წარმოადგენილია სტილბენოიდების, კატექინების, პროანტოციანიდინების, ფენოლკარბონმჟავების სახით, წარმოადგენს სხვადასხვა დაავადების პრევენციის და პროფილაქტიკის საიმედო და რეალურ წყაროს,

რომელიც ასევე, საკვებში მრავალი სასიცოცხლო და ფუნქციური დანიშნულების ნივთიერებების და ელემენტების დეფიციტის შევსების საშუალებასაც იძლევა (ლალი ელანიძე და სხვ., 2013) [10]. კვლევებით დადგენილია, რომ პროანტოციანიდინების ხანმოკლე მიღებაც კი გამაჯანსაღებლად მოქმედებს სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონირებაზე. პროანტოციანიდინების მოქმედების ეფექტი გულისხმობს სისხლძარღვების გაფართოებას, ტრომბოციტების აგრეგაციის შემცირებას, დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დაქვეითებას და მათი მგრძნობელობის შემცირებას დაჟანგვისადმი, რომელიც ანთებით პროცესებთან არის დაკავშირებული. პროანტოციანიდინებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ონკოლოგიური დაავადებების დროს მიმდინარე პროცესებზე (KuhnauJ., 1976) [5].

მეცნიერთა მიერ (Zhao M., et all., 2007) [8] დადგენილია პროციანიდინ B4-ის დამამუხრუჭებელი მოქმედება მკერდის კიბოს ზრდა-განვითარებაზე. სამედიცინო კვლევების საფუძველზე დადგენილია პროანტოციანიდინების გავლენა იმუნურ სისტემაზე (MaoT., et all., 2000ა, 2000ბ, 2002ა)[6]. ჩო და თანაავტორთა მიერ (Cho KJ., et all., 2001) [1], უჯრედულ დონეზე დამტკიცებული იქნა პროანტოციანიდინების შემცველი ბად-ის „Pycnogenol“-ის მახლოკირებელი აქტივობა NF-JB - ის (ნეკროზისფაქტორის) დაპროტეინ - 1-ისაქტივატორის (AP-1) მიმართ.

დადგენილია ოლიგომერული პროანტოციანიდინების ანტიოქსიდანტური, ანტიბაქტერიული, ანტივირუსული, ანტისიმისივური, ანტიანთებითი და ანტიალერგიული მოქმედება. პროანტოციანიდინებს შესწევთ სისხლძარღვების გაფართოების, ლიპიდური ზეჟანგური დაჟანგვის ინჰიბირების, კაპილარების გამტარებლობის გაზრდის უნარი (Fine A.M., 2000)[2]. ყურძნის ექსტრაქტში შემავალი ოლიგომერული პროანტოციანიდინები ფლობენ 20-ჯერ უფრო მეტ ანტიოქსიდანტურ მოქმედებას, ვიდრე C ვიტამინი და 50-ჯერ უფრო მეტს, ვიდრე E ვიტამინი. დადგინდა პროანტოციანიდინების დადებითი ეფექტი ათეროსკლეროზული ცვლილებების შემცირებაში (HannumSM., et all., 2002) (3).

ხანის და თანაავტორთა მიერ (Khan A., et all., 2003) [4], დადგინდა პროანტოციანიდინების დადებითი ეფექტი მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ ავადმყოფთა სისხლში გლუკოზის დონის დასაქვეითებლად. პროანტოციანიდინები დადებითად მოქმედებენ შაქრიანი დიაბეტის დროს განვითარებულ რეთინოპათიაზე. ვირთხებზე ჩატარებული კვლევების დროს ინდუცირებული კატარაქტა მთლიანად იქნა განკურნებული (OsakabeN., et all., 2002)[7].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამუშაოს კვლევის მიზანს წარმოადგენდა, გამოგვეკვლია ჩემს მიერ შემუშავებული ახალი ტექნოლოგიით რქაწითელის ჯიშის ყურძნიდან დამზადებული ბად-ის ოლიგომერული და პოლიმერული პროანტოციანიდინები.

კვლევის ობიექტები და მეთოდები. კვლევის ობიექტად გამოყენებული იყო რქაწითელის ჯიშის ყურძნიდან ახალი ტექნოლოგიით დამზადებული ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატი. ოლიგომერული და პოლიმერული პროანტოციანიდინები განვსაზღვრეთ სპექტროფოტომეტრული მეთოდით (I.G. Валу́йко, 1973)[9].

შედეგები და მათი განსჯა. მიღებული შედეგები მოწმობს საკვლევ ბად-ში ფენოლური ნაერთების და მათ შორის - ოლიგომერული და პოლიმერული პროანტოციანიდინების მდიდარი სპექტრის შემცველობაზე (ცხრ.1). ოლიგომერული და პოლიმერული პროანტოციანიდინები ხასიათდებიან სხვადასხვა მიმართულების მაღალი ბიოლოგიური აქტივობით და შესაბამისად პრევენციული და სამკურნალო-

პროფილაქტიკური თვისებებით, ისეთი დაავადებების დროს როგორცაა სიმსივნე, გულსისხლძარღვთა პათოლოგიები, შაქრიანი დიაბეტი და სხვ. ბიოლოგიურად აქტიური ოლიგომერული და პოლიმერული პროანტოციანიდინების შემცველობა სხვა ფენოლურ ნაერთებთან ერთად, იძლევა იმის საფუძველს, რომ საკვლევი ბად-ი წარმოვადგინოთ როგორც ფუნქციური დანიშნულების სამკურნალო-პროფილაქტიკური პროდუქტი.

ცხრილი 1

ყურძნისეული წარმოშობის ბად-ის ფენოლური ნაერთები

კომპონენტების დასახელება	კონცენტრაცია
საერთო ფენოლები	10 გ/ლ
ოლიგომერული პროანტოციანიდინები	3,2 გ/ლ
პოლიმერული პროანტოციანიდინები	5,1 გ/ლ

ჩატარებული კვლევების შედეგად და ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რქაწითელის ჯიშის ყურძნიდან ახალი ტექნოლოგიით დამზადებული ბად-ი, რომლის ფენოლურ ნაერთთა შორის მაღალი კონცენტრაციით ფიქსირდება ოლიგომერული და პოლიმერული პროანტოციანიდინები, განაპირობებენ ბად-ის მაღალ ბიოლოგიურ აქტივობას და შესაბამისად ფუნქციურ დანიშნულებას სამკურნალო-პროფილაქტიკური და პრევენციული თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

1. Cho KJ, Yun CH, Packer L, Chung AS (2001): Inhibition mechanics of bioflavonoids extracted from the bark of Pinusmaritima on the expression of proinflammatory cytokines.// „Ann NY AcadSci“, 928: 141–156.
2. Fine A.M. (2000): Oligomericproanthocyanidin complexes: history, structure, and phytopharmaceutical applications // „Altern. Med. Rev“, Vol. 5, N 2. P. 144–151.
3. Hannum SM, Schmitz HH, Keen CL (2002): Chocolate: A heart-healthy food? Show me the science.// „Nutr Today“, 37: 103–109.
4. Khan A, Safdar M, Khan A, Khattak KN, Anderson RA (2003): Cinnamon improves glucose and lipids of people with type 2 diabetes. // „Diabetes Care“, 26: 3215–3218.
5. Kuhnau J. (1976): he flavonoids. A class of semi-essential food components: their role in human nutrition // „World Rev. Nutr. Diet.“, Vol. 24, N 1. P. 117–191.
6. Mao T, Powell J, Van de Water J, Keen CL, Schmitz H.H. Hammerstone JF, Gershwin ME (2000a): The effect of cocoa procyanidins on the transcription and secretion of interleukin 1 beta in peripheral blood mononuclear cells.// „Life Sci“, 66: 1377–1386.
7. Osakabe N, Yamagishi M, Natsume M, Yasuda A, Osawa T (2002): Ingestion of proanthocyanidin derived from cacao inhibits diabetes-induced cataract formation in rats.// „ExpBiol Med (Maywood)“, 229: 33–39.
8. Zhao M.; Yang B.; Wang J.; Liu Y.; Yu L.; Jiang Y.M.(2007): Immunomodulatory and anticancer activities of flavonoids extracted from litchi (Litchi chinensisSonn.) pericarp. //“Int.Immunopharmacol“, №7, 162-166.
9. Валушко Г.Г. (1973): Биохимия и технология красных вин. М. пищевая промышленность. 295 с.
10. ელანძე ლ. (2013): ყურძნისეული წარმოშობის ბიოლოგიურდაქტიური კვებითი დანამატის „Georgian Vitae rimas XXI“ ტექნოლოგია. სასურსათო ტექნოლოგიის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი. იაკობ გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თელავი.

Proantocyanidins of biologically active supplement originated from grape

Abstract

Phenolic components – Oligomeric and polymeric proantocyanidins of biologically active food supplement, which is made from “rkatsiteli” grape, have been studied. The big amount of proantocyanidins have been revealed. Oligomeric and polymeric proantocyanidins Localized with high concentration, determine the high biological activity of the biologically active supplement and provide its curative – prophylactic and preventing functional significance.

საკვანძო სიტყვები: ბიოლოგიურად აქტიური დანამატი (ბად), ფენოლური ნაერთები, ოლიგომერული და პოლიმერული პროანტოციანიდინები, ბიოლოგიური აქტივობა.

Key words: biologically active supplement, phenolic compound, oligomeric and polymeric proantocyanidins, biological activity.

ლელა ებგვერაძე

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

ინტერპერსონალური ურთიერთობების კულტუროლოგიური ასპექტის შესახებ

პიროვნების იდენტობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი მისი კულტურული კუთვნილებაა. ყოველი კულტურა მსოფლმხედველობრივი კონსტრუქციაა, რომლის ფარგლებშიც ინდივიდის ზოგადადამიანური ბუნება, მისი ინდივიდუალური ფსიქო-ფიზიოლოგიური მონაცემები ვითარდება და პიროვნებად ყალიბდება.

კულტურული კუთვნილება თავისთავად არ გულისხმობს მხოლოდ ეთნიკურ ან აღმსარებლობით კუთვნილებას. იგი, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია გარემოთი, რომლის ფარგლებშიც პიროვნება ჩამოყალიბდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენას, რომლის მეშვეობითაც ინდივიდმა შეიმეცნა სამყარო, შეითვისა შესაბამისი კულტურაში გაცნობიერებულ დამნიშვნელობამინიჭებულ ცნებათა სისტემა.

სხვადასხვა კულტურის ფარგლებში განსხვავებულია ერთი და იმავე მოვლენის, ფაქტის, მოცემულობის ინტერპრეტაცია-შეფასება. განსხვავდება ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ქცევის ნორმები. ამა თუ იმ კულტურული გარემოს ფარგლებში ჩამოყალიბებული პიროვნებისათვის სწორედ მისი კულტურისათვის ნიშანდობლივი ხედვაა დამახასიათებელი. ინდივიდი, ჩვეულებრივ, მშობლიური კულტურის წეს-ჩვეულებებსა და ღირებულებებს/ფასეულობებს, აღიქვამს ბუნებრივად და მართებულად და მთლიანად კულტურას მიიჩნევს უნივერსალური ღირებულების მქონედ. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ადამიანი ცნობიერად უარყოფს მშობლიური კულტურის ღირებულებებს, მის ქცევასა და მოტივაციას არსებითად სწორედ ის კულტურული კოდი წარმართავს, რომლის ფარგლებშიც პიროვნება ჩამოყალიბდა. უარყოფა წარმოადგენს რეაქციას მისთვის კარგად ნაცნობზე და, ფაქტობრივად, რაც უფრო აქცენტირებულია უარყოფა, მით უფრო დამოკიდებულია ინდივიდი იმ მსოფლმხედველობრივ კონსტრუქციაზე, რომლისგან განცალკევებისკენაც იგი მიისწრაფის.

ინდივიდის პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები მნიშვნელოვანწილად სწორედ მისი კულტურული კუთვნილებით არის განპირობებული. ინდივიდზე

ცენტრირებული კულტურის წარმომადგენლები მიდრეკილნი არიან აქტიური ქმედებისაკენ, ახასიათებთ დამოუკიდებლობა. მათთვის მთავარი ღირებულებებია: სიამაყე, წარმატება, ორიგინალობა, ინდივიდუალიზმი. ჯგუფზე ცენტრირებული კულტურის ფარგლებში კი ინდივიდის მთავარი ღირსებები ლოიალობა, თავდადებლობა, ჯგუფთან შერწყმის უნარია. გამორჩეულობა და პიროვნული ამბიციები ნეგატიურ შეფასებას იმსახურებს. შესაბამისად, ამ კულტურის წარმომადგენლებს ახასიათებს ერთსულოვნება, ურთიერთდახმარება, შეგუებადობა...

რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს, რომ ყველა ინდივიდი თანაბრად აკმაყოფილებს თავისი კულტურის სტანდარტებს, მაგრამ კულტურული გარემოცვის ორიენტირები არსებითად განსაზღვრავენ მათ ქცევასა და საქმიან თვისებებს.

ამა თუ იმ კულტურის არსებით კომპონენტს შეადგენს ამ კულტურაში მიღებული კომუნიკაციის მოდელი. კულტურულ კუთვნილებას გადამწყვეტი როლი ენიჭება ინტერპერსონალური ურთიერთობებისას. ერთი და იმავე კულტურის წარმომადგენელთა შორის კომუნიკაციის პროცესი ფაქტობრივად აგებულია იმ მოდელის მიხედვით, რომელსაც კულტურული გარემოცვა კარნახობს. კომუნიკაციის პროცესში ჩართული პირები ბუნებრივად ფლობენ ერთსა და იმავე კულტურულ კოდებს. როლები, ქცევის წესები, სიტუაციის შეფასების კრიტერიუმები ორივე მხარისთვის გასაგებია. თამაშის წესები ნათელია და გაურკვევლობის ნაკლები შანსი არსებობს.

გაცილებით უფრო რთული და მრავალი საფრთხის შემცველია სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის კომუნიკაცია. ამ შემთხვევაში კომუნიკაციის სუბიექტებს ახასიათებთ განსხვავებული მსოფლმხედველობა, ქცევა, ფაქტების ინტერპრეტაცია და შეფასების კრიტერიუმები, ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაციის ფორმები, რაც თავისთავად ამწელებს ურთიერთგაგებინებას. ხშირად, პროცესი კიდევ უფრო გართულებულია სხვა კულტურის შესახებ ცნობიერებაში ფესვგადგმული სტერეოტიპებით, რომლებიც ხელს უშლიან თანამოსაუბრის ინდივიდად აღქმას. სტერეოტიპების გავლენით ჩვენ ფაქტობრივად ვცდილობთ კომუნიკაცია დავამყაროთ ჩვენს წარმოდგენაში არსებულ სქემატურ არსებასთან და არა კონკრეტულ პიროვნებასთან. ამასთან, ხშირად სტერეოტიპები ნეგატიური ხასიათისაა.

ფაქტობრივად, საქმე გვაქვს უცხო ფენომენთან, რომლის გადალახვაც აუცილებელია ინტერკულტურული კომუნიკაციის წარმატებისათვის. პროცესის ეფექტიანი წარმართვა, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება აღიარებას, რომ ყველა კულტურა თანაბრად ღირებულია. ამასთან, აუცილებელია უნარი, გააცნობიერო და შეაფასო, რა გავლენას ახდენს შენი საკუთარი ღირებულებები და მსოფლმხედველობრივი პოზიცია განსხვავებული კულტურის პერსპექტივიდან ფაქტებისა და მოვლენების ხედვა-ინტერპრეტაციის აღქმაზე. ასევე, ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესის წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია თანამოსაუბრის აღქმა არა რაღაც სისტემის (ამ შემთხვევაში კულტურის) ერთეულად, არამედ პიროვნებად, თავისი ინდივიდუალიზმითა და უნიკალური თვისებებით.

განსხვავებული კულტურისათვის ან მისი რომელიმე ელემენტისათვის უცხო, ანუ ნეგატიურის სტატუსის მინიჭება დამახასიათებელია ნებისმიერი კულტურის ფარგლებში. უცხო, ანუ საფრთხის შემცველის, სტატუსი პირველ ეტაპზე ასევე ენიჭება ნებისმიერ ცვლილებას, რომელიც კულტურის ფარგლებში ჩნდება საზოგადოებრივი განვითარებისა თუ სხვა კულტურის გავლენის შედეგად.

კულტურა არ არის ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული კონსტრუქცია. იგი ცვალებადია და დამოკიდებულია, ერთი მხრივ, მეცნიერულ აღმოჩენებზე, მეორე მხრივ, კულტურის მატარებელი ჯგუფის ისტორიული განვითარების გზაზე, სხვა კულტურების გავლენებზე. ისტორიული ვითარების ცვლილება იწვევს ცვლილებებს კულტურულ კონსტრუქციაშიც. ეს ცვლილებები თავდაპირველად, როგორც წესი, აღიქმება მტრულ ელემენტებად, რომლებიც საფრთხეს უქმნიან არსებითს და საზოგადოება ცდილობს მათ განდევნას. გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ განდევნის პროცესი წარმატებით სრულდება ან ახალი ელემენტი ადგილს იმკვიდრებს და ცვლის თავად კულტურას.

ყოველი კულტურის ჩამოყალიბებას თავისი ისტორიული წანამდვრები გააჩნია. ამა თუ იმ ხალხის მიერ შექმნილი კულტურული კონსტრუქცია მსოფლმხედველობრივი და საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოწყობის ოპტიმალური მოდელია მისი ჩამოყალიბების ეტაპზე. თუმცა ისტორიული განვითარების პროცესში იგი უცვლელი ვერ დარჩება. პროგრესის, სოციალურ-ეკონომიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ცვლილებების კვალობაზე აუცილებელი ხდება მისი მოდიფიცირება.

თანამედროვე ქართული კულტურა (ამ სიტყვის ფართო გაგებით, რომელშიც იგულისხმება არა მხოლოდ ხელოვნება და ლიტერატურა, არამედ ზოგადად მსოფლმხედველობა და საზოგადოებრივი მოწყობა) სწორედ ასეთი მოდიფიკაციის აუცილებლობის წინაშე დგას. ქართული საზოგადოებრივი მოწყობა საქართველოს ისტორიის პროდუქტია, წარმოადგენს შედეგს თვითგადარჩენისათვის გამუდმებული ბრძოლის პირობებში, კოლონიური რეჟიმებისა და ტოტალიტარული სახელმწიფოს ფარგლებში არსებობის ისტორიისა. ერთი მხრივ, ის არის ჯგუფზე ცენტრირებული კულტურა, რომლის ფარგლებშიც პიროვნება ნიველირებულია, ინდივიდუალურ წარმატებას მხოლოდ ჯგუფისთვის მოტანილი სარგებლის თვალსაზრისით ენიჭება მნიშვნელობა. მეორე მხრივ, ის არის ნიმუში ვერტიკალური კულტურისა, რაც გამორიცხავს საკუთარი ძალისხმევით წარმატების მიღწევას.

ამ მოდელის ფარგლებში ადამიანი გვევლინება პასიურ, საკუთარ შესაძლებლობებში დაურწმუნებელ, განვითარებისა და წარმატების პერსპექტივას მოკლებულ ინდივიდად, რომელსაც არ აქვს საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებობისათვის საჭირო უნარები დაუჭირს შეცვლილ რეალობაში ორიენტირება. საქართველოს სამომავლო განვითარების პერსპექტივა კი მოითხოვს დამოუკიდებელ, ინიციატივიან, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ და ჯანსაღი ამბიციების მქონე პიროვნებებს.

დღეს ეს საჭიროება კარგად არის გაცნობიერებული და პრობლემის გადაჭრის გზაც მართებულადაა დასახული. ცნობიერებაში განსახორციელებელ ამ ცვლილებებში ძირითადი როლი განათლების სისტემას ეკისრება. ეს ეხება როგორც სასკოლო, ისე საუნივერსიტეტო, პროფესიულ და ზრდასრულთა განათლების სეგმენტებს.

ყოველი ქვეყნისა და ეპოქის განათლების სისტემაში ნათლად აისახება საზოგადოების მოწყობის არსი, აირეკლება მისი კულტურული ხატი. ტოტალიტარულ სახელმწიფოთა განათლების სისტემის წინაშე დგას ამოცანა მოამზადოს ამ სისტემის მსახური, ჭანჭიკი, რომლის მთავარი ღირსება დაეჭვების უნარის არქონა და მორჩილებაა. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის დამახასიათებელი ინერტულობა განპირობებულია საბჭოთა განათლების სისტემისათვის პრიორიტეტული, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიური დოგმატით დაწესებული ჩარჩოების ფარგლებში მოაზროვნე და მორჩილი ინდივიდის ჩამოყალიბების, მოთხოვნით.

ამ მოთხოვნებს აშკარად უპირისპირდება თანამედროვე განათლების სისტემის პრიორიტეტები, რაც კარგად ჩანს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ სასკოლო განათლების მისიაში - „მოაზროვნე, მამიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალიმატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად“ (ასგ-2017-2023).

ეპოქისათვის ნიშანდობლივი სასწავლო ამოცანების მოთხოვნებისა და შესაბამისად გადაჭრას უზრუნველყოფს როგორც სწავლების შინაარსი, ისე სწავლების ფორმა. სწავლა-სწავლების პროცესის სამ უმთავრეს კომპონენტს შორის - რისთვის ვასწავლოთ?, რა ვასწავლოთ? და როგორ ვასწავლოთ? - საკითხს - როგორ ვასწავლოთ? - არსებითი როლი აკისრია.

სწავლა-სწავლება უმნიშვნელოვანესი საკომუნიკაციო პროცესია. იგი ჩამოყალიბების ეტაპზე მყოფი პიროვნების ერთ-ერთი ძირითადი აქტივობაა, რომელიც არსებით როლს ასრულებს პიროვნების საკომუნიკაციო უნარების განვითარებაში. ბავშვის ცნობიერებაში

საზოგადოებრივი მოწყობის მოდელი მნიშვნელოვანწილად სწავლა-სწავლების პროცესში მიღებული გამოცდილების შედეგად იქმნება. მასწავლებლის ურყევ ავტორიტეტზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების ავტოკრატიული მოდელი, რომლის დროსაც მასწავლებელი მზა ცოდნის გადამცემია, ხოლო მოსწავლე - პასიური ამთვისებელი, რომელიც ვალდებულია გაიგოს და დაიმახსოვროს ის, რაც გადასცეს, არის კომუნიკაციის ფორმა, რომელიც მოსწავლეს იერარქიულ საფეხურზე უფრო მაღლა მდგომი პირის უპირატესობის აღიარებასა და საკუთარი შესაძლებლობების სხვისი ნების შესაბამისად გამოყენებას აჩვენებს. შედეგად ვიღებთ მორჩილ, საკუთარი სახის არმქონე ადამიანს, რომელიც მხოლოდ ვერტიკალური იერარქიის პირობებში გრძნობს თავს კომფორტულად.

სწორედ ამიტომ, თანამედროვე განათლებისმისიის შესრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი სწავლა-სწავლების პრინციპების შეცვლაა. მოსწავლეზე ორიენტირებული აქტიური/ინტერაქტიურისწავლა-სწავლების პრინციპის პროპაგანდა და დანერგვა თანამედროვე სასწავლო პროცესის ძირითადი ტენდენციაა.

აქტიური/ინტერაქტიური სწავლება არის თანამშრომლობაზე ორიენტირებული კომუნიკაციის ფორმა, რომელიც არ ემსახურება მხოლოდ შესასწავლი მასალის უკეთ ამთვისებას. ამგვარი სწავლების არსებითი უპირატესობაა მოსწავლის სააზროვნო უნარების განვითარება, საკუთარი ძალების რწმენისა და დამოუკიდებლობის ჩამოყალიბება, ახალი ცოდნის კონსტრუირების უნარის შეძენა. იგი ქმნის ინტრაპერსონალური და ინტერპერსონალური ინტელექტის განვითარების საწინდარს, რაც აუცილებელია თვითრეალიზაციაზე ორიენტირებული, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

რა თქმა უნდა, სწავლებისადმი მიდგომის ეს ცვლილებები უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს საზოგადოებაში, სადაც ადამიანების უმეტესობას სწავლა-სწავლების პასიური მოდელის შესაბამისად აქვს განათლება მიღებული და ბოლო პერიოდის რეფორმებამდე ვერც კი წარმოედგინა სხვაგვარი მიდგომის არსებობა. ახალი პრინციპების მიხედვით სასწავლო პროცესის წარმართვა უჭირთ გამოცდილ მასწავლებლებს, რომლებიც მიჩვეულნი არიან ავტოკრატიულ სწავლებას.

პროცესების დასაწყისმასაკმაოდმძაფრი უკმაყოფილება გამოიწვია, რომელიც მიზანმიმართული მუშაობის შედეგად განელდა. თუმცა საზოგადოების ნაწილში ამგვარი სწავლება დღემდე იწვევს ნეგატიურ დამოკიდებულებას. ერთი მხრივ, პროცესი მასწავლებელთაგან მოითხოვს უარი თქვან სწავლა-სწავლების უკვე გამყარებულ მოდელზე, დატოვონ კომფორტის ზონა, მნიშვნელოვანი ძალისხმევა მოახმარონ საკუთარი დამოკიდებულებების შეცვლასა და სწავლების ახალი მეთოდების დაუფლებას. ამასთან, სწავლების აქტიური ფორმების გამოყენების შემთხვევაში რთულდება და თვისობრივად განსხვავებულ უნარებს მოითხოვს სასწავლო პროცესის მართვა. მეორე მხრივ, სწავლების ეს მოდელი აღიქმება საფრთხედ, რომელიც აკნინებს ტრადიციულ ავტორიტეტებს. საზოგადოების ამ ნაწილის ექვებს ამძაფრებს ის ფაქტი, რომ სწავლების მეთოდოლოგიაში ცვლილება საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით მიმდინარეობს. ირთვება უცხო კულტურული ელემენტისადმი მტრული დამოკიდებულების მექანიზმი, რომელიც ყოველგვარი სიახლის ხელაღებით უარყოფისაკენ მიისწრაფის. არსებული წინააღმდეგობა წარმოადგენს ბუნებრივ პროცესს, რომელიც ყოველთვის თან სდევს ცვლილებებს გამყარებულ სისტემაში.

თანამედროვე ეტაპზე სწავლების პროცესში მიმდინარე ცვლილებებისადმი ნეგატიური დამოკიდებულებების განეიტრალებაერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებელთა მომზადებასა და გადამზადებას. ამ პროცესში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს აქტიური სწავლების უპირატესობებისა და მისი სტრატეგიული მნიშვნელობის წარმოჩენა.

სასწავლო პროცესში ჩართულ პირებს უნდა გავაცნობიერებინოთ, რომ ფაქტობრივად, სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის შეცვლა არ არის ერთმნიშვნელოვანი მოვლენა. მისი ერთ-ერთი მთავარი ღირსება სასწავლო პროცესში ინტერპერსონალური ურთიერთობების განსხვავებული, პიროვნების ინტერესებსა და თანამშრომლობაზე ორიენტირებული

კომუნიკაციის მოდელის დანერგვა. იგი წარმოადგენს ქართული კულტურული სივრცის საქართველოს განვითარების პერსპექტივასთან შესაბამისობაში მოდიფიცირების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.ახალი სასწავლო გეგმები 2017-2023, შესავალი(2.06.2016).ncp.ge
- 2.ცაგარელი ლ.(2016): კულტურის კვლევების შესავალი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი
- 3.Interpersonal skills, <https://www.skillsyouneed.com/>
- 4.Intercultural Communication Skills, <https://www.skillsyouneed.com/>

Lela Edzgeradze

Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia,

About Cultural Aspects of Interpersonal Communication

Abstract

Cultural identity is one of the most important factors of person's essence. It affects the whole range of personal and interpersonal skills. In The process of intercultural communication it is of great importance to be aware of the attitudes and personality of the other participant and avoid stereotypes, which usually are based on rough, often negative generalizations.

Communication models take significant part of cultural identity. Communicational customs of different cultures differ. They reflect cultural peculiarities of groups. The change of communication model reveals the change of mentality.

The article discusses the teaching-learning process as communication act, shows that the change of teaching methods from passive to active/interactive has a great potential. It results on cultural structure of Georgian society.

საკვანძო სიტყვები: კულტურა, ინტერპერსონალური კომუნიკაცია, ინტერკულტურული კომუნიკაცია, აქტიური სწავლება, კომუნიკაციის მოდელი.

Key words: culture, interpersonal communication, intercultural communication, communication model, active/interactive teaching.

ნათელა ვარშანიძე, ქეთევან დოლიძე,

ნაზი თურმანიძე, ინგა დიასამიძე

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

ზღვისპირა აჭარის ველური ფლორის სამკურნალო

მცენარეთა მრავალფეროვნება

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში მოლეკულური ბიოლოგიისა და ფარმაცევტული ქიმიის განვითარების კვალდაკვალ მეცნიერები ქმნიან ახალ-ახალ სინთეზურ პრეპარატებს, რომლებიც წარმატებით გამოიყენება მრავალი დაავადების სამკურნალოდ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ისინი იწვევენ გვერდით მოქმედებებს, ალერგიებს, მრავალ ქრონიკულ ტოქსიკოზს და ავლენენ ტერატოგენულ, მუტაგენურ და კონცეროგენულ მოქმედებას, რაც არ არის დამახასიათებელი სამკურნალო მცენარეებისაგან დამზადებული პრეპარატებისათვის, რომელთა გამოყენებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანები მიმართავდნენ

მცენარეებით მკურნალობას. მათ გამოყენებას აქტუალობა არ დაუკარგავს თანამედროვე ეტაპზეც. დღეს არსებული სამკურნალო პრეპარატების მესამედი მცენარეებისაგან მზადდება. ამიტომ სამკურნალო მცენარეების შესწავლა თანამედროვე ბიოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა.

ჩვენს მიერ მოძიებული მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ზღვისპირა აჭარის ველურად გავრცელებულ ჭურჭლოვან მცენარეთა შორის 140 სახეობა სამკურნალო თვისებებით ხასიათდება [1,2,3,4,5,6]. ისინი განაწილებულია 56 ოჯახში და 112 გვარში.

ქვემოთ მოცემულია ზღვისპირა აჭარის ველური ფლორის სამკურნალო მცენარეთა სია (ტაქსონები მოყვანილია ს. ჩერეპანოვის [7] მიხედვით).

PTERIDOPHYTA

1. **Equisetaceae:** *Equisetum arvense* L., *E. majus* Gars.
2. **Hypolepidaceae:** *Pteridium aquilinum* (L.) Kuhn.
3. **Polypodiaceae:** *Asplenium trichomonas* L., *Asplenium septentrionale* (L.) Hof.,
Dryopteris filix-mas (L.) Schott, *D. austriaca* (Jacq.) Woyнар, *D. oreades*
Fomin. *Polypodium vulgare* L.
4. **Pteridaceae:** *Pteris cretica* L.

GYMNOSPERMAE

5. **Pinaceae:** *Abies nordmanniana* (Stev.) Spach, *Picea orientalis* (L.) Link., *Pinus kochiana* Klotzsch ex C. Koch

ANGIOSPERMAE

Dicotyledonae

6. **Apiaceae:** *Carum cavi* L., *Cervaria caucasica* (Bieb.) M. Pimen. *Sanicula europaea* L.,
7. **Apocynaceae:** *Vinca minor* L.
8. **Araliaceae:** *Hedera colchica* (C. Koch.) C. Koch., *H. helix* L.
9. **Asclepiadaceae:** *Periploca graeca* L.
10. **Asteraceae:** *Achillea millefolium* L., *Arctium lappa* L., *Artemisia vulgaris* L., *A. absinthium* L., *Bidens tripartita* L., *Cichorium intybus* L., *Cicerbita pontica* (Boiss.) Grossh., *Dichrocephala bicolor* (Roth) Schlecht., *Matricaria chamomilla* L., *Pyrethrum parthenifolium* Willd., *Pyrethrum roseum* (Adam) Bieb. *Solidago virgaurea* L., *Taraxacum officinale* Wigg., *Tussilago farfara* L.
11. **Berberidaceae:** *Berberis vulgaris* L.
12. **Betulaceae:** *Alnus barbata* C.A.Mey.
13. **Buxaceae:** *Buxus colchica* Pojark.
14. **Cannabaceae:** *Humulus lupulus* L.
15. **Caryophyllaceae:** *Herniaria glabra* L., *Saponaria officinalis* L.
16. **Corylaceae:** *Corylus avellana* L.
17. **Crassulaceae:** *Hylotelephium caasicum* (Grossh.) H. Ohba, *S. stoloniferum* S.G. Gmel.
18. **Cruciferae:** *Capsella bursa-pastoris* (L.) Medik.
19. **Ebenaceae:** *Diospyros lotus* L.
20. **Ericaceae:** *Rhododendron ponticum* L., *Vaccinium arctostaphylos* L.
21. **Fabaceae:** *Galega officinalis* L., *Melilotus officinalis* (L.) Pall., *Ononis arvensis* L.,
Trifolium pratense L.
22. **Fagaceae:** *Castanea sativa* Mill. *Fagus orientalis* Lipsky., *Quercus dshorochensis* C. Koch., *Q. hartwissiana* Stev.
23. **Gentianaceae:** *Centaurium erythraea* Rafn., *Gentiana cruciata* L.
24. **Hypericaceae:** *Hypericum androsaemum* L., *H. grossheimii* Kem.-Nat., *H. orientale*,
H. perforatum L., *H. polygonifolium* Rupr., *H. xylosteifolium* (Spach) N. Robson.

25. **Juglandaceae:** *Juglans regia* L.
26. **Lamiaceae:** *Calamintha grandiflora* (L.) Moench., *C. nepeta* (L.) Savi, *C. Officinalis* Moench., *Clinopodium umbrosum* (Bieb.) C. Koch., *C. Vulgare* L., *Glechoma hederacea* L., *Lamium album* L., *Leonurus quinquelobatus* Gilib., *Melissa officinalis* L., *Mentha longifolia* (L.) Huds., *Mentha pulegium* L. *Origanum vulgare* L., *Stachys officinalis* (L.) Trevis. *Trachistemon orientalis* (L.) G. Don fil.
27. **Lauraceae:** *Laurus nobilis* L.
28. **Malvaceae:** *Althaea officinalis* L., *Malva sylvestris* L.
29. **Oleaceae:** *Fraxinus excelsior* L.
30. **Papaveraceae:** *Chelidonium majus* L., *Glaucium flavum* Grantz
31. **Plantaginaceae:** *Plantago lanceolata* L., *P. major* L.
32. **Polygonaceae:** *Polygonum aviculare* L., *Persicaria hydropiper* (L.) Spach, *P. maculata* (Rafin.) A.&D. Love, *Rumex crispus* L.
33. **Primulaceae:** *Cyclamen adzharicum* Pobed., *Lysimachia verticillaris* Spreng. *Primula sibthorpii* Hoffm.
34. **Punicaceae:** *Punica granatum* L.
35. **Ranunculaceae:** *Helleborus caucasicus* A. Br., *Clematis vitalba* L.
36. **Rhamnaceae:** *Frangula alnus* Mill., *Rhamnus microcarpa* Boiss.
37. **Rosaceae:** *Cydonia oblonga* Mill., *Geum urbanum* L., *Fragaria vesca* L., *Laurocerasus officinalis* M. Roem., *Malus orientalis* Uglitzk., *Potentilla erecta* (L.) Raeusch., *Poterium polygamum* W. Et K. *Rosa canina* L., *R. Pomifera* Herrm. *Rubus caesius* L., *R. buschii* Grossh. ex Sinjkova, *Sorbus boissieri* Schneid.
38. **Rubiaceae:** *Asperula odorata* L.
39. **Salicaceae:** *Salix alba* L., *S. caprea* L.
40. **Sambucaceae:** *Sambucus ebulus* L., *S. nigra* L.
41. **Scrophulariaceae:** *Digitalis ferruginea* L., *D. purpurea* L., *Verbascum thapsus* L., *Veronica officinalis* L.
42. **Solanaceae:** *Datura stramonium* L., *Hyoscyamus niger* L., *Solanum nigrum* L.
43. **Tiliaceae:** *Tilia begoniifolia* Stev.
44. **Urticaceae:** *Urtica dioica* L.
45. **Viburnaceae:** *Viburnum opulus* L.
46. **Violaceae:** *Viola arvensis* Murr.
47. **Viscaceae:** *Viscum album* L.
48. **Vitaceae:** *Vitis vinifera* L.
49. **Zygophyllaceae:** *Tribulus terrestris* L.
- Monocotyledonae**
50. **Alliaceae:** *Allium ursinum* L. *Ruscus ponticus* Woronow., *Ruscus colchicus* P. F. Yeo.
51. **Amaryllidaceae:** *Galanthus woronowii* Losinsk., *Leucojum aestivum* L.
52. **Asparagaceae:** *Asparagus litoralis* Stev.
53. **Convallariaceae:** *Convallaria majalis* L.,
54. **Cyperaceae:** *Cyperus badius* Desf.
55. **Juncaceae:** *Juncus bufonius* L.
56. **Poaceae:** *Elytrigia repens* (L.) Nevski

გულ-სისხლძარღვოვან დაავადებათა წინააღმდეგ გამოიყენება სახეობები: *Rhododendron ponticum* L., *Convallaria majalis* L., *Calamintha grandiflora* (L.) Moench., *Digitalis ferruginea* L., *Digitalis purpurea* L., *Helleborus caucasicus* A. Br., *Leonurus quinquelobatus* Gilib., *Mentha longifolia* (L.) Huds., *Periploca graeca* L.

ნერვული დაავადებების წინააღმდეგ გამოიყენება სახეობები: *Artemisia vulgaris* L., *Melissa officinalis* L., *Humulus lupulus* L., *Origanum vulgare* L., *Tribulus terrestris* L., *Scopolia carniolica* Jacq., *Stachys sylvatica* L., *Viscum album* L.

სასუნთქი გზების დაავადებათა წინააღმდეგ გამოიყენება სახეობები: *Altha officinalis* L., *Cyclamen adzharicum* Pobed., *Cydonia oblonga* Mill., *Datura stramonium* L., *Glaucium flavum* Crantz., *Glechoma hederaceae* L., *Hedera colchica* (C. Koch) C. Koch., *H. helix* L., *Hyoscyamus niger* L., *Primula sibthorpii* Hoffm., *Pteris cretica* L., *Sambucus nigra* L., *Sanicula europaea* L., *Saponaria officinalis* L., *Trifolium pretense* L., *Tussilago farfara* L., *Verbascum thapsus* L., *Viola arvensis* Murr.

გასტრიტებისა და წყლულების სამკურნალოდ გამოიყენება სახეობები: *Achillea millefolium* L., *Capsella bursa-pastoris* (L.) Medik., *Chamaenerion angustifolium* (L.) Scop., *Hypericum androsaemum* L., *H. grossheimii* Kem.-Nat., *H. orientale*, *H. perforatum* L., *H. polygonifolium* Rupr., *H. xylosteifolium* (Spach) N. Robson., *Matricaria chamomilla* L., *Plantago lanceolata* L., *Plantago major* L., *Fragaria vesca* L., *Pyrethrum partenifolium* Willd., *Pyrethrum roseum* (Adam) Bieb.

კუჭ-ნაწლავის ანთების (აშლილობის) წინააღმდეგ გამოიყენება სახეობები: *Alnus barbata* C.A.Mey., *Castanea sativa* Mill., *Diospiros lotus* L., *Geum urbanum* L., *Laurocerasus officinalis* M. Roem., *Lysimachia verticillaris* Spreng., *Potentilla erecta* (L.) Reusch., *Sambucus ebulus* L.

შეკრულობის და ჰემაროის სამკურნალოდ გამოიყენება სახეობები: *Carum carvi* L., *Elytrigia repens* (L.) Nevski., *Frangula alnus* Mill., *Linaria vulgaris* L., *Ononis arvensis* L., *Rhamnus cathartica* L., *Rumex crispus* L., *Ruscus colchicus* P.F. Yeo., *Ruscus ponticus* Woronow., *Salix alba* L., *Salix caprea* L., *Taraxacum officinale* Wigg. *Artemis*

მადის აღმძვრელად გამოიყენება სახეობები: *Artemisia absinthium* L., *Centaureum erythraea* Rafn., *Cichorium intybus* L., *Gentiana cruciata* L., *Mentha aquatica* L., *Mentha pulegium* L.

ნაწლავის პარაზიტების წინააღმდეგ გამოიყენება სახეობები: *Allium ursinum* L., *Asarum intermedium* (C.A.Mey.) Grossh., *Asplenium trichomonas* L., *Dryopteris filix-mas* (L.) Schott., *D. austriaca* (Jacq.) Woynar, *D. oreades* Fomin., *Polypodium vulgare* L., *Pteridium aquilinum* (L.) Kuhn., *Punica granatum* L.

ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებათა წინააღმდეგ გამოიყენება სახეობები: *Berberis vulgaris* L., *Calamintha grandiflora* (L.) Moench., *Mentha longifolia* (L.) Huds.

თირკმლისა და შარდის ბუშტის დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება სახეობები: *Arctium lappa* L., *Equisetum arvense* L., *E. Majus* Gars., *Solidago virgaurea* L., *Veronica officinalis* L., ვიტამინების შემცველი მცენარეებია: *Malus orientalis* Uglitzk., *Rosa canina* L., *R. Pomifera* Herrm., *Rubus caesius* L.

სპაზმოლიტური და ტკივილგამაყუჩებელი თვისებების მქონე მცენარეებია: *Asparagus litoralis* Stev., *Cynoglossum officinale* L., *Galanthus Woronowii* Losinsk., *Leucojum aestivum* L..

ოფლდენის გასაძლიერებლად გამოიყენება სახეობები: *Tilia begonifolia* Stev., *Rubus buschii* Grossh. ex Sinjkova, *Sorbus boissieri* Schneid.

ჰიპერტონული დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება სახეობები: *Calamintha nepeta* (L.) Savi., *Clinopodium umbrosum* (Bieb.) C.Koch., *C. Vulgare* L., *Thalictrum foetidum* L., *Viburnum opulus* L., *Vinca minor* L., *Vitis vinifera* L.

სისხლდენის წინააღმდეგ გამოიყენება სახეობები: *Lamium album* L., *Persicaria maculata* (Rafin.) A. & D. Love., *Persicaria hydropiper* (L.) Spach.

შაქრიანი დიაბეტის სამკურნალოდ გამოიყენება სახეობები: *Laurus nobilis* L., *Galega officinalis* L.

ფურუნკულების (ძირმარების), მუწუკების, ალერგიის, ჩირქოვანი კრილოზების, დამწვრობების წინააღმდეგ გამოიყენება სახეობები: *Asperula odorata* L., *Bidens tripartita* L., *Cicerbita pontica* (Boiss.) Grossh., *Clematis vitalba* L., *Galium verum* L., *Hylotelephium caucasicum*

(Grossh.) H. Ohba., *Malva sylvestris* L., *Melilotus officinalis* (L.) Pal., *Trachistemon orientalis* (L.) G. Don fil.

ხორცმეტების, მეჭეჭების წინააღმდეგ გამოიყენება სახეობები: *Dichrocephala bicolor* (Roth) Schlecht., *Juncus bufonius* L.

ავთვისებიანი სიმსივნეების დროს გამოიყენება სახეობები: *Chelidonium majus* L. *Cervaria caucasica* (Bieb.) M. Pimen.

რევმატიზმების წინააღმდეგ გამოიყენება: *Fraxinus excelsior* L.

თმის ცვენის წინააღმდეგ გამოიყენება სახეობები: *Asplenium septentrionale* (L.) Hof., *Buxus colchica* Pojark., *Urtica dioica* L..

ღრმილების ანთების წინააღმდეგ გამოიყენება სახეობები: *Abies nordmanniana* (Stev.) Spach., *Cyperus badius* Desf., *Quercus dshorochensis* C. Koch., *Q. hartwissiana* Stev., *Picea orientalis* (L.) Link., *Pinus kochiana* Klotzsch ex C. Koch.

თროშის წინააღმდეგ გამოიყენება: *Corylus avellana* L.

სიმსუქნის თავიდან ასაცილებლად, მადის დასაქვეითებლად და მარილების ცვლის საწინააღმდეგოდ გამოიყენება *Polygonum aviculare* L.

მხედველობის გასაუმჯობესებლად გამოიყენება *Vaccinium arctostaphylos* L.

ჩიყვის სამკურნალოდ გამოიყენება: *Juglans regia* L.

ამრიგად, ზღვისპირა აჭარაში ველურად გავრცელებულ ჭურჭლოვან მცენარეთა შორის 140 სახეობა სამკურნალო თვისებებით ხასიათდება, ისინი განაწილებულია 56 ოჯახში და 112 გვარში. ყველაზე მრავალრიცხოვანი სახეობებით წარმოდგენილია ოჯახები: **Asteraceae** 14 სახეობით, **Lamiaceae** 14 სახეობით, **Rosaceae** 12 სახეობით, **Hypericaceae** 6 სახეობით, **Polypodiaceae** 6 სახეობით, **Scrophulariaceae** 4 სახეობით, **Fabaceae** 4 სახეობით, **Fagaceae** 4 სახეობით, **Solanaceae** 4 სახეობით, **Polygonaceae** 4 სახეობით.

ლიტერატურა:

1. ვარშანიძე ნ., ალასანია ნ. (2008). აჭარის სამკურნალო მცენარეთა ბიომრავალფეროვნება.//აჭარის (სამხრეთ კოლხეთის) ბიოლოგიური მრავალფეროვნება (საერთაშორისო კონფერენციის მასალები), ბათუმი, 255-263.
2. ვარშანიძე ნ. (2009). ნერვული სისტემის დაავადებათა წინააღმდეგ გამოყენებული სამკურნალო მცენარეები აჭარის ფლორიდან. ბსუ გამომც, № 13. ბათუმი, 255-264.
3. ნ. ვარშანიძე. მ.ვანიძე. ი. ჯაფარიძე (2009). აჭარის სასარგებლო მცენარეები. ინტერნეტ-წიგნი. ISBN 978-9941-0-1541-0,
4. ვარშანიძე ნ. და სხვ. (2010). საგულე გლიკოზიდების შემცველი სამკურნალო მცენარეები აჭარის ფლორიდან. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფ. („ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები“) შრომები. ქუთაისი, 147-149.
5. ვარშანიძე ნ., თურმანიძე ნ. (2011). აჭარის სამკურნალო მცენარეთა ტაქსონომიური მრავალფეროვნება. საერთაშორისო კონფ. („საქართველოს ბიომრავალფეროვნება“), თბილისი, 110-114.
6. ხიდაშელი შ., პაპუნძე ვ. (1981). საქართველოს ტყის სამკურნალო მცენარეები. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.
7. Czerepanov S. (1995). Vascular plants of Russia and Adjacent states (the former USSR). Cambridge University press, 516 pp.

Natela Varshanidze, Ketevan Dolidze, Nazi Turmanidze, Inga Diasamidze
Shota Rustaveli State University, Batumi

Wild medicinal plants diversity of seaside Adjara

Abstract

140 species of medicinal plants are distributed in seaside Adjara. Which include 56 families and 112 genres. With the high diversity of species are distinguished the following families: **Asteraceae** _ 14 species, **Lamiaceae** _ 14, **Rosaceae** _ 12, **Hypericaceae** _ 6, **Polypodiaceae**—6, **Scrophulariaceae**_ 4, **Fabaceae**_ 4, **Fagaceae**—4, **Solanaceae**—4, **Polygonaceae**—4.

It is evident that Globalization has never been previously so widespread and effective in producing societal changes, but it is as well widely known as a process that in the past has already materialized, with different intensity along at least the last two millennia. Empires like the Egyptian, Persian, Roman, Carolingian, Mogul, Spanish, Augsburg, British, French, USSR, although being each a political entity with all the relevant constraints, determined an induced Globalization

amongst their subdued nations and trade, finance and knowledge were getting homogenized at different degrees of influence by the central power.

In the past, traveling for trade was a way to implement Globalization, importing and also exporting goods, technologies, finance, habits, fashions, knowledge/culture. I can not avoid quoting the legendary Silk Road, of course bringing to Europe silk, species, ivory, pearls and so on, but bringing back to the East the European technology, art, political and economic knowledge. The same can be told for traveling to discover new routes and continents, a Globalization ended in terms of colonialism on one side, but strongly affecting the old continent. Even the last two world wars, particularly the latter, have widely opened spaces and interests all over the world, increasing interactions, knowledge of peoples, countries and ways of living, beside trade and migrations.

However, if we consider one of the leading drives of Globalization, trade, in the second half of last century it increased almost 20 times, plus foreign investments growing fast as well in more recent times. An author, T.Friedman (3), dealing with Globalization, stated that it goes “*farther, faster, cheaper, and deeper*” just to remark the new features characterizing its presence nowadays.

So far a large amount of literature has been produced analyzing facts in trade, finance, culture, tourism, laws, technology and so on, mainly at sectoral level, leaving aside philosophical research on Globalization. It seems that we have left the Modern Age, geared towards Rationalism, and we are now in the Age of Globalization, driven by Liberalism, or neo-Liberalism. This may mean considering more deeply certain Values than others, involving in this way Ethics in illuminating our knowledge and behaviors.

As it has been said before, Globalization is impinging on so many facets of our civilization and way of life that it would be now impossible to consider and analyze them. In order, nevertheless, to give suitable examples on Globalization at work, trade, investments and culture will be exposed below.

2.1 Trade, as international exchange of goods, in the recent past has been always regulated by treaties among nations for several reasons, relating to State revenue from duties, barriers for health safety, protection of home industries, and so on. All these regulations were somehow restricting trade flows and there has been always a strong debate to alleviate that burden.

It has been, therefore, developed a strong commitment by *intelligentsia* and governments to soften those constraints and in dedicated *fora*, such as OECD, UNCTAD, Doha and Uruguay round, WTO, under the philosophy that freer trade would (theoretically) lead to wealth and welfare. Since the 70's of last century this line of thought turned into a free-trade policy that became very active and successful at the beginning of this century, 'till now. Moreover, technology in transport and communication helped greatly these trade flows of goods and services, making them cheap and effective (but not always complying with trade and environmental standards), moving far distant production to flood our inner markets of products, deadly competing with ours(Venzi,7), and leading the latter to market failure, then redundancies, unemployment and so far.

Although liberalization on trade measures (barriers deregulation) were successful in over stimulating international flows, mostly from developing countries, statistics are here spared but show an overwhelming success, the social burden to unsuccessful competing firms has caused great political concern and reactions leading to calls for Protectionism, rejection of Globalization, other ways of dealing with trade, such as Internationalization, and so on. Moreover, Success in trade meant also large revenues and profits which gradually led to a concentration process by those companies reshaping markets into oligopolistic forms. More and more wealth gets concentrated in only few hands (N. Chomsky, 2). Trade, however, is not the only case for such developments, as we shall soon see.

2.2 Investments - If trade developments are always considered first ranking as the outcome from Globalization, investments play a substantial role in the fold of it. The flow of Foreign Direct Investments (FDI) has largely grown, stimulated by the increasing deregulation of barriers to

trade, in the final part of last century and followed increasing course up to the devastating financial crisis of 2008, from which so far they have only just recovered.

The relevance of foreign investments in Globalization is paramount, perhaps much greater than the basic flows of goods and services. A DI in foreign country under straight control of the parent company in a developing country may produce goods and services cheaper by taking advantage of lower salaries and this may be the first drive for this operation. However, this also means that there is a transfer in the selected country of technology, of know-how, of managerial skills, in general of knowledge, leading to the improvement and advancement of local culture. Governments may support all that, appreciating additional employment, an improved business *milieu*, and they will be eager and grateful for FDIs.

However, the picture may not be so nice.....In case the investment is geared towards products to be exported under parent's brand name, it could be the case of "Glocalization", that is delocalizing home production to refresh it and be more competitive with the outsourced one. The home production structure becomes redundant, is neglected and turned to other uses., thus unemployment and local impoverishment.

Investments can also be the way to enter what was considered a competitive firm, though in a non hostile approach, a sort of cooperative mood, with the intent of acquiring know-how, sharing expertise, finally a sort of preliminary merger. This is the case of cross balance in shares, or even a minority share holding, enough though to reach specific goals.

The flow of investments can have many different ways of motivation and implementation, but in a capitalistic society it is the basic tool for determining economic and social action. Very different story is speculative investments, i.e. „to produce money by the use of money”, the financial world separated from goods and services. That too has been and still is part of Globalization, but sooner or later it must come to terms with real facts and it is the overall crisis of this system.

1.2 Culture

Many people may think that Globalization has nothing to do with culture. Absolutely wrong: not only because there are flows of specific cultural goods (books, records, movies, etc.) and services which get tradable, but because these are features which indirectly export visions, attitudes, "philosophies", that is hegemonic power, apparently self-determined, but in many cases also oriented by politics.

This is why many people refuse getting contaminated by foreign cultural approaches, keeping limited contacts outside, but sliding down very slowly, satisfying their decreasing needs and expectations.

On the other end, there is at large in the world a strong and vital energy, seeking to move fast and spread its achievements all over. It looks for contamination of cultures, cross-border initiatives, so to produce hybrids with vital capacities and rejuvenate the ambience.

A third situation in the globalization of cultures refers to small, isolated populations, with outstanding traditions and values, threatened by contamination from "civilization", an irreversible loss which ought to be avoided.

From all this and many other facets on this debate comes the issue: are we threatened by cultural Globalization? Are we slowly becoming "other" from what our recent ancestors were? Most of all, is that right, or wrong? Moreover, do we care about this change, if it does exist?

As an example: are we getting Americanized? or Russianized? or Chinesized? In the American case, is it so since we like blues, jeans, hamburgers, soap-opera, western movies? Yet the flow of these items toward us is quite relevant and television shows them all the time.

The three examples exposed above show the relevance of the issues relating to (anthropologic) cultural Globalization and it is time now to consider which action is needed.

2. Accepting-Rejecting-Harmonizing Globalization

A growing majority of people, all over the world, is becoming aware that Globalization is a complex process, a system of interwoven relations, that is not spontaneous, self-induced, determined

“by an invisible hand”, as it could be clear at imperial ages. Large and detailed analysis has been performed so far, for instance by the SUNI LEVIN Institute in New York (8) and the knowledge gap on Globalization has been, partially of course, reduced in a positive way. On the other end, it is difficult to accept that in a polycentric world (USA, China, Russia, Europe, Iran, N.Korea,...) Globalization can properly fit the geo-strategies of all of each and all of them and induce suitable policies leading to changes affecting so many features extremely relevant for our way of life, such as the environment, our culture, finance, welfare, health, energy, and the list can continue.

In any case the overall present situation (N. Chomsky, 2) is showing an increasing disparity between a few people, in dominant positions, and the rest of the world, in terms of wealth. Since this game, and Globalization is in it, is “at zero summation”, if somebody gains, somebody else (all of us) must lose. So Globalization is important to us and we should consider what options are available to us, at this stage irrespective of our power to act to safeguard our interests.

There are three main options, amongst many others, of course. 1) Accept ; 2) Reject and 3) Harmonize . The first two may be not acceptable because the former would lead us quite soon to disaster and the latter can not be fought since, to begin with, we do not know enough about “the enemy” and we have no power (yet). The last option, the Harmonization, is more feasible in a proper perspective, since now it seems too early to be adopted because many more aspects need clarifications: i.e. which features are really bad (J. Stiglitz, 6) or good, and, most of all, with whom to negotiate each time (within the Washington Consensus ?), or there is really a secret society in charge of all that.(it is often claimed that, for instance, the Bilderberg group is acting that way).

The word Harmonization is familiar in European Union’s policy making where negotiations have to deal with 27+1 members, quite often with opposite views and interests. Even if a “visible advocate of Globalization” does not materialize, it is always possible to act in self-defence, defining suitable standards and enforcing them at the border for physical goods and stating codes of conduct for services and Finance. A piece-meal approach has been so far implemented by several E U Commissioners in Bruxelles, by challenging in courts and / or fining big multinationals for breaking the rules and standards, both European and American, Chinese, Russian.....

However, Globalization threats are not only coming from outside the European Union, but also from inside and the E U Commission has already considered this situation in a specific document: “Reflections on Harnessing Globalization” (9), May 2017, implying that the process is getting unsuitable and somehow it needs to be put straight, both outside and inside the Union.

Another proposal comes from an expert on these matters D. Rodrik (5) who starts with an economic-political analysis of Globalization, arguing about an irresolvable trilemma to cope at same time with : 1) Democracy, 2) national Sovereignty and 3) Globalization. Only the combinations in couples of these three conditions, giving just 3 possibilities (1+2, 1+3, 2+3) at any time, can be logically adopted for a performing solution of our problems. Moreover he suggests several reforms to improve international trade and, most of all, global finance, excluding absolutely both Protectionism and *Laissez faire*, extreme positions in the range of solution models.

Having quoted Democracy , as people’s involvement in public affaires, another expert in these matters, J. Rifkin (4) steps in, presenting his long standing criticism on Globalization and advocating action through representation “ at the doors of world economy and political *fora*”, implementing the “civil society politics” . This approach is getting nowadays more and more frequently adopted, as the bottom up initiatives get widespread and increasingly powerful and demanding.

The third option seems well on its way at present , but Harmonization and/ or even Harnessing seem both a sort of *mirage* at far distance, so far.

3. Tentative concluding remarks

This paper has made an attempt to deal with Globalization, a multifaceted process whose effects seem have been not yet clearly understood. The financial crisis of ten years ago has complicated the vision and therefore its analysis, but its multifaceted contradictory aspects make

judgements very difficult. On the positive side, for instance, in recent decades China and India eradicated mass famine, and in western world physical welfare improved. On the other side, liberalization of trade made competition much harder on goods and services, defeating firms in ageing economies with heavy implications on their contribution to employment and growth..

However, Globalization is not only related to production, trade, finance, but it is an overwhelming process with many other important societal features. Technological advancement has brought well-being to millions in terms of their mobility and their communications, but also contributed to massive growth of the financial markets where speculation made risky operations, loosing savings of customers in relevant measure and concentrating wealth in only few hands

An overall judgement on Globalization can not yet be fairly determined, because it did not perform the same way all over the world and over time and because it has no unique central structure in command, although a common economic-political geo-strategy could be detected in forms of ruthless liberalism and lower consideration for social values.

Is this way of performing by Globalization in the next few years the ultimate form of Capitalism? If Globalization is not going to be mitigated, and faults at least will not be compensated, will it last, or barriers will be resumed? Will concerned citizens be able to contrast Globalization forces to such an extent that will be avoided massive accumulation of wealth and power in fewer hands?

These questions are crucial for the survival of Democracy also in countries where it has been long established and rooted. Nevertheless, Globalization is here and will stay here for quite a while. We can only better organize ourselves, analyze its performance and, when it is necessary, contrast it in all lawful ways to preserve our freedom.

Bibliography and Citology:

1. U. Beck_ *Che cos'è la Globalizzazione*, Carocci, Roma, 2009
2. N. Chomsky_ *Chi sono i padroni del mondo (Who rules the world?)* Ponte alle Grazie, Milano, 2016
3. T. Friedman_ *The Lexus and the olive tree: understanding Globalization*, Farrar, 1999
4. J. Rifkin_ *The third industrial revolution; Public Policy, path to globalization*, 2011
5. D. Rodrik_ *La Globalizzazione intelligente (The Globalization Paradox: Democracy and the future of the world Economy)* Laterza, Bari, 2015
6. J. Stiglitz_ *Making Globalization work*, Einaudi, Torino, 2006
7. L. Venzi, M. Loseby_ *Globalization-what prospects for Georgian Rural sector?* Telavi State University Transactions-1st Symposium on Globalization, pp8, 2013
8. www.globalization101.org a project SUNY LEVIN Institute, New York
9. [Reflection paper on harnessing globalization 2017 Factsheet. eu](http://Reflection.paper.on.harnessing.globalization.2017.Factsheet.eu)

ლორენცო ვენცი

ტუმას უნივერსიტეტი, ვიტერბო, იტალია

რეზიუმე

გლობალიზაცია ცხოვრების ყველა ასპექტს ეხება: კულტურა, პოლიტიკა, მაკროეკონომიკა, ვაჭრობა, სამეცნიერო თუ ტექნოლოგიური განვითარება და ა.შ. ნაშრომი წარმოადგენს გლობალიზაციის ისტორიული განვითარების კრიტიკულ განხილვას, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ მისი ფართოდ განვითარების მიუხედავად, გლობალიზაციას ყოველთვის როდი აქვს დადებითი ეფექტები. შესაბამისად, ნაშრომი ეხება გლობალიზაციის, როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, დადებითი ეფექტები, უარყოფითი ეფექტები, კრიტიკული ანალიზი

Keywords: Globalization, positive effects, negative effects, critical analysis

ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების ზოგი საკითხისათვის არამონათესავე (ქართულ, რუსულ და ესპანურ) ენებში

სტატიაში გაანალიზებულია ვ.ვინოგრადოვის ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაცია სხვადასხვა სისტემის ენებში. კერძოდ, ქართული, რუსული და ესპანური ენების მასალების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ ამ კლასიფიკაციას ექვემდებარება სამივე საანალიზო ენა და სამივე ენის ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები მოიპოვება ამა თუ იმ ჯგუფში. გამოვიყენეთ შედარებით-ისტორიული და ტიპოლოგიური მეთოდები, რაც გვაძლევს შესაძლებლობას გამოვავლინოთ სხვადასხვა ენათა ფრაზეოლოგიური ერთეულების არა მარტო მსგავსი ნიშნები, არამედ გავხსნათ კიდევ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა გამოხატვის პლანის იდიოთენიკური სპეციფიკა.

ფრაზეოლოგიზმები ყოველთვის ენობრივი სისტემის განუყოფელი და ორგანული ნაწილია. ტრადიციული მიდგომით, ფრაზეოლოგიური ერთეული ეწოდება სიტყვათა ისეთ მყარ შესიტყვებას, რომლის მნიშვნელობა მისი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობამდე არ დაიყვანება და რომელიც ფუნქციონირებს ყოველგვარი წესებისა და რეგულაციების გარეშე. ენათმეცნიერებაში მიღებული მოსაზრების თანახმად, ფრაზეოლოგიზმი ეწოდება ნებისმიერ ლექსიკურ ერთეულს, რომელსაც ახასიათებს:

- ❖ სტრუქტურული მდგრადობა;
- ❖ მონოლითური ტრანსფორმირებული მნიშვნელობა;
- ❖ ექსპრესიულ-ემოციური შეფერილობა.

ფრაზეოლოგიური ერთეული არის სიტყვათა ჯგუფი, რომელიც ენაში არსებობს მზა ფორმით და წარმოადგენს მდგრად ენობრივ წარმონაქმნს. ფრაზეოლოგიზმები ლინგვისტურ ლიტერატურაში იდიომატიზებულ ლექსიკურ ერთეულებად მოიხსენიება. ისინი წარმოადგენენ ენის განუყოფელ ნაწილს და განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებენ მისი ლექსიკური ფონდის გამდიდრებაში [Телия, 1996: 65].

სტატიაში რიცხვითკომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმების კვლევისას, გამოვიყენეთ ვ. ვინოგრადოვის [ვ. ვინოგრადოვი, გვ. 140-161] კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც ფრაზეოლოგიზმები დაჯგუფებულია სემანტიკური კავშირის ხარისხის მიხედვით. ამ მეცნიერმა გამოყო ფრაზეოლოგიზმთა სამი ტიპი: ფრაზეოლოგიური შერწყმა, ფრაზეოლოგიური მთლიანობა და ფრაზეოლოგიური შეერთება. განავითარა რა ვ. ვინოგრადოვის კლასიფიკაცია, ნ. შანსკიმ შემოიტანა ფრაზეოლოგიზმთა მეოთხე ტიპი - ფრაზეოლოგიური გამონათქვამები [ნ. შანსკი, გვ. 161].

ფრაზეოლოგიური შერწყმა ფლობს სემანტიკური კავშირის მაქსიმალურ ხარისხს; ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმების მთლიანი მნიშვნელობა დამოუკიდებელია მათი სემანტიკური შემადგენლობისაგან და მათ კომპონენტთა მნიშვნელობათაგან. ქართულ, რუსულ და ესპანურ ენებში ფრაზეოლოგიურ შერწყმებს განეკუთვნებიან რიცხვითსახელიანი შემდეგი ფრაზეოლოგიზმები:

ერთ მაფრაშაში მოქცევა - სხვადასხვა ხასიათის და ნიჭის ადამიანების ერთნაირად აღქმა; **მაფრაშა** - ფარდაგისებრი ქსოვილის განიერი ოთხკუთხა ტომარა;

ერთ პირზე დგომა - შეთანხმებულად მოქმედება;

ერთი სიცოცხლის გათავება - შეშინება;

ერთი ყოფა დააწია - გაუჯავრდა, დატუქსა.

Всыпать (здать) по **первое** число - დასჯა (სიტყვასიტყვით: დაყრა პირველი რიცხვით);

Ни **одна** собака - აბსოლუტურად არავინ, ითქმის ადამიანზე (სიტყვასიტყვით: არც ერთი ძაღლი);

Сорок сороков - რაიმეს დიდი რაოდენობა (სიტყვასიტყვით: ორმოცი ორმოცზე);

Семь пядей во лбу - ძალიან ჭკვიანი (სიტყვასიტყვით: შვიდი მტკაველით შუბლში);

Седьмая (десятая) вода на киселе - შორეული ნათესავი (სიტყვასიტყვით: მეშვიდე წყალი კისელზე);

Seis por ocho- ჩხუბი (სიტყვასიტყვით: ექვსი რვაზე);

Comer donde dan las **doce** - მორგებული, ყოჩაღი (სიტყვასიტყვით: სადილობა იქ, სადაც საათი აჩვენებს თორმეტს);

Tener la cabeza a las **once** - არანორმალური (სიტყვასიტყვით: თავის ყოფნა თერთმეტ საათში);

Poner a uno las peras a **cuatro** (a **ocho**) - ვინმეს ყელში წაწვდომა (სიტყვასიტყვით: ვინმეს მსხლის ჩალაგება ოთხზე).

ფრაზეოლოგიური მთლიანობები ხასიათდებიან კომპონენტთა სემანტიკური შერწყმის ნაკლები ხარისხით. მათ მნიშვნელობებში, ჩვეულებრივი ხმარებისას, შეიძლება გამოიყოს კომპონენტთა მნიშვნელობებით მოტივირებული აზრი.

ფრაზეოლოგიური მთლიანობების მაგალითები ქართულში:

ორ სკამზე ჯდომა - მერყეობა, უპრინციპობა;

ათასადიჭრებოდა - ერთი კაცის მიერ მრავალგვარი საქმიანობისათვის ხელისმოკიდება;

ერთამბავშია - ცელქობა.

ფრაზეოლოგიური მთლიანობების მაგალითები რუსულში:

Играть **вторую** скрипку - მთავარი რომელიმე საქმეში (სიტყვასიტყვით: მეორე ვიოლინოზე დაკვრა);

Не **первой** свежести - დაგლეჯილი, ძველი, ჭუჭყიანი (სიტყვასიტყვით: პირველი სიახლის არ არის);

В **два** вершка от горшка - ძალიან დაბალი, დაბალი სიმაღლის, პატარა (სიტყვასიტყვით: ორი გოჯი ქოთნიდან);

Пятое колесо в телеге - ზედმეტი ადამიანი რომელიმე საქმეში (სიტყვასიტყვით: მეხუთე ბორბალი ურემში).

ფრაზეოლოგიური მთლიანობების მაგალითები ესპანურში:

A **dos** haces - ფარისეველი (სიტყვასიტყვით: ორყოფაში);

Al **primer** gallo - შუაღამეს (სიტყვასიტყვით: პირველი მამლით);

Ir\ salir entre **cuatro**- ფეხებით წინ (სიტყვასიტყვით: წასვლა / გამოსვლა ოთხს შუა);

Gil y **mil**-ალხანა - ჩალხანა (სიტყვასიტყვით: ხილი და ათასი).

ფრაზეოლოგიური შეერთებები, განსხვავებით შერწყმებისა და ერთიანობებისაგან, არ ფლობენ მთლიან მნიშვნელობას და ინარჩუნებენ თავიანთ სემანტიკურ დანაწევრებას. როგორც წესი, ისინი შედგებიან ორი კომპონენტისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი ინარჩუნებს პირდაპირ ნომინაციურ მნიშვნელობას, მეორეს კი აქვს გადატანითი, ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობა.

აღსანიშნავია, რომ რუსულ ენაში, ა. მოლოტკოვის რედაქციით გამოცემულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ლექსიკონში, დაფიქსირებულია მხოლოდ ერთი ფრაზეოლოგიური შეერთება:

Вдвух (в **трех**, в нескольких) шагах – ძალიანახლოს (სიტყვასიტყვით: ორ, სამ ნაბიჯში).

ფრაზეოლოგიური შეერთების მაგალითები ქართულ ენაში:

ერთიფეხითმოვუსწარ - სულ ცოტათი, ოდნავ მოვუსწარი;

ერთიჯამისაწამლავი - დიდი ტანჯვა, სიკვდილი;

ერთიცისქვეშვართდაბადებულნი - მახლობელნი ვართ;

თვალი-**ოთხი**, ყური - **ექვსი** - ყურადღებით.

ფრაზეოლოგიური შეერთებების მაგალითები ესპანურ ენაში:

Decir las **cuatro** verdades – (სიტყვასიტყვით: ოთხი სიმართლის თქმა);

Decir **mil** buenos a uno - კარგისთქმავინმეზე (სიტყვასიტყვით: ათასი კარგი სიტყვის თქმა ვინმესადმი);

A las **mil** maravillas - მშვენიერი (სიტყვასიტყვით: ათასი საოცრება);

Cien (**mil**) veces - ათასჯერ (სიტყვასიტყვით: ასჯერ (ათასჯერ)).

ფრაზეოლოგიური ერთეულები - თავიანთი მყარი შემადგენლობითა და გამოყენებით, წარმოადგენენ **ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს**, არიან სემანტიკურად დანაწევრებადი და შედგებიან თავისუფალმნიშვნელობიანი სიტყვებისაგან.

ფრაზეოლოგიური გამონათქვამების მაგალითები ქართულ ენაში:

ასჯერ გაზომე და **ერთხელ** გაჭერო;

ას ცუდ მშობელს **ერთი** კარგი შემნახავი სჯობიავო;

ცხრა დედაკაცის ჭკუა **ერთი** თხილის ნაჭუჭში ეტეოდაო;

ერთ ქვეყანაში ძალლი არ იყო და კატას აყეფებდნენო.

ფრაზეოლოგიური გამონათქვამების მაგალითები რუსულ ენაში:

Семеро одного не ждут – შვიდი ერთს არ ელოდება;

Семь раз отмерь, **раз** отрежь – შვიდჯერ გაზომე, ერთხელ მოჭერი;


Семь бед, **один** ответ – შვიდი უბედურება, ერთი პასუხი;

Не имей **сто** рублей, а имей **сто** друзей – არ გქონდეს ასი რუბლი, გყავდეს ასი მეგობარი.

ფრაზეოლოგიური გამონათქვამების მაგალითები ესპანურ ენაში:

Con **una** rueda no anda una careta- ერთი ბორბლით ურემი არ დადის;

Amor grande, vence **mil** dificultades -დიდი სიყვარული იმარჯვებს ათას სიძნელეზე.



ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფრაზეოლოგიური შერწყმა და ფრაზეოლოგიური მთლიანობა, როგორც ენობრივი ერთეულები, ფლობენ სემანტიკურ განუყოფლობას, მნიშვნელობის მთლიანობას და შეიძლება დავუპირისპიროთ ფრაზეოლოგიურ შეერთებებს, როგორც სემანტიკურად გაყოფადს და ერთიანი მნიშვნელობების არმქონე ენობრივ ერთეულებს. თავის მხრივ, ფრაზეოლოგიური შერწყმა და ფრაზეოლოგიური მთლიანობაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მათ კომპონენტთა შიდასემანტიკური მთლიანობის ხარისხით. ფრაზეოლოგიური გამონათქვამები განსხვავდებიან ფრაზეოლოგიური შეერთებებისაგან მათში ფრაზეოლოგიურად მაკავშირებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვების არარსებობის გამო.

კვლევამ ცხადყო, რომ ვ. ვინოგრადოვის კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც ფრაზეოლოგიზმები დაჯგუფებულია სემანტიკური კავშირის ხარისხის მიხედვით დასტურდება სამივე საანალიზო ენაში. რიცხვით სახელიანი ფრაზეოლოგიზმები წარმოდგენილია ყველა ტიპში, რაც მიუთითებს რიცხვითი სახელის პროდუქტიულობაზე ფრაზეოლოგიზმების წარმოქმნასა და რიცხვის იდიოთენიკური სპეციფიკის გამოხატვის მნიშვნელოვან როლზე ამა თუ იმ ენაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ.კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ. 2010
2. ალ. ონიანი, ქართული იდიომები, თბ.1966
3. თ.სახოკია, ქართული სიტყვა -თქმანი, თბ.1979
4. Русская грамматика / Главный ред. Н.Ю. Шведова. – М.: Академия Наук СССР, 1980. Т. 1.
5. Виноградов В.В. Об основных типах фразеологических единиц в русском языке / В.В. Виноградов. – Москва, 1977. –С.140-161.
6. Шанский Н. Фразеология русского языка/ Н. Шанский – Москва, 1964. –С. 161
7. Супрун А. Е. Славянские числительные / А.Е. Супрун. – Минск, 1969.
8. Телия, В.Н. Русская фразеология: Семантический, прагматический и лингвокультурологический аспекты / В.Н. Телия. — М.: Языки русской культуры, 1996.
9. Academia Española. Gramática de la lengua española. Madrid,1959
10. Gracián T. Fraseología de la lengua española. Madrid, 1946
11. Larousse: Gran diccionario de frases hechas Larousse, Spas editorial, S. L., Barcelona, 2001

Some Aspects of Numerative Phraseology in Non-related (Georgian, Russian and Spanish) Languages

Abstract

The article analyzed the classification of V. Vinogradov phraseological units in structurally different languages. In particular, on the basis of material of Georgian, Russian, and Spanish languages. As revealed, this classification is the subject to all studied languages and the numeral phraseological units are found in different groups. We applied the comparative-historical and typological methods, which gives us the opportunity to reveal not only the similarities of the elements of phraseological units of structurally distinguished languages, but also clarify the idioethnic specifics of the phraseological items.

საკვანძო სიტყვები: ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები, ტიპოლოგია, სემანტიკური კლასიფიკაცია.

Keywords: Numertive Phraseological Units, Typology, Semantic Classification

ნანა ზარნაძე, ქეთევან დოლიძე, ჟანა ჭითანავა
შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

კოლხური ჯონჯოლის (*Staphylea colchica*) *in vitro* კულტურაში შეყვანისა და მიკროგამრავლების ასპექტები

კოლხური ჯონჯოლი (*Staphylea colchica*) ჯონჯოლისებრთა ოჯახის წარმომადგენელია, ბუჩქი ან ტანდაბალი ხეა (5 მ-მდე სიმაღლის). აქვს გრძელყუნწიანი, სამ-ან ხუთ ფოთოლაკიანი ფოთლები. კავკასიასა და საქართველოში ჯონჯოლის მხოლოდ ორი სახეობა გვხვდება: კოლხური ჯონჯოლი, რომელიც უმთავრესად დასავლეთ საქართველოში იზრდება და ჩვეულებრივი ჯონჯოლი (*Staphylea pinnata*), რომელიც კოლხეთის დაბლობის გარდა ქართლსა და კახეთშიც გვხვდება. იზრდება ზღვის დონიდან 700-1300 მ-მდე, ტყის პირებზე, წაბლნარებსა და მუხნარებში ქვეტყედ. ზოგჯერ კულტივირებულია ბოტანიკურ ბაღებში (მაგ., თბილისის და ბათუმის ბოტანიკურ ბაღებში). ყვავილობს მაისში, მსხმოიარობს ივლისში.

კოლხური ჯონჯოლის გაუშლელ ყვავილებს ამწნილებენ. თესლისაგან მიღებულ ზეთს ხმარობენ მედიცინაში. ორივე სახეობა კარგი დეკორატიული და თაფლოვანი მცენარეა. მრავლდება თესლისა და ფესვის ამონაყრით. შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში“. იგი „წითელი ნუსხის“ მოწყვლადი სახეობაა და ამდენად მისი არატრადიციული გზით გამრავლების თავისებურებათა შესწავლა მიზანშეწონილია ბიოტექნოლოგიური მეთოდების უპირატესობის გამო. (N.Zarnadze).

უჯრედული ტექნოლოგია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია მცენარეთა გასამრავლებლად, იგი უზრუნველყოფს მცენარე-რეგენერანტების მასიურ მიღებას დროში შეუზღუდავად და ამარაგებს სანერგე მეურნეობებს მნიშვნელოვან კულტურათა სარგავი მასალით. (ნანა ზარნაძე, Н.Ж. Зарнадзе, К.А. Карпеченко)

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს კოლხური ჯონჯოლის *in vitro* კულტურაში შეყვანა და მიკროგამრავლების პირობების შემუშავება. ლიტერატურული მონაცემებით აღნიშნული მცენარის ქსოვილურ კულტურაში შეყვანის და გამრავლების თავისებურებანი ადრე არ ყოფილა შესწავლილი.

კვლევის მასალა და მეთოდიკა:

სტერილურ კულტურაში შეყვანისათვის შერჩეული იქნა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში გავრცელებული კოლხური ჯონჯოლის შემოდგომის ყლორტები, რომლებიდანაც პირველადი ექსპლანტის სახით გამოყოფილი იქნა ღეროს ფრაგმენტები ერთი ილლიური კვირტით, ზედაპირული სტერილიზაცია განხორციელდა ორი სხვადასხვა სქემის მიხედვით: პირველი სქემის მიხედვით პირველად მასალას (ყლორტებს) ვრეცხავდით 72% საოჯახო საპნით და რბილი ღრუბელით გამდინარე წყლის ჭავლის ქვეშ და ვტოვებდით 10-15 წუთით. შემდეგ ვჭრიდით ღეროს ერთი ილლიური კვირტის შემცველ ფრაგმენტებად და ვათავსებდით დისტილირებულ წყალში, რომელსაც ვუმატებდით ტვინ-80 -ის რამდენიმე წვეთს, ვდგამდით სანჯღრეველაზე და დაბალი სიჩქარით ვანჯღრევდით 8-10 წუთის განმავლობაში. ვავლებდით დისტილირებულ წყალს რამდენჯერმე და ბოლო ულუფაში ვტოვებდით 10 წუთით.

მეორე სქემის მიხედვით რამდენიმე ილლიური კვირტის შემცველ ყლორტებს ვრეცხავდით 72% საოჯახო საპნით და რბილი ღრუბელით გამდინარე წყლის ჭავლის ქვეშ და ვტოვებდით 10-15 წუთით. ვამუშავებდით სუსტი ქლორიანი წყალხსნარით, ისევ ვრეცხავდით დისტილირებული წყლით და ვეგეტაციის ინიცირებისათვის ყლორტებს გამბორგის მინერალური მარილების $\frac{1}{4}$ კონცენტრაციის მქონე ხსნარში ვათავსებდით და ჭურჭლს ვდგამდით 25°C -ზე, 15-20 დღის განმავლობაში მძინარე კვირტებიდან ვითარდებოდა მწვანე ვეგეტირებადი ყლორტები.

ორივე სქემის შემდეგომი სამუშაოები მიმდინარეობდა სტერილურ გარემოში - ლამინარ-ბოქსში. მცენარეულ მასალას თავდაპირველად ვავლებდით 70% ეთილის სპირტის წყალხსნარს 30 წამის განმავლობაში, ხოლო შემდეგ კვირტებს ვათავსებდით 0,2% და 0,5% დიოციდის წყალხსნარში 10; 15 და 20 წუთიანი ექსპოზიციით. სტერილიზაციის დასრულების შემდეგ ვავლებდით სტერილურ წყალს 5-6-ჯერ და ვტოვებდით ბოლო ულუფაში 20 წუთით. ზედაპირული სტერილიზაციის შემდეგ ექსპლანტებს ვთესავდით გამბორგის (B₅) (O.L. Gamborg) საკვებ არეზე ჰორმონების გარეშე. აღრიცხვას ვატარებდით მე-4 დღიდან ყოველდღე ორი კვირის განმავლობაში სტერილიზაციის ხარისხის დასადგენად (0-ვანი სუბკულტივირება) (N. Zarnadze)


სტერილური კულტურები გადაგვქონდა ახალ საკვებ არეზე (I სუბკულტივირება) რომელიც შევსებული იყო სხვადასხვა ბუნებისა და კონცენტრაციის ფიტოფორმონებით. საკვები არეების pH შეადგენდა 5,8-5,9. სტერილიზაცია წარმოებდა 0,9-1,0 ატმ. წნევის Qქვეშ 25 წთ-ის განმავლობაში. კულტურების სუბკულტივირება მიმდინარეობდა ფოტოპერიოდიზმისა (16/8სთ.) და $26\pm 1^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის პირობებში. განათება 3 კლუქსი, ახალ საკვებ არეზე გადათესვას ვახდენდით ყოველ 25-28 დღეში. შედეგების აღრიცხვა წარმოებდა ყოველი სუბკულტივირების ბოლოს. (H.Ж.Зарнадзе)

შედეგები: ექსპერიმენტის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ ზედაპირული სტერილიზაციისათვის გამოყენებულმა - 0,5% დიოციდის მასტერილებელი წყალხსნარის ნებისმიერმა ექსპოზიციამ გამოიწვია ყველა პირველადი მასალის ნეკროზი და ექსპლანტები დაიღუპა. ასეპტიკური მასალის მიღება შესაძლებელი იქნა ზემოთ აღწერილ სქემებთან ერთად 0,2% დიოციდის წყალხსნარის გამოყენებით.

საწყისი მასალა ხასიათდებოდა, როგორც გარეგანი, ასევე შიგა, ჭურჭელ-ბოჭკოვანი ინფექციის მაღალი ხარისხით. ეს შესაძლოა გამოწვეული იყო იმის გამო, რომ სამუშაო მასალა აღებული იქნა ზაფხულის ბოლოს. სწორედ ამიტომ, სტერილიზაციის პირველი სქემა ნაკლებ ეფექტური აღმოჩნდა, კულტურაში შეყვანილი კვირტების უმრავლესობა (80%) საკმაოდ მოკლე დროში (3-5 დღის განმავლობაში) დაიღუპა, დანარჩენ 20%-ს კულტივირების 5-6 დღის შემდეგ საკვებ არესთან შეხების ადგილას აღენიშნა პროგრესირებადი შინაგანი ინფექციის განვითარება, ასეთი კულტურები გამორიცხული იქნა ექსპერიმენტიდან.


კულტურაში შეყვანის მეორე სქემის განხორციელების შემდეგ გამოვიყენეთ სტერილიზაციის 10, 15 და 20 წუთიანი ექსპოზიცია. 10 წუთიანი ექსპოზიციის შემდეგ დადგენილი იქნა 70,4% ინფიცირება, 29,6% აღმოჩნდა სტერილური, მაგრამ არასიცოცხლის

უნარიანი, უმეტესობა დაიღუპა. 15 და 20 წუთიანი ექსპოზიციითა შორის ინფიცირების ხარისხი თითქმის ერთნაირი იყო, მცირედით იყო უმჯობესი 20 წუთიანი ექსპოზიცია, მაგრამ სიცოცხლის უნარიანი ექსპლანტების რაოდენობა უფრო მეტი 15 წუთიანი ექსპოზიციის შედეგად იქნა მიღებული და შეადგენდა 57,6% და 48,8% შესაბამისად.



დიაგრამა I. In vitro II სქემით კულტურაში შეყვანის შედეგები

3-4 კვირის განმავლობაში კულტივირების შემდეგ მიღებული სტერილური კულტურების ილლიური კვირტებიდან განვითარება დაიწყო ყლორტებმა, (სურ.1) პირველი სუბკულტივირების ბოლოს ექსპლანტთა ლატერალური მერისტემიდან წარმოიქმნა 3-5 ფოთლიანი ყლორტები, რომელსაც ვაცლიდით პირველად ექსპლანტს, ვჭრიდით ერთ ან ორ ილლიური კვირტის შემცველ ფრაგმენტებად და ვთესავდით ჰორმონების შემცველ ახალ საკვებ არეზე. ექსპერიმენტში საკუთრივ მიკროკლონური გამრავლების ეტაპზე ბაზალურ საკვებ არედ გამოვიყენეთ გამბორგის (Bs) ფორმულის მიხედვით შედგენილი მიკრო და მაკრომარილების შემცველი საკვები არე. ამ ეტაპზე მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა მიკროკლონების მაქსიმალური რაოდენობის მიღება, რომელიც რეგულირდება ფიტოჰორმონების მეშვეობით. ამიტომაც მათი კონცენტრაციისა და თანაფარდობის შერჩევა ერთ-ერთი რთული პროცესია. ციტოკინინებიდან გამოვიყენეთ ზეატინი და ბენზილამინოპურინი (ბაპ) 5; 10; 15 მკმ კონცენტრაციით, როგორც მხოლოდ, ასევე ნაფტილმმარმჟავასთან (ნმმ) კომბინაციაში. ილლიური კვირტებიდან ყლორტის განვითარებისათვის აუცილებლად იყო საჭირო საკვებ არეში ფიტოჰორმონების არსებობა, ვინაიდან უჰორმონო საკვებ არეზე არ მიმდინარეობდა მოსვენების მდგომარეობაში მყოფი კვირტებიდან ყლორტების ინიცირება, კვირტების პროლიფერაცია აქტიურად მიმდინარეობდა საკვებ არეებზე ბაპ 10 მკმ + ნმმ 0.5 მკმ და ზეატინი 15 მკმ + ნმმ 0.5 მკმ შემცველობით. შერჩეული ჰორმონალური ბალანსი უზრუნველყოფდა კვირტების მასიურ გამრავლებას კოლხური ჯონჯოლის კულტურაში(სურ. 2)



დიაგრამა 2. ჰორმონების გავლენა კვრტების ზრდა-განვითარებაზე.

პირველი ოთხი სუბკულტივირების განმავლობაში გამრავლების კოეფიციენტი განუზრებლად იზრდებოდა და მეოთხე სუბკულტივირების ბოლოს შეადგენდა 58-ს. მეხუთე სუბკულტივირების პერიოდში აღინიშნა გამრავლების პროცესის სტაბილიზაცია და გამრავლების კოეფიციენტის მნიშვნელოვანი ზრდა არ ყოფილა.

10-12 მმ სიგრძის ყლორტები გადაგვქონდა ახალ საკვებ არეზე მიკროგამრავლების ახალი ციკლისათვის ან ვაფესვნიანებით მინერალური მარილების განახევრებული კონცენტრაციის შემცველ საკვებ არეზე, რომელიც ჰორმონის სახით შეიცავდა ინდოლილერბომაქვას (იემ) ან ნაფტილმარმაქვას 3; 5 და 8 მკმ კონცენტრაციით .

აღნიშნული აუქსინების სხვადასხვა კონცენტრაციის შესწავლამ გვიჩვენა, რომ აუქსინების ტიპი და კონცენტრაცია განსხვავებულად მოქმედებდა დაფესვნიანების ეფექტურობაზე, ექსპლანტების ქცევის მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ ორივე აუქსინის შესწავლილი კონცენტრაციები ინიცირებდა რიზოგენეზს ჯონჯოლის კულტურაში, მაგრამ წარმოქმნის სიხშირე, რიზოიდების დიამეტრი, შებუსულობა, და დატოტიანება განსხვავდებოდა, დაბალი კონცენტრაცია (3 მკმ) სუსტად ინდუცირებდა რიზოიდებს, მაღალი კონცენტრაცია (8 მკმ) კვრტის ბაზალურ ნაწილში ინიცირებდა კალუსს , რომელზეც მოგვიანებით ვითარდებოდა ფესვები, მაგრამ ასეთი კულტურების აკლიმატიზაცია ვერ ხერხდებოდა. ოპტიმალური აღმოჩნდა 5 მკმ კონცენტრაცია ორივე აუქსინის შემთხვევაში. რაც შეეხება აუქსინების ეფექტურობას - იემ მაქსიმალურად სტიმულირებდა რიზოგენეზს, დაფესვნიანების სიხშირე 98% იყო, ფესვთა სისტემა აკლიმატიზაციის წინ ხასიათდებოდა კარგად განვითარებული, დატოტილი, შებუსული 6-18 მმ სიგრძის ფესვებით.

ნმმ შედარებით სუსტ, ნაკლებად შებუსულ და დატოტიანებულ ფესვთა სისტემას ინიცირებდა, დაფესვნიანება აღწევდა 92 %-ს 5 მკმ კონცენტრაციის გამოყენების შემთხვევაში.

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად შემუშავებული იქნა ჯონჯოლის *in vitro* კულტურაში შეყვანისა და სტერილიზაციის პირობები. ოპტიმიზებულია ჰორმონთა კონცენტრაცია და შერჩეულია მათი ეფექტურობა ზემოქმედების ბუნების მიხედვით კლონების მასიურად მიღების მიზნით. შესწავლილი იქნა ჰორმონების ზეგავლენა ყლორტების დაფესვნიანების ინდუქციაზე. გამოვლენილი იქნა იემ-ს უპირატესობა დაფესვნიანების პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზაციისათვის.



სურ 1. ყლორტების განვითარება ილლიური კვრტებიდან



სურ. 2 კვირტების მასიურ გამრავლება საკვებ არეებზე ბაპ 10 მკმ + ნმმ 0.5 მკმ

ლიტერატურა:

1. ნანა ზარნაძე, სოფიკო მანჯგალაძე, ცილა ბოლქვაძე (2013): ხარიშხლას მიკროგამრავლების თავისებურებანი *in vitro* კულტურაში // საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „ბოტანიკური ბაღების მნიშვნელობა მცენარეთა მრავალფეროვნების შენარჩუნებაში“ 8, 9, 10 მაისი, ბათუმი, საქართველო; 128-132.
2. Зарнадзе Н.Ж., Джакели Э.М., Челидзе Н., Гамкrellidze X.O (2014): Клональное микроразмножение растений *Vaccinium uliginosum* L. в культуре *in vitro*//МАТЕРІАЛИ МІЖНАРОДНОЇ НАУКОВОЇ КОНФЕРЕНЦІЇ "ІНТРОДУКЦІЯ, ЗБЕРЕЖЕННЯ ТА МОНІТОРИНГ РОСЛИННОГО РІЗНОМАНІТТЯ", до 175-річчя Ботанічного саду імені акад. О.В. Фоміна Київського національного університету імені Тараса Шевченка, 20 – 24 ТРАВНЯ, КИЇВ, 181-183.
3. Карпеченко К.А.и др. (2012): Введение в культуру *in vitro* Шалфея клейкого (*Salvia Glutinosa* L.) // "Фундаментальные исследования". №5-1.158-162;
4. Gamborg O.L. Eveleigh D.E. (1968): Culture method and defection of glucanases in cultures of wheat and barley. // *Canad. J. Biochem.* v.46, N 5, pp. 417- 421.
5. Zarnadze N.; Manjgaladze S.; Bolkvadze Ts.;(2015): Peculiarities of Microclonal Propagation of the Plants //International Conference "APPLIED ECOLOGY:PROBLEMS, INNOVATIONS"; 7-10 MAY, Tbilisi-Batumi, GEORGIA

Nana Zarnadze, Ketevan Dolidze, Jana Chitanava
Shota Rustaveli State University, Batumi

Aspects of accession *In vitro* culture and Microclonal propagation of *Staphylea Colchica*

Abstract

The results of research in accession *In vitro* culture and effective methods of microclonal propagation of *Staphylea colchica* have been presented. The influence of growth regulators on the regeneration of buds *In vitro* was studied. It was stated that buds regeneration ability of explant depends on the type and concentration of growth regulators.

It was established that Gamborg (B₅) medium containing 10 μm/l BAP +0.5 μm/l NAA and

15 μm/l Zn+0.5 μm/l NAA is optimal for shoot propagation. Gamborg (B₅) medium ½ containing 5 μm IBA is optimal for shoot rooting.

საკვანძო სიტყვები: სტერილიზაცია; *in vitro* კულტურა; მიკროკლონური გამრავლება; ფიტოჰორმონები.

Key words: *Staphylea colchica* microclonal propagation, *in vitro* regeneration, growth regulators,

მარიამ ზაქარიაშვილი, ირაკლი ჭიჭაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

ინტერაქტიური ტესტირების ტექნოლოგია
ელექტრონული სასწავლო მართვის სისტემა - MOODLE

შესავალი

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის ძირითადი დანიშნულება არა მხოლოდ სტუდენტის/მოსწავლის ცოდნით აღჭურვაა, არამედ ცოდნის აქტიური, შემოქმედებითი ფორმით შეძენა, რაც სტუდენტს/მოსწავლეს მისცემს საშუალებას დაუბრკოლებლად მიიღოს განათლება უწყვეტად და მოახდინოს ცოდნის შეფასება.

განათლების მიღების პროცესში შეფასება სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილია. შეფასება ნიშნავს სტუდენტის/მოსწავლის მიღწევაზე დაკვირვებას და დასკვნის გაკეთებას სტუდენტის თეორიული და პრაქტიკული მომზადების შესახებ. ცოდნის შეფასებისას ტესტირებას პედაგოგიური საზოგადოება უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. ტესტირება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც ტრადიციული მეთოდებით (ტესტირება ქაღალდზე), ასევე ელექტრონული ფორმით (ელექტრონული online ან offline ტესტირება).

საგანმანათლებლო ინტერნეტ სივრცე ტესტირებისათვის გვთავაზობს მრავალ ტექნოლოგიურ საშუალებას. ასეთი ფუნქციონალი ჩადებულია პროგრამულ აპლიკაციებში ([Articulate Storyline](#), QuizForce, Quiz Builder; iSpring Suite და სხვ.) და, უშუალოდ, სასწავლო მართვის სისტემებში ([Moodle](#), [eFront](#), eLearning 4g და სხვ.).

თითოეული პროგრამული პლატფორმა ხასიათდება ძლიერი და სუსტი მხარეებით. სასწავლო პროცესში ტესტირებისათვის საკმაოდ კარგ შესაძლებლობებს იძლევა iSpring Suite პაკეტი შემავალი აპლიკაცია iSpring QuizMaker. აღნიშნული პროგრამის გარემოში შესაძლებელია აიგოს მრავალფეროვანი სახის ტესტები, როგორც დახურული, ასევე ღია სახის; მოხდეს გამოკითხვა ანკეტური ფორმით; ჩატარდეს ტესტირება ონლაინ რეჟიმში; მოხდეს სატესტო პირთან უკუკავშირი - ტესტირების დამთავრებისთანავე სატესტო პირი ხედავს ტესტირების შედეგს; ტესტის შედეგები იგზავნება ტესტირების ცენტრში, ან პირადად მასწავლებელთან ელექტრონულ ფოსტაზე. აღნიშნული აპლიკაცია გამოვიყენეთ ტესტირებისათვის სხვადასხვა სასწავლო კურსში, საპილოტე პროექტის ფარგლებში, ჩავატარეთ კვლევა „ელექტრონული ტესტირება - ქაღალდზე ტესტირების წინააღმდეგ“, რომელშიც ჩვენთან ერთად ჩართული იყვნენ თავად სასწავლო კურსის მასწავლებლებიც. ტესტირებისას ტექნოლოგიური პრობლემა არ ყოფილა. ტესტირება დადებითად შეფასდა როგორც მასწავლებლების, ასევე აპლიკანტების მხრიდან.

iSpring QuizMaker აპლიკაცია თავსებადია MOODLE პროგრამულ პლატფორმასთან, რაც საშუალებას იძლევა iSpring ტესტის მოდელები ინტეგრირდეს MOODLE გარემოში და ეს არც თუ ისე ძნელია იმ შემთხვევაში, თუ აგებულ რესურსს აქვს LMS მხარდაჭერა (SCORM-ის სტანდარტი). მაგრამ, როდესაც საუბარია საგანმანათლებლო დაწესებულებაზე, ტესტირების ორგანიზების თვალსაზრისით, არჩევანი კეთდება - ელექტრონული სწავლების მართვის [LMS MOODLE](#) სისტემაზე.

MOODLE საშუალებას იძლევა, არა მხოლოდ განთავსდეს მასალები, არამედ შეიქმნას ისინი უშუალოდ თავად სისტემაში. თუმცა, ასეთი მიდგომა ყოველთვის არ არის პროდუქტიული. MOODLE-ს აქვს სასწავლო რესურსის ელემენტების (სემინარების, ფორუმების, მონაცემთა ბაზების, ლექციის), ტესტირების აგების მძლავრი მოდულები, რომელთა მართვა შესაძლებელია უშუალოდ სისტემაში, მაგრამ MOODLE-ში ლოკალურად შექმნილი ელემენტები, მათ შორის ტესტი, არ შეიძლება გადატანილ იქნას სხვა ელექტრონული სწავლების სისტემაში (სხვა LMS-ში).

ამიტომ, როდესაც მოითხოვება შეიქმნას ინტერაქტიური, განმარტებითი-საილუსტრაციო მასალა, ტესტები, კითხვარები ან საწვრთნელები (ანუ ნებისმიერი მასალა,

რომელშიც ჩართულია მულტიმედია და ლოგიკური ავტომატიზაცია), აზრი აქვს ცალკეული პროგრამული საშუალებების სპეციალური ინსტრუმენტების გამოყენებას, რაც საშუალებას იძლევა გავაკეთოთ ეს მარტივად, საკმაოდ სწრაფად, მიმზიდველად, და რაც მთავარია უნივერსალურად.

სახელდობრ, iSpring Suite-თან მუშაობისას ფორმატის განსაზღვრა (Web ფორმატი; LMS ფორმატი; Word ფორმატი; და შესრულებადი exe ფორმატი)- მასალის დამუშავების ფინალური ნაწილია, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს. ასე რომ, ვქმნით რა უნივერსალურ მასალას პროექტის სახით, მისთვის პუბლიკაცია შესაძლებელია შერჩეული ფორმატით, და შემდეგ შესაძლებელია კიდევ მოვახდინოთ იგივე მასალის პუბლიკაცია, მაგრამ უკვე სხვა ფორმატით თუ საჭირო იქნება.

ვიყენებთ, რა MOODLE-ს ელექტრონული ტესტირების ორგანიზებისათვის, ვღებულობთ ტესტის აგების მძლავრ ინსტრუმენტს, და იმავდროულად ტესტის ხარისხისა და მისი მდგენელის კარგ ანალიზატორს - ტესტური დავალებებში.

ელექტრონული ტესტირების სფეროში მეტად მნიშვნელოვანია: ინტერაქტიული ელექტრონული სასწავლო გარემოს შექმნა; ტესტირების სწორი მენეჯმენტი, რაც საშუალებას მოგვცემს ავაგოთ ტესტირების მოდელი; ტესტის ონლაინ რეალიზება (ტესტირების ჩატარება); ტესტირების შეფასების ანალიზი (შედეგების დამუშავება), რათა ვუზრუნველყოთ სტუდენტი/მოსწავლე ხარისხიანი და ობიექტური შეფასებით.

შინაარსი

1. ინტერაქტიული ელექტრონული სასწავლო გარემო - MOODLE

ინტერაქტიული ელექტრონული და დისტანციური სწავლების, ონლაინ ტესტირებისათვის ვირტუალური საგანმანათლებლო სივრცე იყენებს ელექტრონული სწავლების მართვის learning Management Systems – LMS სისტემებს. სახელდობრ, aTutor; Canvas by Instructure; Chamilo; Claroline; Dokeos; eFront; Federa; ILIAS; Moodle; OLAT; Sakai; Totara LMS; WeBWork. ელექტრონული და დისტანციური სწავლების მართვის სისტემების წარმოდგენილი ჩამონათვალიდან Moodle სისტემას მსოფლიოს მრავალი საგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს. სისტემას აქვს ქართული ენის მხარდაჭერა.

პროგრამული პროდუქტი MOODLE შექმნილია პროფესიონალთა ღია გლობალური კომუნის მიერ, რომელიც რამდენიმე ასეულ სპეციალისტს აერთიანებს. პროექტის დამფუძნებელი და იდეოლოგია დოქტორი მარტინ დაუჯამესი (Martin Dougiamas, Western Australia, 2002) <http://moodle.org>.

დღეისათვის Moodle (MOODLE – Modular Object-Oriented Dynamic Learning Environment - მოდულური ობიექტ-ორიენტირებული დინამიური სასწავლო გარემო) როგორც თავისუფალი ონლაინ სასწავლო ელექტრონული მართვის სისტემა (LMS - Free Online Learning Management System) გამოიყენება საქართველოს ზოგიერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ელექტრონული სწავლების პორტალებზე: <http://tsu.edu.ge>; <http://www.iliauni.edu.ge>; <http://www.moodle.itvet.ge> არა მხოლოდ ელექტრონული სასწავლო რესურსის მისაღებად, არამედ როგორც ტესტირების ონლაინ საშუალება სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის შესწავლის დონის დასადგენად.

ელექტრონული სწავლების, ონლაინ ინტერაქტიული ტესტირების მეთოდოლოგიის დანერგვისა და გამოყენების მიზნით თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ლაბორატორიაში (დამფუძნებლები: მარიამ ზაქარიაშვილი, ირაკლი ჭიჭაშვილი) შეიქმნა ელექტრონული სწავლების მხარდაჭერი პორტალი MOODLE-ს გარემოში, მოხდა მისი ინტეგრაცია უნივერსიტეტის სასწავლო ინტერნეტ-სივრცეში www.e-learning.tesau.edu.ge

2. ინტერაქტიული ელექტრონული ტესტირების მენეჯმენტი

ტესტირების ჩატარების და შედეგების დამუშავებისთვის, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია ტესტირების პროცესის სწორი მენეჯმენტი - ტესტირების სისტემის შექმნა და მისი პარამეტრების მართვა.

**Moodle-ს გარემოში ტესტის შემუშავებისას აუცილებელია ვიცოდეთ
სისტემის შემდეგი ძირითადი შესაძლებლობები:**

- ტესტი შესაძლებელია იყოს დროში და ცდების რაოდენობაში შეზღუდული მისი გავლისას.
- ტესტზე წვდომის დღე და დრო შესაძლებელია იყოს მკაცრად განსაზღვრული, ან იყოს მუდმივად ღია;
- ტესტში კითხვების წარმოდგენის თანამიმდევრობა და პასუხების ვარიანტები კითხვებში შეიძლება იყოს განსაზღვრული ან შემთხვევითი.
- ტესტი შეიძლება გაეშვას სხვადასხვა რეჟიმში, მაგალითად, ადაპტურ რეჟიმში სატესტო პირს საშუალება ეძლევა ტესტის ყოველ კითხვაზე ცდების განუსაზღვრელი რაოდენობისა (შეუძლია მინიშნების გამოყენება), მაგრამ ამ შემთხვევაში არასწორი პასუხებისთვის შესაძლოა დაერიცხოს საჯარიმო ქულები მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად, რომლებიც გამოაკლდება ტესტის გავლის საბოლოო შეფასებას.
- ტესტის შედეგების ანგარიში სატესტო პირისათვის შეიძლება აიგოს მოქნილად;
- ტესტის საბოლოო შეფასება იქმნება ქულებით, რომლებიც მიიღება ტესტის ყოველ კითხვაზე, კითხვის წონის შესაბამისად. შეფასება გამოისახება პროცენტებში (ქულების შესაძლო მაქსიმალური წილით)

ტესტირების სისტემა ორი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება:

ტესტის გარსი და შეკითხვების ბაზა

ტესტის გარსი შეკითხვების ბაზიდან რაიმე წესით ამორჩეული შეკითხვების ერთგვარი ნაკრებია. აპლიკანტები ტესტირების პროცესში სწორედ ტესტის გარსს ხედავენ. ტესტის გარსის შესაქმნელად აუცილებელია გათვალისწინებული იყოს: ტესტის დასახელება; ტესტის ხანგრძლივობა; ტესტის გახსნის და დახურვის თარიღები; მცდელობების რაოდენობა; შეკითხვების დამასში არსებული კითხვების თანამიმდევრობის განსაზღვრა; შეფასების კრიტერიუმების პარამეტრების შერჩევა; შეფასების კრიტერიუმების პარამეტრები (უმაღლესი, პირველი მცდელობა, ბოლო მცდელობა); დასრულებული ტესტების შედეგების ხედვის პარამეტრების შერჩევა; ტესტირების უსაფრთხოების პარამეტრების პაროლის და ქსელის მისამართების განსაზღვრა; ტესტზე ჯგუფის დაშვება არდაშვების აქტივაცია.

ტესტირების პარამეტრების განსაზღვრის შემდეგ, მნიშვნელოვანი საკითხია შეკითხვების ბანკის შექმნა, შესაბამისი შეკითხვის ტიპების შერჩევა და მათი სისტემაში ინტეგრირება.

განიხილება შემდეგი ტიპის შეკითხვები:

- Matching (შესაბამისობითი) - სტანდარტული ორსვეტიანი შესაბამისობა;
- Multiple choice - (რამდენიმე შესაძლო) სტანდარტული მრავალარჩევნიანი შეკითხვა როგორც ორი, ასევე მრავალი შესაძლო პასუხით;
- Short answer - (მოკლეპასუხი) სტუდენტი შეკითხვას ერთი სიტყვით, ან ფრაზით პასუხობს. უნდა იყოს მოცემული მისაღებ პასუხთა სია;
- Numerical - (რიცხვითი) "მოკლე პასუხის" მსგავსი, მხოლოდ პასუხი აუცილებლად რიცხვითი უნდა იყოს;
- Embedded answers (Cloze) (ჩართული პასუხები) - ეს არის შეკითხვა, რომლის შიგნითაც სხვადასხვა ტიპის შეკითხვაა ჩართული, როგორიცაა Multiple choice (რამდენიმე შესაძლო),
- Short answer - (მოკლე პასუხი),
- Numerical - (რიცხვითი);
- Random short-answer matching - (მოკლე პასუხის შემთხვევითი შესაბამისობა) შესაბამისობის ტიპის, მხოლოდ შეკითხვებისა და პასუხების სვეტების შერჩევა სისტემის მიერ ხდება შემთხვევით "მოკლე პასუხის" ტიპის შეკითხვებიდან;
- True/False - (ჭეშმარიტი/მცდარი) შეკითხვა მხოლოდ ორი სავარაუდო პასუხით;

განიხილება ტესტირების მომზადების სხვადასხვა ვარიანტები (დაამატე კითხვები, კითხვების ბანკიდან, დაამატე შემთხვევითი კითხვებიდან). თუ ტესტირების მოსამზადებლად საჭიროა შეკითხვების ბანკიდან გადანაწილდეს შეკითხვები შინაარსობრივად და სირთულის მიხედვით, თითოეული შეკითხვისთვის შესაძლებელია შეფასების მინიჭება. ცხადია, ეს შეფასებები სხვადასხვა შეკითხვისთვის სხვადასხვა შეიძლება იყოს. მიუხედავად იმისა, შეფასების რა მნიშვნელობა მიენიჭება კონკრეტულ შეკითხვას, სისტემა მოახდენს ტესტში შემავალი კითხვების შეფასებების შეწონვას ისე, რომ მათი ჯამი ტესტის გარსის განსაზღვრისას მითითებულ შეფასებას უტოლდებოდეს.

შესაძლებელია შემთხვევით არჩეული შეკითხვების საშუალებით შეიქმნას ტესტის გარსი. შემთხვევითი შეკითხვა ერთგვარი თავისუფალი სივრცეა, სადაც სისტემა ავტომატურად ჩასვამს შემთხვევით არჩეულ შეკითხვებს მოცემული კატეგორიიდან. შესაბამისად, ტესტის გავლის ყოველი მცდელობისას სტუდენტი იღებს მის ახალ-ახალ ვარიანტს. ძალიან მცირეა ალბათობა იმისა, რომ შეკითხვა ტესტის ჩატარებისას ზედიზედ ორჯერ განმეორდეს.

3. ტესტირების ონლაინ რეალიზება

საპილოტე პროექტის ფარგლებში „ელექტრონული ტესტირება - ქაღალდზე ტესტირების წინააღმდეგ“ მოვახდინეთ ტესტირების აპრობაცია ინფორმაციული ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტებთან ახლა უკვე MOODLE გარემოში. ტესტირებამდე მოხდა აპლიკანტების დარეგისტრირება www.e-learning.tesau.edu.ge სასწავლო პორტალზე დამოუკიდებელი რეგისტრაციის რეჟიმით და პრეტესტირება, რის შემდეგაც მათ მიეცათ ტესტის გავლის საშუალება.

აპლიკანტი ტესტირების პროცესში ხედავს მიღებულ შედეგებს, შეუძლია ჩაასწოროს ტესტის პასუხები მხოლოდ ტესტის დასრულებამდე, ვიდრე პასუხის გადაგზავნას საბოლოოდ დაადასტურებს. მაგრამ ტესტის დასრულებისა და პასუხების საბოლოოდ გადაგზავნის შემდეგ შესაძლებელია მხოლოდ ტესტის შედეგების მიმოხილვა. იგი ხედავს სად დაუშვა შეცდომები. ტესტის განმეორებით გავლა შესაძლებელია, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ ხდება ქულების დარიცხვა ჯარიმის სახით მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად, რაც ჩადებულია წინასწარ ტესტის მართვის მოდელში.

საგამოცდო ტესტირება - X

← → ↺ ⌂ www.e-learning.tesau.edu.ge/moodle/mod/quiz/review.php?attempt=14

ელექტრონული სწავლების ლაბორატორია ქართული (ka) ▼

დაპროექტების ტექნოლოგია (HTML)

ჩემი მთავარი გეგმა: ზუსტ და საზღვრისმეტყველო შეცნობებთან დაკავშირებული: მათემატიკის, ინფორმატიკისა და ფიზიკის დეპარტამენტი ინფორმაციული მართვა: Web 12 ივნისი-18 ივნისი: საგამოცდო ტესტირება: საგამოცდო ტესტირება - Web - დაპროექტების ტექნოლოგია (HTML)

ქვების ნაწილაკი	1	2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15	16	
17	18	19	20					

Show one page at a time
დაასრულეთ განხილვა

დაწყებულია	Wednesday, May 17 2017, 11:53 PM
დასრულებულია	Wednesday, May 17 2017, 11:55 PM
დასრულებულია	Wednesday, May 17 2017, 11:55 PM
მოხმარებული დრო	2 წუთი 28 წამი
შეფასება	18.00 out of 20.00 (90%)

კითხვა 1
სწორია

გამოიწვანა: 1.00
ამდენიდან: 1.00

წინა
შემდეგ
კითხვა

როგორი ფორმატის გრაფიკული ფაილები გამოიყენება ვებ გვერდზე?

აირჩიეთ ერთი:

- ☒ a. png, jpg ✓
- ☐ b. cdr, pdf
- ☐ c. tiff, bmp
- ☐ d. max, fla

თქვენი პასუხი სწორია.
სწორი პასუხია: png, jpg

4. ტესტირების შეფასების ანალიზი (შედეგების დამუშავება)

ტესტების შედეგების ანალიზისთვის განიხილება აპლიკანტების შედეგები. შედეგების მიხედვით ანალიზის ჩატარება შეიძლება ორი საშუალებით: შედეგების ანალიზი ქულების ან/და პროცენტული მაჩვენებლებით.

ტესტის დასრულების შემდეგ, შედეგების ანალიზის შედეგად, სისტემაშიშესაძლებელიაქულასთან ერთად დეტალურად ჩაიშალოს თითოეულ აპლიკანტის მიერ ტესტირების დროს თითოეულ შეკითხვაზე მონიშნული პასუხები, მათი საშუალებით ჩანს ტესტში მიღებული სწორი და არასწორი პასუხები, რაც შეკითხვების პასუხების ანალიზის ჩატარების საშუალებას იძლევა.

პროცენტული თვალსაზრისით შედეგების ანალიზის განხილვისას, შესაძლებელია ტესტში არსებული შეკითხვების მიხედვით თითოეულ შეკითხვაზე მონიშნული სწორი პასუხების პროცენტული მაჩვენებლით ანალიზი, რაც აჩვენებს აპლიკანტებიდან რამდენმა პროცენტმა გასცა სწორი პასუხი. ეს იძლევა საშუალებას შეფასდეს შეკითხვის ვალიდურობა.

დასკვნა

საპილოტე პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევითი სამუშაოების შედეგების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. MOODLEელექტრონული სწავლების სისტემის ანალიზის შედეგად შემუშავებულ იქნა ტესტირების მოდულის ფუნქციონალური შესაძლებლობების განხილვა, ადმინისტრირება, ორგანიზება.

2. განხილულ და გათვალისწინებულ იქნატესტირების მახასიათებლები MOODLE ელექტრონული სწავლების მართვის ღიაკოდის სისტემის შესწავლისას. დადგენილ იქნა MOODLE სისტემის უპირატესობა სხვა სისტემებთან. სახელდობრ, მოხდა პროგრამულ შესაძლებლობათა ანალიზი iSpring QuizMaker პროგრამულ აპლიკაციასთან მიმართებაში.

3. ტესტირების პროცესის უზრუნველსაყოფად თანმიმდევრულად განხორციელდა ტესტირების მენეჯმენტის პროცესები: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი, ანალიზი;

4. ტესტირებისმსვლელობა, შედეგებისანალიზი, თანმიმდევრულადინტეგრირდა ელექტრონული სწავლების MOODLE სისტემაში;

5. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ელექტრონული ტესტირების სისტემის დანერგვა და გამოყენება მიზანშეწონილია ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ვინაიდან ელექტრონული ტესტირება შესაძლებლობას იძლევა ბეჭდვითი დანახარჯების გარეშე, ტესტირების მრავალჯერადი ჩატარების შესაძლებლობას. ასევე, აღსანიშნავია რომ შედეგების შეფასებახდება სისტემის მიერ ავტომატურად, უშუალოდ შემფასებლის მიერ წინასწარ განსაზღვრული მეთოდის საფუძველზე, რაც თავისთავად ამცირებს ტესტის მექანიკურად გასწორებისათვის საჭირო რესურსებს.

ლიტერატურა:

1. Moodle Module 3 – Assessment; Federation – University – Australia; Module 3: Assignments, Quizzes and the Gradebook in Moodle; Participant Guide This course has been prepared by the Centre for Learning Innovation and Professional Practice (CLIPP) to train Federation University in the use of the Moodle online learning systems. Moodle version 3.0; Prepared May 2016.
2. Sauvain Romain.Moodle for TeachersReference Manual.The Graduate InstituteGeneva; Graduate Institut of International and development Studies. 2015
3. Клейносовна Н. П., Кадырова Э.И., и др. Проектирование и разработка дистанционного учебного курса в среде MOODLE 2.7. Учебно-методическое пособие. Рязань. Гос. Радиотех. Ун-т; 2015
4. ზაქარიაშვილი მ., ღარიბაშვილი მ., პაპუნაშვილი ნ., ჭიჭაშვილი ი. (2016),Computer-based vs Paper based Testing in Foreign Language Teaching. კონფერენციის შრომების კრებული. <http://ircelt.ibsu.edu.ge>
5. ზაქარიაშვილი მ., ჭიჭაშვილი ი., ტესტირების კომპიუტერული მოდელის ინფო-ტექნოლოგიური რეალიზება (2013)VI საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია-”ინტერნეტი და საზოგადოებაინსო-2013“კონფერენციის შრომების კრებული. გვ.175-180;ISBN 978-9941-448-46-1; <http://www.inso.ge>. <http://www.atsu.edu.ge>ქუთაისი
6. www.iSpring.ru; <http://www.ispring.ru/support/quizmaker.html>
7. <http://docs.moodle.org>

Interactive Testing Technology E-learning System- MOODLE

Abstract

The object of the research is – MOODLe i.e. projecting, realizing and analysis of testing process in the frames of electronic education system as well as supporting e-testing in the united electronic system. The functional abilities of e-testing module is discussed in the paper.

საკვანძო სიტყვები: MOODLE – LMS ელექტრონული მართვის სასწავლო სისტემა; iSpring QuiseMaker ტექნოლოგია; ინტერაქტიული ელექტრონული ტესტირება.

Key words: MOODLE – LMS electorning managing teaching system, iSpring QuiseMaker technology, interactive electorin testing.

თამილა ზვიადაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

ოთარ ჩხეიძის ენობრივი ცნობიერების ასპექტები

ენა გამოთქმის განუსაზღვრელი შესაძლებლობებითაა სავსე, ამ შესაძლებლობათა აქტუალიზაცია კი შემოქმედის ნიჭს ემყარება. მწერლის ენის შესწავლა, მისი ენობრივი სამყაროსა და მხატვრულ - ფუნქციური სტილის რაგვარობის განსაზღვრა, ენობრივი ცნობიერების მასაზრდოებელი წყაროების გამოვლენა ენათმეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

ოთარ ჩხეიძე მშობლიური ენობრივი სამყაროს გაცნობიერება - გათავისების უნარით გამორჩეული შემოქმედია. მწერლის მხატვრულ - ესთეტიკური თუ ენობრივი პოზიცია აშკარად იკვეთება მის წერილებში, სტატიებში და, რა თქმა უნდა, მხატვრულ თხზულებებში. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ „სწორედ ენის საშუალებით გადაარჩინა ოთარ ჩხეიძემ თავისი დიდი მხატვრული სამყარო იმ სავალდებულო კომპრომისებისაგან, რასაც ბევრი მისი თანამედროვე მწერალი ვერ ასცდა“ (ტ. ჭანტურია, 2005, 406); მწერლობაში ენა, უპირველეს ყოვლისა, მწერლის ინდივიდუალიზაციის საშუალებაა. როგორც ვაჟა ამბოხს: „მწერალს საკუთარი ენა უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომია...მწერლის სულია“ (ვაჟა ფშაველა, 1979, 593); ქართულ ლიტერატურაში რამდენიმე მწერალია, რომელთა ნაწერებს მომენტალურად ვცნობთ. შეუძლებელია ვერ იცნო ოთარ ჩხეიძე, რომლის ენობრივი სტილი სრულიად გამორჩეულია. როგორც თავად ბრძანებდა:

„სტილი შინაგანი ბუნებიდან მომდინარეობს...სამწერლო ტრადიციებიდანაც მომდინარეობს და მიების შედეგიც არის, განვითარების შედეგიც გახლავთ სტილი...„მხატვრული სტილისთვის გრამატიკული სისუფთავე აუცილებელია, რაღა თქმა უნდა, მაგრამ მწერლური სტილი მაინც უფრო ფარული მოვლენაა, ის სიტყვათა განლაგების უკანა დგას, ლექსიკურ თავისებურებათა უკანა დგას და ჰქმნის იმგვარ სახეებს, ნაწარმოების არსის, ძირითადი აზრის გამოკვეთისათვის რო აუცილებელია. სტილი აქაა საძიებელი, სიტყვათა განლაგების სიღრმეშია საძიებელი. ამიტომ ის უფრო იდუმალია, ვიდრე გვეჩვენება ერთი შეხედვითა“ (ოთარ ჩხეიძე, 2016, 100);

სტილი არ შეიძლება ხელოვნური იყოს. ოთარ ჩხეიძის ნაწერებში თითქოს არაფერია ისეთი, ცოცხალ მეტყველებაში რომ არ გვხვდებოდეს და მწერლობას არ გამოეყენებინოს, მაგრამ ის მაინც გამოირჩევა იმით, რომ „ნამდვილია, ქართულად ნამდვილი, სისხლით, ხორციტ, გვარ-ჯილაგით, სულამოწვდენით, ყველა დროში გამოვლილ-გამოწვრთნილი სიტყვით, მშობლიურობით, კალმახი ენით...“ (გია ხოფერია, 2015);

მშობლიური ენის წიაღიდან ამოღებული და ორიგინალურად, თავისებურად გამოყენებული ენობრივი საშუალებები ქმნის სწორედ იმ განუმეორებელ ხიზლს, რასაც მწერლის სტილი ჰქვია. ოთარ ჩხეიძე ხშირად ესესხება ხალხურ, სასაუბრო ენას, იყენებს ანდაზებს, მხატვრულ სახეებს, იგავებს, ფრაზეოლოგიზმებს, რომელთაც შეუძლიათ ზოგჯერ უფრო ძლიერი ზემოქმედება მოახდინონ მკითხველზე, უფრო ძლიერი ველი შექმნან. განსაკუთრებით ხშირია ეს ფორმები მაშინ, როცა ფრაზას სარკაზმი ერევა, ირონია გამოიხატება, ეპოქის დახასიათება ხდება. ასე თითქოს უფრო კარგად ითქმება, უკეთესად გაიგება, ან როგორც თავად ამბობს, უკეთესად შეინიღებება: „მაინც ვახერხებდი, ზოგი რამ მეთქვა, მაშინ უთქმელი, ანთუ გამოუთქმელი. მეთქვა, გამეხვია მხატვრულ სახეებში, სტილისტურ ხვეულებში, ხალხურ თქმებში, იგავურ გადაკვრებში, ქვეტექსტებში, ქვეტექსტების ქვეტექსტებში, ვახერხებდი, როგორც იყო“ (ო. ჩხეიძე, 2006. 367);

ხალხური (ასევე ცნობილ შემოქმედთა) ფრაზების სტრუქტურული მოდელის გამოყენება ნიუანსობრივი ცვლილებებით მწერლის სტილის სახიერი კომპონენტია.

სიტყვის თამაში ირონიის თანხლებით, როცა იშლება ზღვარი მწუხარებასა და სილაღეს შორის, მოჩვენებითი სიმსუბუქეა, რადგან სააზროვნოს უფრო მეტს აჩენს:

„ოდეს ვარდი გაიაფდეს, არღა ღირდეს არცა ჩირადო – ძვირობდა ვარდი, ძვირობდა და ძვირობდა და ძვირობდა... აჭარაც ვარდებით გადაიპენტა“ (ო. ჩხეიძე, 2005, 190); „მერეც ეტრფოდა, მერეც უმღეროდა, ფეხი რომ მოიტეხა მშვენიერმა ასულმა...სჯობს გაიხარონ სხვა გოგონებმა, მოიბან შენი ირმის ფეხებით; მერეც უმღეროდა და მასვე გაანდობდა წინათგრძნობასა: გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი და ახეული მაქვს ლაყუჩები, შემართულია ფეხზე ჩახმახი და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩებიო, - მასვე გაანდობდა. კისრისტეხითაო. აქა, იქავე, აი აქავე, ისიც ხომ აქვე გაიეღვებს ხოლმე, ქალი რომ მუზაა. მუზა არავის გაეკიდებოდა კისრისტეხითა, მაინც მოიტეხა... კისერი არა, ფეხი მოიტეხა“ (ო. ჩხეიძე, 2009, 64); „ჩვენ ჩვენი საქმე უნდა მოვაგვაროთო: უნდა გავცხრილოთ ცრუპენსიონრები, უნდაო. უნდაო და ველარ გაუგიათ ვერაფერი. მაგათ სად ვუცადოთო. ადე და მოგვყე, ძმობილო, არ დააყოვნო ხანია, ჩავუხტეთ მუხრანბატონსა, თავს დავანგრითო ბანია“... ომში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო, დაბრუნება და შინ მოსვლა, ვისაც კარგი ცოლო ჰყავსო“. ამას რა ეთქვა ვარაზსა. შინ აღარ ჰყავს. წაუვიდა. ჰყუდია მარტოდა. „შინ თუ არ გყავს არავინა, დაეკითხე დედაბოძსაო“ - დედაბოძი დარბაზმა იცის... დარბაზში მარტო არც იქნებოდა“ (ო. ჩხეიძე, 2005, 127); „ერთნი არიან, ერთად მღერიან... გუნდია ესეცა. გუნდი და გუნდი ვარსკვლავთა მოკაშკაშ-მოელვარეო“ (იქვე, 179); „მიშველე რამეო, შენ გვედღერებო. გამოუტყდა და გზა მიასწავლა, თუ გზა ეთქმოდა, რაღა თქმა უნდა - „გზას ვამბობ, მაგრამ რა გზააო, იმისი არ იყოს“ (ო. ჩხეიძე, 2009, 31);

ენას აქვს უნარი, ასახოს არა მხოლოდ გარკვეული მოვლენა, არამედ დამოკიდებულება ამ მოვლენის მიმართ, მათ შორისაა ის ზნეობრივ-ეთიკური ღირებულებები, რაც გამოხატულია ანდაზებით, რომელთაც საკმაოდ ორიგინალურად რთავს რომანში მწერალი, მისებურ ყალიბს უძებნის და ფრაზას მოქნილობასა და სისხარტეს სძენს, კი არ აღწერს, ხატოვნად ამბობს, აფასებს კიდევ: „ანდაზას მაინც არაფერი არ სჯობნებია, ცხოვრების სიბრძნე ანდაზებით რო გამოთქმულა, ისე არაფრითა, უკეთესად არაფრით გამოთქმულაო. ან რაც გამოთქმულა, სარკედ დადებულა, ყოვლისმჭვრეტ სარკედა, ჩაიხედავ და დაინახავ წუთისოფელსა, იმავე წუთს დაინახავ, წუთზე მეტი დრო აღარ დაგჭირდება... თავთავის ადგილას უკეთესია, თვითონვე ამოვა, ამოტივტივდება თავისთავადა, თავის ადგილასა...“ (ო. ჩხეიძე, 2012, 238); ერთ –ერთი სიტყვიერი ფორმა ირონიის სწორედ ეს ხატოვანი თქმებია, ზუსტ და შესაფერის ადგილას ამოტივტივებული.

ვთქვით ასეთი: „გიტოსაც უნდა გასჩენოდა შიში სიავისა თუ შურისძიებისა; არ გასჩენია, ვითომ ვარდი მოეწყვიტოს და ცოტა გაკაწრულიყოს. მერე რაო... **ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფოაო; ჰოდა, ვარდი მოსწყვიტა და ხახვივით შერჩა.**” (ო. ჩხეიძე, 2012, 69). აქ ანდაზა და აფორიზმი ერთ ფრაზაშია, ერთი მოვლენის მხატვრულად ასაღმელადაა გამოყენებული. თვითონვე განმარტავს: „სად ვარდი და სად ხახვიო...ის რუსთველურია, ეს ხალხური ... ერთმანეთში მორიგდებიან, ადვილად მორიგდებიანო“.

ასევე: „იუარა სოფიკომ... თითქოს შიშობს, გულცვად ჩაქელავს ჩემს სიტყვებსა, ამოდ რომ შევავარე და ახლა ხალიჩაზე დაბობლავენო. **შეაყარე კედელს ცერცვო, მაგრამ კედელია თუ ნარვანაო**”(იქვე, 131); „კოვზი უკვე ტივტივებდა ჩამდნარ ნაყინში...სოფიკო ზოლავდა იმა ჩანადრობსა, ზოლავდა და ვერცა ზოლავდა, საქმე გაეჩინა მოუთავებელი. ამაზე იტყვიან, **დავკარ ხმალი, არ დააჩნდა კვალიო**”(იქვე, 150); „აბრეშუმის გზაო, აბრეშუმისაო... საქართველო მხოლოდ დავით აღმაშენებელი ხომ არ არის, მარკო პოლოც არისო. აბა, მაშ, რაო, რას აუღერებია თავი და გაიცქირება დასავლეთისკენა. დასავლეთი და დასავლეთი. დაუწყებია თვალები და გაიძახის: **ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო**“ (ო. ჩხეიძე, 2005, 131); „ბოდიში, ქარს შეადარეთ მისი სიკეთეი. სიკეთეცა და კეთილშობილებაცა ასე დაუფასეთ. არა მგონია ეს იმიტომა, რომ ანდაზა აგეკვიატათ უადგილოდა... **ნურც ნურას შემომიტანდ გარედანა, ნურც ნურას გაიტანს, ქარისა და საბძელისა არ იყოს**“ (ო. ჩხეიძე, 2005, 42); „დიხაც რო ყურს საითაც უნდათ, იქით გამოაბამს მექოთნეი ქოთანსაო. ახლა მექოთნეები ესენი ბრძანდებოდნენ. ედავე, თუ ბიჭი ხარ! (იქვე, 165);

ცოცხალი სასაუბრო მეტყველებიდან აღებული, მხატვრული ხედვის, სახოვანი აზროვნების შესაძლებლობათა გამოვლინების ერთ-ერთი სახიერი კომპონენტია ფრაზეოლოგიზმთა გამოყენება, რომელთა საშუალებით ტექსტი იძენს დამატებით ნიუანსებს- ენიჭება სემანტიკური თუ სტილისტური იერი. ძლიერდება ექსპრესია, ემოციურობა, სათქმელს ეძლევა ირონიის, დაცინვის, ხუმრობის ელფერი: „დადრკნენ, შორით დაუკრადნენ თავსა, ვითომდა რაო, არაფერი სმენია ჩვენს ყურებსაო.. ასე ადვილად გაიფანტებოდა ჭორი, მალე **დალევდა ჩაილურის წყალსა**“. „უცებ რომ მოიდგეს ქონი ამ უჩინარმა ადამიანებმა, უცებ რო წამოვცივდნენ და თავსაც რო მოგვექცნენ...“. „აბა რა გველის?! **სირჩაზანას შემოგვძახებენ?** რაც შეუძახეს, ის იყო, რო ცხინვალს წაასხეს“. „აიყვანა და წათრია, წათრია და **უბუცა თავი**, ქვევრში უბუცა“. „ჩაფლულიყვნე ყელამდე ვალებშ, **თვალი შავი გაქეთო**, ვერავინ შეჰხედავდა, ანთუ **მამალ ყვავს თავზე არ დაისვამდნენო**“. ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში შესიტყვებებს შორის მყარდება სხვადასხვა სახის პარადიგმატული მიმართებები, გვაქვს სინონიმური ფრაზები ანუ ისეთი გამოთქმები, რომელთა მნიშვნელობა ერთი აქვთ, სტრუქტურა -არაერთგვაროვანი. შეიძლება შეგვხვდეს ფორმობრივი დათუ შნაარსობრივი ნიუანსებით განსხვავებული ვარიანტები. მაგ., ერთი მტკაველის, ერთი ფეხის დადგმა ადგილის მნიშვნელობით ო. ჩხეიძე გამოიყენებს გამოთქმას „**ერთი ბოხჩა ნიადაგი**“ (შდრ.: **ერთი თავშლის გაშლა ალაგი** -იმერ.): „იქით ტაძარი იგულისხმება, სულ ერთი ბოლჩა ნიადაგი“.

ასევე: ჯიში მოდგამთ//წიბო მოდგამთ; თავბრუ დაეხვა// ტარაბუა დაეხვა; პანდური ამოჰკრა//ჭიყლაყი ამოსდო//კუკუ უჭირა და სხვა: „ერთი ჭიყლაყი თუ არ ჰყოფნისო, იმანა... ორი უჭირეთო... არა პანდურიო. იყოს პანდური, ალბათ, რაღაც განსხვავებაა. ალბათა. ალბათა. თორემ აბა რა თავს შეიწუხებდნენ ამდენწაირად რო გამოეთქვათ: პანდური ამოჰკარით! ჭიყლაყი ამოსდეთ! კუკუ უჭირეთ! ... ხაბაზსაც უჭირა კუკუი ბაბუმა“ (ო. ჩხეიძე, 2005, 12); „ციხის საავადმყოფოდან რესპუბლიკურში. ისევა და ისევა. კვლავაცა და კვლავაცა. და დაეხვა ტარაბუაი (იქვე, 100). „თითქო ერთი ტომისანი არიან, თანაც უცხოტომისანი... თავისი წიბო მოსდგმთ“ (ო. ჩხეიძე, 2009, 141);

ირონიას აძლიერებს საოცრად მეტყველი შედარებები. მხატვრული სახეების გამოხატვაში უდიდესი მნიშვნელობისაა ვით-თანდებულიანი თუ ვითარცა ზმნისართიანი სახელების როლი, რომელთა საშუალებითაც ხდება საგნის ან მოვლენის რომელიმე თვისების ხაზგასმა. ამავე ფუნქციითაა გამოყენებული განსაზღვრებითი და ვითარების

გარემოებითი დამოკიდებულ წინადადებები, რომლებიც ქმნიან მხედველობით ეფექტებსაც: „მიაწყდა კარსა.. ლანა ბრძანდებოდა იმა საუფროსო კართანა, ვითარცა მცველი კარისა ანუ ვითარცა პირადი მდივანი; „დაატრიალა, დაპროწიალა ზედა ზღურღთანა და გასტყორცნა ისარივითა, ან ეგება შურდულივითა,, გოლიათი დავითის შურდულივითა, რამეთუ თავბრუდამხვევი ტრიალის შემდეგ გატყრცნილი შურდული თავზარდამცემი ყოფილა“ (ო. ჩხეიძე, 2012,53); „ზედა ტუჩიდან წაკრეჭილი ულვაშები მოსდევდა ბეწვში, ამოყრილი საჩეჩელებივითა, მოსდევდა და სჩხვლუტდა“ (იქვე, 56); „ჭამის მოყვარული არა ვარ... ჰო, ეს იგულისხმებოდა და გაისმოდა სასაცილოდა, ... ისეთი მადა აღბეჭვდოდა ღაბაბსა თუ კისერზე, კვერცხი რა არის, ხარის ბეჭსაც გააქრობდა თვალის დახამხამებაში... ცხვირს მოვიჭრი, თუ ოდესმე თუნდაცერთ ნაკრძალში შეედგას ფეხი... და თითი შემოივლო ცხვირზედა, ისე შეოივლო, თითქოს უკვე უნდა ამოიგდოსო“ (იქვე, 61); „ერთი წკიპურტით დავანგრევ კორკოტაძეების კოშკებსაო, როგორც ხუხულებს ნაქურჩლისაო“ (იქვე, 188). „ყველაფერი ეხარბებოდა, შური ახრჩობდა, შური წასჭეროდა ყელში, ვითარცა რეზინიანი ჰალსტუხები ზაფხულობით“ (იქვე, 10);

ზოგჯერ მწერალი თავად აფასებს შედარებებს, თითქოს ჩვენთან ერთად ირჩევს, რომელი უკეთესად გამოხატავს იმ ემოციას, მკითხველამდე რომ უნდა მოვიდეს და მხედველობითი ხატებიც შექმნას: „შემოიჭრა ისარივითა, ფრთებიანი ისარივითა, – თქვა და დაამატა: „შედარება ისევ ძველი შემოგვეპარა, მაგრამ რაც არის, არის, გაიქროლა და ეს არის, გაიქროლა და ზედ გულზე მიეზნია ყაყაჩოსავითაო. ეს შედარება მაინც ივარგებს. ისარი დაძველებულა, ყაყაჩო არ დაძველებულა. ისარს სხვა მომაკვდინებელი საშვალეზანი შენაცვლებია, გაუგონრად ძლიერი, სილამაზეს შენაცვლება არა ნდომებიაო“ (ო. ჩხეიძე, 2012, 71);

ირონიის გამოხატვა ხდება მეტაფორული გადააზრებით. სიტყვის მეტაფორული, გადატანითი მნიშვნელობით ხმარება ფრაზას იდუმალებას მატებს. მწერალი თითქოს სიმბოლოდ იღებს ერთ რომელიმე სიტყვას, რომელსაც პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგული აქვს. კონტექსტის ფორმა ეწინააღმდეგება სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობას. ასეთ ფორმებად ირჩევს სინტაგმას, სადაც წყვილის ერთი წევრი ატრიბუტული ან სუბსტანციური განსაზღვრებაა. სწორედ მათთანაა დაკავშირებული მეტაფორულობა, ირონიული ელფერი. ასეთია მაგალითად, „ბდღვიალა პორტფელი“, „ბრჭყვიალა ბროლი“ („ნაკრძალი“): „კაცი სადოქტოროზე მუშაობსო, ამას ადასტურებდა ბდღვიალა პორტფელი... ლენინგრადიდან ჩამოიტანა საკანდიდატო დისერტაციაზე რომ მუშაობდა. მაშინდელია, მაშინ დაბდღვიალებდა ინსტიტუტში თავისი ბდღვიალა პორტფელითა... ბდღვიალ –ბდღვიალით დაიცვა დისერტაცია და მერე მოასვენა, იქლა ბდღვიალებდა, ხან შეიფერფლებოდა მტვერითა, უფროცა ბდღვიალებდა, გასაწმენდნენ, კიდეც მეტად აბდღვიალდებოდა, თითქოს იმის ნიშნადა, ისევ გამოვალ გარეთაო“ (ო. ჩხეიძე, 2012,162); „დადიოდა ბრიალა პორტფელითა, დადიოდა თავაწეული, გაყვინტრული, გაზულუქებული“ (იქვე, 207); ...და ბდღვიალებდა ვეება პორტფელი, ბრიალებდა თვალის მომჭრელადა, მტერთა გულის გასახეთქადა“ (იქვე,232); „გიტო გაფუყულიყო თავის პორტფელივითა, გაფუხულიყო და გაყვინტრულიყო, ან პორტფელი დამგვანებოდა პატრონსა, ან პატრონი– პორტფელსა, ან როგორც იყო, გაფუყულიყვნენ და გაყვინტრულიყვნენ...“ (იქვე, 343);

განსხვავებული ატრიბუტივით იტვირთება სოფრონის ძველი ზურგჩანთა: „ თავის ცხოვრების მოწმედ რო ჰყავდა და მოაგონებდა ათას რამეს..., გაჭირვების ტალკვესს უწოდებდნენ სტუდენტები, ხან „ნატვრისთვალს, ოქროს თევზის ფხასაცა, ფასკუნჯის ფრთასაცა“ (იქვე,275);

განსხვავებულია ეს ორი სიმბოლო: ერთი ძვირად ღირებულია, ბდღვიალა, მაგრამ ცარიელი... მეორე უბრალო, ოღონდ გულსავსე, ფიქრსავსე, ბევრის დამტევი.. სიმბოლოა რკინის შავი კარიც, ბრომელი რომ ამაოდ აწყდება, ბროლიც...ბროლის ციაგიც... კრივის ხელთათმანებიცა...

ზოგჯერ ირონიას აძლიერებს ერთი რომელიმე დეტალი, პერსონაჟის ქცევისა თუ პორტრეტული სახის შექმნისათვის მოხმობილი. ასეთად ჩანს დიალექტური მეტყველებიდან აღებული ლექსიკური ერთეული „წმაწვნა“, ასე ზუსტად რომ ხატავს პერსონაჟის ფსიქოტიპს: „**წმაწნიდა წელსა აპოლონი, წმაწნიდა და წმაწნიდა.** თხელი კაცი გახლდათ, თუმცა მაღალი არა. აბა, მაღალი ყოფილიყო, მოქნილი, მაშინ გენახათ, თუ როგორ უკეთესად დაიწმაწნებოდა... მობრძანდითო, გაიძახოდა მხურვალედა, თან მიაყოლებდა წმაწნასა და რხევასა წელისა, იმდაგვარა რხევასა, რო დაწოლილიყო, გაცურდებოდა“ (იქვე, 113);

ერთი განმსაზღვრელი ნიშანი ოთარ ჩხეიძის ენობრივი სტილისა, სიტყვათგანლაგებაა (პოზიცია), ამასთან უნდა აღინიშნოს ერთი თავისებურებაც. ფრაზის სინტაქსურ დაყოფაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ფრაზული და ლოგიკური მახვილები, რომელსაც უკავშირდება გარკვეული აზრობრივ-სემანტიკური და გრძნობად-ემოციური შინაარსი. სიტყვათა ასეთი განლაგება უპირატესად გააზრებული ხერხია, გამოსახვის ეფექტური საშუალებაა. მწერალი მისთვის ლოგიკურ-სემანტიკურად მნიშვნელოვან სიტყვას ან გამოთქმას იმეორებს სხვადასხვა პოზიციაში, გადააქვს საგნის ან მოვლენის აღმნიშვნელი სიტყვის შემდეგ, რის გამოც ხდება მათი აქცენტირება. მწერალი გვატყობინებს, რომ ეს სიტყვა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, თანაც როდესაც სიტყვათა ჯგუფი, რომელშიაც მოქცეულია მხატვრული სახე, მეორდება და სტრიქოიდან სტრიქონში გადადის, რიტმულად გამოიყოფა.

„ყველგან მდაბია, ყველაფერს მდაბიობა დაეუფლა. მდაბიო განაგებს, მდაბიურს მოითხოვს, მდაბიო მძლავრობს... ყველგან მდაბიური წამოტივტივდა“ (ო. ჩხეიძე, 2009, 146). „**ფურცლავდა, ფურცლავდა** და იყრიდა კალთაშია **ფარფლებსა თეთრსა თეთრი ვარდისასა** და ერთი **ფარფლი** ტუჩებშიც მოიქცია, **ფარფლი თეთრი, თეთრი ვარდისაი**, გამოიღო და თვალი მოსტაცა **ფარფლმა ვარდისფერმა**“ (იქვე, 88). „შეთხზავდნენ და მიაწერდნენ ყველა ქურდობასა, ნაწილს მაინცა, **მიაწერდნენ, მიაწერდნენ და ჩამოეწერებოდა მიწერ-ჩამოწერანი** თავისთვისაო. ხელისუფლება ებრძოდა **მიწერას**, თვითონ **მიიწერდა** სიკეთესა.“ (იქვე, 186). „ტრაგედია **ცეკვავდა**, დრამა **ცეკვავდა**, **გადადიოდა** ყირაზედა, ჰო, **გადადიოდა** და **გადმოდიოდა**, ხაოდნენ და დაბანცალობდნენ, წიოდნენ და ბარცბურცობდნენ და იცინოდა **ხალხი**, **ხარხარებდა ხალხი**, ტაშს უკრავდა **ხალხი** სიცილ-**ხარხართა** და **ხარხარებდნენ** მსახიობებიცა, **ხარხარებდნენ, ხარხარებდნენ...**“ (იქვე, 176); „ზოგი მერე დადაღულიყო, ანთუ ყველა, **დადაღულიყო** და **ბარბაცებდა დადაღული** სული, **ბარბაცებდა**, აწყდებოდა ერთიმეორესა, **ბარბაცებდა** გამზირი რუსთაველისა, **დადაღული** სულებით აღვსებული“ (იქვე, 198); „უნდა შეინარცხო და არ შეენარცხო, თუ ვინმე მიწას შეგეცილება. **უნდა შეინარცხო... უნდა, უნდა შეინარცხო**“ (ო. ჩხეიძე, 2005, 117).

მწერალი გვატყობინებს, რომ ეს სიტყვა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, თანაც როდესაც სიტყვათა ჯგუფი, რომელშიაც მოქცეულია მხატვრული სახე, მეორდება და სტრიქოიდან სტრიქონში გადადის, რიტმულად გამოიყოფა. მსაზღვრელები ხშირად სინონიმებია—ერთი და იმავე დისტრიბუციული კლასის ისეთი ლექსემები, რომლებიც მსგავსი ან იდენტური სემანტებით აღიწერება. სინონიმურ რიგთაგან სიტყვათა სპეციალური შერჩევა გამოსახვის სხვა საშუალებებთან ერთად ქმნის ენობრივი პროდუქციის სტილურ სპეციფიკას, მნიშვნელობრივად დატვირთული ლექსიკური ერთეულების ურთერთწონასწორობა მეტად მგრძნობიარე სემანტიკურ ველს ქმნის, სადაც სინონიმთა შორის უმცირეს ნიუანსობრივ სხვაობასაც კი მხატვრული გამოსახვის თვალსაზრისით გარკვეული ფუნქცია ეკისრება: „სიცილი აღმოხდა გივისა, წელანდელზე უფრო **მღერი, აწყვეტილი, უკიდევანო, თავდავიწყებულიცა...**“ (ო. ჩხეიძე, 2012, 259); „გარედან ხავსი მოსდებოდა თავითთ ბოლომდისა, **ხასხასა ხავსი, უმტვერო ხავსი, ულაქო ხავსი, თითმიუკარები**“ (იქვე, 918); „რა აღადგენდა იმდღევანდელ სოფრომსა, **დაცემულსა, დამსხვრეულსა, დაკიწაწებულსა?**“ (იქვე, 301) ; „**ჩამოდიოდა მწუხრი**, ჩამოდიოდა **ზნელი**, ჩამოდიოდა **ჯიუტი, ურჩი, ურჯუკი**“ (379); „**კისკისი უჭრიდა** ყურსა, **უჭრიდა, უხვრეტდა, უგლეჯდა, უფლეთდა**“ (273);

„ვისაც მწერლის ხელნაწერებზე უმუშავია, კარგად იცის, რომ სიტყვასთან ჭიდილი ჩვეულებრივი რამაა შემოქმედისათვის. ხანდახან რამდენიმე ვარიანტია საჭირო იმისათვის, რომ საბოლოო სახემდე მივიდეს, ჩამოყალიბდეს, ჩამოიქნეს ფრაზა. ოთარ ჩხეიძე აქვე, ჩვენს თვალწინ, არცევს, ეძებს... განა არ ენდობა სიტყვას? ჯერ ჩამოთვლის და მერე თითქოს ასარჩევად მკითხველს სთავაზობს იმ ერთადერთს, რომელიც ზუსტად მოერგება სათქმელს, ემოციას: „სიტყვამ მოიტანა და სიტყვამ თვითონ იცის, რათუ სჭირდება, რა არ არგია არაფრად“ (ო. ჩხეიძე, 2009, 180): **„კაშკაშებდნენ ვარსკვლავნი ისე, თავიანთისა, უამისოდა კაშკაშებდნენ, ჭახჭახებდნენ, ბრწყინავდნენ... ოღონდ ბრწყინავდნენო** აღარ უხდება, როცა **ჭახჭახებდნენ... ბარში ბრწყინავენ, მთაშ ჭახჭახებდნენ... და ჭახჭახებდა ცაი სავარსკვლავი, ჭახჭახებდა, ჭახჭახებდა**“ (ო. ჩხეიძე, 2009, 47); „შავი ყვავილი ებჯინებოდა ნიკაპსა. ღაბაბი ჯობდა აქ რომ თქმულიყო, ოღონდ ღაბაბი რო არა ჰქონდა!“ (ო. ჩხეიძე, 2005, 40); „კარებამდის მიფრიალდა თითის წვერებითა. ცერებითა, ცერებითა. მიფრიალდა თუ მიფარფატდა თუ მიცქრიალდა“ (იქვე, 42). „გაუკილავდნენ ამჩატებასა თუ სიცეტესა... მოიგონებდნენძველსა, მოიგონებდნენ სინანულითა თუ მგრძნობიარეთა, მოჭარბებული მგრძნობიარობითა“ (ო. ჩხეიძე, 2012, 78).

ასარჩევ სიტყვათა შორის ხშირად გვხვდება კავშირთა შენაერთი „ანთუ“. (ან რამდენიმესაგან ერთის არჩევას გულისხმობს, თუ იხმარება კითხვის დროს) (ა. შანიძე, 1980, 608): „მერე აღარ შეხვედრია იმ კინორეჟისორსა. იმ თვალებს შეჰხედა, ანთუ შეეფეთა, ჰო, შეეფეთა, ეს რო წამდგარიყო ჭიქით ხელშია“ (ო. ჩხეიძე, 2019, 55). „შორეული ჩქერალიც მოისმოდა, ანთუ შრიალი, უფრო შრიალი, ანთუ ნანინაი მინავლებული, რო იძინებდა დედამიწაი, ვარსკვლავნიცა ჟუტავდნენ თვალთა, ანთუ დაღლითა, ანთუ რიდითა, ძილი ჩვილისა არ დავაფრთხოდო ” (იქვე, 38). „იქ სადღაც უსათუოდ გაილანდებოდა, ანთუ გაიბმოდა სხივივითა“ (იქვე, 51). „ისე ხასხასებდა მაშინა, ის ახალგაზრდები რომ დაეშვნენ ამისი სხვენიდანა, ანთუ მანდსარდიდანა, ანთუ სახელოსნოდანა, რახან რო მხატვარი ცხოვრობდა იქა“ (იქვე, 97). „მთის უბეში, , თუნდაც უბეში მთაწმინდისაი ზოგჯერ მზეც რო ჩაიბუდებდა, ანთუ სწორედ აქ აკრუხდებოდა მზეი“ (იქვე, 100).

ო. ჩხეიძე თავისი ნაწარმოებებით აცოცხლებს, ააქტიურებს მივიწყებულ სიტყვებს, თითქოს ცოდნას გადასცემს მკითხველს, ცოდნას სიტყვის ძალის, შესაძლებლობის შესახებ. არქაული და დიალექტურ ლექსიკური ერთეულების მონაცვლევა ფრაზის შინარსობრივი მხარის გამოკვეთას, ემოციური ზემოქმედების გაძლიერებას ემსახურება.

ბადიმი – ორმოს პირი მოგებული, პირის მოსაჭდობი. ორმოს პირის ხე (ს.ს.

ორბელიანი, 1991, 90);

„ეგრე მიაყენა და შეაყენა **ბადიმზედა**. ორმოს სუნი **ბადიმსაო**. **ბადიმზე** შეაყენა, კუდი რო ეგდო **ბადიმთანა**“ (ო. ჩხეიძე, 2009, 8);

ხვინჯი/ხვანჯი – ხრიკი, ხლართი (ს. ს. ორბელიანი, 1993, 431): „სად რა ჩახლართულა, სად რა აბურდულა. სად სიცრუეა. სად ნათადლითარი. რა ხლართებია, რა **ხვანჯებია** – მიდი და ამოიცანი“ (ო. ჩხეიძე, 2005, 198);

ჩალანგარი – აგურით ამოშენებული, ხის ან ლითონის კარკასი კედლად (ქეგლ, 1990, 1118): „მერე იქაც ჩაედგათ შუშაბანდები თუ **ჩალანგრები**, ბინები ღო აღარ ჰყოფნიდათ, ისევე ჩაედგათ და ამოშენებინათ, როგორც რო მეტეხსა “ (ო. ჩხეიძე, 2009, 99);

აზამბარი (ძვ. სპარს.) – ღვინის სმაში გათანასწორება შემოსწრებულისა, ჯარიმა (მალ. ლლონტი, 1974, 10): „**აზამბარიო, აზამბარიო** და მიუდგამდნენ ბარე ათ ჭიქასა, გალიპლიპებულსა ღვინითა“.

ყარფუზი (თურქ.) – იგივეა, რაც საზამთრო (ქეგლ, 1990, 1011): „მოულერა, მოუქნევდა, დააპნევდა **ყარფუზივითა** როგორც რო იტყოდნენ, შუაზაზარშია“ (ო. ჩხეიძე, 2009, 134);

წოპი – მაღალი, წოწოლა ქუდი; (ალ. ლლონტი, 1974, 710): „ფარფარებს ტანი მარგარიტასი მერიის კოშკზე, ვითომც ხელები **წოპზე** წაუვლია“ (ო. ჩხეიძე, 2005, 115);.

კაკაჩი – მთოვარით ნათელი ღამე (ს. ს. ორბელიანი, 1991, 347): „თენდებოდა, ვარაუდად ითქმის. **კაკაჩია ღამემ** ხო განთიადი არ იცის“ (ო. ჩხეიძე, 2009, 174).

წოწოლიკა – მაღალი, წოწოლე. გრძელი, წაგრძელებული(იმერ.) –პ. გაცეჩილაძე, 1976, 168): „არაფერი მოსჩანდა სენაკებიდანა, ჩამობურულიყო, ჩაყურსულიყო, ჩაყურსულივე კლდეები რო ჩამოჰფარებოდა... **წოწოლიკანი**“ (ო. ჩხეიძე, 2009, 20).

ჯაურა – თივის ზვინი პატარა, ძნელი, ძნა(ა. ნეიმანი, 1978, 182); „შეესოდნენ მამაი და ღვთისოი, ცელებით რო შეესოდნენ, ჩათიბავდნენ და დასდგამდნენ **ჯაურებსა**“ (ო. ჩხეიძე, 2009, 19);

ქარაქუცა –(ქართლ) : ჭკუამსუბუქი კაცი, ქარაფშუტა (ალ. ღლონტი, 1974, 501): „სხვა მეგობრებიც კმაროდნენ, თინდაც ისეთი **ქარაქუცა** მეგობრები, სოფიკო რო იყო, გაიოზი რო გახლდათ (ო. ჩხეიძე, 2012, 209); „ამგვარი ორჭოფობა თუ შეემჩნია გიტოსა, ამიტომ თუ დაერქმია **ქარაქუცანი**“ (იქვე, 224);

კინკიბური –ირიბი : „ზურგჩანთა შექანდა, შედგა **კინკიბურადა**, არ დავარდა (ო. ჩხეიძე, 2012, 289);

კანთიელი _ (ქიზიყ.) – არამომჭირნე, ხელგაშლილი : „მაშინვე აჰყვნენ თანმოყოლილი ვაჟკაცები, აჰყვნენ ისე, რო მკაფიოდ გამოიკვეთა კვარტეტი, მკაფიოდა, **კანთიელადა**“ (ო. ჩხეიძე, 2012, 99);

ჩქოლა – (იმერ. გურ. აჭარ.) – ნორჩი: „ჩამოეტოვებინა ქალიშვილი პროკურორისა, ახლად შეთქვირებული, **ჩქოლა** (ო. ჩხეიძე, 2012, 114);

ახალი სიტყვის მიღება საწარმოქმნო აფიქსებით ჩვეულებრივი მოვლენაა ენაში, მაგრამ ო. ჩხეიძე ამ შემთხვევაშიც განსხვავებული სემანტიკის ლექსიკურ ერთეულებს გვთავაზობს, აშკარა ირონიის ელფერი რომ გადაჰკრავთ. მაგ . „მეტელევიზორე“ ტელეჟურნალისტების სინონიმად: „იყვნენ ისინი, ვერაფერი რომ ვერ აიყოლიებდათ, თავს არ დაჰკარგავდნენ, არავითარ შემთხვევაში, **მეტელევიზორენი** გახლდნენ ისინი, დაუმორჩილებელნი, გულმტკიცენი და ქედუხრელნი, თითქოს გამგებელნი ყველასი და ყოველივესი“ (79);

მეაკომპანიმენტე : „ყმაწვილობისას ჩელოს რო სწავლობდა, ეტრფოდა მეაკომპანიმენტესა“ (ო. ჩხეიძე, 2012, 400);

მოყანწე, მოფიალე : „იქ ფიალები და ყანწები რო დატრიალდებოდა, ესეც სერწყმა იქნებოდა ანტიურობისა, მაგრამ იქ ხომ არ გახლდნენ **მოყანწენი და მოფიალენი**... (იქვე, 263);

ო. ჩხეიძე თავისი ნაწარმოებებით ცოდნას გადასცემს მკითხველს, ცოდნას სიტყვის ძალის, შესაძლებლობის შესახებ. მწერლის ენობრივ სამყაროში ირეკლება როგორც სალიტერატურო ქართულის, წიგნიერი ენის ლექსიკა – ფრაზეოლოგია, ასევე ცოცხალი ზეპირი მეტყველების ტრადიციები. ვხვდებით არქაულ ფორმებს, დიალექტურსაც, გვესმის ხალხური მეტყველების კილოც. ვერცერთს ვერ ელევა მწერალი, ვერ ყოფს. ენას ისე განიხილავს, როგორც ნაკრძალს, ყველა დროის, დონის ენობრივ მონაცემს ესათუთება , თითქმის ყველას მიმართავს საჭირო დროს.

მწიგნობრული ენის გვერდით ძველი ქართულის შიგადაშიგ დოზირებული გამოყენება, დიალექტური თუ ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმების თხრობაში ჩართვა ბუნებრივად ჯდება საერთო ენობრივ კონტექსტში და იქმნება საოცარი კეთილხმოვანება, რიტმული პროზა. სათქმელის თავისებურმა გამოხატვამ, სტილურმა ექსპერიმენტებმა მაქსიმალურად გამიჯნა მწერალი ყოველივე სტანდარტულისაგან, არასასურველი იდეოლოგიისგან. შეიქმნა სრულიად განხვავებული და საოცრად კეთილხმოვანი სტილი, რომელიც ერთ მიზანს ემსახურება – სრულად გამოვლინდეს ენის პოტენციალი იმ მხატვრულ სახეთა შესაქმნელად, რომელსაც ანალოგი არ მოეძებნება.

ლიტერატურა:

1. ნეიმანი ალ.(1978): ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი;
2. ორბელიანი ს.ს. (1991): ლექსიკონი ქართული, თბილისი;
3. ორბელიანი ს.ს. (1993): ლექსიკონი ქართული, თბილისი;
4. გაჩეჩილაძე პ.(1976): იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი;
5. ფშაველა ვ.(1979): თხზულებანი ორ ტომად, ტ. მე-2, თბილისი;
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი(1990): წიგნი – I –II;

7. ლლონტი ა. (1974): ქართულ კილო –თქმათა სიტყვის კონა;
8. ჩხეიძე ო. (2005): „ლაზერშო“, თბილისი;
9. ჩხეიძე ო. (2006): „ბორიაცი“, თბილისი;
10. ჩხეიძე ო. (2009): „ამაღლება“, თბილისი;
11. ჩხეიძე ო. (2012): „ნაკრძალი“, თბილისი;
12. ჩხეიძე ო. (2016): „რა ამბავ მოხდა ედოსა“, დიალოგები, თბილისი;
13. ხოფერია გ. (2015): სიტყვათქმნადობისმხატვრული ფუნქცია, გორის სამეცნიერო კონფერენციამიდგნა ოთარ ჩხეიძეს, თბილისი;

Tamila Zviadadze
Sokhumi State University, Tbilisi

Aspects of Linguistic Consciousness of Otar Chkheidze

Abstract

Cooperation of idea and word in writer's psychic is an existed eternal secret which is a subject of temporal observation. The writer is the first who finds out of language means and of each form, used by him is often belonging of his artistic world, an expression of its authentic "writing style". Studying of writer's language, determination of its language world and artistic-functional style and kind of artistic-functional style, revealing of language notion source is one of the important question of Language Science.

In creation of Otar Chkheidze's distinguished and different style had expression an artist's wish to bring at the first stage the writer's as a word creator's subject... from the writer's point of view it is interesting not only what the word expresses, but also the word itself, its feeling, material cover, its sound writing, sound, in short the word's aesthetics.

In Otar Chkheidze's writings was dubbed Georgian word with completeness and colorfulness, exactness and sound of its idea.

In the article are discussed the writer's language style components: an achieved expression by repeating of fixed form, it's accented folk or its like model of phrase construction, word sound, when the word phonetic and ideological parts are joined, the stylistic specifics created by synonymic rows, folk (also of public artists) use of structural phrases model by nuance changes, changes of archaic or dialectal lexical units, expression of content part of a phrase and for the purpose of strengthening of emotional influence.

Key words: Otar Chkheidze, linguistics, linguistic consciousness, writing style,

საკვანძო სიტყვები: ოთარ ჩხეიძე, ლინგვისტიკა, ენობრივი ცნობიერება, წერის სტილი

ელენე თაბორიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

ქართული ლიტერატურის სწავლება ინტერდისციპლინურ ჭრილში

ტექნიკის სფეროში განსაცვიფრებელმა მიღწევებმა, რომელთა წყალობითაც მეოცე საუკუნეს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეპოქა ეწოდა, იმის საშიშროებაც შექმნა, რომ პრაგმატიზმის საუფლოში ადამიანებს სულიერი მშვენიერების არსებობა

დავიწყნოდათ და ხელოვნებასაც მხოლოდ უტილიტარული ფუნქცია შეენარჩუნებინა. მართლაც, სულიერების კუთხით მრავალმა პრობლემამ იჩინა თავი - ომებმა, სხვადასხვა რეგიონულმა კონფლიქტებმა, შემზარავმა ტერორისტულმა აქტებმა ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილის სისასტიკე, დაუნდობლობა და შეუწყნარებლობა გამოავლინა. ყოველივე ამან განაპირობა ოცდამეერთე საუკუნეში პედაგოგიური პროექტების იმ მიმართულებით წარმართვა, რომ სკოლას ახალგაზრდებისთვის მუდმივად ცვალებად სამყაროში ორიენტირების, მიღებული ცოდნის უცნობი და ძნელადპროგნოზირებადი სიტუაციებიდან გამოსავლის საპოვნელად ოპერატიულად გამოყენების უნარ-ჩვევებიც განევითარებინა და ამასთან ერთად განათლების ჰუმანიზაციის მიზნით მაქსიმალურად გამოეყენებინა ხელოვნების აღმზრდელობითი პოტენციალი. სწორედ ამის გათვალისწინებით დაიწყო ჩვენი ასწლეულის პირველი წლებიდანვე მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში ყველა დონის სასწავლებელში ხუთიდან თექვსმეტ წლამდე მოზარდებისთვის ხელოვნების ამა თუ იმ დარგის გაცნობა (სასწავლო საგნებს სხვადასხვა დასახელება აქვს: art; line arts; music/dance; the arts/cultural education/drama) [1]

ჩვენს ქვეყანაში კი გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს დღის წესრიგში მდგომი განათლების სისტემის რეფორმის განხორციელება კარგა ხნით შეაფერხა სოციალური ფორმაციის ცვლამ, რასაც პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი მოჰყვა. მნიშვნელოვანი ცვლილებები მხოლოდ ამ საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო - ერთიანი სასკოლო განათლების სისტემისთვის შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმა (ე ს გ), რომელსაც პოზიტიურ მხარეებთან ერთად არაერთი ნაკლიც ახასიათებდა; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ესგ გამუდმებით იცვლება და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ცვლილებების შედეგად ნეგატიური მომენტები საბოლოოდ აღმოიფხვრება.

უდავოდ დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ესგ-ს ორიენტირება საგანთა ინტეგრირებულ - ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში სწავლებაზე. რეფორმატორთა ჩანაფიქრით, ამას სამყაროს ერთიანობის აღქმა და მასში მიმდინარე სხვადასხვა სოციალური და ბუნებრივი პროცესების მიმართ ადაექვატური რეაქციის გამომუშავება უნდა გაეადვილებინა, ერთი მოვლენის სხვადასხვა პოზიციიდან განხილვა-შეფასებას კი განევითარებინა სტერეოტიპულის საწინააღმდეგო - კრიტიკული აზროვნება, რაც რეფორმის უმთავრეს წარმატებად ჩაითვლებოდა. ესგ-ს პირველ ვარიანტში ინტეგრაციის დანიშნულებად იმ ზოგადი უნარ-ჩვევების გამოკვეთა იყო მიჩნეული, რომლებიც ამ საგნებს ერთმანეთთან აახლოვებს. [2] აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო ქართული ლიტერატურის, როგორც ეროვნული ხელოვნების უპირველესი დარგის, ინტეგრაცია მის სხვა დარგებთან - სახვით, მუსიკალურ, ქორეოგრაფიულ, თეატრალურ და კინო ხელოვნებასთან, რაც ლოგიკური, ყოველმხრივ გამართლებული და პედაგოგიური თვალსაზრისით წარმატების მომტანი იქნებოდა. ამის პრაქტიკული ხორცშესხმა უნდა გაეადვილებინა რეფორმის კიდევ ერთ პოზიტიურ სიახლეს - საჯარო სკოლის ყველა საფეხურზე ახალი საგნის „ხელოვნების“ სწავლების შემოღებას. ამ მისასაღმებელი ნოვაციების გონივრულად განვითარება, სამწუხაროდ, შეფერხდა, რამდენადაც გათვალისწინებული არ იქნა ამ კუთხით ქართული მეთოდის მიღწევები და არ განვითარდა შემდგომი თეორიული კვლევა. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ სახვითი ხელოვნების სასკოლო საგნობრივი პროგრამის ავტორებმა გაითვალისწინეს მისი ინტეგრირება ხელოვნების სხვა დარგებთან, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურასთან, ამ უკანასკნელის საგნობრივ პროგრამაში კი ხელოვნების სხვა დარგებთან კავშირი საერთოდ

არ იქნა გამოკვეთილი. უფრო მეტიც - მეცნიერული დასაბუთების,ექსპერიმენტული გამოცდის გარეშე მოინდომეს ხელოვნებისა(ამ შემთხვევაში მწერლობის) და მეცნიერების (ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგების კანონზომიერებათა კომპლექსის,რაც რეფორმამდე ენის გაკვეთილებზე ისწავლებოდა)ინტეგრირება; თანაც სკოლის სამივე საფეხურზე,რაც სრულიად გაუმართლებელია,მით უმეტეს იმ პირობებში,როცა თავად ესგ-ში ხაზი საგანგებოდ აქვს გასმული იმას,რომ საგნები მეტად ინტეგრირებულად ისწავლება დაწყებით საფეხურზე,საბაზო და საშუალო საფერხურებზე კი უფრო სპეციალიზებულად უნდა ისწავლებოდეს.[3] ამ „ინტეგრირების“ შედეგად კი ის მივიღეთ, რომ სკოლადამთავრებულთა უმრავლესობის ცოდნის დონე მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში სერიოზული შემფოთების საფუძველს იძლევა.

რაც შეეხება რეფორმამდელი ქართული მეთოდის მიღწევებს ამ კუთხით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს,რომ პირველი ნაბიჯები გასული საუკუნის ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისიდან გადაიდგა. ლიტერატურის ინტერდისციპლინურ რეჟიმში სწავლების თემაზე სერიოზული განსჯისა და მისი განხორციელების დაწყების წინაპირობად უნდა ჩაითვალოს პროფ. მ.თაბორიძის მიერ პედაგოგთა დასახმარებლად შექმნილი ალბომი „საუბარი ხელოვნებაზე“, რომელმაც ორი ათეული წლის მანძილზე ქართული ლიტერატურის სწავლებას,შემოქმედ მასწავლებელთა წყალობით,სათანადო მიმართულება მისცა; [4]შემდგომში, 90-იან წლებში,სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში მ.თაბორიძისა და ნ.ურუშაძის თაოსნობით დაარსდა ორპროფილიანი სპეციალობა „ქართული ენა,ლიტერატურა და ხელოვნებათმცოდნეობა“,სადაც სტუდენტები ლიტერატურასთან ერთად ეზიარებოდნენ ხელოვნების ყველა დარგის საფუძვლებს. ამ სპეციალობის სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილების საფუძველზე მეცნიერთა ჯგუფმა (ე.თაბორიძის, ნ.ურუშაძის, ა.კლდიაშვილის,ი.ახობაძისა და ლ.ციხისელის შემადგენლობით) შექმნა ხელოვნების ინტერდისციპლინური კურსის კურიკულუმი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადებისას.[5] ამ პროექტს 2001-2002 წლებში ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ დაფინანსებით შეესხა ხორცი. უმაღლესი პედაგოგიური სკოლისთვის განკუთვნილ ამ ორიგინალურ კურსში,რომელმაც უცხოელ ექსპერტთა დიდი ყურადღება დაიმსახურა, განხილულია ინტერდისციპლინური სწავლება - ინტეგრირებული სწავლების ისეთი ფორმა,როცა ინტეგრაცია ერთი დისციპლინის - ხელოვნების შიგნით, მის სხვადასხვა დარგებს (მწერლობას,სახვით,მუსიკალურ,ქორეოგრაფიულ,თეატრალურ და კინო ხელოვნებას) შორის ხდება როგორც ჰორიზონტალურ,ისე ვერტიკალურ ჭრილში.[6] ლიტერატურული ქმნილება განიხილება როგორც არამხოლოდ მისი წარმომშობი ეპოქის პროდუქტი(ჰორიზონტალური განზომილება),არამედ როგორც საფუძველი (ინსპირაციის წყარო) სხვა ეპოქებში ხელოვნების სხვადასხვა დარგებში შექმნილი ნაწარმოებებისა (ვერტიკალური განზომილება),რაც თვალსაჩინოს ხდის მხატვრული თხზულების ნაირგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობებს. ლიტერატურის გაკვეთილზე მწერლის პიროვნებით ან მისი ქმნილებით მოსწავლეთა დაინტერესების (ე.წ პროვოცირების), ისევე,როგორც მასალის შესწავლის დასკვნით ეტაპებზე მასწავლებელმა მეტად ეფექტურად შეიძლება გამოიყენოს გაკვეთილის თემასთან დაკავშირებული სახვითი, მუსიკალური, ქორეოგრაფიული, თეატრალური თუ კინო ხელოვნების ნიმუშები ან მათი ფრაგმენტები (რის საშუალებასაც სასკოლო ტექნიკა იძლევა), გააცნოს ყმაწვილებს მათი ავტორები, ლიტერატურული მასალაც სულ სხვა კუთხით დაანახოს, სააზროვნო სიტუაციები შექმნას და პრობლემურ საკითხზე

მსჯელობის (დისკუსიის, დისპუტისა თუ დებატების) შედეგად მიიყვანოს ისინი კონკრეტულ „აღმოჩენებამდე“, რომელთა განზოგადება შემდეგ ზოგადკულტურულ კონტექსტში მოხდება. [7]

რასაკვირველია, ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ლიტერატურის ინტეგრირება სწავლების სამივე საფეხურზე შეიძლება განხორციელდეს, თუმცა დაწყებით სკოლაში მოზარდთა ფსიქიკაზე მრავალი გამლიზიანებლით ხშირად ზემოქმედება არ არის მიზანშეწონილი. რაც შეეხება საბაზო და საშუალო საფეხურებზე სწავლების პროცესს, აქ პედაგოგს სრული თავისუფლება აქვს, ლიტერატურული მასალის რაგვარობიდან გამომდინარე, გემოვნებით გამოიყენოს ეს მეთოდი. იმასაც უნდა გაეცნოს ხაზი, რომ ინტერდისციპლინურ ჭრილში სწავლებისას ლიტერატურის მასწავლებელი არ უნდა გაიტაცოს ხელოვნების სხვა სახეობების ნიმუშთა განხილვამ. მან არ უნდა დაივიწყოს გაკვეთილის პრიორიტეტი- მხატვრული ქმნილებით, მხატვრული სიტყვით ზემოქმედება მოზარდთა შემეცნებასა და ემოციურ სამყაროზე. ამიტომ პედაგოგს დიდი სიფრთხილე და ზომიერება მართებს მასალის შერჩევისა და დროის ორგანიზებისას.

ზემოთქმულის ნათელსაყოფად ინტერდისციპლინური სწავლების ჭრილში ჩატარებული ლიტერატურის გაკვეთილების სამი ნიმუშიც იკმარებს. პირველი მათგანი ჩვენში მეტად პოპულარული მოთხრობის „იავნანამ რა ჰქმნა?!“-ს ტექსტითა და პრობლემატიკით დაწყებითი სკოლის ბავშვების დაინტერესებას ასახავს. ი. გოგებაშვილის ეს გენიალური ნაწარმოები, ცხადია, არ არის მონოთემატური; ის მკითხველებს დღევანდელობისთვისაც მეტად აქტუალურ არაერთ საკითხზე- თანაგრძნობაზე, სოლიდარობაზე, მიმტევებლობასა და ადამიანურ ღირსებაზე- დააფიქრებს, მაგრამ ავტორის მთავარი სათქმელი ხელოვნების ზებუნებრივი ძალის ჩვენებაა, რასაც სათაურიც მოწმობს. სწორედ ამ მიმართულებით ბავშვების აზროვნების წარსამართად მეტად ეფექტური აღმოჩნდა პირველი გაკვეთილის დაწყება ულამაზესი ხალხური სიმღერის ან ჯ. კახიძისეული „იავნანას“ აუდიოჩანაწერის მოსმენით. ამის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე დააფიქსირებს მოზარდების შთაბეჭდილებას- ამ სიმღერასთან ასოცირებულ მათ გრძნობებს, „იავნანას“ დამახასიათებელ ნიშნებს. შედეგების დაჯამება ცხადყოფს, რომ ყოველი მოსწავლისთვის „იავნანა“ სასიამოვნო მოსასმენია, რამდენადაც პატარობას, დედასა და ტკბილ სიზმრებს აგონებს. თუმცა ამ სიმღერას აქვს კიდევ ერთი უჩვეულო თვისება, უნარი, რომელზე მსჯელობასაც ნორჩი მკითხველები მხოლოდ გოგებაშვილის მოთხრობის გაცნობის შემდეგ შეძლებენ. პედაგოგის ამგვარი მოკლე შესავლის შემდეგ მოზარდები ინტერესით იწყებენ ტექსტის კითხვას. დამაჯამებელ გაკვეთილზე კი, სიმღერის აუდიო ჩანაწერის განმეორებითი მოსმენის შემდეგ, როგორც წესი, იმართება გაცხოველებული მსჯელობა იმაზე, თუ რა შეძლო დედის სიმღერამ, რა ძალა აქვს მუსიკას (ზოგადად ხელოვნებას). პირველ გაკვეთილზე დაფიქსირებულ ეპითეტებს აუცილებლად ემატება „ჯადოსნური“ ან „სასწაულმოქმედი“ და იქვე, გაკვეთილზევე იქმნება მეტად საინტერესო მინი თხზულებები თემაზე „რა შეუძლია ხელოვნებას?“.

მეორე ნიმუში იმის მაგალითად გამოდგება, თუ როგორი წარმატებით შეიძლება გამოიყენოს ლიტერატურის მასწავლებელმა სახვითი და კინოხელოვნების ნიმუშები მეცხრე კლასელთა პროვოცირების ეტაპზე. [8] დ. გურამიშვილის პიროვნებითა და მისი ზემოქმედების თემატიკით დაინტერესების მიზნით გაკვეთილის დაწყებისთანავე პედაგოგი ყმაწვილებს წარუდგენს პოეტის მათთვის უცნობ ოთხ ხატებას (ავტოპორტრეტის, უ. ჯაფარიძის მიერ რეალისტური მანერით შესრულებული პორტრეტის,

მ.ბერძენიშვილის ზეტიპური, 60-იანი წლების მონუმენტურ ხელოვნებაში გაბატონებული სტერეოტიპების დამანგრეველი ქანდაკებისა და კინოში გ.შავგულიძის შესრულებული როლის ვიდეოკადრებს) და სთხოვს, ხუთი წუთის განმავლობაში ჩამოწერონ თითოეულზე გამოსახული პიროვნების ის თვისებები, რომლებიც, მათი აზრით, ავტორებმა წინა პლანზე წამოწიეს თავიანთ ქმნილებებში. პასუხების მიხედვით, ესენი იყო: სულიერებაზე მზრუნველი მოხუცი, მიწიერი ვნებებისგან დაცლილი ღვთისმოსავი, განათლებული/წიგნიერი, მეომრული სულისკვეთებით აღსავსე ლამაზი ვაჟკაცი. მოსწავლეთა ნააზრევის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი მათ უმხელს, რომ ოთხივე ხატებაზე ერთი პიროვნება-დიდი ქართველი პოეტი დ.გურამიშვილია გამოსახული. ბუნებრივად ჩნდება კითხვები: რატომაა ისინი ასეთი განსხვავებული პოეტის შინაგანი ბუნების გამოხატვის თვალსაზრისით? როგორ თავსდება ერთ პიროვნებაში ის თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავი თვისებები, რომლებიც მოზარდებმა გამოკვეთეს? იძლევა კი პოეტის ბიოგრაფია და მისი შემოქმედება იმის საფუძველს, რომ მისგან დაშორებული ეპოქის ხელოვნების ოსტატებს ასეთი განსხვავებული წახნაგები დაენახათ და აესახათ თავიანთ ნაწარმოებებში? ამ კითხვებზე პასუხებს ყმაწვილები მხოლოდ დ.გურამიშვილის ცხოვრებისა და „დავითიანის“ დაკვირვებით გაცნობის შედეგად იპოვნიან. პრაქტიკა ადასტურებს, რომ მასწავლებელი მიზანს ყოველთვის აღწევს- ინტერესი ჩნდება და იწყება მიება ამ ინტერესის დასაკნაყოფილებლად.

მესამე ნიმუშის გათვალისწინება საშუალო საფეხურზე, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ანალიზის დამაჯამებელ ეტაპზე დაეხმარება პედაგოგებს. მთავარი გმირების სახეთა გახსნისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ფუნჯის დიდოსტატა(მამუკა თავაქარაშვილით დაწყებული და ირაკლი ოჩიაურით დამთავრებული) ილუსტრაციები, მათ შორის ორიგინალური ხელწერითა და საილუსტრაციო მასალაში ფილოსოფიური წვდომით გამორჩეული რ.ფეტვიაშვილის მიერ რუსთაველის პოემის ფრანგული გამოცემის გაფორმება. ნესტანის მისეული პორტრეტის წარდგენას და იმის ანალიზს, თუ ინდოეთის მეფის ასულის რომელ თვისებებზე გაამახვილა ყურადღება მხატვარმა, ძალიან საინტერესო შედეგებამდე მიჰყავს ყმაწვილები. ამ თემაზე გამართული დისკუსია ააქტიურებს მოზარდების დაკვირვებისა და კრიტიკული ანალიზის უნარებს, ხელოვნების გაკვეთილებზე მიღებულ ცოდნას და ცხადყოფს მათ დაინტერესებას ქართული კულტურით. ამ დისკუსიის შედეგად ზოგიერთს ეცვლება შეხედულება რუსთაველის გენიალურად დახატულ ამ პერსონაჟზე, ის „პოულობს“ თავის ნესტანს და მზადაა, საკუთარი პოზიციის გასამყარებლად პოემის ტექსტს ხელახლა ჩაუღრმავდეს.

ნათქვამი ცხადყოფს, რომ ინტერდისციპლინური სწავლება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ხელოვნების პედაგოგებთან უმჭიდროვეს თანამშრომლობას გულისხმობს. ხელოვნების გაკვეთილებზე მოსწავლეები გაიცნობიერებენ, რომ ქართული კულტურის სიძველესა და ორიგინალურობაზე მსჯელობის უფლებას უპირველეს ყოვლისა, უხსოვარი დროიდან ჩვენამდე მოღწეული, ხელოვნების სხვადასხვა სფეროში შექმნილი არაჩვეულებრივი ნაწარმოებები(ან მათი ფრაგმენტები) იძლევა; რომ ყოველ მათგანს თავისი ეპოქის დადი აზის და ამავე დროს ზეეპოქალური, ზოგადნაციონალური ნიშნებიც დაეძებნება; რომ ხელოვნების ყოველ ქმნილებას შინაარსობრივ(იდეურ) დატვირთვასთან ერთად ახასიათებს ფორმისეული ნიშნები-სხვადასხვა კომპონენტების კომპოზიციური მთლიანობა და ავტორის მსოფლმხედველობრივი გამოსახვის ხერხები, რომლებიც სპეციფიური და განსხვავებულია

დარგების მიხედვით. ამ სპეციფიური მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების შედარება, ჩვენი რწმენით, გადამწყვეტ როლს ითამაშებს ლიტერატურული ქმნილების ესთეტიკური აღქმის უნარის განვითარებაში. მოსწავლეთა მიერ ხელოვნების გაკვეთილებზე შეძენილი ცოდნა ლიტერატურის მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს, გაცილებით თავისუფლად და ძალდაუტანებლად ჩართოს თავისი აღსაზრდელები მსჯელობასა და კვლევაში. ხელოვნების სხვა ნიმუშებთან კავშირის დადგენა, პარალელების დამკვნა, საერთო ნიშან-თვისებების გამოვლენა წვლილს შეიტანს მოზარდთა ანალიტიკური აზროვნების განვითარებაში; სტიმულს მისცემს მანამდე დაფარული, პოტენციური კრეატიულობის გამოვლენასაც. ლიტერატურის ინტერდისციპლინურ რეჟიმში სწავლება ხელს უწყობს თავად ლიტერატურული მასალით დაინტერესებას, მის წარმატებით ათვისებას, მშობლიური ხელოვნების უფრო ღრმად გაცნობას, რასაც დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ახალგაზრდა თაობის კულტურული და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის მეტად აქტუალური პრობლემის გადაწყვეტაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. INCA Comparative tables, International Review of Curriculum and Assessment frameworks Internet Archive, 2007
2. ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის, თბილისი 2007
3. მ. თაბორიძე, საუბარი ხელოვნებაზე „ხელოვნება“, თბილისი 1977
4. ე. თაბორიძე, ნ. ურუშაძე, ა. კლდიაშვილი, ი. ახოზაძე, ლ. ციხისელი, ხელოვნების ინტერდისციპლინური კურსის პროგრამა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადებისას, 2002წ, (საიდენტიფ. ნომერი TTP05/01)
5. ე. თაბორიძე, ნ. პაიჭაშვილი, ინტეგრირებული და ინტერდისციპლინური სწავლება სგმა-ს მოამბე N11, 2010
6. ე. თაბორიძე, ნ. ურუშაძე, ა. კლდიაშვილი, ი. ახოზაძე, ლ. ციხისელი, სიახლე ქართული ლიტერატურის მასწავლებელთა მომზადების პროცესში, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, N1(12), თბილისი 2002
7. ე. თაბორიძე, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდის სალექციო კურსი, თბილისი „აგორა“, 2009.

სალომე თათულიშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების კვლევა უმაღლესი განათლების კურიკულუმების შესახებ

სტუდენტების, პერსონალისა და კურსდამთავრებულების თავისუფალი გადაადგილება უმაღლესი განათლების განათლების ევროპული სივრცის მნიშვნელოვანი განზომილებაა. საერთაშორისო მობილობა ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი ცენტრალური კომპონენტია. სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ შეიძინონ ის მნიშვნელოვანი კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე სამუშაო ბაზარზე თავის დამკვიდრებისა და კონკურენტუნარიანობისათვის.

საქართველოში მობილობით ქვეყნიდან გამგზავრებული სტუდენტების წლების მიხედვით, რაოდენობრივ აღრიცხვას აწარმოებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქსტატის მონაცემების მიხედვით, საქართველოში სტუდენტების საერთაშორისო

მობილობას მზარდი ტენდენცია აქვს. 2015-2016 სასწავლო წელს საქართველოდან სულ გაემგზავრა 403 სტუდენტი.

თელავის უნივერსიტეტის მაგალითზე რომ ვიმსჯელოთ, წლების მიხედვით აქაც მზარდი ტენდენცია შეინიშნება საზღვარგარეთ გამგზავრებული სტუდენტების. ჩვენი ინტერესის სფეროს სწორედ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების მოსაზრებების შესწავლა წარმოადგენს უმაღლესი განათლების კურიკულუმების შესახებ.

კვლევის მიზნები:

- შევისწავლოთ 2006-2016 წლის საერთაშორისო მობილობის მონაწილე თელავის უნივერსიტეტის სტუდენტების გამოცდილება და მოსაზრებები
- გამოვავლინოთ მსგავსება და განსხვავება ადგილობრივი უნივერსიტეტის კურიკულუმსა და საზღვარგარეთ უნივერსიტეტის კურიკულუმს შორის
- დადგენილ იქნეს სტუდენტთა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის პოზიტიური პარამეტრები.


კვლევის ეფექტური წარმართვისა და ჩვენი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, შევარჩიეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, შევადგინეთ კითხვარი. აღნიშნული კითხვარის მიწოდება რესპოდენტებამდე მოვახდინეთ ინტერნეტის საშუალებით. კითხვარი ეხებოდა საზღვარგარეთ უნივერსიტეტებში სტუდენტების მიერ გავლილი კურიკულუმების სხვადასხვა ასპექტების შესწავლასა და ზოგადად, ბენეფიციართა აზრის კვლევას. აღნიშნული კითხვარი წარმოადგენდა ნახევრად სტრუქტურირებულ ფორმას და მეტი მოქნილობისათვის მასში გამოყენებული იყო როგორც ღია და დახურული, ისე ნახევრად დახურული შეკითხვები. გამოკითხვა იყო ანონიმური და სრულად იყო დაცული ეთიკის ნორმები.

რაც შეეხება შერჩევას, ჩვენი კვლევის მიზნობრივ ჯგუფს ბუნებრივია წარმოადგენდა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ის სტუდენტები, რომლებაც მონაწილეობა უკვე მიიღეს ან ამჟამად იმყოფიან საერთაშორისო მობილობით საზღვარგარეთ სხვადასხვა უნივერსიტეტებში და გაიარეს ან გადიან კონკრეტულ კურიკულუმს. სულ გამოკითხული იქნა 50-მდე რესპოდენტი.

გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობამ 55% მა სწავლების ბაკალავრიატის საფეხურზე მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო მობილობაში. თუმცა კვლევაში ასევე მონაწილეობდნენ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები და მათი პროცენტული განაწილება იყო შემდეგი:

- მაგისტრატურის სტუდენტი - გამოკითხულთა 30%
- დოქტორანტურის სტუდენტი - გამოკითხულთა 15%

რაც შეეხება განაწილებას ქვეყნების (რომელთა უნივერსიტეტებში მოუწიათ სწავლა თელავის უნივერსიტეტის სტუდენტებს) მიხედვით, შედეგები ასე გადანაწილდა:




გრაფიკი N1

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, კვლევაში მონაწილეობა მიიღეს როგორც უკვე დაბრუნებულმა სტუდენტებმა, ისე მათ, ვინც ამჟამად იყოფებიან საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამით. ჩვენი კვლევითაც დადასტურდა, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო მობილობაში მზარდი ხასიათი აქვს: 2006-2009 წლებში, როდესაც გადაიღვა პირველი ნაბიჯები საერთაშორისო მობილობისაკენ, ჩვენს მიერ გამოკითხულ რესპოდენტთა 25 % იმყოფებოდა გაცვლითი პროგრამით სასწავლებლად, ხოლო ბოლო წლებში 2014 -2017 წლებში კი მაჩვენებელი 60%-მდეა გაზრდილი.

რაც შეეხება კვლევის ძირითადი საკითხების ანალიზს, ჩვენი ინტერესის მთავარ სფერო გამოკითხულ სტუდენტთა მიერ კურიკულუმების შეფასება იყო და ძალიან მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ისეთი მნიშვნელოვანი ცვლადების ოპერაციონალიზაცია, როგორებიცაა: მორგებულია თუ არა სტუდენტების ინტერესებზე კურიკულუმი, რომლის გავლაც უწევთ მათ, უვითარებს თუ არა აღნიშნული ზოგადტრასფერულ უნარებს სტუდენტებს, შეუძლია თუ არა მოტივაციის ამაღლება თითოეული საერთაშორისო მობილობაში მონაწილე სტუდენტებისათვის და რა ძირითადი სარგებლის მიღება შესაძლებელი გაცვლითი პროგრამიდან.

უფრო დეტალურად რომ ვისაუბროთ, გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა (60%) თვლის, რომ სავსებით ერგება მათ მიერ განვლილი კურიკულუმი მათივე ინტერესს, ხოლო ასევე უმრავლესობა (85%) დარწმუნებულია, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის ის მეთოდოლოგია, რომელიც პროგრამის ფარგლებში გაიარეს პირდაპირ აისახება მათი მოტივაციის ამაღლებაზე.

კითხვაზე: კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის მეთოდოლოგია, რომელიც პროგრამის ფარგლებში გაიარეთ საზღვარგარეთ სწავლის დროს, რამდენად აისახება მოტივაციის ამაღლებაზე? შედეგები ასე გამოიკვეთა (სქემა 1):




სქემა 1

უნდა აღინიშნოს რომ, შეკითხვის პასუხები კითხვარში მხოლოდ ამ ორი პასუხის ვარიანტით არ იყო ფორმულირებული, რესპოდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყო ისეთი პასუხების დაფიქსირების საშუალება როგორებიცაა: არ მოახდინა არანაირი გავლენა მოტივაციის ამაღლებაზე და საერთოდ არ იმოქმედა მოტივაციის ამაღლებაზე, თუმცა აღნიშნული პასუხის ვერსიები არ დაფიქსირებულა არც ერთი ჩვენს მიერ გამოკითხული სტუდენტის მიერ. რაც გვაძლევს შემდეგი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას: მეთოდოლოგიას, რომელსაც პროგრამის ფარგლებში გადიან ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები მასპინძელ უნივერსიტეტებში, გავლენას ახდენს მათივე მოტივაციის ამაღლებაზე.

რაც შეეხება შემდეგ შეკითხვას: **თქვენი აზრით, რამდენად უვითარებს გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს ზოგად ტრასფერულ უნარ-ჩვევებს საზღვარგარეთის უნივერსიტეტში განვლილი კურიკულუმი?**

ამ კითხვაზეც მხოლოდ დადებითი ასპექტები გამოიკვეთა, და უარყოფითი შინაარსის პასუხის ვარიანტები (არ უვითარებს, საერთოდ არ უვითარებს) არ დააფიქსირა არც ერთმა გამოკითხულმა რესპონდენტმა (სქემა 2).




(სქემა 2)

მეტად საინტერესოა საკითხი, რომელიც უკავშირდება მსგავსებასა და კავშირს ადგილობრივი და მასშინძელი უნივერსიტეტების იმ კურიკულუმებს შორის, რომლებსაც გადიან ჩვენს მიერ გამოკითხული სტუდენტები. როგორც კვლევის შედეგად აღმოჩნდა, უმრავლესობის აზრით არცთუ ისე დიდი მსგავსება და კავშირია ორ ზემოთ აღნიშნულ კურიკულუმს შორის. ისინი ერთმანეთისაგან სხვადასხვა ნიშნით განსხვავდება. მაგალითად, განსხვავებულია შეფასების სისტემა, ლექციების ხანგრძლივობა, საგნების რაოდენობა, პერსონალის მიდგომა სწავლებისა და კვლევის მიმართ და საერთოდ, განსხვავებულია მთლიანი საგანმანათლებლო პროცესი. როგორც რესპოდენტები აღნიშნავენ ევროპული უნივერსიტეტები მაღალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ინოვაციური სასწავლო მეთოდოლოგიით, პრაქტიკაზე ორიენტირებული ცოდნის მიღებითა და შესაბამისად, მეტი პრაქტიკული სამუშაოებით გამოირჩევა.

თუმცა, მიუხედავად უმრავლესობის მოსაზრებისა, გამოკითხულთა მცირე ნაწილი თვლის რომ მათ შორის არსებობს კავშირიც: “ ორივე კურიკულუმი მორგებულია პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე, სასწავლო მასალის ლოგიკურ და თანმიმდევრულ შესწავლაზე.” უნდა აღინიშნოს რომ შეკითხვა იყო ღია, ყოველგვარი სავარაუდო პასუხის გარეშე, რითიც თავიდან ავირიდეთ რაიმე სახის გავლენა ჩვენს რესპოდენტებზე და მხოლოდ მათ მიერ შემოთავაზებული პასუხის ვარიანტების ანალიზი მოვახდინეთ.

ერთგვარი შეჯამების სახით გვსურდა დაგვედგინა ის პრიორიტეტები და უმნიშვნელოვანესი სარგებელი, რაც ჩვენმა სტუდენტებმა მიიღეს/იღებენ საერთაშორისო მობილობიდან. კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი (სქემა 3) :



(სქემა 3)

შეკითხვა ნახევრად დახურული კითხვის ტიპს მიეკუთვნებოდა სწორედ ამიტომ შევძელით დამატებით კიდევ უფრო მეტი მოსაზრება მიგველო რესპოდენტისგან საერთაშორისო მობილობიდან მიღებულ სარგებელთან დაკავშირებით. მაგალი ერთ-ერთი რესპოდენტი აღნიშნავს: “მთავარი სარგებელი უცხო ენის ცოდნის გაუმჯობესება და ახალი განათლების სისტემის გაცნობაა, ამასთან ერთად იმაღლებ საკუთარ პროფესიულ განათლებას და ეცნობი ახალ კულტურასა და ახალ ხალხს.”

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სტიპენდიანტი სტუდენტები, რომლებმაც 2006 წლიდან დღემდე მიიღეს მონაწილეობა საერთაშორისო მობილობაში, მეტად პოზიტიურად აფასებენ მობილობის პროცესთან დაკავშირებულ თითოეულ ასპექტს, როგორებიცაა უცხო ენის ცოდნის გაუმჯობესება, ევროპული განათლების სისტემის გაცნობა, ცოდნის გაუმჯობესება და სხვა, რომელიც საბოლოო ჯამში ეხმარება მათ იყვნენ კონკურენტუნარიანი და დასაქმებადი შრომის ბაზარზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მობილობის ეფექტების შესასწავლად ძალიან მნიშვნელოვანია მონაცემების სისტემატიური შეგროვება. სწორედ ამიტომ, ჩვენი კვლევების სფეროს ინტერესებიდან გამომდინარე, ვგეგმავთ მომდევნო საექსპედიციო სამუშაოების გაგრძელებას ამჯერად უკვე თვისებრივი მონაცემების გამოყენებით (სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფები) რომლის საშუალებითაც მივიღებთ სიღრმისეულ ინფორმაციას აღნიშნულ საკითხზე და გავამდიდრებთ რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

გამოყენებული ლიტერატურა და მასალები:

- 3) ლეჟავა. დ; ამაშუკელი მ. „ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოში: ძირითადი მიღწევები და გამოწვევები
- 4) იაკობ გოგებაშვილი სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის მასალები, 2017 წლის თებერვალი-მაისი

Salome Tatulishvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Research of the Participator Students of the Exchange Programs about the Higher Education Curriculums Summary

Free interchange of the students, personnel and graduates is very important dimension of European Space of higher education. International mobility is one of the central components of internationalization. The students are given opportunities to gain those important competences, which are essential for establishing themselves on modern labor market and having the skill of competitiveness. The article analyses the researches carried out by us about advantages and benefits of international mobility of TESAU students. We can conclude, that the grand-aided students, which have participated in international mobility since 2006 till present, positively evaluate each aspects of mobility process such as the following – improving the knowledge of foreign language, introducing the European education system, developing the knowledge and so on, which is helpful for them to be competitive and employed on labor market.

Key words: student, curriculum, education, exchange, mobility.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტი, კურიკულუმი, განათლება, გაცვლა, მობილობა

კულტურული ტურიზმის ისტორიიდან თელავში

რესურსები

ქალაქი თელავი თავისი გამორჩეული გეოგრაფიული მდებარეობით, ანკარა წყაროებით, საუკეთესო ჰავით, კულტურულ მემკვიდრეობით, მრავალფეროვანი ღირშესანიშნაობებით ყოველთვის წარმოადგენდა საუკეთესო ტურისტულ რესურსს მოგზაურთათვის. „თელავი ჰაერის ზომიერი სიგრილით და სიმშრალით თითქოს განგებისაგან სააგარაკოდ არის განკუთვნილი, თითქოს ზოგიერთ ავადმყოფობის სამკურნალოდაც.“ (ივერია, 1897, №112, 10 ივნისი) წერდა პერიოდული პრესა გასული საუკუნის დასაწყისში. დასახლებული ღირსებების გამო, (მოაგარაკენი), ვიზიტორები არასოდეს ეკლდა თელავს.

თელავის ღირშესანიშნაობებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია ბუნების ძეგლს - ჭადარს. საუკუნეთა მანძილზე ჭადრის ქვეშ იშლებოდა „ტრაპეზი“ (ბანკეტი) თელავში ჩამოსულ გამოჩენილ ადამიანებთან. „1914 წ. 16 ივლისს თელავის საზოგადოებამ ნადიმი გაუმართა მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერს ნიკო მარს. 1893 წ. დიდმა ილიამ თელავში ჩაატარა კახელ მევენახეთა კრება, ხოლო აკაკი 1911 წ. ილიაობაზე საგანგებოდ ჩამოსულა, 21 ივნისს მოიწვიეს თელავში ბანკეტზე. (ი. პაატაშვილის ფონდი 4315, საქმე №7, 8, გვ. 64 ა,) ეს ბუნებრივი ძეგლი უტყვი მოწმეა და მატიაწეა უამრავი გამოჩენილი ადამიანის სტუმრობისა ქალაქ თელავში

დროთა განმავლობაში დღის წესრიგში დგებოდა მოაგარაკეთათვის, დამსვენებლებისთვის ქალაქის სასიერნო ადგილების მოწყობის აუცილებლობა, ასევე ბავშვებისთვის სათამაშო მოედნების მოწყობის საკითხი, მოსახლეობას მიზანშეწონილად მიაჩნდა „ქალაქის ზემო ნაწილი გაეწმინდა ჯაგებისაგან, დაერგო ხეები, მოესწორებინათ და გაემშვენებინათ ტერიტორია. როგორც საუკუნის წინანდელი პერიოდული პრესიდან ჩანს ადგილობრივი მკვიდრნი ვარაუდობდნენ, რომ თელავში სააგარაკოდ ჩამოსული ტურისტებიდან შემოსული თანხები გადაფარავდა ქალაქის კეთილმოწყობისათვის დახარჯულ ფინანსებს. თელავის მოწინავე საზოგადოება იმთავითვე გრძნობდა, რომ თუ სათანადოდ გაამშვენებდა ქალაქს, ჩამოსულ სტუმრებს შესთავაზებდნენ გართობის და დასვენების საშუალებებს, მრავალი ვიზიტორი ჩამოვიდოდა თელავში. „ჯერ მარტო აგარაკად ჩამოსულები შეჰმატებენ ერთ წელიწადს იმდენს, რაც ზედ დაეხარჯება“ (ი. პაატაშვილის ფონდი 4315, საქმე №7, 8, გვ. 64 ა,) ეს

ტურისტებს (მოაგარაკეებს) განსაკუთრებით ხიბლავდათ თბილისიდან თელავამდე სავალი გომბორის გზა, რომელიც წელიწადის ყველა სეზონზე განსაკუთრებით მიმზიდველობით და მშვენიერებით გამოირჩეოდა. „ამ გზაზე წამოსულ ადამიანს წელიწადის ყველა დროს თვალწინ ეშლებოდა „ულამაზესი პანორამული პეიზაჟები, მრავალ ტურისტს უთქვამს: „ნეტავი გომბორზე დილიჩნები ასე ჩქარა არ დადიოდნენო“. გაზეთი „ივერია, 1897“, № 112, 10 ივნისი ბუნებრივია ასეთი შეფასება იმის გამო იყო ნათქვამი, რომ სტუმარს ბუნების მშვენიერების ტკბობისთვის მეტი დრო ჰქონოდა.

გასული საუკუნის დასაწყისში გომბორის გზის მოვლა, პატრონობა, ზედამხედველობისთვის გადაცემული ჰქონდა ა.ზ. ანდრონიკაშვილს, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გზის რთულ მონაკვეთს, რომელიც ხშირად საჭიროებდა აღდგენას.

XIX საუკუნის მიწურულს ქალაქში ჩამოსული მოაგარაკეებისთვის გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა თელავის პროდუქტების ბაზრის მაღალი ფასები. საკვებ პროდუქტებზე მისაღები ფასები ბუნებრივია შექმნიდა წინაპირობას იმისა, რომ „ერთხელ მოსული მოაგარაკე მეორედაც მოსულიყო და სხვასაც ურჩევდა ზაფხულის გატარებას“.

წერდა გაზეთ ივერიის კორესპონდენტი ნადიკვრელი. (გაზეთი „ივერია“ 1897 წ., №112, 10 ივნისი] თელავში მოაგარაკეთა ნაკადების შემოსვლა გაზაფხულიდან იწყებოდა „მაისის მეორე ნახევრიდან 4-8 ომნიბუსი შემოდის თელავში, ასევე შემოდის ეტლებიც“. ამდენად გამოცოცხლებას იწყებდა ზაფხულობით სასეირნო ადგილები, ნადიკვარი, ზუზუმბო. მოაგარაკეთა დიდი ნაწილი თავს იყრიდა ბულვარში, სადაც განთავსებული იყო ბილიარდი, რესტორანი. . . . სეირნობა გრძელდებოდა დილიდან ღამემდე. მტვრიანი ბულვარი დროდადრო ირწყვებოდა“. (გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1904 წელი, №2541, 2 ივლისი,) ე.ი. პრესის ფურცლებიდან სჩანს, რომ ბულვარი თავისთავში ითავსებდა გართობის, სეირნობის, თავშექცევის ადგილის ფუნქციას. მართალია ქალაქს საუკეთესო ბუნებრივი პირობები ჰქონდა, მაგრამ თუ არ მოწესრიგდებოდა ინფრასტრუქტურა, გზები, განათება, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, სასეირნო ბალები, სათამაშო მოედნები, თუ არ მოხდებოდა მუსიკალური ობიექტების, საცეკვაო მოედნების მოწყობა თელავი მოაგარაკეთა და ტურისტთა მნიშვნელოვან ნაწილს დაკარგავდა.

ე.ი. საჭირო იყო ბუნებრივ ტურისტულ რესურსებს დამატებოდა ადამიანის ხელით შექმნილი ტურისტული რესურსები, სათანადო გარემო პირობები და მოწესრიგებული ღირშესანიშნაობები, ინფრასტრუქტურა, რაც ერთი ორად გაზრდიდა ქალაქში ვიზიტორთა რიცხვს.

თელავი დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ქალაქია, რაც საუკუნეების წინ იღებს სათავეს. ქალაქში ხშირად იმართებოდა ხოლმე მუსიკალური საღამოები, შეხვედრები, ლიტერატურული საღამოები, საქველმოქმედო ღონისძიებები, ბალები და ა. შ. რაც კარგადაა ასახული XIX საუკუნის მიწურულს არსებული პერიოდული პრესის ფურცლებზე.

„1893 წლის 23 აგვისტოს თელავის საზოგადო მოღვაწეს მელიტონ ბალანჩივაძეს გაუმართია სამუსიკო სალიტერატურო საღამო, მუსიკის მოყვარულთა დახმარებით, მისი მუსიკა ნამდვილი ქართული ხასიათითა და ჟღერადობით ყოფილა გამორჩეული, ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიუღიათ ქალბატონებს პ.ი. ვოლოხოვისას, კ.ვიჩოროვისას (აკომპანიმენტი), შიუკაშვილს სასიამოვნო ხმით - ბარიტონით მოუხიბლავს მსმენელი და დიდი მოწონება დაუმსახურებია საზოგადოებაში“. (გაზეთი „ივერია“, 1893 წ., № 486, გვ. 2, 1 სექტემბერი) თელავში მუსიკალური ტრადიციები დღესაც აქტიურად გრძელდება, რასაც მოწმობს კამერული მუსიკალური ფესტივალი, „ქება ვაზისა“, რომელიც შემოდგომით იმართება.

ქ. თელავში ხშირად იმართებოდა საქველმოქმედო ხასიათის (მცირე) მასშტაბის ღონისძიებები, განსაკუთრებით სასწავლო დაწესებულების სასარგებლოდ. ესეთი **Event-ები** დამახასიათებელი იყო XIX საუკუნისთვის, ეს ღონისძიებები ინტერესს აღძრავდა, როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში, ასევე მოაგარაკეთა შორის, საზოგადოების დიდი ნაწილი ესწრებოდა მას, ღონისძიებებზე ადგილობრივი მოსახლეობა კოსტუმირებული, ლამაზად გაფორმებული ტანსაცმლით მონაწილეობას იღებდნენ ე.წ. „ბალზე“ რომელსაც კარგი შემოსავალიც მოჰქონდა ქალაქისთვის და საკმაოდ ნაყოფიერად და წარმატებულად ტარდებოდა.

Event-ებს საზეიმო საღამოებს შორის ცალკე ადგილი უკავია დედათა სასწავლებლისთვის გამართულ საღამონო ნადიმებს, რომლის ორგანიზებასაც აწყობდნენ საზოგადოების დაწინაურებული პირები. მაგალითად: „თელავში 1895 წლის 9 თებერვალს გამართულ საღამონო ნადიმი გაუმართავს თელავის უფროსის მეუღლეს ქალბატონ განსევიჩისას, მას დასწრებიან სასწავლებლის ყველა მოსწავლის მშობელი, გარეშენი როგორც სიღნაღიდან ისე თელავიდან. ე.ი. ყველა მშობელს გარკვეული წვლილი უნდა შეუტანია საქველმოქმედო საქმეში. (გაზეთი „ივერია“, 1895, №35, , 11 თებერვალი. გვ. 3)

ნადიმზე საქველმოქმედოდ შეგროვებით 400 მანეთი .

იმ პერიოდის გასართობ საშუალებას წარმოადგენდა ლოტო. „ქალაქის მოსახლეობისთვის კვირას იმართებოდა საცეკვაო საღამოები. ცეკვები სრულდებოდა სამხედრო მუსიკის თანხლებით, ქალ-ვაჟთათვის, ბავშვებისთვის კი ორ კვირაში ერთხელ“. (გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1903 წ., №2199, 4 ივლისი) დროთა განმავლობაში

იზრდებოდა გასართობი და თავშესაქცევი საშუალებების ნაირსახეობა თელავში „იმართებოდა წარმოდგენები, ლიტერატურული და მუსიკალური საცეკვაო სადამოები, შეხვედრები, კვლავინდებურად გასართობად რჩებოდა ლოტო და ბილიარდი“.(გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1903 წ., № 2242, 22 აგვისტო)

XIX საუკუნის მიწურულს ქ. თელავში გამართულ ღონისძიებებს შორისაა საცირკო სანახაობა: „1898 წ. 22 მარტს „ცირკი“ - თავისი ავლადიდებით, ურმებით მოსულა თელავში, გაუმართავს წარმოდგენა, გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა, რომ დასახლებული ცირკის შემადგელობა „ყოველდღე მართავს წარმოდგენებს, საზოგადოება მრავლად ესწრება, იმათი მაყურებელია დიდი და პატარა, ქალი და კაცი, სწავლული და უსწავლელი, მოხელე და ხელოსანი“ (ივერია 1898 წ., № 69, 31 მარტი) - წერდა კორესპონდენტი, მაგრამ არ არის დასახლებული, საიდან მოვიდა საცირკო ხელოვნების დასი. ვინ იყვნენ დასის წევრები, რა პროგრამა ჰქონდა დასს უცნობია.

თელავის საზოგადოება „მეჯლისებითაც“ განებივრებული ყოფილა. სხვადასხვა მიზეზით ხდებოდა ხოლმე მეჯლისის გამართვა. ძირითადად მასში მონაწილეობას იღებდნენ თავადაზნაურობის წარმომადგენლები. სალხინო მეჯლისებზე მონაწილეობას იღებდა თავადაზნაურობა, კომლიდან 1 ადამიანი, დიმიტრი ერასტის ძის ჩოლოყაშვილის საპატივსაცემოდ გამართულ მეჯლისში. იგი დიდი პატივისცემით სარგებლობდა მოსახლეობაში, საზოგადოებაში იგი თელავის და თიანეთის მაზრების თავადაზნაურების წინამძღოლი იყო. იგი 3 წელი ხელმძღვანელობდა თელავის და თიანეთის მაზრების თავადაზნაურობას და ბევრი სასიკეთო ღონისძიების ავტორი ყოფილა. მაღლიერი თავადაზნაურობა მორიგი წინამძღოლის არჩევის შემდეგ პატივისცემით აცილებდა ყოფილ წინამძღოლს, ამ მიზანს ეძღვნებოდა ე.წ. „სალხინო ნადიმი“, დასახლებულ ნადიმზე ჭამა-სმის გარდა ხდებოდა აზრთა გაზიარებაც. კარგად იკვთებოდა ხალხის ზნე-ჩვეულებები, მისწრაფებები. მეჯლისი დაწყებულა ცეკვით, სრულდებოდა ევროპული ყაიდის ცეკვები. ძველი და თანამედროვე ცეკვები, ლეკური, ნაციონალური ცეკვა თანდათან დავიწყებისკენ მიდიოდა და მის ადგილს იკავებდა ევროპული ცეკვები. 72 მანდილოსანში, ლეჩაქიანი მხოლოდ 6 ყოფილა, მხოლოდ 2-3 ჯერ თქმულა მრავალჯამიერი. დანარჩენი ევროპული სიმღერები სრულდებოდაო. ქართულ ენაზე.

XIX საუკუნის მიწურულს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ე.წ. „კოსტიუმირებული ბალების“ ჩატარება. სამოქალაქო სასწავლებლის შენობაში ამ სასწავლებლის სასარგებლოდ. 1898 წ. 22 თებერვალს გაუმართავთ ორიგინალური ბალი, საზოგადოების ნაწილი მოწონებით ხვდებოდა ასეთი ტიპის ღონისძიებებს, ნაწილი კი უარყოფითად. „საკოსტიუმო ბალი“ დიდი ხარჯის მთხოვნელია, ჯიბის ბარაქის შემბერტყველი, ჩვენისთანა გამწარებული ხალხისთვის, ერთის მხრივ მიმზიდველია, მეორეს მხრივ მავნე, ბალისთვის ტანისამოსს ვერსად იქირავებ, საჭიროა ახლის შეკერა, ჩვეულებრივი ტანისამოსი არ ივარგებს, რითიმე განსხვავებული უნდა იყოსო“.(გაზეთი „ივერია“, 1897, № 39, 4 მარტი)

როგორც ჩანს ეკონომიკური სიდუხჭირე მოსახლეობას დიდი სირთულეებს უქმნიდა და არ აძლევდა საშუალებას სათანადოდ მომზადებულიყო ამ „ბალისთვის“, ეს ღონისძიებები ხშირად ატარებდა საქველმოქმედო ხასიათს და „ერთი“ მანეთით რომ საქველმოქმედო საქმეს ეხმარებოდნენ „10-15 მანეთს და ხშირად 50-60 მანეთს უნაყოფოდ ზიზილ პიპილებზე ხარჯავდნენ, რომელიც სახლში დაბრუნებისთანავე უნდა გადაეყარათ, როგორც გამოუსადეგარი ნივთი, იმ დრომდე ვიდრე შემთხვევა არ მოგვეცემოდა შემდეგი ბალისათვის“. (გაზეთი „ივერია“, 1897, № 39, 4 მარტი) როგორც სჩანს მიუხედავად ეკონომიური გაჭირვებისა, საზოგადოების დიდი ნაწილი მონაწილეობას იღებდა ამ ღონისძიებაში და საქველმოქმედო საქმისთვისაც აგროვებდაა გარკვეული თანხას.

ე.წ. „კოსტიუმირებული ბალები“ 1893 წელსაც გამართულა „წმინდა ნინოს სასწავლებლის“ სასარგებლოდ. გაზეთი ივერია წერდა: „უკვე 3 წელია იმართება აქ იანვრის დამდეგს და საზოგადოების დიდი ნაწილი ესწრება, კოსტიუმანთა შორის ყურადღებას იქცევს ყვავილების, ტკბილეულის და ბერძნის ქალის სტილში ჩაცმული პერსონაჟები,

საყურადღებოა ხევსურულად ჩაცმული იარაღში ჩასმული ფარით და მუზარადით შემკული ბალის მონაწილენი. ბალი მხიარულად და ლამაზად ჩატარებულა, სამწუხარო ისაა, რომ მართალია ბალს ყველა ეტანება, მაგრამ ყველას ჯიბე უცარიელდება“ - არ წავიდეს ბალში? დასძრახავენ (პატარა ქალაქია და ყველა ყველას იცნობს, წავიდეს და ბევრი უნდა დახარჯოს ტანისამოსისა და კოსტუმისათვის“-ო. გაზეთი „ივერია“, 1893 წ., № 10, გვ. 3, 16 იანვარი როგორც ჩანს ამ ღონისძიებებს არ ჰქონდათ ერთჯერადი ხასიათი, ხან თელავში ერთ კვირაში 3 შესაქცევი ღონისძიება იმართებოდა, რომელშიც ჩართულნი იყვნენ საზოგადოების თითქმის ყველა ფენის წარმომადგენლები და მიუხედავად ეკონომიკური სიდუხჭირისა, მაინც თავისი წვლილი შეჰქონდათ, როგორც საერთო მხიარულებაში, ასევე საქველმოქმედო მიზნით გამართულ ღონისძიებებში. **ყოველივე ეს ორმხრივად სასარგებლო იყო იმიტომ, რომ ასეთი ღონისძიებების მოწყობით**, ხდებოდა მოსახლეობის გართობა და ამავე დროს კეთილშობილური საქმე კეთდებოდა და თანხაც გროვდებოდა ამა თუ იმ სასწავლო დაწესებულების სასარგებლოდ. კიდევ ერთი ასეთი საღამო გაუმართავთ 1898 წ. 28 დეკემბერს წმინდა ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ, „საღამოს ორგანიზატორი ყოფილა სოფიო სტანისლავის ას განსევიჩი, რომელიც ყველა ღონეს ხმარობდა, რომ გაჭირვებისაგან ეხსნა სასწავლებელი თავის თანამოაზრეებთან ერთად, სამეჯლისო საღამოზე სასწავლებლისთვის საღამოზე 400 მანეთამდე შეუგროვებიათ.

4 იანვარს თელავის კლუბის დარბაზში ასევე საქველმოქმედო დანიშნულებით გაუმართავთ წარმოდგენა, მსახიობებს დიდი ოსტატობა გამოუვლენიათ. 6 იანვარს კი ბავშვებისთვის გაუმართავთ საბავშვო საღამო შობის ხე“. გაზეთი „ივერია“, 1898 წ., № 10, 16 იანვარი

XIX საუკუნის მიწურულს თელავში გამართულ ღონისძიებებს შორის არის წმინდა ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ განკუთვნილი ლატარია - სახელწოდებით. „ალეგრი, რომელიც იმართებოდა წელიწადში ერთხელ - რასაც ორგანიზებას უწევდა მაზრის უფროსის მეუღლე ქალბატონი სოფიო სტანისლავის ას განსევიჩი, ლატარიას 1007 მანეთი შეუმატებია სასწავლებლისთვის. ლატარიის ორგანიზებაში ჩართული ყოფილა ბატონი ზასერმანი, ასევე სამაზრო გამგეობის მოხელე ქალები, რომლებსაც დიდი სამზადისი გაუწევიათ ლატარიის მოწყობისათვის.” (გაზეთი „ივერია“, 1898 წ., № 217, 19 ოქტომბერი)

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თელავი პატარა ქალაქი იყო, ასეთი თანხების შეგროვება, ღონისძიებების გამართვის გარეშე სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული. მეჯლისებით, წვეულებებით, საღამოებით, ლატარიით და ნადიმების მოწყობით ერთის მხრივ იხვეწებოდა მოსახლეობის გემოვნება, კულტურულ-შემეცნებითი შეხვედრების ასპექტები, მეორეს მხრივ სასიკეთოდ აისახებოდა ღონისძიებებიდან შემოსული თანხები სასწავლებლებზე ბიუჯეტზე, რაც ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს - მოზარდი თაობის აღზრდას ემსახურებოდა. ზემოაღნიშნული საკითხების გაანალიზებით ვეცნობით შეუსწავლელ ფურცლებს თელავის კულტურული ტურიზმის ისტორიიდან.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. გაზეთი ივერია, 1897, №112, 10 ივნისი
2. თელავის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი ი.პაატაშვილის ფონდი 4315, საქმე №7, 8, გვ. 64 ა,
3. გაზეთი „ივერია, 1897“, № 112, 10 ივნისი
4. გაზეთი „ივერია“ 1897 წ., №112, 10 ივნისი
5. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1904 წელი, №2541, 2 ივლისი,
6. გაზეთი „ივერია“, 1893 წ., № 486, გვ. 2, 1 სექტემბერი
7. გაზეთი „ივერია“, 1895, №35, , 11 თებერვალი.
8. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1903 წ., №2199, 4 ივლისი¹
9. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1903 წ., №2199, 4 ივლისი
10. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1903 წ., № 2242, 22 აგვისტო
11. ივერია 1898 წ., № 69, 31 მარტი¹ გაზეთი ივერია, 1903, № 138
12. გაზეთი „ივერია“, 1897, № 39, 4 მარტი

13. გაზეთი „ივერია“, 1897, № 39, 4 მარტი
14. გაზეთი „ივერია“, 1893 წ., № 10, გვ. 3, 16 იანვარი
15. გაზეთი „ივერია“, 1898 წ., № 10, 16 იანვარი
16. გაზეთი „ივერია“, 1898 წ., № 217, 19 ოქტომბერი

Tamar Tamarashvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

From the History of Cultural Tourism in Telavi

Abstract

Telavi with its famous geographic location, natural resources, incredible climate, cultural heritage and various sightseeing have always attracted tourists all around the world. Telavi is the owner of cultural traditions that started centuries ago. Musical evenings, literature activities and charity events were frequently being held in the city. Having analyzed and met mentioned cultural events, we have clear and obvious viewpoint regarding the history of tourism in Telavi.

საკვანძო სიტყვები: თელავი, კულტურული ტურიზმი, ისტორია, ტურისტული

Keywords: Telavi, Cultural tourism, history, touristic

ხათუნა თუმანიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

ერთი ქართული ანდაზისა და მისი არაბული შესატყვისების შესახებ

(სალიტერატურო არაბული, სირიული³², ეგვიპტური, ერაყული
დიალექტების კორპუსის ბაზაზე)

ყველასათვის გასაგები, ერთი შეხედვით მარტივი და დახვეწილი ანდაზა საკმაოდ რთული სპეციფიკის პარემიას წარმოადგენს. ეს გარემოება ალბათ განპირობებულია ფაქტორთა იმ მრავალმხრივი სპექტრით, რომელიც უდაოდ მონაწილეობს მისი ფორმალური და აზრობრივი ფაზის შესაქმნაში: მოცემული ეთნოსის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესი, სოციალური რეალობა, ცნობიერება, ენა, აზროვნება, ხელოვნება (საკუთრივ, ფოლკლორი) და ა.შ. ეს ყოველივე ადამიანთა მოღვაწეობის სოციალური და სულიერი ასპექტებია. კვლევის ეს სფერო კი, სავსებით ობიექტურად, ყველაზე რთულად ითვლება.

³² სტატიაში წარმოდგენილი სირიული მასალა მოძიებულია, საკუთრივ, სირიის, ლიბანის, იორდანის და პალესტინის საანდაზო ფონდებიდან.

ტრადიციული შეხედულების თანახმად არაბული ენის **სირიული დიალექტი** განეკუთვნება აღმოსავლეთ-არაბულ (მაშრიყის) დიალექტებს. იგი გავრცელებულია **სირიის, ლიბანის, იორდანის** ტერიტორიებზე და იმ რაიონებში, რომლებშიც ცხოვრობენ **პალესტინელი** არაბები. ენობრივი თვალსაზრისით ეს ტერიტორიები განსხვავებულია და სირიული დიალექტი შეიძლება დაიყოს კილოკავებად. აქ მაცხოვრებელი არაბების ენა ხასიათდება გარკვეული სხვაობებით ფონეტიკური და ლექსიკური თვალსაზრისით, მაგრამ ცალკეული კილოკავების საერთო გრამატიკული სტრუქტურა, ფონეტიკური წყობისა და ლექსიკის ფონდის სიახლოვე, ზოგიერთი განსხვავების მიუხედავად, შესაძლებლობას იძლევა სირიული დიალექტი განისაზღვროს, როგორც ერთიანი ენობრივი სისტემა.

ზოგადად, პარემიოლოგიაში ენათშორისი, როგორც სრული, ისე აზრობრივი ეკვივალენტების არსებობა ცნობილი მოვლენაა. სრულიად განსხვავებული ეთნოცნობიერების ხალხთა მონაცემებიც კი ადასტურებს ანალოგიებს. ცხადია, სხვა კულტურის (მათ შორის, არაბულ) ფონდებში ჩაღრმავებით დაინტერესებული მკვლევარი უთუოდ მიაგნებს ზოგად ნიშნულებს, რომელთა გავრცელება სხვა ხალხების, მათ შორის ქართულ, მონაცემებზე შესაძლებელი იქნება. თუმცა თითოეულის ეთნიკურ სპეციფიკას სწორედ განსხვავებული “საშენი მასალა” [გ. პერმიაკოვი, 1970:8], ინდივიდუალური „აღქმის სენსორული მასალა“ ქმნის, რომელიც მოცემულ სამყაროში ამ კონკრეტულ ნაწილთან დაკავშირებულ ხედვას ეფუძნება. რ. მილერის მართებული შეფასებით, ანდაზა ყოველდღიურ ცხოვრებისეულ ურთიერთობებში არსებულ მოტივებს მეტაფორულ თამაშში აბამს [Миллер 1968: 17]. მეტაფორა კი, დავიმოწმებთ ჯამბატისტა ვიკოს, „აზროვნების ფორმაა“ [R. E. Haskell, 1987:72].

აღბათ ამან განაპირობა, რომ XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე კულტურათაშორისმა კვლევებმა მსოფლიოში არნახულ მასშტაბებს მიაღწია (რითაც უკვე დასტურდება მოცემული თემის აქტუალობა). ამგვარი კვლევების პოპულარობა შეიძლება აიხსნას როგორც თანამედროვე მსოფლიოში აქტიურად მიმდინარე გლობალური პროცესებით, ისე მკვლევართა დიდი სურვილით ანდაზების მაგალითზე შეისწავლონ განსხვავებულ ხალხთა მსოფლადქმა. ამავდროულად, კომუნიკაციის გლობალიზებულ სისტემაში განსაკუთრებით გაფართოვდა ლინგვოკულტურული კონტაქტები. შედეგად, სპეციალურ სამეცნიერო წრეებში მუდმივი მსჯელობის საგნად იქცა განსხვავებულ კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგზე საუბარი. ახალი ეპოქალური გამოწვევების სტრუქტურამ, პარემიოლოგიაშიც ლოგიკურად მოიტანა იმის აუცილებლობა, რომ ის უკვე გლობალურ ჭრილში სვამს საკითხს ანდაზური ენის ფუნქციაზე ტრადიციულ და თანამედროვე კულტურაში. ამიტომ დღეს (ეროვნული პარემიული ფონდების შემდგომ კვლევასთან ერთად), უმნიშვნელოვანესი გახდა განსხვავებულ კულტურათა მონაცემების შეპირისპირებითი კვლევა, რათა მიღებულ იქნას საერთაშორისო ფონდების ერთობლივი მარაგი მათი მრავალფეროვანი ფუნქციებით სხვადასხვა კულტურაში. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ასეთი მიდგომების საფუძველზე შესაძლებელი ხდება, როგორც განსხვავებულ ეთნოკულტურათა იდენტიფიცირება (თითოეულის ეთნიკური იდენტურობის გამოყოფა) ისე, კულტურათა გლობალიზაციის მახასიათებელთა (კულტურათაშორისი მსგავსების ნიშნულების) დადგენა.

ქართულთან მიმართებით ასეთი კვლევების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს დღევანდელ გეოპოლიტიკურ სიტუაციას და მისთვის ინტერკულტურულ სივრცეში სრულყოფილი ჩართვის მნიშვნელობას.

ცხადია, ანდაზა დიდი თემაა... მას როგორც მოცემული ხალხის (ისტორიული გამოცდილების საფუძველზე მიღებული) შეხედულებების ერთგვარ მემკვიდრეს, როგორც წესი, ზუსტად აქვს შემონახული ადამიანური ურთიერთობების პრაქტიკულად ყველა ძირითადი ცხოვრებისეული მოტივი.

ამჯერად, ქართულ მდიდარ საანდაზო ფონდში ჩვენი ყურადღება შეჩერდა ე. წ. „ენის“ თემაზე. ქართული მასალისთვის სალიტერატურო და სხვადასხვა არაბული ეთნოსების ფონდებში შესატყვისების დაძებნის ფონზე, შევეცდებით შეპირისპირებით პლანში გავიაზროთ მოცემულ საზოგადოებებში

ჩამოყალიბებული მსოფლხედვა (ყოველდღიურ ადამიანურ ურთიერთობებში დაფიქსირებული გამოცდილება) ამ მეტად მნიშვნელოვანი („ენის“) ფენომენის შესახებ.

ამ მიზნით ქართულ საანდაზო ფონდში საგანგებოდ შეირჩა ერთი საინტერესო მაგალითი: **ჩემი ენა ჩემი მტერი, იგივე ჩემი მეგობარი**. აპრიორულად აქვე ვიტყვით, რომ მიებისას ის ერთგვარ რუბრიკად, ანუ მთავარ თემად გამოგვადგება. საქმე იმაშია, რომ ის ტიპოლოგიურად იმგვარი (ექსპლიციტურად განზოგადებული) ანდაზების სახეობას განეკუთვნება, რომელიც ზედაპირულ დონეზევე კონსტატირებს რა ერთგვარ ზოგად „კანონს“, დადგენილ წესს, დასკვნის სახით საყოველთაოდ აღიარებულ (კანონზომიერ) დებულებად დევს მოცემულ ცნობიერებაში. აქ დასმულ საკითხთან პირდაპირ კავშირში არ არის, მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი ზოგადად ადამიანური თვისებაც, რომლის საილუსტრაციოდ გოეთეს ერთი ცნობილი შეფასება გამოდგება: სამართლიანი არის ის, რაც დადგენილია, ამიტომ ყველა დადგენილ კანონს ადამიანები სამართლიანად სცნობენ ისე, რომ არც ცდილობენ მის არსში წვდომას.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ამგვარი (ე. წ. აფორისტული) ანდაზები სამყაროში არსებულ მრავალფეროვან მოვლენათა კლასში უფრო არსებითს, აბსტრაქტულ ღირებულებებს გამოყოფენ. მათში გამოხატული ფართე მნიშვნელობის იდეა თავის ფართე ჩარჩოებში აქცევს ცხოვრებისეულ შედარებით „ვიწრო“ მნიშვნელობის მქონე (ხშირად, არათვალსაჩინო) მრავალფეროვან მოვლენებს და დასკვნის სახით ახსნას აძლევს მათ.

შესაბამისად რამდენადაც მასშტაბურია ანდაზაში „ჩადებული“ განზოგადებული იდეა (დედააზრი), იმდენად ფართე სპექტრისაა მისი ზოგადაზრობრივი განფენილობის პოტენციალი (მეტიც, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო კონტექსტებში რეალიზების პერსპექტივები). ეს მოცემულობა საშუალებას იძლევა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო „ენის“ თემატიკა სისტემურად არაერთ პლანში გავიაზროთ, რაც მიებისას ბუნებრივად აისახება არაბულენოვან შესატყვისებშიც.

ღირებულად მიგვაჩნია, რომ აქ წარმოდგენილი არაბული მაგალითების უმრავლესობა (მცირე სალიტერატურო გამონკლისის გარდა) ჩაწერილია და თარგმნილი არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ ინფორმანტებისაგან. შესაძლო უზუსტობების თავიდან ასაცილებლად, ანდაზების შესწავლით დაინტერესებული მამიებლისთვის (ვისთვისაც არაბული მშობლიური ენა არა არის) ყველაზე სწორი გეზი ინფორმანტებთან უშუალო კომუნიკაცია აღმოჩნდა. სათანადო კონტექსტებში გადააზრების საფუძველზე დაზუსტდა მოცემულ ეთნოცნობიერებაში მოცემულ მოვლენასთან მიმართებით (საგნებსა და მოვლენებს შორის) დადგენილი წარმოსახვითი ლოგიკური მიმართებები.

მაშ ასე, როგორც ზემოთ ითქვა, მიებისას პოსტულატად აღებულია ცნობილი ქართულ ანდაზა - **ჩემი ენა ჩემი მტერი, იგივე ჩემი მეგობარი**. მოცემული გამოთქმა ადამიანურ ურთიერთობებში ენის (ავად თუ კარგად) მოქმედებით გამოწვეულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე დაკვირვების პრაქტიკულად სრულყოფილ (მრავალპლანიან) შეჯამებას წარმოადგენს. მისი (როგორც მთავარი თემის) საფუძველზე, ერთი მხრივ, არაბულ ფონდებში შევეცდებით დავუძებნოთ სათანადო (ექსპლიციტურად განზოგადებული) შესატყვისები და მეორე მხრივ, გავიაზროთ (მოცემული რუბრიკის ქვეშ) „ენის“ სხვა რა მიმართებების მოთავსებაა შესაძლებელი, რომელთაც ქვეთემების სახით გამოვყოფთ (როგორც ქართულში, ისე

არაბულში). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მიების ამგვარი გეზი კომპლექსურია, ის თავისთავად უზრუნველყოფს მოცემულ თემაზე (ჩვენთვის საინტერესო ფონდებში) მოძიებული მაგალითების სინონიმურ, კვაზისინონიმურ და ანტონიმურ დაჯგუფებას.

მთავარი თემა:

ჩემი ენა ჩემი მტერი, იგივე ჩემი მეგობარი.

(ლიტ.) **يا لسان يُكرّم المرء بفضلك أو يُهان**

- ო, ენავ, შენი წყალობით ადამიანი ან ამაღლდება ან დამდაბლდება.
(ლიტ. / სირ. / ლიბან.) **لسانك حصانك: إن صنته صانك إن خنته خانك**
- შენი ენა - ცხენია შენი: თუ უერთგულებ - გიერთგულებს, თუ უღალატებ - გიღალატებს.

(ლიტ.) **ما على الأرض شيء أحقّ بطول سجن من لسان**

- არაფერია მთელ დედამიწაზე ენაზე უფრო სამართლიანი (ღირსეული) სასჯელი (ციხე).

(ეგვიპტ.) **الموت والحياه في ايد اللسان**

- სიკვდილი და სიცოცხლე თვით ენის ხელშია.
(ლიტ.) **إنّ البلاء مُؤكّل بالمنطق**
- უბედურება ენის წარმომადგენელია.
(ლიტ.) **من حسن إسلام المرء تركه ما لا يعنيه**
- კაცის ღვთისმოსაობა (მორწმუნეობა) იმაში ვლინდება (უარი თქვას) არ ჩაერიოს იმაში, რაც მას არ ეხება.
(ლიტ.) **تكلم فقد كَلّم الله موسى**
- თქვი შენი (კეთილი) სათქმელი, თვით უფალიც კი ესაუბრებოდა მოსეს.

ქვეთემები:

ა) **გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.**

(ლიტ. / სირ. / ლიბან. / ეგვიპტ.) **اللسان الحلو يطلع الحية من وكرها**

(ერაყ.) **اللسان الطيب يطلع الحيه من الغار**

- ტკბილი ენა გველს სოროდან გამოიყვანს.
(ლიტ.) **قاتله الله ما أعذب لسانه!**
- ღმერთმა დასწყევლოს, რა ტკბილი ენა აქვს!
(ლიტ.) **من حسن كلامه طاب عيشه**
- ტკბილმა ენამ (ლამაზმა სიტყვებმა) ცხოვრება მოუწყო (დაუტკბო).
(ლიტ.) **سبح يغتروا**
- ხშირად უთხარი მათ საქებარი სიტყვები და დაბრმავდებიან (შენს წილს იოლად მიიღებ).
(ლიტ.) **من لانت كلمته وجبت محبته**
- ვინც სიტყვა შეარბილა (ენით მოქნილობა გამოიჩინა) სიყვარული მოიპოვა.
(ლიტ.) **إنّ من البيان لسحرا**
- ლამაზ სიტყვებს ჯადოსნური ძალა აქვს (იმორჩილებს მსმენელს).
(პალესტ. / იორდან.) **كلامو مثل اللبن على العسل**
- მისი სიტყვა ისეთია, როგორც რძე თაფლთან.
(ეგვიპტ.) **الكلام الطيب ينخى**
- ტკბილი სიტყვა გადაგარჩენს (საფრთხისგან დაგიცავს).
(ლიტ.) **(كلامه) أغزل من امرئ القيس**
- იმრ ალ-კაისს აღემატება ენის სიტკბოებით სიყვარულში.
(ლიტ.) **أبلغ من قيس**

ბ) სიტყვა ან მოგვლავს ან გაგაცოცხლებს. / ენა - მწარე, ენა - ტკბილი, ენა - ქვეყნის ამომგდები. / ენა უტკბესი, ენა უმწარესი.

(ეგვიპტ.) الموت والحياه في ايد اللسان

- სიკვდილი და სიცოცხლე ენის ხელშია.
(ლიტ.) ما صدقة أفضل من صدقة من قول!
- არაფერია სიტყვით გაცემულ წყალობაზე უფრო მეტი მოწყალება.
(ლიტ.) ما الإنسان لولا اللسان إلا صورة مُتَمَلِّة أو بَهِيمَة مُهْمَلَة
- ადამიანი იქნებოდა (კაცის მსგავსი) სურათი ან უმეტეველო ცხოველი, თუ არა ენა (რომლითაც მას თავისი აზრების გამოხატვის უნარი ეძლევა).
(ლიტ.) أكل وحمد خير من أكل وصمت
- ჭამა შექცებით სჯობს ჩუმად შექცევას (ანუ, გაუხარე მადლიერებით დიასახლისს გული და კიდევ გიმასპინძლებს).
(ლიტ.) ربّ قول أشدّ من صول
- იქნებ სიტყვა ზოგჯერ დარტყმაზე ძლიერიც იყოს?..
(ერაყ.) اللسان شباب نيران
- ენა ცეცხლის ალებს ჰგავს (ცეცხლის შვილებივითაა).
(სირ.) لسانه أحلس أملس مثل كرباج بشطّلين
- მისი ენა გლუვია, მაგრამ როგორც ორწვერიანი მათრახი.

გ) არც ყველაფერი ითქმება, არც ყველაფერი იჭმება. / ნათქვამია: ცუდი სიტყვა არ გაივლის ხანსა გრძელსა.

(ლიტ. / ერაყ.) صاحب القول \ الحقّ له مقام ومقال

- სიმართლის თქმას (სათქმელის პატრონს) თავისი დრო და ადგილი აქვს.
(ერაყ.) الكلام مثل الطعام
(სირ. / ლიბან.) الكلام طعام
(სირ. / ეგვიპტ.) الكلام بينذاق مثل الطعام
(იორდან.) ذوق الكلام مثل الطعام
- სიტყვა საჭმელივითაა, გასინჯე სანამ შეჭამ (დაფიქრდი, სანამ იტყვი).
(ლიტ.) ما كلّ قولة لها جواب
(ერაყ.) كلّ كلمه ما لها مردّ
- ყველა სიტყვას არ ეგების პასუხი.
(ლიტ.) أسوأ القول الأفراط
- ყველაზე ცუდი ზედმეტი (უტაქტო) სიტყვებია.
(ლიტ.) المنة تهدم الصنّيعَة
- (უადგილო) საყვედურმა საქმე ჩაშალა.
(ლიტ.) ربّ حرب شبت من لفظة
- ერთი დაუფიქრებელი (უტაქტო) სიტყვა ომის მიზეზად იქცა.
(ლიტ.) ربّما كان السكوت جواباً!?
- იქნებ თავად სიჩუმემ გასცეს უკეთ პასუხი?!
(ლიტ.) (ربّما) ربّ السكوت أبلغ من كلام!
- (ზოგჯერ) სიჩუმე უფრო მჭერმეტყველია, ვიდრე სიტყვა.
(ლიტ.) ربّ عين أنتم من لسان
- (ზოგჯერ) თვალები უფრო მჭერმეტყველია, ვიდრე ენა.

დ) სველი ენა რას არ იტყვისო. / ენას ძვალი არა აქვს და სიტყვას ბაჟიო./ კაცის ენა რას არ იტყვისო.

(სირ.) لسان ابن آدم شخنة

- ადამიანის ენა ხორცის ნაჭერია.
- ჩემო ენავ საითაც მინდა იქით მიგაბრუნებ. (სირ. / ლიბან.) يا لساني شلون ما درتك بتندار
- მის სიტყვას ღობე არ აკრავს (რაც პირზე მოადგება ყველაფერს რომავს). (ლიტ.) ليس لقوله سور يحصره
- ენასარსარა. (ლიტ.) لسان ثرثار

ე) თავში კაკუნი რამ მიყო და, ჩემმა ენამაო.

- გაფრთხილდი, კისერი არ წაგაჭრას შენმა ენამ. (ლიტ.) إياك وأن يضرب لسانك عنقك
- ადამიანს სხვა მტერი არ ჰყავს გარდა საკუთარი ენისა. (ლიტ.) ما عدوّ الإنسان إلا لسانه
- გრძელი ენა სიცოცხლეს უმოკლებს ადამიანს. (ლიტ.) طول اللسان يقصر الأجل
- ენა კეფის მტერია. (სირ. / ლიბან. / იორდან. / პალესტ.) اللسان عدوّ القفا
- ენისადმი მორჩილება სინანულია. (ლიტ.) طاعة اللسان ندامة
- დაინდე (დაიცავი) შენი ენა და თავი შენი! (ლიტ. / ერაყ.) احفظ لسانك (و عليك نفسك)!
- ვინ გაგანაწყენა? თქვა: ვინც ამზავი მომიტანა. (ლიტ. / სირ. / ლიბან.) من سبك؟ قال: من بلّغني
- (ცუდი) ამბის პირში მთქმელს გადაკვრით მთქმელი ვერ შეედრება (სიბრყვით). (ლიტ.) ليس المشير كالخبير
- თავისი რჩევების გამო ის ეჭვმიტანილი შეიქნა. (ლიტ.) سقطت به النصيحة على الظنة
- ზემოთ წარმოდგენილ ბოლო არაბულ ერთეულებს, ვფიქრობთ, შესატყვისად ასევე გამოადგება ქართული „აგერ დამაბი ენაზეო...“

საიდუმლოს შენახვა:

- თავს ის ფლობს საუკეთესოდ, ვინც საიდუმლოს თავისთან ინახავს. (ლიტ.) أملك الناس لنفسه أكتهم لسره
- შენი საიდუმლო შენი სისხლია. (ლიტ.) سرّك من دمك
- შენი მკერდი საუკეთესო (ყველაზე ტევადი) საყუდეელია შენი საიდუმლოსთვის. (ლიტ.) صدرك أوسع لسرّك
- ვ) უხეირო (უკბილო) ხუმრობამ ძმა ძმას გაჰყარაო. / ისეთ ხუმრობას რა ვუთხრა შიგ რომ სიმართლე არ ერიოსო. / კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო. (ლიტ.) المزاح سباب النواكى
- ხუმრობა შეურაცხყოფის ნაირსახეობაა (რომელსაც ბრიყვები მიმართავენ). (ლიტ.) المزاحة تهدم الصنيعة
- (უადგილო) ხუმრობა კეთილ საქმეს (ურთიერთობას) ანგრევს. (ლიტ.) ربّ مزح في غوره دجّ

- ხუმრობას ხშირად ქვეტექსტად სიმართლე უდევს. (ქართ.: ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი შიგ რომ სიმართლე არ ერიოსო).
- (ლიტ. / ერყყ.) تحسبو جدًا وهو مازح
- შენ სერიოზულად მიიჩნევ მის ნათქვამს, ის კი, ხუმრობს.
- (ლიტ.) المزاحة تذهب المهابة
- (უადგილო) ხუმრობა ავტორიტეტის მტერია.
- (ლიტ.) لا تمازح الشريف فيحقد عليك ولا الدنيا فيجتري عليك
- ნუ ეხუმრები კეთილშობილს, ის შეგიძულეხს, და ნურც მდაბიოს ეხუმრები - აგიხირდება.

როგორც ვხედავთ, ქართული და არაბული ანდაზური ფონდები მოცემულ თემაზე მრავალფეროვან, მეტად საინტერესო განზოგადებულ მოდელებს გვთავაზობს. (ჩვენს მიერ განხილულ კორპუსში) წარმოდგენილმა მაგალითებმა ცხადად აჩვენეს, რომ ზოგჯერ ერთი ფართე მნიშვნელობის მქონე ანდაზა შესაძლოა არაერთი მნიშვნელობით იქნას გაგებული. ანუ, ერთი ექსპლიციტური შინაარსის შემცველ გამონათქვამს ერთზე მეტი იმპლიციტური აზრობრივი სტრუქტურა ედოს საფუძვლად. შესაბამისად, ფართეა მისი ზოგადაზრობრივი განფენილობის არეალი. ამიტომ ამგვარი (მით უფრო, უცხოენოვანი) ანდაზების დედააზრის გახსნისას უცილობლად განხილვა უნდა მოხდეს იმ სიტუაციურ კონტექსტთან მიმართებით, რომელშიც ხდება მისი რეალიზება.

ამდენად, ამ კონკრეტულმა ძიებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ენათშორისი ეკვივალენტობის განსაზღვრა მეტად ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს. წერილობით თუ ზეპირ კომუნიკაციაში მათი გამოყენების სწორი ფლობა მოითხოვს თითოეულის სემანტიკური შეფერილობისა და სტილისტური მახასიათებლების ზუსტ ცოდნას. ერთი შეხედვით თითქოს იოლად გასაგები შესიტყვებების საზრისში წვდომა, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ენის ფლობას არ ჯერდება. ეს პროცესი არსებული კოლექტიური ცნობიერების სიღრმეებში შეღწევას, პრაქტიკულად, მისი ეთნოფსიქიკური მოცემულობის შესწავლას გულისხმობს.

და ბოლოს, ამგვარი (შეპირისპირებით პლანში) მიდგომით მიღებული შედეგები არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ წმინდა ლინგვოკულტუროლოგიური მნიშვნელობის კონტექსტში. მოცემული თემა (პარემიის პრაგმატული ფუნქციური პარამეტრების გათვალისწინებით) უშუალოდ იძლევა გასვლას ლინგვოდიდაქტიკაში. მართებულია დებულება, რომ ანდაზები ის ძველი ძვირფასი თვლებია საზოგადოდ გამოცდილი სიბრძნისა, რომლებიც გვეხმარებიან ყოველდღიურ ცხოვრებასა და კომუნიკაციაში, რათა გავუმკლავდე თანამედროვე ცხოვრების პირობებთან დაკავშირებულ სირთულეებს [მიდერი 1996]. ეს ნათელს ხდის, რომ კვლევის შედეგების შედარებით საერთაშორისო დონეზე პარემიოლოგიას შეუძლია შეიტანოს თავისი ღირებული წვლილი იმ ჰუმანურ მსოფლიო შეკვეთაზე, რომელიც (ანდაზური ფონდების სახით) დაფუძნებულია გამოცდილ, აპრობირებულ სიბრძნეზე.

ლიტერატურა:

- Haskell R. E.** (1987): Cognition and Symbolic Structure // "Cognitive Psychology and the Problem of Symbolic Cognition", Norwood, p. 67-82.
- Mieder Wolfgang** (1996) *Modern Paremiology in Retrospect and Prospect*, Abstracts of Oral Presentations, The 1996 Tokyo International Proverb Forum.
http://www.sscnet.ucla.edu/comm/steen/cogweb/Abstracts/TokyoForum_96.html
- Webster Sheila K.** (1986) *Arabic Proverbs and Related Forms*, "Proverbium" №3, pp. 179-194.

Миллер В. (1924) Очерки русской народной словесности, М.

Пермяков Г. Л. (1970): От поговорки до сказки (заметки об общей теории клише), Москва.
سهام ترجمان - "يا مال الشام". دمشق، ١٩٨٧

Khatuna Tumanishvili

Ivane Javakhishvili State University, Tbilisi

Notes On the Make up of One Georgian Proverb and Its Arabic Equivalents

(based on Georgian and Literary Arabic, Syrian, Egyptian, Iraqi dialect Material)

Abstract

Modern globalized communication system significantly expanded linguocultural contacts of different peoples. Structure of new epochal challenges logically caused in the field of phraseological research too the necessity to pose the question of the function of figurative language in contemporary culture already in global context. Therefore, today (together with further research of national collections), it is important to study interlingual evidence in comparative context, in order to obtain a common stock of international collections with their diverse functions in different cultures.

Work is based on analysis of Georgian proverb – “My tongue is my enemy and my friend as well”. Illustrative (Georgian and Arabic) material is divided into: a) exact equivalents: b) semantic equivalents. The work also includes abstract information about the proverb.

All Arabic examples are recorded and translated from Arabic primary source - directly from Syrian, Lebanese, Egyptian, Iraqi informants. To avoid possible inaccuracies, for a researcher (not a native speaker of Arabic) interested in studying proverbs the best way proved direct relationship with informants. By re-interpretation in appropriate context, imaginary logical relations established with respect to a particular phenomenon in given ethnoconsciousness (between things and phenomena) were specified.

Based on such approaches it becomes possible to identify Georgian and various Arabic ethnocultures (to define ethnic identity of each), simultaneously, to determine globalization characteristics of cultures (intercultural similarity markers).

საკვანძო სიტყვები: ანდაზა, ლინგვოკულტურული კავშირები, პირდაპირი კავშირი, მშობლიური ენის მატარებელი

Keywords: proverb, linguocultural contacts, direct relation, native speaker

თინათინ თუშაბრამიშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

ლიტერატურული პარალელები: - შიო არაგვისპირელის „პირველი სიყვარული“ და ჯონ მილტონის „დაკარგული სამოთხე“

ჩვენი ინტერესი მიიპყრო რელიგიური თემატიკისა და მწერალთა ფანტაზიის შესანიშნავმა სინთეზმა - აპოკრიფმა (ბერძნ. Apokryphos - საიდუმლო, დაფარული), რომელიც მხატვრული და რელიგიური აზროვნების საინტერესო პროდუქტია, სადაც მხატვრული გამონაგონი და რელიგიური თუ მითოლოგიური პასაჟები ოსტატურად ერწყმის ერთმანეთს. თავდაპირველად, ტერმინით „აპოკრიფი“ მოიხსენებოდა რელიგიური ტექსტები, რომლებიც მხოლოდ ღრმად განსწავლულთათვის და მცოდნეთათვის იყო განკუთვნილი. შემდეგ ტერმინი გამოიყენეს იმ ქრისტიანული წიგნების აღსანიშნავად,

რომელთაც, როგორც სულიწმინდის კარნახისა და მონაწილეობის გარეშე დაწერილს, ოფიციალური ეკლესია არ აღიარებდა (ანდრო ჭილაია, რამაზ ჭილაია: 31).

მიუხედავად იმისა, რომ ამ სახის ლიტერატურას ეკლესია არ „შეიწყნარებდა“, დიდი საეკლესიო მამები, ისეთები, როგორც ექვთიმე ათონელი და გიორგი მთაწმინდელი იყვნენ, მაინც თარგმნიდნენ მათ, შესაბამისად, ამ ტექსტებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, ხელს სულაც არ უშლიდა მათ ლიტერატურულ პოპულარობას.

აპოკრიფებს, რომლის შესახებაც ამჟამად მოგითხობთ შიო არაგვისპირელის „პირველი სიყვარული“ და ჯონ მილტონის „დაკარგული სამოთხე“ ჰქვია. ამ ორ ნაწარმოებში მოთხრობილია ადამისა და ევას შეცოდების შემდეგ მათი სამოთხიდან გამოძევების ამბავი.

„რა თქმა უნდა, მართლმადიდებელი ქრისტიანი მკაცრად უნდა მიჯნავდეს ერთმანეთისაგან ლიტერატურას, რომელიც მისი სულისთვის სასარგებლო და მაცხოვრებელია და ლიტერატურას, რომელიც მის სულს მხოლოდ დააბინძურებს და ვერც სულიერად და ვერც საერო კუთხით რაიმე ღირებულს ვერ შესძენს“ (დეკანოზი თათარაშვილი თეიმურაზ). თუმცა, პირადად ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის და ლიტერატორისთვის, ეს ნაწარმოებები ბიბლიის სიუჟეტზე დაწერილ თხზულებათაგან მეტად საინტერესოა და მწერლური ოსტატობითაცაა შექმნილი.

ცხოვრებაში შესაწევნელად და კაცთა ნათესავობის განსაგრძობად კაცი და ქალი ირჩევს ერთიმეორეს, აღუთქვამენ ერთმანეთს ერთგულებას, იწყებენ ერთად ცხოვრებას და იწოდებიან ცოლ-ქმრად. ქმარი და ცოლი ეწევა ერთსა და იმავე უღელს-ოჯახობას, შვილების აღზრდას და სხვა. ამიტომაც ცოლ-ქმარი იწოდებიან კიდევ მეუღლეებად.

ქრისტიანული წესით, კაცმა და ქალმა, რომელთაც ერთიმეორე აირჩიეს საუკუნო ამხანაგად და სურთ იყვნენ მეუღლეებად, ჯვარი უნდა დაიწერონ. ჯვარდაუწერლობა სჯულის წინააღმდეგია. ცოლქმრული კავშირის კურთხევა ღვთის ნებაა. პირველი ცოლ-ქმარი, ადამ და ევა, თვითონ ღმერთმა აკურთხა სამოთხეში.

„და აკურთხა იგინი ღმერთმა მეტყველმან: აღორძინდით და განმრავლდით, და აღავსეთ ქვეყანა, და ეუფლენით მას“... (შექმ.1,28). ცოლ-ქმრობა დააწესა თვით ღმერთმა, როცა ღმერთმა შექმნა პირველი კაცი ადამი, „თქვა უფალმან ღმერთმა: არა კეთილ არს ყოფა კაცისა მარტო, უქმნეთ მას შემწე მსგავსისებრი“ (შექმ.2,18), და შეუქმნა მას შემწე მისივე გვერდისგან და მიუყვანა მას.

„...და იქმნა განთიად: დღე მე-ათ-ორ-მეტი“ - ასე იწყება შიო არაგვისპირელის თხზულება, რომელსაც საფუძვლად უდევს მთიელი დედაკაცის ნაამბობი ლეგენდა. შემდეგ მწერალი აღწერს ახლადაღორძინებულ ბუნებას და მის ბინადართ: „და ბუნება ხარობდა: ადიდებდა ყოველი არსება შემოქმედს თავისებურად. ყველაფერს, ყველა არსებას ეტყობოდა ახლად აღორძინება. ახლად გამოღვიძება, გამოკვეთა, გამოქანდაკება, და თავიანთი არსებობა თვით მათვე აკვირვებდა..... თუ ეს რა იყო, რომ აქნობამდის არ იცნობდა თავის თავს?!. სად იყვნენ ისინი იგინი აქნობამდის?....“ შემდეგ მწერალი გვიყვება ზღვისა და ხმელეთის, ცისა და მზის ფერთა თუ განწყობათა ამბებს, რომელთაც უკვირთ „თვით თვისი არსებობა.“

ბუნების სიმშვენიერეს „მჩქეფარე გულით“ უყურებს „სისხლხორციტ სავეს“ ევაც, რომელიც დაათრო ირგვლივ გაჟღენთილმა სხვადასხვა მათრობელა სურნელებმა. ევა ჩაეფლო ყვავილებში...

ადამსაც გამოეღვიძა და რა იხილა ევა წარმოთქვა. აქ შიო არაგვისპირელს მოჰყავს ციტირება ბიბლიიდან: „აწ ესე ძვალი ძვალთა ჩემთაგანი და ხორცი ხორცთა ჩემთაგანი, ამას ეწოდოს ცოლი, რამეთუ ქმრისა თვისისაგან გამოიყვანა ესე, ამისთვის დაუტევოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა და იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც“. ღმერთმა რომ გაიგო ადამის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები, „შუბლის მოჭმუხვნით“ მიმართა მას: „ადამ, მცნება გახსოვდეს!“

„...და იყვნენ ორნივე შიშველ, ადამ და მისი ცოლი, და არა რცხვენოდათ“. ღმერთი უყურებდათ მათ და თან ფიქრობდა ადამის სიტყვებზე: „...ამისთვის დაუტევოს კაცმან მამა და დედა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა“... ფიქრობდა ღმერთი და თავის თავს

ესაუბრებოდა: „რას მოასწავებს ეს?... ადამის მამა, დედა - მე ვარ და... „დაივიწყოს მამა თვისი...“ მე დამივიწყებს?... არა!..“

ღმერთმა გადაწყვიტა ადამის სიტყვების სიმართლე გაეგო... გამოელვია ევას, „მძიმედ ასწია თვალის ქუთუთოები...“ და მაშინვე მისი თვალები გველმა მიიპყრო, რომელიც „ხეს ჩასწვნიდა“.

ამ დროს ევას ყურადღება მიიქცის უმშვენიერესმა ფრინველებმა, რომლებიც ხის ტოტზე ისხდნენ ერთიმეორის გვერდით. შიო არაგვისპირელი წერს: „წყვილი ახმაურდა, ათამაშდა, შტო შეირხა... ევასაც გული აუტოკდა, ტანი აუთრთოლდა, სისხლმა მედგრად დაუწყო მიღებში ჩქეფა“. მწერალი ორიგინალურად ასახავს ევას, როგორც ქალის ბუნებას. ქალის, რომელსაც ენატრება „რატომ იგიც სხვა სხეულის შეხებით იგივე ნეტარების ხმას არ იღებს?!..“

მწერალი ასახავს ევას სხეულის სიმშვენიერესაც. იგი აღნიშნავს: „ევამ, გაიშვირა თავისი მკვრივი, სისხლით და ხორციით სავსე მკლავები. მთელი სხეულის მარღვები მაგრად დაეჭიმნენ.....“ შეხედეს ადამმა და ევა ურთიერთს და მათ არაჩვეულებრივი ხმით ერთმანეთის სახელები წარმოთქვეს. თვით „მოსისინე გველებს უძნელდებოდათ ადამ და ევას ჩახლართვის თვალის თავიდან ფეხებამდის ჩაყოლება“- წერს შიო არაგვისპირელი.

ბუნება ისევ ხარობდა, ლამაზდებოდა და იფურჩქნებოდა, მაგრამ, როგორც მწერალი აღნიშნავს: „მხოლოდ ევას და ევასთან ერთად ადამს აღარა ეყურებოდათ-რა... არსებობდა თუ მათ გარეშე სხვა რამ?... არ ესმოდათ... იგინი ახლა ნეტარებაში კი არ დაცურავდნენ... თვითონ ნეტარებას შეადგენდნენ...“

გაბრაზდა ბუნება, ჩამოზნელდა, „ქვეყნიერებამ ხმა გაკმინდა“, ქარმა კი იქაურობა სასტიკად აახმაურა. შეშინდნენ ადამი და ევა და თავი ლელვის ხეს შეაფარეს, ხოლო მისი განიერი ფოთლებით სხეული დაიფარეს. და ღმერთი შემოვიდა სამოთხეში და როგორც გულთამხილავმა მაშინვე იგრძნო ადამისა და ევას ცოდვა. განრისხებულ ღმერთს სურდა, რომ ცოდვილებს მოენენიებინათ ჩადენილი საქციელი. უფალმა მიმართა ადამს: „...უკეთუ არა ხისაგან, რომლისა გამცენ შენ, მისგან მხოლოდ არ ჰამაი, მისგან სჭამე?“ დაბნეული ადამის პასუხი კი ასეთია: „დედაკაცი, რომელი მომცეც ჩემ თანა, მან მომცა მე ხისა მისგან, და ვსჭამე.“

აქ საინტერესოა ერთი ეპიზოდი: შიო არაგვისპირელი აღწერს ქალის ხასიათს, რომელ ქალსაც უკვირს, კაცის მხრიდან, ერთად ჩადენილი დანაშაულის ქალზე გადმოზრალეობა. ტექსტში ვკითხულობთ: „ადამის სიტყვებზე ევამ თვალები დააჭყიტა და ადამს გაკვირვებით მიაშტერა.“ ადამი მიხვდა ევას თვალების აზრს და წაჰბუზღუნა: „შენ კი არ გაბრალებ. მინდა თავიდან მოშორება და ღმერთივე დამნაშავედ გამომყავს.“ შემდეგ ადამი კადნიერდება და მიმართავს ღმერთს: „შენ რომ ევა არ მოგეცა, არ შევცდებოდი...“.

ევას თვალწინ დაუდგა გველი და მას გადააბრალა: „გველმან მაცდუნა მე და ვჭამე.“ შიო არაგვისპირელი წერს, რომ ამ პასუხით მათ სურდათ ეთქვათ უფლისთვის შემდეგი: „შენ რომ გველი არ გაგეჩინა, არ შევცოდავდი.“ ადამმა ევას, ხოლო ევამ გველს, გადააბრალა დანაშაული. მწერალი სვამს კითხვას: „ვინ იყო დამნაშავე?!“ და აქვე დასძენს: „რასაკვირველია, მათი შეხედულებით - ღმერთი.“

ამ მდგომარეობაში ადამსა და ევას წართმეული აქვთ თავისუფალი ნება. მათ ვერ გაუძლეს საცდურს და გაუცნობიერებლად მოექცნენ სხვისი (გველის) გავლენის ქვეშ. არადა, გვასწავლიან, რომ თავისუფალი ნება ღვთისგან ჩვენთვის მონიჭებული დიდი საბოძვარია. უფალმა არ შეურაცხყო პიროვნების ღირსება, არ აქცია იგი მისი სურვილის უბრალო აღმსრულებლად, არამედ მისცა უფლება არჩევანისა. და მათაც აირჩიეს!

განრისხდა ღმერთი და მათ სამოთხის დატოვება მოსთხოვა. ადამსა და ევას ერთმანეთის სიშიშვლის არ სცრხვენოდათ, მაგრამ ღმერთისა კი ერიდებოდათ, ამიტომაც ევამ მიმართა მას: „...მხოლოდ შენ იბრუნე პირი, რომ შენი ბრძანება შევასრულოთ და შენი სამოთხე დავტოვოთ.“ უფალი შეცბა სიტყვებზე: „შენი სამოთხე.“ არადა, მან ხომ მათთვის შექმნა?! ამაზე პასუხად ევამ მიუგო: „მაშ რაღად გვეუბნები, გადითო!“ ღმერთს სურდა, რომ მათში სინანული დაენახა, რადგან მათ ხომ აღთქმა დაარღვიეს. უკვირდა ღმერთს, რომ მათ არ

ენანებოდათ სამოთხის დატოვება. საინტერესოა ევას თამამი პასუხი: „ჩვენი სამოთხე ჩვენშია... წედან სამოთხის არსებობა აღარც კი გვეგონა, როდესაც ჩვენ სამოთხეში გავინავარდეთ...“

რას აკეთებს ამ დროს ადამი? გაკვირვებული, აღტაცებული შეჰყურებს ქალის სითამამესა და მისი სხეულის მომხიბვლელობას. უმზერდა ადამი ევას და ნატრობდა: „ახ, ერთი ჩქარა მოგვმორდეს ღმერთი“, რათა „ჩაეკონოს ამ მთრთოლვარე სხეულს და ისევ თავიანთ სამოთხეში გაინავარდონ...“.

ღმერთი კი უფრო ღრმად ჩაფიქრდა ამ სურათის შემყურე. სიფიცხემ უმატა და გადაწყვიტა მათი დასჯა. გველს სამარადჟამოდ მიუსაჯა მიწაზე ხოხვა, ევას ტანჯვით შობადობა, ქმრის მორჩილება. ევა სასჯელს არ შეუშინდა და მიმართა ღმერთს: „მწუხარებით თუ ვშვენ შვილნი, უფრო ნეტარნი იქნებიან ჩემთვის...“.

ღმერთმა არც ადამისთვის დაივიწყა სასჯელი, თუმცა იცოდა, რომ იგი ცდუნების მსხვერპლი იყო, მოტყუებული. და მაინც, უფალმა მას მუხლჩაუხრელი შრომა და ოფლით მოპოვებული საკვები დააბედა. ასევე, დასძინა: „...მიწა ხარ და მიწადვე მიიქცე...“. უფლისთვის გასაოცარი აღმოჩნდა ადამის სიტყვები: „ღმერთო, ჩემთვის ეგ ნეტარება იქნება, რადგან ოფლით მოპოვებული ლუკმა გემრიელი იქნება...“

ეს უკვე მეტის-მეტი აღმოჩნდა უფლისთვის, ამიტომაც ბრძანა: „დასტოვეთ სამოთხე!“

მაღზედ თამამია ევას შემდეგი სიტყვები: „უფალო, შენი გვერიდება, თორემ აქნობამდის დავტოვებდით!.. ჩვენ შიშვლები ვართ!..“ ღმერთმა მათ სამოსად ტყავი უბოძა. ამის შემდეგ კი „...ადამ და ევა ხელჩაკიდულნი სიხარულით გამოვიდნენ სამოთხიდან.“ ღმერთმა „დაადგინა ქერობიმი მახვილით დაცვად გზისა ხისა ცხოვრებისასა“. შიო არაგვისპირელი წერს: „მაგრამ ქერობიმი საჭირო არ იყო: ადამსა და ევას სამოთხეში დაბრუნება აზრადაც არ მოჰსვლიათ... გავიდნენ თუ არა, მაშინვე სირბილით შორს, შორს წავიდნენ... ვიდრე მთას არ მოეფარნენ. იქ მაშინვე თავიანთი სამოთხე შეჰქმნეს. უფლის სამოთხისაკენ მიხედვაც კი ჟრუანტელსა ჰგვრიდათ. მხოლოდ პირვანდელი სამოთხის, სადაც სხვის უფლებით უნდა ეცხოვრათ, მოგონება-ღა ჰრდილაჲდა მათს სამოთხეს... მათს ნეტარებას...“

ზოგადად, ყოველი ქრისტიანისთვის სავალდებულოა კი არ არის ცოლ-ქმრობა: თუ კაცს შეუძლია უცოლოდ, ქალს კი უქმროდ წმიდად თავის დაცვა, შეუძლია არ იქორწინოს, არ მოეკიდოს ცოლ-ქმრობას, ხოლო თუ აქვს ისეთი მიზიდულობა ცოლ-ქმრობისადმი, რომ უიმისოდ თავს წმიდად ვერ დაიცავს, უმჯობესია იქორწინოს. ამაზედ მოციქული პავლე წერს: „ვეტყვი უქორწინებელთა მათ და ქვრივთა, კეთილ არს მათდა, უკეთუ ეგნენ ესრეთ, ვითარცა მე; ხოლო უკეთუ ვერ დაითმენენ, იქორწინედ, რამეთუ უმჯობეს არს ქორწინება, ვიდრე განხურვება“ (1 კორ. 7,8, 1 ტიმოთ. 5,14)

ქალწულად ცხოვრების გატარება მძიმე საქმეა და ყველას არ შეუძლია ამ სიმძიმის სამარის კარამდის მიტანა. ამის შესახებ თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს: „არა ყოველთა დაიტიონ სიტყვა ესე, არამედ რომელთა მოცემულ არს“ (მათ. 19,11), ესე იგი ყველას არ შეუძლია ამ სიმძიმის ატანა; შეუძლია მხოლოდ იმას, რომელსაც ღვთისგან აქვს მიცემული ასეთი ნიჭი. ასეთი მტკიცე ხასიათის კაცი ან ქალი მოღვაწეობს მხოლოდ ღვთის სასუფეველისათვის (მათ. 19,12). შიო არაგვისპირელის ადამი და ევა კი ვერ აღმოჩნდნენ მტკიცე ნებისხყოფის პიროვნებები.

როგორც ვხედავთ, უამრავი საინტერესო ეპიზოდი გვხვდება შიო არაგვისპირელის ამ აპოკრიფში. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი ეწინააღმდეგება ქრისტიანულ ნორმებს და მკითხველისათვის შეიძლება რთულად გასაგებიც იყოს, მასში მოთხრობილი ამბები იმდენად საინტერესოა, რომ ნებისმიერი ადამიანი აუცილებლად განიცდის განუმეორებელ სიამოვნებას.

შევეცადეთ, გაგვერკვია, თუ როგორი მიდგომა აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით ჯონ მილტონს „დაკარგულ სამოთხეში.“

ჯონ მილტონმა თავისი ბრწყინვალე ეპიკური პოემა - „დაკარგული სამოთხე“ – 1667 წელს გამოაქვეყნა. პოემა რელიგიური საზურველისაა, თუმცა მოიაზრებენ, რომ მასში ჩანს

ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის სუნთქვა. ამიტომაც არის, რომ პოემაში დახატული ღმერთიცა და სატანაც სულაც არ ჰგვანან ბიბლიის ღმერთსა და სატანას. „ავტორის ტენდენცია გახლავთ ის, რომ მეგრძოლი სული არ უნდა დამარცხდეს. ერთი სიტყვით, პოემაში დახატული სატანა ისეთივე გაუტეხელი და შეუპოვარი მეგრძოლია, როგორც თავად მილტონი ან რევოლუციის სხვა მეთაურები იყვნენ“ (<http://genia.ge/?p=18155>). თუმცა, ამჟამად, არ შევხებით ამ საკითხს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ადამისა და ევას ცოდვაში ჩავარდნის მიმართ მწერლის დამოკიდებულება.

პოემაში „დაკარგული სამოთხე“ პოეტი განიხილავს პირველი წყვილის - ადამისა და ევას - ურჩობის მიზეზს, როდესაც მათ შემოქმედის ერთადერთი აკრძალვა დაარღვიეს და გაძევებულნი იქნენ სამოთხიდან. შიო არაგვისპირელისგან განსხვავებით, სულიწმიდით შთაგონებული პოეტი ასახელებს ადამისა და ევას დაცემის მიზეზს: ესაა სატანა, რომელიც მათ გველის სახით მოევლინათ და არა თავად ღმერთი, რომელმაც შექმნა გველიცა და ქალიც.

ჯონ მილტონის პოემაშიც საოცარი ფერებითაა აღწერილი სამოთხე. თვით სატანაც კი ამჩნევს ამ სილამაზეს. ტექსტში ვკითხულობთ: „აჰა, სატანა ეშურება; მიაღწევს ედემს, თვალს გადაავლებს გასაოცარ სამოთხის ბაღნარს, სად ველი ბრწყინავს და ზიმზიმებს ნაირფერადა. ბორცვი აღვსილა იქ მრავალგვარ ველურ ბუჩქებით..... ბაღნარსა ეშხით აღუვსია სანახაობა..... ბოროტგანმზრახველს გადემლება წინ საოცრება, მშვენიერება, რის ნატვრაც კი კაცს შეუძლიან, თითქოს ბუნებას მთლად სიმდიდრე აქ დაებერტყა, ან ზეცა იყო ამ ადგილის ჩამოტანილი. სამოთხე იყო, სანეტარო ბაღი ღვთაების.....“ ამ მშვენიერი სანახაობის ფონზე გამოირჩეოდნენ „სხვებზე კეთილშობილნი“ - ადამი და ევა. შიო არაგვისპირელის ადამისა და ევასგან განსხვავებით, ჯონ მილტონი პოემის გმირებს მოიხსენიებს როგორც „ბუნებრივი კდემით მოსილნს“, რომლებიც „...თვალეებით ასხივოსნებდნენ შემოქმედის დიდებულ სახეს, სიბრძნეს, სიმართლეს, სათნოებას და მკაცრ სიწმინდეს.“

საინტერესოა ის ფაქტი, რომ შიო არაგვისპირელის მოთხრობის პერსონაჟები უფრო თამამები და საკუთარი თავისუფლების დამცველები არიან. ჯონ მილტონის პოემის პერსონაჟებმა კი იციან, რომ „გვმართებს, ვადიდოთ შემოქმედი, მაღლი მივუძღვნათ“.

შიო არაგვისპირელის ევას მსგავსად, ჯონ მილტონის ევაც „...ნაზი მიხვრა-მოხვრით ხიბლავდა მზერას“, ადამი კი „ფიქრისთვის, ქველობისთვის იყო შექმნილი“. როგორც ჯონ მილტონი აღნიშნავს - „ასეთი ტურფა, მომხიბლავი წყვილი მას შემდეგ სიყვარულს ქვეყნად არასოდეს არ შეუყრია.“ ჯონ მილტონის გმირებს შორის უფრო სიყვარული ჩანს, ქართველი მწერლის პერსონაჟებში კი ვნაბა, ლტოლვა იგრძნობა. მილტონის ევა უფრო მორჩილი და თავმდაბალი მეუღლეა. აი, მაგალითად, ამის პასუხია შემდეგი სტრიქონები: „და ოქროს თმებით დაბურული შიშველი მკერდით თავის მეუღლეს მიყრდნობოდა ვაჟკაცურ მკერდზე. ქალის სიტურფე და წარმტაცი მის მორჩილება ქმარს უწმინდესი სიყვარულის სიამეს ჰფენდა..... შემდეგ ტუჩები დაუკოცნა წმინდა ამბოროთ.“ ევამ იცის, რომ ადამის კანონი არის ღმერთი, თავად მისთვის კი ადამი და რომ ეს არის ქალისათვის უდიდესი ბედნიერება. მათი სიყვარული იმდენად უბიწო იყო, რომ თვით „სატანა შურით გაიბერა“ და თავისი ვერაგული განზრახვა უფრო გაულრმავდა. იგი ფიქრობდა, რომ „ხე ცნობადის“ მიღება რატომ უნდა იყოს ცოდვა?! ამიტომაც ამბობს შემდეგ სიტყვებს: „ცოდნის აკრძალვა?! საოცრება, უგუნურება! რად უნდა შურდეს ღმერთს იმათთვის ცოდნის მიცემა? ცოდნისთვის იგი სიკვდილით სჯის? - ცოდნა - ცოდვაა?! მაშ უვიცები უნდა იყვნენ, რომ უერთგულონ?! ნუთუ ეს არის ჭეშმარიტი ბედნიერება?“ ფიქრობდა სატანა და გადაწყვიტა, რომ მათთვის შთაგონებინა „წინაღუდგნენ უფლის ბრძანებას“.

ჯონ მილტონი, შიო არაგვისპირელისგან განსხვავებით, უფრო მკაცრია ღმერთის დახასიათებისას. იგი ღმერთს მოიხსენიებს როგორც „შურიანს“, რომელიც, მწერლის რწმენით, იმიტომ არის გამოგონილი, რომ ადამი და ევა „...თვისზე დაბლა იყოლიოს ცოდნა-გაგებით, არ აღამაღლოს და თვით ღმერთებს არ გაუტოლოს“.

მოახლოვდება ჟამი მათი ცდუნების. ევა ფიქრობს, რომ „ვნება ცოდვას არ მოასწავებს“ და თუკი ველარ გაუძლებენ გამოცდას, თუ ვერ შეინარჩუნებენ სიმტკიცეს „ღირს კი ასეთი სიყვარული და ერთგულება“ ღმერთის?! ქართული ნაწარმოებისგან განსხვავებით, ინგლისური პოემის ადამი ეწინააღმდეგება ევას და რისხვას ავლენს ქალის მიმართ ღმერთის წინაშე ურჩობისათვის. იგი მიმართავს ევას: „ღმერთმა გვიბოძა ნებისყოფის თავისუფლება, და ყველაფრისა, რაც მორჩილებს გონებას ჩვენსას. გონიერება უნდა იყოს სამართლიანი.... არ შეაპაროს არაფერი, ღვთის აკრძალული.“ ამოა დარიგება, ევა იგემებს აკრძალულ ნაყოფს. მაცდური ხილი იმოქმედებს, ადამსა და ევას „ალი მოედოთ ხორციელი აღტყინებისა.... ავხორცი ვნება დაეუფლა იმათ სხეულებს.... ლოგინად ეგოთ ასფოდელი, იასამფერი, ნაზი სუმბული - დედამიწის ფაფუკი კალთა... აქ დაეწაფნენ სიყვარულის საამო ნექტარს, იჯერეს გული სატრფიალო ხვევნა-ალერსით...“.

შიო არაგვიპირელის გმირებისგან განსხვავებით, ჯონ მილტონის გმირები მალევე მიხვდებიან თავიანთ დანაშაულს: უმანკოება გაშორებოდათ, საკუთარი თავის რწმენა დაკარგოდათ, გონება ჩაბნელებოდათ, „არც ძველებური ღირსება და პატიოსნება“ იგრძნობოდა მათში და ისხდნენ „სიკეთეგამოცლილნი და განძარცულნი.“ მათ ერთმანეთს გადააბრალეს დანაშაული. ევა მიმართავს ადამს: „მაგრად მდგარიყავ, მტკიცედ გეთქვა ჩემთვის უარი, მაშინ ცთუნებას ორივენი გადავრჩებოდით.“ ადამი გაგულისდება ამ სიტყვებზე და ევას ეტყვის: „თუმცა შემეძლო, რომ მეცოცხლა და მედღერძელა, სამარადისო ნეტარებას ვზიარებოდი! ეს არ ვინდომე, მე ვარჩიე შენთან სიკვდილი; ამისთვის მავსებ საყვედურით? ამიტომ მკიცხავ, ცოდვისგან მტკიცედ და მედგრად ვერ დამიფარეო.“ ადამმა იცის, რომ „ძალმომრეობით ვერ შეზღუდავ თავისუფლებას, მასთან ვერასდროს ტლანქი ძალა ვერ იბოგინებს“.

ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ, თუ როგორ ამაყად უჭირავთ თავი შიო არაგვიპირელის მოთხრობის გმირებს, მათში ხომ ღმერთი ვერ დაინახავს სინანულს, დანაშაულის განცდას. ჯონ მილტონი კი ადამს ათქმევინებს: „ო, როგორ ვნანობ, თავსა ვკიცხავ ამ შეცდომისთვის, რამაც ეს ცოდვა, საშინელი, ჩამადენინა.“ საინტერესოა ჯონ მილტონისეული დახასიათება ქალის, რაც ჩანს შემდეგ სიტყვებში: „ასეთი ბედი ელის ყველას, ვინც მეტისმეტად ქალს მიენდობა და მიუშვებს ქალის ნებაზე: თუ დაიჟინა, ველარაფრით დააშლევინებ. ვთქვათ, მიუშვი და შეეყარა რაიმე სნებას, შენვე გაგკიცხავს - რად დამითმე, რად გამიშვიო...“.

ღმერთმა რა იხილა ისინი ცოდვაში ჩავარდნილნი, გველს, ადამსა და ევას მიუსაჯა თავიანთი წილი სასჯელი. თუმცა ინგლისელი მწერლის გმირები არც ურჩობას იჩენენ ღმერთის წინაშე, არც სიხარულით ტოვებენ სამოთხეს და არც ფიქრობენ, რომ სიყვარულია ღმერთის სამოთხეზე აღმატებული. ღმერთის წინაშე წარდგომისას, ჯონ მილტონის ადამმა და ევამ „ერთმანეთს ხელი გადახვიეს და მოწიწებით მიადგნენ ადგილს, სადაც ღმერთმა მათ მსჯავრი დასდო. დაემხვნენ პირქვე, მორჩილებით და გულმხურვალედ ღაღადჰყვეს ლოცვა-სინანული უფლისა მიმართ, ცრემლებით მორწყეს დედამიწა და თვით ჰაერიც, ნიშნად გულწრფელი წუხილის და მორჩილებისა, მტკივან გულიდან აღმომხდარი ოხვრით გაჟღინთეს“. შიო არაგვიპირელის ადამი და ევა კი სიხარულით თავიანთ სამოთხეს ქმნიდნენ და ღმერთის სამოთხის გახსენებაც კი არასასიამოვნო ჟრუანტელს გვრიდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ნაწარმოები ერთ თემას ეხება, მათ შორის იგრძნობა აშკარა შინაარსობრივი განსხვავება. ამასთან, ერთი მცირე მოთხრობაა, მეორე კი ვრცელი პოემა. მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ზემოგანხილულ ნაწარმოებთა პერსონაჟებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ქცევა-დამოკიდებულებებით, ისე პიროვნული ნიშნებით. ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მილტონის პოემის „ბიბლიური სიუჟეტი აქ მართლაც მხოლოდ სამოსელია..... დაკვირვებული თვალი მაშინვე შენიშნავს, რომ ეს სამოსელი სულ სხვა ტანზეა გამოჭრილი, ნამდვილ პატრონს არ აცვია, ამ ტანსაცმლის ახლანდელ პატრონს სულ სხვაგვარად უძგერს გული, მის მკერდში სულ სხვა განწყობილებას დაუსადგურებია“ (ჭელიძე ვახტანგ, 15).

შიო არაგვისპირელის მოთხრობაში „პირველი სიყვარული“ არ არის ხსენებული სიტყვა „სიყვარული“. ჩნდება კითხვა: რა არის მწერლისთვის „პირველი სიყვარული“? ადამისა და

ევას სიყვარული, როგორც კაცობრიობის არსებობის პირველი სიყვარულის გამოვლინება, თუ ის, რომ ღმერთია თავად სიყვარული?! ბიბლიაში ვკითხულობთ: „და გაქვს მოთმინება, და ბევრი რამ იტვირთე მაგრამ შენს წინააღმდეგ მაქვს ის, რომ დაუტევე შენი პირველი სიყვარული“. მიუხედავად ამ სიტყვებისა, ნაწარმოებში დიდი მხატვრულობით არის დახატული სიყვარულის ძალა, რომელსაც მწერალი ღმერთის, სამოთხის და მარადიულ სიცოცხლეზე მაღლა აყენებს. შიო არაგვისპირელი სიყვარულს მოიაზრებს, როგორც ადამიანის „სამოთხეს“. ჯონ მილტონის „დაკარგულ სამოთხეში“ კი ღმერთია ყველაფერზე მაღლა მდგომი. მის ადამსა და ევაშიც უფრო მეტად იგრძნობა ღმერთი. ინგლისელი მწერლის გმირები, სინანულით შემრწუნებულები, „ზღაზღაით, ყიპლით გზას გაუდგენენ უთვისტომონი“ და სამოთხის კარი ცრემლებით დატოვებს.

დასასრულს მოგყვავს შიო არაგვისპირელის სიტყვები, რომელიც აღნიშნავს: „...მხოლოდ ახლა ჩვენ, რაკი ადამ და ევას პირვანდელ ცხოვრებას გადავუხვიეთ და შევქმენით რაღაც კანონები და დავიდარაბა, უბედურება გაგვიჩნდა და მივისწრაფით იქით, საიდანაც ადამ და ევა სიხარულით გამოვიდნენ...“.

ლიტერატურა:

1. არაგვისპირელი შიო (1947): თხზულებათა სრული კრებული, ტომი II, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი.
2. ბიბლია (1989): საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი.
3. დეკანოზი თათარაშვილი თეიმურაზ (2010): ქრისტიანობა და საერო ლიტერატურა, ამბიონი, საზოგადოებრივ-რელიგიური ინტერნეტჟურნალი, <http://www.ambioni.ge/qristianoba-da-saero-literatura>.
4. მილტონი ჯონ (1978): დაკარგული სამოთხე, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
5. ჭელიძე ვახტანგ (1978): ჯონ მილტონი, დაკარგული სამოთხე, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
6. ჭილაია ანდრო, ჭილაია რამაზ (1984): ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

Tinatin Tushabramishvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Literary Parallels: - Shio Aragvispiri's "First Love" and John Milton's "Lost Paradise"

Telavi State University of I. Gogebashvili

Abstract

Our great interest are in the apocryphal drawings - this great synthesis of religious themes and human fantasy. Such texts describe the episodes that the Bible does not talk or do not speak at all, accordingly there are still unanswered questions that greatly excite people's imagination. The apocalypse about which we are talking about is Shio Aragvispiri's "First Love" and John Milton's "Lost Paradise". The story is about Adam and Eva; the expulsion from their paradise after them is described. Although both works refer to one topic, there is a clear contrast between the two works. At the same time, there is one small story and the second is a vast poem. The reader will easily notice that the characters of the above-mentioned works differ from each other, both behaviorally and personally. Shio Aragvispireli expresses the love of Adam and Eva as first love of the human existence. Love for the writer is "Paradise". John Milton's "lost paradise" is God above all. Even in Adam and Eva, God is more aware of him.

საკვანძო სიტყვები: სამოთხე, ღმერთი, სიყვარული, ცდუნება, ცოდვა.

Keywords: paradise, God, love, temptation, sin.

Socio Economic Situation in Macahel's Turkish Villagers

Introduction

One of Turkey's undisputed most beautiful places is the Eastern Black Sea Region. Fırtına Valley, Kackar and Karçallar. It also has a very rich ecosystem. Only the number of endemic plant species found in this region is nearly the entire European continent.

The Macahel region in the foothills of the Karçal Mountains, especially the Camili Basin, has very different characteristics. Macahel (wrist-el) is a Georgian word. Located on the skirts of the Karçal Mountains, the name given to the vast land that lies within the territories of Turkey and Georgia. It was decided in 1921 that the result of the referendum between the 18 villages forming Macahel, 12 villages in Georgia, namely the Soviet Union, and 6 villages, would remain on the borders of Turkey. The Macahel region consists of Camili, Maral, Düzenli, Efeler, Kayalar and Uğur villages. The center of the Macahel region has always been Camili village since the past. For this reason Macahel's remaining part in Turkey is called the Camili Basin.

In 2005, this virgin nature was declared by UNESCO as Turkey's first and only 'world biosphere reserve'. Camili Biosphere Reserve is one of 621 biosphere reserves in 117 countries around the world.

Camili Biosphere Field is one of the "Hot Spots" which is determined by WWF as 100 places in Europe and 9 in Turkey. These hot spots have a rich ecosystem and are under threat of natural massacres in the name of development (Anonymous, 2007).

Camili Biosphere Reserve contains many different species and ecosystems that have emerged based on altitude difference (350 meters-3500 meters). It is the oldest natural and temperate rainforest of Europe and Asia. In addition, this region, which is far from human influence, has a rich flora and fauna variety. Some of Camili's unique fauna species are PureCaucasia arborea, grizzly bear, hooked horned mountain goat, mountain rooster, caucasian hermaphrodite, caucasiansyendery, red spotted trout and migratory predator birds.

Particularly pure Caucasian bees, almost identical to this region. Camili is one of the rarest species of Caucasian bees in the world, which is the most widely used bee variety in honey production in the world. Work is continuing to certify these ballars not only in Turkey but also in international level. Chestnut and lime bouquet belonging to the locality are especially famous.

1. Methods

1.1. The Study Area

In study, Macahel area was selected. Macahel is the name of the region consisting of 6 villages (Camili, Düzenli, Efeler, Kayalar, Maral, Uğur) of Artvin's Borçka district. When you look at the distance to the district center; It is 60 km away from Camili (Hertvisi) Village 50 km, Düzenli (Zedvake) Village 46 km, Efeler Village (Eprati) 56 km, Kayalar (Kvabitavi) Village 59 km, Maral (Mindiyeti) Village 56 km and Uğur (Akriya) Village 60 km.

Camili Basin located in Artvin Province is included as Turkey's first Biosphere Reserve in 2005 with an area of 25.395 ha. In the north, all the rivers in the Camili Basin, which are surrounded by the border between Turkey and Georgia, flow towards the opposite side of the border. The high mountains surrounding eastern, southern and western directions form a natural border and isolate the area geographically. The Havzada has an uneven terrain and its altitude ranges from 350 m (Camili village) to 3490 m (Karçal Mountains).

There are two natural protection areas in the Camili Basin. Efeler Nature Protection Area is 1,453 ha and Gorgit Nature Protection Area is 490 ha.

In the Camili Basin, one of the places that must be seen besides the old natural forests is Maral Falls, which is poured from a height of 68 meters, and Karagol, which is at the border of the basin. The basin is the only place in the world where the purity of the Caucasian Bee Farm remained unspoiled from three important bee breeds, and for this reason 2001 was declared a Gene Protection Area (Anonymous, 2007).

1.2. Household Surveys

To collect data, we selected six villages in Macahel in Turkey. We selected 60 households based on household members' willingness to be involved in the study. We recorded data about participants' age, gender, profession, origin, and educational level. We also collected data on participants' economic activities, their various sources of income.

2. Result And Discussion

2.1. Socio Demographic And Cultural Properties

The Camili region was under the rule of Byzantine, Seljuk, Mongol, Ottoman Empires, Russians, Georges, and finally the Republic of Turkey in various periods. While the people of the region had been Christian for some time, they adopted Islam religion 700 years ago. Remarkable archaeological and historical remains in Cameli Basin Kemer Bridge at the entrance of Efeler Village, Irem Mosque in Maral Village, Church in Uğur Village and Tamara Bridge and two old prisons.

Because the people have lived an isolated life for many years, the peasants were able to preserve their old traditions in their daily life, in the style of architecture and construction of village houses and additional buildings, and in the tools and materials they used. Traditional folk dances and folk music culture still live in the region, and the villagers have recently established the Polyphonic Chorus Choir in order to transfer and preserve their traditional songs to future generations.

There are 6 villages in the area. The number of people living permanently in these six villages, in other words, the winter population consists of 1118 people (300 households). The summer population is 3,000 (Erturk, 1999, Inanç, 2014).

Table 1. Population distribution of villagers in Macahel by years (TUIK, 2014.)

Years		2000	2007	2011	2012
<i>Kayalar</i>	<i>M</i>	39	44	44	38
	<i>F</i>	48	39	39	31
	<i>T</i>	87	83	83	69
<i>Uğurlu</i>	<i>M</i>	124	121	121	127
	<i>F</i>	135	104	104	107
	<i>T</i>	259	225	225	234
<i>Efeler</i>	<i>M</i>	100	96	96	100
	<i>F</i>	92	88	88	97
	<i>T</i>	192	184	184	197
<i>Maral</i>	<i>M</i>	126	124	124	117
	<i>F</i>	125	123	123	120
	<i>T</i>	251	247	247	237
<i>Camili</i>	<i>M</i>	90	85	95	86
	<i>F</i>	80	74	76	75
	<i>T</i>	170	159	171	161
<i>Düzenli</i>	<i>M</i>	115	112	119	114

	<i>F</i>	100	99	107	106
	<i>T</i>	215	211	226	220

Following numbers are determined about survey attenders: 66,6 % of 60 persons are women (40 person), 33,4% are men (20 person) and 75% are (45 person) in the age of 50 and more. 58,3% of attenders (35 person) are housewives, the others are retireds, workmans and self-employeds. 60% of attenders (36 person) house income level is 3000TL and more. And it is determined that the attenders educational levels are 40% is graduated from faculty or college, 40% is secondary education, 10% is primary education and 10% is only literate.

2.2. Source of Livelihood

Camili Basin has a self-sufficient traditional economic structure, life is directly related to the forest and is subject to the cycle of nature. The main subsistence activities in the region are agriculture, hazelnut, animal husbandry, beekeeping, woodworking, handicrafts and tourism services.

Livestock production, which is one of the livelihood resources, is gradually decreasing. This effort is not a profitable business and it is a difficult business for the elderly population. Meat, milk, cheese, yogurt and butter are mostly produced for their own consumption. However, the families still continue to raise animals for their own needs and because it is a traditional occupation (Inanç, 2014).

It is the use of wood as a fuel in the houses where the people living in the forest with the forest resources are insufficiently insulated in the long and cold winter months. Each house consumes about 15-20 cubic meters of wood per year. Beech tree (*Fagus orientalis*) wood is preferred as fuel.

According to local people, it is understood that the primary purpose of forest resources management is to protect the forests and it has been observed that the local people show the necessary self-sacrifice in the protection of the forests.

As a result of interviews with the local people, the following conclusion generally appears. The local people are doing their best to make use of the protected area of the glassy biosphere reserve. For the area to be protected with a better system, it has been concluded that the forest villager-forest authorities relations must be strengthened and more attention should be paid to the effectiveness of the public relations.

Tourism services have become a growing source of livelihood. Known activities are usually nature-centered and consist of hiking, landscape viewing and wildlife observation activities. A small number of local people were trained as guides.

3. Result

Maçahel is the name of a region which comprises eight envillages. While twelve of these villages are with in the territory of Georgia, six of the mare with in the borders of Turkish Republic. Squeezed into a valley between Karçal Mountains and Georgia, Maçahel harbors a lot of endangered animal and plants pecies and because of this it is declared by UNESCO Biosphere Reserve Area under Protection.

In recent years, in order to ensure sustainable development in the region that has become a center of tourism attraction, partnerships are being made with the people of the region and the people of the region are aiming to protect their cultural riches.

When we look at the observations and survey results made in the region, the local people stay there instead of abandoning the villagers, despite the difficulties of the geographical conditions. The people of the region are ready to make their way from their hands for better protection and development of the area.

As a result, the villagers living on both sides of the border for the sustainable management of the macahel basin and the villagers living here are of great importance. The development of a competent protection mechanism and the development of bilateral relations in order to increase the

livelihood of the local people living in Turkish and Georgian villages
Will help to take steps in rural development.

References

1. Anonymous, (2007), Camili Biosphere Reserve Draft Management Plan, Ministry of environment and forestry, Ankara.
2. Anonymous (2014), TUIK, Address based population registry system results data bases
<http://tuikapp.tuik.gov.tr>.
3. Ertürk, Y. (1999), "Community, Convention and Trends of Change in Rural Turkey" in Agricultural Structure and Employment in Turkey (ed.) Tuncer Bulutay, Ankara: SIS Publications.
4. İnanç, S. (2014), "Social Texture and Administrative Problems of Camili Biosphere Reserve Area", II. National Mediterranean Forest and Environment Symposium", The future of Mediterranean forests: Sustainable society and environment" 22-24 October, Isparta.

სევიმ ინანჩი

ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტი, ართვინი, თურქეთი

მაჭახელას თურქულ სოფლებში სოცო-ეკონომიკური მდგომარეობა

რეზიუმე

სტატია ეხება მაჭახელას თურქულ სოფლებში არსებულ სოცო-ეკონომიკურ მდგომარეობას. რეგიონი თურქეთ-საქართველოს სასაზღვრო ზონაშია მოქცეული. 1921 წლის რეფერენდუმის გადაწყვეტილებით, მაჭახელას ხეობაში მოქცეული 18 სოფლიდან 12 მათგანი საქართველოს ტერიტორიას მიეკუთვნა, 6 კი თურქეთის სასაზღვრო ზონაში დარჩა. ნაშრომში მიმოხილულია ამ ტერიტორიების მდგომარეობა.

KeyWords: Macahel, forestry, rural development, local people, socio-economic

საკვანძო სიტყვები: მაჭახელა, მეტყევეობა, სოფლის განვითარება, ადგილობრივი მოსახლეობა, სოცო-ეკონომიკური

Sevim İNANÇ

Artvin Çoruh University Faculty of Forest, Artvin/TURKEY

Heaven On The Border Of Turkey Georgia: Camili Biofer Reserve Area

1. Introduction

The consumption of natural resources accelerated with the industrial revolution has led to the emergence of a number of conservation activities. As a result of these activities, one of the most effective ways of protecting biodiversity and sustainability is the protection of designated natural habitats with legal statutes such as national parks and sanctuaries. These important and valuable areas, generally defined as protected areas, are the most effective means of natural heritage site management and are the cornerstones of national and international nature conservation strategies (Dudley et al., 2005; Dudley, 2008).

The concept of biosphere reserve, a new concept, is a protected area, in particular where the conservation-use principle is applied. Sustainable use of natural resources has been the subject of much work over the last few years (Kurdoglu, 2002). Camili Basin is not only a national but also an international preserve with its resource values. The biosphere reserve area of this area, which is

selected as the study area, is located within the borders of the Borçka district of Artvin province. The basin is located on the Georgian border, 45 km from Borçka.

A modern understanding of protection began to emerge in the early 1800s. In the 1900s, nature conservation was recognized as a discipline. (Ulgen ve Zeydanli, 2008). Apart from protecting the species within the present protection statutes, the territorial protection is based on the provincial or provincial National Parks. In 1872, the American Congress declared the Yellowstone National Park as the world's first national park of 8670 km². In 1962, there were about 1,000 protected areas covering only 3% of the world, with over 200,000 protected areas and over 14% of the world. Which is a larger area than the African continent. Protected areas; maintains your biological diversity, host many endangered live species. Protected areas help to regulate climate, reduce flood, storm and drought effects; Protected areas provide us with opportunities for rest, recreation and sports activities that we will be able to cope with nature.

Biosphere reserve; Are internationally recognized and have terrestrial and / or coastal ecosystems in the UNESCO Human and Biosphere Program. Biosphere reserves; Protection of biodiversity, sustainable economic development and the continuity of cultural values (Anonymous, 2011). The preservation of plant and animal communities within the intended natural ecosystems of the biosphere reserves and the assurance of genetic diversity are ensured. In addition, opportunities for research, education and training are provided in or around these objectives.

The Biosphere Reserve has to fulfill three basic functions:

Conservation; To contribute to conservation of genetic variations, species, ecosystems and landscapes.

Development; To support socio-cultural and ecological sustainable economic development and human development

Logistic Support; To support scientific research, monitoring, training and information exchange aimed at nature conservation and development efforts at local, national and global scale (Batisse, 1997).

2. Methods

2.1. The Study Area

In study, Camili Biosphere Reserve area was selected. The literature on the management plan and field related to this area was searched.

Camili Biosphere Reserve is Turkey's first and only biosphere reservoir. Camili Biosphere Reserve Included in the World Biosphere Reserves Network on June 29, 2005. Camili Biosphere Reserve within the boundaries of Borchka county, Artvin Province; It is an important area of nature with its ecological features and cultural values such as natural old forests, rich living spaces, plant diversity, wildlife richness. Camili is a field of pure Caucasian bee race survival. In addition, Camili has a global prescription because it is located on one of the most important strained bird migration routes in the western Palearctic region. The Efeler and Golgit Nature Preservation Areas located in the biosphere reserves are in the absolute protection zone (Anonymous, 2007).

The Camili Basin is a part of the province of Artvin, situated in the Borçka district, with a total of 6 villages. The total population of the villagers is around 1200 people. The main source of livelihood for the people of the region is mainly hazelnut production, agriculture and animal husbandry. These include tourism activities that have developed in recent years and beekeeping which is shaped by queen and honey production.

Camili Biosphere Reserve is located within the boundaries of the province of Artvin Borçka, 45 km. away. It is located between 41°20'49 "and 41°31'32 " north latitudes and between 41°49'36 " and 42°05'27 " east longitudes. The total area of the biosphere reserve is 25,395 ha. All the rivers in the Camili Basin, which is surrounded by the border between Turkey and Georgia in the north, flow towards the opposite side of the border. Basin has a rugged terrain and the altitude ranges from 350

m (Camili village) to 3,490 m(Karçal). There are two natural protection areas in the Camili Basin. The Ephesus Nature Reserve is 1,453 ha and the Gorgit Nature Reserve is 490 ha (Figure 1).




Figure 1. Geographical Position of Camili Biosphere Reserve

3. Result And Discussion

3.1 Natural And Cultural Values

The Camili Biosphere Reserve includes a wide variety of species and ecosystems that have emerged based on altitude difference (350 m-3500 m). The values with protection priority are; Eastern larch (*Picea orientalis*), eastern beech (*Fagus orientalis*), chestnut (*Castanea sativa*), and Caucasian llamas (*Tiliarubra ssp. Caucasica*). There are 990 endemic plant species distributed in 23 Camili Biosphere Reserve. (Eminağaoğlu, 2012).

The Camili Biosphere Reserve has a diversity of fauna that is far from human influence. Species of fauna which are not particularly important as a protection priority are Caucasian bee raki, Ursus arctos, Rupicapra rupicapra, Tetraodon lineatus, Caucasus herpetomorphite (Viperakaznakovi), Caucasian herpetomorphite (Mertensiellacaucasica), red spotted Trout (*Salmo trutta macrostigma*) and immigrant predator birds (Anonymous, 2007).

3.2. Historical and Cultural Values

The Camili region was under the rule of Byzantine, Seljuk, Mongol, Ottoman Empires and Russians and Georgians in various periods. Remarkable archaeological and historical remains in Cameli Basin Kemer Bridge at the entrance of Efeler Village, İrem Mosque in Maral Village, the church in Uğur Village and Tamara Bridge and two old prisons. Traditional folk dances and folk music culture still live in the region. The villagers set up the Polyphonic Chorus for the purpose of transmitting and preserving traditional songs to future generations.

Over the centuries Cameli Basin has maintained a self-sufficient population of over 1,000 people, driving their own traditions, lifestyles, resource sharing and methods of use. In this respect, the region is a living example of Caucasian mountain cultures. The living and livelihoods have been provided to a large extent through agricultural activities and animal husbandry up to recent years due to the environmental and natural conditions of the basin. However, with the recent recognition of ecotourism, queen bee production, organic honey and hazelnut production and other related activities becoming more and more recognized in the region, the diversity of livelihoods has increased steadily. The Camili Basin is also known as one of the most productive and powerful bees in the world, one of the places where pure Caucasian bee races live. These economic activities gave rise to new business areas in the region, resulting in sustainable development activities such as tourist guidance, pensions, beekeeping, queen bee production and hiking guidance. The Camili Basin is now a major attraction for both national and global scale, with both nature and landscape diversity as well

as traditional culture. People living in the region are aware of the rare ecosystems they are in and the importance of natural and cultural landscapes(Anonymous, 2007).

4. Conclusion

Camili in recent years has also been explored, especially in nature. Camili offers unparalleled beauty to visitors who want to meet with a traditional lifestyle and a pristine environment.

Due to the biological diversity of the Camili Basin, it offers indispensable services both to our people living in the field and to the whole humanity today and in the future. The Camili Basin is an ecological and cultural treasure hidden in the Karçal mountains for centuries. Have been recognized in recent years and the value of the basin has begun to be understood.

This unique basin on the Georgian border is a very important asset for both countries. It is possible to make use of this privilege by creating various livelihoods for local people through projects and agreements to be made between the two countries, which are of great importance for the region.

References

- Anonymous, (2007), Camili Biosphere Reserve Draft Management Plan, Ministry of environment and forestry, Ankara.
- Anonymous(2011), UNESCO Biosphere Reserves-Learning Sites for Sustainable Development. <http://www.unesco.org/new/en/natural-sciences/environment/ecologicalsciences/biosphere-reserves/>
- Batisse, M. (1997), "Biosphere Reserves, A Challenge for Biodiversity Conservation and Regional Development", Environment, Vol 39, No 5.
- Eminağaoğlu, Ö., 2012. Natural Heritage in Artvin, Camili's Natural Plants, Promat:İstanbul
- Dudley, N., Mulongoy, KJ., Cohen, S., Stolton, S., Barber, CV. ve Gidda, SB. , 2005, Towards Effective Protected Area Systems. Biodiversity Convention Protected Areas Business Program Implementation Guide. Translated by Turkish S. Kalem, Montreal, Technical Series No. 18, 108 pp.
- Dudley, N.(2008), Guidelines for Applying Protected Area Management Categories. Gland, Switzerland: IUCN. 86pp.
- Kurdoglu, O.(2002). Investigation of Natural Resource Management of Kackar Mountains National Park and its Environs, Doctoral Thesis. KTÜ, Institute of Natural and Applied Sciences, Trabzon, 294 pp.
- Ulgen, H., Zeydanli, (2008), Forest and Biodiversity. Nature Conservation Center. Ankara.

სევიმ ინანაძე

ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტი, ართვინი, თურქეთი

თურქეთ-საქართველოს საზღვარში არსებული ფარული სამოთხე
ბიოსფერული რეზერვატი - ჯამილი

რეზიუმე

ჯამილის ბიოსფერული რეზერვატი UNESCO-ს მეორე 2005 წელს გამოცხადდა როგორც პირველი და ერთადერთი ბიოსფერული რეზერვატი თურქეთის ტერიტორიაზე. იგი 117 ქვეყანაში არსებული 621 ბიოსფერულ რეზერვატიდან ერთ-ერთია. იგი ერთგვარი კულტურული და ეკოლოგიური საგანძურია და მოიცავს 25 258 ჰექტარ ტერიტორიას.

KeyWords: Biodiversity, Rural development, Biosphere reserve area, Camili, Macahel.

საკვანძო სიტყვები: ბიომრავალფეროვნება, სოფლის განვითარება, ბიოსფერული რეზერვატი, ჯამილი, მაჰახელი

აღმოსავლური დივანის ფილოსოფიური ლირიკა

საშუალო საუკუნეებში, კერძოდ XIII-XIV საუკუნეებში, როცა სუფიზმი მთელ აღმოსავლეთში გავრცელდა და რელიგიურ სფეროში ჭეშმარიტების ძიება საზოგადოებრიობის ერთ-ერთ ძირითად საზრუნავად იქცა, აღმოსავლური დივანის ლირიკა თავისი განვითარების უმაღლეს ფაზაში გადავიდა და განვითარების ამ საფეხურზე ეთიკურ-ესთეტიკური აქტი შეიცვალა რელიგიური აქტით, რასაც მოჰყვა აღქმის ობიექტის ახლებური გააზრება: იდეალური იდეაში გადაიზარდა, ხოლო იდეალურად მშვენიერი-აბსოლუტურ მშვენიერებაში. მოვლენათა ეს სავსებით ბუებრივი განვითარება და იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ლირიკის ევოლუციური განვითარების უმაღლესი ფაზად არასაშუალო საუკუნეების „რეალური“ ლირიკის საწინააღმდეგო და საპირისპირო მოვლენა.

რას წარმოადგენს აღმოსავლური ლირიკის განვითარების ეს უმაღლესი ეტაპი – სუფიზმი, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა საშუალო საუკუნეების თითქმის ყველა პოეტის აზროვნებაზე. სავსებით გამორიცხავს იგი ამ ქვეყნიურობასა და კაცთმოყვარეობას და აბსტრაქტულ წარმოსახვათა მისტიური ზმანებაა, თუ უხილავი ძაფებით რეალურ სამყაროსთან მაინც ამყარებს კავშირს?

სუფიზმის დედააზრის ღერძს სიყვარული წარმოადგენს. აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სიყვარულის მთელი გვარია მოცემული სხვა დასხვა სახეობრივ ასპექტში გარდატეხილი: მიწიერიდან ზეციერამდე. სუფიზმისათვის სიყვარული კოსმოსური ძალაა, კოსმოსის შექმნის პირველადი მიზეზი, მისი ლოგოსი და ყოველგვარი მოძრაობის იმპულსი. სიყვარულის წყალობით ერთი გარდაიქცევა მრავლად და „ყოველივე სიმრავლე ეზიარების რაითავე ერთს“ და ბოლოს „სიყვარული არის სურვილი სიკეთის მარადიული ფლობისა“ და „აგრეთვე სურვილი უკვდავებისა“ ერთი სიტყვით, სუფიზმის სიყვარულის კონცეფცია პლატონის „ნადიმის“ უშუალო გააზრებაა.

როცა არსებულად არსებულმა და საფუძვლადდებულმა ალემიქეთმაში (უხილავ სამყაროში) თავისი თავი საკუთარი ცოდნის წყალობით შეიცნო, რომ იგი ერთადერთი არსებული და უხილავია, აღეძრა სურვილი, თავი გამოეჩინა და ამგვარად სიყვარულის მიზეზი გამხდარიყო. აბსოლუტურად მშვენიერი არ შეიძლება იყოს მალული და სიყვარულის სწრაფვის გარეშე, ამიტომმანათავისითავიორასპექტშიგამოაჩინა, რათა შეექმნა თავისი სიყვარულის ობიექტი, რომელიც ამავე დროს სიყვარულის სუბიექტიც იქნებოდა და თვით მას, აბსოლუტურ მშვენიერებას, აღიქვამდა როგორც სიყვარულის ობიექტს.

ამ მიზეზით მარადიული ქმნადობა იწყებს გამოსხივებას ისე, რომ არც არაფერს გასცემს და არც არაფერი აკლდება, – მსგავსად უკვდავი მზისა, რომელიც ანათებს სამყაროს. ინვოლუციის პროცესის დროს ღვთიური სხივი გაივლის ხუთ სამყაროს, რომლებიც, სუფიებისგანგებით, ცალკეული დამოუკიდებელი სამყაროები კი არ არის, არამედ ერთადერთი ცალკეული სფეროებია, და მეხუთე საფეხურზე იქცეხს გამოჩინებას. წარმოიშვება ხილული სამყარო: პირველად კრისტალის ფორმით, მერე მცენარის, შემდეგ ცხოველისა და ბოლოს, ადამიანის სახით.

როგორც ირკვევა, ადამიანის სახით მარადიული ქმნადობა ასრულებს თავისი გამოსხივების ინვოლუციის პროცესს. ადამიანი სუფიურ კოსმოგონიაში არის გზაჯვარედინი და მისგან იწყება უკვე ევოლუციური განვითარება, ამაღლება აბსოლუტური ჭეშმარიტებისაკენ. ადამიანმა უნდა სრულყოს თავისი თავი. თანდათან საფეხურებრივ უნდა ამაღლდეს და დაუბრუნდეს პირველ და უმაღლეს ყოფიერებას, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. სუფიური მსოფმხედველობის მიხედვით, ეს ინვოლუციის (სეირი-ნუზულ) და ევოლუციის (სეირი-ურუჟ) პროცესი არის მარად უწყვეტი, უნივერსალური წრიული მოძრაობა, რომელიც დიალექტიკური პრინციპით, საწინააღმდეგო მოვლენათა გადალახვის გზით მიედინება. ამ

მოდრაობის მთავარ მიზეზად სუფიები სიყვარულს მიიჩნევენ, იგი აპირობებს სამყაროს მარადიულ არსებობას.

საერთოდ სუფიები, რომლებიც ძალზე მჭიდრო კავშირს ამყარებენ ნეოპლატონისტებთან, რეალურ სამყაროს, სიმშვენიერეს, როგორც ღმერთის არსის ადეკვატურ ასლს, ვერ უარყოფენ. მათი მშვენიერების ესთეტიკური განცდის საწყისი სათავე სწორედ რეალურ ხილვად სამყაროში იწყება, თანდათან ვითარდება და განზოგადოებულ სახეს იღებს და ბოლოს, აბსოლუტური მშვენიერების ჭკრეტაში გადადის. ეს არის მშვენიერების აღქმის პლატონისტური გზა: კონკრეტულიდან ზოგადისაკენ და ზოგადიდან აბსოლუტისაკენ.

მშვენიერების აღქმის ასეთი გზა სავსებით ესიტყვება სუფიზმის მსოფმხედველობას და ნიშანდობლივია მისი ესთეტიკური შემეცნებისათვის. სუფიებისათვის რეალური სამყარო „მდაბალი“ მშვენიერება არის, მაგრამ ის აბსოლუტური მშვენიერებისაკენ მიმავალი გზის უცილობელი საფეხურია. ისინი რეალური სამყაროს ფიზიკური რიგის სიმშვენიერეთა შორის განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებენ ადამიანს, რომელიც, მათი რწმენით, არის კოსმოსის ცენტალური წერტილი, ზღვარი, გამომჟღავნების სინათლისა და არსებობის სიბნელეს შორის. ის არის „უდიდესი სულის სრულყოფილი გამომჟღავნება“, გამგებელი ამა ქვეყნისა და მაღალი ღმერთის მიზანი და სასურველი: “‘ო, ადამიანო, – ამბობს უფალი, – ყველაფერი და ყოველივე შევქმენი შენთვის, მაგრამ თვით შენ ჩემთვის შეგქმენი“. ამ ხილვად სამყაროში ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელსაც შესწევს უნარი აბსოლუტურად მშვენიერამდე ამაღლდეს და იგი შეიმეცნოს. ადამიანი მარადიული ქმნადობის ინვოლუციური და ევოლუციური უწყვეტი მოძრაობის კონდინაციული წერტილია.

სუფიები რეალური სამყაროს სიმშვენიერეს და, განსაკუთრებით კი, ადამიანურ სიყვარულს აბსოლუტური ჭეშმარიტების სიყვარულის ანტიეთეზად კი არ განიხილავენ, არამედ მასთან სინთეზურ ჰარმონიაში წარმოგვიდგენენ და მშვენიერების აღქმის ევოლუციური ხაზის საჭირო და ურთიერთთან დაკავშირებულ საფეხურებად გვიხატავენ.

სუფიებისთვის აბსოლუტური მშვენიერება ერთადერთი არსებული ჭეშმარიტებაა, რომელიც განაგებს ყველაფერს, მას კი ვერავინ განაგებს, იგი არის ერთი მთლიანობა, რომელიც მოიცავს ყველაფერს, და არ გამოირიცხავს არაფერს. იგი არის ერთი მთლიანი სხივის გარეშე, რომელთანაც შეიძლება მისი შედარება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი არის ერთი მთლიანი, ყოველგვარი გამოირიცხვის გარეშე. არაფერი არ არის მის წინ და მის უკან, არაფერი ამის ზემოთ და ქვემოთ, არაფერი ამის მარჯვნივ და მარცხნივ, მას არ გააჩნია ზომა სიგრძისა, სიღრმისა და სიმაღლისა. ჭეშმარიტად არაფერი არ არის მის გვერდით – ‘ჭუვა-ჭუვა’ (‘ის არის ის’). იგი არის მარადიული ქმნადობა და ‘ის არის ყველაფერი’ ანდა ‘ყველაფერი მისგან მოდის’.

როგორღა შეიძლება მარადიული ჭეშმარიტების წვდომა, რომელსაც არ გააჩნია სივრცული და დროული გაგება, არა აქვს ფორმა და აღნაგობა?

ამის უნარი მხოლოდ ადამიანს შესწევს და ისიც საკუთარი „მეს“ შესწავლის საშუალებით. სუფიები გვარწმუნებენ, რომ ადამიანი ღმერთის გამოჩინების უნივერსალური ფორმაა. მისი მიკრო კოსმოსია და მთელი სამყაროს, ე.ი. ღმერთის ადეკვატური ამსახველი. ამიტომ ადამიანმა უნდა შეისწავლოს თავისი საკუთარი „მე“ და ამ გზით განსჭვრეტ საბსოლუტურ ჭეშმარიტებას. ადამიანის „მე“ არ არის სცალკე სუბსტანტი, იგი აბსოლუტური ჭეშმარიტების მარად იდენტურია და მისი შემადგენელი პოზიტიური „სხვაა“. ჯელალ ედდინ რუმი ამბობს: ‘შენ, რომელიც ხარ ღვთიური საიდუმლოებები სნუსხა, შენ, რომელიც სრულყოფილი შაჰის სარკე ხარ, სამყაროში არსებული ყოველივე, შენს მიღმა არ არსებობს, რაც კი გასურს, ყოველივე შენგან ისურვე!’

აბსოლუტური ჭეშმარიტების წვდომის ასეთმა გზამ ადამიანი ღმერთამდე აიყვანა და გააღმერთა კიდევ. როცა შემეცნება იწყება შენი ადამიანური ‘მეს’ აღთქმით, ვითარდება შენივე ‘მეობის’ რკალში, ხოლო როცა საკუთარი ‘მეს’ ინტუიტიური შესწავლით რწმუნდები, რომ არაფერი არ არსებობს ალაჰის გარდა, ბუნებრივად გებადება აზრი, რომ

თვით შენც ღმერთი ხარ. ამიტომ სუფიური აზროვნებისათვის სავსებით ბუნებრივად ჟღერს სუფი ჰალაჯას (865-922) განცხადება „ანალ-ჰაკკ“ (მე ვარ ღმერთი), ანდა სუფიზისტამის (გარდ. 874) უფრო ელასტიური ფორმულირება „დიდება მქონდეს მე“ ნაცვლად ისლამის ფორმულისა „დიდება ჰქონდეს ალაჰს“.

ჰალაჯას ესოდენ თამამი განცხადების მიზეზი სუბსტანტთა სიმრავლის უარყოფაში უნდა ვეძებოთ. ჰალაჯასაზრით, არარსებობს ჭეშმარიტად არსებული მრავალი სუბსტანცია, რომლებსაც ჩვენ მატერიალურ სამყაროში ცალკე დამოუკიდებელ ინდივიდებად განვიხილავთ. სამყაროს მეტაფიზიკურ სიღრმეში ძვეს მარადიული ინდივიდუმი (ურიინდივიდუმიანი), რომელთანაც ყველა საგანი მარად იდენტურია. პრეექსისტენტურ პერიოდშიც არსებობს ყველა იდეალური ფორმა ამურ ინდივიდუალში იყო მოცემული. იგი არის ყოველგვარ საგანთან და სულთან საფუძველი და ამგვარად, ის არის ჯამი მთელი სამყაროსი („ოჯამო, მთელ სამყაროსაც“ – მიმართავს ჰალაჯა ღმერთს). ესურ ინდივიდუმი, ყველაფრის და ყოველივეს საფუძვლად დებული, არ არსებობს, როგორც „სხვა“, ის არის ერთადერთობა თავის თავში. ამ გააზრებას სავსებით ლოგიკურად მოჰყვება თეზა: „ლასთადირი“ – შენღ მერთო, არა ხარ სხვა, თუ არა „ჩემი მე“. და აქ წარმოდგენილი „ერთობა“ არის არა ერთ დროს დამოუკიდებლად არსებული ორი მეტაფიზიკური სუბსტრატის ურთიერთ ტრანსფორმირება, არამედ მარად იდენტური არსებობა. ამ მარად იდენტურობის აღქმა კი შეიძლება მხოლოდ მეტაფიზიკური ჩამირვით საკუთარ „მე“-ში. ჰალაჯაც ეძლევა თავის „მე“-ს ინტუიტიურ შესწავლას და „მეს“ შეიცნობს, როგორც „ის“-ს (ურსუბსტრატს), რომელიც არის სამყაროს ღრმა ფენა და ყველა საგანშია მოცემული, როგორც მეტაფიზიკური საფუძველი. შემდეგ იგი აკეთებს ფორმულირებას „ჰუვა-ჰუვა“ – (ის არის ის), რომლის დედააზრიც ახლა სავსებით გასაგებია: ყველაფერი და ყოველივე იმ მარადიული „ის“-ის იდენტურია. „არ არსებობს არავითარი სხვა იმ „ის“-ის გარდა. ამიტომ ჰალაჯათავის „მე“-ს აქცევს უსასრულო „ის“-ად, მარადიულ არსებობად რომელსაც არ ახასიათებს `მეს` განცალკევებულობა. ჰალაჯა მაღლდება ღმერთამდე და ეკითხება მას: – „ვინ ხარ შენ“. ღმერთი უპასუხებს: „შენ!“ და ჰალაჯაც ღრმა რწმენით აცხადებს „მე ვარ ღმერთი“

ამგვარად სუფიურ მსოფმხედველობაში თვით აბსოლუტური ჭეშმარიტების გაგება ადამიანური „მეობის“ რკალში იფარგლება, მაგრამ ეს ადამიანური „მე“ ემპირიული, ინდივიდუალური არ არის. ეს „მე“ ერთსა და იმავე დროს არის „შენც“ და არის „ისიც“, საყოველთაოდ ცნობილია სუფიზმის დედააზრის გამომხატველი ფორმულა: „მე არ ვარ მე. შენ არ ხარ შენ, მაგრამ არც შენ ხარ „მე“. მე ერთდროულად „მეც“ ვარდა „შენც“. შენ ერთდროულად „შენც“ ხარ და „მეც“. ეს არის ზოგად ადამიანური „მე“. უფრო მეტიც ეს „მე“ ყოვლის მომცველია.

სწორედამ „მეს“ ზოგად ცნებამდე აყვანით უნდა ავხსნათ, ჩვენი აზრით, ის გარემოება, რომ საშუალო საუკუნეების აღმოსავლური ლირიკა კონკრეტულ ადამიანურ განცდებს მოკლებული ზოგადადადამიანურ ხედვაში ტყდება. ვფიქრობთ, აღმოსავლური ლირიკის ზოგადადადამიანური განცდისა და ზოგადსაკაცობრიო აზრების გადმოცემის ფილოსოფიური ფესვები ამ „მეს“ განზოგადოებაში უნდა ვეძებოთ.

მართლაც ჰერუფიზმმა, რომელიც სუფიზმის ერთ-ერთ განშტოებად შეიძლება მივიჩნიოთ, გაარღვია შემეცნების სუბიექტივიზმის რკალი და საერთოდ ყველა ადამიანში ღმერთი დაინახა. ჰურუფის შემეცნებელი ჭვრეტა უკვე თავის „მე“-სკენ კი არ არის მიმართული, არამედ თავის „მეს“ გარეთ მყოფი ადამიანისაკენ, რაც უდავოდ პროგრესულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ. ჰურუფიები უკიდურეს პანთეიზმს ქადაგებდნენ, მათ ღმერთს გაუტოლფარდოვნეს არა მხოლოდ ადამიანი, არამედ მთელი მატერიალური სამყარო. ისინი ხილვადი სამყაროს ყველა ატომში ღმერთის გამოჩინებას ხედავენ, რითაც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ტრანსცენდენტალური (განყენებულ-ლოგიკური) გაგება მოუხსნეს და მატერიალურ სამყაროში გაანივთეს.

მაგრამ ჰურუფიების ჭვრეტის ძირითადი ობიექტი, როგორც ყველა სუფის, ადამიანი იყო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ყველა სრულყოფილ ადამიანში, კერძოდ კი, მის ლამაზ

სახეში, ღმერთია გამოჩინებული გასხეულებული. ამიტომ, მათი აზრით, უნდა გიყვარდეს ადამიანი და მისი ლამაზი სახე უნდა იყოს ჩვენი ჭკრეტისა და ესთეტიკური განცდის ობიექტი.

ჰურუფიულ მსოფმხედველობაში ადამიანი კი არ მაღლდება ღმერთამდე, არამედ ღმერთი დადის ადამიანის ცნებამდე და იგი ანთროპომორფულია.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ შემეცნები სსფეროში პირველ პლანზე ადამიანი და ადამიანური სიყვარული არის წამოწეული. როგორც ეგები აღნიშნავს, ჰურუფიებისათვის ულამაზესი ადამიანური ფორმა არის არა უბრალოდ ადეკვატური გამოსახულება, არამედ ღვთაებრივი განსხეულება და სიყვარული, რომელსაც განიცდიან ადამიანისადმი, არის არა უბრალოდ „ხიდი“, მიმავალი აბსოლუტური ჭეშმარიტებისაკენ, არამედ თავის თავად ისაა ბოლო მიზანი. ჰურუფიების ცნობიერებაში ადამიანს განიხილავენ არა ღმერთის ასლად, როგორც ამას ადგილი აქვს სუფიებთან, არამედ თვით ღმერთად, ამიტომ ღმერთი გააზრებულია ჩვეულებრივ მიწიერ ადამიანად და პირუკუ... მაგრამ აღქმის დროს პრიორიტეტი ადამიანს ეკუთვნის, რადგან აღმქმელისათვის უშუალო ჭკრეტისა და წვდომის ობიექტი ადამიანია.

სწორედ ანთროპოცენტრული ბუნებიდან გამომდინარეა - რინდი და ზაჰიდი აღმოსავლური ფილოსოფიური ლირიკის მთავარი პერსონაჟები, ისინი აშოყისა და მაშუყის მსგავსად ყველაზე უფრო პოპულარული და დამკვიდრებულნი არიან დივანის ლიტერატურაში. მათ აღმოსავლეთის თითქმის ყველა პოეტის შემოქმედებაში ვხვდებით და ისინი ისტორიულ სინამდვილეში იღებენ სათავეს. ეს ორი პერსონაჟიც განზოგადოებული ტიპია, რომლებიც გარკვეულ ლიტერატურულ ეტიკეტს ექვემდებარებიან.

რინდი- მისტიკურ თრობას მიცემული, სოციალური და ყოველგვარ უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული ტიპია, მისი იდეალი თავისუფლებაა, ამ სიტყვის სრული გაგებით. იგი ვერ იტანს ვერავითარ შეზღუდვას, ვერავითარ ჩარჩოს, რომელიც მისი სულის თავისუფლებას საზღვრად ედება.

რინდი ებრძვის სოციალური უსამართლობის ყოველგვარ გამოვლენას, მისთვის ყველა- მდიდარიც და ღარიბიც ერთია, რადგა ორივე ღვთის შვილია. მისთვის საზოგადოებრივი სოციალური იერარქია მიუღებელია. იგი ვერ ეგუება რელიგიურ დოგმებს და რიტუალებს, მას სწამს, რომ წინასწარ დადგენილი რიტუალის შესრულება ზღუდავს ადამიანის ნებას და თავისუფლების სურვილს. მისთვის მიუღებელია საზოგადოებრივი მორალი, ეთიკური შეხედულებები. რინდისთვის საკუტარი სხეულიც მძიმე ხუნდია, რადგანაც ის ბორკავს სულს, ამიტომაც იგი ებრძვის სხეულს, ანადგურებს, აჩაჩანაკებს მას, რათა მთლიანად შეერწყა სულს. იგი ებრძვის სიკვდილსაც და ელტვის მარადისობას. მარადისობასთან ზიარება რინდისთვის ხდება ამქვეყნიურად სულის სხეულზე გამარჯვებით, ინდივიდის მარადიულ ცნებასთან- ღმერთთან გატოლებითა და გაიგივებით. რინდი ამქვეყნად უკვდავებას ზიარებული უმაღლეს ნეტარებას ეძლევა, ამას კი ადამიანი აღწევს მხოლოდ ერთი გზით სასრული ცნების უკუგდებითა და იმის გააზრებით, რომ სულიერად განწმენდილი ადამიანი ყოველივეზე მაღლა დგას.

ზაჰიდი განსხვავდება რინდისაგან, მასაც ერთი სურვილი კლავს, ეზიაროს უკვდავებას. მან სხვა გზა აირჩია, ის ცდილობს განერიდოს ამქვეყნიურ ცხოვრებას, იგი დღედარამ ლოცულობს, რათა თავის თავში ჩაკლას ის ადამიანური ვნებანი, რომელიც მას ცხოვრებასთან აკავშირებს. იგი გაურბის სიყვარულის ხსენებასაც კი. უფრო ხის ცხოვრებას, ეშინია მზის სინათლის, მუდამ კრიალოსანი უჭირავს ხელში, ლოცვითა და რელიგიური რიტუალების მკაცრი დაცვით სურს მიაღწიოს სულის სიწმინდეს. იგი ბუნებით ზედმეტად ფრთხილია, პედანტი, უჭირს ნაბიჯის გადადგმა, მერყეობს და თავის საკანში მთლიანად ღმერთის ნებასაა მიხედობილი. ზაჰიდს ახასიათებს ყველა ის თვისება რაც რინდის მუამბოხე სულს ვერ აუტანია, ამიტომაც მათ შორის მუდამ დავა და შუღლია.

ამ ორ მოქიშპეს, მეტიც დაუძინებელ მტერს შორის ატეხილ დავა-კამათის გადმოცემას ეთმობა დიდი ადგილი აღმოსავლურ პოეზიაში. სწორედ რინდისა და ზაჰიდის რადიკალურად განსხვავებული პოზიციებიდან არის გააზრებული. ის მრავალი პრობლემა,

რომელიც შუა საუკუნეების ფილოსოფიურ-რელიგიურ აზროვნებას აინტერესებდა. ბუნებრივია, რომ რინდის პოზიცია იყო მართებული და პროგრესი. ამიტომაც აღმოსავლელი პოეტი თავის თვალსაზრისს და სათქმელს მისი პირით გვაუწყებდა.

ამრიგად, აღმოსავლური ლირიკა ჯაჭვური ევოლუციური განვითარების სურათს გვაძლევს. ეს ევოლუცია იწყება რეალური საწყისებიდან, გადადის ზოგადში დაბოლოს მაღლდება აბსოლუტური ჭეშმარიტების შემეცნებამდე. ეს არის ურთიერთთან მტკიცედ დაკავშირებული რგოლები, რომლები ერთმანეთისაგან გათიშვა და, განსაკუთრებით კი, საწინააღმდეგო სიბრტყეზე განხილვა სავსებით დაუშვებელია. მეორეს მხრივ, როგორც დავრწმუნდით, სუფიზმი არ უარყოფს რეალურიკონკრეტული ადამიანის სენსუალურ ესთეტიკურ განცდას, მაგრამ სუფიზმის მსოფლშემეცნებაში ეს კონკრეტული ძალზე აქციდენციურია, იგი არის მხოლოდ პირობა ზოგადის გასააზრებლად, რათა ამ უკანასკნელიდან იდეა გამოიკვეთოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Бертельс Е. Суфизм и суфийская литература М., 1965;
2. Джавелидзе Э. У истоков турецкой литературы Джалал-Ед-Дин Руми. Тб., 1979;
3. Восточная поэтика, специфика художественного образа. М., 1970
4. Kocaturk C. Divan Siiri Antolojisi. Ank., 1983;
5. Kabakli A. Turk edebiyati. C. I. Ank., 1963.
6. Mehmet Kaplan. Turk edebiyati uzerinde arastirmalar 1/2 Ist. 1992;

Alkazar Kashia

Shota Rustaveli State University, Batumi

Philosophical Lyrics of the Eastern Divan

Abstract

A lot of religious and philosophical problems are filed and declared artistically in the east medieval lyric poetry and almost all of the issues, that suffered medieval philosophical – religious understanding were shown here : human and God, terrestrial and the beyond worlds, one and diverse, time, and many other ontological, ethical and aesthetic problems were consisted in the circle of philosophical lyrics. But mainly, Focusing on these kind of problems and representing them in the distinct corner, was occurred by the contradistinction of the two main characters- Rind and Zahid, who had radically different points of view.

თამარ კაჭარავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

სამკურნალო მცენარეთა გენეტიკური რესურსი საქართველოში

საქართველოს უმდიდრესი და უნიკალური ფიტოგენოფონდი ბუნებრივ-ისტორიული სიმდიდრეა. იგი მუდმივ მონიტორინგს, კონსერვაცია-აღდგენა-დაცვას საჭიროებს, რადგან იცვლება ანტროპოლოგიური თუ სტიქიური ზემოქმედებებით. პრობლემა აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც მრავალი კულტურულ მცენარეთა და მათი ველური წინაპრების წარმოშობის კერას წარმოადგენს, რასაც განაპირობებს კლიმატური და ნიადაგობრივი მრავალფეროვნება, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ზონალობა, მუტაციური ცვალებადობა, შორეული ჰიბრიდიზაცია, ბუნებრივი

გადარჩევები, ჩვენი წინაპრების მიერ გენოფონდის სწორი ექსპლოატაცია, ხალხური და მეცნიერული სელექცია. აქ გავრცელებულია სამკურნალო მცენარეთა უნიკალური, მაღალეფექტური ენდემური და აბორიგენული სახეობები, თუმცა ბევრი მათგანი დღევანდელი მდგომარეობით გადაშენების პირას არის მისული. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების *ex-siti* და *in-situ/on farmers* უზრუნველყოფა, საზოგადოების ინფორმირების ამაღლება, ეთნობოტანიკური ტრადიციებისა და ფიტოპროდუქციის პოპულარიზების მექანიზმების ინტენსიფიკაცია, მდგრადი გამოყენება. ეს კი სასურველია მოხდეს გენეტიკური რესურსის წარმოშობის არეალში, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მომავალი მოხმარებისათვის გენეტიკური და სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებას, ანუ გენეტიკურ რესურსზე ხელმისაწვდომი კონტროლის მექანიზმის და მიღებული სარგებლის განაწილების პრინციპის ინტეგრირებას ბიომრავალფეროვნების იმ კონვეციით მინიჭებული უფლებებიდან, რომლის წევრიც არის საქართველო 1994 წლიდან. მით უმეტეს, ქართულ ფიტოფარმაცია, ფიტოკულინარიას და ფიტოკოსმეტიკას მრავალსაუკუნოვანი, სახელოვანი ტრადიციები აქვს, დღეისთვის კი პრიორიტეტული დარგი ხდება.

უკანასკნელ წლებში მინერალური სასუქების, პესტიციდების მაღალი ნორმების, გენური ინჟინერიის გამოყენებით მიღწეულ იქნა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა პროდუქტულობის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც დაკავშირებულია მატერიალურ დანახარჯებთან ერთად ეკოლოგიური წონასწორობის და ბიომრავალფეროვნების დარღვევასთან, ყოველივე კი საბოლოოდ უარყოფითად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამიტომაც დღეისათვის აქტუალური „ბიოწარმოების შესახებ“ დადგენილების განხორციელება მოითხოვს შხამ-ქიმიკატების ალტერნატივას, ანუ ფიტოგენეტიკური რესურსისა და ინოვაციური ტექნოლოგიების რაციონალური გამოყენება კლიმატის ცვლილებების გათვალისწინებით დაბალანსებას, რის შედეგადაც მართალია შედარებით მცირე მოსავლიანობით მიიღება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, მაგრამ იგი სამომხმარებლო ბაზარზე მაღალ ფასებში გაიყიდება, მოხდება ბუნებრივი გენპლაზმის შენარჩუნება, შეიქმნება უსაფრთხო, სუფთა, ჯანმრთელი პროდუქცია, დაკმაყოფილდება მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება, მით უმეტეს, XXI საუკუნის დღის წესრიგი მოგვიწოდებს ტოქსიკური და სახიფათო პროდუქტების გავრცელების პრევენციისაკენ. აღნიშნული საკითხი პრიორიტეტულია მცირე-მიწიანი, მჭიდროდ დასახლებული, უნიკალური ეკოსისტემის და ბიომრავალ-ფეროვნების მქონე ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც. ამასთანავე საზოგადოების ინფორმირებულობა და არსებული ეთნობოტანიკური უნარ-ჩვევების დიფერენცირება კი ბუნებრივი ფიტორესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენების რაციონალური მენეჯმენტის შესახებ ეკონომიკური ეფექტის გაუმჯობესების საშუალებას მოგვცემს.

ჩვენს მიერ დამუშავებულია სამკურნალო მცენარეთა ბიომრავალფეროვნების დაცვა-კონსერვაცია-მონიტორინგის, წარმოების და ხარისხობრივი მაჩვენებლების დიფერენცირების კომპლექსური მოდელი, სადაც ერთ მთლიანობაშია გაერთიანებული ერთის მხრივ კვლევა-მონიტორინგი პრიორიტეტულ მცენარეთა გენეტიკური რესურსის მარაგისა ქვეყანაში, მათი შემდგომი დაცვა-კონსერვაციისა და გაუმჯობესების პარამეტრების დაკონკრეტებით, მეორე მხრივ კი მათი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა და ეკონომიკური რეაბილიტაციის აუცილებლობა საქართველოს ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში განთავსება-განვითარებისათვის, ანუ სამრეწველო პლანტაციებისა და თესლის ბანკის შექმნა ბიომრავალფეროვნების ბალანსირებისა და რაციონალური გამოყენებისათვის, მათ შორის:

- ეკოსისტემის პარამეტრთა დიაგნოსტიკა და მონიტორინგი მაღალნაყოფიერ ბლოკში: გარემო-ნიადაგი-მცენარე-სასუქი-მოსავალი (რადიაციის ტესტი, ნიადაგის შემადგენლობა, მძიმე ლითონების განსაზღვრა და სხვა) ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მისაღებად;
- სამრეწველო პლანტაციების გაშენების ტექნოლოგიები;

- პირდაპირი ეკონომიკური ღირებულებების მქონე მცენარეების გამორჩევა, ბიომორფოლოგიური კვლევა, *ex-siti* და *in-situ/on farmers* კონსერვაცია, რაც უზრუნველყოფს ფიტორესურსის დაცვას და მისი კომპონენტების მდგრად გამოყენებას;
- მონაცემთა ბანკის გაფართოება, ფიტოგენეტიკური რესურსის დიფერენცირება მათი დანიშნულების მიხედვით (მაგ. ცოცხალი ორგანიზმებიდან რადიონუკლიდების გამომტანი, ნეირო-დავადებების მკურნალი მცენარეები და სხვა);
- ფართოვდება ბიომრავალფეროვნების ველური და კულტურული სახეობების გენპლაზმის ინტერაქტიული მონაცემთა ბაზა ენდემიზმის მაღალი დონის ფონზე, მათ შორის იშვიათი და გადაშენების პირას მყოფითა, (ერთიანდება ფიტოგენოფონდი და მასთან არსებული ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები შიდა-გეოგრაფიული ზონების მიხედვით);
- არსებული ეთნობოტანიკური უნარ-ჩვევების მოძიება მათი მდგრადი გამოყენების მიზნით;
- მიმდინარეობს ძვირადღირებული თესლის ბანკის განახლება საინტერესო მცენარეთა სასაქონლო ღირებულებების დიფერენცირებით, რათა შემდგომ ეტაპზე მოხდეს მაღალხარისხიანი ნედლეულის წარმოება და ფიტოინდუსტრიის განვითარება, რაც პროექტის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია.

სამკურნალო მცენარეების გამოყენების პოტენციალი სულ უფრო და უფრო იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მედიცინაში, კოსმეტოლოგიასა თუ კულინარიაში უხვად მოიპოვება სინთეტიკურ-ქიმიური საშუალებანი. ეს პროცესი არც არის გასაკვირი, რადგან ამ უკანასკნელთა გამოყენებას თან ახლავს მრავალი თანმდები გართულება, რასაც არ აქვს ადგილი მცენარეული საშუალებების მოხმარებისას. მცენარეებში წარმოდგენილია ფარმაცოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა მთელი სპექტრი, რომლებიც წარმოიქმნებიან ონთოგენეზის პერიოდში მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობით, რაოდენობით და თვისობრივი შემცველობით, მათი ცოცხალ ორგანიზმზე ზეგავლენის ხასიათი დადებითი და სტაბილურია, ნაკლებ უკუქმედებების გარეშე. ამასთანავე მრავალ ქვეყანაში აიკრძალა ანტიბიოტიკები, ამ ფონზე ბიოლოგიურად აქტიური ფიტოდანამატები შეუცვლელ ადგილს დაიჭერენ, რითაც მდიდარია ჩვენი ქვეყნის ბიომრავალფეროვნება. საქართველოს შეუძლია წონადი ადგილი დაიკავოს მსოფლიო ბაზარზე ამ უაღრესად მოთხოვნადი ნედლეულისა თუ პროდუქტის წარმოებით მნიშვნელოვანი შემოსავლით. ამისათვის კი აუცილებელია პირველ რიგში ფიტომონაცემთა ბაზა და ადგილობრივ პირობებთან ადაპტირებული თესლის ბანკი.

საქართველოს სამკურნალო მცენარეთა გენეტიკური რესურსის შესწავლა-გამოკვლევისას აღმოჩნდა, რომ ქვეყნის ეს უნიკალური და მრავალფეროვანი სიმდიდრე არასაკმარისად არის კატალოგირებული და გამოყენებული. უფრო მეტიც, მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები იმ მცენარეთათვისაც კი, რომლებიც ფართო მოხმარების საგანს წარმოადგენენ, დამუშავებული არ არის და მთელი ეს პერიოდი შემოაქვთ მეზობელი ქვეყნებიდან, მაშინ როცა ჩვენი ქვეყნის ნიადაგურ-კლიმატური პარამეტრები ხელსაყრელია მათი კულტივირებისათვის. ლიტერატურა მათ ირგვლივ ვრცელია, მაგრამ იგი ძირითადად ფარმაცო-ბოტანიკური ხასიათისაა. ამიტომაც მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ამ მეტად ღირებულ მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებანი, რომელთა გათვალისწინებით შეიქმნა პროდუქტულობის მაღალნაყოფიერი მოდელი. სამრეწველო პლანტაციების შექმნა ხელს შეუწყობს ქვეყნის ფიტოგენოფონდის შენარჩუნებას. მათი სწორად ჩართვა თესლბრუნვებში და მექანიზაციის პროფესიული გამოყენება შეამცირებს ეროზიულ პროცესებს. ეს უნიკალური მცენარეები მეტად ძვირფასი და შეუცვლელი ნედლეულია არამარტო სამამულო ფიტომრეწველობისათვის, არამედ საექსპორტო პოტენციალის სერიოზული პერსპექტივაც გააჩნიათ. მათი აგრობიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების საფუძველზე უნდა განვითარდეს ქვეყნისათვის ისტორიულად ტრადიციული, ამჟამად მივიწყებული პრიორიტეტი – სამკურნალო მცენარეების ეკოლოგიურად სუფთა, სტანდარტული ნედლეულისა და პროდუქციის

მოყვანა - გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესი დიაგნოსტიკის მაღალნაყოფიერ მოდელში:

- ნიადაგი-გარემო-კლიმატი-მცენარე-სასუქი-მოსავალი მოყვანის წესებისა და თესვის ვადების დიფერენცირებით სხვადასხვა ეკოსისტემაში ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემცველობის გათვალისწინებით, რადგან მცენარეთა სასაქონლო ფასს მათი ხარისხობრივი ტესტები განსაზღვრავს;

- მნიშვნელოვანია სტანდარტული თესლის ბანკის შექმნის სქემა შენახვის ვადებისა და პირობების გათვალისწინებით, რათა მაქსიმალურად შენარჩუნდეს აღმოცენების ხარისხი;

- დაავადებათა მთელი სპექტრის და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური ღონისძიებების დიფერენცირება;

- მიღებული ნედლეულის შენახვის პირობები ხარისხობრივი ტესტების შენარჩუნების მიზნით;

- ბაზრის კონიუნქტურული ანალიზისა და ეკონომიური მარკეტინგის კვლევის სისტემა ეკონომიური ეფექტის გასაუმჯობესებლად.

უკანასკნელ წლებში არსებითად შეიცვალა სამკურნალო მცენარეების არეალი და პოპულაციათა რიცხოვნება, რაც ძირითადად განპირობებულია: ველურად მოზარდი ფორმების უკონტროლო, არარაციონალური მოპოვებით, ეროზიული პროცესებით, გარკვეული არეალის ათვისებით სამეურნეო მიზნებისათვის, საძოვრების გადაჭარბებული ექსპლუატაციით, რაც იწვევს ბალახოვანი საფარის შემადგენლობის ცვლილებებს, ზოგ შემთხვევაში განადგურებასაც, ნაწილობრივ აღდგენასაც კი გარკვეული დანახარჯები და დრო სჭირდება. აღსანიშნავია, რომ წლების მანძილზე ფაქტიურად არ მომხდარა ველური მცენარეების არეალისა და პოპულაციების მდგომარეობის მონიტორინგი, მათი მარაგების განსაზღვრა, რაც იწვევს გენეტიკური რესურსის არამდგრად გამოყენებას. აუცილებელია ამ კატეგორიის მცენარეთა (პირველ რიგში ენდემური, იშვიათი, აგრეთვე იმ სახეობებისა, რომლებიც ინტენსიურად მოიპოვებიან) სტატუსის განსაზღვრა და სახეობათა იდენტიფიცირება წითელ ნუსხაში შესატანად, მათი დაცვა-კონსერვაციის მექანიზმების მოწესრიგება. მით უმეტეს, რომ სამკურნალო მცენარეები არა მხოლოდ ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა, არამედ მნიშვნელოვანი და სტაბილური შემოსავლის წყაროა, ამიტომაც ბაზრის გაფართოება და მოთხოვნათა გაზრდა იწვევს მათი ბუნებრივი გენეტიკური რესურსის მარაგებისა და არეალის შემცირებას. ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტებით საერთაშორისო ვაჭრობის დარეგულირების მნიშვნელობა გაიზარდა მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ ველური ფლორის მრავალი სახეობა, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტებს წარმოადგენენ, გადაშენების კრიტიკულ ზღვარს მიაღწა, მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოებრიობის ერთობლივი ძალისხმევით იქნებოდა შესაძლებელი ასეთი საფრთხის თავიდან აცილება. შეუსწავლელია ველური ფლორის სახეობებით ვაჭრობისა და ქვეყანაში მოხმარების ტრადიციების რეალური ზეგავლენა საქართველოს ბიომრავალფეროვნებაზე. დაბალია ცოდნა ექსპორტ-იმპორტის პოლიტიკის, ბაზრის კონიუნქტურის, მოხმარების ეთნოტრადიციებისა და ქვეყნის ბიომრავალ-ფეროვნების კავშირების შესახებ. მინიმალურია ამ მიმართულებით კვლევების ჩატარების შესაძლებლობები, შესაბამისი პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების მოთხოვნა.

სასარგებლო მცენარეთა წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია სტანდარტული, მაღალმოსავლიანი, გარემო პირობებთან ადაპტირებული თესლის ბანკის შექმნა. იგი საქართველოში ახლა ყალიბდება, საკმაოდ რთული და ძვირადღირებული პროცესია, რადგან მუდმივ განახლება-გაუმჯობესებას მოითხოვს. ამ მცენარეთა თესლის ბაზარი მკაცრად ლიმიტირებულ, ძვირ, თუმცა სტაბილურ შემოსავლიანად ითვლება უცხოეთში. ამიტომაც ხელი უნდა შეეწყოს ჩვენში მის დამკვიდრებას. ამისათვის კი მათი სელექცია სასურველია წარიმართოს ისე, რომ მოხდეს ქვეყნის ბაზრის გაჯერება მაღალმოსავლიანი, კონდიციური, ადგილობრივი, შედარებით იაფი თესლით. თესლი მცენარის ბიოლოგიური და სამეურნეო თვისებების მქონე

ორგანიზმია, მასზე დამოკიდებულია პროდუქტულობა, ხარისხი და სასარგებლო მცენარეთა ნედლეულის სასაქონლო ფასი.

ჩვენი აზრით, მაღალეფექტური ინოვაციური ტექნოლოგიები კლიმატის ცვლილების ფონზე მოქნილი მენეჯმენტით, მომხმარებელთა მარკეტინგის სისტემის გათვალისწინებით და გარემოს დაცვითი ბალანსით შექმნის ეკოლოგიურად ჯანსაღი სასარგებლო მცენარეების ბიოპროდუქტის (მათ შორის სამკურნალო მცენარეები) მიღების პრეცედენტს

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kacarava T., Koiava L., Kalandia A. (2016) – Phenolic compounds and Pectin consist of Vaccinium Corymbosum of Blueberry – International Journal of Advanced Research (2016), ISSN 2320-5407, Volume 4, Issue 7, 2231-2236; Journal homepage: <http://www.journalijar.com> DOI: 10.21474/IJAR01;
2. Kacharava T. (2015) – Sustainable Use Genetic Resources if Medicinal, Aromatic, Spicy, Poisonous Plants, International Conference, “Applied Ecology: Problems, Innovations” Tbilisi, ISBN 978-9941-0-7644-2, <http://icae-2015.tsu.ge>, p.241-246;
3. Korakhashvili A., Kacharava T. (2006) - Catalog of Medicine and Aromatic Plants of Georgia, Tbilisi, Georgia, 35p.

Tamar Kacharava

Georgian Technical University, Tbilisi

Genetic Resource of Medicinal Plants in Georgia

Abstract

We have identified biodiversity of medicinal plants, among them are rare and endangered wild and cultivated species germplasm search-cataloging options, ex-situ and in-situ on farm conservation, creation of existing ethnopharmacological skills data bank, which provides protection of phytogenetic resources and its components sustainable use, upgrading the seed bank with the commodity value differentiate, in order to provide production of raw materials and the development of pharmaceutical industry on next stages.

საკვანძო სიტყვები: სამკურნალო მცენარე, ფიტოგენეტიკური რესურსი, ბიომრავალფეროვნება.

Key words: medicinal plants, phytogenetic resources, biodiversity.

ნინო კახაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

ქართველ და ჩრდილო კავკასიელ მთიელთა სტუმარმასპინძლობის ეტიკეტი ალ. ყაზბეგის შემოქმედებასა და პუბლიცისტიკაში

ჩრდილო კავკასიელ ხალხთა საკითხი რომ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში, ამას არა ერთი გამოკვლევა ადასტურებს. მწერლის ნაწარმოებებში გადმოცემული ჩრდილო კავკასიელ მთიელთა წეს-ჩვეულებები, ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა, თუმცა საინტერესოა როგორ იკვეთება ალ. ყაზბეგის შემოქმედება და პუბლიცისტური ნააზრევო ჩრდილო კავკასიასთან მიმართებაში. ქართველ და ჩრდილო კავკასიელ მთიელთა სტუმარმასპინძლობის საკითხი, ალ. ყაზბეგის ნაწარმოებების მიხედვით, ჩემი კვლევის ინტერესს დიდი ხანია იწვევს („ინტელექტი“, 2005, №1 (17), 90). მაგრამ, ამჯერად, შევეცდები გამოვარკვიო, როგორ აისახა ქართველ და ჩრდილო კავკასიელ ხალხთა სტუმარმასპინძლობის წეს-ჩვეულება ალ. ყაზბეგის ნაწარმოებებში და რას გადმოგვცემს ამის შესახებ მწერლის პუბლიცისტიკა.

მეზობელი ჩრდილო კავკასიელი მთიელების სტუმარმასპინძლობის წესები, განსაკუთრებით გამოკვეთილად ალ. ყაზბეგის ორ ნაწარმოებში, „ციციასა“ და „მამის მკვლელობა“ ნაჩვენებია.

პირველში ფართოდაა აღწერილი სტუმრის მიღების წესები ინგუშეთში, კერძოდ ჯარიახის ხეობაში, „მამის მკვლელობა“ კი ჩეჩნების სტუმართმოყვარეობაა ილუსტრირებული.

როდესაც ჯარიახის ხეობის აღმართში („ციცია“) დაჭრილ ბეჟიას ქისტები წამოეწივნენ, შეჩერდნენ, ვინაობა გამოჰკითხეს, ჭრილობა გაუსინჯეს და პურისჭამა შესთავაზეს. საუბარში გამოირკვა რა, რომ მოხვევს მასპინძელი არ ჰყავდა, „სამთავ შემდეგის სიტყვებით მიაშურეს: „სტუმარი ღვთისაა, ჩვენსა წამოდი!“ მაგრამ მასპინძლებს შორის დავა დაიწყო სტუმარი რომელს დარჩენოდა. სტუმართმოყვარეობის ამ მაღალხეობრივ მოვალებას ალ. ყაზბეგი ასე ასახავს: ისინი სტუმრის წაყვანას ერთმანეთს ეცილებოდნენ და სათაკილოდ სთვლიდნენ სტუმარი მეორესათვის გაეყოლებინათ.“ (ყაზბეგი, 1948, 134). ნაწარმოების მიხედვით მასპინძლები ბედს მიენდვნენ წილი ყარეს და ასე „დაწყნარდა“ სტუმრისათვის „მოდავე“ ხალხი.

ჯარიახელთა ასეთი მასპინძლობით ქართველი მთიელი ძალიან კმაყოფილია, თუმცა, ალ. ყაზბეგი აქვე გვამცნობს, რომ ქართველებიც ასევე იქცევინან ანალოგიურ შემთხვევაში. ნაწარმოებში ვკითხულობთ: „მოხვევს უხაროდა, რომ ამისთანა გულუბნებს მასპინძლებს შეხვდა, თუმცა იმათი საქციელი სრულიადაც არ აკვირვებდა, რადგანაც ამგვარს შემთხვევაში, ისიც ასე მოიქცეოდა და უკანასკნელს საშუალებამდის ეცდებოდა სტუმარი სხვისთვის არ დაენებებინა.“ (ყაზბეგი, 1948, 134).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან კარგად ჩანს, რომ სტუმრის ასეთი პატივით მიღება მხოლოდ ჯარიახელთა ჩვეულება კი არა, ქართველი და კავკასიელი მთიელების საყოველთაო თავისებურება იყო.

ასევე არ ჰყავდათ მასპინძელი ფარჩოსა და მის ძმადნაფიც ქართველ მთიელებს („მამის მკვლელობა“), როდესაც ისინი სამი დატყვევებული რუსი ოფიცრით მიადგნენ ჩეჩნების სოფელ გალაშკას. სოფლის მისადგომებთან მათ მოზრდილი ბაღლი შეხვდათ. მან როგორც კი უცნობებისგან შეიტყო, რომ სოფელში მასპინძელი არ ჰყავდათ, სასტუმროდ თავისი სახლი შესთავაზა, თუმცა მამა და ორი ძმა საომრად იყვნენ შამილთან წასულები.

ოჯახის უფროსის შინ არ ყოფნის გამო, სტუმრები შეყოვნდნენ: „მასპინძელი შინ არაა, წასჩურჩულა კობამ ფარჩოს, მაგრამ დედაკაცმა ყური მოჰკრა და უპასუხა:

„ენრი შინ არაა, მაგრამ განა სახლი ზურგით აიკიდა და თან წაიღო?.. რაცა გვაქვს, ღვთისაგან გვაქვს მოცემული, და სტუმარიც ღვთისაა... გამოიარეთ.“ (ყაზბეგი, 1948, 321).

„ქისტ კაცს რომ ოჯახში ლუკმა არა ჰქონდეს, სტუმრისათვის მაინც გააჩენს ყველაფერს, აღნიშნავს სავსებით სამართლიანად ლეილა მარგოშვილი, სტუმარს ყველაზე საპატიო ადგილზე სვამენ და მასპინძელი მას ფეხზე ამდგარი ემსახურება.“ (1980, 46).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტუმრს ღვთის საჩუქრად სთვლიდნენ მოხვევებიც, ამიტომ უცხო სტუმრის მასპინძელი მხოლოდ ერთი ოჯახი კი არა, მთელი სოფელი იყო. სოფელში უცხოდ მოსულ კაცს მოხვევ მისალმებისთანავე მასპინძლობას სთავაზობდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ უცნობი თავის მასპინძელს დაუსახელებდა.

ამ ტრადიციას „მამის მკვლელობა“ შემდეგი ეპიზოდით ადასტურებს მასში ხევში მისული მთიულის და მოხვევების შეხვედრაა აღწერილი. როდესაც ერთი მთიული ჯღუნას სოფელში შევიდა და მისი სახლი იკითხა, პირველივე შემხვედრი მოხვევ გამოელეპარაკა და მასპინძლობა შესთავაზა. სტუმარს ჯღუნას ნახვა უნდოდა და შემხვედრს მადლობა გადაუხადა. მოხვევ მახუტა კი დაჟინებით ეპატიჟებოდა. ამ დროს შემთხვევით გამოვლილმა ჯღუნამ, გაიგო რა საქმის ვითარება, სიხარულით წაიყვანა სტუმარი. მახუტას კი საყვედურით მიმართა: „ეგ რაღა იცი, ჩე! ცხოთა სტუმარი შენ უნდა მიიპატიჟა?“

როგორც ავტორი განმარტავს მას, „მთის ჩვეულებისამებრ, დიდს სირცხვილად მიაჩნდა სტუმრის დათმობა და თუ ერთხელ ნასტუმრები სხვისას მივიდოდა, მაშინ

მიიპატიჟებდა იმას სახლში სადილად და საყვედურის ნიშნად ციკანს უკლავდა.“ (ყაზბეგი, 1948, 292-293).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამ წეს-ჩვეულებამ ინტერესი გამოიწვია, ალ. ყაზბეგის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაშიც აღმოგვეჩინა სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციასთან დაკავშირებული მოსაზრებები და გაგვეანალიზებინა იყო თუ არა მსგავსება მწერლის მხატვრულ ხედვასა და რეალურ ვითარებას შორის.

მწერლის ეთნოგრაფიულ ნარკვევში, „გადაკარგული მხარე“, რომელიც, ალ. ყაზბეგმა ხევსურების შესახებ 1881 წლის გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა, ვკითხულობთ: „ხევსურები არიან გულწრფელები, პატიოსნები და სტუმრის მოყვარულნი. არას დროს ისინი თავის სიტყვას არ გადავლენ და ვისაც ერთხელ ძმურად ხელს გაუშვერენ, აღარ უღალატებენ სიკვდილამდის. ვისაც ტყვიას გაუცვლიან, ან ძმად გაეფიცებიან ან და იშვილობილებენ, მისთვის მზად არიან თავგანწირვით ყოველ განსაცდელს მიეცნენ. ამ გვარადვე ექცევიან სტუმარს, რომლისთვისაც კარები მუდამ ღია აქვთ და სოფელში რომ შეხვიდეთ, პირველის შემხვედრის კითხვა არის: „მასპინძელ გყავს?“ და თუ არა გყავთ, თუნდა არც გიცნობდეთ, მაინც წაგიძღვებათ, თავის სახლში მიგიყვანთ და მოგიდუღებს ხავიწს, რომელიც საჭმელად ითვლება.“ (№4)

არანაკლებ საინტერესოა ის რიტუალი, რომელიც სტუმრის ოჯახში შეყვანის შემდეგ სრულდებოდა. იგივე „მამის მკვლელობა“ ალ. ყაზბეგი ვრცლად მოგვითხრობს, როგორ მიიღეს ქისტმა მასპინძლებმა სტუმრები. ქისტი ქალი მათ იარაღს აბინავებს, ხდის ფეხთ და ანთებს ცეცხლს, რომელიც მასპინძლის მხიარულებისა და გულუხვობის ნიშანი იყო. (ყაზბეგი, 1948, 322).

მასპინძლის გულითადი შეხვედრის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სტუმრების გამხიარულებაც იყო. მოთხრობაში ვკითხულობთ: „არ გაიარა რამდენიმე წუთმა ამ მხიარულს ლაპარაკში, როდესაც შემოვიდნენ რამდენიმე ყმაწვილი ქალები, რომელთაც დაიწყეს სიმღერა-თამაშობა და შექება სტუმრებისა, რომელთაც ულოცავდნენ სამი აფიცრის დატყვევებას, თუმცა ზრდილობა ნებას არ აძლევდა ეს უკანასკნელები, როგორც უბედურები, მასხარად აეგდოთ.“ (ყაზბეგი, 1948, 322). ასევე იყო ინგუშეთშიც. ჯარიახის ხეობის სოფ. არწიაში (ინგუშეთი) ჯან-ჩორიმ ბავშვებისაგან შეიტყო, რომ მასთან სტუმრები მიდიოდნენ. როდესაც სულთი და მურთუზა ავიდნენ, მათ შენიშნეს, რომ მასპინძლის სახლთან რამდენიმე ყმაწვილი კაცი მოგროვილიყო. ისინი სტუმრებს შეხვდნენ, ცხენები ჩამოართვეს და სახლში მიიღეს. და აქაც აინთო ცეცხლი: „_ ჩემი ბუხარი გაჩაღდა, ჭერმა გაიხარა, თქვენი სტუმრობა რომ გაიგო, მიგებებით და მხიარულად დაიწყო ჯან-ჩორამ, რა მგზავრებს მიუახლოვდა.“ (ყაზბეგი, 1948, 105). შემდეგ კი დასძენს „სტუმარი ღვთისაა, რაც მაქვს, ისიც ღმერთს მოუცია.. აი სახლი და მე კი თქვენი სტუმარი.“ (ყაზბეგი, 1948, 105).

მასპინძლებმა „შეიყვანეს სასტუმროში, შემოხზნეს იარაღი, ქამრები, გაუხსნეს ახალუხისა და ჩოხის ღილები, რბილად დაუგეს ტახტებზე და სულთი და მურთუზა ზედ დასხეს... გაიმართა ჩვეულებრივი განუწყვეტელი ლხინი და სადილი მხოლოდ ვახშმით შეიცვალა, სიმღერა_ცეკვით და თამაშობით.“ (ყაზბეგი, 1948, 106).

საქართველოს მთიანეთშიც ანალოგიური სიტუბოთი ხვდებიან სტუმრებს. თ. ოჩიაური აღნიშნავს: „განსაკუთრებით ძლიერია ლხინის განწყობა უცხო სტუმართან. არ შეიძლება განზე გადგე, მაყურებელი იყო მხოლოდ: მოგილხენენ და მოგალხენენ, თავისი შექცევის მონაწილეს გაგზდიან...“ (1961, 55)

ერთმანეთის მსგავსი სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები დიდი როლს ასრულებდა ქართველი და ჩრდილო კავკასიელი მთიელების კეთილმეზობლურ დამოკიდებულებაში. ჩვეულებათა მსგავსება საკმაოდ აადვილებდა სხვადასხვა ეროვნების სტუმრისა და მასპინძლის ურთიერთობას.

ჭეშმარიტი სტუმარ-მასპინძლობა არა მარტო სოფლისა და თემის მკვიდრთა ურთიერთდაახლოებას უწყობდა ხელს, არამედ ხალხთა შორის კეთილსასურველ ურთიერთობას ამტკიცებდა. ალ. ყაზბეგთან ეს დასტურდება მის მიერ აღწერილ როგორც ინდივიდუალურ, ისე მასობრივი ხასიათს სტუმარ-მასპინძლობაში.

„მამის მკვლელის“ მიხედვით, ხატობაზე მიმავალმა ქისტმა ფარჩომ თან იაგო და თავისი მეგობრებიც წაიყვანა. როგორ მიიღეს ჩეჩნებმა ქართველი სტუმრები, ამაზე მოთხრობაში ვკითხულობთ: „ესე მხიარულად მიდიოდა ხატობა. იაგოს თავისი ამხანაგებით ხან აქ იწვევდნენ, ხან იქ და, როგორც სტუმრებს ღვთისაგან მოცემულს, ყოვლის ღონისძიებით ცდილობდნენ პატივი ეცათ და წესიერად დახვედროდნენ.“ (ყაზბეგი, 1948, 306).

ასევე პატივით წაიყვანეს ბეჟია ჯარიახის ხეობის (ინგუშეთი) ხატობაზე გზად შეხვედრილმა ქისტებმა, მოთხრობა „ციციაში.“ ხატობაზე ბეჟია და სულთი ძმად შეეფიცნენ ერთმანეთს. „ხალხი აიშალა და მიეხვია სულთის და ბეჟიას, რომელთაც ახალს ნათესაობას ულოცავდნენ და აქეთ-იქით ეპატიჟებოდნენ, რომ თუ სადილით არა, თითო კათხა ლუდით ან თითო ყანწი არაყით პატივი ეცათ.“

კავკასიელი მთიელისათვის სტუმრის მფარველობა ერთ-ერთი საპაუხისმგებლო და საპატიო ტრადიციაა. სტუმრის მფარველობა როგორც ერთი ოჯახის, ისე მთელი საზოგადოების ვალდებულება იყო. „ნებისმიერი პიროვნება, ვინც სტუმარს უდიერად მოეპყრობოდა, მით უმეტეს მას დასჭრიდა ან მოკლავდა, მთელი სიმკაცრით პასუხს აგებდა როგორც მასპინძელი ოჯახის, ისე მასპინძლად მიჩნეული სოფლისა და თემ-საზოგადოების წინაშე. სოფლისა და თემისათვის უკიდურესად მძიმე სირცხვილად ითვლებოდა მათი სტუმრის მუხანათურად დაჭრა ან მოკვლა.“ (ითონიშვილი, 1989, 228).

იგივეს აღნიშნავს ხ. მამისიმიედიშვილიც: რომ სტუმრის შეურაცხყოფის შემთხვევაში „მასპინძელი ვალდებულია დასაჯოს დამნაშავე, ხოლო თუ სტუმარს მოკლავენ, მასპინძელმა შური უნდა იძიოს.“ (1997, 42)

მოთხრობა „ციციას“ მიხედვით, ჯარიახის ხეობაში სტუმრად მიმავალი ბეჟია ლარსელმა ოსმა, თემურყომ მუხანათურა დაჭრა. ეს ამბავი თემის მსჯელობის საგნად იქცა და თემურყო მოკვეთეს არა მარტო ჯარიახის ხეობიდან, არამედ მეზობელი თემებიდანაც. მთიელთა შეგნებით მეგობრობისა და სტუმარმასპინძლობის მგმობელი სიცოცხლის ღირსიც კი არ არის. ამიტომ დაუპირა სულთი ჯახოტმა სიკვდილი ოს თემურყოს და ხალხი რომ არ ჩარეულიყო, ალბათ ასეც მოხდებოდა.

სტუმარი რაკი ეზოს კარს შეაღებდა, მოსისხლე მტერიც რომ ყოფილიყო მასპინძელს მის მიმართ პატივისცემა მართებდა. მასპინძელი ვალდებული იყო დაეცვა „მისი უსაფრთხოება და რაიმე მოულოდნელობის შემთხვევაში გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა.

ახალ კი ვნახოთ, როგორ აღწერა ალ. ყაზბეგმა შამილისა და მასთან მისული ქართველების შეხვედრა „მამის მკვლელში.“ ჯარიახელმა ფარჩომ შამილის კარავში ქართველი მთიელები შეიყვანა, „იმათ შესვლაზედ შამილი წამოუდგა ფეხზედ, მიეგება კარებთან და მიესალმა.

_გაუმარჯოს განთქმულს მთიელებს! მე მიხარია, რომ ჩემს საწყალს ქოხში თქვენ სტუმრად გხედავთ.

_გიშველოს უფალმა!_უპასუხა იაგომ: _ჩვენთვის ბედნიერებაა შენი ხილვა...“ (ყაზბეგი, 1948, 334).

გაცნობისა და ერთმანეთთან ერთგულების ფიცის დადების შემდეგ შამილი ასე მიმართავს ნაიბებს: „ნაიბნო! ესენი სახალხო სტუმრებია! თქვენ არ გესწავლებათ, თუ როგორ უნდა სტუმარს დახვედრა, მაგრამ ერთს კი გეტყვით: ვინც ამათ აწყენინებს მე მაწყენინებს, ვინც ამათ ატყენს რასმე _ მე მატყენს!“ (ყაზბეგი, 1948, 334).

ალ. ყაზბეგის ნაწარმოებებში აღწერილი სტუმრის მიღებისა და დახვედრის წესს, რომელიც თითქმის იდენტურია ქართველ და ჩრდილო კავკასიელ მთიელებში, მწერალი პრესის ფურცლებიდანაც აცნობს საზოგადოებას. მასალების გაცნობისთანავე ნათელი ხდება როგორ რეალისტურია მწერლის შემოქმედება და ამასთანავე, როგორი მაღალმხატვრული.

1880 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში „მოხვევები და იმათი ცხოვრება,“ უამრავ საინტერესო ცნობას ვხვდებით მოხვევების ყოფისა და ტრადიციების შესახებ. ხოლო, თუ როგორ ხვდებიან მოხვევები სტუმარს, ვკითხულობთ: „აპრილიდგან მოყოლებული, მაისის ოცამდინ, ხატობა მოდის და რომელი სოფლის ხატობაც კი იქნება,

იმათი მოვალეობა არის დაუხვდენენ და უმასპინძლონ მახვეწართ, სტუმართ, ანუ ისე დროის გასატარებლათ მოსულს ხალხს.

ამ გვარს შემთხვევებში სტუმრათ მოსული ხალხი ერობაში შეიყრება, სოფლიდგან კომლზე თითო კაციც იქ ჩამოვა და სტუმრებს თანასწორეთ გაიყოფენ და წაიყვანენ თავიანთ სახლში. თუ დაუგვიანდა ვისმეს და სტუმარი ვეღარ იშოვნა იმისათვის მოსვენება აღარ არის იმ დღეს. ზოგი სოფელს გარეთაც კი დაუხვდება მომავალს სტუმარს და იქიდგანვე წამოიყვანს. და თუ ესეთი მოქმედება სხვებმა შეუტყვეს, უჩხუბოთ ვერ გადარჩება მეტისმეტათ გულუხვი მასპინძელი.“ (№ 164).

მწერლისათვის ნათელია, რომ სტუმარმასპინძლობის ტრადიციები თითქმის ერთნაირი აქვთ კავკასიელ მთიელებს. იმ ეპიზოდებში, რომლებშიც სტუმრის დახვედრაა ასახული არანაირი განსხვავება არ იგრძნობა მასპინძლები ქართველები არიან თუ სხვა კავკასიელი მთიელები.

აღ. ყაზბეგის შემომედებაში ნათლად ჩანს, რომ მწერალი სტუმარმასპინძლობას ჰუმანურ ჩვეულებად მიიჩნევდა და ადამიანურ ურთიერთობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

როგორც მკვლევარი ო. მიმინოშვილი აღნიშნავს „აღ. ყაზბეგმა მთიელთა ცოცხალი ყოფიდან აღებული კონკრეტული მაგალითებით უჩვენა ქართულ-კავკასიური, პირველ რიგში კი ქართულ-ვაინახური ეთნო-კულტურული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ფესვები ქართული მთიური პოეზიის უპირველეს წარმომადგენელთან, ვაჟა-ფშაველასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა შემდგომში აკადემიკოსების ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მიერ წამოყენებული იდეის კავკასიურ სივრცეში „ერთიანი კავკასიური კულტურული სამყაროს“ არსებობის, შესაბამისად კი მისი კვლევის აუცილებლობის შესახებ.“ (2002, 33).

სტუმარმასპინძლობის ტრადიციასთან დაკავშირებით, აღ. ყაზბეგის შემოქმედების და პუბლიცისტური მასალების ერთ მთლიანობად აღქმა, ნათელი დასტურია იმისა, რომ მწერლის მხატვრული ნააზრევი რეალისტურ ფესვებს ემყარება და ქართველ და ჩრდილო კავკასიელ მთიელთა ტრადიციების გადმოცემა საერთოდ არ არის მწერლის სუბიექტური განწყობა. საუკუნეების თანცხოვრების გამოცდილება და თითქმის ერთნაირი ტრადიციები, მწერალს საფუძველს აძლევდა ეფიქრა ერთიანი კავკასიური სივრცის კულტურული თუ საზოგადოებრივი არსებობისა და მისი გამტკიცების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ყაზბეგი, ა. (1948). *თხზულებანი*. ტ. I. თბილისი: საბჭოთა მწერალი.
2. ყაზბეგი, ა. (1948). *თხზულებანი*. ტ. II. თბილისი: საბჭოთა მწერალი.
3. მარგოშვილი, ლ. (1980). *ცენტრალური კავკასიონის მთიელი ქალის ტანსაცმელი*. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.
4. ოჩიაური, თ. (1961). *სტუმრად თუშეთში*. თბილისი
5. ითონიშვილი, ვ. (1989). *ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები*. თბილისი: მეცნიერება
6. მამისიმედიშვილი, ხ. (1997). *ვაინახები და ქართველი მთიელები*. თბილისი: ლომისი.
7. მიმინოშვილი, ო. (2002). *აღ. ყაზბეგის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ქართულ-კავკასიური პარალელები*. თბილისი.
8. გაზ. დროება, 1880, № 164
9. გაზ. ივერია, 1881, №4

კახაშვილი, ნ. (2005). *სტუმარმასპინძლობის ეტიკეტი ქართველ და ჩრდილო კავკასიელ მთიელებში* (აღ.ყაზბეგის ნაწარმოებების მიხედვით). ჟურნ. „ინტელექტ“

Abstract

**The Etiquette of Georgian and North Caucasian Mountaineers Hospitality in
Al. Kazbegi Creation and Publicism**

The paper deals with the reflection of Georgian and North Caucasian people hospitality traditions in Al.Kazbegi works. It also depicts what the writer's publicism reveals about this.

In that regard, perception of Al.Kazbegi's creation and publicistic materials as a unit is the clear confirmation of the fact, that the writer's figurative thought-out is based on realistic roots; that the depiction of Georgian and North Caucasian mountaineers' traditions does not represent the writer's subjective attitude.

It is confirmed, that Al.Kazbegi with his figurative creation and publicism used to give society information about similar traditions characteristic to Georgian and North Caucasian mountaineers serving to establish favorable relations between Georgian and North Caucasian people.

საკვანძო სიტყვები: სტუმართმასპინძლობა, ალ. ყაზბეგი, ჩრდილო კავკასიელი მთიელები, ტრადიციები

Keywords: hospitality, Al. Kazbegi, Noorth Caucasian mountaineers, tradition

მარიამ კიკონიშვილი, მაია აბალაკი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი

**„სიკვდილი“ ქართველი და რუსი ეთნოსების სამყაროს
ენობრივ სურათში**

ცნობილია, რომ ყოველი ენა თავისებურად ასახავს ობიექტურ სამყაროს. ეს თავისებურება განისაზღვრება იმ კულტურულ-ისტორიული გამოცდილებით, რომელიც ადამიანის ცნობიერებაში აყალიბებს სამყაროს ენობრივ სურათს. იგი განსხვავდება სხვა ენების მატარებელთა ენობრივი სურათისაგან და სპეციფიკურ ელფერს ატარებს. სწორედ ამიტომ საინტერესოა სამყაროს ენობრივი სურათის წარმოჩენა სხვადასხვა სისტემის ენათა მიხედვით, კონცეპტების კვლევა განსხვავებულ კულტურათა კონტექსტში (А.Вежбицкая, 1999: 33).

ლინგვისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ადამიანის სულიერი და ფიზიკური მდგომარეობის ამსახველი კონცეპტები, ამ მხრივ საინტერესოდ გვეჩვენება კონცეპტი „სიკვდილი“. იგი აზრობრივად მრავლისმომცველია, გულისხმობს როგორც ინტელექტუალურ, ისე ემოციურ შეფასებას, მოიცავს იმ მახასიათებლებს, რომლებიც განსხვავდება სხვადასხვა ეთნოსში მენტალური ღირებულების თვალსაზრისით.

საზოგადოების დამოკიდებულება სიკვდილისადმი იძლევა საშუალებას განვასხვაოთ ამა თუ იმ ეთნოსის კულტურული მსოფლხედვა. წარმოდგენა სიკვდილზე, როგორც მოვლენაზე, უნივერსალურია, თუმცა თვითმყოფადობა ყოველი ნაციონალური კულტურისა (რწმენა, ტრადიცია, რიტუალი, წარმოდგენა და ა. შ.) განაპირობებს თითოეული ეთნოსის ენობრივი ცნობიერების უნიკალურობას.

სიკვდილის გაგება რამდენიმე ასპექტით არის შესაძლებელი: 1. ბიოლოგიური (სიცოცხლის გარდაუვალი შეწყვეტა). 2. ფილოსოფიური (ადამიანი, დანარჩენი ცოცხალი

არსებებისგან განსხვავებით, აცნობიერებს ამ მოვლენას, როგორც სიცოცხლის უკანასკნელ მომენტს). 3. რელიგიური (სული ტოვებს სხეულს და აგრძელებს სიცოცხლეს).

სიკვდილის კონცეპტუალური სფერო არ არის სტატიკური, იგი მუდმივად იცვლება, მის დინამიკაზე გავლენას ახდენს საზოგადოების გამოცდილება, საერთო კულტურული ფონი და დამოკიდებულება ფასეულობათა მიმართ. ამიტომ სისტემური ანალიზი კონცეპტ „სიკვდილისა“ წარმოდგენილია ამ ფაქტორების გათვალისწინებით. ალბათ არცერთ მოვლენას არ გამოუწვევია ადამიანში იმდენი ფიქრი და ისეთი ძლიერი ემოცია, როგორიც სიკვდილს. კონცეპტ „სიკვდილის“ რეპრეზენტანტებს წარმოადგენს: **გარდაუვალობა, გაურკვევლობა, შიში**. გარდაუვალობა ობიექტური კომპონენტია, იგი არ არის დამოკიდებული ადამიანის ნებაზე, გონებაზე, ხოლო შიში გარდაუვალობისა და გაურკვევლობის შედეგია და სუბიექტურ ფაქტორად გვევლინება.

შიშისა და გაურკვევლობის ზემოქმედების საფუძველზე ადამიანს ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე ჩამოუყალიბდა სხვადასხვა წარმოდგენა სიკვდილზე, რომელიც იცვლებოდა, ფართოვდებოდა საუკუნეების მანძილზე.

სიკვდილის მიმართ დამოკიდებულება გამოხატულია მისი პერსონიფიკაციით. ადამიანის ცნობიერებაში ჩამოყალიბდა სიკვდილის ხატი, დაკონკრეტებული თავისი გარეგნობითა და თვისებებით. იგი განსხვავებულადაა წარმოდგენილი სხვადასხვა კულტურაში, რასაც ამა თუ იმ ხალხისათვის დამახასიათებელი ყოფა და ტრადიციები განაპირობებს. ქართველისთვის სიკვდილი კაცთანაა ასოცირებული, ამას მისი სახელიც ადასტურებს. მიქელ-გაბრიელი მთავარანგელოზების, მიქაელისა და გაბრიელის, სახელთა შერწყმითაა მიღებული. მიქელ-გაბრიელი სიკვდილის მაცნე ანგელოზია, სიკვდილის მოციქულია, სულის წამრთმევი, სულთამღები, სულთამხუთავია: „ამომხდა თუ არა სული, სულთამხუთავმა მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზმა მაშინვე ანგელოზებს გადამცა“ (აკაკი წერეთელი); „მიქელ გაბრიელ ფეხთან ეყუდის“ (ქართლ.);³³ „უთხრა მიქელ-გაბრიელმ, ეხლავ შენივ ჯერიავ, შენ უნდა წაგიყვანოვ (თუმ.)“.

განსხვავებული ვითარებაა რუსულში, სადაც სიკვდილი ძირითად ქალის სახით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება იყოს მოხუცი და ახალგაზრდაც, ოღონდ სხვადასხვა სამოსელში: *костлявая старуха, укутанная в темную одежду; девушка в белом, манящая в могилу...* საგულისხმოა, რომ რუსულში სიტყვა *смерть* მდებდრობითი სქესისაა. თუმცა, რუსულ ხალხურ ეპოსში ზოგჯერ სიკვდილი მოხეტიალე მათხოვარი მამაკაცის სახით გვხვდება: *калика переходящий*.

სიკვდილის გარეგნული მახასიათებლები სუბიექტური და ცვალებადია, სწორედ ეს განაპირობებს მათ მრავალფეროვნებასა და განსხვავებულობას. სიკვდილი გამხდარი, მჭლე, გაძვალტყავებულია, მისი მთავარი სიმბოლო ჩონჩხია: „ის მჭლე კაცი რასა სცელს და რასა სთიბავს?“ (დ. გურამიშვილი)... *скелет с косою в черном балахоне с капюшоном....* როგორც ადამიანს, მას აქვს თავი, თვალი, ფეხი, ცხვირი, ხახა და სხვ. სიკვდილის პერსონიფიკაციის უნიკალურ სურათს ქმნის დავით გურამიშვილი:

„სიკვდილო, მიკვირს მე შენი, ნეტა რაში გაქვს ძალები,
ტანზედა ხორცი არ გაკრავს, ხარ ცარიელი ძვალები,
თავის სოროებს მიგიგავს ცხვირი, პირი და თვალები,
ამდენის სულის ხოცითა რატომ არ დაიღალე“.

ამგვარი წარმოდგენა სიკვდილისა დამახასიათებელია ქართული და რუსული ენების როგორც ხალხური, ისე მხატვრული შემოქმედებისათვის: *სიკვდილი თავს ყოფს; სიკვდილმა ხელი ჩაგავლო; მისწვდა სიკვდილის ხელი; სიკვდილს ჩახედა თვალებში; სიკვდილი თვალს აპარებდა; სიკვდილმა ხახა დაადო; ისინი სიკვდილის ხახაში ტრიალებდნენ; თავი მედო სიკვდილის მკლავზე; სიკვდილის კლანჭებში მოექცა... старуха с впалыми глазами; косая старуха; безногая старуха; курносая смерть глядит тебе в глаза; старуха с*

³³ დიალექტური მასალა დამოწმებულია ქართული დიალექტური კორპუსიდან <http://www.corpora.co>

острыми когтями; смотреть смерти в глаза; смерть дышит в лицо; он отдался в руки смерти... სიკვდილის პორტრეტის ყველაზე გავრცელებული ატრიბუტია ცელი: „ძვლები ხარ, მკვდარი, უსულო, ცელი კარგ მთიბავს გიგავსო“ (დ. გურამიშვილი); „მარჯვენას გეპყრა სიკვდილის ცელი“ (გრ. ორბელიანი); „შემოდოდა სიკვდილი ცელით!“ (ვ. ნადირაძე)... Старуха с косой всех пугает своей косой... რუსულში ზოგჯერ შეიძლება ცელის ნაცვლად შეგვხვდეს ჯოხი: «Однажды смерть-старуха пришла за ним с клюкой» (Песенка)... სიკვდილს სპეციფიკური ფერი აქვს, ადვილად იცვლის თავის გარეგნობას: „იქ მიშობს შავი სიკვდილი, ბარში სიცოცხლეც იმწარის“ (რ. ერისთ); „ზნელი სიკვდილი ვეღარ მიეკარება მათს ნათელ ყოფას“ (ვ. ბარნ.)... «Ты румян как маков цвет, я как смерть и тощ и бледен» (А.Пушкин); «Чёрная смерть у дверей в страшных одеждах стоит» (Е.Шестаков); «Белая ночь как белая смерть к окну притихшая» (А.Зорин).

ადამიანი სიკვდილს მიაწერს ანთროპომორფულ ქმედებებს: ის დადის, დაძრწის, დაგელავს, დასეირნობს, ეძებს, დარაჯობს, მოიპარება, ლაპარაკობს, მღერის, იცინის, მას ავიწყდება, ახსენდება, სძულს, უყვარს და ა. შ. *სიკვდილი წამეწია; თავზე სიკვდილი დამადგა; სიკვდილი მოგვეპარება; სიკვდილი მოვა უჩინო; სიკვდილი ყურს უკან გვიზის; მამევიდა უხილავათ და ფეხით დაუჯდა; უკან გახყვება სიკვდილი; სიკვდილი უვლის გარსაო; სიკვდილი გაღმა გავიდა...* Смерть бродит где-то неподалеку; Смерть рыщет по полям; Смерть бесчинствует повсюду; Не ты смерти ищешь; она тебя сторожит; Подкралась злая смерть ко мне; Смерть стучится в дверь; Смерть склонилась к изголовью; Смерть затащила свою унылую протяжную песню; Хохочет смерть; сыграв на бис каприс...

სიკვდილი გარდაუვალი და საშიში მოვლენაა, ის გამანადგურებელია, მომსპობია, ამიტომ ადამიანის დამოკიდებულება მის მიმართ უმეტესად უარყოფითია. ტიალი, წყეული, დაუნდობელი, შემადრწუნებელი, სასტიკი, შეუბრალებელი, ბრმა... ყველაზე გავრცელებული ეპითეტებია, რომლებიც სიკვდილის დასახასიათებლად იხმარება. ასევეა რუსულშიც: беспощадная, жадная, злая, лютая, мрачная, невозмутимая, роковая, угрюмая, истязательная, слепая... ქართულში ადამიანის დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ გამოხატულია ზმნური ფორმითაც: **ესიკვდილება** – ეზარება, სიკვდილივით ეჯავრება (ქეგლ).

ქრისტიანულმა რელიგიამ სიკვდილისადმი დამოკიდებულება არსებითად შეცვალა. სიკვდილი არის დასაბამი ახალი, მარადიული სიცოცხლისა. სული, სხეულისაგან განსხვავებით, არამატერიალური, თავისთავადი, უკვდავი რამ არის და სიკვდილის, სხეულთან გაყრის შემდეგაც განაგრძობს არსებობას იმქვეყნიურ სამყაროში (ქსე, 1985: 600). ქრისტიანულ-ფილოსოფიური მსოფლხედვით, შიშის დამღევა ხდება უცნობის შეცნობის გზით: სიკვდილი არის არა გამქრობი, მომსპობი, გამანადგურებელი, არამედ გარდამქმნელი. ამგვარად შეტანილია კორექტივები სიკვდილის გარდაუვალობის პოსტულატში. სიცოცხლე მარადიულია, იგი არ სრულდება, უბრალოდ, მას აქვს ორი განზომილება, ამქვეყნიური და იმქვეყნიური. აღესრულა, დასრულდა ერთი ფორმა, განზომილება სიცოცხლისა. ამგვარი ხედვისა და გააზრების შედეგად ქართულ და რუსულ აგიოგრაფიულ ლიტერატურაში დადასტურებული სიკვდილის აღმნიშვნელი ენობრივი საშუალებები განსაკუთრებული ხატოვანებითა და სადღესასწაულო შეფერილობით ხასიათდება: *შეჰვედრა სული უფალს; წარვიდა თვისისა მამისა; მიიწოდა ზენამან სუფევამან, მისცა სული თვისი ანგელოზთა; მიუღო სული; აღესრულა; განისვენა; დაიძინა; მიიძინა; მიიღვა...* из тела отошёл к Богу; в руки Божии предал свой дух; отдал Богу душу; волей Божией помре; почил в Бозе (безмятежно); ушёл в лучший мир; испустил дух; кончил земное поприще; отправился в вечность (лоноАвраамово); переселился в лучший мир...

ქართულ და რუსულ ენებში საკმაოდ ბევრია გარდაცვალებასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები და ფრაზეოლოგიზმები. მათში ასახულია ზემოთ ნაჩვენები განსხვავებული ტენდენციები. ისინი გამოხატავენ როგორც ხალხურ წარმოდგენებს ამ მოვლენასთან დაკავშირებით, ასევე ქრისტიანულ ხედვას. ხშირად ვხვდებით ამ ტენდენციათა შერწყმას, დაახლოებას. ქრისტიანული მსოფლხედვა დღეს გავრცელებულ არაერთ ლექსიკურ ერთეულშია შენახული, ესენია: გარდაიცვალა, განისვენა, აღესრულა..

მათგან ნაწარმოები მიმდებარე ფორმები: მიცვალებული, განსვენებული... *отойти, представиться, почить, опочить... почивший, усопший, сушпокойный...* რელიგიური წარმოდგენის შედეგია აგრეთვე სულის შემცველი ფრაზოლოგიური გამოთქმები: სული დალია, სული განუტევა... *отдать Богу душу; испустить дух...* უმრავლესობა ამ ენობრივი საშუალებებისა მეტაფორულია, ზოგს კი რეალური ფაქტი, ამბავი, რიტუალი უდევს საფუძვლად, მხოლოდ რამდენიმეა, რომლებიც დაცლილია მეტაფორული აზროვნებისაგან და ნეიტრალური შეფერილობისაა. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ორ მათგანზე: **მოკვდა** და **დაიღუპა**. ქართულ და რუსულ ენებში გაყოფილია მათი გამოყენების სფერო, მოკვდა ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვალებას აღნიშნავს, დაიღუპა – უმეტესად უზედური შემთხვევისას. ქართულში გვაქვს მათი ჩანაცვლების შემხვევებიც: **დაიღუპება** მოკვდება, მსხვერპლი გახდება (რაიმე უზედური შემთხვევისა) (ქეგლ); **იღუპება** ბოლო ედება, კვდება (ქეგლ); **ელუპება** 1. ბოლო ედება, კვდება (ქეგლ). რუსულში, ქართულისაგან განსხვავებით, სიტყვა *умереть* ვერ ჩანაცვლება *погибнуть*-ს: *Все пассажиры погибли в авиакатастрофе. Погиб в бою. «Погиб Поэт! – невольник чести» (М.Лермонтов).* ქართულში სიტყვა **მოკვდა** გამოიყენება როგორც ადამიანის, ასევე ცხოველის სიკვდილის აღსანიშნავად, რუსულში ლექსემები *сдохнуть* და *околеть* მხოლოდ ცხოველის მიმართებით გვხვდება, ადამიანების მიმართ გამოიყენება ლანძღვის ან დაწყევლის დროს: *Чтоб ты сдох! Чтоб ты околел!*

ქართულ და რუსულ სასაუბრო მეტყველებაში ბევრია ისეთი სიტყვა თუ ფრაზოლოგიური გამოთქმა, რომლებიც აკნინებენ, აიოლებენ სიკვდილს ირონიის საშუალებით. სიკვდილის შიშს ადამიანი სძლევს ხუმრობით, სიცილით: *ყალიონი მიაყუდა; წავიდა მარილზე; წერილი წაიღო; ფეხები გაფშკა; ჭირი მოგჭამა...* *приказать долго жить; сыграть в ящик; отдать концы; откинуть копыта; дать дуба; врезать дуба; протянуть ноги; свернуться; загнуться; скапнуться...*

სიცილი ადამიანს ეხმარება გაიაზროს სიკვდილი, როგორც ამბივალენტური მოვლენა, ერთი მხრივ, კვდომის გარდაუვალი პროცესი, მეორე მხრივ, ახალი სიცოცხლის დასაწყისი. ყოფით მეტყველებაში ხშირად რელიგიური მსოფლხედვა განსხვავებული სტილითა და ირონიული შეფერილობით არის ასახული: *ჩაბარდა პატრონს; სული ამოსძვრა; სული გააცხო; გავიდა გაღმა; იმ სოფლიდან მოკითხვა შემოგითვალა...*

რუსულ ენაში შეიძლება შეგვხვდეს კნინობითობის ფორმაც ამ სიტყვისა: *смертынька, смертушка*. ესეც ერთგვარი ხერხია სიკვდილთან გაშინაურებისა, სიკვდილის შიშის დაძლევისა.

გარდაცვალებასთან დაკავშირებული სიტყვები და ფრაზოლოგიზმები კონცეპტში შემავალ სხვადასხვა კომპონენტს ასახავს. რამდენადაც მრავალწახნაგოვანია ხედვა, იმდენად მრავალფეროვანია ენობრივი მასალა, რომელშიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასახულია კონცეპტის ძირითადი რეპრეზენტანტები: გარდაუვალობა, გაურკვევლობა, შიში. მათში ჩანს ადამიანის როგორც ობიექტური ცოდნა თუ არცოდნა (გაურკვევლობა), ისე მისი სუბიექტური დამოკიდებულება ამ ფაქტის მიმართ (შიში). ადამიანმა იცის, რომ აუცილებლად მოკვდება (გარდაუვალობა): *ყველანი სიკვდილის შვილები ვართ; ცას არავინ გამოეკერება; სიკვდილს ხელი არ შეეშვირების... უსიკვდილოდ – უთოოდ, აუცილებლად* (ქეგლ). *Смерть причину найдет; Смерть в гости не зови, сама придет; На всех одна смерть; От смерти нет зелья; От смерти шлемом не закроешься...* ადამიანმა იცის ისიც, რომ დატოვებს, გამოეთხოვება წუთისოფელს, სიცოცხლეს, სააქოს, მზეს: *წუთისოფლიდან წავიდა; სააქოს დაემშვიდობა; სააქო დატოვა; საწუთრო დაცალა; წუთისოფელი მოჭამა; მზეს მოსწყდა; მზე დაუბნელდა; მზე ჩაუსვენდა; მზე გაუქრა; სიცოცხლეს გამოესალმა...* *Свет из очей выкатился; проститься с жизнью; уйти из жизни...* ის აუცილებლად წავა, მაგრამ სად წავა, ამაზე პასუხი არაერთგვაროვანია: წავა მიწაში: *მიწას მიაბარეს; მიწას ამოეფარა; მიწამ ჩაიკრა გულში; შავმა მიწამ წაიღო...* *уйти в могилу; лечь в землю; заснуть могильным сном; кормить червей; отдать должное земле...* (მიწის შემცველ ფრაზოლოგიზმებში ასახულია ამ ეთნოსებისათვის დამახასიათებელი საერთო წესი მიცვალებულის დამარხვისა).

ის შეიძლება წავიდეს უფალთან, ცაში, იქ (საიქოს), გაღმა, შორს, საიდანაც აღარ ბრუნდებიან: *უფალს ჩაბარდა... სული გაგზავნა ცაში... საიქოს გაემგზავრა... სოფლის გაღმა გააბიჯა... მოუსავალში წავიდა...* отойти к Богу; уйти на ниву Божию; предстать перед Богом уйти в мир иной; уйти в лучший мир; отправиться на тот свет; отправиться к праотцам; отправиться в вечность; уйти в Могилевскую губернию; отправиться в Елисеевские поля...

ქართული და რუსული ენობრივი მასალის შედარებამ აჩვენა ბევრი მსგავსება ამ ეთნოსების მიერ სიკვდილის აღქმის, წარმოდგენისა თუ შეფასების თვალსაზრისით. ამას განაპირობებს საერთო კულტურული ფონი და რელიგიური მსოფლმხედველობა. გარდა მსგავსებისა, ჩანს საინტერესო თავისებურებები და ნაციონალურ-სპეციფიკური მახასიათებლები, რომელთა გამოვლენა და შესწავლა სიღრმისეულ და თანამიმდევრულ კვლევას საჭიროებს.

ლიტერატურა:

- ამირეჯიბი რ. (1999): "სიკვდილის" სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში// 'ენათმეცნიერების საკითხები", 1, 80-88.
- გელენიძე ლ. (1974): ადამიანის ანატომია - ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში, მეცნიერება, თბილისი.
- ნეიშანი ალ. (1951): ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, სახელგამი, თბილისი.
- რუსულ-ქართული ლექსიკონი (1983): საბჭოთა საქართველო, თბილისი.
- სახოკია თ. (1979): ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, მერანი, თბილისი.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (1950-1964): 1- 8, თბილისი.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, (1985) ტ. 9, თბილისი.
- Е. А. Александрова (1986): Словарь синонимов русского языка. М..
- А. Вежбицкая (1999): Семантические универсалии и описание языков. М.
- В. Жуков (2000): Словарь русских пословиц и поговорок. М.
- Словарь русского языка (1987): 1-4, М.
- Словарь современного русского литературного языка (1948-1965): 1- 17. М.
- Словарь синонимов русского языка под ред. А. П. Евгеньевой (1971): М.

Mariam Kikonishvili, Maia Abalaki

Arnold Chikobava Institute of Linguistics, Tbilisi

"Death" in the Linguistic Picture of the Universe of Georgian and Russian Ethnoses

Abstract

In recent years, great attention is being paid to researches, the aim of which is to show a picture of the universe, created through a language of this or that ethnos. Special significance is given to such researches in the context of different cultures. From the point of view of cultural linguistics, phraseological locutions/units are stirring great interest, as in them are reflected human perceptions about the universe. In the work is examined the concept of the "death", using the examples of the figurative words and expressions of Georgian and Russian languages. The notion of death is not static, it is constantly changing, it undergoes influence of human experience, common cultural background, public attitude towards values. Thus, the systematic analysis of the concept "death" is

presented as hierarchical stages: before Christianity (which is associated with people's imaginations) and Christian (we mean hagiographic and secular fiction).

In the work are shown the relations, which are common for these languages from the point of view of conceptualization of "death", at the same time, there are shown the specific peculiarities, characteristic for Georgian and Russian, taking into consideration the cultural-historical context.

საკვანძო სიტყვები: კონცეპტი, სამყაროს ენობრივი სურათი, ლინგვოკულტუროლოგია, ფრაზეოლოგია, ენათაშორისი კვლევა

Keywords: concept, Linguistic Picture, linguoculturology, phraseology, cross-linguistic study

გიორგი კიპაროიძე

ახალი უმაღლესი სასწავლებელი, თბილისი

საქართველოს საბანკო სისტემაში არსებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები

დღეისათვის, საქართველოში მოსახლეობის ნდობა ბანკების მიმართ დაბალია. ამის დასტურია ის, რომ ფულადი მიმოქცევის დონე ბანკების გარეთ ძალიან მაღალია, ხოლო საბანკო ოპერაციების უმრავლესობა უცხოური ვალუტიტ ხორციელდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდა. გასული ზაფხულის ომის დაწყების შემდეგ-კი საქართველოს მოსახლეობამ ბანკებიდან დეპოზიტების გატანა დაიწყო, რის გამოც მნიშვნელოვნად შემცირდათ ადგილობრივი ბანკებიდან მიღებული ყველაზე იაფი სახსრები.

საბანკო დაწესებულებათა მიმართ ნდობის აღდგენის მიზნით საჭიროა ახლო მომავალში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება, რომლის საბანკო დაწესებულებათა ბანკროტობის შემთხვევაში მეანაზრეთა ინტერესების გარკვეულ დაცვას უზრუნველყოფს. კანონპროექტს დეპოზიტების დაზღვევის შესახებ, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ გერმანელი ექსპერტების დახმარებით იქნა შემუშავებული, თავის დროზე მსვლელობა არ მიეცა. გარკვეული კორექტივების შეტანის შემდეგ, აღნიშნული კანონპროექტი კვლავ შეიძლება წარმოდგენილ იქნას პარლამენტში განსახილველად.

ბანკების მთავარი პრობლემა დღეს დაუზრუნველი სესხებია. მათი ბაზარი მნიშვნელოვნად შემცირდა, რადგან დაახლოებით 200 ათასი გადამხდელი "შავ სიაშია" შეყვანილი.

ცნობილია, რომ ბანკები თავს იკავებენ გასცენ სესხი იმ ადამიანებზე, რომლებსაც წარსულში პრობლემები ჰქონდათ აღებული სესხის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ნეგატიურ ცვლილებებს შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ-ს უძრავი ქონების კრიზისი და კრედიტის გლობალური შეზღუდვა, ინფლაციური პროცესების გაძლიერება. სამშენებლო და უძრავი ქონების სექტორში დაწყებული კრიზისი ავტომატურად აისახა ბევრ სხვა დარგზე და ჯაჯვური რეაქციის გზით გამოიწვია საერთო რეცესია: უმუშევართა რაოდენობის ზრდა, სამშენებლო მასალებზე მოთხოვნის შემცირება, საბანკო კრიზისი და სხვა.

2004 წლის ივნისში ბაზელის საზღვარგარეთ კომიტეტის მიერ შემუშავებული საბანკო ზედამხედველობის რეგულირების „ბაზელი 2-ის“ სისტემა გამოქვეყნდა, რომელიც საკრედიტო და საოპერაციო რისკების შეფასების საკითხებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნას ეხება, ამასთანავე, კომერციული ბანკების საკუთარი კაპიტალის გამტკიცების, კრედიტების გაცემის პროცესში, ერთნაირი კონკურენტული პირობების შექმნასა და ახალი

საფინანსო ინსტრუმენტების დანერგვას ითვალისწინებს. მსოფლიოს 95 რეგულატორი 2015 წლამდე „ბაზელი 2 -ის“ რეკომენდაციებს სხვადასხვა ფორმით განახორციელებს.

თუ სახელმწიფოს რეალურად უნდა საბანკო სფეროს დახმარება, მან უნდა იზრუნოს პრობლემური კრედიტების ამოღებასა და ვალების რესტრუქტურზაციაზე.

საბანკო კრიზისი თავიდან ასაცილებლად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა და დონორმა ქვეყნებმა 2008-2009 წლებში საქართველოს დახმარების პაკეტის ფარგლებში საბანკო სექტორის რეაბილიტაციისათვის თითქმის 1 მილიარდ აშშ დოლარი გამოყეს, რომელიც ბანკებმა საკრედიტო ხაზების და საგრანტო მხარდაჭერის, აგრეთვე კაპიტალში მონაწილეობის გზით უნდა მიიღონ.

ზემოაღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებში საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- სავალუტო ბირჟამ, როგორც საფინანსო ინსტიტუტმა, მონაწილეობა უნდა მიიღოს სხვა საშუაშაშვლო ოპერაციებში. მაგალითად, დაუკავშირდეს უცხოეთის საფინანსო დაწესებულებებს, მიიღოს იქიდან ფინანსური რესურსები და შემდეგ ეს თანხა ასესხოს კომერციულ ბანკებს იმისათვის, რომ თვითონაც მიიღოს გარკვეული მოგება;

- დაეხმაროს კომერციულ ბანკებს უცხოური რესურსების მოზიდვაში, რომელთაც საერთაშორისო რესურსებზე ხელი არ მიუწვდებათ;

- ბანკი აღჭურვილი უნდა იყოს ყველა უფლებით და ის არ უნდა იყოს პასუხისმგებელი მხოლოდ მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე ანუ, ერთ ინსტიტუტს უნდა ექვემდებარებოდეს მონეტარულ პოლიტიკასთან დაკავშირებული ყველა ბერკეტი;

- სახაზინო ვალდებულებების გამოშვებამ ხელი უნდა შეუწყოს ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, კომერციული ბანკების პორტფელის დივერსიფიცირებას.

საქართველოს ბიუჯეტის დაფინანსების ერთ-ერთ ღონისძიება საშინაო, ან საგარეო ვალის აღებაა. ჩვენს მიერ შესწავლილია საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები, რომელიც ეხება შიდა კრედიტების სტრუქტურას 2001- 2009 წლებში.

საგარეო ვალის ვალდებულებები მძიმე ტვირთად აწევს საქართველოს ეკონომიკას. საქართველოს საგარეო ვალის რესტრუქტურზაცია ორჯერ განხორციელდა. ქვეყნის საკრედიტო მდგომარეობის უზრუნველსაყოფად, საგარეო ვალების ეფექტიან მომსახურებასთან ერთად, მთავრობამ უარი უნდა თქვას როგორც არაშეღავათიანი კრედიტების აღებაზე ისე არაშეღავათიან კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემაზე.

საქართველოს 2015 წლის საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო სისტემის ანალიზი და 2016 წლის მოლოდინი არ იძლევა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების ამაღლების გარანტიებს. სახელმწიფო ბიუჯეტის სოციალური ორიენტაცია ფაქტიურად მხოლოდ მისი სოციალური ხარჯვითი ნაწილის გაზრდასთან ასოცირდება, რამაც ინფლაციური გარემოს და, შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებამდე შეიძლება მიგვიყვანოს. ქვეყანაში სახეზეა სამომხმარებლო ფასების ზრდის მყარი ტენდენცია და `ახალი~ სამთავრობო პროგრამა არ იძლევა მისი მოსალოდნელი შესუსტების საფუძველს. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმართული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არ ატარებს ეკონომიკის მასტიმულირებელ ხასიათს და შემოიფარგლება ვიწრო მაკროეკონომიკური ღონისძიებებით. რეალური ეკონომიკური ზრდის და ზოგიერთი მაკროეკონომიკური პარამეტრის ზრდის ტემპის (მხედველობაშია მთლიანი შიდა პროდუქტი) გაიგივება არამართებულია, რადგან ეს არ აისახება საზოგადოების ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე. საქართველოში დღესდღეობით არ არსებობს მკაფიო და მიზანდასახული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა, რაც გამოიხატება საზოგადოების რეალური მოთხოვნების და მთავრობის დეკლარაციული დაპირებების დისბალანსში. ქვეყანაში მიმდინარე ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციების დაძლევა შეუძლებელია რეალური მაკროეკონომიკური სიტუაციის შეფასების და განხორციელებადი სტაბილური პროგრამების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. აუცილებელია განისაზღვროს, დამტკიცდეს და შემდგომში მკაცრად იქნეს დაცული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები (მათ შორის უმთავრესია უმუშევრობის და ინფლაციის დონეების სტაბილიზაცია და შემდგომი შემცირება);
2. არსებითად იქნეს გადახედილი სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურული შემადგენლობა და მისი სოციალურ-ხარჯვითი ორიენტაცია შეიცვალოს სოციალურ-ღონისძიებათა მიმართულებით (მაგალითად, დასაქმების რეალური სტიმულირება, სახელმწიფოს სოციალური ინვესტიციების პროგრამები და სხვა).
3. არათუ მარტივად გამკაცრდეს, არამედ გაფართოვდეს ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობა და უფლებები ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების შედეგებზე და გაიზარდოს მისი დამოუკიდებლობის ხარისხი ქვეყნის მაროეკონომიკური პროცესების რეგულირებაში;
4. შემუშავდეს და განხორციელდეს ეკონომიკური რეფორმების თანმიმდევრული პროგრამა, უპირველესად, საპენსიო რეფორმა;
5. განვითარდეს და მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახდეს ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რაც გულისხმობს მის სტრუქტურულ განვითარებას და საზოგადოებაში დაგროვების (ინვესტირების) სტიმულირების მექანიზმების შექმნას.

საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება უნდა იყოს პრიორიტეტული საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკისათვისაც, მათი პროგრამების პირობებიც სრულ თანხვედრაში უნდა იყოს ბრუსელის მიერ თბილისადმი შეთავაზებული პირობებისადმი მოსაზიდად. მით უმეტეს ქართული ბანკებისათვის ბოლო წლებში ისედაც მწვავედ დგას მოსაზიდ და განთავსებულ რესურსებს შორის ვადიანობის თანხვედრის პრობლემა იმ პირობებში, როდესაც გრძელვადიან სესხებზე მოთხოვნა მზარდი ტენდენციებით ხასიათდება, ხოლო შიდა ფინანსური რესურსები მოსახლეობის დაბალი შემოსავლების გამო, ისედაც შეზღუდულია.

მეორე ფაქტი, კორპორაციული მართვის კუთხით არის სავალუტო რისკები, მართვა მსხვილ ბანკებში სავალუტო ოპერაციებს ხშირად განიხილავენ როგორც დამატებითი მოგების მიღების წყაროს, თუმცა შედარებით მცირე კაპიტალიზაციის ბანკებისათვის ღია სავალუტო პოზიციის არასწორი მართვა შეიძლება ზარალზე გასვლითაც კი დასრულდეს, რაც ბოლო წლებში საკმაოდ აქტუალურია არა მხოლოდ მცირე კაპიტალიზაციის ბანკებისათვის, რაც საბოლოო ჯამში მნიშვნელოვნად ამცირებდა არასაპროცენტო შემოსავლებს.

მართალია ქართული ბანკები სავალუტო რისკების დასაზღვევად ფორვარდულ კონტრაქტებთან ერთად სავალუტო სვოპებსაც მიმართავენ, მაგრამ მთავარი პრობლემა კორპორაციული მენეჯმენტისათვის მაინც რჩება დოლარიზაციის მაღალი დონე, როგორც დეპოზიტების, ასევე სესხების მხარეს. ბანკები სავალუტო რისკების დასაზღვევად, როდესაც ქვეყანაში არ არის წარმოებული ვადიანი კონტრაქტების ბაზარი, უპირატესობას ანიჭებენ არა *erovnul valutas*, არამედ თავისუფალ კონვენტორებულ უცხოულ ვალუტას დოლარსა და ევროს. თუმცა ამ სახის მიდგომა მაინც შეიცავს რისკებს, უცხოური ვალუტის ვარდნის, ან ე.წ. ექსტრალიგალური მოვლენების, მათ შორის პოლიტიკური კრიზისების დროს. ბოლო პერიოდში დოლარის ვარდნისა და ქვეყანაში წარმოქმნილი პოლიტიკური კრიზისის პირობებში სავალუტო რისკები იზრდება, რაც შესაბამის რეგულირებას მოითხოვს ბანკისაგან.

ლიტერატურა:

1. მოსიაშვილი ვ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის თეორიები, თბილისი, 2009.
2. გოგოხია .მ საბანკო საქმე, თბილისი, 2007.
3. ლალიაშვილი ალექსანდრე, ჟ. საბანკო საქმე, თბილისი 2009
4. Банковское дело, под ред. проф. О. И. Лавгушина ,Б. 2005
5. Ванки и Ванковские операции. под. редю. У.Ф. Жукова. М 2006.
6. Финанси, Денежное обращение, предмет под ред. проф. Дробозиной А.А. М. 2004. 6. Фёдоров Н. Валюта, валютные система и валютные курсы Н 2005

7. Жукова . Менеджмент и Маркетинг в банках. М .2002.
8. Belverd Needles, S.R-Finansial Accountiny, Boston,toronto,2008 y. p.704
9. Richard Irvin;Accounting principles, New-york,2008y. p.507
10. www.nbg.ge
11. www.bank.ge
12. www.statistics.ge.

Giorgi Kiparoidze
New University, Tbilisi

Problems in Banking System of Georgia and the Ways of Their Solution

Abstract

The article deals with the exiting problems in banking System of Georgia and the ways of their solurion. The main topic of the article concerns the strengthening the inflation process,

საკვანძო სიტყვები: საბანკო სისტემა, დეპოზიტი, ეროვნული ბანკი, ინფლაცია,
Keywords: banking system, deposit, National bank, inflation

Лариса Кислова
Tyumen State University, Tyumen

АНТИЧНЫЙ СЮЖЕТ В РУССКОЙ «НОВОЙ ДРАМЕ» РУБЕЖА XX-XXI ВЕКОВ

Мифология Древней Греции, запечатлевшая «борьбу новых и старых поколений, пластическую красоту, гармонию и порядок олимпийского мира» [12: 74] продолжает жить, хотя и в совершенно иной проекции, в современных литературных произведениях. В поэмах *Гомера* происходит трансформация мифа в эпос, а значит «образы богов у него не столько используются по своему прямому религиозно-мифологическому назначению, сколько выполняют функцию поэтических средств, выступают персонажами поэтического произведения...» [11: 141-142]. Герои *Гомера* нередко отказываются подчиняться воле богов, поскольку не считают ее абсолютной: олимпийские боги в гомеровском эпосе, согласно эстетическим принципам античной мифологии, обладают всеми характерными антропоморфными чертами, хотя при этом, безусловно, олицетворяют и природные стихии: «Гомеровские боги воплощают собой высшие идеальные проявления человеческих качеств (мудрость, могущество, проницательность и др.) <...>. Однако богам присущи не только достоинства людей, но и их недостатки. Боги разделяют почти все пороки людей, постоянно нарушают все моральные нормы...» [11: 140].

Е.М.Мелетинский отмечает, что «поэтика мифологизирования не только организует повествование, но служит средством метафорического описания ситуации в современном обществе <...> с помощью параллелей из традиционных мифов, которые порождены иной стадией исторического развития. Поэтому при использовании традиционных мифов самый их смысл резко меняется, часто на прямо противоположный» [10: 372]. Свободное обращение с сюжетами и системами образов традиционной мифологии, служащими материалом для

самостоятельного мифологизирования художников в литературе XX и, безусловно, XXI веков, ведет к отчетливой смысловой переориентации мифа.

Чрезвычайная востребованность в литературе Нового времени мифа о Троянской войне способствовала созданию особого романтического образа этого грандиозного события. Со временем поэмы *Гомера* становятся для греков источником знаний о прошлом, гомеровская традиция сохраняется в языке греческой поэзии на протяжении всей античной эпохи: «Гомер не был ни теологом, ни мифографом. Он не претендовал на то, чтобы представить систематически и в исчерпывающем виде всю целостность греческой религии и мифологии. <...> Именно эта гомеровская концепция богов и мифов о них утвердилась во всем мире и усилиями великих художников классической эпохи была окончательно закреплена в созданной ими вневременной вселенной архетипов» [14: 143-144].

Типы характеров и принципы поведения, которые воплощают герои Трои, идентифицируются в широком спектре литературных произведений и кинематографических опытов (например, проект *Вольфганга Петерсена* «Троя»). Но при этом активно функционирующие культурные модели постоянно трансформируются и постепенно демифологизирующийся сюжет о Троянской войне со временем приобретает иные смыслы, а поступки участников событий интерпретируются по-новому и, соответственно, могут быть оценены с абсолютно нетрадиционной точки зрения. Таким образом, в современной литературе другое рождение получает и собственно миф о завоевании Трои и легендарные образы героев десятилетней войны: хитроумного Одиссея, отважного Гектора, непобедимого Ахилла, необузданного Аякса. Богоподобные герои греков Диомед, Агамемнон, Ахилл в литературе более позднего времени обладают качествами, свойственными обычным людям. В новом свете предстает и архетипический мотив похищения чужой жены, а мифологема борьбы за женщину (роковой треугольник Парис – Елена – Менелай) в каждом последующем произведении выступает в новой, неожиданной проекции.

В драматургии, являющейся достаточно универсальным и мобильным родом литературы, присутствуют активные эксперименты с мифологическими сюжетами и архетипическими мотивами. «Новая драма» рубежа XX-XXI веков, безусловно, также обращается к такого рода материалу, при этом архаические мотивы радикально видоизменяются, расширяются и, сочетаясь с христианско-мифологическими мотивами, предстают в современных драматургических текстах полностью деформированными, наполненными абсолютно новыми смыслами. Так, в пьесе *Ксении Степанычевой* «Божественная пена» (аллюзия к одноименному тексту *О. Мандельштама*) сюжет о Троянской войне проявлен в нетрадиционной тональности. Спор о жестокой кровопролитной войне перетекает в живой диалог о роли женщины в этой войне, в дискуссию о том, явилась ли первопричиной падения Трои именно великая история любви или речь по-прежнему может идти лишь о коварстве богов и алчности царей. Прекрасная Елена и Хитроумный Одиссей выясняют через двадцать лет после окончания войны, насколько каждый из них виновен в том, что случилось, и правомерно ли гордиться победой, которая со временем превратилась в поражение. Война с Троей не сплотила, а разъединила ахейцев, подорвав могущество микенской цивилизации, которая вскоре прекратила свое существование. Таким образом, Троянская война определенно не стала благом для ахейцев, а напротив, явилась трагическим и роковым испытанием. И Елена, и Одиссей задаются вопросом, Зевс ли разыграл партию, закончившуюся столь бесславно, или все, что произошло тридцать лет назад, должно было стать тестом для участников троянских событий на человеческую состоятельность. Одиссей, оценивая волю царя Олимпа, нарушает основной принцип общения человека с богами. Миф зиждется на бинарных оппозициях, и какие-либо оценки в нем (в особенности оценки поступков богов) недопустимы, но в современных текстах, основанных на мифе, эта оценочность необходима, поскольку именно она и определяет правила игры с традиционным мифологическим сюжетом.

Однако Одиссей понимает, что история Троянской войны – это история с плачевным финалом, поскольку в этой войне на самом деле не оказалось победителей: «Одиссей. <...> Мы уничтожили Трою – а война уничтожила нас...» [13:37]. После падения Трои вернувшиеся домой ахейцы уже не обнаружили прежней Эллады: «Одиссей. <...> Пока мы воевали, жизнь в Элладе шла своим чередом, и за десять лет она ушла так далеко, что мы уже не смогли ее догнать. <...> Мы никому не были нужны – и наша победа тоже» [13:38]. Таким образом, утрачивается пафос, доминирующий в героической поэме Гомера: гордость победителя сменяется обреченностью побежденного, герои Троянской войны чувствуют себя обманутыми, а боги, чьи поступки и решения не обсуждаются, представляются людям существами, живущими лишь страстями и пользующимися своим могуществом в корыстных целях. Елена стремится сохранить иллюзию великого исторического события, она уговаривает юного поэта создать героическую поэму и воспеть подвиги героев троянской эпопеи: «Елена. <...> Троянская война – это грандиозное историческое событие, которое должно быть увековечено в грандиозной поэме <...> Троянская война – это главное, что случилось с нашим поколением, с каждым из нас, и мы не можем, не должны бросать на произвол судьбы память о ней. Память о нас, Одиссей!..» [13:35]. Эта война, по сути, становится для Елены незабываемым приключением. Героиня уверена, что если поэма о Трое увидит свет, то прекраснейшая из женщин навсегда останется в памяти потомков. Царица Спарты, подвигнув юного поэта Гомера на создание великого произведения о победе ахейцев, надеется вновь пережить восхитительные мгновения славы и всеобщей любви. В поэме *Гомера* явлена атмосфера легендарного похода, о котором твердит Елена в пьесе «Божественная пена», но миф в «Илиаде», помещенный в иное пространство (пространство литературы), утрачивает свою сакральность.

Война тем не менее остается войной, потомки, словно вопреки желанию Одиссея, не забыли Трою, но в текстах Нового времени это грандиозное событие более не романтизируется: «Одиссей. <...> Мне эта война представляется грязной, подлой, омерзительной бойней – впрочем, как и любая другая...» [13:35]. Таким образом, в пьесе *К.Степанычевой* «Божественная пена» явлена трансформация мифа о Троянской войне и представлена интертекстуальная игра с претекстом: происходит переориентация мифологического контекста и замена культурных смыслов. Сюжет пьесы «Божественная пена» – это в некотором роде своеобразная «предыстория» «Илиады», полностью демифологизированная и погруженная в иное временное измерение.

В пьесе *К.Степанычевой* мифологический сюжет явлен в новой, современной интерпретации, а личные истории Елены и Одиссея в контексте троянской эпопеи представлены как эпизоды частной жизни обычных людей, несмотря на полубожественное происхождение Елены и избранничество Одиссея. Отчетливая дегероизация осады и взятия Трои в пьесе *К.Степанычевой*, попытки героев выйти за пределы конкретного исторического времени и вернуться в прошлое позволяют им воспринимать Троянскую войну только как событие личной биографии: для Одиссея это трагическое и бессмысленное кровопролитие, для Елены – счастливый миг ее абсолютного триумфа.

Современная трагедия *Дайниса Гринвалда* (авторский перевод с латышского) воплощает мифологический сюжет о пророчице Кассандре. В тексте этой пьесы сохранены основные фабульные узлы античного мифа, но во многом изменен и демифологизирован образ Кассандры. Героиня показана гордой бунтаркой, ропщущей и непобежденной мученицей, впервые предсказавшей явление богочеловека: «Потомки Энея через много поколений создадут город, владыки которого до конца доведут закон могущества Зевса <...>. Но у богов, у тебя, Аполлон, нет власти над жизнью и смертью, потому что ты сам бессмертен... И вас свергнет бог, который познает смерть. Он проживет жизнь человека и умрет за людей... Только поймут ли люди, что единственное величие – это величие самого человека...» [3.: 102-103].

Трагедия *Д.Гринвалда* композиционно разделена на две части: в первом действии (начало войны) юная Кассандра близка к мифологическому прообразу, во второй же части (финал войны) повзрослевшая прорицательница представлена как героиня Нового времени, способная увидеть далекое будущее и бога, «который познает смерть» [3: 102]. Таким образом, сюжет о Кассандре в Троянском цикле мифов приобретает особые смыслы и архетипический образ троянской царевны, трансформируясь и сочетаясь с христианско-мифологическими мотивами, выступает в новейших текстах в другой, альтернативной интерпретации.

В комедийном проекте *Евгения Гришкова* «Осада» история Троянской войны явлена в контексте иронической ретрансляции. Герои «Осады» и зрители находятся в одном дискурсивном пространстве, поскольку «миф, героический эпос, легенда и волшебная сказка чрезвычайно богаты архетипическим содержанием» [9: 50]. Эффект «испорченного телефона» создает особую ауру восприятия грандиозных и трагических событий сквозь призму узнавания. Нахождение героев «Осады» и зрителей в едином информационном поле определено тем, что Троянский цикл мифов чрезвычайно антропоцентричен, ориентирован на человека, неразрывно связан со всеми этапами развития художественной культуры и органично вписан в мировое литературное пространство: «Мифы и легенды Древней Греции, читанные каждым в детстве, о подвигах Геракла и трудах Сизифа, хитроумном Одиссее и осаде Трои, полетах Икара и ахиллесовой пяте, становятся фоном сценического действия. Споры трех воинов по поводу того, как именно следует говорить с горожанами Трои о сдаче, перемежаются молчаливыми выходами Икара, очередной раз пытающегося взлететь. На редкость наглядной сценически становится мысль о том, что мужчины, годами стоящие у стен чужого города, тратят время попусту» [5: 72-73]. Война в тексте *Е.Гришкова* становится утомительной обязанностью для усталых мужчин, проводящих дни и ночи у стен осажденного города. («Никто уже не помнит, по какой причине мы приплыли сюда и стоим под этими стенами» [4: 105]). Герои «Осады» отказываются от символического «Я» и объединяются в символическое «Мы». В этом странном сообществе даже Ахилл становится просто Третьим воином и не персонифицируется номинативно. И только принадлежность к мифическому «Мы» заставляет героев пьесы *Е.Гришкова* продолжать бессмысленную и беспощадную военную кампанию: «Герой Гришкова (да и он сам) очевидно устал. И он, как, впрочем, и весь постсоветский социум, теперь мечтает не о свободе, потому что свобода оказалась слишком тяжким бременем, а о том, чтобы примкнуть к какому-то «объективному», не перформативному, а скорее «субстанциональному» (по *Гегелю*), эпическому «Мы» [8: 150]. Таким образом, война в пьесе *Е. Гришкова* «Осада» превращается в коллективную повинность и утрачивает первоначальный патриотический пафос, а Ветеран, с энтузиазмом рассказывающий увлекательные истории из древнегреческой мифологии, адаптированные к современности, воспринимается и собеседником, и читателем-зрителем лишь как последний романтик уходящей эпохи.

В лирической драме *Елены Исаевой* «Две жены Париса», аллюзивно связанной с текстом *И.Котляревского* «Энеида», Троянская война явлена как достаточно суровая, но адекватная плата за любовь. Все герои троянской драмы на самом деле лишь жертвы безумной любовной лихорадки, любовного недуга. На фоне кровавой троянской эпопеи разворачивается бесконечная история любовных отношений Елены и Париса; Елены и Корифа – сына Париса и нимфы Эноны; троянской царевны Лаодики и ахейского воина Акаманта; Эноны и Париса; Геры и Зевса; Афродиты и Гефеста. Боги, как и обычные люди, не способны сопротивляться роковой власти чувств. Так, богиня Афродита, обрекающая смертных и полубогов на вечные страдания, сама оказывается пленницей страстей: «Гера. Не надо, дорогая, угрожать. / Ты можешь всех в своих сетях держать, / Но и сетями этими сама / Опутана: сама себе – тюрьма» [6]. История прошлой жизни Париса, его отношений с горной нимфой Эноной в пьесе *Е.Исаевой* не менее значима, нежели отношения Елены и Менелая. Однако возмездие Эноны оказывается реальнее вожаемой мести царя Спарты: «Елена. И вся война – любовь, измена, /

Месть Менелая – ерунда?!» [6]. Энона отказывается врачевать смертельно раненого Париса, обрекая его на страшные мучения, но после кончины возлюбленного бросается в его погребальный костер. И лишь воссоединившись с Парисом, Энона наконец обретает вечную любовь. Первая жена Париса, по сути, остается самым счастливым существом в пьесе *Е.Исаевой*: она абсолютно индифферентно относится к войне, не омрачившей жизнь на Иде – обители нимф и пастухов. Только Энона находит в себе мужество воссоединиться с погибшими сыном и мужем. Другие же герои утрачивают любовь, теряют скоротечное счастье, а значит, их уделом по-прежнему остается война: «А мы?.. Переживем войну?» [6]. Таким образом, в пьесе *Е.Исаевой* «Две жены Париса» любовь становится альтернативой войне, но влюбленные лишены возможности защитить друг друга и предотвратить трагедию. Именно война является единственной реальностью для обитателей Трои, любовь же представляется утопией, идеальным невозможным сном, однако жертвы, приносимые богине любви, столь же страшны, как и военные потери. В пьесе сохранены основные фабульные линии мифа: Кассандра предсказывает будущее, Елена изменяет Парису с Корифом, Энона отказывается спасти бывшего супруга от смерти, но влияние богов на судьбы героев минимально, что нетрадиционно для мифологического сюжета. Елена, разлюбившая Париса, ненавидит Троию и проклинает свою жестокую судьбу, она лишена амбиций и расплачивается за грядущую славу своим счастьем и жизнями любимых мужчин – Корифа и Париса («Энона. Она – не женщина, а миф» [6]). Для Елены любовь – это воплощение смысла жизни, основной инстинкт, но ее любовь к другому человеку неизменно оборачивается более страстным чувством к себе самой. Восхищение Елены собственной красотой и стремление нравиться окружающим лишают ценностных ориентиров ее отношения с Парисом, а значит, обесценивают и великую Троянскую кампанию: «Елена. Человечий век мой слишком краток, / Чтоб растратить всю мою любовь! / И не Менелая гневной кровью / Подняты ахейские войска, / А моей нерозданной любовью, / Вдруг войной прорвавшейся в века. / Если все они на битву встали, / Если каждый поднял по мечу, / Это значит – мне любить не дали / Сколько, и кого, и как хочу!» [6]. В пьесе *Е.Исаевой* война ахейцев с троянцами произошла именно из-за любви. По версии автора, любовь становится основной причиной гибели Трои и именно любовь поможет уцелевшим троянцам и ахейцам заново выстроить свою жизнь. В пьесе же *К.Степанычевой* «Божественная пена» любовь Елены и честь Менелая – лишь предлог, а истинной причиной войны являются грандиозные амбиции царей Эллады и недалекость властителей Трои.

Вопреки канонической трактовке образа, Елена в пьесе *Е.Исаевой* не просто прекраснейшая из женщин, она наделяется внутренней твердостью, характером, силой духа: «Эфра. Да... Где нас только не носило / Приходится платить сполна. / Зачем в тебе такая сила? / Нужна ли женщине она?» [6]. Что же касается Кассандры, то традиционно сильная, негибкая прорицательница явлена в драме *Е.Исаевой* усталой, страдающей и глубоко несчастной: «Я никогда не ошибалась – / Ни по событиям, ни по срокам. / Но даже то, что все сбывалось, / Не служит никому уроком. / Зачем тогда мне разум, чувства, / Зачем мне уши, голос, зренья? / Как беспощадно Бог Искусства / Карает за неподчиненье?» [6]. Поступки богов в тексте не просто повторяют поступки людей, жители Олимпа, скорее, напоминают обитателей не слишком благополучной коммуналки, обреченных вести нескончаемую междоусобную войну. В лирической драме *Е.Исаевой* представлены абсолютно новая интерпретация сюжета о Троянской войне и нетрадиционная художественная трактовка действующих лиц универсального и бессмертного Троянского цикла мифов.

В пьесе *Аси Волошиной* «Антигона: редукция», жанрово обозначенной как «черная аллегория», трансформируется миф о дочери царя Эдипа, фиванской царевне Антигоне, похоронившей своего мятежного брата Полиника накануне свадьбы вопреки запрету царя Креона. Акт неповиновения приводит Антигону к гибели, но именно этот поступок и позволяет ей стать героиней мифа. Борьба Антигоны за право похоронить тело брата становится борьбой за свободу выбора. «Антигона. Груз двести – вот приданое мое. / На шее

камнем брата труп – невесте, / как ожерелье. Вьется воронье. /Он придавил к земле, влечет в могилу, / а ты о свадьбе, о покое... Вой, / а не покой... Но хватит: гибель / так гибель. Под стрелой судьбы не стой» [1: 90]. В пьесе *А.Волошиной*, как и в претексте (*Софокл*, «*Антигона*»), все развивается достаточно просто и предсказуемо. Антигона, зная о том, что ее ждет, сознательно идет на смерть, доказывая таким образом, что готова бросить вызов судьбе: «А уж финал Антигоны знаменует собой торжество человека над судьбой» [7: 8]. Однако редукция, предложенная современным драматургом, исключает вмешательство богов в решение Антигоны. Похоронить брата и умереть – это только ее выбор. Таким образом, в пьесе *А.Волошиной* нарушается главный принцип античного мифа – покорность богам: «В сознании греков мир людей и мир богов различны по существу: „вторичный“ мир людей есть отражение „первичного“ мира богов. Роли богов и людей в бытии вселенной неравнозначны: одни „творят“ судьбы, другие их реализуют» [7: 3].

Пьеса *А.Волошиной* воссоздает атмосферу компьютерной эпохи XXI века. Возникает прорицатель Тересий, вещающий с интонациями ведущего новостных программ: «Приходит по-своему харизматичный и магнетический, хотя и изрядно похожий на фрика, прорицатель Тересий (вероятно, моложавый старец). Он всегда говорит (транслирует текст) так, будто ловит радиоволны – чужими голосами, иногда с помехами» [1: 91]. Боги заставили отца Антигоны Эдипа пережить страшные несчастья, однако «на вопрос, а за что Эдипу выпал такой страшный грех, ничего ответить не могли: такова была судьба и воля богов» [2: 409].

Антигона же бросает вызов богам и расстается с амплуа трагической героини. «Классический герой трагедии – это скорее объект, нежели субъект действия <...> Трагический герой и есть гибрид (Гибрис), судьба которого заранее предрешена. Таким образом, античная эстетика полностью лишала драматический характер самостоятельности и практически трактовала его как производное сюжета» [7:11]. В новейшей драматургии, в отличие от начальных драматургических практик, любой мифологический сюжет может быть репрезентирован в зависимости от тех или иных предпочтений автора. Современная литература продолжает выявлять безграничный потенциал мифа и осваивать безграничные возможности его интерпретации.

1. Волошина А. (2014): Антигона: редукция // «Лучшие пьесы 2013 (сборник)». 88 – 121.
2. Гаспаров М.Л. (2008) Занимательная Греция: рассказы о древнегреческой культуре. Новое литературное обозрение. Москва.
3. Гринвалд Д. (1990) Кассандра // «Сюжеты», № 10. 3 – 103.
4. Гришковец Е. (2011): Осада // Е.Гришковец. «Сатисфакция». 91 – 159.
5. Гудкова В. (2006): Театр и мнения Евгения Гришковца // «PRO SCENIUM. Вопросы театра.» 58 – 75.
6. Исаева Е. (2015): Две жены Париса // Isaeva.ru: Поэтесса и драматург Елена Исаева. URL: <http://www.isaeva.ru/plays/wife.html> (дата обращения: 10.06.2017).
7. Ищук-Фадеева Н.И. (1993) Типология драмы в историческом развитии. Учебное пособие. Изд-во Тверского государственного университета. Тверь.
8. Липовецкий М., Боймерс Б. (2012) Перформансы насилия: Литературные и театральные эксперименты «новой драмы». Новое литературное обозрение. Москва.
9. Мелетинский Е.М. (1994) О литературных архетипах. Издательство РГГУ. Москва.
10. Мелетинский Е.М. (2006) Поэтика мифа. Восточная литература. Москва.
11. Найдыш В.М. (2002) Философия мифологии: от античности до эпохи романтизма. Гардарики. Москва.
12. Садовская И.Г. (2000) Мифология. Алетейя. Санкт-Петербург.
13. Степаныхева К. (2006): Божественная пена // «Современная драматургия». № 1. 29–40.
14. Элиаде М. (2005) Аспекты мифа. Академический Проект; Парадигма. Москва.

THE ANCIENT NARRATIVE IN RUSSIAN «NEW DRAMA» AT THE TURN OF THE TWENTY FIRST CENTURY

Abstract

The article examines the texts, which interpret the themes of ancient myths in various ways. The interest of the contemporary playwrights in ancient myths is caused by the anthropocentricity of this phenomenon. In new dramaturgy we note distinct demythologization of the ancient world phenomenon, reorientation of a mythological context, and replacement of sacral mythological meanings.

Key words: demythologization, myth, plot, hero, discourse, motive, context, archetype.

საკვანძო სიტყვები: დემითოლოგია, მითი, შინაარსი, გმირი, დისკურსი, მოტივი, კონტექსტი, არქეტიპი

მაია კობახიძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

გენდერული უპირატესობების პრობლემა ქართულ და ინგლისურ ენებში

მდედრისა და მამრის საზოგადოებრივი დაპირისპირება სამყაროსავით ძველია. ამ ურთიერთობების ცალკეული ასპექტების ამსახველი უხვი თვალსაჩინო მასალის პოვნა შესაძლებელია ისტორიულ წყაროებში, კანონიკურ ძეგლებში, მხატვრულ ლიტერატურაში, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მონაცემებში. ენაც, როგორც კულტურის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი, თავისთავად, მრავალ თვალსაჩინოებას გვაწვდის ამ მხრივ. როდესაც **სქესზე** საუბრობენ, ტრადიციულად იგულისხმება ორი ტიპის სქესი: ბიოლოგიური და გრამატიკული. ენასთან მიმართებით, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი მოიაზრება, მაგრამ არსებობს ეგრეთ წოდებული **სოციალური სქესი**, ანუ **გენდერი**. თუ **ბიოლოგიური სქესი** განასხვავებს „მდედრობითს“ და „მამრობითს“, **სოციალური სქესი**, ანუ **გენდერი** განასხვავებს **ქალურობას** და **მამაკაცურობას**, ესე იგი **გენდერული იდენტიფიკაცია** შეიძლება მოხდეს კულტურის, დროისა და სივრცის ფაქტორების გათვალისწინებით. რასაკვირველია, გენეტიკური (ბუნებრივი) განსხვავებები ძირეულია, მაგრამ არა ერთადერთი (კიკვიძე, 2003:38).

გენდერის განსაზღვრისას ვისარგებლებთ მიმართებით **გენდერი-სქესი**: თუკი სქესი ადამიანის ანატომიურ-ფიზიოლოგიური მახასიათებელია, გენდერი სოციალური სქესია, ანუ სქესის სოციალური კონსტრუქტი, რომელიც ზედნაშენს წარმოადგენს ფიზიოლოგიურ მოცემულობაზე. **სქესი და გენდერი** ორი სრულიად დამოუკიდებელი კატეგორიაა. დაუშვებელია ამ ტერმინების სინონიმებად გაგება.

ტერმინი „**გენდერი**“ (Gender) პირველად ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა. იგი სქესის გრამატიკულ კატეგორიას აღნიშნავდა. მოგვიანებით ეს ცნება იძენს „**სოციალური სქესის**“ მნიშვნელობას (Zimmermann, West, 1991:13). „**სქესი**“ ბიოლოგიური განსხვავებაა ქალებსა და მამაკაცებს შორის, ხოლო „**გენდერი**“ მამრთა და მდედრთა შორის არსებული ფსიქოლოგიური, სოციალური და კულტურული განსხვავება (ლაღარია, 2002:59).

ქართული ენის ენციკლოპედიური ლექსიკონის (ქართული ენა, ენციკლოპედია, 2008:109) მიხედვით, **გენდერი** განმარტებულია, როგორც სოციალური სქესი, რომელიც ენაში წარმოაჩენს ქალისა და მამაკაცის მეტყველებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. აქედან გამომდინარე, გენდერული ლინგვისტიკა სწავლობს ქალებისა და კაცებისათვის დამახასიათებელ სამეტყველო სტერეოტიპებს.

ტრადიციულად, **სქესის** გაგება დაკავშირებულია ფიზიოლოგიური და მორფოლოგიური განსხვავებების გამოვლენასთან. **სქესი** განისაზღვრება ბიოლოგიური ფაქტორით. **გენდერი** გულისხმობს ფსიქოლოგიურ ატრიბუტებს, მახასიათებლებსა და ქცევებს, რომელთა შემენა ხდება სოციალურ კონტექსტში, რაც დაკავშირებულია სქესობრივი კატეგორიების სოციალურ გაგებასთან. ყველა საზოგადოებაში გენდერული განსხვავებები ვლინდება ადამიანთა ქცევის ფორმებში, იგი გვევლინება სოციალური ურთიერთობების საზომად ამა თუ იმ კულტურაში (წერეთელი, 2006:8-9).

სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში „სიტყვის კონა ქართული“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1949:330), „**სქესს**“ განმარტავს, როგორც გამყოფელს: „**სქესი არს ვითარცა კიბე რამე, გინა ნიშანი რამ(ე) გამყოფელი, ვითარცა განეყოფ(ვ)ის აღსავალი შთასავალსა სქესითა, უკეთუ ხელოვნებისა მიერ, ვითარ იგი მომღვრისაჲ მოწაფისა მიმართ...**“ მის ლექსიკონშიც ჩანს ცდა ქართულში გრამატიკული **სქესის** აღნიშვნისა. იგი ცდილობს, ე.წ. მამრობითი და მდედრობითი სქესის ფორმები ერთმანეთს დაბოლოებით დაუპირისპიროს: **მამრობითი - მდედრობითი: „ჩჩული და ჩჩულა, უსუარი და უსუარა, ნინველი და ნინვალა, ყრმა და ყრმაჲ, ჭაბუკი და ჭაბუკა, მოხუცებული და მოხუცებულა“.**

თანამედროვე ინგლისური ენის გენდერულ ასპექტში ცვლილებებთან დაკავშირებით საინტერესო რეკომენდაციებსა და მაგალითებს გვთავაზობენ ინგლისელი ლინგვისტები: იაკობსონი (Jakobson, 1962), რედფერნი (Redfern, 1993), სპენდერი (Spender, 1985) და სხვანი. მაგალითად, სიტყვა „**man**“-ს ინგლისურში ორი მნიშვნელობა აქვს: **human being (ადამიანი)**, ან **male human being (მამრობითი სქესის ადამიანი)**. სავარაუდოდ, სოციალურ სფეროში მიმდინარე ცვლილებების გამო, სიტყვა „**man**“ გამოიყენებოდა, როგორც სქესის აღმნიშვნელი ტერმინი, რამაც გამოიწვია ყოველდღიურ ცხოვრებაში „**woman**“-ის იშვიათი გამოყენება, რაც ინგლისურ საზოგადოებაში ქალის როლის დაკნინებას წარმოადგენდა. საილუსტრაციოდ დასახელებული შემდეგი მაგალითი არსებულ რეალობას აშკარად არ შეესაბამება: „**As with other mammals, men suckles his young**“ („ძუძუმწოვართა მსგავსად, ადამიანი ძუძუთი კვებავს თავის ნაშიერს“. აქ „**man**“ გამოიყენება „**ადამიანის**“ მნიშვნელობით, რაც ზემოაღნიშნული ლინგვისტების აზრით, საღ აზრს ეწინააღმდეგება (მორალიშვილი, 2009:152).

აღსანიშნავია, რომ სქესის საკითხზე სოციოლინგვისტიკური მეცნიერული ლიტერატურის არსებობა მე-16 – მე-17 საუკუნეებში დასტურდება. მკვლევართა ამ პერიოდის ცნობებში გვხვდება ნაკლებად ყურადსაღები მინიშნებები ქალთა ენობრივი თავისებურებების შესახებ, მაგრამ, ესეც ცხადყოფს, რომ ქალთა ვერბალური ენა ისტორიულად დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენდა.

უ. ლაბოვი გენდერული ლინგვისტიკის ფუძემდებლად ითვლება. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ყურადღება გაამახვილა **სქესისა** და **გენდერის**, როგორც სოციალური ცვლადის, მნიშვნელობაზე. მან ემპირიული კვლევებით დაადასტურა სისტემური დამოკიდებულება სხვადასხვა ლინგვისტურ ვარიაციასა და არაენობრივ ფაქტორს შორის. ლაბოვის ანალიზის (Labov, 1972:113) შედეგად, ენობრივი ცვლადები განაწილდა სქესის, გენდერის, ასაკის, სოციოეკონომიკური მდგომარეობის, სტატუსისა და სიტუაციური კონტექსტის მიხედვით.

თუ კი **სქესი** დაკავშირებულია ფიზიკურ და სხეულებრივ განსხვავებებთან მამაკაცსა და ქალს შორის, ცნება **გენდერი** ეხება ფსიქოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ მახასიათებლებს.

სქესისა და **გენდერის** ცნებების გამიჯვნის პირველი ცდა მოგვცა ამერიკელმა ფსიქოლოგმა რობერტ სტოლერმა (Robert J. Stoller) 1968 წელს. იგი კალიფორნიის

უნივერსიტეტში ტრანსექსუალებს იკვლევდა, რის საფუძველზეც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უფრო ადვილია ბიოლოგიური სქესის შეცვლა ქირურგიულად, ვიდრე სოციალურად ფესვგადადგმული გენდერული ვინაობისა.

ერთ-ერთ პირველ სამეცნიერო ნაშრომად კი, რომელშიც ასახულია ქალთა და მამაკაცთა ენობრივ-გენდერული დაპირისპირება, ითვლება 1664 წელს გამოსული „კარაიზულფრანგული ლექსიკონი“ (ავტორი – მისიონერი ბერი), სადაც მოთხრობილია იმის შესახებ, რომ მცირე ანტილის კუნძულების მკვიდრი ქალები იქაური მამაკაცებისაგან განსხვავებულ ენაზე საუბრობენ, რისი მიზეზიც ის ყოფილა, რომ როდესაც კარაიზებმა დაიპყრეს ეს კუნძულები, მათ ამოხოცეს ყველა იქაური მამაკაცი, ხოლო ქალებზე კი დაქორწინდნენ (Jespersen, 1925:237).

მიუხედავად ამისა, პროფესიონალ ლინგვისტთა მიზანმიმართული ინტერესი სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა მიერ განხვავებული სამეტყველო ქცევის მიმართ მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან აღინიშნება. ამ თვალსაზრისით საფუძვლიან კვლევას გვთავაზობს დანიელი ლინგვისტი – ოტო ჯესპერსენი (Jespersen, 1925), რომელმაც თავის წიგნში “Language” მან ქალთა ენას უძღვნა სპეციალური თავი “The Women” – „ქალი“ (Jespersen, 1922:237-254). ზემოხსენებული სათაურით ცალკე თავის გამოყოფას ლინგვისტი ს. ჰარკი (Hark, 2001:13) იმ ტენდენციას ხაზგასმულად მიიჩნევს, რომელიც საზოგადოებაში მყარადაა დამკვიდრებული: „ყველაფერი მამრობითი ნორმაა, მდედრობითი – ნორმიდან გადახვევა“.

გენდერლინგვისტიკის სპეციალურ ლიტერატურაში საკითხის კვლევის ისტორიის თვალსაზრისით, გამოყოფენ ორ პერიოდს, ესენია:

1. **ბიოლოგიური დეტერმინიზმი**, რომელიც სათავეს იღებს ანტიკური ხანიდან და რომლის ფარგლებში შეიძლება მოვაქციოთ არარეგულარული ხასიათის გამოკვლევები;
2. **გარდამავალი ეტაპი**: მე-20 საუკუნის დასაწყისი, როდესაც ენასა და მეტყველებაში გენდერული კუთხით დიდი გარდატეხა მოახდინეს მათენერისა და ესპერსენის (Mauthner, 1921; Jespersen, 1922) შრომებმა.

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება ერთგვარი გენდერლინგვისტური ბუმი სპეციალურ ლიტერატურაში. ამ მხრივ საყურადღებოა სამეცნიერო ნაშრომი რ. ლეიკოფის წიგნი „Language and woman’s place“ („ენა და ქალის ადგილი“) (Lakoff, 1975). ეს ნაშრომი ერთ-ერთი პირველია, რომელშიც საკმაოდ სრულადაა აღწერილი ის, რასაც ქალების ენას უწოდებენ; ეს კი გულისხმობს არა მარტო იმას, თუ როგორ მეტყველებენ ქალები, არამედ იმასაც, რას და როგორ ამბობენ მათ შესახებ. ანუ, ლეიკოფის აზრით (Lakoff, 1975:4), ქალები ორმაგად განიცდიან ენობრივ დისკრიმინაციას.

ენის კვლევა გენდერული ლინგვისტიკის თვალსაზრისით, აჩვენებს, რომ მამაკაცების ენა და მეტყველება ხასიათდება აგრესიულობით, ლაკონურობით. ქალების ენა და მეტყველება კი გამოირჩევა სინაზით, ემოციურობით, გრძნობების სიუხვით. აგრეთვე, ქალური მეტყველება ხორციელდება კონკრეტული ლინგვისტური საშუალებებით: შემფასებლური სიტყვების სიუხვით, შორისდებულების გამოყენებით, ძახილის წინადადებების სიჭარბით, წამქეზებლური წინადადებებით, კითხვითი წინადადებებით. ქალების მეტყველება მამაკაცების მეტყველებასთან შედარებით გაჟღენთილია დამარწმუნებელი გამონათქვამებით. ამასთანავე, ქალისა და მამაკაცის მეტყველებას, ჩვეულებისამებრ, აანალიზებენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ხმის სიმაღლე, ლექსიკა, სასაუბრო თემების დიაპაზონი, თავაზიანობა, მეტყველების ოდენობა (სიტყვამრავლობა), საუბრის შეწყვეტის სიხშირე (გოგოლაძე, 1999:22).

აღსანიშნავია, რომ დასავლურ გენდერლინგვისტიკაში ჩამოყალიბდა პრინციპი, რომ, თუ ვიმსჯელებთ ენაში „ქალებისა და მამაკაცების წარმომადგენლობითობის“ შესახებ, მაშინ მხოლოდ შემდეგი პრინციპები შეიძლება დაგვრჩეს სქესთა (არ იგულისხმება გრამატიკული სქესი) ენობრივი პორტრეტების აგების თვალსაზრისით: „მამრი, როგორც ნორმა ამოსავალი“

და „მდედრი, როგორც მეორეული“. რა თქმა უნდა, ამგვარი პრინციპები გარკვეულ ენათა კვლევის შედეგად გამოიყო, მაგრამ სამწუხაროდ, მოგვიანებით დააპირეს მათი უნივერსალიზაცია (Hellinger, 1999:55).

საინტერესო მასალას წარმოადგენს ქალთა და მამაკაცთა აღმნიშვნელი სიტყვების თანმიმდევრობა ინგლისურ წინადადებებში. თანამედროვე ინგლისურშიც კი, გარდა გავრცელებული ფორმულისა: **Ladies and gentlemen** („ქალბატონებო და ბატონებო“), მამრის აღმნიშვნელი სიტყვა წინ უსწრებს მდედრისას, როდესაც გვხვდება სიტყვათა ისეთი წყვილი, რომლებიც სხვადასხვა სქესს აღნიშნავენ, მაგალითად: **“boys and girls”** („ბიჭები და გოგონები“).

ხშირ შემთხვევაში პირველობა თვალშისაცემია, როდესაც ერთმანეთის გვერდით დგას მამაკაცისა და ქალის სახელები: **Jack and Jill, Hansel and Gretel, Romeo and Juliet, Antony and Cleopatra, Dick and Jane, John and Marsha**. რაც შეეხება ქალთა სახელების პირველობას, ასეთი მაგალითი მრავლად არ მოიპოვება: **Snow White and the Seven Dwarfs** („ფიფქია და შვიდი ჯუჯა“). „და“ კავშირით შეერთებული ორი სიტყვა ასახავს მათ მიერ აღნიშნულ ცნებებს შორის აღიარებულ სოციალურ იერარქიას, „წამყვანი“ სიტყვა თავში ხვდება, მაგალითად: „მშობლები და შვილები“, „ექიმები და მედდები“, „მასწავლებლები და მოსწავლეები“ და ა.შ. ეს გავრცელებული მოვლენა ყველაფერში, რაც უკავშირდება სქესთა ჯგუფებს“ (Мишар-маршалъ, Рибери, 2001:269-270).

ამ თვალსაზრისით აგრეთვე საყურადღებოა ემპირიულ მასალაზე დამყარებული გამოკვლევები, მაგალითად, ა. სეიერსმა (Sayers, 1998) შეისწავლა რამდენიმე ამერიკული ახალგაზრდული ჟურნალი („Teen, Seventeen და YM“). მათში ენობრივი სექსიზმის შემთხვევების პოვნისთვის თვალსაზრისით, დადასტურდა, რომ სხვა მომენტებთან ერთად, თითქმის უგამონაკლისოა მაგალითები, რომლებშიც ერთგვარ წევრებად ხმარებული ქალთა და მამაკაცთა აღმნიშვნელი სიტყვების თანმიმდევრობაში საწყისი პოზიცია მამრობითს უჭირავს (Sayers, 1998). აგრეთვე, თეორიული მიდგომის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მ. ჰარდმანის (Hardman, 1999:1) მოსაზრება: „ისინი ამბობენ, რომ „and“ („და“) ისეთი კავშირია, რომლის ორივე მხარე თანასწორია. ამასთანავე, **“men and women”** („მამაკაცები და ქალები“) უკეთესად ჟღერს და არა მარტო მეორენი არიან, არამედ აღიქმებიან პირველი ელემენტის უბრალო დანამატად, ძირის თანმხლები დერივატის ნაწილად. მეორე მხრივ, რადგანაც გამონათქვამში **“women and men”** („ქალები და მამაკაცები“) სიტყვა „women“ („ქალები“) თავშია, ქალები აღიქმებიან“ (Hardman, 1999:1).

როგორც ვხედავთ, ზემოთ წარმოდგენილი თანამიმდევრობა ფართოდ გამოიყენება ინგლისურ ენაში ქალთა მარგინალიზაციის საილუსტრაციოდ. მიუხედავად ამ ენობრივი ფაქტის ამგვარი „რეპუტაციისა“, ცნობილი ამერიკელი ფემინისტი – დებორა თანენი, რომელმაც თავისი საკმაოდ პოპულარული წიგნი საკუთარ მშობლებს უძღვნა, შემდეგნაირად წერს (Tannen, 1990:7): **“To my father and mother”**, ზედმიწევნით, **„ჩემს მამასა და დედას“**. ქართველი ავტორი, ქალი იქნებოდა იგი, თუ მამაკაცი, ფემინისტი თუ არა, აუცილებლად დაწერდა შემდეგნაირად: **„ჩემს დედ-მამას“**.

ქართულში საინტერესო სურათს იძლევა ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის მდედრულ-მამრულ ლექსემათა სიტყვაწარმოებითი წყვილების შეუქცევადი განლაგება კომპოზიტებში: **დედ-მამა, ცოლ-ქმარი, და-მმა, ქალ-ვაჟი, გოგო-ბიჭი...**, სადაც პირველი კომპონენტი უმთავრესად „მდედრული“ სიტყვაა. იგივე ოპოზიციაა გამოყენებული შვილთა სქესის აღმნიშვნელი კომპოზიტების წარმოების დროსაც: **ქალიშვილი, ვაჟიშვილი**. ორთოგრაფიული ლექსიკონის სარეკომენდაციო სახელებიც სწორედ ასეა დაყოფილი: ჯერ **ქალის სახელები**, შემდეგ – **ვაჟის სახელები** (ჭიკაძე, 2013:553).

ენობრივი თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია სიტყვათა ჯგუფები, რომლებიც წყვილს აღნიშნავენ, პირველად ყოველთვის აღნიშნულია ქალური საწყისი: **დედ-მამა; ქალ - ვაჟი, დედა-სამშობლო, დედა-ბოძი, დედალ-მამალი** და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ინგლისურ ენაში დიდი ხნის განმავლობაში რეფორმისტული ცდები იყო სიტყვაწარმოებასთან დაკავშირებით. ამის თვალსაჩინო მაგალითებია **man**-ის კომპონენტის შემცველი რთული

სიტყვები, როგორიცაა **chairman** – „თავმჯდომარე“, **postman** – „ფოსტალიონი“, **milkman** – „მერძევე“ და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ სიტყვებში **-man** სწორედ „ადამიანს“, „პიროვნებას“ აღნიშნავს, იგი აღიქმება, როგორც ექსკლუზიური მნიშვნელობის მიმნიჭებელი ზემოხსენებული კომპოზიტებისათვის. ამის შედეგად, მივიღეთ – **chairperson**, ან **chair** ნაცვლად სიტყვისა – **chairman**, და **statesperson** ნაცვლად სიტყვისა – **statesman** – „სახელმწიფო მოღვაწე“ და ა.შ. ქალთა აღმნიშვნელი სიტყვები ქართულში ხშირად საერთო სქესის მნიშვნელობითაც წარმოგიდგებიან, რისი დასტურიცაა სიტყვა „დედა“ და მისი კოგნიტიური დიაპაზონი (კიკვიძე, 2001).

აღსანიშნავია, რომ თუ კომპოზიტის შემადგენლობაში **man**, ან **woman** ბოლო კომპონენტად შედის, იგი გამოხატავს მრავლობით რიცხვს, მაგალითად: სპორტმენი – **sportsman** – **sportsmen**, ინგლისელი კაცი – **Englishman** – **Englishmen**, ინგლისელი ქალი – **Englishwoman** – **Englishwomen**, ცხენოსანი – **horseman** – **horsemen** და სხვა. ხოლო თუ სიტყვები **man** ან **woman** კომპოზიტის თავში დგას, მაშინ მრავლობით რიცხვს გამოხატავს ორივე კომპონენტი: მსახური ქალი – **woman-servant** – **woman-servants**, მსახური კაცი – **man-servant** – **man-servants**. ნათესაური კავშირის გამომხატველ კომპოზიტებში მრავლობითის ფორმას ჩვეულებისამებრ პირველი სიტყვა იღებს: რძალი – **daughter-in-law**, სიძე – **son-in-law**, დედამთილი, ან სიდედრი – **mother-in-law** – **mother-in-laws** მამამთილი, ან სიმამრი – **father-in-law** – **father-in-laws** (ებრალიძე, 1986:15). ინგლისურ ენაში სქესის გარჩევა გვხვდება ისეთ სიტყვებთან, როგორიცაა **boy-cousin** („ბიძაშვილი ბიჭი“), **girl-cousin** („ბიძაშვილი გოგო“), **boy-friend** („შეყვარებული ბიჭი“), **girl-friend** („შეყვარებული გოგო“) და სხვა.

ქალის პროფესიისა თუ თანამდებობის, ან ცალკეული საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვები მამრობითი სქესის აღმნიშვნელი სიტყვებისაგანაა ნაწარმოები **-ess** სუფიქსის დართვით, მაგალითად: **actor** (მსახიობი კაცი) – **actress** (მსახიობი ქალი), **waitor** (ოფიციანტი კაცი) – **waitress** (ოფიციანტი ქალი), **poet** (პოეტი კაცი) – **poetess** (პოეტი ქალი), **director** (დირექტორი კაცი) – **directress** (დირექტორი ქალი) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ გენდერული იდენტიფიკაცია აგრეთვე ვლინდება ქალისა და კაცის აღმნიშვნელ საკუთარ სახელებშიც, მაგალითად ქართულ ენაში კაცს აღნიშნავს: **კაცი** - **კაცია**, **კაცობა**; **ვაჟი** - **ვაჟა**, **ვაჟი**, **ვაჟიკა**..., ხოლო ქალთა სახელთაგან გვხვდება: **ქალი** - **ქალია**, **ქალუკა**... აგრეთვე გავრცელებულია საზოგადო სახელებისაგან ნაწარმოები საკუთარი სახელები: **კაცი** – **კაცია**, ზედსართავი სახელებისაგან კი მიღებულია ანთროპონიმები: **ზვიადი** – **ზვიადა**, **ფიცხელი** – **ფიცხელა**, **ნათელი** – **ნათელა** (დლონტი, 1971:145). იშვიათად გვხვდება თხზული ანთროპონიმები (მართული მსაზღვრელისა და საზღვრულის შეერთებით მიღებულნი): **მამის-თვალ-ა**, **მამ-ის-იმედ-ი**, **დედ-ის-იმედ-ი**, **დედ-ის-კეთილ-ი**, **მამ-ის-ბედ-ი**, **ქალ-თა-მზე**., ან მეტსახელები, რომლებიც ისინი, შესაძლოა, აღნიშნავდეს როგორც ქალს, ისე კაცს, მაგალითად: **დედისკეთილი**: **დედ+ის+კეთილი** – „დედ“ – არსებითი სახელის („დედა“) ფუძე, „-ის“ – ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, „კეთილ“ – ზედსართავი სახელის („კეთილი“) ფუძე, „-ი“ – სახელობითი ბრუნვის ნიშანი (იგივე სტრუქტურის მქონეა მეტსახელი – **დედისიმედი**); **მამისიმედი**: **მამ+ის+იმედი** – „მამ“ – არსებითი სახელის („მამა“) ფუძე, „-ის“ – ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, „იმედ“ – არსებითი სახელის („იმედი“) ფუძე, „-ი“ – სახელობითი ბრუნვის ნიშანი.

ინგლისურ ენაში გენდერული „უპირატესობა“ ვლინდება გერმანიკული წარმოშობის წარმოქმნილი („**derived**“) ფუძის მქონე ქალთა საკუთარ სახელებში. ხშირია მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი ისეთი სუფიქსების გამოყენება, როგორიცაა: **-a**, **-enne**, **-ine**, **-ena**, **-bel**, **-een**, **-lyn**, **-essa**, **-etta** და სხვა, მაგალითად: **Abilene** (-ene); **Carreen** (-een); **Doreen** – (een); **Christine** (-ine); **Christabel** -(bel); **Rosabel** -(bel); **Gracelyn** (-lyn); **Vanessa** (-essa)... ზოგჯერ ისინი მიღებულია მამაკაცის ანთროპონიმისაგან, ან ქალისა და კაცის აღმნიშვნელი ორი ანთროპონიმის შეერთების შედეგად: **Nikole** – ნაწარმოებია კაცის ინგლისური ანთროპონიმისაგან – **Nikolaos**: „Nike“ (ინგ. „victory“ – „გამარჯვება“) და „Laos“ (ინგ. „people“ – „ხალხი“); **Rikki** – კაცის ანთროპონიმის – **Ricky**-ის მდედრობითი ფორმა, მომდინარეობს კაცის სახელისაგან – **Richard** (ინგ. „A strong king“ – „ძლიერი მეფე“) **Roberta** ნაწარმოებია

კაცის საკუთარი სახელის – **Robert**-ისა და „-a“ სუფიქსის მეშვეობით, სახელის კნინობითი ფორმაა – **Robbie** და სხვა. აგრეთვე თხზული ფუძის მქონე ქალის სახელი კაცის ანთოპონიმის მდებრობით ფორმას წარმოადგენს, მაგალითად: **Fryderyka** კაცის სახელის – **Fryderyk**-ის მდებრობითი ფორმა, მოიცავს ელემენტებს: **frithu** (ინგ. „peace“ – „მშვიდობა“) და **rik** (ინგ. „ruler“ – „მმართველი“), **Henrieta** მომდინარეობს ფრანგული სახელისაგან: **Henriette** (კაცის სახელის – **Henry**-ს კნინობითი ფორმა), შედგება ნაწილებისაგან: **hag** (ინგ. „an enclosure“ – „გალავანი“) და სხვა.

გარდა ამისა, გენდერულადაა იდენტიფიცირებული ზოომორფიზმები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ადამიანის თვისებების შეფასება. ქართულში ქალთან მიმართებით ვხვდებით დადებითი კონოტაციით გამოყენებულ ზოომორფიზმებს: ბედაურივით, ჯეირანივით (ლამაზი, აღნაგი, მოხდენილი), პეპელასავით (ნაზი), ჩიტვივით (ქლურტულით მოლაპარაკე, ჭიკჭიკა), შველივით (კობტა, ტანადი, მოხდენილი); **კაცი** – დათვივით (ღონიერი, ბრგე), ბუსავით (ღამით აქტიურობის მოყვარული), ვეფხვივით (უშიშარი და თავგანწირვით მებრძოლი ვაჟკაცი), არწივივით (მეტოქისათვის შიშისა და რიდის აღმძვრელი, მძლე ვაჟკაცი) და ასე შემდეგ. უარყოფითი ექსპრესიულობით გამოირჩევა შემდეგი მაგალითები: **ქალი** – ბატივით (მოსულელო, ჩერჩეტი, გულმავიწყი), ბუსავით (მარტოობისა და სიჩუმის მოყვარული), კურდღელივით (ლაჩარი, მშიშარა), დედალივით (ჩასუქებული), **კაცი** – გველივით (ბოროტებით სავსე, საზიზღარი, ბილწი ადამიანი), ვირივით (ჯიუტი, ბრიყვი, უზრდელი, თავისნათქვამა) და სხვა.

ამ მხრივ არც ინგლისური ენაა გამონაკლისი, ადამიანის თვისებების გამოსახატავად ხშირად ვხვდებით ზოომორფიზმებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ქალთან მიმართებით გამოიყენება. დადებითი ექსპრესიულობით ხასიათდება: **As a good swimmer** („A good swimmer is a fish“ – „კარგი მოცურავე თევზია“) – „თევზივით კარგად მოცურავე“; **A Lone wolf-like independent** – „განმარტოებული/ეული მგელივით დამოუკიდებელი“, უარყოფითი მნიშვნელობით გამოირჩევა ზოომორფიზმები: **As a dishonest person** („A dishonest person is a snake“ – „არაპატიოსანი, უნამუსო ადამიანი გველია“) – „გველივით უნამუსო“; **As a coward** („A coward is a chicken“ – „წიწილა არის მხდალი“) – „წიწილასავით მხდალი“; **As a blind person** („A blind person is a bat“ – „ბრმა ადამიანი არის ღამურა“) – „ღამურასავით ბრმა“ და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ქართული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ადამიანის გარეგნულ მომხიბვლელობას, მშვენიერებას გადმოსცემს, მხოლოდ მდებრობითი სქესის აღმნიშვნელია: „**ამომავალ მზეს ჰგავს**“; „**თამარ დედოფალია**“; „**ლერწამივით ტანი აქვს**“ და ასე შემდეგ. ერთადერთი შემთხვევა, რომელიც არ განარჩევს სქესს, არის: „**თვალის დამყენებული**“. რაც შეეხება გარეგნული მხარის ამსახველ უარყოფითი შინაარსის შემცველ ფრაზეოლოგიზმებს, ისინი გენდერულად ნეიტრალურია, ან მხოლოდ ქალებს მიემართება, მაგალითად: „**კანში აღარ ეტევა**“, „**მაიმუნზე ოდნავ ლამაზია**“ და ასე შემდეგ. მხოლოდ მდებრობითი სქესის წარმომადგენლებს მიემართება ფრაზეოლოგიური ერთეულები: „**ქვაბიძირა**“ – მეტად შავგვრემანი, შავტუხა ქალი; „**გომბიო**“ – უშნო გოგო (გოჩიტაშვილი, 2010:97-98). მამაკაცის თვისებები კი ვლინდება შემდეგ ფრაზეოლოგიზმებში: „**ამირანის ხმაღს აქნევს**“ – დიდი ვაჟკაცია, გულმაგარია, მხნეა; „**თანდილა ბიჭია**“; „**კაცია და ქუდი ხურავს**“ და სხვა.

ინგლისურ ენაში ფართოდ გამოიყენება მდებრობითი სქესის აღმნიშვნელი ანთროპომეტრული ლექსემების შემცველი (მაგალითად: **woman** – „ქალი“, **girl** – „გოგო“, **lady** – „ქალბატონი“ და სხვა) ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენელს მიემართება, მაგალითად: „**Sister under the skin (British)**“ – a man who supports women’s actions to improve their rights – „**კაცი**, რომელიც ქალთა ქმედებებს/საქმიანობებს უჭერს მხარს, რათა მათი უფლებები გააუმჯობესოს“ (Cambridge Dictionaries Online); „**The answer to a maiden’s prayer**“ – an eligible bachelor – „შესაფერისი უცოლო (უცოლშვილო)“ (Allen, 2008). გავრცელებულია აგრეთვე ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებშიც გვხვდება მამრობითი სქესის აღმნიშვნელი ანთროპომეტრული

ლექსემები: **boy** – „ბიჭი“, **man** – „კაცი“, **male** – „მამრობითი სქესი“, **gentleman** – „ჯელტმენი“, **Mr.** – „ბატონი“ და ასე შემდეგ: **“Feel like a new woman/man”** – to feel very much better (Cambridge Dictionaries Online) – „თავი გაცილებით უკეთესად იგრძნო“; **A man’s man** – a man who enjoys men’s activities and being with other men (Cambridge Dictionaries Online) – „კაცი, რომელსაც კაცის აქტივობები სიამოვნებას ანიჭებს და ასევე, სხვა კაცებთან ყოფნა“.

ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში აგრეთვე შეგხვდა მამრობითი სქესის ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსემები, როგორიცაა **“father”** – „მამა“, **“son”** – „ვაჟიშვილი“, **“brother”** – „ძმა“, **“husband”** – „მეუღლე (ქმარი)“, **“uncle”** – „ბიძა“ და ასე შემდეგ, მაგალითად: **“Dutch uncle”** – a man who gives frank and direct advice to someone (in the way an uncle might, but not a real – relative) (Spears, 2002) – „კაცი, რომელიც გულწრფელ და პირდაპირ რჩევას აძლევს ვინმეს (შესაძლებელია ბიძა, მაგრამ არა რეალურად – ნათესავი)“.

მაშასადამე, „გენდერი“ თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, საკმაოდ გვაწვდის ენისა და კულტურის ურთიერთგავლენის დამადასტურებელ მაგალითებს. აქედან გამომდინარე, გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგია მხოლოდ ენათმეცნიერების ჭრილში არ უნდა განვიხილოთ. როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში გენდერული „უპირატესობანი“ უმეტესად **განპირობებულია გენდერულ იდენტიფიკაციაზე დაყრდნობით, რაც მრავლად აისახება** დადებითი და უარყოფითი კონოტაციით გამოყენებულ ქალისა და კაცის აღმნიშვნელ ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში, ანთროპონიმებსა (მორფოლოგიური შედგენილობა/სემანტიკური მნიშვნელობა), თუ ზოომორფიზმებში.

ლიტერატურა:

1. გოჩიტაშვილი ქ. (2010): გენდერის საკითხი ქართულ ფრაზეოლოგიაში, სამეცნიერო შრომების კრებული I, ეძღვნება პროფესორ კორნელი დანელიას დაბადებიდან 75-ე წლისთავს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი
2. კიკვიძე ზ. (2001): სქესისა და გენდერის ცნებათა გარჩევის აუცილებლობისა და ლინგვისტური გენდეროლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება. საენათმეცნიერო ძიებანი XI. გამომცემლობა: ქართული ენა, თბილისი
3. კიკვიძე ზ. (2010): ენა, გენდერი და ნაციონალიზმი, გამომცემლობა: უნივერსალი, თბილისი
4. ლადარია, ნ. (2002): სოციოლინგვისტიკა. გამომცემლობა: მეცნიერება, თბილისი.
5. მორალიშვილი ს. (2009): გენდერული ასპექტი თანამედროვე ინგლისურ ენაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება, საენათმეცნიერო ძიებანი XXIX, თბილისი
6. ორბელიანი, ს. (1949): სულხან-საბა ორბელიანი, მე-3 გამოცემა. „სიტყვის კონა ქართული“ (რომელ არს ლექსიკონი), სახელგამი. 57, თბილისი
7. ქართული ენა, ენციკლოპედია (2008): ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ეროვნული მწერლობა, თბილისი
8. წერეთელი, მ. (2006): გენდერი კულტურული და სოციალური კონსტრუქტი, სალექციო კურსი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის გამომცემლობა, თბილისი
9. ჭიკაძე, რ. (2013): მდებდრული და მამრული ლექსიკა ქართულში, საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „ოლე“, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა, ISSN 1512-3995, N1 (22), თელავი, 55-56
10. Cambridge Dictionaries Online (2015, February 18). Retrieved February 18, 2015, from <http://dictionary.cambridge.org>.
11. Cambridge Idioms Dictionary. (2002): 2nd Edition. Cambridge: Cambridge University Press. 100
12. Ginneken, J.V. (1934): Mannen en vrouwentaal. Onxze taaltuin, No 3, 289-292. Mauthner, 1921
13. Haas (1944): Men’s and Women’s Speech in Koasat Language. Author(s): Mary R. Haas Reviewed work(s): Source: Language, Vol. 20, No. 3 (Jul. - Sep., 1944), Published by: Linguistic Society of America Stable
14. Hardman, M. J. (1999): Why We Should Say “Women and Men” Until it Doesn’t Matter Any More. Women and Language, vol, XXII, No 1, 1-2.
15. Jespersen, O. (1922): Language, its nature, development and origin. London: George Allen & Unwin.

16. Jespersen O. (1925): Language, gender & sex in comparative perspective, Edited by Susan U. Philips Susan Steele & Christine Tanz, Studies in Social and Cultural Foundations of language, University of Arizona.
17. Labov (1972): A Volume in the Principles of Cognitive Psychology, Michael W. Eysenck, Simon Green, Nicky Hayes, 2nd Edition.
18. Lakoff, R. (1975): Language and Woman's Place. New York: Harper & Row
19. Sayers, A. (1998): Giving Girls a Chance: A Recognition, Analysis. and Alternatives to the Verbal Violence in Teenage Magazines. Paper presented at the 21st Annual Conference of the Organization for the study of Communication. Language and Gender (Portland, Maine). Abstracted in Women and Language, vol. XXII, No, 1, 58
20. Spears, R. (2002): McGraw-Hill Dictionary of American Idioms and Phrasal verbs. New York, NY: The McGraw-Hill Companies, Inc.
21. Tannen, D. (1990): „You just don't understand: Women and men in conversation“. New York, Ballantine Books.
22. Zimmerman, D. & West, C. (1975): Sex Roles, Interruptions and Silences in Conversation. Language and Sex: Difference and Dominance. Ed. By Thorne, B. & N. Henley. Rowley, Mass.: Newbury House, 105-129
23. Завадовский Ю. Н. (1976): Обзор арабских диалектов Магриба. В. кн.: Теория и история языкознания. Проблемы зарубежной социолингвистики. Москва: Наука, 203-238.
24. Кирилина, А. В. (1999): Гендер: лингвистические аспекты. Москва: Издательство “Институт социологии РАН”
25. Мишар-маршал К., Рибери К. (2001): Сексизм и гуманитарные науки. Лингвистическая практика отношении полов как классов. В кн.: Хрестоматия к курсу Основы Гендерных Исследований. Москва: Московский центр гендерных исследований, Ж 268-270.

Maia Kobakhidze

Iakob Gogebasvili State University, Telavi

Problems of Gender Preferences in the Georgian and English Languages

Abstract

The problem of form and content of the linguistic portraits of men and women put interest in language and gender issues on the agenda. Gender identification can be accomplished through taking the factors of culture, time and space into account. Based on “gender” specificity, the examples of relationship between language and culture are sufficiently provided.

The article discusses the “advantages” of gender (women and men) in the languages of different systems (in Georgian and English), as well as a brief historical discourse analysis in the study of linguistics of gender is outlined.

საკვანძო სიტყვები: გენდერი, გენდერული იდენტიფიკაცია, გენდერული „უპირატესობები“, ქალისა და კაცის აღმნიშვნელი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულები, ანთროპონიმები, ზომორფიზმები.

Key words: Gender, Gender Identification, Gender “Preferences”, Lexical and Phrasal Units Denoting Female and Male, Antroponyms, Zoormorphisms.

ეკა კობახიძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

XX საუკუნის 20-იანი წლების ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან - ქაქუცა ჩოლოყაშვილი

ქართული ისტორიოგრაფიის ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიის შესწავლა.

ქართველ ხალხს არა მარტო საკუთარი სახელმწიფოებრიობის დაცვისა და გადარჩენის პრობლემები ედგა წინ, არამედ ქართული ეთნოსის, კულტურის და ცივილიზაციის გადარჩენის პრობლემაც.

წინამდებარე ნაშრომის საკვლევად შერჩეული პრობლემა, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის ავტორიტეტს და ბრძოლებს ეხება, აქტუალურია და მას მრავალი შრომა მიემდვნა, როგორც წარსულში, ასევე თანამედროვე ისტორიკოსთა მიერ.

წარსულში მას ჩირქს სცხებდნენ და აუგად იხსენიებდნენ. ხშირად მას და მისი გუნდის წევრებს ყაჩაღებად ნათლავდნენ.

ამგვარი შეხედულების უკან იდგა კომუნისტური იდეოლოგიით განმსჭვალული საზოგადოება და ხელისუფლება. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირებს მტრის სახელს არქმევდნენ. ასეთი შეფასება ჰქონდათ მათ XX საუკუნის 20-იანი წლების აჯანყებათა მონაწილეებზე და განსაკუთრებით მის ერთ ერთ წევრზე და ფაქტობრივად ხელმძღვანელზე-ქაქუცა ჩოლოყაშვილზე. მის წინააღმდეგ ეს აზრი არსებობდა საბჭოთა რეჟიმის პერიოდში და სამწუხაროდ, დღემდეც არის შემორჩენილი ასეთი აზრი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ რთულიც იყო მეცნიერულად გაანალიზებული ნაშრომის შექმნა, რადგან ავტორისათვის დახვრეტა ან გადასახლება გარდაუვალი იქნებოდა.

1921-1924 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო სვანეთის აჯანყებით 1921 წელს, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური იყო ხევსურეთის აჯანყება 1922 წლის აგვისტო-სექტემბერში, რომელმაც მოიცვა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი. სწორედ ამ აჯანყების სულის ჩამდგმელი იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მან თავისი შეფიცულებით ხევსურეთში, ფშავსა და კახეთში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება წამოიწყო და არც შეჩერებულა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დასრულებამდე.

ჩოლოყაშვილების გვარი საქართველოს ისტორიაში ცნობილი გვარია. ქაქუცა ჩოლოყაშვილი პირდაპირი შთამომავალი იყო კახეთის (ბახტრიონის) 1659 (1660) წლის აჯანყების მეთაურის სახალხო გმირის, წმინდა მოწამისა ბიძინა ჩოლოყაშვილისა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქაქუცას ხსენებაც კი წარმოუდგენელი იყო კომუნისტური დიქტატურის წლებში. „საბჭოთა ხელისუფლება მასაც და მის თანამებრძოლებსაც ბანდიტად და შარაგზის ყაჩაღად ნათლავდა, ხალხში შიშს ნერგავდა, ქართული სულის ჩაკვლას ეროვნული გმირების ნათელი ხსოვნისა და წმინდა სახელების შებღალავით ცდილობდა“ (ბურდიაშვილი, 2014, 132).

XX ს-ის 80-იანი წლების ბოლოს, საქართველოში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხანაში გახდა ხელმისაწვდომი აკრძალული თემების „მზის შუქზე“ გამოტანა, მათ შორის ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, როგორც ეროვნულ გმირზე. ფაქტობრივად სიმართლის სარქველი აეხადა „ხალხის მტრად“ და „ბანდიტად“ ცილდაწამებული მამულიშვილი თავისი ხალხის წინაშე წამოიმართა, როგორც უმწიკვლო პატრიოტი, სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი, უმამაცესი კაი ყმა, სახალხო გმირი“ (გოგოჭური, ლიქოკელი, 1991, 64).

ქაქუცა ჩოლოყაშვილი იმსახურებს ქართველი ხალხის შექებას, რადგან „მას მხოლოდ საქართველოს უანგარო სიყვარული ამოძრავებდა და არასოდეს მიილტვოდა პატივისა და დიდებისაკენ. მისი ბიოგრაფია ტკივილიანი გზაა კიდევ ართი ქვეყნისათვის მსხვერპლად შეწირული ქართველი გმირისა, რომელმაც სულ რაღაც 42 წელი იცხოვრა და შეძლო საქართველოს უახლეს ისტორიაში ჩაეწერა სამშობლოსადმი ერთგულების და თავდადების ტრაგიკული ფურცელი“ (ბურდიაშვილი, 2014, 133).

ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი დაიბადა 1888 წლის 14 ივლისს თელავის მაზრის სოფელ მატანში (ახლ. ახმეტის მუნიციპალიტეტი), იოსებ და დარია ჩოლოყაშვილების ოჯახში. მისი თანამედროვენი ხშირად იხსენებდნენ, როგორც განათლებულ, ასევე პიროვნული თუ ფიზიკური თვისებებით შემკულ ადამიანს. „იგი გამოირჩეოდა თავდაჭერით, ქალებთან რაინდული დამოკიდებულებით, ცხენზე ჯდომითა და ჯირითით,

საოცრად კარგად ცეკვავდა, ყველასათვის დაუვიწყარია მის მიერ შესრულებული „ლეკური“ (საითიძე, 2012, 5).

ქ.ჩოლოყაშვილის პიროვნულ ღირსებას აღიარებდნენ არა მარტო თანამედროვე ქართველები, სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. მაგალითად, ფრანგი პოლკოვნიკი რემონ დიუგე, რომელიც პირადად იცნობდა ქაქუცას და რომელიც საქართველოზე უზომოდ იყო შეყვარებული, თავის წიგნში „მოსკოვი და წამებული საქართველო“ წერდა: „იმ მეთაურთა შორის, რომელთაც წითლებს დაუნდობელი ომი გამოუცხადეს, ყველაზე სახელოვანი უდავოდ თავადი ჩოლოყაშვილია. მისი სახელი ყოველი ქართველისათვის საამაყოა. ალბათ პოლკოვნიკ ჩოლოყაშვილის სახელი საქართველოს ისტორიაში იქცევა სიმამაცის, ვაჟკაცობისა და თავგანწირვის სიმბოლოდ“ (დიუგე, 1994, 122-123).

ქაქუცა ჩოლოყაშვილი სწავლობდა ჯერ თელავის, ხოლო შემდეგ თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. მისი დამთავრების შემდეგ, 1909 წელს იგი გაწვეულ იქნა სამხედრო სამსახურში. იმსახურა ტვერის დრაგუნთა პოლკში, საიდანაც სამშობლოში ოფიცრის წოდებით დაბრუნდა (ამირეჯიბი, 1989, 5).

1913 წელს ქაქუცა დაოჯახდა. მან ცოლად შეირთო სოფელ აწყურში მცხოვრები აზნაურ ილია მეღვინეთუხუცესის ერთადერთი ქალიშვილი, სილამაზითა და სათნოებით შემკული ნინო (ფარსადანიშვილი, ვახტანგიშვილი, თვალაშვილი, ელანიძე, მამუკელაშვილი, 2015, 111). ქორწინების შემდეგ იგი საცხოვრებლად თავის მამულში დაბინავდა, ხოლო შემდგომ სოფელ აწყურში, მეუღლის ოჯახში, რადგან მას, როგორც სამხედრო პირს ხშირად ოჯახიდან შორს უწევდა ყოფნა. ნინოსგან მას შეეძინა ორი ქალიშვილი_თამარი (ციცნა) და ქეთევანი.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ დაარღვია მისი ოჯახის მყუდროებაც. ქაქუცა ჩოლოყაშვილი იბრძვის სხვადასხვა ფრონტზე. განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინა სარყამიშთან ბრძოლაში მისმა ასეულმა. ის ზურგის ასეულს ხელმძღვანელობდა. თურქების სიმრავლის გამო ქაქუცამ მიიღო ბრძანება უაღრესად სტრატეგიული მნიშვნელობის „არწივის ბუდის“ მთის მტრისგან უკან დაბრუნების შესახებ. ეს ბრძანება ქაქუცამ ბრწყინვალედ შეასრულა და „არწივის ბუდე“ დაიბრუნა (ფარსადანიშვილი, ვახტანგიშვილი, თვალაშვილი, ელანიძე, მამუკელაშვილი, 2015, 113).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაიწყო ქართული ჯარის ფორმირება. ქაქუცას თანამებრძოლის შალვა ამირეჯიბის ცნობით „ის (ქაქუცა) უკვე ქართულ ჯარში მსახურობს და ამ ხნიდან, როგორც ერთი შესანიშნავი ოფიცერთაგანი, მონაწილეა ყველა იმ ომებისა და სამხედრო საქმეებისა, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს ჰქონდა“ (ამირეჯიბი, 1989, 6).

სათანადო ლიტერატურის სიმცირის გამო ჯერ კიდევ უცნობია საქართველოს I რესპუბლიკის პერიოდში ქაქუცას საბრძოლო მოღვაწეობა. მკვლევარი გურამ შარაძე წერს: „1921 წლის 24 თებერვალს მენშევიკების მთავრობა, თბილისი რომ დატოვა და ბათუმისკენ გაემურა, ხოლო ქართულმა ჯარმა დაშლა დაიწყო, ამ დროს ქაქუცა ჩოლოყაშვილი სახელმთხოვეჭილ კავალერის დავით ჭავჭავაძესთან ერთად სამეგრელოში იმყოფებოდა, სადაც მთავრობამ გაგზავნა ცხენოსანთა ნაწილების ჩამოსაყალიბებლად“ (შარაძე, 1989, 11-12).

მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა უგულვებელყო საერთაშორისო სამართლის ნორმები და ძალისმიერი მეთოდებით ქვეყანაში საბჭოთა რეჟიმი დაამყარა, საქართველოს მთავრობამ ნოე ჟორდანიას მეთაურობის დატოვა სამშობლო და საფრანგეთს შეაფარა თავი, „ქაქუცა ჩოლოყაშვილს ემიგრაციაში წასვლა არც უფიქრის. იგი ბევრ სამხედრო თუ პოლიტიკურ მოღვაწესთან ერთად საქართველოში დარჩა და გადაწყვიტა კვლავ სამხედრო სამსახური განეგრძო“ (ფარსადანიშვილი, ვახტანგიშვილი, თვალაშვილი, ელანიძე, მამუკელაშვილი, 2015, 115).

მიუხედავად იმისა რომ ქაქუცა ქართულ ესეულში განაგრძობდა სამხედრო სამსახურს, ის არ შერიგებია არსებულ მდგომარეობას. „ქ.ჩოლოყაშვილი კარგად ხედავდა რა მძიმე საოკუპაციო რეჟიმი დაამყარეს. ბოლშევიკებმა, როგორ შეურაცხყვეს ქართული

სიწმინდეები და ქართველი ხალხის თავისუფალი ნება. დიდი ბიძინა ჩოლოყაშვილის შთამომავალს არ შეეძლო ამ რეჟიმთან შეგუება, საჭიროდ ჩათვალა სიცოცხლის ბოლო წუთამდე ებრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად (ჭუმბურიძე, 2015, 155).

საქართველოს გასაბჭოების პირველივე თვეებიდანვე ჩაერთო ქაქუცა ჩოლოყაშვილი არსებული რეჟიმის წინააღმდეგ დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იგი კავშირს ამყარებს ქართველ პატრიოტებთან და თანამებრძოლებს აცნობს თავის გადაწყვეტილებას პარტიზანული ბრძოლების დაწყების შესახებ. ქაქუცა უკავშირდება პარიტეტული კომიტეტის ერთ-ერთ მეთაურს – კონსტანტინე (კოტე) აფხაზს, რომელთანაც მოლაპარაკება აქვს მოსალოდნელი ბრძოლების და მისი სწორად წარმართვის შესახებ.

ქაქუცას ერთ-ერთი თანამებრძოლი ალექსანდრე სულხანიშვილი თავის მოგონებებში აღნიშნავს: „როგორც მან მითხრა (ქაქუცამ), ჯერ პატარა ჯგუფს უნდა მოეყარა თავი მეტად საიდუმლო ვითარებაში, რათა რაზმის შესაქმნელად დაეწყოთ მზადება“ (სულხანიშვილი, 1989, #10,151).

1922 წლის გაზაფხულზე ჩოლოყაშვილი უმეტესად სიღნაღის მაზრაში იმყოფებოდა. იქ მომხდარი „შეხლა-შემოხლის“ გამო ხელისუფლებამ ქაქუცა დაატუსაღა, თუმცა იმავე ღამეს ის გათავისუფლდა. „რევკომს თავს დაესხა ექვსი კაცი. მათ იარაღი აჰყარეს მილიციონერებს, კაი გვარიანად მისტიკეს და ქაქუცა გაათავისუფლეს“ (სულხანიშვილი, 1989, #10,156)

იმავე საღამოს მათ დატოვეს ქიზიყი და დაბანაკდნენ სოფელ ალვანის ტყეში (მაშინდელი თელავის მაზრა), სადაც „შვიდეულმა“ შეჰფიცა ერთმანეთს. ესენი იყვნენ: ქაქუცა ჩოლოყაშვილი, მიხა ბალიაშვილი, ვასო თამაზაშვილი, სოსო ლოსაბერიძე, მიშა ნაცვლიშვილი, ს.ჩითანაშვილი და ქიზიყელი ბიჭი ქარუმა. მათ „შეფიცულები“ ეწოდათ. ჯგუფს ორგანიზაცია უნდა გაეკეთებინათ პარტიზანული ბრძოლის დაწყებისათვის. შემდეგ მათ კიდევ მრავალი ადამიანი შეუერთდა. მათ შორის იყვნენ: ალექსანდრე სულხანიშვილი, სვიმონ (სიკო) ჩოლოყაშვილი (ქაქუცას ძმა), ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი, ლელო ჩიქოვანი, ელიზბარ მაყაშვილი, ალექსანდრე კარგარეთელი, სერგო მაისურაძე, თომა ბალიაური, დიმიტრი ჭინჭარაული, მიხა ხელაშვილი, ალექსანდრე ბადურაშვილი, ილია ქარუმიძე, ალექსანდრე ცხვედაძე, გოლა პავლიაშვილი, მერაბ ჯორჯაძე, შალვა ნებიერიძე, მიშა ლაშქარაშვილი, ალექსი ფეიქრიშვილი, შალვა, ლევან ჯავახიშვილი და სხვები (კირთაძე, 1996, 125). ხევსურეთის აჯანყების მეისტორიე ივანე ლიქოკელი აღწერს: „ამ დღეს რაზმის წევრმა და მეკავშირემ დიმიტრი ცისკარაულმა, რომელიც აქაურ ხევსურთა ხუცესიც იყო, ურყევი, ხევსურული ტრადიციით, საკლავითა და ფიც-ვერცხლით აკურთხა რაზმი და ქრისტეს რჯულით დაულოცა მას გამარჯვების გზა. სწორედ ამის გამო ეწოდა ქაქუცაჩოლოყაშვილის რაზმს „შეფიცულთა რაზმი“ (ლიქოკელი, 2006, 45-57).

კახეთის გარდა ჩოლოყაშვილი სანდო პირებს გზავნის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (დუშეთისა და გორის მაზრებში) და ქმნის ფარულ ორგანიზაციებს.

ქაქუცას ტყეში გასვლის და შეფიცულების შესახებ ცნობა მალე მთელ საქართველოს მოედო. ალ. სულხანიშვილი წერს: „ამასობაში მთელ საქართველოში გავარდა ხმა, ქაქუცა საბრძოლველად გავიდაო, საიდან აღარ მოდიოდნენ ჩვენთან მოკავშირეები, უაღრესად სანდო პიროვნებები“ (სულხანიშვილი, 1989, #11,153).

1922 წლის ივლისში ქაქუცას ხელმძღვანელობით ხევსურეთში დაიწყო გამოსვლები. მთელი ხევსურეთი ფეხზე დადგა. დიმიტრი ჭინჭარაულმა ასე მიმართა ქაქუცას: „შენ გხვდა წილად ჩვენი წინაპრების ნაბოძარი საქმის გაგრძელება შენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ეს პატარა რაზმი უნდა გადააქციო ქართულ ჯარად. თქვენზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის სიდიადე“ (ლიქოკელი, 2006, 74).

სამწუხაროდ, ხევსურეთის ამბოხს ბარელების ღალატის გამო გაგრძელება არ ეწერა. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო აჯანყება და უამრავი ადამიანი იქნა დახვრეტილი.

1923 წელს ბოლშევიკებმა აღმოაჩინეს რა „სამხედრო ცენტრი“, აჯანყებულები სასტიკად დასაჯეს. დაიჭირეს ქაქუცას ოჯახი: მეუღლე და შვილებიც: 7 წლის თამარი და 3

წლის ქეთევანი. ასევე დააპატიმრეს ქაქუცას ახლობლები და ტყეში გახიზნული ახლობლები.

მტერმა ქაქუცას კვალს ვერ მიაგნო. იგი ჩეჩნეთში გადავიდა, ცდილობდა ჩეჩნები შემოეერთებინა და ერთად ებრძოლათ რუსების წინააღმდეგ, მაგრამ გამწვანდა ერთობლივი ძალებით შეტევა. საქართველოში ქაქუცა ახალი ბრძოლისათვის ემზადება.

ახალი აჯანყება 1924 წლის 17 დეკემბერს დაიგეგმა, მაგრამ გადაიდო 29 აგვისტოსათვის. აჯანყებას მთელი საქართველო უნდა მოეცვა. ამ აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ: კახეთში_ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ქართლში_მიხეილ ლაშქარაშვილი, ბორჯომში_კასრაძე, სვანეთში_გარდაფხაძე, გურიაში_მათიაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ „სამხედრო ცენტრი“_ „დამკომი“ მკაცრად კრძალავდა საერთო სახალხო აჯანყების დაწყებას დროზე ადრე, ეს მაინც ასე მოხდა. ჭიათურაში მთელი 24 საათით ადრე დაიწყო გამოსვლები. შეიარაღებული გამოსვლა მკაცრად გასაიდუმლოებული იყო, თუმცა „ჩეკასათვის“ მიახლოებული დრო ცნობილი გახდა.

29 აგვისტოს აჯანყება მაინც დაიწყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, მაგრამ ეს ჭეშმარიტად საერთო სახალხო გამოსვლა მაინც ერთიან წინამძღოლობას მოკლებული იყო და ამდენად ცალკეულ კუთხეებად ლოკალიზებული აღმოჩნდა. მკვლევარ კირთაძის აზრით: „სწორედ ამან მისცა საშუალება ორჯონიკიძეს, დიდი ამბით დაეტრახა მოსკოვში 1924 წლის ოქტომბერში გამართულ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე: „მთელი ამ აჯანყების ლიკვიდაცია სამ დღეში მოვათავეთ, 31-ში(აგვისტო) აღებულ იქნა სენაკი. ამით ძირითადად დასრულდა ყველაფერი“ (სმსსსსა, 8.3, 1089; კირთაძე, 1996, 173).

1924 წლის აჯანყების დამარცხებისა და საქართველოში დატრიალებული სადამსჯელო ღონისძიებების შემდეგ უკვე ცხადი გახდა, რომ ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. ჩოლოყაშვილმა და მისმა რაზმმა გადაწყვიტა საზღვარგარეთ წასვლა. ქაქუცა და მისი „შეფიცულები: ცხენებზე ამხედრებული მიუახლოვდნენ საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა სოფელს. აქ სამი ქვეყანა: საქართველო, თურქეთი და სომხეთ ემიჯნებოდნენ ერთმანეთს. ლტოლვილები ფხიზლობდნენ, მუდამ შესაძლებელი იყო მდევრის გამოჩენა. შებინდებისას ისინი თურქეთის საზღვარზე გადავიდნენ. „ჩეკას“ ცნობით საზღვარი ქაქუცასთან ერთად 22-მა მეზობელმა გადაკვეთა. შემდეგ სტამბოლიდან საფრანგეთისაკენ აიღეს გეზი.

ვ.ბენიძე თავის გამოკვლევაში წერს: „აგვისტოს აჯანყების დამარცხება ერთის მხრივ გამოიწვია ოპოზიციური პოლიტპატიმრებისა და ქართული ემიგრაციის შინა წინააღმდეგობთა გაღვივება და დააჩქარა მათი რიგების დაშლა, მეორეს მხრივ, აამაღლა ეროვნული თვითშეგნება და წარმართა იგი განმათავისუფლებელი ბრძოლის რეალური გზების ძიებისაკენ“ (ბენიძე, 1991, 32).

მკვლევარი ნესტან კირთაძე კი თავის ვრცელ მონოგრაფიაში 1924 წლის აჯანყებას ასე აფასებს: „ეს იყო ჭეშმარიტად სახალხო აჯანყება – აჯანყება ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის“ (კირთაძე, 1996, 186).

პროფესორ ფარნაოზ ლომაშვილის შეფასებით: „აჯანყებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მან ნათელჰყო, რომ ქართველი ხალხი თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვას არასოდეს შეურიგდებოდა“ (ლომაშვილი, 1997, 113).

1921-1924 წლები ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლებმა დიდი კვალი დატოვა ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში. 1921-1924 წლები ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ქაქუცასნაირი პატრიოტი ბევრი რომ ყოფილიყო, გამარჯვების მეტი შანსი იქნებოდა.

ბიბლიოგრაფია:

1.ამირეჯიბი, 1989_შ.ამირეჯიბი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, შემდგენელ-რედაქტორები:გურამ შარაძე, გურამ გვერდწითელი, გამომცემლობა „მერანი, თბილისი, 1989 წ.

2.ბენიძე, 1991_ვ.ბენიძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1991

3. ბურდიაშვილი, 2014_მ. ბურდიაშვილი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 1921-1924 წლებში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2014.
4. გოგოჭური, ლიქოკელი, 1991_დ. გოგოჭური, ი. ლიქოკელი, ხევსურეთის აჯანყება და ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ჟურნალი „პოლიტიკა“, N1, თბილისი, 1931
5. დიუგე, 1994_რ. დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო, გამომცემლობა „ჯისაი“, თბილისი, 1994
6. კირთაძე, 1996_ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბის სარედაქციო ცენტრი“, ქუთაისი, 1996 წ.
7. ლიქოკელი, 2006_ი. ლიქოკელი, ხევსურები და ქაქუცა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2006 წ
8. ლომაშვილი, 1997_ფ. ლომაშვილი, საქართველოს ისტორია, XI კლასი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1997 წ.
9. საითიძე, 2012_გ. საითიძე, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, დოკუმენტური მოთხრობა, გამომცემლობა „საოჯახო ბიბლიოთეკა“, თბილისი, 1989 წ.
10. სულხანიშვილი, 1989_ალ. სულხანიშვილი, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, ჟურნალი „ცისკარი“, #10, #11, თბილისი, 1989 წ.
11. შარაძე, 1989_გ. შარაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, შემდგენელ რედაქტორი: გ. შარაძე, გ. გვერდწითელი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2006 წ.
12. ფარსადანიშვილი, ვახტანგიშვილი, თვალთშეშვითი, ელანიძე, მამუკელაშვილი, 2015_ა. ფარსადანიშვილი, თ. ვახტანგიშვილი, მ. თვალთშეშვითი, ვ. ელანიძე, ე. მამუკელაშვილი, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XX ს-სი 20-30-იან წლებში, თელავი, 2015 წ.
13. ჭუმბურიძე, 2012_დ. ჭუმბურიძე, ისტორიული პორტრეტები, წერილები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012 წ.
14. სმსსსპა, ფონდი 8, აღ 3, საქმე 1089;
15. <http://burusi.wordpress.com>

EKA KOBIASHVILI

Iakob Gogebashvili State University, Telavi

From the History of the National Liberation Movement of the 1920s – Kakutsa Cholokashvili

Abstract

The article is about Georgian national hero Kakutsa Cholokashvili and his fight against the period of occupation to rebuild the lost polity. I've tried to represent the real face of patriot who informally was called "Enemy of People" In the report it is also mentioned about his plans with "Band of Sworn Men" and with his family

საკვანძო სიტყვები: აჯანყება; ეროვნული გმირი; საბჭოთა რეჟიმი; „შეფიცულები“; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

Key words: insurrection; national hero; The period of Soviet Union; „Band of Sworn Men“, national - independence movement.

მაია კობიაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

„პროლეტარული მწერლობა“ - იდეოლოგიური კატალიზატორი (1927-1932)

XX საუკუნის 20-30-იანი წლები საქართველოს ისტორიაში ტერორის, განუკითხაობის, ანგარიშსწორებისა და დაუნდობლობის ეპოქა იყო. ბოლშევიკების მთავარ ამოცანას იდეოლოგიური მტრების განადგურება წარმოადგენდა. მწერალთა ცხოვრება და შემოქმედება ბოლშევიკური წყობის მესვეურთა მიერ იმართებოდა, ხდებოდა მათი იდეოლოგიური ზომბირება და ტერორის გზით დიქტატურის სამსახურში

ჩაყენება. ჩამოყალიბდა იდეოლოგიურად უტყობილი ლიტერატურული მიმართულება - პროლეტარული მწერლობა. იქმნებოდა დიტირამული ლექსები საბჭოთა ქვეყნის მესაჭეებზე, იწერებოდა ვრცელი რომანები საბჭოთა ადამიანების შრომასა და ძმობა-ერთობაზე, ამის პარალელურად სახიზრდებოდა მაღალი გემოვნების მქონე მწერლობის ნიმუშები. დაპირისპირება ბოლშევიზმის ტოტალიტარულ რეჟიმსა და მხატვრულ ლიტერატურულ აზროვნებას შორის ათეული წლების მანძილზე გაგრძელდა.

ამ ეტაპზე ჩვენი ინტერესის საგანია საბჭოთა პრესის ფურცლებზე ვეძიოთ ისტორიულ-ლიტერატურული რეალობა, რომელშიც მკვეთრად გამოვლინდა ბოლშევიზმის ყველა მეთოდი, ხერხი, შეფასების კრიტერიუმები ქართულ მწერლობასა და კულტურის მოღვაწეებზე. კვლევა მიზნად ისახავს მწერალთა შემოქმედებითი ასპექტებისა სიღრმისეულ ანალიზს, დაკვირვებას იმ მეტამორფოზაზე, რომელსაც განიცდიდნენ პროლეტარები, თანამგზავრები თუ „ხალხის მტერები.“ სიმართლის დადგენაში დიდ დახმარებას გაგვიწევს საბჭოთა ორგანოების დეტალური შესწავლა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა.“

ახალ დროსა და ეპოქაში ბოლშევიზმი, სოციალიზმი, ტოტალიტარიზმი, პროლეტარიატი და მათი პრესა არქივს ჩაბარდა და, როგორც სახადი, მოიხადა ჩვენმა საზოგადოებამ. ახალ ხედვათა და გამოწვევათა ფონზე ვფიქრობთ, დეტალიდან მთელის ჭკრეტა უკეთ მოხერხდება. ეპოქის დოკუმენტური ნარატივის თავისებურებათა გასააზრებლად ფაქტების გამომზეურება მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

მოცემული კვლევა არ გაჰყვება არც „შეწირულთა“ ცხოვრებას, არც „გაწირულებს“. პროლეტარ მწერალთა ფონზე ჩვენ წინ გამოწვევით „გადარჩენილების“ პოლიტიკურ პრინციპებსა და იდეოლოგიურ მრწამსს.

„პროლეტარული მწერლობა“, როგორც ბრძოლისა და მოქმედების მნიშვნელოვანი იარაღი, ქართული ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალია, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანო, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1927-1932 წლებში.

ჟურნალს პირველ გვერდზე ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს მოწოდება: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!“

რედაქტორი იყო დ. რონდელი. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ ბ. ბუაჩიძე, ს. თოდრია, ვ. ლუარსაბიძე, ა. მაშაშვილი, შ. რადიანი, ს. ეული (ქურიძე).

ჟურნალი მიზნად ისახავდა პროლეტარული მწერლობის განმტკიცებას, პარტიის პოლიტიკური ხაზის სწორ ადგატარებას, შეურიგებელ ბრძოლას როგორც „მემარჯვენეობის“, ისე „მემარცხენე“ გადახრების წინააღმდეგ; ჟურნალში იბეჭდებოდა ახალი ცხოვრების ამსახველი ლექსები, მოთხრობები, პოემები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები.

სიტვა „პროლეტარი“ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ნიშნავს დაქირავებული მუშას, რომელსაც წარმოების საშუალებანი არ გააჩნია; ძველ რომში კი პროლეტარი იყო მოქალაქე - ღატაკთა წოდების წარმომადგენელი.

[<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=33005>]

საბჭოთა ხელისუფლების უალტერნატივო მიზანი იყო თავისი გავლენის ქვეშ მოექცია საზოგადოების ფართო ფენები. „ლიტერატურული დაცემულობის“, ანუ „ესენინშჩინას“ [ბუაჩიძე. ბ. „თეორია და პრაქტიკა“, „პროლეტარული მწერლობა“, 1927წ. N1] საპირისპიროდ, ასე ვთქვათ მისი აღდგენითი ფუნქციით შეიქმნა ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“.

პროლეტარიატის მიზანი თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა იყო ტიციან ტაბიძე „მკვდარ პოეზიად“ ნათლავს პროლეტარული ინტერესების მქადაგებელ შემოქმედებას. თუმცა არც ასე ნათელია ყველაფერი. მისი და „ზოგადად, „ყანწელების“ ჩაბმა ტოტალიტარულ ფერხულში უამრავ კითხვის ნიშანს აჩენს. მათი შემოქმედება ოდენ ხარკი იყო საბჭოეთის წინაშე „დიად საუნჯეთა გადასარჩენად გაღებული, თუ თანადროულობის განწყობა მართლაც გადაედოთ?! თვითონ კრიტიკოსი ბუაჩიძე ასე განმარტავს ტიციანის

დამოკიდებულებას: „პოეტს ალაპარაკებს კლასი, აქ კლასის ბრწყალების გავლენა მქლავნდება, - კლასის ნების, განწყობილებების და ინტერესების კარნახია. ამ შემთხვევაში პოეტი მხოლოდ ორგანიული თუთიყუშია ამ კლასის.“[ბუჩიძე. ბ. „თეორია და პრაქტიკა“, „პროლეტარული მწერლობა“, 1927წ. N1. გვ.40]

გასაბჭოების შემდეგ ქართველ მწერალთა ერთი ნაწილი გულწრფელად თანაუგრძნობდა ბოლშევიკებს. მაგალითად, ტიციან ტაბიძემ გამოაქვეყნა ესე „პოეტები და რევოლუცია“, პაოლო იაშვილმა კი ცნობილი ლექსი „ახალ საქართველოს – 1921 წლის 25 თებერვალი“; ასევე, შეგვიძლია გავიხსენოთ გალაკტიონის რევოლუციური სულისკვეთების ლექსები და ა.შ.

ლიტერატურაში გამოკვეთილი ეს ნაკადი პოეტ-მწერლებისა, საბჭოთა ინტერესებისა და იდეების „თანამგზავრებად“ იყვნენ შერაცხულნი. ბუაჩიძე ასე აღწერს მათ პოზიციებს: ასეთნი ვერ უწყობენ ფეხს აღმშენებლობის იმ ტემპს, რომელიც აქვს საბჭოთა ქვეყანას და ვარდებიან სასოწარკვეთაში, დეპრესიაში, რაც მომდინარეობს შემოქმედთა შიშიდან. [ბუჩიძე. ბ. „თეორია და პრაქტიკა“, „პროლეტარული მწერლობა“, 1927წ. N1. გვ.42]

„თანამგზავრ“ პოეტად წერილის ავტორი უპირველესად გამოყოფს **გალაკტიონ ტაბიძეს**, რომელმაც, როგორც აღნიშნავს, შექმნა რევოლუციური ხასიათის ლექსების ციკლი, რევოლუციური პოემები და შემდეგ ისევ პესიმიზმმა შეიპყრო.

ჟურნალის ტენდენციურობა აშკარაა, გმობს გზას „მთაწმინდიდან - წიწამურამდე“, ვერ გაუგია რას ნიშნავს „ქართული რჯული“, ამგვარ განწყობათა შემოქმედთ „ჩრჩილებად“ მოიხსენიებს. აქვე გაკრიტიკებულია **ნიკო მიწიშვილის** სტამბოლიდან გამოგზავნილი წერილი „ფიქრები საქართველოზე“. წერილში ვკითხულობთ: „მე არ მინდა უარყო საქართველო წარსულში და მომავალში. მაგრამ ესე ხდება ეს. თუ ერის სახე იხატება მის შემოქმედებაში - საქართველოს სახე დღეს განსაკუთრებით ძნელი სანახავია. ხოლო ჩვენს შემდეგ რა მოდის ხელოვნებაში და პოეზიაში, ეს თქვენ იცით. ეს საუკუნე ვერ მისცემს საქართველოს ვერც ერთ პოეტს, ვერც ერთ ჭეშმარიტ მწერალს...“ [რონდელი.დ. „თანამედროობა და ქართული მწერლობა“ „პროლეტარული მწერლობა“, 1927წ. N1. გვ.79]მას ბრალდებას უყენებს ბენიკო ბუაჩიძე, რომ ასეთი ფიქრები საქართველოს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს, რადგან კრიტიკოსის აზრით, რა საჭიროა სევდა, სასოწარკვეთა, სინანული?! ფიქრები კვლავაც გრძელდება და ახალ საქართველოს არაფერი აქვს საჭირისუფლო(ბ.ბ). იგი ირონიულად შენიშნავს: „თურმე საჭირო იყო სტამბოლის მინარეთების ხილვა, რომ საქართველოზე ფიქრების ბურანს შთაენთქა პოეტის გრძნობიერი გული და უარყოფის „მიკრობებით“ გაბრჯნილიყო“. [ბუჩიძე. ბ. „თეორია და პრაქტიკა“, „პროლეტარული მწერლობა“, 1927წ. N1. გვ.52]

ამგვარი კრიტიკა მიმართულია იქით, რომ დაადანაშაულოს ყველა პოეტი, რომელსაც „უყვარს“ საქართველო. რადგან ამგვარ სენტიმენტებს საბჭოეთი არ სცნობს.

„ისტორიაზე ფიქრს იწყებენ მაშინ, როდესაც აწმყომი არაფერი აქვთ საკეთებელი და თავის არსებობისთვის საიმედო. ბურჟუაზიის და თავადური ხანჯლის საქართველო, არამც თუ ბერწია, არამედ კვდება სამუდამოთ. რეალურია ახალი, შრომის საქართველო, რომელსაც არ ექვეება თავი.“ ამგვარ დამოკიდებულებას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ კრიტიკოსთა დემაგოგია. აზრის ასე მიწოდება, მკითხველს განაწყობს უარყოფითად და „ბედნიერი ცხოვრების“ გარანტიით ანთებული შეუდგება საბჭოთა აღმშენებლობის გზას, რადგან ჯერ ადრეა , რომ „წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ“. [„პროლეტარული მწერლობა“, 1927წ. N1.გვ.53]

წერილის მიზანია, მკითხველს აუხსნას, განუმარტოს, რომ „ცისფერყანწელთა“ ნაკადის „სოციალური ატროფია“(ბ.ბ), რომ ბურჟუაზიული ყოფის მოტირალთა კრიზისი უკანასკნელ წუთებს ითვლის.

ჟურნალის რედაქტორი დ. რონდელი თავის წერილში მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველო უკვე ექვსი წელია გასაბჭოვდა და მწერლობის გასაბჭოება ჯერაც ვერ მოხერხდა. ამგვარად, ჟურნალის, როგორც იდეოლოგიური შუამავლის ფუნქცია ირკვევა. იგი ამბობს: „ქართული პროლეტარული ლიტერატურა თანდათანობით

იდეოლოგიურ-ლიტერატურულ მთლიანობას აღწევს. ზოგიერთ პროლეტარულ მწერალში ქართული აუდიტორიის რეაქციონურ და შოვინისტურ დიდი ფენის დაწოლამ ზოგიერთი გადახრები გამოიწვია. ეს მოვლენაც დამლეულ იქნა დროზე. პროლეტარული ლიტერატურის საერთო ხაზი დაცულია.“ [„პროლეტარული მწერლობა“, 1927წ. N1.გვ.88] აქ ერთ საინტერესო ფაქტს ვაწყდებით, რომ პროლეტარ პოეტებსაც უგრძნიათ ჭეშმარიტი პოეზიის ძალა და გადაუხვევიათ საბჭოური ფორმისა და მეთოდისთვის.

„პროლეტარული მწერლობა“ უწოდებს რა საქართველოს „ბერწსა“ და უსაშვილოსნოს“ მეოცნებე პოეტთა გამო („ცისფერყანწელები“), უპირისპირებს ამ პოეტებს „ნაყოფიერ“ და ჭეშმარიტ შემოქმედებს, როგორც არის **ალიო მაშაშვილი**. კრიტიკოსი შ.რადიანი მას მაღალ შეფასებას აძლევს, რომ მისი შემოქმედება ნათლად გამოხატავს პროლეტარიატის ინტერესებს, ემსახურება დიად მიზანს და დგება ქვეყნის(სსრკ) სამსახურში. პ.ქიქოძე მას ინდუსტრიისა და ქალაქის პოეტს, ქარხნისა და შრომის პოეტს უწოდებს. [„პროლეტარული მწერლობა“, 1927წ. N1.გვ.117]

სიმბოლიზმს საბჭოური კრიტიკა „შემოქმედების უნარდაკარგული ფენის დეგენერაციას“ უწოდებდა, რომელიც „ბოღვით ირთობს თავს“ [„პროლეტარული მწერლობა“, 1927წ. N1.გვ.119] კრიტიკოსი ბუაჩიძე ვ.გაფრინდაშვილს საზოგადოებას აცნობს, როგორც გადაგვარებული ფენის, ცხოვრებამოზეზრებულ წარმომადგენელს. ავტორს წერილში მოჰყავს პოეტის სტრიქონები:

„შევსცქერი მსოფლიოს როგორც იდიოტი,
ირიბი სამყარო მთლად გადამაშენებს.“

ერთგვარი ღვარძლით აცხადებს, რომ ვ.გაფრინდაშვილი შეგნებულად არის დაცილებული რეალურ ცხოვრებას, „...გამოვკვეთე თრთოლვა იქითიური“. სწორედ ეს „იქითიურია“ ცხოვრებიდან ამოვარდნის მიზეზი...რევოლუციის შემდეგ ერთგვარი თანამგზავრული ტენდენციები დაეტყო“. ბუაჩიძედ ასკვნის: „პოეტ ვ.გაფრინდაშვილის შემოქმედება უცხოა და შეუთავსებელი მუშურ-გლეხური უდიდესი ფენებისთვის.“ [„პროლეტარული მწერლობა“, 1927წ. N1.გვ.120-121] ცხადია, მისი ლექსები გასაგები, ახლობელი და მოსაწონია მხოლოდ „ყანწელებისთვის“, თუმცა, ასე იყო თუ ისე, გაფრინდაშვილის „მისტიური“ ლექსების ბეჭდვა და გამოცემა არ იყო აკრძალული 1927 წელს.

თუ კოლაუ ნადირაძეს 1921 წლის 25 თებერვალი უმძიმესი განცდით აღავსებს, **სანდრო ეულის** აზედნიერებს, სიხარულით და ამაყად აცხადებს:

„აწ ხალხი ჩვენი პატრონია თავისუფლების,-
ამხანაგებო! მზე ამოდის - დღე გაგვითენდა,-
წითელ დროშების ხეივანში მზე ელვარებდა...
საქართველოში დღე დგებოდა გამოდარების“

[ეული.ს. „თებერვლის ღამე და გათენება“, „პროლეტარული მწერლობა“, 1927წ. N2. გვ.18]

პროლეტარული პოეზიის დასაწყისი სანდრო ეულის სახელთან არის დაკავშირებული, მან შეძლო დამოუკიდებელი თემატური ხასიათი მიეცა პროლეტარულ პოეზიისათვის“. როგორც ბიბლიოგრაფი აღნიშნავს, მისი შემოქმედებისთვის და ზოგადად, პროლეტარული ლიტერატურის ძირითადი დამახასიათებელია კოლექტივიზმი. „მისი პიროვნება, ეს სიმბოლოა კოლექტივის“, პოეტი იბრძვის ახალ დროში, ახალი ცხოვრების ალღოთი სავსე. სანდრო ეული პროლეტარული პოეტის განცდებით ანგრევს ძველს და ქმნის ახალს.

სანდრო ეულთან დაკავშირებულ მიმოხილვაში მკვეთრი კონტურებია გავლებული პროლეტარული მწერლობისა: პროლეტარი პოეტი უნდა განიცდიდეს კლასის ცხოვრებას, მის ქაოსს, მის სევდას, მის მიზანს. ის არ შეიძლება განიცდიდეს „რყევა-ქანაობას“, ზოგადობას. სწორედ ამ ნიშნებით ხასიათდება სანდრო ეული. მას არ ახასიათებს, როგორც ზოგ პროლეტარ პოეტს, (სვარაუდოთ, „თანამგზავრები“ იგულისხმება), „ზვის მოპირდაპირე სადგურებში - პერიოდულათ აღმა-დაღმა გადასხდომა“, ის ნეპის აღმშენებლობას

სათანადოდ ასახავს საკუთარ პოეზიაში.[ანი,„ბიბლიოგრაფია“,„პროლეტარული მწერლობა“.1927წ. N3. გვ.155-156.]

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის გაფართოებულ პლენუმზემომხსენებით გამოვიდა **გ.მუშიშვილი**., რომელმაც ასე ჩამოაყალიბა პროლეტმწერალთა , ანუ თანამედროვე ხელოვნების პრინციპი: „პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში, ხელოვნებას უნდა მიუდგეთ გამოყენება-სარგებლოიანობის თვალსაზრისით... ჩვენ ვებრძვით ჩვენთან, აშკარათ მტრულათ განწყობილ ლიტერატურას, ამასთანავე ხელს უწყობთ თანამგზავრულ ფრთის გამოჩენას ლიტერატურაში“.

კრიტიკოსი პოეტისგან ითხოვს არა ათასჯერ გადანამდერის გამეორებას, არამედ იმას, თუ რა ამდერებს, რა მისცა ახალმა ცხოვრებამ და იმდერონ არა ისე, როგორც უმდერიათ, არამედ ისე, როგორც არასდროს არ უმდერიათ“. საბჭოეთი კატეგორიულია ყოველგვარი გადახვევის საკითხში. ის ითხოვს მწერლისგან სტაბილურობას, მსახურებას ახალი ცხოვრებისა. [ბუაჩიძე.გ „პროლეტარული მწერლობა“.1929წ.N1.გვ.73]

30-იანი წლებიდან ბევრად უფრო მოძლიერებულია საბჭოთა მწერლობა, კრიტიკოსები თავდაუზოგავად იწყებენ „მემარჯვენე ფრონტის ლიტერატურაზე მძლავრი იერიშის მიტანას.“

მეშვიდე ნომერში ყურადღებას იპყრობს წერილის სათაური: „პროლეტარულ საბავშვო მწერლობისათვის“, ავტორი **ირაკლი აბაშიძეა**. ხაზს უსვამს იდეოლოგიური ფრონტის გაშლას სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებში, ოჯახში თუ, სადაც მიმდინარეობს მოზარდის აღზრდა, აუცილებელია ისინი აღიზარდნენ შთაგონებით, რომ მოუწევთ ცხოვრება სოციალიზმის პირობებში, ამიტომ პიონერებსა და ოქტომბრელებს ესაჭიროებათ აღჭურვა „სათანადო იარაღით - პოლიტიკური შეგნებით“.პროლეტარული ბავშვი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოკვებილიყო ნაციონალისტურ, ფანტასტიური და ცრურწმენაზე აგებული ლიტერატურით. ირაკლი აბაშიძე გამოთქვამს აზრს, რომ ძველი საბავშვო მწერალი სრულიად გამოუსადეგარია ახალ დროსა და სინამდვილეში.

წერილში ვკითხულობთ: „ბავშვის სახით ჩვენს ხელშია ადამიანი ისეთი ჰასაკით, რომელიც მთლიანად ჩვენს განკარგულებაშია... ბავშვის მომავალი იმ კლასს ეკუთვნის, რომელსაც მისი აღზრდის სადავე ხელთ უჭირავს... აი, რატომ უნდა მივიღოთ ყოველგვარი ღონისძიება, რომ ბავშვი არავის დავანებოთ. ბავშვი უნდა გახდეს მთლიანად ჩვენი და ეს მოხდება მაშინ, როცა მასთან წუთითაც არ მივუშვეთ რომელიმე რეაქციონერ მწერალს“. ამგვარი დამპყრობლობა , თავისთავად ტირანიაა. ადამიანის დაპყრობა, დაჩლუნგება, დამონება თუ იწყება იმ დროიდან, როცა ის იწყებს საგნების გაცნობიერებას, საგანთა დანიშნულებაში გარკვევას და ამაში მას გზამკვლევად ჰყავს მწერლობა,მხატვრული ლიტერატურა, როგორც იდეოლოგიის სალარო, მიზანი გაცილებით და უდაოდ ადვილი მისაღწევია. ამიტომაც, სავალდებულო მოთხოვნაა, რომ საბჭოთა ბავშვისთვის შექმნილი წიგნი სრულიად თავისუფალი ყოფილიყო აპოლიტიკური ფანტასტიკისგან“.[„პროლეტარულ საბავშვო მწერლობისათვის“,„პროლეტარული მწერლობა“.1930. N7.]

კოლაუ ნადირაძე: „იგი ყანწელებს შორის ყველაზე ავადმყოფური, ბოგემური, დეკადენტური შემოქმედების მქონეა, სიმახინჯის ესთეტიკის რეალიზატორი („ავზნიანი ქალაქი“)...მისი შემოქმედების მობრუნება ცხოვრების რეალური სინამდვილისკენ არც ისე ადვილი საქმეა. ასე, რომ ასეთი ტიპის მწერლისათვის რევოლუცია, ლიტერატურული თანამგზავრობა, შეიძლება მხოლოდ მოჩვენებითი სახის იყოს.რამდენიმე ლექსი რევოლუციაზე მის პროლეტარ მწერლად შერაცხვას ვერ წაადგებოდა. კ.ნადირაძის რევოლუციური ხასიათის ლექსებს საბჭოთა კრიტიკოსებმა „წითელი ხალტურა“ უწოდეს, რადგან მათში მარტო სიტყვა იყო წითელი, არსებითად კი მოკლებული გულწრფელობას,იგი რევოლუციას სიხარულით შეხვდა, მოგვიანებით კი წარმოთქვა:„მე არ ვიცოდი თუ რისთვის მსურდა ყველასთვის მეთქვა, რომ მიხარია, რომ მიყვარს ყველა“ [„პროლეტ. მწერლობა“.1930წ. N8.გვ.175]

რაც შეეხება თანამგზავრებს, ტროცკის განმარტებით, უწოდებდნენ მათ, ვინც ღებულობდნენ რევოლუციას, ვინც რევოლუციას მოყვებოდნენ შორიახლო. [„პროლეტ. მწერლობა“. 1930წ. N12.გვ.98] თანამგზავრისთვის სულაც არ იყო საკმარისი ეწერათ ლექსი ქარხანაზე, ზაჰესზე, საჭირო იყო მთელი განცდით, ემოციით, გრძნობით ელადათ მათზე. თანამგზავრობის ცნობილი ფორმულაა: „რომელ სადგურამდე?“ საბჭოეთს ასეთი პასუხი აქვს მათთვის: „ან იმგზავრეთ ჩვენთან ჩვენი მატარებლით, ან გადაჯექით მოპირდაპირე მხრიდან მომავალ მატარებელში“. ეს მოწოდება გაპირობებული იყო იმ რეალობით, რომ ბევრი იბრალებდა თანამგზავრობას, განიცდიდნენ რყევას და პოზიციები არ ჰქონდათ გამორკვეული. მაგალითად, ტ.ტაბიძე იყო თუ არა თანამგზავრი? კრიტიკა ასეთ დასკვნას აკეთებს: „ტ.ტაბიძემ ერთ ლექსში თანამგზავრული ტენდენციები გამომჟღავნა, მეორე ლექსში კი ყოველივეს გადაუსვა ხაზი. მაგრამ ეს მწერლები ტყვილა ცდებიან, თავს იტყვილებენ: ჩვენთვის ძალზე ადვილად გასარჩევია თეთრი შავისგან“ [„პროლეტ. მწერლობა“. 1930წ. N12.გვ.100]

მემარცხენე თანამგზავრებიდან გ.ტაბიძე მაღალ შეფასებას იმსახურებს თავისი რევოლუციონური ლექსებით. ის ენთუზიასტია, კრიტიკა მის ხმაში აშკარად კითხულობს ორგანულ განცდას აღმშენებლობისა, სიხარულს ახალი ცხოვრებისა. იგი სხვა ნეიტრალურ პოეტებს მოუწოდებს:

„ადარ ვარგა, როგორც წინად,

ძველი გულით სიარული“ [„პროლეტ. მწერლობა“. 1930წ. N12.გვ.100]

საბჭოთა კრიტიკა გულწრფელ თანამგზავრად აცხადებს **სიმონ ჩიქოვანს**, რომელიც „გულწრფელად ცდილობს წარსულთან შემაერთებელი ხიდების აფეთქებას“ [„პროლეტ. მწერლობა“. 1930წ. N12.გვ.101]. სიმონ ჩიქოვანი მართლაც, არის ახალი დროის მომღერალი, სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბულია და სხვასაც ამისკენ უბიძგებს თავისი შემოქმედებით, ის რადიკალურ არჩევანს აკეთებს: ემიჯნება ძველ , „ჭაობიან“ ცხოვრებას, რადგან ინდუსტრიის გზა ძალიან მოსწონს:

„მე თვით დავახრჩობ

ბულბულიანის ნაჭლექებ ხმას:

და ჩემს ძველ ტკივილს

მე თვით გავხდი დღეს სასაცილოს“ [„პროლეტ. მწერლობა“. 1930წ. N12.გვ.101]

თანამგზავრისთვის დასმული კითხვა - „რომელ სადგურამდე“, შეცვალეს ფორმულით - „ბოლო სადგურამდე, ჩვენს საერთო მიზნამდე“. [„პროლეტ. მწერლობა“. 1930წ. N12.გვ.103]

ეს მიზანი ყველასთვის ნათელი იყო: რევოლუციური ეპოქის ორთქმავლით წინ, კომუნიზმისკენ!

ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“ 1931 წელსდა გამოვიდა. ჟურნალის ფურცლებზე გვერდიგვერდ შევხდებით გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ქუჩიშვილის, კალე ბობოხიძის საბჭოური განწყობის ლექსებს. ძნელია გარჩევა ვინ ერთგულია, ვინ - არა.

„პროლეტარული მწერლობა“ იძლევა ლიტერატურული ფრონტის მუშაობის შეჯამებას გასაბჭოებიდან 10 წლის თავზე. საბჭოთა კრიტიკოსი ბენიტო ბუაჩიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მენშევიკური „კულტურა“ ხასიათდებოდა უსუსურობით, განუვითარებლობით, ხავსმოდებული ტრადიციებით, უფერული და უნიადაგო იყო „თავისუფალი“ - „დემოკრატიული საქართველოს მწერლობა. ისინი მტრულად შეხვდნენ საქართველოს რევოლუციას, მათი გაგებით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაარსება „წმიდათაწმიდას“ შელახვას უდრიდა [ბ.ბუაჩიძე. „ქართული მწერლობის ათი წელი“, „პროლეტ. მწერლობა“. 1931. N2. 110] ფაქტია, რომ პროლეტარიატი იმდენად ამრეზით უცქერდა ამ კატეგორიის მწერლებს, რომ არ გაახარებდა, მათ დიქტატურა მოსპობდა და გაანადგურებდა.

იმ პერიოდის კრიტიკა თვლიდა, რომ მწერლების ცალკეული ნაწილი დაადგა პოლიტიკური თვითგამორკვევის გზას, დაიწყეს თანამშრომლობა რევოლუციასთან, მათგან პირველი გამოიკვეთა **გალაკტიონ ტაბიძე**, რომელმაც დაგმო თავისი წარსული და ურყევად

ჩადგა სოციალიზმის აღმშენებელთა რიგებში. ცხადია, გალაკტიონის ამ პოზიციამ მემარჯვენე პოეტები აღაშფოთა. ბენიტო ბუაჩიძე დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ „დღეს გალაკტიონ ტაბიძე პროლეტარული რევოლუციის, სოციალისტური მშენებლობის მომღერალია...მან შეძლო თანამგზავრობის გზის გავლა და მოკავშირედ გახდომა“[გვ.113]

„ცისფერყანწელთა ჯგუფში“ დაირღვა მთლიანობა,ამ ჯგუფის დიდი ნაწილი თანამგზავრულ გზას დაადგა. კრიტიკოსი გამოარჩევს მათგან **რაჟდენ გვეტაძეს**, სიმნელეებით, მაგრამ თანამგზავრობას მიჰყვება **ვალერიან გაფრინდაშვილი**, მიუხედავად დიდი მერყეობისა, **ტიციან ტაბიძემ** შეძლო და გაიარა რეაქციონერობის გზა, თუმცა დღემდე აღმოფხვრილი არაა მასში გადახრები ბურჟუაზიული განწყობისკენ. ეს შეფასება, შესაძლოა ერთგვარ განაჩენადაც კი აღვიქვათ, რამეთუ საბჭოთა კრიტიკოსთა დამოკიდებულებას ფრიად აფასებდა რეჟიმის ხელმძღვანელობა, გარდა აგიტატორობისა, მათ შუამავლისა და აგენტის როლიც ეკისრათ. **ნიკოლო მიწიშვილსაც** თანამგზავრად მოიხსენიებს იმდროინდელი საბჭოთა კრიტიკა, თუმცა მას მძიმე ბრალდებად უყენებს იმ იდეის წამოყენებას, რომელიც ქადაგებდა „შემოქმედების გაორების თეორიას“. რაც შეეხება **გრიგოლ რობაქიძეს**, მიუხედავად იმისა, რომ მას გააჩნდა საბჭოთა საზოგადოებრივი პოიზიციები, მაინც ბოლომდე დარჩა ორთოდოქსალურ-ბურჟუაზიული განწყობის მწერლად. **პაოლო იაშვილს** „სეზონურ პოეტს“ უწოდებს. საბოლოოდ ასე აფასებს „ცისფერყანწელებს“ ბენიტო ბუაჩიძე: „რევოლუციის ათი წლის თავზე მათ ვერ შეუგნიათ, რომ „ცისფერყანწელთა“ სახელწოდება, ეს თავადაზნაურული დარდიმანდობის დროშა, სამარცხვინოა“.

კრიტიკის ცეცხლში გაუტარებელი არ გადარჩა მიხეილ ჯავახიშვილი. მასზე აი რას წერს ბ.ბუაჩიძე: „ჯავახიშვილი, როგორც მწერალი თითქმის საბჭოთა სინამდვილეში შეიქნა, მიუხედავად ამისა, ის ბურჟუაზიული, მემჩანური წრეების მწერალი გახდა. „კვაჭი კვაჭანტირაძე ზერელე, ბულვარული რომანია, „ჯაყოს ხიზნები“-ს დადებითი და თანამგზავრული ტენდენცია იმაში გამოიხატება, რომ ამ ნაწარმოებში ქართველი აზნაურული ბურჟუაზიული ინტელიგენციის იმპოტენტობა, უნიათობაა ნაჩვენები...მ.ჯავახიშვილი საბჭოთა მწერლების მოწინააღმდეგე გზას მიყვებოდა და მიყვება“[ბ.ბ.,გვ.115]

პროლეტარული მწერლობა აუცილებლად უნდა ყოფილიყო მატერიალისტური, ანუ რეალისტური, დაშორებული იდეალისტური მისწრაფებებისგან. პროლეტარი მწერალი იგივე პროლეტარი რევოლუციონერია.

1931 წლის პრესა აშკარად ალაპარაკდა „ორ ბანაკს შუა მდგომი და იდეოლოგიურად გამოურკვეველი“[„წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ლიტერატურული წარმომადგენლები“. „პროლეტ.მწერლობა“. 1931. N3.125] მწერლების მისამართით. ესენი იყვნენ გრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ს.ცირეკიძე, ნიკ.მიწიშვილი, ტ.ტაბიძე, შ.კარმელი, ასევე დეკადენტური კოლექტივი. მწვავედ აკრიტიკებენ გრიგოლ რობაქიძეს. „ფალესტრამი“ (დაუმთავრებელ რომანში) ბულვარულ-სენტიმენტალური განწყობის გამო. მას „პორნოგრაფიულ მწერალადაც“ კი მოიხსენიებდნენ თავისი რომანების, „გველის პერანგისა“ და „ფალესტრას“ გამო.

აი, როგორ აფასებს **გალაკტიონს** „პროლეტარული მწერლობა“: 1914-21 წლებში გალაკტიონ ტაბიძე მისტიკოსი იყო, ლანდებისა და მოჩვენებების რომანტიკოსი, ეროტიული შემოქმედების შემქმნელი, რელიგიური ექსტაზით გაჟღენთილი, პატრიოტული თრთოლვით გამორჩეული, იზიდავდა ბოჰემა და ანარქიზმი. მისთვის არ იყო ახლობელი სოციალური საკითხები, გულგრილიც კი იყო ამგვარ თემათა მიმართ. თუმცა 1919 წლიდან მძლავრი რყევა განიცადა. იგი დაშორდა ძველ პოეტურ მუზებს და ეპოქის ხმას შეუერთა თავისი ხმა. იგი მიეკედლა რევოლუციურ ძალებს. მართალია, ჯერ რაღაც სხვა ახლის მოლოდინშია, მაგრამ მაინც ცდილობს სოციალისტურ ტენდენციებს გაუსწორდეს, საზოგადოებრივი ცხოვრების ტემპს აჰყვებს. თებერვლის რევოლუციამ კი მკვიდრად ჩაავლო მის პოეტურ ტალანტს ხელი და სათავისო ჰანგებით აამღერა:

„გათენდა!

შეერთდით, შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები, დროშები... დროშები, დროშები ჩქარა!

ოქტომბრის რევოლუციის გარეშე მას შემოქმედებითი თვითმკვლელობა დაემართებოდა. რევოლუციამ იგი გარდაქმნა, გადააკეთა! გულჩათხრობილი პესიმისტი მისტიკოსი გალაკტიონ ტაბიძე ოქტომბრის რევოლუციამ პროლეტარული ლაშქრობის ჯარისკაცად გადააქცია“ - წერს ჟურნალი. [„ქართული ჟირონდის მწერლობა“, „პროლეტარული მწერლობა“ 1931. N7. 202-205]

აქ წარმოდგენილი ჟურნალიდან ამონარიდები ცხადყოფს საბჭოეთის როლსა და ინტერესებს. ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალა ზეტენდენციურია. ეპოქის ეს სურათი ისტორიისთვის იმდენად საინტერესოა, რამდენადაც უკიდურესი სულიერი და კულტურული დაცემის, მონობის, უგუნურების გამოხატულება. „პროლეტარული მწერლობის“ ფურცლები სრულ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელ ლიტერატურულ გემოვნებაზე, კულტურაზე, ისტრიაზე, რადგან პროლეტარული მწერლობა პარტიულობით ხასიათდება.

ვფიქრობთ, კვლევისთვის მეტად საინტერესო მასალაა „პროლეტარული მწერლობის“ გვერდებზე გამოქვეყნებული კრიტიკოსთა წერილები, ლექსები თუ პროზაული ნაწარმოებები, რომლებიც თანამედროვე კრიტიკას უტყუარი და საფუძვლიანი დასკვნების გაკეთების წყაროდ გამოადგება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. [ანი., ბიბლიოგრაფია „პროლეტარული მწერლობა“. 1927წ. N3. გვ. 155-156.]
2. [აბაშიძე. ი. „პირველი საბჭოთა თოვლი“. „პროლეტარული მწერლობა“. 1931. 39]
3. [„ბოლშევიზმი და ქათული ლიტერატურა“, 1921-1924“. გამომცემლობა მწიგნობარი, 2016 წ. გვ. 12]
4. [ბუჩიძე. ბ. „თეორია და პრაქტიკა“, „პროლეტარული მწერლობა“, 1927წ. N1. გვ. 52]
5. [ბუაჩიძე. ბ. „პროლეტარული მწერლობა“. 1929წ. N1. გვ. 73]
6. [ბუაჩიძე. ბ. „ქართული მწერლობის ათი წელი“, „პროლეტ. მწერლობა“. 1931. N2. 110]
7. [ეული. ს. „თებერვლის ღამე და გათენება“, „პროლეტარული მწერლობა“, 1927წ. N2. გვ. 18]
8. [„წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ლიტ. წარმომადგენლები“. „პროლეტ. მწერლობა“. 1931. N3. 125.]
9. [„ქართული ჟირონდის მწერლობა“, „პროლეტარული მწერლობა“ 1931. N7. 202-205]
10. [„პროლეტარული მწერლობა“, 1927წ. N1. გვ. 117-121]
11. [„პროლეტ. მწერლობა“. 1930წ. N12. გვ. 98]
12. [„პროლეტ. მწერლობა“. 1930წ. N12. გვ. 101]
13. [„პროლეტ. მწერლობა“. 1930წ. N12. გვ. 103]
14. [„პროლეტარულ საბავშვო მწერლობისათვის“, „პროლეტარული მწერლობა“. 1930. N7.]
15. [რონდელი. დ. „თანამედროება და ქართული მწერლობა“, „პროლეტარული მწერლობა“, 1927წ. N1. გვ. 79]
16. [<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=33005>];

Maia Kobiashvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

"Proletariat Writers" - Ideological Catalyst (1927-1932)

Abstract

The restoration and realization of the true history of Georgian literature is the most important challenge of modern literary criticism. The great flow of Georgian writers stood in front of the dilemma: to serve the totalitarian state with their pen, energy, and talent or choose another way. They were

confronted with a spiritual threat, and the tyranny was clearly warning about the expected destruction. There is still a question: was it creating under the fear or did the Soviet regime really strike them with its claws? The answer to this question and making a conclusion will satisfy the interests of many people. It will reveal the doubts towards a lot of writers and in a parallel to the historical reality will write a significant period of literature history.

An all-out thought from the detail is an excellent way to analyze the documentary narrative. This work will enable us to make a real impression on the impact of 1927-1931 on the influence of Bolshevik terror and the sincerity of the proletarian creators.

The most interesting material for the research is the letters of the critics, poems or prose writings written on the pages of the magazine "Proletariat Writings", which will serve as a source of accurate and comprehensive conclusions of modern criticism.

At this point, the object of our research is to demonstrate how the Bolshevik conjuncture was "unreliable", and sometimes "harmful" writers' creations, even if they were molded by the motives of Soviet and socialism.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა რეჟიმი, პროლეტარიატი, საბჭოთა პრესა, ქართველი მწერლები

Keywords: Soviet regime, proletariat, Soviet press, Georgian writers

ნინო კოჭლოშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

შიო არაგვისპირელისა და ბენია ჩხიკვიშვილის მიმოწერებიდან

შიო არაგვისპირელმა სალიტერატურო ასპარეზზე დამკვიდრება ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ ფურცლებიდან დაიწყო. 1889 წლიდან დაწყებული მწერლის გარდაცვალებამდე მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის არაერთი პუბლიკაცია განცოცხლდა. იგი აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან და სისტემატურად აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს, მისი უშუალო მეთვალყურეობით საკუთარ თხზულებათა კრებულის ხუთტომეული ორჯერ გამოიცა და ფართო მკითხველი საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

შიო არაგვისპირელის ლიტერატურული ნაღვალისადმი ინტერესი არც მწერლის გარდაცვალების შემდეგ შენელებულა. მიუხედავად ამისა, გარკვეული წლების განმავლობაში სამეცნიერო მიმოქცევის მიღმა აღმოჩნდა მისი არაერთი მრავალმხრივ საინტერესო ნაწერი, რომლებიც თავის დროზე არც მწერალს გამოუქვეყნებია და არც შემდეგი დროის რედაქტორ-გამომცემლებს შეუტანიათ მწერლის თხზულებათა კრებულებში.

ამ ნაწერებიდან ყურადღებას იპყობს როგორც მწერლის უბისწიგნაკისეული ჩანაწერები, ნოველისტური ჟანრის ნაწარმოებები, ასევე ეპისტოლური მემკვიდრეობა, რომელთა ადრესატები ძირითადად არიან მწერლის ოჯახის წევრები, ან საზოგადო მოღვაწენი.

მართალია, დღემდე მკითხველისთვის კარგად ნაცნობ მწერლის შემოქმედებაში არ იკვეთება მისი დამოკიდებულება მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მიმდინარე ისტორიულ-პოლოტიკური მოვლენებისადმი და ნოველისტი გარკვეულ სიტყვაპვირობასაც კი იჩენს, თუმცა ზემოთ ნახსენები ნაწერები გავსხვავებულ შთაბეჭდილებას გვიქმნის. მათში ნათლად ჩანს მწერლის დამოკიდებულება თანადროული ეპოქალური მოვლენების მიმართ, ხშირ შემთხვევაში მისი მკვეთრი პროტესტიმულებელ აწმყოსადმი.

მწერლის სააქრივო მასალებიდან ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ქართველი პოლოტიკოსის, სოციალ-დემოკრატის, ბენია ჩხიკვიშვილისადმი მიწერილი წერილი სათაურით „არაგვისპირელის წერილი ბენია ჩხიკვიშვილს“. წერილის ავტოგრაფი დაუთარიღებელია. როგორც წერილის შინაარსიდან ირკვევა, იგი დაწერილი უნდა იყოს 1919-1920 წლებში, მაშინ, როდესაც ბენია ჩხიკვიშვილს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ეკავა თბილისის ქალაქის თავის თანამდებობა.

წერილი ყურადღებას იქცევს შიო არაგვისპირელის მკაცრი მამხილებელი პათოსით. მისი კრიტიკის ობიექტია თანადროული თბილისის მთავრობის წარმომადგენელთა და ინტელიგენტთა, კერძოდ, პედაგოგთა გულგრილი დამოკიდებულება ქართველი ერის ისტორიული წარსულის მიმართ. საქმე ეხება ერეკლე მეფის სახელობის სკოლის არსებობას. როგორც წერილის შინაარსიდან ირკვევა, თბილისის მთავრობა გარკვეული „პედაგოგიური“ მოსაზრებებით წინააღმდეგი იყო ერეკლე მეფის სახელობის სკოლის არსებობისა, რასაც შიო არაგვისპირელი ბენია ჩხიკვიშვილისადმი მიწერილ წერილში მკაცრად აპროტესტებს, იგი წერს: „იცი, ბ-ო ბენია, როდესაც ყვავ-ყორნებმა მეფე ერეკლეს სახელი რაღაც სკოლას უწოდეს, ჩემ გულისწყრომას საზღვარი არა ჰქონდა... მაგრამ ვნუგეშობდი: როდესაც თბილისის ბატონ-პატრონი ჩვენ ვიქნებით, მაშინ გამოვაკეთებთ ამ უმსგავსობას.

მაგრამ რას ვხედავთ? თურმეერეკლე მეფე სკოლის სახელის ღირსი არ ყოფილა „პედაგოგიური“ თვალსაზრისით. „ჩვენის აზრით: სკოლსა და ბავშვებს არც ერეკლე მეფის, არც გორგასლის, არც თამარის და რც რომელიმე მეფის სახელი ესაჭიროება“, – მწერს. უნდა დაგემატებინათ „არც ისტორია“ (ქართლის ცხოვრება) და ამით ბოლომდე მიიყვანდით თქვენს აზრს. მჯერა, რომ თქვენი გულწრფელი აზრია და ხელ-მძღვანელი ტფილისის თვითმართველობის „პედაგოგის“ უფრო „პედაგოგისა“ და თქვენი რწმენით იმეორებით...

არა მგონია, იმ „პედაგოგმა“ სხვა ერების შესახებ ასეთი დასკვნა გამოიტანოს“ (არაგვისპირელი შიო, N 259/152).

როგორც წერილიდან ირკვევა, ბენია ჩხიკვიშვილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრის გასამყარებლად ომების იდეალიზაციისგან შორს დგომას ასახელებს, რაზედაც შიო არაგვისპირელი პასუხობს, რომ ერეკლე მეფე ომების მომხრე არ იყო ისევე, როგორც თანადროული დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც დააარსა ფრონტის დღე, გვარდიის დღე და იძულებული იყო თავდაცვის მიზნით ებრძოლა კიდეც. იგი წერილის ადრესატს ურჩევს, თანადროული ეპოქა შეადაროს ერეკლე მეფის პერიოდს, როდესაც მომხდურ მტერთან ერთად შინაური მტერიც ძალისხმევას არ იშურებდა ქვეყნის დასასუსტებლად და ასეთ ვითარებაში ერეკლე მეფე იძულებული იყო დაუღალავად ებრძოლა სამშობლოს მტრების წინააღმდეგ, რის გამოც მან გმირთა-გმირის სახელი დაიმსახურა. შიო არაგვისპირელის აზრით, საღი პედაგოგიკა სწორედ ერეკლესნაირი გმირების ცხოვრების აღწერით უნდა ხელმძღვანელობდეს. ამ ზრის გამოთქმისას იგი წერს: „ამას ვამბობ, როგორც „ფსიხოლოგი“ ხალხისა (თქვენებურად დემოკრატიისა) და თქვენის „პედაგოგის“ მოსაზრებას და „რწმენას“ გახვრეტილი კოდი უდგა ქვეშ, როგორც ეტყობა იმ ათი წლის გამოცდას არავითარი შეგნება არ მიუცია. ეს ათი წელიწადი ხომ ნიკოლოზის დროისაა და ეხლა მესმის ერეკლე მეფის წინააღმდეგ გამოლაშქრება. თქვენმა გულწრფელმა პასუხმა დამანახა რაგვარ „პედაგოგებან“ გვაქვს საქმე და ამისთვის ზედმეტია ჩემი განმეორებით თხოვნა“ (არაგვისპირელი შიო, N 259/152).

შიო არაგვისპირელის მოღვაწეობის პეიოდში იმეორებული ისტორიული მოვლენებით გამოირჩევა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იგი კონიექტურის გზაზე არასდროს დამდგარა და სამოქალაქო სამსახურისა თუ მწერლობის ფერხულში ჩაბმული ყოველთვის ერის ინტერესების სადარაჯოზე იდგა. ბენია ჩხიკვიშვილის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირისადმი მიწერილი ეს წერილიც აღნიშნულის დამადასტურებელია.

შიო არაგვისპირელი პეგადოდთა კრიტიკას არც ნოველებში ერიდება. ვფიქრობთ, ზემოთ აღნიშნული პრობლემის ანარეკლია მწერლის დაუმთავრებელ

ნაწარმოებად მიჩნეული ნოველის „განი“ დასასრული, რომლის ავტოგრაფი იმ საარქივო მასალებში ინახება, რომლებიც გარკვეული წლების განმავლობაში სამეცნიერო მიმოქცევის მიღმა იყო დარჩენილი. ავტოგრაფი დაუთარიღებელი და ხელმოუწერელია.

ეს ნოველა გამოქვეყნდა ჟურნალში „ცხოვრება და ხელოვნება“ (N4, 1911). პუბლიკაციას მიწერილი აქვს: „დასასრული იქნება“, მაგრამ ნოველის შემდეგი ნაწილი ჟურნალში აღარ გამოქვეყნებულა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოების დაბეჭდვის შემდეგ ამ ჟურნალის კიდევ ცხრა ნომერი გამოვიდა.

ამასთან დაკავშირებით ქართველ კრიტიკოსთა შორის იყო აზრთა სხვადასხვაობა. ვიოლეტა ცისკარიძე მიიჩნევდა, რომ ავტორმა ეს ნოველა აღარ დაასრულა საცენზურო პირობების გამო. სავარაუდოდ, ნოველის ბოლო ნაწილში ასახული უნდა ყოფილიყო მთავარი გმირის რევოლუციური საქმიანობა.

1947 წელს შიო არაგვისპირელის თხზულებათა კრებულში ეს ნოველა დაიბეჭდა 1911 წელს ჟურნალ „ცხოვრება და ხელოვნებაში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით. სქოლიოში თედო სახოკია აღნიშნავს: „ცხოვრება და ხელოვნებაში“, სადაც ეს მოთხრობაა დაბეჭდილი, აწერია ბოლოში: „დასასრული იქნება“, მაგრამ ჟურნალში არაფერი დაბეჭდილა და არც განსვენებულს შიო არაგვისპირელს დაუწერია რამ, რომ ამ მოთხრობის დასასრულად ყოფილიყო. შინაარსით კი ეს მოთხრობა დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს“ (არაგვისპირელი შიო, 1947).

ამ ნოველასთან დაკავშირებულ გაუგებრობას ნათელი მოჰფინა გრიგოლ კაკიაშვილმა, რომელმაც „ლიტერატურულ საქართველოში“ (N102, 11.XI, 1961) ნაწარმოების ბოლო ნაწილი გამოაქვეყნა.

ამ ნაწარმოებში დახატულია სოფლის სკოლის უნუგემო სურათი. სკოლა ფუნქციადაკარგულია. სოფლის მასწავლებლის სახით ნაჩვენებია ცრუინტელიგენტის ტიპური სახე, რომელიც ძლიერ ამაყობს მასწავლებლის ჩინით, ლითონის ღილებით გაწყობილი სადირექტორო ტანსაცმელს, საქმით კი მომავალი თაობის უვიცობას ემსახურება. „შუალამედის ბავშვებს ვასწავლიდი. ნუღარა მკითხავთ როგორ?... დღესაც ვასწავლი, მაგრამ... თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რანაირადა ვწითლდები, როდესაც ამ სიტყვებსა ვხმარობ... აგერ ათი წელიწადია, ამ სოფელში ვარ და ამ ათი წლის განმავლობაში ერთი კაცი ვერ გამოვიყვანე წერა-კითხვის მცოდნე... წუმპეში ვჭყუმალობთ სოფლისინტელიგენტები,“ (არაგვისპირელი შიო, 1947, 240) – ამბობს ნოველის პერსონაჟი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შიო არაგვისპირელის კარგად ნაცნობი ლიტერატურული მემკვიდრეობა მკითხველს უქმნიდა ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს „მიწაას“ ავტორს თანადროულ ეპოქალურ პრობლემებთან გულგრილი დამოკიდებულება ჰქონოდა, რაც მკითხველს გაურკვეველ მდგომარეობაში აყენებდა. თუმცა ნოველისტის საარქივო მასალებმა სულ სხვა სურათი გვიჩვენა. ბენია ჩხიკვიშვილისადმი მიწერილი წერილი ერთ-ერთია იმ საარქივო მასალებიდან, რომლებმაც ცხადყო შიო არაგვისპირელის მუდმივი ქომაგობა მარადქართულისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არაგვისპირელი შ., „არაგვისპირელის პასუხი ბენია ჩხიკვიშვილს“, ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახლ-მუზეუმი, N 259/152).
2. არაგვისპირელი შ., თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ. II, 1947წ., თბ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

From the Correspondence Archive of Shio Aragvispireli and Benia Chkhikvishvili

Abstract

Keywords: Shio aragvispireli, benia Shio Aragvispireli's relations with the contemporary problems of his epoch is vividly shown in the given paper. For this reason we have researched Shio aragvispireli's letter addressed to a Georgian politician and social-democrat of that time – Benia Chkhikvishvili.

საკვანძო სიტყვები: შიო არაგვისპირელი, ბენია ჩხიკვიშვილი, წერილი. სოციალ-დემოკრატი

Keywords: Shio Aragvispireli, benia Chkhikvishvili, letter, social-democrat

დოდო (დარეჯან) ლაბუჩიძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი

ურბანული ყოფის თანმხლები არსებითი მახასიათებლები

ფილოსოფიურ-სოციალური კვლევების ჭრილში სულ უფრო მეტად იზრდება ინტერესი ურბანული ყოფის თანმხლები არსებითი მახასიათებლების, ქალაქის, როგორც სოციო-კულტურული სივრცის, თავისებურებების მიმართ. ურბანული სოციოლოგიის წინაპირობები გვხვდება ისეთ მნიშვნელოვან მოაზროვნესთან, როგორც არის ფრანგული სოციოლოგიის ფუძემდებელი, სოციოლოგიური კონცეფციის რეფორმატორი ემილ დიურკემი [1858-1917]. წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია დიურკემის მოსაზრებები იმ ზეგავლენის შესახებ, რომელსაც საზოგადოებრივი ყოფის მრავალი სფეროს მომცველი დიდი ქალაქი ახდენს ადამიანთა სასიცოცხლო გარემოსა და მათ სულიერ ცხოვრებაზე.

შესავალი. ფილოსოფიური რეფლექსია ქალაქის სივრცის (ურბანული სიმბოლიკის მნიშვნელობის) შესახებ თავს იჩენს ჯერ კიდევ პლატონის დიალოგებში (ტიმეოსი, კრიტიასი).³⁴ ფილოსოფიის ქალაქთან კავშირი მრავალი კონკრეტული ქალაქის სახით ვლინდება. ეს კარგად ჩანს ათენისა და იერუსალიმის, ბაღდადისა და ფლორენციის, ალექსანდრიისა და რომის, ტოკიოსა და მოსკოვის და კიდევ მრავალი ქალაქის მაგალითზე.³⁴

ქალაქის, როგორც კულტურული და სოციალური სივრცის, ზეგავლენის თავისებურებების კვლევას არცთუ ისე დიდი ხნის ტრადიცია აქვს. აღნიშნული საკითხის შესწავლით დაინტერესებულია "ურბანიზმი". ქალაქის სივრცის შესახებ არსებული კონცეფციები განსხვავებულ იდეებს ეფუძნება. ფილოსოფოსთა თუ სოციოლოგთა ცალკეულ შრომებში გამოკვეთილია ურბანული ყოფის მხოლოდ ესა თუ ის ასპექტი. ნაშრომში "სოციალური შრომის დანაწილება" (1893 წ.) ფრანგული სოციოლოგიის ფუძემდებელი ემილ დიურკემი [1858-1917] შეეცადა გადმოეცა ურბანული ყოფის თანმხლები არსებითი მახასიათებლები.

ძირითადი ნაწილი. ქალაქის წარმოშობას ემილ დიურკემი უკავშირებს სეგმენტური ტიპის საზოგადოების გაუჩინარებასა და ვაჭრობისა და ტექნიკის განვითარებას. დაბალი განვითარების სეგმენტური ტიპის საზოგადოებებში ქალაქი არ არსებობდა; ქალაქი იროკუზებისთვისაც უცნობი იყო და ძველი გემანებისთვისაც. რომსა და ათენში მიწათმოქმედების ფაზა მალევე შეწყდა და დაიწყო ურბანული ყოფა; რომის იმპერიის დაცემასთან ერთად ქალაქები არათუ გაუჩინარდა, არამედ, პირიქით, მათი ტერიტორია

³⁴. თენგიზ ირემაძე, ჰელმუტ შნაიდერი, გიორგი ხუროშვილი, ლალი ზაქარაძე, მიხეილ გოგატიშვილი, გიორგი თავაძე: *ფილოსოფიური ურბანისტიკა*, ნეკერი, თბილისი, 2014, გვ.6.

გაიზარდა. მიგრაციული მოვლენებით განპირობებული სოციალურ ერთეულთა მზარდი მობილურობის წყალობით ქალაქები გარედან იძენდნენ იმ ელემენტებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ დემოგრაფიულ ცვლილებებს და ქალაქთა მზარდ განვითარებას. ქალაქთან სოფლის შერწყმის ტენდენცია მხოლოდ ამ მოძრაობის გაგრძელება იყო.

ქალაქთა მკვიდრი მოსახლეობა, თითქმის ექსკლუზიურად, მხოლოდ ხელოსნებისა (ვაჭრების დარად, ისევე იოლად რომ ტოვებდნენ მშობლიურ მხარეს) და ვაჭრებისაგან შედგებოდა; რადგან მიწას, ძირითადად, თავადაზნაურობა ფლობდა, სახელოსნოსა და დახლთან მუშაობა მდაბიოთა ხვედრი იყო; თუმცა მათ სწორედ მრეწველობისა თუ კომერციის წყალობით დაიმკვიდრეს ადგილი სამეფოში.³⁵ სენიორის მიერ მისსავე მამულში პერიოდული შეკრებებისათვის ბაზრისათვის შერჩეული ცენტრალური ადგილები გერმანული ქალაქების დასაბამი შეიქნა. ქალაქთან სოფლის შერწყმის ტენდენცია მხოლოდ ამ მოძრაობის გაგრძელება იყო.

ისტორიული განვითარების კვალობაზე, ტერიტორიულ დაჯგუფებაზე დაფუძნებული ორგანიზაცია (სოფელი, ოლქი) კარგავდა თავის რელიეფურობას და სულ უფრო ნაკლებად მნიშვნელობდა; ქალაქი შეიქნა საზოგადოებრივი ყოფიერების მრავალი სფეროს მომცველი სოციალური და კულტურული სივრცე, "ახლომახლო სოფლების სულიერი, პოლიტიკური და სამხედრო ცენტრი. ის ესწრაფვის მრეწველობის ყოველი დარგის განვითარებას, რათა მათი პროდუქტით მოამარაგოს სოფელი და ცდილობს ვაჭრობისა და ტრანსპორტის კონცენტრაციას თავის ტერიტორიაზე; საკომუნიკაციო საშუალებები და საკრედიტო ორგანიზაცია ფებს უწყობს კერძო გარემოებებს".³⁶ სხვადასხვა ქალაქი სულ უფრო მეტად ესწრაფოდა გარკვეულ სპეციალობას; დღესდღეობით, ერთმანეთისაგან მიჯნავენ "საუნივერსიტეტო, სამოხელეო, საფაბრიკო, სავაჭრო ქალაქებს, მინერალური წყლებით მდიდარ თუ ქალაქ რანტიებს".³⁷

დიურკემი ქალაქს, არსებითად, პოზიტიურ კონტექსტში განიხილავს. მისი თქმით, ქალაქად საოცარი სისწრაფით იცვლება ცხოვრება, გამუდმებით ვითარდება რწმენები, გემოვნება, იქმნება იდეები, მოდა, ადათ-წესები, თავს იჩენს ახალი მოთხოვნილებები, რათა შემდეგ დანარჩენ ქვეყანაზე გავრცელდეს. ერთი სიტყვით, "დიდი ქალაქები პროგრესის ის უდავო კერებია, სადაც ადამიანები ბუნებრივად არიან ორიენტირებულნი მომავალზე, სადაც ზუსტად აისახება მათი განწყობა ცვლილებებისადმი; ნებისმიერი სახის ევოლუციისათვის უფრო ხელსაყრელ ნიადაგს ვერსად ნახავთ".³⁸

უფრო მაღალი განვითარების საზოგადოების ბუნებიდან მომდინარე ასეთი სწრაფი აქსელერაცია (სოციალურად ჰეტეროგენული ინდივიდებით დასახლებული მასის ბევრად უფრო დიდი კონცენტრაციისა და მოსახლეობის აღრევის პირობებში) სათანადოდ აისახება დიდ ქალაქში მცხოვრებ პირთა საოცრად მობილურ განწყობასა და მათ სულიერ ცხოვრებაზე; სოციალური გარემოს ცვლილებები ახალ თვისებრიობას სძენს ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებას: მკვიდრდდება თანაცხოვრების ახალი ფორმები. ჯერ ერთი, ზემოხსენებული აღრევა იწვევს ადამიანთა დასაბამიერი სხვაობების გაუჩინარებას; მრავალრიცხოვანი ქალაქების მოსახლეობა, ძირითადად, ის ადამიანები არიან, "ზრდასრულებმა რომ დატოვეს მშობლიური კერა და თავი დააღწიეს უფროსების ზეგავლენას. ამიტომ ქალაქად მოხუცთა რიცხვი ძალზე დაბალია, სამაგიეროდ, ბევრად ჭარბობს ჯან-ლონით სავსე ადამიანთა რაოდენობა".³⁹ თავისი მოსაზრების დასტურად,

³⁵ემილ დიურკემი, *სოციალური შრომის დანაწილება*, ფრანგულიდან ქართულად თარგმნა დოდო ლაბუჭიძე-ხოფერიამ, Carpe diem, თბილისი, 2012, გვ.35-36.

³⁶ემილ დიურკემი, *სოციალური შრომის დანაწილება*, ფრანგულიდან ქართულად თარგმნა დოდო ლაბუჭიძე-ხოფერიამ, Carpe diem, თბილისი, 2012, გვ.265-266.

³⁷ იხ.იქვე, გვ.266.

³⁸ იხ.იქვე, გვ.206.

³⁹ იხ.იქვე, გვ.405.

დიურკემი იშველიებს დემოგრაფიული მონაცემების სტატისტიკას და წერს: "1881 წელს, პარიზში, 20-დან 25 წლის ასაკამდე ასაკის 1.118 ინდივიდს ითვლიდნენ, ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე კი 874 [...] პროვინციაში პირველთა რიცხვი 618, მეორეთა კი 106 იყო".⁴⁰

ყოველ ტერიტორიულ ერთეულს, ჩვეულებრივ, თავისი დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები, ცხოვრების საკუთარი წესი აქვს, რაც გავლენას ახდენს მისი სულისკვეთებით გამსჭვალულ ინდივიდებზე და ლამობს მათ დაკავებას მშობლიურ გარემოში. დიდ ქალაქებში, თაობათა უწყვეტი კონტაქტით არამატერიალიზებულ საზოგადოებაში, ტრადიციის ავტორიტეტით განპირობებული კოლექტიური ცნობიერება მეტ აბსტრაქტულობას იძენს: ჯგუფი სულ უფრო ნაკლებ მჭიდროდ მოიცავს ინდივიდს, ფართოვდება ყოველი ინდივიდის თავისუფალი მოქმედების სფერო. მშობლიურ გარემოს მოწყვეტილი და წინაპართა ზეგავლენისაგან თავდახსნილი ინდივიდები მეტ თავისუფლებას იჩენენ წეს-ჩვეულებებისადმი. ეს ვითარება, ავტორის თქმით, ნეგატიურად აისახება ტრადიციებზე, ხელს უწყობს მათი ავტორიტეტის შესუსტებას და, საბოლოოდ, ძალადაკარგული ტრადიცია ფარ-ხმაღს ყრის."რაც უფრო ზოგადდება კოლექტიური ცნობიერება, მით უფრო მეტი ადგილი რჩება ინდივიდუალურ ვარიაციებს, აქედან გამომდინარე, თავს იჩენს დამოუკიდებლობა".⁴¹ ასე რომ, კოლექტიური უღლის ზეწოლისაგან ბევრად უფრო თავისუფალი ინდივიდი მით უფრო იოლად მიუყვება საკუთარ გზას, რაც უფრო ადვილად აღწევს თავს ასეთ კონტროლს.

სოციალური დისტანციები, ერთმანეთის მიმართ თავშეკავებული დამოკიდებულება ხელს უწყობს დიდი ქალაქებისათვის დამახასიათებელ ცხოვრების წესს (ანონიმურობა, გულგრილობა, ანგარიშიანი დამოკიდებულება). საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნების სანაცვლოდ, დიდ ქალაქში ადამიანები აღარ რეაგირებენ მრავალ გარეგან სტიმულზე, ნაკლებად იცნობენ ერთმანეთს, არ აკავშირებთ ემოციური მიჯაჭვულობა: თუ საქმე ეხება ისეთ პირს, რომელსაც მხოლოდ დრო და დრო, თანაც სხვათა შორის, გზად ხედავენ, იგი საერთოდ არ იწვევს ქალაქის მკვიდრთა ინტერესს; მისდამი გულგრილთ არ აინტერესებთ რა ხდება მის თავს, რას აკეთებს. მეორე მხრივ, "ყოველი ინდივიდი რაც უფრო ბევრ ინდივიდთანაა მიმართებაში, ურთიერთობები მით უფრო იშვიათი და ხანმოკლეა".⁴² გარდა ამისა, თითოეულის ყურადღება იმდენი სხვადასხვა მიმართულებითაა გაფანტული, რომ "ყოველ წამს უამრავი საქმითა და გარეშე პირთა წყალობით განცალკევებული მეზობლები და ოჯახის წევრებიც კი სულ უფრო იშვიათად და ნაკლებ რეგულარულად ხვდებიან ერთმანეთს კავშირები იშვიათი და სუსტია; მხედველობის არედან უფრო ადვილად კარგავენ სხვებს, იმათაც კი, ვინც ყველაზე ახლოს არიან, ისეთივე ინტერესი ახლობლებისადმიც კი აღარ აქვთ".⁴³

ფსიქიკურსა და სოციალურს შორის ბუნებრივი და სინთეზური კავშირის დისპარმონიის ერთ ცხად გამოვლინებად დიურკემი მიიჩნევს ისეთ ნეგატიურ მოვლენას, როგორიცაა თვითმკვლელობათა სიხშირე უმაღლეს ქალაქად, ვიდრე სოფლად. მისი აზრით, სოციალური მიზეზები, რომლებზეც დამოკიდებულია ფსიქიკურად ჯანსაღ ინდივიდთა თვითმკვლელობა, ძალზე მჭიდროდ არის დაკავშირებული ქალაქის ცივილიზაციასთან. ხსენებული მიზეზები ბევრად უფრო ინტენსიურად იგრძნობა მსოფლიო ურბანიზმის მთავარ ცენტრებში (იგივე ითქმის კრიმინალზეც).

დიურკემი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მზარდი კომუნიკაციისა და ტრანსმისიის კვალობაზე, პერსპექტივები იმდენად ფართოვდება, რომ ეს ნაყოფიერ ნიადაგს უქმნის მირეულ ცვლილებებს პატარა ქალაქის მკვიდრის ცხოვრების წესშიც. მისი ინტერესები და გრძნობები ბევრად შორს ვრცელდება, სცდება პატარა ქალაქის შეზღუდულ ჩარჩოს და

⁴⁰ იხ.იქვე, გვ.406.

⁴¹ იხ.იქვე, გვ.399.

⁴² იხ.იქვე, გვ.410.

⁴³ იხ.იქვე, გვ.410.

ნაკლებად ზემოქმედებს მასზე. დღესდღეობით, ფაქტობრივად, პატარა ქალაქის მკვიდრიც აღარ ცხოვრობს ისე სრულად მის გარშემო არსებული მცირე ჯგუფის ყოფით, "მისი ცხოვრებისა და საქმიანობის ცენტრი ისე სრულად აღარაა ის გარემო, სადაც იგი მკვიდრობს [...] მეზავრობების სიხშირეს, აქტიურ მიწერ-მოწერას, საკუთარი ქალაქისაგან შორ საქმიანობას და ა.შ. მისი მზერა გადააქვს იქიდან, რაც მის გარშემო ხდება; იგი ნაკლებად ინტერესდება თავისი მეზობლებით, რომელთაც ძალზე მცირე ადგილი უკავიათ მის ექსისტენციაში".⁴⁴

ქალაქის ერთ-ერთ არსებით პოზიტიურ მახასიათებლად დიურკემი მიიჩნევს შრომის მაქსიმალურ დანაწილებას, რაც ბევრად მეტი რაოდენობის ადამიანს უზრუნველყოფს საარსებო საშუალებებით. საქმიანობის განსხვავებული ობიექტის გამო, ერთსა და იმავე დიდ ქალაქში სხვადასხვა პროფესიათა თანაარსებობა ურთიერთზიანის მიუყენებლად შესაძლებელია: თითოეულ ინდივიდს აქვს შესაძლებლობა მიაღწიოს საკუთარ მიზანს ისე, რომ ხელი არ შეუშალოს სხვებს თავიანთი მიზნის მიღწევაში. მსგავსი ვითარება ნაკლებად დაცილებულ ფუნქციათა შემთხვევაშიც: ოკულისტი ფსიქიატრის კონკურენტი არაა, მეწაღე მექუდისა, კალატოზი დურგლისა და ა. შ. "ყოველი ქალაქი, თავისი გარეუბნებით ქმნის ჯგუფს, რომლის წიაღშიც შრომა დანაწილებულია და ილტვის რომ იყოს თვითკმარი; ყოველი სახელოსნო, თითქოსდა ქალაქიაო, საკუთარი ყოფით ცხოვრობს".⁴⁵ დიურკემის თქმით, ასეთი ვითარება იყო შედარებით გვიანდელ პერიოდამდე ანტიკური პერიოდის ქალაქებში, საიდანაც მიეცა დასაბამი ქრისტიანულ საზოგადოებებს, რომელთაც ეს სტადია ძალზე ადრე გაიარეს. XIV საუკუნიდან ვითარდება შრომის ინტერეგონალური დანაწილება.

განსხვავებით ეკონომისტებისაგან, შრომის დანაწილება მხოლოდ სოციალურ ძალთა მწარმოებლურობის ზრდის საშუალებამდე რომ დაყავდათ, დიურკემის მიხედვით, *შრომის დანაწილებით სოციალური ცხოვრება იგულისხმება*. მისი თეორიის თანახმად, "შრომის დანაწილება, უწინარეს ყოვლისა, სოციალური კოჰეზიის წყაროა"⁴⁶, რაც განპირობებულია, უმთავრესად, რწმენათა და გრძნობათა ერთიანობით; ავტორის აზრით, არ კმარა საზოგადოება ითვლიდეს მხოლოდ ბევრ სუბიექტს, "ინდივიდთა შორის უნდა არსებობდეს არა მხოლოდ მატერიალური კონტაქტი, არამედ, ასევე საჭიროა, მათ შორის მორალური კავშირების არსებობაც".⁴⁷ ორგანიზებულ საზოგადოებათა მორალის ბევრად უფრო მეტი ჰუმანურობისა და რაციონალურობის წყალობით, მაღალგანვითარებული საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის რთულ ჩარჩოებში სუსტ ინდივიდსაც შეუძლია მოიძიოს ისეთი ადგილი, სადაც მას შეეძლება რაიმე საქმიანობის შესრულება: ფიზიკურად სუსტ, გონებით კი სრულიად ჯანსაღ ინდივიდს შეუძლია, საქმიანობად აირჩიოს საკაბინეტო სამუშაო, გონებრივად განუვითარებელმა დიდ ინტელექტუალურ კონკურენციაში ჩაბმაზე, ცხადია, უარი უნდა თქვას; თუმცა "საკუთარი წიაღის მეორე რიგის უჯრედებში საზოგადოებას საკმაოდ აქვს პატარ-პატარა ადგილები, რომლებიც არ უშვებენ მის ელიმინაციას".⁴⁸ გარდა ამისა, პროგრესი ე.ი. დიფერენციაციისა და სპეციალიზაციის მაღალი ხარისხი მით უფრო სწრაფი იქნება, "რაც უფრო იოლად შეეძლება ინდივიდს ჰარმონიის დამყარება საკუთარ ინდივიდუალურ გარემოსთან, მასთან ადაპტაცია ე.ი. დამოუკიდებლად მოძრაობა მაშინაც, როდესაც მთელი ჯგუფი იმავდროულად და იმავე მიმართულებით არ მოძრაობს".⁴⁹

ავტორი ასევე დასძენს, რომ, რაც მეტად უახლოვდება ფუნქციები ერთმანეთს, მით უფრო მძაფრდება კონკურენცია. ქალაქის მაცხოვრებლები იძულებულნი არიან, მაქსიმალურად გაიღრმავონ საკუთარი სპეციალიზაცია. შრომა უფრო მეტად ნაწილდება

⁴⁴ იბ.იქვე, გვ.412.

⁴⁵ იბ.იქვე, გვ.410

⁴⁶ იბ.იქვე, გვ.536.

⁴⁷ იბ.იქვე, გვ.381.

⁴⁸ იბ.იქვე, გვ.373.

⁴⁹ იბ.იქვე, გვ.390.

იმიტომ, რომ გამძაფრებულია ბრძოლა სიცოცხლისათვის.”შრომის დანაწილება ესაა სიცოცხლისათვის ბრძოლის რეზულტატი [...] სპეციალიზაციას ვსაჭიროებთ არა უფრო მეტის საწარმოებლად, არამედ, იმისათვის, რომ შეგვეძლოს ცხოვრება ექსისტენციის იმ ახალ პირობებში, რომლებიც შეგვექმნა”.⁵⁰

დასკვნა. ადამიანი, როგორც გარე სამყაროს მკვიდრი არსება, გარდაქმნის თავის სამკვიდროს და ამ პროცესში თავადაც გარდაიქმნება. დიურკემის თქმით, ესაა *კანონი გამონაკლისის გარეშე*. ქალაქის, არსებითად, პოზიტიური კონტექსტის განხილვის ფონზე, ავტორი მეტად საინტერესო სახით წარმოაჩენს ურბანული ყოფის თანმხლებ ისეთ პოზიტიურ მახასიათებლებს, როგორიცაა ინდივიდის თავისუფლება, ინდივიდუალობის განვითარება, შრომის მაქსიმალური დანაწილება, რაც ერთმანეთის პირისპირ აყენებს არა ინდივიდებს, არამედ სოციალურ ფუნქციებს, რომელთა სწორი ქმედება საზოგადოების სიჯანსაღის საწინდარია; ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოციალური ინტეგრაციის თვალსაზრისით, *უმადლესი ღირებულება სოციალური სოლიდარობაა*.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ დიურკემის მოსაზრებათა მართებულობა ცხადყოფს: გლობალიზაციის ეპოქაში, თანამედროვე საზოგადოებებში მიმდინარე სწრაფ ცვლილებათა პროცესში, სულ უფრო მეტად შეინიშნება ქალაქის (როგორც დიდი, ისე პატარა ქალაქის) სოციო-კულტურული სივრცის ზეგავლენა საზოგადოებრივ ყოფაზე, ადამიანთა სასიცოცხლო გარემოსა და მათ სულიერ ცხოვრებაზე. ასევე, შრომის დანაწილების მზარდი გავლენა არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების სრულიად განსხვავებულ სფეროებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.ემილ დიურკემი, *სოციალური შრომის დანაწილება*, ფრანგულიდან ქართულად თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ, Carpe diem, თბილისი, 2012.
- 2.თენგიზ ირემაძე, ჰელმუტ შნაიდერი, გიორგი ხუროშვილი, ლალი ზაქარაძე, მიხეილ გოგატიშვილი, გიორგი თავაძე: *ფილოსოფიური ურბანისტიკა*”ნეკერი”, თბილისი, 2014.
- 3.თენგიზ ირემაძე, *ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე*”ნეკერი”, თბილისი, 2013.
- 4.ემილ დიურკემი, *სოციოლოგიის მეთოდის წესები*, ფრანგულიდან ქართულად თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ, ”იოანე პეტრიწი”, თბილისი, 2001.
- 5.ჰელმუტ შნაიდერი, *ფილოსოფიური გეოგრაფია*, გერმანულიდან ქართულად თარგმნა გიორგი თავაძემ, ”ნეკერი”, თბილისი, 2010.

Dodo (Darejan) Labuchidze
Grigol Robakide University, Tbilisi

Main Characteristics of Urban Life

Abstract

In the context of modern sociological research is increasingly manifest interest to the particularities of the city as socio-cultural space urban sociology prejudices are given in a eminent french thinker by Emile Durkheim – the founder of French sociology, the reformer of the sociological concept [1858-1917]. This article aims at analyzing the thoughts Durkheim which demonstrated the influence of the big city encompassing several spheres of social life to the habitat of men and their spiritual life.

საკვანძო სიტყვები: ურბანიზმი, საზოგადოებრივი ყოფა, ტრადიცია, პროგრესი, სოციალური სტრუქტურა.

Keywords: urbanism, social life, tradition, progress, social structure, solidarity, division of work.

⁵⁰იბ.იქვე, გვ.372.

Stylistic Analysis of "The Wind Blows" by Katherine Mansfield from Stylistic and Grammatical point of view

*"Risk! Risk anything!
Care no more for the opinion of others...
Do the hardest thing on earth for you.
Act for yourself. Face the truth."*

About the author

Katherine Mansfield is New Zealand's most internationally famous author. She was a writer of short stories, poetry, letters, journals and reviews, and changed the way the short story was written in the English language. She was a rebel and a modernist who lived her short life of 34 years to the full. Her life spanned a time when gender roles for women underwent a radical change.

Even before she died at the age of thirty-four Katherine Mansfield had achieved a reputation as one of the most talented writers of the modern short story in English. Mansfield was recognized as innovative, accessible, and psychologically acute, one of the pioneers of the avant-garde in the creation of the short story. Her language was clear and precise; her emotion and reaction to experience carefully distilled and resonant. Her use of image and symbol were sharp, suggestive, and new without seeming forced or written to some preconceived formula.

Her themes were various: the difficulties and ambivalences of families and sexuality, the fragility and vulnerability of relationships, the complexities and insensitivities of the rising middle classes, the social consequences of war, and overwhelmingly the attempt to extract whatever beauty and vitality one can from mundane and increasingly difficult experience.

The growing avant-garde of the second and third decades of the twentieth century admired her unique insight. Virginia Woolf—who alternately disapproved of and envied Mansfield's wider and more amorphous sexual, economic, and social experience and who was both her principal rival and close friend in a shifting, difficult, intense, and communicative relationship—always respected and learned from Mansfield's writing. When she heard that Mansfield had died, Woolf wrote in her diary: "I was jealous of her writing—the only writing I have ever been jealous of". (<https://www.poetryfoundation.org/poems-and-poets/poets/detail/katherine-mansfield>).

The Wind Blows was first published on 27 August 1920 in the **Athenaeum** (edited by Katherine Mansfield's husband John Middleton Murry) and later reprinted in **Bliss and Other Stories** (1920).

Stylistics and Style

Stylistics, simply defined as the (linguistic) study of style, is rarely undertaken for its own sake, simply as an exercise in describing what use is made of language. We normally study style because we want to explain something, and in general, literary stylistics has, implicitly or explicitly, the goal of explaining the relation between language and artistic function. The motivating questions are not so much what as why and how. From the linguist's angle, it is 'Why does the author here choose this form of expression?' (Leech, 2007, 11).

Every analysis of style, in our terms, is an attempt to find the artistic principles underlying a writer's choice of language. All writers, and for that matter, all texts, have individual qualities. Therefore the features which call themselves to our attention in one text will not necessarily be important in another text by the same or a different author. There is no infallible technique for

selecting what is significant. We have to make ourselves newly aware, for each text, of the artistic effect of the whole, and the way linguistic details fit into this whole (Leech, 2007, 60).

Geoffrey Leech (2007, p.61-64) in his book "Style in Fiction" explains in details how a literary text can be analyzed from the linguistic point of view. Those linguistic categories are placed under four headings: lexical categories, grammatical categories, figures of speech, and cohesion and context. As we have already mentioned above, our research is dedicated to the grammatical and stylistic (figures of speech) point of view.

Grammatical analyzes of the Story

Grammatical analysis of a literary text considers the analysis of a sentence structure, sentence types, sentence complexity; noun and verb phrases, and clause structure and so on. In this research we try to analyze the text according to the mentioned aspects.

The short story "*The Wind Blows*" is written in the indicative mood. Generally, Mansfield's language is simple; she writes the story in a narrative method, in the third person. Narrator is the author herself; she describes the protagonist's feelings and emotions in windy day so vividly, that the reader is totally involved in the story.

Mansfield prefers using short sentences; using many pauses between sentences should be considered as one of the characteristics of her writing style:

"How funny he is. He doesn't exactly laugh at you . . . but there is just something. . . . Oh, how peaceful it is here. She likes this room. It smells of art serge and stale smoke and chrysanthemums . . . there is a big vase of them on the mantelpiece behind the pale photograph of Rubinstein . . . á mon ami Robert Bullen. . . . Over the black glittering piano hangs "Solitude"—a dark tragic woman draped in white, sitting on a rock, her knees crossed, her chin on her hands.

One more peculiarity, besides using pauses, in Mansfield's short story is that she often uses hyphens instead of a comma or a dot:

*Summer is over—it is autumn—everything is ugly.
Why does he speak so kindly—so awfully kindly—
It's funny—it makes you laugh—and yet it just suits the day
I cried at my music lesson that day—how many years ago !
The wind—the wind.*

There are also used long narrative sentence types, where the description of the protagonist's feelings and emotions and the description of the dreadful windy day are given.

As for the sentence structure, there we find all types of sentence structures, such as simple, compound and complex sentences; simple and compound sentences are mostly used. We also find some unfinished sentences:

*Why is he so . . .
I do not see why I should..
Don't forget..... But the ship is gone now*

Thoughts, ideas and feelings move quickly in the story. It is the good example of stream of consciousness.

Special emotions and expressiveness in the given text are also achieved by exclamatory sentences:

*What is? Oh, everything!
Oh, heavens—this wind!" [p.138]
Oh, that kind voice—Oh, that minor movement. [p.141]
She can hear the sea sob: "Ah! . . . Ah! . . . Ah-h!"*

Imperative sentences are always emotionally colored and give different types of excitement to the text:

The stupid—she's blushing! How ridiculous!

It is all over!
How hideous life is—revolting, simply revolting. . . .
"A perfect idiot!"
For heaven's sake keep the front door shut!
Come back im-me-diatly!

In narration, Mansfield, prefers using complex sentences which are mostly connected **syndetically** (by means of coordinating and subordinating conjunctions and connective words such as adverbs and pronouns (Kirvalidze, 75).

Adverbial clauses and restrictive relative clauses are mostly found in complex sentences:

Marie Swainson runs into the garden next door to pick the "chrysanthos" before they are ruined -syndetically (adverbial clause of purpose)

She watches his hand—it is a very nice hand and always looks as though it had just been washed. (Adverbial clause of manner)

The wind is so strong that they have to fight their way through it, rocking like two old drunkards. (Adverbial clause of result)

The sea is so high that the waves do not break at all; (Adverbial clause of result)

It's the light that makes her look so awfully beautiful and mysterious. (restrictive relative clause)

There's the esplanade where we walked that windy day (restrictive relative clause)

Though there are some complex sentences that are connected asyndetically:

Over the black glittering piano hangs "Solitude"—a dark tragic woman draped in white, sitting on a rock, her knees crossed, her chin on her hands.(relative restrictive clause)

There we have found one particular sentence like that:

"The-girl-before-her has just started playing..." the phrase *The-girl-before-her* can be interpreted as - the girl who has lesson before someone else, and in this case it should be considered as a complex sentence which is connected asyndetically.

Compound complex sentence was also found in the Mansfield's short story:

Their heads bent, their legs just touching, they stride like one eager person through the town, down the asphalt zigzag where the fennel grows wild, and on to the esplanade.

As we have already mentioned above, the author mostly uses compound sentences

Leaves flutter past the window, up and away; down in the avenue a whole newspaper wags in the air like a lost kite and falls, spiked on a pine tree.

The carts rattle by, swinging from side to side; two Chinamen lollop along under their wooden yokes with the straining vegetable baskets—their pigtails and blue blouses fly out in the wind.

Stylistic Analysis of the story

Katherine Mansfield's short story "The Wind Blows" is full of stylistic devices and literary terms, that make her language more special. The atmosphere at the beginning of the story is full of fear and horror:

"SUDDENLY-dreadfully-she wakes up. What has happened? Something dreadful has happened.."

In the story we find some examples of the following stylistic devices and literary terms:

Simile (simile excludes all the properties of the two object, stressing the one that is compared (Galperin, 167):

"...down in the avenue a whole newspaper wags in the air *like* a lost kite and falls".

"At the thought the minor movement of the Beethoven begins to play in her head, the trills long and terrible *like* little rolling drums".

"Mr. Bullen's drawing room is as quite *as* a cave"

"The crotchets and quavers are dancing up and down the stave *like* little black boys on a fence".

"The bed, the mirror, the white jug and basin gleam *like* the sky outside".

"Does Mother imagine for one moment that she is going to darn all those stockings knotted up on the quilt *like* a coil of snakes?"

"The wind carries their voices—away fly the sentences *like* narrow ribbons".

"The wind is so strong that they have to fight their way through it, rocking *like* two old drunkards".

Alliteration: (a phonetic stylistic device which aims at imparting a melodic effect to the utterance. The essence of this device lies in the repetition of similar consonant sounds)

"...*blue blouses* fly out in the wind".

"The carts rattle... from *side to side*".

"She doesn't mind what she does—she *pulls* the *plants*".

"*Little lady*".

"The shabby red piano is long enough for two people to *sit side by side*".

...they had known each other for *years and years*".

"..his voice is *far, far* to kind".

"..*long loop* of smoke".

"she pulls the plants up"

Assonance:

A white dog on three legs yelps past the gate.

Anaphora (successive clauses or sentences start with the same word(s))

She won't. *She* won't. *She* hates Mother

She picks as quickly as she can, but she is quite distracted. *She* doesn't mind what she does

"I can't come back, Mother. I'll be late for my lesson."

"Sit down," he says. "Sit over there in the sofa corner, little lady."

Parallel construction

"Come on! Come on!

The wind, the wind.

In waves, in clouds, in big round whirls the dust comes stinging

Irony:

He leans over the other girl, puts his arms over her shoulders and plays the passage for her.

The stupid—she's blushing! How ridiculous!

Oxymoron:

A perfect idiot!

Why does she speak so kindly - so awfully kindly?

It's the light that makes her look so awfully beautiful and mysterious.

Personification:

She can hear the sea sob: Ah!.... Ah - Ah-h!

Metaphor:

And her hurt beats so hard she feels it must lift her blouse up and down".

It's the bed that is frightening. There it lies, sound asleep

They thump against the rough stone wall and suck up the weedy, dripping steps.

Bogey's voice is breaking. When he speaks he rushes up and down the scale.

Now the dark stretches a wing over the tumbling water.

What on earth have you got on your head?

Apostrophe:

Good-bye, little island, good-bye.

On the basis of the morphological and stylistic analysis, it should be mentioned that the short story "The Wind Blows" is stylistically emotional, as the author frequently uses the literary terms and stylistic devices. As for the morphological analysis, the author prefers using simple and compound sentences, also short and unfinished sentences, for more emotion Mansfield uses hyphens and pauses. There we mostly find adverbial clauses which are mostly connected syndetically.

References:

Leech, G.&Short, M. (2007). *Style in Fiction*. Great Britain., Pearson, Longman
Kirvalidze, N. (2003)., *Theoretical Course of English Grammar*., Tbilisi, Ilia State University
Galperin, I.R., (1977), *Stylistics*. Moscow, Higher School
<https://www.poetryfoundation.org/poems-and-poets/poets/detail/katherine-mansfield>.
Mansfield, K., (1920) *Bliss, and Other Stories: ``The Wind Blows``* (pp. 137-144); New York: Alfred A. Knopf,

შორენა ლაზვიაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

ქეთრინ მენსფილდის „ქარი ქრის“ სტილისტური და გრამატიკული ანალიზი ანალიზი რეზიუმე

მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი დიდი ხანია მკვლევართა ინტერესს საგანს წარმოადგენს. სტილისტური ანალიზი საშუალებას იძლევა შევისწავლოთ და გავაანალიზოთ მწერლის ენა და მისი წერის სტილი. წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ქეთრინ მენსფილდის მოთხრობის "ქარი ქრის" გრამატიკული და სტილისტური ანალიზი. მხატვრულ ტექსტზე ჩატარებული ლინგვისტური კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა საინტერესო გრამატიკული თუ ლინგვისტური მახასიათებლები.

საკვანძო სიტყვები: ქეთრინ მენსფილდი, ქარი ქრის, სტილისტური ანალიზი, გრამატიკული ანალიზი, ლინგვისტიკა

Keywords: Katherine Mansfield, "The Wind Blows", stylistic analysis, grammatical analysis, linguistics

ნანა ლოლაძე, მაია აბალაძე
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი

ემოციის კონცეპტუალიზაცია (ფრაზეოლოგიზმების კვლევა ენათა შედარების საფუძველზე)

სამყაროს აღქმის, შემეცნებისა და შეფასების თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ემოცია. ადამიანში ემოციის განცდისა და გამოხატვის უნარი თანდაყოლილია, ზოგადკულტურულია და უნივერსალური (C. E. Izard 2002: 69). ამასთან, ემოცია ადამიანის შინაგან, არახილვად სამყაროს

განეკუთვნება და ერთ-ერთი ყველაზე რთულად ორგანიზებული სისტემაა. მისი შესწავლა ფილოსოფოსების, ფიზიოლოგების, ფსიქოლოგებისა და ენათმეცნიერების ინტერესის სფეროს წარმოადგენს. ამ ფენომენის შესახებ არაერთი გამოკვლევა არსებობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ემოციათა ბუნება დღემდე ამოუხსნელი რჩება. ყველა მეცნიერი, რომელ დარგსაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს და რა თვალსაზრისიდანაც არ უნდა იდგეს, თანხმდება იმაზე, რომ ემოციები უმნიშვნელოვანესია ადამიანის მოტივაციის, სოციალური კომუნიკაციის, სამყაროს შემეცნებისა და საქმიანობისათვის.

ემოციათა შესწავლის გასაღებს წარმოადგენს ენა, რომლის საშუალებითაც ხდება ემოციათა როგორც გამოხატვა და აღწერა, ისე მათი სტრუქტურირება. სამართლიანად არის შენიშნული, რომ გრძნობათა ბურუსით მოცული სამყაროს ინტერპრეტირებისას ყოველი ენა საკუთარ კოორდინატთა ბადეს იყენებს. თუკი ვინმე შეეცდება თითოეულ ემოციას, რომელსაც ადამიანი განიცდის, დაარქვას სახელი, ბუნებრივია, იგი გამოიყენებს საკუთარ ლექსიკონს. რადგან თითოეულმა ხალხმა მიაგნო გრძნობის ისეთ ელფერს, როგორიც სხვა ხალხების მიერ შემჩნეული და გამოყოფილი არ არის (W. James, 1890). სწორედ ენა წარმოადგენს ემოციათა კვლევის ობიექტსაც და ინსტრუმენტსაც.

ენაში ასახული წარმოდგენა ადამიანის შინაგან სამყაროზე მოიცავს თაობათა გამოცდილებას ათასწლეულების განმავლობაში. ამიტომაც ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა ემოციების ენობრივი გამოხატვის საშუალებებს ამა თუ იმ ენის სემანტიკურ სტრუქტურაში.

ენის მიერ არახილვადი შინაგანი სამყაროს მოდელირება ხილვადი, მატერიალური სამყაროს მიხედვით ხდება. ამდენად, არახილვადი სამყაროს კონცეპტების აგების ძირითად მექანიზმს მეტაფორა წარმოადგენს. ემოციების სახელდებათა სემანტიკის მეტაფორული აღწერა, მათი ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ როგორია ამა თუ იმ ენის მატარებელთა მიერ კონცეპტის შეფასებითი და ხატოვან-ასოციაციური გააზრება. ამის საფუძველზე შესაძლებელია წარმოჩნდეს ის სპეციფიკური ცვლილებები, რომელთა ფორმირებაც მოხდა ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებაზე გონების დაკვირვების შედეგად.

ემოციის კონცეპტების სირთულე და მრავალფეროვნება, ბუნებრივია, აისახება მათ ვერბალიზაციაზე. დღეს სადავო აღარაა, რომ კონცეპტის რეალიზაცია შესაძლებელია როგორც ერთი სიტყვით, ისე სიტყვათა მყარი გამოთქმით. ფრაზეოლოგიური ერთეულები აფართოებენ ემოციის კონცეპტების ნომინაციურ ველს ხატოვან-კონოტაციური ინფორმაციით. განსხვავებით სიტყვებისაგან, ხატოვან გამოთქმებში უშუალოდ აისახება ენობრივი კოლექტივის წევრთა კოგნიტიური პროცესები.

სხვადასხვა ენის ფრაზეოლოგიური ფონდის შესწავლა საშუალებას გვაძლევს მივიღოთ სანდო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება აქვს სხვადასხვა ლინგვოკულტურული სივრცის წარმომადგენლებს სინამდვილისადმი. კულტურათა შორის მსგავსება-განსხვავებათა გამოვლენის ეფექტური გზაა ენათა კვლევა შედარება-შეპირისპირების საფუძველზე.

ფრაზეოლოგიზმების ენათაშორისი კვლევა მულტიდისციპლინარულია. ენათა შედარების საფუძველზე ფრაზეოლოგიზმების შესწავლა სხვადასხვა ლინგვისტური თეორიის ფარგლებში მიმდინარეობს, თუმცა ერთიანი, მეტ-ნაკლებად ყველასათვის მისაღები მეთოდოლოგია დღემდე არ შემუშავებულა. თანამედროვე ეტაპზე გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება – ესაა

კოგნიტიური მიდგომა და კორპუსზე დაფუძნებული კვლევა (J.-P. Colson, 2008, 202-203). ეს უკანასკნელი, ქართული ენის სრულფასოვანი კორპუსის არარსებობის გამო, ნაკლებეფექტურია. ამის, და არა მხოლოდ ამის გამო, ფრაზეოლოგიზმების ენათაშორისი კვლევისათვის კოგნიტიური ლინგვისტიკის ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგიას ვიყენებთ. ეს საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ სამყაროს ენობრივი და კონცეპტუალური სურათი.

ენებში უნივერსალური მოვლენა ჩანს ადამიანის შინაგანი სამყაროს აღნიშვნა, ფსიქიკური პროცესების გადმოცემა ფრაზეოლოგიზმებით, რომლებშიც სხეულის ნაწილებია გამოყენებული. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც სომატური კოდი, რომელიც შეესაბამება ადამიანის არქეტიპულ წარმოდგენას საკუთარ თავსა და გარემომცველ სამყაროზე, ყველაზე ადრეულია. იმავდროულად, ამ ფრაზეოლოგიზმების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ცალკეული ეთნიკური ჯგუფის ცნობიერებაში არსებული ლინგვოკულტურული სტერეოტიპები.

ჩვენი ნაშრომის მიზანია ემოციის კონცეპტუალიზაციის სპეციფიკის ჩვენება ქართული და რუსული ფრაზეოლოგიზმების ენათაშორისი კვლევის საფუძველზე.

სხვადასხვა კულტურა ემოციათა კონცეპტუალიზაციის თვალსაზრისით განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს. სამყაროს ფრანგულ ნაივურ სურათში ემოციები ლოკალიზებულია ელენთაში, ჩინურში – თირკმელებში, ხოლო აფრიკის ზოგიერთ ენაში – ღვიძლსა და ცხვირში და ა.შ.

როგორც ქართული, ისე რუსული ენობრივი სამყაროსათვის ემოციის კონცეპტუალიზაციის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი არის „გული“, თუმცა რუსულში, არცთუ იშვიათად, ამ ფუნქციით გვხვდება „სული“. *გულისაგან* განსხვავებით, რომელიც, ისევე როგორც სხეულის სხვა ნაწილები, მატერიალურია, *სული* არ არის მატერიალური. თუმცა, რუსულში იგი გულთან არის გათანაბრებული და ფრაზეოლოგიზმებში ხშირად ხდება მათი ჩანაცვლება. მაგ.: от полноты сердца და от полноты души; сердце выиграла და душа выиграла; аგრეთვე: от всего сердца (души), всем сердцем (душой), сердце (душа) радуется, боится сердцем (душой) за кого, камень на сердце (душе) და მისთ.

რუსულ-ქართულ ლექსიკონში (1983) ცალკეა გამოყოფილი სიტყვა «душа»-ს ის მნიშვნელობა, რომელსაც ქართული „გული“ შეესაბამება. ეს მნიშვნელობა რეალიზებულია შემდეგ ფრაზეოლოგიზმებში:

в глубине души – გულის სიღრმეში;

вымотать душу – გულის გაწყალება;

отвести душу – გულის მოხება;

он вкладывает душу в дело – საქმეს გულს უდებს;

душа не лежит к этому – გული არ მიმიწევს;

душа не на месте – გული საგულეში აღარა აქვს;

от всей души – სულითა და გულით.

ემოციის გამოხატვისას „სულის“ გამოყენება ქართულში მაქსიმალურადაა შეზღუდული. იგი გვხვდება ისეთ გამოთქმაში, როგორიცაა – *სულითა და გულით*. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ემოციის კონცეპტუალიზაციის ძირითადი კომპონენტი ქართულში არის „გული“. ის ფაქტი რომ გულს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართულ მსოფლადქმაში არაერთგზის არის შენიშნული (ნანა ლოლაძე, 2008). ხატოვან სიტყვა-თქმებზე დაკვირვების საფუძველზე თ. სახოკია წერს: „გული ჩვენს ხალხს მიაჩნია ჩვენი ნერვების შესაკრებელ ორგანოდ, რომელზეც

უმუალოდ მოქმედებს ყოველივე ფსიქიკური განცდა: სიყვარული, სიხარული, სიამაყე, სიძულვილი, მწუხარება, დარდ-ნალველი“ (თედო სახოკია, 1979: 119).

ქართულში „გულის“ შემცველი ფრაზეოლოგიზმების ორიგინალურობას ადასტურებს ძველი ქართულის მონაცემები. შენიშნულია, რომ სახარების ტექსტში, ხშირ შემთხვევაში, იქ სადაც გარკვეული გუნება-განწყობილება თუ გრძნობაა გადმოცემული, ქართულში გვხვდება „გულის“ შემცველი ფრაზეოლოგიზმები, ბერძნულში – არა (ეკა ბერიშვილი, 2002: 108).

ჩვენ ერთმანეთს შევუდარეთ ქართული და რუსული ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც გამოყენებულია ლექსემა „გული“. ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმების სამი ჯგუფი გამოვყავით: პირველ ჯგუფს მივაკუთვნეთ ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ემთხვევა ერთმანეთს სიტყვიერადაც და მნიშვნელობითაც, ერთი და იგივე ემოცია არის სახელდებული, მაგ.:

გულითან ახლოს მიაქვს – принимает близко к сердцу

გულს მოიგებს – завоюет сердце

გული ვერ გაუძლებს – сердце не выдержит

ვინმეს გულს განგმირავს – пронзить сердце (душу) а ლა⁵¹

გული საგულეს არა აქვს – сердце не на месте

ამგვარი დამთხვევების მიზეზები სხვადასხვა შეიძლება იყოს, კერძოდ, არსებობს ე.წ. ინტერნაციონალური ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ენებში შესულია ისტორიული, მითოლოგიური თუ ლიტერატურული წყაროებიდან და ნასესხობებს წარმოადგენს. ერთი და იგივე ფრაზეოლოგიზმები სხვადასხვა ენაში შესაძლებელია გაჩენილიყო ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ, ზოგადად, ადამიანის აზროვნებას საერთო მექანიზმი აქვს. გარდა ამისა, დამთხვევა შესაძლოა განპირობებული იყოს ყოფის, შრომითი საქმიანობის, ცხოვრების წესის სიახლოვითა და სხვა მსგავსი ფაქტორებით.

მეორე ჯგუფში გავაერთიანეთ ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც მნიშვნელობით ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ სიტყვიერად განსხვავდებიან მაგ.:

გული ეწვის – сердце кровью обливается

გული ამოუვარდება – сердце колотится

გულის მოკვლა – разбить сердце

გულზე მოეშვა – отлегло от сердца

გულზე ლოდად აწევს – свинцом лежит на сердце (душе)

ეს ფრაზეოლოგიზმები ერთმანეთის ეკვივალენტებია. თითოეული წყვილი მსგავს ემოციას გამოხატავს და შესაძლებელია მათი გამოყენება ერთსა და იმავე კონტექსტში. თუმცა ამ ფრაზეოლოგიზმებში კარგად ჩანს ის სხვაობა, რომელიც ამ ენებში ემოციათა კონცეპტუალიზაციის თვალსაზრისით იჩენს თავს. მაგალითად, ქართულ ენობრივ სურათში *დარდის* სიმძიმე შედარებულია ლოდის სიმძიმესთან, ხოლო რუსულ ენობრივ სურათში – ტყვიასთან. მიუხედავად იმისა, რომ ქართულში არსებობს გამოთქმა *ტყვიასავით მძიმე*, ქართულ ნაივურ სურათში ემოციის გამოსახატავად *ტყვია* არ გამოიყენება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც მესამე ჯგუფშია გაერთიანებული. ეს ფრაზეოლოგიზმები სიტყვიერად ემთხვევა ერთ-

⁵¹ როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსულ ფრაზეოლოგიზმებში «сердце»-ს პარალელურად ხშირად გვხვდება «душа».

მანეთს, მაგრამ მნიშვნელობით განსხვავებულია, კერძოდ, სხვადასხვა ემოციას გამოხატავენ, მაგ.:

ფრაზეოლოგიზმი *გული უსკდება* ქართულში გამოხატავს შიშს, ხოლო რუსული *сердце разрывается*, რომელიც სიტყვიერად ემთხვევა ქართულს, განსხვავებულ ემოციას გამოსცემს, კერძოდ: **შებრალებას, შეცოდებას.**

ასევე შემდეგ მაგალითებში:

გული უკანკალებს – მღელვარებას, განცდას (უარყოფით ემოციას), ხოლო რუსული: *сердце трепещет* – **სიხარულს.**

გული გადაუბრუნდა – შეშინებას, შეძრწუნებას, ხოლო რუსული:

сердце (душа) перевернулось – **შებრალებას, თანაგრძნობას.**

გულზე ცეცხლის მოკიდება – ძალიან გაბრაზებას, მრისხანებას, ხოლო რუსული:

сердце (душа) горит – **ძლიერ განცდას, მღელვარებას.**

გული გაუტყდება – იმედის, რწმენის დაკარგვას, ხოლო რუსული:

разбить сердце – **სულიერი ტკივილის მიყენებას.**

„გულის“ შემცველი ფრაზეოლოგიზმების ჩვენ მიერ წარმოებული ანალიზი მიმოხილვითი ხასიათისაა. ემოციების კონცეპტუალიზაციის სრული სურათის წარმოსაჩენად საჭიროა ამ პრობლემის უფრო ღრმა და თანამიმდევრული შესწავლა ენათშორისი მეთოდოლოგიის საფუძველზე. ეს საშუალებას მოგვცემს გამოვყოთ სხვა მახასიათებლებიც და გამოვავლინოთ გარკვეული კანონზომიერებები. ამგვარი კვლევა მნიშვნელოვანია როგორც კონკრეტულ ენათა, ისე ზოგადად, ემოციათა ბუნების, მათი ენობრივი რეალიზაციის პრობლემების შესწავლის თვალსაზრისით და მას თეორიულთან ერთად პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს. კერძოდ, იგი მნიშვნელოვანია თარგმანის თეორიისა და პრაქტიკისათვის, ასევე ხელს უწყობს ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

ლიტერატურა:

ბერიშვილი ე. (2002): ფრაზეოლოგიზმთა ერთი ნაწილისათვის ქართული სახარების ორი ძველი რედაქციის მიხედვით// `ენათმეცნიერების საკითხები`, 2 (14), გვ., 99-111.

ლოლაძე ნ. (2008): ემოციების გამოხატვის ენობრივი სურათი// `სემიოტიკა`, სემიოტიკის კვლევის ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი, III, გვ., 122-126.

რუსულ-ქართული ლექსიკონი (1983): საბჭოთა საქართველო, თბილისი.

სახოკია თ. (1979): ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, 1979, მერანი, თბილისი.

Colson J.-P. (2008), Cross-linguistic phraseological studies// Phraseology. An interdisciplinary perspective, Publisher: John Benjamins, pp.191-206

Izard C. E. (2002: The psychology of emotions, (რუსული გამოც.), Питер, Санкт-Петербург.

James W. (1950): The principles of psychology, Dover, New York.

Conceptualisation of Emotion
(Cross-linguistic phraseological studies)

Abstract

From the point of view of perception, cognition and evaluation of the universe, emotion plays one of the important roles. At the same time, emotion belongs to a person's inner, invisible world and is one of the most complicately organized systems. The key of study of emotions is language, by means of which, the emotions are expressed and described, as well as structured. The language is modelling the invisible inner world according to visible, material world. So, the main mechanism of conceptualization of the emotion is a metaphor. Designation of the human's inner world, expression of psychical processes by means of phraseological units, in which are used parts of the body, seems to be a universal event, though the linguistic means of expression of the emotion at the same time in each language are partly specific.

The aim of our work is to show the specifics of conceptualization of the emotion based on the Cross-linguistic study of Georgian and Russian phraseological units. This will give us possibility to get information about linguocultural stereotypes, existing in the consciousness of different ethnic groups. The results of such kind researches are important as for specific languages, as well as in general, from the point of view of study of the nature of emotions, also for study of problems of their linguistic realization.

საკვანძო სიტყვები: კოგნიტიური ლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, ემოციები, ფრაზეოლოგია, ენათაშორისი კვლევა

Keywords: cognitive linguistics, linguoculturology, emotions, phraseology, cross-linguistic study

თამარ ლოლიშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

წარსული დროის გამოხატვის მოდელები სხვადასხვა სისტემის ენებში

ენათა შეპირისპერებით-ტიპოლოგიური შესწავლის მეთოდი სიახლეს აღარ წარმოადგენს ენათმეცნიერებაში, მაგრამ კვლავ დიდია მისი თეორიული თუ პრაქტიკული მნიშვნელობა, როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენებში.

შეპირისპირებით მეთოდს განსაზღვრული ღირებულება აქვს არა მხოლოდ უცხო ენის ფაქტების გადმოსაცემად მისი შესწავლის პროცესში, არამედ იგი უაღრესად ფასეულია მეცნიერული ანალიზისათვის და აგრეთვე ყოველი ენის აღსაწერად (მათ შორის დედაენისაც). სხვადასხვა ენის (მიუხედავად მათი წარმოშობისა) ფაქტების შედარება-შეპირისპირება საშუალებას გვაძლევს, უკეთ შევამჩნიოთ, დავახასიათოთ და გავიაზროთ ყოველი შესასწავლი ენის სპიციფიკური თავისებურებანი, ეს კი, ცხადია, უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა იმისა, რომ აღმოვაჩინოთ და ყოველმხრივ გამოვიკვლიოთ ენის განვითარების შინაგანი კანონები (სმირნიცკი 1957:3).

ინგლისური ენის წყობა ანალიზურია, ქართულის კი სინთეზური. ყველასათვის ცნობილია, რომ ანალიზური წყობის ენები გრამატიკულ

მნიშვნელობათა გადმოსაცემად სიტყვათა რიგს და დამხმარე სიტყვებს იყენებს მაშინ, როცა სინთეზური აგებულების ენები გრამატიკულ საშუალებად ძირითადად ფლექსიას ხმარობს. გასათვალისწინებელია, რომ ენების ანალიზურად და სინთეზურად დაყოფა პირობითი და მიახლოებითია. არ არსებობს წმინდა ანალიზური და სინთეზური ენა, მაგრამ თითქმის ყოველი სახის ენის წყობაში შეინიშნება როგორც ანალიზური (სიტყვათა რიგი, დამხმარე სიტყვები), ისე სინთეზური (ფლექსია, სიტყვათცვალებადობა) (ბარხუდაროვი 1975(1);69).

ინგლისური ენა საქართველოში მნიშვნელოვანი, მრავალფუნქციური გამოყენებით ხასიათდება. ამ ორ ენას, როგორც მსგავსება, ისე განსხვავება აქვთ, რომლის შესწავლასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მსგავსებათა დადგენა ენის შემსწავლელებს სწავლების პროცესს გაუადვილებს, მაშინ, როცა განსხვავებათა გამოვლენა არ დააბნევს მათ და ენათა შედარება-განსხვავების საფუძველზე შეეცდებიან, ჩაწვდნენ სამიზნე ენებისათვის დამახასიათებელ საერთო თვისებებს (უნვერსალიებს), რათა მათ ფონზე გამოავლინონ მოცემული ენის სპეციფიკა. ენის შესწავლის მიზნით საჭიროა ქართულ და ინგლისურ გრამატიკულ დროებს შორის ჩავატაროთ კვლევა, რათა დავადგინოთ მსგავსება-განსხვავებები გამოყენებასა და სტრუქტურაში. თანამედროვე გრამატიკულ დროთა კლასიფიკაციაზე დაყრდნობით წინამდებარე ნაშრომში განხილულია ორი არამონათესავე ენის კონტრასტული კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავს შესაპირისპირებელ ენებს შორის იზომორფიზმისა და ალომორფიზმის დადგენას.

კონტრასტული ლინგვისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია საკვლევ ენათა შესაპირისპირებელი ობიექტების დადგენა. ასეთად კი ჩვენ წარსული დრო მივიჩნიეთ და შევეცადეთ, დაგვედგინა ის მსგავსება-განსხვავებები, რაც წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტური შინაარსის გადმოცემის საშუალებებს შორის არსებობს ორ მოცემულ ენაში.

თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში ზმნის დროის კატეგორია შემდეგ განმარტებას მიიღებს: გრამატიკული ზმნის დრო არის გრამატიკული კატეგორია, რომელიც გამოხატავს მოქმედების მიმართებას საუბრის მომენტთან, რომელიც მიღებულია ათვლის წერტილად. დროის ყველა ფორმა ინდიკატივში განსაზღვრულ დამოკიდებულებაშია ამ ორიენტირის მიმართ: როცა მოქმედება საუბრის მომენტს ემთხვევა, მაშინ მას აქვს დიფერენციალური ნიშანი - „საუბრის მომენტთან ერთდროულობა“ და იგი ახლანდელი დროის ფორმით გადმოიცემა. თუ მოქმედება საუბრის მომენტზე ადრე ხდება, მაშინ იგი საუბრის მომენტთან წინამავლობას გამოხატავს და წარსული დროის ფორმით გადმოიცემა. იმ შემთხვევაში კი, როცა მოქმედებას მხოლოდ მოელის შესრულება, მაშინ მას აქვს ნიშანი „შემდგომობა საუბრის მომენტთან მიმართებით“ და მომავალი დროის ფორმით გადმოიცემა (მეგრელიშვილი; 1986)

როგორც ლინგვისტური მასალის ანალიზმა გიჩვენა, ორივე ენაში, ინგლისურშიც და ქართულშიც - წარსული დროის პარადიგმული მნიშვნელობა - საუბრის მომენტთან მოქმედების არაერთდროულობაა. მოქმედება დროის მიხედვით განეკუთვნება სინამდვილეში უკვე გასულს, წარსულში მომხდარ ფაქტს. ზმნა წარსულის ფორმაში გამოხატავს იმას, რაც უკვე შესრულდა წარსულში. ესაა წარსულის რეალური ფაქტი, რომელიც ახლანდელთან კავშირში არაა.

წარსულის სფეროში უფრო ნათლად გამოიხატება ენის სისტემის მიდრეკილება ობიექტური სინამდვილის პროცესების დროთა ლოკალიზაციის მკაფიოდ, ნათლად გადმოცემისაკენ. ინგლისურ ენაში წარსული დროის

კატეგორიული ფორმა ოთხი ასპექტ-დროის ფორმითაა წარმოდგენილი: Simple Past (მარტივი წარსული), Past Continuous (წარსული განგრძობითი), Past Perfect (წარსული პერფექტი), Past Perfect Continuous (წარსული პერფექტ-განგრძობითი). ქართულ ენაში კი ეს დიფერენციაცია წარსულის ხუთი მწკრივით მიიღწევა - უწყვეტლით, წყვეტილით, ხოლმობით, I თურმეობით და II თურმეობით. ქართულ ენაში წარსული დროის ფორმები სხვა დროთა ფორმებისაგან მკვეთრად გამოიჯნული (შანიძე 1973;200).

ცალკეული მოქმედების მარტივი წარსული

ცალკეული მოქმედების მნიშვნელობა მარტივი წარსულის ერთ-ერთი ვარიანტული მნიშვნელობათაგანია, რომელიც მოქმედების წარსულზე განკუთვნიების ტემპორალურ ნიშანს ემყარება. მისი როლი წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვაა მოქმედების განფენილობაში. მაგალითად:

„There **was** a fellow here last year, a namesake of mine, who **was** the best bridge player I ever met“. (S. Maugham, Mr.Know-all)

"Art has nothing to do with it," said the old man sharply. "I **bought** the Lathrop Gallery **last month**." (R. Goldberg, Art for Heart's Sake)

პერსონაჟთა მეტყველებაში, უშუალო ერთიერთობისას (გამონათქვამის დონე) მარტივი წარსულის კორელატი რეალურად არსებულ სამყაროშია.

ცალკეული მოქმედების მარტივ წარსულს შეუძლია გადმოსცეს განსხვავებული ხანგრძლივობის პროცესები. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ზმნების ლექსიკურ მნიშვნელობას (კერძოდ კი, გამოიყენება უზღვრადი და ორმაგი ასპექტული მნიშვნელობის მქონე ზმნები) და კონტექსტურ საშუალებებს, რომლებიც მოქმედების პროცესუალურ ხასიათს გამოხატავენ.

ცალკეული მოქმედების მარტივ წარსულს ქართულ ენაში შემდეგი ფორმები შეესატყვისება:

“ვაჟმა მიმინო დიაცს **მიაჩეხა**, კისრიდან ბოლომდის **დაუსვა** ხელი. ფრთები **გაუსწორა**, **ასწავლა** როგორ დაესვა მარცხენაზე. თასმა **შემოიხსნა**, **მწყრებიანად გადასცა**. **გაიფხორა** მიმინო, ქარვისფერი თვალები **დაუბრიალა** დიაცს.

(კ.გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა)

„ვაჟი უნაგირზე **შესდგა** ორივე ფეხით, ხევს გადაღმა სერზე მომავალ ჯარს თვალი **შეასწრო**, მუზარადები **ელავდნენ** მზვარეში, მერმე უნაგირს **დაახტა** უკანალით და **გაჰქუსლა** ცხენი. (იქვე)

როგორც ვხედავთ, მარტივ წრსულს ამ მნიშვნელობით შეესატყვისება ქართულში სამი მწკრივი: წყვეტილი, I თურმეობითი და უწყვეტელი. ამ მწკრივთა სინონიმური გამოყენება სხვადასხვა პირობაზეა დამოკიდებულია: ზმნების ლექსიკურ ხასიათზე, ზმნებზე I თურმეობითის ფორმაში (განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი უარყოფით ფორმაშია წარმოდგენილი), წყვეტილისა და უწყვეტელის, წყვეტილისა და I თურმეობითის, I თურმეობითისა და უწყვეტელის ახლო თანამდებარეობაზე. ამ მნიშვნელობით მარტივი წარსული ინგლისურში და წყვეტილი (სრული ასპექტის), I თურმეობითი და უწყვეტელი გვხვდება როგორც პერსონაჟთა მეტყველებაში, ისე თხრობის გადმოცემისას ავტორის მიერ. ორივე ენაში ეს ფორმები წარსულში მთელ რიგ თანამიმდევრულ მოქმედებათა გადმოსაცემად გამოიყენება.

მრავალგზისი მარტივი წარსული

მარტივი წარსულის შემდეგი ვარიანტული მნიშვნელობა ჩვეულებრივი მრავალგზისი, ციკლური მოქმედების გამოხატვაა. ეს მნიშვნელობა განსაკუთრებით წარმოჩინდება, როცა გრამატიკული ფორმა ითავსებს შემდეგი სახის ლექსიკურ საშუალებებს: often, seldom, sometimes, every day, whenever და ა.შ. მაგალითად:

He picked up the phone and dialed Luka Brasil's number and kept the receiver to his car as it rang and rang. (M.Puzo, The Godfather)

მრავალგზისი მარტივის რეალიზაციისათვის ხელსაყრელი კონტექსტია საჭირო, კერძოდ კი, მრავალგზისობის გამომხატველი ლექსიკური საშუალებები, რომლებიც ზმნის მიერ გამოხატული მოქმედების მრავალგზის ხასიათს განსაზღვრავენ.

“გეგამ, როგორც მას ყოველთვის აკეთებდა ხოლმე, სახლიდან გასვლისას დედას აკოცა. ქალბატონმა ნათელამ კი ჩვეულებისამებრ ფანჯრიდან გადახედა სადარბაზოდან გასულ შვილს. გეგამ იცოდა, რომ ამ დროს დედა ფანჯრიდან უყურებდა, როგორც ყოველთვის, და ახლაც მხიარულად ასწია მარცხენა ფეხი დამშვიდობების ნიშნად, ისერ რომ უკან, ფანჯრისკენ არც მოუხდავს... (დ.ტურაშვილი, ჯინსების თაობა)

მრავალგზისი მარტივ წარსულს ქართულში აღნიშნული მნიშვნელობით შეესატყვისება მწკრივები: უწყვეტელი, წყვეტილი, ხოლმეობითი და I თურმეობითი. ეს მწკრივები - უწყვეტელი, წყვეტილი და I თურმეობითი - ამ მნიშვნელობას მხოლოდ ლექსიკური საშუალების დახმარებით გადმოსცემს. მათში მრავალგზისობის მნიშვნელობა ლექსიკური აქტუალიზატორების დახმარებით წარმოდგება. რაც შეეხება ხოლმეობითს, ამ მნიშვნელობას იგი ყოველგვარი დამხმარე საშუალებების გარეშეც გადმოსცემს. მრავალგზისობის მნიშვნელობა ამ ფორმისათვის პირველადია.

ინგლისური ენის ტიპოლოგიურ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ განმეორებადი, მრავალგზისი მოქმედების გამოსახატავად ენაში სპეციალური კონსტრუქციები “used to + ინფინიტივი” და „would + ინფინიტივი“. ეს კონსტრუქციები დაახლოებით ერთგვარი ტიპის კონტექსტში ფუნქციობს. მაგალითად:

„He loved to walk up and down the alleys and **used to spend** a lot of time hanging around Hummef's Garage, on the corner there“ (J. Updike, The Centaur)

„He had to stop in bed when he was ill, and eat chicken and hot-house grapes; and he **would lie** there and **sob** because they wouldn't let him do Latin exercises.“ (J. K. Jerome, Three Man in a Boat)

წარსული განგრძობითი ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები

ცალკეული მოქმედების წარსული განგრძობითი Past Continouos-ის ფორმის ვარიანტული მნიშვნელობაა. იგი დროის ლოკალიზების ტემპორალურ-ასპექტურ და მოქმედების წარსულზე განკუთვნიების ტემპორალურ ნიშნებზე დამოკიდებული. მაგალითად:

'One evening,' he said, 'I **was walking** down Bond Street about five o'clock. There was a terrific crush of cars and the traffic was almost stopped. (O. Wild, The Sphinx Without a Secret)

წარსული განგრძობითი გამოიყენება ცალკეულ, კონკრეტულ მოქმედებათა გადმოსაცემად. მოქმედება მიმდინარეობს წარსულის კონკრეტულ მომენტში. ის მოქმედება, რომელიც წარსულის რომელიღაც მომენტს ემთხვევა და ჩვენგან მოშორებულია, ამ მომენტისათვის აქტუალურია. სწორედ ამიტომ, ამ ფუნქციით

წარსული განგრძობითი მხოლოდ ტემპორალურად და ასპექტურად ღირებულ ერთ ელემენტს ეწყო, რომელიც კონკრეტულობის ნიშანს არ ეწინააღმდეგება“ (მ.მეგრელიშვილი, 1986:198)

ერთ დილას ზამთარაძე თურქეთში მცხოვრებ ქართველი ტომების ამბავს **მეკითხებოდა, ვსაუბრობდით**. თუთაშხია გარეთ იყო გასული, დიდ პალატაშ ავადმყოფები საუზმეს აპირებდნენ (ჭ.ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

წარსული განგრძობითის ფუნქციობის პირობები ამ მნიშვნელობით განსხვავებულია. ქართულში მას შეესატყვისება სამი მწკრივი: უწყვეტელი, წყვეტილი (უსრული ასპექტი) და I თურმეობითი. ამრიგად, ინგლისური ენის ერთ ფორმას ქართულში შეესატყვისება სამი მწკრივი.

მრავალგზისი წარსული განგრძობითი ფორმის ეს ვარიანტული მნიშვნელობა დაფუძნებულია დროში არალოკალიზებისა და მოქმედების წარსულზე განკუთვნიების ნიშანთა შეხამებაზე. მრავალგზისობის მნიშვნელობას წარსული განგრძობითი სხვადასხვა ლექსიკური საშუალებისა და კონტექსტის დახმარებით გადმოსცემს: sometimes, often, seldom, constantly, again and again, always, every day, every week, every month...

„But somehow he was never able to look after his flowers at all, for his friend the Miller **was always coming** round and **sending** him **off** on long errands, or **getting** him to help at the mill”. (O Wild, Devoted Friend)

“**სამი წლის განმავლობაში** მონასავით ოფლს **ვღვრიდი**, რამდენი ღამე ვწოლილვარ თოვლში და სულ იმაზე **ვფიქრობდი**, ოდესმე თუ შევუყვარდები-მეთქი ვინმეს. მტვერს ჩემი თავისთვის **არ ვაგროვებდი**. იმედი მქონდა, რომ ოდესმე შესაფერი ქალი შემხვდებოდა და აი დღეს მართლაც შემხვდა. (ო ჰენრი, აუხდომელი ოცნების ბორანი)

-შენ გენაცვალე, შენი აკვანი **რამდენჯერ მირწევია**, ახლა ამ ჩემს ქოხში შენს ნახვას მოვესწარი. ხომ კარგად ბრძანდები სენ შემოგვევლოს შენი სალომე! (აკ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი).

როგოც ვხედავთ, წარსულ განგრძობით მრავალგზისი მნიშვნელობით ქართულ ენაში შეესატყვისება მწკრივები: უწყვეტელი, ხოლმეობითი და I თურმეობითი (უარყოფით ფორმაში, უსრული ასპექტი)

პროსპექტული წარსული განგრძობითი

ინგლისურ ენაში წარსული განგრძობითი ფორმის გამოყენება უახლოესი მომავალი მოქმედების გადმოსაცემად საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. მაგალითად:

“I wish you’d come and see and judge for yourself”.

“I **was returning** to New York in the morning, but if you will have breakfast with me, I think I might stay over” (Th. Dreiser, An American Tragedy).

Cowperwood found himself confiding in Allen. He **was taking** her with him to London (Th. Dreiser, The Stoic).

პროსპექტული წარსული განგრძობითის რეალიზაციისათვის საჭიროა ხელსაყრელი კონტექსტი: მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები, პოზიციური დროის აღმნიშვნელი შემდეგი ტიპის საშუალებები: soon, the next day და ა.შ. კონტექსტი, რომელიც პროსპექტულობის მნიშვნელობას აპროგრამებს.

წარსულ განგრძობითს ამ მნიშვნელობით ქართულ ენაში შეესატყვისება შემდეგი ფორმები:

“ სადუნამ კი „ვოიჰ“-ის ამოძახილით მოითავა სიცილი და, ეს რა კარგი სალაპარაკო ვიშოვეო, გაიფიქრა და მაშინვე გარეთ გავარდა. ეზოში კუწუწა აბაშიძეს წააწყდა და იმ წუთშივე ჰკითხა

-გითხრათ ბესიკმა, როდის **მიემგზავრება** სპარსეთში?

- არა, არაფერი უთქვამს” (აკ.ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი).

როგორც ვხედავთ, წარსულ განგრძობითს ამ მნიშვნელობით ქართულში შეესატყვისება მყოფადისა და აწმყოს მწკრივი. ასეთ ტიპოლოგიურ სხვაობას ამჟღავნებს ინგლისური და ქართული ენა პროსპექტულობის მნიშვნელობის გადმოცემისას წარსულში

წარსული პერფექტის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები

მრავალგზისი წარსული პერფექტი

წარსული პერფექტის ძირითადი კატეგორიული ნიშანია - წარსული დროის საორენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობა და მასთან მიმართება. წინამავლობის მნიშვნელობა გრამატიკულადაა წარმოდგენილი თვით ფორმაში.

წარსულ პერფექტს მრავალგზისი მოქმედება ლექსიკური აქტუალიზატორების საშუალებით შეუძლია გადმოცეს. ყველაზე ტიპურია მრავალგზისობის გამომხატველი ლექსიკური საშუალებები: **always, seldom, frequently, many times, sometimes** და ა.შ. მაგალითად:

„Seated on the fallen trunk of a tree, he **had promised** for the **twentieth times** that if their marriage were not a success, she should be as free as is she had never married“. (J. Galsworthy, The Man of Property).

როგორც საილუსტრაციო მასალა გვიჩვენებს, მრავალგზისი მნიშვნელობის რეალიზაციისათვის წარსული პერფექტი საჭიროებს ლექსიკურ საშუალებებს, რომლებიც ციკლურ განმეორებად მოქმედებას აღნიშნავს. ეს მნიშვნელობა ხშირად სხვა ფორმათა (რომლებიც მრავალგზისობას აღნიშნავენ **would+ ინფინიტივი; used to+ ინფინიტივი**) თანამდებარეობაზეა დამკიდებელი.

„The thought of my father-in-law, whom I **had not seen eighth times** in my marriage life, but knew well enough to fear profoundly, was a subject so vast, however, I put it away from me altogether.“ (N.Mailer, An American Dream)

საილუსტრაციო მასალა ნათლად გვიჩვენებს, რომ წარსულ პერფექტს ამ მნიშვნელობით ქართულში შეესატყვისება: II თურმეობითი, წყვეტილი, უწყვეტელი და ხოლმეობითი. როგორც ინგლისურში, ისე ქართულში მრავალგზისობის მნიშვნელობას ზმნის ფორმა კი არ გამოხატავს, არამედ სხვა კომპონენტები - განმეორებადი მოქმედების აღმნიშვნელი ლექსიკური საშუალებები, ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა, წინადადების სტრუქტურა და ა.შ.

რეზულტატული წარსული პერფექტი

წარსული პერფექტი ახლანდელი პერფექტის მსგავსად გადმოცემს მიზეზ-შედეგობრივ მიმართებებს - სუბიექტისა და ობიექტის მდგომარეობას, რომელიც დასრულებული მოქმედების შედეგია. მიზეზი და შედეგი შეიძლება გადმოიცეს ერთი ან რამდენიმე წინადადების ფარგლებში, მაგალითად:

“I don’t like the picture – And beside when I came in you said I **hadn’t changed a bit.**”

“Isn’t it funny” Gloria said, ‘when you came in the door you looked exactly like your picture. But when I kept looking at you it seemed as if your whole face had changes” (M.Puso, The Dark Arena).

წარსულ პერფექტს ზემოგანხილული მნიშვნელობით ქართულ ენაში II თურმეობითი შეესატყვისება. მაგალითად:

„მართალია, ხნით უკვე ორმოც წელს უახლოვდებოდა, მაგრამ ეს მაღალი დ წარმოსადეგი ქალი საოცრად **შენახულიყო**, ღაწვები ვარდისფრად **ატყვეოდა**, ხოლო გადახაზულ წარბებ ქვეშ ჩაბინდული ნუშისმაგვარი თვალები მომხიზვლელად უციმცმებდა“ (ა.ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი)

ქართული ენის ტიპოლოგიურ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ II თურმეობითი I თურმეობითის მსგავსად უნახავი აქტის მნიშვნელობას გადმოსცემს. ოღონდ I თურმეობითისაგან განსხვავებით იგი ისეთ უნახავ მოქმედებას გადმოსცემს, რომელიც წარსულში მეორე მოქმედების წინამავალია. მაგალითად:

“ამილახვრებს იმ ადგილებში მამულები ჰქონდათ, მოურავად შალიბაშვილი ეყენათ, ნიკა ერქვა. **თურმე** ერთი ოსის ქალი **შეჰყვარებოდა**, ქართველი კაცის ქვრივი, როსტომიანთ გომურებს ეტყოდნენ, ერთ ღამეს იქ **დაეხარებინა** შალიბაშვილს თავისი საყვარელი“ (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

„მოგზაურ სოვდაგარს განურჩევლად **შეეძინა**, რაც კი ხელში მოხვედროდა. (გამსახურდია, მთვარის მოტაცება).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, II თურმეობითი უნახაობის მნიშვნელობას გადმოცემს როგორც ნაწილაკით თურმე, ისე მის გარეშეც.

წარსული პერფექტ-განგრძობითის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები

ძირითადი კატეგორიული ნიშანი წარსული პერფექტ-განგრძობითისათვის წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა და მასთან მიმართებაა. წინამავლობას თვით ზმნის გრამატიკული ფორმა გადმოცემს. ეს ფორმა წარსული პერფექტისაგან განსხვავებით პროცესუალობის მნიშვნელობის მატარებელია. იგი მოქმედებას განფენილობაში წარმოადგენს. მაგალითად:

‘So I was glad she called. Besides, I **had been waiting** to ask her, what she thought about what was going on.’ (J. Jones, The Merry Month of May).

წარსული პერფექტ-განგრძობითი ისე, როგორც წარსული პერფექტი წარსული დროის საორიენტაციო ღერძის უარყოფით ვექტორზე მდებარეობს და ამ ღერძის ათვლის წერტილთან გაუთიშველია. დროის განსაზღვრულობას განგრძობითობის მნიშვნელობა ქმნის.

წარსული პერფექტ-განგრძობითი წარსული პერფექტისაგან მოქმედების პროცესუალობით განსხვავდება, რომელიც შემდეგი სახის ლექსიკურ საშუალებებს ეხამება: long, for days, for weeks, for months, for years, for six days, for an hour და ა.შ.

წარსულ პერფექტ-განგრძობითის მრავალგზისობის მნიშვნელობა მხოლოდ ლექსიკური ინდიკატორების დახმარებით შეუძლია გადმოსცეს.

‘I **had been going** out every night **since Monday**. I had become quite occupied with the student Film Committee of the Odeon.’ (J. Jones, The Merry Month of May)

ქართულ ენაში ამ ფორმას შეესატყვისება:


‘-მეფე შეიხ ფეიზის ბაღში მუდამ მარტო დაიარებოდა და ლუხუმის მეტს მცველთაგან არავის იახლებდა ხოლმე’.(გ.აბაშიძე, ლაშარელა)

მრავალგზისის წარსულ პერფექტ-განგრძობითის ქართულ ენაში შეესატყვისება მწკრივები: უწყვეტელი, II თურმეობითი და იშვიათად, მაგრამ მაინც, ხოლმეობითი.


ამრიგად, ორივე ენაში წარსული დროის კატეგორიული ფორმა მიუხედავად რაოდენობრივი განსხვავებისა, მაღალსემანტიკური პოტენციალის მქონეა. წარსული

დროის სემანტიკაში ძირითადი განსხვავება ამ ორ მოცემულ შეპირისპირებულ ენაში ვლინდება მრავალგზისობის გამოხატულების პლანში. ქართულ ენაში მრავალგზისი მოქმედების გამოსახატავად ენას მოეპოვება სპეციალური გრამატიკული ფორმა-ხოლმეობითის მწკრივი, ინგლისურში კი არ არის ზმნის გრამატიკული ფორმა, რომელიც ლექსიკური აქტუალიზატორების გარეშე გამოხატავდა მრავალგზის მოქმედებას. ინგლისურში განმეორებადი მოქმედების გადმოსაცემად არსებობს სპეციალური კონსტრუქციები. ამგვარად, კონტრასტული ანალიზის საშუალებით განვიხილეთ ის მსგავსება-განსხვავებები, რაც შეპირისპირებულ ენებში არსებობს წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტური შინაარსის გადმოცემის საშუალებებს შორის.


წარსული პერფექტ-განგრძნობითის სემანტიკური მოდელი
ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები




წარსული პერფექტის სემანტიკური მოდელი
ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები



წარსული განგრძნობითის სემანტიკური მოდელი
ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები



მარტივი წარსულის სემანტიკური მოდელი
ინგლისურ ენაში და მისი ქართული შესატყვისები



ბიბლიოგრაფია:

1. მეგრელიშვილი, მ. ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინგლისურ ენაში. თბილისი, 1986
2. ფეიქრიშვილი, ჟ. მესამე სერიის მწკრივები ახალ სალიტერატურო ქართულში. თბილისი. 2007
3. შანიძე ა. გ. (1980) ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები III. მორფოლოგია. თსუ გამომცემლობა. საქართველო
4. Block, M. Y. A Course in Theoretical English Grammar, 1983
5. Бархударов Л. С. (2004). Общая лингвистика. Уровни лингвистического анализа. in: "Лингвистика XX века Система и структура языка", Часть 1, Москва: Прогресс.

Expressing the Past Tenses in Different System Languages**Abstract**

Based on modern grammar classification, the present work deals with two non-conforming contrasting studies aimed at identifying isomorphism and allomorphy between the opposite languages.

One of the important principles of contrasting linguistics is the determination of objects that are contradicting the language. So we considered past tense and tried to find out the similarities and differences that exist between the means of concrete-stylistic content of past tenses in two languages. There are three grammatical tenses in Georgian language. In European languages more than three are named. The basis is that these languages have several grammatical forms that appear in the past or future.

The grammar category of the past is characterized by variants in English and Georgian languages. One of the most important is the realization of the particular meaning of the series.

The main difference between the two languages in the comparable expression is revealed in its usage of repeated actions. To express multiple usage, Georgian language has special grammatical form-the tie of Kholmeobiti, which has not been observed in the English language. In English, there is not a grammatical form of verb, which would express repeated actions without lexical actuators. There are special constructions in the English language to describe the repetitive action. Thus, through contrasting analysis we will consider the similarities and differences between the means of transmission of past-tense compositional-stylistic content.

საკვანძო სიტყვები: შეპირისპირება, იზომორფიზმი, ალომორფიზმი, დრო, მწკრივი

Key Words: Controversy, Isomorphism, Allomorphy, Tense, Tiers

ნანა ლომია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

მხატვრულ დისკურსში გადმოცემული ინფორმაციის ტიპები (იტალიური ენის მასალაზე)

ტექსტი არის ობიექტური ინფორმაციის წყარო. მხატვრული ტექსტი არა მხოლოდ ინფორმაციას გადმოგვცემს სინამდვილის შესახებ, არამედ შეიცავს ინფორმაციას გრძნობების რთული სამყაროს, განწყობისა და ადამიანის მისწრაფებების შესახებ, ასევე იწვევს ესთეტიკურ რეაქციას. ინფორმაციის ყველაზე მარტივი ფორმაა შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს შეტყობინებას ფაქტების, მოვლენების, პროცესების შესახებ, რომელიც ხდება და მოხდება როგორც რეალურ, ისე წარმოსახვით გარე სამყაროში. თავისი ბუნებით ეს ინფორმაცია ექსპლიციტურია, მუდამ ვერბალურადაა გამოხატული და ვლინდება დიალოგურ და თხრობით კონტექსტებში.

ინფორმაციის მეორე ფორმაა შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაცია, რომელიც გადასცემს მკითხველს ავტორის ინდივიდუალურ გაგებას მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირების და წარმოსახვითი მოვლენების მნიშვნელობას. ასეთი ინფორმაცია ყოველთვის გასაგები არ არის, მაგრამ ის საშუალებას გვაძლევს და ყოველთვის ითხოვს სხვადასხვა სახის ინტერპრეტაციას. ასეთი ინფორმაცია ძირითადად ვლინდება მსჯელობის კონტექსტში.

მხატვრულ ტექსტში (დისკურსში) ყველაზე რთული ინფორმაცია შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაციაა, რადგანაც ფარულია, ის შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაციიდან გამომდინარეობს. იგი ენობრივი ერთეულების მეშვეობით ქმნის ასოციაციურ და კონოტაციურ მნიშვნელობებს. ასევე ზეფრაზული ერთეულების შიგნით იძენს მნიშვნელობებს. ამიტომაც, რომ მხატვრულ ტექსტს არა მხოლოდ იმის გადმოცემა შეუძლია, რასაც გამოხატავს, არამედ იმისაც, რაც ტექსტშია ჩადებული ასოციაციებითა და კონოტაციებით, რომლებიც ზოგჯერ გააზრებულიც კი არაა (გალპერინი 1981, 27-28).

შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაციის საფუძველია ინდივიდუალური აზრობრივი კონტექსტი, რომელიც ურთიერთგადაბმული აზრობრივი ერთეულების სისტემას წარმოადგენს. აზრობრივი ერთეულები კი იქმნება ორი ტიპის მახასიათებლებისაგან: საერთო და ინდივიდუალური. კონტექსტი განისაზღვრება როგორც ფორმალურად ფიქსირებული პირობების ერთობლიობა, რომლის დროსაც ერთმნიშვნელოვნად ვლინდება ამა-თუ იმ ენობრივი ერთეულის მნიშვნელობა (კალშანსკი 1959, 47).

გადმოსაცემი ინფორმაციის სირთულე პირადპირპროპორციულადაა დამოკიდებული მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურის სირთულეზე. შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია მრავალწახნაგოვანი და მრავალფეროვანია.

ქვეტექსტი, ყოველთვის ახალია წარმოსახვაში უშუალოდ მოცემულთან შედარებით. ამ თვალსაზრისით, ქვეტექსტი იგივე დამოკიდებულებაშია ტექსტთან მიმართებაში, როგორც რემა თემასთან, თუკი წინადადების აქტუალური დანაწევრების ტერმინს გამოვიყენებთ. ამავე დროს ქვეტექსტი ერთგვარი “დიალოგია” ინფორმაციის შინაარსობრივ-ფაქტობრივ და შინაარსობრივ-კონცეპტუალურ მხარეებს შორის. ინფორმაციის ეს ორი ნაკადი პარალელურად მიედინება. ერთი გამოხატულია ენობრივი საშუალებებით, მეორე კი წარმოიქმნება ამ ნიშნების პოლიფონიით, ზოგ წერტილებში ისინი ერთმანეთს უახლოვდება კიდეც, ზოგან კი ერთმანეთს უპირისპირდება. მათ შესაყარზე ჩნდება შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია....(გალპერინი 1981, 48). ქვეტექსტის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია მისი გაუფორმებელი და განუსაზღვრელი ბუნება, რაც თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა (გალპერინი 1981, 43).

ჩვენთვის ქვეტექსტი იქნება ტექსტის ისეთი ფორმა, რომელსაც მივყავართ მისი სემანტიკური და ემოციურ-ფსიქოლოგიური შინაარსის გაღრმავებამდე და ცვლილებამდე, ტექსტის სიდიდის გაზრდის გარეშე. ი. გალპერინი გამოყოფს შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაციის ორ სახეს: სიტუაციურს და ასოციაციურს (გალპერინი 1981, 45).

ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს მის ორ ტიპს: რეფერენციულსა და კომუნიკაციურს. რეფერენციული ქვეტექსტი რეფერენციულ სიტუაციაზე დამატებითი ინფორმაციაა. რეფერენციული ქვეტექსტი გამომდინარეობს იმ ინფორმაციიდან რაც ჩვენ გაგვაჩნია სამყაროსა და საგნების შესახებ. კომუნიკაციური ქვეტექსტი ინფორმაციაა კომუნიკაციურ სიტუაციაზე, პირველ რიგში ადრესატზე, ის გამომდინარეობს მეტყველების შესახებ ცოდნიდან...(დოლინინი 1985, 38-42). წინამდებარე დისერტაციაში განვიხილავთ ქვეტექსტის სამ სახეს: ქვეტექსტი-კონოტაცია, ქვეტექსტი-იმპლიკაცია, ქვეტექსტი-პრესუპოზიცია.

კონოტაცია, სემანტიკური არსია, რომელიც უშუალოდ ან ოკაზიონალურად შედის ენობრივი ერთეულების სემანტიკაში და გამოხატავს ემოციურ-შეფასებით და სტილისტურად მარკირებული სუბიექტის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი მისი გამონათქვამში გამოხატვისას, რომელიც ამ ინფორმაციის შედეგად ექსპრესიულ ეფექტს ღებულობს (თელია 1986, 5).

კონოტაციური მნიშვნელობების დენოტატი შეიძლება იყოს: 1)ტექსტში დაფიქსირებული ავტორის, მთხრობელის, პერსონაჟის რეალური გრძნობები, განწყობა, შეფასება; 2)მეტყობინების საგნის თვისება; 3)მოსაუბრის თვალსაზრისი; 4) სიტუაციის ობიექტური და სუბიექტური მონაკვეთი.

სიტყვებს თავიანთი მნიშვნელობის მიხედვით უნარი შესწევს, გადმოსცეს მოსაუბრის ემოციური მდგომარეობა, ასევე, ის თუ, რას განიცდის საუბრის დროს, რაც თავის გამოხატულებას პოულობს ამ თუ იმ სიტყვის შერჩევაში, რომელიც მიუთითებს გრძნობაზე, განწყობაზე, მოსაუბრის დამოკიდებულებაზე მეტყველების ობიექტისადმი. მაგალითად: **-U-e-ul! -muggi Bianco** (კალვინო 2011, 332)-უ-ე-უ! დაიღრიალა ბიანკონემ. **-No -mugolò, -comincia tu ad ammazzarlo e a pellarlo, e poi starò a vedere come lo cucini** (კალვინო 2011, 191)-არა,- დაიწკმუტუნა- შენ დაკალი და გაატყავე, მე კი გიყურებ, როგორ მოამზადებ.

ზემომოყვანილი ზმნებით გამოხატავენ ცხოველებისათვის დამახასიათებელ ხმაურს. ეს მიუთითებს ავტორის უარყოფით დამოკიდებულებას პერსონაჟისადმი. ემოციური შეფერილობა განკუთვნილია იმისათვის, რომ მოსაუბრემ ზემოქმედება მოახდინოს ადრესატზე. კონოტაციური მნიშვნელობა პრაგმატისტულად დატვირთულია. პრაგმატიკის ცნება უფრო ფართეა, ვიდრე მხოლოდ მნიშვნელობის კონოტაციური ასპექტი; ლექსიკური მნიშვნელობით შეიძლება იმდენი კონოტაცია გამოვყოთ, რამდენ პრაგმატისტულ ინტენციასაც ის გამოხატავს (თელია 1996, 106-107).

იმპლიკაცია გულისხმობს ლოგიკურ ოპერაციას, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ორ გამონათქვამს (იმპლიკაციის ორ წევრს - ანტეცედენტს, კონსეკვენტს) რთულ გამონათქვამში ლოგიკური კავშირით, რომელიც ბუნებრივ ენაში შეესაბამება კავშირს "თუკი ... მაშინ". ქვეტექსტი-იმპლიკაცია მხატვრულ ნაწარმოებში წარმოიქმნება ემოციური მდგომარეობის ნომინაციის მიხედვით და გამომდინარეობს მათგან ლოგიკური ოპერაციის მეშვეობით. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:... **-Io scherzavo! ella disse. Si scostò dal braciere, sentì un' impressione di freddo dietro le coscie** (პრატოლონი, 1960, 65)-რას ამბობ, გეხუმრე! - უთხრა ავრორამ, მაყალს მოშორდა და კანკალმა აიტანა (მთარგმნ. ერაძე 1967, 53); **Corrado preferisce baciarla sotto il collo; a lei vengono i brividi: è allora che Margherita si sente infelice per la malattia che le impedisce di diventare madre** (პრატოლონი 1960, 43)-კორადოს მისი ყელზე კოცნა უყვარდა. მარგარიტას ცახცახი აიტანდა ხოლმე და ამ დროს ყველაზე უბედურად თვლიდა თავს, რადგან ავადმყოფობის გამო დედობა არ შეეძლო (მთარგმნ. ერაძე 1967, 34).

შინაგანი ემოციური მდგომარეობის გამოხატვა წარმოადგენს მოცემულ ანტეცედენტს და მკითხველს აწვდის ინფორმაციას გამოუხატავ შედეგზე. კონტექსტი პირდაპირ არ მიუთითებს, რომ გმირს თავზარი დაეცა; მხოლოდ მისი შინაგანი სულიერი ემოციური განცდის გამოხატვაა. სიცივის განცდით, ეყრდნობა რა ფონურ ცოდნას, რეციპიენტს შეუძლია გააკეთოს შემდეგი ტიპის დასკვნა, რომ მსგავსი სიმპტომები წარმოიქმნება მხოლოდ შიშის განცდის ემოციური მდგომარეობის დროს.

ტექსტის გაგება განპირობებულია, უშუალოდ ტექსტის გარდა, მთელი რიგი ექსტრატექსტული ფაქტორებით. ესენია: კომუნიკაციური, სოციოკულტურული და სიტუაციური კონტექსტი, ასევე რეციპიენტის ემოციური მდგომარეობა, მისი ფონური ცოდნა და სხვა (კამენსკაია 1990, 40).

ნებისმიერი შეტყობინება ორ ნაწილად იყოფა: ლინგვისტურად და არალინგვისტურად, რომელიც განისაზღვრება ტერმინით პრესუპოზიცია. ლინგვისტურ მხარეს განსაზღვრავს თავად შეტყობინება და თანმხლები კონტექსტი. პრესუპოზიცია კი მოიცავს ყველაფერ იმას, რაც უნდა ჰქონდეს ადრესატს გონებაში ლინგვისტურად გაფორმებული შეტყობინების მიღების დროს; ყველაფერ იმას, რაც დევს ამ შეტყობინების მიღმა, რომელსაც მასთან განსაზღვრული კავშირი აქვს და რაც შეიძლება იყოს შეტყობინების სწორი და ამომწურავი გაგების გარანტია. ამგვარად, ნებისმიერ გამონათქვამში ყოველთვის არსებობს რაღაც ნაცნობი, რომელიც უშუალოდაა გამოხატული და ექსპლიციტური კომპონენტის შინაარსს წარმოადგენს. ამას გარდა არსებობს რაღაც ნაცნობი, რომელიც არ არის გამოხატული და არ საჭიროებს გამოხატვას. ესაა გამონათქვამის პრესუპოზიცია, რის გარეშეც მოცემული ობიექტის თუ მოვლენის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა. ლინგვისტები პრესუპოზიციას უწოდებენ იმ ინფორმაციას, რომელიც მოსაუბრის აზრით, საერთო აქვთ მას და მსმენელს, ანუ ეს ის პირობებია, რომლის დროსაც

შესაძლებელია წინადადების აზრის ადეკვატური გაგების მიღწევა (კოლმანსკი 1980, 80; გალპერინი 1981, 44, დოლინინი 1985, 39; რეფეროსკაია 1989, 41).

ჩვენი აზრით მნიშვნელოვანია, რომ ერთ წინადადებაში ადგილი აქვს სხვადასხვა სემანტიკურ ან ლოგიკურ, ასევე პრაგმატიკულ და ფსიქოლოგიურ პრესუპოზიციებს. მაგალითად: **-Cosa?- grido Caterina dilatando gli occhi, -se ho capito bene, Lei mi vuole accennare, che là potrò informarmi su di lui?** (კალვინო 1997, 51)-რა, შეპყვირა კატერინამ და თვალეზი გაუფართოვდა, თუ კარგად გავიგე, თქვენ იმაზე მიმანიშნებთ, რომ იქ შემოდის მის შესახებ რაიმე შევიტყო?

ყველასათვის ცნობილია, რომ თუკი ადამიანმა შეპყვირა და თვალეზი გაუფართოვდა, ეს მეტყველებს გაკვირვების და არა შიშის ემოციურ მდგომარეობაზე. ამგვარად, პრესუპოზიციის განმსაზღვრელი ფაქტორებია ცოდნის საერთო ფონდი, მსოფლმხედველობის არეალი, ცხოვრებისეული გამოცდილება, რეციპიენტის პიროვნული თვისებები, კონტექსტისა და კომუნიკაციური სიტუაციის თავისებურებების ცოდნა, რასაც ეყრდნობა რეციპიენტი წინადადების ან კონტექსტის აზრის ინტერპრეტაციის დროს.

ამგვარად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ იმპლიკაცია, პრესუპოზიცია და კონოტაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეტექსტის შექმნისას, რომელიც თავის მხრივ მხატვრული ტექსტის სპეციფიკურ ფორმასა და მთავარ სტრუქტურულ თავისებურებას წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეტექსტი-კონოტაციის ინფორმაციას აქვს ემოციურ-აზრობრივი ბუნება, ხოლო ქვეტექსტი-იმპლიკაციისა და ქვეტექსტი-პრესუპოზიციის ინფორმაცია აზრობრივია. ქვეტექსტი-კონოტაცია ჩვეულებრივ ვლინდება კონტექსტში, რომელიც ცილდება წინადადებას (აზნაცში, თავში, ნაწარმოებში); ქვეტექსტი-პრესუპოზიცია და ქვეტექსტი-იმპლიკაცია წარმოადგენს წინადადების სწორად აგების პირობას, ამიტომ მისი განსაზღვრისათვის იშვიათად საჭიროა კონტექსტი.

ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანია ის საკითხი, რომ მხატვრულ ტექსტში ჩადებული ინფორმაციის სხვადასხვა ტიპებს შორის, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ვერბალურად გამოუხატავი ფარული ინფორმაცია, რომელიც გამომდინარეობს მხატვრული ტექსტის სტრუქტურაში ემოციური მდგომარეობისა და ემოციური რეაქციების ნომინაციიდან.

ბიბლიოგრაფია:

1. პრატოლინი, ვ. (1967): ღარიბ შეყვარებულთა ქრონიკა. მთარგმნ. ლ.ერაძე. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება.
2. Calvino, I. (2011): I racconti.. Oscar Mondadori. Milano
3. Pratolini, V. (1960): Cronache di poveri amanti. Arnoldo Mondadori. Milano
4. Гальперин, И.Р. (1981): Текст как объект лингвистического исследования. Наука. Москва
5. Долинин, К.А. (1985): Интерпретация текста. Просвещение. Москва
6. Каменская, О.Л. (1990): Текст и коммуникация. Высшая школа. Москва:
7. Колшанский, Г.В (1959): О природе контекста. Вопросы языкознания. № 4 :47-49
8. Колшанский, Г.В. (1980): Объективная картина мира в познании и языке. Наука. Москва
9. Реферовская, Е.А. (1989): Коммуникативная структура текста в лексико- грамматическом аспекте. Л.: Наука.
10. Телия, В.Н. (1986): Коннотативный аспект семантики номинативных единиц. Наука. Москва:
11. Телия, В.Н. (1996): Русская фразеология: Семантический, прагматический и лингвокультурологический аспекты. Школа «Языки русской культуры». Москва:

Types of Information Presented in Artistic Discourse (on Italian language materials)

Abstract

Text is a material of objective information. The artistic text not only provides information about reality but also contains information about the complex world of sentiments, moods and human aspirations. The understanding of the text is conditioned by a series of extratextual factors, these include: communication, socio-cultural and situational context, as well as the emotional state of the recipient, its background knowledge and others. We are studying this phenomenon on the material of Italian artistic text.

საკვანძო სიტყვები: მხატვრული დისკურსი, კონოტაცია, ქვეტექსტი, ემოციური მდგომარეობა, ფონური ცოდნა

Keywords: Artistic discourse, connotation, subtext, emotional state, background knowledge

წინო ლომთათიძე

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

ეკოლოგიური აზროვნება, ცნობიერება და პასუხისმგებლობა როგორც მდგრადი განვითარების კონცეფციის საფუძველი

სტატიაში დასაბუთებულია მდგრადი განვითარების კონტექსტში შემდეგი ცნებების - ეკოლოგიური აზროვნება, ეკოლოგიური ცნობიერება, ეკოლოგიური კულტურა და გარემოსდაცვითი განათლება, განხილვის აუცილებლობა. ფორმულირებულია ეკოლოგიური პასუხისმგებლობის ტრანსცენდენტული პარადიგმა. აღნიშნული პარადიგმის განმასხვავებელი არის ის, რომ ცნობიერება, მათ შორის ეკოლოგიური, მოცემულია საკვლევო ობიექტის სახით, როგორც გონების განვითარების უმაღლესი ფორმა ანუ როგორც ადამიანის ფსიქიკური განვითარების პროდუქტი სოციალური და ბუნებრივი გარემოს სხვადასხვა ფაქტორებთან ურთიერთქმედების შედეგი.

XXI საუკუნის დასაწყისში კაცობრიობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა გლობალური ეკოლოგიური კრიზისის დამლევა. თუ კაცობრიობა ვერ შეძლებდა აღნიშნული პრობლემის გადაჭრას, მაშინ საფრთხის ქვეშ მოექცეოდა მომავალში მისი არსებობის საკითხი.

თანამედროვე ეტაპზე კაცობრიობის არსებობისა და განვითარების ეკოლოგიური გამოწვევა განაპირობა იმან, რომ ტექნოლოგიური შესაძლებლობები გახდა დედამიწის განვითარების გლობალური პრობლემების თანაზომიერი. აღნიშნულის გაცნობიერებას მივყავართ ვ.ი.ვერნადსკის წისასწარმეტყველებამდე: „ნოსფერო გახდება წამყვანი ფაქტორი პლანეტის, როგორც კოსმოსური სხეულის განვითარებაში და ისევე, როგორც ათიათასობით წლის წინ, კაცობრიობის წინაშე კვლავ დადგება საკუთარი თავის (Homo sapiens) შენარჩუნების საკითხი, რომლის მიზეზიც იქნება ადამიანის მიერ დედამიწაზე ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა, რაც თანდათანობით შეუქცევადი ხდება და იწვევს უარყოფით ზეგავლენას ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე, მის ჯანმრთელობასა და გენოტიპზე (Вернадский В.И 1991).

80-ან წლებში გაერთიანებული ორგანიზაციის მიერ შეიქმნა საერთაშორისო კომისია გარემოს დაცვისა და განვითარების შესახებ, რომელმაც ეკოლოგიური კრიზისის გადაწყვეტის მიზნით მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება, დედამიწაზე კაცობრიობისა

და ბუნებრივი რესურსების მდგრადი განვითარების კონცეფციის სახით. 1992 წ. გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენციაზე (რიო-დე-ჟანეირო), მოწონებული და მიღებული იქნა კაცობრიობისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი განვითარების კონცეფცია, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიერ (Панов В.И. 2008).

აუცილებელია გავითვალისწინოთ ის, რომ დედამიწაზე ბუნებრივი რესურსების და მთლიანი ეკოსისტემის შენარჩუნება შეუძლებელია ადამიანის გარემოსადმი დამოკიდებულების, ეკოლოგიური აზროვნებისა და ეკოლოგიური ცნობიერების ცვლილების გარეშე.

კონკრეტული ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრისას ხშირად ვსვამთ კითხვას რატომ არ ვაანალიზებთ იმ ტექნოლოგიურ მიზეზებს, რომელმაც წარმოშვა ეკოლოგიური პრობლემა? უფრო მეტიც, რატომ გვაქვს იმედი, რომ იგივე ტექნოკრატიული და ანთროპოგენური არსის მქონე ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა, არ გახდება კვლავ უფრო სახიფათო ეკოლოგიური პრობლემის გაჩენის მიზეზი? მართალია აზროვნების ფორმა, როგორც ეკოლოგიური პრობლემების წარმოქმნის მიზეზი იგივე დარჩა, მაგრამ მნიშვნელოვანია არამართო ის, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ეკოლოგიური პრობლემები, არამედ აზროვნების ფორმა, რომელიც შეიძლება გათვალისწინებული იქნას გარკვეული გადაწყვეტილებების მიღების დროს.

პროფესორ ა.ნ.ნაზაროვის მიერ 2009 წ. კონფერენციაზე „მსოფლიოს გლობალური ეკოლოგიური პრობლემები“ აღნიშნული იქნა, რომ თავად იდეა ჩერნობილის კატასტროფის ლიკვიდაციის შესახებ აღმოჩნდა მცდარი. თუ ქ.ჩერნობილს და მის მიმდებარე ტერიტორიას შემოსაზღვრავდნენ და დატოვებდნენ „ბუნებრივ დერეფანს“ კატასტროფის თვითლიკვიდაციისათვის, ბუნება მიგვიყვანდა ზუსტად იმ შედეგებამდე, როგორც გვაქვს ამჟამად. მან მოიშველია თავისი მასწავლებლის სიტყვები, რომელსაც თავის დროზე არავინ არ მოუსმინა - "ნუ ჩაერთვებით სალიკვიდაციო ღონისძიებებში, დატოვეთ როგორც არის, რადგან ბუნება მიიღებს თავისას, მხოლოდ მიეცით მას ამისათვის დრო და ნუ შეუშლით ხელს." ეს მიუთითებს იმაზე, რომ ტყუილად შეიწირა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე და დაიხარჯა მილიარდობით ფინანსური რესურსები ჩერნობილის კატასტროფის სალიკვიდაციოდ და ამის მიზეზი არის ის, რომ ადამიანებს არა აქვთ საკმარისი ცოდნა ბუნებრივი თვითგანახლების პროცესის შესახებ კატასტროფების ლიკვიდაციისა და თვითლიკვიდაციის შემთხვევაში (Глазачев С.Н., Перфилова О.Е.2008)

აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა თუ როგორი უნდა იყოს აზროვნების ფორმა, რომ ის იყოს მდგრადი განვითარების კონცეფციის სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნების ადეკვატური?

დღეისათვის ცხადია, რომ აზროვნება უნდა იყოს შემდეგი მიმართულების: სუბიექტი „ადამიანი“ - ობიექტი „ბუნება“. ადამიანის იზოლაცია ბუნებისაგან როგორც დამოუკიდებელი არსებისა, გამოიწვევს ადამიანის დაპირისპირებას ბუნების წინააღმდეგ, რაც წარმოადგენს გნოესოლოგიური პარადიგმის საფუძველს, თუმცა ონტოლოგიურად თავისი ბუნებით, ადამიანი არის ბუნების შემადგენელი ნაწილი და ბიოსფეროს განვითარების პროდუქტი.

სწორედ ადამიანის განსხვავება თავისი ბუნებრივი წარმოშობის საწყისისაგან ეკოლუციური განვითარების პერიოდში, რომელსაც აღნიშავდნენ ს.დ.დერიაზო, ბ.ა.იასვნი (Деряно С.Д., Ясвин В.А. 1996; 1999) და სხვა ავტორები, წარმოადგენს ანთროპოცენტრული ტიპის ეკოლოგიური ცნობიერების საფუძველს, რომელიც თავის მხრივ ეკოლოგიური კრიზისის ფსიქოლოგიურ მიზეზს წარმოადგენს.

შესაბამისად, აზროვნების ალტერნატიული ფორმა უნდა იყოს ისეთი, რომელშიც რეალიზდება დამოკიდებულება „ადამიანი როგორც პლანეტის (ნოოსფეროს) განვითარების სუბიექტი. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანის აზროვნება არამხოლოდ უნდა ითვალისწინებდეს პლანეტის ბუნებრივი განვითარების შესაძლებლობებს, არამედ თავის შეხედულებებს და დამოკიდებულებებს უნდა აგებდეს ერთიანი განვითარების პოზიციიდან „ადამიანი - პლანეტა“.

ისმის კითხვა, რა უნდა გვესმოდეს მდგრადი განვითარების კონცეფციის კონტექსტის მიხედვით ეკოლოგიური შეგნების ცნებაში?

ზოგადი მნიშვნელობით ეკოლოგიურ შეგნებაში იგულისხმება გარემოსა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების ასახვა ფსიქიკაში, რომელიც წარმოადგენს მის ქცევას „ბუნებაში“ და გამოხატავს სუბიექტის აქსიოლოგიურ პოზიციას ბუნებრივი სამყაროს შეცნობაში.

ამრიგად, ეკოლოგიური ცნობიერება წარმოადგენს რთულ ფსიქოლოგიურ განათლებას, რომელიც თავის თავში მოიცავს კოგნიტურ, რეგულატორულ, ემოციონალურ, ეთიკურ და სხვა ასპექტებს.

მიუხედავად იმისა, რომ ეკოლოგიური ცნობიერებაში გამოიყოფა სხვადასხვა მიდგომები და განმარტებები, მათი შესწავლა გაერთიანებულია საერთო მეთოდოლოგიური პოზიციით, რომელიც საფუძველად უდევს სხვადასხვა ეკოლოგიური ცნობიერების კვლევებს და ახორციელებს გნოსეოლოგიური პარადიგმის ძირითად პოზიციას, როგორც კვლევის საგანი და ობიექტი ფსიქიკური პროცესების და მოვლენების განსაზღვრისას.

აღნიშნული პარადიგმის განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ ცნობიერება (მათ შორის ეკოლოგიური) განიხილება, როგორც კვლევის ობიექტი და გონების უმაღლესი განვითარების ფორმა, ანუ როგორც ადამიანის სოციალური და ბუნებრივი გარემოს ურთიერთქმედების ფსიქიკური განვითარების პროდუქტი. რის შედეგადაც ეკოლოგიური ცნობიერება, როგორც დიაგნოსტიკის ობიექტი თავდაპირველად წარმოდგენილია ერთიანი ფორმით, როგორც ერთგვარი ფსიქოლოგიური რეალობა.

ეკოლოგიური ცნობიერება ასრულებს ცნობიერების სხვადასხვა ფუნქციას - ასახვითი, მარეგულირებელი, რეფლექსური, პროდუქტიული, ან თანაფარდობა ცნობიერისა და არაცნობიერის შორის. ის შეიძლება შეიცავდეს ცნობიერების კვლევის საწყის წერტილს, რომლისთვისაც ობიექტური ცნობიერების პოსტულატი არის: პოლიტიკური ცნობიერება, სამოქალაქო ცნობიერება, ეთნიკური ცნობიერება, ეკოლოგიური ცნობიერება, რელიგიური ცნობიერება და ა.შ.

ა.გ.სპირკინის მიხედვით: „ცნობიერება არის უნიკალური, მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი, რომელიც უკავშირდება თავის ტვინის ფუნქციას და ასახავს განზოგადებულ, შემფასებლურ, მიზანმიმართულ და რეალობის კონსტრუქციულ-შემოქმედებით ტრანსფორმაციას, იგი არეგულირებს ადამიანის გონივრულ ქცევას“ (Спиркин А.Г. 1972).

ცნობიერების პრობლემისადმი მეთოდურ მიდგომას გამოხატავს დამოკიდებულება "სუბიექტი - ობიექტი," რომელიც ტრანსფორმირდა ფსიქოლოგიაში შემდეგი დამოკიდებულებით "სუბიექტის ცნობიერება - ობიექტის ცნობიერება". ურთიერთდამოკიდებულების ძირითადი თავისებურება მდგომარეობს ურთიერთსაპირისპირო კომპონენტების სუბიექტ-ობიექტის ლოგიკურ მსჯელობაში. აღნიშნული მიდგომა განიხილება, როგორც ცნობიერების კვლევის გნოსეოლოგიური პარადიგმა (Панов В.И. 2004).

გარდა ამისა, ეკოლოგიური ცნობიერება განიხილება, როგორც სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის და პედაგოგიკის საგანი. მათ აერთიანებთ ის, რომ ეკოლოგიური ცნობიერების განსაზღვრისას ისინი გამოდიან ეკოლოგიური ცოდნიდან ანუ ეკოლოგიის ფართო ცნებიდან. აღნიშნული ცოდნის არსის ფორმულირება შეიძლება შემდეგნაირად: ადამიანმა უნდა გარდაქმნას ბუნება საკუთარი მიზნებისთვის, მაგრამ თუ შევხედავთ ეფექტს ეკოლოგიური ბუმერანგის თვალსაზრისით - „რა მოხდება, თუ ბუნება დაიწყება შურისძიების ადამიანზე?“ ცხადი გახდება, რომ ეკოლოგიური ცნობიერების პრობლემა უნდა განიხილებოდეს კონტექსტში - „ეკოლოგიური-არაეკოლოგიური“.

მიუხედავად განსხვავებული მიდგომებისა და ეკოლოგიური ცნობიერების განმარტებებისა, ყველაზე მნიშვნელოვანი ამ კუთხით არის ანთროპოცენტრული და ეკოცენტრული ტიპის ეკოლოგიური ცნობიერების პოლარიზაცია. როგორც ს.დ.დერიაბოს და ვ.ა.იასვინას კვლევებმა აჩვენეს, ანთროპოცენტრული ცნობიერების ძირითად

თავისებურებას გარემოსთან ურთიერთდამოკიდებულებისას წარმოადგენს ადამიანის პრაგმატული ინტერესების უპირატესობა ბუნებრივი ეკოსისტემების განვითარების კანონზომიერებებთან შედარებით, ხოლო განსახვავებით ცნობიერების ეკოცენტრული ტიპისათვის დამახასიათებელია, ეკოლოგიური ფასეულობების უპირატესობა ადამიანის გარემოსთან ურთიერთდამოკიდებულების დროს.

რეალური ეკოლოგიური ცნობიერება მოიცავს, როგორც ანთროპოცენტრულ, ასევე, ეკოცენტრულ კომპონენტებს. აღნიშნული კომპონენტების გამოყენება დამოკიდებულია ეკოლოგიური რისკის კონკრეტულ სიტუაციაზე, რომელიც მოითხოვს ამათუიშ გადაწყვეტილების მიღებას. ამასთანავე, უნდა აღნიშნოს, რომ ეკოლოგიური ცნობიერების კონცეფციის ფარგლებში ბუნება გაგებულია ვიწრო, კონკრეტული მნიშვნელობით, როგორც ბიოსფეროს ცოცხალი და არაცოცხალი ელემენტები.

აღნიშნული ავტორები ამტკიცებენ, რომ დღეისათვის ანთროპოცენტრული ეკოლოგიური ცნობიერება მოიცავს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს: ეკონომიკურ, პოლიტიკურ, საგანმანათლებლო და ა.შ.

ჩატარებულმა კვლევებმა, რომელიც ეხებოდა, ბუნებრივი ობიექტებთან ურთიერთქმედებისას ეკოლოგიური ცნობიერების ფორმირების ფსიქოლოგიურ პირობებს გვიჩვენა, რომ არსებობს კიდევ ერთი მიდგომა ეკოლოგიური ცნობიერებისადმი, რომელიც გამოყოფილია ბუნებაცენტრული ტიპის ფორმით.

ასეთი მიდგომა წარმოადგენს იმის მტკიცებულებას, რომ ადამიანი ბუნების ნაწილია. ამ თვალსაზრისით, როგორც ადამიანი ასევე, ბუნებრივი და ანთროპოგენური გარემო წარმოადგენს ბუნების არსის უნივერსალურ გამოვლინებას, როგორც თვითმმართველობის, თვითგადარჩენის და თვითგანადგურების უნარი.

სისტემა „ადამიანი - ბუნება“ გაგებულია როგორც ერთობლივი განვითარების ერთიანი სისტემა, რომელიც ხორციელდება ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედების მეშვეობით და ეფუძნება არსებობის უნივერსალურ პრინციპს (Панов В.И.2004; Панов В.И. 2007).

ეს გულისხმობს, რომ საკითხი ეხება ისეთ პრინციპებს, რომლებსაც უნდა გააჩნდეთ ტრანსცენდენტული ხასიათი როგორც „ადამიანთან“, აგრეთვე „გარემოსთან“ დამოკიდებულებაში, როგორც სისტემის „ადამიანი-გარემო (ბუნებრივი, სოციალური)“-კომპონენტები. ეკოლოგიური ცნობიერება ამ თვალსაზრისით წარმოადგენს ფსიქიკის სისტემურ ხარისხს, რომელიც ვითარდება ადამიანისა და გარემოს (სოციალური ბუნებრივი) ურთიერთქმედებისას და რომელიც საშუალებას აძლევს ინდივიდს შეიცნოს ბუნებრივი გარემოსა და საკუთარი გარემოს ერთიანობა.

მდგრადი განვითარების კონცეფციის კონტექსტში ეკოლოგიური ცნობიერების პრობლემასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ეკოლოგიური კულტურის ცნება.

როგორც ეკოლოგიური ცნობიერებას, ასევე, ეკოლოგიურ კულტურასაც გააჩნია საკუთარი ცოდნა და წარმოდგენები. ეკოლოგიას და მასთან დაკავშირებულ მეცნიერებებს სოციოლოგია, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა და სხვა, გააჩნიათ საკუთარი „თამაშის წესები“. ამასთანავე, მდგრადი განვითარების კონცეფცია არის კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფორმა, როგორც საერთო გლობალიზაციის პროცესის ერთ-ერთი გამოვლენა. ისმის კითხვა - რა ადგილს იკავებს ეკოლოგიური ცნობიერების და ეკოლოგიური კულტურის გლობალიზაციის ფენომენი ამ პროცესში?

აღნიშნული საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკოლოგიურ განათლებასთან, რომელიც ტრადიციულად არის ეკოლოგიური ცნობიერების და ეკოლოგიური კულტურის ფორმირების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, როგორც სკოლამდელი, ასევე საშუალო და უმაღლეს განათლების დონეზე.

შესაბამისად, გაეროს მდგრადი განვითარების კონცეფციის მიღების შემდგომ, მიღებული იქნა კონცეფცია მდგრადი განვითარების განათლების შესახებ, როგორც ეკოლოგიური განათლების განვითარების ახალი ეტაპი. პედაგოგიური თვალსაზრისით აღნიშნული კონცეფციის ძირითადი არსი მდგომარეობს განათლების ყველა ეტაპის

ეკოლოგიზაციაში, რომელიც შეუწყობდა ხელს ყველა ასაკის ადამიანში ეკოლოგიური კულტურის ფორმირებას. მაგრამ ისმის კითხვა: შეესაბამება თუ არა სწავლების თანამედროვე ტრადიციული ტექნოლოგიები განათლების მდგრადი განვითარების კონცეფციის მიზანს?

ფაქტია, რომ აღნიშნული ტექნოლოგიები, თავისი შინაარსით და მეთოდებით შეიცავენ ეკოლოგიურ ცოდნას, უნარ-ჩვევებს შემდეგი დისციპლინების, ეკოლოგია, გეოგრაფია, ბიოლოგია სახით. შედეგად ყალიბდება ეკოლოგიურად ორიენტირებული შემეცნებითი სფეროს მონაწილე, რომელიც, როგორც წესი, გამიჯნულია მისი საკუთარი, სულიერი და მორალური ფასეულობებით და, შესაბამისად, მოქმედებს სუბიექტურად.

მეორე მხრივ, ტრადიციულად გამოყენებული სწავლების ტექნოლოგიები წარმოშობენ საკუთარი დიდაქტიკური მეთოდების საფუძველზე ურთიერთზემოქმედების სუბიექტ-ობიექტის ისეთ ტიპს, რომელიც დამახასიათებელია ბუნებრივ-სამეცნიერო პარადიგმისათვის, სადაც სუბიექტის როლს, ასრულებს ადამიანი, რომელიც განაგებს ბუნებისა და პლანეტის ბედს, ეს შეესაბამება ეკოლოგიური ცნობიერების ანთროპოცენტრულ ტიპს (Панов В.И. 2004;).

ჩნდება კიდევ ახალი პრობლემა, თუ როგორი უნდა იყოს სწავლების ტექნოლოგიები, რომელიც ჩამოაყალიბებს განათლებულ კულტურულ პიროვნებას და მოგვცემს მდგრადი განვითარების კონცეფციის რეალიზაციის საშუალებას?

დღეისათვის ცხადია, რომ მდგრადი განვითარების კონტექსტში ბუნებრივი ეკოსისტემებისა და კაცობრიობის ეკოლოგიური განათლების სფეროში უნდა განხორციელდეს სოციალური სტატუსის შეცვლა. დამოუკიდებელი პედაგოგიური დისციპლინიდან უნდა გარდაიქმნას, სოციალურ გარემოში მდგრადი განვითარების კონცეფციის პრაქტიკული რეალიზაციის საშუალებად.

გარდა ამისა, განათლება მთლიანად უნდა ემსახურებოდეს მდგრადი განვითარების კონცეფციის პრაქტიკული რეალიზაციის უნარის მქონე კადრების მომზადებას ეკოლოგიური იმპერატივის შესაბამისად. ეკოლოგიური იმპერატივის ცნების ქვეშ იგულისხმება ისეთი ურთიერთზემოქმედება ბუნებასთან, რომლის თანახმადაც „სწორია და ნებადართულია მხოლოდ ის, რაც არ დაარღვევს ეკოლოგიურ წონასწორობას ბუნებაში“ (Журавлев А.Л., Гусева А.Ю 2009).

უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს შენარჩუნების, დედამიწაზე სიცოცხლის და თავად ადამიანის გადარჩენის პრობლემის გადაჭრა შეუძლებელი იქნება მანამ, სანამ კაცობრიობა არ გააცნობიერებს, რომ ის ერთდროულად არის, როგორც ბუნების განვითარების პროდუქტი ასევე, ზოგადბუნებრივი პროცესების განვითარების საშუალება სისტემაში „ადამიანი - დედამიწა“.

ადამიანი განხილული უნდა იქნას სუბიექტის როლში, რომელიც თვითრეალიზაციის პროცესში ახდენს საკუთარი სასიცოცხლო ფუნქციების რეალიზებას, ბუნების თვითგანვითარების და მთლიანად დედამიწის საყოველთაო პრინციპების შესაბამისად.

ეკოლოგიური იმპერატივის ცნება, როგორც მდგრადი განვითარების კონცეფციის კრიტერიუმი განათლების სისტემის მოსაწყობად, საჭიროებს „ბუნების“ ცნების დაზუსტებას. ფილოსოფიურ-ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით „ბუნების“ ცნებას აქვს სამი მნიშვნელობა: 1) ყველაფერი, 2) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლის ობიექტი, 3) საარსებო გარემო პირობები. ეკოლოგიური ცნობიერებისადმი და ეკოლოგიური პასუხისმგებლობისადმი მეთოდურად განსხვავებული მიდგომები, განპირობებულია „ბუნების“ ცნების სხვადასხვა მნიშვნელობით.

საბუნებისმეტყველო-მეცნიერული მიდგომა ეფუძნება შემდეგ იდეას, "ბუნება - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლის ობიექტი", სადაც "ადამიანი" და "დედამიწა" განიხილება, როგორც ერთმანეთისაგან იზოლირებული კვლევის ობიექტები, რომელთაგან თითოეულს გააჩნია საკუთარი ბუნება და, შესაბამისად, განვითარების კანონზომიერებებიც.

აღნიშნული იზოლაცია განისაზღვრება აზროვნების დისკრეტული ანალიტიკური ხასიათით. „სუბიექტი წარმოადგენს მასალას პრაქტიკული საქმიანობისა და შემეცნებისათვის (ინდივიდი და სოციალური ჯგუფი), აქტივობის წყაროს, რომელიც მიმართულია ობიექტისაკენ“. სუბიექტის ცნებაში შერწყმულია ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური ასპექტები, რომელიც მიმართულია ობიექტისაკენ-ბუნებისაკენ (Хашченко Н.Н. 2006).

სამეცნიერო დისციპლინებს, რომელთა შესწავლის ობიექტს და საგანს ბუნება წარმოადგენს მიეკუთვნება: ფიზიკა, ქიმია, გეოლოგია, გეოგრაფია, ასტრონომია, ბიოლოგია, ეკოლოგია, ეკონომიკა, სოციოლოგია და სხვა. აზროვნების ასეთი ფორმის თანახმად „ადამიანი“ და „დედამიწა“ იზოლირებულია ერთმანეთისაგან და წარმოადგენენ ურთიერთდაპირისპირებულ სხვადასხვა მოვლენებს, რომელთაგანაც თითოეულ გააჩნია საკუთარი ბუნება და განვითარების კანონზომიერებები. ამიტომ, მდგრადი განვითარების აუცილებლობა მოითხოვს დისციპლინათაშორის ცოდნას „დედამიწის“ განვითარების კანონზომიერებათა შესახებ, როგორც ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ერთობლიობის (Медведев В.И. 2007).

მდგრადი განვითარების კონცეფციის განხორციელებისათვის, კაცობრიობამ უნდა იცოდეს სად, როგორ, როდის და რა მოცულობით შეიძლება დაარღვიოს აღნიშნული კანონზომიერებები, ისე, რომ არ დააზარალოს საკუთარი თავი აწმყო დროსა და მომავალში. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა შეზღუდვებსა და კანონზომიერებებს დააწესებს კაცობრიობის ტექნოლოგიური განვითარების ზრდა დედამიწაზე, იმისათვის, რომ პრაგმატულმა დამოკიდებულებამ ბუნებრივი გარემოსადმი და ადამიანის საკუთარი ბუნებისადმი არ გამოიწვიოს კაცობრიობის თვითგანადგურება, როგორც ბუნებრივი მოვლენა პლანეტა -დედამიწაზე.

ეკოლოგიური ცნობიერების ტიპოლოგიის მიხედვით, რომელიც შემუშავებული იქნა ს.დ.დერიაბოსა და ვ.ა.იასვინის მიერ, მდგრადი განვითარების კონცეფციის განხორციელების წამყვანი როლი ეკუთვნის ეკოლოგიური ცნობიერების ანთროპოცენტრულ ტიპს (Дерябо С.Д., Ясвин В.А 1996).

როგორც აღვნიშნეთ, ძირითად პოზიციას, ეკოლოგიური ცნობიერების ტიპის განსაზღვრისას წარმოადგენს ადამიანისა და ბუნების ურთიერთდაპირისპირებულობა და ადამიანის პრაგმატული დამოკიდებულება ბუნებისადმი, როგორც საკუთარი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ობიექტისადმი. ეკოლოგიური მიდგომა ეფუძნება იდეას, "ბუნება, როგორც საარსებო გარემოს საშუალება", სწორედ ამიტომ მდგრადი განვითარების პრობლემების გადაჭრისას წამყვან პოზიციას იკავებს ეკოლოგია და ეკოლოგიური წარმოდგენები.

აღნიშნული წარმოდგენების თანახმად „დედამიწა“ განიხილება როგორც ეკოსისტემა, რომელიც ადამიანისათვის არის საარსებო გარემო. ასეთი მიდგომის მიხედვით „კაცობრიობა“ და „დედამიწა“ არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, რამდენადაც „კაცობრიობა“, როგორც დედამიწის ქვესისტემა გამოდის მისი შემადგენელი ნაწილი და სწორედ ამიტომ, ის თავისი განვითარებით უნდა ემორჩილებოდეს „დედამიწის“, როგორც ეკოსისტემის კანონზომიერებებს, რომელიც უზრუნველყოფს მის მდგრად განვითარებას.

ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ კაცობრიობის ტექნოკრატიულმა განვითარებამ მიგვიყვანოს წონასწორობის შეუქცევად დარღვევამდე ანუ, გამოიწვიოს შეუქცევადი გლობალური ეკოლოგიური კატასტროფა.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ასეთი მიდგომის დროს, მდგრადი განვითარების კონცეფციის განხორციელების წინაპირობას შეესაბამება ეკოლოგიური ცნობიერების ეკოცენტრული ტიპის ფორმირება. ფაქტია, რომ ჩვენ ვსაუბრობთ „კაცობრიობის“ და „დედამიწის“ განვითარების კოევივოლუციაზე, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ბუნებრივი ყოფის სხვადასხვა ფორმებს და რომელსაც გააჩნია თავისი საკუთარი ბუნება და განვითარება.

აქედან გამომდინარე, კოევოლუციის შინაარსს, წარმოადგენს „კაცობრიობის“, როგორც ბუნებრივი ყოფის ერთ-ერთი ფორმის განვითარების კანონზომიერებების შეთანხმება „დედამიწის“ ბუნებრივი ყოფის სხვა ფორმასთან.

აღნიშნულ შემთხვევაში ეკოლოგიური მიდგომის პოსტულატს წარმოადგენს „დედამიწის“, როგორც გლობალური ეკოსისტემის პრიორიტეტულობა, რომელიც ცდილობს გადაწყვიტოს „კაცობრიობის“ გადარჩენის პრობლემა გლობალური ეკოლოგიური კრიზისის პირობებში.

ტრანსცენდენტული მიდგომა ეფუძნება იდეას - „მინდა იარსებოს ბუნებამ“, ანუ განაპირობებს ბუნებრივი ყოფის ნებისმიერ ფორმას, მაგრამ თითოეული მათგანი არ ხასიათდება განვითარების საკუთარი კანონზომიერებებით. ფორმათაწარმოქმნის პრინციპის თანახმად ბუნებრივი არსებობის ნებისმიერმა ფორმამ უნდა გაიაროს განვითარების, ფუნქციონირების, თვითშენარჩუნების და თვითგანადგურების სტადიები.

მდგრადი განვითარების კონცეფციის თანახმად „კაცობრიობა“ და „დედამიწა“ ერთი მთლიანის განსხვავებული შემადგენელი ნაწილებია. ამასთანავე, თითოეულ მათგანს აქვს თავისი განვითარების საკუთარი ბუნება და წარმოადგენენ ბუნებრივი ყოფიერების სუბიექტებს (Панов В.И. 2004; 2007)

ონტოლოგიურ მიდგომას უკავია შუალედური ადგილი ეკოლოგიურ და ტრანსცენდენტული მიდგომას შორის, ამასთანავე „კაცობრიობა“ და „დედამიწა“ განიხილება როგორც ბუნებრივი ყოფიერების ფორმები, მაგრამ არა ზოგადპლანეტარული ეკოსისტემის კომპონენტების სახით, არამედ სისტემის „კაცობრიობა-დედამიწა“ კომპონენტების სახით, როგორც ერთიანი ბუნებრივი ფორმა, რომელიც თვითგანვითარების პროცესში გარდაიქმნება დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნების ონტოლოგიურ სუბიექტად. ამ თვალსაზრისით, ადამიანმა უნდა გააცნობიეროს და იმოქმედოს, ისე როგორც კონკრეტული სიტუაციის განვითარებულმა ცოცხალმა სუბიექტმა, როდესაც უნდა გააკეთოს არჩევანი: მიიღოს ეკოლოგიური თუ არაეკოლოგიური გადაწყვეტილება, კონკრეტულ სიტუაციაში იმოქმედოს ეკოლოგიურად თუ არაეკოლოგიურად. მსგავსი მოსაზრებების ფონზე იცვლება ადამიანის შეხედულებები ეკოლოგიურ პასუხისმგებლობასა და მის ქცევაზე გარემოსთან დამოკიდებულებაში.

როგორც ცნობილია, ტრადიციული გაგებით, პასუხისმგებლობაში იგულისხმება ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების აუცილებლობა, მომავალი თაობებისათვის საარსებო გარემოს და კაცობრიობის როგორც სახეობის შენარჩუნებისათვის, ეკოლოგიური ცნობიერების ანთროპოცენტრული ტიპის შემთხვევაში.

თუ ჩვენ ამ საკითხს განვიხილავთ ტრანსცენდენტული საფუძვლების პოზიციიდან, მაშინ ადამიანის ეკოლოგიური პასუხისმგებლობა ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებისათვის განისაზღვრება მისი, როგორც სუბიექტის, ონტოლოგიური როლით სისტემაში „კაცობრიობა-დედამიწა“.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ადამიანის ეკოლოგიური პასუხისმგებლობის არსი განისაზღვრება მისი, როგორც სხვადასხვა ფორმის სუბიექტის განვითარებაში. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი შეიძლება ჩაითვალოს სისტემის „ორგანული ტიპის“ შემადგენელ ნაწილად.

სუბიექტის ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას მიეკუთვნება:

- გნოსეოლოგიური სუბიექტის განვითარება გარემოსთან ურთიერთობაში - ექვემდებარება ანთროპოცენტრულ ცნობიერების დონეს;
- გნოსეოლოგიური სუბიექტის განვითარება კაცობრიობის „ეკოლოგიური“ ევოლუციის პროცესში - ადამიანის მიერ ონტოლოგიური როლის გაცნობიერებას ბიოსფერულიდან ნოსფეროს დონემდე;
- „კაცობრიობა - დედამიწა“ - საკუთარი თავის, სუბიექტის გაცნობიერების ევოცენტრული დონე - გულისხმობს პასუხისმგებლობას ბუნებრივი და სოციალური გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე;
- ონტოლოგიური ნოსფერული სუბიექტი პლანეტა-დედამიწაზე, (კოევოლუცია) ანუ ონტოლოგიური მეტა-სუბიექტი „კაცობრიობა-დედამიწა“ - ექვემდებარება

ადამიანის ქცევის ეკოცენტრულ ტიპს ინდივიდუალურიდან ზოგადპლანეტარული მასშტაბით, რომელიც პასუხისმგებელია პლანეტის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

- ადამიანის მიერ ბუნების, როგორც ერთიანის გაცნობიერება და საკუთარი ქცევებზე პასუხისმგებლობის მქონე ეკოლოგიური სუბიექტი. -ექვემდებარება ცნობიერების ბუნებაცენტრულ დონეს.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ პოზიციაში მოცემულია ადამიანის როგორც ფაქტობრივი არსების და მოვლენის შეზღუდვების დამლევა, ანუ გასვლა ადამიანის ცნობიერების საზღვრებს გარეთ, როგორც ფაქტობრივი მოცემულობისა. მეორე მხრივ, შესაძლებელია განვიხილოთ ადამიანის ეკოლოგიური განვითარება, როგორც სისტემის „კაცობრიობა-დედამიწა“ - პროდუქტი, მესამე - ადამიანის ონტოლოგიური გაგება, როგორც ბუნებრივი ფორმა-სუბიექტი სისტემის „კაცობრიობა-დედამიწა“.

აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მდგრადი განვითარების განხორციელები-სათვის გზების ძიება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გაითავისებს ადამიანი ბუნებასთან ურთიერთქმედებას შემდეგი პრინციპით: „ჩვენ ერთი სისხლის ვართ“, რადგან ამჟამად ბუნებაში მიმდინარეობს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა ისეთი მასშტაბებით, რომელიც საფრთხის ქვეშ აყენებს დედამიწის ეკოლოგიურ მდგომარეობას და ადამიანურ ცივილიზაციას. ამიტომ, აუცილებელია გაძლიერდეს საზოგადოების განათლების სისტემის და პოლიტიკური ორგანოების პასუხისმგებლობა გარემოს დაცვასა და მის შენარჩუნებაზე.

ლიტერატურა:

1. Вернадский В.И. Научная мысль как планетное явление. М., 1991.
2. Глазачев С.Н., Перфилова О.Е. Экологическая компетентность. Становление, проблемы, перспективы: Учеб. пособие. М., 2008.
3. Дерябо С.Д., Ясвин В.А. Экологическая педагогика и психология. Ростов-н/Д., 1996.
4. Дерябо С.Д. Экологическая психология: диагностика экологического сознания. М., 1999.
5. Журавлев А.Л., Гусева А.Ю. Влияние опыта проживания в экологически неблагоприятной среде на особенности экологического сознания // Материалы 2-ой Российской конференции по экологической психологии (Москва, 12–14 апреля 2000 г.). М.; Самара, 2009. С. 50–59.
6. Медведев В.И., Алдашева А.А. Экологическое сознание: Учеб. пособие. М., 2001.
7. Панов В.И. Экологическая психология: опыт построения методологии. М., 2004.
8. Панов В.И. Возможна ли психическая природа ноосферы? // Вестник Международной Академии Наук (Русская секция). 2007. № 2. С. 39–44.
9. Панов В.И. Концепция устойчивого развития в контексте экологической психологии // Актуальні проблеми психології. Збірник наукових праць Інституту психології ім. Г.С.Костюка АПН України / За ред. Максименка С.Д. Т. 7. Екологічна психологія. Вип.15. Київ, 2008.
10. Спиркин А.Г. Сознание и самосознание. М., 1972.
11. Хашченко Н.Н. Типология актуального экологического сознания личности // 4-я Российская конференция по экологической психологии: Материалы конференции / Под общ. ред. В.И. Панова, А.В. Ивашченко. М., 2006. С. 43–54.

Nino Lomtadze

Shota Rustaveli State University, Batumi

Ecological Thinking, Consciousness and Responsibility as the Basics of the Sustainable Development Abstract

The given article corroborates the importance of discussing the following concepts in the context of the sustainable development: ecological thinking, ecological consciousness, ecological culture and environmental education. Transcendent paradigm of the ecological responsibility is formulated. The

difference between the given paradigms is that the perception, including the ecological one, is presented through the research object as the supreme form of the mental development, i.e. the product of the human psychic development resulted from the interaction with the various factors of the social and natural environment.

საკვანძო სიტყვა. მდგრადი განვითარება, ეკოლოგიური აზროვნება, ეკოლოგიური ცნობიერება, ეკოლოგიური კულტურა, გარემოსდაცვითი განათლება, ტრანსცენდენტული პარადიგმა.

Key words: sustainable development, ecological thinking, ecological consciousness, ecological culture, environmental education, transcendent paradigm.

Roza Lortkipanidze

Akaki Tsereteli State University, Kutaisi

Soil Classification Imereti Region

- 9) ICF International, (2014) *Baseline Study of Title II Development Food Assistance Programs in Uganda*. ICF International, Inc. USAID Office of Food for Peace. Available at: <https://www.usaid.gov/data/dataset/3c32504d-ffba-46c9-8c7b-30449def4143>.
- 10) Mercy Corps. (2016) *Karamoja Strategic Resilience Assessment Final Report*. Growth Health and Governance Program, Mercy Corps. Available at: <https://www.mercycorps.org/research-resources/building-empowered-karamoja-stress-summary-and-capacities>
- 11) Perry et al. (2015) *Care Groups I: An Innovative Community-Based Strategy for Improving Maternal, Neonatal, and Child Health in Resource-Constrained Settings*. Global Health: Science and Practice September 10, 2015 vol. 3 no. 3 p. 358-369 doi: 10.9745/GHSP-D-15-00051
- 12) Rossanigo, P. (2017) “Alcohol in Karamoja” Presentation at Karamoja Development Partners Group. Moroto Diocese Health Department. Kampala Uganda,
- 13) Uganda Bureau of Statistics (UBOS) and ICF. 2017. *Uganda Demographic and Health Survey 2016: Key Indicators Report*. Kampala, Uganda: UBOS, and Rockville, Maryland, USA: UBOS and ICF.
- 14) Wasilkowska, K. (2017) *Gender and Behavior Change Impact Assessment*. Report. Growth Health and Governance Program, USAID.

მარგარეტ მაკლოულინი
Growth Health and Governance Program, Mercy Corps, Kotido, Uganda

**რეგიონული რღვევა როგორც გზა უფრო მრავლისმომცველი საზოგადოებისკენ
(კარამოჯას, უგანდა) მაგალითზე)**

რეზიუმე

კონფლიქტი დამანგრეველად მოქმედებს, რომელსაც ხშირად ძალადობრივი შედეგებიც მოჰყვება - ტრამვა თუ იძულებითი მიგრაცია. ამ ყველაფერს კი თან სდევს სიკვდილიანობა და ავადმყოფობა. აღნიშნულ შრომაში ყურადღება გამახვილებულია ჩრდილოეთ კარამოჯას (უგანდა) მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: კარამოჯა, უგანდა, რეგიონალური, საზოგადოება

Key words: Karamoja, Uganda, regional, community

მიკროელემენტების გავლენა იოდდეფიციტური დაავადების ფორმირებაზე

იოდი პერიოდული სისტემის მეხუთე პერიოდის მე-17 ჯგუფის (მოკლპერიოდული სისტემით VII ჯგუფის A ქვეჯგუფის) ქიმიური ელემენტია. ატომური ნომერია 53. აღინიშნება სიმბოლოთი I (ლათ. Iodum). ქიმიურად აქტიური არალითონი, მიეკუთვნება ჰალოგენების ჯგუფს.

იოდის ნაერთები თითქმის ყველგან მოიპოვება ნატრიუმის, კალიუმის და კალციუმის იოდიდების სახით. ეს მარილები დედამიწის ქერქის გარდა მდინარეების, ტბებისა და ზღვების წყალშია. ზღვის წყალში მის მარილთა კონცენტრაცია უმნიშვნელოა, მაგრამ ის ზოგიერთი წყალმცენარის სხეულში (მაგ: ლამინარიის) გროვდება, რომელთა ნაცრიდანაც ხდება მისი მოპოვება.

იოდი იმ მიკროელემენტთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა გარეშე ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირება წარმოდგენილია. ორგანიზმში იოდი ჰაერის, წყლისა და საკვების საშუალებით ხვდება. მას უმთავრესად მცენარეული სურსათი შეიცავს. იოდის დიდი ნაწილი წვრილი ნაწლავების დასაწყისში შეიწოვება. ორგანიზმში მოხვედრილი იოდის 60-80% ფარისებრ ჯირკვალშია ლოკალიზებული. ჯირკვლის უჯრედებს ერთი მეტად საინტერესო თვისება აქვთ - მიკროელემენტის კონცენტრაცია უჯრედის შიგნით 300-ჯერ მეტია, ვიდრე სისხლის პლაზმაში. ფარისებრ ჯირკვალში არსებული იოდის თითქმის მთელი რაოდენობა (99%) მის ჰორმონთა შემადგენლობაში შედის, მხოლოდ 1%-ია წარმოდგენილი არაორგანული იოდის სახით. იოდის დღეღამური მოთხოვნილება სხეულის მასის 1 კგ-ზე საშუალოდ 3 მკგ-ს შეადგენს, თუმცა ეს მაჩვენებელი მეტად პირობითია, ვინაიდან მოთხოვნა იზრდება ორსულობის, ორგანიზმის ინტენსიური ზრდისა და გადაცივებისას.

იოდის დანაკლისი ჰაერსა და წყალში მაშინვე მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. იოდი მონაწილეობს ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების (თიროქსინის T₄ და ტრიოდოთირონინის T₃) სინთეზში. ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები თავის მხრივ უმნიშვნელოვანესია ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ახდენენ რა გავლენას სხვადასხვა ბიოქიმიურ და ფიზიოლოგიურ პროცესზე, მათ შორის აუცილებელ ცილების სინთეზზე. ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები ხელს უწყობენ ორგანიზმის შეუფერხებელ ფიზიკურ ზრდასა და გონებრივ განვითარებას. იოდი ზრდის კალციუმისა და ფოსფორის ათვისებას ორგანიზმში. ორგანიზმს მთელი სიცოცხლის მანძილზე სჭირდება სულ ერთი ჩაის კოვზის მოცულობის იოდი, მაგრამ ვინაიდან ორგანიზმში არ ხდება იოდის დაგროვება, აუცილებელია მისი რეგულარულად, მცირე ოდენობით მიღება. სხვადასხვა კვლევის საფუძველზე, ასაკობრივი და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების გათვალისწინებით, დადგენილია იოდის დღიური ნორმები: - 7 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის - 90 მიკროგრამი (მკგ) იოდი/დღეში - 7-დან 12-წლამდე ასაკის ბავშვებისათვის - 120 მკგ/დღეში, ხოლო 12 წლის ზევით - 150 მკგ/დღეში, ორსული და მეძუძური ქალებისათვის - 200 მკგ/დღეში.

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ იოდი არ არის ერთადერთი ფაქტორი იოდდეფიციტური დაავადების ეტიოლოგიაში. არსებობენ ნაერთები და მიკროელემენტები რომელთა როლიც ასევე მნიშვნელოვანია ჩიყვის ანუ სტრუმის განვითარებაში, სწორედ ამიტომ ეწოდათ «სტრუმოგენები» ანუ «ზოზომოგენები». ისინი აძლიერებენ იოდის მიწოდების დეფიციტს ორგანიზმსა და ფარისებრ ჯირკვალში. აძნელებენ თირეოიდული ჰორმონების

სინთეზს. აძლიერების პროდუქტები, ჭარხალი, ფეიხა და წითელი წიწაკა, ბალახებიდან - შავბალახა და ქრისტესისხლა.

დღეს მთელი საქართველო იოდდეფიციტის ენდემურ კერას წარმოადგენს. სიტყვა "ენდემია" კონკრეტული გეოგრაფიული რეგიონის მოსახლეობისთვის დამახასიათებელს ნიშნავს. წინათ მიაჩნდათ, რომ ენდემური ჩიყვი (დღეს ეს სახელწოდება ტერმინ "იოდდეფიციტური დაავადებით" შეიცვალა) მხოლოდ მთაგორიანი და მდინარისპირა ადგილებისთვის იყო დამახასიათებელი. სამწუხაროდ, ბოლო ხანს გაირკვა, რომ ენდემური ჩიყვის გავრცელების არეალი საქართველოშიც და მთელ მსოფლიოშიც ბევრად უფრო ფართოა. იოდის დეფიციტის მხრივ ჩვენს ქვეყანაში მდგომარეობა ჯერ კიდევ საგანგაშოა.

იოდის დეფიციტის როლი იოდდეფიციტური დაავადების ეტიოლოგიაში მრავალგზისაა დამტკიცებული, თუმცა არსებობს სხვა მრავალი ფაქტორი, რომელიც აგრეთვე, გარკვეულ როლს თამაშობს ამ დაავადების ფორმირებაში, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ მიუხედავად დიდი ხნის მანძილზე მიმდინარე იოდპროფილაქტიკისა, ჩიყვის კერების სრული ლიკვიდაცია მსოფლიოში ვერ მოხერხდა. გარდა ამისა, ამ დაავადების გავრცელების სიხშირე ყველა რეგიონში არ არის გარემოში იოდის შემცველობის უკუპროპორციული. ამიტომ იოდდეფიციტური დაავადების სრული ლიკვიდაციისათვის აუცილებელია გამოვლინდეს და შესწავლილ იქნეს ყველა ის მიზეზი და ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს ამ პათოლოგიის განვითარებასა და გავრცელებას. მიუხედავად ამ მხრივ მსოფლიოში ჩატარებული მრავალი კვლევისა, ყველა ფაქტორის როლი ბოლომდე გარკვეული არ არის და დამატებით შესწავლას საჭიროებს. ერთ-ერთი ასეთი სადავო საკითხია გარემოს ობიექტებში მანგანუმის, სპილენძისა და ლითიუმის დისბალანსის როლი იოდდეფიციტური დაავადების ფორმირებაში. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ამ საკითხის უფრო ღრმა შესწავლა.

სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა კახეთში იოდდეფიციტური დაავადების ეპიდემიოლოგიური თავისებურებების შესწავლა, თელავის და ახმეტის რაიონებში. ავადობის ფორმირებაზე ნიადაგსა და წყალში მანგანუმის, სპილენძისა რებენ ორგანიზმის მოთხოვნილებას თირეოიდულ ჰორმონებზე.

ზოზოგენებს მიეკუთვნება მიკროელემენტები, ორგანული ნაერთები, ასევე სხვა მრავალი სოციალური და ეკოლოგიური ფაქტორი, თუმცა უმნიშვნელოვანესი როლი მაინც მიკროელემენტებს ეკუთვნის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იოდდეფიციტური დაავადების ჩამოყალიბებაში სიცოცხლისათვის აუცილებელი მიკროელემენტები – მანგანუმი, სპილენძი, ასევე, ლითიუმი

ლითიუმის Li^{+} იონს აქვს შედარებით მცირე დიამეტრი, ვიდრე Na^{+} ან K^{+} იონებს. ამიტომ იგი ადვილად იჭრება ციტოპლაზმაში. ლითიუმის კატიონი ციტოპლაზმის თხევადი ნაწილის მსგავს წყლიან გარემოში იკავშირებს წყლიდან ჟანგბადის ატომებს, იგი ხდება უფრო დიდი ზომის იონი, ვიდრე ვიდრე Na^{+} და K^{+} იონები.

ლითიუმი ზრდის ტვინში ტრიპტოფანის, 5-HT-ის (სერატონინი) და 5-HIAA-ის (სერატონინის მეტაბოლიტები) დონეს. სერატონინი დაკავშირებულია განწყობის სტაბილურობასთან. Li^{+} აგრეთვე იწვევს ტვინში კატეხოლინის აქტივობას. ლითიუმის თერაპიული დოზა (0.6-დან 1.2 მმოლი/ლ) სულ ცოტათი ნაკლებია ტოქსიკურ დოზაზე (> 1.5 მმოლი/ლ).

ლითიუმი მოქმედებს კუნების კანკალზე, ატაქსიაზე (კუნთების არაშეთანხმებულ მოქმედებაზე) და ჰიპერთირეოიდიზმზე (ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება).

ადამიანისა და ცხოველის სიცოცხლისათვის **სპილენძი** აუცილებელი და მუდმივი ელემენტია. მას ადამიანის ორგანოებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ლულოვანი ძვლები და ღვიძლი შეიცავს. 100 მლ სისხლში 0.1 მგ სპილენძია (ერიტროციტებში გაცილებით მეტია, ვიდრე ლიმფაში). აქ მისი კონცენტრაცია ცვალებადობს დღე-ღამისა და წელიწადის დროის მიხედვით. ახალდაბადებულის სისხლში ამ ელემენტის შემცველობა გაცილებით დაბალია, ვიდრე დედის სისხლში, ხოლო მოზრდილი ადამიანის ორგანიზმში ღრმა მოხუცებულობამდე თითქმის არ იცვლება. სპილენძი შედის დამუანგავი ფერმენტების

(ტიროზინაზა, ლაქტაზა, ასკორბინოქსიდაზა) შედგენილობაში და აჩქარებს ატმოსფერული ჟანგბადით შესაბამისი სუბსტრატის ჟანგვას, თუმცა სპილენძის, როგორც დამჟანგავის, ბიოლოგიური აქტივობა ყველაზე მეტად ცილოვან ნაერთებში მჟღავნდება. ეს ლითონი ზოგიერთი ფერმენტის მიმართ (ნერწყვის ამილაზას, კატალიზას და სხვ.) ინჰიბიტორის როლშიც გამოდის.

შესწავლილია სპილენძისა და ჰორმონების ურთიერთდამოკიდებულებაც. იგი თავისებურად მოქმედებს ჰორმონთა ფუნქციონირებაზე, ზოგიერთი მათგანის მოქმედებას აძლიერებს, ზოგისას კი აფერხებს; მაგალითად, აძლიერებს ინსულინის მოქმედებას, აფერხებს ადრენალინისას. ცნობილია აგრეთვე სპილენძის კავშირი სასქესო, ჰიპოფიზურ და ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებთან. გარდა ფერმენტებთან, ვიტამინებთან და ჰორმონებთან ურთიერთდამოკიდებულებისა, სპილენძი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქსოვილთა სუნთქვაზე, ორგანიზმის ზრდა-განვითარებაზე, სისხლწარმოქმნისა და ძვალწარმოქმნის სხვადასხვა სახეზე, კალციუმისა და ფოსფორის ნორმალურად შეთვისებაზე და რაც მთავარია, ნივთიერებათა ცვლის მიმდინარეობაზე.

მანგანუმი ადამიანისა და ცხოველური ორგანიზმების ერთ-ერთი მთავარი ბიოელემენტია. ამ ელემენტს ყველაზე დიდი რაოდენობით ძვლები და ღვიძლი აგროვებს, ხოლო მცირე კონცენტრაციით - ადამიანის თითქმის ყველა ორგანო. ადამიანებში მისი უკმარისობა ძალზე იშვიათად აღინიშნება. ფრინველთა და ცხოველთა საკვებში მისი სიმცირე იწვევს სპეციფიკურ დაავადებებს, სიჭარბე კი ე.წ. მანგანუმის რაქიტს. მანგანუმი და სპილენძი ორგანიზმში ძირითადად რკინასთან ერთად აღინიშნება, რის გამოც რკინის თერაპიისათვის ხელშემწყობი თვისებები აქვს. მანგანუმი მოქმედებს ადამიანისა და ცხოველის სისხლწარმოქმნის, ძვლის ზრდის პროცესებზე, სასქესო ორგანოების ფუნქციაზე, ცილების, ნახშირწყლების, ცხიმების მიმოცვლაზე, იგი მრავალი ფერმენტისა და შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. მანგანუმი აუცილებელი კატალიზატორია B_{12} ვიტამინის ასათვისებლად. ადამიანის დღეღამური მოთხოვნა ამ ელემენტზე 5 მგ-ია. ორგანიზმი მეტ მოთხოვნას უყენებს მანგანუმს სქესობრივი სიმწიფის, ფეხმძიმობისა და ლაქტაციის პერიოდში, ფიზიკურად მშრომელი ადამიანისათვის კი დღე-ღამეში 11 მგ-მდე მანგანუმი საჭირო.

კვლევის მასალები და მეთოდები

იოდდეფიციტური დაავადებით ავადობისას მიკროელემენტების Mn, Cu და Li - ის დისბალანსის ეტიოლოგიური როლის დასადგენად, ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა კახეთის რეგიონის ახმეტის (ქვემო ალვანი) და თელავის (აკურა) რაიონის სოფლები. ისინი შერჩეულ იქნა მათი ნიადაგის ტიპისა და ენდემური ჩიყვის გავრცელების მიხედვით.

ნიადაგისა და წყლის სინჯების აღება ხდებოდა არსებული მეთოდური მითითებების მიხედვით. ნიადაგისა და წყლის სინჯების მომზადება ცდისთვის, ასევე, ხდებოდა შესაბამისი სტანდარტით. მიღებული შედეგების შედარება მოხდა ქვეყანაში მოქმედ ჰიგიენურ ნორმატივებთან, აგრეთვე ჯანმო-ს და ევროსაბჭოს მითითებებთან და რეკომენდაციებთან.

კვლევის შედეგების განხილვა

გამოკვლევებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თელავის და ახმეტის რაიონი, ზოგადად, წარმოადგენს იოდდეფიციტური დაავადების ტერიტორიას. სოფელ აკურაში იოდდეფიციტური დაავადების გავრცელებამ გამოკვლევებში შეადგინა 24.1%, ხოლო ალვანში - 75.9%.

კახეთის რეგიონის ენდოკრინოლოგიური განყოფილებიდან მოვიძიეთ ინფორმაცია სხვადასხვა დასახლებული პუნქტების იოდდეფიციტური დაავადების განვითარების სიხშირისა და იოდის შემცველობის შესახებ ნიადაგსა და წყალში. ეს მონაცემები მოცემულია ცხრილში #1.

ცხრილი #1.

დასახლებული პუნქტი	იოდდეფიციტური დაავადების სიხშირე (%)
თელავი	24,1 %
ყვარელი	44 %
ახმეტა	75,97%
საგარეჯო	31 %
ლაგოდეხი	41 %
გურჯაანი	35 %

თელავის რაიონის სოფლებში არის ცენტრალური წყალმომარაგება. იგი გამოიყენება როგორც სასმელად, ასევე სარწყავადაც. ახმეტის რაიონის ერთი ნაწილი მარაგდება ცენტრალური წყალმომარაგებით, დანარჩენი ნაწილი კი წყაროს წყლებით.

იოდის დასაშვები ნორმა სასმელ წყალში 0.08 მგ/ლ - 0.12 მგ/ლ-ია, თუმცა სხვადასხვა გეოქიმიურ რეგიონში იგი ფართო დიაპაზონში მერყეობს.

თელავისა და ახმეტის რაიონების გამოკვლეული ტერიტორიების წყალში იოდის შემცველობა მერყეობს 0.019 მგ/ლ - 0.049მგ/ლ-ის და 0.038 მგ/ლ - 0.064 მგ/ლ-ის ფარგლებში. შედეგებმა გამოავლინა უარყოფითი კორელაციური კავშირი იოდდეფიციტური დაავადების გავრცელებასა და წყალში იოდის შემცველობას შორის, რითაც ერთხელ კიდევ დამტკიცდა საყოველთაოდ აღიარებული და არაერთგზის დამტკიცებული ფაქტი, იოდდეფიციტური დაავადების ჩამოყალიბებაში იოდის დეფიციტის უცილობელი როლის შესახებ.

ასევე განსხვავებულია ჩვენს მიერ შესწავლილი რაიონების ნიადაგში მიკროელემენტთა შემცველობა. ჩვენს მიერ გამოკვლეული ორივე ტერიტორიის გარემოს ობიექტებში იოდის შემცველობა მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ გამოკვლეული თელავისა და ახმეტის რაიონის გარემოს ობიექტებში იოდის შემცველობა ერთმანეთისაგან უმნიშვნელოდ განსხვავდება, იოდდეფიციტური დაავადების გავრცელება განსხვავებულია: ახმეტის რაიონში (ქვემო ალვანში) 3.1-ჯერ აღემატება ამ დაავადების გავრცელებას თელავის რაიონში (24.1% და 75,97%). ეს ფაქტი გვამღერს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ იოდდეფიციტური დაავადების ჩამოყალიბებაში სხვა დამატებითი ფაქტორებიც მონაწილეობენ.

არსებობს უარყოფითი კორელაციური კავშირი გარემოს ობიექტებში მანგანუმის შემცველობასა და იოდდეფიციტური დაავადების გავრცელებას შორის. სოფელ ქვემო ალვანის ნიადაგში მანგანუმის შემცველობა 2-ჯერ აღემატება მის შემცველობას სოფელ აკურის ნიადაგში. ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ მანგანუმის შემცველობა ჩვენს მიერ შესწავლილი სოფლების ნიადაგში განსხვავებულია, მაგრამ არ მოქმედებს იოდდეფიციტური დაავადების სიმძიმეზე. გამოკვლეული ტერიტორიების სოფლების ნიადაგში იოდის შემცველობა უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა სოფელ აკურაში, სადაც იოდდეფიციტური დაავადების გავრცელება 3-ჯერ დაბალია ამ დაავადების გავრცელებაზე სოფელ ალვანში, მანგანუმის შემცველობა ნიადაგში 2-ჯერ მაღალია.

ასეთივე დამოკიდებულება არსებობს წყალში მანგანუმის შემცველობასა და იოდდეფიციტური დაავადების სიხშირეს შორის. სოფელ ალვანში, სადაც ამ პათოლოგიის გავრცელება 3-ჯერ მაღალია, მანგანუმის შემცველობა წყალში 1,2-ჯერ ნაკლებია სოფელ აკურის წყალში ამ ელემენტის შემცველობასთან შედარებით.

აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც ნიადაგში, ისე წყალში მანგანუმის დეფიციტი იოდდეფიციტური დაავადების გავრცელებაზე მხოლოდ იოდის ნაკლებობის დროს მოქმედებს და აძლიერებს მის სიმძიმეს.

კვლევამ გამოავლინა უკუკავშირი იოდდეფიციტური დაავადების გავრცელებასა და წყალში სპილენძის შემცველობას შორის: ჩვენს მიერ გამოკვლეული სოფლების წყალში აღინიშნა სპილენძის დაბალი კონცენტრაცია. სოფელ აკურაში, სადაც იოდდეფიციტური დაავადების გავრცელება 3-ჯერ ნაკლებია, სპილენძის შემცველობა 2.2-ჯერ მეტია ამ მიკროელემენტის რაოდენობაზე სოფელ ალვანის წყალში. დადგენილია უარყოფითი კორელაციური კავშირი ნიადაგში სპილენძის შემცველობასა და იოდდეფიციტური დაავადების გავრცელებას შორის: თელავის რაიონის ტერიტორიებზე ამ მიკროელემენტის შემცველობა 4.1-ჯერ მაღალია, ვიდრე ახმეტის რაიონის სოფლის ნიადაგში. კვლევისას ვერ გამოავლინდა კავშირი იოდდეფიციტური დაავადების გავრცელებასა და წყალში და ნიადაგში. ჩვენ ვერ ვნახეთ ლითიუმის სტანდარტული შემცველობა „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი“(საქართველოს მთავრობის დადგენილება №58 ;2014 წლის 15 იანვარი). ამიტომ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ლითიუმის სიჭარბემ გარემოს ობიექტებში შესაძლოა იქონიოს გავლენა იოდდეფიციტური დაავადების დამძიმებაზე. მონაცემები მოცემულია ცხრილში #2

ცხრილი #2 I, Mn და Cu შემცველობა წყალსა და ნიადაგში

დასახლებული პუნქტი	I-ის შემცველობა წყალში მგ/ლ ნორმა არაუმეტეს (0.08 - 0.12)	I-ის შემცველობა ნიადაგში მგ/კგ ნორმა არაუმეტეს (არ არის დადგენილი)	Mn-ის შემცველობა წყალში მგ/ლ ნორმა არაუმეტეს (0.4)	Mn-ის შემცველობა ნიადაგში მგ/კგ ნორმა არაუმეტეს (1500)	Cu-ის შემცველობა წყალში მგ/ლ ნორმა არაუმეტეს (2,0)	Cu-ის შემცველობა ნიადაგში მგ/კგ ნორმა არაუმეტეს (16 - 285)
თელავის რ-ნი სოფ. აკურა	0.038 - 0.064	0.88-0.89	0,21- 0,24	510,75	1,41 - 1,44	128,7-128,9
ახმეტის რ-ნი სოფ. ქვემო ალვანი	0.019 - 0.049	0.86-0,87	0,17- 0,12	1021,5	0,64 - 1,65	58,5-58,7

დასკვნა

იოდდეფიციტური დაავადება კვლავ წარმოადგენს საქართველოსათვის ერთ-ერთ პრობლემას, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში ეს დაავადება საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. თელავისა და ახმეტის რაიონების სოფლებში-აკურასა და ქვემო ალვანში იოდდეფიციტური დაავადების მაღალ გავრცელებას იოდის დეფიციტთან ერთად გარემოს ობიექტებში მანგანუმის, სპილენძის და, სავარაუდოდ, ლითიუმის დისბალანსიც განაპირობებს. როგორც ნიადაგში, ისე წყალში მანგანუმისა და სპილენძის დეფიციტი იოდდეფიციტური დაავადების სიმძიმეზე გავლენას ახდენს მხოლოდ გარემოს ობიექტებში იოდის ნაკლებობისას. გარემოს ობიექტებში ლითიუმის სიჭარბემ კი, შესაძლებელია, გავლენა მოახდინოს იოდდეფიციტური დაავადების სიმძიმეზე, კერძოდ, დამძიმოს მისი მიმდინარეობა, თუმცა ეს საკითხი კიდევ უფრო საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსიძე, ნ., (2005). ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები. თბილისი: თსუ.
2. კოშორიძე ნ., (2008) ზოგადი ბიოქიმია. თბილისი: შპს „პოლიგრაფისტი“

3. სეხნიაშვილი, ზ., გორდელაძე, მ., და სვანიძე, მ. (2000). ოდდფიციტური დაავადებები. თბილისი: მეცნიერება.
4. მეთოდური მითითებები მმ. 2.1.7. დასახლებული ადგილების ნიადაგის მდგომარეობის ხარისხის ჰიგიენური შეფასება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. თბილისი. 2001.
- 5 .საქართველოს მთავრობის დადგენილება №58. სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ. თბილისი. 2014 წლის 15 იანვარი
- 6.Авцин, А.П. Жаворонков, А.А., Риш, М.А., Строгова Л.С. (1991). Микроэлементозы человека.
- 7.Александрова Ю.К. Черной Н.Л. (2000). Варианты регионального решения проблем йодного дефицита и эндемического зоба. Учебно-методологическое пособие. Ярославль.
- 8 .http://www.mkurnali.ge/index.php?option=com_content&task=view&id=753&Itemid=2
- 9 .<http://teang.ge/txtth.html>
- 10 .http://www.tbilisebi.ge/?mas_id=2143&rubr_id=8&jurn_id=2

Darejan Margalitisdhvili , Nino Jonjoladze
Iakob GogebaSvili State University, Telavi

Microelectric effects on the formation of iodine deficiency

Abstract

The lack of iodine in the human body causes the iodine deficiency. Some scientists think, that it is not is not the only factor in the etiology of the disease. But there are also many other factors that play a role in forming this disease.

The purpose of the study was to study the peculiarities of iodine deficiency in Kakheti, in Telavi and Akhmeta Regions. Morbidity formation on soil and water, determining the influence of iodine, manganese, copper and lithium content of microelements.

The research has shown a link between the spread of iodine deficiency and the content of iodine, copper and manganese in water and soil: low concentration of iodine, copper and manganese was observed in the water and soil of the villages we surveyed. The research did not reveal the connection between the spread of iodine deficiency and lithium content, because we could not determine the content of lithium in water and soil samples of these villages.

Iodine deficiency is still one of the problems for Georgia. In addition to iodine deficiency misbalance of In addition to iodine deficiency supposedly affects the severity of iodine deficiency just in case of iodine absence in environmental objects.

საკვანძო სიტყვები: იოდი, სპილენძი, მანგანუმი, ლითიუმი, ოდდფიციტური დაავადება.

Key words: Iodine, Copper, manganese, lithium, iodine deficiency disease.

ნათელა მაღლაკელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

**ორთოგრაფიული უნარ-ჩვევების გამომუშავება ქართული ენის
სასკოლო გრამატიკის სწავლებისას**

მართლწერის პრობლემა ქართულში იმდენად მწვავედ არ დგას, როგორც სხვა ენებში. როგორც გ. ახვლედიანი აღნიშნავდა, ქართული იმ იდეალურ ენათა რიცხვს

ეკუთვნის, სადაც წარმოთქმა და წერა უმთავრესად ერთმანეთს ემთხვევა. აქედან გამომდინარე, თითქოს არც უნდა გვიხდებოდეს ქართული მართლწერის სწავლებაზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების ანალიზი მოწმობს, რომ ისინი ვერ ფლობენ სათანადო ორთოგრაფიულ უნარ-ჩვევებს და მრავლად უშვებენ ორთოგრაფიულ შეცდომებს; და რაც უფრო სამწუხაროა, ასეთი შეცდომების რიცხვი თანდათან იზრდება.

რა არის ამ შეცდომათა გამომწვევი მიზეზები? როგორ უნდა გამოვუმუშავოთ მოსწავლეებს სათანადო ორთოგრაფიული ჩვევები? როგორ ხდება ორთოგრაფიის საკითხებზე მუშაობა დღეს სკოლებში?

სადავო არ არის ის ფაქტი, რომ მოსწავლეებში ორთოგრაფიული უნარ-ჩვევების ფორმირებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი მშობლიური ენის კანონების შეგნებულად დაუფლებასა და გააზრებას ეკუთვნის. ამ პროცესში კი განუზომლად დიდია **სასკოლო გრამატიკის** როლი.

როგორი ვითარება გვქონდა ამ თვალსაზრისით სასკოლო რეფორმამდე? ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, სანამ **ე ს გ** ამოქმედდებოდა, ამ კუთხით სკოლაში საკმაოდ არაერთგვაროვანი სურათი იყო: ოთხწლედში ისწავლებოდა გრამატიკის „ელემენტარული კურსი“ საკითხავ ტექსტებთან მჭიდრო კავშირში. იგი გულისხმობდა მოსწავლეთა შეიარაღებას გარკვეული პრაქტიკული სამეტყველო უნარ-ჩვევებით (მართლწარმოთქმა/მართლწერა, პუნქტუაცია, პრაქტიკული სტილისტიკა...) და ნაკლებად ითვალისწინებდა შესასწავლი გრამატიკული კატეგორიის თეორიულ დეფინიციას. მე-5 კლასიდან კი იწყებოდა გრამატიკის „სისტემატური კურსი“ (აქ ენის და ლიტერატურის საათები გამიჯნული იყო). მისი მიზანი გახლდათ მშობლიური ენის სტრუქტურაში გარკვევა სათანადო თეორიული მასალის ბაზაზე, რომელიც გარკვეული სისტემით იყო დალაგებული. რა თქმა უნდა, ენის სისტემური კურსის სწავლება ასევე გულისხმობდა პრაქტიკული სამეტყველო უნარ-ჩვევების ფორმირებასაც თეორიულ მასალასთან მჭიდრო კავშირში. მთავარი ნაკლი, რაც ამგვარ სწავლებას ახასიათებდა, იყო ის, რომ არ ხდებოდა ამ ცოდნის გადატანა-გამოყენება ლიტერატურის გაკვეთილებზე, ასევე – მოსწავლე ხშირად ახერხებდა თეორიული მასალის დეფინიციას სათანადო მაგალითების დასახელებით, მაგრამ პრაქტიკულად ვერ იყენებდა ამ ცოდნას ზეპირი თუ წერითი მეტყველებისას.

დღეს ვითარება რამდენადმე განსხვავებულია. გრამატიკას ეროვნულ სასწავლო გეგმაში, და აქედან გამომდინარე „ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ სტანდარტში“, არც თუ დიდი ადგილი ეთმობა და ფაქტობრივად დაყვანილია ე.წ. „საკომუნიკაციო გრამატიკის“ სწავლებამდე – სწავლების პროცესში ყველა საფეხურზე ენის საკითხები უკავშირდება მხოლოდ საკითხავ ტექსტებზე მუშაობასა და კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციას. არ ხდება „ცოდნის დაგროვება“, მთელი აქცენტი კეთდება ამ ცოდნის პრაქტიკულად „გამოყენებაზე“. ეროვნულ სასწავლო გეგმაში („საგნობრივ სტანდარტში“) არსად არ არის მითითებული კონკრეტულად ენის რომელ საკითხებს უნდა დაეუფლოს მოსწავლე სწავლების ამა თუ იმ საფეხურზე. აქ მოცემულია მხოლოდ „შედეგები“ სათანადო „ინდიკატორებით“. თუ როდის რა მასალა უნდა ასწავლოს მასწავლებელმა, ეს თავად მისი (და სახელმძღვანელოს ავტორთა) გადასაწყვეტია.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომის შედეგია ის, რომ გრამატიკის სწავლების თვალსაზრისით სკოლებში საკმაოდ ჭრელი სურათია: ბევრგან კი იგი ფაქტობრივად

აღარ ისწავლება, ბევრგან კი მასწავლებლები დღესაც წარმატებით იყენებენ ა. შანიძისა და ლ. კვაჭაძის ტრადიციულ სახელმძღვანელოს. აღსანიშნავია, რომ ის მეთოდოლოგიური ხასიათის კვლევები (იხ. მ. თალაკვაძის, ვ. რამიშვილის, რ. გაბეჩავას... მშრომები), რომლითაც მასწავლებელი სარგებლობდა ქართული ენის (*მათ შორის გრამატიკის*) საკვანძო საკითხების სწავლებისას, დღეს მოძველებულია და ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს არ შეესაბამება. არ არსებობს ლიტერატურა, რომელიც ამ კუთხით მასწავლებელს დაეხმარება. არ არის ნაკვლევი, თუ ეროვნული სასწავლო გეგმით მუშაობის პროცესში ენის სასკოლო კურსის გაცნობისას კონკრეტულად გრამატიკის **რა საკითხები უნდა ვასწავლოთ, როგორ ვასწავლოთ, როდის ვასწავლოთ** (ან საერთოდ ვასწავლოთ თუ არა). არ არის დადგენილი:

1. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ფაქტორები ამ კუთხით,
2. მათი შესაძლებლობანი ცალკეულ გრამატიკულ ცნებებზე მუშაობისას,
3. გრამატიკული ცნების ფორმირების პროცესი ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში,
4. გრამატიკის კონკრეტული/ცალკეული საკითხების კავშირი მოსწავლეთა მართლმეტყველების ჩვევათა ფორმირებასთან;
5. გრამატიკული მასალის როლი მოსწავლის ანალიტიკური აზროვნების განვითარების საქმეში...

აღსანიშნავია, რომ მსგავსი კვლევების საზღვარგარეთის ქვეყნებში სისტემატურად ტარდება და გარკვეულ დახმარებასაც უწევს მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს (იხ. Funk, H./Kuhn, C. und andere (2008): *Studio d B1. Unterrichtsvorbereitung*. Cornelsen. Berlin; Funk, H./Königs, F. (1991): *Grammatik lehren und lernen*, Langenscheidt, Fernstudienbrief... ასევე [www. School4you.ru](http://www.school4you.ru); www.school.edu.ru; Редкозубова Т. М., Гаврилова Г. Ф., *Изучение грамматики русского языка в школе, пособие для учителей*, „Феникс“ М. 2007; *Teaching Grammar*, <http://www.edutopia.org/blog/teaching-grammar...>, *Grammar to Enrich and enhance Writing*, by Constance Weaver with Jonathan Bush, Heinemann, 2008...)

დღეს უკვე ნათელია, გრამატიკული მასალის მოწოდებაზე უარის თქმა გარკვეული თვალსაზრისით წარსულში მისი სწავლების არასწორმა ორგანიზებამაც გამოიწვია: ხშირ შემთხვევაში გრამატიკული მასალის მიწოდება დაყვანილი იყო წესებისა და ტერმინების მექანიკურ დაზეპირებამდე და ნაკლები ყურადღება ექცეოდა პრაქტიკული სტილისტიკის, მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებთან მის უშუალო კავშირს. ნაკლებად ხდებოდა „ცოდნის გადატანა“ (*ანუ „ტრანსფერი“*, როგორც მას ახლა უწოდებენ) ერთი სიტუაციიდან მეორეში და ენის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის რეალიზება სამეტყველო სიტუაციაში ნაკლებად ხდებოდა. ყოველივე ამან გამოიწვია გრამატიკის სწავლების მიმართ ინტერესის განელება, რაც საბოლოო სახით მოსწავლეთა წიგნიერების განვითარებაზეც აისახა.

ხშირად იმაზეც დავობენ – საერთოდ საჭიროა თუ არა, რომ სკოლაში მშობლიური ენის გრამატიკა ისწავლებოდეს? მართლაც, ცნობილია, რომ სკოლაში ახლადშესული 6 წლის ბავშვი:

- ა) პრაქტიკულად უკვე ფლობს მეტყველების ყველა ნაწილს,
- ბ) პრაქტიკულად იყენებს ამ ენაში არსებულ ფორმათსისტემას,
- გ) ესმის და თვითონაც იყენებს სიტყვათწარმოების მთავარ შესაძლებლობებს,
- დ) შეთავსებული აქვს სინტაქსური წყობის ძირითადი სახეები (თანწყობისა და ქვეწყობის ჩათვლით).

ასე რომ, „უკვე 6 წლის ბავშვს სკოლაში დედაენით მეტი მოაქვს, ვიდრე თვით ლინგვისტიკაში გაწაფულ მასწავლებელს შეეძლება მას აუხსნას და მიაწოდოს“ (გ. რამიშვილი, *დედაენის თეორია. თბ. 2000, გვ. 28*).

სკოლის ამოცანაა იზრუნოს ამ ენობრივი სტრუქტურების შემდგომ განვითარებაზე. „საქმე ისაა, რომ მოზარდი მხოლოდ პრაქტიკულად არის თავის დედა-ენას დაუფლებული, მისი მეტყველება ყველა ამ წესს იცავს, მაგრამ თვითონ ამ წესების შესახებ არაფერი იცის. ამისათვის მისი გაცნობიერება და ობიექტივაცია არის საჭირო... სკოლა... მას გრამატიკას ასწავლის და ამით იგი **ენობრივი განვითარების ახალ საფეხურზე აჰყავს**“ (დ. უზნაძე, *ბავშვის ფსიქოლოგია, 2003 წ. გვ. 593*). გრამატიკის შესწავლით, როგორც **დ. უზნაძე** აღნიშნავს, მეტყველების ენობრივი ფორმა ცნობიერი ხდება. მისი გამოყენების არე პირადი ენობრივი გამოცდილების ფარგლებს შორდება და საგრძნობლად ფართოვდება. „გრამატიკის სწავლა ინტელექტუალურისა და საზოგადოდ ფსიქიკური განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს გულისხმობს“ (*იქვე*). ამდენად, გრამატიკა შეიძლება მივაკუთვნოთ ლოგიკურ მეცნიერებათა რიცხვს, რომელსაც ახალ ინტელექტუალურ საფეხურზე აჰყავს მოსწავლე და ხელს უწყობს მასში ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

გრამატიკის წესების შესწავლა, გააზრება, გაცნობიერება და შემდეგ მეტყველებაში მათი მართებულად გამოყენება მოსწავლისაგან მოითხოვს ხანგრძლივსა და სისტემატურ გონებრივ მუშაობას, კონკრეტულ ნიმუშებზე დაკვირვებას, შედარება-შეპირისპირებას, ანალიზს, მსჯელობას, სათანადო დასკვნების გაკეთებას, კონკრეტული მაგალითების მიხედვით ზოგადი წესის გამოყვანას (განზოგადება). იგი ხელს უწყობს დაკვირვების, მსგავსება-განსხვავებების დადგენისა და საერთოდ, ძიების უნარის განვითარებას. მოსწავლისათვის ლოგიკური კატეგორიები უფრო გასაგები ხდება ენის გრამატიკის შესწავლის საფუძველზე. ამ პროცესში იგი სწავლობს სიტყვათა ცვლილებისა და სიტყვათა წინადადებად შეკავშირების წესებს არა კონკრეტული სიტყვისა და წინადადების, არამედ საერთოდ ენაში არსებული კანონების, წესების მიხედვით. ეს კი მას უვითარებს განზოგადების, აბსტრაქციის უნარს, განყენებულ, ლოგიკურ აზროვნებას. „რა არის ბოლოსდაბოლოს გრამატიკა? გრამატიკა იმის გაცნობიერებული გააზრებაა, რაც გაუცნობიერებლად ცოცხლობს დედაენის სახით სოციალურში“ (გ. რამიშვილი... გვ. 46).

აქედან გამომდინარე ვთვლით, რომ გრამატიკის სწავლების კუთხით სასკოლო განათლების კურსში გარკვეული ცვლილებები უნდა შევიდეს, მანამდე კი აუცილებელია დადგინდეს:

- ა) გრამატიკული წესების ცოდნა და გააზრება რამდენად ეხმარება მოსწავლეთა მართლწერისა და მართლმეტყველების ჩვევების ფორმირებას;
- ბ) მოსწავლეთა ორთოგრაფიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე რა გავლენა იქონია მშობლიური ენისათვის (და *აქედან გამომდინარე გრამატიკისათვის*) განკუთვნილი საათების სასწავლო პროგრამიდან ამოღებამა და ენობრივი და ლიტერატურული მასალის ინტეგრირებამ;
- გ) რა ვითარებაა ამ კუთხით გრიფირებულ სასკოლო სახელმძღვანელოებში – როგორც ამ სახელმძღვანელოების ზერელე ანალიზიდანაც კი ჩანს, ავტორები სრულიად დამოუკიდებელნი არიან მართლწერის (და საერთოდ, გრამატიკის) საკითხებზე მუშაობისას, მასალის შერჩევისას, თეორიული საკითხების ინტერპრეტირებისას;

დ) როგორია მასწავლებელთა საგნობრივი კომპეტენცია და დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ;

ე) რა უნდა გაკეთდეს ამ კუთხით მოსწავლეთა ორთოგრაფიული ჩვევების გამომუშავების თვალსაზრისით...

ცნობილია, რომ დღეს ბევრი თეორიული საკითხი ახლებურად გაშუქდა, ამიტომ არანაკლებ მნიშვნელოვანია სასწავლო მასალის შერჩევაც წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისითაც. სასკოლო დანიშნულებით უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ ის მასალა, რომლის უტყუარობასა და სიზუსტეში ეჭვს ვერავინ შეიტანს. ის, რაც სადავოა ენათმეცნიერებაში, სადავო არ უნდა იყოს სკოლაში.

ასევე, გრამატიკის სწავლების პროცესში აუცილებლად ასევე აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი. სასწავლო მასალა სწორედ მათ შესაძლებლობებზე უნ და იყოს მორგებული. ცნობილია, რომ **დიმიტრი უზნაძე** გრამატიკის სწავლებაში პირობითად ორ საფეხურს გამოყოფს:

ა) **11-12 წლამდე სასკოლო ასაკი**, როდესაც მოზარდის ყურადღება ძირითადად ენის შინაარსეული მხარისკენ არის მიმართული; ენის ფორმალური მხარის ობიექტივაციისათვის მას ჯერ კიდევ არ შესწევს ძალა. აქ ძირითადად მხოლოდ „გრამატიკული აზროვნების ძირითადი ელემენტების შესახებ შეიძლება ლაპარაკი, უფრო იმ მასალის დაგროვების შესახებ, რომელიც ... **ნამდვილი გრამატიკის** სწავლებაზე უმტკივნეულოდ გადასვლას გაადვილებდა (დ. უზნაძე, გვ. 594)“;

ბ) **11-12 წლიდან სასკოლო ასაკი** – როდესაც „**ნამდვილი გრამატიკის**“ სწავლება შეიძლება დავიწყოთ. ამ კონცეფციის მიხედვით, ბავშვის გრამატიკულ განვითარების მიხედვით განსაკუთრებულია სწავლების **მეორე, მეოთხე და მერვე წლები**. თითოეული მათგანი ამ კუთხით გრამატიკული (და აქედან გამომდინარე, მართლწერის) მასალის გაცნობის თვალსაზრისით სწავლების ახალი ეტაპის დაწყების შესაძლებლობას იძლევა.

სწორედ ამგვარი კვლევის საფუძველზე უნდა შეიქმნას სასწავლო მასალა ორთოგრაფიაში, რომელიც ნამდვილად დაეხმარება მოსწავლეებს მეტყველების კულტურის დახვეწასა და ანალიტიკური აზროვნების განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011 წ
2. გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, თბ. 2000 წ
3. დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, თბ. 1998 წ
4. წიგნიერების საერთაშორისო კვლევა: PIRLZ 2006. PIRLZ 2011, www.naec.ge
5. Funk, H./Kuhn, C. und andere (2008): Studio d B1. Unterrichtsvorbereitung. Cornelsen. Berlin;
6. Funk, H./Königs, F. (1991): Grammatik lehren und lernen, Langenscheidt, Fernstudienbrief
7. Редкозубова Т. М., Гаврилова Г. Ф., Изучение грамматики русского языка в школе, пособие для учителей, „Феникс“ М. 2007; www.school4you.ru; www.school.edu.ru
8. Teaching Grammar, <http://www.edutopia.org/blog/teaching-grammar>
9. Grammar to Enrich and Enhance Writing, by Constance and Jonathan Bush, Heinemann, 2008.

On Some Problems of Correct Spelling in Georgian School

Abstract

The problems of correct spelling and how to overcome these problems in Georgian school are discussed in this article. It is shown that it is necessary for the pupils to understand to profoundly the appropriate grammar rules in order to acquire practical skills of correct spelling.

Analysis of the relevant scientific literature, observation over the teaching process and study and generalization of teachers' experience shows us that conscious study and consideration of the native language canons plays the major part in the shaping of writing skills as well as increase of students' literacy level in general, while the role of **school grammar** in the process is inestimable.

There does not exist literature that may support the teachers in this respect. It has not been determined which concrete grammar issues should we be teaching in the process of work under national curriculum when presenting the school course, how and when we should do it (or should not teach it at all). The following has not been determined::

1. Factors of the students' motivation boost from this angle,
2. Their capabilities during the work on separate grammar notions,
3. The process of orthographical skills forming in separate age groups,
4. Link of concrete/separate grammar issues with the shaping of writing skills of students;
5. Role of grammar materials in the development of the students analytical thinking...

საკვანძო სიტყვები: ორთოგრაფია, უნარ-ჩვევები, სასკოლო გრამატიკა, სწავლება, მოსწავლეები

Key words: Orthography, skills, school grammar, teaching, pupils

ელენე მაღლაკელიძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

წერის სწავლების ფსიქოფიზიოლოგიური საფუძვლები პირველ კლასში

პირველ კლასში წერის სწავლება რთული ფსიქოფიზიოლოგიური პროცესია, რომლის დაუფლებაც მრავალი უნარის კოორდინირებულ განვითარებას გულისხმობს. წერის უნარის ათვისება მოითხოვს წერის ტექნიკური წინაპირობების გავარჯიშებას და მხოლოდ გარკვეული დროისა და გაწაფვის შემდეგ ხდება ის ავტომატიზირებული პროცესი, რომელშიც ჩართულია ტვინის მექანიზმები და კონკრეტული შესაძლებლობები. იგი მოითხოვს ბავშვის მეტაკოგნიტური უნარების ეფექტურ გამოყენებას. წერის უნარის დაუფლება და გამოყენება ხანგრძლივი პროცესია. ა. ვიგოტსკის აზრით, „ბავშვის წერითი მეტყველებაც არ ჩნდება უცებ, როგორც მეორე ხარისხის სიმბოლიზმი (დამწერლობის ფორმა – *ქ. მ.*), იგი წარმოიშობა ბუნებრივი გზით“ (Выготский А. С. Умственное развитие ребенка в процессе обучения, М. 1936, გვ. 80). „წერის განვითარების ისტორია, – წერს იგი, – იწყება ბავშვთა მხედველობითი ნიშნის წარმოქმნის პირველი მომენტიდან. სწორედ

ჟესტია ის მხედველობითი ნიშანი, რომელშიც როგორც თესლში, მოცემულია მომავალი წერტილი – მუხა – ბავშვის მომავალი წერა“. ა. ვიგოტსკის აზრით, ბავშვის ხატვა პირველ წერად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იგი ფანქრით შეიარაღებული ჟესტის კვალია. ბავშვის ხელი ამ ჟესტს (ნახატს) მნიშვნელობას აძლევს – ბავშვი რომ სახლს დახატავს, ამით იგი აღნიშნავს სახლს. მისი აზრით, წერის ისტორია ბავშვში იმ მომენტზე გაცილებით ადრე იწყება, სანამ იგი სკოლაში წავა და მასწავლებელი მას კალამს მისცემს. მაგრამ ეს სრულიადაც არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ბავშვისათვის ჯერ ბგერითი ენაა ცნობილი და მერე გრაფიკული. თუმცა თავად ვიგოტსკისთვის უცნობი დარჩა როგორ იქცევა ჟესტის ენა წერად (მეტყველების ხატვად). ამ გზაზე პირველ ნაბიჯად ელკონინისეული „ბგერათა მატერიალიზაცია“ უნდა ჩაითვალოს.

წერა-კითხვის სწავლების პროცესში ბგერის გრაფიკული ნიშანი – ასო – ბავშვს ეძლევა ფონემის შემუშავების შემდეგ. ეს შემუშავება ბგერის ობიექტივაციასა და იდენტიფიკაციას ემყარება. გრაფიკული ნიშნის – ასოს – გაცნობა ფონემის ქმნადობის პროცესს ასრულებს, მის ჩამოყალიბებაში ახალ ეტაპს ქმნის. ამასთანავე ფონემის გრაფიკული ნიშანი ბავშვს უნდა მიეცეს მაშინ, როდესაც მას ახალი ასოს მიწოდების აუცილებლობა უჩნდება.

წერა მნიშვნელოვან პროცესს თამაშობს კითხვის პროცესის დაუფლებაში. „წერა, როგორც ქცევა, თვით შეიცავს ისეთ ფსიქოლოგიურ მომენტებს, რომელიც საფუძვლიანად ამზადებს ბავშვს კითხვისათვის“ (ალ. მოსიავა, წერა-კითხვის სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლები, თბ. 1962 წ. გვ. 94). მოძრავი ასოებისაგან სიტყვების შედგენა უკვე წარმოადგენს ფსიქოლოგიური წერის პირველ ეტაპს. წერის შემდეგ ეტაპს წარმოადგენს უშუალოდ ასოების წერა. რა არის მათ შორის საერთო? ის, რომ ორივე შემთხვევაში მოსწავლეს უხდება ჯერ სიტყვის ობიექტივაცია, შემდეგ მისი ფონემატური ანალიზი, თითოეული ფონემის დაკავშირება შესაბამის გრაფიკულ ნიშანთან (ასოსთან) და შემდეგ ამ გრაფიკული ნიშნების დალაგება სათანადო თანმიმდევრობით. აქ ხდება სიტყვის ხატის აღქმა, მისი იდენტიფიკაცია. მაგრამ ასოს წერისათვის მარტო მისი იდენტიფიკაცია არ კმარა. საამისოდ საჭიროა მოსწავლის ორიენტირება საწერ სივრცეში, სიტყვის გრაფიკული ანალიზი, ასოს სტრუქტურირება.

რამდენად აუცილებელია წერა-კითხვის სწავლების პროცესში ქართული ასოების დიდაქტიკური პრინციპებით დალაგება? სპეციალურ ლიტერატურაში განხილულია ქართული ასო-ბგერების სწავლების რიგი შემდეგი პრინციპების მიხედვით: პირველად ეცნობა ა) წარმოთქმით ადვილი და მოხაზულობით მარტივი ასო-ბგერა, თუმცა ამ პრინციპის დაცვა არც თუ ისე ადვილია, რამდენადაც მოსახაზად ადვილი ასო ხშირად სრულიადაც არ გახლავთ წაროსათქმელადაც მარტივი და პირიქით; ან შეიძლება ასო მოხაზულობით იყოს ადვილი, მაგრამ ნაკლებად იყოს მეტყველებაში გავრცელებული და ამდენად საწყის ეტაპზე მისი გაცნობა სრულიადაც არ იყოს არსებითი (მაგ. ასო-ბგერა ჰ – მოხაზულობითაც და წაროსათქმელადაც არ გახლავთ რთული, მაგრამ იშვიათად გვხვდება); ბ) ასოები, რომელთა ბეჭდური და ხელნაწერი ასოები ერთნაირია; გ) მეტყველებაში ყველაზე ხშირად გამოყენებული ასო-ბგერები (მ. თალაკვაძე, ი. გოგებაშვილის ანბანის სახელმძღვანელოთა აგების პრინციპები, თბ. 1952 წ. გვ. 120). აქ გასათვალისწინებელია შემდეგი მომენტებიც: ა) სხვადასხვანაირად შეიმჩნევა ბგერა სხვადასხვა პოზიციაში. ასე, მაგალითად, საუკეთესო ვარიანტია შესასწავლი ბგერის

მოქცევა ხმოვნებს შორის; ბ) უფრო რთულია სიტყვაში ხმოვნის შემჩნევა, ვიდრე თანხმოვნისა.

ი. გოგებაშვილის აზრით, „ადგილი, რომელიც ასომ უნდა დაიჭიროს გონივრულად შემუშავებულს ანბანში, დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენად საჭიროა ეს ასო მოხერხებული სურათისათვის, რამდენად ადვილი გამოსათქმელად და შესაერთებლად სხვა ასოებთან, რამდენად აძლევს მასალას სიტყვებისა და ფრაზების შესადგენად, რამდენად ადვილია საწერად და სხვანი“ (ი.გოგებაშვილი, უსარგებლო გამეორება, გაზ. „დროება“, 1884 წ., # 237, გვ. 2). თავად ი. გოგებაშვილი ამ პრინციპით ალაგებდა შესასწავლ ასო-ბგერებს, ის ერთბაშად არ მისულა იმ რიგამდე, რომელიც მისი „დედა ენის“ 1876 წლის გამოცემაშია წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით, მან როგორც ქართული საანბანო წიგნების ავტორმა, დიდი ევოლუცია განიცადა. წერა-კითხვის სწავლებისას მან პირველმა დაარღვია ანბანური რიგი თავისი „ქართული ანბანის“ მე-5 გამოცემაში.

მართალია, ჩვენ მიერ ჩამოთვლილი პრინციპები ყველა ენისათვის თანაბრად მოქმედია, მაგრამ მისი დაცვა ვერ ხერხდება ერთი სახით არამცთუ სხვადასხვა ენებში და სხვადასხვა ავტორებთან, არამედ ერთ ენაში ერთ ავტორთანაც კი. მაგ. თავად ი. გოგებაშვილი მთელი ცხოვრების განმავლობაში ცვლიდა ასო-ბგერათა რიგს. იცვლება ეს რიგი ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით გადამუშავებულ ამჟამად მოქმედ სახელმძღვანელოებშიც. მიზეზი ის გახლავთ, რომ ბგერათა წარმოთქმის სიძნელის თვალსაზრისით თანმიმდევრობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ მიახლოებით, ასევე ნაკლებად არის შესწავლილი მათი გამოყენების სიხშირეც.

ფსიქოლოგები რამდენადმე სხვაგვარად განიხილავენ ამ საკითხს. მათი აზრით, ასოების დიდაქტიკური დალაგებისათვის ზემოხსენებული პრინციპები არ კმარა. უნდა გავითვალისწინოთ ის მომენტები, რომლებიც ყველაზე მეტად უჭირს ბავშვს ამა თუ იმ ასოს წერისას. ესაა წერის პროცესში ხაზის მიმართულების შეცვლა, მომრგვალება, მარყუჟისა და წვეტის გაკეთება. ალ. მოსიავა ქართული ასოების კლასიფიცირებას შემდეგი ნიშნების მიხედვით ახდენს: 1. ერთაქტიანი ასოები (ა, ი, ს, ხ, ძ); 2. ორაქტიანი ასოები (მ, ვ, გ, კ, ე, თ, ო, ნ, პ, ყ, ქ, ჩ, ზ, ც); 3. სამაქტიანი ასოები (ბ, რ, ღ, დ, უ, შ, წ, ჰ, ჟ, ტ, ფ, ჯ, ჭ); 4. ოთხაქტიანი ასო – ჰ. (აქტი აქ ნიშნავს ასოს შესრულების იმ მომენტებს, რომლებიც პირველკლასელისაგან მოითხოვენ ობიექტივაციას – ა. მოსიავა, გვ. 140).

როდესაც წერა-კითხვის სწავლებაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ გრაფომოტორული ოპერაცია, როგორც წერის დამაგვირგვინებელი ოპერაციაა. მისი წარმატებულობა დამოკიდებულია მხედველობისა და მოტორიკის კოორდინაციის ხარისხზე. ხელების მოძრაობის რეგულაცია ბავშვს დაბადებიდანვე უვითარდება. ახალშობილი ხელებს არაკოორდინირებულად და არასიმეტრიულად ამოძრავებს, პირველი წლის განმავლობაში კი თანდათან ეუფლება ხელის მიზანმიმართულ მოძრაობებს. 4-5 წლის ასაკამდე ხელების მოძრაობის კონტროლი, უკუკავშირი შესრულებულ სამუშაოსა და მოძრაობას შორის ხორციელდება, ე.წ. „ხელის მეხსიერების“ მეშვეობით. მხედველობითი კონტროლი ხელის მოძრაობაზე ჯერ კიდევ სუსტია. შემდეგ თანდათან ხდება შეგრძნებებისა და მხედველობით მიღებული ინფორმაციის გაერთიანება, რაც განვითარების მაღალ დონეს 6-8 წლის ასაკში აღწევს. განვითარების ამ დონეზე ხელი „ასწავლის“ თვალს, „უზიარებს“ კუნთების გამოცდილებას, თვალი კი წარმართავს ხელის მოძრაობებს, მონაწილეობს

ნატიფი მოძრაობების კოორდინაციაში. ამ მომენტიდან მხედველობით-მოტორული კოორდინაცია გრაფო-მოტორული ოპერაციების წარმმართველი უნარი ხდება.

წერის, როგორც კომპლექსური უნარის თავისებურება ის არის, რომ იგი სამივე ოპერაციის ინტეგრაციასა და კოორდინირებას მოითხოვს. კარგ შედეგებს წერის ათვისებაში ბავშვები ამ ოპერაციათა კოორდინაციით აღწევენ.

წერის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი წერის წინმსწრები უნარების განვითარება, როგორიცაა საწერი საშუალების ხელში წერის უნარი, გაფერადება, მარტივი ნახატის შექმნა და.ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია, მოსწავლე დაეუფლოს წერის წინმსწრები მარტივი გეომეტრიული ფიგურების გამოსახვას, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების გავლებას, წრეწირის დახატვას, ქაღალდზე წყვეტილი ხაზების შეერთებას, მოცემულ კონტურზე საწერი საშუალებების გადატარებას.

აქვე არ შეიძლება არ ვთქვათ ერთი-ორი სიტყვა წერა-კითხვის სწავლების პროცესში გავრცელებული კალიგრაფიული შეცდომებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. ეს შეცდომები ამგვარად ჯგუფდება: 1) ხაზზევით დასაწერი ასოები შუა ხაზზე ან ხაზქვევით არის დაწერილი; 2) ხაზქვევით დასაწერი ასოები დაწერილია შუა ხაზზე ან ხაზზევით; 3) ხაზზე დასაწერი ასოები ხან ხაზზევით არის დაწერილი, ხან ხაზქვევით; 4) დარღვეული პროპორციები ასოს ცალკეულ ნაწილებს შორის; 5) არ არის დაცული სათანადო ინტერვალები წერისას. სწორედ ამ სირთულეების დასაძლევად გამოიყენება ოთხხაზიანი საწერი ბადე, რომელიც ქართული ანბანის თავისებურებაზეა მორგებული. ოთხხაზიანი ბადე ხელს უწყობს ქართული ასოს პროპორციების დაცვასა და მათი სათანადო შუაღედებით ერთმანეთისაგან დაცილებას. საწყის ეტაპზე ოთხხაზიანი ბადის გამოყენება აუცილებელია, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მისი ხანგრძლივი გამოყენება ზღუდავს მოსწავლეს და ხელს უშლის სათანადო გრაფიკული ჩვევების ჩამოყალიბებას.

გარდა წმინდა კალიგრაფიული შეცდომებისა, წერა-კითხვის სწავლების პროცესში თავს იჩენს შემდეგი ტიპის შეცდომებიც:

ა) შეცვლა - როდესაც ბავშვები ერთი ასოს ნაცვლად წერენ სხვა ასოს. ეს ძირითადად განპირობებულია ამ ასოთა გარეგნული მსგავსებით. მაგ. ძ-ს ნაცვლად მ, ლ-ს ნაცვლად დ, კ-ს ნაცვლად ვ... ყველა ის ასო, რომელიც პირველკლასელს ერთმანეთში ერევა, ერთმანეთს შორის მეტნაკლები ხარისხით გრაფიკულ მსგავსებას ამჟღავნებს... აქედან ჩანს, რომ მოსწავლეებს დიფერენცირებული არა აქვთ ცალკეული ასოს ფორმო-მოყვანილობა. ამავე ვითარებას გამოხატავს ე.წ. „სარკისებური წერა“. პირველკლასელი თ, ს, უ... ასოებს შებრუნებულად წერს. ასევე ხშირად ერევა ერთმანეთში ხ და ძ, შ და წ და სხვ..., რომელთა მოყვანილობა ელემენტთა მიმართულების გარეშე იდენტურია.“ეს მაგალითები გვიჩვენებენ, რომ პირველი კლასის საფეხურზე ბავშვი ასოთა წერის დაუფლებისას ხელმძღვანელობს მხედველობითი აღქმით, ე. ი. საამისოდ საჭირო მოტორულ მოძრაობებს წარმართავს მხედველობითი ხატი, რომელიც მეხსიერებაშიც ამავე სახით არის შემონახული. ამ ფაქტებიდან ჩანს ისიც, რომ ასოთა გრაფიკული დაუფლების პროცესში თავს იჩენს ფსიქიკური თავისებურება, რომელიც მდოგმარეობს სივრცითი ორიენტაციის აღქმის სისუსტეში“ (გ. მჭედლიშვილი, ზეპირი და წერითი მეტყველების შეცდომების ფსიქოლოგიური საკითხები დაწყებით სკოლაში, პედაგოგიური ფსიქოლოგია, თბ. 1975, გვ. 252). აღსანიშნავია, რომ ასოების გრაფიკული მსგავსებით გამოწვეული კალიგრაფიული შეცდომები გრძელდება მეორე კლასშიც.

ბ) გამოტოვება – მოსწავლე სიტყვის წერისას ტოვებს ასოს ან მარცვალს. „ფსიქოლოგები ამ მოვლენას შინაგანი მეტყველებით ხსნიან, რომლის სწრაფ მდინარებას ვერ მისდევს მოტორული აქტები და ჩამორჩენის კომპენსაციის სახით ხდება დასაწერი ელემენტების გამოტოვება“ (ნ. მაღლაკელიძე, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა/დიდაქტიკა, თბ. 2013, გვ. 167). ცალკე აღნიშვნას მოითხოვს. ე.წ. „იდენტური“ ელემენტების გამოტოვება, რაც უნდა აიხსნას ზეპირი მეტყველების გავლენით (მაგ. ‘გააკეთას’ ნაცვლად ‘გაკეთა’). „როცა აღქმაში მოცემული ელემენტებიდან რომელიმე მიყოლებით მეორდება, ეს გარემოება არ შეიმჩნევა და ამიტომ ნაცვლად ორი ერთნაირი ელემენტისა ერთის დასახელება ხდება “ (გ. მჭედლიშვილი, იქვე, გვ. 256).

გ) განმეორება – ამ დროს მოსწავლე ზედმეტად წერს ასოს, მარცვალს იქ, სადაც ამისი საჭიროება არ არის. ეს შეცდომები ძირითადად ორი სახით ვლინდება: ანტიციპაციის (წინსწრებისა) და პოსტპოზიციის (შემდეგ მოქმედების) სახით. ფსიქოლოგები ამას შინაგანი მეტყველების სულ უფრო მზარდი როლით ხსნიან (გ. მჭედლიშვილი, იქვე, გვ. 256).

ამგვარად, იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს წერის ოპერაციის განხორციელება, თუნდაც მარტივი სიტყვის დამოუკიდებლად ჩაწერა, მას უნდა შეეძლოს:

- სიტყვის შემადგენელი ბგერების ერთმანეთისგან გარჩევა;
- ბგერების საჭირო თანმიმდევრობის დაცვა წერის პროცესში;
- ასოს სწორი მოყვანილობის გახსენება;
- ასაკის შესაბამისად განვითარებული ნატიფი მოტორული უნარებისას სწორად გამოსაყვანად.

წერის უნარის განვითარებისთვის აუცილებელია სიტყვის შემადგენელი ერთეულების - ბგერების აღქმასა და დიფერენცირებაზე მუშაობა. ბავშვი სხვისი საუბრის მოსმენისას აღიქვამს აზრს, იმის გაცნობიერების გარეშე, თუ რა გრამატიკული ერთეულებით ხასიათდება მოსმენილი წინადადება. იმისათვის, რომ მოსწავლემ აღნიშნული წინადადება წაიკითხოს, საჭიროა შინაარსის გაგებასთან ერთად მისი შემადგენელი ერთეულების დიფერენცირება, ანალიზი, რა სიტყვებისგან შედგება წინადადება, რამდენი სიტყვაა მოცემული, რომელია პირველი, მეორე, ბოლო და.ა.შ.

ანალოგიურად უნდა განვიხილოთ სიტყვის წერის პროცესიც. ხმოვანი ნაკადიდან მოსწავლემ უნდა გამოყოფს ის ერთეულები (მარცვლები და ბგერები), რისგანაც შედგება სიტყვა. ამის შემდეგ მნიშვნელოვანია, ამ ერთეულების ცალკეულ ფონემებად იდენტიფიცირება და მსგავსი ჟღერადობის ფონემებისგან განსხვავება. სიტყვის ანალიზის შემდეგ, მნიშვნელოვანია სიტყვის შემადგენელი ერთეულების თანმიმდევრობის დამახსოვრება და მათი რიგის სწორად ჩაწერა. სიტყვის ჩაწერის შემდგომი ეტაპი ფონემების გრაფიკულ გამოსახულებებად (გრაფემებად) გადაყვანას გულისხმობს. ამისთვის, მოსწავლეს კარგად უნდა ჰქონდეს დასწავლილი, თუ როგორ გამოიყურება ფონემების შესაბამისი გამოსახულებები. მოსწავლემ უნდა აღიდგინოს ფონემის ხატი და ხელის შესაბამისი მოძრაობით უნდა გამოსახოს საჭირო ასო, ანუ შეძლოს ფონემების გრაფიკული გამოსახვა(ჩაწერა). (თათია პაჭკორია, თინათინ ჭინჭარაული, ინკლუზიური განათლება, გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, 2011, გვ. 46).

საერთოდ კი კითხვა და წერა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესებია, განსაკუთრებით კი საანბანო პერიოდში. აქ როგორც ი. გოგებაშვილი ბრძანებდა, „კითხვა წერას უწყობს ხელს, წერა კი კითხვას“. ისინი შეუძლებელია

ცალ-ცალკე განვიხილოთ. წერა-კითხვის სწავლების პროცესში კითხვისა და წერის მჭიდრო კავშირზე მიუთითებენ უცხოელი ავტორებიც: „წერის სწავლებისათვის საუკეთესო გზა კითხვაში ვარჯიშია. მიეცით ამ დროს მოსწავლეს რაც შეიძლება მეტი საკითხავი მასალა“ (Jeremy Harmer, How to Teach Writing, Longman, 2004 წ. გვ. 45). ამდენად, წერისა და კითხვის ერთმანეთისაგან გათიშვის ცდები, რომლებიც ბოლო წლებში შეიმჩნევა ჩვენს ქვეყანაში, რამდენადმე ხელოვნურია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. გოგებაშვილი, უსარგებლო გამოცდები, გაზ. „დროება“, 1884 წ. # 237
2. მ. თალაკვაძე, ი. გოგებაშვილის ანბანის სახელმძღვანელოთა აგების პრინციპები, თბ. 1952 წ.
3. ნ. მაღლაკელიძე, ქართული ენის სწავლების მეთოდთა/დიდაქტიკა, თბ. 2013
4. ალ. მოსიავა, წერა-კითხვის სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლები, თბ. 1962 წ.
5. გ. მჭედლიშვილი, ზეპირი და წერიტი მეტყველების შეცდომების ფსიქოლოგიური საკითხები დაწყებით სკოლაში, პედაგოგიური ფსიქოლოგია, თბ. 1975
6. თ. პაჭკორია, თ. ჭინჭარაული, ინკლუზიური განათლება, გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, 2011
7. Выготский А. С. Умственное развитие ребенка в процессе обучения, М. 1936
8. Jeremy Harmer, How to Teach Writing, Longman, 2004 წ.

Elene Maghlakelidze

Iakob GogebaSvili State University, Telavi

Psycho-Physiological Bases of Teaching Writing on the Elementary Level

Abstract

Reading and writining are interconnected processes especially in the primary level of teaching. Ir is a well-known fact that writing is realized through reading. Reading skills are developed by introducing phonemes first which is followed by their graphical nsigns i.e. letters. Building words with the help of letters reprents the initial stage of psychological writing. The second stage of writing is a letter-writing process, interconnexction of each graphical sign to the corresponding letter and later their arrangement in certain order.

საკვანძო სიტყვები: წერა-კითხვა, ფსიქოფიზიოლოგიური, სწავლება, ფონემა, ასო

Key words: writing, reading, psychophisioplogical, teaching, phoneme, letter

შორენა მახაჭაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

პოსტსაბჭოთა მემუარისტიკის პოსტმოდერნისტული აქცენტები

/გურამ დოჩანაშვილის „რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“ მიხედვით/

პოსტსაბჭოთა პერიოდში განსაკუთრებით განვითარდა და პოპულარული გახდა მემუარისტიკა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ეპოქალური კრიზისების, ე.წ. საზოგადოებრივი ცხოვრების გარდამავალ თუ გარდამტეხ პერიოდებში ძლიერდება ადამიანში საკუთარი თავის პოვნის, სახელის აღბეჭდვის, თვითგამოხატვის ჟინი თუ დაუძლეველი სურვილი.

აღარც შემოქმედთ სურთ დარჩნენ ნეიტრალურ, უპიროვნო მემპტიანეებად და ინდივიდუალური, უნიკალური სტილით ქმნიან მემუარულ ნაწარმოებებს.

პოსტსაბჭოთა პერიოდი, საქართველოში და, რა თქმა უნდა, სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებშიც, გარკვეულწილად, პოსტმოდერნისტულ ეპოქად მოიაზრება. მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ ზოგიერთი მკვლევარი პოსტმოდერნიზმის პერმანენტულ წარმოშობას უკავშირებს სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისებს.

პოსტმოდერნიზმი „ეპისტემოლოგიური დაეჭვების“ ეპოქაა, შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ მემუარისტიკა განსაკუთრებით გააქტიურდა. ამის მიზეზი გაქრობის წინაშე შიშის დამღევის სურვილიცაა(ილინი 1990:45).

შესაბამისად, პოსტსაბჭოთა მემუარისტიკას აშკარად გააჩნია პოსტმოდერნისტული აქცენტები. ესენია: ბრიკოლაჟის ტექნიკა - მემუარები შედგენილი, კომპილაციური, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა მასალით აწყობილი ტექსტებია, რომლებშიც ავტორისეულ თხრობას პირადი წერილები, დოკუმენტური მასალა თუ არატექსტური ელემენტები ავსებს.

ამასთან ერთად, პოსტმოდერნისტული ტექსტების მსგავსად, მემუარებში არაა აუცილებელი კომპოზიციური მთლიანობისა თუ მთავარი იდეის, როგორც ნაწარმოების ღერძის, არსებობა, აღარ არის საჭირო შემადგენელი ტექსტების მხატვრული ერთგვაროვნება და ჩანაფიქრთან კოორდინირება, დასაშვებია ნარატივის ფრაგმენტირება, დაშლა, დანაწევრება, კომბინირება. ინტერტექსტუალიზმის მეშვეობით ტექსტი იღებს კოლაჟის სახეს, რაც აფართოებს მისი ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს.

პოსტმოდერნისტული კულტურის კიდევ ერთ სიმპტომს, კერძოდ ხელოვნების კომერციალიზაციას, უნდა დავუკავშიროთ მემუარისტიკის თანამედროვე ლიტერატურის წამყვან ჟანრად ქცევაც. კომერციალიზაცია ხელს უწყობს მასობრივი კულტურის ჩამოყალიბებას, რომლის შემადგენელი ნაწილია დღეისათვის ასე ჭარბად წარმოდგენილი პოლიტიკოსებისა თუ საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების, ხელოვანთა ბიოგრაფიები, ავტობიოგრაფიები და მემუარები.

მემუარებს უწოდებენ „დოკუმენტური ეპიკური ჟანრების სახესხვაობას. მხატვრული ლიტერატურისგან განსხვავებით, მემუარებს, ჩვეულებრივ, შემეცნებითი ფუნქცია ეკისრება, რომელსაც განსაზღვრავს ის ფაქტორი, თუ რას ანიჭებს უპირატესობას ავტორი: პირადი, ავტობიოგრაფიული ეპიზოდების აღწერას თუ საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენების გადმოცემას“ (გაფრინდაშვილი 2011:309) – დოჩანაშვილის მემუარები - „რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“, რომელსაც პოსტსაბჭოთა მემუარისტიკის პოსტმოდერნისტული აქცენტების გამოსაკვეთად მოვიშველიებთ, გარკვეული დოზით, ორივე სახის ინფორმაციას შეიცავს. მნიშვნელოვანია, რომ მასში, როგორც ფოკუსში, თავმოყრილია პოსტმოდერნისტული ტექსტისთვის დამახასიათებელი ნიშნები, ავტობიოგრაფიული მეტატექსტის მხატვრული ელემენტები, ბიოგრაფიული ნარატივები. ის გვადლევს საშუალებას ვისაუბროთ დოჩანაშვილის სხვადასხვა ნაწარმოებში გაბნეული ავტობიოგრაფიული ალუზიების ავთენტურ წყაროსა თუ მის შემოქმედებაში არსებულ ავტობიოგრაფიულ დისკურსზე.

დოჩანაშვილის მემუარები, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა იმით, რომ ის გვახედებს თავის სამწერლო, შემოქმედებით ლაბორატორიაში. იმ დროს, როცა გადაწყვიტა, „პენსიაზე გასულიყო“ ანუ აღარაფერი დაეწერა, „პატარა ხანში, ათიოდ დღეში ისევ წამძლია მოუსვენარმა როგორ თუ მაწვალელებელ-მაბედნიერებელმა სულმა, და - მოგონებებს არ შევუდექი მე-ნაჯიჯგნი როგორ და როგორ მაინც ბედნიერი კატორღელი?“ (დოჩანაშვილი 2010:5) - */შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან; მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს/.*

და მოგონებათა წყება იწყება „ბოროტებასთან პირველი შერკინებით მოზარდ მაყურებელთა თეატრში“, როცა მომავალი მწერალი 4 წლის ასაკში ავი მეგობრების დასამარცხებლად სცენაზე აიჭრა (7). ეს ბრძოლა ბოროტებასთან გაგრძელდა მთელი ცხოვრება, როგორც რეალურ, ისე ვირტუალურ ყოფაში. ის იქცა მისი ფიზიკური თუ სულიერი არსებობის განმსაზღვრელ თუ წარმმართველ ფაქტორად.

დოჩანაშვილის ეს ე.წ. ავტობიოგრაფიული რომანი მეტატექსტია, რომელშიც ავტორი თავისი შემოქმედების წყაროებზე, პერსონაჟთა პროტოტიპებზე, პროზისადმი დამოკიდებულებაზე გვესაუბრება, მაგალითად, ვიგებთ, რომ მწერალი თავის ავადმყოფობებს აღწერს, „ისედაც დასავლეთელები ომარა და გივია და პლანეტა ჰოლივუდში“. ავტობიოგრაფიულ რომანში „იქამდე“ თავად ავტორი გამოგონილი სახელითაა, დანარჩენები - ნამდვილით; თავის ნაწარმოებებში პერსონაჟთა პროტოტიპებად გამოყვანილი ჰყავს ძია ვანია და მამა - პეტრე ექიმი და სხვა.

მწერალი გვიმხელს: „დიდი მაესტროს“ - ჰემინგუეის ორტომეულით ხელში მომავალი მეუღლის დანახვამ და ბაბუშკას შეფასებამ როგორ გააბედვინა თუ გადაწყვეტინა, რომ შესჭიდებოდა თავად „მეუფე პროზას“ - ეს იყო რუსი „ბაბუშკასაგან“ ნათქვამი ორად-ორი სიტყვა, „მაგრამ როგორი“. როცა მეგობარმა ქალბატონმა წესიერი, ფრიადოსანი გოგონა-შვილიშვილები შეუქო, ბაბუშკა დაფიქრდა და თქვა: „გურამი ნიჩიერია“... აჰჰ, გადავვოცდი- რა იყო მაინც ეს ჩემი ნიჭი, ჩემი ოროსან-სამოსნობა? ან, მილიციები და დარდუბალა? ... რაც მე ვიფიქრე, ბაბუშკა როგორც თვით-ნიჩიერსაც კი მე ისე მიყურებს და აღმიქვამს თურმე, მეთქი, და, და, და, და,

და-ა, -

შეუვდექ პროზას...(131-132).

პირველ ხანებში 3-4 მოთხრობას წერდა დღეში: „რადაც-როგორაც გონდაბინდულად-მწყურვალავით კი არ მივადექ, მთლადაც ვებდღვენი, პროზას“, წერდა, რადგან ცხადად გრძნობდა, რომ „ცხოვრება იყო თვით სიტყვა, პირველ-მიერი, პირველითგან-ი“ და ჩვენც მოწმენი ვხდებით, როგორ „დიდის თრთოლვით“ მიიტანა პირველი „ნაცოდვილარი“ „ცისკარში“(132-142).

პროზისადმი აღვლენილ ლოცვად და სიყვარულის ახსნადაც აღიქმება დოჩანაშვილის სიტყვები: „როგორ მტანჯველო, მაწვალებელო, ჩემო სულისთქმავ, და რაგინდ მყისი-განადგურებით მაშენებელო მაინც,

პროზავ,

ბვირფასო,

შენ - ყოველგან ხარ რადგანაც -

სიტყვავ,

შენია, პროზავ-სიტყვისმიერო, სუყველაფერი და შენითაა ყოველიფერი შენ ...“

პროზა მხატვრობაზედაც მეტი მხატვრობაა, მუსიკაზედაც მეტი მუსიკა...(133).

პოსტმოდერნისტული ტექსტებისთვის დამახასიათებელია თვითრეფლექსია, წერის პროცესის დახასიათება, დოჩანაშვილიც გვაცნობს, როგორ ეძებდა თვე-ნახევარი სიტყვას, რათა ღვთისმშობლის მშვენიერება დაეხატა, ეპოვნა ის ერთადერთი შედარება, რომლითაც ამას მოახერხებდა და „და, უცებ, გონებით არა - თვით გულით მივხვდი მისსა საკადრის შედარებას - „ლამაზია რომ როგორცა რო... - თვითონ!“ - ასე მიაგნო იმ უზუსტეს და უცთომელ სიტყვა-შედარებას (137).

ყველა მოგონება, თითქოს უმნიშვნელო ეპიზოდურ ცხოვრებიდან მომავალი პროზაიკოსისთვის გამოსადეგი რამ დარჩა, „კაი-რამ იყო“მისი სხვადასხვა პროფესია: მუსიკა („პროზაში ჰენდელისკანონი ძაან ელოდა“, ხოლო პოლიფონია ბახით შეიცნო - 284-285), არქეოლოგია, „ნეტაროგორი ადამიანობ-მოქალაქეობა“, „მაქსიმუმობით სმა და სმა უნდა ღვინოსა“ და „რეციდივისტულ-დაჭერვობანი“... „ცელქობანი და მათგან ნაწვნივი უიღბლობანი“, „მმაბიჭებთან ერთად აბორგენები“ (42-44).

მიუხედავად იმისა, რომ მწერალს ბავშვობაში ახლობლების (მამა-ბიძები, თუ ბებია-ბაბუები) სიყვარული არ დაკლებია, („სიყვარულის როგორი როგო-ძალიან მდომს“ - 138) სტრიქონებშია მაინც გამოსჭვივის უდედოდ, მისი ალერსის გარეშე გატარებული წლების სევდა, „დედ-მამის გაყრით გამოწვეულიაღუწერელი ყოვლად ვაებ-დარდი ბავშვისა“, ორ „განუზომლად და სწორა-თანაბრად“ საყვარელ ადამიანს - მამასა და ბებიას - შორის პატარა ბიჭის მიერ მუდმივად გასაკეთებელი არჩევანის სიმძიმე, თუმცა „იმა-თავიანთი სიყვარულობით“ თუ მამის „მორიგ“ ქალებთან ერთად დანახვით მიყენებული სულიერი

ტკივილებიც, „ვაიდ-უშველებელი“ განცდებიც კი სასარგებლო აღმოჩნდა მისი „დიდად-უმადლესობა... ჯურღმულებიანა პროზისთვის“ (42-44).

შემოქმედისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია „მარადიულბავშვად“ დარჩენა, როცა ყველა დღეს ისე შესცქერი, როგორც პირველს: ყოველი თოვლი, წვიმა მარადპირველია, „მთლად სუპირველად გეხლება ქარი და გეფერება სიო“ (195), ეს ავადმყოფობები თუ დაჭერები იმიტომ მოუვლინა ღმერთმა ავტორს, რომ „შემდგომ ყოველი ყოვლად მორიგი და გინდ მეათასე თოვლი და წვიმდა მზე და ქარი და ნიავიც კი, მეასიათასე? - გამპირველებოდა... იმ ჩემმა იმა-ძნელყოფამ თავად სრულიად-ადამიანიც როგორ ძალიან შემაყვარა ჩემ-ექიმებით“ (228), უბოძა „ღვთის უმთავრესი წყალობა-რამ - სიყვარული“ (254), მიახვედრა, რომ „დედამიწას სიყვარული ატრიალებს“.

დოჩანაშვილის ტექსტი აღსარებაა, ის წერს „ავტობიოგრაფიულ რომანს კი არა, „სამადლობელის ბეზიასადმი, მამისადმი, ... ნათესაობისა და ცხოვრების რა ოღროჩოღრო გზებზე შემოხვედრილი კეთილი ხალხისადმი... წმინდა სამებისადმი“ (188), მაგრამ საანალიზომემუარების ერთ-ერთი პოსტმოდერნისტული აქცენტი სწორედ მისი პოლიჟანროლობითაც გამოიხატება. ჩვეულებრივ, მემუარები გვიყვებიან ან საკუთარი თავის ან „სულის თავგადასავლის“ შესახებ, ან ქმნიან თანამედროვეთა პორტრეტებს. დოჩანაშვილის მემუარები ამ სამივე მხარეს აერთიანებს. მასში ვხვდებით რამდენიმე ორიგინალური შტრიხით შექმნილ ლიტერატურულ პორტრეტებს, მაგალითად, იოსებ გრიშაშვილისას: „ნაღდად ნამდვილი საოცრად-გასაოცრად კეთილი როგორ კარგი კაცის - სახალხო პოეტისას“, და არ ყოფილა შემთხვევა შინიდან უკეთილშობილეს „სამონადირეოდ“ გასული მია სოსო პეშვეზზე როგორ ფაქიზად დადებული რამდენიმე წიგნით რომ არ მობრუნებულიყო“ (25-28);

ცოცხალილეგენდის, „უნაღდესი მწერლის ანუ კაცურად გადმოიმწერის“, „თვით დიდი გურამ რჩეულიშვილის“, დღელამეში 24-ის მაგივრად 365 საათი რომ ჰქონდა და ყველაფერს ასწრებდა (141);

მწერლის „სამოქალაქო ნათლის“, ყველა თავყრილობის, სუფრის სულისჩამდგმელის, კოლორიტულიჟორა შავგულიძისას (246);

„ეს ღვთითროგორ ძალიან და რა-სიღრმეებით გამორჩეული ზენით-პოეტის“ - შოთა ნიშნიანიძისას (468);

სიჭაბუკეშივე სიკვდილმისჯილის, „უდრეკი და ამაყად შემართული“ ჭაბუა ამირეჯიბისას (534);

„მომპვინვარედკოლორიტული“ ბატონი კონსტანტინე გამსახურდიასი, „როგორი თბილიუშუალო და რა-დედობრივად მომხიზლელი მირანდა ფალავანდიშვილისა“ და „იმ-თავისი უნებური და თანდაყოლილი ქედმაღლობით“ გამორჩეული, ახალგაზრდების ლიდერის - ზვიად გამსახურდიასი (301) და სხვათა და სხვათა.

„მემუარებში ორი მხარეა საყურადღებო: მწერლის პიროვნული, ავტობიოგრაფიული მომენტის წინ წამოწევა, რომლითაც შესაძლებლობა გვეძლევა გავცნოთ მისი ცხოვრების ზოგიერთ მხარეს.

საერთო საზოგადოებრივი ამბების, ეპოქის ხასიათის, ისტორიული შემთხვევების, საზოგადოებრივი აზრის განვითარების აღწერა, რომლის უშუალო მონაწილეც ზოგჯერ თვით მწერალი ყოფილა“ (ჭილაია 1984:201).

გურამ დოჩანაშვილის მემუარებში შესანიშნავად იხატება ეპოქა, ის კარგად გვაგრძნობინებს კომუნისტური დიქტატურის სულისშემხუთველ გარემოს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველ ნაბიჯებს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მეთაურობით, კგბ-ს ჯურღმულებში მოხვედრის საშინელებებს; საინტერესოდ მსჯელობს „წითელი ინტელიგენციის“ შესახებ და სავსებით სამართლიანად ასკვნის: „ბატონები რეზო თაბუკაშვილი, ნიკო ჭავჭავაძე, რეზო ჩხეიძე, გურამ ასათიანი, რომან მიმინოშვილი, ოთარ ნოდია ... დიდად მატყუარული ყალთაბანდები იყვნენ რადგან კომპარტიისა პარტილეთები დიდადაც გინდაც უთქმ.-ცრუპენტელურად დაჰქონდათ ... გულისჯიბაში“, და რომ არა ეს პარტილეთები, ისინი ვერ გააკეთებდნენ იმ დიდ

მამულიშვილურ საქმეებს (მაგალითად, ბატონი რეზო თაბუკაშვილი და რა ვერ ჩამოიტანდა უცხოეთიდან და ვერ გადასცემდა „იმ ჩვენთვის უსანუკვარეს განძეულობებს ეკლესიასა და მუზეუმებს“) (545).

გურამ დოჩანაშვილი მისი მამის, ციხის ექიმის და ექიმ დავით გიორგის მეოცელიანის მაგალითზე - თავად კგბ-ს გენერალს რომ წინ აღუდგა და მომავალი მწერალი ციხეში არ გაატანა, დაარწმუნა, რომ ადამიანად დარჩენა ყველგან, ყველა ვითარებაში, თუნდ პარტილეთით ჯიბეში, შეიძლება.

მემუარისტის უპირველესი იარაღი მისი მეხსიერებაა, საიდანაც იღებს ფაქტებს, მოვლენებს, ახარისხებს მოგონებებს, ამიტომაც უწოდებენ მეხსიერებასა და სუბიექტურობას ჟანრის უმთავრეს დომინანტურ ერთეულებს. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ თხრობის რეტროსპექტულობა მემუარისტს აძლევს ინფორმაციის გადარჩევის საშუალებას. ასე იქცევა გურამ დოჩანაშვილიც.

გასახსენებელ-მოსაგონარის სიმძიმის მიუხედავად, დოჩანაშვილი ცდილობს არ დატვირთოს მკითხველი უარყოფითი ემოციებით (ჩემი აზრით, ამას მისი ხელოვნურად გაბუნდოვანებულ-ღვლარჭნილი გრამატიკაც კარგად ახერხებს, რამეთუ, როგორც თავად აღნიშნავს, „ამ ლინგვისტობანამ ძაანაც შორესა მიიტაცა აკანჩატელნა“ - 466), ალბათ ამიტომაცაა მისი თხრობა თვითთრონიული, მსუბუქი იუმორით სავსე, ხალისიანი და ფრიად ოპტიმისტურიც.

ასე რომ, გურამ დოჩანაშვილის მემუარები გამოირჩევა პოსტმოდერნისტული აქცენტებით. ის მეტატექსტის ნიმუშია, მასში ავტორი საუბრობს თავისი შემოქმედების წყაროებსა თუ წერის პროცესზე, პერსონაჟთა პროტოტიპებზე, ამავედროულად, მასში თხრობა ფრაგმენტირებულია, ის არაერთგვაროვანია ჟანრობრივაც: მასში ვხვდებით აღსარების ელემენტებს, ავტობიოგრაფიას, პორტრეტებს, ეპოქის საინტერესო სურათს.

ზოგადად მემუარისტიკისთვის დამახასიათებელია სუბიექტურობა, თუმცა, იმავედროულად აქვს პრეტენზია ჭეშმარიტებაზე ანუ ობიექტურობაზე, თუმცა ეს „სუბიექტური ობიექტურობაა“, სწორედ ამიტაცაა გამორჩეული გურამ დოჩანაშვილის მემუარები.

გამოყენებული ლიტერატურა:

გაფრინდაშვილი (2011): ნანა გაფრინდაშვილი, მარიამ მირესაშვილი. „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი.

დოჩანაშვილი (2010): დოჩანაშვილი გურამ. „რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“, გამ. „მერიდიანი“, თბილისი.

(ილინი 1990): ილინი ილია. პოსტსტრუქტურალიზმი. დეკონსტრუქტივიზმი. პოსტმოდერნიზმი. მოსკოვი.

Ильин Илья. Постструктурализм. Деконструктивизм.

Постмодернизм. Москва.

ჭილაია (1984): ჭილაია ანდრო, ჭილაია რამაზ. „ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები“. თსუ-გამომცემლობა. თბილისი.

Shorena Makhachadze

Shota Rustaveli State University, Batumi

Postmodernist Accents of Post-Soviet Memoiristics

/According to Guram Dochanashvili's "What I Remember and Recollect More"/

Abstract

Memoiristics evolved especially and became very popular in the post-Soviet period. This is not surprising because in the epochal crisis, in so called transitional periods of public life increases the whim or insurmountable desire in a person to find himself, to engrave one's name or

self-expression. Creative workers no longer wish to be neutral and impersonal chroniclers, and they create memorable works in an individual and unique style.

The post-Soviet period in Georgia and, of course, in other post-Soviet republics is, in some sense, a postmodern epoch. Moreover, if you recall that, some researchers connect the permanent origin of postmodernism to socio-political crises.

Postmodernism is an epoch of “Epistemological suspicions”, accordingly, it is not surprising that memoiristics became particularly active. The reason of it is the desire to overcome the fear of disappearance.

Accordingly, post-Soviet memoiristics, the example of which is considered Guram Dochanashvili’s “What I Remember and Recollect More”, clearly has postmodern accents. They are: Bricollage technique – composed, compiled memoirs, texts made of different material, in which the author’s narrative is filled with personal letters, documentary material or non-text elements.

In addition, like postmodern texts, the existence of compositional integrity or the main idea, as the axis of the work, is not necessary in the memoirs; the artistic homogeneity and coordination with the ideas and thoughts are also no longer necessary, but fragmentations of the narrative and their combinations are possible. Through intertextuality the text gets a collage form, that expands the possibilities of its interpretation.

Thus, Guram Dochanashvili’s memoirs are characterized with postmodern accents. It is a sample of the metatext, in which the author speaks about the sources or the writing process of his creative works, the prototypes of the characters, the attitude towards the prose; at the same time, the narration is fragmented and nonhomogenous in terms of a genre: we can find in it the elements of confession, autobiography, portraits, an interesting picture of the epoch.

საკვანძო სიტყვები: მემუარი, პოსტმოდერნიზმი, ბრიკოლაჟი, მეტატექსტი, ფრაგმენტირება

Key words: Memoir, Postmodernism, Bricollage, Metatext, Fragmentation

მედეა მეტრეველი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

ორენოვნებისა და ენათა ურთიერთქმედების კვლევა მეტყველების დონეზე

ათეული წლის განმავლობაში ჩვენ ვიკვლევდით ბილინგვიზმის სხვადასხვა შემთხვევებს მეტყველების, დონეზე. კვლევის ობიექტი იყო შერეული ოჯახები. მათ შორის: ქართულ-რუსული, ქართულ-იტალიური, ქართულ-სომხური, ქართულ-აზერბაიჯანული, ქართულ-ქურთული, ქართულ-ქისტური, ქართულ-ოსური, რუსულ-იტალიური, რუსულ-უკრაინული, რუსულ-სომხური, რუსულ-აზერბაიჯანული, რუსულ-ქისტური და რუსულ-სვანური ბილინგვიზმით.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ენის დონეზე მიღებული შედეგების შესახებ, მხედველობაში გვაქვს საზოგადოდ ცნობილი მცნებები სუბსტრატის, სუპერსტრატის და ადსტრატის შესახებ. ენათა შერევის დროს სუპერსტრატია ენა, რომელიც გამოდევნა მეორე ენამ, მაგრამ რომელმაც გარკვეული გავლენა მოახდინა ამ უკანასკნელზე. სუპერსტრატი არის ენაში შემორჩენილი სხვა ენის გავლენისკვალი. ადსტრატი კი არის ენობრივი მახასიათებლების სისტემა, რომელიც განისაზღვრება როგორც ერთი ენის გავლენა მეორეზე ხანგრძლივი ერთობლივი არსებობის პირობებში ამ ენებზე მოსაუბრე ხალხების

კონტაქტისდროს. ადსტრატი სუბსტრატისა და სუპერსტრატისგან განსხვავებით აღნიშნავს ენათა ურთიერთქმედების ნეიტრალურ ტიპს, რომლის დროსაც ხდება ეთნიკური ასიმილაცია და ერთი ენის მეორესთან შერწყმა. მაგრამ უფრო ხშირად ამ ტერმინს ხმარობენ შერეული ბილინგვიზმის აღსანიშნავად.

ყველა მკვლევარი ბილინგვიზმს სხვადასხვანაირად განმარტავს. ჰოლის მიხედვით ეს არის ორი ენის ეფექტური ფლობა [11], ფიშმანის მიხედვით, ეს არის ურთიერთობა ორი ენის დახმარებით [8], მარტინეს მიხედვით, ეს არის გაყოფილი ენობრივი ერთეულება, როზენტალის მიხედვით, ეს არის ორი ენის ერთნაირად თავისუფლად ფლობა, ვაინრაიხის მიხედვით ეს არის ორი ენის ალტერნატიული ხმარების პრაქტიკა [10]. აშშ-ში გავრცელებულია შემდეგი განმარტება: ბილინგვიზმი არის ორი ენის ერთნაირად წარმატებული ფლობა.

მრავალწლიანი კვლევების შედეგად ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ბილინგვიზმი არის ორი ენის ერთნაირად თავისუფლად და აქტიურად ფლობა (თუმცა, არა ყოველთვის სრულყოფილად). ბილინგვიზმი იწყება მაშინ, როდესაც მეორე ენის ცოდნის ხარისხი უახლოვდება პირველი ენის ცოდნის ხარისხს. ყველაზე ახლოს ამ განმარტებასთან არის ბილინგვიზმის ის ფორმა, რომელსაც ჩვენ ვაკვირდებოდით. ბილინგვიზმის დონე (ენების სრულყოფილად ფლობის მიხედვით) დამოკიდებულია იმ გარემოზე, სადაც ცხოვრობს ბილინგვი. აქ აუცილებელია მხედველობაში იყოს მიღებული კულტურული და ზოგადსაგანმანათლებლო დონე, ასაკი, გარემო-პირობები. (ეს ყველაფერი აღწერილია ჩვენს ექსპერიმენტებში).

ყველაზე სრულყოფილად ბილინგვიზმის შესწავლა შესაძლებელია ფსიქოლინგვისტური კუთხით, იმიტომ რომ თვითონ ბილინგვიზმი მჭიდროდაა დაკავშირებული იმ პროცესების შესწავლა-გამოკვლევასთან, რომლებიც ეხება შეტყობინების კოდირება-დეკოდირებას პირველ და მეორე ენაზე კომუნიკაციის დროს. [9]. მაგრამ ბილინგვიზმი სოციოლინგვისტიკის ობიექტიცაა, იმიტომ რომ ეს მეცნიერება შეისწავლის ენათა განვითარებას და მათ საზოგადოებრივ არსებობას. ბილინგვიზმი ასევე ეთნოლინგვისტიკის ობიექტიცაა, იმიტომ რომ ორენოვნების შესწავლის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ორივე ენის შინაარსობრივი ერთეულების კლასიფიკაციის განსაკუთრებული ნიშნები. ორენოვნება და ენათა ურთიერთქმედება უნდა შეისწავლებოდეს როგორც ენის დონეზე, ასევე მეტყველების დონეზე, იმიტომ რომ ენების ურთიერთქმედება გვამღევს შედეგს ერთ შემთხვევაში ენის დონეზე, მეორე შემთხვევაში მეტყველების დონეზე.

რა თქმა უნდა, მონათესავე ენების და არამონათესავე ენების ურთიერთქმედებების ხარისხი სავსებით განსხვავდება. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ვაწარმოებთ დაკვირვებას სხვადასხვა სისტემის ენებით გამოწვეულ ბილინგვიზმზე. ორენოვნების დროს ორივე ენა სულ სხვადასხვანაირად მოქმედებს მეტყველებაზე და ახდენს გადახრას ენობრივი ნორმიდან. ამ მოვლენას ეწოდება ინტერფერენცია. მონათესავე ენების ენობრივი კონტაქტის დროს ინტერფერენცია უფრო მდგრადი და ხანგრძლივია, ხოლო არამონათესავე ენების ენობრივი კონტაქტის დროს – უფრო მეტი სიმკვეთრით გამოირჩევა

ქართული, რუსული, იტალიური და სხვა ენების ურთიერთქმედების პროცესის შედეგების ანალიზის დროს გამოიკვეთა, რომ არამშობლიური ენის ათვისების საწყის პერიოდში არამონათესავე ენების ენობრივი კონტაქტი ბილინგვის მეტყველებაში იწვევს უფრო მეტ გადახრას, ვიდრე მონათესავე ენების ენობრივი კონტაქტი. ეს სრულიად გასაგებია. განსხვავება არამშობლიურ ენებს შორის გაცილებით დიდია, ვიდრე მონათესავე ენებს შორის. მაგრამ ეს, პირველ ეტაპზე. უფრო მოგვიანებით, , მეორე ენის ათვისების შემდეგ, სურათი იცვლება. იმ ენის მატარებელი, რომელიც მეორეს მონათესავეა ფიქრობს, რომ უცხო მეტყველება მცირედ განსხვავდება მისი მშობლიური ენისგან, არ აქცევს ყურადღებას უმნიშვნელო ნიუანსებს და უფრო და უფრო ეყრდნობა მშობლიურ ენას. რა თქმა უნდა, ეს მსგავსება მოჩვენებითია და ამიტომ ამ პროვოკაციის შედეგად ხდება ინტერფერენციის ხანგრძლივი და მტკიცე შენარჩუნება. სხვა სისტემის ენის მატარებელი ვერ

პოულობს რა საყრდენს მშობლიურ ენაში, დაჟინებით ერთვება უცხო ენის აგებულებაში და უფრო და უფრო თავისუფლდება მშობლიური ენის გავლენისგან. ეს არის უცხო ენის დაუფლების უტყუარი გზა და მას შეუძლია მინიმუმამდე შეამციროს ინტერფერენციის მოვლენა.

რასაკვირველია, ძნელია იმ ბგერების ათვისება, რომლებიც არის უცხო ენაში, და არ არის მშობლიურში, მაგრამ უფრო ძნელია ასათვისებლად ის ბგერები, რომლებსაც რაღაც საერთო აქვთ მშობლიური ენის ბგერებთან და, რაც უფრო მეტია მსგავსება ბგერებს შორის, მით უფრო ძნელია ზუსტი გამოთქმის მიღწევა. ეს დასკვნა შეიძლება გავრცელდეს ენის ყველა იარუსზე მისი სისტემის ყველა მხარეზე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბილინგვი-არამონათესავე ენების მატარებელი და ბილინგვი-მონათესავე ენების მატარებელი სხვადასხვანაირ გადახრას აკეთებს ნორმიდან უცხო ენის შესწავლის საწყის ეტაპზე (პირველი მეტად, მეორე-ნაკლებად).

ინტერფერენციის სხვადასხვა კატეგორიების შესწავლა (ტიპური შეცდომების გამოვლენა) ყოველთვის დიდ სამეცნიერო და მეთოდურ ინტერესს იწვევდა და ჩვენთვისაც მეტად საინტერესოა. ამიტომ ამ მიმართულებით კვლავ ვაგრძელებთ კვლევებს. ასევე ვაკვირდებით ინტონაციური ინტერფერენციის გამოვლენის თავისებურებებსოჯახური ბილინგვიზმის მაგალითზე. ცნობილია, რომ ყოველ ენას აქვს თავისი მკაცრად სპეციფიური ინტონაციური სტრუქტურა. მ.ი.მატუსევიჩი წერდა: “ინტონაციის მიხედვით, თუნდაც სიტყვები არ გესმოდეთ, შეიძლება გამოიცნო, რომელ ენაზე საუბრობენ” [2]. დაკვირვების შედეგებმა აჩვენა, რომ ქართულ-რუსული ბილინგვიზმის პირობებში ინტერფერენციის სხვადასხვა სახეობებს აქვთ მდგრადობისა და გავრცელების არაერთგვაროვანი ხარისხი. ყველაზე მეტად გავრცელებული და მდგრადია ინტონაციური ინტერფერენცია, მას მოსდევს ორთოეპიული ინტერფერენცია, შემდეგ მოდის ფრაზეოლოგიური და ლექსიკურ-სემანტიკური ინტერფერენცია გადატანითი მნიშვნელობის დროს, ამას მოყვება სიტყვაწარმოებითი და მორფოლოგიურ-სინტაქსური ინტერფერენცია, და ბოლო ადგილზეა ლექსიკურ-სემანტიკური ინტერფერენცია სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობის დროს.

დაკვირვებისა და ექსპერიმენტების შედეგების საფუძველზე ჩვენ გავაკეთეთ ბილინგვების მიერ სიტყვებისა და წინადადებების გამოყენებაში დაშვებული შეცდომების კლასიფიკაცია და ანალიზი. ამ ანალიზმა აჩვენა, რომ ჯერ კიდევ კარგად აუთვისებელ უცხო ენაზე საუბრის დროს აზრი პირველად გამოიხატება მშობლიურ ენაზე და ამიტომ მოსაუბრე ინარჩუნებს არამშობლიურ ენაში თავისი ენის ლექსიკურ-სემანტიკურ, ფრაზეოლოგიურ და გრამატიკულ სისტემას. მხოლოდ ენის კარგად შესწავლის შემდეგ ადამიანი თანდათან ეჩვევა გამოხატოს თავისი აზრები უცხო ენაზე.

არაერთგვაროვანია ასევე ინტერფერენციის გავრცელების ხარისხი მეტყველების სხვადასხვა სფეროებში.

მეტყველება იქმნება ადამიანის მიერ კონკრეტულ სიტუაციებში. ამიტომ ის არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ ფსიქოლოგიური, ინდივიდუალური მოვლენაცაა. კონკრეტული მეტყველების ხარისხი დამოკიდებულია არა მხოლოდ ამა თუ იმ ენის ცოდნაზე, არამედ გარემო-პირობების მთელ რიგ ფაქტორებზე. მეტყველების ხარისხზე მოქმედებენ: მოსაუბრისა და მსმენელის გათვითცნობიერება მეტყველების საკითხებში, მოსაუბრის სულიერი მდგომარეობა (სითამამე ანდა დაბნეულობა, საუბრის სურვილი ან არ სურვილი, დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება აღწერილი ფაქტებისადმი), მოსაუბრის ფიზიკური მდგომარეობა (დაღლილობა, არა დაღლილობა), აუდიტორიის ხასიათი (ორატორისადმი დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება, გაგების ხარისხი, სმენადობა), იმ საგნების ქონა ან არქონა, რომლებსაც ეხება საუბარი და ა. შ.

ბევრი მეცნიერი სვამს კითხვას: შესაძლებელია თუ არა ინტერფერენციისგან სრული განთავისუფლება? ცხადია, რომ ორენოვნების საწყის ეტაპზე ინტერფერენცია ბილინგვის ენაში გარდაუვალია. ეს მოსალოდნელია მაშინაც, როცა ბილინგვი უკვე კარგად ფლობს უცხო ენას. მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ენის კარგად შესწავლის შემდეგ ბილინგვი

განთავისუფლდეს ინტერფერენციისაგან. ჩვენმა დაკვირვებამ ბილინგვების მეტყველებაზე აჩვენა, რომ ინტერფერენციის საბოლოოდ მოცილება შესაძლებელია.

ძალიან საინტერესო შედეგები მივიღეთ შერეულ მეტყველებაზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად. აღმოჩნდა, რომ შერეული მეტყველება არამშობლიურ ენაზე აიხსნება ამ უკანასკნელის ცუდი ცოდნით და მოუხერხებელი გამოყენებით, ხოლო შერეული მეტყველება მშობლიურ ენაზე აიხსნება იმით, რომ კონტროლი მეტყველების სისუფთავეზე მოდუნებულია დამაბული ყურადღების გამო, რომელიც აღენიშნება არამშობლიურ ენაზე მოსაუბრეს. ზოგიერთი ბილინგვი მშობლიურ ენაზე მეტყველებას ავსებს არამშობლიური ენის გამონათქვამებით, რის შედეგადაც ვიღებთ შერეულ მეტყველებას. შერეული ენის წარმოქმნა ორი ენის ურთიერთქმედების შედეგია. ლ.ვ. შჩერბა წერდა: “ორენოვან ხალხებს, რომლებიც ორივე ენას ერთდროულად იყენებენ უვითარდებათ ერთიანი ენა, რომელშიც თითოეულ მნიშვნელობას შეესატყვისება გამოხატვის ორი საშუალება, გამოყენებული ერთი მეორის მაგიერ.”[6]

ჩვენ ვაწარმოებდით დაკვირვებებს მორფოლოგიის სფეროშიც. აღმოჩნდა, რომ ურთიერთმოქმედი ენების მორფოლოგიური სისტემები ექვემდებარება “გამარტივებას”. ურთიერთმოქმედი ენების მორფოლოგიური სისტემები მდიდრდება მორფოლოგიური ელემენტების პირდაპირი დასესხებით სხვა ენებიდან. განსაკუთრებით ფართო ხასიათი აქვს სიტყვის მწარმოებელი მორფემების დასესხებას. მაგრამ ზოგიერთ ექსტრალინგვისტურ პირობებში ადგილი აქვს სიტყვაშეცვლითი მორფემების დასესხებას. ურთიერთ მოქმედი ენების მორფოლოგიური სისტემები გავლენას ახდენენ ამ სისტემების სხვადასხვა ელემენტების განვითარებაზე.

გრამატიკული აგებულების ყველაზე შედწევადი მხარეა სინტაქსი. ეს განპირობებულია სინტაქსის მჭიდრო კავშირით აზროვნებასთან.

ქართული, რუსული, იტალიური და სხვა ენების ურთიერთქმედების პროცესის შედეგების ანალიზის დროს სინტაქსის სფეროში დაკვირვებამ აჩვენა, რომ ადგილი აქვს უცხო ენაზე წინადადებების აგების მოდელების პირდაპირ გადმოღებას, ასევე ისეთი ენობრივი ერთეულების გადმოღებას, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან სინტაქსურ კავშირებს. ასევე ხდება ირიბი ზემოქმედება ენების სინტაქსურ აგებულებაზე. ორი გრამატიკული მოდელის ინტერფერენციის დროს ჩვეულებრივ მოქმედებს ერთი მოდელი, რომელიც იყენებს შედარებით თავისუფალ და ინვარიანტულ მორფემებს თავის პარადიგმაში. ეს არის უფრო ექსპლიციტური მოდელი, რომელიც მისაბამ მაგალითად გამოიყენება. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ სეპირ-უორფის მეტად საინტერესო ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც აზროვნების ხასიათი და სინამდვილის აღქმის ხასიათი განისაზღვრება ენით. შესაბამისად, აზროვნებას არ შეუძლია შეასრულოს დამაკავშირებელი რგოლის როლი ენების ურთიერთქმედების პროცესში. ამ ჰიპოთეზის მიხედვით სუფთა ბილინგვიზმის ფაქტი გულისხმობს ერთი და იგივე ადამიან ბილინგვში ორი ტიპის აზროვნების არსებობას. ლ.ვ. შჩერბას მიერ გამოყოფილი იყო ორენოვნების დროს ადამიანის ტვინში ენების არსებობის ორი სახეობა. პირველ სახეობაში ორივე ენა წარმოქმნის ასოციაციების ორ ცალკეულ სისტემას, რომელთა შორის არ არის კონტაქტი. ასეთი ორენოვნება წარმოიქმნება მაშინ, როცა მეორე არამშობლიური ენა შეისწავლება უშუალოდ, პირდაპირი მეთოდით, მშობლიური ენის დაუხმარებლად, ე.ი. მშობლიურიდან უცხო ენაზე და პირუკუ თარგმნის გარეშე. ინდივიდში ენების არსებობის მეორე სახეობა ორენოვნების დროს წარმოიშობა ენის არაპირდაპირი მეთოდით სწავლების დროს. შედეგად ორი ენა წარმოქმნის გონებაში ასოციაციების ერთ სისტემას[5]. თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკაში გამოიყოფა ბილინგვის ენობრივი სისტემების თანაარსებობის ასევე ორი სახეობა. კერძოდ: კოორდინაციული ენობრივი სისტემები და შერეული ენობრივი სისტემები. ბილინგვის ენობრივი სისტემებიდან ერთ-ერთი არსებობს მის ტვინში ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმის სახით, რომელიც მოიცავს ცოდნას, ჩვევებს, შესაძლებლობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მეტყველების წარმოქმნისა და აღქმის შესაძლებლობებს. ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმების ურთიერთქმედებას ადგილი აქვს

ბილინგვის ენობრივი სისტემების მეორე სახეობის არსებობაში (შერეული ენობრივი სისტემები). ასეთ დროს წარმოიქმნება შერეული ენა ორი ტერმინით.

ქართული, რუსული, იტალიური და სხვა ენების ურთიერთქმედების პროცესის შედეგების ანალიზის დროს გამოიკვეთა, რომ ენების ურთიერთქმედება ორენოვნების დროს ხდება მათი ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმების ურთიერთქმედების განსაზღვრული კანონზომიერების საფუძველზე. ეს ნიშნავს იმას, რომ, უფრო მეტად მდგრადი ჩვევები და საშუალებები, რომლებიც ერთი ენის ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმების კომპონენტებია, ჩაანაცვლებს ნაკლებად მდგრად ჩვევებს და საშუალებებს, რომლებიც ბილინგვის მეორე ენის ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმების კომპონენტებია.

ბილინგვიზმი შეიძლება სხვადასხვა მხრიდან განვიხილოთ. აქედან გამომდინარე არსებობს სხვადასხვა კლასიფიკაცია: ბილინგვიზმი არის დისტალური, პროქსიმალური, აქტიური, პასიური, ნორმატიული, არანორმატიული, მიზნობრივი, საყოფაცხოვრებო, ინდივიდუალური, ჯგუფური, მასიური, მთლიანი და ა.შ. ჩვენ ვიკვლევდით საყოფაცხოვრებო ბილინგვიზმს ექსპერიმენტებისა და დაკვირვებების საშუალებით. ასეთი ბილინგვიზმი გამოირჩევა ორივე ენაზე შედგენილი მთლიანი ფრაზებისა და გამონათქვამების გამოყენებით ერთი წინადადების ფარგლებში. მაგ, წინადადების ერთი ნაწილი ქართულია, მეორე – რუსული.

მაგ.: Приходите, ჩვენ სახლში ვართ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ძალიან საინტერესოა საყოფაცხოვრებო ბილინგვიზმზე დაკვირვება, რომელმაც აჩვენა, რომ ინტერფერენციის შედეგად ხდება მეორე ენის მოდელის მოდიფიკაცია, ანუ მშობლიური ენიდან მეორე ენაზე წინადადების აგებულების და სიტყვათა შეთანხმების მოდელის გადატანა.

მაგ., Телефонгдестоит? ნაცვლად, Гдетелефон?

Онамылабелье ნაცვლად, Онастиралабелье. Он пиллекарство, ნაცვლად, Онприняллекарство.

რუსი დედა ეუბნება თავის ბილინგვ გოგონას იტალიურ-რუსულად: Dolcevkუსный (მხედველობაში აქვს ნამცხვარი)

გაბრიელა კი უსწორებს: Dolcevkუსное

ამ შემთხვევაში ბავშვის კომენტარი ასახავს გრამატიკული ნორმების გააზრებულობას და ბავშვის მისწრაფებას „სწორი“ გრამატიკისკენ.

მარია ამბობს: мама – игратель (დედა უკრავს პიანინოზე), я – слушатель.

ამ მაგალითში კარგად ჩანს ენაზე მოქმედი რეფლექსიის გამოვლინება. ხდება სიტყვების შედგენა ენაში რეალურად არსებული მოდელის მიხედვით.

ბავშვები ასევე ცდილობენ შეადგინონ სიტყვები იტალიურ ენაში არსებული მოდელის მიხედვით

მარია ამბობს: Quandoil sposamento (ნაცვლად matrimonio) diAnna?

sposamento (ანალოგიურად pagare (გადახდა) – pagamento – sposare

(დაქორწინება) – sposamento ნაცვლად, matrimonio (ქორწილი).

მეტად საინტერესოა, როგორ განისაზღვრება შერეულ ოჯახებში მშობლიური ენის ცნება. ასეთ ოჯახებში ბავშვი დაბადებიდან ბილინგვია. ის სისტემატიურად ორ ენაზე მეტყველებს. ჩვენ ვაკვირდებოდით სხვადასხვა ენობრივი წყვილებით წარმოდგენილ ბილინგვიზმს შერეულ ოჯახებში. რომელია მათთვის მშობლიური ენა? მშობლიური ენის მეცნიერული განმარტება ასეთია: მშობლიურია ის ენა, რომლითაც ადამიანი ან ადამიანთა კოლექტივი თავისუფლად და აქტიურად სარგებლობს ცხოვრების ყველა შემთხვევაში; რომლის დახმარებითაც ისინი ადვილად გამოხატავენ ნებისმიერი შინაარსის ფიქრებს, ანუ, რომელზედაც ისინი ფიქრობენ. დაკვირვებებმა აჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევაში ბილინგვები “ფიქრობენ” დედის ენაზე, რადგან ოჯახური ბილინგვიზმის პირობებში, უფრო ხშირ შემთხვევებში, დომინირებს ის ენა, რომელზედაც დედა მეტყველებს.

დასკვნები:

1. ინტერფერენციის შედეგად ხდება მეორე ენის მოდელის მოდიფიკაცია, ანუ მშობლიური ენიდან მეორე ენაზე წინადადების აგებულების და სიტყვათა შეთანხმების მოდელის გადატანა
2. ბილინგვის ერთი და იგივე გამონათქვამი სხვადასხვა ენაზე იძენს თითოეული ენისთვის შესაბამის გრამატიკულ გაფორმებას, რომელიც განსხვავდება ფრაზების აგებულების სირთულით და სიგრძით.
3. მორფოლოგიის სფეროში დაკვირვებამ აჩვენა, რომ ურთიერთ მოქმედი ენების მორფოლოგიური სისტემები ექვემდებარება “გამარტივებას”.
4. ბილინგვი მონოლინგვზე უკეთ ოპერირებს ენობრივი ფორმებით, ცვლის ერთ სიტყვას მეორეთი, და არ აქცევს ყურადღებას იმას, როგორ გავლენას ახდენს ეს სიტყვა მთლიანი ფრაზის შინაარსზე. სიტყვის ინტერპრეტაციის დროს მყარდება ასოციაციები, რომლებიც დამყარებულია ანალოგიებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადია ასოციაცია სიტყვის ძირის მიხედვით.
5. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი მეტალინგვისტურ ცოდნასა და ბილინგვის ზოგად კოგნიტიურ განვითარებას, სწავლების პროცესსა და ორენოვნებას შორის, ასევე გამოიკვეთა, რომ ბილინგვიზმი დადებით გავლენას ახდენს შემეცნებით განვითარებაზე და სწავლის ეფექტურობაზე. ეს ხდება იმის გამო, რომ შუალედური ცვლადის როლში, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ეს გავლენა, გვევლინება მეტალინგვისტური ცოდნა.
6. უმეტეს შემთხვევაში ბილინგვი ბავშვები “ფიქრობენ” დედის ენაზე, რადგან ოჯახური ბილინგვიზმის პირობებში, უფრო ხშირ შემთხვევებში, დომინირებს ის ენა, რომელზედაც დედა მეტყველებს
7. ქართული, რუსული, იტალიური და სხვა ენების ურთიერთქმედების პროცესის ანალიზის დროს სინტაქსის სფეროში დაკვირვებამ აჩვენა, რომ ადგილი აქვს უცხო ენაზე წინადადებების აგების მოდელების პირდაპირ გადმოღებას, ასევე ისეთი ენობრივი ერთეულების გადმოღებას, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან სინტაქსურ კავშირებს. ასევე ხდება ირიბი ზემოქმედება ენების სინტაქსურ აგებულებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.Беликов И.В., Крысин Л.П.(2016), Социолингвистика. – М.: Изд-воЮрайт, – 337 с
- 2.Матусевич. М.И. Введение в общуюфонетику., (1949), Л. стр. 76
3. Протасова, Е. Ю., Родина Н. М. (2010),
МетодикаразвитияречидвухязычныхдошкольниковИздательство: «Владос»
4. Протасова, Е.Ю. Родина, Н.М (2011), Многоязычие в детскомвозрасте, СПб.
5. Щерба Л.В.(1958), Избанныеработыпоязыкознанию и фонетике, т.1 Л., стр. 49
6. Щерба Л.В.(1958), Избанныеработыпоязыкознанию и фонетике, т.1 Л., стр.7
7. Щерба Л.В. (1974),О понятииисмешенияязыков, Языковаясистема и речеваядеятельность. Л., стр.47-49
- 8.Fishman.I. (1966),Theimplicationsofbilingualismforlanguageteachinglenguagelearning.
“trendsinlanguageteachinged. byA.Boltman., p 122-123
9. Psycholinguistics, (1965),IndianaUniversityPress. Blomington-London, p. 139-142
- 10.Weinreich. U.(1953),Lenguagesincontact.N.Y. p 1
- 11Weinreich. U. (1953),Lenguagesincontact. N.Y. p 16

Medea Metreveli

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Research of Interaction of Languages on Speech level

Abstract

Bilingualism begins when the quality of knowledge of the second language approaches the quality of knowledge of the first language. We investigated the phenomenon of intonational interference in

the conditions of Russian-Georgian bilingualism. Very interesting materials were obtained as a result of observations of mixed speech. After analyzing the results of the process of interference between the Georgian and Russian languages in the field of syntax, we can conclude that there is a direct transfer of models of speech construction in a foreign language. Studies conducted in the field of household bilingualism have shown that as a result of interference, a second language model is being modified.

Keywords: bilingualism, interference, foreign language, psycholinguistics, substratum.

საკვანძო სიტყვები: ბილინგვიზმი, ინტერფერენცია, უცხო ენა, ფსიქოლინგვისტიკა, სუბსტრატი.

რამაზ (ისაკო) მეფარიშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

„ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობისათვის

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ უწინარესად მხატვრული ნაწარმოებია და მისი განხილვისას ამ თვალსაწიერიდან უნდა ამოვდიოდეთ. პოეტის აზროვნების უმთავრესი მახასიათებელი მხატვრულ სახეთა ხედვაშია. ეს პოეტური აზროვნების ერთ-ერთი მხარე კი არაა, არამედ მთელი მისი აზროვნების საფუძველი.

პოეტს მხატვრული თვალთახედვა შეაქვს ისეთ სფეროებში, რომლებიც დოგმატიზმს და კატეგორიულობას უპირისპირდება. შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ დოგმებზე მაღლა დგას. მას არაფერი აქვს საერთო ლოგიკასთან, არ ცდილობს რამეში დაგვარწმუნოს. პირიქით, ადამიანისაგან შნაგან თავისუფლებას ითხოვს, რომ მის მხატვრულ სამყაროში შეაღწიოს.

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი ასე იწყება: „რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა, ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა, მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“. (შ.რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“, 1986, გვ.9).

„რომელმან“ განუსაზღვრელი ნაცვალსახელია და მასში ღმერთი იგულისხმება. პოეტისათვის იმდენად ამაღებული, მოკრძალებულია ღმერთი, რომ მას დასაწყისში სახელდებით არ მიმართავს (ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს დასაწყისს), რაც ქრისტიანული თავმდაბლობითაა გამოწვეული.

ძნელად მოიპოვება მსოფლიო ლიტერატურაში პოეტი ოთხ სტრიქონში, რომ ჩაეტია ძველი აღქმის წიგნი, დაბადება. არაფერია ძველ აღქმაში ისეთი, რომელიც ახალ აღქმაში არ იყოს გაცხადებული. ამ აზრს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ზემოაღნიშნული სტროფის გააზრებისას. ძველი აღქმა კანონია, ახალი სულთმოფენა. ორივე ერთად მთლიანობა, რომელიც ერთურობისკენ მიემართება.

„რომელმან“ (ღმერთმა) შექმნა სამყარო მყისიერად. გრიგოლ ღვთისმეტყველის თანახმად, ღვთის ნება მყისვე საქმედ იქცევა. მყისიერი შესაქმე თანდათან ყალიბდება, ოღონდ მოხსნილია დროის ქრონოტიპი. ამიტომაცაა რუსთაველისათვის სამყაროს შექმნა მყისიერი. შესაქმე ერთნაირად მოიცავს, როგორც ზეციურ ძალებს, ისე მთელ ხილულ სამყაროს.

ღმერთი თვალშეუდგამი ნათელია: „პირველი და უზეშთაესი ნათელი ღმერთი არს, რომელსა ვერცა გონებაი მოუწუდების, ვერცა ენაი გამოიტყვის“ (Gregorii Warianreniopera, versio, iberieav. Oratiores XXXXIX, XL, 2007. გვ. 132-134).

ღმერთმა, ვითარცა თვალშეუდგამმა ნათელმა თავადვე შექმნა ნათელი. თუ არსებობს თვალშეუდგამი ნათელი, არსებობს მასზე დამოკიდებული ნათელი, ნათლის ნათელი. სწორედ ეს შექმნა ღმერთმა „ძალითა მით ძლიერითა“. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, თუ ნათელი არსებობს რაღა საჭირო იყო კვლავ ნათლის შექმნა. მაგრამ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ მასზე დამოკიდებულ ნათლის შექმნაზე საუბარი. უფრო ნაკლებ ნათელზე. დიდი ნათელი ღმერთია, რომელსაც შესაძლოა პირობითად „პირველი ნათელი“ ვუწოდოთ. ამის შემდეგ შემოდის „ზეგარდმო არსნი სულითა“. ეს არის ანგელოზთა სამყარო, ანუ მეორე ნათელი. ისეთი ნათელი, რომელიც პირველი ნათლობს.

„ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა“ ეს არის ანგელოზთა სამყარო, რომელიც ხილულად აღიქმება. „რამეთუ კაცსა ნათლად უწოდებენ ძალისა მისთვის სიტყვისა მის, რომელ არს ჩვენ შორის და ჩუენგანნიცა (Gregorii Warianreniopera, versio iberieav. Oratiores XXXXIX, XL, 2007.gv. 122-131). თვალშეუდგამი ნათელი სამი დღე ნათლობდა. ეს არის „ბიბლიური ნათელი“. შესაძლოა ის ასე დავაწყვილოთ: „რომელმან“ = ღმერთს, „ზეგარდმო არსნი სულისა“ = ანგელოზებს, „კაცთა მოგვცა ქვეყანა“ = ადამიანს.

სამი დღე იქმნებოდა ნათელი. ეს ნათელი ჩანს პროლოგის 1-ელ სტროფში, რაც ხომ არ გვაძლევს იმის საშუალებას, რუსთაველი ამით სამებაზე მიგვანიშნებდეს. თუ ამ აზრს დავუშვებთ, მაშინ მეორე სტროფში ხაზგასმა ერთის რისი მაუწყებელი უნდა იყოს? „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა“. მივაქციოთ ყურადღება ამ უკანასკნელს „სახე ყოვლისა ტანისა“.

ღმერთმა ყოველი სახე შვიდ დღეში შექმნა. სამი დღე ნათელს მოანდომა. პირველი ნათელი თავიდანვე არსებობს (ბუნებუთი ნათელი), მეორე ნათელი „არსნი სულისა“ (ანგელოზები), „კაცთა მოგვცა ქვეყანა“ (ადამიანი, არამატერიიდან გონიერი მატერიის შექმნა). მაგრამ სანამ „კაცთა“ (ადამიანი) შეიქმნებოდა, იყო სხვა რამ. კერძოდ, მნათობების შექმნა, შემდეგ ფრინველები ცაში, თევზი წყალში. ამას მოსდევს ცხოველთა სამყარო და ბოლოს ადამიანი. რუსთაველთან ეს თანმიმდევრობა დარღვეულია, რაც შემთხვევითი ნამდვილად არ გახლავთ.

მეოთხე დღეს, როგორც აღვნიშნეთ იქმნება მზე, დიდი მნათობი, „დღის მოთავედ და მბრძანებლად“ (დაბ.1,16). ასევე მთვარე და ვარკვლავები. ამ მნათობებში ღმერთმა დააუნჯა პირველქმნილი სინათლე, რადგან სინათლეს ესინათლა. იოანე დამასკელი აღნიშნავს, რომ „მნათობი არის სინათლის ჭურჭელი“ (იოანე დამასკელი, მართლმადიდებელი სარწმუნოებებისათვის გვ.350).

პირველი სტროფის მეოთხე სტრიქონში რუსთაველი წერს: „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“. მეოთხე დღეს ღმერთი ქმნის „სინათლის მატარებელს, იგივე სინათლის ჭურჭელს. აქედან გამომდინარე „ხელმწიფეში“ თამარ მეფეა ნაგულისხმები. პოემაც ხომ მისადმი მიძღვნილი, მისი ქებათა-ქებაა. რატომ პირველსავე სტროფში არ უნდა ეხსენებინა იგი პოეტს?! მერე რა რომ დაბადებაზეა საუბარი, მერე რა რომ სახელით არ იხსენიებს, როგორც ხელმწიფეს. „სახითა მის მიერითა“. ე.ი. უფალს მიმსგავსებულს, განა რუსთაველი სხვაგან იცავს სწორხაზოვნებას აზროვნებაში, იერარქიის გააზრებისას თუ ამა თუ იმ მოძღვრების მოყვანის დროს. არსად არ იცავს და რაღა მაინცდამაინც პირველ სტროფში, დასაწყისში დაიცავდა. ვერსად პოემაში ვერ შევძლებთ მის რომელიმე კონკრეტულ დებულებამდე დაყვანას. გიშვებს ახლოს და გშორდება. ეს მისი გენიალურობაა.

ქართულმა ეკლესიამ თამარი IV ჰიპოსტაზად შერაცხა და წმინდანთა იერარქიაში ყველაზე მაღალი ადგილი მიუჩინა, მაგრამ სანამ ეკლესია ამას გააკეთებდა, მხატვრულ აზროვნებაში შოთა რუსთაველმა თამარის სიცოცხლეშივე შეძლო. იქნებ ეს წინსწრება აზროვნებაში (მხედველობაშია მხატვრული) გახდა კლერიკული ეკლესიისათვის ერთ-ერთი მიზეზი მისი დევნის. მათთვის მიუღებელი იყო არა მხოლოდ თავისუფალი აზროვნება, დოგმათაგან გადახვევა, არამედ პირველობის არ დათმობის სურვილი. საწუხარი ის არის,

რომ რუსთაველს ღვთისმშობლის უხრწნელობაც დააბრალებს და ყოვლად უღირსი ხერხებით ებრძოდნენ შემოქმედებით სულს.

პოემაში მუსლიმანური სახელმწიფოებია გამოყვანილი და გასაკვირია პოეტს სთხოვდეს სამების აღნიშვნას. რუსთაველმა აღნიშნა სამება, ოღონდ შეფარვით, მხატვრულ სახეთა განფენილობაში. ამის შესახებ გრიგოლ ნოსელი წერდა: „ერთსა და იმავე აზრში ერთი ისტორიის კმაყოფილდება, მეორე სახილმეტყველებით მნიშვნელობას ეძიებს, ხოლო მესამე სახეობის გზით მჭვრეტელობით შემეცნებულობას ეწაფება“. (PC.t. 56 co(429-512)). სახილმეტყველება, სახეებით მჭვრელობა სჭირდება სამების დანახვას ვეფხისტყაოსანში“, რომლისკენაც სამწუხაროდ XIII-XVIII საუკუნეებისას ქართული ეკლესია არ წავიდა, რისი დასტურიცაა შემდეგი სიტყვები: 1) ჟამთააღმწერელი, რომელიც ბერის მიერაა შედგენილი: „რუსთველი ყოვლად უღირსი თვისებებით შემკული“. 2) ანტონ კათალიკოსი: „ამაოდ დაშრა, საწუხ არს ესე“. 3) ტიმათე გაბაშვილი: „ბოროტ ლექსთა მთქმელი“. ერთადერთი ვახტანგ VI-მ დაინახა XVIII საუკუნეში მასში საღვთო და საერო მიმართებანი.

დავუბრუნდეთ სათქმელს. შოთა რუსთაველი შესაქმეს თავისებურად იაზრებს და ნუმერაციის გადაადგილებას ახდენს. ჯერ ვნახოთ ძველი აღქმისეული დაბადების სქემა: 1) ნათელი 2) ზეცა 3) წყლისა და ხმელეთის გაყოფა 4) მნათობები 5) ცაში ფრინველი და წყალში თევზი 6) ცხოველთა გაჩენა 7) ადამიანი.

რუსთაველის სქემა: 1) ნათელი 2) ზეცა (ანგელოზები) 3) ქვეყანა, კაცი (ქვეყანა ის სფეროა, სადაც ადამიანი ცხოვრობს, უთვალავი ფერის შემცველი) ამიტომაც ქვეყანასთან მოიაზრება ადამიანი „სახე და ხატი ღვთისა“. 4) ხელმწიფე (ძლიერი მნათობი) მეხუთე, მეექვსე დღეებს არ ასახელებს, რადგან „უთვალავ ფერში“ აქვს ნაგულისხმები. ეს გასაგებიცაა, მისთვის სამყარო აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთითაა საგულვებელი. როგორც ვხედავთ, ახდენს რიცხვთა შემცირებას არა „ექვსა დღეთათვის“, არამედ „ოთხთა დღეთათვის“. ეს მას შორს მიმავალი მხატვრული აზროვნებისათვის სჭირდება, რომელშიც ჩადებული აქვს თამარ მეფის განსაკუთრებულობის ჩვენება. რაში გამოიხატება ეს? რუსთაველის „ხელმწიფის“ ადგილი ბიბლიაში „მნათობს“ უჭირავს. „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისის მეოთხე სტრიქონში, პირობითად მეოთხე დღეს „ხელმწიფეს“, იგივე თამარს, როგორც „სინათლის ჭურჭელს“. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მესამე სტროფი ასე იწყება: „ვის შვენი ლომსა ხმარება შუბისა ფარ-შიმშერისა“ (შ.რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, 1986, გვ.9). ამას მოსდევს მეოთხე სტროფში: „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული“ (შ.რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, 1986, გვ.9). ვფიქრობთ, ღმერთის შემდეგ მოსალოდნელი იყოს თამარის ხსენება, მაგრამ „ლომში“ დავითია ნაგულისხმები. აქედან გამომდინარე, იერარქიული ესთეტიკის საფუძველზე თამარს არ ეკუთვნოდა პოემის დასაწყისში მეოთხე ადგილი, მეოთხე სტროფის პირველი სტრიქონი, იგი პირველი სტროფის მეოთხე სტრიქონშია „ხელმწიფის“ სინონიმი.

რუსთაველმა სამყაროს შექმნა შესაქმნისაგან განსხვავებით ოთხ დღეში დაასრულა. ამ ოთხ დღეს თავისი სიმბოლური ახსნა აქვს. ოთხი მთლიანობის სიმბოლოა, ყველაფერი ოთხს ეყრდნობა, ადამიანშივეა ოთხი (ცეცხლი, წყალი, მიწა, ჰაერი), დანარჩენში ორია. ეს ოთხი ერთმანეთში გადადის. მიწა - ადამიანის სხეული (ყველაზე მძიმე), წყალი - ადამიანის სისხლი (უფრო მსუბუქი), ცეცხლი - ადამიანის სითბო (კიდევ უფრო მსუბუქი), ჰაერი - სუნთქვა (უმსუბუქესი). მართალია, ისინი უპირისპირდებიან ერთმანეთს, მაგრამ არა ისე, რომ რომელიმე სჭარბობდეს ერთურთს. ეს ოთხეული ქმნის მთლიანობას.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ დასაწყისში „ღმერთი“, „არსნი“, „კაცნი“ შესაძლოა სამებას მოიაზრებს, ხოლო „ხელმწიფე“(თამარი). ტრიადოლოგიასთან ახლოს მდგომი, ოღონდ არა ტრიადოლოგიაში შესული, სამებას მიახლოებული. ამ აზრს არსებობის უფლება აქვს, თუ გავითვალისწინებთ თამარ მეფის დამსახურებას ქართველი ერის წინაშე, რომლის სახელი ლეგენდებშია გაშინაარსებული.


საქართველოში უამრავი ლეგენდაა. მოვიყვანოთ ერთერთ მათგანს: მესხეთში დღესასწაულის დამთავრების შემდეგ გაიმართა ჯირითი, სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრი.

მეფე ესწრებოდა ამ სანახაობას. უეცრად თამარ დედოფალი გამოეყო დიდებულებს და ღიმილით თავზე ოქროს თასი დაიდო. შემდეგ ღიმილითვე გასცა ბრძანება რომელი დიდებულთაგანი მშვილდ-ისრით ჩამოაგდებდა თასს. ყველა დადუმდა, სამიზნე თამარი იყო. გაოგნებულთაგან მხოლოდ ერთი დიდებულა არ გახლდათ, რომელმაც ოქროს თასი დედოფლის თავიდან ჩამოაგდო. მოკრძალებით, მუხლმოყრით მიეახლა მას და თასი გადასცა. ეს შოთა რუსთაველი იყო. თითქოსდა აქედან დაიწყო მათი სიყვარული, ეს მხოლოდ და მხოლოდ ლეგენდაა, სხვა რაიმე საბუთი მათი სიყვარულის შესახებ არ არსებობს. ლეგენდაც იმიტომ არის ლეგენდა, რომ შეგვიძლია დავიჯეროთ და შეგვიძლია არა. პოეტიც ხომ მრავლისმეტყველად ამბობს: “მომეც მიჯნურთა სურვილი”.

ყველა პირობა არსებობს იმისთვის, რომ შოთა რუსთაველს ქებათა-ქებით წარმოეჩინა თამარ დედოფლის სახე. ეს მან შესძლო.

პოემის დასაწყისის პირველ სტროფში, როცა თამარი სამებას მიუახლოვა და შემდგომ განავრცო მთელ ქმნილებაში.

რუსთაველისეული სურათი სამების და თამარის IV ჰიპოსტაზობისა სქემატურად შეიძლება ასე გამოვსახოთ:



ნათელი, სამყარო იმდენაა მამა ღმერთი, რამდენადაც მისგან შეიქმნა ყოველი „ძალითა მით მიერთია“.

ზეცა, ანგელოზები ძე ღმერთია, რამეთუ „ყოველი ყოველთა შორის“ პრინციპის საფუძველზე ყოველი ღმერთშია და მისგან მოდის.

კაცი, ქვეყანა (მრავალი ფერით) სულიწმინდითაა გამოვლენილი ღმერთში, რამეთუ ადამიანი შექმნა „სახედ და ხატად მისად“.


„ხელმწიფე“ (თამარი) „სინათლის ჭურჭელი“ ღმერთის თავისთავში დამტევი და სახიერებით მიმსგავსებული მას.

„ჰე ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა“. „ღმერთო ერთო“ ეს გახლავთ ყველაზე დიდი ბრალდება შოთა რუსთაველისადმი კლერიკული ეკლესიისაგან. რატომ „ერთი“ და არა „სამი“. ეს მაშინ, როცა ამ ეპოქის პოეზიაში სამების ჰიპოსტაზის აღნიშვნა არა მხოლოდ ჩვეულებრივი, არამედ სავალდებულო გახლავთ. ამით ხომ ხაზი ესმებოდა ქართველთა დიოფიზიტობას. ინტერესმოკლებულნი არ ვიქნებით თუ იოანე პეტრიწის თვალთახედვას შევიტანთ ამ საკითხში.

როგორ შეიძლება ერთი იყოს სამი და სამი ერთი? იოანე პეტრიწი სამების ერთიანობას ქართული სიმღერის პოლიფონიურობის ფონზე ხსნის. ერთი და მთლიანია ქართული სიმღერა, მაგრამ შედგება სამი ხმისგან. პირველი, ძველ ქართულად მზახრ - (მამა ღმერთი), ჟირი - (ძე ღმერთი), ბამი - (სულიწმინდა). მართალია სიმღერა სამი ხმისგან შედგება, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ სიმღერა სამია, სიმღერა ერთია. ამდაგვარია სამებაც და აქედან გამომდინარეობს მისეული ფორმულა 1=3=1.

ამ სამყაროში ყველაფერი ერთზე დადის. ათიც, ასიც და მილიონიც ერთია. რასაც კი გარშემო ვხედავთ რაღაცის სახეა. არაფერს, რასაც სახე არა აქვს უხილავი „ერთია“, ანუ იგივე ღმერთი. აქედან იწყება სხვა სახეები: ხატი, ხატის ხატი და ა.შ. ასეთი ფიქრი სასწაულია. ამას იდუმალეებისაკენ მივყავართ და „ადამიანს ვერანაირი აზრი ვერ შველის, ასეთ დროს კაცობრიობის საყრდენი ხდება მშვენიერება, როგორც საფუძველი დაპირისპირების მოსპობისა და ყოვლადმომცველის დასადგურებისა. ადამიანმა საკუთარ „მე“-ში უნდა ეძებოს ღმერთი, რომელიც სულითა და ხორციტ განიცდება. აქ სული ქრისტიანულია, სხეული ანტიკური და ხდება მორიგება ამ ორი დიდი სამყაროსი“ (რ.სირამე, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, 1987, გვ.128). ამ ნეოპლატონურ მოძღვრებას კარგად იცნობდა შოთა რუსთაველი.

პოეტს კარგად ესმის, რომ ღმერთის საკუთარ შინაგან სამყაროში არსებობა ადამიანის პიროვნებად გახდომის საწინდარია. სწორედ ის „ერთი“ (ღმერთი) „არ დაბადებს ბოროტებას“. არეოპაგიტის კვალობაზე თუ ვიტყვით, ღმერთი ყველაფერშია გამოვლენილი და არ არსებობს სუბსტანციაში ბოროტება, არსებობს სიკეთის ნაკლებობა. ეს შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ; ჰორიზონტალურ ხაზზე სიდიდის მიხედვით განვალაგოთ წერტილები:



ამ გადასახედიდან პატარა წერტილი ბოროტება გვგონია. ეს ბოროტება კი არის სიკეთის ნაკლებობა, სიკეთესთან დაშორება და ის პატარა წერილიც ესწრაფვის დიდ წერტილად ქცევას, რადგან ღმერთს ბოროტება არ შეუქმნია.

იოანე პეტრიწი „ერთ“-ში სამებას ხედავს და ტრიადოლოგიას ქართული სიმღერით იაზრებს. ეს არცაა ახსნა, ეს სახიმეტყველებაა, ესთეტიკაა, რაც მხოლოდ სულით შეიმეცნება. რუსთაველი კი ამის საშუალებას ნამდვილად იძლევა, რადგან თავისუფალ აზროვნებაშია მისი სიღრმე.

Ramaz (Isako) Meparishvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Poem - worldview "Knight in the Panther's Skin"

Abstract

Shota Rustaveli completed the creation of the universe in four days, unlike God (Genesis). These four days have their own symbolic explanation. The four is a symbol of integrity, everything is based on four, four -on a man (Fire, Water, Earth, Air), and for the rest - only two. These four are moving towards each other: the earth of the human body, the water of human blood, the fire of human warmth, the air of human breathing. It is true that they oppose each other, but do not need anyone.

Key words: the World, the Light, the Trinity, the Lord

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო, სინათლე, სამება, უფალი

ბაკალავრიატი Semasmenlis swavlebis meTodika

winadadebis mTavar wevrTa swavleba bakalavriatSi damuSavebuli ar aris. dRes, rodesac sajaro skolaSi qarTuli enisa da literaturis swavleba integrirbulad mimdinareobs, skolis direktorisა da maswavleblis keTil nebazea damokidebulი, იგი დაუტმობს Tu არა gramatikის sakiTxebis swavlebas dros. skolaSi gramatikის swavleba sakmaod moikoWlebs, rasac umaRles saswavlebelSi leqcia praqtikუმეზე vawydebiT studentebTan muSaobis dros.

umaRles saswavlebelSi sintaqsis sakiTxTa swavlebas ramdenime welia vakvirdebiT, winadadebis mTavar wevrTa swavlebis TvalsazrisiT faqtobrivi mdgomareoba wliTiwlobiT uareseba, razec qvemoT motanili cxriliც miuTiTebს:

saswavlo weli	dakvirvebis qveS myof studentTa raodenoba	ver cnobs winadadebis mTavar wevrebs	%	ver cnobs winadadebis aramTavar wevrebs	%
1993/94	75	25	33	31	41
1996/97	70	27	38	33	47
1999/2000	105	46	43	49	46
2001/2002	100	48	48	58	58
2005/2007	90	48	54	56	62
2010/2011	90	57	63	55	61
2015/2016	175	77	44	85	48

Semasmenlis swavlebas wlebis manZilze vakvirdebodit da eqsperimentulad vikvlevdiT quTaisი აკაკი wereTlis saxelmwifo universitetis jer filologiis, Semdeg humanitarul mecnierებაTa da ganaTlebis fakultetebis qarTuli ena-literaturis, qarTuli ena literatura aRmosavluri enebis, dawyebiTi ganaTlebis specialობეის studentebTan. movaxdineT SemCneuli naklovanebebis fiqsireba, romlebic, Cveni azriT,tipiuria, zogadia qarTuli enis gramatikის swavlebis garkveuli etapisaTvis, movaxdineT varjiSobaSi arsebulი naklovanebebis ganzogadeba, rac gamarTlebulad migvaCnia.

Semasmenlis swavlebis ZiriTadi mizania, gaacnos studentebს Semasmenlis raoba da misi kiTxvebi, martivi da Sedgenili Semasmeneli, Sedgenili Semasmenlis saxeladi nawilis gadmocema, Sedgenili Semasmenlis zmnuri nawili.

sistemური დაკვირვებიT dasturdeba, rom morfologiიდან zmnis sxvadasxva kategoriaTa saTanadod Seswavla qmnis myar safuZvelს sintaqsis Sesaswavlად.

swavlebis procesze დაკვირვებამ გამოავლინა ის ნაკლოვანებეი და სიZნელები, რომლებიც ხელს uSlian Semasmenlis Segnebulad aTvisebas da saTanado praqtikuli Cvevebis gamomuSavebas:

a) studentebi, samwuxarod, arc Tu iSviaTad ver cnoben winadadebaSi Semasmenels, gansakuTrebiT uWirT Sedgenili Semasmenlis amocnoba.

b) Segvxvda iseTi faqtebic, rodesac studentTa arc Tu mcire nawili zogადad msjelobs Semasmenlis, rogorc winadadebis mTavari wevris Sesaxeb, magram ver axerxebს Semasmenels daukavSiros winadadebis mTavari wevrebi.

g) studentTa erTi nawili erTmaneTisagan ver arCevს meSveli zmnis Sekvecil formas (-a) da III subieqturi piris –a sufiqss.

A am xarvezebisა da Secdomis mizezi, upirveles yovlisa, swavlebis araswori organizaciaa, kerZod:

- 1) saskolo praqtikaSi Semasmenlis mxolod qvemdebareTan ricxvSi SeTanxmეის sakiTxს aswavlian;

- 2) safuZvlianad ar xdeba zmnis piriani formiT gadmocemuli Semasmenlisa da Sedgenili Semasmenlis erTmaneTisagan gamijvna; am sakiTxze ar mimdinareobs sistematuri da safuZvlani varjiSoba;
- 3) skolaSi moswavlem Segnebulad ver daiswavla, arasakmao varjiSobam ki codnis ganmtkiceba ver uzrunvelhyo;
- 4) umaRles saswavlebelSi saleqcio procesSi axsniT muSaoba sWarbobs masalis ganmtkicebas, rac ramdenadme xels uSlis studentTa mier masalis Segnebulad aTvisebas, codnis ganmtkicebasa da praqtikulad gamoyenebis SesaZleblobas;
- 5) axali masalis axsnis procesSi, zogjer Zveli masalis gamokiTxvis drosac mxolod ramdenime studenti aqtiurobs, ZiriTadi masa mxolod msmenelis rolSia da ar aris CarTuli saleqcio procesSi. yuradReba naklebad maxvildeba studentTa damoukidebeli unaris ganviTarebaze;
- 6) praqtikul mecadineobaze arasistematurad gamoiyeneba damatebiTi savarjiSo masala, TvalsCino didaqtikuri da swavlebis teqniki saSualebebi;
- 7) Sualedur gamocdebze daSvebuli Secdomebis gaanalizeba ar xdeba, ar mimdinareobs maTze msjeloba, rac SemdgomSi Secdomis daSvebis Tavidan acilebis saSualebad SeiZleba iqces.
- 8) Tavi da Tavi saskolo praqtikidan gramatikis swavlebis amoRebaa; faqtobrivad sajaro skolam uari Tqva Teoriuli gramatikis swavlebaze da igi mxolod ucxo enis msgavsad, praqtikul swavlebaze daiyvana.

Semasmeneli winadadebis mTavari wevria, romelic gamoxatavs sagnis moqmedebas, mdgomareobas, grZnobiT damokidebulebas erTi sagnisa meoresadmi, yola-qonebas, ra mosdis sagans? rogoria sagani? vin aris an ra aris sagani? Semasmeneli aseve pasuxobs kiTxvebze ras Svreba? razams? raqna? Dda sxv. zmna Semasmenels Sesabamisi mwkrivis, pirisa da ricxvis formiT Seewyoba.

Aamitom leqciaze unda ganvixiloT winadadebebi, romlebic zemoT CamoTvlili TanamimdevrobiT Seicaven Semasmenlebs:

1. nislebis jarebi **daesxnen** mTebis (k. gamsaxurdia).
2. **wevs** saqarTvelo vefxistavze mziwilxvdomili (S. niSnianiZe).
3. yvelaferi **miyvars**, rac ki Seni aris (m. maWavariani).
4. **maqvs** saqoneli uricxvi, vervisgan anawobebi (SoTaA rusTaveli).
5. siTbosgan rkina **farTovdeba**.
6. **tkbilia** Tqveni SarbaTebi... (akaki wereTeli)..
7. dito cnobili **eqimia** Cvens qalaqSi (r. WeiSvili.)
8. muxa**mcenarea** (i. gogebaSvili).
9. sul patara buCqis ZirSi Tvalebs **ifSvnets** ia-ia (Salva afixaiZe).
10. **Camohkravs** zarigaTenebisa (ir. abaSiZe).
11. **gasrulda** Cemi udaburi sulis wameba (ir. abaSiZe).

TiToeli winadadebidan unda gamovyoT Semasmeneli, gavarkvioT ras aRniSnavs igi da ra kiTxva daesmis mas:

daesxnen gamoxatavs moqmedebas da daesmis kiTxva ra qnes?

wevs gamoxatavs sagnis mdgomareobas da daesmis kiTxva ra mdgomareobaSia?

miyvars gamoxatavs grZnobiT damokidebulebas erTi sagnisa meoresadmi, da daesmis kiTxva ras Svreba?

maqvs gamoxatavs yola-qonebas da daesmis kiTxva ras vSvrebi?

farTovdeba gamoxatavs ra mosdis sagans da daesmis kiTxva ra mosdis sagans?

tkbilia Ggamoxatavs rogoria sagani da daesmis kiTxva rogoria sagani?

eqimia gamoxatavs vin aris sagani da daesmis kiTxva vin aris sagani?

mcenarea gamoxatavs ra aris sagani da daesmis kiTxva ra aris sagani? **ifSvnets** Semasmeneli pasuxobs kiTxvaze ras Svreba?

Camohkravs Semasmeneli pasuxobs kiTxvaze ras izams?

gasrulda Semasmeneli pasuxobs kiTxvaze ra qna?

Aamis Semdeg gavarkvevT, rom Semasmeneli orgvaria: martivi da Sedgenili. Mmartivia Semasmeneli, romelic zmnis urlebis formiTaa gadmocemuli:

1. **Srialebs** fexqveS foTlebis farCa (k. gamsaxurdia). ASemasmeneli **Srialebs** gadmocemulia zmnisI seriis awmyos wris awmyos mwkriviT.
2. mamulis cvar-nami gulze **epkureboda** (m. asaTiani). ASemasmeneli **epkureboda** gadmocemulia zmnis I seriis awmyos wrisuwvyvetlis mwkriviT.

3. **vxarobde** da **vgalobde** CemTvis (gr. abaSiZe). ASemasmenlebi **vxarobde** da **vgalobde** gadmocemulia zmnis I seriis awmyos wris awmyos kavSirebiTis mwkriviT.
4. baia **moileva**, mercxlebi **mofrindeba**, aluCac **damwifdeba** (k. gamsaxurdia). Semasmenlebi **moileva**, **mofrindebada** **damwifdeba** gadmocemulia zmnis I seriis myofadis wris myofadis mwkriviT.
5. Zelqvis xeebi aqa-iq Tu **gamoereoda** (m. asaTiani). ASemasmeneli **gamoereoda** gadmocemulia zmnis I seriis myofadis wris xolmeobiTis mwkriviT.
6. ex, wuTiT mainc **dabrundebodes** Cveni bavSvoba da silamaze (l. asaTiani). Semasmeneli **dabrundebodes** gadmocemulia zmnis I seriis myofadis wris myofadis kavSirebiTis mwkriviT.
7. ganTiadis iisfer nislIT daburul gzaze moulodnelad cxenis fexis xma **moisma** (m. asaTiani). ASemasmeneli **moisma** gadmocemulia zmnis II seriis wyvetilis mwkriviT.
8. **daedos** mtveri yvela did xsovnas, **daeces** iqneb, simagre yvela (ir. abaSiZe). ASemasmenlebi **daedos**, **daeces** gadmocemulia zmnis II seriis II kavSirebiTis mwkriviT.
9. arwivs frenaSi **gajibrebja** axlad aRnavlebuli marTve (k. gamsaxurdia). Semasmeneli **gajibrebja** gadmocemulia zmnis III seriis I TurmeobiTis mwkriviT.
10. Tavdac atmis yvavils **damsgavseboda** aprilis furclobaSi mosuls (k. gamsaxurdia). Semasmeneli **damsgavseboda** gadmocemulia zmnis III seriis II TurmeobiTis mwkriviT.
11. masarasodes enaxa ZaZas, mwuxarebas da ubralo samoss ase **gaemSvenierebinos** qali (k. gamsaxurdia). Semasmeneli **gaemSvenierebinos** gadmocemulia zmnis III seriis III kavSirebiTis mwkriviT.

Msaleqcio muSaobis dros yuradReba unda gavamaxviloT iseT martiv Semasmenelze, romelic zogjer im saxelisagan nawarmoebi zmnis formaa, romliTac qvemdebarea gadmocemuli: **Tem** Zveleburad veRar **Temobs**(m. javaxiSvili).

Aaseve yuradReba unda davuTmoT im gardauval zmnebs, romlebic awmyos mwkrivis I da II pirSi rTuli formiTaa warmodgenili, magram III pirSi isev martiv zmnas warmoadgenen:

I piri vdgavar vdgavarT

II piri dgaxar dgaxarT

III piri dgas dganan

A aucileblad xazgasmiT unda aRiniSnos, rom martiv Semasmenlad aris miCneuli erTpirian gardauval zmnaTa formebi III seriis samsave mwkrivSi da orpiriani gardauvalisa I TurmeobiTSi: gavzrdilvar, gazrdilxar, gavzrdiliyav, gazrdiliyav, gazrdiliyav, , agreTve gardamaval zmnaTa I TurmeobiTis formebi I da II obieqtur pirSi: avuSenebivar, auSenebixar.. martivi Semasmeneli zogjer garTulebuli saxiTac gvxxvdeba:

a) martivi Semasmeneli gamoxatulia erTi da imave zmnis ganmeorebiT

(**Tovda**, ganuwyvetliv **Tovda** (k. nadiraZe)..

b) garTulebuli martivi Semasmeneli gadmocemulia Serwymuli zmnebiT: magaliTad: **dawynard-dadumda** mdinare (vaJa fSavela).

g) martivi Semasmeneli SeiZleba garTulebul iqnas nawilakebis darTviT:

magaliTad: **ar daijera** mgzavrma (al. yazbegi).

ar mouwones saqcieli daTas (W. amirejibi).

Mmartivi Semasmenlis yvela saxeobis garkvevis Semdeg gadavdivarT Sedgenili Semasmenlis axsnaze da yuradRebas vamaxvilebT mis Semadgenel komponentebze saxelad da zmnur nawilebze.

Uunda ganvixiloT saxeladi nawilis yvela varianti. saxeladi nawili SeiZleba gadmocemuli iqnas arsebiTi saxeliT, zedsarTavi saxeliT, ricxviTi saxeliT, nacvalsaxeliT, sawyisiTA da mimReobiT:

1. daTa TuTaSxia ubadlo **vaJkacia** (W. amirejibi). am winadadebaSi Sedgenili Semasmeneli aris **vaJkacia** , igi Sedgeba saxeladi nawilisagan **vaJkaci**, romelic gadmocemulia arsebiTi saxeliT, da zmnuri nawilisagan **a**, romelic **aris** zmnis naSTia.
2. **rapataraa** Cveni samSoblo, niavis erTi Camoqroleba (gr. abaSiZe). am winadadebaSi Sedgenili Semasmeneli aris **pataraa** , igi Sedgeba saxeladi nawilisagan **patara**, romelic gadmocemulia zedsarTavi saxeliT, da zmnuri nawilisagan **a**, romelic **aris** zmnis naSTia.
3. arabebTan brZolaSi **ociaTasia** daRupulTaA ricxvi (k. gamsaxurdia). am winadadebaSi Sedgenili Semasmeneli aris **ociaTasia**, igi Sedgeba saxeladi nawilisagan **ociaTasi**, romelic gadmocemulia ricxviTi saxeliT, da zmnuri nawilisagan **a**, romelic **aris** zmnis naSTia.

4. **visia** cxra bedauri, cxra daraxtuli **visia**? (l. asaTiani). am winadadebaSi Sedgenili Semasmeneli aris **visia**, igi Sedgeba saxeladi nawilisagan **visi**, romelic gadmocemulia nacvalsaxeliT da zmnuri nawilisagan **a**, romelic **aris** zmnis naSTia.
5. es **ocnebaa** Seni erisa (g. kapaneli). am winadadebaSi Sedgenili Semasmeneli aris **ocnebaa**, igi Sedgeba saxeladi nawilisagan **ocneba**, romelic gadmocemulia sawyisiT da zmnuri nawilisagan **a**, romelic **aris** zmnis naSTia.
6. qaSveTis patara taZari baRebSi **io Camjdari**(a. beliaSvili). am winadadebaSi Sedgenili Semasmeneli aris **io Camjdari**, igi Sedgeba saxeladi nawilisagan **Camjdari**, romelic gadmocemulia mimReobiT da zmnuri nawilisagan **io**.
Sedgenili Semasmenlis zmnur nawilad yvelaze xSirad gvxdება **var**
da misi monacvle zmnebi.
Semasmeneli Seswavlilad CaiTvleba, Tu students ar uWirs winadadebaSi misi amocnoba da imis garkvea, Semasmeneli martivia Tu Sedgenili.

literatura:

1. l. kvaWaZe, Tanamedrove qarTuli enis sintaqsi, Tb., 1988.
2. n. maRlakeliZe. Mm. miqaZe, qarTuli enis swavlebis meTodika, quTaisi, 2007.

Manana Mikadze

Akaki Tsereteli State University, Kutaisi

Teaching the Georgian predicate in a High School

Abstract

Teaching the Georgian predicate in a high school is connected with some difficulties. The main reason of the difficulty is the fact that students have no knowledge about the morphological categories of Georgian verb. The programs and school volumes are very poor.

Our aim is to avoid these mistakes and look for effective methods of teaching.

sakvanZo sityvebi: Semasmenlis swavleba, swavlebis Tanamedrove teqnologiebi, bakalavriati, savarjiSoebi

Key Words: Teaching of predicate, modern tecnologies of learning, High school, exercises

ცისანა მოდებაჲ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

ფერთა სიმბოლიკა გერმანულ ფრაზეოლოგიზმებში

ნებისმიერი ენის ლექსიკა ერის მსოფლმხედველობას ასახავს. ფერებს ყველა კულტურაში თავისი დატვირთვა გააჩნია. კულტურათა განსხვავებები ფერთა სიმბოლიკაშიც კარგად ჩანს. თეთრი ზოგ ქვეყნებში ქალწულობის, უბიწობის, სიმშვიდის, სინაზის ფერია. უამრავ ერში იგი საქორწინო ცერემონიალის განუყოფელი ნაწილია, აზიურ ქვეყნებში კი თეთრი სამგლოვიარო ფერია. აფრიკისა და ავსტრალიის ზოგიერთ ტომში გლოვის ნიშნად სხეულს თეთრად იღებენ. წითელი ჩინეთში ზეიმის და წარმატების ნიშანია, ინდოეთში სიწმინდისა და ერთიანობის, სამხრეთ აფრიკაში კი იგი გლოვასთან ასოცირდება. ამიტომ სხვადასხვა კულტურის ენებში ერთიდაიგივე ლექსიკურ ერთეულებს ერთმანეთისგან განსხვავებული სიმბოლიკა ჩამოუყალიბდა. კვლევაში შევხებით გერმანულ ენაში არსებულ ფერთა ლექსიკის სიმბოლიკას.

ფერები სამყაროს აღქმის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. როგორც ყველა ენაში, გერმანულშიც ძირითადი საბაზისო ფერებია: თეთრი, შავი, ლურჯი, წითელი, მწვანე და ყვითელი.

განსაკუთრებით საინტერესოა წარმოდგენილი ფერთა სიმბოლიკა ფრაზეოლოგიზმებში. ჩვენი კვლევის მიზანია გერმანულ ფრაზეოლოგიზმებში ფერთა სიმბოლიკის განსაზღვრა.

გერმანულ ენაში თეთრი(weiß) არის უდანაშაულობის, სისუფთავის და სიწმინდის სიმბოლო. იგი არის ქორწინების ტრადიციული ფერი. გერმანელები თეთრ კვირას (Weißer Sonntag) უწოდებენ აღდგომის შემდგომ პირველ კვირადღეს. თეთრი ჟილეტი (eine weiße Weste) უბიწო, უმანკო, შეუბღალავი რეპუტაციის სიმბოლოა: eine weiße Weste haben-უდანაშაულოა. იგივე სიმბოლიკის მატარებელია ფრაზეოლოგიზმი eine weiße Hemdbrust-თეთრი მკერდი. Die weiße Hütte (თეთრი ქოხი) ნიშნავს წმინდას. ეს ფრაზეოლოგიზმი დაკავშირებულია წმინდა დღესასწაულების წინ გერმანიაში ქოხების თეთრად შეღების ტრადიციასთან. თეთრი ხშირად ნათელის, ღია ფერის მნიშვნელობითაც იხმარება: das weiße Brot - თეთრი პური. თეთრ ფერთან ასოცირდება სიტყვები: თოვლი, ცარცი, რძე, ქაღალდი, გედი. გერმანელები თოვლიანი შობას უწოდებენ weiße Weihnachten, ჩოგბურთს - თეთრ სპორტს (der weiße Sport).

Ein weißer Rabe (თეთრი ყვავი) აღნიშნავს უჩვეულო, განსაკუთრებულ ადამიანს. თეთრი ფერი შეიძლება აღნიშნავდეს გამოუკვლევს, აუთვისებელს: ein weißer Fleck auf der Landkarte-თეთრი ლაქა რუკაზე. თითქმის იგივე შინაარსის მატარებელია ფრაზეოლოგიზმი: ein weißes Blatt-თეთრი ფურცელი (დაუწერელი ფურცელი).

Die weiße Fahne hissen/schwenken/zeigen-თეთრი დროშის ჩვენება გამოხატავს დანებებას, კაპიტულაციას. ამ შემთხვევაში თეთრი დროშა არის მშვიდობის სიმბოლო. ასევე მშვიდობის სიმბოლოა თეთრი მტრედი (die weiße Taube).

თეთრი არის თანასწორობის და სამართლიანობის სიმბოლო: weiße Perücke auf dem Kopf bei dem Richter (თეთრი ნიღბით თავზე მოსამართლესთან).

Kein weißes Licht sehen (თვალეებში სინათლეს ვერ ხედავს) ნიშნავს ბევრი მუშაობისგან მოსვენების არ ქონას ან აუტანელ ტკივილებს.

ადამიანის ფიზიოლოგიურ მდგომარეობას აღნიშნავს: er ist ganz weiß im Gesicht - მიტკალივით გათეთრებულია. მსგავსი ფრაზეოლოგიზმებია: weiss werden-გაფითრება; Er ist ganz weiß im Gesicht-გაფითრებულია.

გერმანელები თეთრ ღვიძლს (die weiße Leber) ეძახიან მშობარა ადამიანს. der weiße Tod-თეთრი სიკვდილი ნიშნავს ყინვაში და თოვლში სიკვდილს. weißes Gold - თეთრ ოქროს ხშირად ხმარობენ ბამბის, შაქარის და ფაიფურის მნიშვნელობით. schwarz auf weiß - შავით თეთრზე ნიშნავს ქაღალდზე დაწერილს/დაბეჭდილს.

თეთრი გამოხატავს ასევე არარეალურს, შეუძლებელს ფრაზეოლოგიზმებში: einen Mohren weißwaschen-შეუძლებელის ცდა; weiße Mäuse sehen- ილუზიების/არარეალური წარმოდგენების ქონა; das Blaue vom Himmel versprechen-შეუძლებლის შეპირება.

გერმანულ ენაში ლურჯი ცის, ზეციურის, სიმშვიდის, ჰარმონიის, მეგობრობის და მარადისობის სიმბოლოა. სწორედ ამიტომ გერმანელები აისს და დაისს blaue Stunde-ს (ლურჯ საათს) უწოდებენ. რომანტიზმის ეპოქაში blaue Blumme-ლურჯი/ცისფერი ყვავილი იყო მონატრების და სიყვარულის სიმბოლო. ლურჯი თვალები არის უმანკოების, გულუბრყვილობის, გამოუცდელობის სიმბოლოც: Blauäugig sein-სანდოა, გულუბრყვილოა, უდანაშაულოა. ეს დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ გერმანიაში ჩვილი ბავშვების უმეტესობას ცისფერი თვალები აქვს.

გაკვირვებას და სიმართლეში დაექვებას გამოხატავენ შემდეგი ფრაზეოლოგიზმები: Blaue Argumenten/ blaue Enten - თავის მართლება; sein blaues Wunder erleben-ძლიერი გაკვირვება; Na,so blau!-შენც ამბობ რა (სიმართლეში დაექვება).

აღსანიშნავია სისხლთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები: blaues Blut haben- ცისფერი სისხლის ქონა; sich blau ärgern- სიბრაზისგან გალურჯება; blau frieren- სიცივისგან გალურჯება.

ლურჯი ფერი ფრაზეოლოგიზმებში ხშირად ფიზიკურ შეურაცხყოფას გამოხატავს: jemdn. grün und blau schlagen - ვინმეს დალილავენ (ძალიან ცემა); ein blaues Auge haben - ჩალურჯებული თვალის ქონა (ნაცემია); braun und blau sein - დალილავენულია.

ძველი წეს-ჩვეულების თანახმად გერმანიის ჩრდილოეთ სანაპიროზე ლურჯი ფერი მეზღვაურებში უარყოფით ასოციაციას იწვევდა. ადამიანებს სჯეროდათ, რომ თუ ლურჯწინსაფრიან ქალს შეხვდებოდნენ, დაითარსებოდნენ. მათი წარმოდგენით ლურჯფანჯრებიან სახლებში ჯადოქრები ცხოვრობდნენ. აქედან მოდის გამოთქმები:

j-m blauen Dunst vormachen - თვალებში ნაცრის შეყრა; das Blaue vom Himmel lügen - ზღაპრების მოყოლა/დაუჯერებელი ამბების მოყოლა.

გერმანელები დედამიწას უწოდებენ ლურჯ პლანეტას (der blaue Planet). ლურჯი ფერი ფიგურირებს ფრაზეოლოგიზმებში:

sein blaues Wunder erleben - დიდი არასასიამოვნო სიურპრიზის გადატანა/სასწაულის ხილვა;

einen blauen Montag machen - ორშაბათს სამუშაოს გაცდენა;

einen Tag blau machen - სამუშაოს/სკოლის გაცდენა;

ins Blaue fahren - უცნობ ან წინასწარ დაუგეგმავ ადგილას ექსკურსიის მოწყობა;

ins Blaue hinein reden - დაუფიქრებლად, გაუაზრებლად ლაპარაკი;

einen blauen Brief erhalten - სკოლიდან ან დამქირავებლისგან გაფრთხილების წერილის მიღება;

blau werden/ blau anlaufen lassen - დათრობა;

grün und blau vor Augen werden - შეძრწუნებულია;

sich über etwas grün und blau ärgern - ძალიან გაბრაზება;

mit einem blauen Auge davongekommen - არახესაყრელი სიტუაციიდან მცირე ზიანით გამოსვლა;

blaublütig sein - ცისფერსისხლიანია;

blaue Ferne - ნისლიანი შორეთი (გაურკვეველი მომავალი);

er war blau im Gesicht vor Kälte - სიცივისგან გალურჯებულია;

blaue Bohnen - იარაღის ტყვიები.

როგორც ვხედავთ, ზემოთ დასახელებულ ფრაზეოლოგიზმებს, მცირე გამონაკლისის გარდა, ძირითადად ნეგატიური შინაარსობრივი დატვირთვა აქვთ.

მწვანე ფერი (grün) თითქმის ყველა კულტურაში ბუნების, გაზაფხულის და სიცოცხლის სიმბოლოა. ასეა გერმანულ ენაშიც: bei Mutter Grün schlafen - ბუნების წიაღში/ღია ცის ქვეშ ძილი; ins Grüne gehen - ქალაქგარეთ გასვლა; ins Grüne fahren - ბუნების წიაღში გამგზავრება; eine Fahrt ins Grüne - ექსკურსია ქალაქგარეთ;

მწვანე ასოცირდება იმედთან, ნაყოფიერებასთან, მატერიალური კეთილდღეობასთან: auf einen grünen Zweig kommen - წარმატების მიღწევა/ კარიერის გაკეთება; die grüne Hochzeit - მწვანე ქორწილი (ქორწინების დღე).

ხელსაყრელი გარემოებების შექმნას გამოხატავს: j-m grünes Licht geben - რაიმესთვის ან ვინმესთვის მწვანე შუქის მიცემა; das Licht steht auf grün - თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა/ხელ-ფეხი გახსნილი აქვს; es ist alles im grünen Bereich - ყველაფერი კონტროლს ექვემდებარება.

მცენარეების მოვლის უნარიც შეიძლება მწვანე ფერით გამოვხატოთ: eine grüne Hand/einen grünen Daumen haben - მწვანე ხელი/ცერი აქვს ანუ შეუძლია მცენარეების კარგად მოვლა.

მწვანე გამოუცდელობასთან ასოცირდება შემდეგ გამოთქმებში: sich grün machen - მეტისმეტად ბევრის აღება საკუთარ თავზე; ein grüner Junge/Bengel - ცხვირმოუხოცავი/გამოუცდელი ბიჭი; der Grünschnabel ახალბედა, გამოუცდელი ადამიანი. მსგავსი სიმბოლური დატვირთვა აქვს ფრაზეოლოგიზმს: noch feucht grün - ჯერ კიდევ ახალგაზრდა და გამოუცდელია; noch sehr grün sein - გამოუცდელია; grün um die Nase sein - ახალგაზრდა და გამოუცდელია. თუმცა ამ ფრაზეოლოგიზმს სხვა შინაარსობრივი დატვირთვაც აქვს და ნიშნავს ავადმყოფს და სუსტს.

ფრაზეოლოგიზმს Ach du grüne Neue გერმანელები ხმარობენ როგორც შეშინების, გაკვირვების შეძახილს.

მწვანე ფერს შეიძლება ამორალური დატვირთვაც ქონდეს: მაგალითად, მწვანეს ბიუროკრატიის სიმბოლური დატვირთვა აქვს ფრაზეოლოგიზმებში: vom grünen Tisch aus entscheiden-რაიმე საკითხის ბიუროკრატიულად მოგვარება; an einem grünen Tisch sitzen-მწვანე მაგიდასთან ჯდომა/კაბინეტიდან არ გამოსვლა (მოვლენების არარეალურად შეფასება). მლიქვნელობას გამოხატავს: j-n, etw. über den grünen Klee loben-ქებით ცაში აყვანა; დითირამების მღერა.

შურს გამოხატავს: vor Neid gelb und grün werden – შურისგან გამწვანება. მსგავსი უარყოფითი შინაარსის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმებია: sich grün und blau ärgern-ძალიან გაბრაზება; jmdn. grün und blau schlagen -ვინმეს დალილავება (მაგრად ცემა); auf keinen grünen Zweig kommen -წარმატებების არ ქონა ცხოვრებაში; jmdn. deckt der grüne Rasen-ვინმეს საფლავზე მწვანე ბალახი ბიბინებს (მკვდარი და მივიწყებულია); jmdn. über den grünen Klee loben-ვინმეს ან რაიმეს გადაჭარბებული ქება; grüne Weihnachten- შობა თოვლის გარეშე; grüne Minna- პატიმრების გადასაცვანი პოლიციის მანქანა.

წითელი (rot) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფერია გერმანულ ენაში. მისი წარმოქმნა დაკავშირებულია ცეცხლთან. წითელი ფერი წმენდს და ანადგურებს. იგი არის აგრეთვე სისხლის და ომის, სიყვარულისა და სიძულვილის სიმბოლო.

წითელს გერმანულში იშვიათად აქვს დადებითი მნიშვნელობა: rotes Mädchen-ლამაზი, სასიამოვნო გოგონა, rotes Wort-შთამბეჭდავი სიტყვები, mit rotem Faden gehen-ავტორისათვის მნიშვნელოვანი იდეა, sich wie ein roter Faden durch etwas ziehen- წითელი ზოლივით გასდევს, der roter Faden-წითელი ხაზი, den roten Teppich ausrollen- ვინმეს ძალიან ღირსეულად მიღება.

წითელი ფერის გამოსაკვეთად ხშირად გვხვდება წითელის მსგავსი ფერის ნივთებთან შედარება, როგორიცაა: rot wie Tomate-პომიდორივით წითელი, rot wie Rübe-ქარხალივით წითელი, Rot wie Blut – სისხლივით წითელი.

წითელს ძირითადად უარყოფითი დატვირთვა აქვს და გამოხატავს სირცხვილს, გაბრაზებას, ფინანსურ დანაკარგს: rot sehen -ძალიან გაბრაზებულია; rot werden/vor Wut rot anlaufen სიბრაზისაგან/სირცხვილისაგან/აღელვებისგან გაწითლება/ ძალიან გაბრაზება; knallrot werden-აღელვებისგან/სირცხვილისგან გაწითლება; rot wie Zunder/wie glühend Eisen/ wie ein gefüllter Schropfkopf-სირცხვილისგან/ დაბნეულობისგან ლოყების გაწითლება; Ziegelrot sein/rot wie Blut/Krebs/glühend Eisen-გაწითლება; Einen roten Kopf vor Aufregung/Ärger bekommen-აღელვებისგან გაწითლება; j-n auf Rotblut bringen-ვინმეს გაბრაზება; bis über die/beide Ohren rot werden/ eine fliegende Rote im Gesicht haben/bekommen/kriegen-სახეზე მთლიანად გაწითლება; nur noch rot sehen-ძალიან გაბრაზება; sich die Augen rot weinen-ძალიან ტირილი; keinen roten Heller wert sein - არავითარი ღირებულება აქვს; in die roten Zahlen kommen/geraten-ვალების ქონა/ ფინანსური დანაკარგი; j-m den roten Hahn aufs Dach setzen-ვინმეს სახლის დაწვა.

წითელთმიან ადამიანთან ასოცირდება ფრაზეოლოგიზმები: roter Feuermelder sein/rote Pfannen im Dach haben/Rotfuchs sein.

წითელ ფერს განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა კომუნისტურ ეპოქაში, ამიტომ სოციალისტური/კომუნისტური იდეებით განმსჭვალულ ადამიანზე გერმანელები ამბობენ: er ist rot angehaucht.

Heute rot morgen tot გერმანელები იტყვიან მაშინ, როცა ადამიანი უეცრად კვდება.

ყვითელი თითქმის ყველა ენაში მზის და სიხარულის სიმბოლოა, მაგრამ გერმანულ ენაში იგი ხშირად უარყოფითი კონოტაციის მატარებელია. გერმანელები ყვითელ ფერს უკავშირებენ სიძულვილს, სიმხდალეს, სისუსტეს, შურს, ბოროტებას და სიყალბეს: der gelbe Neid-ყვითელი შური. ქართულად იტყვიან „შავი შური“; vor Neid gelb werden-შურისაგან გაყვითლება; sich gelb und grün ärgern/ vor Neid gelb und grün werden-სიბრაზისგან

გაყვითლება/გამწვანება; nicht das Gelbe vom Ei sein-საუკეთესო არ არის (წითელი კოჭი არ არის)-jemanden grün und gelb schlagen- ვინმეს ძლიერი ცემა (დალილავება); grün und gelb vor Ärger werden-ძალიან გაბრაზება. გერმანელები საგიჟეთს ყვითელ სახლს (das gelbe Haus), ოქროს ყვითელ ეშმაკს (der gelbe Teufel) უწოდებენ.

Gelb-ყვითელი არის გამოუცდელიობის სიმბოლო: Er hat noch das Gelbe am Schnabel-პირზე რძე არ შემოშობია/ახალგაზრდაა. ეს გამოთქმა დაფუძნებულია იმაზე, რომ ბარტყების ნისკარტი ღია ყვითელი ფერის კანით არის დაფარული. მსგავსი გამოთქმებაა: einem den Gelbschnabel zeigen-ვინმესთვის თავის გამოუცდელიობაზე მითითება.

ყვითელი შეიძლება გამოხატავდეს ადამიანის ფიზიოლოგიურ მდგომარეობას Gelb wie Wachs sein-ცვილივით ყვითელია ანუ კარგად არ გამოიყურება/ავადაა. ქართულში იტყვიან „ცვილივით თეთრია“. Es wird einem gelb und grün vor Augen-ეს გამოთქმა მიანიშნებს მოახლოებულ გულის წასვლას.

სპორტში გამოიყენება ცნობილი გამოთქმა: j-m die gelbe Karte zeigen- ვინმესთვის ყვითელი ბარათის ჩვენება ანუ გაფრთხილება.

საინტერესო წარმომავლობა აქვს გამოთქმას „gelbe Presse“-ყვითელი პრესა. ცნობილია, რომ ნიუ-იორკის ორმა გაზეთმა ტირაჟი გაზარდა კარიკატურით „ყვითელი ბავშვი“. სწორედ აქედან მოდის ეს სახელწოდებაც.

შავი ქრისტიანულ სამყაროში უხსოვარი დროიდან იყო სიკვდილის სიმბოლო. თავდაპირველად საიქიოსთან ასოცირდებოდა თეთრი ფერი, შესაბამისად გლოვის ნიშნად თეთრს იცვამდნენ. მოგვიანებით შავი ფერის ტანსაცმელს ატარებდნენ სასულიერო პირები. ამის გამო დროთა განმავლობაში თეთრი სამგლოვიარო სამოსი შავმა შეცვალა. ამიტომ შავი ფერი, თითქმის ყველა ენაში და გერმანულშიც ასოცირდება უბედურებასა და გლოვასთან: (in) Schwarz gehen/Schwarz tragen-გლოვის ნიშნად შავის ტარება; in Schwarz gekleidet-შავებში/სამგლოვიარო ტანსაცმელში ჩაცმული; Schwarz tragen-გლოვის ნიშნად შავის ტარება; ein Brief mit schwarzem Rand - სიკვდილის მაცნე წერილი

გერმანულ ენაში შავი ფერი ძირითადად არაღვთისმშობლის, უკანონოს და ამორალურის აღსანიშნავად იხმარება. მთავრობისთვის ან ორგანიზაციისთვის მიუღებელ ადამიანთა ჯგუფს აღნიშნავს: die schwarze Liste – შავი სია, auf die schwarze Liste setzen - ვინმეს შავ სიაში შეყვანა.

არაკანონიერის, არაღვთისმშობლის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები გერმანულ ენაში საკმაოდ უხვადაა: schwarzgeld-შავი ფული (არაღვთისმშობლი/უკანონო ფული); schwarzfahren-უბილეთოდ მგზავრობა; der Schwarzfahrer- უბილეთო მგზავრი die Schwarzarbeit-შავი სამუშაო (არაღვთისმშობლი სამუშაო); Etwas Schwarz tun-რაიმეს უნებართვოდ კეთება; schwarzarbeiten-შავად მუშაობა (არაღვთისმშობლი მუშაობა). ეს ფრაზეოლოგიზმი შეიძლება ნიშნავდეს მუშაობაში ცუდლუტობას, მიფუჩეჩებას. schwarz über die Grenze gehen-არაღვთისმშობლად საზღვრის გადაკვეთა; Schwarz über die Grenze gehen/der schwarze Weg über die Grenze-საზღვარზე არაღვთისმშობლად გადასვლა; der schwarze Markt-შავი ბაზარი; Schwarz wohnen-ნებართვის გარეშე ცხოვრება; schwarze Ware-შავი ბაზრის საქონელი, კონტრაბანდა; schwarz treiben-დახლქვეშიდან გაყიდვა.

შავი ფერი გამოხატავს პესიმიზმს, იმედგაცრუებას: etwas schwarzmalen/Schwarzmalerei-შავ ფერებში ხატვა/ცუდი წინათვრდნობა; Alles durch die schwarze Brille sehen-ყველაფრის შავი სათვალთ/მუქ ფერებში ყურება; schwarze Gedanken-შავი/ ბნელი/პესიმისტური აზრები; warten können, bis man schwarz wird - ამაო/უშედეგო ლოდინი.

შავი ფერი შეიძლება გამოყენებულ იქნას წარუმატებელი, უბედური დღის აღსანიშნავად. მაგალითად, ein schwarzer Freitag-შავი პარასკევი; ein schwarzer Tag-შავი დღე (ცუდი/უბედური/წარუმატებელი დღე). Schwarz sein ნიშნავს უფულოდ ყოფნას.

jemandem den Schwarzen Peter zuschieben ნიშნავს პასუხისმგებლობის/გადაუჭრელი პრობლემის სხვისთვის შეტოვებას. ეს ფრაზეოლოგიზმი დაკავშირებულია კარტის თამაშთან

Schwarzer Peter-შავი პეტრე. ამ თამაშში მარცხდება ის, ვისაც შავი პეტრეს კარტი ყველაზე ბოლოს შერჩება ხელში.

შავი ფერი ფრაზეოლოგიზმებში უმეტესად უარყოფით გრძნობებთან ასოცირდება: sich schwarz ärgern-ძალიან გაბრაზება; schwarzer Humor-შავი იუმორი ანუ სერიოზულ თემებზე, როგორიცაა ავადმყოფობა და სიკვდილი ხუმრობა; der schwarze Schaf in der Familie-ოჯახში გარიყულად ყოფნა; schwarze Magie-შავი მაგია; warten bis man schwarz wird-გრძნობის დაკარგვამდე მოცდა; eine schwarze Seele-შავი სული /ავსული; j-m wird schwarz vor Augen-თვალი დაუბნელდა/შეძრწუნდა; Der schwarze Tod-შავი ჭირი; aus schwarz weiss, aus weiss schwarz machen wollen/weiss machen, wass schwarz ist-შავის თეთრად მოჩვენება (ვინმეს მოტყუების სურვილი); schwarz angeschrieben sein-არ უყვართ (მიუღებელი პიროვნება); ein schwarzes Herz besitzen/haben-შავი გული აქვს (ცუდი ადამიანია); die schwarze Kunst-ჯადოქრობა.

ფრაზეოლოგიზმს etwas ist schwarz von Menschen-ადამიანებისგან ჩაშავებულია ანუ ბევრი ხალხია შეიძლება როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდეს. ეს იმაზეა დამოკიდებული ბევრი ხალხი მოცემულ მომენტში საჭიროა თუ არა.

როგორც ვხედავთ, უმეტეს შემთხვევაში შავი ნახმარია უარყოფითი მნიშვნელობით, მაგრამ ზოგჯერ შავი შეიძლება პოზიტიურ როლშიც მოგვევლინოს. მაგალითად, schwarz-weiss-Denken-შავ-თეთრის (ავ-კარგის) გარჩევა, ასევე Schwarze Zahlen- შავი ციფრები ანუ მონაცემები, რომელიც გვიჩვენებს საწარმოს მოგებას. ასევე შავ ოქროს (schwarzes Gold) უწოდებენ ქვანახშირს და ნავთობს.

შავი შეიძლება დღესასწაულის სიმბოლოდაც იქნას მიჩნეული. მაგალითად, zu einer Feier im schwarzen Anzug erscheinen-ზეიმზე შავ კოსტიუმში ჩაცმული მისვლა; ins Schwarze treffen-რაიმეში წარმატების ქონა.

ყავისფერი (braun) გერმანულ ენაში დედამიწის, მიწის სიმბოლოა. ყავისფერს აქვს გარუჯულის მნიშვნელობაც: Menschen von brauner Haut-გარუჯული, შავგვრემანი ხალხი; von der Sonne braun werden-გარუჯვა; an der Sonne braun brennen - მზეზე დაწვა; braun gebrannt sein-გარუჯულია.

სხვადასხვა სახეობის არსებითი სახელების ყავისფერის გამოსახატავად ერთმანეთისგან ოდნავ განსხვავებული ვარიანტები გვაქვს გერმანულ ენაში: braun (თვალეზზე); nußbraun (თმებზე); kastanienbraun (ცხენზე).

„braune Stunde“ ნიშნავს სადილის შემდეგ დროს სამხარს ანუ დროს სადილსა და ვახშამს შორის. ამ დროს გერმანელები ჩვეულებისამებრ სვამენ ყავას (Kaffeepause).

ყავისფერი ხშირად იდიომებშიც ფიგურირებს braun und blau sein - კანდალურჯებულია (ნაცემია); braun und blau schlagen/hauen-ვინმეს დალურჯება (ცემა).

ნაცრისფერი არის თეთრს და შავს შორის გარდამავალი ფერი. იგი გერმანულ ენაში უცნობთან და გაურკვევლობასთან ასოცირდება: in grauer Zukunft-შორეულ მომავალში; in grauer Vergangenheit-შორეულ წარსულში; die graue Zukunft-უიმედო /წარუმატებელი მომავალი; bei Nacht sind alle Katzen grau-ღამით ყველა კატა ნაცრისფერია ანუ სიბნელეში ყველა ერთნაირია; die graue Eminenz-რუხი კარდინალი (ჩრდილში მყოფი ძლიერი მრჩეველი).

ნაცრისფერი graue Farbe არის უპავტიცემულობის სიმბოლოც: eine graue Maus sein-შეუმჩნეველი პიროვნება/ქალია

ნაცრისფერი გამოხატავს მოწყენილობას, დარდს, უსიხარულობას, უიმედობას, პესიმიზმს: der graue Alltag-მოსაწყენი დღეები; alles grau/in grau sehen-ყველაფრის ნაცრისფერებში/მუქ ფერებში დანახვა; das graue Elend kriegen-დებრესიულ განწყობაზე ყოფნა; die graue Zukunft-ბნელი მომავალი; graue Tage-მუქი დღეები; das graue Elend-უიმედო გაჭირვება; graue Haare wachsen lassen-რაიმეს დარდი აქვს; der grauer Alltag-უფერული ყოველდღიურობა; das graue Elend haben- ძალიან უბედურია; graues Wetter-მოდრუბლული ამინდი.

გარდა ამისა ნაცრისფერი აღნიშნავს ნახევრად ლეგალურს, საიდუმლოს: grauer Markt-ნახევრად ლეგალური ბაზარი; grauer Händler - ადამიანი, რომელიც ნახევრად ლეგალურ ბიზნესს ეწევა.

ნაცრისფერი გერმანელებთან არის სიბრძნის, სიბერის სიმბოლოც: alt und grau werden – დაბერება; die graue Vorzeit – ჭაღარა სიბერე.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, კულტურათა თავისებურებები განსაკუთრებით კარგად ჩანს ფერთა სიმბოლიკაში. ფერების საშუალებით განსკუთრებით კარგად შეიძლება ადამიანის თვისებების, გრძნობების და შეხედულებების გამოხატვა.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, თეთრი და შავი გერმანულ ფრაზეოლოგიზმებში ყველაზე ხშირად ხმარებული ფერებია.

ფერთა საშუალებით შესაძლებელია როგორც დადებითი ასევე უარყოფითი თვისებების, გრძნობების და აზრების გამოხატვა. ფრაზეოლოგიზმების უმეტესობაში თეთრს და ლურჯს აქვს პოზიტიური შინაარსობრივი დატვირთვა, შავს და ნაცრისფერს კი ნეგატიური.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამრეკელი, ნ., ჰოფმანი, თ., ქადაგიძე ნ.(1973): გერმანულ-ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. თბილისი. გამომცემლობა „განათლება“.
2. ზეკალაშვილი რ., ქირია ჯ.(2007): გერმანულ-ქართული ლექსიკონი. (მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა). საქართველოს მაცნე. თბილისი.
3. ხუციშვილი. ო, ხატიაშვილი თ. (2007): ქართულ-გერმანული ლექსიკონი. (პირველი გამოცემა) საქართველოს მაცნე. თბილისი.
4. Duden (Deutsches Universalwörterbuch) (5. überarbeitete Auflage) (2003): Dudenverlag. Mannheim. Leipzig. Wien. Zürich.
5. Götz D., Haensch G., Wellmann H. (2008): Großwörterbuch Deutsch als Fremdsprache. Das einsprachige Wörterbuch für alle, die Deutsch lernen. Neubearbeitung. Langenscheidt. Berlin.
6. Görner, H. (1982). Redensarten/ Kleine Idiomatik der deutschen Sprache. VEB Bibliographisches Institut. Leipzig.
7. Herzog, A.; Michel, A.; Riedel, H. (1986). Deutsche idiomatische Wendungen für Ausländer. Verlag Enzyklopädie. Leipzig.
8. Kempke, G. (1984): Handwörterbuch der deutschen Gegenwartssprache. in zwei Bänden. Akademie Verlag Berlin.
9. Paffen K. A. (1980): Deutsch-russisches Satzlexikon. Band I. VEB Verlag Enzyklopädie. Leipzig.

Symbolism of Colours in German Phraseology

Abstract

Colours are one of the basic means of world perception. They give opportunity to express positive and negative features, feelings and opinions. This research deals with the colour symbolics existing in the German Language. The purpose of the research is to define and classify the use of colours in German phraseological units.

საკვანძო სიტყვები: ფერები, ფრაზეოლოგიური ერთეულები, სიმბოლიკა, დადებითი, უარყოფითი
Key words: Colours, phraseological units, symbolics, positive, negative

ალექსანდრე მოსიაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

საბჭოთა იდეოლოგია და ქართული რეალობა

რუსეთის მოდერნიზებულმა იმპერიამ, რომელიც საბჭოთა კავშირის სახელით წარსდგა დანარჩენი სამყაროს წინაშე მის შემადგენლობაში მოქცეულ ხალხებს თავს მოახვია ავადსახსენებელი საბჭოთა იდეოლოგია. ეს იდეოლოგია მიმართული იყო განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი განსხვავებული კულტურისა და წეს-ჩვეულებების მქონე ხალხთა ასიმილირებისაკენ. სწორება რასაკვირველია მოსკოვისაკენ უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, ქართულ სინამდვილეშიც არაერთი მცდელობა ხორციელდებოდა ამ თვალსაზრისით: საგანმანათლებლო პროგრამები საშუალო სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში, პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, ხელოვნება, სპორტი... 1978 წლის აპრილის ცნობილი მოვლენები სახელმწიფო ენასთან მიმართებით და სხვა მრავალი.

საკითხი იმდენად დიდია და მრავლისმომცველი, რომ მის სრულყოფილად გაანალიზებისათვის არ იქნება საკმარისი ერთი საკონფერენციო მოხსენება, ერთი სამეცნიერო ნაშრომი ან ერთი მონოგრაფია. მაგრამ წარმოდგენის შესაქმნელად დავასახელებთ ზოგიერთ მაგალითს. დავიწყეთ **აკაკი წერეთლის** ცნობილი ისტორიული მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ ერთი ეპიზოდით. დიალოგი ზაალ არაგვისერისთავსა და ბაში-აჩუკს შორის. თავადი ამბობს: „_ მერე-და ორი ათასის კაციტ სამოცი ათასზე გალაშქრება რა მოსაფიქრებელია? სხვა რომ არა იყოს რა, ისიც კმარა, რომ ალაზნის პირზე, გაღმა-გამოღმა, თხუთმეტი ათასი ულუსი სახლობს... დიდი და პატარა ყველა მეომარია.“ ბაში-აჩუკი პასუხობს „_ ორი ათასი ქართველი ხუმრობა არ გახლავსთ, შენი ჭირიმე, თუ აქედან შემწეობაც იქნება. ნათქვამი გახლავსთ „ცდა ბედის მონახვერეაო“. რაც შეეხება რეჟისორ **ლეო ესაკიას** მიერ 1956 წელს გადაღებულ ისტორიულ სათავგადასავლო ფილმს „ბაში-აჩუკი“, აკაკი წერეთლის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით, მას როგორც ჩანს გარკვეული ცენზურა საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან აქვს გავლილი. კერძოდ, იმ ადგილას სადაც ზემოთ მოყვანილი დიალოგია წარმოდგენილი ბაში-აჩუკი პასუხობს „ორი ათასი ვაჟკაცი ხუმრობა არ გახლავთ“ და ა.შ. ორი ათასი ვაჟკაცი ორი ათასი ქართველის ნაცვლად?! ერთი შეხედვით არაფერი დაშავებულა ამით. ბრძოლა სწორედაც, რომ ვაჟკაცების საქმეა. ვერც რეჟისორს თუ სცენარისტს მოედავება ვინმე... ისედაც ხომ ქართველებზეა საუბარი. მაგრამ... საქმე იმაშია, რომ ვაჟკაცის მოძებნა ყველა ერში და ყველა ხალხშია შესაძლებელი, ხოლო ნაწარმოების ავტორის ხაზგასმა ორი ათასი ქართველის რეალურ ძალად წარმოდგენის შესახებ, როგორც ჩანს შეგნებულად არის შეცვლილი. მიზეზი გასაგებია: არ უნდა

ყოფილიყო აქცენტი გაკეთებული ქართველების უპირატესობაზე სხვა ერებისა და ხალხების წარმომადგენლებთან შედარებით. ბუნებრივია, დამპყრობელი ძალის იდეოლოგიები ეცნობოდნენ რა ბუნებით ამაყი ქართველი ხალხის ისტორიას, კულტურას, ტრადიციებს – კარგად აცნობიერებდნენ არსებულ უპირატესობას მათთან შედარებით და მიზნად ისახავდნენ, როგორც ქართველისგან, ასევე არაქართველისგან ე.წ. „საბჭოთა ადამიანის“ ჩამოყალიბებას. დავამატებ მხოლოდ ერთს – საქართველოს ისტორიიდან მოტანილი უამრავი მაგალითი ცხადყოფს ქართველთა საუკეთესო მეომრულ თვისებებს. ამ თვალსაზრისით, ჯერ მარტო დიდგორის ომის გახსენებაც კი იქნებოდა საკმარისი. ბრძოლა, რომელიც მსოფლიო უნიკალურ ბრძოლათა შორის ღირსეულ ადგილს იკავებს. 1121 წლის 12 აგვისტოს გაცილებით მცირერიცხოვანმა ქართულმა ჯარმა დავით აღმაშენებლის წინამძღოლობით წარმოდგენილად დიდი რიცხოვნობის მქონე მტრის ჯარი პირწმინდად დაამარცხა უთანასწორო ბრძოლაში.

ცნობილი ფაქტია ისიც, თუ როგორი უსიამოვნებები შეხვდა ცნობილ ქართველ კომენტატორს კოტე მახარაძეს 1981 წლის 13 მაისის საფეხბურთო რეპორტაჟის დასრულებისას სატელევიზიო ეთერიდან გაკეთებული კომენტარის გამო. ამ დღისით ხომ საფეხბურთო კლუბმა თბილისის „დინამომ“ ე.წ. საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველმა მოიპოვა თასების მფლობელთა თასი, ხოლო კოტე მახარაძეს პასუხი მოსთხოვეს მოსკოვში დაბრუნებისთანავე იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გამოჰკვეთა ქართული ფეხბურთის წარმატება და რატომ არ მოიხსენიებდა მას მხოლოდ როგორც საბჭოთა ფეხბურთის წარმატებას.

როგორ შეიძლება ავუაროთ გვერდი საბჭოურ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებულ სასწავლო პროგრამებს. აქ შესაძლებელია ვახსენოთ, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულება, სადაც ისწავლებოდა საბჭოური ეპოქის შესაბამისი და მისი ნაბიჯების გამამართლებელი ნაწარმოებები, ასევე ისტორიის მიმართულებით არსებული მდგომარეობაც. მაგალითისთვის გამოდგება ცნობილი ხალხური ლექსი – „ბიჭო, ვისი ხარ?“, სადაც სტრიქონები:

„მოგიხდი ქვევრსა პატარას, მეც მოგიჯდები გვერდსაო.

დავლევ და დაგაღვინებ, არაკებს გეტყვი ძველსაო,

ვიმღერ და შენც აგამღერებ, ლექსებს გასწავლი ბევრსაო.” – საშუალო სკოლებში ისწავლებოდა შეცვლილი სახით შემდეგნაირად:

„გადგიშლი წიგნსა პატარას, მეც მოგიჯდები გვერდსაო,

გასწავლი წერა-კითხვასა, არაკებს გეტყვი ბევრსაო.” – წიგნიერებაზე აქცენტი არ არის ცუდი, მაგრამ ასე თვითნებურად ტექსტის შეცვლა, ქართული ტრადიციების ამოშლის ხარჯზე, ნამდვილად იწვევს პროტესტს. შეცვლილი სახით ისწავლებოდა „არსენას ლექსი“:

„შაირ-სიტყვითა მესტვირემ ღმერთი მაღალი ახსენა:

ღმერთმა მოგცეს განათლება, ოძელაშვილო არსენა!” – ნაცვლად:

„ღმერთმა მოგცეს გამარჯვება, ოძელაშვილო არსენა!” – არსენას ნამდვილად არ აწყენდა განათლების მიღება ვთქვათ პეტერბურგში, მაგრამ ავტორი რეალურად მისგან ისეთ გმირს ქმნის, რომელსაც უსურვებს გამარჯვებას და ყველაფერს პატიობს, მათ შორის:

„გიორგი, ღვინო მიირთვი, იმ შენი დედ-მამის მზესა!”

– მიიპატიჟებს არსენა გიორგი კუჭატნელს.

„მე დღეს ღვინოს როგორ დავლევ, წითელი პარასკევია!”

– პასუხობს კუჭატნელი და მკითხველის თვალში გარკვეულ სიმპათიას იმსახურებს. რაც შეეხება არსენას, ავტორი მისგან განსწავლულობას ან ზნეობრივ გმირობას იმდენად არ მოითხოვს, რამდენადაც გმირობების ჩადენას მხოლოდ სოციალურ ფონზე.

ახლა ისტორიასაც შევეხეთ: 1957-58 წლებში იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ დაისვა საკითხი ნაციონალურ რესპუბლიკათა სკოლებში ეროვნული ისტორიის ცელკე საგნად სწავლების გაუქმებისათვის. გარკვეული წინააღმდეგობის გაწევამ ამ განზრახვაზე მათ ხელი ააღებინა, მაგრამ იმდენი მაინც მოახერხეს, რომ საბჭოთა კავშირის ისტორიის სწავლებისთვის განკუთვნილი საათები გაზარდეს საქართველოს ისტორიის შესასწავლად

განკუთვნილი საათების შემცირების ხარჯზე. მათი არგუმენტი იყო ასეთი, რომ საქართველოს ისტორიაც საბჭოთა კავშირის ისტორიის შემადგენელი ნაწილი იყო, რეალურად კი - საბჭოთა კავშირის ისტორია წარმოადგენდა რუსეთის ისტორიას.

გარკვეული რუსიფიკაციის ცდები შეინიშნებოდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებელ-ლებშიც, სადაც ცდილობდნენ, რომ სწავლებაც კი უმეტესად რუსულ ენაზე წარმართულიყო. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიტანოთ 1975 წლის მიწურულს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის დ.ჩხიკვიშვილის დავალება მიცემული მარიკა ლორთქიფანიძისადმი, რათა მის ფაკულტეტზე რამდენიმე საგანი რუსულ ენაზე წაეკითხათ. ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა სასწავლებლებშიც. რაც შეეხება სხვადასხვა დაწესებულებებს – მაქსიმალურად ცდილობდნენ უმეტესობა საბეჭდი მანქანებისა შეეტანათ რუსული შრიფტით და ნელ-ნელა რუსული ენის დამკვიდრებით ჩრდილში მოექციათ უნიკალური ქართული ენა.

როდესაც ქართული ენის იმჟამინდელ მდგომარეობას ვეხებით, რასაკვირველია გვახსენდება ის უამრავი ბარბარიზმი, რომელიც სამწუხაროდ შემოვიდა და დღემდე დამკვიდრებულია ჩვენს მშობლიურ ენაში. იმჟამინდელი ქართული მარიონეტული ხელისუფლება არანაირ ქმედით ღონისძიებას არ მიმართავდა ამასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, 1978 წლის აპრილში ჩვენი „ერთმორწმუნე ძმის“ მხრიდან მოვიდა დირექტივა სახელმწიფო ენად რუსული ენის დამკვიდრების შესახებ. საბედნიეროდ, იმჟამინდელმა ახალგაზრდობამ, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებთან ერთად, შეძლო და დაიცვა ქართული ენის სტატუსი და 14 აპრილი სწორედ ამ მოვლენების საპატივსაცემოდ აღინიშნება საქართველოში, როგორც დედაენის დღე.

როდესაც საბჭოთა იდეოლოგიის მანკიერ სახეზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ გავახსენდეს მისი მესვეურების ბრძოლა ქართული ეკლესიის და ზოგადად ქართული ტრადიციების წინააღმდეგ. მაგალითისთვის, აქ შეგვიძლია მოვიტანოთ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფარეულში გამიზნულად დაწესებული ე.წ. 8 ნოემბრის დღეობა, რომელიც სამწუხაროდ, ტრადიციად იქცა და დღემდე არის შემორჩენილი. რას ნიშნავს 8 ნოემბერი? (აქ ნამდვილად არ იყო ნაგულისხმევი ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღი) თავისთავად თარიღი 8 ნოემბერი არაფერს შეგვახსენებს. მის შესახებ არაფერს გვეუბნება ქართული საეკლესიო კალენდარიც, მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით მის მნიშვნელობას ასეთი ვერაგობით არამხოლოდ ნაფარეულში, არამედ საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში ცდილობდნენ ხალხისთვის დაევიწყებინათ არსებული რელიგიური დღესასწაულები. სოფელ ნაფარეულს კი მის შემოგარენში არაერთი სალოცავი გააჩნია, მათ შორის არსებობს წმინდა გიორგის სახელობისაც. სწორედ გიორგობა იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაული, რომელიც ხსენებულ სოფელში ტრადიციულად აღინიშნებოდა და საბედნიეროდ დღესაც აღინიშნება, ათეისტურად განწყობილმა საბჭოთა ხელისუფლებამ კი მისი 8 ნოემბრით ჩანაცვლება განიზრახა.

თავი რომ დავანებოთ იმ ნეგატიურ მოვლენებს, რომელსაც ხელოვნურად ავითარებდნენ საქართველოს მაშინდელ საპატრიარქოში და ეკლესია-მონასტრებში, ჯერ მარტო გასახსენებლად ისიც კი საკმარისი იქნებოდა, თუ რა მდგომარეობაში ჩაყარეს საბჭოთა ხელისუფლების მესვეურებმა ქართული კულტურის ძეგლები. აქვე გავიხსენოთ დავით გარეჯის უნიკალური სამონასტრო კომპლექსის განდგურების მცდელობები საბჭოთა არტილერიის ტყების მხრიდან. დავით გარეჯის მიმდებარედ განთავსებული სამხედრო პოლიგონისთვის სწორედ ხსენებული სამონასტრო კომპლექსი იქცა სამიზნედ. ზიანდებოდა უნიკალური მხატვრობის ნიმუშებად შემორჩენილი ფრესკები, ინგრეოდა კელიები და მხოლოდ მოგვიანებით, ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების დიდი ძალისხმევით შედეგად იქნა შეჩერებული ეს ვანდალიზმი. რადგან საბჭოთა არმიას შეეხეთ, აქვე გვინდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხიც ვახსენოთ: თარიღი 23 თებერვალი, რომელიც იმ პერიოდისათვის საზეიმოდ უქცეის ხალხს, საბჭოთა არმიის და საზღვაო ფლოტის დღედ მიიჩნეოდა. არადა სწორედ ხსენებული სამხედრო ძალა

წარმოადგენდა რეალურად იმ ოკუპანტ და ამავე დროს დამსჯელ ძალას, რომელსაც არაერთი უსიამოვნება და მათ შორის, მასშტაბური ტრაგედიებიც დაუტრიალებია საქართველოში – გავიხსენოთ 1956 წლის 9 მარტი, 1989 წლის 9 აპრილი და სხვ. საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევაზე უარის თქმა დანაშაულად ითვლებოდა და იყო კანონით დასჯადი, არა და რატომ იყო ასე სავალდებულო? იმჟამინდელ ხელისუფლებას თავისი მზაკვრული იდეოლოგიის შესაბამისად განზრახული ჰქონდა ე.წ. „საბჭოთა ხალხის“ ჩამოყალიბება. სწორედ ეს იყო ასიმილაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, რადგან საბჭოთა არმიის რიგებში გაწვეული სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდები, ერთი სისტემის მსხვერპლნი ხდებოდნენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ აქ რომ დავალებები შეესრულებინათ და ერთმანეთთანაც კომუნიკაციის საშუალება ჰქონოდათ, ამისთვის საჭირო იყო იძულებით შეესწავლათ რუსული ენა. ქართველი წვევამდელების საბჭოთა საოკუპაციო ჯარში გაწვევა ერთგვარად სამხედრო ბეგარასაც კი წააგავდა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე მიმართავდნენ ქართველი ერის მტრები. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის გაწვეული ახალგაზრდები ხშირად მიჰყავდათ სამშობლოდან საკმაოდ მოშორებით არსებულ სამხედრო ნაწილებში, თანაც დაქსაქსულად. ეს ტაქტიკა იდეოლოგიების მზაკვრობის გარდა მათსავე გარკვეულ სიფრთხილეზეც მიგვანიშნებს. კერძოდ, ერთად შეგროვილი ქართველები, მითუმეტეს თუ კი ისინი იარაღითაც იქნებოდნენ აღჭურვილნი, სრულიად შესაძლებელია არსებული უსამართლობიდან გამომდინარე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, მისი თავისუფლების მოპოვების იდეის გარშემოც კი დარაზმულიყვნენ და სერიოზულ თავის ტკივილსაც კი ქცეულიყვნენ არსებული რეჟიმისთვის. ამიტომ, მათი გაფანტვით ზედმეტ პრობლემებსაც იცილებდნენ თავიდან და უფრო ადვილადაც ახდენდნენ ამ ახალგაზრდების დამუშავებას პოლიტიკური თუ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. და ბოლოს, მათ უწევდათ სხვადასხვა ბრძოლაში მონაწილეობის მიღება თავისი სურვილის და ინტერესის საწინააღმდეგოდ, მაგალითისთვის გამოდგება ავღანეთის ექსპანსიაც საიდანაც სამწუხაროდ, არაერთი დაღუპული ქართველი მეომრის ცხედარი მივიღეთ. რაც შეეხება მეორე მსოფლიო ომს, საბჭოთა კონსტიტუცია მის შემადგენლობაში გაერთიანებულ რესპუბლიკებს სუვერენიტეტს უნარჩუნებდა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის წარმოებამ და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამ ომის სამამულო ომად მონათვლამ შანსი არ დაუტოვა ქართველ მებრძოლებს, რომ უარი ეთქვათ მასში მონაწილეობის მიღებაზე. მეორე მსოფლიო ომი – ხომ ფართე გაგებით, სინამდვილეში კი – ეს იყო რუსეთ-გერმანიის ომი, სადაც საქართველო იქნა ძალით ჩათრეული, როგორც სუვერენული რესპუბლიკა. საბჭოთა ხელისუფლების მზაკვრობამ ათეულათასობით ქართველი მეომარი მიიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ზემოხსენებულ ომში გადასულიყვნენ გერმანე-ლების მხარეს და გენერალ შალვა მაღლაკელიძის მეთაურობით ჩამოეყალიბებინათ ქართული ლეგიონი. მასში გაერთიანებულმა ქართველმა მეომრებმა მხოლოდ და მხოლოდ იბრძოლეს იმისთვის, რომ როგორმე შემოედწიათ საქართველოში და აღედგინათ მისთვის დაკარგული დამოუკიდებლობა, რაც სამწუხაროდ, წარუმატებლად დასრულდა.

როცა 70-წლიან ავადსახსენებელ პერიოდს ვვხვებით, არ შეიძლება არ გაგვახსენდეს იძულებით თავს მოხვეული კოლექტივიზაცია, თავისი უმძიმესი შედეგებით. ასევე 1937-38 წლებში განხორციელებული უმძიმესი რეპრესიები, რომელსაც ჩვენი ერის საუკეთესო ნაწილის წარმომადგენლები შეეწირნენ. საბჭოური საპატიმროები ხომ ნამდვილ ჯოჯოხეთს წარმოადგენდა. სასჯელმოხდილი, ხშირ შემთხვევაში საპატიმროებში ნაწამები, ადამიანები საზოგადოებისთვის მარგინალიზებულ ნაწილს წარმოადგენდნენ და მათი დასაქმებაც კი სერიოზული პრობლემა იყო, რაც თავის მხრივ, ხშირ შემთხვევაში შიმშილით სიკვდილისთვის განწირულ ასეთ ადამიანებს უბიძგებდა ახალი დანაშაულის ჩადენისაკენ.

უნდა აღინიშნოს სახელწოდებების შეცვლა-დარქმევის თემაც. კერძოდ, იმჟამად სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებლებს თუ სათამაშო მოედნებს, აუცილებლად საბჭოთა იდეოლოგიის ფუძემდებლების, რევოლუციონერების ან რუსი გამოჩენილი მოღვაწეების სახელები უნდა რქმეოდათ, მაგალითად თბილისის

სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი – ამჟამინდელი ილიას უნივერსიტეტი, იმ დროს ცნობილი რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის სახელს ატარებდა, არადა რამდენი ღირსეული პედაგოგი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, საზოგადო მოღვაწე ჰყოლია ქართველ ერს. განა ვერ, ან არ მოიძებნებოდა იმჟამად ასეთი ღირსეული ადამიანების სახელები ქართველი ერის სინამდვილეში? ანდა რატომ უნდა ეტარებინა ჩვენს ეროვნულ სტადიონს ვ.ი.ლენინის სახელი? და ა.შ. აქვე მივაქციოთ ყურადღება ზოგიერთ სახელწოდებებსაც. რატომ უნდა ყოფილიყო თბილისში ლენინის და კიროვის რაიონები? ანდაც მახარაძე, წულუკიძე თუ გეგეჭკორი დასავლეთ საქართველოში? წითელწყარო – კახეთში? ლენინგორი შიდა ქართლში? და ა.შ. ასევე სოფლები მაგალითად, თელავის მუნიცი-პალიტეტში არსებული სოფელი ნასამხრალი გარკვეული ინტერნაციონალისტური მიდ-გომით ნასომხარის ნაცვლად, რომელიც სამწუხაროდ, დღემდე ასეთი სახით შემორჩა. აგრეთვე, ოქტომბერი, წითელი ოქტომბერი, ულიანოვკა, შრომა და სხვ. ასეთივე მდგომარეობას ვაწყდებოდით ქუჩების, მოედნების, მეტროსადგურების და ა.შ. სახელებთან მიმართებითაც: მაგალითად, ლენინის მოედანი, სტალინის, ორჯონიკიძის, კამოს, შაუმიანის, პლესანოვის, მარქსის, ენგელსის, ძერჟინსკის, ძნელაძის ქუჩები, მეტროსადგური 26 კომისარი და სხვა მრავალი.

იმჟამინდელი იდეოლოგია უპირისპირდებოდა ყოველგვარ ეროვნულს, აქედან გამომდინარე აკრძალული იყო სხვადასხვა ქართველ მამულიშვილთა სახელების ხსენებაც კი, მაგალითად: საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელი საზოგადოების დიდმა ნაწილმა მხოლოდ მას შემდეგ გაიგო, რაც საქართველოში XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს აზვირთებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფონზე, ერთ-ერთ მიტინგზე გამოჩნდა მისი სურათი და გაჟღერდა მისი სახელი. იკრძალებოდა ასეთი ადამიანების შესახებ პუბლიკაციების თუ მონოგრაფიების ბეჭდვა. თვით სულხან-საბა ორბელიანის ღვაწლიც კი არ იყო სათანადოდ დაფასებული. მისი ევროპაში მოგზაურობა განიხილებოდა, როგორც შეცდომა და უაზრობა. როცა მოგზაურობას ვახსენებთ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ საზღვარგარეთ გამგზავრება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. განსაკუთრებით აკრძალული იყო მიმოსვლა კაპიტალისტურ ქვეყნებში. უკეთეს შემთხვევაში კი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სულ მცირე ერთი თანამშრომელი მაინც მისდევდა გამცილებლად. ასეთ მდგომარეობაში იყვნენ ქართველი მოცეკვავეები, მუსიკოსები, მომღერლები; ასეთ მდგომარეობაში იყვნენ ქართველი სპორტსმენებიც. მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც ქართველ ფეხბურთელებს შორის უამრავი მსოფლიო დონის ვარსკვლავი იყო, ყველანაირი პირობის შემოთავაზების მიუხედავად მათ არ ჰქონდათ საზღვარგარეთულ საფეხბურთო კლუბებში თამაშის უფლება.

ზემოთ ტრაგედიების თემაც ვახსენეთ: 1956 წლის 9 მარტს საბჭოთა კავშირის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ნიკიტა ხრუშჩოვმა, ეროვნებით ქართველ იოსებ სტალინზე განაწყენებულმა ჯავრი ქართველებზე იყარა. თბილისში დატრიალებულ ამ ტრაგედიას ასეულობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. 1989 წლის აპრილის დასაწყისში თბილისში მთავრობის სასახლის წინ გაჟღერებულ დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნას ხომ 9 აპრილის ტრაგედიის გარდა კიდევ არაერთი ტრაგედია თუ ქართველი ერის დასჯისკენ მიმართული პროვოკაციები მოჰყვა. სწორედ 1989 წელს განვითარდა ყველაზე მნიშვნე-ლოვანი მოვლენები საქართველოში. 15-16 ივლისს სოხუმში მოეწყო სისხლისღვრა აფხაზებსა და ქართველებს შორის; იმავე წელს დაიწყო სისხლისღვრის პროვოცირებები ცხინვალის რეგიონში; იმავე წელს მოეწყო სისხლისღვრა ქვემო ქართლის რეგიონში აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის. 1989 წელსვე საექვო ვითარებაში მომხდარ ავტოკატასტროფას შეეწირა ცნობილი დისიდენტის, ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის და შემდგომში საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სიცოცხლეც. იმავე წელსვე გადაწყდა საქართველოში ე.წ. თურქი-მესხების ჩამოსახლება. ასევე, იმავე წელს შეიქმნა „მხედრონიც“ და ა.შ. ჯერ მარტო 1989 წლის ნეგატიური მოვლენების ჩამოთვლა შეიძლება უსასრულოდ, ხოლო მთელი სამოცდაათწლიანი მმართველობის მანძილზე არსებული რეჟიმის მიერ ჩადენილ

დანაშაულებს ხომ ბოლო არ უჩანს. ქვეყანაში გამეფებულმა უკანონობამ, ფართედ დანერგილმა კორუფციამ, ბიუროკრატია, ტოტალიტარიზმმა, გადაჭარბებულმა ინტერნაციონალიზმმა, უკანონობამ, დიქტატურამ, დესპოტიზმმა, ტირანიამ შეიწირა უამრავი ადამიანის სიცოცხლე, მოშალა ქართული წეს-წყობილება, დაუმახინჯა თაობებს ცნობიერება, ხელი შეუწყო სხვადასხვა კონფლიქტების გაღვივებას, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით – სოციალური მდგომარეობის გაუარესებას, მთიანი რეგიონების დაცლას, დემოგრაფიული მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას, პოლიტიკურ თუ ფინანსურ კრიზისს და სხვა.

ამრიგად, საბჭოთა იდეოლოგიამ თავისი საშინელი მიდგომებით საკუთარ თავს ერთგვარად განაჩენიც კი გამოუტანა. ეროვნულმა ჩაგვრამ თუ ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვამ წარმოშვა დისიდენტური მოძრაობა არამხოლოდ თავისუფლებისთვის მებრძოლ სხვადასხვა რესპუბლიკაში და მათ შორის საქართველოში, არამედ თვით რუსეთშიც კი. ბოლო პერიოდის ეკონომიკურმა ჩამორჩენამ ხომ კიდევ უფრო დაამძიმა არსებული მდგომარეობა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ კაცობრიობის წინაშე ჩადენილმა დანაშაულებმა განაპირობა საერთაშორისო მხარდაჭერა საქართველოში და სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისადმი, რამაც საბოლოოდ შეუწყო ხელი ე.წ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლას 1991 წლის მიწურულს. სიმართლესთან ბრძოლაში დამარცხდა სასტიკი და დაუნდობელი იდეოლოგია, რომლის შედეგებსაც სამწუხაროდ დღემდე იმკის ქართველი ერი.

ლიტერატურა:

1. ავაკი წერეთელი (1977). „ბაში-აჩუკი“. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 126.
2. ალექსანდრე მოსიაშვილი (2016). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. 1 (18). 150-155.
3. ალექსანდრე მოსიაშვილი (2016). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. 2 (19). 84-90.
4. ალექსანდრე მოსიაშვილი (2014). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. 2 (15). 100-104.
5. ალექსანდრე მოსიაშვილი (2013). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები“ II. 307-313.
6. საქართველოს მოამბე (2007). „საქართველოს მაცნე“. თბილისი. 13-23.

Aleksandre Mosiashvili

Iakob GogebaSvili State University, Telavi

Soviet Ideology and Georgian Reality

Abstract

Modernized empire of Russia, which was known as Soviet Union in the people in its composition was spreading soviet ideology. This ideology was directed to assimilation of people with different culture and traditional custom. Accordingly, from this point of view several attempts were made in Georgian reality: educational programs in middle school and high schools, politics, economic, culture, art, sport... Soviet ideology with its terrible approaches gave judgment on itself. In conclusion, crimes made by Soviet union conditioned international support of Georgia and other ex-Soviet republics in which national liberation movements were started, and result of this was, that in 1991 so called Union of Soviet Socialist Republics was dissolved.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა, იდეოლოგია, კავშირი, ტრაგედია, ქართველი.

Keywords: Soviet, Ideology, Union, Tragedy, Georgian.

Methods of Improving Speaking Skill in Language Learning

One of the most important issues while teaching foreign language is the subject matter of teaching, i.e. what exactly we are teaching. In the process of teaching foreign language we, teachers, acknowledge, that the most important subject matter is communication process. Thanks to language we communicate regardless of space and time. Communication is about people exchanging messages. For communication to be successful, people must be able to understand the meaning of these messages and take part themselves. Having good communication skills means to be able to convey information to people clearly and simply, in a way that means things are understood and get done. It's about transmitting and receiving messages clearly, and being able to read your audience. It means you can do things like give and understand instructions, learn new things, make requests, ask questions and convey information with ease. Any consideration of the problem of communication inevitably raises the question of mutual understanding. When one talks about understanding, one usually thinks of comprehension of real things, cognition of the world around one. In case of effective communication everything in the communication process goes as planned: the receiver understands the message in the way you intended. Professionally, this allows proper procedures to be executed correctly and on time, increasing productivity. Personally, it prevents misunderstandings and can enrich relationships. Understanding strategies for effective communication such as listening, focusing on the others in the process, and asking questions for clarification all improve your chances for effective communication.

To provide effective communication a person needs to have good speaking skills. Lack of confidence, fluency, problem with getting words out when explaining things in important situations, situations like interviews, presentations, meetings can cause a number of difficulties. Any student can cope with anxiety, nervousness, shyness to speak after mastering his/her speaking skills. Hence we should not underestimate the importance of skills work. Not every lesson needs to teach new words, new grammar. Lessons also need to be planned to give students opportunities to practice and improve their language skills. There is no need to wait for extensive knowledge before daring to embark on speaking work. On the contrary, it is something so essential that it needs to be at the heart of a course from the start.

Teaching speaking is a very important part of second language learning. The ability to communicate in a second language clearly and efficiently contributes to the success of the learner in every phase of life. Therefore, it is essential that language teachers pay great attention to teaching speaking. Rather than leading students to pure memorization, providing a rich environment where meaningful communication takes place is desired.

Many English students complain that they understand English, but don't feel confident enough to join a conversation. There are a number of reasons for this including:

- Students are trying to translate from their native language into English.
- Lack of confidence
- The speaker is looking for a specific word, rather than using simple language to describe what is meant.
- There are not enough conversation opportunities in or outside of class.
- Students are not able to speak to peers (for example: mixed classes of adults and teenagers).
- Exam preparation focuses on grammar, vocabulary, etc. and leaves little time for active use.

The first rule of improving speaking skills is to make students speak, converse, talk as much as possible. Only practice, practice and more practice will help to overcome all these problems.

There are several strategies that can help. One of them is breathing properly while speaking as well as making students think positively about their ability to speak along with lots of encouragement!

Another common problem is speaking too fast, that is usually also caused by nerves. Getting them to do the introduction of the speech in an exaggeratedly slow manner may take it easier to find a middle ground. It is important to foster a friendly learning environment in which students feel safe and relaxed. Classrooms can provide students and staff with friendship, skills, and contacts beyond their immediate communities. Intentionally building networks in the classroom can create meaningful, supportive relationships among students and teachers.

Games are also quite popular in class, and games which encourage to express their point of view are some of the best. Games introduce an element of competition into language-building activities. The competitive ambiance also makes learners concentrate and think intensively during the learning process, which enhances unconscious acquisition of inputs. Most students who have experienced game-oriented activities hold positive attitudes towards them. Games stimulate communicative skills. The students especially liked authentic model games. They think creatively about how to use English to achieve the goal.

One other way of getting students to speak is role-playing. Students pretend they are in various social contexts and have a variety of social roles. In role-play activities, the teacher gives information to the learners such as who they are and what they think or feel.

There are some more techniques that may assist the students:

Dialogues are useful in learning standard phrases and vocabulary used in common situations. These situations are some of the most common you'll find when practicing your English. Conversational skills will help teachers understand specific challenges involved when teaching speaking skills in class. Debates can be helpful in such cases. Debates can be used in class to help motivate students and use phrases and vocabulary that they may not use on an everyday basis.

Structure. Stress the importance of having a beginning, middle and end and keep reminding them of this. Ideas/content generation. Lots of students find getting started quite difficult. It is a good idea to give students either a type of public speech that you would like them to do, or a particular topic. It is often useful to get students working in groups at the planning stage, helping each other to come up with ideas. You might then like to give them a standard introduction to use for their first speech. For example, "Good morning. My name is and right now I am going to talk about The main topic that I will talk about is ". This then gives them a focus for the structure of the rest of the speech. It can seem a little dry, however, so once they get the idea it is worth experimenting with different styles of beginning - e.g. using jokes and anecdotes.

Many students are so relieved to have got to their end of their speech that they rush the conclusion or sometimes completely forget to do one. Again, a suggested format may help them to summarise what they have said.

Showing students a variety of ways of making notes of ideas works well as not everyone likes the same methods. These could include mind-mapping, making lists or writing ideas on post-it notes and then arranging them on a piece of paper into groups.

Body language. There are various statistics for how much of our communication is done through our body language - they seem to hover around 70%, which is a massive chunk, so some work in this area is a very good idea. Gestures: one way to practise these is to give out some sentences with key words in them, such as "I watched a movie and it was so interesting!" or "there are two important reasons why you should take up swimming". Ask the students to practise saying these sentences while standing up and work out what gestures might be the most appropriate. Stress the importance of keeping gestures controlled. Eye contact: it's very important that speakers make eye contact with all areas of the room, ideally with every person but with large audiences that isn't possible. Many students tend to look at one spot or at the teacher. One way to practice this is to ask each student to do a short 30 second introduction and then at the end get any student who feels the speaker did not look in his/her direction to raise their hand.

Chunking (pauses and stress) is a technique which can help speakers to sound much more confident and increase the overall effectiveness of their speech. The theory is that when we do this type of speaking we stress the key words in a sentence which carry the meaning, e.g. " I DON'T want to stay here and DO WHAT YOU WANT". We also pause after many of these key words, and at the end of a sentence.

To practise this it would be nice to make your students play an example of a speech of any celebrity. Ask them to listen and identify the stressed words and pauses from a small section of the speech and then practise delivering it in the same manner. They can then mark the stress and pauses on their own speeches and practise incorporating the idea into their own work.

One more and very important method is to encourage the students to think of creative ideas for their speeches - do the planning stage in class so that you and the other students can monitor and give advice on topics that look like they might get a bit bored.

It is also worth mentioning that appropriacy of style of the speech the students deliver is very important. Here should be taken into account what the students think about their audience. The teacher might like to play them several different examples of famous speeches and ask them to comment on the style and discuss the purpose of the speech and audience before reflecting on their own. The speech should not be boring. It is really important to get the students to think carefully about their audience when planning their speech. For example, if they want to do a speech about the dangers of smoking, but no one in the class smokes, this probably won't be interesting.

Teacher can also advise the students not to write out their speeches in full but to use only notes or key words to help them deliver their speech. This then increases the chances of them being more original with the delivery. Motivating the students is the step towards success. Students' determination and belief that they can achieve their goals are important factors in their persistence in ongoing learning.

The present paper deals with factors and issues with which have great influence on speaking ability, accuracy and fluency. Although a lot of studies have been done in this area, the author feels the need for further research to provide some solutions for teachers to apply more effective methods and procedures in their teaching.

In this article the author has looked at a variety of techniques that can be used to help students develop the necessary skills for delivering speeches and mastering speaking skill in general. Practice in these areas can help to increase your students' overall confidence and fluency and provide an interesting and useful diversion from regular language work. With this aim, various speaking activities such as those listed above can contribute a great deal to students in developing basic interactive skills necessary for life. These activities make students more active in the learning process and at the same time make their learning more meaningful and fun for them.

References

- Shirmohammadi, M. (2015). The difficulties of teaching English language: The relationship between research and teaching. *International Journal of Linguistics*, 7(1), 102-110. <http://dx.doi.org/10.5296/ijl.v7i1.6648>
- McDonough, J. and C. Shaw. 2003. *Materials and Methods in ELT: a teacher's guide*. Malden, MA; Oxford: Blackwell.
- Nunan, D., 2003. *Practical English Language Teaching*. NY: McGraw-Hill.

სასაუბრო უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მეთოდები უცხო ენის შესწავლის პროცესში

რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება სასაუბრო უნარ-ჩვევების მნიშვნელობას კომუნიკაციის დამყარების პროცესში და ამ უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მეთოდებს. ნაშრომში ავტორი სთავაზობს მთელ რიგ აქტივობებს, რომლებიც დაეხმარებიან სტუდენტებს სასაუბრო უნარ-ჩვევების განვითარებაში, საუბრის ხელოვნების დახვეწაში და შესაბამისად უფრო წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში. ეს მეთოდები მოიცავს როგორც ავთენტურ აქტივობებს, ასევე როლურ თამაშებს და სხვა სახის საშუალებებს, რომლებიც სტუდენტებს უცხო ენის სწავლის პროცესში განუვითარებს დიალოგისა და მონოლოგის წარმოების, ასევე გააუმჯობესებს ზოგადად ეფექტური ზეპირი კომუნიკაციის დამყარების უნარს.

საკვანძო სიტყვები: საუბარი; უნარი; კომუნიკაცია; დიალოგი; აუდიტორია.

Key words: speaking; skill; communication; conversation; audience.

А. Р Мурадова

Институт языкознания РАН

Бретонская экспедиция Н. Я Марра 1929г.

Николай Яковлевич Марр (ნიკოლოზ მარი) (1865 – 1934) сыграл значительную и весьма неоднозначную роль в лингвистике. Его яфетическая теория, или так называемое «новое учение о языке», бывшая в 1920 – 1930 гг. главенствующим направлением в советской лингвистике, была признана несостоятельной и не получила дальнейшего распространения. Однако, кавказоведческая и востоковедческая деятельность Н. Я. Марра, а также его вклад в изучение отдельных языков, до того слабо представленных в советской лингвистической науке, заслуживает внимания современных исследователей.

Так, бретонский язык, относящийся к кельтской группе индо-европейской языковой семьи и распространенный на полуострове Бретань (северо-запад Франции) долгое время вызывал весьма умеренный интерес лингвистов, в том числе и кельтологов. По количеству и древности письменных памятников бретонский язык существенно уступает ирландскому и валлийскому. По этой причине бретонский материал в меньшей степени интересовал компаративистов начала XX века, нацеленных на реконструкцию индо-европейского праязыка. Однако Марра интересовали именно редкие и малоизученные языки, которые, по его мнению, возможно было причислить к яфетическим.

В 1929 г. Н. Я. Марр предпринимает трёхмесячную экспедицию в Бретань с целью изучения бретонского языка, который, по его мнению, является яфетическим и должен быть этимологически увязан с кавказскими и финно-угорскими языками. По результатам экспедиции были опубликованы две статьи: “Бретонская нацменовская речь в увязке языков Афреварии (Из трехмесячной работы во Франции)”, Ленинград, 1930. Изд. ГАИМК, стр. 36 и Яфетические зори на украинском хуторе (Бабушкины сказки о Свинье Красном Солнышке) //

Ученые записки Института народов Востока СССР, т. II, стр. 1 – 86. Последняя статья, хотя и не посвящена напрямую бретонской экспедиции, содержит многочисленные отсылки к бретонскому материалу, который Н. Я. Марр после 1929 года ввёл в свои лингвистические построения. Однако, марровские публикации этого периода столь эксцентричны по форме и нелогичны по содержанию, что не воспринимаются современными исследователями всерьёз, в отличие от более ранних работ Н. Я. Марра. Несмотря на это, изучение вклада Н. Я. Марра в развитие кельтологии в СССР представляет несомненный интерес как для кельтологов, так и для всех интересующихся историей лингвистических учений XX века.

В статье «Бретонская нацменовская речь...» Н. Я. Марр даёт весьма интересное описание социолингвистической ситуации в Бретани конца 1920-х, ссылаясь на Марселя Гийесса, бретонского националиста, бывшего в ту пору председателем организации Kengarantez-Vreiz и активистом Национальной партии Бретани (Parti National Breton). По воспоминаниям Н. Я. Марра, во время своего пребывания в Бретани он посвятил некоторое время изучению бретонского языка и его социолингвистической ситуации:

«Въехав в Guingamp для занятий в родной его среде бретонским и располагая лишь одной неделей, я немедленно обратился к содержательнице гостиницы с просьбой найти мне бретонца, говорящего на местном бретонском наречии. Узнав, что я учусь бретонскому, она спросила: «Вам нужен, следовательно, профессор или учитель бретонского?» — «Да нет, — ответил я ей, — я сам профессор, но мне именно не нужно никакого профессора, никакого преподавателя, мне нужен бретец, он или она, говорящий или говорящая на своем родном языке как простой народ, из крестьян или рабочих, ремесленников, торговцев». Дело было устроено, и я мог приступить к своим штудиям, не теряя времени, но что меня поразило, так замечание почтенной француженки, собственницы отеля. Выходило так: «Этого добра сколько хотите». Буквально она сказала: «Тут все, представьте себе, упорно говорят по-бретонски, подумайте, даже девушки, наша женская прислуга, как остаются друг с другом, болтают все по-бретонски, как ни твержу им: «перестаньте болтать по-бретонски, говорите по-французски!» они, глупенькие, все норовят говорить не по-французски, а на своем непонятном грубом patois».

Вы думаете, это передаю вам мнение лишь простой обывательницы. Фактически, конечно, но на самом деле из уст Guingamp'ской содержательницы отеля, как оказалось, мы слышали современную государственную мудрость страны по вопросу о бретонском языке. Так по крайней мере осведомляет нас Марсель Гийэсс (Marcel Guieysse) в брошюрке «La langue bretonne» 'Бретонский язык', вышедшей в 1925 году в Hennebont. [Марр Н. Я., 1930 (1)]

Судя по лексическому материалу, использовавшемуся Н. Я. Марром для построения этимологий, он пользовался словарями Ф. Валле и Э. Эрно, в частности, привлекаемое им мало распространенное в современном бретонском языке диалектное hurenn 'облако' встречается у Ф. Валле. Вполне вероятно, что Н. Я. Марр пользовался также учебником Ф. Валле La langue bretonne en 40 leçons, упоминаемом в библиографических списках к его статьям.

Проведенный нами анализ использованного Н. Я. Марром бретонского материала говорит о том, что Н. Я. Марр опирался не на тот разговорный язык, на котором разговаривала упомянутая им прислуга в Гвенгампе, а на вариант литературного бретонского языка, который разработали активисты бретонского национального движения, такие как вышеупомянутые М. Гийэсс, Ф. Валле, Э. Эрно, Р. Леру и прочие. Этот наддиалектный вариант бретонского языка, созданный выпускниками Реннского университета (г. Ренн расположен в Верхней Бретани за пределами зоны распространения бретонского языка) по образцу эсперанте, популярного в среде бретонских лингвистов первой половины XX века. Этот новый литературный вариант бретонского языка не был понятен носителям бретонских диалектов и воспринимался ими – и воспринимается до сих пор – как искусственный, чуждый, «ненастоящий» бретонский язык.

Споры о том, насколько удачным был эксперимент Ф. Валле, Э. Эрно и других создателей нового литературного бретонского языка не утихают по сю пору [Wmffre, 2008]. Нам неоднократно доводилось присутствовать при дискуссиях между носителями бретонских диалектов и неофитами, выучившими так называемый «стандартный бретонский», являющийся продолжением того литературного бретонского языка, основы которого заложили Ф. Валле и Э. Эрно и который получил презрительное название «химический бретонский». Во многом упрёки, адресованные к создателям новой литературной нормы оправданы: она создавалась интеллектуалами для интеллектуалов, к тому же её создатели не только не были носителями бретонского языка с детства, но и не стремились контактировать с носителями живых бретонских диалектов, и, вполне возможно, не покидали пределов франкоязычной Верхней Бретани.

Таким образом, на наш взгляд, к лингвистическому материалу, оказавшемуся в распоряжении Н. Я. Марра, следует отнестись с известной долей скептицизма. Сейчас вряд ли возможно достоверно узнать, занимался ли Н. Я. Марр полевыми исследованиями и работой с бретоноговорящими информантами, так как его отчёт о бретонской экспедиции имеет мало общего с привычными нам современными отчётами полевых лингвистов. Кроме процитированного выше отрывка из его отчёта о поездке в Бретань мы нигде не обнаружили свидетельств контактов Н. Я. Марра с бретоноязычным населением. Не указаны также имена информантов, благодаря которым Н. Я. Марр выучил (?) разговорный бретонский язык. Имеются некоторые сомнения в том, что Н. Я. Марр владел бретонским языком: в своих статьях в качестве бретонских основ он неоднократно указывает словоформы с инициальной мутацией, например, принимает исходную (неленированную) форму *doug* 'вода' и её ленированную форму *zoig* за чередование основы, причём леницию называет смягчением [Марр, 1930, (2) с. 251]

Мы можем опираться лишь на библиографический список, где в качестве источников представлены уже упомянутые брошюра Гийесса [Guieysse, 1295] и учебник Валле [Vallée F., 1926] и на описание социолингвистической ситуации, очень близкое по стилистике к научным и публицистическим статьям реннских националистов-интеллектуалов первой трети XX в.

На политической подоплёке контактов с бретонскими лингвистами следует остановиться особо. Общение с бретонскими националистами, по всей видимости, повлияло на восприятие Н. Я. Марром бретонского языка как языка угнетенного национального меньшинства, жертвы колониальной политики Франции. Подобное восприятие полностью соответствовало духу времени и политической риторике СССР конца 1920-х. Тема угнетаемых империалистами нацменьшинств, популярная в Советском Союзе как нельзя лучше иллюстрировалась наблюдениями Н. Я. Марра относительно низкого социального статуса бретоноговорящих и восприятия самого бретонского языка как пережитка прошлого. Вполне возможно, это делало изучение бретонского языка ещё более привлекательным, так как полемика Н. Я. Марра с «буржуазными лингвистами» выходила далеко за рамки научной и превращалась в политическую.

В конце 1920-х противопоставление «нового учения о языке» «буржуазной» индоевропеистике стало практически навязчивой идеей многих сторонников и последователей Н. Я. Марра (более подробно см. Алпатов, 2004). Это было время, когда наука о языке, так же как и другие науки должны были укладываться в рамки марксизма или хотя бы каким-то образом соотноситься с ним. Теория стадийности языка, связи языка с классами общества нуждалась в доказательствах. Бретонский язык, язык крестьян и рыбаков, вполне годился по мнению Н. Я. Марра в качестве иллюстрации к тезисам о стадийности и классовости языков. Однако, парадоксальным образом, Н. Я. Марр с большой долей вероятности использовал в своих построениях вариант бретонского языка, искусственно созданный реннскими буржуа.

В пику индоевропеистам Н. Я. Марр пересматривает не только вопросы родства бретонского языка другим кельтским и, шире, индоевропейским языкам, но и отрицает происхождение бретонского языка от языка бриттов, переселившихся в Арморику в V – VII вв. В рамках яфетической теории Н. Я. Марр сближает бретонский с другими «яфетическими» языками, в том числе с армянским и грузинским.

Немوتря на сомнительную научную ценность поздних статей Н. Я. Марра, сам факт привлечения внимания советских лингвистов к бретонскому языку стал важным шагом к созданию советской, а позже – российской кельтологии как отдельной научной дисциплины на стыке филологии, лингвистики и истории [Иванов, 2014]. В настоящее время бретонский язык привлекает всё большее внимание кельтологов и, шире – специалистов в области индоевропейского языкознания.

Библиография:

- 1 Алпатов В. М. (2004): История одного мифа: Марр и марризм, Издательство УРСС, Москва
- 2 Иванов С. В. (2014) Русская кельтология до и после 1917 года: традиция и разрыв // Неприкосновенный запас, Санкт-Петербург, 93 (№1/2014) с. 74 - 84
- 3 Марр Н. Я. (1930) Бретонская нацменовская речь в увязке языков Афреватии (из трёхмесячной работы во Франции), Том VI. Выпуск I., Издательство ГАИМК, Ленинград, с. 36
- 4 Марр Н. Я. (1930) Яфетические зори на украинском хуторе (бабушкины сказки о Свинье Красное Солнышко) // Ученые записки Института народов Востока СССР, т. 1, с. 1 - 86
- 5 Фрейденберг О. М. (1988) Воспоминание о Н. Я. Марре (публикация и примечание Н. В. Брагинской) // Восток-Запад, исследования, переводы, публикации, издательство Наука, Москва. с. 181 – 204
6. Guieysse, M., (1925), *La langue bretonne*, Mehat, Hennebont, p.34
7. Vallée F., (1926) *La langue bretonne en 40 leçons*, 7-е изд., Saint-Brieuc, p. 233
- 8 Wmffre I. (2008) *Breton orthographies and Dialects: The Twentieth-Century Orthography War in Brittany*, vol/ 1-2, p. 499

Muradova A. R.

Institute of Linguistics, Russian Academy of Sciences

Nikolai Marr's expedition in French Brittany in 1929

Nikolai Marr (1865 – 1934) was a talented but controversial scholar. His Japhetic theory was the mainstream of Soviet linguistics in 1920-1930s but after 1950 fell from official favour and was never used by linguists.

Meanwhile when studying the history of Linguistics of the first part of the XX century it is more that interesting to examine the impact of Marr's activities on the study of local and minority languages. The Breton languages spoken nowadays only by 20 000 persons in Western part of French Brittany was neglected by many linguists in the beginning of the XX century. The Indo-European comparative studies were focused on ancient languages so that Breton written sources could not provide them with ancient form like Old Irish or even Old Welsh.

But N. Marr in the context of his Japhetic theory seemed to be interested in the less known and less studied languages as Breton. N. Marr spent three month in the Western Brittany where Breton language was largely spoken in 1929. According to his trip report published in 1930 he has studied the spoken Breton and was able to speak it. He also was interested in the socio-linguistic situation of Breton and the fight of the local nationalists against the French politics of elimination of minority languages. This testimonial seems to be the most precious part of the Marr's article “Бретонская нацменовская речь в увязке языков Афреватии (Из трехмесячной работы во Франции)”, Ленинград, 1930. Изд. ГАИМК, стр. 36.

At the same time the analysis of the use of Breton stems in the frame of Japhetic theory shows that the Breton material was used in a paradoxal way: sometimes Marr uses the forms with initial mutation, the use of local dialectal forms is not always justified (see also: Яфетические зори на украинском хуторе (Бабушкины сказки о Свинье Красном Солнышке) // Ученые записки Института народов Востока СССР, т. II, стр. 1 – 86.

Key words: philology, history of linguistics, celtic studies, breton language, Nikolay Marr,

საკვანძო სიტყვები: ფილოლოგია, ლინგვისტიკის ისტორია, კელტური კვლევები, ბრეტონული ენა, ნიკოლ მარი

სოფიო მუჯირი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

ფრაზეოლოგიზმების თარგმნის პრობლემები ქართულ –გერმანულ რელაციაში

თანამედროვე მედიებისა და ტექნოლოგიების ხანაში მსოფლიოს მასშტაბით გააქტიურდა კომუნიკაცია, დამყარდა კონტაქტები სხვადასხვა ერისა და ეთნოსის წარმომადგენელს შორის. ამასთან კავშირში, უცხო ენის შესწავლის მოტივაცია გაიზარდა, უფრო აქტუალური გახდა უცხოენოვანი ლექსიკის, განსაკუთრებით კი ფრაზეოლოგიის სწორიაღმა-გაგება და თარგმნა. ფრაზეოლოგიაში ასახულია უცხო კულტურის სპეციფიკა, რომლის ადეკვატური თარგმნა ხშირ შემთხვევაში პრობლემატურია. ამიტომ, მუდმივად საჭირო თარგმნის ახალი შესაძლებლობების ძიება და კრიტერიუმების დაზუსტება, რომელთა ბაზაზე უკეთესად შეიძლება წარმართოთ ამოსავალი და მიზან-ენის ფრაზეოლოგიზმების თვისებათა შედარებისა და თარგმნის პროცესი. აღნიშნული საკითხის შესწავლას ეძღვნება მრავალი გამოკვლევა, რომლებშიც განხილულია უცხო- და მშობლიურენოვან ფრაზეოლოგიზმთა (ანუ ე.წ. „შესადარებელ“ ფრაზეოლოგიზმთა) ურთიერთმიმართების ასპექტები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰ. ბურგერის (2010), მ. ჰეშის (1977), ფ. ტრაუტმანის (1978) და სხვათა გამოკვლევები, რომლებშიც ფრაზეოლოგიზმების ადეკვატური თარგმნის ფართო შესაძლებლობებია შემოთავაზებული. მთელ რიგ შრომებში ფრაზეოლოგიზმების თარგმნის საკითხი განხილულია კონტრასტული, ლექსიკოგრაფიული და დიდაქტიკური კვლევის შუქზე (იხ.დ. დობროვოლსკი (1999), ი. კორჰონენი (1986), ც. ფიოლდესი (1996) და სხვ.):

კონტრასტული ფრაზეოლოგიის სფეროში ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ რა თვისებებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შესადარებელი ფრაზეოლოგიზმები. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ფრაზეოლოგიზმთა ისეთი თვისებების შესწავლაზე, როგორიცაა ფრაზეოლოგიზმთა კომპონენტური შემადგენლობა და ლექსიკური მნიშვნელობა.

ორენოვან ფრაზეოლოგიურ გამოკვლევებში ცდილობენ ლემას მოუძებნონ სრულფასოვანი ეკვივალენტი და თუ ეს მოცემულ ენაში არაა შესაძლებელი, მაშინ სხვა ფრაზეოლოგიური შესატყვისი.

უცხოური ენის დიდაქტიკის სფეროში დომინანტურია საკითხი, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ სტუდენტებს უცხოენოვანი ფრაზეოლოგიზმები და მათი გაგებისა და თარგმნის პროცესში რა სირთულებები იჩენენ თავს.

ფრაზეოლოგიზმების კვლევის ზემოთ დასახელებულ ასპექტებში მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში, ყოველი სფერო ეკვივალენტობის პრობლემას ან ერთმანეთისაგან იზოლირებულად განიხილავს, ან კვლევის

არეალი უმთავრესად მოიცავს ეკვივალენტობის პრობლემატიკის მხოლოდ ერთ რომელიმე ასპექტს, ფრაზეოლოგიზმთა მხოლოდ ერთი რომელიმე ჯგუფის მაგალითზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ ფრაზეოლოგიზმთა თარგმნის სამუშაოებს შესაძლებლობაზე:

1. ფრაზეოლოგიზმთა მცირე ნაწილი შესაძლებელია თარგმნოს სრული ეკვივალენტით, ანუ მიზან-ენის ისეთი ფრაზეოლოგიზმით, რომელიც ამოსავალი ენის ფრაზეოლოგიზმს ემთხვევა როგორც კომპონენტთა შემადგენლობასა და მნიშვნელობაში, ასევე სხვა დანარჩენ თვისებებშიც.
2. ფრაზეოლოგიზმთა უფრო დიდ ნაწილს თარგმნი ან ნაწილობრივი ეკვივალენტით, რომელიც ამოსავალი ენის ფრაზეოლოგიზმს ემთხვევა მნიშვნელობაში, მაგრამ არ ემთხვევა კომპონენტთა შემადგენლობაში.
3. ფრაზეოლოგიზმთა დანარჩენ ნაწილსაერთოდ არ შეესაბამება მიზან-ენაში ფრაზეოლოგიზმი. ასეთი ნულოვანი ეკვივალენტის შემთხვევაში, ფრაზეოლოგიზმს თარგმნიან სიტყვით, სიტყვათა ჯგუფით ან მნიშვნელობის აღწერით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ფრაზეოლოგიზმთა თარგმნის ზემოთ დასახელებული საშუალებები შეიძლება ყოველთვის ვერ გამოვიყენოთ კონკრეტულ კონტექსტში. ვინაიდან, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ქართულში მოიპოვება შესატყვისი ფრაზეოლოგიზმი, შესაძლებელია მთარგმნელმა კონკრეტული კონტექსტის თავისებურების გათვალისწინების გამო, გამოიყენოს ფრაზეოლოგიზმის თარგმნის სხვა შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩნია, გერმანული და ქართული იდიომების ფუნქციობა, ასევე მათი ეკვივალენტობის ხარისხი კონკრეტულ კონტექსტში განვიხილოთ. ამ მიზნით, საკვლევ მასალად შევარჩიეთ გერმანიაში მოღვაწე, თანამედროვე მწერლისა და დრამატურგის, ნინო ხარატიშვილის გერმანულენოვანი რომანი: „Das achte Leben (für Brilka)“ – „მერვე თაობა (ბრილკასთვის)“ (2014), რომელიც გამოირჩევა ფრაზეოლოგიზმების განსაკუთრებული სიუხვითა და ინდივიდუალური გამოყენების მრავალფეროვნებით. ჩვენი ამოცანაა, ერთმანეთს შევადაროთ ამოსავალი დამიზან-ენის იდიომები და დავადგინოთ მათი შესაბამისობა კონტექსტთან. ვინაიდან ნ. ხარატიშვილის ზემოაღნიშნული რომანი ჯერ კიდევ არ არის თარგმნილი ქართულად, ჩვენ თავად ვთარგმნეთ ის კონტექსტები, რომლებშიც განთავსებულია შესაძარებელი იდიომები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროდ ვთვლით: განხილული სამეცნიერო ლიტერატურის ბაზაზე განვსაზღვროთ იდიომთა პარამეტრები; დადგენილი პარამეტრების გათვალისწინებით დავადგინოთ გერმანული და ქართული იდიომების ეკვივალენტური მიმართებები კონტექსტში.

ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობისა და თვისებების დასაზუსტებლად გამოვიყენეთ: გერმანული (Duden, 2003), გერმანულ-ქართული (აბაშიძე ო., 2006; გამრეკელი ნ. და სხვ., 1973) და გერმანულ-რუსული (Бинович Л., 1975) ფრაზეოლოგიური ლექსიკონები. შესაძარებელ იდიომთა ეკვივალენტობის ხარისხის განსაზღვრაში უმთავრესად ვყვრდნობით რ. მანტენის (2013), ს. კალის (2015) და ქ. შინდლერის (2005) გამოკვლევებს. ამ ავტორთააზრით, სხვადასხვა ენის ფრაზეოლოგიზმების ერთმანეთთან თანხვედრის ხარისხი უშუალოდ და დამოკიდებულებისეულ პარამეტრებზე, როგორიცაა:

1. ფორმა და კომპონენტთა შემადგენლობა (კომპონენტთა შემადგენლობის სტრუქტურული და ბგერითი თავისებურებები);
2. სემანტიკური თვისებები (ლექსიკური მნიშვნელობის სახეობა, სინონიმური და ანტონიმური მიმართებები, ფრაზეოლოგიზმთა შემადგენლობის იდეოგრაფიული აღწერა);
3. გრამატიკული თვისებები (ფრაზეოლოგიზმთა მიკუთვნება ლექსიკურ-გრამატიკული კლასისადმი);
4. გრამატიკული და ლექსიკური კომბინაციის შესაძლებლობა;
5. გამოყენების სფერო და სტილისტური დახასიათება;

6. ემოციურ-ექსპრესიული თვისებები;
7. ისტორიულ-დროული მახასიათებლები.

ზემოთმოყვანილი პარამეტრებისმეშვეობით, შევეცდებით დავადგინოთ, თუ რამდენად განაპირობებსგერმანული იდიომისკონკრეტულ კონტექსტში ფუნქციობის ხასიათი, მიზან-ენაში კონტექსტური ეკვივალენტის ამორჩევას.

კონტექსტურ ეკვივალენტად მივიჩნევთ ისეთ ქართულ იდიომს, რომელიც გერმანულიდიომს მოცემულ კონტექსტში თავისი პარამეტრებით ყველაზე მეტად შეესაბამება. ზოგიერთ კონტექსტში კონტექსტური ეკვივალენტი თავისი პარამეტრებით შესაძლოა შეესაბამებოდეს გერმანული იდიომის პარამეტრებს,მაგრამ არსებობსისეთი კონტექსტებიც, რომლებშიც გერმანულიდიომისა და ლექსიკონში მოცემული ქართული ეკვივალენტის პარამეტრები განსხვავდება ერთმანეთისგან. ასეთ შემთხვევაში უნდა შევარჩიოთ ქართული ენის სხვა იდიომი, რომელიც თავისი თვისებებითკონკრეტულ კონტექსტს მეტად მიესადაგება. მომდევნო მაგალითებში შევეცადეთ დავადგინა გერმანული იდიომებისა და მათი ქართული შესატყვისების კონკრეტულ კონტექსტში(ნ.ხარატიშვილის ზემოაღნიშნული რომანიდან) ფუნქციობის რავგარობა და ეკვივალენტობის ხარისხები.ამ მიზნით მოგვყავს სრული, ნაწილობრივი და ნულლვანიეკვივალენტების შემდეგი მაგალითები:

- 1.სრული ეკვივალენტი გვაქვს მაშინ, როდესაც გერმანული და ქართული იდიომების კომპონენტთაშემადგენლობა და სტრუქტურა ერთმანეთს მთლიანად ემთხვევა. მაგალითად იდიომები: „mit einem Wort“- „ერთი სიტყვით“, ერთმანეთს ემთხვევიან კომპონენტთა შემადგენლობით. გერმანული წინდებული „mit“ შეესაბამება ქართულშიბრუნვის ნიშანს „-ით“.სემანტიკური თვალსაზრისითაც სრული თანხვედრა გვაქვს. ორივე იდიომითგამოხატულია უკვე გამოთქმული აზრის მოკლე შეჯამება. არც გერმანულ და არც ქართულ იდიომს არააქვთ ვარიანტები.

შეად.: „Sie hatte alle möglichen Argumente und Ausflüchte – **mit einem Wort**, sie wollte das nicht (Haratischwili 2014:147) („მას ყველა შესაძლებელი არგუმენტი და საბაბი მზად ჰქონდა-**ერთი სიტყვით**, მას ეს არ სურდა“).

გერმანულ და ქართულ იდიომს, გარდა ზემოთ დასახელებულისა, სხვა ლექსიკური მნიშვნელობები არა აქვთ.ორივე მიეკუთვნება მოდალურ ლექსიკურ_გრამატიკულ კლასს. არც ერთი იდიომი არ ავლენს გრამატიკულიან ლექსიკური კომბინირების უნარს. ორივე იდიომი სტილისტურად ნეიტრალურია,მათ არ გააჩნიათ ემოციურ-ექსპრესიული თვისებები. ისტორიულ-დროული დახასიათების მიხედვით, ისინი მიეკუთვნებიანთანამედროვე გერმანული და ქართული ენების ფონდს. ასეთი სრული ეკვივალენტები საკვლევ მასალაში მეტად იშვიათად გვხვდება.

2. ნაწილობრივი ეკვივალენტი

ნაწილობრივი ეკვივალენტის მაგალითიამომდევნო გერმანულ კონტექსტში მოყვანილი იდიომის: „an j-m hängen wie eine Klette“ქართული შესატყვისი. შეად.:

„Und seine Schwester, die mit ihm nichts gemein hatte außer dem Nachnamen (...), die andauernd kicherte und schmatzte und Grimassen zog, in deren Strumpfhosen immer eine Laufmasche zu finden war und die **an** diesem Andro **hing wie eine Klette**.“ (Haratischwili 2014:178)

(„მისი და, რომელსაც მასთან არაფერი ჰქონდა საერთო გარდა გვარისა (...), რომელიც განუწყვეტლივ ხითხითებდა, ტუჩებს აწკლავუნებდა და იმანჭებოდა (...), რომლის კოლგოტსაც მუდმივად თვალი ჰქონდა წასული და რომელიც ამ ანდროზე **ტკიპასავით იყო მიკრული**“).

ერთი შეხედვით,გერმანულ იდიომს შეესაბამება ლექსიკონში მოცემული ქართული ეკვივალენტი:“ტკიპასავით მიეკრო ვინმეს“ (აბაშიძე 2006:198) მაგრამ, გერმანულ იდიომში სიტყვა „Klette“ აღნიშნავს მცენარე- ოროვანდს, რომლისნაყოფი ეწეპება,ეკვრის გამვლელის

ტანსაცმელს. ქართული იდიომისკომპონენტიკი არის მწერი - ტკიპა.

შესადარებელი იდიომები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, როგორც კომპონენტთა შემადგენლობით, ასევე ვარიაციით. ქართულ იდიომს აქვს ლექსიკური ვარიანტები: „ტკიპასავით მიეკრო / მიეწებო ვინმეს“, მაშინ როდესაც გერმანულ იდიომს ვარიანტები არ გააჩნია. ქართული იდიომი მნიშვნელობით: „თავმომბეზრებელი, შემაწუხებელი“, განსხვავდება გერმანული იდიომის მნიშვნელობისაგან: „ვინმეს გვერდიდან არ მოსცილდე“ იმით, რომ ქართული იდიომი ახასიათებს პიროვნებას, რომელიც ვინმეს მუდმივად თავს აბეზრებს, აწუხებს თხოვნით ან კითხვებით. გერმანულ იდიომში კიაქცენტირებულია არა ანტიპათია, არამედ სიმპათია. კერძოდ, ერთი პიროვნება მეორე პიროვნებისადმი სიმპათიის გამო, მუდმივად მის გვერდით იმყოფება. იდიომები განსხვავებულ ლექსიკურ-გრამატიკულ კლასს მიეკუთვნებიან. ქართული იდიომი ზმნასთან კომბინირებული ადვერბიალურიერთეულია. გერმანული იდიომი კი უფრო ზმნურ კლასს მიეკუთვნება. იდიომები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ემოციურ-ექსპრესიული თვალსაზრისითაც. ქართული იდიომი ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს პიროვნების საქციელის ნეგატიურ მხარეს. გერმანულ იდიომს ასეთი ნეგატიური მნიშვნელობა მხოლოდ განსაკუთრებულ კონტექსტში შეიძლება ჰქონდეს. იდიომის „Wie eine Klette an jemandem hängen“ ქართული იდიომით თარგმნა: „ტკიპასავით მიეკრო ვინმეს“ გამართლებული იქნებოდა სინტაქსური თვალსაზრისით, ვინაიდან ქართული და გერმანული იდიომების სინტაქსური ფუნქცია ერთმანეთს შეესაბამება. მაგრამ, ზემოთ მოყვანილი განსხვავებები იდიომთა მნიშვნელობის ცალკეულ ასპექტებში, გერმანულ იდიომს აზრს შეუცვლიდა. აღნიშნული მიზეზების გამო კონკრეტულ კონტექსტში არაა სასურველი ზემოთ ხსენებული ლექსიკონური ეკვივალენტის გამოყენება. მართალია, შესაძლებელია გერმანული იდიომი სიტყვა-სიტყვითაც ვთარგმნოთ ქართულად: „ის მას ოროვანდით მიეკრო“. მაგრამ ასეთი თარგმნის დროს იდიომს ისევ ნეგატიური კონოტაცია აქვს. გარდა ამისა, მკითხველს შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, რომ ეს არა იდიომი, არამედ ავტორისეული ორიგინალური შედარებაა. ამიტომ მოცემულ კონტექსტში უმჯობესი იქნებოდა შემდეგი შესატყვისის გამოყენება: „ვინმეს გვერდიდან არ მოშორდე/არ მოცილდე“. თუმცა, ასეთი თარგმნის შემთხვევაშიც იჩენენ თავს განსხვავებები ლექსიკურ-გრამატიკული მიმართებით. მაგრამ, რადგან ქართული იდიომი ზმნასთანაა კომბინაციაში, ეს თარგმანი მაინც მეტადაა მისაღები.

ნულოვანი ეკვივალენტი

გერმანულ იდიომებს კონკრეტულ კონტექსტებში ხშირად ჰომონიმებით ან თავისუფალი სიტყვათა კავშირით თარგმნიან, რაც ყოველთვის არაა გამართლებული. შევადაროთ ერთმანეთს გერმანული და მისი შესატყვისი ქართული იდიომი: „Aus den (allen) Nähten platzen“ - „ნაკერებზე (ჭიჭინაზე) გასკდომა“. ამ იდიომებს განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობები აქვთ. გერმანული იდიომის მნიშვნელობაა: 1. zu dick, zu umfangreich werden; 2. zu voll werden, den Inhalt nicht fassen können (Duden 11, 2003). (1. ვინმე ან რაიმე ძალიან მსუქანი, მოცულობითი გახდა. 2. რაღაც ძალიან გაივსო, გაიტენა, შიგთავსს ვერ იტევს). ქართული იდიომს გერმანული იდიომისგან განსხვავებით შემდეგი მნიშვნელობა აქვს: „სიბრაზისაგან ნაკერებზე (ჭიჭინაზე) გასკდომა“, რომელიც შინაარსობრივად მეტად შეესაბამება გერმანულ იდიომს: „vor Ärger/Wut fast platzen“ (იხ. გამრეკელი, 1966). რაც შეეხება ლექსიკური კომბინაციის უნარს, გერმანული იდიომი: „Aus den (allen) Nähten platzen“ უკავშირდება არსებით სახელებს, რომლებიც აღნიშნავენ სივრცეს ან ადგილს, მაგ. საცხოვრებელ ადგილს, ჩემოდანს, ჩანთას და ა.შ. (Duden 11, 2003) და გამოხატავენ სივრცული სივიწროვის წნეხს. ქართული იდიომი: „სიბრაზისაგან ნაკერებზე (ჭიჭინაზე) გასკდომა“ ასეთი შინაარსის მქონე არსებით სახელებს არ უკავშირდება, მაგრამ უკავშირდება პიროვნებათა სახელწოდებებს. თუ მომდევნო კონტექსტში გერმანული იდიომის თარგმნისას გამოვიყენებთ ქართულ ჰომონიმს: „ნაკერებზე (ჭიჭინაზე) გასკდომა“, მაშინ ქართული წინადადების აზრი

დამახინჯდება. უმჯობესი იქნება, თუ გერმანულიდიომს ვთარგმნით შემდეგი ქართული იდიომით: „არტახებიდან განთავისუფლდა, არტახები დაწყვიტა“ (იხ. გამრეკელი, 1966:40), რომელიც მნიშვნელობით გერმანულ იდიომს და მოცემულ კონტექსტს შეესაბამება:

„Das Haus atmete auf. Es **platzte aus allen Nähten**, das strenge Korsett ablegend, dass es jahrelang umfassen hatte, es fing an zu leben“. (Haratischwili 2014:526)

(„სახლმა ამოისუნთქა, არტახებიდან განთავისუფლდა, კორსეტი მოიხსნა, რომელიც მას წლების მანძილზე ბოჭავდა და გამოცოცხლდა.“) მოცემულ კონტექსტში მოყვანილი ქართული ეკვივალენტი გერმანულ იდიომს მეტად შეესაბამება როგორც შინაარსით, ასევე მსგავსი სტრუქტურითა და კომპონენტთა შემადგენლობით.

ჩატარებული კვლევიდან შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გამოტანა:

1. კონკრეტულ კონტექსტში შესადარებელ იდიომთა ცალკეული პარამეტრების აღწერისას მხედველობაშია მისაღები, თუ რა ხარისხით განსხვავდებიან იდიომთა პარამეტრები ერთმანეთისაგან, არიან ისინი სავალდებულო თუ ფაკულტატური.
2. ძირითად პარამეტრებად უნდა ჩავთვალოთ იდიომთა *სემანტიკური და ლექსიკურ-გრამატიკული თვისებები*, ასევე მათი *კომბინაციის უნარი*. იდიომების განსხვავება ამ პარამეტრებში გამოირიცხავს ლექსიკონური ეკვივალენტის გამოყენებას კონტექსტში.
- 2.1. იდიომთა სემანტიკურ თვისებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. თუ კონტექსტში მოცემული გერმანული იდიომისა და მისი ქართული ეკვივალენტის მნიშვნელობები განსხვავებულია ან მათი მნიშვნელობათა ცალკეული ასპექტები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაშინ გამართლებული არაა იდიომის ლექსიკონური ეკვივალენტით თარგმნა;
- 2.2. გასათვალისწინებელია ასევე იდიომთა ლექსიკურ-გრამატიკული თვისებები. ლექსიკონური ეკვივალენტის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ის ლექსიკური კომბინაციის უნარითა და გრამატიკული ფუნქციით შეესაბამება გერმანულ იდიომს.
3. შესადარებელ იდიომთა სტლისტური და ისტორიულ-დროული დახასიათება, ემოციურ-ექსპრესიული თვისებები შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, თუმცა ეს არ გამოირიცხავს კონტექსტში ლექსიკონური ეკვივალენტის გამოყენების შესაძლებლობას.

ბიბლიოგრაფია:

1. აბაშიძე, ოთარ. (2006): გერმანულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“. თბილისი.
2. გამრეკელინ./ჰოფმანი თ./ქადაგიძე ნ. (1973): გერმანულ-ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი.
3. მუჯირი, სოფიო (2012): იდიომთა ლექსიკოგრაფიული რეპრეზენტაცია ორენოვან ლექსიკონში // „II საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები ლექსიკოგრაფიაში“, ქ. ბათუმი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. Бинович Л. Е. / Гришин Н. Н. (1975): немецко-русский фразеологический словарь. Издательство <русский язык>. Москва.
5. Муджири, Софья/Каджая, Надежда (2013): ОБУЧЕНИЕ И ПЕРЕВОД ТРАНСФОРМИРОВАННЫХ ПОСЛОВИЦ В СИСТЕМЕ ПОДГОТОВКИ СПЕЦИАЛИСТОВ МЕЖЪЯЗЫКОВОЙ КОММУНИКАЦИИ // „Материалы III международной научно-практической конференции: Высшая школа перевода“. МГУ имени М.В. Ломоносова. Салоники (Греция).
6. Burger H. (2010): Phraseologie; Eine Einführung am Beispiel des Deutschen. Erich Schmidt Verlag. Berlin.
7. Dobrovolskij D. (1999): Kontrastive Phraseologie in Theorie und Wörterbuch. In: R.S. Baur, C. Chlosta, E. Piirainen (Hrsg), Wörter in Bildern – Bildern in Wörtern. Baltmannsweiler, S. 107-122

8. Dobrovol'skij D./Piirainen E. (2009) : Zur Theorie der Phraseologie; Kognitive und Kulturelle Aspekte. Stauffenburg Verlag Brigitte Narr GmbH. Tübingen.
9. Duden 11 (2003): Redewendungen; Wörterbuch der deutschen Idiomatik. Dudenverlag. Berlin.
10. Haratischwili Nino (2006): Das achte Leben (für Brilka). Frankfurter Verlagsanstalt.
11. Heesch M. (1977): Zur Übersetzung von Phraseologismen. // In: „Fremdsprachen“ 21(1997), Nr. 2, S. 176-184
12. Földes C. (1996): Deutsche Phraseologie kontrastiv, Intra- und interlinguale Zugänge. Heidelberg.
13. Kahl, Stefanie (2015): Kontrastive Analyse zu phraseologischen Somatismen im Deutschen und Italienischen. Bamberg Press. Bamberg.
14. Korhonen J. (1986): Deutsche und finnische Phraseologie im Kontrast. In: R.Wimmer, F.-J. Berens (Hrsg), Wortbildung und Phraseologie. Tübingen, S. 263-271.
15. Mantel, Rilana (2013): Phraseologie im Deutschen und Spanischen. Romanistischer Verlag. Bonn.
16. Schindler C. (2003): „Falsche Freunde“ in der Phraseologie als Resultat einer unterschiedlichen Metaphorisierung? (Am Beispiel des Russischen und des Deutschen). In: B. Symanzik, G. Birkfellner, A. Spröde (Hrsg.), Metapher, Bild und Figur. Osteuropäische Sprach- und Symbolwelten. Beiträge zu einem Symposium in Münster 20./21. Juni 2002. Hamburg 2003, S. 15-23

Sophie Mujiri

Ivane Javakhishvili State University, Tbilisi

Challenges of Translating phraseological Units in Georgian – German Communicative

Abstract

In the given work there is presented classification of inventory phraseological units in Georgian and German languages according to their equivalence relations (full, partial and zero equivalences) that enable possibilities of translating phraseological units in different ways. In both languages there is underlined the necessity of following the criteria (of semantic equivalence of phraseological units, lexical composition and syntactic structure), as well as taking into account the quality of compatibility of phraseological units' metaphorization on the basis of their denotative meaning, emotional – expressive, stylistic connotation and images. In translation of phraseological units the degree of functional and communicational equivalence takes priority over their “dogmatism of an accurate translation”.

საკვანძო სიტყვები: ფრაზეოლოგიზმები, იდიომები, ეკვივალენტური მიმართებები, ფუნქციონალური თარგმანი.

Keywords: phraseological units, idioms, equivalence relations, functional translation.

ია ნადირაძე, ნუნუ გელდიაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

კომპოზიტა მოდელები და ენობრივი ექსპრესიის კონტრასტული ასპექტები ქართულ და ინგლისურ ნოველებში

კომპოზიტი ენის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული სიტყვათმადარმოებელი მოდელია [Ginzburg, 1979: 146. Антрушина, 2004: 44]. განსაკუთრებული დატვირთვა, როგორც აღმოჩნდა, მათ ნოველების წიაღში აქვთ, რადგან „ეკონომიური“ თხრობის ფონზე ყოველი სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა და როლი იზრდება. „სიტყვის მნიშვნელობაზე სიტყვის აგებულება ახდენს გავლენას“ [ფოჩხუა, 1974: 101]. ეს მოვლენა კი ყველაზე ნათლად კომპოზიტებზე აისახება. სტატიაში განხილულია ქართულ და ინგლისურ ნოველებში

დადასტურებული კომპოზიციები. მათი შედარება-შეპირისპირებითი ანალიზი ჩატარებულია რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით.

კომპოზიტი, ანუ თხზული სახელი, როგორც ვიცით, ფუძის გაორკეცებით ან ორი ან მეტი ფუძის შეერთებით მიიღება [შანიძე, 1973: 148]. კვლევის მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფუძეგაორკეცებული კომპოზიციები ქართული ნოველების ენისათვის უფროა დამახასიათებელი და ინგლისურ ნოველებში თითქმის არ დასტურდება: „ამ ყვირილ-ყვირილში სილბისტრო იდგა და ფიქრობდა“ [ლორთქ. 1953: 86]; „უფროსი ნაწყვეტ-ნაწყვეტ საუბრობდა“ [მიშვ. 1977: 202]; „ლიწინლიწინი გააქვთ გამხმარ შტოებს“ [გამს. 1992: 33].

ორ და მეტცნებიანი კომპოზიციის (შერწყმული სახელის) მიღების საშუალება ორგვარია: 1. გაერთიანებულია ერთი და იმავე ტიპის სახელი (ტოლად-შერწყმული სახელები); 2. გაერთიანებულია სხვადასხვა ტიპის სახელები (არ-ტოლად შერწყმული სახელები) [შანიძე, 1973: 156]. ორივე ტიპის სახელების ანალიზმა გამოავლინა, როგორც მსგავსება, ისე განსხვავება. დადასტურდა, რომ ტოლად-შერწყმულ სახელებში ჭარბობს არსებითი სახელით მიღებული კომპოზიციები: „თავ-კისრიდან უცნაური ბარგი ჩამოიხსნა“ [მიშვ. 1977: 137]; „... შემოიყვანეს ექვთიმე თეთრ ბლუზაშარვალში... წვერ-ულვაში კოხტად ჰქონდა დაკრეჭილი“ [ლორთქ. 1953: 112]; „მე ზალიკო რომ არა მყავდეს, სულ თავ-გზას დავკარგავდი“ [არაგვ. 1970: 154].

ინგლისურ ნოველებში ტოლადშერწყმული კომპოზიციების თითქმის 99% არსებითი სახელისაგან არის მიღებული: „The **street-light** came on outside the window“ [Hem. 1971: 63]; „he kept seeing his **dream-garden**...“; „Schemmer had decided that the event would be a good **object-lesson**“ [<http://london.sonoma.edu/writings/GodLaughs/chinago.html>]; „Felipe Rivera, the **scrub-boy** in the poor, cheap clothes, worn and **threadbare**“ [<http://london.sonoma.edu/Writings/NightBorn/mexican.html>]; „And I come down to your **parrot-and-monkeys** range just to smell the **morning-glories**“ [O. Henry, 2012: 553].

არსებითის შემდეგ, ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული და მნიშვნელოვანი, ამავე დროს განსხვავებული ინგლისურისაგან, არის ზმნების შეერთებით მიღებული კომპოზიციების ჯგუფი: „...თითქოს უნდოდა ელო სრულიად შეეხორც-შეეთვისებინა...“ [არაგვ. 1970: 94]. ასეთი კომპოზიციები ძირითადად მიღებულია მსგავს ფუძეზე განსხვავებული ზმნისწინების დართვით წარმოქმნილი სიტყვების შერწყმით: „კიდევ ერთხელ მიიხედ-მოიხედა...“ [მიშვ. 1977: 118]; „ლოგინი გააქან-გამოაქანა რაღაცამ“ [მიშვ. 1977: 6]; „გაძვრა-გამოძვრა მაჭანკალი“ [ლორთქ. 1953: 116]; „-...იცოცხლე, მივლანძლ-მოვლანძლე ორივე“ [ლორთქ. 1953: 82].

გარდა არსებითისა და ზმნისა, ქართულ ნოველებში დადასტურდა ტოლად შერწყმული სახელები მიღებული:

საწყისით:

„ქალები და ვაჟები ხითხით-კისკისით ართმევენ ერთმანეთს პატარა კალათებს... გამოსაჩენად იგდებს ზურგზე და მანჭვა-გრებით მიაქვს მარანში“ [ლორთქ. 1953: 67].

მიმღებობით:

„ატალახებული შუკა საქონლის ჩლიქებით დადარულ-დაკვალული“ [მიშვ. 1977: 5]; „- ამ სოფელში მინგრეულ-მონგრეული ეზოს მეტი არაფერი“ [ლორთქ. 1953: 80].

ზმნიზებით:

„კიდევ კარგი ზევით-ქვევით ირწეოდა მიწა...“ [მიშვ. 1953: 7].

ზედსართავით:

„...მშიერ-მწყურვალს სული მერთმევა ...“ [არაგვ. 1970: 60]; „ირინე ამხანაგურ-მეგობრულის ქცევით იზიდავს“ [ლორთქ. 1953: 67].

რიცხვითი სახელით:

„ერთი-ორჯერ მაგრად გაყინა“ [მიშვ. 1977: 10]; „საბამ საჩქაროდ გაწყვიტა ორ-სამ ადგილას რელწი“ [ლორთქ. 1953: 67].

საინტერესოა ტოლად-შერწყმული სახელების შემადგენელ სიტყვებს შორის აზრობრივ-სემანტიკური მიმართებანი. ა. შანიძის განმარტებით, „ირწყმება: 1. სინონიმები ან სინონიმებთან ახლო მდგომი გამოთქმები; ბ) ანტონიმები; გ) სახელები, რომლებიც აღნიშნავენ რამე ნიშნის მიხედვით ახლო მდგომ საგნებს და ამის გამო ხშირად იხმარებიან ერთად“ [შანიძე, 1973: 157].

დასახელებული ჯგუფებიდან სინონიმური ან სინონიმებთან ახლო მდგომი სიტყვების შერწყმა აღმოჩნა ნიშანდობლივი ქართული ნოველებისათვის: ყველ-პური; ჯამ-ჭურჭელი; საქონსაყოლიანად; ბარგი-ბარხანა; ჩაქუჩ-ლურსმანი; ბლუზაშარვალი; მშიერ-მწყურვალს; ამხანაგურ-მეგობრული; შეხორც-ძვალეზულები; დადარულ-დაკვალული; მინგრეულ-მონგრეული; ხითხით-კისკისით; მანჭვა-გრეხით...; ახლო მდგომი საგნების აღმნიშვნელი სახელები გაცილებით იშვიათად ერწყმის ნოველებში: თავ-კისრიდან; წვერ-ულვაში; ერთი-ორჯერ; ორ-სამ ადგილას... ხოლო ყველაზე ნაკლებად დადასტურდა ანტონიმებით მიღებული შერწყმული სახელები: ზევით-ქვევით.... გამონაკლისის სახით გვხვდება ისეთი შერწყმული სახელები, რომელთა შემადგენელი ნაწილებიც სემანტიკურად არ მიეკუთვნება არცერთ დასახელებულ ჯგუფს და გარკვეულ მეტაფორულ მიმართებას ავლენს: „შავნადვლიანი ფიქრები“; „თავ-გზას დაკვარგავდი“ [არაგვ. 1970: 154].

ინგლისურ ნოველებში კომპოზიტების მოცემული ჯგუფების მიხედვით კლასიფიცირება არ ხერხდება, რადგან ტოლად-შერწყმულ სახელებს შორის სინონიმურ-ანტონიმური კავშირი ან რაიმე ნიშნით ერთმანეთთან ახლო მდგომი სიტყვები არ დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის სახელები ძირითადად წარმოდგენილია არსებითი სახელების გაერთიანებით, მათ შორის მყარდება მსაზღვრელ-საზღვრულის მიმართება, სადაც პირველი კომპონენტი უმეტესად გვამღვებს მეორე კომპონენტის განსაზღვრებას. ამის მიხედვით ვიღებთ ენდოცენტრულ და ეგზოცენტრულ კომპოზიტებს. ენდოცენტრულ კომპოზიტში რეფერენტი სახელდება ერთ-ერთი ელემენტის მიხედვით, ხოლო მეორე განსაზღვრავს მას. ეგზოცენტრულ კომპოზიტში მხოლოდ ორივე ელემენტის კომბინაცია ასახელებს რეფერენტს [Арнольд, 1986: 123-124]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენდოცენტრული სიტყვის მნიშვნელობა უდრის კომპოზიტის შემადგენელ ელემენტთა ჯამს; ეგზოცენტრული კომპოზიტის მნიშვნელობა კი არ განისაზღვრება შემადგენელი ელემენტების მიხედვით [http://rae.ru/forum2012/192/230].

კვლევამ დაადასტურა, რომ ინგლისურ ნოველებში გაცილებით ჭარბობს ენდოცენტრული კომპოზიტები: **Head-straps, moose-hide sack... handspike; street-light, flower-bed...**

ეგზოცენტრული კომპოზიტები, როგორც აღინიშნა, გაცილებით ნაკლებად დასტურდება ნოველებში: Everywhere was soft **sky-line** (ჰორიზონტი); „... except on Sundays when God's **mouthpieces** (ქადაგი) had their say“ - „It saw my business to cross the bridge, explore the **bridgehead** (მყარი პოზიციები) beyond...“

სხვადასხვა ტიპის სახელების გაერთიანებით მიღებული (არ-ტოლად შერწყმული) სახელებიდან ქართულ ნოველებში გამოიკვეთა არსებითი სახელითა და მიმღეობით ნაწარმოები მოდელი. კვლევამ დაადასტურა, რომ ასეთი სახელი ნოველებში არ-ტოლად შერწყმული სახელების თითქმის 80% შეადგენს: „მივედით მეზობლები **სახლდანგრეულ** კაცთან სანუგეშებლად, გასამხნეველად“ [მიშვ. 1977: 9]; „... ორივენი ბედნიერნი ვართ და **გრძნობამოჭარბებულნი**...“ [გამს. 1992: 35]; „მუშა იოსები ამ **ბუდეაფორიაქებული** ხალხის სიბრაღულმა აიტანა“ [გამს. 1992: 129]; შეირყა, შეინძრა, აკვნესდა **სამირკველდამპალი** სამრეკლო“ [გამს. 1992: 68]; „ორივე მხრიდან ადგა რამდენიმე **გონებადაკარგული**...“ [ლორთქ. 1953: 81].

არსებითი+მიმღეობა მოდელით მიღებული კომპოზიტების უმეტეს ნაწილში არსებითი სახელი წარმოდგენილია სომატური ლექსიკური ერთეულით: „ქეთოს ხმა არ ამოუღია. თვალე და **ნესტოებგაფართოებული, პირდაღებული** და გაყვითლებული იდგა“ [ლორთ. 1953: 83]; „მის ლამაზ მრგვალ თავს და **კეფასმიკრულ** ყურებს თითქოს უხდებოდა უთმოზა“ [მიშვ. 1977: 202]; „**თვალეზანისლული** და **თავდავიწყებაში** მთვლემარე“ [გამს. 1992: 19];

„...ხახადაღებული ძუ მგელი“ [გამს. 1992: 67]; „გულამღვრეული მოვარდევ თოვლს“ [მიშვ. 1977: 13]; „სახეგაწითლებული... შემოტრიალდა, პიმცინარმა ბესოს და მთელ საზოგადოებას თავი დაუკრა“ [ლორთქ. 1953: 79]; „თედო გელიაშვილმა გაჰკრა ასანთი და ყელმოღერებული ლამპარი აანთო...“ [არაგვ. 1970: 79].

გარდა დასახელებული მოდელისა, კომპოზიციები ქართულ ნოველაში მიღებულია მოდელებით: არსებითი სახელი + ზედსართავი: „-მერე რათ გინდა შენ ცოლი? -ოდნავის დამცინავი ღიმილით შეეკითხა ენამწარე დედაკაცი“ [ლორთქ. 1953: 68]; არსებითი სახელი + ზმნიზედა: „იმათ შეახვიეს თედოს მეზობლის გვამი ტილოში და გულ-გრილად ...ოთახიდან გაიტანეს“ [არაგვ. 1970: 90]; არსებითი სახელი + საწყისი: „ფეხაკრეფით აუარა გვერდით საწოლებს. სიბნელეში ხელისფათურით მოძებნა სკამი...“ [მიშვ. 1977: 137].

არსებითი სახელის გარდა მსაზღვრელად კომპოზიციებში დადასტურდა ზედსართავი სახელი: „ვიღაც მწვანემოსასხამიანი ცეროდენა შემოვიდა“ [გამს. 1992: 37]; ზმნიზედა: „ძალდი უკანმოუხედავად გავარდა“ [მიშვ. 1953: 7]; იშვიათ შემთხვევებში - რიცხვითი სახელი: „ტიტიკო და ბათო ისე შეხორც-ძვალეზულები არიან, ისე გაერთსულებულები, რომ სიკვდილი ვერ გააშორებს იმათ“ [არაგვ. 1970: 209].


მიმღეობის როლი კომპოზიციების წარმოებაში ცალსახად გამოიკვეთა ინგლისურ ნოველებთან. აქ კომპოზიციების 80%-ზე მეტი მიმღეობის საშუალებით არის ნაწარმოები. ქართულისაგან განსხვავებით, ყველაზე დიდ ჯგუფს ქმნის ზედსართავი სახელისა და მიმღეობის კომბინაცია: „...cold-blooded fighter and business man“ [<http://london.sonoma.edu/Writings/NightBorn/mexican.html>]; „...the melody of his long-forgotten Southern vernacular“ [<http://london.sonoma.edu/Writings/SonWolf/white.html>]; „The thunder roused her from her plethoric middle-aged swoon of indifference; By his desk stood a slender young man with clear-cut sun-browned features...“ [O. Henry, 2012: 556]; „Red-fisted, short-breathed old duffer“ – [O. Henry, 2012: 179].

მეორე დიდი და მნიშვნელოვანი ჯგუფი კომპოზიციებისა ინგლისურ ნოველებში გამოვლინდა არსებითი სახელი+მიმღეობა მოდელით ნაწარმოები: “They were snow-bound a week...[Hem. 1971: 277]; „There they lay on the marble-topped table“ [<https://ebooks.adelaide.edu.au/w/woolf/virginia/w91h/chapter11.html>]; “The stillness was weird; not a breath rustled the frost-encrusted forest”; “And of all heart-breaking labors, that of breaking trail is the worst” [<http://london.sonoma.edu/Writings/SonWolf/white.html>]; “I turned a doubtful eye upon his dust-stained shoes” [O. Henry, 2012: 458].


გარდა დასახელებული კომბინაციებისა, მიმღეობა კომპოზიციებში გვხვდება ზმნიზედასთან: “...overwhelming force; downcoming winter” [<http://london.sonoma.edu/Writings/LoveLife/life.html>]; „You must not allow yourself to become downhearted“ [O. Henry, 2012: 459]; არსებით სახელთან (პირველ პოზიციაზე): “He who can keep out of the way of the dogs for a whole day may well crawl into his sleeping-bag” [<http://london.sonoma.edu/Writings/SonWolf/white.html>]...

არ-ტოლად შერწყმული კომპოზიციების კონსტიტუენტების პროცენტული მაჩვენებელი წარმოდგენილია დიაგრამაზე (დიაგრამა N1, დიაგრამა N2).

დიაგრამა N1



დიაგრამა N2



კომპოზიტების მცირე ნაწილი ნაწამოებია სხვადასხვა საშუალებით, მაგ. არსებითი სახელისა და ზმნიზედის: „...a knife **hilt-deep** in his breast” [<http://london.sonoma.edu/Writings/NightBorn/mexican.html>]; ზმნის: „Into this place Soapy took his accusive shoes and **tell-tale trousers** without challenge...” [O Henry, 2012: 34]; ზედსართავის: „Felipe Rivera, the scrub-boy in the poor, cheap clothes, worn and threadbare” [<http://london.sonoma.edu/Writings/NightBorn/mexican.html>]; „The streets were filled with the **rush-hour** floods of people” [O. Henry, 2012: 62] და სხვ.


საანალიზო ენების ნოველებში ვლინდება ნარევი სახის შერწყმაც - გაერთიანებულია სხვადასხვა ტიპის სახელები: „დერეფნის ბოლოდან მხარზე **პირ-სახოც-გადაკიდებული** კაცი გამოვიდა“ [მიშვ. 1977: 116]. ქართულ ნოველებში ასეთი სახელი ძირითადად მიღებულია არსებითი+არსებითი+მიმღეობა მოდელით: „...**გულ-ხელ-დაკრეფილები** იდგნენ სოფლის მოხელენი...” [არაგვ. 1970: 95]; „წამოიყვრა მოსამართლემ და **თავ-პირ-ანთებული** ზეზე წამოვარდა“ [არაგვ. 1970: 133]; „თავი ამოყო სუფთად **თავ-ყბა-გადაპარსულმა** მამაკაცმა“ [მიშვ. 1977: 202]; „რაზე უნდა მიჩივლოს იმ **სახლ-კარ-დაქცეულმა?! ...** რამდენჯერ გითხარ, მაგ **სახლ-კარ-ამოწყვეტილს** ჩამოეცალე-მეთქი...” [არაგვ. 1970: 120].

ასევე დასტურდება ზერდსართავი+არსებითი+მიმღეობა: „რა **ახალჯვარდაწერილები** ჩვენ ვართ“ [მიშვ. 1977: 6]; არსებითი+არსებითი+ზმნიზედა: „მარტო ფარაჯის **ამარა თოფ-მხარ-ილღივ** გადაგდებული და კომბალ-დაბჯენილი ქარვასავით ყვითლად გამოდღვიე მტევნებს შესცქერის და ზედ დაკანკალებს...” [არაგვ. 1970: 274] და სხვ. იშვიათად გვხვდება ოთხშემადგენლიანი კომპოზიტი: „აივანზე **თეთრ-ნიფხავ-პერანგის-ამარა** მელიტონი გამოვიდა“ [მიშვ. 1977: 17].

როგორც აღვნიშნეთ, ნარევი სახის კომპოზიტები ინგლისურ ნოველებთანაც ვლინდება. მათი წარმოების საშუალება მრავალფეროვანია - დასტურდება სხვადასხვა ტიპის მოდელები: „The **words-of-three-letters** lesson“; „In its **one-fourth-candlepower** glow we will observe the room“; „...**but-slightly-soiled** gloves“; „the third floor back in a West Side **brownstone-front**” [O. Henry, 2012: 62-64]; „...those lightly **small-of-back-caressing** hands...” [Hem. 1971: 290]... ასეთი სტრუქტურის კომპოზიტები ინგლისური ენის სისტემაში განიხილება როგორც სინტაქსური კომპოზიტები (ცნება პირობითია) და ინარჩუნებს მეტყველებისათვის დამახასიათებელ სინტაგმატურ მიმართებებს [Антрушина; 2004: 45].

ფუძეგარკვევითი, ტოლადშერწყმული, არ-ტოლად შერწყმული და ნარევი სახის კომპოზიტების რაოდენობრივი ანალიზის შედეგი ასახულია დიაგრამაზე (დიაგრამა N3).

დიაგრამა N3



კომპოზიციების მნიშვნელოვან ფუნქციაზე ნოველებში მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ერთ წინადადებაში ხშირად გვხვდება რამდენიმე, სხვადასხვა ტიპისა და მოდელის თხზული სახელი: „He was over fifty; but he could not help admitting that he was still, as the looking-glass showed him, a very distinguished-looking man“ [<https://ebooks.adelaide.edu.au/w/woolf/virginia/w91h/chapter17.html>]; „Manhattan, the **night-blooming** cereus, was beginning to unfold its **dead-white** (ზედს.+არს.), **heavy-odoured** (ზედს.+მიმდ.) petals“ [O. Henry, 2012: 62]; „That was where they walked up the **sleigh-smoothed** (არს. +მიმდ.) **urine-yellow** (არს. +ზედს.) road along the river with the steep **pinehills**“ [Hem. 1971: 277]; „By the way, I first located the messenger’s arsenal – a **double-barreled** (ზედს. +მიმდ.) **shot-gun** (არს.+არს.) with **buck-shot** (არს. +არს.) cartridges and thirty-eight in a drawer“ [O. Henry, 2012: 429]; „And most pathetic was the melody of his **long-forgotten** (ზედს. +მიმდ.) Southern vernacular, as he raved of **swimming-holes** (მიმდ. +არს) and **coon-hunts** (არს.+არს.) and watermelon raids“ [<http://london.sonoma.edu/Writings/SonWolf/white.html>]. „როცა შემოიყვანეს ექვთიმე თეთრ ბლუზაშარვალში (არს.+არს.) გამოწყობილი, ფეხებში ბორკილგაყრილი (არს.+მიმდ.), ქალს ქვითინი აუვარდა“ [ლორთქ. 1953: 112]

კვლევის რაოდენობრივმა ანალიზმა ცხადყო, რომ საანალიზო ენებში ჭარბობს არ-ტოლად შერწყმული კომპოზიციები. მათ შორის გაცილებით მეტია მიმდებლობით ნაწარმოები კომპოზიციები. განსხვავება მგდომარეობს იმაში, რომ ქართულ ენაში ძირითადად დასტურდება მოდელი - „არსებითი სახელი+მიმდებობა“, ხოლო ინგლისურში - „ზედსართავი+მიმდებობა“.

აღსანიშნავია, რომ კომპოზიტი გარკვეულ ემოციურ-ექსპრესიულობას ანიჭებს ნოველას. კერძოდ, დადასტურდა შემთხვევები, როდესაც მწერალი გადმოცემულ ინფორმაციას ემოციურობას სწორედ კომპოზიტით ანიჭებს: „ტიტიკო და ბათო ისე **შეხორც-ძვალეზულეები** არიან, ისე **გაერთსულეზულეები**, რომ სიკვდილი ვერ გააშორებს იმათ“ [არაგვ. 1970: 209]. დასახელებულ მაგალითში ტიტისა და ბათოს სიყვარულსა და ერთობას ავტორი კომპოზიტის საშუალებით უსვამს ხაზს (**შეხორც-ძვალეზულეები, გაერთსულეზულეები**). „Junta was **hard-pressed**“ – „**ხუნტელებს კი ძლიერ უჭირდათ**“ [ამერ. ნოვ. 1968: 82] – ხუნტელების მიმღე ყოფა კომპოზიტითაა გადმოცემული. დადასტურდა შემთხვევები, როდესაც ემოციის შექმნის მიზნით, ავტორი რამდენიმე კომპოზიტს ერთად მიმართავს: „**თმაგაბურძგნილი, ეკლებისაგან ხელფეხდაღადრული, ახალბედაშემოფხრეწილი** ქოსა გახუ ქაჯივით დარბოდა ჩირგვებში... და **გულდამდურული** მოსთქვამდა...“ [გამს. 1992: 171]. ზოგჯერ კი იგივე ხერხი მხატვრული ენის გასამდიდრებლად გამოყენებული: „From the oval-shaped flower-bed there rose perhaps a hundred stalks spreading into heart-shaped or tongue-shaped leaves half way up“ [<https://ebooks.adelaide.edu.au/w/woolf/virginia/w91h/chapter5.html>] – „ოვალური ფორმის ყვავილნარიდან ასიოდე ღერო იყო ამომართული, რომელიც გულისა თუ ენის ფორმით ვრცელდებოდა მიწასთან ძალიან ახლოს“ [კულფი, 2013: 34].

ამდენად, კვლევამ ცხადყო, რომ კომპოზიციები საანალიზო ენების ნოველებში მრავლად გვხვდება. ორივე ენაში თითქმის თანაბარ-პროპორციული თანაფარდობაა ტოლად/არ ტოლად შერწყმულ და ნარევი სახის კომპოზიტებს შორის; არ-ტოლად შერწყმული კომპოზიტების დიდი უმრავლესობა მიმდებლობითაა ნაწარმოები.

დადასტურდა, რომ კომპოზიტები ნოველას გარვეულ ემოციურ-ექსპრესიულობას ანიჭებენ. ამასთან, ქართული ნოველებისათვის ნიშანდობლივია ფუძეგაორკეცებული სახელები, ინგლისურისათვის - არა; ტოლად შერწყმული სახელები ინგლისურში ძირითადად არსებითი სახელით მიიღება, ქართულში კი სხვადასხვა მეტყველების ნაწილით; ტოლადშერწყმული სახელების უმეტესობა ქართულში სინონიმური მიმართების სიტყვებით არის შექმნილი, ხოლო ინგლისურში ენდოცენტრული სახელები ჭარბობს; არ-ტოლად შერწყმული სახელებიდან ქართული ნოველისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია მოდელი - „არსებითი (მათ შორის, სომატური) სახელი+მიმღეობა“, ინგლისურში - „ზედსართავი+მიმღეობა“.

ლიტერატურა:

1. ფოჩუა ბ. (1974): ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
 2. შანიძე ა. (1973): ქართული ენის გრმატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია. მეორე გამოცემა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
 3. Антрушина Г.Б., Афанасьева О.В., Морозова Н.Н. (2004): Лексикология английского языка. Дрофа.
 4. Арнольд И. В. (1986): Лексикология современного английского языка. Издание третье. «Высшая школа». Москва.
 5. Ginzburg R. S., Khidkel S. S., Knyazeva G. Y. Sankin A. A. (1979): A Course in Modern English Lexicology. Second Edition. Revised and Enlarged. Visshaya Shkola. Moscow.
 6. <http://rae.ru/forum2012/192/230> (მოძიებულია 22. 07. 2016)
- საანალიზო წყაროები:**
7. არაგვისპირელი შ. (1970): ერთტომეული. გამომცემლობა „მერანი“. თბილისი.
 8. გამსახურდია კ. (1992): ნოველები. თხზულებანი ოც ტომად, ტომი I. გამომცემლობა „თავრიდა“. თბილისი.
 9. ლორთქიფანიძე ნ. (1953): რჩეული თხზულებანი. ტომი II. გამომცემლობა „სახელგამი“. თბილისი.
 10. მიშველაძე რ. (1977): კაცნი. ნოველები. გამომცემლობა „მერანი“. თბილისი.
 11. Heminway E. (1971): Selected Stories. Progress Publishers. Moscow.
 12. O. Henry. (2012): 100 Selected Stories. Wordsworth Editions Limited. Hertfordshire.
 13. <http://london.sonoma.edu/Writings/LoveLife/life.html> (მოძიებულია 11.03.2017)
 14. <http://london.sonoma.edu/Writings/NightBorn/mexican.html> (მოძიებულია 11.03.2017)
 15. <http://london.sonoma.edu/Writings/SonWolf/white.html> (მოძიებულია 11.03.2017)
 16. <http://london.sonoma.edu/writings/GodLaughs/chinago.html> (მოძიებულია 11.03.2017)
 17. <https://ebooks.adelaide.edu.au/w/woolf/virginia/w91h/chapter6.html> (მოძიებულია 02. 04. 2017)
 18. <https://ebooks.adelaide.edu.au/w/woolf/virginia/w91h/chapter11.html> (მოძიებულია 02. 04. 2017)
 19. <https://ebooks.adelaide.edu.au/w/woolf/virginia/w91h/chapter17.html> (მოძიებულია 02. 04. 2017)

Compound Models and Contrastive Aspects of Linguistic Expressions of the Georgian and English Novellas

Abstract

The article deals with the compounds characteristic for the Georgian and English novellas. Their comparative-contrastive analysis was carried out from several viewpoints. Compound words attached equally, non-equally or semi-equally have been revealed in both languages. In the equally attached compound words those made from the nouns are prevailing. In the English novellas 99% of equally-attached compounds are formed from the nouns. In the Georgian novellas words formed from the verbs, adverbs, adjectives, numerals, gerunds, and infinitives have also been confirmed. Equally-attached words have been studied according to the conceptual-semantic relations between the constituents. Synonymic relations in Georgian and endocentric – in English novellas have been proven as their peculiarities. The study of constituents has revealed gerund to be the main part of compounds in target languages.

საკვანძო სიტყვები: ნოველა, კომპოზიტი, მიმღეობა, ტოლად/არ-ტოლად შერწყმული სახელები, ეგზოცენტრული/ენდოცენტრული კომპოზიტები

Key words: novella, compound words, gerund, equally/not-equally attached compounds, endocentric/exocentric compounds

ნინო ნახუცრიშვილი, ელიზა კველიშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

ფაქტორები, რომლებიც სასწავლო-კვლევითი საქმიანობის წარმატებას განაპირობებს მათემატიკის გაკვეთილზე

თანამედროვე მოთხოვნებით, სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა მოსწავლეთა კვლევითი სტილის აზროვნებისა და საქმიანობის უნარ-ჩვევების ფორმირების უზრუნველყოფა. ამ მიზნით განსაკუთრებული დატვირთვა აქვს გაკვეთილზე სასწავლო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზების შესაბამისი ფორმებისა და სასწავლო აქტივობების მიზანმიმართულად შერჩევას.

სასწავლო კვლევითი საქმიანობა არის ახალი ცოდნის შეძენის საშუალება, რომელიც ემყარება უკვე შეძენილი ცოდნის გამოყენებას და ხელს უწყობს მოსწავლეთა შემეცნებით საქმიანობას. პოზიტიური სასწავლო გარემო და სწავლა-სწავლების ისეთი სტრატეგიების გამოყენება, რაც მოსწავლეს უყალიბებს პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრისა და კვლევითი საქმიანობის საწყის უნარ-ჩვევებს, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეებში შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებასაც. კარგად დაგეგმილ და განხორციელებულ სასწავლო-კვლევით საქმიანობას, რომელშიც აქტიურად არის ჩართული მოსწავლე, ყოველთვის ახლავს ისეთი აზროვნებითი ოპერაციები, როგორიცაა დასმული ამოცანის გააზრება, ანალიზი, სინთეზი, გადაწყვეტის გზების მოძიება, კვლევა, ჰიპოთეზის შემუშავება, არჩევანის გაკეთება, გადაწყვეტილებების მიღება, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება. ეს ქმნის საფუძველს, რომ მოსწავლემ კარგად გაიაზროს საკუთარი

შესაძლებლობები, მოახდინოს თვითშეფასება, ჩამოუყალიბდეს და განუმტკიცდეს საკუთარი თავისადმი რწმენა, თვითორგანიზების და თვითშემოქმედების უნარები.

სასწავლო-კვლევითი საქმიანობა სპეციფიურია თავისი შინაარსით, განხორციელების ხერხებითა და მიდგომებით. ეს სპეციფიკა განპირობებულია იმით, რომ ამ პროცესში ერთად არის შერწყმული როგორც სასწავლო, ისე კვლევითი საქმიანობის ელემენტები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთათვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებას ორივე მიმართულებით.

ცხადია სკოლაში სასწავლო-კვლევითი საქმიანობა მიზნად არ ისახავს რაიმე მეცნიერული ფაქტების დადგენას, თუმცა ამ სახის საქმიანობას ყოველთვის ახლავს გარკვეული „აღმოჩენები“, რაც აღვივებს მოსწავლეთა დაინტერესებას შესასწავლი, „გამოსაკვლავი“ საკითხისადმი და ამაღლებს ინტერესს და მოტივაციას სწავლისადმი. ამგვარი მუშაობა განსაკუთრებით ეფექტური და შედეგიანია მათემატიკის სწავლებისას, რადგან ხშირად მოსწავლეთა უმრავლესობა მათემატიკას აღიქვამს, როგორც რთულ, აბსტრაქტულ საგანს, სადაც მათემატიკური კანონზომიერებები, დამოკიდებულებები, ცნებები უკვე დადგენილი, მზა სახით მიეწოდებათ. მოსწავლე კი თავის როლს ხედავს მხოლოდ ამ მზა მასალის ათვისებაში, რაც არცთუ მარტივი და საინტერესო პროცესია მათთვის. ხოლო, როდესაც მოსწავლე თვითონ გვევლინება მათემატიკური ფაქტების, დამოკიდებულებების „აღმოჩენის“ როლში, ამგვარი ტიპის მუშაობა უზიძვრებს მას ახალი ცოდნის ძიების, აქტივობისა და საკუთარი აზრის დამოუკიდებლად ჩამოყალიბებისაკენ. მოსწავლე რწმუნდება საკუთარ შესაძლებლობებში და იზრდება მისი დაინტერესება სწავლისადმი. ამავდროულად, სასწავლო-კვლევითი საქმიანობა საჭიროებს სხვადასხვა საგნობრივ ცოდნას და მათ ინტეგრირებას. მათემატიკა კი ამ მხრივ დიდ შესაძლებლობებს იძლევა. ამდენად, სასწავლო-კვლევითი მუშაობა ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნების განვითარებაზე, თვითრეალიზებაზე, სწავლისადმი მისი ინტერესის გაღვივებაზე, ახალი ცოდნის დამოუკიდებლად მოძიებასა და ათვისებაზე. ამ პროცესში ერთობ მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი, რომელმაც მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი მოსწავლეთა დამოუკიდებელ სასწავლო საქმიანობას და სწორი პედაგოგიური მიდგომით, „კონსულტანტის“ როლში, კონსტრუქციული თანამშრომლობით გაუწიოს დახმარება მოსწავლეებს. ეს არსებითად მნიშვნელოვანი მოთხოვნაა მოსწავლეთა სასწავლო-კვლევითი საქმიანობის წარმართვისას. მათემატიკის სწავლებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა მიერ ათვისებული ცოდნა არ იყოს მხოლოდ რეპროდუქციული და მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული საკუთარი ცოდნის კონსტრუირებაში. ამისთვის კი საჭიროა გააზრებული სასწავლო-კვლევითი მათემატიკური საქმიანობა, რომელსაც მისი განხორციელების სპეციფიკის და საჭირო ქმედებების აუცილებლობის ნათელსაყოფად წინ უნდა უძღოდეს სათანადო „ინსტრუქციების“ შემუშავება და გაცნობა მოსწავლეთათვის. ეს საქმიანობის წარმატებულად წარმართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

სასწავლო-კვლევითი საქმიანობის წარმატებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათგან გამოვეყოფთ სამ მნიშვნელოვან ფაქტორს:

1. საქმიანობის ორგანიზების ფორმების შერჩევა და მისადაგება კონკრეტულ საქმიანობასთან; 2. სასწავლო-კვლევითი საქმიანობის მრავალმხრივი აქტივობების, სტრატეგიების გამოყენება; 3. სასწავლო პროგრამის თემატიკის შესაბამისი საინტერესო და კარგად ჩამოყალიბებული ამოცანის, საკვლევი საკითხის შერჩევა;

სასწავლო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი ამოცანების, (მოსწავლეთათვის შემეცნებითი ინტერესის ფორმირება; მათთვის კვლევითი და შემოქმედებითი უნარების ჩამოყალიბება-განვითარება, პიროვნული თვისებების ამაღლება, მათი ორიენტირება მოტივირებულ სასწავლო საქმიანობასა და ცოდნის შეძენაზე და სხვ.) განხორციელება ორგანიზების სხვადასხვა ფორმებით არის შესაძლებელი. სასწავლო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზების ფორმები ერთმანეთისგან განსხვავდება სტრუქტურით, მასწავლებლისა და მოსწავლის როლით ამ პროცესში, მათი აქტივობისა და ჩართულობის დონით, აგრეთვე, იმით, თუ სად ხორციელდება მოსწავლეთა სასწავლო საქმიანობა: სკოლაში (გაკვეთილებზე,

კლასგარეშე ღონისძიებებზე სხვადასხვა ფორმით); სახლში (საშინაო, დამოუკიდებელი მუშაობის ფორმით); სკოლის გარე გარემოში, (ბუნებაში, წარმოებებში, სხვადასხვა გარემოში პროექტების სახით და სხვა.) მათგან ჩვენ განვიხილავთ გაკვეთილს, როგორც მათემატიკის სწავლების ძირითად ფორმას, სადაც მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა გამოიყენოს მუშაობის ფორმებიდან (ინდივიდუალური, ფრონტალური, ჯგუფური, წყვილებში მუშაობა...) კონკრეტულ საქმიანობასთან მისადაგებული ერთ-ერთი, რაც მეტი შედეგის მომცემი იქნება კონკრეტულ შემთხვევაში სასწავლო მიზნის განსახორციელებლად და მოსწავლეთათვის კვლევითი უნარ-ჩვევების დასაუფლებლად.

ცხადია, გაკვეთილი შეიძლება იყოს სტანდარტული და არასტანდარტულიც. ამ უკანასკნელის სხვადასხვა მრავალფეროვნებიდან შერჩევა ხდება კონკრეტული მიზნის შესაბამისად. ეს შესაძლოა იყოს მაგალითად ინტეგრირებული გაკვეთილი, „გაკვეთილი-პროექტი“ ან იმ ტიპის გაკვეთილი, რომლის ძირითადი მიზანიც მიმართულია კონკრეტულ სასწავლო კვლევით საქმიანობაზე. მათ პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ „ახალი მიგნებებისა და აღმოჩენების გაკვეთილი“, „ჰიპოთეზების გაკვეთილი“, „საკითხის ანალიზისა და მსჯელობის გაკვეთილი“, „გაკვეთილი-ექსკურსია“ და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული განსხვავდება თავისი სტრუქტურით, მოსწავლეთა და მასწავლებლის ფუნქციების გადანაწილებით და ა. შ. ყოველი მათგანის შემთხვევაში შესაძლებელია მოსწავლეთათვის ისეთი აქტივობების შეთავაზება, რაც მათში კვლევა-ძიებით უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას შეუწყობს ხელს. მაგალითად, „ახალი მიგნებების და აღმოჩენების გაკვეთილი“ ორიენტირებული უნდა იყოს კონკრეტულ ობიექტებს შორის მათემატიკური დამოკიდებულებების აღმოჩენაზე, მათემატიკური ცნებების გარკვეული თვისებების მიგნებებსა და მათ შორის მიმართებების აღმოჩენაზე, კონკრეტული საკითხის შესახებ გარკვეული ინფორმაციის მოძიებასა და ამ ინფორმაციის დამუშავებაზე. დავალების სირთულიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფური მუშაობა. „ჰიპოთეზების გაკვეთილის“ შემთხვევაში მოსწავლეებს ვთავაზობთ კონკრეტულ ამოცანას და ვავალდებთ საკითხის გადაწყვეტის ირგვლივ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, ჰიპოთეზები, რაც უნდა გაამყარონ არგუმენტებით. ყოველი მოსწავლე თავისუფალია აზრის დაფიქსირებისას, მთავარია მათი მსჯელობა ეყრდნობოდეს არგუმენტებს. ბოლოს ხდება მოსაზრებების შეჯერება და მათგან ბევრად არგუმენტირებულის გამოყოფა მომავალი განხილვისა და შესწავლისათვის. ამ შემთხვევაში შესაძლებელია წყვილებში მუშაობაც, რაც უფრო ხალისიანს ხდის გაკვეთილს.

ამგვარი ტიპის გაკვეთილები ეხმარება რა მოსწავლეებს კვლევითი უნარების ჩამოყალიბებაში. ამასთანავე ხელს უწყობს მათში სოციალური უნარების, წერიტი და ზეპირი მეტყველების, საკუთარი აზრის ნათლად ჩამოყალიბების, პრეზენტირების, კომუნიკაციის, სხვისი აზრის გაზიარების უნარების ჩამოყალიბება-განვითარებასაც. მოსწავლეები ეუფლებიან ცალკეული აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებას, საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად სხვადასხვა წყაროების მოძიებას და სხვ. ყოველ ასეთ გაკვეთილს გარდა სასწავლო დანიშნულებისა, აქვს განმავითარებელი და მასტიმულირებელი ფუნქცია, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა აქტივობისა და ჩართულობის ხარისხზე.

კვლევითი ხასიათის გაკვეთილის ჩასატარებლად საჭიროა მოსწავლეთა სასწავლო საქმიანობის ორგანიზება იმ მიზნით, რომ ნათლად მოხდეს:

1. პრობლემის, საკითხის დასმა და მის შესახებ ამოცანების განხილვა;
2. კითხვების საშუალებით წარმოდგენილი პრობლემის დასაბუთება;
3. ამ პრობლემის გადაჭრისა თუ საკითხის გადაწყვეტისათვის კვლევა-ძიების ჩატარება;
4. და ბოლოს გადაჭრილი პრობლემის, საკითხის მისადაგება სხვა საკითხებთან თუ ამოცანებთან, მისი შესაძლო გამოყენების ნათელყოფა.

კვლევითი საქმიანობის განხორციელებისთვის შემდეგი ეტაპების გავლაა საჭირო:

- მიზნის ნათლად განსაზღვრა და ჩამოყალიბება;
- საქმიანობის დაგეგმვა;

- შემუშავებული გეგმის განხორციელება;
- შეჯამება და დასკვნების ჩამოყალიბება.

კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას ემსახურება და საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა პროექტზე მუშაობა. ჩვენ განვიხილავთ იმ შემთხვევას, როდესაც პროექტის ტიპის აქტივობების განხორციელება ხდება საგაკვეთილო სივრცეში. ცხადია გაკვეთილისთვის განკუთვნილი დრო მცირეა პროექტზე სამუშაოდ, ამიტომ ამ შემთხვევაში მოსწავლეებს წინასწარ ეძლევათ დავალება: კონკრეტული გადასაწყვეტი საკითხის ირგვლივ მოიძიონ საჭირო ინფორმაცია, წინასწარ მოიაზრონ (დაგეგმონ) საკითხის გადაწყვეტის შესაძლო ვერსიები. ამ მიზანს ემსახურება „გაკვეთილი-ექსკურსია“: კონკრეტული პროექტის შესამუშავებლად შესაძლებელია მოსწავლეებს შევთავაზოთ ე. წ. „ვიდეო-ექსკურსი“, რა დროსაც ვიდეოს (სურათების) სახით ვაჩვენებთ მათ კონკრეტულ სიუჟეტს, ვანახვებთ პრობლემას და ვთავაზობთ, რომ აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად შეადგინონ სამოქმედო გეგმა საჭირო რესურსების და დროის განრიგის მითითებით, მოიაზრონ თუ რა ინფორმაციის, მონაცემების მოძიება დაჭირდებათ ამისთვის. შემდგომ კი საგაკვეთილო სივრცეში განხორციელებენ და შეიმუშავენ პროექტს ჯგუფური მუშაობით. პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეები უნდა შეთანხმდნენ ურთიერთობების ფორმებზე, მუშაობის პირობებზე, მიზანზე, შესრულების დაგეგმვაზე და განხორციელებაზე, ფუნქციების გადანაწილებაზე. ამოცანის გადასაწყვეტად მოსწავლეები მოიძიებენ მისი გადაწყვეტის გზებს, რომლებიც შესაძლოა არსებობდეს რამდენიმე და განსხვავებული. ამოხსნის გზების შედარება და მათგან ოპტიმალურის შერჩევა, შეფასება, მოითხოვს ჯგუფის წევრთა ურთიერთშეთანხმებულ საქმიანობას. ცხადია ასეთი საქმიანობა უნდა ითვალისწინებდეს როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ ინტერესებს, რომ გადაწყვეტილების მიღება მოხდეს ერთობლივად, ურთიერთშეთანხმებით. ამიტომ ეს მეთოდი ეხმარება მოსწავლეს როგორც აქტიურ სასწავლო საქმიანობაში, ცოდნის დამოუკიდებლად მოძიებაში, მიღებული ცოდნის საჭიროებისამებრ გამოყენებაში, შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში, ასევე ნებისყოფითი თვისებების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის სოციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებაში და სხვა. პროექტის ტიპის აქტივობა ყველა საფეხურის მოსწავლეს ახალისებს, რადგან თითოეულ მათგანს შეუძლია წვლილი შეიტანოს საერთო წარმატებაში თავისი ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით. მთავარია მასწავლებელმა გაითვალისწინოს მოსწავლეთა მზაობა და ასაკი, შესასწავლი მასალა და მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. დავალება უნდა იძლეოდეს თეორიის და პრაქტიკის გამთლიანების რეალურ შესაძლებლობებს. ეს გამორჩეულად მნიშვნელოვანია მათემატიკის გამოყენებითი ღირებულებების ნათელსაყოფად, როდესაც მოსწავლე რწმუნდება თუ რამდენად ღირებულია მათემატიკური ცოდნა და შესაბამისი კომპეტენციების ფლობა ისეთი პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც სცილდება საგაკვეთილო გარემოს.

სასწავლო-კვლევითი შინაარსის ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა გარკვეული ეტაპების დაცვა და შესაბამისი აქტივობების განხორციელება:

- ამოცანის გააზრება და კვლევის ობიექტის გამოყოფა, გადასაწყვეტი საკითხის ნათლად წარმოჩინება;
- „კვლევის ობიექტის“ აღწერა, ობიექტის მახასიათებელი თვისებების გამოკვეთა და დახარისხება კვლევისათვის საჭირო „არსებით“ და „არაარსებით“ თვისებებად, ცალკეული დეტალების გამოყოფა;
- ამოცანაში განხილულ ცალკეულ ობიექტებს შორის შესაბამისობების დადგენა, გამოვლენა, რაც შესაძლოა ნათლად იყოს წარმოდგენილი ამოცანაში ან საჭიროებდეს გარკვეულ დაკვირვებებს, „მიგნებებს“, „აღმოჩენებს“;
- განხილული საკითხის ირგვლივ საკუთარი მოსაზრებების, ჰიპოთეზების ჩამოყალიბება და მასზე დაყრდნობით ამოცანის გადაწყვეტის სხვადასხვა გზების მოძიება, მათგან ოპტიმალური ვერსიის შერჩევა, გადაწყვეტილების მიღება;
- საკვლევი ობიექტების, ამოცანაში აღწერილი სიტუაციის შესახებ საჭირო ინფორმაციის რესურსების შერჩევა, მოძიება, დაკვირვება, კვლევა;

- კვლევის შედეგად მოძიებული ინფორმაციის გაანალიზება, შეჯერება;
- ამოცანის გადაწყვეტის შერჩეული ვერსიის შემოწმება. დასკვნების ჩამოყალიბება. საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული გზების მოძიება.

ცხადია, აღნიშნული აქტივობების განსახორციელებლად უპირველესად საჭიროა სასკოლო პროგრამის შესაბამისი ისეთი ამოცანების, საკითხების სათანადო შერჩევა, რაც არა მხოლოდ საინტერესოა კვლევითი მუშაობისთვის, არამედ გარკვეულ გამოწვევებსაც შეიცავს მოსწავლეთათვის, ზრდის მათ დაინტერესებას და უზიდავს ინტუიციური, ანალიტიკური, შემეცნებითი აზროვნებისკენ.

კოგნიტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჯერომ ბრუნერი მისი სწავლების თეორიის ერთ-ერთ მთავარ ასპექტად მიიჩნევს სწავლებისადმი წინასწარ განწყობას. ამ მხრივ კარგად შერჩეულ ამოცანას მართლაც დიდი როლი აკისრია მათემატიკის სწავლებაში. მისი დახმარებით შესაძლებელია მოსწავლეთა დაინტერესება და აქტიური ჩართვა სწავლა-სწავლების პროცესში. ამიტომ, მოსწავლეთა გონებრივი და სააზროვნო შესაძლებლობების განვითარებისთვის სასურველია გამოვიყენოთ ამოცანები, რომლებიც მოითხოვს უკვე შესწავლილ მასალაზე დაყრდნობით და კვლევა-ძიების საშუალებით ამოხსნის გზების მიგნებას. მოსწავლეთათვის სასწავლო-კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის მიზნშეწონილად მივიჩნევთ კვლევითი ტიპის დავალებების, ამოცანების შეთავაზებას მოსწავლეთათვის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ცელკეულ თემებთან კავშირში, რასაც უნდა ჰქონდეს სისტემატური ხასიათი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიუნაშვილი ზ. (2013): პროექტზე დაფუძნებული სწავლება მათემატიკაში
<http://mastsavlebeli.ge/?p=3845>
2. [ბოჭორიშვილი მ.](http://mastsavlebeli.ge/?p=2370) (2013): ჯერომ ბრუნერი და აღმოჩენებით სწავლის თეორიის მნიშვნელოვანი კონცეპტები
<http://mastsavlebeli.ge/?p=2370>
3. სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები
http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/saazrovn%20unarebi.pdf
4. ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი. (2007): როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება
(მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო)

Nino Nakhutsrishvili, Eliza Kevlishvili
Iakob Gogebashvili State University, Telavi

Factors that guarantee the success of educational – research activity at the maths lesson

Abstract

One of the most important functions in the implementation of the educational process is to ensure students' research style thinking and formation of activity skills. In this regard, the proper selection of educational activities and relevant forms of organization of educational-research activities at the lesson has special importance. Educational –research activity is specific in its content, ways of implementation and approaches. This specificity is due to the fact that in this process are combined together both educational and research activity elements, which facilitate the development of students' skills in both directions. Therefore, during the selection of educational activities or teaching forms, this specificity should be taken into consideration by all means.

The article contains important factors determining the success of educational –research activities and analyzes the role of each. In addition, there are suggested various types of non-standard lessons the implementation of which help students develop research skills and promote the development of their social skills, written and oral communication, the ability to formulate their own ideas and to share others' opinions. Working on the project serves to develop research skills and gives good results. This article discusses the case the implementation of which takes place during the lesson.

Educational –research activity requires the knowledge of different subjects and their integration. In this respect, mathematics provides great opportunities in regard to both contextual and multilateral, interesting and well-formed tasks or research topics. In order to solve the task of educational –research content, it is necessary to follow certain steps and implement relevant activities. Obviously, for the implementation of these activities, first of all it is necessary to select appropriate tasks and topics that are not only interesting for research work but also include some challenges for students, increase their interest and urge them to intuitive, analytical and cognitive thinking. Therefore, tasks play a great role in math learning. Due to it, it is possible to involve students in learning –teaching process actively and encourage them to be interested in learning. For the development and formation of students' educational –research skills, it is efficient to suggest them research type assignments and tasks related to separate topics provided by the students' curriculum, which should be systematic.

საკვანძო სიტყვა: სასწავლო-კვლევითი საქმიანობა, მათემატიკური სასწავლო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზების ფორმები, არასტანდარტული გაკვეთილები, კვლევითი უნარები, სასწავლო აქტივობები.

key words: Educational –research activity, forms of organization of mathematical educational-research activity, non-standard lessons, research skills, educational activities.

ეკატერინე ნახუცრიშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

მოტივაციის ამაღლების საშუალებები გრამატიკული მასალის სწავლებისას ინგლისური ენის გაკვეთილზე

გრამატიკა, როგორც სიტყვების ერთმანეთთან შემაკავშირებელი წესების კრებული, მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენის სწავლების პროცესში. სიტყვა „გრამატიკის“ ხსენება საკლასო ოთახში გარკვეულ დისკომფორტს უქმნის მოსწავლეებს. ეს კი შეიძლება რამდენიმე მიზეზით იყოს განპირობებული: მოსწავლეების მხრიდან გრამატიკის ცოდნის დაბალი დონე და სიტყვათა მარაგის სიმწირე, სიტყვების არასწორად წარმოთქმა, საკომუნიკაციო სტრატეგიების არქონა; ისეთი ფსიქოლოგიური პრობლემის არსებობა, როგორიცაა მოტივაციის ნაკლებობა, მორცხვობა, ან შფოთვა, ხოლო მასწავლებლის მხრიდან ეს დეფიციტი გამოწვეულია არაეფექტური სწავლების მეთოდების, უნარებისა და არასწორი დამოკიდებულების ფაქტორით.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ შფოთვაც და შიშიც გრამატიკის გაკვეთილზე ხელს უშლის მოტივაციის განვითარებას. მასწავლებლები ხშირად აშინებენ მოსწავლეს სავალალო შედეგით, ქმნიან კლასში დასჯის, მუქარის და დამცირების ატმოსფეროს. ასეთი პედაგოგებისათვის დამახასიათებელია გამოთქმა: „დაე, ეშინოდეთ ჩემი, სამაგიეროდ ეცოდინებათ საგანი.“ შიშმა შეიძლება აიძულოს მოსწავლე შეასრულოს საჭირო მოქმედება, რასაც დადებითი შედეგიც შეიძლება მოჰყვეს, მაგრამ მხოლოდ ხანმოკლე. დადგენილია, რომ უარყოფითი ემოციები მოტივაციის დასუსტებას განაპირობებს. უარყოფით ემოციებთან დაკავშირებული ინფორმაცია უფრო ადვილად ავიწყდება ადამიანს. არიან ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც მუქარის სიტუაციის გარეშე ძლიერ შფოთვას განიცდიან მასწავლებლის წინაშე. ამ შემთხვევაში მოსწავლეების ყურადღება მიმართულია არა ინფორმაციის მიღებაზე, არამედ საკუთარ განცდებზე, რაც ხელს უშლის სასწავლო მიზნების განხორციელებას.

მოსწავლეებში შფოთვის გრძნობის გაჩენის თავიდან ასაცილებლად კარგი იქნება, თუ მოტივირებისათვის მასწავლებელი ეცდება გამოიწვიოს სასიამოვნო ასოციაციები, შექმნას გაკვეთილზე პოზიტიური ატმოსფერო და კომფორტის განცდა. თანდათან აიყოლიოს მოსწავლე საქმიანობაში და დაარწმუნოს დადებით შედეგში (ალავიძე, გოგიჩაშვილი, ბალანჩივაძე, 2011, 207). უფრო მეტიც, მასწავლებელი უნდა შეეცადოს წინა პლანზე

წამოსწიოს მოსწავლეთა შესაძლებლობები და არა ნაკლი, რათა მოსწავლეებს მოეხსნათ დაძაბულობა და უცხო ენაზე საუბრის კომპლექსი. მასწავლებელმა უნდა მოახერხოს დადებითი ემოციის გამოწვევა მოსწავლეებში და ისეთი აქტივობების ორგანიზება, რაც სასწავლო პროცესს უფრო სახალისოსა და საინტერესოს გახდის.

მოტივაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს უცხო ენის დაუფლების პროცესში. ტერმინი „მოტივაცია“ ფსიქოლოგიაში დაახლოებით 100 წლის წინ დამკვიდრდა და არსებობის მანძილზე მისი პირვანდელი მნიშვნელობა ფაქტობრივად არ შეცვლილა. ჰარმერის (Harmer, 2001, 51) აზრით, მოტივაცია, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის ძირითადი ფაქტორი, წარმოადგენს შინაგან ძალას, რომელიც ადამიანს უბიძგებს ქმედებისაკენ დასახული მიზნის მისაღწევად.

გოგოხია (2012, 22) თავის დისერტაციაში საუბრობს იმ მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე, რომელიც არსებობს მაღალ მოტივაციასა და უცხოური ენის წარმატებით ათვისებას შორის. იგი ეთანხმება აზრს, რომ წარმატებული სწავლა პოზიტიურად მოქმედებს მოტივაციაზე, მოტივაცია კი დღეს „წარმატებული სწავლის გასაღებად“ მიიჩნევა.

გარდნერი (Gardner, 2003, 16) მოტივაციაში სამ კომპონენტს გამოყოფს, ესენია:

1. მიზანზე მიმართულობა, რომელიც შეიძლება იყოს პოზიტიური, ანდა პირიქით, ნეგატიური;
2. დასახული მიზნის მიღწევის სურვილი;
3. მოსწავლის მზადყოფნა გაუმკლავდეს ყოველგვარ სირთულეს დასახული მიზნის მისაღწევად.

ფსიქოლოგიური კვლევის თანახმად, მოტივირებული, წარმატებული მოსწავლეები: 1. გამოირჩევიან აქტიურობით; 2. აქვთ კონტროლის შინაგანი უნარი, რწმენა. ისინი აკონტროლებენ საკუთარი ცოდნის ხარისხს და სჯერათ, რომ მათი წარმატება იღბალზე არ არის დამოკიდებული, რომ მათ წარმატებას მასწავლებელი არ აკონტროლებს; 3. პოზიტიურად არიან განწყობილნი სწავლისადმი; 4. აქვთ სოციალური ურთიერთობის სურვილი და სურთ იყვნენ დამოუკიდებლები (გოგოხია, 2012, 36).

მოტივირებული ადამიანის ქცევა დაწვრილებით აქვს აღწერილი დორნეისაც (Dornyei, 2001, 173). მას მიაჩნია, რომ მოტივირებული ადამიანი ხარჯავს მთელ ენერგიას, შეუპოვარია და ყურადღებიანი იმ დავალების მიმართ, რომელიც მას საკუთარი თავისთვის აქვს მიცემული. მას აქვს თავისი მიზნები, ოცნებები და სწრაფვა, რაც ხელს უწყობს მიზნების განხორციელებაში.

ური (Ur, 1997, 276) გამოყოფს მოტივაციის შემდეგ სახეებს: გარეგანი, შინაგანი, ინტეგრაციული, ინსტრუმენტული, გლობალური, სიტუაციური და დავალებაზე ორიენტირებული.

გაბაშვილი (2010, 87) თავის სტატიაში კვლევის შედეგებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებებთან განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი აქვს შინაგან მოტივაციას. შინაგანი მოტივაციის მქონე მოსწავლეები უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სწავლას, გააჩნიათ თვითრეგულაციის/თვითკონტროლის მაღალი უნარი და სწავლის მიმართ უფრო დადებითად არიან განწყობილნი. შინაგანად მოტივირებული მოსწავლეები უფრო თავდაჯერებულები არიან, მაშინ როდესაც გარეგანი მოტივაციის მქონე მოსწავლეები ხასიათდებიან სირთულეების და რისკის მიმართ მკაფიოდ გამოხატული შიშით. მათი მიზანია ნებისმიერ სიტუაციაში ძალისა და ენერგიის მინიმალური დანახარჯებით მიიღონ მაქსიმალური ეფექტი (წახალისება/ჯილდო).

მოტივაციაზე გავლენას ახდენს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ფაქტორები, რომელთა შორისაა, მაგალითად, სასწავლო გარემო და მისი შემადგენელი კომპონენტები – სასწავლო აქტივობები, მოსწავლეთა შეფასება/წახალისება და კონტროლის/პასუხისმგებლობის განაწილება. მოტივაციური პროცესების მართვა შესაძლებელია და მას მოტივირებას უწოდებენ. იგი აღიქმება, როგორც:

- პირობების შექმნა მოსწავლის მოტივირების განვითარებისათვის;
- გარეგანი სტიმულირება, წახალისებისა და დასჯის გამოყენება.

საგანმანათლებლო საქმიანობაზე დაკვირვებისა და სპეციალური კვლევების საფუძველზე დგინდება, რომ მოსწავლის მთავარი ასაკობრივი მოტივი წარმატებების მიღწევის მოტივია. საბოლოო მიზანს კი შეადგენს საკუთარი თავის პატივისცემისა და პოზიტიური თვითშეფასების შენარჩუნება და წინსვლა გარკვეულ საქმიანობაში. თანამედროვე სკოლაში სწავლების მოტივაციის განვითარების ტექნოლოგია გულისხმობს როგორც განსაკუთრებული სასწავლო პროგრამის შექმნას, ასევე, გაკვეთილზე მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის განსაკუთრებულ სტილს (ალავიძე და სხვ., 2011, 201).

აღსანიშნავია, რომ მოსწავლის მოტივაციის გაზრდა მნიშვნელოვან პედაგოგიურ ამოცანას წარმოადგენს, განსაკუთრებით კი უცხო ენის გრამატიკის სწავლებისას. სწავლების პროცესში გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი წინსვლის ხელშეწყობაა და პირიქით, იკლებს, თუ მიაჩნია, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი შედეგის განსჯა-შეფასებაა. ამრიგად, გრამატიკული მასალის სწავლებისას მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით მასწავლებელი ვალდებულია:

- **გამდიდროს სასწავლო პროცესი**, რომლის მიღწევაც საკმაოდ მარტივია დამატებითი კლასგარეშე, ავთენტური აქტივობების, მრავალფეროვანი სასწავლო მასალების და სწავლების ახალი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით;
- **გააქტიუროს მოსწავლეები**. მოსწავლეები აქტიურად უნდა იყვნენ ჩაბმულნი სხვადასხვა აქტივობებში, რომელშიც მოიაზრება: დისკუსიები, პრობლემის გადაჭრა, როლური თამაშები ან სიმულაციები, ჯგუფური მუშაობის მეთოდის გამოყენება, პრეზენტაციები და ა.შ. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ კლასის გააქტიურების სტრატეგიების გამოყენებისას მნიშვნელოვანია დროის სწორი შერჩევა. ყველაზე ეფექტური სტრატეგიაც კი შეიძლება არ იყოს შედეგიანი, თუ მასწავლებელმა იგი დღის ბოლოს, დაღლილ მოსწავლეებთან ან რაიმე სხვა შეუსაბამო დროს გამოიყენა;
- **ჩააბას მოსწავლეები ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში**. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სახალისო და სასარგებლო აქტივობა, რომელიც გულისხმობს მოსწავლეების მონაწილეობით სემესტრული ტესტების, სიტუაციური დავალებების (ამოცანების) მომზადებას. ეს არა მხოლოდ მნიშვნელოვნად გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და ინტერესს გაკვეთილის მიმართ, არამედ ხელს შეუწყობს მასალის უკეთ ათვისებას/გაგებას;
- **გამოიყენოს განსხვავებული სირთულის დავალებები/აქტივობები**. ეს საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ მოსწავლეთა შესაძლებლობები და შესაფერისი სირთულის დავალებების მიცემის გზით გავაღვივოთ მათი ინტერესი;
- **„უნიშნო“ აქტივობების გამოყენება**. ამგვარი აქტივობების/დავალებების გამოყენებით მასწავლებელი მიზნად ისახავს სასწავლო პროცესი გახადოს უფრო სახალისო და საინტერესო მოსწავლეებისათვის. ამ დროს მოსწავლეთა ყურადღება გადაერთევა უშუალოდ პროცესზე და მათთვის მნიშვნელოვანი იქნება არა ნიშანი, არამედ საკუთარი პროგრესი და აქტიურობა;
- **გააცნობიეროს, რომ შეცდომები სწავლის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს**. აღსანიშნავია, რომ დაშვებული შეცდომა და სწორი პასუხის აღმოჩენის სურვილი მოსწავლისათვის ხშირად ახალი ცოდნის მიღების, საკუთარი უნარების და შესაძლებლობების გაუმჯობესების ბიძგი ხდება. ამასთანავე, სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გაცილებით უფრო ეფექტურია

მათთვის საკუთარ ნაწერში შეცდომების გასწორების შესაძლებლობის მიცემა, ვიდრე ამ შეცდომების უბრალოდ წითელი კალმით მონიშვნა და საბოლოო შეფასების დაწერა. მოსწავლეთა შეცდომების წითელი კალმით გასწორება ნეგატიურად აისახება მათი სწავლის მოტივაციაზე, ამიტომ უმჯობესია გამოვიყენოთ ნეიტრალური ფერის მელნის მქონე კალმები, რომლებიც უფრო პოზიტიურ განწყობას აღძრავს მოსწავლეებში, მეტ ხალისსა და ინტერესს გააღვიძებს მათში შეცდომების გამოსწორებაზე მუშაობის პროცესში;

- **თავი აარიდოს მხოლოდ ნიშნის დაწერას**, რამეთუ ნიშანში ასახულია მხოლოდ ნაშრომის ზოგადი შეფასება და არ ჩანს მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებაში რა იყო კარგი/ცუდი. სწორედ ამიტომ, მასწავლებელმა ნიშანთან ერთად წერილობით უნდა გააკეთოს ამომწურავი კომენტარი ამა თუ იმ დავალების ქვემოთ დაშვებულ გრამატიკულ შეცდომებთან დაკავშირებით;
- **არასოდეს გააკრიტიკოს მოსწავლე საჯაროდ**, რადგან შესაძლებელია ამან ნეგატიური გავლენა იქონიოს მოსწავლის თვითშეფასებასა და მოტივაციაზე. თუმცა ეს გადაღლილი პედაგოგისათვის ხშირად შეუძლებელი ხდება, ამიტომ უნდა ვეცადოთ თავი შევიკავოთ მოსწავლეების საჯარო გაკრიტიკებისაგან და მათი მარცხი განვიხილოთ მხოლოდ ინდივიდუალურ საუბარში;
- **იმ მოსწავლეებს, რომლებიც მარცხის აცილების მიზნით გაურბიან რთული გრამატიკული დავალებების შესრულებას**, შესთავაზოს ისეთი ტიპის დავალებები, რომელთა შესრულებასაც შესძლებენ და შემდეგ კი წახალისოს ისინი უფრო რთული მიზნების მისაღწევად. არასოდეს ჩაუკლას მოსწავლეს პერპსექტივის შეგრძნება და არ გააგონოს ფრაზა „სულერთია, ის მაინც ვერაფერს მიაღწევს“;
- **ყოველთვის იყოს მიუკერძოებელი**. მასწავლებელი ისეთივე ადამიანია, როგორც ნებისმიერი სხვა და ამიტომ პიროვნული შეხედულებების, სიმპატიების ან პირიქით, ნეგატიური დამოკიდებულებების გამოვლენა სასკოლო გარემოში სრულიად დაუშვებელია.
- **ტესტირებისას გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის შეკითხვები**. ზოგიერთ მოსწავლეს კარგი წერის უნარი აქვს და თავს უფრო კომფორტულად გრძნობს ღია ტიპის კითხვებზე პასუხის გაცემისას, ზოგი კი დახურული ტიპის კითხვებს ანიჭებს უპირატესობას. სწორედ ამიტომ მასწავლებელი ვალდებულია ყველა მოსწავლეს შეუქმნას ცოდნის და შესაძლებლობების გამოვლენისათვის საუკეთესო პირობები და დაიცვას ბალანსი ორივე ტიპის კითხვებს შორის;
- **ჩააბას მოსწავლეები საკლასო გადაწყვეტილებების მიღებაში**. ეს მიდგომა მეტად ეფექტურია, რადგანაც მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება თავადაც მიიღონ გადაწყვეტილება ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორებიცაა: შესასწავლი გრამატიკული მასალის თანმიმდევრობის განსაზღვრა, შეფასების კომპონენტების შემუშავება და სხვა. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვნად აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას და ხელს შეუწყობს მათი მხრიდან მიღებული გადაწყვეტილებების/შეთანხმებების განხორციელებას (Theobald, 2006, 94-100).

ინგლისური ენის გაკვეთილზე მოტივაციის განვითარების კიდევ ერთი საშუალებაა მოსწავლეების ყურადღების მაღალი დონის შენარჩუნება გაკვეთილის გარკვეული მომენტებისადმი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ე.წ. პროექტთა მეთოდის გამოყენება. პროექტი არის მოსწავლეების მიერ გაწეული კვლევითი სამუშაო მასწავლებლის ხელმძღვანელობით, რომელიც შეიძლება შესრულდეს ჯგუფურად, ან ინდივიდუალურად.

პროექტის მეთოდს უამრავი დადებითი მხარე აქვს, მაგ:

- იგი ავითარებს შემეცნებით ინტერესებს;

- მოსწავლეები იყენებენ მუშაობის სხვადასხვა ფორმას (დისკუსია, ლიტერატურასთან მუშაობა, დამატებითი წყაროების ანალიზი, პრეზენტაციების მოწყობა და სხვა);
- მოსწავლე ხედავს თავისი შრომის შედეგებს და იწყებს ფიქრს ახალ მიზნებზე;
- ჯგუფური პროექტების შესრულებისას ვითარდება თანამშრომლობითი უნარები, იკვეთება ლიდერისა და ჯგუფის წევრების ფუნქციები (ალავიძე და სხვ., 2011, 204).

ციციშვილი, ნიჟარაძე, დარჩია, თევზაია, ტყავაშვილი (Tsitsishvili, Nizharadze, Darchia, Tevzaia, Tkavashvili, 2006, 292) აღნიშნავენ, რომ დღესდღეობით გამოცემულია უამრავი დამატებითი მასალა ინგლისური ენის შემსწავლელებისთვის. თუმცა, ხშირად გვეჩვენება, რომ ვერცერთი მათგანი ვერ ერგება გარკვეულ მეცადინეობას მოცემულ ჯგუფში. ეს გასაგებიცაა, რამდენადაც სახელმძღვანელოების ავტორებს არ შეუძლიათ უზრუნველყონ ყველა კონკრეტული შემთხვევისათვის გამოსადეგი ავთენტური მასალის მიწოდება. ამიტომაც, მასწავლებელს შეუძლია, თვითონ გადაამუშაოს სათანადო მასალა. მის მიერ მოპოვებული/შერჩეული და გადაამუშავებული ავთენტური მასალა შემსწავლელებს სთავაზობს რეალურ, ცხოვრებისეულ მასალას, თანამედროვე ლექსიკას, თემატიკასა და პრობლემებს, რომლებიც გარკვეულწილად განაპირობებენ შემსწავლელების მოტივაციის ზრდას.

ავთენტური მასალა დიდი წარმატებით გამოიყენება ერთ-ერთი გრამატიკული კატეგორიის – გვარის სწავლებისასაც, რასაც ჩვენ მიერ სკოლაში ჩატარებული ექსპერიმენტიც ადასტურებს. უნდა აღინიშნოს, რომ გრამატიკის ამა თუ იმ საკითხის (ჩვენ შემთხვევაში გვარის კატეგორიის) ახსნას თავისებური მიდგომა სჭირდება. მხოლოდ თეორიული ახსნა საკმარისი როდია მასალის განმტკიცების თვალსაზრისით, საჭიროა პრაქტიკაც, ანუ სხვადასხვა სავარჯიშო დავალებების მიწოდება მასწავლებლის მხრიდან. იმის გამო, რომ ინგლისური ენის სასკოლო სახელმძღვანელოში ძალზე მცირე დავალებებია მოცემული გვარის კატეგორიასთან დაკავშირებით, ჩვენ უამრავი სავარჯიშო დავალება შევიმუშავეთ ამ საკითხის ირგვლივ, რომლებიც ოთხივე უნარ-ჩვევის განვითარებას ემსახურებოდა. დავალებები ძირითადად ითვალისწინებდა წინადადებების მოქმედებითი გვარიდან ვნებითში გადაყვანას, ანუ ტრანსფორმაციას და პირიქით, ფრჩხილებში მოთავსებული ზმნის სათანადო ფორმაში (მოქმედებითში, ან ვნებითში) ჩასმას, არეული სიტყვების თანმიმდევრულად დალაგებას. გარდა ამისა, მოსწავლეებს ევალებოდათ სურათების აღწერა მოქმედებითი/ვნებითი გვარის გამოყენებით, ტექსტის წაკითხვა და კითხვებზე პასუხის გაცემა, სიტუაციების შესაბამის სურათებთან მისადაგება, ეს ყველასათვის ერთნაირად საყვარელი დავალება აღმოჩნდა; აგრეთვე, მოსასმენი დავალებების შესრულება, რაც გამოტოვებული სიტყვების ჩასმას ითვალისწინებდა.

სასწავლო სახელმძღვანელოს გარდა ექსპერიმენტულ ჯგუფში ვიყენებდით აგრეთვე დამატებით ავთენტურ მასალებს, რომლებიც მოიცავდა ახალ ამბებს, ინტერნეტის ვებ-გვერდიდან, აგრეთვე, გაზეთებიდან ამოღებულ ნაბეჭდ მასალას, როგორიცაა: სტატიები, რეკლამები, სპორტის, კულტურის შესახებ მოხსენებები, მისალოცი ბარათები და ა.შ. კლასში შეტანამდე ვეცნობოდით და განვიხილავდით მასალას, ვადგენდით მათ შესაბამისობას კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან. მოსწავლეები ასრულებდნენ როგორც წერით, ისე სასაუბრო და მოსასმენ სავარჯიშოებს. ექსპერიმენტული ჯგუფების გაკვეთილები იყო ძალზე საინტერესო და სახალისო, რომლებშიც შედარებით სუსტი მოსწავლეებიც კი საკმაოდ აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი.

უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერიმენტული ჯგუფის დავალებები არსებითად განსხვავდებოდა საკონტროლო ჯგუფის დავალებებისაგან, რამეთუ ექსპერიმენტულ ჯგუფში მაქსიმალურად ბევრ ჩვენ მიერ შედგენილ, ან სახელმძღვანელოს მიხედვით მოდიფიცირებულ დავალებას ვაკეთებინებდით. საკმაოდ მჭიდროდ ვთანამშრომლობდით მასწავლებლებთან, ვთხოვდით ჩვენ მიერ შეთავაზებული მასალები გამოეყენებინათ გაკვეთილზე, ვცდილობდით გაგვეგო ერთვებოდნენ თუ არა მოსწავლეები დავალებებისა და სავარჯიშოების შესრულებაში.

განსაკუთრებით სახალისო აღმოჩნდა მათთვის ჩვენ მიერ კლასში შეტანილი საგაზეთო სტატიები და მათი სათაურები, რომლებშიც ძირითადად ვნებითი გვარის კონსტრუქციები ფიგურირებდა. მოსწავლეები მუშაობდნენ ჯგუფებში, ისინი სათაურების მიხედვით არჩევდნენ მათთვის საინტერესო სტატიებს სპორტის, კულტურის, მწერლობის, პოლიტიკის ან ბიზნესის შესახებ. შემდეგ ეძლეოდათ გარკვეული დრო სტატიის წასაკითხად, რის შედეგადაც ჯგუფის ერთ-ერთი წევრი აკეთებდა მოკლე პრეზენტაციას სტატიის ირგვლივ მოქმედებითი/ვნებითი გვარის კონსტრუქციების გამოყენებით. აღნიშნული აქტივობა ემსახურებოდა ჯგუფური მუშაობის, საუბრისა და კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებას.

გარდა ამისა, მოსწავლეებში დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენ მიერ შედგენილმა ბროშურებმა, რომლებშიც მოცემული იყო ინფორმაცია საშობაო/საახალწლო არდადეგების გატარების შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში. რა თქმა უნდა ბროშურებში უხვად იყო გამოყენებული გვარის კონსტრუქციები. მას შემდეგ რაც გაეცნობოდნენ ბროშურებს, მოსწავლეები იღებდნენ გადაწყვეტილებებს მსჯელობით, გვარის ფორმების გამოყენებით. ასეთი სახის აქტივობები ხელს უწყობდა მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას.

ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ ჩვენ მიერ კლასში შეტანილი სავარჯიშოების ფონზე მოსწავლეებს მოემატათ: სტიმული, ინტერესი, მოტივაცია, თავდაჯერებულობა, შეეცვალათ გრამატიკის გაკვეთილის მიმართ შექმნილი ნეგატიური დამოკიდებულება, შეუმცირდათ შიშის განცდა გრამატიკული შეცდომების დაშვების მიმართ.

ვინაიდან არასასწავლო/ავთენტური მასალა საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ინგლისური ენის გრამატიკული მასალის სწავლებისას, მასწავლებელს დღეს არ აქვს მოდუნების უფლება. იგი უნდა გააქტიურდეს და აუცილებლად შეითავსოს ავტორის ფუნქციები იმ მხრივ, რომ შეძლოს შექმნას დამატებითი მასალა და ეფექტურად გამოიყენოს იგი სასკოლო სახელმძღვანელოს პარალელურად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოტივაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს უცხო ენის დაუფლების პროცესში. მოსწავლის მოტივაციის გაზრდა კი მნიშვნელოვან პედაგოგიურ ამოცანას წარმოადგენს, სწავლების პროცესში გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი წინსვლის ხელშეწყობაა და პირიქით, იკლებს, თუ მიაჩნია, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი შედეგის განსჯა-შეფასებაა. ამრიგად, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება მასწავლებლის მუდმივი ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს, რისთვისაც მან ეფექტურად უნდა გამოიყენოს სასწავლო აქტივობები, შეფასების პოლიტიკა და უნდა მოახერხოს პასუხისმგებლობების სწორად განაწილება. გარდა ამისა, საგაკვეთილო პროცესსა და მოსწავლეებთან ურთიერთობაში მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს მასწავლებლის დამოკიდებულება, რწმენა იმის თაობაზე, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია ისწავლოს და იყოს წარმატებული. ამისათვის კი თითოეულ მათგანს განსხვავებული მიდგომა და ყურადღება ესაჭიროება.

ლიტერატურა:

1. ალავიძე, ო., გოგიჩაშვილი, ნ., ბალანჩივაძე, თ. (2011). კრეატიული პედაგოგიკა. გამომცემლობა „ლიკა“, თბილისი;
2. გაბაშვილი, მ. (2010). მოსწავლეთა მოტივაცია. ეფექტიანი სწავლება თეორია და პრაქტიკა. გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის დეპარტამენტი. თბილისი;
3. გოგობია, რ. (2012). უცხოური ენის დაუფლების ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური თავისებურებების კვლევა. სადოქტორო დისერტაცია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;

4. Dörnyei, Z. (2001). *New themes & approaches in second language motivation research*. *Annual review of Applied Linguistics* 21;
5. Gardner, R.C. (2003). *Correlation, causation, motivation and second language acquisition*. *Canadian Psychology* #41;
6. Garton-Sprenger, J., Prowse, Ph., with Gomm, H. (2012). *New Inspiration. Student's Book*, Macmillan;
7. Harmer, J. (2001). *The Practice of English Language Teaching* (3rd ed.). London: Pearson Education Limited;
8. Theobald, A.M. (2006). *Increasing Students' Motivation: Strategies for Middle and High School Teachers*. Corwin Press;
9. Tsitsishvili, R., Nizharadze, N., Darchia, M., Tevzaia, M., Tkavashvili, E. (2006). *Becoming an English teacher: theory and practice of teaching English in Georgia*. Tbilisi: British Council;
10. Ur, P. (1997). *A Course in Language teaching. Practice and Theory*. Cambridge: CUP.

Ekaterine Nakhutsrishvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Ways for Raising Motivation while Teaching Grammatical Material at the English Language Lesson

Abstract

The paper deals with the ways for raising motivation while teaching grammatical material at the English language lesson. It is worth mentioning, that attitude is a very important factor in studying the English language. Studying different aspects of grammar and its peculiarities are connected to certain difficulties. Grammar is perceived as the “Negative Syndrome” from psychological viewpoint, thus mentioning even the word “grammar” is associated with negative emotions – fear and anxiety among the students. It is stated that the negative emotions stipulate the decrease of the motivation. With the purpose of changing negative attitude towards grammar with the positive one, it is essential to diversify teaching methods and use interesting, entertaining materials. Positive attitudes are the guarantee of acquiring the English language grammar successfully. It is also mentioned in the paper that raising student’s motivation represents an essential pedagogical task, especially while teaching English grammar. During study process, it has to be taken into consideration that student’s motivation is increased if they observe that the teacher tries to help them in achieving success and on the contrary, is decreased if they regard, that teacher’s priority is to judge-evaluate only the outcomes. The experiment is carried out at a public school. According to it, the usage of authentic material (news, advertisements, newspaper articles, brochures) in class turned out to be the most effective one, because it significantly increases the motivation of language learners that is shown by positive attitude towards the subject and their active participation during the lesson. Hence, it follows that the English language teacher has no right to slacken at present. He/she has to be active and urgently combine the author’s functions in order to be able to make additional materials and effectively use them in combination with the schoolbook.

საკვანძო სიტყვები: შფოთვა, გრამატიკა, მოტივაცია, ავთენტური, ეფექტური

Key words: anxiety, grammar, motivation, authentic, effective

Состояние научных публикаций в Грузии в период независимости (1991-2016 гг.)

Одним из наиболее важных показателей развития страны с точки зрения науки являются количество работ, опубликованных учеными этой страны в течение года в научных журналах, принятых на международном уровне, а также количество цитирований этих публикаций.

На основе данных поисковой платформы *Web of Science*, объединяющая реферативные базы данных публикаций в научных журналах и патентов, в том числе базы, учитывающие взаимное цитирование публикаций, разрабатываемая и предоставляемая компанией *Thomson Reuters*, можно проанализировать уровень и состояние научных исследований, проведенных в различных странах. В Институте научной информации (*Institute for Scientific Information, ISI*), занимавшемся вопросами составления библиографических баз данных научных публикаций, их индексированием и определением индекса цитируемости, импакт-фактора и других статистических показателей научных работ ведутся весьма важные работы по распространению информации о результатах, полученных от научных исследований в мире. Этот институт образован в 1960 году Юджином Гарфилдом на основе созданной ранее компании Eugene Garfield Associates Inc. [1 – 3]. Основным продуктом компании с 1961 года является индекс цитирования *Science Citation Index (SCI)*, первоначально охватывавший данные из порядка 600 журналов и увеличивший это количество к 2010 году до 17000. Помимо этого ежегодно компания публикует отчет *Journal Scitation Report*, в котором приводятся импакт-факторы всех журналов, индексируемых институтом. Также ежегодно публикуется список наиболее цитируемых учёных, на основе которого, в частности, составляется Академический рейтинг университетов мира [4].

Пятнадцать лет тому назад, на основе данных службы индексации научного цитирования – *Science Citation Index Expanded (SCI Expanded)*, исследовав научные публикации Азербайджана, Армении и Грузии за десять лет до независимости (1981 – 1991) и за десять лет после приобретения их независимости (1991 – 2001) опубликованных в научных журналах индексируемых *Science Citation Index Expanded (SCI Expanded)*, я изучал состояния научных исследований в странах Южного Кавказа и сравнивал их со странами региона, а также с другими бывшими советскими республиками [5 – 7]. Просмотрев обновленные (май, 2017) данные *Web of Science* мы увидим, что в 1985 году число научных публикаций Турции, Азербайджана, Армении и Грузии соответственно 584, 446, 362 и 356. Как видно из таблицы 1, в 1985 - 1990 годах, ежегодно сумма чисел научных публикаций стран Южного Кавказа, опубликованных в индексируемых журналах, больше чем числа таких публикаций Турции. Мы наблюдали, что с середины восьмидесятых годов число научных публикаций Турции ежегодно резко возросло, а при этом число публикаций из республик Южного Кавказа постепенно уменьшилось [5 – 7]. В 2016 году число научных публикаций Турции в 15 раз больше, чем суммы публикаций республик Южного Кавказа, выпущенных в том же году (таблица 1).

Таблица 1. Количество публикаций в республиках Южного Кавказа и в Турции, 1985 - 1990 и 2016.

	1985	1986	1987	1988	1989	1990	2016
Азербайджан	446	411	393	379	361	394	813
Армения	362	376	393	369	413	456	1090
Грузия	356	381	354	338	354	371	905
Сумма	1164	1168	1140	1086	1128	1221	2808
Турция	584	635	745	899	1019	1182	41397

Целью настоящего исследования является изучение научных публикаций из Грузии, опубликованных в международно признанных журналах (*SCIExpanded*) в годы независимости и определение состояния научных исследований в Грузии в эти годы. Выбор правильных ключевых слов является очень важным в скрининге научных публикаций из Грузии. При использовании в качестве ключевого слова английского эквивалента Грузии «**GEORGIA**» сканируются также публикации из американского штата Джорджия и получается неправильный результат. Для сканирования публикаций из Грузии опубликованных в 1981–1992 гг. применение ключевых слов «**GESSR**» (1981–1984) и «**GEORGIA, USSR**» (1985–1992) приведет к точным результатам. А для сканирования публикаций из Грузии опубликованных после 1992 года надо применить ключевое слово «**REP OF GEORGIA**».

Численность занятых в научнотехнической сфере в Грузии составляла в 1991 году 33,1 тыс. человек, в 2003 году – 17,8 тыс. Численность научных исследователей в Грузии составляла в 1991 году 23,1 тыс. человек, в 2003 году – 11,5 тыс [8], в то время как в 2009 году это число было 8112, а число исследователей на 1 млн. населения было 1813. В том же году эти цифры в Азербайджане были 11041 и 1229, соответственно и в Армении – 5542 и 1867, соответственно [9].

В 1990 году затраты на науку в Грузии составляли 1,2 % ВВП, в 1995 году – 0,1 % ВВП, в 1998 году – 0,3 % ВВП. В 2000–2003 годах затраты на науку не превышали 0,2 % ВВП в год [8].

С 1981 по 1990 года годовое количество научных публикаций из Грузии колебалось около 350, а начиная с 1991 года до конца 20-го века годовое количество упало ниже 300 и только с 2002 года, преодолев барьер 300, начало ежегодно увеличиваться (Рисунок 1).




Рисунок 1. Количество научных публикаций Грузии, 1991 - 2015

В 1985 году Азербайджан с 456 публикациями занимал первое место среди республик Южного Кавказа, за ним следовали Армения (362) и Грузия (356). В годы независимости этих республик (1991 - 2015) за 25 лет Армения с 14 тыс. 451 публикацией опередил своих соседей - Грузию (10 тыс. 803) и Азербайджан (9 тыс. 129). С 1995 года несмотря на ежегодное увеличение количества публикаций последовательность стран в этом рейтинге не изменилось (Рисунок 2). По количеству публикаций на 1 миллион населения Грузия на втором месте после Армении (Рисунок 3) [9].




Рисунок 2.Тенденции в области научных публикаций в странах Южного Кавказа, 2001 - 2015




Рисунок 3. Публикации на 1 миллион жителей в 2014 году.

В рейтинге количеств публикаций за 25 лет независимости среди бывших советских республик Грузия занимает десятое место, а в рейтинге за 2016 год - девятое место (Табл. 2).

В 1990 году две трети грузинских научных публикаций относятся к Академии наук Грузии (36%) и высшим учебным заведениям (Тбилисский государственный университет - 15%, Тбилисский государственный медицинский университет - 6,7%, Государственный университет Ильи - 3%, Грузинский Политехнический институт - 1%). Так как в 2000-е годы институты Национальной Академии Наук Грузии были переданы университетам, 87% публикаций, опубликованных в 2016 году приходится на долю высших учебных заведений (Тбилисский государственный университет - 36,9%, Государственный университет Ильи - 21,8%, Грузинский Политехнический институт - 20,6%, Аграрный университет Грузии - 2,8%, Тбилисский государственный медицинский университет - 5,3%).

Табл. 2. Количество публикации в бывших советских республиках за 25 лет (1991-2015) и за 2016 г.

1991 – 2015			2016		
1	Российская Федерация	778171	1	Российская Федерация	53572
2	Украина	139828	2	Украина	6961
3	Литва	40178	3	Литва	3249
4	Беларусь	32388	4	Эстония	2684
5	Эстония	29830	5	Беларусь	1542
6	Латвия	19696	6	Латвия	2039
7	Армения	14451	7	Казахстан	1727
8	Казахстан	10949	8	Армения	1090
9	Узбекистан	10824	9	Грузия	905
10	Грузия	10803	10	Азербайджан	815
11	Азербайджан	9129	11	Узбекистан	536
12	Молдавия	6894	12	Молдавия	457
13	Кыргызстан	1621	13	Кыргызстан	153

Как в советское время, так и в период независимости большинство научных публикаций приходится на долю города Тбилиси. Это можно объяснить нахождением большинства высших учебных заведений и институтов национальной Академии в столице. В 1990 году из 371 грузинских публикаций 334 относятся к Тбилиси (90%), Сухуми - 21, Абастумани - 11, Батуми - 1, Цхинвали - 1. В прошлом 2016 году распределение 905 научных публикаций по городам Грузии таково: Тбилиси - 869 (96%), Абастумани - 37, Батуми - 10, Сухуми и Кутаиси по 7, Телави - 2 и Гори - 1.

В 1990 году из 371 грузинских публикаций одна треть посвящена физике (%24,5), астрономии и астрофизике (%6,1). А в 2016 году половина всех публикаций из Грузии посвящена физике (34%), астрономии и астрофизике (15%). В 1990 году публикации, посвященные химии (7%), занимали второе место после физики, а в 2016 году их всего 2,7% и отошли на девятое место.

До независимости Грузии большинство грузинских публикаций публиковалось в советских научных журналах. Ниже приводится список десяти журналов, публиковавших наибольшее количество грузинских публикаций в 1990 году: Доклады АН СССР (17), Ядерная физика (14), Физика Тведего Теля (9), Биофизика (9), Lecture Notes in Mathematics (8), Хирургия (8), Бюллетень Экспериментальной Биологии и Медицины (8), Вестник Хирургии имени И. И. Грекова (7), Терапевтический Архив (7), Журнал невропатологии и психиатрии имени С. С. Корсакова (5). После независимости география журналов расширилась. В 2001 году более половины (52%) грузинских публикаций публиковалась в американских научных журналах (15 процентов этих публикаций были статьи из советских журналов переведенных на английский язык), 18% в Нидерландах, 9,6% в Англии [7]. В 2016 году среди десяти журналов изданных в США и в странах ЕС, публиковавших наибольшее количество грузинских публикаций есть один грузинский журнал с импакт-фактором 0,417 (2015): Physics Letters B (59), European Physical Journal C (58), Journal of High Energy Physics (54), Physical Review D (37), Monthly Notices of the Royal Astronomical Society (13), **Georgian Mathematical Journal** (13), Physical Review Letters (12), Journal of Sleep Research (12), Journal of Instrumentation (10), European Neuropsychopharmacology (10).

В 1990 году 9,7% публикаций грузинских ученых публиковались с иностранными соавторами из четырех стран: Германия (11), Чехия (10), Финляндия (9) и Польша (6). В том же году 51,2% публикаций опубликованы на русском языке, 48% на английском. Две статьи изданы на немецком, а одна на украинском языке.

Согласно Докладу ЮНЕСКО по науке, опубликованной в 2016 г. из 3174 публикации, изданной в период между годами 2008 - 2014, 71,9% (2283) публикаций опубликованы совместно с иностранными соавторами [9].

Основные зарубежные партнеры грузинских ученых - исследователи США, Германии, России, Англии и Италии. В 2016 году наибольшее количество совместных публикаций также приходится на долю этих стран: США (40,2%), Германия (34,6%), Россия (31,9%), Великобритания (31,7%), Италия (30,4%), Франция (30,4%), Испания (29,1%), Швейцария (29%), Турция (27,8%), Польша (27,5%) (Таблица).

Анализ совместных публикаций 2016 года показывает, что грузинские ученые находятся в широком сотрудничестве с коллегами из других бывших советских республик: Беларусь (25,1%), Армения (24,7%), Азербайджан (13,9%), Украина (13,0%), Литва (11,9%).

Индекс цитирования публикаций ученых из Грузии (0,97) выше чем индексы цитирования статей армянских и азербайджанских ученых - 0,92 и 0,60, соответственно и приближается к среднему показателю стран ОЭСР (1,08)[9].

В заключении хочу отметить, что обретевшая независимость во второй раз в двадцатом веке Грузия при эффективном использовании своего научного потенциала в будущем внесет достойный вклад культурную сокровищницу человечества.

Библиография

1. Garfield, E. (1955) : Citation Indexes for Science: A New Dimension in Documentation through Association of Ideas // *Science* **122** (3159): 108–11.
2. Garfield, E. (2010) : The evolution of the Science Citation Index // *International microbiology* **10.1**: 65–69.
3. Cawkell, T., Garfield, E. (2001) : Chapter 15. Institute for Scientific Information // *A century of science publishing: a collection of essays* / Einar H. Fredriksson (Ed.). IOS Press, c. 149—160.
4. https://ru.wikipedia.org/wiki/Институт_научной_информации
5. Necefoğlu H. (2002): Bağımsızlığının 10. Yılında Azerbaycan'da Bilimsel Araştırmaların Durumu // (Bağımsızlıklarının 10. Yılında Türk Cumhuriyetleri –Azerbaycan, Kazakistan, Kırgızistan, Özbekistan, Türkmenistan, editörler Emine Gürsoy-Naskali, Erdal Şahin) Sota, Haarlem, ss. 617–628.
6. Necefoğlu, H. (2002) : Bağımsızlığının 10. Yılında Ermenistan'da Bilimsel Yayınların Durumu // *Ermeni Araştırmaları*. Ankara, EREN, cilt 2, sayı 6, ss. 69–82.
7. Necefoğlu, H. (2002) : Bağımsızlığının 10. Yılında Gürcistan'da Bilimsel Yayınların Durumu. – Akhaltsikhe-Kars Bilim Sempozyumu. 23-24 Mayıs Akhaltsikhe (Ahıska), Gürcistan. https://www.academia.edu/33165039/BA%C4%9EIMSIZLI%C4%9EININN_10._YILINDA_G%C3%9CERC%C4%B0STANDA_B%C4%B0L%C4%B0MSEL_YAYINLARIN_DURUMU.pdf
8. Ленчук Е. Б. (2006) : Проблемы перехода к инновационной модели развития в странах постсоветского пространства // Проблемы прогнозирования, № 4, с. 126 – 145.
9. Доклад ЮНЕСКО по науке на пути к 2030 году. (2016) : ЮНЕСКО / Издательский Дом МАГИСТР-ПРЕСС, Москва, 795 с.

ჰაჯალი ნეჯეგოღლი

კავკასიის უნივერსიტეტი, ყარსი, თურქეთი

საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო პუბლიკაციების მდგომარეობა დამოუკიდებლობის პერიოდში (1991-2015)

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო პუბლიკაციების მდგომარეობა დამოუკიდებლობის პერიოდში (1991-2015).

მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან პუბლიკაციებთან მიმართებაში პირველ ადგილზე იყო აზერბაიჯანი (456 პუბლიკაცია), მეორე ადგილზე სომხეთი (362 პუბლიკაცია, ხოლო მესამე ადგილზე საქართველო (356

პუბლიკაცია). ბოლო 25 წლის განმავლობაში (1991-2015) სომხეთი პუბლიკაციების თვალსაზრისით პირველ ადგილზეა (14451), ხოლო საქართველომ მეორე ადგილზე აინაცვლა (10803).

ყოფილ საბჭოთა კავშირს წევრ რესპუბლიკებს შორის საქართველო მეათე ადგილზეა ბოლო 25 წლის მონაცემებით, ხოლო ციტირების იდენტის მიხედვით საქართველო გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე სომხეთი და აზერბაიჯანი.

Key Words: Republic of Georgia, South Caucasus republics, scientific publications, publication numbers, citation rate

საკვანძო სიტყვები: საქართველოს რესპუბლიკა, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები, სამეცნიერო პუბლიკაციები, ციტირების ხარისხი

ნინო ორჯონიკიძე, მაია ახვლედიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

განათლების და სწავლების შინაარსის სრულყოფასთან დაკავშირებული პრობლემები

ევროპის დღევანდელი და პერსპექტიული განვითარება უთუოდ და უალტერნატივოდ გულისხმობს ევროპული სივრცის სახელმწიფოების სრულ ინტეგრაციას განათლების, კულტურის და ეკონომიკის სფეროში, რაც განათლების წინაშე პირველ ყოვლისა გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ამოცანებს აყენებს. ვინც ამ პროცესებს უგულვებელყოფს ან ფხვს ვერ აუწყობს, იგი ამოვარდება ევროპული ეკონომიკური განვითარების საერთო კონტექსტიდან და იძულებული გახდება სხვა ქვეყნების ეკონომიკის დანაშატი გახდეს, რაც საბოლოოდ საფრთხეს შეუქმნის მის ეროვნულ თვითმყოფადობას.

გლობალურს ისეთ პრობლემებს მიაკუთვნებენ, რომლებიც თავიანთი მასშტაბითა და სიმწვავეთ ეხებიან არა მარტო ცალკეული ქვეყნისა თუ რეგიონის არამედ მთელი კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესებს. ამიტომ, ასეთი პრობლემები მხოლოდ მსოფლიო თანამეგობრობით შეიძლება გადაწყდეს. იუნესკოს დოკუმენტებით, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაისახა ის პერსპექტივები, რომ XXI საუკუნის დასაწყისი გლობალური განათლების დასაწყისი იქნებოდა. ცხოვრებამ აჩვენა, რომ განათლების გლობალიზაციის პრობლემა პერსპექტიულად გადასაჭრელი კი არ არის, არამედ არსებული რეალობით ნაკარნახევი აუცილებლობაა.

საქართველო, რადგან თავის თავს ევროპის ნაწილად მიიჩნევს, ცხადია იგი აღმოსავლეთ ევროპას მიეკუთვნება და ის პრობლემები, რაც აღმოსავლეთ ევროპისთვისაა დამახასიათებელი, დამახასიათებელია ჩვენთვისაც. უფრო მეტიც, საგანმანათლებლო პრობლემები უფრო მწვავეა ჩვენთან, ვიდრე უნგრეთსა და პოლონეთში, რადგან, ტოტალური კომუნისტური რეჟიმის მიუხედავად, ამ ქვეყნებში მაინც იყო შენარჩუნებული რაღაც კავშირები საერთო ევროპული საგანმანათლებლო სისტემებთან. ამის გამო ევროპული გამოცდილება მაინც ახდენდა ზეგავლენას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განათლების სისტემის განვითარებაზე.

აღმოსავლეთ ევროპელი მეცნიერები სწორად აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო თანამშრომლობისა და თანხმობის საშუალებით გლობალური საგანმანათლებლო პრობლემების გადაწყვეტას არსებით წინააღმდეგობას უქმნის სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში დამკვიდრებული ინტერესებისა და ღირებულებათა დიამეტრულად განსხვავებული სისტემები. ხშირ შემთხვევაში კონსტრუქციული თანამშრომლობის სურვილები და ედებები მხოლოდ სამთავრობო გადაწყვეტილებებშია მოცემული -

აღნიშნავენ ევროპელი მეცნიერები. თუმცა ყინული ნაწილობრივ დაიძრა, მათივე დაკვირვებით ბევრი „საზოგადოება“, თემი თუ ცალკეული ადამიანი, რომლებიც მაღალ აქტიულობას ავლენენ საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში ეკონომიკის, მეცნიერებისა თუ კულტურის დარგებში, ამ მხრივ სრულ უმოქმედობას იჩენენ განათლების სფეროში. ამის მიზეზი თუ ადრე ინფორმაციის ნაკლებობა იყო, ახლა გლობალური პროცესების დანახვისა და გააზრების დეფიციტია.

ვფიქრობთ, მხოლოდ ამით არ აიხსნება ის წინააღმდეგობანი, რაც განათლების გლობალიზაციას ექმნება აღმოსავლეთ ევროპაში და არა მარტო იქ.

საქმე ის არის, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებს არა მარტო და არა იმდენად წმინდად საგანმანათლებლო ფუნქცია აკისრიათ, არამედ ისინი აყალიბებენ პიროვნებას, რომლის უმთავრესი ნიშანი ეროვნული ცნობიერებაა. მეცნიერი პედაგოგები აგრეთვე ჩვენს ყურადღებას მიაპყრობენ იქით, რომ მოსწავლეთა კონტიგენტი ყველაზე ნაკლებად განათლების დარგში ინტეგრაციისათვის არის მომზადებული.

გლობალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია განათლების ნაციონალური სისტემების წინაშე სვამს ახალ რთულ ამოცანებს, ისეთს, როგორიც არის სწავლების შინაარსის განსაზღვრა, უნარების განვითარება და ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება. (ცხადია, ლაპარაკია გლობალიზაციით ნაგულისხმევ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე.)

მაშინ, როდესაც სულ უფრო მეტი პრობლემები იქმნება გლობალურ განზომილებებთან დაკავშირებით, მსოფლიოში სწრაფად ვითარდება ურთიერთკავშირის ფართო სისტემები. კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებები განაგრძობენ ინფორმაციის ნაკადის გლობალიზაციას, რამაც მათი ვარაუდით ხელი უნდა შეუწყოს პლანეტარული აზროვნების ჩამოყალიბებას. განათლების ნაციონალური სისტემები განსაკუთრებით ცენტრალიზებული შინაარსისაა და ამ მიმართულებით ევოლუციას ძნელად განიცდიან. ცვლილებები უფრო სწრაფად, კლასგარეშე და სკოლის გარეშე გარემოში მიმდინარეობს.

ფრანგ ფილოსოფოსსა და სოციოლოგჟ-მ დომენშს მიაჩნია, რომ გარდაქმნები საზოგადოებასა და განათლების სისტემებში პარალელურად მიმდინარეობს. საზოგადოების ევოლუციის კვალობაზე, რომელიც თითოეულ საზოგადოებაში თავის გზით მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებით მიმდინარეობს, საჭიროა განხორციელდეს ცვლილებები არა მარტო განათლების შინაარსში, არამედ საერთოდ განათლებაში, რომელიც, განიხილება, როგორც ურთიერთმიმართება გარემომცველ სამყაროსა და მისი შეცნობის საშუალებებს შორის.

თუ წარსულში, როგორც დასავლელი ექსპერტები აღნიშნავენ, სოციალური გარდაქმნები თითქმის ერთნაირი ტემპით მიმდინარეობდა საზოგადოების ყველა სფეროში და ზემოთ აღნიშნული ურთიერთმიმართება მეტ-ნაკლებად ადეკვატური იყო, ამჟამად მათ შორის სხვაობა ძალიან დიდია.

სასწავლო გეგმები ვერ იძლევიან პასუხებს იმ მწვავე საკითხებზე, რაც აღმოცენებულია მოზარდი თაობის დამოკიდებულებით ცხოვრებასთან.

განათლების შინაარსის სრულყოფასთან დაკავშირებით დომენშის რჩევა მარტივია: თანამედროვე სკოლა უნდა იძლეოდეს ცოდნას თანამედროვე სამყაროს წინაშე.

მაგრამ როგორ სამყაროში ვცხოვრობთ?

ამ საკითხზე დასავლეთელ სპეციალისტთა შორის ერთიანი მოსაზრება არ არსებობს. მათი არგუმენტაცია ხშირად ერთობ პრობლემატურია და არც თუ ისე დამაჯერებელი.

ყველაზე მეტად გავრცელებული თვალსაზრისით, ჩვენ ვცხოვრობთ ტექნოლოგიურ საუკუნეში, როცა ძველი კლასიკური ჰუმანიტარული მიდგომები დიდ სარგებელს არ იძლევიან. ამავე დროს დომენშის აზრით აღინიშნება ისიც, რომ მიუღებელია მოდერნიზაციისადმი აგრესიული გამოდევნება, ახალმოდური თეორიები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უსაზღვრო და უკონტროლო ბატონობა. არც სწავლების ძველი მეთოდების ხელაღებით უარყოფაა მისაღები.

განათლების ამოცანაა ინდივიდუალური თვითგამოხატვისა და კრიტიკული აზროვნების განვითარება. ინდივიდი უნდა სწავლობდეს ცოდნის მოპოვების საშუალებებს

და ეუფლებოდეს მის შესაბამის უნარ-ჩვევებს, ლოგიკურ აზროვნებას, საგნების რეალურად ფლობას, ინფორმაციის მოპოვებისა და შემოწმების უნარს. მაგრამ როგორ შეიძლება ამის მიღწევა სწავლების პროცესში ცოდნის გადაცემის გარეშე? რას გულისხმობს თანამედროვე საზოგადოების კონტექსტში „ცოდნა“ და „შინაარსი“?

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ამ საკითხის შესწავლას ხელი უნდა მოჰკიდონ არა მარტო სოციოლოგებმა და პედაგოგებმა. (მაგალითისათვის შეგახსენებთ, რომ საფრანგეთში შეიქმნა 15 კაციანი ავტორიტეტული კომისია განათლების შინაარსის დაგეგმვისა და სახელმძღვანელო პრინციპების და კრიტერიუმების შემუშავებისათვის. ინგლისში - მთელი რიგი კომიტეტები სასკოლო სწავლების სხვადასხვა ეტაპების მიზნების იდენტიფიკაციის მიზნით)

აღმოჩნდა, რომ „სწავლების შინაარსის“ პრობლემა არც ისე მარტივია. კერძოდ საკითხავია: ვინ ღებულობს გადაწყვეტილებებს? ვინ უნდა მოიწონოს იგი? როგორ ხდება გადასვლა ემპირისტული მიდგომიდან მეცნიერულად დასაბუთებულ მიდგომაზე?

მიჩნეულია, რომ განათლების სისტემაში მუდმივად უნდა გაიაზრებდნენ იმ ცვლილებებს, რაც საზოგადოებაში (მეცნიერებასა და ცხოვრებაში) ხდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სწავლების შინაარსის ყოველი განახლებისას, ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ.

ე.ი ვთანხმდებით, რომ ყველაფერი დამოკიდებულია „განათლების შინაარსზე“, რომლის სწორად განსაზღვრისათვის მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები გვთავაზობენ კონკრეტულ პრინციპებს:

პირველი პრინციპი: პროგრამები პერიოდულად უნდა განახლდეს მათი ახალი ცოდნით გამდიდრების მიზნით. ყოველი ახალი ცოდნის შემოტანასთან ერთად პროგრამიდან უნდა ამოვიღოთ მოძველებული მასალები.

მეორე პრინციპი: სწავლების პროცესში, ძირითადად, ის ცოდნა უნდ იყოს ათვისებული, რომელიც ფართოდ გამოიყენება ადამიანის საქმიანობაში. ამასთან ხელი უნდა შეუწყოს დედუქციური, ექსპერიმენტალური, რეფლექტორული და კრიტიკული აზროვნების ტიპების განვითარებას.

მესამე პრინციპი: მოქნილი, პერიოდულად განახლებადი პროგრამები ხელს უნდა უწყობდეს პედაგოგის მოქმედუნარიანობის ზოგადი მიმართულებების განსაზღვრას და არ უნდა წარმოადგენდეს სქოლასტიკურ დოკუმენტს. პროგრამას უნდა ახლდეს დოკუმენტი, რომელშიც გადმოცემული იქნება „მოტივები“ ან, ასე ვთქვათ, „ფილოსოფია“, რომლის საფუძველზეც იგი დამუშავდა.

მეოთხე პრინციპი: განათლების შინაარსის კრიტიკული შეფასება ორ მიდგომას უნდა მოიცავდეს: სკოლების მოთხოვნილება ახალ პროგრამებზე და მისი მისაწვდომობა.

მეხუთე პრინციპი: ცოდნის გადაცემის შედეგების გაუმჯობესების მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს პედაგოგიური მეთოდების მთელი მრავალფეროვნება, რომელიც მიმართული იქნება რეალურად ასათვისებელ ცოდნაზე. აუცილებელია შეიცვალოს ენციკლოპედიური, გადატვირთული და ცხოვრებას მოწყვეტილი სწავლების შინაარსი. მოზარდებს სასწავლად უნდა მიეცეს ისეთი მასალები, რომლის შეგნებული ათვისება უზრუნველყოფილი იქნება.

მექვსე პრინციპი: აუცილებელია სხვადასხვა სასწავლო დისციპლინების პედაგოგთა საქმიანობის კოორდინირება. მიზანშეწონილია ისეთი ინტეგრირებული კურსების შემოტანა, რომელსაც ორი ან მეტი პედაგოგი წაიყვანს.

მეშვიდე პრინციპი: აუცილებელია სხვადასხვა საგანთა შორის ბალანსირება უნდა გამოირიცხოს ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებების სწავლება.

ცვლილებანი სასკოლო განათლებაში პირდაპირ უკავშირდება პედაგოგთა მომზადებას. ამ თვალსაზრისით საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული აშშ უნივერსიტეტის პროფესორის მარკ გინზბურგის წიგნში - „წინააღმდეგობა პედაგოგიურ განათლებასა და საზოგადოებას შორის: კრიტიკული ანალიზი“. მისი და სხვა ცნობილი ავტორების (ჯ. ლინჩი, ჰ. პლანკეტი) აზრით, პედაგოგიური განათლება მხოლოდ მასწავლებელთა მომზადებას კი არ გულისხმობს, არამედ იგი როგორც მთელი რიგი

პროცესებისა და ინსტიტუტების სისტემა, ფართო აზრით, ხელს უწყობს ეკონომიკის კვლავწარმოებას. ამიტომ პედაგოგთა მომზადების სისტემა საგანგებო ყურადღებას იმსახურებს როგორც მეცნიერთა, ისე სახელმწიფოს მხრივ. დღევანდელი სიტუაციით მიმდინარეობს მასწავლებელთა პროფესიონალიზაცია. საქმე ეხება არა მარტო იმას, რომ მასწავლებელთა ხელფასი, ჩვეულებრივ, სხვაზე დაბალია, არამედ პედაგოგის პროფესიული მომზადებისადმი ამჟამად დამკვიდრებულ მიდგომებს, კერძოდ, პედაგოგიური განათლების შინაარსის პრობლემებს, რასაც ეკონომიკური ასპექტებიც აქვს. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ღრმა თეორიული მომზადების გარეშე მასწავლებელი ნაკლებად მობილური იქნება, თუ მხოლოდ პედაგოგიური უნარების განვითარებაზე ვიქნებით მიმართული. „მასწავლებელი, რომელიც ფლობს უნარების მთელ ნაკრებს, მაგრამ ნაკლებია მისი პროფესიული მზაობა თეორიული მომზადების თვალსაზრისით, ემგვანება მუშა-პროფეტარს, რომელსაც, როგორც წესი ადვილად შეცვლი“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზ. ცუცქერიძე, ნ. ორჯონიკიძე, განათლების თანამედროვე თეორიები, თბ. 2005წ.
2. ნ. ნიკანდროვი, პედაგოგიური განათლება და საზოგადოება აშშ-ში, ჟურნალი „პედაგოგიკა“ 2001წ, №1-2 (რუს. ენაზე)
3. ვ. შვეცოვი, ფრანგული სკოლა 2000 წლისთვის, ჟურნალი „პედაგოგიკა“ 2001წ, №1-2
4. საქართველოს კანონი განათლების შესახებ, წიგნში განათლების რეფორმა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა, თბ. 2005წ.

Nino Orjonikidze, Maia Akhvlediani
Akaki Tsereteli State University

Problems connected with perfection of the content of education and teaching

Abstract

Globalization and internationalization show new challenging tasks in front of nationalized education systems, such as defining the content of the teaching, developing of the skills and establishment of value system. The wide range of interconnections are also developing rapidly. Electronic means of communication continue to globalize the flow of information, that according of their assumption may promote planetary thinking. The national systems of education are particularly centralized, for them evolution is hard in this direction. Educational problems are essentially different in different development countries.

საკვანძო სიტყვები: ცოდნა, განათლების შინაარსი, სწავლების შინაარსი, თანამედროვე სკოლა, გლობალიზაცია, საგანმანათლებლო ფუნქცია, ინტეგრაცია, უნარები, ღირებულებათა სისტემა

Key words: Knowledge, Educational content, Teaching content, Modern school, Globalization, Educational function, Integration, Skills, Value system

Nana Papunashvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

The Role of Grammar in Communicative Language Teaching

Introduction

Nowadays socio-economic conditions in Georgia are inevitability caused by bilingualism and multilingualism. The increased interest towards the foreign/second language teaching and learning raised a number of issues. Old teaching methods have been replaced by the new ones. The priority of foreign language teaching is to develop communication skills in language learners.

Communicating effectively in a language requires the speaker's good understanding of linguistic, sociolinguistic and socio-cultural aspects of that language. This understanding will enable him to use the right language in the right context for the right purpose and then he can be referred to as communicatively competent (122, 10), but grammatical competence is considered as an integral part of communicative competence. Foreign language speaker/learner can't form communication effectively without having the knowledge of grammar. There are many methods or approaches (such as: Direct method, Audio-lingual method, Communicative approach, Suggestopedia etc.) to learn English language effectively, they are considered as communicative competence centered. Effective communication involves knowing how to use the grammar and lexical units (vocabulary) of the language to reach communicative goals. So, grammar learning is necessary to master the four macro skills (listening, speaking, reading and writing) especially speaking effectively, accurately and fluently.

Communicative language teaching and communicative Competence

While discussing about the Communicative language teaching and communicative Competence, it is important to analyze them briefly.

Canale and Swain (1980), propose their own theory of communicative competence that minimally includes three main competences:

- Grammatical competence;
- Sociolinguistic competence;
- Strategic competence.

Grammatical competence includes knowledge of lexical items and of rules of morphology, syntax, sentence—grammar semantics, and phonology. They point out that grammatical competence will be an important concern for any communicative approach whose goals include providing learners with knowledge of how to determine and express accurately the literal meaning of utterances. (29,3)

Sociolinguistic competence is the knowledge of the sociocultural rules of language and of discourse. This type of competence requires an understanding of the social context in which language is used: the rules of the participants, the information they share, and the functions of the interaction. Only in a full context of this kind can judgment be made on the appropriateness of a 'particular utterance', as mentioned by Brown (2000). Sociolinguistic competence comprises aspects, which deal with factors such as politeness, formality, metaphor, registers, and culturally related aspects of language.

Strategic competence refers to the ability of using language to achieve communicative goals and enhance the effectiveness of communication (28-31,3).

CLT has dominated ELT since the 1980s. Teaching based on communicative goals has turned out to be very flexible and inclusive in its methodology. One of the main characteristics of CLT is that it is learner-oriented. It can be understood as a set of principles about:

- the goals of language teaching;
- how learners learn a language;
- the kinds of classroom activities that best facilitate learning;
- the roles of teachers in the classroom;
- the role of learners in the classroom. (2,7)

The main goal of CLT is to develop learners' communicative competence in L2 through communication and interaction with others (Brown,). According to Rickheit and Strohner (2008), an important aspect of communicative competence is related to effectiveness and appropriateness of speech during the process of communication, They also state that "whereas effectiveness describes the outcome of communicative competence, appropriateness connects it with the situational conditions of the actual social interaction" (16,9). What is the term of communicative competence? Hymes (1972, 1974) was the first who used the mentioned term and

defined it as a speakers' (6) capability to speak a language with linguistic proficiency and to use language appropriately in different social contexts.

As a result, the communicative competence can be referred to the ability to function in a truly communicative setting that courage learners to communicate with other speakers spontaneously and at the same time effectively

According to the scholar, such as Wang (2009) studies provide evidence that each competence plays significant role in the acquisition of communicative competence (135–152,13). However, teachers seem to deemphasize grammar accuracy in their CLT classrooms According to Savignon (2002), there is a vivid difference between the issues: communicative competence and communicative ability. Communicative competence refers to the ability to interpret information, express oneself, and negotiate meaning. Communicative ability refers to the ability to comprehend meaning and to use forms appropriately. This implies the importance of grammar learning in order to achieve a higher level of communication. In the context of CLT, whether or not grammar instruction should be included has been a controversial topic.

Role of grammar in speaking

Many language authorities have different attitudes to grammar. Some researchers define grammar as an advantage source in learning/teaching foreign language, while others oppose this idea.

According to Jim Scrivener (2003), “grammar is not just a dry list of facts and rules. It is in our heads and it is a living resource that gives us the ability to communicate our ideas and feelings and to understand what other people say or write to us.” (65, 11)

Language acquisition without grammar will be confusing. Learners will fail to use the language correctly without grammar skills. —People now agree that grammar is too important to be ignored, and that without a good knowledge of grammar, learners' language development will be severely constrained (145,8). Richards and Renandya point out two good reasons for teaching grammar (152,8):

a) Comprehensibility: Knowing how to build and use certain structures makes it possible to communicate common types of meaning successfully. Without these structures, it is difficult to make comprehensible sentences. We must, therefore, try to identify these structures and teach them well;

b) Acceptability: in some social contexts, serious deviance from native-speaker norms can hinder integration and excite prejudice- a person who speaks badly may not be taken seriously, or may be considered uneducated or stupid. Students may therefore want or need a higher level of grammatical correctness than is required for mere comprehensibility.

Azar (2007) claims that, the role of grammar is to “help students discover the nature of language, i.e., that language consists of predictable patterns that make what we say, read, hear, and write intelligible” (3,1). As Azar stated, without grammar, people would have only individual words or sounds, pictures, and body language to communicate meaning. Moreover, effective grammar instruction can help students use this knowledge as they write. Through the connection from oral language into written language, teachers can explain abstract grammatical terminology to help students write and read with better proficiency and confidence.

To establish precise sentences, grammar knowledge is essential. In another idea about why teaching grammar is important Ellis writes: —Grammar Teaching involves any instructional technique that draws learners' attention to some specific grammatical form in such a way that it helps them either to understand it metalinguistically and / or process it in comprehension and / or production so that they can internalize it (84,4).

To be an effective language user, learners should study grammar because grammar skills will help learners to organize words and messages and make them meaningful. Knowing more about grammar will enable learners to build better sentences in speaking and writing performances. A good knowledge of grammar helps learners to make sentences clear enough to understand. Improper use of grammar will not convey meaningful messages. Tabbert stresses the importance of grammar simply as: —It is frequently pointed out that students confuse lie and lay, do not choose who and

whom correctly, say infer instead of imply, mismatch subjects and verbs, mix up pronoun reference, use double negatives, etc., and that these mistakes are evidence of their need to study grammar (39,12).

Grammar will give learners the competence how to combine words to form sentences. To create fully-developed sentences, grammar knowledge is indispensable. With little understanding of how language functions, learners cannot develop their language skills. —Just as there are careful and effective drivers who do not know what makes a car run, so there are those who, through practice and skillful observation, have become satisfactory, even effective, writers with very little understanding of the mechanics of the language. But it follows that the more you know about the form and function of the parts that make up the larger unit, the sentence, the better equipped you are to recognize and to construct well-formed sentences (1,5).


We have learned that grammar should not be taught in isolation from content. But then, neither should content be taught without regard to the language involved. A carefully planned integration of language and content however, holds considerable promise.

Conclusion

The experiment was held at Iakob Gogebashvili Telavi State University. 22 students were participated in it. There was no resistance from the university administration and the students. The duration of the experiment was for two semesters. At the end of each semester the students fulfilled the surveys.

During the first semester students were introduced the topics, various activities were used to form the interaction among the teacher and the students, but little grammar was introduced.

During the second semester students were introduced almost the same topics, grammatical topics were introduced and lots of exercises were used (mostly in dialogues), various activities were used to form the interaction among the teacher and the students.



To sum up, the results of survey revealed that the role of grammar in Communicative language teaching has the significant effect:

- Helps students to improve their understanding;
- Minimizes the mistakes;
- Increases proficiency and confidence;
- Increases the motivation and interests to communicate;
- Increases accuracy;
- Increases fluency.

In conclusion we can say that without grammar, there is no language; and without language no communication/interaction can be formed.

Literature:

1. Azar, B. (2007). Grammar-based teaching: A practitioner's perspective. TESL-EJ, 11(2). Retrieved October 1, 2007, from <http://tesl-ej.org/ej42/a1.html>.

2. Brown, H. D. (2006). Principles of language learning and teaching (5th ed.). White Plains, NY: Pearson Education.
3. Canale, M., Swain, M. (1980). "Theoretical bases of communicative approaches to second language teaching and testing," Applied Linguistics.
4. Ellis, Rod. (2006). Current Issues in the Teaching of Grammar: An SLA Perspective. TESOL Quarterly. 40(1): 83-107.
5. Emery, D., J. Kierzek, and P. Lindblom. (1978). English Fundamentals, 6th ed. New York: Macmillan.
6. Hymes, D. (1974). Foundations in sociolinguistics. An ethnographic approach. Philadelphia: University of Pennsylvania Press.
7. Richard, J. (2006). Communicative Language Teaching Today. Cambridge University Press.
8. Richards, J., Renandya, W.A. (2002). Methodology in Language Teaching: an Anthology of Current Practice.
9. Rickheit, G., & Strohner, H. (2008). Handbook of communicative competence. Berlin: Mouton de Gruyter.
10. Saleh, S. E. (2013). Understanding Communicative Competence. Vol. 3. Zawia University
11. Scrivener, J. (2003). Teaching Grammar. Oxford: Oxford University Press. ISBN 0-19442179-1.
12. Tabbert, Russell. (1984). Parsing the Question —Why Teach Grammar?. The English Journal. 73(8)
13. Wang, P. J. (2009). A study of teacher and student perceptions concerning grammar-translation method and communicative language teaching. Nanya Journal, 28.

ნანა პაპუნაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

გრამატიკის როლი ენის კომუნიკაციური სწავლებისას

რეზიუმე

გლობალურ სამყაროში ინგლისური კომუნიკაციის მთავარ წყაროს წარმოადგენს. შედეგად, მოთხოვნა ინგლისური ენის მიმართ მნიშვნელოვნად იზრდება ყველა ქვეყანაში. ინგლისური ენის წარმატებულად დაუფლებისათვის საჭიროა ოთხი ენობრივი უნარის (კითხვა, წერა, საუბარი, მოსმენა) სათანადო დონეზე დაუფლება. თუმცა, საუბარი, როგორც პროდუქტული უნარის ერთ-ერთი ტიპი, ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ჩამოთვლილი უნარებიდან, ვინაიდან იგი მოსაუბრის/ენის შემსწავლელის მხრიდან წარმოაჩენს როგორც ენობრივ სიზუსტეს, აგრეთვე დაშვებულ შეცდომებს. გამართული საუბარი თავისუფლად მეტყველების თანაფარდი მნიშვნელობის მატარებელია. თავისუფალი მეტყველების ჩამოყალიბება-განვითარება შესაძლებელია კომუნიკაციური მიდგომის საშუალებით, მაშინ როდესაც სწორი მეტყველება გრამატიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების გზით ხორციელდება. ამგვარად, შეიძლება ითქვას, გრამატიკას ცენტრალური ადგილი უკავია ინგლისური ენის დაუფლების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: გრამატიკა, კომუნიკაციური უნარი, სწავლება, ენის კომუნიკაციური სწავლება
Key words: grammar, communicative competence, teaching, communicative language teaching

იდენტობის კრიზისი (ოთარ ჭილაძის „აველუმი“)

ოთარ ჭილაძის მიერ საბჭოთა ეპოქაში შექმნილი ნაწარმოებები რომ ალეგორიულად იწერებოდა, ამაში გასაკვირი არაფერია. აი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გამოქვეყნებული რომანების ალეგორიულ ენას კი ნამდვილად უნდა გამოეწვია მკითხველის გაოცება. ალეგორია ტოტალიტარულ, ავტორიტარულ, ერთპიროვნული ძალაუფლების მქონე ხელისუფლებების ბატონობის ჟამს არის აქტუალური. მთავრობის პოლიტიკის კრიტიკა ასეთი რეჟიმების პირობებში აკრძალულია. საფრთხე მხოლოდ ხელოვანი ადამიანების შემოქმედებას კი არა, მათ სიცოცხლესაც ემუქრება. ალეგორია კი თავის და აზრის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად რჩება. ისინი, ვინც ამ კომპრომისზე არ მიდიან, ეწირებიან ბოროტების იმპერიას; ვინც კომპრომისზე მიდიან, ალეგორია განვითარების ახალ სიმაღლეებზე აჰყავთ. ამ მხრივ ოთარ ჭილაძის ნაწარმოებებს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით. მწერალი ალეგორიულად ყვება ყველასთვის ცნობილ მითს, ალეგორიულად ყვება ყველასთვის ცნობილ მეცნიერულ დაკვირვებას, ალეგორიულად გადმოგვცემს ათასჯერ წაკითხულ ფოლკლორულ ლექსსა თუ რიტუალს. სსრკ-ის დაშლის შემდეგ ხელოვნება გათავისუფლდა მარწუხებისგან და ხელოვანებმაც ამოისუნთქეს. მათ საშუალება მიეცათ, სათქმელი უკვე პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ეთქვათ. ოთარ ჭილაძის შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა. მან სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა ეზოპეს ენა, როგორც თავისი რომანების განუყოფელი ნაწილი. რატომ? რისი გამოთქმა აუკრძალეს მწერალს? თუ აუკრძალეს, მაშინ ვინ? მაგრამ საქმე აქ პირდაპირ აკრძალვასთან არა გვაქვს. ჩემი ღრმა რწმენით, მწერალს მიაჩნდა, რომ მისი ნათქვამი პირდაპირი მიმართვის შემთხვევაში ადვილი აღსაქმელი არ იქნებოდა რიგითი მკითხველისთვის. მისი სათქმელი იმდენად მტკივნეული იყო, რომ ავტორისთვის, შეიძლება, არც ეპატიებინათ პირდაპირობა, ის კი არა, შეიძლება, მისთვის პასუხიც მოეთხოვათ ამ პირდაპირობისთვის ზუსტად ისევე თუ არა, როგორც ამას რეჟიმის პირობებში აკეთებდნენ, ანუ გადასახლებით ან დახვრეტით, არამედ მუდმივი წამოძახებით. არადა, მტკივნეული სათქმელი ოთარ ჭილაძეს ქართველებისთვის ბევრი ჰქონდა, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ქართული საზოგადოება, დიდთან-პატრიანად, იდენტობის კრიზისში შესული, კარგად ვერ იაზრებდა პრობლემის საგანგაშო მდგომარეობას. როდის დაუდგა ერს კრიზისის ხანა? რამ გამოიწვია კრიზისი? რამდენად ღრმაა ის? შევძლებთ კი მის დაძლევას? ქართველ ინტელექტუალთა ერთი ჯგუფისთვის კრიზისში დამნაშავე რუსეთია, შესაბამისად, პრობლემის ფესვები ორ საუკუნეზე ცოტა მეტს ითვლის; სხვა ჯგუფისთვის კრიზისის მიზეზი მხოლოდ პოლიტიკურია და როგორც კი, ებრაელი ხალხივით, უდაბნოში ხეტიალის ორმოცი წელი გავა, თაობა შეიცვლება, ჩვენს ბედსაც ძალი არ დაჰყვებს; დანარჩენი ნაწილი კი უფრო შორეული წარსულის რევიზიას მოითხოვს. ოთარ ჭილაძე ამ მიზეზებს ეთანხმება, დარწმუნებულია, რომ „დაყვერილთა“ შთამომავლებიც სამუდამოდ დაღდასმულნი არიან. სიტყვა „სამუდამო“ კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიცვლება, თუკი ყველანი საკუთარი ოჯახის ბიოგრაფიის გამოძიებას დავიწყებთ, ჩავუღრმავდებით დეტალებს, არ შევშინდებით და თვალს გავუსწორებთ სიმართლეს, როგორი მწარეც არ უნდა იყოს ის და ამის შემდეგ „მოვკლავთ მამას“⁵². ეს „რეცეპტი“ ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა ურთულებსია. „რეცეპტის“ უგულვებელყოფა კი იწვევს იდენტობის კრიზისს. სწორედ ამ იდენტობის

⁵²მამის მოკვლა ოთარ ჭილაძის რომანის „გოდორი“ მთავარი თემაა.

კრიზისის⁵³ სხვადასხვაგვარი გამოვლინების აღწერა არის ოთარ ჭილაძის თითქმის ყველა რომანის, თითქმის მთელი მისი შემოქმედების ლაიტმოტივი; სწორედ ამ იდენტობის კრიზისზე გველაპარაკება მწერალი, ოღონდ ძირითადად ალეგორიულად. ამ სტატიის ფარგლებში შევეცდები, დავადგინო, რა ტიპის იდენტობის კრიზისების აღმოჩენა შეიძლებარომაში „აველუმში“.

რომანის მთავარი გმირი აველუმში მწერალია. მისი სიყმაწვილე და მწერლად ჩამოყალიბება 1956 წლის მოვლენებს ემთხვევა, აღზევების ხანა საბჭოთა საქართველოში ხდება, ხოლო კრიზისი მაშინ უდგება, როცა იმპერია არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის. აველუმის პოზიციის მიხედვით, შეგვიძლია, თავად ოთარ ჭილაძის შეხედულებებიც გავიგოთ საქართველოს ისტორიის ბოლო პერიოდის ამ ყველაზე დრამატულ მოვლენებზე. საბჭოთა საქართველოში ეროვნული მოძრაობა რამდენიმე პიკს ითვლის. მათი შესწავლა საკმაოდ რთულია, რადგან ჯერჯერობით ამ მოვლენების თვითმხილველები ცოცხლები არიან, შესაბამისად, მათი სუბიექტურობა ობიექტური შეფასებების საშუალებას არ იძლევა. ამიტომაც ოთარ ჭილაძე არჩევს, აველუმის პირით თქვას სიმართლე, თუმცა მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე და შეეცადოს, დაარწმუნოს მკითხველი, რამდენად აუცილებელია, თვალი გავუსწოროთ ამ სიმართლეს, რათა მომავალში სწორად ცხოვრება შევძლოთ. ამ მიზნით მწერალი რამდენიმე ტიპის იდენტობის კრიზისის ანალიზს იძლევა.

პროფესიული იდენტობის კრიზისი

ა) პოლიტიკურ „მოღვაწეთა“ იდენტობის კრიზისი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მაღალი და შედარებით ქვედა რგოლის თანამდებობის პირებს, ე.წ. ფუნქციონერებს, ცუდი დრო დაუდგათ. მათ, რა თქმა უნდა, დაკარგეს თანამდებობები, მაგრამ ბევრი მათგანი ბოლომდე ვერ გაერკვა შექმნილ ახალ რეალობაში. ეგონათ, რომ თუკი აქამდე გულწრფელად ემსახურებოდნენ სამშობლოს, პატივისცემა ერგებოდათ. მაგრამ საქმე ისაა, რომ მათთვის ტერმინები აღრეული იყო, ვერ აცნობიერებდნენ, რომ სამშობლო-საქართველოს კი არა, სამშობლო-სსრკ-ს ერთგულებაში გაატარეს ცხოვრება. თუმცა აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც ადრევე აუღეს ალღო შექმნილ ვითარებას, ქამელეონივით შეიცვალეს ფერი და ისე მოერგნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, თითქოს ამის მეტზე სხვა არაფერზე ოცნებობდნენ თავის დროზე. „ფუნქციონერი კომუნისტებიც ჩვენს მხარეზე იდგნენ უკვე, დგანან კი არა, კიბეებზე სხედან, კარვებში წვანან, შიმშილობენ, მამაჩემი კი ჩვენსკენ გამოხედვასაც არ კადრულობს“⁵⁴ - ასე საყვედურობს ეკაკატოეკატერინე აველუმს. უკვირს, რომ მამა, რომელიც თავისი ცხოვრებით სულ სხვა მაგალითს იძლეოდა საბჭოთა პერიოდში, არ დგას ეროვნული მოძრაობის წინა რიგებში, არათუ მიტინგებს არ აღიარებს, არამედ აშკარად ზევით უყურებს მომიტინგეებს და მათი საქციელი არასწორად მიაჩნია. მწერლის ქალიშვილი ვერ ხვდება, რომ ამის მიზეზი წარსულია, 1956 წელი, როდესაც მარტის დემონსტრაციებში ჩართულ ახალგაზრდა აველუმს სამი წლის შემდეგ გადასახლებიდან დაბრუნებულმა მშობლებმა თვალი აუხილეს, ბევრი რამ აუხსნეს და სიმართლე სულ სხვა კუთხიდან დაანახეს. ახალბედა მწერალ აველუმს უკვე მაშინ აღიზიანებდა მიტინგების პათოსი, სტალინის, ამ ჯალათის მიმართ ხალხის სიყვარულით რომ სარგებლობდნენ ზოგიერთები და ცდილობდნენ, ვნებათაღელვის ვექტორის შეცვლას. იყვნენ ისეთებიც, სრული სერიოზულობით მოლოტოვის ჩამოყვანა რომ უნდოდათ, მისთვის სათანადო პირობების შექმნა და მეფედ კურთხევა. მოკლედ, რას არ გაიგონებდით შეკრების ადგილებში. რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ მწერალს აღარ სწამდა მიტინგებისა და დემონსტრაციების. ერჩივნა, ხალხი ჯერ კარგად დაფიქრებულიყო, გაერკვია, რა უნდოდა მომავალში, როგორ

⁵³ ოთარ ჭილაძის შემოქმედებისთვის დამახასიათებელი იდენტობის კრიზისზე არაერთი მკვლევარი მიუთითებს თავის სამეცნიერო სტატიაში.

⁵⁴ ჭილაძე: 360

აპირებდა ცხოვრების გაგრძელებას და მხოლოდ ამის შემდეგ დაეწყოთ ქუჩაში გამოსვლები, რათა ერთსა და იმავე ორმოში კიდევ და კიდევ არ ჩავარდნილიყვნენ.⁵⁵

ბ)მწერლური იდენტობის კრიზისი

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, საბჭოთა პერიოდში მწერალთა/პოეტთა რაოდენობა არნახული სიხშირით იზრდებოდა. ერთი მხრივ, შეგვიძლია, ეს ქვეყანაში წერაკითხვის მცოდნეთა რაოდენობის გაზრდას დავუკავშიროთ. მაგრამ საქმე ისაა, რომ რაოდენობის გაზრდა პირდაპირპროპორციულ კავშირში სულაც არ იყო ხარისხის გაზრდასთან. უბრალოდ, ე.წ. პროფესიული კავშირების შექმნა უამრავ პრივილეგიას აძლევდა ამ კავშირში გაერთიანებულებს, ხელფასებიდან და დასასვენებელი სახლების საგზურებიდან დაწყებული ბინებითა და აგარაკებით უზრუნველყოფით დამთავრებული. პროფესიულ კავშირებში მოსახვედრად კი გადამწყვეტი ფაქტორი სულაც არ იყო ნიჭიერება და ოსტატობა, გაბატონებული რეჟიმის ერთგული სამსახური და არსებული იდეოგოლიისთვის ხოტბის შესხმაც სათანადოდ ფასდებოდა. პროფესიულ იდენტობას დარგის განვითარებაში შეტანილი ღვაწლი კი არა, მოწმობები ადასტურებდა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ამგვარ ორგანიზაციებს და მათ დამქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა სტრუქტურებს საკავშირო დაფინანსება შეუწყდათ და პროფესიული კავშირები კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მწერალთა პერიოდულ გამოცემებსაც კი დახურვის საფრთხე დაემუქრათ, აღარაფერი რომ აღარ ვთქვათ გამომცემლობებსა და სტამბებზე. თავის გადარჩენის მიზნით, მარიფათიანი ხელმძღვანელები თვითდაფინანსებაზე გადავიდნენ, შესაბამისად, გულუხვი ჰონორარები დავიწყებას მიეცა. რადგან წიგნის გაყიდვიდან შემოსული თანხა არ იყო გამოსაცემად გადახდილი თანხის ადეკვატური, ბევრმა, აქამდე მწერლებად/პოეტებად წოდებულმა ადამიანებმა, პროფესია შეიცვალა. ისინი კი, ვინც პროფესიაში დარჩნენ და ფიზიკურად გადარჩნენ, ვისთვისაც მწერლობა მხოლოდ გამორჩენის საშუალება არ იყო, ჩაუფიქრდნენ და პასუხების ძიება დაიწყეს. „ჩვეულებრივი ლოთებისგან განსხვავებით, ოფიციალურად აღიარებულიმწერლებიც ვიყავით, მწერალთა კავშირის სრულუფლებიანი, წიგნაკიანი წევრები და ჩვენს ნალაპარაკებს, მით უფრო სახელმწიფოს უშიშროების დაცვის კომიტეტისთვის, რასაკვირველია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგრამ, როგორც დრომ დაგვანახა, ამაოდ, ტყუილად, ფუჭად - დღეს აღარც ჩვენ ვითვლებით მწერლებად“...⁵⁶ მაშინ, როდესაც პროფესიულ ხელოვანთა კავშირი გასცემდა ხელოვანის საიდენტიფიკაციო ბარათს, ეს ერთგვარად ადასტურებდა, რომ საბუთი აქცევდა ხელოვანს ხელოვანად, შესაბამისად, მწერალს - მწერლად. რა თქმა უნდა, ეს ტრაგედიაა და ათასგვარი ირონიის საბაზს იძლევა. თავის დროზე ეს ფაქტი გამოიყენა მიხეილ ბულგაკოვმაც და გენიალურად დასცინა მასსოლიტელ საბჭოთა მწერლებს.⁵⁷

თუკი აქამდე მწერლად ჩათვლა-არჩათვლას ზემდგომი ორგანოები წყვეტდნენ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამის გადაწყვეტა ხალხის პრეროგატივაა. ოღონდ ხალხამდე ნაწერი რამენაირად უნდა მიიტანო, სამწუხაროდ, ისიც კი უნდა გათვალო, რამდენად გემოვნებიანი მკითხველი გეყოლება, ვინ იქნება შენი მკითხველი. ამიტომაც, ზოგი მწერალი/პოეტი აღარ დაგიდევს შინაარსს, იცის, რომ ხანდახან ფორმით უფრო მიიქცევ მკითხველის ყურადღებას: „დიდი გასავალი აქვს დღევანდელ მწერლობაში ამგვარ

⁵⁵ib.: 10

⁵⁶ib.: 21

⁵⁷რომანში „ოსტატი და მარგარიტა“ ბეჰემოთი და კოროვიოვი ცდილობენ აუხსნან შესასვლელში მჯდარ ქალს, მოწმობების გარეშე გაატაროს. ქალბატონს უკვირს, რომ მათ მწერლის მოწმობები არა აქვთ და შეუპოვრად ცდილობენ შენობაში შეღწევას. „გმირები“ უკან არ იხევენ და ამგვარ ლოგიკას იშველიებენ: დოსტოვესკის რა მოწმობა სჭირდება, მისი რომანის ნებისმიერი გვერდი მოწმობაა, რომ დოსტოვესკი მწერალია, მას კი სხვა არანაირი მოწმობა არ გააჩნდა (ბულგაკოვი: 403-404). „თუ საბუთი არ არსებობს, მაშინ ადამიანიც აღარ არსებობს“ - შენიშნავს სხვაგან კოროვიოვის სიტყვებით ბულგაკოვი (ib. 328)

ლინგვისტურ ოინბაზოებს⁵⁸ როგორც ამ ერთი ფრაზიდან ჩანს, ოთარ ჭილაძისთვის თანამედროვე მწერლები ოინბაზები უფრო არიან, ვიდრე ნამდვილი მწერლები. ბორხესისა და ეკოსეული, კინიარისა და პავიჩისეული ძიებები, რომლებიც უბოდიშოდ გადმოიღეს თანამედროვე ქართველმა მწერლებმა და დიდი გასავალი აქვთ დღევანდელ ბაზარზე, პოპულარულ საკითხავად კი აქცევენ ავტორებს, მაგრამ ვერაფრით ვერ აქცევენ მათ დიდ მწერლებად. მკითხველი, რომელთაც ისინი მიმართავენ, მათსავით ზედაპირულია. აი, ჭილაძის მკითხველი კი სხვანაირია. ვინაა ეს მკითხველი? მასაც ისევე დაუკარგავს იდენტობა, როგორც სსრკ-ში მწერლად აღიარებულ მრავალ ადამიანს?

გ) მოცლილი მკითხველი - მკითხველის იდენტიფიკაცია

ერთგან ოთარ ჭილაძე ასეთ დაკვირვებას გვთავაზობს: „იქნება მართლა ისე დამაშინა ცხოვრებამ, ტყუილს სიმართლედ ვიყენებდი, უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, ვტყუოდი, სიმართლე რომ არ მეთქვა, მაგრამ, პირადად მე, პირიქით მგონია, რადგან მხოლოდ სიმართლის თქმა იყო ჩემი მიზანი და არა რაიმეს თქმა ზოგადად. მით უფრო რომ, ჰონორარს ერთნაირად იხდიდა სახელმწიფო აშკარა ტყუილშიც და შენიღბულ სიმართლეშიც. ოღონდ, ტყუილის თქმა თუ უსუფთისობაა, მართლის მთქმელობა უბედურებაა - შენიღბულად, ქარაგმულად, ნამცეც-ნამცეც აპარებ შენს სიმართლეს ვიღაცას, ვისიც არ იცი სახელი და ვისი გადარჩენაც მიზნად დაგისახავს“...⁵⁹ დიახ, ოთარ ჭილაძე თვითკრიტიკითა და ირონიით ეკიდება საკუთარ შემოქმედებას, რადგან ექვეყნებ აყენებს ალეგორიის გამოყენებას მწერლობაში, არც ის მოსწონს, პირდაპირ რომ ვერ ამბობს სათქმელს და წვეთობით აწოდებს მას მკითხველს. ეს მკითხველი კი მისთვის მოცლილია. სიტყვა „მოცლილი“ უარყოფით ემოციას იწვევს და უსაქმურს ნიშნავს. მაგრამ ოთარ ჭილაძის მოცლილი მკითხველი ისაა, ვინც დროს გამოძებნის იდენტობის გასარკვევად. ეს იდენტობა კი პიროვნულიცაა, ეროვნულიც და პოლიტიკურიც, რელიგიურიც და პროფესიულიც. მოცლილი მკითხველი ჯერ არ დაბადებულა, ის ჯერ ჩანასახია, თუმცა მისი მუცლად ყოფნის პერიოდი ცხრა თვე კი არა, იმდენ ხანს გაგრძელდება, სანამ დაბადების დრო არ დაუდგება. რამ უნდა დააინტერესოს „სადღაც უსაშველოდ შორს, გაურკვევლობის საშოში ბელურასავით მობუზული“⁶⁰ მოცლილი მკითხველი? ჯერ, სანამ თავის იდენტობას გაარკვევდეს, მას ალბათ უამრავი შეკითხვა ექნება წინაპრებთან, მათთან, ვინც მის წინაშეა დამნაშავე, გუშინდელნიც და დღევანდელნიც, რადგანაც ასე უთავბოლოდ იცხოვრეს.⁶¹ ეს შეკითხვები კი ასე გაიჟღერებს: როგორ ახერხებდნენ მისი წინაპრები და მწერლის თანამედროვენი ერთსა და იმავე ორმოში უსასრულოდ ჩაცვენას? ამისთვის კი მწერალი უნდა შებრუნებულიყო წარსულში, იქ ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო გასარკვევი, თავის დროზე უყურადღებოდ დატოვებული, ანდა, თავის დროზე შემჩნეული, მაგრამ არასწორად აღქმული, არასწორად შეფასებული. მხოლოდ ასე თუ გაარკვევს მოცლილი მკითხველი „დავიღუპეთ თუ გადავრჩით, ანუ ღირსნი ვიყავით თუ არა, თუკი დავიღუპეთ და საჭირო იყო თუ არა ჩვენი გადარჩენა, თუკი გადავრჩით“.⁶²

რელიგიური იდენტობის კრიზისი

მნელბედობის ჟამს ადამიანები თავშესაფარს ეძებენ და ასეთ თავშესაფრად მათ ხშირად რელიგია ესახებათ. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირშიც კი, ათეისტურ სახელმწიფოში, რომელშიც რელიგია ყველაზე მეტად იდეენებოდა და იჩაგრებოდა, მეორე მსოფლიო ომის დროს მანამდე დალუქული და სხვადასხვა მიზნისთვის გადაკეთებული ეკლესიები გახსნეს ხალხისთვის. მარტოდ დარჩენილ დედებსა და ცოლებს მცირე იმედი სჭირდებოდათ, სტალინი კი ხვდებოდა, რომ მოქალაქეები ყველანაირ გასაჭირს გაუძლებდნენ ამ იმედის სანაცვლოდ. ერთადერთი, რაც მათ სასოწარკვეთამდე არ

⁵⁸ib.: 24

⁵⁹ib.: 28.

⁶⁰ib.:26

⁶¹ib.:27

⁶²ib.:14

მიიყვანდა, რელიგია რჩებოდა. ამიტომაც შეცვალა სტალინმა მანამდე აღებული კურსი. იმასაც ამბობენ, რომ მოსკოვის ბრძოლების წინ სტალინი საღამოს წირვაზე ეკლესიაშიც უნახავთ. საინტერესოა, რომ ლევ ტოლსტოის რომანში „ომი და მშვიდობა“ ნაპოლეონიც და ფრანგი ჯარისკაცებიც გაკვირვებულები არიან რუსეთში ეკლესიების რაოდენობით. მათი ახსნა კი ასეთია: ეკლესიების სიმრავლე ერის ჩამორჩენილობაზე მეტყველებს.⁶³ ადამიანებისთვის, რომლებიც მიჩვეულნი არიან, ეკლესიები განიხილონ როგორც მატერიალური კულტურის ნიმუშები, ამის წაკითხვა შოკისმომგვრელია. მაგრამ, თუკი კარგად დაგვიჩრდებით, მივხვდებით, რასაც გულისხმობდნენ ფრანგები. რელიგია, და შესაბამისად ეკლესიებიც, საუკეთესო თავშესაფარია გაჭირვების დროს; რელიგიური ინსტიტუტები თავის სასარგებლოდ შეიძლება გამოიყენოს ერთმა რომელიმე პოლიტიკურმა დაჯგუფებამ და ხალხის მხარდაჭერა ამ გზით მოიპოვოს. საქართველოში იმის უამრავი მაგალითია, როდესაც ეკლესიის სახელით პოლიტიკოსები ლაპარაკობენ, ეკლესიის პოზიციას პარტიები ახმოვანებენ. ეს არასწორია, მაგრამ მსგავსი თემები სეკულარიზაციამდე პოლიტიკური სპეკულაციის საგანი ხდება. სსრკ არსებობის ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც მიხეილ გორბაჩოვმა ქვეყნის ძირითად მიმართულებად „გლასნოსტი“ და „პერესტროიკა“ გამოაცხადა, რესპუბლიკებში სხვადასხვა ტიპის შარლატანები მომრავლდნენ. ვიდაცები აცხადებდნენ, რომ სატელევიზიო სენსაციის დროს კურნავდნენ მომაკვდავ ავადმყოფებს, ვიდაცები ახალ რელიგიურ მიმდინარეობებს აარსებდნენ, თეთრი თუ შავი მაგია ლამის ქრისტიანული კონფესიის მთავარ განმმარტებლად მოეწვინა ათეიზმის შვიდი ათეული წლით გაჯერებულ საზოგადოებას. მკითხვეები, მწიბნელები, ათასი ჯურის თაღლითები ცდილობდნენ მიაღწიონ ადამიანების მოტყუებას. არადა, რა უნდა იმათ მოტყუებას, ვისაც წარმოდგენა არა აქვს და ამიტომაც ვერ ასხვავებს რელიგიას ფსევდორელიგიისაგან, ნამდვილ მოძღვარს ცრუმოდვრისაგან? კოლექტიური მეხსიერება მოკლეა, ის, რაც კოლექტივს ახსოვს, ჰგონია, რომ სწორია, თუმცა, არ უკვირდებიან, რომ მეხსიერებას ვერ დაეყრდნობი: თუკი მოქალაქეებს ეუბნებიან, წინასწარმეტყველი ვარო, იჯერებენ, რადგან ახსოვთ, რომ რელიგია არ კრძალავდა წინასწარმეტყველებს; თუკი ხედავენ, მკურნალი სანთელს ანთებს, სჯერათ მისი ღრმად მორწმუნეობის, რადგან ახსოვთ, რომ მათ რელიგიაში სანთლებს რაღაც როლი ეკისრებოდა; თუკი ვიდაც ცხვირწინ ჯვარს დაუდებს, გარანტირებული განკურნების საწინდარია ეს ჯვარიო, ექვიც არ შეეპარებათ, რადგან ახსოვთ, მათ რელიგიას ჯვარი მთავარ ატრიბუტად მიაჩნდა. ამ ყველაფრის მიზეზია მეხსიერების ნდობა და ამბიცია, საკუთარ თავთან მაინც აღიარო, რომ რაღაც არ იცი, რაღაც თავიდან უნდა ისწავლო. ოთარ ჭილაძე გულისტკივილით აშუქებს ამ პრობლემას და წერს: „ასეთთა [sc. შარლატანთა] რიცხვი კი მეტისმეტად იზრდება ჟამიანობის დროს... [sc. ჩვენი თავხედობის გამო] საერთოდ სათუოდ გავხადეთ მომავალი“.⁶⁴

პიროვნული იდენტობის კრიზისი

საკუთარი სახელი მატყუარაა, დაარქმევ ბავშვს ისლამურ სამყაროში გავრცელებულ სახელს თუ ქრისტიანული პერსონაჟის სახელს, ამით თავგზას აუბნევ მის გარშემომყოფებს. თუმცა სახელის დარქმევით ზოგჯერ თავად ბავშვსაც შეიძლება აუბნეო ცხოვრება. ასე „დაემართა“ რომან „აველუმის“ მთავარ პერსონაჟსაც. აველუმი - შუმერულად თავისუფალ, სრულუფლებიან მოქალაქეს ნიშნავს. თუმცა კაცმა არ იცის, რომელ წყაროს ეყრდნობოდა ამ სახელის დარქმევი, რადგან წყარო ერთი ძველი რვეულია, იქ არის განმარტებული ეს შუმერული სიტყვა, რომელიც ან არის შუმერული და ან არა, ისიც კი არ ვიცით, მწერლის გამონაგონია თუ რომელიღაც სამეცნიერო ნაშრომიდან ამონაწერი. სასაცილოა, ანდა უფრო მეტად, სატირალი, სსრკ-ში გერქვას აველუმი, თავისუფალი მოქალაქე. პარადოქსია, ბავშვს არათავისუფალ ქვეყანაში თავისუფალი მოქალაქე უწოდო, თავისუფალი მოქალაქე -

⁶³ტოლსტოი: 310

⁶⁴ib.: 25

თუნდაც მარტო მის წარმოდგენაში არსებული ქვეყნისა.⁶⁵ აქედან იწყება კრიზისი, პიროვნული იდენტობის კრიზისი, თუმცა არა მარტო აქედან...

ნებისმიერი რეჟიმი, იქნება ეს სსრკ, ფაშიზმი თუ სხვა, იმითაც გამოირჩეოდა, რომ წახალისებდა ერთგვაროვნებას. რადგანაც რეჟიმის პირობებში ერთნაირი ადამიანების მართვა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე განსხვავებული მოსაზრებების მქონე პიროვნებების შეხედულებების გათვალისწინება. სწორედ ამ მოსაზრებების ჩახშობა ხდებოდა არა მარტო დაშინებით, არამედ ადამიანების სხვადასხვაგვარი თავისუფლების შეზღუდვით - დაწყებული ჩაცმულობითა თუ თმის ვარცხნილობით⁶⁶ და დამთავრებული გამოხატვის საშუალებების ჩარჩოებში მოქცევით. ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი სახელმწიფო სტრუქტურაც ამგვარ მეთოდს მიმართავს და დრესკოდებს აწესებს თანამშრომლებისთვის. ეს მიდგომა შედარებით გასაგებია პოლიციურ და სამხედრო სტრუქტურებში, სადაც ფორმა პროფესიის ამოსაცნობი ნიშანია ანდა ისეთი სტრუქტურებისთვის, რომლებშიც ფორმა ჰიგიენასთან ასოცირდება, მაგრამ სრულიად გაუგებარია მისი შემოღება სასწავლო დაწესებულებებში. შესაძლოა, ფორმა მშობელს ათავისუფლებს ყოველდღიური საზრუნავისგან, მაგრამ ახშობს ბავშვის გემოვნების გამოვლინებას, გასაქანს არ აძლევს მის ფანტაზიას. სხვადასხვა ეპოქაში ზოგიერთი მეამბოხე პოლიტიკურ და სოციალურ პროტესტს სწორედ ჩაცმის თავისებური სტილითა და ვარცხნილობით გამოხატავდა.⁶⁷ ამ გადმოსახედიდან, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, საქართველოში პროტესტის ამ ფორმას მიმდევრები არ გასჩენია. შესაბამისად, იმის ნაცვლად რომ პირველი მანიფესტაციები ჭრელი ყოფილიყო არა მარტო შემადგენლობით, არამედ წმინდა ვიზუალური თვალსაზრისითაც, მომიტინგეთა და დემონსტრანტთა ჩაცმულობა ძალიან შეზღუდული ყოფილა. „ბიჭებს შავი შარვლები და შავი კურტაკები აცვიათ... მოსახერხებელიცაა შესანიშნავად, ვერ გაარჩევ, ვინ ვინ არის, მშრომელი თუ უსაქმური, სწავლული თუ ლაზღანდარა, სოფლელი თუ ქალაქელი - იმას იცვამდნენ, რასაც შოულობდნენ“.⁶⁸ მწერალი თითქოს ამართლებს ეროვნულ მოძრაობაში ჩართულებს იმით, რომ მათ ფინანსური შესაძლებლობა არ გააჩნიათ, გამორჩეული ტანისამოსი შეიძინონ, თითქოს გასაგებია, რომ შავს ჭუჭყი არ ეტყობა და, თუკი ლიდერის მოწოდების შემდეგ კიბეზე დაჯდომა მოგიხდება ან შუა ქუჩაში დაჩოქვა, არ გეშინია, რომ მიტინგიდან წამოსულს ქალაქის მტვერი დაგეტყობა და ვინმე ამის გამო ზიზღით შეგხედავს. ამ მოტივით მოწონებულმა შავმა ფერმა თანდათან ტენდენციის სახე მიიღო და თავისუფლებისთვის მებრძოლი ადამიანები ერთფეროვან მასას შეერწყნენ, დაკარგეს ინდივიდუალობა და მათ უკვე აღარც იდეა გამოარჩევდათ და აღარც მიზანი. ამიტომაც ერიდებოდა აველუმი პროტესტს დაშლის პირას მდგომ სახელმწიფოში, მისთვის პროტესტი მაშინ იყო მისაღები, თუკი სახეს არ დააკარგვინებდა, ბრბოს ნაწილად არ აქცევდა: „ქუჩაში დიდი დემონსტრაცია მიდის... საშინლად მაფრთხობს, მაგანგაშებს საერთო კალაპოტში მოქცეული ხალხის ნიაღვრის ყრუ გუგუნს და გაურკვეველი შემახილები“...⁶⁹

⁶⁵ib.:7

⁶⁶ეს ტენდენცია შესანიშნავად აღწერა ჰაინრიხ ბიოლმა მოთხრობაში „ჩემი ნაღვლიანი სახე“, სადაც ციხიდან ახლად გამოსულ პატიმარს, რომელიც მანამდე იმის გამო გამოამწყვდიეს დილეგში, რომ ბედნიერი სახე ჰქონდა, ბედნიერება კი ქვეყანაში კანონით იკრძალებოდა, ზედმეტად ნაღვლიანი სახე აღმოაჩნდა. ახალი კანონი ნაღვლიან სახეს კრძალავდა და რეჟიმის პირობებში ყველას გაზადრულს უნდა ევლო.

⁶⁷ამ შემთხვევაში, რომ აღარაფერი ვთქვა ჯინსების თაობაზე, არა მარტო ჰიპებს, ემოებს და სხვა ათასნაირ მიმართულებას ვგულისხმობ, არამედ დამონძილსამოსიანი ცინიკოსი დიოგენეს კასრში ცხოვრებას, ფილოსოფოს სოკრატეს უდარდებლობას ყოფითი საგნების მიმართ და ქრისტიანი ასკეტების უარსაც.

⁶⁸ib.: 66

⁶⁹ib.: 87-88

პიროვნების იდენტობის კრიზისის თვალსაზრისით მითომანტის⁷⁰ რომანში „აველუმი“ ყველაზე საინტერესო მაინც კუნძულ კრეტასთან დაკავშირებული მითის რეცეფცია და ინტერპრეტაციაა. ბერძნული მითოლოგიის თანახმად, კრეტაზე მეფე მინოსმა ხუროთმოძღვარ დედალოსს ყველანაირი პირობა შეუქმნა ხელოვანის ფანტაზიების ხორცშესახმელად. რას აღარ ნახავდით კუნძულზე - პოსეიდონისა თუ სხვა ღმერთების სახელზე აგებულ ტაძრებს, მინოსის სახელგანთქმულ სასახლეს, მეფის ასულ არიადნეს საცეკვაო მოედანს⁷¹, პასიფაეს ვნების ნაყოფის მინოტავროსის ლაბირინთს. მიუხედავად არაჩვეულებრივი სამუშაო გარემოსი და პირობებისა, დედალოსს მაინც მატერიკზე ცხოვრება მოენატრა, თავისთვის და ვაჟიშვილისთვის ცვილით შეწებებული ბუმბულის ფრთები გააკეთა და იკაროსთან ერთად გასაფრენად მოემზადა. დედალოსმა კი ჩააღწია სამშობლოში, მაგრამ მისი ვაჟი ამპარტავნებას შეეწირა, მზესთან მიახლოების სურვილმა ზღვის მარილიანი შხეფებით დამძიმებული ფრთები დაუშალა და ჭაბუკი ზღვაში ჩავარდა. ოთარ ჭილაძის გმირს რომანის დაწერა უნდა ამ თემაზე. აველუმს სსრკ მინოსის ერთპიროვნული მმართველობის ქვეშ მყოფი კრეტის ანალოგად მიაჩნია, დედალოსის გაფრენის ჟინი კი მრავალი საბჭოთა ხელოვანის ქვეყნის დატოვების დაუცხრომელ სურვილს აგონებდა. აველუმის ფრანგი საყვარელი აღფრთოვანებულია ჩანაფიქრით, ერთი სული აქვს, როდის გადაიტანს მწერალი ჩანაფიქრს ფურცელზე, თუმცა სწორედ ეს თემა იქცევა მისი ცხოვრების გაუცნობიერებულ შემზარავ კადრად და სიზმრის სახით ახსენებს თავს ორსულობის პერიოდში. სიზმარი კი მართლაც რომ შემზარავია: კრეტაზე დაბადებულ ფრთიან ბავშვებს მინოტავროს თეატრში დიდი მაკრატლით აჭრიან ფრთებს. დასისხლიანებულ ბავშვებს სამუდამო პატიმრობისთვის წირავენ თავად მშობლები, აწი გაფრენის სურვილიც რომ გაუჩნდეთ, ჩანაფიქრს სისრულეში თავად ვედარასოდეს მოიყვანენ. რეალურ სსრკ-შიც და სიზმარში ნანახ კრეტაზეც ბავშვებს ადრეულ ასაკშივე უკლავენ გაფრენის სურვილს, ფრთებს კვეცენ მათ ფანტაზიებს და ასე ტოვებენ შესამჩნევი ჭრილობით სხეულზეც და ალბათ სულშიც. მითის მიხედვით, იკაროსი ეწირება მამის გაფრენის სურვილს, ანუ მამა გამოდის შვილის სიკვდილის მიზეზი; ფრანსუაზას სიზმარში მამები ასახიჩრებენ შვილებს ანუ უკლავენ მათ ბედნიერი მომავლის პერსპექტივას; თვითონ აველუმი კი კანონიერ შვილ ეკაკატოეკატერინეს ბავშვობიდან ფრენის სურვილს უღვივებს. ამას საყვედრობს მწერალს ცოლიც, შენ ჩაუნერგე ფრენის ჟინი, ახლა კი მიატოვე და მასთან ერთად გაფრენა აღარ გინდაო.⁷² მწერლის ქალიშვილისთვის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გადაშვება ამ ჟინის დაკმაყოფილების ერთადერთი გზაცაა და იდენტობის დაბრუნების საშუალებაც, მამამისისთვის კი ეს მოძრაობა იდენტობის დაკარგვის ტოლფასია. მამასა და შვილს შორის გაუგებრობა კულმინაციას მაშინ აღწევს, როდესაც აველუმი შეიტყობს, რომ 9 აპრილს მოწამლულმა მისმა ერთადერთმა ქალიშვილმა საავადმყოფოში ნამდვილი გვარი დამალა. აველუმი ვერ ეკითხება შვილს, მაგრამ ფიქრად ქცეული კითხვა არ ასვენებს - ნამდვილი გვარის არგამხელის მიზეზი ოჯახისთვის საფრთხის აცილების სურვილია თუ მამაზე და საკუთარ იდენტობაზე უარის თქმა.

ეროვნული იდენტობის კრიზისი

აველუმს ერთი კანონიერი ცოლი ჰყავდა, და ერთიც - კანონიერი შვილი. ეს ცოლი ქართველი იყო და, ცხადია, მათი შვილიც ყველანაირი საზომით ქართველი გამოდიოდა. მაგრამ აველუმს საყვარლებიც ჰყავდა, ჯერ ფრანგი ქალი, ფრანსუაზა, მერე კი - რუსი სონია. ფრანგმა ქალმა აველუმისაგან შვილი გააჩინა, თავისთვის გააჩინა, თავისთვის უნდოდა შვილი, აბა, აველუმს კი არ გაუჩინა... რა ეროვნების გამოვა ეს ბავშვი? ვინ უნდა გადაწყვიტოს, ფრანგია ბავშვი თუ ქართველი? ქრისტიანული რელიგიაც, რომელიც

⁷⁰ოთარ ჭილაძე თითქმის ყველა რომანში რომელიღაც გავრცელებული მითის ახლებურ ახსნას გვთავაზობს და ამ მიზეზით მას მითომანტი ვუწოდებ.

⁷¹ჰომეროსი

⁷²„შენ რა გენაღვლებოდა, იგონებდი რაღაცას რომანისთვის, გასართობად, მაგათ კი მართალი ეგონათ“ (275)

კანონების კუთხით არა მარტო იუდაიზმს, არამედ რომაულ კანონმდებლობასაც იზიარებდა, შესაბამისად, ამ კულტურების შთამომავალი ევროპული სახელმწიფოებიც ერთნაირად აღიარებენ, რომ ბავშვი მამის გვარის გამგრძელებელია. მაგრამ ჭილაძე აქცენტს ეროვნული იდენტობის კრიზისზე განსხვავებული მიზნით სვამს, მისთვის მარტო ბავშვის ეროვნების დადგენა არ კმარა. სონიამ არ გააჩინა აველუმისგან შვილი, მან აბორტი გაიკეთა, თანაც ისე, რომ აველუმს არ დაეკითხა: „გეკითხათ, ვიდრე წერას აუგებდით ჩემს ნაშიერს“⁷³ სონია რუსია, რუსმა აუგო წერა ქართველის ნაშიერს... თუმცა არგაჩენილი და აბორტის შედეგად მოკლული ნაყოფის, რომელიც გაჩენისა და არმოკვლის შემთხვევაში გაურკვეველი ეროვნული იდენტობის მატარებელ ადამიანად ჩამოყალიბდება, შესახებ პასაჟი სხვაგვარადაც შეგვიძლია გავიგოთ. ეგებ არც არაფერი სასიკეთო გამოვა რუსეთისა და საქართველოს მეგობრობისგან? ეგებ ამ მეგობრობის ნაყოფი ჯობს, ჩანასახშივე ჩაიკლას? პასუხი რამდენიმენაირია: ქართული იდენტობის ბავშვს რუსი კლავს; ქართულ-რუსული იდენტობა მინოტავროსივით დასაღუპადაა განწირული და აჯობებს არ გაჩნდეს, თუ გაჩნდება, მაშინ დაიძალოს: „სასარგებლო არაფერი აღმოცენდებოდა იქიდან“.⁷⁴ აი, ფრანსუაზამ კი გააჩინა შვილი ქართველისგან. ამ ბავშვს მომავალში შერცხვება მამის, ე.ი. შერცხვება ქართველობის. ნუთუ ევროპასთან ქართველების კავშირი ქართულ იდენტობას ისევე მოსპობს, როგორც ქართველების კავშირი რუსეთთან? ევროპა ფიზიკურად არ მოკლავს ჩანასახს, მაგრამ ევროპა სასირცხვილოდ გაუხდის ქართველს ქართველობას. თუკი სსრკ-ის არსებობის პერიოდში აეროპორტი ვილაცებისთვის ხსნა იყო, სადაც ლითონის ფრთებიანი თვითმფრინავი გაიყვანდა პატიმრებს ციხიდან, ოთარ ჭილაძისთვის ამ თვითმფრინავს ტუსაღები მხოლოდ ერთი ციხიდან მეორეში გადაჰყავდა.⁷⁵ მწერლისთვის მთავარია, ადამიანი შინაგანად იყოს თავისუფალი, ხოლო სახელმწიფო, როგორი წყობისაც არ უნდა იყოს ის, რაღაც გაგებით, ყოველთვის სატუსაღო იქნება. ამიტომაც უკვირს აველუმს (და ალბათ თავად ჭილაძესაც), რატომ ტოვებენ ახალგაზრდები სამშობლოს მაშინ, როცა ახლოსაა ნანატრი თავისუფლება: „ახლაც ტყაპატყუპით ცვივიან ციდან თანამედროვე იკაროსები, ინკუბატორის წიწილეზივით ძნელად გასარჩენი ერთმანეთისაგან, რომელთა ასამჩატებლად სიტყვიერი, ზეპირი თავისუფლებაც საკმარისი აღმოჩნდა და, რაკი მშობლიური ლაბირინთიდან გაღწევის შანსი გაუჩნდათ, მიფრინავენ, მიფრინავენ, მიფრინავენ, მიაფართხუნებენ ხელოვნურ ფრთებს, ვიდრე ჩამოცვივდებოდნენ. თბილისის ცაც ჩიტ-ბიჭუნებითა და ჩიტ-გოგონებითაა სავსე. იხვის გუნდებივით მიყაყანებენ, მიყვიტყვიტებენ „თბილი“ ქვეყნებისკენ. დიდი გადაფრენის ჟამი დასდგომიან მოულოდნელად, სამოცდაათწლიანი უიმედო მოლოდინის შემდეგ“.⁷⁶

რომანის „აველუმის“ კვლევამ დაგვანახა, რომ ოთარ ჭილაძისთვის იდენტობის კრიზისის რამდენიმე ტიპი არსებობს. ესენია: ა) პიროვნული, ბ) ეროვნული, გ) რელიგიური და დ) სოციალური (პროფესიული) იდენტობის კრიზისები. ვერ ვიტყვიკონკრეტულად, რომელია მათგან უმთავრესი, რომლიდანაც მომდინარეობს სხვები. ამის საშუალებას ოთარ ჭილაძე არ იძლევა და ვფიქრობ, სწორედ ეს არის მისი გზავნილი ჩვენდამი. ძალიან ხშირად, განსაკუთრებით კი იმ პერიოდში, რომელიც „აველუმშია“ აღწერილი და შემდგომშიც, მიუთითებენ, რომ თითქმის ყოველი პრობლემა უშუალოდ ეროვნული იდენტობის პრობლემიდან მომდინარეობს; ამის ურყევ არგუმენტად კი მოჰყავთ რუსეთის იმპერიაში

⁷³ib.:38

⁷⁴ამ პასაჟის წაკითხვისას არ შეიძლება, არ გაგვახსენდეს მაქს ფრიშის რომანი „Homo Faber“, როცა მთავარი გმირი, ვალტერ ფაბერი, იმის ნაცვლად, რომ პასუხიმგებლობა აიღოს დანაშაულზე, ყველანაირი ფორმით ცდილობს, თავი იმართლოს იმით, რომ მან არაფერი არ იცოდა. იგი ასეთ ფრაზასაც კი ამბობს: „ნეტავი სულ არ გავჩენილიყავი ამ ქვეყანაზე“. თითქმის არგაჩენა გადარჩენის ფორმა იყოს. ოთარ ჭილაძის აზრით, ქართველებიც გამოსწორების გზებზე კი არ ფიქრობენ, კი არ აანალიზებენ თავიანთ შეცდომებს, არამედ ასე მარტივად უდგებიან თავიანთ ისტორიულ გადაწყვეტილებას: აჯობებდა ქართულ-რუსული კავშირი არასოდეს შემდგარიყო.

⁷⁵ ib.: 86

⁷⁶ ib.: 268

ჩვენი ორასწლიანი იძულებითი ყოფნა და რომ სწორედ ამ ორმა საუკუნემ დააყენა ჩვენში თვითთავის განცდა/აღქმა. ოთარ ჭილაძის შემოქმედება, განსაკუთრებით კი „აველუმი“, გვიცვლის დამოკიდებულებას: ოთარ ჭილაძის მიერ „აველუმში“ შემოთავაზებული იდენტობის კრიზისის თითოეული ტიპის ანალიზის შედეგად აღმოვაჩენთ, რომ მწერალს, რომელიც თავისუფალი მოქალაქე აველუმის პირით ლაპარაკობს, მიაჩნია - ადამიანმა არაფრისდიდებით არ უნდა დაკარგოს შინაგანი თავისუფლება, რადგან თავისუფლების დაკარგვა ინდივიდუალიზმის დაკარგვის საწინდარია. ინდივიდი არ უნდა გახდეს ბრბოს ნაწილი, რადგან ბრბოდ გადაქცეული პიროვნების მართვაც ადვილია და დამორჩილებაც. შესაბამისად, მას თვითთავის განცდა და აღქმა არ გააჩნია. ასეთი ადამიანი კი ველარაფერ ღირებულს ვეღარ შექმნის, შთამომავლობასაც კი. ყველანაირი თავისუფლების დაკარგვას ეშველება რამე, მაგრამ შინაგანი თავისუფლების დაკარგვის შედეგად მიღებული ზარალი აუნაზღაურებელია.

ბიბლიოგრაფია:

ბიოლიპ. ჩემინაღვლიანისახე

<http://artside.ge/%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%9A/>

ბულგაკოვი მ. (1982): ოსტატი და მარგარიტა. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.

კვაჭანტირაძე მ. ადამიანი ოთარ ჭილაძის რომანებში

<https://www.youtube.com/watch?v=EpVQFyadgbo>

კვაჭანტირაძე მ. განგაშის რომანები

<https://burusi.wordpress.com/2009/05/13/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C/>

კვაჭანტირაძე მ. (02.03. 2017) მწერალი ძებნაში (გადაცემა „წითელი ზონა“).

<https://www.radiotavisupleba.ge/a/citeli-zona-otar-chiladze/28343320.html>

ნემსაძეა.: სივრცის იდენტიფიკაცია ოთარ ჭილაძის რომანებში.

<https://burusi.wordpress.com/2009/10/02/otar-chiladze-8/>

რატიაი ნ. (2010): მითომანტია ოთარ ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. კრიტიკა,

(ოთარ ჭილაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, კონფერენციის მასალები), #5.

ტოლსტოი ლ. ომი და მშვიდობა,

ფრიში მ. Homo Faber

ჭილაძე ო. (2011): აველუმი. თხზულებები ათ ტომად. არეტე. თბილისი.

ჭილაძე ო. (2011): გოდორი. თხზულებები ათ ტომად. არეტე. თბილისი.

Nestan Ratiani

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Tbilisi

Ilia State University, Tbilisi

Identity Crisis in Otar Chiladze's Avelum

Abstract

Allegory becomes popular during the reign of totalitarian, authoritarian and autocratic regimes. Criticism of government policies is forbidden in these types of regimes. This does not only pose threat to writers` and artists` works but also to their life. Allegory remains the only means to save oneself and one`s ideas. Those who do not compromise, fall victims of the vicious empire; whereas, those who compromise, take allegory to the new heights of development. To this extent, Otar Chiladze`s works have significant contribution. Author tells the renowned myth, scientific

observation, popular folk poems and rituals allegorically. The fall of the Soviet Union freed arts from restrictions and relieved artists. Artists were enabled to communicate their ideas directly, without any additional embellishments. In case of Otar Chiladze, things went differently. He maintained Aesop's language till the end of his days as inseparable part of his novels. How so? What was the author forbidden to express? Who forbade him from freedom of expression? As it becomes clear from the novel, Otar Chiladze used the allegory because it was not easy for him to say the truth. Identity crisis was not exclusive to the fact that Georgia was a Soviet state, but extended to other eras of country's history, such as the times of gaining independence.

საკვანძო სიტყვები: აველუმი, იდენტობის კრიზისი, ალეგორია, ტოტალიტარიზმი

Key words: Avelum, Identity Crisis, Allegory, Totalitarianism

ნანა რინკიაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

სპეციალური ეკონომიკური ზონების განვითარების პერსპექტივები საქართველოში

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო ეკონომიკაში გაჩნდა ახალი ტენდენცია. სხვადასხვა ქვეყნები თავიანთ ტერიტორიებზე ქმნიდნენ სპეციალურ ეკონომიკურ ზონებს, სადაც მოქმედებდა საგადასახადო და ადმინისტრაციული შეღავათები. ასეთი პოლიტიკის მიზანს დიდი ოდენობით ინვესტიციების მოძიება წარმოადგენდა.

ტერიტორიები სპეციალური ეკონომიკური პრივილეგიებით სხვადასხვა სახით არსებობდა მე-16 საუკუნიდან. თუმცა, 1960-იან წლებამდე სპეციალური ეკონომიკური ზონები უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ მსოფლიო ეკონომიკაში. მას შემდეგ შემუშავდა მისი უამრავი მოდელი და მათი მნიშვნელობაც საგრძნობლად გაიზარდა გლობალურ ეკონომიკაში. სპეციალური ეკონომიკური ზონები ქვეყნის ტერიტორიაზე ის ნაწილია, რომელშიც, ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიასთან შედარებით, ეკონომიკური რეგულირების გამარტივებული რეჟიმი მოქმედებს. შესაძლებელია სპეციალური ეკონომიკური ზონა დაწესდეს არა ტერიტორიული, არამედ დარგობრივი პრინციპით, ანუ შეღავათიანი ეკონომიკური რეჟიმი გარკვეული სახის სამეწარმეო საქმიანობებს დაუწესდეს [4]. სპეციალური ეკონომიკური ზონები მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული. მას აქტიურად იყენებენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა აშშ-ის შეერთებული შტატები, სამხრეთ კორეა, თურქეთი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, გაერთიანებული სამეფო, ირანი, ინდოეთი, რუსეთი, ჩინეთი, მალაიზია, ფილიპინები და სხვა.

სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნა მიზნად ისახავს ინვესტიციების გაზრდას ბიზნესისთვის მაქსიმალურად მისაღები ეკონომიკური გარემოს შექმნის გზით. სპეციალური ეკონომიკური ზონების ყველაზე უფრო გავრცელებული სახეებია: ურბანული ეკონომიკური ზონა, ინდუსტრიული ზონა, თავისუფალი სავაჭრო ზონა, თავისუფალი ეკონომიკური ზონა და თავისუფალი პორტები.

სპეციალური ეკონომიკური ზონების (სეზ) შექმნის მიზანს წარმოადგენს ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში ეკონომიკური განვითარების სტიმულირება. სეზ ამარტივებს ქვეყნის ეკონომიკაში თანამედროვე ტექნოლოგიების მოზიდვას, საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ზრდას, ექსპორტის გაფართოებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. როგორც წესი, სპეციალური ეკონომიკური ზონის შექმნა გულისხმობს სხვადასხვა სახის პრივილეგიების მინიჭებას იმ კომპანიებისთვის, რომლებიც აპირებენ ინვესტიციების განხორციელებას კონკრეტულ რეგიონში. ეს პრივილეგიები მოიცავს შემდეგს: საბაჟო და საგადასახადო შეღავათები, გამარტივებული საბაჟო და

სარეგისტრაციო პროცედურები, თავისუფალი ხელმისაწვდომობა სპეციალური ეკონომიკური ზონის ინფრასტრუქტურაზე. ჩვეულებრივ, სეზ-ები მათი ეკონომიკური სპეციალიზაციის მიხედვით იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- თავისუფალი ვაჭრობის ზონა. ასეთი სპეციალური ეკონომიკური ზონები ფუნქციონირებს იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს საქონლის თავისუფალ მოძრაობას და განავითაროს საბაჟო გადასახადებისაგან თავისუფალი ვაჭრობა. ასეთი ზონებში განთავსებულია საერთაშორისო პორტები;

ტექნოლოგიური ზონა. ასეთი ზონები აერთიანებს სივრცეს, სადაც ადგილობრივი და/ან უცხოური ფირმები ახორციელებენ კვლევისა და განვითარების (R&D) ოპერაციებს და/ან ინოვაციურ პროექტებს (ტექნო პარკი, ბიზნეს ინკუბატორები);

მომსახურების ზონა. ასეთ ზონებში უზრუნველყოფილია სხვადასხვა სახის შეღავათები კომპანიებისათვის, რომლებიც სთავაზობენ ფინანსურ და/ან არაფინანსურ მომსახურებას (საბანკო და სადაზღვევო სექტორი, ოფშორული და საკურორტო ზონები);

ინდუსტრიული ზონა. ასეთი სპეციალური ეკონომიკური ზონები მოიცავს სივრცეს, სადაც საბაჟო და საგადასახადო შეღავათები ეძლევათ იმ ინდუსტრიულ კომპანიებს, რომლებიც აწარმოებენ ექსპორტშემცვლელ ან იმპორტშემცვლელ პროდუქციას.

შერეული ზონა. ასეთი ზონები თავიანთი ფართო სპეციალიზაციით აერთიანებენ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტიპის მახასიათებელს.

საქართველოში სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნის მიზეზები და მიზნები პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად, კერძოდ, 1) ეკონომიკური ითვალისწინებს გეოპოლიტიკური მდებარეობის გამოყენებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში აქტიურ ჩაბმას. 2) სოციალური ითვალისწინებს შედარებით ჩამორჩენილი რეგიონების განვითარების სტიმულირებას, კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. 3) მეცნიერულ-ტექნოლოგიური ითვალისწინებს უცხოური და ადგილობრივი მოწინავე ტექნოლოგიების მოზიდვას, დანერგვას და განვითარებას.

საქართველოში სპეციალური ეკონომიკური ზონის სახეობის შექმნა როგორც უკვე ავღნიშნეთ, მიზნად ისახავს საგარეო პოლიტიკური კავშირების გაფართოვებას, უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვას, დასაქმების ხელშეწყობას და ახალი ტექნოლოგიების განვითარებას. თუმცა ამ მიზნით საკანონმდებლო და საშეღავათო პირობების უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის მოწყობა არ წარმოადგენს სეზ-ის წარმატებული ფუნქციონირების უპირობო გარანტს. ვფიქრობთ, მეტად მნიშვნელოვანია იმ რისკების განსაზღვრა რამაც შესაძლებელია თავი იჩინოს სპეციალური ეკონომიკური ზონების ფუნქციონირების დროს, კერძოდ:

ახლად შექმნილი თავისუფალი ეკონომიკური ზონა წარმოადგენს უკვე მოქმედი და ავტორიტეტული ზონების ალტერნატივას, რომლებსაც გააჩნიათ საქმიანობის მსგავსი სპეციფიკა, ან ტერიტორიული სიახლოვე, აღნიშნული ქმნის სამიშროებას, რომ ახლადშექმნილი ზონა ვერ გაუძლებს მაღალ კონკურენციას;

თავისუფალი ეკონომიკური ზონა ერთის მხრივ ხელს უწყობს საინვესტიციო პროცესების გააქტიურებას, მეორე მხრივ ხელს უწყობს მისი მიმდებარე ტერიტორიების „დაცლას“, რადგან საშეღავათო სისტემის არსებობა ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისათვის პრიორიტეტული ხდება ქვეყანაში არსებული თავისუფალი ეკონომიკური ზონა;

მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში არსებობს არალეგალური საქმიანობის, ფულის გათეთრების და კორუფციული გარიგებების წარმოების მაღალი ალბათობა.

საერთაშორისო გამცდილება აჩვენებს, რომ სპეციალური ეკონომიკური ზონები ყოველთვის არაა წარმატებული, რაც ძირითადად, განპირობებულია მთავრობათა არათანმიმდევრული პოლიტიკით, კერძოდ სპეციალური ეკონომიკური

ზონის არასტაბილური და გაუმჭვირვალე საკანონმდებლო რეგულაცია, რაც აისახება ინვესტირების დაბალ დონეში, კორუფციასა და შეღავათების გამოყენებაში ფულის გათეთრების მიზნით; სპეციალური ეკონომიკური ზონის არასწორი დაგეგმვა: სეზ-ის ადგილმდებარეობის არასწორი განსაზღვრა (ტერიტორია განვითარებადი ინფრასტრუქტურით, ბუნებრივი და შრომითი რესურსების ნაკლებობა, ბაზრის არასაკმარისი მოცულობა). ამ შემთხვევაში სეზ-ი კარგავს მიმზიდველობას ინვესტორებისათვის; სეზ-ის ფართობის არასწორი განსაზღვრა. მაგალითად, ჩინეთში, მაღაიზიასა და სინგაპურში დიდ ფართობზე განთავსებულმა სპეციალურმა ეკონომიკურმა ზონებმა დიდწილად განაპირობა ამ ქვეყნების ეკონომიკური წინსვლა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დიდ ფართობზე განლაგებული სეზ-ი მოითხოვს განსაკუთრებით დიდ ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში საწყის პერიოდში. გარდა ამისა, სწორი მენეჯმენტის განხორციელება დიდი მასშტაბის ზონებში არის საკმაოდ გართულებული. ეს ფაქტორი განსაკუთრებით გასათვალისწინებელია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც პირველად აფუძნებენ ეკონომიკურ ზონას და არ გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება.

თითოეული სპეციალური ეკონომიკური ზონა უნდა ხასიათდებოდეს გარკვეული ფაქტორებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინვესტიციების მოზიდვას. ეს ფაქტორები შეიძლება იყოს: იაფი და ხარისხიანი სამუშაო ძალა, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, აწყობილი ინფრასტრუქტურა, საერთაშორისო აეროპორტი და ა.შ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სპეციალური ეკონომიკური ზონის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია სეზ-ის პოპულარიზაცია მსოფლიო დონეზე და სწორი მარკეტინგული სტრატეგია. ამ მიზნით მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ბიზნეს კავშირები, წამყვანი უცხოური პრესა და ტელევიზია.

სეზ-ის მართვის გასამარტივებლად მიღებული პრაქტიკაა ზედამხედველი ორგანოების ფორმირება, რომლებიც კოორდინაციას უწევენ ზონის ფუნქციონირებას, ინვესტიციების შემოღინებას, მუდმივად ცდილობენ ადგილზე ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ სპეციალური ეკონომიკური ზონა არ გადაიქცეს ქვეყნის ეკონომიკიდან გამოცალკევებულ ნაწილად. ამისათვის, საჭიროა, რომ არსებობდეს კავშირი ადგილობრივ და სეზ-ში მოქმედ ფირმებს შორის. მათ შორის ადგილი უნდა ქონდეს როგორც კონკურენციას, ისე თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროში, რაც დადებითად იმოქმედებს ადგილობრივი ფირმების კონკურენტუნარიანობაზე, აამაღლებს მათ მოტივაციას და შესძენს დამატებით ცოდნასა და გამოცდილებას.

საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპეციალური ეკონომიკური ზონების ფორმირება. მთავარი პრობლემა, რამაც შეიძლება დააბრკოლოს სეზ-ის ეფექტიანი ფუნქციონირება ჩვენს ქვეყანაში, ეს არის კვალიფიციური კადრების ნაკლებობა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: მაღალი ტექნოლოგიები, სასტუმროების ბიზნესი და მომსახურების ცალკეული სფეროები. საჭიროა პერსონალის მომზადება უნდა ითავოს სახელმწიფომ, რომელიც უზრუნველყოფს პოტენციური სეზ-ების მოსახლეობის სწავლებას სხვადასხვა სფეროებში. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად ტურიზმის განვითარებაა მიჩნეული, აუცილებელია თავისუფალი ტურისტული ზონების ფორმირება საქართველოში.

სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში უნდა მოქმედებდეს მაქსიმალურად ლიბერალური ეკონომიკური კანონმდებლობა. უცხოურ კომპანიებს უნდა ჰქონდეთ მინიჭებული თავისუფალი მოქმედების უფლება (კანონის ფარგლებში), საჭიროა ფუნქციონირებდეს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, აღმოფხვრილი უნდა იქნეს

კორუფცია, აუცილებელია ეროვნული ვალუტის სტაბილიზაცია და სეზ-ის მხარდამჭერი პოლიტიკის გატარება.

სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში თავმოყრილი უნდა იყოს ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები, რათა ხელი შეუწყონ ფულის თავისუფალ მოძრაობასა და გაამარტივონ ვალუტის გადაცვლა. სპეციალური ეკონომიკური ზონები განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენენ საერთაშორისო ვაჭრობაზე, რადგანაც აქ ნაწარმოები პროდუქციის უდიდესი ნაწილი საექსპორტო დანიშნულებისაა. გამომდინარე სეზ-ებში არსებული მთელი რიგი შეღავათებისა იქ წარმოებული პროდუქცია განსაკუთრებით კონკურენტუნარიანია საერთაშორისო დონეზე.

ცხადია, ინვესტორისათვის საშელავათო პირობები, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, სახელმწიფოს მხრიდან სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში ჩაურევლობა და მაქსიმალური მხარდამჭერა არის სპეციალური ეკონომიკური ზონის წარმატების და განვითარების მნიშვნელოვანი პირობა, თუმცა მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს უცხოეთის ქვეყნებში სპეციალური ეკონომიკური ზონების ფუნქციონირების წარმატებული და წარუმატებელი მაგალითების შესწავლა და ანალიზი. იმ რისკების და საფრთხეების გათვალისწინება რამაც შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს სპეციალური ეკონომიკური ზონების წარმატებით ფუნქციონირება. უნდა აღინიშნოს რომ, საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის პერიოდი მხოლოდ რამოდენიმე წელს მოიცავს, რაც ართულებს სრულყოფილ ანალიზს და არგუმენტირებულ დასკვნას თუ რამდენად წარმატებულია მათი პრაქტიკული საქმიანობა.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სპეციალური ეკონომიკური ზონა წამრმოადგენს ინვესტიციების მოზიდვის ძალზედ ეფექტურ საშუალებას და მისი სწორად დაგეგმვისა და მართვის პირობებში ქვეყანას შეუძლია შესამჩნევი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოსკანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ
2. საქართველოს კანონი საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ
3. საქართველოსკანონი თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ
4. <https://ka.wikipedia.org/wiki>
5. <http://www.freshgeorgia.com/in.php?menuid=20&lang=1>
6. <http://aaf.ge/index.php?menu=2&jurn=14&rubr=1&mas=845>

Nana Rinkiasvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

The Perspectives of development of special economic zones in Georgia

Abstract

The special economic zone is very effective way of bringing investments in the country and if the process will be planned and managed in the right way the country might get economic profit, enrich intellectual and technologic knowledge and resources, reduce of unemployment.

We must mention that guaranteeing of the legal and privilege conditions, infrastructure arrangements are not enough to reach the goal. It is important to determine the risks that can appear during functioning the Special Economic Zones. In the article, author discuss the problems and perspectives of development of Special Economic Zones.

საკვანძო სიტყვები: უცხოური ინვესტიცია, ეკონომიკური ზრდა; სპეციალური ეკონომიკური ზონა, ინდუსტრიული ზონა, ინფრასტრუქტურა

Key words: Foreign Investment, Economic growth, Special Economic Zones, Industrial Zone, Infrastructure

„დაჯე წერად ჭირთა ჩემთა...“ („ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა წერილების სახისმეტყველება)

შოთა რუსთაველის პოეტური ტალანტის მიმართკვლავ არ ნელდებაინტერესი. სპეციალური მეცნიერება რუსთველოლოგიის სახელით, დღესაც არანაკლები ძალისხმევით ცდილობს ჩაწვდეს „ვეფხისტყაოსნის“, მხატვრული სიტყვის ამ დიდებული ძეგლის ფორმისა და შინაარსის სიღრმეს, მის ღრმააზროვან სახისმეტყველებას. მეცნიერთა კვლევის საგანი ყოველთვის იყო პოემის მხატვრული სტრუქტურის სიმბოლური და ალეგორიული ინტერპრეტაცია. რუსთაველის პოემის მხატვრული მხარე და იდეურ-კომპოზიციური მთლიანობა თამარის ეპოქაში მწიგნობრობისა და საერთოდ, წერის მაღალ კულტურაზე მიუთითებს.

ჩვენი ინტერესის საგანია პოემის მხატვრულ ქსოვილში ჩართული წერილების სახისმეტყველება. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა წერილები (წიგნები), მნიშვნელოვანი მხატვრული და იდეური აზროვნებითაა დატვირთული და ხელს უწყობს პოემის სიუჟეტის განვითარებას, აძლიერებს მის ემოციურ ელფერს. პოემის დასაწყისშივე, სიუჟეტური კვანძის გასკვნისას, უცხო მოყმის საძებრად გაგზავნილ კაცებს ასე მიმართავს მეფე როსტევენი:

„უბრძანეს: წადით, პატიჟთა თავიმცა რად დაჰრიდეთა?

მონახეთ, ძებნეთ იგი ყმა, სხვად ნურად მოიცლიდეთა,

მისწერეთ წიგნი, სადაცა ვერ მისწვდეთ, ვერ მიხვიდეთა“.

ბრძანება - „მისწერეთ წიგნი“, ზოგადი მნიშვნელობითაა ნახმარი და კონკრეტული ადრესატი არცეულისხმება. აქ საინტერესოა დამოკიდებულება წერილის საჭიროების, წერილის დანიშნულების მიმართ, რომელიც გულისხმობს - იქ, სადაც ფიზიკურად ვერ მივლენ, „ვერ მისწვდებიან“, წერილი უნდა გაიგზავნოს. წერილს განსაკუთრებული მისია აკისრია პოემაში, მას კითხულობენ და საკადრის პატივს მიაგებენ.

„ვეფხისტყაოსანში“ წერილი (წიგნი, უსტარი, ანდერძი, ნაწერი) პერსონაჟთა ურთიერთობის ერთ-ერთი მიღებული საშუალებაა. წერილებით ესალმებიან და ემშვიდობებიან ისინი ერთმანეთს, უთვლიან საჭირო ამბავს, აძლევენ საპასუხისმგებლო დავალებებს, საუბრობენ მათთვის საჭირობო საკითხებზე. რუსთველოლოგი ალექსანდრე ბარამიძე მიუთითებდა, რომ პოემაში თხრობის დინამიკურობას უზდება და სიმკვეთრეს მატებს სხვადასხვა მრავალფეროვანი ე.წ. სტატიკური ელემენტი (ანდერძები, ეპისტოლეები...) (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, 1966; გვ. 160). შეიძლება ითქვას, რომ წერილის წერას პოემაში ერთგვარი რიტუალური ხასიათიც კი აქვს. მთავარ პერსონაჟთაგან წერენ ავთანდილი, ტარიელი, ნესტან-დარეჯანი და ფატმანი. წერილები ადრესატებთან მიაქვთ მონებს, პირად მსახურებს („მონა მოვიდა, მომართვა“, „მონამან წიგნი მომართვა“ და ა.შ.). ყველა წერილი აკადემიური სტილითაა შესრულებული, შეიცავს ადრესატის მოკითხვას, ცნობას ავტორის სულიერი განწყობისა თუ ფიზიკური მდგომარეობის შესახებ, რჩევას რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ და ა.შ. წერილების ტექსტი ჩვეულებრივ, მიმართვით იწყება: „ვე, მეფეო“, „მთვარეო“, „მზეო“, „აჰა, მნათობო“, „აჰა, ხათუნო“, „ვე, ჩემო“ და ა.შ. განსაკუთრებულ შემთხვევაში ავტორი საკუთარ წერილსაც მიმართავს: „წადი, უსტარო“ (ფატმან-ხათუნი). მნიშვნელოვანია მიმოწერის ეთიკური ნორმების დაცვა. „წიგნი გკადრებს, არ გეტნევის“... მორიდებით ახსენებს ავთანდილი მეფეს. შერმადინს კი მიმართავს: „ჰკადრეო მეფესა საქმითა მეცნიერთა“. ჩანს, პოემაში ასახული დროისა და სივრცის პირობებში, წერილის, ანუ წიგნის წერა, ტრადიციულად მიღებული და საპატიო რიტუალი ყოფილა.

„...დარბაზს კაცსა გაგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი,

წიგნსა სწერდი ჩემ მაგიერ, უფასოსა ძღვენსა სძღვნობდი...”

ასე არიგებს უცხო მოყმის სამებრად მიმავალი ავთანდილი საკუთარ ქალაქში „პატრონად დაგდებულ“ შერმადინს. ჩანს, სამეფოს განმარტოებულ კუთხეებს ცენტრთან უწყვეტი წერილობითი კავშირი ჰქონდათ. სხვის მაგიერ წიგნის წერა კი, სავარაუდოდ, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში უნდაყოფილიყო დასაშვები. შერმადინს, როგორც ავთანდილის ერთგულ და უღალატო მსახურს, ეს გამონაკლისი ეხებოდა. ამასთან, ავტორი წერილს თვლიდა მისი ნდობით აღჭურვილ საბუთად. ხატაელთა სამეფოში გაგზავნილ კაცს ტარიელი ატანს წიგნს - „ხატაელთა კაცი გაგზავნე და წიგნი ჩემ- მაგიერი“-ო. ასევე, წიგნს საბუთად იყენებს ტყვეობაში მყოფ ნესტანთან გაგზავნილი ფატმანის მსახური - „ამა წიგნმა გამამართლოსო...“ ეუბნება დაეჭვებულ ნესტანს მონა-ზანგი.

ხშირად, წერილის ავტორი მიუთითებდა, რომ წინამდებარე წერილი მისი ხელით იყო ნაწერი. ასე მაგ. თავის ყმათათვის მიწერილ წიგნში ავთანდილი დაბეჯითებით მიუთითებს: „თვით ვიქმ ხელითა ჩემითა ამა წიგნისა წერასა“. ამგვარი აზრია გამოთქმული ნესტანის წერილის შესავალშიც: „...ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები“-ო, წერს იგი სატრფოს. ამ გზით ავტორი ადასტურებს წერილის ავთენტურობას, რაც უფრო ამაღლებს მის მნიშვნელობას ადრესატისათვის. ასევე, ავთანდილი წინასწარ ჰპირდება როსტევანის წინაშე წარგზავნილ შერმადინს: „აწ, ანდერძსა ჩემსა მოგცემ, როსტანს წინა დაწერილსა“-ო. შერმადინი კი საბუთად წარუდგენს მეფეს უნებართვოდ წასული სპასპეტის ანდერძს: „მოახსენა: საწოლს ვპოვე ესე მისგან დანაწერი“. მართლაც, „რა ანდერძი წაიკითხეს“, ყველამ ირწმუნა სინამდვილე.

პოემის სიუჟეტურ განვითარებაში მნიშვნელოვანი პასაჟია ავთანდილის გამგზავრება ფრიდონთან. საერთო ამაღლებულ განწყობაზე მიუთითებს მისი მიმართვა ციური სხეულებისადმი, თხოვნა წყლის შემსუბუქებასა და შემწეობა ზესასიკეთო საქმეში. ავთანდილი შვიდვარსკვლავს მიმართავს და ყველა მათგანს განსხვავებულ სურვილს ანდობს. ხოლო ის ფაქტი, რომ აქედან მხოლოდ ერთს - ოტარიდს (მერკურს), ევედრება მისი შეჭირვების აღწერას („დაჯე წერად ჭირთა ჩემთა“), საფუძველს მოკლებული არ არის. რუსთაველის შეხედულებანი კოსმიურ სამყაროზე თავის დროზე ქცეულა ყურადღების საგნად. მეცნიერ-ასტროლოგმა გიორგი თევზაძემ საგანგებო გამოკვლევაც მიუძღვნა ამ საკითხს - „რუსთაველის კოსმოლოგია“, სადაც მეცნიერულ დონეზე აგანხილული რუსთაველის კოსმოლოგიური წარმოდგენები. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესო ოტარიდი (მერკური) თუმცა ჭკუისა და მოხერხების პლანეტად ითვლება, მიჩნეულია აგრეთვე მწერლობის მფარველ და ბედის გამგებელ პლანეტად (ინტერნეტურსი). ასტროლოგიაში გათვითცნობიერებულ რუსთაველს კარგად მოეხსენებოდა ვარსკვლავების ბუნება და მისი გმირიც თითოეულ მათგანს ხასიათის შესაფერის სურვილს უმხელს:

„ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა...”

დაჯე წერად ჭირთა ჩემთა, მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,

კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა ჩემსა ვითა თმასა.“

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზოგჯერ, წერილის ავტორი თვით აფასებს საკუთარი ნაწერის მნიშვნელობას და ადრესატების მიმართ მომთხოვნელობითაც გამოირჩევა: „წიგნი ჩემი მოისმინეთ“-ო, მიმართავს ავთანდილი ყმებს. „ამა წიგნმა გაგაგონოს...“- ეუბნება ასმათის მონა გაურკვეველ სიტუაციაში მყოფ ტარიელს.

პოემაში წიგნთა ნაირსახეობაა წარმოდგენილი. შინაარსის მიხედვით ის შეიძლება იყოს: „საამიკო“, „საიმედო“, „საბრალო“, „მსმენელთა გულისა გასაგმირავი“, „ბედითი“, ან „შესანახავი“. ასმათი ეუბნება ავთანდილს: „ვითა უსტარი ბედითი, ადვილად დაგახვენიო“. ანუ, უსტარი შეიძლება იყოს ბედითი (უხეირო, უვარგისი), რომელსაც ადვილად დახვეს კაცი. მის საპირისპიროდ, არის წერილი „შესანახავი“. ასე უწოდებდნენ რუსთაველი ავთანდილზე გამიჯნურებული ფატმანის წერილს:

„დაწერა წიგნი საბრალო, მის ყმისა მისართმეველი,

მისისა მიჯნურობისა, მისთა პატიჟთა მცნეველი,

მისთა მსმენელთა გულისა შემძვრელი, შემარხველი,
უსტარი შესანახავი, არ ცუდად დასახველი“.

ფატმანის წერილებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ პოემის ავტორს, ამ მხრივ, საგანგებო ყურადღება გამოუჩენია. პოემაში სულორი წერილია ფატმანის სახელით გაგზავნილი. ადრესატები ავთანდილი და ნესტან-დარეჯანი არიან. როგორც ვიცით, ფატმან-ხათუნის, როგორც პერსონაჟის სახისმეტყველება, ორ პიროვნებასთან კავშირში იკვეთება: ერთია ნესტანი, ანუ, ტყვედმოყფი სიბრძნე და სილამაზე, ხოლო მეორე - ავთანდილი, ამ სიბრძნისა და სილამაზის კვალის მძებნელი და პოტენციური მხსნელი. წარმატებულიგზა, რომელსაც გადის „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ავთანდილი, პრაქტიკულად მიუღწეველი იქნებოდა ფატმანის გარეშე (პოემის პერსონაჟთა სახისმეტყველებაზე საკმაოდ სკრუპულოზური კვლევა მოგვცა ზვიად გამსახურდიამ წიგნში „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“). ამ თვალსაზრისს თუ გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება ის ფაქტიც, თუ რა როლი აკისრია პოემის მთავარი იდეის განხორციელებაში ფატმანის წერილებს. ამ „შესანახავ“ უსტარში შეყვარებული, გულისთქმას აყოლილი ქალი ასე მიმართავს ავთანდილს:

„ჰე, მზეო, ღმერთსა ვინათგან მზედ სწადდი დასაბადებლად,
მით შეგქმნა მოშორებულთა ჭირთა, არ ლხინთა მწადებლად,
ახლოს შემყრელთა დამწველად, მათად ცეცხლისა მადებლად,
მნათობთა შენი შეხედვა ტკბილად უჩნს, დასაქადებლად.
შენ გტრფიალობენ მჭვრეტელნი, შენთვის საბრალოდ ბნდებიან,
ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად არა შენზედ კრფებიან...“

წერილი მეტაფორული აზროვნების სიუხვით გამოირჩევა და წარმოგვიდგენს ძლიერი ვნებების მქონე, მაგიური ხელოვანებით აღჭურვილი ქალის სახეს. ვაჭართა წინამძღოლის ცოლს, იმ გარემოში, სადაც მას უხდებოდა ცხოვრება, მეტი არც მოეთხოვებოდა. ამ გარემოში ფასობს მხოლოდ გარეგნული მომხიბლველობა, ძვირფასი საჩუქრები, მათობელა სასმელი და ხორციელი ტკბობა. თუმცა, მის პიროვნებაში ქვეშეცნეულად დევს სიკეთის კეთების სურვილი. ეს სურვილი კარგად გამოჩნდა ტყვედმოყფი ნესტანისათვის უანგარო დახმარების გაწევაში. ფატმანისეს სულიერი ევოლუცია მისსავე პირად წერილებში იკვეთება. მაგ. ნესტანისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ:

„თუცა თუ შენი ამბავი შენ არა მომასმენიე,
მე ეგრეცა ვცან მართალი, მით გულსა მოვალხენიე“.

ამ სიტყვებში იკვეთება ქალის სახე, რომელიც თმობს საკუთარ გატაცებას და ზრუნავს სხვის ბედნიერებაზე. ამჯერად, სიკეთის კეთება მისთვის საღვთო საქმედაა მიჩნეული.

„შენი ყველა აქანამდის ჭირი ლხინსა გაათავნე,
ღმერთსა უნდეს, მოყვარენი შესაფერნი შეგაზავნე“.

ზვიად გამსახურდია „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებაზე საუბრისას მიუთითებდა, რომ „ფატმანი არის ის, ვინც პირველი ამცნობს ავთანდილს ნესტანის ასავალ-დასავალს, დააყენებს მას ნესტანის კვალზე. ვინაიდან... საღვთო სიბრძნის მიღწევას, ინიციაციას, სჭირდება უწინარეს ყოვლისა პრაქტიკული ინტელექტის დაუფლება, ემპირიული ცოდნის მიღება“ (გამსახურდია ზ. (1991) „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“; გვ. 290). როგორც ვიცით, ფატმანი ფლობს ამ ხელოვნებას. გრძნეული მონის საშუალებით ის წერილით ადვილად უკავშირდება ქაჯეთს და ხსნის მის შეუვალლობას.

არაერთგზის თქმულა და დაწერილა ქაჯეთის ციხიდან მოწერილი ნესტანის წერილის შესახებ. „წიგნი მსმენელთა გულისა გასაგმირალი“ მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა ავტორის პიროვნულ სულიერ სამყაროსა და რელიგიურ შეხედულებაზე. ამასთან, გამოირჩეულია აკადემიურობით, რაც გამოიხატება მის აგებულებასა და იდეურ შინაარსზე. თემატური თვალსაზრისით, ის შეიცავს: სოფლის სამღურავს, რაც ბუნებრივია მისიმდგომარეობისათვის, ერთგულების ფიცს სატრფოს წინაშე, რელიგიურ მრწამსს და წარმოდგენას იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ და ბოლოს დავალებას სამშობლო ქვეყნის

გაერთიანებისათვის საბრძოლველად.“მაღალი და მაღლად მხედი“ ქალი წერილში კრძალვით უჩივისსაკუთარბედს,რაკი ცრუ სოფელში ვერ ჰპოვა“მართალი სამართალი“.

„რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა კმა საჩივარად:

ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად.“

ნესტანის წერილს სხვა დატვირთვაც აქვს პოემაში - ავთანდილმა და ტარიელმა ასმათს მიუტანეს ის ნიშნად დიდი ნუგეშისა. ასმათი ცნობს ნესტანის ხელწერას და ეს ნაცნობი ხელნაწერი სიხარულის დასაბამი ხდება მისთვის:

„ასმათ რა ნახა უსტარი, ცნა მისი დანაწერობა,

გაკვირდა, ზარმან აიღო, ათრთოლებს, ვითა ხელობა,

ტერფით თხემამდის გაუხდა მას მეტი საკვირველობა...“

ალექსანდრე ბარამიძის აზრით „რუსთაველის ერთ-ერთი შემოქმედებითი მწვერვალია ნესტანის წერილები ქაჯეთიდან ფატმანთან და ტარიელთან. ამ წერილებში სრულყოფილად გამოიხატა მშვენიერი ნესტანის წარმტაცი სულიერი სამყარო“(ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.2,1966,გვ.167).ვფიქრობთ,ნესტანის წიგნი სატრფოსადმი მიძღვნილი წერილის თვალსაჩინო ნიმუშად ჩაითვლება მსოფლიო ლიტერატურაში.

რაინდული ეპისტოლეს ნიმუშია „წიგნი ავთანდილისა ფრიდონთანა“.წერილი მაღალფარდოვანი მოკითხვით იწყება, სადაც ავტორი უშურველად ამკობს ადრესატს მხატვრული ხერხებით(„ლომისა მსგავსო ძალ-გულად,მზეო შუქ-მოიეფეო, მოვლენილო და მორჭმულო,მტერთა სისხლისა მჩქეფეო“).ამცნობს რა ნესტანის ამბავს, იქვე გამოთქვამს რწმენას, რომ ძმური თანადგომით მალე გამოიხსნა მას ქაჯთა ტყვეობიდან :

„სადაცა შენ და შენი ძმა ხართ,ძნელი გაადვილდების...

არ თურე კაცმან დაგიდგნას, ვეჭვ, კლდეცა გაგილბილდების“.

აღნიშნული ციტატი გალაკტიონ ტაბიძემ ეპიგრაფად წაუმძღვარა თავის ერთ-ერთ ლექსს-“კავკასიონისპროფილი“.

ეპისტოლენი ოდითგანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისა და განმტკიცების რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე გზაზე. ამის დამადასტურებლად საკმარისია მოვიხსენიოთ პავლე მოციქულის ეპისტოლენი ახალი აღთქმის წიგნიდან, გაჯერებული ქრისტიანული მორალითა და ზნეობრივი შეგონებებით: “...სხვა რამეს კი არ გწერთ,არამედ რასაც კითხულობთ, ანდა იმეცნებთ, და რასაც, იმედი მაქვს, ბოლომდე შეიმეცნებთ...დიდი მწუხარებით, გულისტკივილითა და ცრემლების ფრქვევით იმიტომ კი არ გწერთ, რომ დამემწუხრებინეთ, არამედ, რათა შეგეცნოთ, რაოდენ დიდი სიყვარული მაქვს თქვენდამი“(პავლე მოციქულის ეპისტოლე მეორე კორინთელთა მიმართ, თავი 1,13 და თავი მე-2,4; გვ.946).

ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურის ნათარგმნი, თუ ორიგინალური ძეგლები რეალურადშეიცავენ წერილების საინტერესო ნიმუშებს.მაგალითად დავასახელებთ ქართლის კათალიკოსის სამოელის ცნობილ წერილს იოვანე საბანისძისადმი. ამ წერილმა მისცა დასაბამი ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლის „ აბოს მარტვილობის“ შექმნას.რუსთაველს არ შეეძლო გვერდი აევლო იმდროინდელი სამწერლო ტრადიციებისათვის. ამიტომაც, მისი პერსონაჟების პირადი წერილებიც უხვად შეიცავენ იმ პერიოდისეპისტოლურიჟანრისათვისდამახასიათებელნიშნებს, როგორიცაა: ადრესატისადმი მიმართვის სტილი, ბედისწერის გარდუვალობის განცდა, ჩივილისაწუთროს გაუტანლობაზე, ფიცი ერთგულებასა და სიყვარულზე და სხვ.მე-12საუკუნისსაერომწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლის „ამირანდარეჯანისა“ტექსტი გვიმოწმებს ამგვარ ფაქტს:“გასცა დედოფალმან ბრძანება და დასწერა წიგნი ყოველსა საბრძანებელსა მისსა, ვითა:“მოვიდა ამირან დარეჯანისძე, ჭაბუკი, რომელმან მისითა ჭაბუკობითა შემოვლნა ძნელნი გზანი...აწ მოდით და თაყვანის ეცით ყოველთა და ნახეთ!...“(ქართული მწერლობა, ტ.2.გვ.387). აქვეა ეპისტოლეთა სხვა ნიმუშებიც, რომელთა საშუალებით პერსონაჟები ერთმანეთს ატყობინებენ საკუთარ გადაწყვეტილებებს: „წიგნი მოეწერა ზღვათა მეფესა თანა ნოსარს, ვითა მე მოვალ და ასულსა შენსა შევირთავ და ნუ გაათხოვებ, თუ თავისა შენისა მშვიდობა გინდაო“(იქვე, გვ.292).

ცნობილია, რომ ამავე პერიოდის სპარსულიდან ნათარგმნი რომანის „ვისრამიანის“ ტექსტის მნიშვნელოვან ნაწილს ვისისა და რამინის სამიჯნურო წერილები შეადგენს. საგულისხმოა ფაქტი, რომ ეს წერილები არა მარტო ძველი მწერლობის ავტორთა შთაგონების წყაროდ ქცეულა. დავიმოწმებთ მე-20 საუკუნის თვალსაჩინო ქართველი მწერლის გრიგოლაბაშიძისისტორიულ რომანს „ლამარელას“. მისი პერსონაჟის,ლილეს სასიყვარულო ბარათი ლაშა-გიორგისადმი, ვისის სამიჯნურო წერილის ანალოგს წარმოადგენს. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთაწიგნებშიც ადვილად შესამჩნევია მიმართვის ის სტილი,ხატოვანი გამოთქმები და მხატვრული შედარებანი, რომლებიც „ვისრამიანის“სამიჯნურო ბარათებისათვისაა დამახასიათებელი:“შენმან მზემან“,“მე შენისა სიმორისაგან კიდე ვერა შემაშინებს, მე უშენობისა კიდე ვერა შემაჭირვებს“,“ თუცა უშენობისაგან მენატრების, ამით სიკვდილისაგან უშიშ ვარ, ვირე ესრე ვარ“,“ ამა ჭირისაგან ნუ მიხსნას ღმერთმან, თუ უშენობისა გაძლება მაქვსლა“,“რა ჩემნი ჭირნი ნახნე, გეწყინების და დაგიმძიმდების“,“არა ვარ ღმრთისა და ბედისაგან იმედგარდაწყვეტილი“,“ შენი მიჯნურობა რა დავთესე, უძილოთა თვალთაგან ეგზომი ვრწყი, რომელ გულისაგან თავამდი გამსლვია“,“შენ მზე ხარ, ჩემი დღე უმზეურად არ ნათობს“, „ ვისა ტანი შეჭირვებითა თმისაებრ დამწლობია“, „აწ ღმერთსა ხელაპყრობით მას ოდენ ვეაჯები, რომელ ამ საშინელისა ღელვისაგან მიხსნას“.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ ქსოვილში ჩართული პერსონაჟთა წერილები გამოირჩევა დახვეწილი ფრაზებით, მეტაფორული რემინისცენციებით, აზრის პლასტიკური ყალიბით.მათში უხვადაა აფორისტული გამოთქმები და შეგონებები, რომელთა საშუალებით ჩვენს აზროვნებაში იხატება პერსონაჟთა მაღალი იდეალები.აღნიშნული კი აძლიერებს პოემაში გადმოცემული ამბების, მოვლენების, ხასიათების ექსპრესიულ-გამომსახველობით ფუნქციას, ანიჭებს მას ლირიულ ელფერსა და რიტმულ ხმოვანებას. გარდა ამისა, დიდია მისი მნიშვნელობასახისმეტყველების თვალსაზრისით, რამდენადაც იმ დიდი ფილოსოფიური, რელიგიური, პოლიტიკური თუ ეთიკური იდეალების გარკვეული ესთეტიზაცია პოემაში პირადი წერილების მეშვეობითაც მიიღწევა. ვფიქრობთ, წერილების შესწავლა ფართო ჭრილშისრულყოფილს გახდის რუსთაველის პოეტური ხელოვნების თანამედროვე მეცნიერულ კვლევას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბლია. (2013): გამომცემლობა „პალიტრა“. თბილისი.
2. გამსახურდია ზ. (1991): „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი.
3. სირამე, რ. (1982): „სახისმეტყველება“. გამომცემლობა „ნაკადული“. თბილისი.
4. რუსთაველი, შ. (1992): „ვეფხისტყაოსანი“. გამომცემლობა „მერანი“. თბილისი.
5. ქართული ლიტერატურის ისტორია. (1966): ექვს ტომად;ტ.2;გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.
6. ქართული მწერლობა. (1987-1988): ოცდაათ ტომად, ტ.2-3. გამომცემლობა „ნაკადული“. თბილისი.

Nana Rcheulishvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

About the letters of the characters of “The Knight in Panther’s Skin”

Abstract

Letters involved in poem “The Knight in Panther’s Skin” are distinguished with exquisite phrases, metaphorical faces and plasticity of thought. They are characterized by signs of epistolary genre of 12th century. Personal letters are important for story development. At the same time they enhance

the expressiveness of the poem. Their in-depth study will insure modern scientific research of poetic art of Rustaveli.

საკვანძო სიტყვები: რუსთაველი, პოემა, წერილი, პერსონაჟი, ექსპრესია

Key Words: Rustaveli, Poem, Letter, Character, Expression

ია რჩეულიშვილი, ნუნუ გელდიაშვილი, მანანა ღარიბაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი
მხატვრული შედარების ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები
ქართულსა და ინგლისურში

ენაში უკუფენილია ერის ისტორია. კაცობრიობის განვითარების უწყვეტობას ენაში დაგროვილი ცოდნა უწყობს ხელს. ეს ცოდნა ნაყოფია ეროვნული კულტურის გარკვეული ეტაპების მონაცვლეობის შედეგისა. საზოგადოების განვითარების დიდი და რთული გზის მონაკვეთებში ყოველთვის ყალიბდებოდა შესაბამისი ენობრივი სისტემები. ამ პროცესის მეცნიერული შესწავლით არაერთი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ფსიქოლოგი და ენათმეცნიერი დაინტერესებულა. XX საუკუნის შუა წლებში, როდესაც ევროპის თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ჩამოყალიბდა ენისა და კულტურის ურთიერთობის შემსწავლელი მიმართულებები, ამერიკაში აზროვნების ამ ახალ მიმართულებას „სოციოლინგვისტიკა“ ეწოდა. მისი მთავარი საკვლევი საგანი ენისა და კულტურის ურთიერთობის, მათი ურთიერთგავლენის საკითხი იყო.

ერთსა და იმავე ენაში, მისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში, ერთი და იგივე აზრი შეიძლება გამოითქვას სხვადასხვაგვარად, რადგან ენა ვითარდება, იცვლება მისი გამომსახველობითი საშუალებები ეპოქის კულტურათა განვითარების შესაბამისად. არნოლდ ჩიქობავა მიუთითებდა, რომ „ენის მეცნიერულ შესწავლას არასოდეს არ ჰქონია და არც ახლა აქვს უფრო მნიშვნელოვანი მიზანი, ვიდრე ენის შესწავლა, ერთი მხრივ ენობრივი კოლექტივის ცხოვრებასთან კავშირში (ენა - ტომის, ხალხის, ერის არსებითი ნიშანია), ხოლო, მეორე მხრივ, აზროვნებასთან კავშირში, ე.ი. კულტურის ისტორიასთან, აზროვნების ისტორიასთან კავშირში [ჩიქობავა, 1952].

თანამედროვე ენათმეცნიერული გაგებით ენა ერის კულტურის შემადგენელი ნაწილია, მისი უშუალო ელემენტი და გამომხატველი. ერის კულტურა, სულიერი წყობა, ისტორია აისახება ხატოვან გამოთქმებში, რომელიც აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს სიტყვაკაზმული მწერლობისათვის. მხატვრულ ლიტერატურაში ხასიათების ძერწვისას და ამ ხასიათთა შინაგანი ექსპრესიის გადმოსაცემად ტროპის უამრავი სახეობა გამოიყენება. შედარება ტროპის უნივერსალური სახეა, რომლის საშუალებით მწერალი იძლევა სამყაროს დახასიათებას იმგვარად, როგორც ის ამას შეიცნობს. ადამიანის აზროვნება ყალიბდება ენის ფორმირების პროცესში. იგი მოიცავს ასოციაციურ ასპექტებს, რომელიც გამომდინარეობს ნაციონალური სპეციფიკიდან [ცისკარიშვილი, 2015: 572]. ენათმეცნიერულ შრომებში მითითებულია, რომ შედარება მკითხველზე რეაგირების განსაკუთრებული საშუალებაა.

ლიტერატურის თეორიაში მხატვრული შედარება განიხილება, როგორც ტროპის ერთ-ერთი სახე, ფსიქოლოგიაში - როგორც აზროვნების პროცესი, ფილოსოფიაში - სამყაროს აღქმის აზრობრივი საშუალება. ენათმეცნიერული გამოკვლევები ტროპის აღნიშნულ სახეზე ძირითადად ეხება მის სტრუქტურულ და სემანტიკურ ასპექტებს და ნაკლებადაა შესწავლილი ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით.

შედარების ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით განხილვისათვის მოვიხმეთ მასალა XIX-XX საუკუნის ქართულ - ინგლისური სიტყვაკაზმული მწერლობიდან.

ვფიქრობთ, საკითხის ამ ჭრილში შესწავლა უკეთ გვიჩვენებს ეპოქის გავლენას შედარების ექსპრესიულ ბუნებაზე.

როგორც აღვნიშნეთ, მხატვრულ შედარებას ექსპრესიულ-გამომსახველობითი ფუნქცია აქვს. იგი ყველაზე ექსპრესიული ხდება მაშინ, როდესაც მწერალს მიზნად აქვს შექმნას გარკვეული სოციალური ფონი შესაბამისი სახეებით. ძირითადად ასეთი ტიპის შედარებები შეიცავს მხილებას, იმ ნაკლის საამკარაოზე გამოტანას, რომელიც მოიტანა ეპოქამ, დროთა ცვლილებამ, კლასობრივმა დიფერენციაციამ, მთავრობის შეცვლამ და ა. შ. ილია ჭავჭავაძემ ლუარსაბ თათქარიძის სახით ამხილა გადაგვარებული თავადაზნაურის სახე, შესაბამის გარემოში. ეპოქა, რომელიც „კაცია-ადამიანშია“ აღწერილი, მართლაც გარკვეული წინააღმდეგობებით გამოირჩევა ქართულ სინამდვილეში. ინგრევა ძველი ფეოდალური სამყარო და მისი ნაშთები ცდილობენ, შეინარჩუნონ თვიანთი პოზიციები, უკვე საკმაოდ მოძველებული და უმოძავლო. ილიამ მწარე სარკაზმით სავსე მხატვრული ხერხებით შეძლო ეჩვენებინა ასეთი პიროვნების სახე. ნაწარმოებში გამოყენებულია შედარების ნიმუშები, რომლებიც შეიცავს გარეგნულ თუ შინაგან სულიერ მახასიათებლებს უარყოფით ასპექტში. როდესაც ლუარსაბის გარეგნულ იერსახეზეა საუბარი, მწერალს შედარების ისეთი სახეები აქვს გამოყენებული, რომელშიც ხაზგასმულია ჭამა-სმისადმი განსაკუთრებული მისწრაფება და მისი ცხოველური იერი, ამის ნათელსაყოფად საკმარისია შემდეგი მაგალითები:

1. „თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი - უკაცრავოდ არ ვიყო ამ სიტყვაზედ - როგორც კარგი ნასუქი კურატი“ [ჭავჭავაძე, 1985: 273].
2. „- არტალაზედ? ვაცი-ვითა ვარ, ვაცი-ვით, - უპასუხა მსუნაგსავით სულწასულმა თავადმა“ [ჭავჭავაძე, 1985: 304].
3. „თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგვი-ვით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო“ [ჭავჭავაძე, 1985: 274].
4. „წითელი, თურაშაულ ვაშლსა-ვით ხაშხაში ლოყები“ [ჭავჭავაძე, 1985: 274].
5. „ლუარსაბის ტანისა კი რა მოგახსენოთ და გული კი, რო გენახათ, დორის ჯაგარსა-ვით მოდებული ჰქონდა, ასე რომ მრავალ საეჭვო სულიერებს შეეძლოთ შიშინანობის დროს აქ თავი შეეფარათ“ [ჭავჭავაძე, 1985: 276].
6. „და ეგრე ქანცაწყვეტილი შეგორდებოდა ოთახში, საცა ხანდისხან ხოლმე რუმბსა-ვით გაბერილი თავადი გორავდა და, თუ ზაფხული იყო, ჭერში ბუზებსა სთვლიდა“ [ჭავჭავაძე, 1985: 278].

იმ გარემოს დასახატად, სადაც ეს თავადი ცხოვრობდა მწერალი გროტესკული ხასიათის შედარებებს იყენებს. ეს გარემოც დადგასმულია ძირმომპალი ბატონყმური წყობილების ნიშნით. ირგვლივ ყველაფერი ღვინაშეპარული, სნეული და დაბინძურებულია. შედარების ნიმუშებად ილია იყენებს ისეთივე ძირმომპალ, დანგრეულ, გაჩანაგებულ სახეებს, ნივთებს, როგორიც საზოგადოებრივი წყობილება იყო.

1. „მერცხლის ბუდეცავით ერთი მცირედი ფიცრული“ [ჭავჭავაძე, 1985: 271].
2. „ძველი ჩალური, დროთა ბრუნვისაგან ისე გვერდზედ წამოღებული და წამოხრილი, თითქოს გრილოში წამოწოლას აპირებსო, მაგრამ ბებერივით ნეკრესის ქარის ტკივილებს ისე წამოხრილი და დაღრეჯილი შეუკავებიათო“ [ჭავჭავაძე, 1985: 271].
3. „ბუჩო კალოს სამხრეთის ნაპირზედ გორასავით გაწოლილი იყო“ [ჭავჭავაძე, 1985: 271].
4. „შიგ თითონ ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოვნიკის გული“ [ჭავჭავაძე, 1985: 272].
5. „აღმოსავლეთის კედელზე მოჩანდა კბილებჩაცვივნილი ბებერი დედაკაცის დაღებულ პირსავით ერთი ამოჭკარტლული გარედან და შიგნიდან, ერთი მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი“ [ჭავჭავაძე, 1985: 273].

სულ სხვა სურათს ვხედავთ XX საუკუნის დასაწყისის მწერლობაში. აქ აშკარად იგრძნობა მხილების პათოსი, იმ რთული საზოგადოებრივ-სოციალური ფაქტორისა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებში დამკვიდრდა

საქართველოში. მიხეილ ჯავახიშვილი ტრაგიკულად აღიქვამდა ამ ცვლილებებს და ერის ფიზიკურ და კულტურულ დაკნინებად მიიჩნევდა. ამიტომაც, რომანში „ჯაყოს ხიზნები“ მან განსაკუთრებული ექსპრესიით დახატა გარკვეული სოციალური ფენების წარმომადგენელთა ღრმა ფსიქოლოგიური რყევა, არაჯანსაღი საზოგადოებრივი მდგომარეობის ფონზე. რომანში ძირითადად უარყოფითი შინაარსის შედარებებს ვხვდებით, რომელიც აგვიწერს ერთი მხრივ ინტელიგენციის წარმომადგენელთა სასიცოცხლო ნიშატის განელებას და სრულ ჩაქრობას, ხოლო მის ადგილზე საექვო ჯიმ-ჯილაგის, მხეცური ინსტიტუტების მქონე, გაუნათლებელი პირების გაბატონებას. მაგალითად მოვიყვანო შედარებებს, რომლითაც მწერალი თეიმურაზ ხევისთავის გარეგნულ თუ შინაგან სამყაროს გვიხატავს:

1. „თევზივით ნაპირზე გარიყული ნაადამიანევი სულს ძლივს ჰღაფავდა“ [ჯავახიშვილი, 2000: 71].
2. „სწყევლიდა თეიმურაზი ყოველივეს, ჟინიან ბავშვივით ანჩხლობდა, ავადმყოფივით კაპასობდა და ხრინწიანი ხმი გაჰკიოდა“ [ჯავახიშვილი, 2000: 80].
3. „ფეხები ძლივს აითრია და ფეხდათათხულ ძაღლივით გამოტრიალდა“ [ჯავახიშვილი, 2000: 90].
4. „თეიმურაზმა გულის კბენას ვედარ გაუძლო და იმ სურათისკენ ცეცხლ-ნაკრავივით გაიწია. გაიწია და ბავშვივით ამოიკვნესა“ [ჯავახიშვილი, 2000: 100].
5. „თეიმურაზმა უცნაური ხმით შეჰკივლა და დაჭრილ პირუტყვივით შეჰბღავლა“ [ჯავახიშვილი, 2000: 100].
6. „თეიმურაზი ჩაბნელებულ დუქანში რეტიანივით იდგა... წნორის ფოთოლივით თრთოდა და კანკალებდა“ [ჯავახიშვილი, 2000: 100].
7. „ბავშვივით ატირდა თეიმურაზი“ [ჯავახიშვილი, 2000: 104].

ჯაყოს დასახასიათებლად განსაკუთრებულად უარყოფითი შინაარსის მქონე შედარების ნიმუშებს ვხვდებით:

1. „გაგიჟებულ დათვივით დაჰბტის, მორგვის ხელებს მოშლილ ბორბლებივით იქნევს, კუნძის ფეხებით მიწას თხრის, განიერ თემოებს ბურთებივით ახტუნავებს, ზღარბის თავს გოგრასავით აგორავებს... და დროგამოშვებით ცხენივით ჭიხვინებს“ [ჯავახიშვილი, 2000: 55].
2. „მარგო წყვდიადში ბინდ-ბუნდად ჰხედავდა ჯაყოს, რომელიც ფოფხვით მომავალს ორანგულტანგს ჰგავდა“ [ჯავახიშვილი, 2000: 56].
3. „შეადარა თავისი ნაკაცარი ქმარი... გამხეცებულ ჯაყოს - ნადირივით თავაგლეჯილს... დათვივით ღონიერს“ [ჯავახიშვილი, 2000: 56].
4. „ჯაყო მხოლოდ მეთუე თაობა თუ იქნებოდა მაიმუნისა... პირუტყვივით ბნელი და უმეცარი“ [ჯავახიშვილი, 2000: 57].
5. „ჯაყოს დაგუბებული ჰქონდა სიცოცხლის ნიშატი, ხოლო ალღო - გარეულ ძაღლივით განვითარებული და გატიფული“ [ჯავახიშვილი, 2000: 57].
6. „თვითონ კი, ზურგზე ხელდაწყობილი, ეზოსა და ბაღში ბატივით დაბაჯბაჯებდა, ან თავის სამფლობელოს მაღალ აივნიდან ფაშასავით გადმოსცქეროდა“ [ჯავახიშვილი, 2000: 62].

ილია ჭავჭავაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის დასახელებულ თხზულებებში ეპოქის უდიდესი ტრაგიზმი აისახა და ეს, უპირველესად, გადმოიცა მხატვრული ხერხების საშუალებით, კერძოდ, მხატვრული შედარების გამორჩეული ნიმუშებით, რომლებიც განსაკუთრებულად გამოკვეთავდა ადამიანთა ფიზიკურ თუ სულიერ დაცემულობას.

ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი XX საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს მწერლად მიიჩნევა. მისი ნამუშევრები მიეკუთვნება „ჯაზის ეპოქას“. ეს ტერმინი მწერალმა თვითონ გამოიგონა. ფიცჯერალდი ითვლება 1920-იანი წლების „დაკარგული თაობის“ წევრად. ამ ეპოქის ახალგაზრდებს მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდათ - დაევიწყებინათ ომის საშინელება და უზრუნველი ცხოვრებით დამტკბარიყვნენ. მწერალმა შეულამაზებლად დაგვიხატა სიმდიდრის ბნელი მხარეები, ამერიკული ცხოვრების კრაზი, გამოკვეთა ამერიკელთა

ფსიქოლოგია. ნოველის შექმნის იდეა ავტორს იმ მდიდრულმა წვეულებებმა შთააგონა, რომლებიც იმ დროს იმართებოდა „ლონგ აილენდზე“ და რომელსაც მაღალი წრის საზოგადოება ესწრებოდა. წვეულებები ფართო მასშტაბის და მეტად იდუმალი იყო. აღწერილი სიტუაციების საშუალებით შესაძლებელია იმ ბოხოქარი წლების სურათის აღდგენა. რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის სარკასტული იუმორი, იშვიათი გულწრფელობა და მახვილგონიერება მიმზიდველს ხდის მასში აღწერილ ამბავს.

მხატვრული შედარების შერჩეული ნიმუშების საშუალებით მწერალი ცხადად აღწერს გარემოს, სადაც რომანში აღწერილი მოვლენები ვითარდება:

1. “About half way between West Egg and New York the motor-road hastily joins the railroad and runs beside it for a quarter of a mile, so as to shrink away from a certain desolate area of land” [https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f_scott/gatsby/contents.html]. „ვიდრე უესტ-ეგიდან ნიუ-იორკში ჩავიდოდეთ, შუა გზაზე, სამანქანო გზატკეცილი უეცრად რკინიგზას ებჯინება და მეოთხედი მილის მანძილზე გვერდიგვერდ მიჰყვება, თითქოს გაურბისო იქვე გაშლილ უკაცრიელ მიდამოს“ [http://gnt.ge/catalog/dahuaipcamera.pdf].
2. “This is a valley of ashes – a fantastic farm where ashes grow like wheat into ridges and hills and grotesque gardens where ashes take the forms of houses and chimneys and rising smoke and finally, with a transcendent effort, of men who move dimly and already crumbling through the powdery air [https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f_scott/gatsby/contents.html]. „ნაცრის ველს, ამ ფანტასტიკურ ხოდაბუნს, სადაც ხორბლის ხვავივით იზრდება ნაცრის ქედები, მთები და მახინჯი ბაღნარები, სადაც ნაცარი ხან სახლებს ემსგავსება, ხან საკვამურებს, ხან ახრჩოლებულ კვამლს და თუ ზებუნებრივ ძალას მოიკრებთ, შეამჩნევთ, რომ რაღაც ადამიანთა მსგავსნიც გამოისახებიან ხოლმე – აჩრდილებივით დაბორიალებენ ისინი და უმაღლვე ქრებიან ნაცრით გაჯერებულ სივრცეში [http://gnt.ge/catalog/dahuaipcamera.pdf].

დიდი მხატვრული ოსტატობითაა დახატული პერსონაჟების უშინაარსო და სურვილდამშრობილი ყოფა, გულგრილი თვალები, აფორიაქებული და აგზნებული განწყობა, სიცრუე და თვალთმაქცობა:

1. “Sometimes she and Miss Barker talked at once, unobtrusively and with a bantering incoherence that was never quite chatter, that was as cool as their white dresses and their impersonal eyes in the absence of all desire” [https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f_scott/gatsby/contents.html]. „დროდადრო დეიზი და მისი ბეიკერი ორიოდ სიტყვით გამოელაპარაკებოდნენ ხოლმე ერთმანეთს; უაზროდ ქილიკობდნენ, ამას საუბარი არც კი ეთქმოდა; ცივი, უშინაარსო იყო ყოველი სიტყვა, ვით მათივე თეთრი კაზები და სურვილდამშრეტილი, გულგრილი თვალები“ [http://gnt.ge/catalog/dahuaipcamera.pdf].
2. “This was untrue. I am not even faintly like a rose. She was only extemporizing but a stirring warmth flowed from her as if her heart was trying to come out to you concealed on one of those breathless, thrilling words” [https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f_scott/gatsby/contents.html]. „სცრუობდა. ვარდის აჩრდილიც არა ვარ. რაღაც გამოიგონა. მაგრამ ისეთი ამაღელვებელ სიტბოს აფრქვევდა, თითქოს ლამობდა დაგუდულ ხმასა და მთრთოლვარე სიტყვებში თავისი გულიც ჩაემაღა და მოერთმია“ [http://gnt.ge/catalog/dahuaipcamera.pdf].
3. “Tom and Miss Barker, with several feet of twilight between them strolled back into the library, as if to a vigil beside a perfectly tangible body” – [https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f_scott/gatsby/contents.html]. „ტომმა და მის ბეიკერმა დინჯად გასწიეს ბიბლიოთეკისკენ. საღამოს ბინდი ჩამდგარიყო მათ შორის. ისე მიდიოდნენ, თითქოს მიცვალებულისთვის ღამე უნდა ეთიათ“ [http://gnt.ge/catalog/dahuaipcamera.pdf].
4. “It made me uneasy, as though the whole evening had been a trick of some sort to exact a contributory emotion form me” [https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f_scott/gatsby/contents.html]. „გუნება ამემღვრა.

მომეჩვენა, თითქოს, ჩემი თანაგრძნობის მოსაპოვებლად თვალთმაქცობდნენ მთელი საღამო“ [http://gnt.ge/catalog/dahuaipcamera.pdf].

5. “She was extended full length at her end of the divan, completely motionless and with her chin raised a little as if she were balancing something on it which was quite likely to fall” [https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f_scott/gatsby/contents.html]. – „იგი ტახტის ერთ მხარეს იყო გამოტილი. იწვა უძრავად, ნიკაპი ოდნავ აეწია, თითქოს ზედ ჯამბაზივით რაღაცას ათამაშებდა - უნდა გადმოვარდნოდა და მაინც ახერხებდა გაწონასწორებას“.

ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით შედარების განხილვამ ქართულ კონტექსტში გვიჩვენა, თუ როგორ იცვლება შედარების გამოხატვის შესაძლებლობები ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით, ეპოქის კულტურულ განვითარებასთან ერთად. შედარების ისეთ უნივერსალიებს, როგორიცაა შედარება რუმბთან, ვაცთან, ღორთან, მორგვთან, პირუტყვთან, დათვთან, ძაღლთან, ნადირთან, იქცა წარსულის კუთვნილებად. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში იშვიათად გვხვდება მსგავსი შესადარებელი ობიექტები. კულტურის განვითარების თანამედროვე საფეხურმა გარკვეულწილად შეცვალა ადამიანთა ლექსიკა და შემოიტანა ისეთი სიახლეები, რომელიც სადღეისოდ ენობრივი სამყაროს შემადგენელი ნაწილია.

ამერიკული ტექნიკურ-კულტურული პროგრესი გავლენას ახდენდა ენის მხატვრულ მხარეზე, რითაც აიხსნება მხატვრული ხერხების, კერძოდ კი, ტროპების ბუნდოვანება და პესიმისტური განწყობა. ამერიკულ პროზაში მოძიებული საანალიზო მასალა, ერთი შეხედვით, მშრალი და მეტად პროზაულია. სავარაუდოდ, მწერალი ფართო საზოგადოებისათვის მოიაზრებდა თავის ნაწარმოებს და განსხვავებულ ლიტერატურულ გამოვლენას არგებდა მას.

საინტერესო სურათი მოგვცა თანამედროვე ქართველი მწერლის სალომე ბენიძის მოთხრობებიდან ამოკრებილმა მხატვრული შედარების ნიმუშებმა. დაკვირვება ცხადყოფს, რომ დღევანდელ მხატვრულ ლიტერატურაში შედარებები მეტად რთულია, როგორც შინაარსობრივად, ისე აგებულების თვალსაზრისით. შესადარებელი ობიექტი უშუალოდ კი არ არის წარმოდგენილი, მარტივად, არამედ აბსტრაქტულობაში, უსაზღვრობაშია განფენილი. ასეთი ელფერი ნაწილობრივ ბუნდოვანს ხდის შედარების სემანტიკურ მნიშვნელობას, თუმცა, ექსპრესიულობის მხრივ საკმაოდ ძლიერია. აზრის ნათელსაყოფად, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

1. „მე კი ისევ მეძინა კლდის თავზე და ჩემს გაშლილ მკლავებზე ჩემივე სიყვარულივით გამჭვირვალე და ფერმკრთალი ჩრდილოეთი ირწეოდა“ [ბენიძე, 2015: 11].
2. „გაბრიელი არ დამინახავს, მაგრამ ვიგრძენი, რომ მის კანს ზუსტად ისეთივე სურნელი ჰქონდა, როგორც ცისკენ თავაშვერილ მზესუმზირებს აქვთ შუადღის თაკარა სიცხეში“ [ბენიძე, 2015: 12].
3. „შენი სული დამსხვრეულია, - განაგრძო ქალმა, - და შენი ლამაზი სხეული ისე ნიღბავს მას, როგორც ჭრელი ყუთი - დაფშვნილ ლარნაკს“ [ბენიძე, 2015: 13].
4. „დაღარული, წაბლისფერი კანი ჰქონდა და ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი, ჩემი მდინარის წყალივით გამჭვირვალე, ცისფერი თვალები“ [ბენიძე, 2015: 13].
5. „ჩვენი ბაღის ტირიფს შადრევანივით სდის წყალი ფოთლებიდან“ [ბენიძე, 2015: 29].
6. „ამ დროს ის ჰგავდა ფარვანას, რომელიც გაპარტახებული სახლის ჭერში გამოკიდებულ ერთადერთ ნათურას ეთამაშება და თეოდორს არაფერი უნდოდა, გარდა იმისა, რომ ეს თავლის სანთელივით გამჭვირვალე ფეხები თავისი სხეულის სიმხურვალით დაედნო“ [ბენიძე, 2015: 30].

ტროპების და მათ შორის მხატვრული შედარების თანამედროვე მწერლობაში გამოყენებული ნიმუშების კვლევა შემდგომი დაკვირვების საგნად მიგვაჩნია.

ლიტერატურა:

1. ბენიძე, ს. (2015). ქალაქი წყალზე. ბათუმი: გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“.
2. ფიცჯერალდი, ს. (1985). დიდი გეტსბი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
3. ჩიქობავა, ა. (1952). ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. ცისკარიშვილი, მ. (2015). შედარების ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები. „კულტურათაშორისი დიალოგები“, III საერთაშორისო კონფერენცია, შრომები. თელავი. გამომცემლობა „მერიდიანი“.
5. ჭავჭავაძე, ი. (1985). ლექსები, პოემები, მოთხრობები, წერილები, ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
6. ჯავახიშვილი, მ. (2000). ქართველი მწერლები სკოლაში, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ სკოლაში. თბილისი: გამომცემლობა „დია“.
7. Fitzgerald, S. Great Gatsby https://ebooks.adelaide.edu.au/f/fitzgerald/f_scott/gatsby/contents.html

Ia Rcheulishvili, Nunu Geldiashvili, Manana Garibashvili
Iakob Gogebashvili State University, Telavi

Lingua-Cultural Aspects of Simile in the Georgian and English Languages

Abstract

Studying simile from the lingua-cultural point of view, showed an influence of epoch on the expressive nature of simile. A great tragedy was reflected in the works by Ilia Chavchavadze and Mikheil Javakhishvili and mostly it was made with the help of figurative expressions. Featured samples of simile specially pointed out physical and spiritual decline of people. There was figured out how the expression possibilities change from the linguistic point of view together with the cultural development of the epoch. High level of cultural development changed the vocabulary and brought news from the linguistic point of view.

American technical – cultural progress had an influence on the artistic side of the language. That's why tropes are less in number in English language and the thought is a little bit obscure. Retrieved analytical material from American poetry is somewhat deprived of fiction and at first glance, it's dry and more prosaic. Supposedly, the writer was considering his work for a wide range of readers with an average-level literary taste.

საკვანძო სიტყვები: ლინგვო-კულტურული ასპექტები, შედარება, ილია ჭავჭავაძე, მიხეილ ჯავახიშვილი

Key words: lingua-cultural aspects, simile, Ilia Chavchavadze, Mikheil Javakhishvili

წინო სარქისოვა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

თამაში - როგორც ბავშვის შრომითი აღზრდის ერთ-ერთი მეთოდი ოჯახში

ბავშვის შრომითი აღზრდა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვი მოემზადოს მომავალი ცხოვრებისათვის. ცნობილი ფსიქოლოგი დ. უზნაძე შრომას განიხილავდა როგორც თამაშის განვითარების შედეგს. მისი აზრით: შრომას წინ უსწრებს ჯერ ფუნქციონალური მოძრაობა, შემდეგ მოძრაობა რაიმე საქმისათვის (თამაში) და მოძრაობა რაიმე ნივთიერი პროდუქციის შესაქმნელად.(გვ.23, 154)

„თამაში თავისებური დამოუკიდებელი ქცევის ფორმაა, რომელიც ადამიანის ცხოვრების მთელ მნიშვნელოვან პერიოდს, ადრეული ბავშვობის ხანას უდევს საფუძვლად. იგი შეიძლება ითქვას ერთადერთი სინამდვილეა, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს და ერთადერთი ძირითადი პრაქტიკის ფორმაა, რომლის ნიადაგზე მისი განვითარება მიმდინარეობს, ამიტომ საკვირველი არაა, რომ თამაშის პრობლემა დიდი ხანია მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს.“(გვ.22, 609)

მიზანშეწონილად ჩავთვალე განმეხილა რამდენიმე მეცნიერის თეორია თამაშის შესახებ. ასე მაგალითად: შტერნის მიხედვით ყველა არსებული თეორია შეიძლება სამაოდ დაჯგუფდეს, იმის მიხედვით, თუ რასთანაა დავაკავშირებული თამაშ-სუბიექტის აწმყო მისწრაფებებსა და ინტერესებთან, თუ წარსულიდან გამომდინარესთან და მომავალთან. (გვ.604)

აწმყო თეორიები:

1) სპენსერის თეორია. მისი აზრით ბავშვს გაცილებით მეტი ენერგია აქვს, ვიდრე მისი ცხოვრების ამოცანები მოითხოვენ. ბავშვს არაფერი აქვს გასაკეთებელი, მასზე მოზარდები ზრუნავენ. მაშასადამე მას მეტი ენერგია აქვს, ვიდრე საჭიროა და მან ეს ენერგია უნდა განტვირთოს. სპენსერის აზრით, ამ ზედმეტი ენერგიის განტვირთვა სწორედ თამაშის პროცესში ხდება. მისი აზრით ბავშვისათვის სულერთია, რა გზით მოახერხებს თავისი ჭარბი ენერგიის განტვირთვას, იბტუნებს, იცეკვებს თუ სხვა რომელიმე თამაშს მიმართავს. სპენსერი ხედავს, რომ ბავშვის თამაშს ყოველთვის გარკვეული შინაარსი აქვს და იგი (ბავშვი ნ.ს.) იძულებული ხდება ამის ასახსნელად სხვა მოსაზრებას მიმართოს, რომელსაც ჭარბი ენერგიის ცნებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. იგი ამბობს, რომ ბავშვი მიმზადებული არსებაა და რომ იგი თავისი თამაშის შინაარსს წამზადებულობის ხარჯზე ქმნის. მაგ. ბავშვი ოჯახობანას თამაშობს, ან ექიმობს, ან მშენებლობს, იგი ამ ყველაფერს აკეთებს უკვე წინასწარ ნანახის სახით (გვ.22, 610)

სპენსერი თამაშს გულისხმობს მხოლოდ ბავშვობის დროს, ხოლო რაც შეეხება ზრდასრულობის ასაკს თამაშს არ უნდა ჰქონდეს ადგილი. მეორე მისი თეორიიდან თამაშის შინაარსის გარკვეულობა არ გამომდინარეობს. იგი ფიქრობს, რომ სულერთია როგორ მოხდება მისი ზედმეტი ენერგიის გაფანტვა, ამიტომ, მან შემოიტანა წამზადებულობის პრინციპი.

ამასთან დაკავშირებით დ. უზნაძე აღნიშნავს, რომ ჭარბი ენერგიის ცნება თამაშის არსის გასაგებად საკმარისი არ არის. ეს თეორია არასწორია, რადგან ზოგჯერ ბავშვი დაღლილია და მაინც თამაშობს. ასეთ შემთხვევაში ენერგიის სიჭარბეზე ლაპარაკი უსაფუძვლო იქნებოდა.(გვ.22, 610)

2) დასვენების თეორია. ეს თეორია მდგომარეობს იმაში, რომ საქმე ენერგიის სიჭარბეში კი არ არის არამედ სუბიექტი სერიოზული აქტივობის გამო იღლება და ძალა აღარ შესწევს განაგრძოს მუშაობა, მას დასვენება ესაჭიროება, მაგრამ დასვენებას არამართო მოქმედება იძლევა, არამედ ისეთი მოქმედებაც, რომ პასუხსაგები არ იყოს. ასეთი არასერიოზული, არაპასუხსაგები აქტივობისათვის ადამიანს კიდევ აქვს ძალები შერჩენილი. აი, თამაშის აზრიც ის არის, რომ იგი სწორედ ასეთი ბუნების აქტივობას შეიცავს, ცხოვრების ამოცანებისათვის ბრძოლა მოზარდს ღლის და დასასვენებლად იგი თამაშს მიმართავს. თამაში ადრეულ ასაკში ბავშვის ქცევის უმთავრესი ფორმაა და, თუ რითიმე იღლება ბავშვი, პირველ რიგში თამაშით. ეს თეორია შეიძლება მიესადაგოს და გამოდგეს უფრო მოზრდილი ასაკისათვის, ბავშვის თამაშის ასახსნელად იგი სრულიად გამოუსადეგარია.

3) ადლერის თეორია. ბავშვი სუსტია და მას ჯერ კიდევ არა აქვს იმდენად განვითარებული ძალები, რომ თავისი მისწრაფებების განხორციელება შეძლოს. მას ყველაფერს უკრძალავენ, იგი სხვებზეა დამოკიდებული, იგი სუსტია და, აი ამ სისუსტის საკომპენსაციოდ იგი ახალ ფანტასტიკურ სინამდვილეს ქმნის, რომელშიც ის თუ უნდა მამა იქნება, უნდა დედა, უნდა მძღოლი, უნდა პილოტი, უნდა გოლიათი, უნდა გენიოსი. სინამდვილეში არავინ, მაგრამ არც მას შესწევს ძალა გააკეთოს ის, რაც მას სურს. მაშასადამე

თამაშის აზრი სისუსტის კონპესაციასა და ძლიერებისადმი დაკმაყოფილებაში მდგომარეობს. ასეთია ადლერის, როგორც ე.წ. „ინდივიდუალ- ფსიქოლოგის თამაშის თეორია“ (გვ.22, 611)

დ. უზნაძის აზრით ეს თეორიაც არ არის სრულყოფილი, რადგან თამაშში სიძლიერის გამოხატვით კმაყოფილების გრძნობა იღვიძებს, მაშინ ამ თამაშში დამარცხებულებიც ხომ არიან, ნუთუ დამარცხებული თავის ძლიერებისადმი ტენდენციას იკმაყოფილებს.(გვ.22. 611)

4) ფროიდის თეორია. თამაში „განდევნილია“ ზრახვების ტენდენციების გამოვლინებას წარმოადგენს. ფროიდის აზრით, აქ, როგორც სხა შემთხვევაში, სქესობრივი ტენდენციების გამოვლენასთან გვაქვს საქმე.

თამაშის შინაარსში უთუოდ რაიმე სქესობრივი მისწრაფება უნდა ვეძიოთ. მაგ. ბავშვი რომ ცხენოსნობანას თამაშში მათრახს ხმარობს, ეს მისი სადისტური ტენდენციის გამოვლენაა. ხოლო ის ბავშვი, რომელიც ცხენის როლს ასრულებს და რომელსაც ეს მათრახი ხვდება, ალბათ ამით თავის მაზოხისტურ ტენდენციას იკმაყოფილებს (გვ.22, 611)

წარსულის თეორიები.

სტენლი ჰოლის თეორია. მისი აზრით თამაშის დროს გამოვლენილი ტენდენციების სათავე უნდა ვეძიოთ კაცობრიობის წარსულში. კაცობრიობამ თავის წარსულში განვითარების საფეხურთა მთელი რიგი განვლო. თანახმად ჰეგელის „ბიოგენეტიკური კანონისა,“ ორგანიზმი ემბრიონალური სიცოცხლის პერიოდში თავისი გვარის განვითარების ყველა საფეხურს იმეორებს, რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ დაახლოებით იგივე ხდება პორტემბრიონალური სიცოცხლის პერიოდშიც, რადგან არა სომატურ, არამედ ფსიქიკურ განვითარებასთან გვაქვს საქმე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ განვითარება იმ საფეხურებს ეხება, რომელიც თავის განვითარების გზაზე განვლო კაცობრიობამ. ბავშვობის პერიოდში, სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ის ტენდენციები ჩნდება, რომელიც უკვე განვლილი, საბოლოოდ უკუგდებული აქვს კაცობრიობას. ამ ტენდენციების გამოვლენის ფორმას თამაში წარმოადგენს.(გვ.22, 612)

სტენლი ჰოლის თეორია იმაში მდგომარეობს, რომ იგი იმეორებს თავისი წინაპრების წარსულს და ახდენს რეკაპიტულაციას.

ფსიქოლოგ დ. უზნაძის აზრით, „სტენლი ჰოლის თეორია არავითარ შემთხვევაში დამაკმაყოფილებლად არ ჩაითვლება(გვ.612)

კარლ გროსის (მომავლის თეორიები) თამაში მომავლის ინტერესებიდან გამოჰყავს. იგი განსაკუთრებით იმ გარემოებას აქცევს ყურადღებას, რომ ბავშვი თამაშის პროცესში სწორედ იმ ძალებს ამოქმედებს, რომელსაც ადამიანი სერიოზული საქმიანობის დროს მიმართავს ხოლმე. პატარა გოგონა რომ თავის თოჯინას ეალერსება და უვლის, ეს იმავე ტენდენციების აქტივობად უნდა ჩაითვალოს, რომელიც ბავშვის მოვლის ფსიქოლოგიურ შინაარსს წარმოადგენს. როდესაც პატარა ბიჭი ავტომატურად თამაშობს, იგი იმავე ტენდენციებს ამოქმედებს, რომელსაც მძღოლის საქმიანობაში აქვს ადგილი. თუ თამაშში ის ძალები და ტენდენციები მოქმედებენ, რომელნიც ადამიანის სერიოზული ცხოვრების ამოცანათა გადაწყვეტაში ღებულობენ მონაწილეობას, მაშინ ცხადია, თამაშში ბავშვი მომავლისათვის ემზადება, იგი იმ ძალებს ავარჯიშებს და წვრთნის, მომავალში სერიოზული ამოცანების გადასაწყვეტად რომ დასჭირდება.

კარლ გროსის თეორიის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს. რომ თამაში მთელი მომავალი ცხოვრებისათვის „მოსამზადებელი სკოლაა“.

იხილავს რა გროსის თეორიას ფსიქოლოგი დ. უზნაძე დასძენს: რომ მისი თეორია საყურადღებოა, მაგრამ მას ერთი ნაკლი ქვს, გროსის მიხედვით ბავშვის ქცევის თავისებურებანი იმ მიზნიდან გამომდინარეობს, რომელსაც თითქოს თამაში ემსახურება. აქედან გამომდინარე გროსის თეორია მიუღებელია(გვ.22, 613)

აქვე განვიხილოთ შტერნის თეორია, რომელსაც იგი პერსონალისტურს უწოდებს და რომელიც ყველა დანარჩენი ცალმხრივი თეორიის საღი ელემენტების გაერთიანებასა და შეფასებას ისახავს მიზნად.

შტერნის აზრით: თამაშის მართებული თეორია არც მარტო აწმყოს ტენდენციას უნდა ემყარებოდეს და არც მხოლოდ წარსულისას და მომავლისას. თამაში ისეთი პროცესია,

რომელიც ყველა ამ ტენდენციას შეიცავს, მაგრამ მთავარი ის კი არ არის, რომ მოხდეს თამაშის ბიოლოგიური აზრის კვლევა, არამედ რა მიზანს ემსახურება იგი, რისთვისაა საჭირო, რომ სხვა მისი მომენტებიც მივიღოთ მხედველობაში. თამაშს, ბიოლოგიურის გარდა „გარე გამოვლენის“ მნიშვნელობაც აქვს. ადამიანის ერთ-ერთ თავისებურებას ისიც შეადგენს, რომ მას საქმიანობა, აქტივობა იმ შემთხვევაშიც შეიძლება, როდესაც ამას არავითარი სერიოზული საქმიანობა არ მოითხოვს... ადამიანს თამაში შეუძლია „ადამიანი მხოლოდ იქ არის სრული ადამიანი, სადაც მას თამაში შეუძლიაო.“-ამბობდა შილერი შტერნისათვის ამ დებულების სისწორე ეჭვგარეშეა. თამაშში უკეთ შეიძლება ბავშვის გაცნობა, ვიდრე სერიოზული აქტივობის პროცესში.(გვ.22, 614)

დ. უზნაძე ამ თეორიის შესახებ დასძენს, რომ შტერნის თეორია განსაკუთრებით საყურადღებოა იმ მხრივ, რომ, იგი ცალმხრივ თეორიებს გვერდს უვლის და თამაშის მრავალმხრივი მნიშვნელობის იდეას ემყარება. მიუხედავად ამისა, მისი გაზიარება არ შეიძლება. ეს იმიტომ, რომ შტერნი თამაშს განუვითარებელ, ჩანასახოვან ფუნქციათა და ტენდენციათა გამოვლინებად სთვლის, ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ავტორს ზრდა დასრულებული თამაშის შესახებ აღარ უნდა ელაპარაკა და თამაში მხოლოდ ბავშვის ასაკის მოვლენად უნდა გამოეცხადებინა. მეორე: ცნობილია თამაშის ფაქტები, რომელთა შესახებაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ ისინი ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი ძალების გამოვლენას წარმოადგენენ. მაგ: ბავშვი შვილობიანს თამაშობისას შეიძლება ერთხელ დედის როლს ასრულებდეს, მეორედ შვილისას. ამ შემთხვევაში ბავშვი თავის მომავალს კი არა, თავის წარსულს ამჟღავნებს. (გვ.22, 615)

ფუნქციონალური ტენდენციის თეორია. დ. უზნაძის აზრით მოვლენას ერთი არსი აქვს და ყველა ძირითადი თავისებურება, რომელიც მას ახასიათებს, ამ ერთი არსიდან გამომდინარეობს. თამაშსაც აქვს თავისი ასეთი არსი, იგი შემდეგში მდგომარეობს: ბავშვს, როგორც ადამიანის შვილს, გარკვეული ტენდენციები და ფუნქციები აქვს, რომელსაც იგი ვერ იყენებს ყოველმხრივ და ყველა მიმართულებით ვერ ამოქმედებს. ფუნქციები, ტენდენციები „ძალას“ წარმოადგენენ და ძალისათვის სწორედ ისაა დამახასიათებელი, რომ იგი არსებითად მოძრავია, მოქმედია, ძალა დინამიკური ცნებაა. ცხადია ამ ძალებს უმოქმედოთ არსებობა არ შეუძლია. ფუნქციონალური ტენდენცია, იმაში მდგომარეობს, რომ ძალების არსებობა ფუნქციების გარეშე შეუძლებელია, გასაგებად ხდის ბავშვის აქტივობას იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას გასაკეთებელი არაფერი აქვს, როცა ეს აქტივობა რაიმე პროდუქციის მისაღებად კი არა არის განკუთვნილი, არამედ მხოლოდ როგორც მნიშვნელოვანი პროცესი.

ფუნქციონალური ტენდენციის ცნება გასაგებად ხდის თამაშის ფაქტს. ბავშვი თამაშობს თუ დიდი, ამას ფუნქციონალური ტენდენცია უდევს საფუძვლად. თუ თამაში ფუნქციონალური ტენდენციის გამოვლენაა, ცხადია, მისი შინაარსი მხოლოდ ისეთი შეიძლება იყოს, როგორც აქტივობაში მყოფ ფუნქციებს შეეფერება. ეს ფუნქციები ადამიანის ფუნქციებია, რომელიც ფილოგენეტიურად გარკვეული საქმიანობის პროცესში ჩამოყალიბდა.

ამრიგად, დ. უზნაძე დასძენს, რომ ფუნქციონალური ტენდენციის თეორია, რომელსაც იცავს იგი, თამაშის არსის სწორ დახასიათებას იძლევა. ზემოთ განხილული თეორიები ფუნქციონალური ტენდენციის მიხედვით, ერთი და იგივე არსიდან გამომდინარეობს. (გვ.22. 616)

დ. უზნაძემ ყურადღება მიაქცია ადამიანის ორგანიზმის ერთ-ერთ თავისებურებას აქტივობის მოთხოვნილებას, „ფუნქციური ტენდენციის“ ფაქტს. განწყობის შინაგანი ფაქტორები დ. უზნაძემ მოთხოვნილების ცნებაში გამოხატა. მისი აზრით, ადამიანს აქვს სუბსტანციური ფუნქციური მოთხოვნილებანი.

თამაშის პროცესში ხდება განცდის გამოწვევა, „სხვა პიროვნებაში გადასვლა, ის ამდიდრებს, აღრმავებს, აფართოებს პიროვნებას.“

ბავშვი თამაშობს ამა თუ იმ როლს, ფოქტობრივად კი არ გადადის სხვა პიროვნებაში, შედის რა როლში, ის ამდიდრებს, აღრმავებს, აფართოებს თავის პიროვნებას. (გვ.57, 582)

ქართველი მეცნიერი ლ კიკალეიშვილი თამაშს აღზრდის არაეფექტურ მეთოდად მიიჩნევს. მისი აზრით იგი ატარებს მექანიკურ ხასიათს და ამდენად საშუალებას გვაძლევს ვიმოქმედოთ აღსაზრდელის მხოლოდ წამიერ ქცევაზე. ამასთან ერთად, ის არ გვევლინება ობიექტურად არსებული სოციალური ღირებულებების მოდულირების საშუალებად. უკეთეს შემთხვევაში იგი ხელს უწყობს აღსაზრდელში განსაზღვრულ ჩვევისადმი შეგუების გამომუშავებას”. (გვ.34, 106) ამავე დროს იგი თვლის, რომ თამაში, როგორც მეთოდი, შეიძლება გამოყენებულ იქნას სკოლამდელ ასაკში.

როგორც ბ. გ. ანანიევი აღნიშნავს „თამაშს, როგორც საქმიანობის თავისებურ ფორმას, თავისი ისტორია აქვს და მოიცავს ადამიანის ცხოვრების ყველა პერიოდს. მოზარდობის, ჭაბუკობისა და ახალგაზრდობის”, საშუალო და მოხუცებულობის ასაკშიც კი არსებობს მისი გამოვლენის სხვადასხვა სახე... თამაშის დროს ხდება შეუმჩნეველი გადასვლები შრომისა სწავლაში. (გვ.21, 160)

თამაშს ისეთივე მნიშვნელობა აქვს ბავშვის ცხოვრებაში, როგორც მოზრდილ ადამიანში შრომას. ბავშვი, როგორც არის თამაშის დროს, ისეთივე იქნება მუშაობაში. ამიტომ, მომავალი მოქალაქის აღზრდა ხდება უწინარეს ყოვლისა თამაშში. ისტორიულად შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ როგორ მიმდინარეობდა თამაში და თანდათანობით როგორ იქცეოდა იგი შრომით საქმიანობად. ეს პერიოდი ძალიან ნელა მიმდინარეობს. უმცროს ასაკში ბავშვი უმეტესად თამაშობს. მისი სამუშაო ფუნქციები მეტად უმნიშვნელოა და სულ მარტივ თვითმომსახურების ფარგლებს არ სცილდება. იგი იწყებს დამოუკიდებლად ჭამას, საბნის დახურვას, შარვლის ან კაბის ჩაცმას. თუმცა ამ მოქმედებაშიც თამაშის ელემენტები შეაქვს. კარგად ორგანიზებულ ოჯახში ეს სამუშაო ფუნქციები თანდათან რთულდება. ბავშვს ევალება სულ უფრო და უფრო რთული სამუშაოები. თავადაპირველად მხოლოდ თვითმომსახურების მიზნით. შემდეგ კი ისეთი სამუშაოები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ მთელი ოჯახისათვის. მაგრამ ამ ასაკში ბავშვი უმთავრესად მეტ დროს ატარებს თამაშში. თამაში მას ყველაზე უფრო იტაცებს, აინტერესებს. სასკოლო ასაკში ბავშვი ბევრს თამაშობს, მას საკმაოდ რთული ილუზიების განცდაც კი უჩნდება, როცა თამაში იმდენედ უფრო სიმპატიურად ეჩვენება მუშაობასთან შედარებით, მას სურს გადადოს მუშაობა და ითამაშოს. თუ ეს ხდება, მაშინ ბავშვის აღზრდა თამაშისა და სამუშაო ფუნქციების მხრივ არასწორად მიმდინარეობდა, რომ მშობლებმა რაღაც შეცდომები დაუშვეს ცხოვრებაში. ჩვენ ვხვდებით ძალიან ბევრ ადამიანს, რომლებმაც სკოლა დიდი ხანია დაამთავრეს, მაგრამ მათში თამაშისადმი სიყვარული სჭარბობს მუშაობის სიყვარულს. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც სიამოვნებას ხედავენ არა მუშაობაში, არამედ თამაშში. არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ცხოვრებას მუშაობის მაგივრად დროსტარებასა და უქმად ყოფნაში ხედავენ. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ესენი ის ადამიანები არიან რომელთა აღზრდაში მშობლთა ზემოქმედება აღეზარდათ მათში შრომითი ჩვევები დარღვეული იყო, არასწორი აღზრდის შედეგი კი სწორედ ისეთია, როგორც ზემოთ აღვწერეთ.

ბავშვის შრომითი აღზრდა, მასში შრომითი საქმიანობის ჩვევების გამომუშავება, ნიშნავს მოზარდი მოვამზადოთ ცხოვრებისათვის.

ჩვენ მიერ ზემო ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვი ნაადრევად ჩამოვაშრომოთ თამაშს და გავიყვანოთ სამუშაო დამაბულობაზე. ასეთი გადაყვანა სარგებლობას არ მოგვითმის, ეს იქნება ძალადობა ბავშვის მიმართ და მუშაობისადმი სიძულვილს გამოიწვევს, გაძლიერდება ლტოლვა თამაშისადმი. მომავალი მოღვაწის აღზრდა უნდა ხდებოდეს არა თამაშის გაძევებით, არამედ მისი ისე მოწყობით, როცა თამაში თამაშად რჩება, მაგრამ თამაშობისას ხდება მომავალი მუშაკისა და მოქალაქის თვისებების გამომუშავება.

ბავშვი რომ თამაშში აღიზარდოს, მშობლები კარგად უნდა ჩაუფიქრდნენ, თუ რა არის თამაში და რით განსხვავდება იგი მუშაობისგან უნდა ითქვას, რომ თამაშსა და მუშაობას შორის არც ისე დიდი განსხვავებაა, როგორც ზოგიერთი მშობელი ფიქრობს. კარგი თამაში კარგ მუშაობას ჰგავს, ცუდი კი ცუდ მუშაობას. ყოველი კარგი თამაში შეიცავს სამუშაო დამაბულობას და როგორც დ. უზნაძე მიგვითითებს, თამაშის პროცესში განცდის გამოწვევას, სხვა პიროვნებაში გადასვლას, ის ამდიდრებს, აღრმავებს, აფართოებს

პიროვნებას.(21, 437) თამაში სიხარულსა ჰგვრის ბავშვს. ეს იქნება შემოქმედების ან გამარჯვების სიხარული, ანდა ესთეტიკური სიხარული. ასეთივე სიამოვნების მომგვრელია კარგი მუშაობაც. თამაშში ასახულია ადამიანის შრომა-საქმიანობა, ურთიერთობა ადამიანთა შორის, საზოგადოებრივი ცხოვრება, ბავშვის დამოკიდებულება გარე სამყაროსთან. ყოველი თამაში ისევე, როგორც შრომა, მოითხოვს მიზანსწრაფვას, აზრისა და ფიზიკური ძალების დამაბვას, დაბრკოლებათა გადალახვას, მოხერხებულობას, პასუხისმგებლობას.

თამაში სწორად ამიტომაც არის აღიარებული აღზერდის ერთ-ერთ ფრიად მნიშვნელოვან მეთოდად.

აღმზრდელმა უნდა გაითვალისწინოს თამაშის შემოქმედებითი აუცილებლობა, თამაში სწორ გზას შრომისაკენ ინიციატივისა და თვითმოქმედებაზე დაყრდნობით გაივლის, თუ თამაშის მოტივს ბავშვის შინაგანი მოთხოვნილება ედება საფუძვლად, თუ თამაშის ხასიათი გამომდინარეობს ბავშვის ინტერესებიდან, იგი ყოველთვის იქნება დაკავშირებული სიამოვნების გრძნობასთან. ეს კი აუცილებელია ყოველ შემოქმედებით საქმიანობაში. ის, რაც არ იწვევს სიამოვნებას, არ შეიძლება ადამიანის სასურველ საქმიანობად იქცეს. ყველაფერს წყვეტს თამაშის შრომითი მიმართულებით წარმართვა. ბავშვი უნდა მივაჩვიოთ შენებას, კეთებას, ძიებას. ეს არის თამაშის უპირველესი და ერთადერთი ძირითადი ამოცანა.

ბავშვი თამაშს ძლიერად განიცდის, უფრო მეტადაც ვიდრე მოზრდილი თავის შრომის საქმიანობას. მინდა შევრჩერდე ერთ მაგალითზე: ბავშვები თამაშობდნენ პარკში ომობანას. ერთი იყო გენერალი, სხვები მასზე დაქვემდებარებული პირები. რა თქმა უნდა თავიანთი სამოქმედო ობიექტიც გააჩნდათ. თამაში დაწყებული იყო, როცა მათ ერთი პატარა ბიჭი შემოუერთდათ, ესე 7-8 წლის იქნებოდა. მაიორმა მიიყვანა ბიჭი ერთ ბუჩქთან და აუთხრა: „ეს არის იარაღის საწყობი, შენ ჯრისკაცი ხარ და დარაჯობო.“ ბავშვმა სიამოვნებით მიიღო ეს დავალება და დიდი პასუხისმგებლობით, ჯოხით, (თოფი) ხელში ყარაულობდა მას. შებინდებული იყო, როდესაც ბავშვებმა თამაში შეწყვიტეს და ყველა გაემართა თავის სახლში, ეს პატარა ბიჭი კი დაავიწყდათ, ბაღის კუთხისკენ შემთხვევით ჩამოვლილმა დარაჯმა გაიგონა ბავშვის ტირილი. მასთან მივიდა და ჰკითხა ტირილის მიზეზი. ბავშვმა უამბო ყველაფერი, თუ რა ხდებოდა. მაშინ დარაჯმა სიმშვიდისკენ მოუწოდა და უთხრა - „მე წაგიყვან სახლშიო.“ ბიჭმა ფეხიც არ მოიცვალა და დარაჯს მიუგო - „მე ვასრულებ დავალებას და შენ ჩემი გათავისუფლება არ შეგიძლიაო.“ მაშინ დარაჯი წავიდა იქვე მჯდომ უცხო პიროვნებასთან და სთხოვა წაყოლოდა, რომ ბავშვი გაეთავისუფლებინა. უცნობმა კაცმა ხელი მოჰკიდა ბიჭს და უთხრა „წავიდეთო“. ბიჭმა შეხედა მამაკაცს, ის არ იყო სამხედრო პირი და ფეხი არ მოიცვალა. მან განუმარტათ, რომ ის არის ჯარისკაცი და სამოქალაქო პირს არ შეუძლია მისი გათავისუფლება. დარაჯი იძულებული გახდა პარკიდან გასულიყო და ავტობუსის გაჩერებასთან გაჩერდა, რათა ეპოვნა ვინმე სამხედრო პირი. ბედად ავტობუსიდან მაიორი ჩამოვიდა. დარაჯმა აუხსნა მას შექმნილი სიტუაცია და ორივე გაემურა იმ მუთხისაკენ, სადაც ბავშვი იდგა. უკვე საკმაოდ ბნელოდა, ბავშვი ვერ ამჩნევდა სამხედრო პირს სამხრეებზე რამდენი ვარსკვლავი ჰქონდა. მან ხელით მოუსინჯა სამხრეები. დარწმუნდა რა, რომ ის მაიორი იყო, გასწორდა, ხელი შუბლის ერთ ნაპირზე მიიღო და დაელოდა განკარგულებას. მაიორმა გაიცინა და იძულებული გახდა ასევე მიემართა ამ პატარა ბიჭისათვის, როგორც ჩვეულებრივ სინამდვილეში ხდება. ე. ი. გაათავისუფლა სამხედრო წესის მიხედვით. ბიჭმა ხელი ჩამოიღო და გახარებულმა მოკურცხლა თავის სახლისაკენ.

ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ ბავშვები დიდი პასუხისმგებლობით და მთელი შეგნებით ეკიდებიან თამაშის როლს, თავისზე დაკისრებულ მოვალეობას.

თამაშის დროს ბავშვები ანაწილებენ როლებს. ისინი თითქმის თანატოლები არიან, მაგრამ ერთმანეთს ექვემდებარებიან უთქმელად, წინააღმდეგობის გარეშე. პროფესორი დიმიტრი უზნაძე აღნიშნავს: რომ სუბსტანციური მოთხოვნილებები ადამიანის ბიოლოგიური მოთხოვნილებანია. ეს მოთხოვნილებანი შესაბამის სიტუაციაში ადამიანის ექსტროგენური ქცევის განწყობას უქმნის. სულ სხვა სახისაა ფუნქციური მოთხოვნილებანი, (ადამიანის ორგანიზმის ერთ-ერთი თავისებურება აქტივობის მოთხოვნილებაში

მდგომარეობს). ამ მოთხოვნილებს საფუძველზე, (შესაბამის სიტუაციებში) ადამიანს შეუძლია თავისი შინაგანი ძალების გამოვლენა და რეალიზაცია, „ფუნქციური ტენდენციით უნდა აიხსნას ადამიანის ქცევის ისეთი ფორმები, როგორიცაა თამაში, გართობა, შემოქმედება და სხვა. ქცევის ამ ფორმებს დ. უზნაძე ინტროგენულ ქცევას უწოდებს ფუნქციურ მოთხოვნილებათა ზემოქმედებით, აღმოცენებული განწყობით ინტროგენური ქცევა ხორციელდება“. (გვ.21, 437)

დიდი პედაგოგი ანტონ სიმონის ძე მაკარენკო აღნიშნავს, რომ თამაში ძირითადად სამ სტადიას გაივლის თავისი განვითარების გზაზე. პირველი სტადია ეს არის ინდივიდუალური თამაში, ანუ ოთახში თამაში. ეს ძირითადად 5-6 წლის ბავშვებშია, როცა ისინი მარტონი თამაშობენ და არ ჩხუბობენ. არ უყვართ სხვებთან ერთად თამაში, და თუ ეს მოხდა ისინი ყოველთვის ჩხუბობენ, ართმევენ ერთმანეთს სათამაშოებს დასხვა.

მეორე სტადია ეს არის კოლექტიური თამაში, 6 წლიდან 11 -12 წლამდე, როდესაც ბავშვი გამოდის ეზოში და ამხანაგების ჯგუფთან ერთად თამაშობს.

მესამე სტადიაში, ბავშვი უკვე გვევლინება, როგორც კოლექტივის წევრი, ამასთან არა მარტო მოთამაშე კოლექტივისა, არამედ საქმიანისაც. თამაშიც უფრო მკაცრ ფორმებს იღებს და გადადის სპორტულ თამაშებში. იგი, უკვე არა მარტო ამ კოლექტივის წევრია, არამედ იბრძვის კიდეც ამ კოლექტივისთვის.(გვ. 9, 51)

სამივე სტადიის განვითარებაში მშობლების გავლენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ გავლენის მხრივ, პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ პირველი სტადია, როდესაც ბავშვი ჯერ კიდევ არ გამხდარა ამ კოლექტივის წევრი, გარდა ოჯახური კოლექტივისა.

მშობლების ყურადღება საჭიროა იმიტომ, რომ ბავშვი ერთი ამოცანიდა მეორეზე არ გადავიდეს პირველის დაუმთავრებლად. სუნდა ვეცადოთ, რომ თავისი საქმიანობა ბოლომდე მიჰყავდეს.

განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო თუ, როგორ ეპყრობა ბავშვი სათამაშოს, ამტრვრევს, უფრთხილდება, შეაკეთებს გაფუჭებულს და სხვა. თუ, ბავშვი სათამაშოს გატეხვის შემდეგ ჩავარდა სასოწარკვეთილობაში, მაშინ დედამ და მამამ უნდა ეცადონ გამოიყვანონ იგი. თვით თამაშის პროცესში მშობლებმა ბავშვებს უნდა მისცენ სრული თავისუფლება. მაგრამ, თუ თამაშის წესები აურია ბავშვმა და გადაუხვია მას, მაშინ მშობელი უნდა ჩაერიოს, რათა გასწორდეს.

ყოველი მშობელი ვალდებულია კარგად იცნობდეს თავისი შვილის ამხანაგებს, ვისთანაც უხდება ბავშვს ურთიერთობა.

სამივე სტადიაში ფხიზლად უნდა ადევნონ მშობლებმა ბავშვს თვალი, რომ თამაშმა არ შთანთქოს მისი მთელი სულიერი ცხოვრება, რომ პარალელურად შრომითი ჩვევებიც ვითარდებოდეს.

თამაშს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში, ეს არის შრომისათვის მზადება და ის თანდათან უნდა შეცვალოს შრომამ.

Nino Sarkisova

Iakob Gogebashvili state university, Telavi

Game as One of the Upbringing Methods of Child in a Family

Abstract

The principle of the labour upbringing process is the preparation of a child for the future life. Game is the independent form of action which represents the basis of early childhood period. It is the only reality in which a child lives and undergoes the developmental process. Games have the same importance in a child's life as labour carries in a young person's life. child's action during the game process is the same as the juvenile's action in labour. So the future upbringing process begins from the early period and is the preparatory period of labour.

საკვანძო სიტყვები: თამაში, აღზრდის მეთოდი, შრომა, ბავშვი, ოჯახი

Keywords: game, upbringing method, labour, child, family

ფრაზეოლოგიზმთა ერთი ჯგუფის კვალიფიკაციისათვის ქართულში

ფრაზეოლოგიას ნებისმიერ ენობრივ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და გამოხატავს ენის ლექსიკური მარაგის სიმდიდრეს. ფრაზეოლოგიზმები სტრუქტურულად მდგრადი, ექსპრესიულ-ემოციური შეფერილობის მქონე ენობრივი ერთეულებია, რომლებშიც ასახულია საზოგადოების აზროვნება, ისტორია, ფსიქოლოგია, ტრადიციები, ერის მიერ საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება (არლი თაყაიშვილი, 1961). ამა თუ იმ ენისა და ერის განვითარება, კულტურა კარგად ჩანს მის ფრაზეოლოგიაში და ამის გათვალისწინების გარეშე სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა ენასა და ერზე შეუძლებელია. ენა სარკეა საზოგადოებისა და ამაში „ლომის წილი“ უდევს ფრაზეოლოგიას. ამდენად, ფრაზეოლოგიზმთა შესწავლას ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტით დიდი მნიშვნელობა აქვს.

ადამიანი თავის ნებისმიერ ქცევას, განცდას, განწყობილებას, ემოციას და, საერთოდ, სულიერ მდგომარეობას, ძირითადად ენით გამოხატავს. თუ რა ხარისხით ახერხებს ის ამას, კარგად ჩანს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სიმრავლესა და დახვეწილობაში. ფრაზეოლოგიზმები მეტყველების განსაკუთრებული შესაძლებლობებია, რომელთა მეშვეობითაც ხდება რეალური სამყაროს აღქმა და ვერბალიზება.

ხატოვან გამონათქვამთა, ფრაზეოლოგიზმთა სიუხვითა და მრავალფეროვნებით ქართული ენა ერთ-ერთი მდიდარი და განვითარებული ენაა. მასში ასახულია ქართველი ხალხის უძველესი ისტორია და კულტურა. საკმაოდ რთული სტრუქტურის ენაში სოციალური, ენობრივი და ისტორიულ-კულტურული ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგად საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა და მტკიცედ ჩამოყალიბებული გამონათქვამების, მყარი შესიტყვებების სახით მკვიდრდებოდა ფრაზეოლოგიზმები. მათ შესწავლას მიეძღვნა არაერთი საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი, თუმცა ბევრი რამ ჯერ კიდევ საკვლევეია. შესასწავლია, მაგალითად, საკითხი, თუ როგორ, რა ენობრივი საშუალებებით გამოხატავს ადამიანი მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში განცდა-ემოციას, რომლის მოტივაციაც შეიძლება იყოს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი. საინტერესოა, ერთი მხრივ, საკითხი ამა თუ იმ სიტუაციის საფუძველზე გაჩენილი და ენაში დამკვიდრებული ფრაზეოლოგიზმების შესახებ და, მეორე მხრივ, როგორ ხდება უკვე არსებული ფრაზების გამოყენება სხვადასხვა სიტუაციის გამოსახატავად.

როგორც ცნობილია, ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კლასიფიკაციის ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული პრინციპია თემატური პრინციპი, ანუ ფრაზეოლოგიზმთა შინაარსის მიხედვით დაჯგუფება. ამ პრინციპის მიხედვით შეიძლება გაერთიანდეს ლექსიკონებსა და ზეპირ მეტყველებაში დადასტურებული ადამიანის ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ისეთი სიტუაციის ამსახველი გამოთქმები, როგორიცაა: შრომა-საქმიანობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ელდა-მოულოდნელობა, შიში (შეშინება), გაკვირვება-გაოცება, გაჩუმება, გაბრაზება-განრისხება, შეჩერება-დამორჩილება...

ჩვენს საანალიზო მასალაში გამოყოფთ სიტუაციური ფრაზეოლოგიზმების ორ შინაარსობრივ ჯგუფს, რომლებშიც გამოხატულია:

ა. ყოფითი და ფიზიკური მდგომარეობა: კაცობრიობის არსებობის დღიდან ადამიანის ყოფა-ცხოვრება, შრომა-საქმიანობა ასოცირდება დროსა და სივრცეში მოქმედებასთან, მოძრაობასთან. ყოველივე ეს დაკავშირებულია ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობასთან, ჯანმრთელობასთან. ამიტომ ამ სემანტიკის გამომხატველ ფრაზეოლოგიზმთა

კომპონენტებად, ჩვეულებრივ, გამოყენებულია სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინები (თავი, გული, თვალი, ენა, პირი, კბილი, ფეხი, ხელი, თითი, წელი, კუჭი...), აგრეთვე სხვა სიტყვებიც, მაგალითად, დროის აღმნიშვნელი ლექსემები (დღე და ღამე...).

ყოფითი და ფიზიკური მდგომარეობის გამომხატველ ფრაზეოლოგიზმებში ასახულია სხვადასხვა სიტუაცია, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი შეფერილობისა. კერძოდ:

ჯანმრთელობის მდგომარეობა:

ა) **სისუსტე-უღონობა, ავადმყოფობა:** ძალა გამოელია; ფეხზე ვერ დგება; თავი ხელში ვერ აიყვანა...

ბ) **სიძლიერე:** თავი ხელში აიყვანა; წელში გაიმართა...

შრომა-საქმიანობა:

ა) **ბეჯითობა:** მუხლჩაუხრელად შრომობს; წელებზე ფეხს იდგამს; ხელებდაკაპიწებული შრომობს; შრომაში დღესა და ღამეს ასწორებს; დღე და ღამე ფეხზე დგას...

ბ) **სიზარმაცე:** წელი სწყდება; ხელს არ ანძრევს; თითს თითზე არ აკარებს...

მოშიება-შიმშილი: თვალი უზნელდება; კუჭი უხმება (შიმშილით) ...

შეცივება: კბილს კბილზე აცემინებს; (სიცივისაგან) ხელ-ფეხი წაერთვა...

გაგდება-გაძევება: კუდიტ ქვა ასროლინა; თავიდან მოიშორა / მოიცილა; ციმბირი აქეთ დარჩება...

საინტერესოა, რომ ქართულში ერთი და იგივე ფრაზეოლოგიზმი შეიძლება გამოხატავდეს სხვადასხვა სიტუაციას. ასე იქმნება ომონიმური ფრაზეოლოგიური ერთეულები. მაგალითად, ფრაზა *ლაგამი ამოსდო* – გადატანითი მნიშვნელობის მქონეა და ნიშნავს შეჩერება-დამორჩილებას ზოგადად რაღაც მოქმედებაში. *ლაგამი* = აღვირის ნაწილი – ცხენის პირში ამოსადები რკინა, შუაზე სახსრიანი. პირდაპირი გაგებით გამოთქმა *ლაგამს ამოსდებს* ნიშნავს – ლაგამს გაუკეთებს პირში: *ცხენს ლაგამი ამოსდო* (ქეგლ, 1986: 274). იმავე ფრაზის მნიშვნელობა კიდევ უფრო შორს არის წასული და გამოყენებულია გაჩუმების სემანტიკის გამოსახატავადაც, ოღონდ ასეთ შემთხვევაში ფრაზაში აუცილებელია დამატებითი კომპონენტი **პირი**: *პირში ლაგამი ამოსდო*; აგრეთვე: ფრაზები *გული შეუწუხდა*, *გული უწუხს* მიუთითებს ადამიანის არაჯანსაღ მდგომარეობაზე, ანუ იგივეა, რაც *გული წაუვიდა* (ცუდად გახდა) და, მეორე მხრივ, *გული შეუწუხდა*, *გული უწუხს* აღნიშნავს რაღაც ან ვიღაცის მიზეზით შეწუხებული პირის მდგომარეობას.

ზოგიერთი ფრაზეოლოგიზმი სიტუაციურიც არის და ზოგადი მდგომარეობის გამომხატველიც. ასეთია, მაგალითად, *კუჭი უცხვება შიმშილით* / *კუჭი უხმება შიმშილით*, რაც ერთ შემთხვევაში გამოხატავს შიმშილის სიტუაციას, სხვა შემთხვევაში კი – სიღარიბეს (თედო სახოკია, 1979: 350); *გონს მოეგო* / *გონს მოვიდა* – ეს გამოთქმები ერთ შემთხვევაში გამოხატავს გრძნობაზე მოსვლას, ცნობიერების დაბრუნებას, გადატანითი მნიშვნელობით კი – ჭკუაზე მოსვლას, რისამე მიხვედრას (<https://sites.google.com/site/mygeolinguat/home/a>)... *გონს მოეგო* / *გონს მოვიდა* ფრაზათა ანტონიმურია გამოთქმა *გონება დაკარგა*, რომელიც იმავდროულად ომონიმურიც არის სიტუაციის მიხედვით: ერთ შემთხვევაში პირდაპირი მნიშვნელობითაა (სიტუაციურია), სხვა შემთხვევაში (ზოგადად) ნიშნავს განსჯის უნარის დაქვეითებას (არასიტუაციურია).

მაშასადამე, მოცემული ფრაზეოლოგიზმების სემანტიკური არეალი ფართოა, რაც ენაში არსებულ ფრაზეოლოგიზმთა ნაირგვარობასა და მრავალფეროვნებაზე მეტყველებს.

მხოლოდ ერთი მნიშვნელობის გამომხატველია ფრაზები: *გონება აერია* (<https://sites.google.com/site/mygeolinguat/home/a>), აგრეთვე *გული წაუვიდა* (თედო სახოკია, 1979: 117); *თვალი უზნელდება* / *თვალი უშავდება*... რომლებიც აღნიშნავს ჯანმრთელობის მდგომარეობას, კერძოდ, ცნობიერების, აზრის დაკარგვას, უგრძნობლად ყოფნას დროის გარკვეულ მონაკვეთში. ამგვარი სიტუაცია შეიძლება გამოწვეული იყოს ავადმყოფობით, უღონობით, შიშით, განცდითა და შიმშილითაც. შესაბამისად, ფრაზეოლოგიზმთა შექმნის მოტივაციაც სხვადასხვაგვარია.

ბ. გრძნობა-ემოციის გამოხატვა: ადამიანის ყოფა-ცხოვრება მოულოდნელობებით არის აღსავსე. ერთმანეთს ენაცვლება სიხარული და მწუხარება, ლხინი და ჭირი... ყოფის შესაბამისად, ემოციის საფუძველიც არის განსხვავებული, ამიტომ მეტყველი ინდივიდი სხვადასხვა სიტუაციაში ემოციას სხვადასხვაგვარად გამოხატავს: უხარია ან წუხს, დარდობს, უკვირს, ბრაზობს... ამის საფუძველზეა შექმნილი ფრაზეოლოგიზმთა „საოპოზიციო ცალები, ანტონიმური შინაარსის ერთეულები (მაგალითად: *დაავადების დაძლევა / დამარცხება – დაავადების შებრუნება...*)“ (ქეთევან გოჩიტაშვილი, 2012). ეს ძალიან კარგად ჩანს სიტუაციურ ფრაზეოლოგიზმებშიც. ამის მიხედვით შეიძლება გამოიყოს ფრაზეოლოგიზმები, რომელთა მეშვეობით გადმოცემულია:

მოულოდნელობა:

ა) **ელდა, მწუხარება:** *თავზარი დაეცა; თავზე მეხი დაეცა; თავზე ცა ჩამოექცა; თმა ყალყზე დაუდგა; ცივი წყალი გადაესხა...*

ბ) **სიხარული:** *თვალები გაუბრწყინდა; თვალებში სიხარული ჩაუდგა; მეცხრე ცაზეა / ცას ეწევა; მიწაზე ფეხს არ ადგამს; გულზე ვარდი დაეფინა...*

აქ გვაქვს სწორედ ანტონიმური მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმები: ელდა-მწუხარებისა და სიხარულის თანმხლებ ემოციათა ენობრივი გამოხატულება სრულიად განსხვავებულია, ფორმალურად გამიჯნულია.

საინტერესოა, რომ მეტისმეტად სასიხარულო, სასიამოვნო შემთხვევას ადამიანი უკავშირებს მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ მოვლენას და ასე ახდენს ამ შემთხვევებით გამოწვეულ განცდათა ვერბალიზებას. ქრისტეს აღდგომას, ადამიანის ამქვეყნად მოვლინებას უკავშირდება ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: *აღდგომა გაუთენდა* (<https://sites.google.com/site/mygeolingua/home/a>); *მეორედ დაიბადა* (ალექსანდრე ონიანი, 1966: 111).

როგორც უკვე აღინიშნა, ქართულში ზოგჯერ ერთი და იგივე ფრაზეოლოგიზმი გამოიყენება სხვადასხვა სიტუაციაში. ასეთია, მაგალითად, *ცრემლები / მოერია / წასკდა / ცრემლები წასცვივდა* (ქეგლ, 1986: 557; 559). ეს ფრაზა დადებით ემოციასაც გამოხატავს და უარყოფითსაც სხვადასხვა კონტექსტში. იგი ითქმის როგორც სიხარულის, ისე მოულოდნელი უარყოფითი ემოციის, ელდის, დროს. ამიტომ ენაში გაჩნდა მოთხოვნილება, რომ გამიჯნულიყო სხვადასხვა ემოციის გამომხატველი ერთი და იგივე ფრაზა და სიხარულის გამომხატველს დაემატა სიტყვები **სიხარულის / სიხარულისგან**. მაგალითად: *ქალს სიხარულის / სიხარულისგან ცრემლები მოერია / წასკდა / წასცვივდა...*

სინანული: *თითზე იკბინა; ენაზე იკბინა; თავში ხელებს იცემს...*

გაჩუმება-დადუმება: *ენა (პირში) ჩაუვარდა; პირში ბურთი ჩაიჩარა, ანგელოზმა ჩამოიარა (უცებ სიჩუმე ჩამოვარდა, სიჩუმეა, ხმას არავინ არ იღებს)...*

დაზნევა-უმოქმედობა: *თავგზა აერია / თავგზა აებნა; ტვინი აერია; ტვინი გადაეკეტა; თავი გაუჩერდა; თავი არ მუშაობს...*

მოტყუება: *ანკესზე წამოეგო, ბადეში გაება / გაეხვია...*

გაკვირვება-გაოცება: *(გაოცებისგან) თვალები შუბლზე აუვიდა; პირი ღიად დარჩა / პირი დაალო, პირს კატა ეცა (არასასიამოვნო მოულოდნელობისაგან)...*

ამ შემთხვევაშიც გაკვირვება-გაოცების საფუძველი შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი და ფრაზეოლოგიზმიც შესაბამისი შინაარსისაა.

გაბრაზება-განრისხება: *თვალები გადმოსცვივდა; თვალები გადმოეკარკლა; თვალები დაქაჩა; თვალებში სისხლი მოაწვა / თვალები სისხლით აევსო; თვალები ჩაუსისხლიანდა; თვალებიდან ცეცხლს ყრის; პირიდან ცეცხლს ყრის; გული ყელში მოეჭვინა; გული მოუვიდა; გულზე გასკდა...*

მიუხედავად არსებული შეხედულებისა, რომ ნებისმიერი ფრაზეოლოგიზმი ამა თუ იმ სიტუაციის გამომხატველია, და ეს შეიძლება ნაწილობრივ ასეც იყოს, ანუ ფრაზაში ზოგადად იყოს ასახული ბუნებრივი კანონზომიერებით შექმნილი ესა თუ ის სიტუაცია, მაგალითად, **დაზალება** (*მოევილინა ქვეყანას...*) და **გარდაცვალება** (*მიაბარა სული უფალს; მზე დაუბნელდა...*) (ალექსანდრე ონიანი, 1966: 113), მიგვაჩნია, რომ ენაში არსებობს ამა თუ იმ

კონკრეტულ სიტუაციაში შექმნილი, შემდგომ უშუალოდ იმ სიტუაციით გამოწვეულ ემოციათა (განცდათა, შეგრძნებათა...) ამსახველი ფრაზეოლოგიზმები. ვფიქრობთ, სტატიაში განხილული მასალა იძლევა ამის თქმის საშუალებას. ისიც ცხადია, რომ ნებისმიერ სიტუაციას სპონტანურად, მყისიერად მოჰყვება ხოლმე ადამიანის ბუნებრივი რეაქცია, რაც საფუძვლად ედება ენაში სიტუაციური ფრაზეოლოგიზმების შექმნას. არსებობს სხვა გზაც: ენა იყენებს უკვე დამკვიდრებულ გამოთქმას, ფრაზას, ანიჭებს მას დამატებით სემანტიკურ დატვირთვას და მოარგებს ხოლმე შესაბამის სიტუაციას; ზოგჯერ შეიძლება ერთი და იგივე ფრაზაც იქნეს გამოყენებული განსხვავებული სიტუაციიდან გამომდინარე ემოციის გამოსახატავად.

ყოველგვარი ემოცია დაკავშირებულია ადამიანის მენტალობასთან, შინაგან სამყაროსთან, ჯანმრთელობასთან. ამიტომ, ბუნებრივია, სხვა ენათა მსგავსად ქართულშიც ასეთი ფრაზეოლოგიზმები ძირითადად სომატურია. მართალია, სიტუაცია ყველგან ერთია, ემოციაც მეტ-ნაკლებად მსგავსი, მაგრამ განსხვავებულია გამოხატვის ენობრივი ფორმა და საშუალებები, რასაც განსაზღვრავს ბევრი რამ: სოციალური გარემო, საზოგადოების განვითარება, კულტურა, ადამიანის ბუნება, ტიპი... რაც მეტია ემოცია, შეიძლება მით მეტი იყოს მისი ენობრივი გამოხატვის პერსპექტივა და, პირიქით, დიდმა გრძნობამ შეიძლება „დაამუნჯოს“ ადამიანი (შდრ.: *ენა ჩაუვარდა, ენა გადაყლაპა, ენა ვერ დაძრა...*). ამგვარ პირობათა გათვალისწინება გვაფიქრებინებს, რომ სიტუაციურ ფრაზეოლოგიზმთა შესწავლასთან დაკავშირებული პრობლემატიკა სცდება ლინგვისტიკის სფეროს და ფსიქოლინგვისტიკაში გადადის.

ლიტერატურა

- გოჩიტაშვილი ქ. (2012): ადამიანის ფიზიკური და მენტალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები ქართულ და ინგლისურ ენებში: „სპეკალი“ (რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი), №6, თსუ, ჰუმან. მეცნ. ფაკ., თბილისი; <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/6/54>
- თაყაიშვილი ა. (1961): ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
- ონიანი ალ. (1966): ქართული იდიომები. გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი.
- სახოკია თ. (1979): ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. გამომცემლობა „მერანი“. თბილისი.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული). 1986. თბილისი.
- <https://sites.google.com/site/mygeolingua/home/p>

Rusudan Saginadze

Akaki Tsereteli State University, Kutaisi

Recep Tayyip Erdogan Rize State University, Turkey

One Group of Phraseology for Qualification in Georgian

Abstract

Human beings express their behavior, impressions, attitudes, emotions and spiritual conditions in general by the means of language. The manner by which individuals manage the above mentioned task is clearly seen in the multiplicity and sophistication of phraseological entities. Georgian Language is one of the most advanced languages in terms of diversity of figurative expressions. A long history and culture of Georgian Nation is being reflected in those figurative expressions.

In the given article we examine some of the situational phraseology cases that are grouped according to one of the oldest and traditional principle of phraseology entities classification –

principle of thematic classification; some expressions of everyday life experiences that were detected based on dictionaries and verbal speeches are examined such as: labor, health condition, unexpectedness, surprise-amazement, silence, irritation-rage, confusion-inaction...

Examination of situational phraseology examples helps us in figuring out factors that cause particular cases of phraseology, how everyday life situations and spiritual conditions are being reflected-expressed by their means. Each of the emotions are closely linked with human mentality, inner world and health.

A conclusion in the given article states that likewise other languages, situational phraseologies in Georgian are somatic, that is to say, one of the components of such type of expression designate different parts of human body (heart, eye, head, tongue, mouth, hand, leg...).

Keywords: linguistic, existence, emotion, somatic, semantics, component.

საკვანძო სიტყვები: ენობრივი, ყოფა, ემოცია, სომატური, სემანტიკა, კომპონენტი.

ქეთევან სვანიძე, მაია ბოლქვაძე

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

სტერეოტიპები - სოციალური იდენტურობის მარკერები კულტურათაშორის კომუნიკაციაში

სოციალური ურთიერთობების ლინგვოკულტურული სპეციფიკა გარკვეულ სამოქმედო სტრატეგიებსა და შინაარსებს მოიცავს. საზოგადოებაში არსებული ტრადიციების გავლენით ჩამოყალიბდა აზროვნებისა და მეტყველების ფორმა, რომელიც ერთგვარად გამარტივებული და განზოგადოებული მოდელების გამოყენებით ცალკეული მოვლენის, ჯგუფის ან პროცესის მარკირებას ახდენს. ასე მიიღება მოდელი, ფორმა თუ შინაარსი - სტერეოტიპი, რომელიც დაინტერესებული მხარეების მიერ კონკრეტული აზრის მკაფიო და შინაარსობრივად დატვირთული ტრანსლირების ხერხს წარმოადგენს. ამავდროულად სტერეოტიპი, როგორც ინდივიდუალური და ამავდროულად ავტონომიური ფენომენი, სხვადასხვა ჯგუფების ინტერაქციისა და მარკირების ფართოდ გავრცელებულ ხერხს წარმოადგენს.

სტერეოტიპის კვლევა ინტერდისციპლინარულ ხასიათს ატარებს და ხშირად არის არა მარტო ლინგვისტიკის, არამედ სოციოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფსიქოლოგიის და სხვა მეცნიერებების ინტერესის ობიექტი. ცალკეულ დარგში სტერეოტიპში გამოიყოფა ის თავისებურებები, რომლებიც საყურადღებოა კონკრეტული მიმართულების, ან კვლევისათვის. ამიტომ გამოიყოფა სოციალური, ურთიერთობის, მენტალური, კულტურული, ეთნოკულტურული და სხვა სახის სტერეოტიპები. სოციალური სტერეოტიპები გამოიხატება პიროვნების აზროვნებასა და ქცევაში. ეთნოკულტურულ სტერეოტიპებს წარმოადგენს ამა თუ იმ ერისთვის დამახასიათებელი ტიპური ნიშნების განზოგადებული წარმოდგენები. გერმანელების *აკურატულობა*, ჩინელების *ცერემონიალურობა*, აფრიკელების *ტემპერამენტი*, იტალიელების *ფეთქებადობა*, ფინელების *სიჯიუტე*, ესტონელების *სიზანტე*, პოლონელების *გალანტურობა* და ა.შ. - სხვა არაფერია თუ არა ერის შესახებ წარმოქმნილი შეხედულება, რომელიც მის თითოეულ წარმომადგენელზე ვრცელდება.

ტერმინი სტერეოტიპი ორი ბერძნული სიტყვისაგან შედგება: στερεός (სტერეოს) მტკიცე, მყარი, ფართო; და τύπος (ტიპოს) - ანაბეჭდი. სამეცნიერო მიმოქცევაში მისი

შემოტანა ამერიკელ სოციოლოგს, უოლტერ ლიპმანს (Walter Lippmann) უკავშირდება. წიგნში „Public Opinion“ (1992 წ.), წარმოდგენილია ავტორის ხედვა სტერეოტიპის ადგილისა და როლის შესახებ საზოგადოებრივი აზრის სისტემაში. უ. ლიპმანის „საზოგადოებრივი აზრის“ მიხედვით არსებული სამყაროს აღქმის მიზნით ადამიანი გარკვეულ სურათს ქმნის საკუთარ აზროვნებაში ისეთ მოვლენებზე, რომლებთანაც არ ჰქონია პირდაპირი კავშირი. შესაბამისად, ადამიანს სხვადასხვა მოვლენებზე გარკვეული წარმოდგენა უჩნდება მათთან შეხებამდე. მსგავსი წარმოდგენა-სტერეოტიპი ყალიბდება იმ კულტურული გარემოს ზემოქმედებით, რომელშიც იგი იმყოფება. სტერეოტიპები სამყაროზე ერთიანი წარმოდგენის შექმნაში, ჩვენი სოციალური, გეოგრაფიული და პოლიტიკური ჩარჩოებიდან გასვლაში გვეხმარება (Lippmann 1922:95).

განსხვავებით კულტუროლოგიური მიდგომისაგან, სტერეოტიპის სიმბოლურ შინაარსზე აკეთებს აქცენტს ი. სოროკინი (Ю.А. Сорокин). ის სტერეოტიპს განსაზღვრავს, როგორც განსაზღვრული სემიოტიკური მოდელების შესაბამისად ურთიერთობის პროცესსა და შედეგს. შეიძლება ითქვას, რომ სტერეოტიპიზაცია ინდივიდის მიერ განიხილება როგორც სტანდარტი და ნორმა, ამასთან, სტანდარტი წარმოადგენს გარკვეული სემიოტიკური თუ ტექნოლოგიური მოდელების რეალიზებას სოციალური თუ სოციალურ-ფსიქოლოგიურ დონეებზე; ნორმა კი წარმოადგენს ასეთი მოდელების რეალიზებას ენობრივ და ფსიქოლოგიურ დონეებზე. ასეთი გაგება საშუალებას გვაძლევს დავანაწევროთ ენობრივი და არაენობრივი ქცევები და ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სტანდარტი არის არაენობრივი, სოციო-ფსიქოლოგიური რეალობა, რომელიც ენობრივ დონეზე არსებობს და გამოიხატება ნორმით. სტერეოტიპი კი არის საერთო ერთეული, რომელიც თავის თავში ნორმასაც და სტანდარტსაც აერთიენებს (Сорокин 1988: 25).

სტერეოტიპს კულტურულ ფენომენად მიიჩნევენ ასევე მეცნიერები ჯ. ნაჰბარი და კ. ლაუზე (J. Nachbar, K. Lause). წიგნში „Popular Culture: An Introductory Text“ (1992წ.), ისინი აღნიშნავენ, რომ სტერეოტიპები წარმოადგენენ მასობრივი კულტურის შემადგენელ ნაწილს. ისინი შეიძლება ჩამოყალიბდნენ ასაკთან მიმართებით, მაგალითად, *ახალგაზრდები მხოლოდ როკ-ენ-როლს უსმენენ*, სქესთან მიმართებით - *ყველა კაცი ქალისაგან მხოლოდ ერთს ითხოვს*, რასასთან მიმართებით - *ყველა იაპონელი ერთმანეთს გავს*, რელიგიასთან მიმართებით - *ისლამი ტერორის რელიგიაა*, პროფესიასთან მიმართებით - *ყველა ადვოკატი გაიძვერაა* და ეროვნებასთან მიმართებით - *ყველა ებრაელი ძუნწია*. უმეტეს შემთხვევაში სტერეოტიპები ნეიტრალური ხასიათისაა, თუმცა მათი ერთი პიროვნებიდან ხალხის მთელ ჯგუფზე გადატანისას უარყოფით შეფერილობას იძენს. სწორედ სტერეოტიპზეა აღმოცენებული ისეთი მოვლენები, როგორიცაა რასიზმი, ისლამოფობია და სხვ. (Nachbar, Lause 1992: 237).

მეცნიერთა ნაწილი სტერეოტიპს კულტურასთან აიგივებს. ასე, მაგ., ტ. სტეფანენკოს მტკიცებით, კულტურა არის ადამიანის მიერ გათავისებული და განხორციელებული გამოცდილება. თვით გამოცდილება კი წარმოადგენს ცოდნის ერთიანობას, რომელიც გადაზრდილია ნებისმიერ სიტუაციაში ვარგის სამოქმედო მოდელში. ეს არის პროგრამა, რომლის გამოყენებაც დაშვებულია ნებისმიერი წამოჭრილი ამოცანის ამოსახსნელად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კულტურა შეიძლება განვიხილოთ როგორც სტერეოტიპთა გარკვეული ერთიანობა, რომელიც განსაზღვრავს და ამით ზღუდავს ადამიანის მოქმედებას ნებისმიერ პირობებში (Стефаненко 1999:320).

ეთნიკური ცნობიერებისა და კულტურის, როგორც ადამიანის ქცევის მარეგულირებლის, ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც თანდაყოლილი ასევე შეძენილი ფაქტორები. ეს ის კულტურული ფაქტორებია, რომლებიც იმ მომენტიდანვე აღიქმება, როცა ადამიანი საკუთარ თავს მოცემული ჯგუფის წევრად გააცნობიერებს ან, ამის საპირისპიროდ, ნებისმიერი სხვა ადამიანს ამა თუ იმ მახასიათებლისგან დამოუკიდებლად, მხოლოდ იმიტომ, რომ ამა თუ იმ ეროვნული თუ სოციალური ჯგუფის წევრია, ამ მახასიათებლების მატარებლად მოიაზრებს. ასე რომ, ჩვენ ვცხოვრობთ იმ სტერეოტიპთა გარემოცვაში, რომლებსაც ჩვენი კულტურა განაპირობებს.

”უმეტეს შემთხვევებში მოვლენას მასთან შეხების შემდეგ კი არ ვაფასებთ, არამედ პირიქით, ჯერ ვაფასებთ მას და მერე ვხვდებით. გარე სამყაროში მიმდინარე მოვლენათაგან მეხსიერებაში გვრჩება მხოლოდ ის, რასაც ჩვენი კულტურა გვახვევს თავს და ჩვენ ტენდენციურად ვღებულობთ ამ ინფორმაციას სტერეოტიპის ფორმით” (Lippmann 1922:68).

სტერეოტიპების ანალიზის დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას სტერეოტიპისა და კონკრეტული მოვლენებისა თუ ფაქტების ურთიერთმიმართება წარმოადგენს. ასევე საყურადღებო საკითხს წარმოადგენს სტერეოტიპის გამძლეობა. ანუ რამდენად უცვლელად რჩება ის მიმოქცევაში ან რა პერიოდის შემდეგ ქრება. კულტურებისა და ეროვნებების განზოგადოება შესაძლოა სიამაყის, სიბრაზის ან უბრალოდ წარუმატებელი ხუმრობის წყაროდ იქცეს.

ამასთან დაკავშირებით, სოციოლოგი უ. ლიპმანი აღნიშნავს, რომ სტერეოტიპი ისე „მყარად“ გადაეცემა თაობებს, რომ ხშირად რეალობად, ბიოლოგიურ ფაქტად აღიქმება და თუკი პირადი გამოცდილება მოცემულ სტერეოტიპს ეწინააღმდეგება „მოუქნელი“ ადამიანი, რომელიც გარკვეულ მიზეზთა გამო არაა დაინტერესებული უკვე არსებული წარმოდგენის შეცვლაში, უბრალოდ იგნორირებას უწევს ამ სხვაობებს ან ჯიუტად უარყოფს მათ. უფრო ადაპტირებადი ადამიანი კი რეალობისკენ იხრება და ცვლის თავის წარმოდგენას (Lippmann 1922:66).

უ. ლიპმანი სტერეოტიპებს ერთგვარად ყალბ წარმოდგენად მიიჩნევს. თუმცა მისი აზრით სტერეოტიპი შესაძლოა იყოს სრული ან ნაწილობრივი სიმართლე. როგორც ის აღნიშნავს, „სტერეოტიპების სისტემა შესაძლოა ჩვენი პირადი ტრადიციის ღერძია, რომელიც იცავს ჩვენს ადგილს საზოგადოებაში. ასევე სტერეოტიპი საშუალებას გვაძლევს უფრო მარტივად და, რაც მთავარია, უფრო სწრაფად აღვიქვათ სამყარო” (Lippmann 1922:64). საკითხის ამგვარი დასმა ანალიტიკურ პროცესს გარკვეულ ალგორითმებთან აახლოებს, ანუ თუკი ალგორითმი მათემატიკური ამოცანების ამოხსნისას ადამიანის აზრის ეკონომიას ახდენს, სტერეოტიპული სურათი პიროვნების დროის ეკონომიას ახდენს ამა თუ იმ მოვლენის შეფასებისას. მაგალითად, თუ დავეყრდნობით მასმედიაში გამოყენებულ ფორმებს, საქართველოზე საუბრისას ასოციაციურად აქტიურდება ისეთი კონსტრუქციები, როგორიცაა *საქართველო ღვინის, სიმღერისა და პოეზიის ქვეყანა, განთქმული ქართული სტუმართმოყვარეობა, გრძელი და შინაარსობრივად დატვირთული სადღეგრძელოები* და სხვა.

თუმცა ეს სტერეოტიპები ძალიან ფრთხილად უნდა იქნეს აღქმული. საზოგადოება გაცილებით უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე მათზე წარმოქმნილი და ხშირად უარყოფითი სტერეოტიპები. პოპულარული რწმენების ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ის, რომ საქართველო ტრადიციების ქვეყანაა. ეს არის ტურისტული ბროშურების ძირითადი სამიზნე, რომელიც რეალობას ეყრდნობა. თუმცა ყოველდღიურ პირად ცხოვრებაში ქართველები გაცილებით ნაკლებად მიჰყვებიან ტრადიციებს ვიდრე სხვა რომელიმე ერი.

სტერეოტიპები როგორც პიროვნულ, ისე საზოგადოებრივ დონეზე მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ. ამავდროულად, სტერეოტიპს თავისი სპეციფიკისა და განზოგადების გამო სამყაროს სრულფასოვანი აღქმის პროცესში მნიშვნელოვანი კორექტირება შეაქვს, თუმცა მაგალითად, სოციოლოგების აზრით, სტერეოტიპები ერთგვარი ფუნდამენტია, რომელიც, შესაძლოა შემდგომი ურთიერთობების საფუძველი გახდეს. სტერეოტიპები, როგორც ხერხი და საშუალება, სხვადასხვა სახით გამოიყენებოდა. წარსულში მეზობელი სახელმწიფოების შესახებ იუმორისტული ხასიათის ცნობები მათ სახელმწიფოებრივ სტატუსთან იყო დაკავშირებული, ან ევროპელები თავისებურად მარკირებდნენ სხვა რელიგიის მიმდევრებს, ან საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს.

უ. ლიპმანის დროიდან მოყოლებული, მეცნიერებს სტერეოტიპიზაციის აუცილებელ და სასარგებლო ფსიქოლოგიურ ფუნქციად დიდი და რთული ინფორმაციის გამარტივება და სისტემატიზაცია მიაჩნიათ. სწორედ იმ ინფორმაციისა, რომელსაც ადამიანი გარემოდან იღებს. ასე, „რესურსების შენახვის“ თეორიის მიმდევრები სტერეოტიპიზაციის მთავარ დანიშნულებას ინდივიდების მიერ მაქსიმალური ინფორმაციის აღქმაში ხედავენ

მინიმალური ინტელექტუალური ენერგიის დახარჯვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალური შემეცნების პროცესში, სტერეოტიპები ინდივიდებს თავიდან აცილებენ სოციალური სამყაროს ინტერპრეტაციას მთელი თავისი სირთულით, მაგრამ წარმოადგენენ სოციალური რეალობის შესახებ წარმოდგენების უმდაბლეს ფორმას.

ზოგადად, სტერეოტიპებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ადამიანის მიერ სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ან პროცესების შეფასებისას, გამომდინარე იქედან, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები მათ გონებაში შექმნილი და ჩადებული სტერეოტიპების შესაბამისად იქცევიან. უ. ლიპმანის აზრით, სტერეოტიპები გვეხმარებიან იმაში, რომ არ გადავტვირთოთ ჩვენი ფსიქიკა უსარგებლო დეტალებით. ისინი საზოგადოებაში ორიენტირების საშუალებას გვაძლევენ ჩვენს გონებაში არსებული წარმოდგენების საფუძველზე. გარდა ამისა, გვეხმარებიან თვითიდენტიფიცირებასა და საკუთარი თავის რომელიმე კონკრეტული ჯგუფისადმი მიკუთვნებაში. ხშირ შემთხვევებში ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, უშუალო პიროვნული კონტაქტის ნაკლებობას განიცდიან, თუმცა ამ ნაკლს ადამიანები მათ გონებაში არსებული წარმოდგენებით - სტერეოტიპებით ავსებენ (Lippmann 1922:60).

სოციოლოგ უ. ლიპმანის აზრით, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ იქცევიან ადამიანები სტერეოტიპების შესაბამისად, არის ის, რომ სტერეოტიპების სისტემა შეიძლება ჩვენი პირადი ტრადიციის ბირთვს წარმოადგენდეს და შესაბამისად წარმოადგენს პიროვნების საზოგადოებაში დამკვიდრების საშუალებას. სამყაროს სტერეოტიპული სურათი შეიძლება არასრული იყოს, მაგრამ ეს ის რეალობაა, რომელიც ჩვენ გავითავისეთ და შევისისხლხორცეთ. ასეთ სამყაროში ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს და გარშემომყოფი საზოგადოების ქცევა ჩვენთვის სავსებით მოსალოდნელია. სწორედ ამიტომ, სტერეოტიპების შეცვლის ან მსხვრევის მცდელობა სხვა პირების მხრიდან ჩვენს მიერ ტრაგედიად განიხილება. როგორც მეცნიერი აღნიშნავს, ადამიანის თავში არსებული ნიმუშები გარკვეული ფსევდოსამყაროა. სამყარო, რომელთანაც ადამიანები პოლიტიკური თვალსაზრისით ვურთიერთობთ, მათი შეხედულებების მიღმა არსებობს. ჯერ მისი გამოკვლევა, აღწერა და წარმოდგენაა საჭირო. მაგრამ ადამიანს არ შეუძლია მისი არსის სრულად აღქმა. მას მხოლოდ იმ ნაწილის აღქმა და გაგება შეუძლია, რომელიც მისთვის საკმარისია მთელი ცხოვრების მანძილზე. მაგრამ სწორედ ადამიანმა შექმნა ის მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია იმის დანახვა, რაც თვალთ მიუწვდომელია და იმის გაგონება, რაც ყურით მიუწვდომელია, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია უკიდურესად დიდისა და მცირეს აღქმა. თავისი სულიერებით ადამიანი სწავლობს სამყაროს, უდიდესი ნაწილის დანახვას, რომელიც მანამდე არ დაუნახავს, არ შეხებია, არ გაუგონია ან დაუმახსოვრებია. ასე ქმნის ადამიანი საკუთარ თავში მიუწვდომელი სამყაროს თავისებურ სურათს. უ. ლიპმანი მკითხველს იმის შეგრძნებას უყალიბებს თუ რაოდენ მწირია შეფასება მასობრივი ინფორმაციის წყაროებში არსებულ მონაცემებთან შედარებით. ჭეშმარიტი სამყაროს სურათის შექმნის მცდელობა ფუჭი საქმიანობაა. რეალური გარემო იმდენად რთული, მიუწვდომელი და ამოუწურავია, რომ შეუძლებელია მისი ერთიანად აღქმა. ადამიანი არასაკმარისადაა შეიარაღებული იმისათვის, რომ ეს მოახერხოს და ამიტომ მას უწევს არსებული რეალობის რეკონსტრუქცია და გამარტივებულად აღქმა” (Lippmann 1922:14).

განსხვავებული შეხედულებების მქონე ხალხი ერთსა და იმავეს სხვადასხვაგვარადხედავს. გარდაუვალი რედუქციის სირთულებთან ერთად სელექციური აღქმის შემთხვევას ვაწყდებით. სელექციური აღქმა და ადამიანის ლტოლვა იმისაკენ, რომ კოგნიტიური დისონანსი აცილებულ იქნეს, წარმოადგენს სახეცვლილი რეალობის საფუძველს. ”ჩვენი კოდექსის ცენტრში არსებული სტერეოტიპული მოდელი ჩვენთვის სასურველი რეალობის აღქმას განსაზღვრავს” - ამტკიცებს უ. ლიპმანი „ასე მაგალითად კაპიტალისტი ამა თუ იმ ფაქტს ერთი მხრიდან ფასებს და აღიქვამს, მაშინ როცა მისი სოციალისტი ოპონენტი იგივე ფაქტის მეორე მხარეს განიხილავს. თითოეული მათგანი საკუთარ მოწინააღმდეგეს სულელად მიიჩნევს და ეს ხდება იმ პირობებში, როცა რეალური

სხვაობა არა ფაქტის შინაარსში მდგომარეობს, არამედ მისი აღქმის სხვადასხვაგვარობაში” (Lippmann 1922:20).

“სტერეოტიპი”, “სიმბოლო”, “ნიმუში”, “ფანტაზია” - ეს არის ტერმინები, რომლებითაც უ. ლიპმანი ცდილობს ახსნას, თუ რომელი მასალისაგან იგება ე.წ. ფსევდოსამყარო - ბერკეტები, რომლებიც კრისტალიზაციის დიდი პროცესების შედეგად წარმოიქმნებიან. საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ყველაზე გავრცელებული მექანიზმები ისინია, რომლებიც ქმნიან და განამტკიცებენ სტერეოტიპების რეპერტუარს. უკვე არსებული სტერეოტიპი ამა თუ იმ მოვლენის შესახებ მოგვითხრობს მანამ, სანამ მასთან უშუალო შეხება გვაქვს. სტერეოტიპი არის საკმაოდ შეზღუდული ინდივიდუალური თუ ჯგუფური ინფორმაცია, რომელსაც საზოგადოება ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებს; ასევე ის არის ზოგიერთი სპეციფიკური მოვლენა, რომლებიც წარმოიშვება პიროვნებათშორის ურთიერთობაში - სუბიექტური არჩევითობა, „ნორმები“, შეხედულებები და ა.შ. ამ თვალსაზრისით სტერეოტიპები წარმოადგენენ განსხვავებული ინდივიდუალური და ჯგუფური გამოცდილების აკუმულირებულ მთლიანობას, რომელიც ასახავს სოციალურ-პოლიტიკურ შედარებით საერთო ან ზოგად, განმეორებად თავისებურებასა და მახასიათებლებს. საჭირო გამოცდილების აშკარა ინფორმაციულ-ანალიტიკური უკმარისობა, წარმოადგენს სტერეოტიპების ფორმირებისა და გამოყენების „იძულებით“, „გარდაუვალ“ საფუძველს (Lippmann 1922:22).

ბრიტანელი ფსიქოლოგი ჰ. ტეჟელი (Henri Tajfel) განსაკუთრებით აღნიშნავდა იმას, რომ სტერეოტიპებს შეუძლიათ ინდივიდის არამარტო ღირებულებების, არამედ მისი სოციალური იდენტურობის დაცვა. აქედან გამომდინარე, სტერეოტიპიზაციის ძირითად სოციო-ფსიქოლოგიურ ფუნქციად, მეცნიერის აზრით, უნდა მივიჩნიოთ ჯგუფთაშორისი დიფერენციაცია, ან შეფასებითი შედარებანი, უმეტესად საკუთარი ჯგუფის სასარგებლოდ და მისი დახმარებით დადებითი სოციალური იდენტურობის მხარდაჭერა. სხვაგვარად - სტერეოტიპი გამიზნულია ჯგუფის განწყობის მოსაგვარებლად, უპირველესად ყოვლისა თვით ამ მოცემული ჯგუფის შიგნით და არა სხვა ჯგუფებთან, რითაც მის წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ მოახდინონ საკუთარი თავის იდენტიფიცირება ისტორიის ორომტრიალში. „გავიხსენოთ კლასიკური: ჩვენ - არ ვართ მონები, მონები - არ არიან ჩვენ შორის. ამ თვალსაზრისით სოციალური სტერეოტიპების უმთავრესი ამოცანაა თუნდაც სიმბოლური, მაგრამ სოციალური საზოგადოების მთლიანობა“ (Tajfel 1981:110).

სტერეოტიპები რეაგირებენ ახალ ინფორმაციაზე, განსაკუთრებით კი დრამატულ მოვლენებზე. სტერეოტიპი იცვლება მაშინ, როდესაც ხდება რომელიმე ფაქტის/რეალობის მოცულობითი უარყოფელი/საწინააღმდეგო ინფორმაციის აკუმულირება (Мельник 1996:6). საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის არსებობის მანძილზე, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ საზოგადოების ცხოვრების სოციალური პირობების ცვლილებასთან ერთად იცვლებოდა როგორც სოციალური სტერეოტიპები, ისე მათი შინაარსი. ასე მაგ., არსებობდა მრავალი ლოზუნგი, რომელიც თავის მხრივ ასაზრდოებდა სტერეოტიპებს, რაც, თავის მხრივ, სოციალისტური სისტემის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდნენ: *“ვინც არ მუშაობს, არ ჭამს!”*, *“ეკონომიკა უნდა იყოს ეკომონომიური!”*, *“ცხოვრება უფრო უკეთესი გახდა, ცხოვრება უფროხალისიანი გახდა!”*, *“ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს”* და სხვა მრავალი. ისტორიული პროცესებისა და ახალი რეალობის გავლენით წარსულში არსებული მიდგომებისა და იდეოლოგიური სისტემების გადახედვა მოხდა, რამაც, ერთგვარად, წარსულის ნიჰილისტური გაგება გამოიწვია. საბჭოთა საქართველოს პერიოდის სტერეოტიპები დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდის ისეთმა სტერეოტიპებმა ჩაანაცვლეს, როგორიცაა: *„დასავლეთი გადაგვარჩენს“*, *„მთავრობის წევრების შვილები საზღვარგარეთ ცხოვრობენ“* და სხვ.

დ. ბარ-ტალის (Bar-Tal D.) მოსაზრებით, სტერეოტიპთა ფორმირებასა და ცვლაზე მოქმედ ფაქტორთა პირველ კატეგორიას მაკრო-სოციალური ცვალებადი სიდიდეები მიეკუთვნება. მეცნიერის აზრით, სტერეოტიპთა ფორმირებისა და ცვლის პროცესს შემდეგი ერთეულები განსაზღვრავენ: საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური

პირობები, ჯგუფთაშორისი ურთიერთობების ბუნება და ისტორია, გარე ჯგუფების მახასიათებელი თვისებები და მათი ქცევები. ამათგან, სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები და ეკონომიკური პირობები სწორედ ის ფაქტორებია, რომლებიც აჩქარებენ ან აფერხებენ კონკრეტული სტერეოტიპული წარმოდგენის ფორმირებას ან ცვლას. ჯგუფთაშორისი ურთიერთობების ბუნება და ხასიათი ამ ჯგუფების მიერ დაგროვილი სტერეოტიპული წარმოდგენების ძირითად დეტერმინანტი არის. ის პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო არხებით მოწოდებული ინფორმაციის გადამუშავებისა და აღქმის ინსტრუმენტის როლს ასრულებს.

როგორც წესი, ერთი ჯგუფის წევრები აყალიბებენ გარკვეულ შეხედულებას მეორე ჯგუფის წევრების შესახებ სწორედ ჯგუფთაშორისი ურთიერთობებზე დაყრდნობით. ჯგუფებს შორის მეგობრული ურთიერთობების შემთხვევაში, იქმნება დადებითი წარმოდგენები გარე, “ისინი” ჯგუფის შესახებ. შესაბამისად, დაძაბული ურთიერთობების შემთხვევაში, საზოგადოებისათვის მტრის უარყოფითი ხატი იქმნება, რაც უარყოფითი სტერეოტიპული წარმოდგენების საფუძველი ხდება. შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთობების ხასიათი სტერეოტიპული წარმოდგენების ხასიათის პირდაპირპროპორციულია: რაც უფრო პოლარიზებულია ურთიერთობების ბუნება და რაც უფრო მნიშვნელოვანია ეს საკითხი მოცემული ჯგუფის ცხოვრებაში, მით უფრო ინტენსიური და მასშტაბურია სტერეოტიპებიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯგუფებს შორის ურთიერთობების ბუნება სტატიკური მოვლენა როდია, იგი დროში ცვალებადია. ჯგუფები საომარი მდგომარეობიდან თანამშრომლურ მდგომარეობაში გადადიან და პირიქით, მეგობრულიდან კონფლიქტურში, რაც უშუალოდ სტერეოტიპების შინაარსზე აისახება (Bar-Tal 1997:500). უკვე ფორმირებულ სტერეოტიპულ წარმოდგენებზე ჯგუფთაშორისი ურთიერთობების გარდა გავლენას ასევე ამ ჯგუფების წარსული ისტორია ახდენს. ჯგუფებს შორის წარსული ურთიერთობები დავიწყებას ძნელად თუ ეძლევიან. ომები, შუღლი, წინააღმდეგობები ან პირიქით - ურთიერთდახმარება, ხელშეწყობა და მეგობრობა, რაც თავის ასახვას მოცემული ჯგუფის წევრების სტერეოტიპებში პოულობს, ერთად აღებული ზემოქმედებს ამ ჯგუფებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე. გარე ჯგუფების ნიშან-თვისებები, როგორიცაა ძალაუფლება, სტატუსი, წეს-ჩვეულებანი ან ცხოვრების სტანდარტები, ასევე სხვა ჯგუფების ქცევები, ზემოქმედებენ სტერეოტიპულ წარმოდგენებზე. თითოეულ ჯგუფს განსხვავებული ტიპის ურთიერთობები აქვს სხვა ჯგუფებთან, რაც უმეტეს შემთხვევაში ორმხრივი ურთიერთობების შესაბამისია (Bar-Tal 1997:500). ასე მაგალითად, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დროს, აშშ-ს მხრიდან სოლიდარობის გამოხატველმა ქცევამ, რაც გამოიხატებოდა ქართული სახელმწიფოს მხარდაჭერაში და მის მიმართ დახმარების გაწევაში, ხელი შეუწყო ქართულ საზოგადოებაში აშშ-ს მიმართ გარკვეული სტერეოტიპის საფუძვლის ჩაყრას - ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მეგობარია. იგივე ქცევამ რუსულ საზოგადოებაშიც გარკვეული სტერეოტიპის ფორმირებას შეუწყო ხელი, ოღონდ საქართველოსგან განსხვავებით აქ უარყოფითი სტერეოტიპი ჩამოყალიბდა.

გარკვეული საზოგადოების წყაროებიდან მომდინარე ინფორმაცია სხვა ჯგუფების შესახებ ყოველთვის ექცევა მოცემული ჯგუფის ღირებულებების, იდეოლოგიის, რწმენებისა და მიზნების ზემოქმედების ქვეშ. შესაბამისად, ინსტიტუციონალური წყაროებიდან მოწოდებული ინფორმაცია სხვა ჯგუფის შესახებ არ უნდა განიხილებოდეს როგორც უბრალოდ სტერეოტიპების შემცველი ინფორმაცია. სტერეოტიპული წარმოდგენები ყოველთვის ასახავენ ჯგუფის სულისკვეთებას და მაკრო-სოციალური ფაქტორების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. გარდა ამისა როგორც მეცნიერი აღნიშნავს, პირადი კონტაქტი ასევე წარმოადგენს სტერეოტიპების ფორმირების, მათი ცვლილების ერთ-ერთ წყაროს, რომლის საშუალებითაც ადამიანები აგროვებენ ინფორმაციას გარე ჯგუფის წევრების შესახებ, რაშიც მათ შთაბეჭდილებების ფორმირების პროცესი უწყობს ხელს.

ბიბლიოგრაფია:

1. ბარ-ტალი დ. (1997): Bar-Tal D. Formation and Change of Ethnic and National Stereotypes: An Integrative Model. Article In International Journal of Intercultural Relations. November. 1997.
2. ლიპმანი უ. (1922): Lippmann W. Public Opinion. New York, Harcourt, Brace and Co. 1922.
3. მელნიკი გ. (1996): Мельник Г.С. Mass-Media: Психологические процессы и эффекты. СПб. 1996.
4. ნაჰბარი ჯ., ლაუზეკ. (1992): Nachbar J., Lause K., Popular Culture: An Introductory Text. 1992.
5. სოროკინი ი. (1988): Сорокин Ю.А., Марковина И.Ю. Этнопсихология. М. 1988.
6. სტეფანენკო ტ. (1999): Стефаненко Т.Г. Этнопсихология. Институт психологии РАН. Академический проект. М., 1999.
7. ტეფელის. (1981): Tajfel, H. Human groups and social categories. Cambridge: Cambridge University Press, 1981.

Ketevan Svanidze, Maia Bolkvadze
Shota Rustaveli State University, Batumi

Stereotypes: the Markers of Social Identity in the Intercultural Communication

Abstract

The linguo-cultural specifics of social relationships include some action strategies and contexts. Under the influence of traditions existing in the society, some particular forms of thinking and speech have been formed, which mark certain events, group or process. This way we get a model or a form – a stereotype, which is used as a tool of translation some specific idea. Herewith, the stereotype, as an individual and autonomous phenomenon, represents a widely used method of interaction and marking among different groups, representing the factor of self-identification of a person and identification of others in intercultural communication.

საკვანძო სიტყვები: სტერეოტიპი, სოციალური სტერეოტიპი, ეროვნული სტერეოტიპი, სოციალური იდენტობა, სტერეოტიპთა ფორმირება და ცვლა.

Keywords: stereotype, social stereotype, national stereotype, social identity, formation and changing of stereotypes.

Екатерина Сиринёк-Долгарёва
Запорожский национальный университет, Украина

СОВРЕМЕННЫЕ ТРЕБОВАНИЯ К МЕЖДУНАРОДНЫМ ИССЛЕДОВАНИЯМ МАССМЕДИА: ИНТЕРДИСЦИПЛИНАРНОСТЬ И МЕТОДОЛОГИЯ

Индустрия масс медиа является растущим рынком во всём мире. Это касается как развивающихся стран, так и уже давно устоявшихся демократий в Европе и остальном Западном мире. Бурное развитие информационно-коммуникационных технологий способствует такому положению дел. Если в большинстве западноевропейских и американских стран печатные издания исчезают, уступая электронным медиа, в первую очередь интернету, то в Азии наблюдается развитие газетно-журнального рынка (например, в Индии отмечается его ежегодный рост на 20% [2]).

Соответственно, не удивительно, что интерес к медиаисследованиям неуклонно растёт, чему способствуют, по меньшей мере, несколько факторов [9, с. 7-8]. Во-первых, развитие теорий о влиянии медиа на политические процессы, медиапропаганду и лидеров мнений; во-вторых, расширение рынка рекламы (исследования потребительского рынка посредством

разных видов массмедиа); в-третьих, студии о медиа эффектах и влиянии медиа меседжей на аудиторию (главным образом, детей); в-четвёртых, возрастающая конкуренция среди разных медиа платформ за прибыли от рекламы и увеличение реальной и потенциальной частей аудитории.

Медиаисследования как отдельная научная отрасль коммуникативистики в американских и европейских университетах развивается уже почти столетие, начиная с исследований военной пропаганды времён двух мировых войн (например, работы Г. Лассвелла и П.Лазерсфельда [4; 5]). Восточноевропейские же страны (имеем в виду прежде всего страны бывшего Советского Союза и социалистического блока) долгие годы находились в совершенно другой научной парадигме, часто не пересекающейся с мировой наукой. Это особенно касается журналистики, которая считалась своего рода рупором пропагандистской машины коммунистической партии.

Если говорить об Украине, то до 1990х годов дипломированных журналистов выпускали всего три вуза страны во Львове и Киеве и все они были при высших партийных школах [7]. Что касается кафедр рекламы и связей с общественностью, то они начали появляться в украинских университетах только в начале 2000х. В Украине, как и в других странах бывшего СССР, журналистское образование имеет филологический бекграунд. Считалось, что журналист должен прежде всего уметь убедительно писать. Стандарты объективной, нейтральной и сбалансированной прессы пришли в посттоталитарное пространство вместе с демократическими переменами.

При таком состоянии дел реформирование образования и науки было необходимым элементом дальнейшего развития. В Украине этот процесс начался с внедрения европейских принципов Болонской системы образования [13]. Важным этапом образовательной реформы стало принятие в 2014 году Закона Украины «О высшем образовании» [12], который стал одним из достижений украинской Революции Достоинства 2013 года, утвердившей евро-интеграционный вектор политики государства.

Среди заданий нового закона о высшем образовании, по замыслу одного из его создателей Сергея Квита, Министра образования и науки Украины (2014-2016), есть преобразование лидирующих университетов страны в исследовательские вузы [3], которые бы осуществили глубокую реформу научных исследований в Украине, взяв на себя обязанности до сих пор принадлежавшие практически безраздельно структурам Национальной Академии Наук. Такому плану способствует и обретение высшими учебными заведениями автономии в вопросах образовательного процесса, администрации и финансов. Финансовая автономия обозначает, в том числе, и уменьшение государственного обеспечения научных исследований, их переход в конкурирующую среду коммерциализации и спонсорского/грантового финансирования.

Таким образом, принимая во внимание советское прошлое «журналистиковедения» (то, что во всем мире называется медиа студиями – англ. Media Studies), академические (не маркетинговые) исследования массмедиа стоят перед проблемой основательного отставания от международной теории и практики. В особенности, это касается качественного использования методологии (количественных, качественных и смешанных методов) как в теоретических, так и в прикладных исследованиях.

Методологические коллизии возникают еще и потому, что современным научным трендом является интердисциплинарность. Если раньше психологи, социологи, политологи и профессионалы в других сферах использовали масс-медиа как среду/объект своих исследований, то сегодня ученые-коммуникативисты наоборот заимствуют методы смежных наук (в англоязычном мире такие дисциплины называются гуманитарными или социальными – англ. Humanities/ Social Sciences). Например, обычной в американских университетах стала практика иметь нескольких руководителей и рецензентов диссертационных работ с разных

дисциплин, ведь это придает исследованию новизну, глубину и ширину, присущую междисциплинарным работам.

Такой поток изменений и нововведений, стремящийся внедрить за последние две декады в постсоветской независимой Украине то, что десятилетиями нарабатывалось западной наукой, конечно имеет много преград на своем пути.

Во-первых, отсутствие качественной теоретической подготовки научного и академического состава университетов. Большинство преподавателей на факультетах журналистики имеют степени кандидатов и докторов филологических наук. С 2008го года началась подготовка ученых кадров в сфере социальных коммуникаций, но изменив название научной отрасли, ее содержание мало изменилось. И лишь в 2016 году Украина адаптировала свои научные звания к мировым стандартам и начала подготовку докторов философии (степень Ph.D. заменила степень «кандидат наук»). При этом, большинство специализированной украиноязычной литературы переводное из российских источников, которые в свою очередь, являются переводами американских и западноевропейских авторов. Работу с первоисточниками затрудняет их дороговизна (до сих пор единицы университетских библиотек в Украине имеют доступ к мировым научным ресурсам, издательствам и базам данных, таким как SCOPUS, Web of Science и т.д.), а также не должное владение иностранными языками. И хотя 2016й год был объявлен годом английского языка в Украине [10], по индексу уровня владения английским как вторым языком страна занимает 24е среди 26ти стран Европы [1].

Во-вторых, преградой на пути к успешной имплементации образовательных реформ является неготовность общества и самих университетов. Очень спорадично и хаотично воплощаются идеи менеджмента научных исследований (англ. research management), а ведь очевидно, что успешные исследования принесут доход и результат только при правильной их организации и проведении. Например, во многих университетах офисы трансфера технологий, интеллектуальной собственности, грантовые/проектные отделы существуют лишь номинально, не ведя реальной активной деятельности.

Запорожский национальный университет имеет опыт успешной реализации принципа менеджмента исследований. Университет входит в топ-вузов Юга Украины [11] и состоит в когорте университетов из 10 стран Восточной Европы и Африки, принимающих участие в международной программе University Administration Support Program, которую администрирует Американское Бюро по вопросам образования IREX [8] и финансирует Корпорация Карнеги в Нью-Йорке. Следствием такой кооперации стал проект «Интенсивный тренинговый институт по методологии медиаисследований» [14]. Этот проект один из первых в Украине, который реализовывает стратегическую цель улучшения менеджмента исследований – усовершенствования качества науки путем повышения ее методологического уровня.

В мире тренинги в сфере методов исследований (англ. research methods trainings) рассматриваются как обычный способ привнести качественные изменения в результативность подготовки научного состава университетов. Такие тренинги часто имеют регулярный характер (например, в специализированных центрах, как британский National Centre for Research Methods [6]), или проводятся в форме летних/зимних школ (например, как Летняя школа методов и техник при Центрально-европейском университете в Будапеште [15]).

Тренинговый интенсив по методологии медиаисследований при Запорожском национальном университете нацелен на преподавателей, аспирантов и докторантов, которые проводят свои междисциплинарные исследования в сфере масс-медиа: представителей департаментов журналистики, рекламы и PR, издательского дела, теории коммуникаций, социологии, политологии, международных отношений и др. Поскольку тренинги проходят параллельно с основной работой/учёбой слушателей, программ рассчитана на пять месяцев: по модулю в месяц. Отдельный модуль длится три дня, каждый из которых рассчитан на восьмичасовой интенсивный тренинг и индивидуальные консультации с тренерами. Первые

два дня каждого модуля отведены на подробное изучение какого-либо метода, а третий день – основам статистики. Финальный проект интенсивного института – подготовка публикации в международном научном рецензированном журнале.

Темы, изучаемые на таком тренинговом интенсиве разнообразны:

- международные стандарты медиаисследований (этика, процедура публикации в топ-журналах, поиск литературы и ресурсов и др.);
- основы социологии (раздел на качественные и количественные методы);
- контент-анализ как качественно-количественный метод исследования содержания медиа сообщений;
- метод фокус-групп;
- качественная методологическая парадигма: дискурс-анализ;
- социолингвистический концептуальный анализ;
- методы исследования визуальной коммуникации и др.

Существенной проблемой украинского высшего образования в сфере массмедиа является то, что в большинстве вузов на факультетах журналистики до сих пор не введены к изучению курсы по статистике (ни на бакалавриате, ни в магистратуре и аспирантуре), а прикладные медиаисследования с использованием качественных методов (тех же опросов, контент-анализа, экспериментов и др.) требуют знаний в этой сфере. Поэтому отдельным ознакомительным курсом в составе всех пяти модулей Интенсивного тренингового института по методологии медиаисследований в ЗНУ стала дисциплина «Основы статистики». Конечно, пяти модулей недостаточно для приобретения необходимых знаний в этой сфере, но слушатели тренингов имели возможность получить базовое понятие о применении статистических вычислений в исследованиях массмедиа.

Таким образом, подводя итог изложенному, можно с уверенностью сказать, что мировая наука в сфере массмедиа сегодня требует от исследователя множества компетенций. Среди них важнейшие – навыки качественного применения методологии, адекватной целям и задачам исследования, знания математической статистики, социологических методик и техник, а также умения понимать и применять принцип интердисциплинарности в своей научной работе.

Библіографія

1. EF EPI English proficiency index // Education First. URL: <http://www.ef.com/wwru/epi/regions/europe/ukraine/>. Retrieved: 07.08.2017.
2. “Growth of printing industry in India healthy” (2016) // The Hindu, March 24. URL: <http://www.thehindu.com/news/cities/Madurai/growth-of-printing-industry-in-india-healthy/article8012602.ece>. Retrieved: 26.02.2017.
3. Kvit S. (2015) The Battlefront of Civilizations: Education in Ukraine. Kyiv-Mohyla Publishing House. Kyiv.
4. Lasswell H.D. (1927) Propaganda Technique In The World War. Peter Smith Publishing. New York.
5. Lazarsfeld P.F. (1948) The People's Choice: How the Voter Makes Up His Mind in a Presidential Campaign. Columbia University Press. New York.
6. National Centre for Research Methods (NCRM) // URL: <https://www.ncrm.ac.uk/about/>. Retrieved: 27.04.2017.
7. Rizun V. and Ivanov V. (2013) : Education in the area of media // Ukrainian Media Landscape-2012. AUP, CFP. Kyiv, p.16.
8. University Administration Support Program (UASP) // IREX. URL: <https://www.irex.org/project/university-administration-support-program-uasp>. Retrieved: 07.04.2017.
9. Wimmer R.D. and Dominick J.R. (2013) Mass Media Research: An Introduction. 10th edition. Wadsworth Publishing Company. Boston.
10. В Україні 2016 год об'явлено мандатом англійської мови (2015) // Зеркало неідеї, 17 листопада. URL: http://zn.ua/UKRAINE/v-ukraine-2016-god-obyavlen-godom-angliyskogo-yazyka-195709_.html. (7.08.2017).
11. Два запорізьких вузів увійшли в список кращих навчальних закладів південного регіону України (2017) // TV-5, 2 вересня. URL: <http://tv5.zp.ua/news/dva-zaporozhskix-vuza-voshli-v-spisok-luchshix-uchebnyx-zavedenij-yuzhnogo-regiona-ukrainy/>. (7.08.2017).

12. Закон України «Про вищу освіту» (2014) // Верховна Рада України. Закон від 01.07.2014 № 1556-VII. URL: <http://zakon2.rada.gov.ua/laws/show/1556-vii> (20.04.2017).
13. Згуровский М.З. (2012) : Болонский процесс - структурная реформа высшего образования на европейском пространстве // Национальный технический университет Украины «Киевский политехнический институт имени Игоря Сикорского». URL: <http://kpi.ua/ru/node/7225>. (7.05.2017).
14. Інтенсивний тренінговий інститут з методології медіадосліджень // Південноукраїнський центр медіаграмотності. URL: <https://medialiteracy.zp.ua/mietodologhiia-miediadoslidzhien/> (20.04.2017).
15. 2017 Summer School in Methods and Techniques, CEU, Budapest // URL: <https://ecpr.eu/Events/EventDetails.aspx?EventID=116>. Retrieved: 27.04.2017.

Katerina Sirinyok-Dolgaryova

Zaporizhzhya National University, Ukraine

Modern Requirements to International Mass Media Research: Interdisciplinary Approach and Methodology

Abstract

The paper discusses the modern state of mass media research in academic sphere. The interdisciplinary approach as well as proper usage of methodology are key elements for successful international research.

The reforms of post-totalitarian Ukraine in the fields of higher education and research are analyzed in the paper: emergence of research universities, validation of the principles of autonomy and research management.

The author notes that research methods trainings are useful tools of research staff's successful professional growth. It is especially important for the Journalism and Communication departments' faculty of the Ukrainian universities, which are still very dependent on post-soviet philological heritage.

Key words: mass media, interdisciplinary research, methodology, modern research trends, Ukrainian media

საკვანძო სიტყვები: მასმედია, ინტერდისციპლინარული კვლევა, მეთოდოლოგია, თანამედროვე კვლევის მიმართულებები, უკრაინული მედია

ლანა სულხანიშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი

თამარ კერძაია

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი

ტოლერანტულობის განვითარების დინამიკის კვლევა 13-17 წლის მოზარდებში

სხვადასხვა ევროპულ ენაში ტერმინს „ტოლერანტობა“ განსხვავებული ლინგვისტური ელემენტი აქვს (Словарь иностранных слов и выражений. (1998): Мысль. М.477с.). მაგალითად, ინგლისურ ენაში ის გამოიყენება, როგორც არსებითი სახელი – „შემწყნარებლობა“ და როგორც ზმნა – „მოთმენა“. საინტერესოა ამ ზმნის გამოყენება მეტყველებამდე. ინგლისურში ეს ზმნა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის წარმოადგენს „დაშვების“ სინონიმს. ის არ

გამოიყენება იმ შემთხვევებში, რომლებიც დაკავშირებულია რაიმეს განცდასთან, უსიტყვო მორჩილებასთან რაიმეს მიმართ. როდესაც მოთმინებაზე, როგორც ადამიანის პიროვნულ თვისებაზე ლაპარაკობენ, ინგლისელები იყენებენ ზედსართავ სახელს, რაც მოწმობს იმას, რომ აუცილებელია, განვასხვავოთ სიტყვები „შემწყნარებელი“ და „მოთმენი“. გერმანულ ენაში ზმნა „მოთმენა“ და არსებითი სახელი „შემწყნარებლობა“ – სხვადასხვა წარმოშობის სიტყვებია. ამასთანავე, შემწყნარებლობის ცნება ამ ენაში გამოიყენება მხოლოდ ადამიანთა შორის ურთიერთობასთან დაკავშირებით. ქართულ ენაში შემწყნარებლობა, შემბრალებლობა, დათმობა, დათმენა, მოთმენა, ამტანობა, გამძლეობა, შლეიფად მოსდევს ტერმინ „ტოლერანტობას“. შეიძლება ითქვას, რომ „ტოლერანტობის“ ქოლგის ქვეშ ერთიანდებიან.

ტოლერანტობა ესაა თავისუფლება მრავალფეროვნებაში, მაგრამ აქ მხოლოდ ერთი შეზღუდვა არსებობს. აუცილებელია, მრავალფეროვნებამ არ გადაღახოს ჰუმანიზმის საყოველთაო ნორმის საზღვარი.

საკითხი ტოლერანტობის საზღვრების შესახებ მრავალი მკვლევარის მიერაა განხილული. მაგალითად, პლატონმა ჩამოაყალიბა „შემწყნარებლობის პარადოქსი“, რომელიც გულისხმობს იმას, რომ თუ უსაზღვრო შემწყნარებლობა იქნება შეუწყნარებელთა მიმართ და არ იქნება შემწყნარებელი საზოგადოების შეუწყნარებლებისგან დაცვის მზაობა, მაშინ განუსაზღვრელი შემწყნარებლობა მიგვიყვანს შემწყნარებლობის გაქრობამდე. ამ პრობლემის შესახებ კ. პოპერი ამბობდა, რომ „შემწყნარებლობის სახელით საჭიროა გამოცხადდეს უფლება, არ იყო შემწყნარებელი შეუწყნარებლების მიმართ“. ტოლერანტობა არ არის ყველაფრის ნებადართულობა და ყოვლისპატიება. მასში იგულისხმება აქტიური ქმედებაც ინტოლერანტულობის უკიდურესი ფორმების მიმართ (Peter O. and Scribner B. (Eds.) (1996): *Tolerance and intolerance in the European reformation*. New York: Cambridge University Press).

ვფიქრობთ, ტოლერანტული თვითშეგნების განვითარებისთვის, ტოლერანტული დამოკიდებულებების ფორმირებისთვის ოპტიმალურია მოზარდის ასაკი, როდესაც ხდება ფსიქიკური პროცესების განვითარება და პიროვნებად ჩამოყალიბება.

13-17 წლები მოზარდის განვითარების ის ეტაპია, რომელიც ყველაზე ხელსაყრელ შესაძლებლობებს იძლევა მისი ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალურ-კულტურული თვისებებისა და უნარების, ასევე მისი ქცევის აქტიურ, მიზანმიმართულ ფორმირებასა და საჭირო მიმართულებით შეცვლისთვის. ეს ასაკობრივი ზღვარი ხასიათდება ბავშვის ახალ სოციალურ პირობებში გადასვლით. ის იწყებს დიდების საზოგადოების კანონების მიხედვით ცხოვრებას, აქტიურად ყალიბდება, როგორც სოციალური ურთიერთობების სუბიექტი, პასუხს აგებს საკუთარ ქცევაზე, იწყებს საქმიან ურთიერთობებს თანატოლებთან.

13-17 წლის ასაკში ასევე, ხდება სამოტივაციო-ღირებულებითი ცხოვრებისეული პლატფორმის, საკუთარი შეხედულებებისა და რწმენის ჩამოყალიბება; შენიშვნაზე, სამართლიან და უსამართლო კრიტიკაზე ოპტიმალურად რეაგირების ჩვევების, საკუთარი თავისა და სხვებისთვის „არა“ - ს თქმის უნარის, სხვათა ღირსების შეურაცხყოფის გარეშე საკუთარი პოზიციის დაცვის, საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის ფორმირება. სწორედ მოზარდ ასაკში იძენენ დიდების სამყაროში სწორი ადაპტაციის გზებსა და ხერხებს (Зенович Д.В. (2013):Формирование толерантности в подростковом возрасте//«Сборники конференций НИИ Социосфера», № 34. 77-89).

ადამიანების დაყოფა ტოლერანტულებად და არატოლერანტულებად საკმაოდ პირობითია, რადგან უკიდურესად განაპირა პოზიციები იშვიათად გვხვდება. თავის ცხოვრებაში ყოველი ადამიანი ჩადის როგორც ტოლერანტულ, ასევე არატოლერანტულ საქციელს. მიუხედავად ამისა, ტოლერანტული ქცევისკენ მიდრეკილება, შესაძლოა, მდგრად პიროვნულ თვისებად ჩამოყალიბდეს (Солдатова Г.У. Толерантность и интолерантность-две грани межатнического взаимодействия. <http://www.tolerance.ru/VT-1-2-toler-intoler.php?PrPage=VT>).

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია 13-17 წლის მოზარდებში სხვადასხვა რეფერენტული ჯგუფებისადმი ტოლერანტობის დინამიკის დადგენა, რადგან იდენტობის ფორმირების პროცესი სწორად 12-13 წლიდან იწყება და დაახლოებით 20 წლამდე გრძელდება.

ტოლერანტულობის დონის შესაფასებლად შემუშავდა განწყობის საკვლევი (ლაიკერტის) 9 საფეხურიანი სკალა. ეს იყო ცნობილი ამერიკელი მკვლევარის, ბოგარდუსის (Богардус Э. (2009): Шкала социальной дистанции//Методики из «Практикума по исследованию и диагностики толерантности личности» М.: 2009, ст.13-16.) მეთოდიკის მოდიფიცირებული ვარიანტი. გამოიყო ტოლერანტობა-ინტოლერანტობის ოთხ-ოთხი დონე და ერთი – „ნეიტრალური“: 1) სრულიად მისაღები (პირველადი ჯგუფის დონეზე), 2) მისაღები არაფორმალურ ურთიერთობათა დონეზე, 3) მისაღები საქმიან ურთიერთობათა დონეზე და 4) მეტ-ნაკლებად მისაღები. ანალოგიურად გამოიყო შეუწყნარებლობის ოთხი გრადაცია.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 528 რესპოდენტმა. კვლევა განხორციელდა ქ.თბილისის საჯარო სკოლებში. რესპოდენტები ავსებდნენ კითხვარს ინდივიდუალურად. კითხვარის შევსების დრო იყო 35–45 წუთი. მონაცემების დამუშავება მოხდა SPSS 21 პროგრამით.

კითხვა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„როგორ მოექცევით...“ (სხვას ერის, რასის, აღმსარებლობის, სხვა ასაკის, თქვენზე უფრო განათლებულ, თქვენზე ნაკლებად განათლებულ, სხვა ქალაქებში/სოფლებში მცხოვრებ, თქვენზე მდიდარ, თქვენზე ღატაკ/უსახლკარო/მიუსაფარ, განსხვავებული ორიენტაციის და ავადმყოფ ან ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანს), ანუ სულ 12 კითხვა. რესპოდენტი ირჩევდა პასუხს შესაძლო 9 ვარიანტიდან: დავუნათესავებ („+4“), ვიმეგობრებ („+3“), ვითანამშრომლებ („+2“), მეზობლად ავიტან („+1“), ურთიერთობას მოვერიდები („0“), ცალკე დავასახლებ („-1“), დავსჯი („-2“), ქვეყნიდან გავაძევებ („-3“), ფიზიკურად გავანადგურებ („-4“).

როგორც ცნობილია, ადამიანის სოციალურ აზროვნებას გაორებული ბუნება აქვს. ადამიანისათვის ესოდენ ნიშნეული რაციონალიზაციის გამო მის მიერ გამოთქმული აზრი, რომლისაც მას თვითონ სჯერა, შეიძლება იყოს მხოლოდ მის კულტურაში ან რეფერენტულ ჯგუფში ფართოდ გავრცელებული სტერეოტიპი, ჯგუფური ნორმა.

ამდენად, აუცილებელი იყო რეალური დამოკიდებულებების (გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი) გარკვევაც, მისი შეპირისპირება ნორმატიულ დამოკიდებულებასთან. ჩავთვალეთ, რომ ეს შესაძლებელი იყო პროექციის მექანიზმის გამოყენებით. ამიტომ კითხვარში შეტანილ იქნა კიდევ 9 კითხვა: „როგორ მოგექცევით...“ (სხვა ერის, რასის, აღმსარებლობის, სხვა ასაკის, თქვენზე უფრო განათლებული, თქვენზე ნაკლებად განათლებული, სხვა ქალაქებში/სოფლებში მცხოვრები, თქვენზე მდიდარი, თქვენზე ღატაკი/უსახლკარო/მიუსაფარი, განსხვავებული ორიენტაციის და ავადმყოფი ან ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანი), ანუ სულ 12 კითხვა. რესპოდენტი ირჩევდა პასუხს შესაძლო 9 ვარიანტიდან: დავუნათესავებ („+4“), ვიმეგობრებ („+3“), ვითანამშრომლებ („+2“), მეზობლად ავიტან („+1“), ურთიერთობას მოვერიდები („0“), ცალკე დავასახლებ („-1“), დავსჯი („-2“), ქვეყნიდან გავაძევებ („-3“), ფიზიკურად გავანადგურებ („-4“).

მიღებული შედეგების მიხედვით:

რეალური და ნორმატიული დამოკიდებულებების შეპირისპირების საფუძველზე სხვადასხვა რეფერენტული ჯგუფის მიმართ კვლევაში მონაწილე მოზარდებს:


1. ახლო სოციალური დისტანციის (დავუნათესავებოდი) სურვილი და ნაკლებად შესაბამისი მოლოდინი აქვთ:

- მდიდარ ადამიანებთან მიმართებაში - აქვთ მდიდარ ადამიანებთან დანათესავების სურვილი, თუმცა ფიქრობენ, რომ მათზე მდიდარ ადამიანებს ნაკლებად ექნებათ მათთან დანათესავების სურვილი;
- ღარიბ ადამიანებთან მიმართებაში - არ აქვთ ღარიბ ადამიანებთან ნათესაობის სურვილი, მაგრამ ფიქრობენ, რომ ღარიბ ადამიანებს ექნებათ მათთან ნათესაობის სურვილი.


2. ყველაზე ახლო სოციალური დისტანცია და შესაბამისი მოლოდინი არაფორმალური ურთიერთობის (ვიმეგობრები) დონეზე აქვთ :
 - თავისზე ღარიბ ადამიანებთან;
 - სხვა ასაკის (მოწიფული, მოხუცი, ბავშვი) ადამიანებთან;
 - სხვა ერის წარმომადგენელთან;
 - ავადმყოფი ან ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანებთან;
 - სხვა ქალაქებში/სოფლებში მცხოვრებ ადამიანებთან.
3. მეტ-ნაკლებად სოციალური დისტანციის (მეზობლად ავიტანდი) სურვილი და შესაბამისი მოლოდინი აქვთ:
 - სხვა რასის წარმომადგენელთან;
 - სხვა ქალაქებში/სოფლებში მცხოვრებ ადამიანთან;
 - ლატაკ/უსახლ-კარო/მიუსაფარ ადამიანთან.
4. ნეიტრალური სოციალური დისტანციის (ურთიერთობას მოვერიდებოდი) სურვილი და შესაბამისი მოლოდინი აქვთ:
 - ლატაკ/უსახლ-კარო/მიუსაფარ ადამიანთან;
 - სხვა კონფესიის წარმომადგენელთან.
5. საქმიანი ურთიერთობის დონეზე სოციალური დისტანციის (ვითანამშრომლებდი) სურვილი და შესაბამისი მოლოდინი აქვთ:
 - სხვა ერის წარმომადგენელთან;
 - სხვა რასის წარმომადგენელთან;
 - სხვა კონფესიის წარმომადგენელთან;
 - სხვა ქალაქებში/სოფლებში მცხოვრებ ადამიანთან.
6. მოზარდებს სხვა რეფერენტულ ჯგუფებთან შედარებით უმეტესად დისტანცირებული დამოკიდებულება აქვთ სხვა რასის წარმომადგენლებთან და სხვა კონფესიის წარმომადგენელთან მიმართებაში და მკვეთრად დისტანციური დამოკიდებულება აქვთ განსხვავებული ორიენტაციის ადამიანებთან მიმართებაში.

კვლევის შედეგების მიხედვით, 13-17 წლის მოზარდებში სხვადასხვა რეფერენტულ ჯგუფებთან მიმართებაში გამოიკვეთა ტოლერანტული-ინტოლერანტული დამოკიდებულებების ასეთი დინამიკა:


1. **სხვა ერის წარმომადგენლებთან:** 13 წლის მოზარდებს ტოლერანტული დამოკიდებულებები აქვთ სხვა ერის წარმომადგენლების მიმართ; 14 წლის ასაკში თითქმის იმავე დონეზე ნარჩუნდება ტოლერანტული დამოკიდებულებები; 15 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებები მკვეთრად მატულობს და პიკს აღწევს; 16 წლის ასაკში კი ინტოლერანტული დამოკიდებულებები ასევე მკვეთრად კლებულობს და 17 წლის ასაკში ტოლერანტული დამოკიდებულებები ფაქტობრივად 13 წლიანთა დონეს უბრუნდება.




2. **სხვა რასის წარმომადგენლებთან:** 13 წლის მოზარდები ინტოლერანტულები არიან და ეს ვითარება თითქმის უცვლელია 14 წლიანებთან; 15 წლის ასაკში დამოკიდებულება ხდება ინტოლერანტული და პიკს აღწევს; თუმცა 16 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებები მკვეთრად კლებულობს; 17 წლის ასაკში კვლავ შეინიშნება ინტოლერანტული დამოკიდებულებების ზრდა




3. სხვა კონფესიის / რელიგიის წარმომადგენლებთან: 13 წლის მოზარდები ინტოლერანტულები არიან და 14 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებები ფაქტიურად ნარჩუნდება; 15 წლის ასაკში ინტოლერანტობის პიკია; 16 და 17 წლიანებთან ინტოლერანტული დამოკიდებულებები მკვეთრად კლებულობს.




4. სხვა ასაკის (მოწიფული, მოზუცი, ბავშვი) ადამიანთან: 13 წლის მოზარდები ტოლერანტულები არიან, თუმცა 14 წლის ასაკში შეინიშნება ინტოლერანტული დამოკიდებულებების ზრდა და 15 წლიანებთან ინტოლერანტობა პიკს აღწევს; ხოლო 16 წლის ასაკიდან ინტოლერანტობა მკვეთრად მცირდება და 17 წლის მოზარდები კვლავ ტოლერანტულ დამოკიდებულებებს ავლენენ.




5. უფრო განათლებულ ადამიანებთან: 13 წლის მოზარდები ინტოლერანტულები არიან და 14 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებები ფაქტიურად ნარჩუნდება; 15 წლის ასაკში ინტოლერანტობის პიკია, თუმცა 16 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებები მკვეთრად კლებულობს და 17 წლიანებში ტოლერანტული დამოკიდებულებები ნარჩუნდება.




6. ნაკლებად განათლებულ ადამიანებთან: 13 წლის მოზარდებს ტოლერანტული დამოკიდებულებები აქვთ; 14 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებები იზრდება და 15 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებების პიკია; 16 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებები აქაც მკვეთრად კლებულობს და 17 წლიანთა მაჩვენებელზე ნაკლებიც კი ხდება; ხოლო 17 წლის ასაკში კვლავ შეინიშნება ინტოლერანტული დამოკიდებულებების უმნიშვნელო ზრდა.




7. სხვა ქალაქებში/სოფლებში მცხოვრებ ადამიანებთან: 13 წლის მოზარდები ტოლერანტულები არიან; 14 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებები იზრდება და 15 წლის ასაკში ინტოლერანტობის პიკია; 16 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებები მკვეთრად კლებულობს და 17 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებები კვლავ იზრდება.




8. თავისზე უფრო მდიდარ ადამიანთან: 13 წლის მოზარდები ტოლერანტულები არიან 14 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებები მცირდება და მოზარდები უფრო ტოლერანტულები არიან. 15 წლის ასაკში ისევ ინტოლერანტობის პიკია; 16 წლის ასაკიდან ინტოლერანტული დამოკიდებულებები მკვეთრად კლებულობს და 17 წლიანებში ეს ტენდენცია ნარჩუნდება




9. თავისზე უფრო ღარიბ ადამიანთან: 13 წლის მოზარდები ტოლერანტულები არიან 14 წლიანებში ეს დამოკიდებულებები ნარჩუნდება; 15 წლის ასაკში ინტოლერანტობა მკვეთრად მატულობს და პიკს აღწევს; 16 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებები ასევე მკვეთრად კლებულობს და 17 წლის ასაკში მოზარდები გაცილებით უფრო ტოლერანტულ დამოკიდებულებებს ამჟღავნებენ, ვიდრე 13 წლიანები.




10. დატაკ/უსახლკარო/მიუსაფარ ადამიანთან: 13 წლის მოზარდები ტოლერანტულები არიან; 14 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებები იზრდება და 15 წლის ასაკში ინტოლერანტობის პიკია; 16 წლის ასაკიდან ინტოლერანტული დამოკიდებულებები კლებულობს და თითქმის უტოლდება 13 წლიანთა მაჩვენებელს; ხოლო 17 წლიანებში ტოლერანტული დამოკიდებულების დონე ბევრად აღემატება სხვა ასაკობრივი ჯგუფების მაჩვენებლებს.



11. განსხვავებული ორიენტაციის ადამიანთან: 13 წლიანებთან შედარებით, 14 წლის მოზარდებთან უფრო ტოლერანტულები არიან; 15 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებები მკვეთრად იზრდება და აქაც პიკს აღწევს; 16 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებები ასევე მკვეთრად კლებულობს და თითქმის უტოლდება 13 წლიანთა მაჩვენებელს; თუმცა 17 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებები კვლავ მნიშვნელოვნად იზრდება.



12. ავადმყოფ ან ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანებთან: 13 წლის მოზარდები საკმაოდ ტოლერანტულები არიან; 14 წლიდან ინტოლერანტულობა მკვეთრად მატულობს და 15 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებების პიკია; 16 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებები ისევ მკვეთრად კლებულობს და 17 წლის ასაკში ეს ტენდენცია ნარჩუნდება.



როგორც ვხედავთ, უმეტეს შემთხვევაში 13 წლის მოზარდებს ტოლერანტული დამოკიდებულებები აქვთ სხვადასხვა რეფერენტული ჯგუფების მიმართ, 14 წლის მოზარდებთან თითქმის იმავე დონეზე ნარჩუნდება ტოლერანტული დამოკიდებულებები, 15 წლის ასაკში ინტოლერანტული დამოკიდებულებები მკვეთრად მატულობს და პიკს აღწევს; 16 წლის ასაკიდან ინტოლერანტული დამოკიდებულებები ასევე მკვეთრად მცირდება და 17 წლის ასაკში ტოლერანტული დამოკიდებულებები ფაქტობრივად 13 წლიანთა დონეს უბრუნდება.

ვფიქრობთ, რომ კვლევის შედეგების საფუძველზე მიღებული ტოლერანტული დამოკიდებულებების დინამიკის დადგენით შევძლებთ დავეხმაროთ მოზარდებს ცვალებად გარემოებებთან ადაპტაციაში და იმ ახალი რთული სიტუაციების დაძლევაში, რომელიც თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში „მოზარდობის კრიზისით“ არის ცნობილი და რომლის არსი განპირობებულია ღრმა ცვლილებებით ფუნქციების ყველა სფეროში: ფიზიკურში, კოგნიტურში, ქცევითში, ემოციურში და სოციალურში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Богардус Э. (2009): Шкала социальной дистанции//«Методики из «Практикума по исследованию и диагностики толерантности личности» М. ст.13-16.

2. Зенович Д.В. (2013): Формирование толерантности в подростковом возрасте//«Сборники конференций ниц Социосфера», № 34. ст. 77-89.
3. Словарь иностранных слов и выражений. (1998): Мысль. М. ст. 477.
4. Солдатова Г.У. Толерантность и интолерантность - две грани межэтнического взаимодействия. <http://www.tolerance.ru/VT-1-2-toler-intoler.php?PrPage=VT>.
5. Peter O. and Scribner B. (Eds.) (1996): Tolerance and intolerance in the European reformation. New York: Cambridge University Press.

Lana Sulkhanishvili

St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, Tbilisi

Tamar Kerdzaia

Grigol Robakidze University, Tbilisi

Research for the Tolerance Development Dynamics in 13-17 Years Old Adolescents

Abstract

Goal of this research was to determine the age-related dynamics of the tolerance-intolerance attitudes of the 13-17 years old adolescents towards the various reference groups. Because the period of the Adolescence, with the formation of the identity, development of the mental processes and becoming a personality, is optimal for the development of the tolerant consciousness and formation of the tolerant attitudes.

The research was conducted at Tbilisi public schools according to the modified version of the Bogardus method. SPSS 21 software was used to process the data. According to the results, the 13 years old adolescents mostly have tolerant attitudes towards the various reference groups. The same level of the tolerance is maintained for the 14 years old adolescents; intolerant attitudes drastically increase and culminate for the 15 years old adolescents; starting from age of 16, the intolerant attitudes drastically decrease and by the age of 17, the tolerant relations actually return to the same level as for the 13 years old. In our opinion, determination of the tolerant attitudes, based on the results of this research, enables us to assist the adolescents to adapt to the changing circumstances and to overcome the difficult situations.

საკვანძო სიტყვები: ტოლერანტობა, ინტოლერანტობა, მოზარდები, ასაკობრივი დინამიკა, სხვადასხვა რეფერენტული ჯგუფები.

Keywords: tolerance, intolerance, adolescents, age-related dynamics, various reference groups.

თამარ ტალიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

რატომ სჭირდება წიგნიერებას “ზარაჩოების” აღმართვა?!

„სკაფოლდინგის“ თეორია ჩამოყალიბდა 1950 წელს ჯერომ ბრუნერის მიერ. მან ტერმინი გამოიყენა ბავშვებში მეტყველების დაუფლების პროცესის ასახსნელად. „სკაფოლდინგის“ თეორია ინსპირირებულია რუსი ფსიქოლოგის და თეორიტიკოსის, ლევ ვიგოტსკის სოციალურ-კულტურული თეორიით, რომლის მიხედვითაც ბავშვის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენა, კულტურა და სოციალური გარემო.

განვითარების აქტუალური დონეში იგულისხმება ის უნარები, რომლებსაც ბავშვი ავლენს იმ შემთხვევაში, თუ ამოცანის შესრულებისას დახმარება არ ესაჭიროება და ადვილად წვეტს მასზე დაკისრებულ ამოცანას. „უახლოესი განვითარების ზონა“ კი ის სივრცეა, სადაც ბავშვს არ შეუძლია სასწავლო ამოცანის დამოუკიდებლად გადაჭრა და მოითხოვს უფროსის დახმარებას და მედიაციას. იგი თავისი არსით სოციალური და ინტერაქტიულია.

ვიგოტსკის მიაჩნია, რომ მასწავლებელმა (აღმზრდელმა, მშობელმა) სწავლის პროცესში, უნდა გაითვალისწინოს ბავშვის განვითარების ორივე დონე - როგორც აქტიური ასევე „უახლოესი განვითარების ზონა“. განსხვავება კი მათ შორის იმაშია, თუ რისი გაკეთება შეუძლია მოსწავლეს დამოუკიდებლად და რაში საჭიროებს დახმარებას. ვიგოტსკის თეორიაზე დაფუძნებული სწავლება მასწავლებლისგან მოითხოვს „სკაფოლდინგის“ ტექნიკების ფლობას და გამოყენებას. ლიტერატურაში აღწერილია შემდეგი სტრატეგიები:

1. ყურადღების ორგანიზება
2. მოდელირება
3. ინსტრუქციების გამეორება
4. ამოცანის შესრულების ორგანიზაცია და ყურადღების მიქცევა მოქმედებებზე, რომელიც ამოცანის შესრულებაში დაეხმარება
5. კითხვები რეფლექსიის აქტივიზაციისთვის
6. დახმარება ამოცანის სტრუქტურირებაში

სკაფოლდინგის სტრატეგიების გამოყენება წარმოადგენს ნაწილობრივ ასუბსიმგებლობის გადაცემის პროცესს, ექვემდებარება სასწავლო გარემოს, ითვალისწინებს ამოცანის შინაარსს და მოსწავლის შესაძლებლობებს.

სკაფოლდინგი საკმაოდ ეფექტური სწავლების მეთოდია, მაგრამ სასწავლო პროცესში მისი გამოყენების დროს უნდა გავითვალისწინოთ 3 ეტაპი: 1. განვითარების დონის დიაგნოსტიკა; 2. დიაგნოსტიკის შედეგების მიხედვით უშუალოდ ჩარევა; 3. განვითარების შედეგების გადამოწმება;

„სკაფოლდინგი“ მოსწავლის ცოდნისა და უნარების გამოსავლენად იყენებს შემდეგ დიაგნოსტიკურ მეთოდებს: დინამიური ტესტირება და შეფასება DT/A, „RTI პასუხს ჩარევაზე“ - უკუკავშირს. (Zubanova, 2009)

დინამიური ტესტირებისა და შეფასების ცნება (DA) გაჩნდა 20-ე საუკუნის დასაწყისში, მას საფუძვლად დაედო რეის (1934), ვიგოტსკის (1934-1962) და თორნდაიკის (1924) შრომები. ხოლო მის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს პროქსიმალური განვითარების ზონა (ZPD).

DT / A დიაგნოსტიკისთვის და არსებული პრობლემების გამოსავლენად იყენებს ტესტებს და მოსწავლის განვითარების პოტენციალს აფასებს ინდივიდუალურად. პროცესი მოიცავს წინასწარ გამოცდა/ტესტს (პრეტესტს) და პოსტ-ტესტს. პრეტესტი ტარდება იმისათვის, რომ დადგინდეს თუ რა ცოდნასა და უნარებს ფლობს ბავშვი, განისაზღვროს მისი განვითარების დონე. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ არსებული განვითარების დონის (რომელიც უკვე მიღწეულია), არამედ მომავალი განვითარების პერსპექტივების დადგენა.

დინამიური შეფასების ტესტი თავისი არსით დინამიურია და სრულიად განსხვავდება ჩვეულებრივი ტესტირებისგა. დინამიური ტესტი იკვლევს მოსწავლის სწავლის პოტენციალს. (<http://classroom-aid.com>, innovating-pedagogy-dynamic-assessment/, 2014) დინამიური შეფასების პროცესი დაკავშირებულია ცვლილებასთან და აქცენტს აკეთებს იმ მითითებებზე, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს მომავალი განვითარება.

დინამიური შეფასების პროცესი მოიცავს, როგორც შეფასებას ასევე ჩარევას(ინტერვენციას.) დინამიურ შეფასებას შეუძლია მასწავლებელი უზრუნველყოს ინფორმაციით იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც მოსწავლეების მხრიდან აღიქმება, როგორც რთული. ამ ეტაპზე მასწავლებლის მიზანია იმ ბარიერის იდენტიფიცირება, რომელიც უარყოფითად აისახება მოსწავლის წარმატებაზე. ამ მიზნით, აღნიშნული ბარიერების გადასალახად უნდა შემუშავდეს შესაბამისი სტრატეგიები. (<http://classroom-aid.com, innovating-pedagogy-dynamic-assessment/>, 2014)

სკაფოლდინგის მეორე დინამიური შეფასების RTI - ის მიხედვით შესაძლებელია ერთდროულად მთლიანი კლასი შეფასდეს. RTI - ეს არის პასუხი ჩარევაზე „უკუკავშირი, როცა მოსწავლე პასუხობს იმ ქმედებებზე(დახმარებაზე) რომელიც მის მიმართ იყო განხორციელებული. მოწავლე როგორც სარკე, ისე აირეკლავს იმას, რაც მას გადასცეს. არეკვლის დონე გვამცხევს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად მგრძნობიარეა მოსწავლე ახალი მასალის ათვისების მიმართ. (Zubanova, 2009)

ჩარევა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა საშუალებით -, მაორიენტირებელი კითხვებით, დამატებითი ინსტრუქციებით, წინასწარი მონაცემთა განმარტებით, მოდელირებით და სხვ. (Zubanova, 2009) (იხ. ცხრილი №1)

ცხრილი №1. ჩარევის აქტივობები:

უკუკავშირი	უზრუნველყოფს ინფორმაციას რომელიც უკავშირდება მოსწავლის მიერ დავალების შესრულებას
მინიშნებების გაცემა	უზრუნველყოფს მხარდაჭერას, მაგრამ შეგნებულად ბოლომდე არ მოიცავს სრულ გადაწყვეტას
ინსტრუქცია	მასწავლებელი მოსწავლეს ასწავლის თუ როგორ უნდა გაკეთოს ან აძლევს ინსტრუქციას როგორ უნდა გაკეთდეს და რატომ
ახსნა	უზრუნველყოფს დეტალურ ინფორმაციას ან უფრო მეტ დაზუსტებას
მოდელირება	იმიტაციური ქცევის შეთავაზება, კონკურეტული უნარების დემონსტრირების ჩათვლით
კითხვები (რეფლექსიის აქტივიზაციისთვის)	შეკითხვები, რომლებიც მოითხოვენ ენობრივ და შემეცნებით პასუხს

იმისათვის რომ სკაფოლდინგი“ წარმატებულად წარიმართოს, მასწავლებელმა უნდა გაიაზროს მისი არსებითი მახასიათებლები, რაც სწავლის ეფექტურობას განაპირობებს. პირველი მახასიათებლის მიხედვით აქცენტი კეთდება ინტერაქტიულ სწავლებაზე. მეორე მახასიათებლის მიხედვით მოსწავლის განვითარებისთვის სწავლება მიმდინარეობს პროქსიმალური განვითარების ზონაში, როგორც აღინიშნა განათლების ის მოდელი, რომელიც აქცენტს აკეთებს დამამთავრებელ პროცესზე არაეფექტურია, ამიტომ მასწავლებელი უნდა ფლობდეს ინფორმაციას მოსწავლის მიმდინარე (ამჟამინდელი) ცოდნის შესახებ , რათა შეძლოს მუშაობა „განვითარების უახლოეს ზონაში“. მესამე მახასიათებელი არის „სკაფოლდინგი“(„ხარაჩო“)იგივე მხარდაჭერა , რომელიც თანდათანობით იხსნება მოსწავლის ცოდნისა და უნარის შესაბამისად, სანამ მოსწავლე არ გახდება დამოუკიდებელი.ამჯერად, სწორად შერჩეული სტრატეგია კი სიღრმისეული და ეფექტური სწავლების განმაპირობებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესში ენა ცენტრალურ როლს თამაშობს არა მარტო იმიტომ, რომ ენა ინფორმაციის გადაცემის საშუალებაა, არამედ იმიტომაც რომ ის ბავშვს აძლევს საშუალებას გონებაში ჩამოაყალიბოს სტრუქტურულად იმ ქმედებების თანმიმდევრობა, რაც საჭიროა ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად.

„სკაფოლდინგი“ წიგნიერებაში

მეთოდი პირველად გამოყენებულ იქნა ავსტრალიის სკოლებში „კითხვა სწავლისთვის“ პროგრამის მიმდინარეობისას. იგი შემუშავებულ იქნა სიდნეის უნივერსიტეტის დოქტორის, ენის კვლევითი პროგრამის კოორდინატორის დევიდ როუზის **„ენობრივი ფენების მოდელის“** მიხედვით. დღესდღეისობით დევიდ როუზის მიერ შექმნილი პროგრამა „კითხვა სწავლებისთვის“ წარმოადგენს საერთაშორისო წიგნიერების პროგრამას და გამოიყენება ავსტრალიის, აფრიკის, აზიისა და დასავლეთ ევროპის სკოლებსა და უნივერსიტეტებში, როგორც ერთ - ერთი ეფექტური მეთოდოლოგია განათლების ნებისმიერ საფეხურზე მყოფ მოსწავლეებში კითხვის უნარების ხელშეწყობისა და ამადლებისთვის. დევიდ როუზის **„ენობრივი ფენების მოდელის“** მიხედვით: ტექსტის სტრუქტურა ერთი მთლიანია და განსხვავებული ენობრივი ფენებისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილი არ არის და ერთმანეთს გადაფარავენ. **ტექსტის სტრუქტურა** გულისხმობს მის აგებულებას (რა ნაწილებისგან შედგება ტექსტი? აქვს თუ არა შესავალი, დასაწყისი, თემის განვითარება, დასასრული?) **ტექსტის „ენობრივი ფენები“** „მოიცავს: სიტყვას (სიტყვა, ასოები), წინადადებას (პარაგრაფი, წინადადება, ფრაზა), ტექსტს (ტექსტი), კონტექსტის დონეებს (რეგისტრი, ჟანრი).

მოდელის მიხედვით, კითხვის პროცესში მკითხველი **ტექსტის შინაარსის და სტრუქტურის დონეზე** პირველად აღიქვამს და გაიაზრებს ფაქტობრივი ინფორმაციის მოცულობას, არსებული მოვლენების თანმიმდევრობას და რის შესახებ არის ტექსტი. **სიტყვის დონეზე**, მკითხველს არა მარტო უნდა შეეძლოს ცალკეული სიტყვების დეკოდირება, არამედ უნდა ესმოდეს, რატომ შეარჩია ეს კონკრეტული სიტყვა ავტორმა და რა მნიშვნელობას იძენენ ისინი, როცა დაჯგუფდებიან გარკვეული თანმიმდევრობით. კითხვის დროს მკითხველმა უნდა შეძლოს განსაზღვროს, რა ფუნქცია აქვთ წინადადებას ტექსტში. წინადადები რა აზრობრივ კავშირშია ერთმანეთთან, **წინადადების დონეზე**, მკითხველს უნდა შეეძლოს გაიგოს თითოეული წინადადების სტრუქტურა, ჩასწვდეს მათ აზრს და შეძლოს წინადადებების ტექსტთან მიმართების დადგენა და ერთმანეთთან დაკავშირება. **ჟანრი** გულისხმობს ტექსტის რაგვარობის გაგებას (რა ტიპის ტექსტია?) **რეგისტრი** გულისხმობს მთხრობელის პოზიციას და სამიზნე აუდიტორიის გაგებას (ვისი პირით ლაპარაკობს? როგორი აუდიტორიისათვის, ვისი მისამართით არის განკუთვნილი?);

ეს მოდელი საშუალებას აძლევს მასწავლებელს, „ხარაჩოების“ დახმარებით „შეიყვანოს“ მოსწავლე ტექსტში და იყოს მისი მეგზური „ენობრივი ფენების“ ანალიზისას, ასწავლოს როგორია ენის სიღრმისეული სტრუქტურა. ყურადღება გაამახვილებინოს, როგორც წინადადების სტრუქტურაზე, ასევე სიტყვების მართლწერაზე, ტექსტის ჟანრსა და ტექსტის სტრუქტურაზე.

მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა ასწავლოს იმ სტრატეგიების გამოყენება, რომლებიც ტექსტში „აზრის გახსნას“ სჭირდება. კითხვის სტრატეგიების სწავლება თანმიმდევრული და სისტემური პროცესია, რომელიც მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ აქტივობებს და მიზნად ისახავს წაკითხულის გააზრების სწავლებას: ტექსტის გრაფიკ - ფონემური, სემანტიკური და სინტაქსური მნიშვნელობების იდენტიფიკაციისა და ინტეგრირების საფუძველზე. ამგვარად, მოსწავლეებისთვის თანმიმდევრობით „ გახსნილია“ **ტექსტის ყველა „ენობრივი ფენა“**, რისი შედეგიც წაკითხულის ღრმა და ადეკვატური გააზრებაა.

“ხარაჩოების” დახმარებით, კითხვის სწავლების პროცესი გაივლის შემდეგ ეტაპებს: კითხვისთვის მომზადება, დეტალური კითხვა, ენობრივი ანალიზი და ბოლოს წერა. ესენი ურთიერთმეშველელი და ურთიერთგამომრიცხავი ეტაპებია. აღნიშნული მიდგომის ერთ-ერთი მახასიათებელია კითხვის და წერის ინტეგრირება და ორივეს კომუნიკაციურ აქტად განხილვა. მიდგომის ინტეგრირებული ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ ის აერთიანებს როგორც სიტყვის ამოცნობის, ისე წაკითხულის გააზრების და ტექსტის შექმნის სტრატეგიებს.

აღნიშნული მოდელის მიხედვით, ტექსტი და მასთან დაკავშირებული დავალებები უნდა იყოს იმაზე უფრო რთული დონის, ვიდრე მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად დაძლიოს. მასწავლებლის ან უფრო კომპეტენტური ადამიანის ფუნქცია კი იმაში მდგომარეობს, რომ ნათლად აუხსნას მოსწავლეებს არა მარტო რა უნდა გაკეთდეს, არამედ როგორ უნდა გაკეთდეს. ის **სტრუქტურირებული დიალოგის** მეთოდით ასწავლის მოსწავლეებს ტექსტის ავტორის, იდეის და ჩანაფიქრის ინტერპრეტაციას. მოსწავლეები გააზრებულად და მიზანმიმართულად სწავლობენ, თუ როგორ უნდა „გამოამჟღავნონ“ ტექსტში დაფარული აზრი. ის, რაც ტექსტის ზედაპირზე არ დევს და სიტყვებს შორის იკითხება. ამგვარად მოსწავლეები ეუფლებიან ექსპლიციტური და იმპლიციტური კითხვის სტრატეგიებს. ასევე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ამავდროულად მიზანშეწონილია გამოვიყენოთ დიფერენცირებული მიდგომა, „რომელიც სასარგებლოა როგორც სუსტი, ისე ძლიერი მკითხველებისთვის, რომლებიც კლასში ერთსა და იმავე ტექსტზე მუშაობენ. „ძლიერი“ მკითხველები არ ფერხდებიან, რადგან მათ შეუძლიათ იმავე ტექსტში უფრო რთული დონის აქტივობები განახორციელონ მაშინ, როდესაც „სუსტი“ მკითხველები მასწავლებელთან დიალოგით და ძლიერი მკითხველის მაგალითით სწავლობენ, თუ რა სტრატეგია უნდა გამოიყენონ ტექსტის შინაარსის გასაგებად და მთავარი იდეის გამოსაყოფად, ტექსტის ძრითადი მონაკვეთების გასააზრებლად. ეს „დიალოგი“ ცნობილია როგორც „ინიცირება-გამოხმაურება-უკუკავშირი IRF-ის წრე“, მასწავლებელი ურთიერთქმედებს მოწავლეებთან კითხვების დასმით, რათა გაიგოს რომელ მოსწავლეს აქვს პასუხი და რომელი გამოეხმაურება აღნიშნულ კითხვას. საბოლოოდ, მასწავლებელი უკუკავშირის საფუძველზე აფასებს მიღებული პასუხებს და გამოეხმაურებას. ასეთი ტიპის დიალოგური ურთიერთკავშირი წარმოდგენილია ცხრილში :

ცხრილი №2. დიალოგური ურთიერთკავშირი

შეკითხვა-მასწავლებელი სვამს კითხვას მომზადების გარეშე (ან მოსწავლეები სვამენ კითხვებს)
მომზადება მასწავლებელი უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას რათა მიიღოს სწორი პასუხები
იდენტიფიცირება მოსწავლე ახდენს ტექსტის ელემენტების იდენტიფიცირებას
არჩევა მოსწავლეები ირჩევენ ელემენტებს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით
დადასტურება მასწავლებელი ადასტურებს მოსწავლეთა პასუხებს
უარყოფა მასწავლებელი უარყოფს პასუხებს უკუგდებით, იგნორირებით
გაუმჯობესება განსაზღვრავს ახალ პირობებს, ხსნის ახალ კონცეფციებს ან კავშრს გამოცდილებასთან (მასწავლებელი ან დისკუსიის წარმოებით მოსწავლეებში)

მითითება

მასწავლებელი ხელმძღვანელობს საქმიანობას

გამოყენებული ლიტერატურა:

- Vygotsky, L. (1987). Zone of proximal development. *Mind in society: The development of higher psychological processes*, 5291, 157.
- Zubanova, T. На перекрестке идей—Выготский и современная психология Часть 3.
- <http://classroom-aid.com/2014/12/18/innovating-pedagogy-dynamic-assessment/>
- Lantolf, J. P., & Poehner, M. E. (2004). Dynamic assessment of L2 development: Bringing the past into the future. *Journal of Applied Linguistics*, 1(1).
- <http://study.com/academy/lesson/dynamic-assessment-definition-process-examples.html>
- Rose, D. (2007). A reading based model of schooling. *Pesquisas em Discurso Pedagógico*, 4(2), 1-22.
- Martin, J. R., & Rose, D. (2007). Interacting with text: The role of dialogue in learning to read and write. *Foreign Languages in China*, 4(5), 66-80.
- Rose, D. (2011). Genre in the Sydney school. *The Routledge handbook of discourse analysis*. London: Routledge, 209-225.

Tamar Taliashvili

Ilia state university, Tbilisi

Why the Literacy is in Need of Upholding Boards?!

Abstract

Direct application of this method is not sufficient during the teaching process. There are three types of instructional scaffolding: Diagnostic of development level; actual interference; verification of the development results. For revealing and assessing student's knowledge and skills, scaffolding utilizes the following diagnostic methods: dynamic testing and assessment "DT/A, RTI P" - response on interference. Both diagnostic approaches partially resonate with Vigotsky's theory and are based on the general perception of development potential. Identification of the best teaching strategies through consideration of individual learning abilities is a feature that connects both approaches. Instructional scaffolding is quite an effective teaching method, however

საკვანძო სიტყვები: წიგნიერება, სკაფოლდინგი, ტექსტის სტრუქტურული ანალიზი, დიაგნოსტიკური მეთოდები, დინამიური ტესტირება.

Key words: Literacy, scaffolding, structural analysis of text, diagnostic methods, dynamic testing

მიმოზა ტყეზუჩავა, მაია ადგიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
სსიპ-ქ.თბილისის N89 საჯარო სკოლა, თბილისი

კითხვისმრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება სხვადასხვა საგნის სწავლებისას საბაზო საფეხურზე

„სწავლება გაცილებით მეტია, ვიდრე ინფორმაციის გადაცემა“- მერილინ კორან სმიტი. სწავლებაში არსებული გამოწვევების შესახებ თითოეულ ჩვენგანს სმენია. კარგი მასწავლებელი ბევრ განსხვავებულ ხერხს უნდა იყენებდეს სწავლების პროცესში, რადგან ლექციური მეთოდი მოსწავლეებში დიდ ინტერესს არ იწვევს. კვლევებმა აჩვენეს, რომ ლექციური მეთოდით სწავლებისას მოსწავლეების მიერ მასალის ათვისების პროცენტული მაჩვენებელი ძალიან დაბალია, დაახლოებით 5%.

სწავლების თანამედროვე მეთოდებში განსაკუთრებით გამოირჩევა კითხვის ეფექტური სტრატეგიების გამოყენება. მასწავლებელი რეგულარულად უნდა იყენებდეს გაცნობითი, შესწავლითი და საანალიზო ხასიათის სტრატეგიებს.

მნიშვნელოვანია კითხვის სტრატეგიების ფლობა და მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, არა მარტო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისთვის, არამედ სხვა საგნების მასწავლებლებისთვისაც.

საბაზო საფეხურზე ეფექტურია ამ სტრატეგიების გამოყენება, რადგან ეს ხელს შეუწყობს ახალი საგნების სწავლის მიმართ მოტივაციის ამაღლებას.

კითხვის სწავლების რამდენიმე სახე არსებობს: გაცნობითი, შესწავლითი და საანალიზო-გაცნობითი.

გაცნობითი ხასიათის კითხვა არ ნიშნავს ზერელე გადაკითხვას. ეს არის ტექსტის შინაარსის გაცნობა, პერსონაჟების ჩამონათვალი, ეპიზოდებად დაყოფა და მოყოლა ეფექტურია I-დან XII კლასის ჩათვლით. შეიძლება მოზაიკური მიდგომა, მაგალითად გავუყოთ ჯგუფებს მასალა: 1-ლი თავი 1 ჯგუფს, მეორე მე-2 ჯგუფს და ა.შ.

გაცნობითი ხასიათის კითხვის მეთოდი შეიძლება საბაზო საფეხურზე ნებისმიერი საგნის სწავლებისას შესაძლებელია ახალი მასალის ახსნისას, მასალა დაიყოს აზიარებად, წავაკითხოთ მოსწავლეებს შემთხვევითობის პრინციპით. დავუსვათ კითხვები მასალის ნაწილის წაკითხვის შემდეგ. ირგვლივ ასეთი მეთოდით მუშაობისას პასუხისმგებლობით მოეკიდებიან მასალის წაკითხვას, რაც გაუადვილებს ახალი მასალის გააზრებას, რაც თავის მხრივ საგნისადმი ინტერესს და მოტივაციას აუმაღლებს. მათ გაუადვილდებათ მასალის დამოუკიდებლად დამუშავება და საშინაო დავალებების შესრულება. ეს მიდგომა დაგვხმარება ლექციური მეთოდის ჩანაცვლებაში. შემთხვევითობის პრინციპის გამოყენება კი უზრუნველყოფს ყურადღების კონცენტრირებას მასალის მიმართ.

შესწავლითი და საანალიზო კითხვის სტრატეგიების გამოყენება მნიშვნელოვანია VI-XII კლასებში, როგორც წყვილური ასევე ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისას. მაგალითად, ტექსტში მოვანიშნინოთ, ამოვაკრეფინოთ და დავალაგებინოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. შეიძლება სტრატეგია „მოსწავლე მასწავლებლის გამოყენება“ (მოსწავლე კითხულობს 2 სტრიქონს, შემდეგ უსვამს კლასს კითხვას, კლასი პასუხობს)

საანალიზო კითხვის გაკვეთილი შემოიფარგლება რატომ? როგორ? კითხვებით, იშვიათად რა? კითხვით. საანალიზო კითხვისას დავალება შეიძლება ორგვარი იყოს: ა) როცა ყველა ერთი ტიპის დავალებაზე მუშაობს და ბ) როცა სხვადასხვა ტიპის დავალებაზე მუშაობენ. საანალიზო კითხვის გაკვეთილს ვაფასებინებთ მოსწავლეს შეჯამების დროს ან გაკვეთილის ბოლოს.

ამრიგად, გაცნობითი, შესწავლითი და საანალიზო კითხვის სტრატეგიების ფლობა აუცილებელია ყველა საგნის მასწავლებლებისთვის, რათა შეძლონ მათი გამოყენება საგნების სწავლებისას. ამ სტრატეგიების გამოყენება საბაზო საფეხურზე განსაკუთრებით შეუწყობს ხელს ახალი საგნებისადმი ინტერესის გაღვივებას და გაუადვილებს მათ დამოუკიდებლად მასალის შესწავლას.

კარგი მასწავლებელი ყოველთვის, როცა შესაძლებელია, კითხვის ხუთ ქმედით სტრატეგიას იყენებს. ეს იდეები ეფუძნება ფიშერის, ფრეისა და უილიამსის შრომებს.

ერთერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიაა ხმამაღალი კითხვა. მოსწავლეებისთვის ტექსტის წაკითხვა არა მხოლოდ დაწყებითი კლასებისთვის გათვალისწინებული აქტივობაა, არამედ სკოლის ყველა კლასის მოსწავლე იღებს განუზომლად დიდ სარგებელს მისგან. შეიძლება ამ მეთოდით კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურასაც დავუთმოთ დრო.

მოსწავლეებს შეუძლიათ მოუსმინონ, თვალი გააყოლონ ან უპასუხოთ კითხვებს სამუშაო ფურცელსა და დაფაზე. დროდადრო შეგვიძლია დავსვათ კითხვები. თითოეული ტექსტის დასრულების შემდეგ კარგი იქნება, თუ წავახალისებთ მოსწავლეებს, იმუშაონ მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე, მივანიჭოთ მათ სრული თავისუფლება თავიანთი აზრების და იდეების გამოსახატავად. ნება მივცეთ მოსწავლეებს, შექმნან პროექტები

დამოუკიდებლად ტექსტიდან გამომდინარე და წარმოვადგენინოთ შესაბამის გარემოში. დავაჯილდოვოთ მოსწავლეები, რომელთაც შექმნეს პროექტები ტექსტის მიხედვით.

ხმამაღალი კითხვის მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტური იქნება მათემატიკის გაკვეთილებზე ალგებრული და გეომეტრიული ამოცანების ამოხსნისას.

საჭიროებების კვლევამ ჩვენს სკოლაში აჩვენა, რომ მოსწავლეებს უჭირთ ამოცანის პირობის გააზრებული კითხვა, რაც, თავის მხრივ, სირთულეს უქმნით მათ ამოცანების ამოხსნისას. თუ ამოცანების ამოხსნისას გამოვიყენებთ ამ მეთოდს, კლასში მუშაობისას, მათ ეს დაეხმარებათ დამოუკიდებლად ამოცანების ამოხსნაში. თუ ერთ მოსწავლე ამ მეთოდით წაიკითხავს ამოცანის პირობას, მეორე კითხვას და აქვე მოვახდენთ კითხვების დასმით პირობის გაცნობას, გააზრებას და გაანალიზებას. ეს ხელს შეუწყობს ამოცანის ამოხსნის სწორი სტრატეგიის შეჩვენას. მათემატიკაში ამოცანების ამოხსნა სწორედ ამ სტრატეგიის არ ფლობის გამო უჭირთ.

კითხვის შემდეგი ქმედითი სტრატეგიაა: გრაფიკული ორგანიზატორები, რომლებიც მოსწავლეებს აწვდის ვიზუალურ ინფორმაციას, ამრავალფეროვნებს საკლასო დისკუსიას, თუ ტექსტზე მუშაობის პროცესს.

ეფექტურია, წავახალისოთ ყველა მოსწავლე, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც მხედველობითი აღქმა უფრო მეტად აქვთ განვითარებული, წარმოაჩინონ გარკვეული თემის საკუთარი გაგება, თავიანთი იდეები და ხედვები ვიზუალური ხერხებით. შემდეგ კი გამოვიყენოთ საშინაო დავალების მიცემის ან ტესტირების შესაძლებლობა, რათა წარმოვაჩინოთ ნებისმიერი გზით მათ მიერ ნასწავლი მასალა.

გეომეტრიული ამოცანების ამოხსნისას მოსწავლეებს უჭირთ პირობის შესაბამისი ნახაზის აგება, შესაბამისად ამოხსნა. გრაფიკული ორგანიზატორები ხმამაღალი კითხვის მეთოდთან ერთად შერწყმული, სასარგებლო იქნება გეომეტრიული ამოცანების ამოხსნისას. ხმამაღალი კითხვის მეთოდის გამოყენებით, გეომეტრიული ამოცანის ირგვლივ კითხვების დასმასთან ერთად, მოსწავლეებს შევასრულებინოთ პირობის შესაბამისი ნახაზი. ისინი შემდეგ პირობის შესაბამისი ნახაზის აღქმას, ტექსტის მიხედვით ნახაზის აგებას, რაც გეომეტრიული ამოცანების ამოხსნის გზების გააზრებასა და სწორად შერჩევაში დაეხმარებათ.

კითხვის ერთ-ერთი სტრატეგიაა ასევე უცხო სიტყვათა სწავლება. კარგია, თუ დაფაზე დაწეროთ და შევინახავთ სექციას სათაურით: „ჩვენი ახალი სიტყვები“.

წავახალისოთ მოსწავლეები, ჩაიწერონ ყველა სიტყვა, რომელსაც ვერ იგებენ. ამავე დროს ახალი სიტყვა თუ შეგვხვდება დაწეროთ დაფაზე. გამოვიყენოთ როლური თამაშები, ამბის მოყოლა ან სხვა არატრადიციული მეთოდი იმისათვის, რომ დავეხმაროთ მოსწავლეებს, გამოიყენონ ახალი ნასწავლი სიტყვები კონტექსტუალურად.

მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, მოსწავლეები ავარიდოთ სიტყვების გამეორების ტრადიციულ გზებს, როგორებიცაა სიტყვების უთვალავჯერ ჩამოწერა, კონტექსტის მიუხედავად მათი წინადადებებში გამოყენება და ა.შ.

კითხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა წერა სწავლისთვის.

კარგი იქნება, თუ მივცემთ კლასს წერითი აქტივობებისათვის, მაგალითად აწარმოოს ჩანაწერების რვეული. გამოვიყენოთ ე.წ. „მნიშვნელების ფურცლები“ რომლებსაც მოსწავლეები გაკვეთილის დროს ჩანაწერებისთვის გამოიყენებენ. მაგალითად, შეუძლიათ დაწერონ, რა ისწავლეს ახლახან ან ჩამოწერონ კითხვები, რომლებიც კვლავ აქვთ. სწავლებისას ძალიან მნიშვნელოვანია ორმხრივი სწავლების სტრატეგიაც, მისი სხვადასხვა ფორმის გამოყენება. ჩემი აზრით, ორმხრივი სწავლების სტრატეგია განსაკუთრებით ეფექტური შინაარსით გადატვირთული მასალის სწავლის დროსაა.

საკმაოდ რთული მასალის ახსნის შემდეგ ვეუბნებით მოსწავლეებს, დახურონ რვეულები და წიგნები, მოძებნონ მეწყვილე, „დაწყვილდნენ და გაუზიარონ ცოდნა ერთმანეთს“. ვეუბნებით მოსწავლეებს, რომ ერთი მათგანი იქნება მოსწავლე „ა“, ხოლო მეორე მოსწავლე „ბ“. ამ უკანასკნელმა უნდა მოუყვეს მოსწავლე „ა“-ს ყველაფერი რაც ახლახან ისწავლა. მოსწავლე „ა“-ს არ შეუძლია დასვას რაიმე შეკითხვა. მოსწავლე „ა“

ინფორმაციას იწერს, როდესაც მოსწავლე „ბ“ ინფორმაციას აწვდის, მაშინ მოსწავლე „ა“ ყურადღებას შეცდომაზე ამახვილებს. დაახლოებით 5 წუთის შემდეგ ნებას ვრთავთ მოსწავლეს გაუზიარონ ერთმანეთს დაშვებული შეცდომები, შეცდომებზე სასაუბროდ განვუსაზღვროთ მათ 3 წუთს (დაახლოებით). შეცდომების გაზიარების შემდეგ ვთხოვთ გადაშალონ წიგნები და შეამოწმონ, რამდენად სწორია მათ მიერ ერთმანეთისთვის გაზიარებული ინფორმაცია შემდეგ წყვილები გამოცდილებას უზიარებენ მთელ კლასს.

ჩვენ მიერ განხილული კითხვის ბოლო ორი სტრატეგია მათემატიკის სწავლებისას შეიძლება გამოვიყენოთ ასე: მოსწავლეებმა წლის დასაწყისშივე შექმნან წიგნაკი, რომლებშიც ახალ ტერმინებსა და ფორმულებს ჩაინიშნავენ.

დღეს კითხვა ყველა საგნისათვის აუცილებელი კომპონენტია. ზემოთ მოყვანილ სტრატეგიების გამოყენება აუცილებელია, არამხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკისა და სოციალური მეცნიერებების სწავლების დროსაც.

ამრიგად, ჩვენ შევიმუშავეთ რეკომენდაციები რომელთა მიხედვითაც ვაპირებთ კითხვების სტრატეგიების გამოყენების დანერგვას ყველა საგნის სწავლებისას:

-სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა;

-სტრატეგიების გაცნობა და განხილვა;

-თითოეული სტრატეგიის გამოყენებაზე გაკვეთილების დაგეგმვა;

-გაკვეთილის გეგმის წარდგენა და განხილვა კოლეგებთან ერთად;

-დანერგვა საგაკვეთილო პროცესზე;

-თვითდაკვირვება და ურთიერთდაკვირვება გაკვეთილებზე;

-რეფლექსია;

-შედეგების განხილვა და შემდგომი დახვეწა.

ჩვენ ვმუშაობთ მოსწავლეებთან, რომელთაც უჭირთ არა მხოლოდ მხატვრული, არამედ სამეცნიერო და პუბლიცისტური ხასიათის ტექსტების სიღრმისეული და ადეკვატური გააზრება, არადა ეს უნარი ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლისათვის ცნობის მისაღებად. ეს უნარ-ჩვევები კურსდამთავრებულებშიც მოწმდება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, როგორც ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ასევე ზოგად უნარებში. მოგეხსენებათ, საგანი „ზოგადი უნარები“ სკოლაში არ ისწავლება. მაშ, კითხვაზე, სად უნდა დაეუფლონ მოსწავლეები ამ უნარებს? პასუხი ერთია: სკოლაში, ყველა საგნის მასწავლებლისაგან კითხვის ეფექტური სტრატეგიების სწავლებისას.

ლიტერატურა:

ჯეფრი გლანცი (2016); სწავლება 101. საკლასო სტრატეგიები დამწყები მასწავლებლებისთვის. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმშობის ურთიერთობების ცენტრი. თბილისი.

Mimoza Tkebuchava, Maia Adeishvili

Ivane Javakhishvili State University, Tbilisi

Tbilisi Public School # 89

Use of Variety Strategies while Teaching Various Subjects on Elementary Level

Abstract

The use of effective strategies in the modern methods of teaching is especially distinguished. It is important to have the question strategies and use them in the course of the lesson, not only for the Georgian language and literature teacher but for teachers of other subjects. These strategies are effective at the base level, as this will help increase motivation towards learning new subjects.

There are several types of reading questions: Introductory, Study and Analytical Intro. There are 5 effective strategies for questioning: loud questions, graphic organizers, foreign language

teaching, bilateral training strategy and writing for learning. Recommendations are proposed to use these structures.

Key words: need, question, strategy, introduction, outcome

საკვანძო სიტყვები: საჭიროება, კითხვა/შეკითხვა, სტრატეგია, გაცნობა, შესავალი

ინგა ტყემალაძე, მანანა ღარიბაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

ონომასტიკური ერთეულები ინგლისურ და ფრანგულ ფრაზეოლოგიზმებში

შესავალი

თანამედროვე ლინგვისტიკა მიზნად ისახავს ადამიანის ისეთ ურთიერთობას ენასთან, რომელშიც იდეალი ობიექტურ ჭეშმარიტებად არის ასახული, როგორც ადამიანის ცნობიერების, ნიჭიერების, ეროვნული, სულიერი სიმდიდრისა და შინაგანი თვითშეგნების ცოდნის უმაღლესი ფორმა.

როგორც წესი, სამყაროს აღქმა დაფუძნებულია ენაზე. ჩვენ ცალკეული სოციალურ ჯგუფებს მიეკუთვნებით; ამასთან ერთად, მთლიანი საზოგადოების წევრებიც ვართ და ამავე საზოგადოებაში სხვადასხვაგვარად ვურთიერთქმედებთ. ამ თვალსაზრისით, ყველაზე მეტად სწორედ ადამიანთა შორის კომუნიკაციაა ჩვენთვის საერთო და მნიშვნელოვანი.

რადაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს ესა თუ ის ეთნიკური ჯგუფი, მისი ტრადიციები თუ კულტურა, ზოგადად, მსგავსი ჯგუფები პატივს სცემენ თავიანთი ეთნიკური ჯგუფებისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს; ენა ამ ღირებულებების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. კულტურული თვითმყოფადობის არსი წარმოიშვა ისტორიის, სოციალური გამოცდილების, ტრადიციების, ცხოვრების წესებისა და მშობლიურ ენაზე მორალური პრინციპების გზით, რომელიც აისახებოდა იდიომატურ გამონათქვამებში და თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებით სახელებს, კერძოდ კი საკუთარ სახელებს, ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ენაში. საკუთარი არსებითი სახელები აუცილებელია ეფექტური კომუნიკაციისათვის. სწორედ ამიტომ, საკუთარი არსებითი სახელები საზოგადო არსებითი სახელისაგან განსხვავდებიან უნივერსალური გამოყენების თვალსაზრისით.

ჩვენი *კვლევის მიზანს* წარმოადგენს ონომასტიკური ერთეულების, კერძოდ კი, საკუთარი სახელების შემცველი ფრაზეოლოგიზმების მოძიება, იდენტიფიცირება და გარკვეული სახის კლასიფიცირება ინგლისურ და ფრანგულ ენებში.

მოხსენებაში განხილული გვაქვს კულტურისა და ისეთი ფრაზეოლოგიური გამონათქვამების ურთიერთკავშირი, რომლებშიც გამოყენებულია ძირითადად საკუთარი არსებითი სახელები. რადგანაც ფრაზეოლოგიურ ერთეულებში არსებული მსგავსი არსებითი სახელები აშკარად გამოხატავს ხალხთა ისტორიას, რომლებიც ზოგჯერ მხოლოდ ამ თუ იმ ერის თავისებურებებზე მიუთითებენ ან კონკრეტული მნიშვნელობა აქვთ. მსგავსი ფრაზეოლოგიური ერთეულების ეტიმოლოგია უდავოდ ადასტურებს იმას, რომ ისტორია ენაში ცხოვრობს.

ონომასტიკა და მისი ტიპები, ონომასტიკური უნივერსალების არსი

ონომასტიკა სხვა მეცნიერებებთან შედარებით ახალი ლინგვისტური დისციპლინაა და მეცნიერული სტატუსი მან მხოლოდ XX საუკუნის 30-იან წლებში მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი შეხედულებებითა და თეორიული პრინციპებით, ონომასტიკური მეცნიერება

თანამედროვე ლინგვისტიკაში უმნიშვნელოვანეს ფენომენს და ენათმეცნიერების კომპლექსურ დისციპლინას წარმოადგენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ონომასტიკა წარმოიქმნა როგორც გამოყენებითი მეცნიერება, რომელიც მჭიდრო კავშირშია ისტორიასთან, გეოგრაფიასთან, ეთნოგრაფიასთან, ლიტერატურათმცოდნეობასთან. ხოლო მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ამ დარგით თავად ლინგვისტები დაინტერესდნენ და გამოიყენეს სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზის მეთოდები, ონომასტიკა დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბდა.

თანამედროვე ონომასტიკა კომპლექსურ ლინგვისტურ მეცნიერებას წარმოადგენს თავისი სპეციფიკური მეთოდებით, ზოგად თეორიული თვალთახედვითა და მულტიდისციპლინარული ასპექტებით, რომელთა არსებობა და განვითარება დიდ როლს ასრულებს სოციალურ საზოგადოებაში.

სწორედ ამიტომ, რაც უფრო ღრმად ჩაწვდებით, თუ რას წარმოადგენს ონომასტიკური სფერო როგორც მეცნიერება, გავანალიზებთ მის ტიპებს და სპეციფიკას, და აგრეთვე მის ფუნქციონირებას, რასაკვირველია, შევძლებთ უკეთესად შევიცნოთ ამ სფეროს აუცილებლობა და როლი, როგორც მატერიალურ სამყაროში, აგრეთვე ზოგად ენობრივ სისტემაში.

რასაკვირველია, ყოველი ენა უნიკალურია არა მარტო სტრუქტურის თვალსაზრისით, არამედ ეროვნული იდენტობის თვალსაზრისითაც. სხვადასხვა ენაზე მოსაუბრეთა მსოფლმხედველობა კარგად არის ასახული კონკრეტული ენის ერთეულებში რომელთა რიგებში ერთიანდება არა მარტო ცალკეული სიტყვები, არამედ ფრაზეოლოგიური ერთეულებიც.

ონომასტიკური უნივერსალები ყველა ენაში არსებობს. ამ ეტაპზე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შევისწავლეთ ინგლისური და ფრანგული ენებისათვის დამახასიათებელი ონომასტიკური ერთეულები, კერძოდ თუ როგორ და რა ფორმით არიან ისინი წარმოდგენილი ამ ენების ფრაზეოლოგიზმებში, მაგალითად: *Heel of Achilles / talon d'Achille, the old Adam/le vieil Adam, the Benjamin le Benjamin de la famille, as poor as Job/pauvre comme Job, Judas kiss/baiser de Judas, as old as Methuselah/vieux comme Mathusalem, justice of Solomon/jugement de Salomon* და ა. შ.

როგორც წესი, მთელი რიგი ფრაზეოლოგიზმები წარმოქმნილია ბიბლიის, მითოლოგიის, ლიტერატურისა და მსოფლიო ისტორიიდან ნასესხები საკუთარი არსებითი სახელებიდან. ასეთი ფრაზეოლოგიური ერთეულების ეტიმოლოგია კი ენისა და სოციალური გარემოს ურთიერთობის, წინაპრების მემკვიდრეობით მიღებულ აზროვნების ეროვნული, ეთნიკური და კულტურული თავისებურებებს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ენის ფრაზეოლოგიზმებში არსებობს არაერთი ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელიც შეიცავს არსებით სახელს, როგორც ამ ერთეულის შემადგენელ კომპონენტს. ამერიკელი ენათმეცნიერი ვალტერ ლიპმანი (Walter 1998:46) ხაზს უსმევს იმ ფაქტს, რომ ინგლისურ ენაში არ არის საკუთარი არსებითი სახელების შემცველი ბევრი ფრაზეოლოგიზმი. კერძოდ, ფრაზეოლოგიზმების საერთო რაოდენობის მხოლოდ 2%-ს შეადგენს. ფრანგულ ენაში შედარებით მეტია, თუმცა ამ ეტაპზე ზუსტ რაოდენობასთან დაკავშირებით მონაცემი ვერ მოვიპოვეთ.

ფრაზეოლოგიზმების შესასწავლად კვლევაში გამოყენებულია შემდეგი ლექსიკონები: *The Oxford Dictionary of Phrase, Saying, and Quotation* by Elizabeth Knowles და *Maloux M. Dictionnaire des proverbes, sentences et maximes*.

აღნიშნულ კვლევაში, რასაკვირველია, ვერ განვიხილავთ ყველა ფრაზეოლოგიურ ერთეულს. ჩვენს სტატიაში ძირითად აქცენტს გავაკეთებთ საკუთარი არსებითი სახელებისგან შემდგარი ინგლისურ და ფრანგულენოვან ფრაზეოლოგიური ერთეულების კულტურულ მახასიათებლებს და თავისებურებებს.

საკუთარი სახელები, როგორც ონომასტიკური ერთეულების შემადგენელი ნაწილი და მათი იდენტიფიცირება ინგლისურ და ფრანგულ ენებში

როგორც უკვე ცნობილია საკუთარ სახელებს მეცნიერების დარგი ონომასტიკა იკვლევს და ისინი უნივერსალურ ლინგვისტურ კატეგორიას წარმოადგენენ.

საკუთარი სახელები ცვალებადობას განიცდის განსხვავებულ კულტურათა ფონზე და, სწორედ, იმ საზოგადოების ანარეკლს წარმოადგენს რომლის წიაღიდანაც ისინი არის წამოსული. ლიონის აზრით (Lyons, 1969:337), „საკუთარი სახელები უნდა განვიხილოთ, როგორც ყველაზე „სუბსტანციური“ და მეტად „ნომინალური“ ლინგვისტური ერთეულები.

ფაქტია, რომ საკუთარი სახელები, რომლებიც შედის ფრაზეოლოგიზმების შემადგენლობაში, კომუნიკაციის პროცესში უდიდეს როლს ასრულებენ. მოცემულ შემთხვევაში. ისინი წარმოადგენენ კულტურული, გეოგრაფიული, ეთნიკური და სოციალური იდენტობის ნიშნებს.

კვლევის პროცესში გავანალიზეთ საკუთარი და მათგან წარმოებული სახელები, რომლებიც შედიან ფრაზეოლოგიზმების შემადგენლობაში, რათა დაგვედგინა თუ რომელი ონომასტიკური კომპონენტებია გამოყენებული ინგლისურ და ფრანგულ ენებში; შესაბამისად მოვახდინეთ მათი დაჯგუფება გარკვეული კატეგორიების მიხედვით.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ორივე სამიზნე ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ძირითადად ჭარბობს ბიბლიური და მითოლოგიური ხასიათის საკუთარი სახელები; აგრეთვე, ხმარებიდან გამოსული ე.წ. მოძველებული სახელები და უცხოური ენებიდან შემოსული საკუთარი სახელები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, კულტურული თვალსაზრისით, ბიბლიური და მითოლოგიური სახელებიდან წამოსული გამონათქვამები თუ სხვა ფრაზეოლოგიური ერთეულები, გარკვეულ შემთხვევებში, სრულ თანხვედრაშია ინგლისურ და ფრანგულ ენებში. მაგ., *daughter of Eve/ fille d'Eve, a Hercules/ un Hercule, a Magdalen/une Madeleine, a Penelope/ une Pénélope, Adam's fig/figuier d'Adam, Solomon's seal/sceau de Salomon* და სხვა.

ამასთან შესაძლოა მცირედი განსხვავება არსებობდეს მათი ფორმულირების შემთხვევაში მნიშვნელობის შეუცვლელად. მაგ., *Job's comforter/ami de Job, Judas-coloured hair/poil de Judas, Moses basket/moïse/, to borrow from Peter to pay Paul/ découvrir saint Pierre pour couvrir saint Paul, a doubting Thomas/un saint Thomas,*

აგრეთვე შესაძლებელია, სახელების ერთმანეთთან მსგავსება არასრული სახით იყოს წარმოდგენილი, მაგ., *not to know from Adam/ne connaître ni d'Eve ni d'Adam, Adam and Eve's togs/costume d'Adam. Jesus !/ Jésus, Marie, Joseph !* და სხვა. გამოიკვეთა ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი საკუთარი სახელი არ არსებობს რომელიმე ჩვენი სამიზნე ენის ფრაზეოლოგიზმებში, მაგ., *to cry one's eyes out/ pleurer comme une Madeleine, Egyptian thorn/arbre de Moïse, yellow asphodel/verge de Jacob, Aaron's beard/millepertuis velu, to feel as in Abraham's bosom/ être comme un coq en pâte, to pass through St. Peter's needle/ recevoir une bonne raclée* და სხვა. ჩვენი დაკვირვებისას აღმოჩნდა ისეთი მაგალითებიც, როდესაც შესაძლებელია სახელების ცვლილებები, მაგ., **Solomon's seal/ étoile de David, to raise Cain/ faire le Rébecca** და სხვა.

ონომასტიკურ ერთეულებში ერთიანდება ისეთი საკუთარი სახელებიც, რომლებიც ხმარებიდან არის გამოსული. ისინი პრაქტიკულად მოძველებულია, მაგრამ ყოველდღიურ გამონათქვამებში წარმატებით გამოიყენება, მაგ.,

ინგლისური ენა: *Abigail, to dine with St. Giles and the Earl of Murray*

ფრანგული ენა: *avoir le mal de saint Acaire, tout le Saint-Crépin, musique de saint Innocent, Frère Lubin, c'est un scrupule de saint Macaire, alleluia d'Othon* და სხვა.

ზოგიერთი მათგანი ენის სხვადასხვა რეგისტრშიც გამოიყენება, ან ნაკლებად აკადემიურში ან ტექნიკურში, მაგ.,

ინგლისური ენა: *Ignatius' bean, Prince Rupert's metal*

ფრანგული ენა: *eustache, fiacre, gervais, un vrai Nicaise, Philibert* და სხვა.

განსაკუთრებით უნდა ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ ე.წ. მოძველებული საკუთარი სახელებიდან წამოსული ფრაზეოლოგიური ერთეულები და სხვა გამონათქვამები ბიბლიური ან მითოლოგიური სახელებისგან განსხვავებით ნაწილობრივ ან სრულ

თანხვედრაშია ინგლისურ და ფრანგულ ენებში. მაგ., Alphonse/ Alphonse, handy Jack/Maitre Jacques, Jack/Jacquet, to play Joseph/ faire son Joseph, let George do it/ laissez faire à Georges და სხვა.

ხშირია ისეთი მაგალითები, როდესაც სამიზნე ენებში სახელები სხვადასხვაა: to go to Sir Harry/ aller chez Bernard, to be a proper Charlie/être bien Claude, to talk Miss Nancy/ faire sa Julie, to be as blind as Chloe/ avoir Marianne dans l'oeil, there are more Jacks than one at the fair/ il y a plus d'un âne qui s'appelle Martin, Betsy/ Mohamed, to be hail-fellow-well-met with Dick and Harry/ frayer avec Pierre et Paul/, Tom, Dick and Harry/ Pierre, Paul et Jacques, და სხვა. ასეთი ცვლილებაა აგრეთვე დამახასიათებელი ბოტანიკის სფეროშიც. მაგ., Peter'swort/ pied d'*Alexandre*, herb Gerard/petite angélique, poet's narcissus/jeannette, Jack-by-the-hedge/julienne, Paul's betony/véronique და სხვა.

უცხოური ენებიდან შემოსული სახელები:

ინგლისური ენისთვის, ისევე როგორც ფრანგულისთვის დამახასიათებელია უცხოური ენებიდან შემოსული საკუთარი სახელები, რომლებიც საინტერესო ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ქმნიან მოცეულ ენაში.

ინგლისური ენა: Antonio, Fritz, to be on the fritz, Hans, Hans Carvel's ring, Heinie, Ivan, Tony.

ფრანგული ენა: allons-y, Alonzo !, Carlos, Fridolin, Fritz, balançoire à Mickey, Mohamed, chanter Ramona à qqn, oncle Sam, Teddy, Tommy.

ხშირია ამ სახელების ცალკეულ გამონათქვამებში გამოყენების შემთხვევები.

განსაკუთრებით გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ორვე სამიზნე ენაში ხშირად გამოიყენება საკუთარი სახელები სხვადასხვა გამონათქვამებში, ანდაზებშიც კი.

ინგლისური ენა: to cuff Anthony, to hug Brown Bess, to raise Cain, to introduce Charley, to take one's Daniel, to take one's Davy on it, to park one's fanny, to go to Sir Harry, to dine with Duke Humphrey, to get Jack in the orchard, to knock the Jesus out of s.o., to crack a Judy's teapot, to have Lawrence on one's back, to stand Moses, to talk Miss Nancy, to give s.o. a Roland for an Oliver, to go through St. Peter's needle, to get the Richard, to stand Sam და სხვა.

ფრანგული ენა: avoir son Arnaud, appeler Arthur, aller chez Bernard, coiffer sainte Catherine, amuser Charlot, baiser Fanny, avaler le Gaspard, faire le Jacques, faire son petit saint Jean, faire son jojo, faire sa Joséphine, se faire appeler Jules, lâcher une Louise, pleurer comme une Madeleine, avoir la Marianne dans l'œil, fesser Mathieu, étrangler Popol, chanter Ramona à qqn, faire sa Rebecca, faire le Roland, voir Sophie და სხვა.

დასკვნა

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ინგლისურ და ფრანგულენოვან ფრაზეოლოგიურ ერთეულებში შემავალი საკუთარი სახელები იდენტურია ან თითქმის იდენტური. არის შეთხვევებიც, როდესაც ხდება საკუთარი სახელების შეცვლა ან ჩანაცვლება სხვა საკუთარი სახელით. საინტერესო შემთხვევები გამოიკვეთა ორთოგრაფიული და წარმოთქმის კუთხითაც. ჩვენ განვიხილეთ საკუთარი სახელის შემცველი 200-მდე ფრაზეოლოგიური ერთეული, რომლებიც უმთავრესად ბიბლიური, მითოლოგიური და რელიგიური ხასიათისაა.

ბიბლიოგრაფია:

- 1) უცხო სიტყვათა ლექსიკონი (1969)

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=28394> (ნანახია 29.07.2017)

- 2) Knowles E. (1997), *The Oxford Dictionary of Phrase, Saying, and Quotation*, Oxford University Press.
- 3) Lyons J. (1969), *Introduction to Theoretical Linguistics*, Cambridge: Cambridge University Press.
- 4) Maloux M. (1960), *Dictionnaire des proverbes, sentences et maximes*. Librairie Larousse-Paris.
- 5) Vbrinc A. (2014) *Phraseological units with onomastic components: The case of English and Slovene* RLA. Revista de Lingüística Teórica y Aplicada Concepción (Chile), 52 (1), I Sem. 2014, pp. 133-153. Pdf
- 6) Walter L. (1998), *Public Opinion*, Transaction Publishers New Brunswick (U.S.A.) and London (U.K.).

Onomastic Units in the English and French Phraseology

Abstract

It is widely known that the onomastic science with its theoretical principals and general theories is a major phenomenon in modern linguistics. Onomastic material is a vital part of any language vocabulary and thus, in any language itself is an interesting object research. Obviously, the purpose of our paper is dedicated to the research of onomastic units characteristic for the Georgian and French phraseology

Consequently, our goal is to identify the structural and semantic models of the onomastic units in the English and French languages, to establish their peculiarities in the phraseological units of the target languages from lingo-cultural point of view.

Key words: English language, French, onomastics, onomastic units, structural and semantic models, phraseological units

საკვანძო სიტყვები: ინგლისური ენა, ფრანგული ენა, ონომასტიკა, ონომასტიკური ერთეულები, სტრუქტურული და სემანტიკური მოდელები, ფრაზეოლოგიური ერთეულები

ნათელა ფარტენაძე

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

სათაურის, როგორც ტექსტის, ლინგვისტურ-სტილისტიკური ანალიზი

ტექსტი ნებისმიერი ფუნქციური სტილის შეტყობინებაა. სათაურის ან მისი სტრუქტურის ელემენტების ანალიზისას აუცილებელია დეტალურად განვიხილოთ თვით ტექსტი, რომლის შემადგენელია მისი ერთ-ერთი კომპონენტი - სათაური, რადგან ნაწილის, როგორც ერთი მთელის დანაწევრების პროდუქტი, შესწავლა შესაძლებელია მთლიანის ცოდნის საფუძველზე.

ტექსტი, როგორც კვლევის ობიექტი, არაერთ მკვლევარს აქვს განხილული, როგორებიც არიან: ი. არნოლდი, ზ. ტურაევა, მ. ბახტინა, ი. გალპერინა, ზ. შმიდტი და სხვები. არნოლდი განსაზღვრავს ტექსტს, როგორც „ვერბალურ შეტყობინებას, რომელიც სხვადასხვა გზით (ლიტერატურული, ფოლკლორული...) გადასცემს საგნობრივ-ლოგიკურ, ესთეტიკურ, ხატოვან, ემოციურ და შემფასებელ ინფორმაციას. ეს ინფორმაცია გაერთიანებულია ტექსტის იდეოლოგიურ და მხატვრულ შინაარსში როგორც ერთი მთელი [არნოლდი, 1981:40]. გალპერინი კი ამგვარად ახასიათებს ტექსტს: „ტექსტი სამეტყველო შემოქმედებითი პროცესია, რომელიც ხასიათდება სისრულით, წერილობითი დოკუმენტის ფორმით, ლიტერატურულად დამუშავებულია ამ დოკუმენტის ტიპის მიხედვით და შედგება სათაურისა და განსაკუთრებული ერთეულებისგან (ზეფრაზული ერთობლიობა) ერთმანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ლექსიკური, გრამატიკული, ლოგიკური და სტილისტიკური კავშირებით, რომლებსაც აქვს გარკვეული პრაგმატული მიმართულება“ [გალპერინი, 1981:18]. ტურაევა განიხილავს ტექსტს, როგორც „სხვადასხვა ტიპის

ლოგიკურად, ლექსიკურად და გრამატიკულად ერთმანეთთან დაკავშირებული წინადადებების შეკვეთილ სიმრავლეს, რომელსაც შეუძლია გარკვეული გზით ორგანიზებული და მიმართული ინფორმაციის გადმოცემა [ტურაევა, 1986:11].

ტექსტი წარმოადგენს იმ ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებული ელემენტების კომპლექსურ სისტემას, რომლებიც ქმნიან ორგანიზებულ რთულ ერთობლიობას. ტექსტის ორგანიზაციის პრინციპების ცოდნა ეხმარება მკითხველს თვით ტექსტში იპოვოს ელემენტებსა და კომპლექსურ მთელს შორის არსებული კავშირები და ურთიერთობები, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ტექსტის აღქმასა და გაგებას.

სათაური ტექსტის აუცილებელი ელემენტია, რომელიც ტექსტის ბმულობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და წარმოადგენს მკითხველის აზრობრივად მთავარ მომენტებზე ყურადღების მიპყრობის ეფექტურ საშუალებას.

ლინგვისტური თვალსაზრისით სათაური ტექსტის დასახელებაა, ხოლო სემიოტიკურად - ის ტექსტის პირველი ნიშანია. სათაური ყველაზე ნათლად გადმოსცემს ინტერპრეტაციების სიმრავლეს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტექსტის გაგებასა და მთლიანობის შექმნაში. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ტექსტის წაკითხვის შემდეგ, როდესაც სათაურის გაგება ხდება ტექსტიდან. ერთმნიშვნელოვანი (ძალიან იშვიათია) ან მრავალმნიშვნელოვანი სათაურის გააზრება შესაძლებელია მხოლოდ ტექსტის სტრუქტურულ-სემანტიკური ერთობლიობის აღქმით, რომელიც ხასიათდება ბმულობითა და ერთიანობით.

უმეტეს შემთხვევაში, სათაურის გააზრება შესაძლებელია მხოლოდ ფართო კონტექსტში, რადგან ბევრი სათაური შეიცავს ალუზიას, რაც ითხოვს მკითხველისგან ცოდნას მითოლოგიაში, ლიტერატურის ისტორიაში, რელიგიის ისტორიაში და ა. შ. მხატვრული ტექსტის შემქმნელი თითქმის ყოველთვის ასათაურებს მას დასრულების შემდეგ. სათაურის სრული შინაარსი ფორმირდება ეტაპობრივად. სათაურს შეუძლია შეასრულოს თავისი მთავარი დანიშნულება მხოლოდ მთლიან, დასრულებულ ტექსტთან განუყოფელ კავშირში, რადგან მხოლოდ ტექსტი შეიცავს კონცეპტს, ხოლო ამ კონცეპტის მთავარი და, ხშირ შემთხვევაში, ავტორის ერთადერთი ფორმულირება თავსდება ზუსტად სათაურში.

ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოების გაცნობა იწყება მისი სათაურით, რომელიც ტექსტის პირველადი ნიშანია, მისი ნიშან-თვისებაა. კერძოდ, სათაურში მკითხველი ეცნობა ინფორმაციას ჟანრის, ნაწარმოების სტილის, თემატიკის, ზოგჯერ სიუჟეტის, მთავარი გმირების და ა. შ. შესახებ. ამიტომაც სათაურის როლი ძალზედ მნიშვნელოვანია ტექსტის სტრუქტურისთვის და, შესაბამისად, მწერლები დიდი სიფრთხილით და ყურადღებით ირჩევენ სათაურს თავიანთი ნაწარმოებისთვის. სათაური, ადამიანის სახელის მსგავსად, თან ახლავს მას მთელი ცხოვრების მანძილზე და შეუძლია კიდევ განსაზღვროს მისი ბედი.

ლოტმანი ლიტერატურულ ნაწარმოებს და მის ელემენტებს ადარებს ხელოვნების სხვა დარგებს ასე, მაგალითად, „როდესაც ვათვალიერებთ სურათს ჩვენ არ შეგვიძლია გამოვტოვოთ უყურადღებოდ მისი ჩარჩო, ხოლო როგორც კი გადავიტანთ ყურადღებას ჩარჩოზე, მაშინვე ნაწარმოები იძენს დასრულებულ აზრს. თეატრის ფარდა ერთი შეხედვით მხოლოდ დეტალია, მაგრამ ის თეატრალური ქმედების შიგნით არსებული მხატვრული სივრცის ელემენტია; ეს ქმედება ასრულებს კომპოზიციურ როლს. ფარდის ჰვრეტი კი იწყება მაყურებლის ჩაძირვა სპექტაკლის ატმოსფეროში“ [ლოტმანი, 1971: 255].

წიგნის კითხვისას მკითხველი არ შეიძლება იყოს ბოლომდე გათვითცნობიერებული ტექსტის კოდირების სისტემის შესახებ. ბუნებრივია, ის დაინტერესებულია იმით, რომ მიიღოს მაქსიმალურად სრული წარმოდგენა ტექსტზე, იმ „მხატვრულ კოდებზე რომლის აქტივაცია ცნობიერებაში აუცილებელია ტექსტის აღქმისთვის“ [ლოტმანი, 1971: 265]. ამის შესახებ ინფორმაცია კი მოცემულია სათაურში. სათაური, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების დაწყების ყველაზე მკვეთრი ელემენტი, შეიძლება შევადაროთ თეატრის პანდუსს, სურათის ჩარჩოს, მუსიკალური ნაწარმოების დაწყებასა და დასრულებას, არქიტექტურული ნაგებობას ან სკულპტურის განმსაზღვრელ ზედაპირს. ამგვარად, ჩვენ

ვხვდებით, რომ ხელოვნების ყველა ნამუშევარი წარმოადგენს „უსასრულო სამყაროს საბოლოო მოდელს, დაუსრულებლის ასახვას დასრულებულში, მთლიანის ანარეკლს ეპიზოდში [ლოტმანი, 1971: 256].

გარდა ამისა, სათაური განსაზღვრავს აუდიტორიის გარკვეულ ემოციურ განწყობილებას. სოლგანიკი უფრო ზუსტად ახასიათებს მას: სათაური „ერთგვარი კამერტონია, რომელიც განსაზღვრავს სტილისტურ ერთობლიობას“, არამარტო რომელიმე ერთი ცალკეული სტრიქონის, არამედ მთლიანი ტექსტისას [სოლგანიკი, 1997: 43].

საინტერესო და მრავალფეროვანია ქართული მხატვრული პროზის ნაწარმოებების სათაურები. ნებისმიერი განვითარების შედეგად ხდება ცვლილებები; ამგვარად იცვლებოდა ქართული ნაწარმოების სათაურებიც, როდესაც ლიტერატურაში, ისევე როგორც მთელ საზოგადოებაში, ჩნდებოდა ახალი ტენდენციები.

სათაურის პრობლემა სტილისტიკაში უფრო და უფრო იპყრობს ლიტერატურათმცოდნეთა და ლინგვისტების ყურადღებას. ეს დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ სათაურს ეკისრება უფრო მნიშვნელოვანი როლი თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში და ის წარმოადგენს ავტორის ჩანაფიქრის კვინტესენციას.

ლინგვისტური კუთხით სათაური, პირველ რიგში, ნაწარმოების დასახელებაა. ის შეიძლება შევადაროთ ადამიანის საკუთარ სახელს: ის ინდივიდუალიზებას ახდენს მისთვის კუთვნილ ტექსტზე, გამოყოფს მას სხვა ტექსტებს შორის. სათაური მხატვრული ნაწარმოების პირველი ნიშანია, რომელიც უპირისპირდება თვით ტექსტის კორპუსს და ამიტომაც იპყრობს მკითხველის ყურადღებას. ამასთანავე, სათაური თამაშობს არსებით როლს ნაწარმოების შინაარსის სტრუქტურაში: ის გადმოსცემს ნაწარმოების მთავარ იდეას კონცენტრირებული ფორმით.

მხატვრული ლიტერატურის სათაურების თავისებურებანი. ტექსტთან განუწყვეტელი კავშირის მიუხედავად, მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოები მატერიალურად გაუცხოებულია მისგან: ყოველთვის იბეჭდება სხვანაირი შრიფტით, საკმაოდ დიდი მანძილის მოშორებით აბზაციდან, სადაც შეიძლება იყოს ჩასმული დამატებითი ინფორმაცია - მითითებები ჟანრის, ეპიგრაფის, წინასიტყვაობის, ავტორის მადლიერების გამოხატვის და ა. შ. შესახებ.

სათაური მთლიანი ნაწარმოების მაქსიმალურად შეკუმშული ელემენტია. მისი გახსნა ინდივიდუალური ხასიათისაა და იწყება პრაგმატული (წინატექსტური) პერიოდით. წინატექსტში პირველ ადგილზეა სარეკლამო და საკონტაქტო ფუნქციები. წინატექსტში სათაურს ჯერ არ აქვს ტექსტზე დაყრდნობა და ამიტომაც ის დამოკიდებულია მხოლოდ მკითხველის წინა გამოცდილებაზე.

სათაურის ფუნქციათა სიმრავლე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მასში აისახება თითქმის ყველა ენობრივი კატეგორია. განვიხილოთ მათი რეალიზაცია მხატვრული პროზის სათაურების მაგალითზე.

1. ნორმატიულობის კატეგორია ვლინდება სათაურის სახელობითი ბრუნვის ფუნქციის მეშვეობით. სათაური ენიჭება ტექსტს მისი ერთ-ერთი თვისების - თემის მიხედვით („ჯინსების თაობა“, „გურჯი ხათუნი“, „ცოლი“... - დ. ტურაშვილი; „ანტონიო და დავითი“, „ზებულონი“, „მდგმური“... - ჯ. ქარჩხაძე; „ინტერიერი“ - ა. ბუაჩიძე...).

2. მოდალობის კატეგორია ვლინდება სათაურში იმპლიციტურად ემოციურ-შემფასებელი სიტყვების გამოყენებით, მათი პირდაპირი მნიშვნელობებით ან შეფასების რეტროსპექტული გააზრებით („მრისხანე ბატონი“ - ნ. ლორთქიფანიძე; „ჩაძირული ქალაქის ღამე“, „პრადა ზაფხულის გარეშე“ - დ. ტურაშვილი; „იუპიტერის სინანული“, „შემოქმედების კანონი“ - ჯ. ქარჩხაძე...).

3. დასრულების კატეგორია აისახება სათაურის განმაცალკეველ ფუნქციაში, რომელიც აცალკევებს ერთ დასრულებულ ტექსტს მეორისგან.

4. ერთი და იმავე ნაწარმოების ცალკეული თავების ან ნაწილების შუალედური სათაურები აქტუალიზირებენ ტექსტის **დანაწევრების კატეგორიას**. შუალედური სათაურები გამოყოფენ ქვეთემებს, მეტყველებენ ტექსტის კომპოზიციური დანაწევრების მნიშვნელოვნებაზე.

5. სათაურში შეიძლება ამოქმედდეს **ბმულობის კატეგორიაც**. ეს ხდება ძირითადად ტექსტში სათაურის სიტყვების განმეორების ხარჯზე. სათაურში მოცემული სიტყვა „შეაღწევს“ მთელ ტექსტს და აკავშირებს მას. ამასთანავე, თვითონ სიტყვა განიცდის სემანტიკურ ცვლილებებს, რომლის შედეგად იწარმოება ინდივიდუალურ-მხატვრული მნიშვნელობა. ამ მნიშვნელობის გააზრება მკითხველის მიერ ხდება რეტროსპექტიულად, სათაურთან დაბრუნების დროს, მხატვრული ტექსტის წაკითხვის დასრულებისას, საგაზეთო პრინციპისგან განსხვავებით, „მთავარი ინფორმაცია მოცემულია დასაწყისში“ (როგორც წესია, სათაურში).

მხატვრული ტექსტის სათაური ხდება ჩარჩოს ნიშნად, რომელიც ითხოვს დაბრუნებას თავის თავზე. ამგვარად, ის კიდევ ერთხელ აკავშირებს დასაწყისსა და დასასრულს, ანუ ის პირდაპირ მონაწილეობს არამართო ბმულობის, არამედ რეტროსპექციის კატეგორიის გააქტიურებაში, რომელიც უყალიბებს მკითხველს მოლოდინს და ხდება გადამწყვეტი, თუ რამდენად ღირს ნაწარმოების წაკითხვა.

სათაურის, როგორც მხატვრული ნაწარმოების უმთავრესი ამოცანაა: მკითხველის ყურადღების მიპყრობა, მათთან კონტაქტის დამყარება, ასევე მკითხველის მოლოდინის - პროგნოზის (საგაზეთო სათაურების იდენტურია) სწორი მიმართულებით წაყვანა. ამ ყველაფრის შესრულება ძალიან რთულია, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ლიტერატურული ნაწარმოების სათაურების ფორმის სიმოკლეს და იმ ლექსიკური ერთეულების სიმრავლეს, რომელიც შედის მათ შემადგენლობაში და რომელსაც არ უკავია პოლისემიის მოხსნისთვის აუცილებელი კონტექსტის იზოლირებული პოზიცია.

თავისი მოკლე ფორმისა და მთლიანი ტექსტის მიმართ იზოლირებული მდგომარეობის მიუხედავად, სათაური მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რადგან წარმოადგენს მოცემული ტექსტის კონცეპტის გამოხატვის საშუალებას. თავისი ნაწარმოებების სათაურებში ავტორებს შეაქვთ ის, რაც, მათი აზრით, მნიშვნელოვანია მთავარი იდეის გაგებისთვის.

ტექსტის იდეის აქტუალიზაციისთვის სათაური შეაღწევს ყველა თავის ელემენტში ანუ ერთვება ერთიან ტექსტურ სისტემაში, რომლის გავლენის შედეგად იხსნება ის ფაქტი, რომ სათაურის აზრობრივი შინაარსი ტექსტში შესვლისას და იქედან გამოსვლისას ყოველთვის არ ემთხვევა.

სათაური თან ახლავს მკითხველს სალიტერატურო ნაწარმოების გაცნობის პროცესის განმავლობაში. სათაურის გაგება თანდათანობითი პროცესია, მისი მნიშვნელობა იცვლება მკითხველის ტექსტში ჩადირვის მიხედვით. შემქმნელი თითქმის ყოველთვის ასათაურებს ნაწარმოებს დასრულებისთანავე. ავტორის მიერ სათაურში ჩადებული ნამდვილი აზრი გასაგები ხდება მხოლოდ ნაწარმოების ბოლომდე წაკითხვის შემდეგ. მაშასადამე, სათაურს შეუძლია შეასრულოს მთავარი ფუნქცია მხოლოდ დასრულებული ტექსტის ურღვევ კავშირში.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სათაურების თავისებურებანი

საგაზეთო სათაურის ენა რადიკალურად განსხვავებულია. ამ ტიპის სათაურის ამოცანა შემდეგია:

- განაცალკევოს ერთი შეტყობინება ან ერთი მასალა მეორისგან;
- გაამახვილოს ყურადღება ამა თუ იმ მასალაზე;
- მოკლედ წარადგინოს მოცემული მასალის მთავარი შინაარსი;
- დააინტერესოს მკითხველი;
- მოახდინოს მასზე გარკვეული ემოციური გავლენა.

პირველი ამოცანა ხორციელდება წმინდა გრაფიკული საშუალებებით: ამისათვის გაზეთში ზოგჯერ იყენებენ სხვადასხვა ნიშნებს (ვარსკვლავებს, წრეებს და ა. შ.).

მეორე ამოცანის გადასაწყვეტად, ანუ უფრო მნიშვნელოვანი შეტყობინებების გამოყოფისთვის, ფართოდ გამოიყენება პოლიგრაფიული საშუალებები: ზომა და ფორმა ან შრიფტის ფერი და, რა თქმა უნდა, მასალის განთავსება გაზეთში. საგაზეთო სათაური, პირველ რიგში, განსხვავდება თავისი ვიზუალური თავისებურებებით - ის იბეჭდება იმდენად დიდი ასოებით, რომ იკავებს გვერდის საკმაოდ დიდ ადგილს. ქვესათაური, რომელიც ზოგჯერ ახლავს სათაურს და ზრდის ინფორმაციას, იკრიფება ნაკლებად დიდი შრიფტით, თუმცა პოლიგრაფიულად ყოველთვის გამოყოფილია. ტექსტის პირველივე რამდენიმე სტრიქონი (ხშირად აკრეფილი გამუქებული ასოებით) მოიცავს შეტყობინების მთავარ აზრს. შემდეგ კი მოდის დეტალები, რომლებიც აკრეფილია პეტიტით (პატარა შრიფტით). ამრიგად, მკითხველს შეიძლება ჰქონდეს ზოგადი წარმოდგენა დღის მთავარი მოვლენების შესახებ სათაურის და ქვესათაურის მიხედვით; მას შეუძლია წაიკითხოს მხოლოდ ის, რაც მას აინტერესებს. ცხადია, ამ ფუნქციის განხორციელებაც არაა დაკავშირებული ენასთან.

სამაგიეროდ, ბოლო სამი ამოცანა შეიძლება იყოს გადაჭრილი, ძირითადად, ენობრივი საშუალებების დახმარებით.

მაშასადამე, სათაური, როგორც საგაზეთო ტექსტის შემადგენელი ნაწილი, ასრულებს განსაკუთრებულ ფუნქციებს: გამოყოფს სტატიას; მჭიდროდაა დაკავშირებული შინაარსთან; გამოხატავს მთავარ აზრს; იპყრობს მკითხველის ყურადღებას, დააინტერესებს და გავლენას ახდენს მასზე, სტატიის მთავარი დასკვნის შთაგონებით; მართავს და ხელმძღვანელობს მკითხველის აზრს. სათაური ხშირად წარმოადგენს იმ მოვლენების და ფაქტების შეფასებას, რომლებიც მოცემულია სტატიაში.

მაშასადამე, შეიძლება გამოვყოთ საგაზეთო სათაურის შემდეგი ფუნქციები:

- **ნომინაციური** (სახელობითი) **ფუნქცია** - სათაური აღნიშნავს სტატიას და ამით ერთ შეტყობინებას აცალკევებს მეორისგან;
- **ინფორმაციული ფუნქცია** ხელს უწყობს განთავსებული მასალის ძირითადი შინაარსის მოკლედ მიწოდებას;
- **სარეკლამო ფუნქცია** - იპყრობს მკითხველის ყურადღებასა და ინტერესს;
- **ემოციური ზემოქმედების ფუნქციით** - ჟურნალისტი შთააგონებს მკითხველს სტატიის მთავარ დასკვნას.
- **დარწმუნების ფუნქცია** - ვლინდება იმით, რომ სათაური გავლენას ახდენს მკითხველის გარკვეული აზრის ფორმირებაში იმ მასალის შესახებ, რომელიც განთავსებულია სტატიაში.

საგაზეთო სათაურის აღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად ჟურნალისტები მიმართავენ სტილისტიკური ხერხების მთელ რიგს, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ მკითხველის საგაზეთო სათაურის მთავარი აზრის აღქმაზე და მკითხველის მასალით დაინტერესებაზე, მაგრამ, პირველ რიგში, უნდა გავიაზროთ, თუ როგორი სათაურია დაკავშირებული ტექსტის შინაარსთან.

სათაურების უმეტესობა გამოხატავს ტექსტის მთავარ თემას, რომელიც შედის შინაარსის შემადგენლობაში. ეს თეზისი იხსნება ტექსტის შემადგენელი თეზისების სისტემის დახმარებით. მთავარი აზრი მოიცავს პუბლიკაციის თემას და მის პრედიკატს. სათაურის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა მკითხველს მიაწოდოს გაზეთში ან ჟურნალში მოთავსებული პუბლიკაციის თემა. სტატიის წაკითხვის დროს ზუსტდება სათაურში წარმოდგენილი ინფორმაცია. აღქმის პროცესი პირდაპირია - სათაურიდან ტექსტამდე. ამგვარ სათაურებში ექსპრესია არ არსებობს.

გაზეთის ან ჟურნალის სტატიის სათაური ააქტიურებს მასში ასახული სიტუაციის ანალიტიკურ შეფასებას. ტექსტის იდეა წარმოადგენს იმ ტექსტის ელემენტს, რომელიც გამომდინარეობს მთლიანი სიუჟეტიდან და წარმოადგენს ტექსტის თავისებურ შედეგს, დასკვნას. ამგვარი სათაური ჯერ კიდევ მასალის წაკითხვამდე ამზადებს მკითხველს მთავარი აზრის გაგებისთვის, რომელიც აღიქმება ორჯერ: პირველად - ტექსტის გაცნობამდე

და მეორედ - მთლიანი ტექსტის წაკითხვის შემდეგ. „სათაური-ტექსტის“ თანაფარდობის საფუძველზე იზრდება ჟურნალის ან გაზეთის ეფექტურობა და დამაჯერებლობა.

ტექსტის ზოგადი შინაარსის მთავარი ელემენტების გარდა, სათაურს შეუძლია ზოგადი ფონის აქტუალიზება მისი მეორეული ელემენტების - თეზისების ილუსტრაციების და შეტყობინების დახმარებით. ამგვარი სათაური განსაკუთრებით ექსპრესიულია, რადგან ის დაფუძნებულია არამთავარი, მეორეული ელემენტის თეზისის წინ გამოტანაზე. სათაურით გამოხატული მოჩვენებითი „არააუცილებლობა“, „მეორეულობა“ აძლევს ტექსტს ექსპრესიულობას, იზიდავს მკითხველის ყურადღებას. შემფასებელი სათაური უზრუნველყოფს შეტყობინების გარკვეულ აღქმას მკითხველის მიერ, ტექსტში მოცემული ინფორმაციის მიმართ დამოკიდებულების პროგნოზირებას.

არსებობს კომპლექსური სათაურებიც, რომლებიც შეესაბამება ტექსტის სტრუქტურული სქემის რამდენიმე ელემენტს ერთდროულად. ისინი გადმოსცემენ გართულებულ, კომპლექსურ ინფორმაციას. მათი ინფორმაციულობის ხარისხი უფრო მაღალია, ასეთი სათაურების კავშირები ტექსტთან მრავალფეროვანია წინა ტიპის სათაურებთან შედარებით, რაც მიუთითებს ტექსტის გამოხატვის ერთ-ერთ ხერხზე. კომპლექსური სათაური ერთდროულად ააქტიურებს თემას, სიტუაციის ანალიტიკურ შეფასებას, რომელიმე თეზისს, ილუსტრაციებს და ა. შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ:

1. სათაური ნაწარმოების ან სტატიის თავისებური ელემენტია, რომელიც ხასიათდება ორმაგი ბუნებით. ერთი მხრივ, ის ენობრივი სტრუქტურაა, რომელიც წინ უსწრებს ტექსტს, დგას მის „ზევით“. ამიტომაც სათაური აღიქმება როგორც ტექსტის გარეთ მოთავსებული სამეტყველო ელემენტი, რომელსაც აქვს გარკვეული დამოუკიდებულება. მეორე მხრივ, სათაური ტექსტის სრულყოფილი კომპონენტია, რომელიც მთლიანი ტექსტის სხვა კომპონენტებს უკავშირდება. ტექსტის კომპონენტების (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული) მსგავსად, სათაური წარმოადგენს ტექსტის დანაწევრების სივრცით-ფუნქციურ გარკვეულ გეგმას. სათაურის ამგვარი ორმაგი ბუნება განსაზღვრავს მის ბევრ სხვა თავისებურებას. სათაური შეადგენს ერთიან სისტემას ტექსტთან ერთად: „სათაური - ტექსტი“. მკითხველზე ზემოქმედების თვალსაზრისით სათაური მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ ის იკავებს სტილისტიკურად ძლიერ პოზიციას ტექსტის დასაწყისსა და დასასრულთან ერთად. სტატიებსა ან ნაწარმოებებში ზუსტად ეს კომპონენტები იპყრობს უფრო დიდ ყურადღებას; პირველ რიგში, ხდება ათვისება იმ ინფორმაციისა, რომელიც განთავსებულია სათაურში, დასაწყისში ან ბოლოში.
2. სათაური ნებისმიერი ნაბეჭდი ტექსტის განუყოფელი ნაწილია. ის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომელიც ააქტიურებს თითქმის ყველა ენობრივ კატეგორიას, როგორც მხატვრული მეტყველების, ასევე საგაზეთო სტილში. სათაური არქმევს ტექსტს, ასრულებს განცალკევების ფუნქციას (უფრო მეტად გაზეთის და ჟურნალის სათაურებში), მასში რეალიზდება მოდალობისა და ბმულობის კატეგორიები.
3. ნებისმიერი სათაურის ამოცანაა მიიზიდოს მკითხველი, დააინტერესოს იგი და წაკითხოს შემოთავაზებული ტექსტი. გაზეთში მოინიშნება სარეკლამო და საკონტაქტო ფუნქციები. მხატვრული პროზის სათაური, საგაზეთოსგან განსხვავებით, მატერიალურად გაუცხოებულია ტექსტისგან. ძალიან ხშირად გაზეთის ბოლო ქვესათაური მისი პირველი წინადადებაა.
4. თუ ნებისმიერი სათაური არის შეტყობინება, ნებისმიერი შეტყობინება საინტერესოა მაშინ, თუ მანამდე არსებულისა და ახლის ურთიერთთანაფარდობა არსებობს, თუ ეს თანაფარდობა აირსებებს, სათაური თავის დანიშნულებას შეასრულებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არნოლდი, 1981: - Арнольд И. В. Стилистика современного английского языка. Л.: Просвещение.
2. ბლოხი, 2004: - Блох М.Я. Теоретические основы грамматики. М.
3. გალპერინი, 1981: - Гальперин И.Р. Текст как объект лингвистического исследования. М.
4. ლოტმანი, 1970: - Лотман Ю.М. Структура художественного текста. М.
5. სოლგანიკი, 1997: - Солганик Г.Я. Стилистика текста. М.
6. ტურაევა, 1986: - Тураева З.Я. Лингвистика текста. М.

Natela Phartenadze

Shota Rustaveli State University, Batumi

Linguo-Stylistic Analysis of the Title, as the Text

Abstract

Title is the specific element of a literary work or an article, distinguished with double character. On the one hand, it is the linguistic structure preceding the text, on the other hand it is a perfect unit which is connected with other units of the text. Such double character of the title defines its many other peculiarities. The title is important from the view-point of its influence upon a reader as it has stylistically decisive position together with the beginning and the end of the text. Namely these units attract utmost attention in literary works and articles. First of all, the information given in the title, the beginning and the end is being attracted.

The purpose of any title is to attract the reader, make him get interested in and read the suggested text. Advertising and contact functions are noted in the newspaper style. The title of the fiction, unlike the newspaper one, has less material links with the text. Very often, the last subtitle of the article is its first sentence.

საკვანძო სიტყვები: ტექსტი, სათაური, ლინგვისტიკა, სტილისტიკა, მხატვრული ტექსტი, პუბლიცისტური ტექსტი.

Key words: text, title, linguistics, stylistics, fiction, publicist text.

ელენე ფილაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

ლადო ასათიანის პოეტური სინტაქსი

ქართველმა კლასიკოსმა პოეტმა ლადო ასათიანმა მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი ნააზრევი დაგვიტოვა. საკუთარი, პოეტური სამყარო შექმნა და აჩუქურთმებული ქართულით ემოციურად მიმზიდველ სტრიქონებს გვაზიარა.

ლადო ასათიანის პოეტური გენია თვალისმომჭრელ სიმაღლეებს სწვდება, მის ლირიკაში ნათლად იგრძნობა ღრმა, დაძაბული და რაფინირებული სულის, საიდუმლო მუსიკის ნამდვილი ზეიმი და გამარჯვება.

ლადო ასათიანი მკვეთრად გამორჩეული სტილით წერს, მისი პოეზია პოეტური სინტაქსის ნაირფეროვნებით გამოირჩევა, ამოტომატ ყურადღებას იქცევს მისი ლირიკის პოეტური ტექსტის სინტაქსი.

ლადო ასათიანის პოეზიაში დარღვეულია სინტაქსური კანონები, მისი პოეზია სიტყვისა და წინადადების პოეტურ ფიგურებში არ ვლინდება, რამაც განსაზღვრა მისი პოეტური სინტაქსის შინაარსი.

აზრის მხატვრულად გამოსახვის მიზნით პოეტი მიმართავს ისეთ სტილურ საშუალებებს, როგორიცაა: სინტაქსური ანაფორა, ეპიფორა, სინტაქსური პარალელიზმი, პოეტური შეკითხვა, პოეტური შეძახება, ინვერსია და...

პოეტის ინდივიდუალური თავისებურებანი გამჟღავნებულია პოეტურ სინტაქსში, რადგან „სტილური თავისებების მატარებელი წინადადება უფრო არის, ვიდრე სიტყვა“ (სანიკიძე, 1999, 281)

ლადო ასათიანი მიმართავს პოეტურ გამეორებას, როგორც აზრის ხაზგასმისა და ემოციის გამაძლიერებელ საშუალებას. „მხატვრულ ლიტერატურაში მას ექსპრესიულობის გასაძლიერებლად მიმართავენ“ (კოშორიძე, 2005, 116). გრიგოლ კიკნაძე ამხერხს „ფიქსირებული ფორმის გამეორებას“ (კიკნაძე, 1957, 40) უწოდებს. პოეტთან თანხმოვანთა გამეორებით, ალიტერაციით ნათლად იკვეთება ფრაზის მუსიკალურობა და ემოციური ზეგავლენა, რომელიც ვლინდება სინტაქსურ კონსტრუქციებში:

„შენ, შაოსანო, შავთვალავ, შავ სამარეში გძინავს,
ჯერ კარგად არც კი გამთბარა ჩემი პატარა ცირა“(119)

„რა კარგი იყო ბარდნალა,
ბარდნალელების ბორანი,
ვარდებიანი ბარდნარი,
ბულბულთა ნაამბორალი“(135)

ალიტერაციასთან ერთად ლადო ასათიანის პოეზიაში მუსიკალურობა და ემოციური ზეგავლენა უფრო მეტად ძლიერდება ასონანსის გამოყენებით:

„შაგჩოხიანო ვაჟკაცო, ჭრილობა ხომ არ შეგხსნია!
ეს სისხლი არის თუ მართლა ყაყაჩოების ცეცხლია?“ (71)
„თუ არც ყაყაჩოს ცეცხლია და არც ახალი იარა,
მა ეს ბებერი კრწანისი რა ძალამ ააბრდღვიალა?“ (71)

გამეორების მხატვრულ დატვირთვას, მის ექსპრესიულობას კიდევ უფრო ამკვეთრებს სინტაქსური გამეორება, კერძოდ, ზმნა-შემასმენლის გამეორება სხვადასხვა სტრიქონში. ამგვარ გამეორებას ლოგიკურ-ინტონაციური თვალსაზრისით მეტი ძალაც ენიჭება, რადგან მრავალგზისობის შინაარსი შემოაქვს და ხელს უწყობს თხრობის დინამიურობას:

„გესალმეით, გვასალკდევენს
თქვენი საქმე მამაცური,
გვასალკდევენს იბარურის
თავდადება ვაჟკაცური.
გვასალკდევენს თქვენი დროშა,
დაუხრელი და დიადი.
გვწამს, რომ თქვენშიც გათენდება
სანატრელი განთიადი“(126)

ლადო ასათიანის პოეზიაში ემოციურობა და ექსპრესიულობა ძლიერდება, როცა მომდევნო სტრიქონი იწყება იმ ზმნა-შემასმენლით, რომლითაც თავდება წინამავალი:

„მე ჩემი სახლი გამხსენებია,
გამხსენებია ყველა კეთილი...“(33)

ემოციური შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით პოეტი ხშირად მიმართავს სხვადასხვა სახის ანაფორას:

სინტაქსური ანაფორა:
„ნუ გაფრინდები ჩემო ოცნებავ,
ნუ გაგიტაცებს თრთოლვა ქალური“(97)
„აი, სურათი იმდროინდელი,
როცა ვეტრფოდი მე ჩემს ზემფირას,
როცა ფიქრებით გარემოცული
ვხეტიალობდი შავი ზღვის პირას“(92)

ლექსიკური ანაფორა:

„ღამეა წყნარი... მთაწმინდის მთვარე
მიერეკება ღრუბლების ნახირს...
ის საფლავიდან გაახელს თვალებს
გმირებს უყივის, გმირებს **ეძახის**.
ეძახის ქართლის კრიალა ზეცას,
კესოს ბაღჩაში გაშლილ ყვავილებს,
ეძახის წყნარ და მღვრიე ალაზანს,
ეძახის ქართლის ღირსეულ შვილებს
ეძახის ალალ გულის მოხევს“ (11)

სალექსო სტრიქონების დაბოლოებების მოხდენილი გამოყენებით, მაჯამური ლექსით განუმეორებელი ეპიფორები შექმნა პოეტმა:

„მზეში გაფრენილ არწივებს - ხალხის ქებადა **დიდება!**
მათი ბრწყინვალე სახელი არასდროს **დაიბინდება;**
ვადიდოთმათი სახელი, მზის სიმაღლეზე **ასული,**
სამი მამაცი გმირია, სამი მამაცი **ასული!**“ (18)

ლადო ასათიანის პოეზიაში უხვად იმეზნება სინტაქსური და სტროფული პარალელიზმის შემთხვევები, რომელსაც პოეტი ქმნის სიტყვათა და წინადადებათა ისეთი განლაგებით, სადაც ორი მოვლენისა თუ საგნის შედარება-შეპირისპირებაა ხელშესახები:

სინტაქსური პარალელიზმი:

ტკბილია, როგორც დედის რძით ბალდი ტუჩშეუშრობელი.
ტკბილია, როგორც ცის ნამი, როგორც ალერსი მშობელის,
ტკბილია, როგორც ველებზე ჯეჯილის მწვანე ფაფარი,
ტკბილია, როგორც ძილის წინ ძველი ქართული ზღაპარი.
ბაღში ბულბულთა ჯარია, მთაში ირემი ყვირისა,
ტკბილია, როგორც სურნელი ახლად მოხდილი ღვინისა,
ტკბილია, როგორც სურნელი ახლად გამომცხვარ პურისა,
ტკბილია, როგორც ნუგეში ბედისგან დაღუპულისა“ (9)

პოეტთან ზიგჯერ სინტაქსური პარალელიზმი დამყარებულია შედარებასა და მეტაფორაზე, რომელიც მეტად ეფექტური და ემოციურია:

„ხომ ღამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ღამაზი მინდა,-
ატმის ხესავით აფეთქებული და მოქნეული გავაზივითა.
ხომ ღამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ღამაზი მინდა,
ფართოდ გაშლილი და მოხატული თამარ დედოფლის დარბაზივითა“ (35)

ლადო ასათიანის პოეზია გაჟღენთილია სიყვარულის, აღტაცებისა და გაკვირვების მაცოცხლებელი თვისებებით, რითაც პოეტი აძლიერებს შთაბეჭდილებას და ქმნის პოეტური შეძახის საუკეთესო ნიმუშებს:

„დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
გაისარჯოს და ბრძოლაში დაიხარჯოს!
გაუმარჯოს საქართველოს მზეს დაზეცას!
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლადი ასათიანის პოეზიის პოეტური შეძახილის შთამაგონებელი ძალა და ექსპრესია კიდევ უფრო ძლიერდება შემდეგი სტროფის წაკითხვისას:

„რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,
სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!“ (37)

ლადო ასათიანი ხშირად მიმართავს ისეთ სტილურ საშუალებას, როგორიცაა პოეტური შეკითხვა, პოეტი ამ ხერხით ამახვილებს მკითხველის ყურადღებას, მიმზიდველს ხდის

მოვლენის არსს, აძლიერებს ემოციურ შთაბეჭდილებას და მეტ გამომსახველობით ძალას ანიჭებს სათქმელს.

„ვინ დამიბედა გზები პოეტის,
ვინ გამამზადა საბედისწეროდ!
ნუთუ ამ ქვეყნად მისთვის მოვედი,
რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო?
ნუთუ სხვა რამე სიმღერის გარდა
ვერ უშველიდა ტკივილებს ჩემსას?
ან რატომ არის, რომ ყოველ ქალთან
გამინჯურება მჩვევია ლექსად?

ლადო ასათიანის პოეზიაში მეტად ემოციური და შთაბეჭედავია პოეტური მიმართვა, რომელიც დამყარებულია გამეორებაზე,

„ერთო ქალო, თეთრო ქალო, ქალო ბაგეთაფლიოანო,
თავთავეებით ოქროსფერად მოსირმულო მთავ ფრიალო;
მთებო, მთებო, რუხო მთებო, ნისლების თავსაფრიანო,
ზვარო, ზვარო ჯიშიანო, ოჯალეშის ჯიშის ზვარო,
ზვარო მტევნებგიშრიანო, გლეხი კაცის სანუკვარო“ (11)

სამეცნიერო წყაროებში მიუთითებენ, რომ „ცალკეულ სიტყვას შეუძლია წარმოაჩინოს აზრი ემოციურად, მეტადრე უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს შესიტყვებას (სინტაგმას)“ (სანიკიძე, 1999, 282).

ცნობილია, რომ ინვერსიული წყობა სათქმელს მეტად ექსპრესიულს ხდის, ემოციურად ტვირთავს, აძლიერებს ესთეტიკურ წარმოსახვას და მეტ გამომსახველობით ძალას სძენს მას. ლადო ასათიანის პოეზიაში უხვად დასტურდება ინვერსიის შემთხვევები, რომელიც ქმნის პოეტურ, განუმეორებელ მხატვრულს სტილს:

„ვეტყვი, თუ როგორ გვიყვარდა ძველად
ჩვენ ტრფიალება წრეგადასული
თუ როგორ გაქრა ოცნება ყველა
და მოგონებად დარჩა წარსული“ (94)

განსაკუთრებული გრძნობითი ელფერით არის დატვირთული და გაორმაგებული პოსტპოზიციური მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვის ეფექტურობა:

„ცას ჰგავდა ვარსკვლავიანსა სამეფო სახლის თავანი,
ტახტზე დიდბუნებოვანი შვენოდა მეფე თამარი“ (173)

ლადო ასათიანის პოეტური ტექსტის სინტაქსი ზემოთ თქმულით არ ამოიწურება.

ნათელია, რომ მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანია ლადო ასათიანის პოეტური თვალსაწიერი, პოეტური სინტაქსი. პოეტური ფიგურები: გამეორება, ინვერსია, მიმართვა, შემახება და სხვა, უპირველეს ყოვლისა, გამორჩეული და განუმეორებელი სტილის შექმნას ემსახურება.

ამრიგად, ლადო ასათიანი ძერწავს სიტყვასა, სძენს მას მაღალმხატვრულობას, სრულყოფილებას, ძლიერებას და ქმნის ინდივიდუალურ, მკვეთრად გამორჩეულ პოეტურ სტილს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გვენცაძე ალ. (1974) - ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.
2. კვაჭაძე ლ. (1996) - თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „რუბიკონი“, თბილისი.
3. კიკნაძე გრ. (1957) - მეტყველების სტილის საკითხები, თბილისი.
4. კოშორიძე ე. (2005) - მწერლის ენისა და სტილის საკითხები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.
5. სანიკიძე თ. (1999) - ქართულიენისპრაქტიკულისტილისტიკა, თბილისი.

6. ლლონტი ალ.(1988) -ქართულილექსიკოლოგიისსაფუძვლები, გამომცემლობა „განათლება“. თბილისი.
7. ჭილაია ა. (1971) - ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი ცნებები, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი.

საანალიზო წყაროები:

1. ლადო ასათიანი, რჩეული ლექსები და პოემები, გამომცემლობა „სახელგამი“, თბ. 1956 წ.

Elene Pilashvili

Iakob Gogebasvili State University, Telavi

Poetic Syntax in Lado Asatiani's Works

Abstract

The article deals with the syntactic features of Lado Asatiani's poetic text. In the article poetic figures of speech are analyzed, such as repetition, anastrophe, appeal, exclamation and others. These figures of speech serve to create a distinct and unique style. Lado Asatiani cuts out every word and gives them highly artistic, perfect and powerful functions and creates an individual, original and distinctive poetic style.

საკვანძო სიტყვები: პოეტური სინტაქსი, გამეორება, ინვერსია, პოეტური ფიგურები, ექსპრესია.

Key words: Poetical Syntax, Reiteration, Inversion, Poetic Figures, Expression

თეიმურაზ ქარელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,

პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

ახალგაზრდობის პოლიტიკური სოციალიზაცია და დემოკრატიის მომავალი

პიროვნების, როგორც პოლიტიკის სუბიექტის ჩამოყალიბება თანდათანობით, ადამიანის სოციალურ მომწიფებასთან ერთად, მისი პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში ხდება. ყველაზე აქტიურად ეს პროცესი ახალგაზრდულ ასაკში მიმდინარეობს. პოლიტიკური სოციალიზაციით არსებული რეჟიმი აღწევს მოქმედ პოლიტიკურ სისტემასთან მოქალაქეების ადაპტაციას, ეს კი სტაბილურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. შედეგად შენარჩუნებულია რეჟიმის ლეგიტიმურობის გარკვეული დონე და იკვეთება საზღვრები, რომელთა ფარგლებშიც პოლიტიკური კურსი ხორციელდება. ამიტომ, ახალგაზრდობის პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესის თეორიული გააზრება მეცნიერებში დიდ ინტერესს იწვევს.

ლიბერალურ დემოკრატიებში თაობათა ცვლა სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა. პოლიტიკური კვლევების სფეროში მოვლენების შესწავლისას ძირითად მახასიათებლებზე კონსენსუსი იშვიათია. მაგალითად, ასეთიამკვლევართა აზრი იმის შესახებ, რომ ბოლო წლებში აშკარად შესამჩნევია დემოკრატიების უმეტესობაში და ჩვენთან უმცროსი ასაკობრივი ჯგუფების პოლიტიკური ორიენტაციების არსებითი განსხვავება წინა თაობისგან. პოლიტიკური მონაწილეობა იქნება თუ ქცევები, ნორმები თუ ფასეულობები, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა აჩვენებს, რომ,

როგორც წესი, თაობებს შორის განსხვავება აშკარაა. თაობათა ცვლის შედეგად, პოლიტიკურ ინსტიტუტებთან მიმართებით მთავარია სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები. მაგრამ, მკვლევართა შეფასებებში განსხვავება აშკარა ხდება მაშინ, როდესაც ამ ცვლილებათა კონცეპტურ ახსნას იწყებენ და იმის გარკვევას ცდილობენ თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს დემოკრატიისთვის სამომავლოდ. ზოგიერთი ავტორი შეშფოთებულია იმის გამო, რომ ახალგაზრდულ ასაკობრივ კოჰორტაში დემოკრატიისა და მონაწილეობისადმი მხარდაჭერა კლებულობს ან საერთოდ არ ჩანს. დასავლეთის ზოგიერთ დემოკრატიაში, ხმის მისაცემად ამომრჩევლების გამოცხადების ნიშნული ქვემოთ მიიწევს და იმის ნიშნებია, რომ ეს მოვლენა განსაკუთრებით მწვავეა ახალგაზრდა თაობაში. თუმცა, ასევე სვადასხვა ახსნას გვთავაზობენ იმის შესახებ თუ რატომ ხდება ასე [16; 2; 6]. მიზეზად ასახელებენ პოლიტიკურ ცინიზმს, პოლიტიკური ინტერესის უქონლობას ან მოქალაქეობრივი ვალდებულების გრძნობის შესუსტებას, მიუთითებენ ინსტიტუციურ მექანიზმებზე, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენენ ხმის მისაცემად ახალგაზრდების განწყობაზე, იდეოლოგიური დისკუსიების არარსებობას, პოლიტიკური ელიტის რეალური ცვლის ეფექტის არარსებობის აღქმას და ა.შ. ავტორთა ნაწილის ვარაუდით, ამით აიხსნება სერიოზული დამაბულობა ახალგაზრდებსა და ინსტიტუციურ პარტიებს შორის მიმართების პოლიტიკაში, უფროსი თაობისთვის დამახასიათებელი პარტიულობის და პარტიული იდენტიფიკაციის გრძნობა წარსულს ბარდება. ახალგაზრდები, მთლიანობაში, როგორც წესი, ტრადიციულ პოლიტიკას თავს არიდებენ [3, 31].

პატნემი [17] ამტკიცებს, რომ თაობათა ცვლა ამერიკულ საზოგადოებაში სოციალური კაპიტალის შემცირების ასახსნელად ერთ-ერთი საკვანძო მექანიზმია. ახალგაზრდები არა მხოლოდ თავს იკავებენ პოლიტიკური პარტიებისადმი მიკუთვნებაზე, არამედ სამოქალაქო საზოგადოებისადმი, საზოგადოებრივი ასოციაციებისადმი მიკუთვნებაზეც და ფორმალური თუ არაფორმალური ინტერაქციის სხვადასხვა ფორმებზეც უარს აცხადებენ. ისინი უფროს ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით ნაკლებად არიან დაკავებულნი მოქალაქეობით (civically), ასევე 20 ან 30 წლის წინ მათი მშობლების თაობასთან შედარებით უფრო ნაკლებად მონაწილეობენ. ამრიგად, უმცროს ასაკობრივ კოჰორტასა და ტრადიციულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის დამაბული ურთიერთობის შესახებ მტკიცებები, საკმაოზე მეტია. თუმცა, არსებობს ამ მტკიცებათა ინტერპრეტაცია, რომლის თანახმად ახალგაზრდობა პოლიტიკაში მონაწილეობის ისეთ არაფორმალურ ხერხებს ამჯობინებს, რომელიც უფრო ახლოსაა მათი ცხოვრების წესთან და მოქალაქეობრივი მონაწილეობის სუსტად სტრუქტურირებულ ფორმებთან [15].

პოლიტიკის მეცნიერების კვლევებში [7] აღიარებულია ინტერაქციის ისეთი ხშირი ფორმები, როგორიცაა პოლიტიკური სამკერდე ნიშნების და ლოგოტიპების ტარება, პეტიციების ხელმოწერა და მიტინგებსა ან პოლიტიკურ კონცერტებზე სპონტანური დასწრება. ამ საკითხზე არსებულ კამათზე მსჯელობა შეიძლება, მაგრამ, მთლიანობაში, რეალურად, ახალგაზრდობა უფროს თაობასთან შედარებით უფრო დემოკრატიულად არის განწყობილი. მსოფლიო მნიშვნელობის კროსკულტურული კვლევების შედეგები აჩვენებს ტენდენციას, რომ უმცროსი ასაკობრივი კოჰორტა უფრო ძლიერ უჭერს მხარს დემოკრატიულ ნორმებს, უფრო მეტად ტოლერანტულია და ავტორიტარული და იერარქიული ორგანიზაციების მიმართ უფრო კრიტიკულ დამოკიდებულებას ავლენს [11]. განსაკუთრებით ეს ითქმის გენდერულ თანასწორობასა და ცხოვრების წესის ფართო წრეზე, ტოლერანტობის გათვალისწინებით. უმცროსი ასაკობრივი ჯგუფები უდავოდ უფრო გახსნილები არიან, ვიდრე ადრე მათი მშობლების თაობა იყო და ესეც შეიძლება დემოკრატიული იდეალების ერთგვარ გავრცელებად ჩაითვალოს [12].

ამ მიმართებით უმცროსი ასაკობრივი ჯგუფები წარმოგვიდგებიან „კრიტიკული მოქალაქეობის“ ახალი თაობის ავანგარდად, რომლებიც პოლიტიკური ინსტიტუტების ეფექტიანობისადმი უფრო სკეპტიკური დამოკიდებულების ტენდენციას ამჟღავნებენ, თუმცა, იმავდროულად, დემოკრატიული ნორმებისა და ტოლერანტობის მიმართ ძლიერ მიდრეკილებას იჩენენ [14].

თანამედროვე ლიტერატურაში ახალგაზრდობის და პოლიტიკის ურთიერთქმედებაზე მეტწილად დომინირებს ვარაუდი, რომ პოლიტიკის მეცნიერებაში ახალგაზრდობის კვლევა უფრო ფართო მიდგომით უნდა ხდებოდეს. ისეთი სტრუქტურული სოციალური ცვლილებები, როგორიცაა სეკულარიზაცია, გლობალიზაცია ან ინდივიდუალიზაცია, როგორც ჩანს, გავლენას ახდენს მთელი მოსახლეობის პოლიტიკურ განწყობებსა და ქცევაზე. უფროსი ასაკის წარმომადგენლებისთვის ეს ეფექტები შერბილებულია იმით, რომ მათი თავდაპირველი პოლიტიკური ორიენტაციები ათეული წლებით ადრე ჩამოყალიბდა და გარკვეულწილად ეს მიმართებები უფრო მთელი ცხოვრების ციკლის განმავლობაში ხორციელდება [13]. ახალგაზრდები კი ამ სტრუქტურული გარდაქმნების ეფექტს უფრო ადვილად ამჩნევენ, ამდენად, შესაძლოა ამ ცვლილებებმა უფრო ძლიერი ზემოქმედება მოახდინონ, რადგან მათთან შემხებლობა ცხოვრების გზის საწყის პერიოდში ჰქონდათ. ფრანკლინი აღნიშნავდა, რომ „მომავალი ახალგაზრდობის ხელშია. ახალგაზრდები საკვანძო როლს შეასრულებენ მომავალში, რადგან ისინი ახალ პირობებზე რეაგირებენ. უფროსი თაობის წარმომადგენლებს კი, მთლიანობაში, პასუხისმგებლობა აქვთ სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებზე; ასე რომ, გრძელვადიანი ცვლილებების უმეტესობა თაობათა ცვლის გზით წარიმართება“ [5].

პოლიტიკის მეცნიერებაში ბოლო რამოდენიმე წელია ინტენსიური დებატებია სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის, პოლიტიკური ნდობის საკითხებზე. ამ დისკუსიის ფარგლებში მკვლევართა ყურადღება მიპყრობილია ახალგაზრდების პოლიტიკურ სოციალიზაციაზე. მკვლევრების აზრით თუ ახალგაზრდების პოლიტიკურ ორიენტაციაზე სრულ ინფორმაციას მოვიპოვებთ, შესაძლებელი იქნება მომავლის განჭვრეტაც, ის თუ რა მოხდება მომავალში, რა გველის წინ. ამ ლოგიკის ნათელი ილუსტრაციაა დალტონ რასელის ნაშრომი პოლიტიკური ნდობის ევოლუციის შესახებ [4, 93]. ის აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 1950 წელს მრავალგანზომილებიანმა ანალიზმა (multivariate analysis) აჩვენა ასაკსა და ნდობას შორის უარყოფითი კორელაცია, (ე.ი. უფროსი ასაკის წარმომადგენლები უფრო მეტ უნდობლობას იჩენენ). ახალი კვლევების შედეგებით კი გამოჩნდა, რომ ეს მიმართება შებრუნდა, უმცროსი ასაკის კოჰორტა ახლა აშკარად უფრო უნდობელია, ვიდრე უფროსი ასაკის რესპონდენტი. დალტონის [იქვე, 94] თანახმად, ეს აღმოჩენა სამომავლო ტენდენციაზე ვარაუდის საშუალებას იძლევა, სახელდობრ, მისი აზრით სავარაუდოა ახალგაზრდობამ ახლა უფრო აჩვენოს პოლიტიკოსების და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ პოლიტიკურ ნდობის დაბალი დონე და მეტი ცინიზმი.

მაგალითად, აშშ-ში ე.წ. „თაობა x“-ის წევრები, თავის პოლიტიკურ გამოცდილებას იწყებენ როგორც ცინიკოსები და ყოველდღიურ პოლიტიკასთან შემხებლობის გამოცდილებით ეს განწყობა შეიძლება მხოლოდ გაძლიერდეს. ამიტომ, დემოგრაფიული ცვლილების ნორმალურმა პროცესმა შესაძლოა შემდგომი ზემოქმედება მოახდინოს უახლოეს წლებში პოლიტიკური მხარდაჭერის შემცირებაზე. სხვაგვარად რომ ითქვას, კვლევის ამ მიმართულებით ძირითადი ვარაუდია ის, რომ კოჰორტის ეფექტი უფრო დიდი იქნება ვიდრე ასაკი და ეფექტების პერიოდი.

საყურადღებოა ახალგაზრდობის კვლევის შესაძლო ინსტრუმენტული გამოყენებაც: ამ მიმართებით ახალგაზრდების კვლევა გამოიყენება როგორც პრევენცია (miner's canary). იგულისხმება, რომ თუ დემოკრატიის ჰაერი მოწამლულია, საფრთხეს პირველად ახალგაზრდები გრძნობენ. ასევე გასაგებია, რომ ახალგაზრდობის კვლევის ინსტრუმენტულ გამოყენებაზე შეიძლება განსხვავებული, საპირისპირომოსაზრებაც გამოითქვას: სახელდობრ, ახალგაზრდობის პოლიტიკური ორიენტაციები უნდა გავიგოთ უბრალოდ როგორც არის ის რეალურად და არა როგორც ადრეული გაფრთხილების ხელსაყრელი მექანიზმი [7]. ლიტერატურაში ხაზგასმით მიუთითებენ უფრო დიდ მეთოდოლოგიურ პრობლემაზეც: ახალგაზრდული ასაკის კოჰორტის გამოყენებაზე. ამას კი აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ახლანდელ პოლიტიკურ ორიენტაციას სამომავლოდ, მოწიფულ ასაკშიც შეინარჩუნებენ. ეს იგივეა რასაც ეწოდა „პერსისტენციული მოდელი“ („persistence

model“),⁷⁷რომელიც ამტკიცებს, რომ არსებითად პრედაპტაციის სწავლების ძირები მთელი ცხოვრების განმავლობაში შენარჩუნდება, დროთა განმავლობაში კი შესაძლოა ის გამყარდეს კიდევ“ [20. 78] ზოგიერთ შემთხვევაში, პრესისტენცია მართლაც დასტურდება პარტიულობასა და პარტიულ იდენტიფიკაციასთან მიმართებით, მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ადრეულ ორიენტაციებს უფრო ძლიერი და ხანგრძლივი შედეგები ჰქონდა[22].

გრინის და შილკერის [8. 107-108] დასკვნით: „პოლიტიკური გარემოს ზეგავლენა, ყველაზე შესამჩნევი ახალ ამომრჩეველებშია, რომლებსაც ხშირად დროის პოლიტიკური სულისკვეთების დამლა ამჩნევიათ და ჩამოყალიბდნენ საარჩევნო ასაკის შესრულებისასან ახლახანს მიიღეს ნატურალიზებული მოქალაქის სტატუსი. ამ თვალთახედვით, პირველადი სოციალიზაციის გამოცდილება, როგორც წესი, გრძელვადიან შედეგებს იწვევს, რომლებზეც მეორეული სოციალიზაციის გამოცდილება მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას ახდენს. ეს მუდმივი პოლიტიკური თვითიდენტობის კონცეფცია, ცხადია, ახალს არაფერს ამბობს, რადგან მანამდე კარლ მანჰეიმმა კლასიკური თეზისი „პოლიტიკური თაობების“ შექმნის შესახებ აღწერა თავის წიგნში დამათ მოვლენების განმსაზღვრელი თაობა (generation-defining) უწოდა.

ამომრჩეველთა ქცევის კვლევები, ასევე ადასტურებენ მტკიცებას, რომ დადგინდა ქცევითი მოდელი: მაგალითად, არჩევნებზე პირველად მონაწილეობის გამოცდილებით საარჩევნო უფლების მქონე ახალგაზრდები ქცევის ამ მოდელს შემდგომშიც ადვილად ინარჩუნებენ [16;6]. ხმის მიცემის ჩვევის დაუფლებით, მოდელის შესანარჩუნებლად ისინი დროის მინიმალურ ხარჯვას, ყურადღებას და რესურსებს საჭიროებენ, ვინაიდან პირველ ჯერზე ამომრჩეველის ეს ინვესტიციები არსებითია. მაგრამ, გასათვალისწინებელია, რომ ამ პერსისტენციული მოდელის კონცეფციას ზოგიერთი ავტორი არ იზიარებს და ამტკიცებს, რომ ცხოვრებაში სოციალიზაციის გამოცდილება მოდის მოგვიანებით, ასაკის და დროის ეფექტების ზეგავლენით. ამის გარდა, სავსებით სავარაუდოა, რომ პერსისტენციულობის ჰიპოთეზა ზოგიერთი მიმართებით შეიძლება მართებული იყოს, ხოლო ქცევის ზოგიერთი ფორმები ნაკლებად წარმატებით ხსნის სხვა ურთიერთობებს. ამგვარად, თეზისი პერსისტენციული მოქმედების ვადების შესახებ, ღიად ტოვებს ემპირიულ საკითხს, უკიდურეს შემთხვევაში, ზოგიერთ ურთიერთობებთან დაკავშირებით[20].

ახალგაზრდა ასაკობრივი კოჰორტის პოლიტიკური ორიენტაციებისადმი ინტერესის ზრდამ სოციალიზაციის პოლიტიკური კვლევები განაახლა.[9; 19]თუ ახალგაზრდები ჩვენი პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების მომავლისათვის მართლაც საკვანძო როლს ასრულებენ, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება იმის გაგება, როგორ და სად იძენენ ისინი ცოდნას პოლიტიკის შესახებ და როგორ არიან ისინი სოციალიზებული პოლიტიკურ ურთიერთობებში. შაპიროს აზრით სოციალიზაციის ამჟამინდელი კვლევები ძირითადად განსხვავდება იმისგან, რაც იყო 1950-იან და 1960-იან წლებში. განსხვავება კი იმაშია, რომ იმ პერიოდში სოციალიზაციას პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მთავარმექანიზმად განიხილავდნენ. ამ მიმართებით პოლიტიკური სოციალიზაციის კვლევები მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პარსონსისეულ პარადიგმებზე.

პარსონსის თეორიაში, სოციალური სისტემები სტაბილურობას ინარჩუნებენ და იცავენ მას სოციალიზაციის ინტენსიური პროცესით, სისტემის საფუძვლად მდებარე ახალი ასაკობრივი კოჰორტების ინტერიორიზებით. პარსონსისეულ სამყაროში სოციალიზაცია უზრუნველყოფს სტაბილურობას, არ იწვევს სოციალურ ცვლილებებს ან მოდერნიზაციას. იგივე შეიძლება ითქვას 1950-იანი 1960-იანი წლების სოციალიზაციის კვლევების უმეტესობაზეც. პოლიტიკურ სოციალიზაციაზე ამ ტრადიციული შეხედულების საკმაოდ ტიპური მაგალითია 1960-იანი წლების დასაწყისში ჩატარებული კვლევები საფრანგეთში. მკვლევრებს ძირითადად აინტერესებდათ, იცოდნენ თუ არა ახალგაზრდებმა ნაციონალური ჰიმნი და პრეზიდენტის ვინაობა. იმავდროულად, ისინი გამოხატავდნენ შეშფოთებას სამშობლოს მოღალატეების მიმართ ადრეული ასაკის ბავშვების საკმაოდ გულგრილი

⁷⁷persistere – ლათ. ყოფნა, დარჩენა

დამოკიდებულებით.[18] სოციალიზაციის თანამედროვე მკვლევრები, პირიქით, ყურადღებას ამახვილებენ იმ საკითხზე თუ სად და როგორ იძენენ ახალგაზრდები პოლიტიკურ ცოდნას, არიან თუ არა ისინი დაინტერესებულნი პოლიტიკით, რით არიან დაკავებულნი და აქვთ თუ არა სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის სურვილი[10; 21]

სოციალიზაციის თანამედროვე კვლევების სფეროც გაფართოვდა: თუ 1960-იან წლებში სამეცნიერო-კვლევითი შრომები კონცენტრირებული იყო მშობლების და სკოლის ზეგავლენაზე, ამჟამად სოციალური კვლევები ყურადღებას ამახვილებენ საზოგადოებრივ გაერთიანებებზე, მასმედიაზე, თანატოლების ჯგუფზე და არაფორმალურ ინტერაქციებზე.

ახალგაზრდების განწყობის, მათი პოლიტიკური ორიენტაციების კვლევით ვიღებთ ზოგიერთ ცნობას დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკური სისტემის ევოლუციის შესახებ. გარკვეული პირობების შემთხვევაში ეს შესაძლებელი ხდება თუ გვეცოდინება, რომ მართლაც არსებობს რეალური და ღრმა განსხვავებები ახალგაზრდობისა და უფროსი ასაკის კოჰორტას შორის. ამ მიზნისათვის ჯვარედინი მონაცემების გამოყენება არ შეიძლება, რადგან ისინი თაობათა ასაკში ეფექტებსვერ ხსნიან. მთავარია არა ის, რომ ახალგაზრდები ძველი თაობისგან განსხვავდებიან, არამედ ის თუ რით განსხვავდებიან ახალგაზრდების კოჰორტა ათეული წლების წინანდელი ახალგაზრდების ჯგუფისაგან. მაშასადამე, აქ უკვე საჭირო ხდება დროის სერიული და, სასურველია, პანელური მონაცემები. როგორც კი გვეცოდინება, რომ ახალგაზრდული ასაკობრივი კოჰორტის კონკრეტული მახასიათებლები დამუშავებულია, მეორე კითხვა ასეთი იქნება: როგორ შევძლებთ მათ ახსნას. ამ მიმართებით დასავლეთის ქვეყნებში სკოლის სასწავლო გეგმებში სამოქალაქო განათლების ჩართვამ ახალი მნიშვნელობა შეიძინა [1].

მესამე კითხვა ჩვენი დასკვნების შედეგებს ეხება: შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ახალგაზრდების დამოკიდებულება პოლიტიკური სისტემისადმი წინა კოჰორტისგან განსხვავებულია. მაგრამ, ამ მომენტისთვის, ჩვენ არ ვიცით ლიბერალური სისტემები მონახვენი თუ არა სამომავლოდ პოლიტიკურ სისტემასთან უფრო კრიტიკული და გაუცხოებული მოქალაქეების შეგუების საშუალებებს. პროცედურულად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს შეუუფლებლობა არ უნდა გვაწუხებდეს, ახალგაზრდები ხომ, როგორც წესი, პოლიტიკური სისტემის და მთავრობის მიმართ უფრო კრიტიკულები იქნებიან. მაგალითად, თუნდაც პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებით. სანამ ისინი დემოკრატიულ პროცესში მონაწილეობას განაგრძობენ (აქ მინიმალური მოთხოვნაა ხმის მიცემა), ეს ახალი ხედვები დემოკრატიული პოლიტიკისათვის აუცილებლად პრობლემებს როდი მოასწავებს. ამ მოთხოვნების ასახსნელად ჯერ კიდევ უნდა დასაბუთდეს, რომ ახალგაზრდების განწყობა იწვევს ამომრჩეველთა გამოცხადების მაჩვენებლის შემცირებას, გაცილებით ნაკლებად ინფორმირებულ ამომრჩეველებს, უფრო ცინიკურ ანდა რომელიმე ერთობის წევრობით ნაკლებად დაკავებულ მოქალაქეებს.

და ბოლოს, საჭიროა პერსისტენციის თეზისის დასაბუთება. სრულიად აშკარაა, რომ არჩევნებზე ახალგაზრდების გამოცხადების მაჩვენებლები უფროსი თაობის წარმომადგენლებზე უფრო დაბალია, ისინი ჯერ კიდევ არ არიან ინტეგრირებულნი საბაზრო ურთიერთობებში, არ ჰყავთ შვილები და, შესაძლოა, არც საკუთარი სახლი, ოჯახი აქვთ. ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ მათ სამოქალაქო საზოგადოებასთან და პოლიტიკასთან ინტერაქციის ნაკლები შანსი აქვთ. ამის გარდა, განათლების ხანგრძლივობის ზრდის გამო ახალგაზრდობის ასაკობრივი ფაზაც იზრდება. ცხოვრებისეული ციკლის ეს კარგად ცნობილი ეფექტები არ უნდა გვაშფოთებდეს - ახალგაზრდა ადამიანები, როგორც ცნობილია, პოლიტიკის მიმართ აშკარად ნაკლებ ინტერესს იჩენენ რამოდენიმე თაობის განმავლობაში. თუმცა სურათი აშკარად სხვაგვარი ხდება თუ მონაცემებით დადასტურდება, რომ პასიურობა, სავარაუდოდ სამომავლოდ ზრდასრულ ასაკშიც შენარჩუნდება. საბოლოოდ, მთლიანობაში, ჩვენს წინაშეა ოთხი ფუნდამენტურიკითხვა: ნამდვილად არსებობს თუ არა განსხვავება აღნიშნულ კოჰორტებს შორის, რატომ არის ეს ასე,

როგორია მისი შედეგები და დარჩება თუ არა ის სამომავლოდაც? ეს ოთხი კითხვაა, რომელიც პასუხს ითხოვს.

ამრიგად, პოლიტიკური სოციალიზაცია ადამიანთა პოლიტიკური ქცევის ერთ-ერთი საკვანძო დეტერმინანტია. პოლიტიკური კულტურის შენარჩუნება და განვითარება, საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა პირდაპირ უკავშირდება ახალგაზრდა თაობის მიერ პოლიტიკური ქცევის ღირებულებების, ეტალონების და მოდელების ათვისების, საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის, საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების სუბიექტად ქცევის უნარს. ახალგაზრდობის პოლიტიკური სოციალიზაციის შედეგია ახალგაზრდობის გარკვეული სტრუქტურა, რომლის პოლიტიკური ღირებულებები მდგრადი ელემენტებია და ტრანსფორმირდება მრწამსსა და განწყობებში. ადამიანებში იმთავითვე არ არის ჩადებული არც კონსერვატიული, არც დემოკრატიული, არც ლიბერალური, არც ანარქისტული ხედვები. ისინი პიროვნების განვითარების ხანგრძლივი პროცესის განმავლობაში ყალიბდებიან.

ლიტერატურა:

1. APSA Standing Committee on Civic Education and Engagement (2004). *Toward a Political Science of Citizenship*, Washington, DC: American Political Science Association.
2. Blais, A., Gidengil, E., Nevitte, N. and Nadeau, R. (2004). Where does turnout decline come from // „European Journal of Political Research“, № 43: 221–236.
3. Dalton, R. (2002). „The Decline of Party Identifications“, in R. Dalton and M. Wattenberg (eds.) *Parties without Partisans*, Oxford: Oxford University Press, pp. 19–36.
4. Dalton, R. (2004). *Democratic Challenges, Democratic Choices, The Erosion of Political Support in Advanced Industrial Democracies*, Oxford: Oxford University Press.
5. Franklin, M. (2004). *Voter Turnout and the Dynamics of Electoral Competition in Established Democracies since 1945*, Cambridge: Cambridge University Press.
6. Franklin, M., Lyons, P. and Marsh, M. (2000). „Generational basis of turnout decline in established democracies“ // *Acta Politica* №39(2): 115–151.
7. Gauthier, M. (2003). „The inadequacy of concepts, the rise of youth interest in civic participation in Quebec“ // *Journal of Youth Studies*, №6(3): 265–276.
8. Green, D., Palmquist, B. and Schickler, E. (2002). *Partisan Hearts and Minds, Political Parties and the Social Identity of Voters*, New Haven: Yale University Press.
9. Galston, W. (2001). „Political knowledge, political engagement, and civic education“, *Annual review of Political Science* 4: 217–234.
10. Hooge, M., D. and Stouthuysen, P. (2004) „Heard start in politics, the recruitment function of youth organizations of political parties in Belgium (Flanders)“ // *Party Politics* №10(2): 193–212.;
11. Inglehart, R. (ed.) (2003). *Human Values and Social Change. Findings from the Values Survey*, Leiden: Brill.
12. Inglehart, R. and Norris, P. (2003). *Rising Tide. Gender Equality and Cultural Change Around the World*, Cambridge: Cambridge University Press.
13. Jennings, M.K. (1987). „Residues of a movement, the aging of the American protest generation“ // *American Political Science Review* №81: 367–382.
14. Norris, P. (ed.) (1999). *Critical Citizens, Global Support for Democratic Governance*, Oxford: Oxford University Press
15. O’Toole, T., Lister, M., Marsh, D., Jones, S. and McDonagh, A. (2003). „Tuning out or left out? Participation and non-participation among young people“. *Contemporary Politics* №9(1): 45–61.
16. Plutzer, E. (2002). *Becoming a habitual voter, Inertia, resources, and growth in young adulthood* // „American Political Science Review“ № 96 (1): 41–56.

17. Putnam, R. (2000). *Bowling Alone. The Collaps and Revival of American Community*, New York: Simon and Schuster.
18. Roig, C and Billon-Grand, F. (1968). *La sozialisation politique des enfants*, Paris: Armand Colin.
19. Sapiro, V. (2004). „Not your parents' political socialization, Introduction for a new generation“. // *Annual Review of Political Science* №7: 1–23.
20. Sears, D. and Levy, S. (2003). „Childhood and Adult Political Development“, in D. Sears, L. Huddy and R. Jervis (eds.) *Oxford Handbook of Political Psychology*, Oxford: Oxford University Press, pp. 60–109.
21. Torney-Purta, J. (2004). „Adolescents' political socialization in changing contexts: an International study in the spirit of Nevitt Sanford“, // *Political psychology* №25(3): 465–478.]
22. Ventura, R. (2001). „Family political socialization in multiparty systems“, *Comparative Political Studies* №34(6): 666–691.
23. ბობიო ნორბერტო. (2003). დემოკრატიის მომავალი. მთარგმნ. ნ. კენჭაძე. გამ-ბა „ენა და კულტურა“.

Teimuraz Kareli
Ilia State University, Tbilisi

Political Socialization of Youth and the Future of Democracy **Abstract**

It is clear that generational replacement is one of the main driving forces for social and political change in liberal democracies. While there is considerable consensus about the observation that the political attitudes and behaviors of young people differ significantly from those of earlier cohorts, there is disagreement about how this observation should be interpreted. Some authors worry about the decline of participation and trust among young people; others herald their tolerance and critical attitudes. In the article, it is argued that, because of this generational replacement mechanism, youth studies offer us a glimpse of the future evolution of political systems. If the differences that are currently being observed persist into later parts of the life cycle, this implies that political systems will have to find a way to adapt to a more critical and distant citizenry.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური სოციალიზაცია; ახალგაზრდობის კვლევა; თაობათა ცვლა; პოლიტიკური მონაწილეობა; დემოკრატიის მომავალი.

Keywords: political socialization; youth studies; generational replacement; political Participation; future of democracy.

რუსუდან ფირანიშვილი
იაკობ გოგებაშვილის ახელობის უნივერსიტეტი, თელავი

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებითი მოდელების შემუშავების გარემო

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის სტრატეგიულ ამოცანას საწარმოებისა და მათი ბიზნეს-საქმიანობის განვითარება, კონკურენტუნარიანობისა და ხარისხის ამაღლება, მართვის ფუნქციების გაძლიერება და დამატებითი ხარჯების შემცირება წარმოადგენს. ინფორმაციული ინფრასტრუქტურის საშუალებით იქმნება ახალი ტექნოლოგიები, დისტრიბუციის ახალ-ახალი არხები, საქონელი და მომსახურება. ორგანიზაციების ეფექტური ფუნქციონირება პირდაპირ

პროპორციულია ამ ორგანიზაციებში დანერგილ ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაზე. ის ტექნოლოგიები, რომლებიც ბიზნესის არქიტექტურაში უნდა დაინერგოს, უნდა იყოს კონკრეტულ ბიზნესზე მორგებული. ბიზნესის არქიტექტურა კავშირში უნდა იყოს ორგანიზაციის სტრუქტურასთან თანმდევი მახასიათებლებით.

ინფორმაციული ინფრასტრუქტურა პასუხისმგებელია თანამედროვე ორგანიზაციების სასიცოცხლო ციკლის გახანგრძლივებაზე ვინაიდან მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ინფორმაცია ეკონომიკის ფორმირების შეუცვლელი ინსტრუმენტი გახდა. ინფორმაციული ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საწარმოს ფუნქციონირების პროდუქტიულობაზე, სამეურნეო სუბიექტების ქცევაზე, რაც აუცილებლობას ქმნის განისაზღვროს ინფორმაციული ინფრასტრუქტურის როლი და ადგილი, რაც დღევანდლობის კვლის საგანს წარმოადგენს.


ორგანიზაციებში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება რთული და შრომატევადი პროცესია. მიუხედავად ამისა მსხვილი კორპორაციები, არამარტო საქართველოში, დიდი რაოდენობის ფულად სახსრებს ხარჯავენ სხვადასხვა ინფორმაციული საშუალებების დასაწერად, რომლებშიც შეიძლება არც კი იყოს გათვალისწინებული საწარმოს საერთო სტრუქტურა, ამიტომ მნიშვნელოვნად აუცილებელია ისეთი საინფორმაციო სისტემის შერჩევა, რომელიც მორგებული იქნება კონკრეტული ბიზნესის სტრუქტურაზე. ნებისმიერი ინფორმაციული სისტემა მოითხოვს დროულ, მაღალი ხარისხის მხარდაჭერას, განახლებას და მისი რესურსების სწორად გამოყენებას.

დღითიდღე უმჯობესდება ინფორმაციული სისტემების მართვის მეთოდები და სტანდარტები. მათ შორის საკმაოდ პოპულარულია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ბიბლიოთეკა ITIL - Information Technology Infrastructure Library. იგი დღეისათვის ძალზე აქტუალური და საყოველთაოდ ცნობილი ცოდნის ბაზაა სერვისების მართვის სფეროში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ის ასახავს IT-სფეროს მსოფლიოს წამყვანი პრაქტიკოსების მიერ შემუშავებულ ფუნდამენტურ საფუძვლებს.

ინფორმაციული პროცესების მოდელი ITPM (IT Process Model) წარმოიშვა არქიტექტურის მართვის მოდელიდან ISMA (Information Systems Management Architecture) 1979 წელს. რეალურად ITPM (IT Process Model) თავისი პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარე, არ არის მოდელი, არამედ იგი წარმოადგენს გამოყენებითი მოდელების შემუშავების გარემოს, რომელიც შედის ITIL (Information Technology Infrastructure Library) ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ბიბლიოთეკის შემადგენლობაში.

1994 წელს კორპორაცია IBM-მა ინიცირება გაუკეთა პროექტს, რომელიც გულისხმობდა ერთიანი დარგობრივი მოდელის შექმნას, რომელიც IT ოპტიმალური გამოყენების იდენტიფიცირებასა და რესურსების მართვას მოახდენდა ბიზნეს-ამოცანების გადასაწყვეტად. საბაზისო ჰიპოტეზა მდგომარეობდა იმაში, რომ აუცილებელი იყო სასრული რაოდენობის პროცესების არსებობა, რომელსაც მართავდა ნებისმიერი კონფიგურაციის IT. ITPM- ეს არის 41 პროცესის ერთობლიობა, რომლებიც გაერთიანებულია 7 ჯგუფში და ემსახურებიან IT პროექტების წარმატებულმართვას.

- კლიენტებთან ურთიერთობის გაუმჯობესება;
- კორპორატიული ინფორმაციის მართვის სისტემების უზრუნველყოფა;
- IT ინფრასტრუქტურის მართვა ბიზნესის მოთხოვნილებიდან გამომდინარე;
- გადაწყვეტილების რეალიზება;
- IT სერვისებით უზრუნველყოფა;
- IT სერვისების და გადაწყვეტილებების მხარდაჭერა;
- IT რესურსებისა და IT ინფრასტრუქტურის მართვა;



სურ 1: ITPM მოდელი

IT სერვისების წარმატებული მართვა წარმოუდგენელია კლიენტთან ურთიერთობის გარეშე. IT სამსახურს, შეუძლია გააუმჯობესოს ბიზნეს-მომხმარებლებთან მუშაობის ყველა ფორმა, რაც გამოიწვევს მომსახურების დონის ამაღლებას. გადაწყვეტილების მიღების ეფექტურობის ამაღლებისათვის აუცილებელია კორპორატიული ინფორმაციის მართვის სისტემებით უზრუნველყოფა. ორგანიზაციის IT ინფრასტრუქტურის შექმნასა და განვითარებასთან დაკავშირებული ამოცანები უნდა იყოს ცენტრალიზებული და თანხვედრილი ბიზნეს ამოცანებთან. ინფორმაციის ცენტრალიზება ორგანიზაციის ხელმძღვანელს საშუალებას აძლევს ადეკვატურად შეაფასოს ცალკეული ფაქტორის გავლენა ბიზნესის საერთო შედეგებზე. IT სამსახური, რომელიც ცენტრალიზებას უზრუნველყოფს, უნდა ითვალისწინებდეს ორგანიზაციის ბიზნეს-მიზნებს და მათი მიღწევის პრინციპებს, და გამომდინარე აქედან უნდა ჰქონდეს განსაზღვრული გეგმა, IT ინფრასტრუქტურის დატვირთვის კოეფიციენტი და ა.შ.

IT სამსახურის მენეჯმენტი უნდა იცნობდეს ორგანიზაციის მიზნებს, მათი მიღწევის გზებს და IT სამსახურს უნდა განიხილავდეს ამ მიზნების განხორციელების მთავარ ძალად. IT დირექტორს (მენეჯერს) ბიზნესის სტრუქტურიდან გამომდინარე და კორპორატიული სტანდარტების დაცვის გათვალისწინებით, უნდა შეეძლოს პრიორიტეტული რესურსების, მომსახურების მოცულობის, ბიზნესში ცვლილებებზე IT სამსახურის ოპერატიული რეაგირების განსაზღვრა.

IT ინფრასტრუქტურის არქიტექტურა და მისი რეალიზაცია ბიზნეს-რისკებიდან გამომდინარე, უნდა ექვემდებარებოდეს ყოველმხრივ ანალიზს. გადაწყვეტილების განხორციელების პროცედურა უნდა იყოს უნიფიცირებული და უნდა სრულდებოდეს ერთნაირად, როგორც ეს ხდება სისტემური პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის დროს, ასევე მოწყობილობების, ბიზნეს დანართებისა და მონაცემთა ბაზების დამონტაჟების დროს. უკვე არსებულ კონფიგურაციაში ცვლილებები უნდა განხორციელდეს ეფექტურობის მინიმალური დარღვევით.

მნიშვნელოვანია ცვლილებების მართვა: იგი მოითხოვს ყველა ამოცანის იდენტიფიცირებას, რომელიც დაკავშირებული იქნება ყოველ კონკრეტულ ცვლილებასთან, და მოახდენს მის კონტროლს. აუცილებელია ცვლილებების შედეგების ანალიზი, ცვლილებების მონაცემთა ბაზა. გასათვალისწინებელია ასევე ორგანიზაციის შიგნით ყველა ტექნოლოგიური ცვლილების კოორდინაციის გეგმა, რადგან მოხდეს მაქსიმალური ცვლილებები ბიზნეს ეფექტურობის მინიმალური დარღვევით.

ბიზნესისთვის ასევე აუცილებელია რისკების შეფასება დარღვევების წარმოქმნის შემთხვევაში. ბიზნეს-მომხმარებელთა უზრუნველყოფა სხვადასხვა მომსახურებებით ITPM მოდელის რეალიზაციის მთავარი მიმართულებაა. IT სერვისის მხარდასაჭერად შეიძლება იყენებდეს სხვადასხვა რესურსს, რომლებიც სხვადასხვა პრიორიტეტებით სრულდება. აუცილებელია პროცესების მონიტორინგი პოტენციური დარღვევების გამოსავლენად.

ინტეგრაციის წყალობით ეს პროცესი შეიძლება ავტომატურად მიმდინარეობდეს ან ადმინისტრატორის საშუალებით. IT სამსახურის ამოცანაა- წარმოადგინოს IT სერვისები და გეგმა, რომელშიც გაწერილი იქნება მისი რეალიზების დრო და ადგილი და ასევე დამატებითი რესურსები. ამ გეგმის შესადგენად IT სამსახური ითვალისწინებს მომხმარებელთა მოთხოვნებს, ასრულებს მის ანალიზს და ამის შემდეგ ახდენს რესურსების გამოყოფას.

IT სერვისების უზრუნველსაყოფად აუცილებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- უნდა მოხდეს იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც მნიშვნელოვანია კონკრეტული ბიზნესისთვის და ხელს შეუწყობს მის გაუმჯობესებას.

- პრიორიტეტი მიენიჭოს ბიზნეს-კლიენტების მოთხოვნებს.

- განისაზღვროს კლიენტთა დაკმაყოფილების ხარისხის შეფასების კოეფიციენტი.

- შემუშავდეს მომსახურების გაუმჯობესების გეგმა.

- აუცილებელია ცვლილებების შედეგების ანალიზი

- შეტანილი ქნას მონაცემთა ბაზაში ცვლილებები

- სასურველია ორგანიზაციის შიგნით ტექნოლოგიური ცვლილებების კოორდინაციის გეგმის არსებობა

- ასევე აუცილებელია ბიზნესის რისკების შეფასება დანერგვის წარუმატებლობის შემთხვევაში.

IT სერვისების წარმატებული მუშაობისთვის ყოველდღიურად უნდა ტარდებოდეს მონიტორინგი:

- სისტემის ხელმისაწვდომობის გაკონტროლება.

- პრობლემების გადაჭრა

- მწარმოებლობის ხარისხის კონტროლი

- მონაცემთა ბაზების მართვა სისტემის კონფიგურაციისას.

- სარეზერვო კოპირების ესრულება

- სისტემის მასშტაბირების დროული შეფასება.

ITPM -ის ყველა კომპონენტის შესრულების კულმინაციაა მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევა. მომსახურება შეიძლება მოითხოვდეს სხვადასხვა რესურსის მხარდაჭერას და საქმის სხვადასხვა პრიორიტეტებით წარმოებას. აუცილებელია მომსახურების პროცესისა და ინფრასტრუქტურის მონიტორინგი პოტენციური დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში და კრიტიკულად აუცილებელი ფუნქციების დარღვევების თავიდან აცილება. ინტეგრაციის წყალობით ეს პროცესი ადმინისტრატორის საშუალებით ხელით ან ავტომატურად ხორციელდება. IT სამსახურის დავალებაა-შესთავაზოს ორგანიზაციას თავისი მომსახურება და გეგმა, რომელშიც მითითებული იქნება მისი მიწოდების დრო და ადგილი და ასევე ყველა საჭირო რესურსი. ამ გეგმის შესადგენად - IT სამსახური აახორციელებს კლიენტებთან წვდომას და მათგან იღებს ყველა მომსახურებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. IT სამსახური ვალდებულია მოახდინოს ბიზნესისთვის მთავარი ფაქტორების იდენტიფიკაცია და იზრუნოს მის გაუმჯობესებაზე. განსაზღვროს, პირველ რიგში, რა არის დამკვეთისთვის მნიშვნელოვანი, ადეკვატურიად შეაფასოს კლიენტების დაკმაყოფილების ზღვარი, იზრუნოს თავისი მომსახურების გაუმჯობესებაზე.

IT რესურსებისა და ინფრასტრუქტურის მართვა მოითხოვს ყველა კრიტიკულად აუცილებელი რესურსის (ეს ეხება, როგორც ტექნოლოგიებს, ასევე კვალიფიციურ კადრს) ასევე იმ ფინანსების მონიტორინგს, რომელიც გამოიყოფა IT ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

IT ინფრასტრუქტურაში მოიაზრება ინვენტარიზაციის შემდეგი ქმედებები:

- პროგრამული უზრუნველყოფისა და ინფორმაციული რესურსების ლიცენზია
- სხვადასხვა პროცესების შესრულების დროული ღონისძიებები.
- უსაფრთხოების პოლიტიკის დაცვა.

ისმება კითხვა: რით შეიძლება დაეხმაროს ITPM ორგანიზაციებს?

პირველ რიგში უკვე არსებულ და ახალ IT ინფრასტრუქტურებს შორის უწყვეტობის შენარჩუნებით. როგორც ყოველთვის IT Process Model გამოიყენება როგორც ბაზა ახალი მართვის სისტემის შესაქმნელად, თუმცა უკვე არსებული სტრუქტურის გაგებაშიც გვეხმარება. ორგანიზაციას შეუძლია IT Process Model გამოიყენოს სხვადასხვა განყოფილებებიდან (სტრუქტურებიდან) პროცესების ინტეგრაციისთვის საერთო ბიზნეს-ამოცანების გადასაწყვეტად და ასევე მართვის სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად. მაგალითისთვის ევროპული ბანკი მას იყენებს თავისი ფილიალების მართვის გასაუმჯობესებლად. ITPM-ს იყენებს ასევე ის კომპანიები, რომლებიც მუშაობენ აუტსორსინგის მიმართულებით. და ბოლოს ITPM მთავარი ღირსებაა არსებული IT ინფრასტრუქტურის მომზადება ელექტრონული ბიზნესის მხარდასაჭერად. კომპანიები ამ მოდელს იყენებენ თავიანთი ფილიალების პერიოდული რევიზიების დროს.

ექსპერტები ერთხმად აცხადებენ, რომ პროცესების რეალიზაციის კონკრეტული მექანიზმი, რომელიც ITIL სტანდარტებს ეყრდნობა, ყველა ორგანიზაციისთვის სხვადასხვაა გამომდინარე მისი სპეციფიკიდან, ხოლო საბაზისო პრინციპები-უცვლელია. ITPM რეკომენდაციების რეალიზება კარგადაა ასახული IBM-ის პროგრამულ პაკეტში-. IBM/Tivoli (Monitoring, Configuration Manager, Access Manager, Storage Manager), რომლის საშუალებითაც ხდება ნებისმიერი სირთულის, შემადგენლობის, მოცულობისა და ტერიტორიულად განლაგებული საინფორმაციო სისტემების მართვა. იგი გამოირჩევა მარტივი დანერგვითა და ექსპლუატაციით. იგი საშუალებას იძლევა:

- მოვახდინოთ აუცილებელი მონაცემების შეგროვება და ანალიზი ორგანიზაციის IT ინფრასტრუქტურის მართვისთვის;

- მოვახდინოთ საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილების რეალიზება აქტიური მართვისთვის.

- გამოვიყენოთ ავტომატური მართვის სახლი ფუნქციები.

ITPM ორგანიზაციებს სთავაზობს IT მომსახურების მოქნილი მოდელის გამოყენებას. ITPM -ის გამოყენების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არ ღირს საქცენტის გაკეთება კონკრეტული IT მომსახურების რეალიზაციის ტექნიკურ დეტალებზე. IT მომსახურების წარმოდგენის უნიფიცირებული სტრუქტურა, რომელიც ნების მიერ ბიზნესში გამოიყენება, კომპანიებს გასაგებ და მყარ ფუნდამენტს უქმნის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://www.computerworld.ru/articles/ITMF-2017-ITIL--rekomendatsii-operedivshie-vremya>
2. <https://www.osp.ru/os/2000/10/178254/>
3. <https://www.osp.ru/os/2006/04/2053318/>
4. http://www.computerworld.ru/articles/ITMF-2017-ITSM-zavoevyvaet-biznes#disqus_thread

The Environment of Applied Models Processing Information Technology

Summary

The strategic goals of introducing informational and communicational technologies are the following: developing manufactures and their business activities, raising the levels of competitiveness and quality, strengthening management functions and reducing unnecessary expenses. Management methods and standards of Informational Systems are developing day after day. Among them ITIL - Information Technology Infrastructure Library is quite popular and so is ITPM (IT Process Model), which is a part of Information Technology Infrastructure Library. Optimum employment of Information Technologies and resources management for business tasks solving are made feasible through ITIL and ITPM.

ITPM secures maintaining continuity among IT infrastructures of an organization, creating new management systems and revealing its strengths and weaknesses.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული სისტემები, მოდელები, ბიზნესი, ტექნოლოგიები, მართვა.

Keywords: Information Systems, Models, Business, Technologies, Management

მანანა ქარქაშაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

პროგრამირების სწავლება ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი მნიშვნელოვანია სწავლისა და სწავლების პროცესში. კერძოდ, მას გარკვეული ცვლილებები შეაქვს სწავლების ხანგრძლივობაში, ადგილსა და ტემპებში. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების:

- ✓ დახმარებით ხელმისაწვდომი ხდება საგანმანათლებლო ინფორმაცია;
- ✓ სხვადასხვა კომბინაციების გამოყენებით უფრო მოქნილი ხდება საგანმანათლებლო პროცესი;
- ✓ ჩართვით საგანმანათლებლო სივრცე ხდება თანამედროვე ეპოქის, მოთხოვნების შესაბამისი;

როგორც ვიცით, სწავლის პროცესი უწყვეტად უნდა მიმდინარეობდეს, ადამიანის მთელი ცხოვრების განმავლობაში. სწავლის, განვითარების, ინფორმაციასთან მუშაობის კომპეტენცია ძალიან მნიშვნელოვანია, მით უმეტეს დღეს, როდესაც საინფორმაციო საზოგადოების ფორმირება აქტიურ ფაზაშია. აღნიშნული უნარის განვითარების პროცესი და დინამიკა მრავალ საკითხს მოიცავს და ისინი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული პროცესის დაწყებით საფეხურზე დაწყებას. თანამედროვე ეპოქის განათლების მნიშვნელოვანი თვისება ის არის, რომ სიმძიმის ცენტრი საგნის სწავლებიდან მის შესწავლაზე, გაცნობიერებაზე, მის ღრმა (და არა ზედაპირულ) ათვისებაზეა გადატანილი. ეს არ არის მარტივი პროცესი, მაგრამ ადეკვატური, გაანალიზებული მეთოდებით, აქტივობებითა და სტრატეგიით დაგეგმილი საგანმანათლებლო პროცესით ეს ამოცანა მიღწევადია. აუცილებელია ავამაღლოთ მოსწავლეთა ინფორმირებულობა, უნდა, გააფართოვდეს მათი ცოდნა ინფორმაციასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, ვსრულყოთ საგნობრივი და ზოგადი კომპეტენციები,

რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო პროცესში ეფექტიანი ჩართვა. მიდგომის ფორმა, რომელიც კომპიუტერული ტექნიკის საფუძველზე სასწავლო მეთოდებისა და ტექნოლოგიების მდიდარი კომპლექსის არსებობას გულისხმობს, ხელს უწყობს აღსაზრდელის მრავალმხრივ მომზადებასა და მოტივაციის ამაღლებას. გვესმის, რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დამყარებული სასწავლო პროცესი გულისხმობს სასწავლო მასალების წარმოებას; სასწავლო პროგრამების შედგენას; გრაფიკულ და აუდიოვიზუალურ მასალას, დაპროგრამების მაღალ ხარისხს. კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლისა და სწავლების პროცესში ჩართვის ერთ-ერთ თავისებურებას ახალი სასწავლო გარემოს წარმოქმნა და განვითარება წარმოადგენს. ამ გარემოში ცოდნა სტრუქტურირებული პროდუქტი ხდება. იგი მოსწავლეების სწავლისა და სწავლების შინაარსს ცვლის, ტემპების აჩქარებასა და მოსწავლეების წარმოსახვისა და შემოქმედებითი განწყობის სტიმულირებას უწყობს ხელს. კარგად შეესაბამება სხვადასხვა სწავლების სტილს, მით უმეტეს დაწყებით საფეხურზე, რომელიც ვიზუალურ აღქმას აქცენტირებული. თუმცა სახიფათო მომენტებიც არსებობს, საინფორმაციო ტექნოლოგიები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინსტრუმენტი და არა თვითმიზანი. დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი ინსტრუმენტების შერჩევას, რომლებიც საგანმანათლებლო მიზნებს შეესაბამებიან და არა მხოლოდ სწავლების უახლეს ტექნოლოგიაზე მორგებას. ელექტრონული ტექნოლოგიების ბუნებაც და ტელევიზიისა და კომპიუტერული კომუნიკაციის ლინგვისტური სტილიც ხელს უფრო ზედაპირულ გაგებას უწყობს, ვიდრე ღრმა და სერიოზულ შესწავლას, რაც მრავალმხრივი ლოგიკური ანალიზით რთული იდეებისა და არგუმენტების დამუშავებას ემყარება. სტატიაში განხილულია განათლების ახალი შესაძლებლობების საკითხები, კერძოდ პროგრამირების ელემენტების სწავლება დაწყებით საფეხურზე.

ინფორმატიკა, როგორც დინამიურად განვითარებადი მეცნიერების სფერო, მიეკუთვნება ცოდნის, განვითარების სექტორს, რომელიც მოწოდებულია მოამზადოს თანამედროვე, საინფორმაციო საზოგადოების აქტიური წევრი. გარკვეულწილად, სასწავლო საგანი „ინფორმატიკა“, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა წარმოადგენს საშუალო განათლების ერთ-ერთ საგანმანათლებლო კომპონენტს. ამასთან ერთად, იგი ინტეგრირებულია სხვა საგნებთან და ცხადია, რომ მეთოდოლოგიური ფუნქციასაც ითავსებს. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აუცილებელია შეიქმნას სასწავლო სტრუქტურა (პროგრამა, მეთოდიკა, კადრები, ლაბორატორია) ინფორმატიკის მიმართულების, პროგრამირების სწავლებისათვის დაწყებით საფეხურზე. ამოცანა შეგვიძლია ასე ჩამოვაყალიბოთ: საგანმანათლებლო პროცესის მიზანია, ინოვაციური ინფორმაციული ტექნოლოგიების განხილვა, დანერგვა და გამოყენება; აღსაზრდელებში ექსპერიმენტირების სურვილის გაღვივება; შემოქმედებითი და პროდუქტიული აზროვნების განვითარება; ჰიპოტეზების შემოწმება, საკუთარ შეცდომებზე სწავლა. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ კომპიუტერთან დამოკიდებულებს საწყისი უნარ-ჩვევები. ეს აუცილებელია, რათა მოსწავლეებმა მომდევნო საფეხურზე შეძლონ ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში. თუმცა, კვლევებმა აჩვენა, რომ სკოლამდელ და პირველი საფეხურის აღსაზრდელებს, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან ინდივიდუალური, ზედაპირული, გაუაზრებელი მიჯაჭვულობის დამოკიდებულება აქვთ, ამასთან ერთად ისინი ძალიან „მეგობრობენ“ მასთან და შეიძლება ითქვას ფსიქოლოგიური მზაობა გააჩნიათ მასთან სამუშაოდ ანუ აქტიურად საურთიერთოდ. აღნიშნული ფაქტი აუცილებლად უნდა განვიხილოთ საფრთხის კრილშიც. ვინაიდან არამიზნობრივად გამოყენებას, მრავალი გვერდითი მოვლენები ახლავს თან. თანამედროვე ეპოქის აღსაზრდელების კომპიუტერთან ურთიერთობას უნდა მიეცეს გააზრებული მიმართულება, ვინაიდან თვითონ ფაქტი ზრდის ცოდნის მიღების, სწავლისა და სწავლების მოთხოვნილებას.

ქ. ქუთაისის კერძო დაწყებით სკოლაში „ღონე ქვეყნისა“ დაწყებითი საფეხურის პირველი კლასის მეორე სემესტრიდან იწყება გამოყენებითი ფიზიკისა და პროგრამირების

ელემენტების სწავლება. შექმნილია, ლაბორატორია, სადაც მიმდინარეობს პრაქტიკული სამუშაოები. ამჟამად, გაკვეთილი სკოლის დამატებითი, არასავალდებულო საგნის ფორმატით მიმდინარეობს. პროგრამის სილაბუსი მოიცავს პირველ-მეექვსე კლასს. ჩვენს მიერ, ინფორმატიკის სწავლებაში შეტანილი სიახლე (ინოვაცია) ატარებს პროპედევტულ ნიშანს. კერძოდ, პროგრამირების ელემენტების სწავლება დაწყებით საფეხურზე გამარტივებულია, შესავლის ხასიათისაა და გათვლილია კომპიუტერული განათლების საფუძვლიანი მიღებისათვის, მით უმეტეს თუ გავანალიზებთ, თანამედროვე აღსაზრდელიდან მოდის შეკვეთა, საგნის საფეხურმა ჩამოიწიოს ქვემოთ. უნდა ვაღიაროთ, თანამედროვე საზოგადოება თაობას ახალ მოთხოვნების, ცხოვრების, მოღვაწეობის ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. ჩვენი მიზანია თანამედროვე მოქალაქე ფლობდეს თავისი საქმიანობის, მოღვაწეობის დაგეგმვის უნარებს. უნდა შეძლოს საჭირო ინფორმაციის მოპოვება, შეფასება და გამოყენება დასახული მიზნების განსახორციელებლად. ასე, რომ ვთქვათ გამოსაკვლევი პროცესისათვის საჭირო ინფორმაციული მოდელის აგება. ამისათვის საჭიროა ახალი ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევების ფლობა. ჩვენს მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსის პირველი და მთავარი ამოცანა შესაბამისი აზროვნების ფორმების ჩამოყალიბებაა და რაც ადრე დაიწყება ეს პროცესი, მით უფრო უკეთესია, მით უმეტეს, განვმეორდები, თანამედროვე აღსაზრდელთა ტექნოლოგიებისადმი აქტიური დამოკიდებულება ამის საშუალებას და აუცილებლობას განაპირობებს. საგანმანათლებლო სისტემის მიერ დანერგილი აქტივობა, კომპიუტერების (ნეტბუკები) გამოყენებით, დაწყებითი საფეხურის აღსაზრდელების განვითარება გვიდასტურებს, რომ ტექნოლოგიების ჩართვა საგანმანათლებლო სივრცეში თანამედროვე პედაგოგიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. აქტუალურია და დღის წესრიგში დგება საკითხი დაწყებით საფეხურზე პროგრამირების ელემენტების სწავლების ფორმების და მეთოდების შესახებ.

ჩემს მიერ დაფუძნებულ ქუთაისის კერძო სკოლაში „ღონე ქვეყნისა“ აღნიშნული საგნის სწავლისა და სწავლების კონცეფცია ორიენტირებულია უმცროს კლასელთა შემოქმედებითი უნარებისა და აზროვნების ფორმების განვითარებაზე. დასახული მიზნის სირთულე განისაზღვრება იმით, რომ ერთის მხრივ უნდა მივისწრაფოდეთ საგნობრივი და ზოგადი კომპეტენციების, აზროვნების ფორმების განვითარებისაკენ, მეორეს მხრივ, ცოდნა უნდა გადავცეთ ასაკობრივი კოგნიტური და მოტორული განვითარების შესაბამისი საინტერესო, სახალისო და მაქსიმალური ჩართულობის მომტანი ფორმით, მეთოდებით და აქტივობებით.

გამოვყოთ საკვანძო საკითხებიდან ზოგიერთი:

1. აზროვნების სხვადასხვა; მათ შორის ალგორითმული (ოპერაციული) ფორმის ფორმირება. (მაგ: ხატოვანი და ლოგიკური აზროვნების განვითარება შესაძლებელია გრაფიკული და ხმოვანი საშუალებების გამოყენებით)
2. პრაქტიკული სამუშაოების შესრულება. (ინფორმაციასთან მუშაობა, პროგრამული უზრუნველყოფის შექმა გრაფიკული გარსით);
3. კომპიუტერის უნივერსალური შესაძლებლობების გაცნობა. მათი მაქსიმალური ჩართვა სასწავლო პროცესში (თვითგამოყენება);
4. ინტერესისა და დადებითი ემოციების ფირმირება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან.

სკოლაში პროგრამის კურსი აგებულია და სწავლების სტრატეგია უმეტესწილად ითვალისწინებს პრაქტიკულ, შემოქმედებით მუშაობას ლაბორატორიის სხვადასხვა მოწყობილობების გამოყენებით, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მიზნების განხორციელებას. კერძოდ,

საგნობრივი უნარები:

1. ალგორითმიზაციის სწავლება (ეტაპობრივად, ასაკის შესაბამისად);
2. ინტერნეტში მუშაობა;
3. თანამედროვე, ინფორმაციული საზოგადოების უნარ-ჩვევები;

4. ინფორმაციის ცნება, მნიშვნელობა;
5. ინფორმაციის შეგროვების/მიღების, დამუშავებისა და გადაცემის/შენახვის თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა (სწავლების საფეხურის შესაბამისი წარმოდგენა)
6. სისტემა, ობიექტი, მოდელი, ინფორმაციული პროცესები და სხვა.

ზოგადი უნარები:

1. ინფორმაციის მოძიება და ანალიზი;
2. კომუნიკაცია;
3. ინფორმაციის სტრუქტურიზაციის და სისტემატიზაცია;
4. სამყაროდან მიღებული ინფორმაციის სისტემური ანალიზი;
5. ალტერნატივებიდან არჩევის გაკეთების უნარის განვითარება;
6. სხვისი პოზიციის გაზიარება და მიღება;

აზროვნების ფორმების განვითარება: პრაქტიკული, თეორიულ, ანალიტიკურ (ლოგიკური), ინტუიტიური, შემოქმედებითი, კრიტიკული, რეალისტური, პროდუქტული, რეპროდუქტული;

აღზრდის საკითხები: განათლების ეროვნული მიზნები;

სასწავლო პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიები ერთდროულად ხდება როგორც შესწავლის, ასევე სწავლებისთვის გამოსაყენებელი საშუალება. პრაქტიკამ აჩვენა, რომ აღნიშნული საგაკვეთილო პროცესის დანერგვამ გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია:

1. ზოგადად სწავლისა და სწავლების პროცესში;
2. სხვა საგნების შესწავლის დროს აქტიურად გამოიყენება მოცემულ გაკვეთილზე მიღებული უნარ-ჩვევები;

ვინაიდან აღნიშნული საგანი მრავალმხრივია, ითვალისწინებს სხვა საგნებთან აქტიურ ინტეგრირებას, მოსწავლეებს უვითარდებათ ნოოსფერული, სისტემური აზროვნება.

აღნიშნული უნარები მოსწავლეებს ეხმარება გაცილებით უკეთესად ისწავლონ სხვა დისციპლინები და განეკუთვნება ლოგიკური აზროვნების სფეროს. ინფორმატიზაციის პროცესში საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ აუცილებელია ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა განათლების სისტემის ყველა ყველა საფეხურზე, რაც ახდენს მოსწავლის აზროვნების თანამედროვე სტილის ფორმირებას და შემეცნებითი ინტერესების განვითარებას.

ლიტერატურა:

1. ადრეულსაკვანძო სწავლისა და განვითარების სტანდარტები. განათლების დამეცნიერების სამინისტრო. 2010
2. განათლების დამეცნიერების სამინისტრო. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. 2017
3. Гүзаева Мария Юрьевна. Особенности обучения младших школьников программированию. Москва. 2013
4. <http://smartsourcing.ru/blogs/kurilka/2675>. Как учат программированию школьников разных стран.
5. სონდულაშვილი დავით „ვირტუალური დარეალურ-ვირტუალური ლაბორატორიები ფიზიკაში“. თბილისი. 2014
6. პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერი. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი. 2015.
7. რ. რეზნიკი. ჯ. უოლკერი. ფიზიკის საფუძვლები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 2010.
8. სწავლისა და სწავლების მეთოდები და წყებითი საფეხურზე. განათლების დამეცნიერების სამინისტრო. 2014.
9. ELECTRONIC SNAP CIRCUITS. Instruction Manual ELENCO. 2012 ELENCO .
10. LEGO Education. 2009 The LEGO Group.

Teaching Programming on the General Education Elementary Level

Abstract

Teaching of applied physics and programming elements starts with 1st class from the second term in Kutaisi private elementary school “Gone Kveknisa”. Laboratory is designed to carry out practical works. Currently, the lesson is conducted in the form of additional, optional subjects. Syllable of this program includes the first-six grade. Programming teaching is simplified on the starting level, the introductory nature is designed and calculated for the purpose of comprehension of computer education, especially if we analyze the order from the modern pupil, the level of the subject should fall below. We should admit that modern society poses new challenges to new generation, life and work. Our aim is that modern citizen should obtain ability of planning his work and activities. The modern citizen should be able to search, estimate and use information needed for realizing set goals. So it should be said that building up new informative model for examination process it is quite necessary. This requires the ability to use new technologies. The first and the main goal of teaching course represented by us is to formulate ability of thinking and the earlier this process starts, the better it will be, more than that, I will repeat that active attitude toward technologies makes this possible and necessary. Introduced activity by educational system, using computers (notebooks), the development of primary level educators confirm that involvement of technologies is one of the most important directions of modern pedagogy in the educational sphere. It is relevant and on the agenda the question about the forms and methods of teaching the elements of the program in the initial step.

საკვანძო სიტყვები: გამოყენებითი ფიზიკა. პროგრამირება. ალგორითმი. აზროვნება. ინფორმაციული საზოგადოება.

Key words: applied physics, programming, algorithm, ability of thinking, informative society.

ნონა ქიტიაშვილი

გორის სასწავლო უნივერსიტეტი, გორი

პოლისტიკური მიდგომის დანერგვა საუბრის სწავლებისას

საუბრის სწავლა/სწავლება ნებისმიერი ენის დარგში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილია. საუბრის უნარი მიიჩნევა, როგორც გული ოთხ უნარს შორის (Egan, 1999). მკვლევარები თანხმდებიან, რომ საუბარი არის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი უცხოური ენის დაუფლებისას (Hall & Austin, 2004; Nunan, 1991). მასწავლებლების და ენის შემსწავლელების უმეტესობისათვის საუბრის სწავლება საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. აღნიშნული პრობლემის დასაძლევად შემუშავებული იქნა პოლისტიკური მიდგომა (Goh & Burns, 2012), რომელიც ფოკუსირებულია გრამატიკული კომპეტენციების გაუმჯობესებაზე ზეპირი მრტყველების დროს.

მეორე ენაზე საუბრის შესწავლა მოიცავს ამ კომპონენტების გამოყენების ზრდად უნარს, სალაპარაკო ენის სრულყოფილად და ზუსტად გამოყენებას სოციალურად შესაბამისი გზით, მოსაუბრის შემეცნებითი პროცესების შეზღუდვის ფარგლებში (Goh & Burns, 2012, გვ.53).

მეორე ენაზე საუბრის კომპეტენციებია:

- 1) ენის ცოდნა და დისკურსი;
- 2) საუბრის უნარი ბირთვი;
- 3) კომუნიკაციის სტრატეგიები

პირველი კომპონენტი, ენის ცოდნა და დისკურსი, მოითხოვს ენის ბგერების დაუფლებას (ინგლისურ და შვედურ ენაზე ეს ნიშნავს, რომ შესაძლებელი იყოს სეგმენტურ და ზედაპირულ დონეზე ენის გარკვეულად გამოთქმა), ენის გრამატიკის და ლექსიკის ცოდნას (სალაპარაკო სტრუქტურები, გრამატიკული მახასიათებლები, ლექსიკა) და იმის გაგებას, თუ როგორ არის ორგანიზებული სიტყვების სეგმენტების კავშირი (დისკურსი, ჟანრი) ისე, რომ ისინი სოციალურად და პრაგმატულად შესაბამისი არიან.

საუბრის უნარის ბირთვი ნიშნავს მეტყველების სწრაფად დამუშავების უნარის განვითარებას, რათა გავზარდოთ მწყობრი მეტყველება (მაგ. მეტყველების სიხშირე, დაყოფა, დაპაუზება, შაბლონური ენა, მსჯელობის ნიშნები). იგი, ასევე, გულისხმობს მეტყველების დაძლევის შესაძლებლობას (მაგალითად, წინა გამონათქვამებზე დაშენება, მონიტორინგის გაგება, საკომუნიკაციო შეფერხების აღდგენა, მიცემული უკურეაქცია), ისევე, როგორც სიტყვის ნაკადის მართვას, რომელიც ვითარდება (მაგალითად, თემების ინიციატივა, მიმზიდველი ცვლილება, განზრახვების სიგნალიზაცია, საუბრების გახსნა/დახურვა).

მესამე კომპონენტი, კომუნიკაციის სტრატეგიები, მოიცავს შემეცნებით სტრატეგიებს, რომლებიც კომპენსირებას ახდენენ ენის ცოდნის შეზღუდვაზე (მაგ. ორჭოფული ლაპარაკი, პერეფრაზირება, ჟესტები, ჭორი, დაახლოება, თავიდან აცილება), მეტაკოგნიტური სტრატეგიები (მაგ. წინასწარ იმის დაგეგმვა, თუ რა ითქვას, შეგნებულად ფიქრი იმის შესახებ, თუ როგორ ამბობთ რაღაცას) და ინტერაქციის სტრატეგიები (მაგ., განმარტების თხოვნა / განმეორება, რეფორმირება, რეფრაზირება და გაგების უნარის შემოწმება).

ეს მოდელი გულისხმობს იმას, რომ საუბარის გაკვეთილები არ არის მხოლოდ პრაქტიკის შემთხვევები ან საუბრის „კეთება“. ისინი უნდა იყოს კონცეპტუალურად ჩამოყალიბებული, სტრუქტურირებული და გამყარებული სწავლის შესაძლებლობებით საუბრის კომპეტენციების სხვადასხვა კომპონენტების განვითარებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგები უძღვებიან მოსწავლეებს სისტემატურად, აცნობენ აქტივობებს, რომლებიც ინტეგრირებული და სეკვენსირებულია და რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, გაზარდონ ცოდნის გაცნობიერებულობა, უნარ-ჩვევები და სტრატეგიები, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა სახის ურთიერთქმედებისა და მსჯელობისთვის. მოსწავლეებს შეიძლება ჰქონდეთ მითითებები ენის სპეციფიკური ასპექტების შესახებ, როგორიცაა გამოთქმა, ან სეგმენტური ან ზედმეტიზმური დონე, ან შეიძლება, საჭირო გახდეს მხარდაჭერა სხვა ფაქტორებთან დაკავშირებით, როგორიცაა: შფოთვა, ნერვულობა ან სხვა ენაზე საუბარი.

ჰოლისტიკური მიდგომის მოდელი (Goh & Burns 2012, გვ.153), ფოკუსირებულია ენის შემსწავლელთა გრამატიკული კომპეტენციის გაუმჯობესებაზე ზეპირი მეტყველების დროს სასაუბრო აქტივობების მეშვეობით. ჰოლისტიკური სწავლის მიდგომის დანერგვისას სასწავლო პროცესში საჭიროა, მასწავლებელმა გაითვალისწინოს აღნიშნული მიდგომის ციკლის თითოეული ეტაპი:

1. გაამახვილეთ მოსწავლეების ყურადღება მეტყველებაზე;
2. მიაწოდეთ დავალება/ინფორმაცია და/ან უხელმძღვანელო დაგეგმვის ეტაპს;
3. შეასრულეთ სასაუბრო დავალება;
4. ყურადღება გაამახვილეთ ენაზე/უნარებზე/სტრატეგიებზე;
5. გაიმეორეთ სასაუბრო ამოცანა;
6. უზრუნველყავით მოსწავლეების მიერ სასწავლო პროცესის რეფლექსია;
7. მიაწოდეთ უკუკავშირი მოსწავლეებს (Goh & Burns, 2012, გვ.153)

ეტაპი 1: გაამახვილეთ მოსწავლეების ყურადღება მეტყველებაზე

პირველი ეტაპი ეხება მეტყველების შესახებ მეტაკოგნიტური ცნობიერების ამაღლებას და მოიცავს ორ ძირითად მიზანს:

ა) წახალისეთ მოსწავლეები, თავად დაგეგმონ საუბარი, მოსწავლეებს ეძლევათ მინიშნებები, რათა უფრო გაბედულად იფიქრონ მეტყველების მოთხოვნებზე და შეძლონ მომზადება საუბრისთვის;

ბ) მოამზადეთ მოსწავლეები, გაუმკლავდნენ კონკრეტულ სამეტყველო ამოცანას.

ამ შემთხვევაში მინიშნებები ეხება სასაუბრო ამოცანას, რომელიც უკვე დაიგეგმა სწავლების ციკლისთვის. მოსწავლეები ემზადებიან ამოცანის შედეგების გაცნობიერებით და იმ სტრატეგიების გათვალისწინებით, რომელიც მათ დასჭრდებათ დავალების შესასრულებლად.

ეტაპი 2: მიაწოდეთ დავალება/ინფორმაცია და/ან უხელმძღვანელოთ დაგეგმვის ეტაპს

უცხო ენაზე საუბარს შესაძლოა, ახლდეს ძლიერი შფოთვა მოსწავლეების მხრიდან და ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა უზრუნველყოს მხარდაჭერა სასაუბრო ამოცანის დროს, მისცეს საკმარისი დრო მოსწავლეებს, რათა დაგეგმონ, თუ რას იტყვიან და როგორ იტყვიან. აღნიშნული მოსამზადებელი ეტაპის მიზნებია:

- ახალი ლექსიკის/ენის შემოტანა ან სწავლება;
- საშუალება მიეცეთ მოსწავლეებს, მოახდინონ საკუთარი ენობრივი განვითარების რეორგანიზაცია;
- გააქტიურონ არსებული ლინგვისტური ცოდნა;
- გადამუშავონ სპეციფიკური ენობრივი ელემენტები და გაუმარტივდეთ გადამუშავების პროცესი;
- მოსწავლეების წახალისება, მოახდინონ ამოცანების ინტერპრეტირება უფრო რთული ფორმით (Skehan, 1998, გვ.137-139).

ეს ეტაპი მოიცავს დახმარებას სწავლების დროს, რათა დაძლეული იქნეს სასაუბრო დავალების მოთხოვნები. მაიბინი, მერსი და სტირერი (Maybin, Mercer & Steire,r 1992, გვ.188) განმარტავენ მომზადების კონცეფციას შემდეგი სახით:

„...არა მხოლოდ დახმარება, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს დავალების შესრულებაში. ეს არის დახმარება, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეს შეასრულოს დავალება, რასაც ისინი დამოუკიდებლად ვერ გაართმევდნენ თავს და ეს არის დახმარება, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის მიყვანას კომპეტენციის/ჩვევის მდგომარეობამდე, რომელიც საშუალებას მისცემს მას საბოლოოდ საკუთარი ძალებით შეასრულოს ამგვარი ამოცანა“.

ეტაპი 3: სასაუბრო ამოცანის წარმართვა

ამ ეტაპის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეებისათვის კონტექსტის მიწოდება, სადაც ისინი შეძლებენ ივარჯიშონ საუბარში კომუნიკაციური ამოცანის მეშვეობით. დავალებამ უნდა წახალისოს მოსწავლეები, გამოხატონ აზრი/მნიშვნელობა ნებისმიერი ლინგვისტური ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიების მეშვეობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ციკლის ეს ეტაპი უზრუნველყოფს მოსწავლეების წახალისებას, განავითარონ მეტყველების სიმწყობრე გრამატიკული სიზუსტისადმი ნაკლები ყურადღების დათმობით. ეს ეტაპი ნაკლებ რთული უნდა იყოს მოსწავლეებისათვის, ვინაიდან მასში ჩართულია მასწავლებლის დახმარება ან ინდივიდუალური წინასწარი დაგეგმვა, რომელიც ხორციელდება მე-2 ეტაპზე.

ეტაპი 4: ფოკუსირება ენაზე / უნარ-ჩვევებზე / სტრატეგიებზე

ციკლის მე-4 ეტაპი უზრუნველყოფს შესაძლებლობას მოსწავლეებისათვის, რათა მათ გაიუმჯობესებონ ენის სიზუსტე, და, ასევე, განავითარონ უნარებისა და სტრატეგიების ეფექტიანი გამოყენების უნარი. ამ ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას ამახვილებს უკვე დასრულებული სამეტყველო ამოცანის კონკრეტულ ნაწილებზე. ამგვარი ნაწილები, შეიძლება, მოიცავდეს ენობრივ მახასიათებლებს, როგორიცაა: გამოთქმა, გრამატიკა და ტექსტური სტრუქტურები, ასევე, ლექსიკა.

ეტაპი 5: გაიმეორეთ სასაუბრო დავალება

ამ ეტაპზე მოსწავლეები კვლავ ასრულებენ მე-3ეტაპზე მოცემულ სასაუბრო დავალებას. განსხვავება მე-3 ეტაპსა და მე-5 ეტაპს შორის არის ის, რომ მოსწავლეებს ახლა აქვთ შესაძლებლობა, გაანალიზონ და პრაქტიკაში გამოიყენონ მე-4 ეტაპის განმავლობაში

შერჩეული ენობრივი კომპონენტები ან უნარები. ამდენად, მათ შეუძლიათ გამოიყენონ ეს ცოდნა, რათა გაიუმჯობესონ მეტყველება. გამოორება შეიძლება განხორციელდეს:

1. თავდაპირველი დავალების გარკვეული ნაწილების გამოორებით;
2. მთლიანი დავალების გამოორებით;
3. მოსწავლეების მიერ ჯგუფების ან მეწყვილეების შეცვლით;
4. მოსწავლეებისათვის უკვე ნაცნობი დავალების მსგავსი ახალი ამოცანის შემოტანით (მაგ., საყვარელი კერძის მომზადების ნაცვლად, მოსწავლეებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ ინსტრუქცია საკუთარი არჩევანით, რათა მათ კვლავ გაიმეორონ აღნიშნული პროცედურა).

ეტაპი 6: მოსწავლეების მიერ სასწავლო პროცესის რეფლექსია

მე-6 ეტაპზე მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, თავად მართონ საკუთარი სასწავლო პროცესი წინა ეტაპებზე შესწავლილი მასალის მონიტორინგის და შეფასების გზით. რეფლექსია, შესაძლოა, განხორციელდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან მცირე ჯგუფებშიც კი. ინდივიდუალურ და ჯგუფურ რეფლექსიას ხშირად აქვს შვების მომგვრელი ეფექტი მოსწავლეებზე, რომლებიც განიცდიან სტრესს და შფოთს და რომლებიც ფიქრობენ, რომ მხოლოდ ისინი განიცდიან ამგვარ რამეს. მოსწავლეთა რეფლექსია უნდა წარიმართოს სხვადასხვა სახის მეტაკოგნიტური ცოდნით და „შეიძლება, ეფუძნებოდეს ქვემოთ მოცემულ ერთ ან რამდენიმე ფაქტორს:

- სასაუბრო ამოცანის მოთხოვნები, რომლებიც მათ გააცნობიერეს;
- სტრატეგიები, რომლებიც მიზანშეწონილია ამოცანის მოთხოვნების შესასრულებლად;
- საკუთარი უნარ-ჩვევებისა და საუბრის რეზულტატის არაოფიციალური შეფასება
- მათ მიერ წარმოებული მეტყველების ისეთი ნაწილები, სადაც აღინიშნება გაუმჯობესება;
- სფეროები, რომლებიც საჭიროებს დამატებით გაუმჯობესებას;
- კონკრეტული გეგმები კონკრეტული სფეროს გასაუმჯობესებლად

ქვემოთ მოცემულია ზოგადი ტიპის მინიშვნების მაგალითი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს რეფლექსიისათვის „ჰენდაუთების“ სახით, რომლებსაც მოსწავლეები შეავსებენ ან სათაურების სახით წარმოადგენენ მოსწავლეთა ჟურნალებისთვის. პედაგოგებს შეუძლიათ წახალისონ მოსწავლეები, რათა დაიწყონ წერილობითი ან აუდიო ბლოგების შექმნა, სადაც ჩაწერენ საკუთარ გამოცდილებას უცხო ენის შესწავლის შესახებ.

ეტაპი 7: უკუკავშირის უზრუნველყოფა სწავლის შესახებ

მეტყველების სწავლების ციკლის ამ ბოლო ეტაპზე მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს უკუკავშირის მათ მიერ შესრულებულ დავალებზე, მაგალითად:

- აკეთებს კომენტარებს ან აფასებს ცალკეულ მოსწავლეთა უნარ-ჩვევებსა და საუბარს სადამკვირვებლო ფურცლის მეშვეობით სასაუბრო დავალების მიმდინარეობისას;
- გადასცემს ცალკეული მოსწავლის რეფლექსიას და კომენტარს აკეთებს მის პროგრესსა და მიღწევებზე;
- მასწავლებლის კონსოლიდირებული შენიშვნები კლასისგან მიღებული წერილობითი რეფლექსიების საფუძველზე;
- წერილობითი კომენტარები მოსწავლეების ჟურნალებში;
- კომენტარები და არაოფიციალური შეფასება მოსწავლეების ბლოგებში

ჰოლისტიკური სწავლის მიდგომის პრინციპები

ჰოლისტიკური სწავლის მიდგომა ხაზს უსვამს მთელ რიგ უმთავრესს ცნებებს, რომლებიც მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ სასწავლო პროცესში, რათა ენის შემსწავლელებმა შეძლონ შემდეგი:

- გამოიყენონ მეტყველებისთვის საჭირო ძირითადი უნარ-ჩვევების ფართო სპექტრი;
- განავითარონ მწყობრი მეტყველება აზრის გამოხატვის გზით;

- მოქნილად გამოიყენონ გრამატიკა ფრაზების ფართო სპექტრის შესაქმნელად, რათა ზუსტად გამოხატონ მნიშვნელობა;
- გამოიყენონ შესაბამისი ლექსიკა და შესაბამისი ზუსტი ენობრივი ფორმები მეტყველების საჭიროებებისთვის;
- გააცნობიერონ და გამოიყენონ მეტყველების სოციალური და ლინგვისტური პირობითობები სხვადასხვა კონტექსტში;
- გამოიყენონ ზეპირი კომუნიკაციისა და დისკურსის შესაბამისი სტრატეგიები;
- გაიღრმავონ ცოდნა ჟანრის და ჟანრის სტრუქტურების შესახებ;
- გაზარდონ მეტაკოგნიტური ცნობიერება უცხო ენის შესახებ;
- მართონ და საკუთარი ძალებით უზრუნველყონ მეტყველების განვითარების თვითრეგულირება (Goh & Burns, 2012, გვ.151-152)

ჰოლისტიკური მიდგომის ციკლი ფოკუსირებულია შემდეგ ასპექტებზე:

1. საუბრის სწავლებამ წინა პლანზე უნდა დააყენოს შესაბამისი როლები, რომლებსაც ასრულებენ მასწავლებელი, მოსწავლე და მასალები.
2. სალაპარაკო ამოცანების მთავარი მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს განვითარონ ისეთი ექსპერტული მეტყველების სიმწყობრე, სადაც აზრის/მნიშვნელობის გადაცემა მოხდება ყოყმანის გარეშე და გზავნილის სოციალური მიზნების შესაბამისად. აღნიშნული მიიღწევა:
 - ენისა და დისკურსის ფრაზების ზუსტი გამოყენებით;
 - შესაბამისი სასაუბრო უნარებით;
 - ეფექტური კომუნიკაციური სტრატეგიებით.
3. მოსწავლეთა მეტყველება, შეიძლება, გამყარდეს ამოცანის წინასწარი დაგეგმვით და ამოცანის განმეორებით, რადგან ეს აქტივობები ამცირებს შემეცნებით დატვირთვას მეტყველებისას;
4. სასწავლო პროცესი გულისხმობს ძირითადი ინფორმაციის აღნიშვნას და დამახსოვრებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. აქტივობები, რომლებიც ამახვილებენ მოსწავლეების ყურადღებას ენაზე, უნარ-ჩვევებსა და სტრატეგიებზე, შესაბამისად, წარმოადგენს სწავლების მნიშვნელოვან ნაწილს;
5. აქტივობები, რომლებიც ეხმარებიან მოსწავლეებს განავითარონ მეტაკოგნიტური ცოდნა და თავად წარმართონ და მართონ საკუთარი საუბარი და სასწავლო პროცესები, ასევე, აუცილებელია უცხო ენის სწავლების ეფექტური და სხვა შემეცნებითი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (Goh & Burns, 2012).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ, ინგლისურ ენაზე ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. წარმოდგენილი ჰოლისტიკური მიდგომის ეტაპების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ინგლისური ენაზე ზეპირი მეტყველების გაუმჯობესებას, როგორც სასკოლო ისე საუნივერსიტეტო საფეხურებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Egan, K. (1999). Speaking. A critical skill and a challenge. *Calico Journal*. 16 No: 3, 277-293.
2. Hall, H. M., & Austin, T. (2004). Content-based second language teaching and learning: An interactive approach. Boston, MA: Pearson Education Inc.
3. Maybin, J., Mercer, N. & Stierer, B. (1992). "Scaffolding": Learning in the classroom. In K. Norman (Ed.), *Thinking voices: The work of the national oracy project*, (pp. 186–195). London: Hodder and Stoughton.
4. Nunan, D. (1991). *Language teaching methodology: A textbook for teachers*. New York, NY: Prentice Hall.
5. Goh, C., & Burns, A. (2012). *Teaching speaking skills: A holistic approach*. Cambridge, UK: Cambridge University Press.
6. Skehan, P. (1998). *A cognitive approach to language learning*. Oxford: Oxford University Press.

A Holistic Approach to Teaching Speaking

Abstract

Speaking is generally thought to be the most important of the four skills. English teaching and learning have the goal of focusing students so that they are able to use English for communication. For most people, the ability to speak a language is synonymous with knowing that language but at the same time it is one of the most difficult skills language learners have to face. Teaching speaking remains challenging for many teachers. This paper offers a teaching-speaking cycle designed to address the teaching of speaking systematically. A holistic approach is a model (Goh & Burns, 2012) for planning sequenced series of speaking activities.

საკვანძო სიტყვები: ზეპირი მეტყველების სწავლება, ჰოლისტიკური მიდგომა, საუბრის უნარ-ჩვევები;
Key words: Teaching speaking, Holistic approach, Speaking skill;

მანანა ღამბაშიძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი
**დიალოგის და სხვათა სიტყვის შემცველი ანდაზების
 ტიპოლოგიური მიმართების საკითხისათვის**

(ქართული და რუსული მასალის მიხედვით)

ანდაზები ფოლკლორის განუყოფელი ნაწილია. მ. რიბნიკოვას თქმით,
 „ანდაზა ფორმით და აზრით სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოებია“
 [М.А.Рыбникова, 1961:14]

საყოვეთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი ანდაზა წინადადებაა და ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად მიჩნეულია მისი კომპაქტურობა, **ალეგორიული** კონოტაცია, **მეტაფორიზაცია**, **ლაპიდარულობა** და **სისხარტე**. ფორმის სიმოკლე, რიტმიკა, მას ადვილად დასამახსოვრებელს და წარმოსათქმელს ხდის. ლ. ლეჟავას განმარტებით: „ანდაზა ერთი წინადადებით გამოხატული ალეგორიული ხასიათის გამონათქვამია“ [ლეჟავა, 1959 :140]. მიუხედავად ამისა, კრებულებში მრავლადაა ანდაზები, რომლებიც ამ წესიდან გადაიხრება. მხედველობაში გვაქვს ანდაზა, რომელიც **დიალოგის ფორმითაა** წარმოდგენილი და ხშირად რამდენიმე წინადადებისგან შედგება. მაგალითად: ძაღლს **უთხრეს**: რას ყეფო, - მგლებს ვამინებო, კუდს რაღად აქნევო, - მგლების მეშინიაო (ნაკ.,:80); ვაი ბატონო, მეღვინე მოგიკვდაო, ვაი მეღვინის ბრალი, თორემ ბატონი მეღვინეს კიდეც იშოვისო (ნაკ.,:62); რძალო დედამთილი გიჩივისო. - რას მიჩივის ის სულძაღლიო? - სწორედ მაგას გიჩივისო (სონდ.,58); დიალოგის შემცველი რუსული მაგალითები: Ты что делаешь? – Ничего. А ты что? – помочь пришёл (Д.,2:13); Тит, поди молотить! – Брюхо болит. – Тит, пойдём пить! – дай кафтанишко захватить (Д.,2:14); Лень,отвори дверь,сгоришь! – Хоть сгорю, да не отворю (Д.,2:14). Здравствуй, сват! - Да по дрова поехал. – Что везёшь? – Сено. Какое сено, ведь это дрова? – А коли видишь, так что спрашиваешь? (Д.,1:358);

ისმის კითხვა: რითია გამოწვეული ანდაზების სტრუქტურის ამგვარი თავისებურება და რა ტიპოლოგიურ კანონზომიერებას ემყარება იგი; ხომ არ უჩვენებს ანდაზის გატეხსტებას და მიგვანიშნებს იგავში გადაზრდის ტენდენციაზე, როგორი სიხშირითაა ასეთი ტიპის გამონათქვამები ქართულ ან რუსულ ენაში. ვ. სერგიას განმარტებით: „ტექსტად უნდა გავიგოთ ენობრივი ერთეული (იგივე სამეტყველო ერთეული), რომელიც ერთია, დიდია მეტატექსტზე [სერგია, 1989:12]. იგულისხმება, რომ მეტატექსტი უფრო დიდია, მეტია, ვიდრე წინადადება.

ვ. დალის [Даль,1984:15] აზრით, **დიალოგის** შემცველი გამონათქვამები ე.წ. «прибаутки», «пустороворки», «пустобайки» - მაგ. «Тит, пойдём молотить! – Брюхо болит. – Тит, поди кисель есть! – А где моя большая ложка?», „არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განვასხვავოთ ანდაზებისაგან“. ცხადია, ამ გამონათქვამის, ისევე როგორც ზოგადად ანდაზის, ალეგორიული კონოტაცია ზარმაც, უქნარა ადამიანზე მიანიშნებს, მაგრამ, რამდენად შეესაბამება იგი თავისი სტრუქტურით ანდაზას? რუსული სინონიმების ლექსიკონში (synonimonline.ru) «прибаутки», «пустороворки», «пустобайки»-ის შემდეგი განმარტებები მოიძებნა: анекдот, рассказ, вымысел, побасёнка, выдумка, рассказы, басня, побаска, домысел, сказка, придумка. როგორც რუსულ - ქართული ლექსიკონი (synonimonline.ru) განმარტავს: «прибаутки», «пустороворки», «пустобайки» - **ლათია**-ს ნიშნავს (говорит прибаутками - ლაპარაკში ლათაიებს ურთავს). **ლათია**-ს განმარტებას კი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ena.ge/explanatory-online) ასე იძლევა: **ლათია** **1. ძვ.** არაკი, იგავი, ანეგდოტი. **2.** მრავლობითში: **ლათაიები** გადატ. - მიკიბულ-მოკიბული, მიდებ- მოდებული, მოჩმახული, შეთხზული ამბები. „იგავი ესე არს სიტყვით მაგალითი, გინა საჩუენებელი, გინა მაგალითი“ (სულხან - საბა: 258) - განმარტებულია სულხან-საბას „სიტყვის კონაში“. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: **იგავი** (იგავისა) **1.** მოკლე ალეგორიული მოთხრობა, რომელიც, ჩვეულებრივ, ზნეობრივ-დამრიგებლური დასკვნით მთავრდება. **2. გადატ. დაფარული აზრი** (ზღაპრისა, სიტყვისა და მისთ.) (ena.ge/explanatory-online). აქედან გამომდინარე, რამდენად მართებულია ანდაზად იწოდებოდეს მოცემული სახის გამონათქვამები, თუ მათ არა აქვთ რიტმიკა, სენტენციურობა, ლაპიდარობა, დიდაქტიკური დენოტაცია-კონოტაცია. თუმცა, თავისი სტრუქტურული თავისებურების მიუხედავად, ახასიათებთ ერთგვარი ალეგორიულობა და ქვეტექსტი. ამ საკითხის შესახებ ლ. ლეჟავა აღნიშნავს: „ესენი უფრო იგავს გვანან. ანდაზად ქცევამდე მათ დახვეწა, შემოკლება, ჩამოყალიბება სჭირდებათ. ამიტომ ანდაზათა კრებულებში არ უნდა იქნენ შეტანილი“ (ლეჟავა,1959:165).

ანდაზები, იგავები, გამონათქვამები, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებია, ენობრივ სოციუმში ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას და ამგვარი სახით მოადგნა ჩვენამდე. ხოლო რაც შეეხება მათ „დახვეწას, შემოკლებას და ჩამოყალიბებას“, ხალხური ზეპირსიტყვიერების მაგალითების კორექტურა უმართებულოდ მიგვაჩნია. საინტერესოა პერმიაკოვის შემდეგი მაგალითი: Отец, долго ли нам ещё терпеть такую бедность? – Сорок дней. – А потом? – Привыкнем. ავტორი აღნიშნავს, რომ „ამგვარი გამონათქვამები უნდა გავარჩიოთ ანდაზებისაგან, ანდაზური თქმებისა და „პოზასიონკებისაგან“. მათ უწოდებს „პირდაპირაზრიან პატარა სცენებს (сценки с прямым смыслом), რომლებიც ფორმით „პოზასიონკებს“ შეესაბამება და თვლის, რომ „ისინი დიდი ხანია უკვე **ანეკდოტებად** იწოდება“ (Г.Л. Пермяков, 1988: 19).

გ. პერმიაკოვი (Г.Л. Пермяков,1988:17,18) წიგნში «Основы структурной паремииологии» აღნიშნავს, რომ გრამატიკული სისრულის მიხედვით ზოგიერთ ანდაზებს და ანდაზურ თქმებს მიაკუთვნებენ კლიშირებულ „**სცენებს**“, რომლებიც ენაშიც და მეტყველებაშიც გადმოცემულია რამდენიმე წინადადებით, ანუ სხვაგვარად წარმოქმნიან „**ზეფრაზულ მთლიანობას**“ (сверхфразовое единство), რომელსაც მოსახერხებელი იქნება, თუ ვუწოდებთ «побасёнки» და მოჰყავს მაგალითი: «Верблюду сказали: - Поздравляем, тебя сам царь вызвал! – Знаю, – ответил тот, – или в Кохб за солью пошлёт, или в Шарур за рисом.

ცხრილი, რომელიც პერმიაკოვის (Г.Л.Пермяков, 1988:17) მიხედვითაა შედგენილი, ნათლად წარმოაჩენს გამონათქვამების ადგილს პარემიულ სივრცეში.

Синтаксическая завершенность (полнота) клише	Вид изречения
1. Незамкнутое предложение, пополняемое из рече- вого контекста	Поговорка
2.Замкнутое предложение,состоящее из одних постоянных членов	Пословица
3. Сверхфразовое единство (сценка)	Побасёнка

„ზეფრაზული მთლიანობის“ განმარტება მოცემულია იაპონელი ლინგვისტის ჩენ ცზეს (*Чэнь Цზე (КНР)*, 2003:2-3) სტატიაში «К вопросу об объеме понятия «сверхфразовое единство». ავტორი აღნიშნავს: „ჩვენი აზრით, ზეფრაზული მთლიანობა (СФЕ) - ესაა განსაკუთრებული სინტაქსურ-სტილისტური ერთეული, წარმოდგენილი ორ ან მეტ მტკიცედ ურთიერთდაკავშირებულ დამოუკიდებელ, მიკროთემით გაერთიანებულ წინადადებათა ერთობლიობაში“. ავტორი აღნიშნავს, რომ როდესაც პირველი სეგმენტი შეიცავს პრედიკატულობას (წინადადების სინტაქსურ არსს), ასეთი კონსტრუქციები შეიძლება „ზეფრაზულ მთლიანობად“ მივიჩნიოთ. ამავე დროს, ეს თანამიმდევრული დამოუკიდებელი წინადადებებია, თითოეული მათგანი გაფორმებულია წინადადების ბოლოს სასვენი ნიშნით (წერტილით, კითხვის ან ძახილის ნიშნით, წინადადების შეწყვეტის ფუნქციის მატარებელი მრავალწერტილით) [*Чэнь Цზე (КНР)*, 2003:2-3].

მაგალითად: Не видал ли тут телёночка? – А какой он был? – Рыженький, с обрывком на шее. А один бок потёртый? – Да, да, он и есть! – Нет, не видал (*Д.*, 2:178). Дай хлеба! – А вот погоди – вспашем да посеем.; Дай молочка! –Погоди, ещё не подоили бычка (*Д.*, 1:77); Что мало бьёшь его? – Да больше не стоит (*Д.*, 1:178); Что красен? – Жениться хочу. – Что бледен? – Да женился (*Д.*, 1:286); Выпьём? – Выпьём. –А деньги где? – А шапка-то у тебя на что? (*Д.*, 1:83); Чьё дело? – Старосты. – А кто судит? – Староста (*Д.*, 1:130;) და ა.შ.

მოცემულ ნიმუშებში კითხვით წინადადებას პასუხი ნარატიული წინადადებით მოსდევს, იმპერატიულს - ისევ ნარატიული. ინტონაციური ცვალებადობით ხასიათდება, როგორც ქართული, ასევე რუსული მაგალითები: Где живёшь, кулик? – На болоте. – Иди к нам в поле! – Там сухо (*Д.*, 2:186). დამ დას საცერში გახედა, როგორსა მხედავო? - როგორც შენ მხედავ, მეც ისე გხედავო (სონდ.,:20); სამხარი სად ვჰამოო და ბრიყვთანაო. ვახშამიო? თუ ვერ გაიგოს - ისიც იქვე ჰამეო (კანდ.,:68).

დიალოგის ფორმით წარმოდგენილი **ზოგიერთი** ქართული და რუსული გამონათქვამები ორ ნაწილად იყოფა: პირველ ნაწილში შეკითხვაა, მეორეში - ლაკონური და სხარტი პასუხი: А когда досуг-то будет? – А когда нас не будет (*Д.*, 2:20); Отчего кот гладок? – Поел да на бок (*Д.*, 2:21). О чём спор? Старик со старухой на зиму печку делят (*Д.*, 1:207); ქართულში, რუსულისაგან განსხვავებით, და კავშირი გამოტოვებულია, მაგრამ - იგულისხმება. მაგალითად: ფურო ვისი ხარო? - ვის კარზედაც ვბღავიო (კანდ.,:75); პატავ ბანი თქვიო, ქუსლი მტკივა ბატონო (ნაკ.,:73); ინდოეთში ვირი ხეზე ავიდაო - ეს ვირი და ეს ხე, - აბა აქაც ავიდესო (ნაკ.,:72); ბატონო, ჩხიკვი მოკვდაო, - თქვენმა მზემ, დაბადებას არ გამიგიაო (ნაკ.,:64); ქვეყნის დაქცევის შიშით თხუნელამ თვალეზი დაითხარა, არ შემოიძლია ვუყუროო (ნაკ.,:37); აბდალავე თოვლი მოდისო, აკი ვდგავარ და ვმაგმაგებო (ნაკ.,:35);

დიალოგის ფორმით წარმოდგენილ რუსულ გამონათქვამებში კითხვას პასუხი მოსდევს, რომელიც ისევ კითხვა-პასუხს ენაცვლება : Батка, ты пирог съел? – Ей богу, не я. – А хочешь ещё? – Хочу (*Д.*, 1:153); Свойак свояку подарил мёртвую собаку; что ж, свояк, собака твоя не лает? – Оттого, свояк: что тебя крепко знает (*Д.*, 2:306); Разбуди меня, мама завтра пораньше! – Что так? – Да вот хлебушка – то ломоть доесть : теперя уж не смогу (*Д.*, 2:151). დიალოგის ფორმის ქართულ ანდაზებში პრედიკატები გვხვდება, როგორც ახლანდელ (ვბღავიო, მტკივა, მოდისო, ვდგავარ, ვმაგმაგებო), ისე, მომავალ (თქვიო, ავიდესო, იშოვისო) და წარსულ (ავიდაო, მოკვდაო, გამიგიაო) დროში. პრედიკატები რუსულ მაგალითებში გამოყენებულია როგორც მომავალი დროის - (вспашем, посеем), წარსული - (подоили, съел, женился, подарил, поехал), ახლანდელი - (делят, везёшь, хочешь, видишь, спрашиваешь, живёшь), იმპერატივში - (дай, иди; разбуди), ასევე ინფინიტივში - (доесть). ამდენად, დროის კატეგორიების მიხედვით, შესაპირისპირებელ ენოვან გამონათქვამებში მსგავსი სურათია.

ქართულში, რუსულისგან განსხვავებით, გვხვდება გამონათქვამი, სადაც მატერიალურად გამოხატული სუბიექტები პრედიკატებს არ ახლავს. „ნემსს ყიდულობს და კითხულობს: რა ღირს ერთი ბათმანი რკინაო (ნაკ.,:75) ნიმუშში სუბიექტი არ ჩანს, მაგრამ მასზე პრედიკატები „ყიდულობს და კითხულობს“ პირველი სერიის მესამე პირის თხრობითი კილოთი მიანიშნებენ.

პრედიკატული ფორმა კონკრეტული დროებითი თვისების ან მდგომარეობის მიმანიშნებელია, გადმოცემულია მდგომარეობა ახლანდელ დროში.

ლ. ლეჟავა [ლეჟავა, 1959 :141] ნაშრომში „ქართული ანდაზების ენა“ აღნიშნავს, რომ ხშირად ქართული ანდაზების კრებულებში ანდაზა **სხვათა სიტყვის** ფორმითაა წარმოდგენილი: „აქ ანდაზის სტილი დარღვეულია. ამ ანდაზებს ერთგავრი თხრობის ელფერი აძევს“, სადაც მთქმელის სიტყვებს მოსდევს ზმნა-შემასმენელი: „**თქვა**“ (სთქვა), „**უთხრა**“, „**უთხრეს**“, „**კითხულობს**“, „**შესძახა**“, „**უამბნიაო**“, „**კითხეს**“, „**მიაძახა**“, „**ჩიოდა**“ „**წასძახა**“. ლ. ლეჟავას აზრით: „ხალას დახვეწილ ანდაზაში იგი საჭირო არაა“. **სხვათა სიტყვის** შემცველ გამონათქვამებში წინადადებას იწყებს სუბიექტი და ზმნა-შემასმენელი:

უნამუსოს **უთხრეს**: ფურთხის ღირსი ხარო და - მომაფურთხეთ, მეც კალთას ავიწევ და ჩამოვიწმენდავო (სონდ., 66). წყევლამ **თქვა**: სწორ გზაზე დამაყენე, თორემ უკან დაგიბრუნდებიო (სონდ., 83); ქურდს **უთქვამს**: რაც უნდა ძლიერ მიშალოთ, ეს არის ჩემი ხელობაო (სონდ., 71); ბავშვსა **ჰკითხეს**: რათა სტირიო? გამდის და ვტირიო (კანდ., 10);

მოცემულ მაგალითებში კი მთქმელის სიტყვას წინ უსწრებს მცირე თხრობა, „ამბავი“ რომელსაც მოჰყვება „სხვათა სიტყვა“:

აქლემს არაბული ცხენი აჩვენეს და **ჰკითხეს**: როგორიაო - კუზი რომ არ ჰქონოდა, უკეთესი იქნებოდაო (კანდ., 8); მშიშარა ცხენიდან გადმოვარდა, და **თქვა**: მაინც უნდა გადმოვმტარიყავიო (ნაკ., 74); დათვს თავში სცემდნენ და **ამბობდა**: ეს რა ბრაგობრუგი მომდისო (ნაკ., 66); ამო, კამეჩო რქიანო, ჩვენს პაპებს **უამბნიათო**: უღელი ხარის ნახნავი შვიდ წელსა გვიხმარიანო (სონდ., 6). უნამუსობაზე დასჯილ ქალს **უთქვამს**: თქვენ ლაფში იარეთ და მე ვირზე ვიჯდებიო (სონდ., 66);

გვხვდება სხვათა სიტყვის შემცველი გამონათქვამები, სადაც და კავშირი ერთგვარად ზმნა-შემასმენელის კომპენსაციაა: სოფელზე გატყავებულმა მელამ ჩამოირბინა და, ზედსიძეს ხომ ვჯობივარო (სონდ., 62); რუისის მთაზე კაცს სეტყვამ მოუსწრო და - ოხერი ვარ, მიბრაგუნეო (სონდ., 58).

უკავშირო სხვათა სიტყვის შემცველი გამონათქვამების მაგალითები ქართულ კრებულებში რამდენიმე ერთეულით განისაზღვრა: ქვეყნის დაქცევის შიშით თხუნელამ თვალები დაითხარა, არ შემოძლია ვუყუროო (ნაკ., 37); ირემმა ირემს ბალახი გაუშვირა: არც შენ გაკლია და არც - მეო (სონდ., 37); აქლემი კლდეზე გადავარდა, ვირმა ბღავილი მორთო: ჩემი ამოსაყვანი გახდებო (კანდ., 8). ამ შემთხვევაში ზმნა-შემასმენლები „**უთხრა**“ „**თქვა**“, ან და კავშირი არ ფიგურირებს და მათ ფუნქციას პაუზა ითავსებს. ვთვლით, რომ აქ ჩამწერის ფაქტორიც არ უნდა გამოირიცხოს.

პირდაპირ ნათქვამს ხშირად ერთვის სხვათა სიტყვის -ო-, რომელიც გამოხატავს სხვისი ნათქვამის გამეორებას. რაც შეეხება პუნქტუაციას, ზმნა-შემასმენელს ორწერტილი ან მძიმე გამოყოფს: კოკამ **თქვა**, ცხენზე არასოდეს შევმჯდარვარ, მაგრამ ფეხით არ გამივლიაო (ნაკ., 92); მელამ **თქვა**, მე და მგელმა აქლემი მოვკალითო (ნაკ., 36); ქოთანმა **თქვა**, ოქროს ძირი მაქვსო, ქოთნის ამბავი მე მკითხეთ, იქ ვიყავიო, თქვა ციცხვმა (ნაკ., 36); მამალმა **თქვა**, მე კი ვიყივლებ და, თუ არ გათენდება, რა ვქნაო (ნაკ., 73); ზრუციაანმა სხვას **მიაძახა**: ჰაი შე ბრუტიაანო (კანდ., 13).

1. ბედმა **თქვა**: ვინც მომიხმარს წელიწადში ერთხელ ყველას კარზე შემოვჯდებიო (კანდ., 11);
2. თევზმა თევზს **უთხრა**, ცოტა იქით მიიწიეო-საით მივიწიო, ორივე ერთ ტაფაში ვიწვითო (ნაკ., 89);
3. ძეგველი კაცი რწყილს ატყავებდა, მცხეთელმა ნახა და **უთხრა**: ოჰ, რამდენი ლეში გაგიყოლებიაო (ნაკ., 80);
4. ხილს **უთქვამს**, პირი რომ მქონდეს, ჩემ თავს, მე თვითონ შევჭამო (ნაკ., 81);
5. მელამ მგელს **შესძახა**: ჰაი შე უმი ხორცის მჭამელოო (ნაკ., 73);
6. ვაზს **უთქვამს**: პატრონი აპრილში ავად გამიხდაო, მაისში რომ გამოვიდე, მოვიდეს და მნახოსო, თუ შემატყოს, რომ კარგადა ვარ, იმღეროსო, თუ არა და იტიროსო (სონდ., 25);

7. მგელს **უთხრეს**: შენ ცხვარში უნდა გაგზავნოთო და შენი შვილი - ბატკანშიო; მგელი შეხტა და შემოტრიალდა: აქაც მე უნდა წავიდე და იქაცაო. (სონდ.,:45);
8. მდიდარს **ეტყვიან** : მშვიდობაშიო და ღარიბს - ვინ მოგცაო (სონდ.,:45);
9. ქათამს **უთქვამს**: ხარი დაკლეს მე წამაკლეს, ცხვარი დაკლეს მე წამაკლეს, ღორი დაკლეს მე წამაკლესო (სონდ.,:69);
10. დიბა სტავრა **ჩიოდა**: ვაი თუ უჯილაგომ გამომჭრას, უხეირომ შემკეროს და უჯოშომ გამცვითოსო (კანდ.,:21);
11. დიდ მარხვას **უთქვამს**: ისე გავირბენ, რომ ქვრივმა პერანგის გარეცხვაც ვერ მოასწროსო (კანდ.,:21);
12. ვენახს **უთქვამს**: ნეტავი ჩემმა პატრონმა წელიწადში თუნდაც ერთხელ გადამიაროს და სხვის ხელში ნუ ჩამაგდებსო (კანდ.,:27);
13. ყვავმა ყვავს **წასძახა**: ჰაი, შე ყვანჩლო (კანდ.,:79)

რუსული ანდაზების კრებულში მსგავსი სტრუქტურის მაგალითები რამდენიმე ერთეულით განისაზღვრა, «Перемерил журавль десятину, **говорит**: верно» (Д.,:2:10); «Разорвись надвое – **скажут** : а что не начетверо?» (Д. 1:101).

შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ გამონათქვამების ამგვარი სახეობა ქართულისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო რუსულისთვის იშვიათია. მოცემული შემთხვევა, ჩვენი აზრით, ქართული ენის თავისებურებაზე მიგვანიშნებს და ალომორფად შეიძლება ჩაითვალოს. რუსული მაგალითების პროცენტული თანაფარდობა, ქართულთან შედარებით, 10%-12%-ით განისაზღვრა.

ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოიკვეთა გარკვეული თავისებურებანი ქართული და რუსული **დიალოგის ფორმით და სხვათა სიტყვის** შემცველი გამონათქვამების ტიპოლოგიურ, ლინგვოკულტუროლოგიურ მიმართებებში.

ზოგადად, კვლევაც ადასტურებს [დამბაშიძე, გელდიაშვილი, ასატუროვა, 2016:117], რომ როგორც ქართულ, ასევე რუსულ კრებულებში, ანდაზების კლასიფიკაციის საკითხი ღიადაა და შესწავლას საჭიროებს. რაც შეეხება **დიალოგის ფორმით და სხვათა სიტყვის** შემცველი გამონათქვამების კლასიფიცირებას, ჩვენი აზრით, შეიძლება შეტანილ იქნეს ანდაზათა კრებულების რუბრიკაში - „**ლათაიები**“, რუსულში - «**Присказки - прибаутки**». დიფერენციაცია ხელს შეუწყობს ანდაზათა და გამონათქვამთა კრებულების დახვეწას. ჩვენი აზრით, ზოგიერთი საკითხი შეიძლება საკამათოც იყოს, მაგრამ ერთი კი ცხადია: ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ **ანდაზები, ლათაიები**, «**присказки - прибаутки**», «**побасенки**» სხვადასხვა ხალხთა კულტურის, სამყაროს აღქმის თვალსაჩინოებას წარმოადგენენ და მენტალობის განსაკუთრებულ სურათს იძლევიან.

ლიტერატურა:

1. კვაჭაძე, ლ., (1988): თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, მესამე შევსებული გამოცემა. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი.
2. ლეჟავა ლ. (1959): ქართული ანდაზების ენა // „ქართველურ ენათ სტრუქტურის საკითხები“ ტ.1.139-267. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი.
3. დამბაშიძე, მ. გელდიაშვილი, ნ. ასატუროვა, ს. (2016): ანდაზის სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპოლოგია (ქართული და რუსული მასალის მიხედვით). დისერტაცია.
4. Пермяков, Г.Л. (1988). Основы структурной паремологии. Москва. «Наука».
5. (Permiakov – 1 pdf)
6. Рыбникова М.А. (1961): Русские пословицы и поговорки. Издательство Академии наук СССР. Москва.
7. Даль В.И. (1866): Толковый словарь живого великорусского языка. (<http://slovardalja.net/>)
8. Ефремова Т.Ф. (2000): **Новый словарь русского языка. Толково-словообразовательный. Издательство «Русский язык». Москва.**
9. Чэнь Цзе (*КНР*) (2003) К вопросу об объеме понятия «сверхфразовое единство» **Язык, сознание, коммуникация**: Сб. Стат ей / Отв. ред. В. В. Красных, А. И. Изотов. - М.: МАКС Пресс, 2003. - Вып. 23. - 124 с. (jsk_23_08centse.pdf) (21.01.2017)

10. <https://www.scribd.com/document/> (21.01.2017)
11. http://dic.academic.ru/dic.nsf/dic_synonims/6085/ (10.02.2017)
12. ena.ge/explanatory-online
13. synonymonline.ru

საანალიზო მასალა შემოკლებათა განმარტებით:

1. ნაკ. - ნაკაშიძე ნ. (1953): ანდაზები. საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. თბილისი.
1. კანდ. - კანდელაკი ა. (1959): ქართული ანდაზები. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. თბილისი.
2. სონდ. - სონდულაშვილი ჯ. (1991): ქართული ანდაზები და გამოცანები. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი.
3. Д. - Даль В.И. (1984): «Пословицы русского народа» ; т.1-2 Издательство «Художественная литература». Москва.

Manana Gambashidze

Iakob Gogebashvili State University, Telavi

For the Issue of Typological Relationship of Proverbs Containing Dialogue and Indirect Speech (based on the Georgian and Russian materials)

Abstract

Rhythmic pattern and terseness make a proverb easy to remember and pronounce. However, there are plenty of expressions that deviate from this rule. A case, not-so-typical for proverbs, draws attention: peculiarity of expressions containing dialogue and indirect speech, found in the Georgian and Russian collections of proverbs. The following questions arise: what is the cause of such peculiarity and what typological regularity it is based on; also, does it display the process of a proverb turning into a text and does it indicate the tendency of evolving it into a fable; how frequent are this kind of expressions in the Georgian or Russian languages.

Key words: dialogue, proverb, fable, indirect speech, typological

საკვანძო სიტყვები: დიალოგი, ანდაზა, იგავი, ირიბი თქმა, ტიპოლოგიური

თეა შავლაძე

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

გენდერული სტერეოტიპი და ენა – ქალის სახე ინგლისურ და ქართულ ანდაზებში

სტერეოტიპი არსებობს არა მარტო განსხვავებული რასისა და ხალხის მიმართ, არამედ სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა მიმართაც. ყველას გაგვიგონია გამოთქმები: „კაცები უფრო ძლიერები არიან, ვიდრე ქალები“, „კაცები მეტად აგრესიულები არიან“, „კაცები უფრო ჭკვიანები არიან“, „ქალები ზედმეტად ემოციურები არიან“, „კაცებმა ნამდვილი მეგობრობა იციან, ქალებს კი ნამდვილი მეგობრობა არ შეუძლიათ“. სწორედ ეს გახლავთ გენდერული სტერეოტიპების მაგალითები, რომელსაც საზოგადოების დიდი ნაწილი ეთანხმება. გამოკვლევები ცხადყოფს, რომ არსებობს გენდერული სტერეოტიპების მაღალი ხარისხით კროსკულტურული მსგავსება, რაც უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია ქალებისა და მამაკაცების ფსიქოლოგიური მახასიათებლებით. თუმცა არის უმნიშვნელო გადახრები ამ ზოგადი მოდელიდან რაც სპეციფიკური კულტურული ფაქტორებითაა გაპირობებული.

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენი მიზანია ვნახოთ თუ როგორ ვლინდება გენდერული სტერეოტიპები ენაში, კერძოდ ანდაზებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ გვინტერესებს როგორია ინგლისურ და ქართულ კულტურებში გაბატონებული შეხედულება ქალის მახასიათებლების და როლის შესახებ. ანდაზებში თვალნათლივ ჩანს, რომ ქალები იერარქიულად მამაკაცებზე დაბლა დგანან, რომ ოჯახშიც და საზოგადოებაშიც მამრობითი სქესი უპირატესობით სარგებლობს, რაც მშვენივრად ჩანს ინგლისურ ანდაზებში: It's a man's world (ეს სამყარო მამაკაცებს ეკუთვნის), Men make houses, women make homes (მამაკაცები სახლებს აგებენ, ქალები კი მყუდროებას ქმნიან სახლებში), Men get wealth and women keep it (მამაკაცი სიმდიდრეს აგროვებს, ქალი კი მისიშენახვით არის დაკავებული). ქართულ ანდაზებში თავს იჩენს სტერეოტიპი „ვაჟიშვილი ნამდვილი შვილია, იგი ოჯახის მარჩენალია; ქალიშვილი კი სხვისია“: „სულ არარაობას, ქალიც შვილიაო“, „სულ უშვილობას, ქალის ყოლა სჯობია“, „ქალი სხვისი კერის ნაცარიო“, „ქალი სხვისი საქონელიო“. ყველა ზემოთ წარმოდგენილი ანდაზა მამაკაცის როლს საზოგადოებაში უპირველესად ასახელებს, ქალის როლი - მეორეხარისხოვანია.

რა თვისებებით გამოირჩევიან ქალები? არა მარტო ქართული და ინგლისური კულტურების, არამედ ბევრი სხვა კულტურის (მაგალითად მონღოლური, პოლონური, არაბული, გერმანული)პარემიებში იკვეთება აზრი: **ქალები ლამაზები, მაგრამ უჭკუოები არიან**. მონღოლთა აზრით ლამაზი ქალი ფარშევანგს გავს, თუმცა „ხისთავიანია“: More beauty than a peacock, but the intelligence of a block of wood. დაახლოებით იგივე აზრი ძვეს პოლონურ გამოთქმაში: A doll's head and an empty brain (ლამაზ ქალს თოჯინას თავი ადევს მხრებზე, თუმცა თავი ცარიელია). არაბული ანდაზა გვეუბნება, რომ ქალებს ტვინის ნახევარი აქვთ მხოლოდ: Women have only half a brain; გერმანელთა აზრით, ქალს ანგელოზის ფორმა, გველის გული და ვირის ტვინი აქვს: A woman has the shape of an angel, the heart of a snake, and the brains of an ass.მსგავსი მიმართება მდებდრობითი სქესის მიმართ ჩანს ინგლისურ ანდაზებში: Women have long hair and short brains (ქალს გრძელი თმა და მოკლე ჭკუა აქვს), Women are wacky. Women are vain, they'd rather be pretty than have a good brain (ქალები არარაობაა. მართალია ლამაზები არიან, მაგრამ ჭკუა არ აქვთ),The gold disappears but the foolish woman remains (ოქრო შეიძლება გაქრეს, მაგრამ სულელი ქალი მუდამ სულელად რჩება).ინგლისურ ანდაზებში აღნიშნულია ქალების უჭკუობა, მაგრამ ხაზგასმულია მათი ძლიერი ინსტიქტი: Women's instincts are often truer than men's reasoning(ქალის ინსტიქტი ხშირად მამაკაცის განსჯილს/ნაფიქრალს სჯობს). ინგლისური ანდაზის მიხედვით ქალების ინსტიქტი განსაკუთრებით მაშინ ძლიერდება, როცა საქმე ცუდის გაკეთებას ეხება. ასეთ შემთხვევაში იგი მამაკაცზე ბრძენია: Women in mischief are wiser than men.ინგლისურ ანდაზებში ქალის გონიერულობა მის ცბიერ ბუნებასთან არის გაიგივებული: The cunning wife makes her husband her apron (ცბიერი ქალი ქმარს წინსაფრად აქცევს).ქალის მოკლე ჭკუაზე მიგვითითებს ქართული ანდაზები: „ქალის ჭკუა თხამ შეჭამაო“, „ცხრა ქალის ჭკუა ერთ თხილის ნაჭუჭში ჩაიდება და კიდევ ადგილი დარჩებაო“. მოსაზრება „ქალები უჭკუოები არიან“ განაპირობებს კიდევ ერთ სტერეოტიპს მდებდრობითი სქესის მიმართ **„ქალს აზრი არ მოეკითხება“**.ინგლისური ანდაზები გვეუბნება:A woman's advice is best at the dead lift (ძალიან უნდა გიჭირდეს, რომ ქალს რჩევისთვის მიმართო); A woman's answer is never to seek (ქალის პასუხი რა მოსაკითხია); ამასთან ქალები აზრს ხშირად იცვლიან, მათზე ნდობა არ შეიძლება: A woman's mind and winter wind change oft (ქალის აზრი და ზამთრის ქარი ხშირად ცვალებადობით ხასიათდება); A woman is a weathercock (ქალი - ფლიუგერია);

ქალი სუსტი არსებაა, იგი ხშირად თავს ვერ ართმევს მასზე დაკისრებულ მოვალეობას –გვეუბნება ინგლისური ანდაზები: A woman is the weaker vessel(ქალი სუსტი არსებაა),A woman's work is never at an end (never done)(ქალის საქმეს დასრულება არ უწერია),The more women look in their glass the less they look to their house (რაც უფრო დიდხანს იცქირება ქალი სარკეში, მით უფრო ნაკლებად უყურებს იგი ოჯახს).

ქალების უარყოფით თვისებად ითვლება - **უსარგებლო ლაპარაკი, ჭორაობა** რომელზეც არაერთი ინგლისური ანდაზა მიუთითებს: Many women, many words (სადაც ბევრი ქალია, იქ ბევრი სიტყვა); Where there are women and geese there wants no noise (იქ სადაც ქალები და ბატები, ხმაური საჭირო არ არის); A woman's tongue wags like a lamb's tale (ქალს ენა ბატკნის კუდივით ჰკიდია); Women are great talkers; Women will say anything (ქალი ყველაფრის მთქმელია); A woman told me that a woman told her (ქალმა ის მითხრა რაც მას სხვა ქალმა მოუთხრო); A woman conceals what she knows not (ქალი არ ყვება მხოლოდ იმას, რაც მან არ იცის); ქართულ კულტურაშიც უარყოფითად არის შეფასებული ჭორიკანა ქალი: „არ ვარგა ქალი მეჭორე, სოფლად ვაჟკაცი მკვებარი“, „ქმარი ლაშქრიდან დაბრუნდა, ცოლი ამბავს მოუთხრობდაო“.

ქალი ჭორიკანაა და სხვის ამბავს დაუფარავად ყვება, მაგრამ როცა საქმე საკუთარი ასაკის გამხელას ეხება, **ასაკის დამალვა უყვარს**: A man is as old as he feels, a woman is as old as she looks/ as she feels like admitting (კაცი იმდენი ხნისაა როგორც გრძნობს თავს, ქალი კი იმ ასაკისაა როგორც გამოიყურება); The longest five years in a woman's life is between twenty nine and thirty (ყველაზე ხანგრძლივი ხუთი წელი ქალის ცხოვრებაში არის ოცდაცხრიდან ოცდაათამდე).

არა ერთ ინგლისურ და ქართულ ანდაზაში **ქალის წესიერება და ერთგულება** ექვემდებარება არის დაყენებული. ინგლისურ ანდაზებში გატარებულია აზრი, რომ ქალის გულის მოგება ძალიან ადვილია, რომ ისინი ადვილად მოსაპოვებლები არიან: A woman kissed is half won (თუკი ქალს აკოცე, ჩათვალე რომ ის უკვე შენია); All women may be won (ყველა ქალის გულის მოგებაა შესაძლებელი). ქალის ერთგულება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ქართულ ანდაზებში: „თუ ქალი ერთგულებას გეფიცებათ, გჯეროდეთ, რომ იგი თქვენ გღალატობთ“, „ძალი ბოლომდე ერთგულია, ქალი შემთხვევამდე“. ეს უკანასკნელი ანდაზა ინგლისურ ენაშიც დაფიქსირდა რაც მის უნივერსალურ ბუნებაზე მეტყველებს: Trust your dog to the end; a woman till the first opportunity. რაკი „სუსტი სქესი“ ნაკლები ერთგულებით გამოირჩევა, ქართველებს უთქვამთ: „ლამაზი ქალის მწყემსი მისი სინდისიაო“. ქართულ ანდაზებში **ქალის სილამაზე ხშირად უარყოფითად არის შეფასებული** და არასასურველად ითვლება: „ლამაზი ქალი ცოლად შეირთო - წყალში გადავარდეთ“, „ქალი გონჯი სჯობს ლამაზსა, ქმრიანსა საზრახიანსა“. ქართულ ანდაზებში დაგმობილია ქალისავხორცობა: „ავხორცი არც კაცი ვარგა და არც ქალიო“, „ქალის ყველაზე დიდი მზითვეი - სიწმინდე და ნამუსიაო“.

ქალის რთულ ხასიათზე, მის **სიჯიუტეზე** მიუთითებს ინგლისური და ქართული ანდაზები: Women will have the last word (ბოლო სიტყვა ქალს ეკუთვნის), Women will have their wills (ქალები ყოველთვის თავისას გაიტანენ), „ქალის ახირებას წინ ვერა ძალა ვერ დაუდგება“. **ქალი კონფლიქტურია** - გვეუბნება ერთი ინგლისური ანდაზა: There was never a conflict without a woman (კონფლიქტი ქალის გარეშე არ არსებობს). არა მარტო ქალის სიჯიუტე, ახირებულობა და კონფლიქტური ბუნებაა გაკილვის საგანი ინგლისურ ანდაზებში. მეტიც, ინგლისურ ანდაზებში ქალები **ჭირთან/უბედურებასთან, თვით ეშმაკთან, არის გაიგივებული**: Women are necessary evils (ქალები საჭირო ჭირია); Women are the devil's nets (ქალები ეშმაკის მოკავშირეებია); A wicked woman is three halfpence worse than the devil (ბოროტი ქალი ეშმაკზე საშიშია), Man, woman, and devil, are the three degrees of comparison (მამაკაცი, ქალი და ეშმაკი - ესეც შედარების ხარისხები - ცუდი, უფრო ცუდი, ყველაზე ცუდი), Woman is the woe of man (ქალი - კაცისთვის უბედურებაა), Who has a woman has an eel by the tail (მას, ვისაც ქალი ჰყავს, გველთევზა ჰყავს გამობმული კუდზე). ქართული ანდაზის მიხედვით ქალი ეშმაკზე ძლიერია: „კაცის აშენებული ოჯახი ქალმა დაანგრია და ქალის აშენებული ვერც ეშმაკმაო“. უკანასკნელ ანდაზას მივყავართ მოსაზრებამდე „**თუ ქალმა მოინდომა, კაცზე ძლიერია**“: „დედაკაცმა რომ გაიწია, ისე ცხრა უღელმა ხარმა ვერაო“. ინგლისელებიც აღიარებენ ქალის სიძლიერეს და ქალსმეტაფორულად ჩაის პაკეტს ამსგავსებენ, რომელიც ფერს, ანუ თავის სიძლიერეს მაშინ წარმოაჩენს როცა ცხელ წყალში ჩაეშვება, ანუ გაბრაზდება: A woman is like a tea bag you'll never know how strong she is until she's in hot water. ქალის გაბრაზების სიძლიერე კიდევ რამდენიმე ინგლისურ ანდაზაშია

ასახული: Women are like wasps in their anger (გაბრაზების ჟამს ქალები კრაზანებს ემსგავსებიან), Hell has no fury like a woman scorned (ქალის გაბრაზებაზე უარესი თვით ჯოჯოხეთშიც კი არა არის რა). ერთ ინგლისურ ანდაზაში თვალნათლივ არის ნაჩვენები ქალის ცვალებადობა ასაკთან ერთად: A woman is an angel at ten, a saint at fifteen, a devil at forty and a witch at fourscore (ათი წლის გოგონა ანგელოზს გავს, თხუთმეტი წლისა წმინდანს, ორმოცი წლის ქალი – ეშმაკს, ოთხმოცისა – კუდიანს).

ქართულ ანდაზებში დაგმოილია ქალის **აჩხლი, კაპასი და შარიანი** ბუნება: „კაპასმა ქალმა ძალდი დააბა და ისე აყეფაო“, „აჩხლი ცოლი ქმარს ჭკუიდან შეშლისო“, „გიხსნას ღმერთმა ადიდებული წყლის, აბრიალებული ცეცხლის და შარიანი ქალისგან“.

ქალი არ ვარგა არც რძლად, არც მულად და არც დედამთილად. ეს მოსაზრება არაერთ ინგლისურ ანდაზაშია გატარებული: Mother-in-law and daughter-in-law are a tempest and a hard storm (დედამთილის და რძლის ურთიერთობა ქარიშხალს გავს), She is well married who has neither mother-in-law nor sister-in-law by her (ბედნიერია ის, ვისაც არც დედამთილი და არც მული ჰყავს), Happy is she who marries the son of dead mother (ბედნიერია ის ქალი, რომლის დედამთილიც მკვდარია). ქართულ ანდაზებში რძალ-დედამთილის რთულ ურთიერთობაზე რამდენიმე ანდაზაა: „ზოგს რძალი ტყუობდა და ზოგს დედამთილიო“, „რძალსა და დედამთილს შორის ჩურჩხელა დაიკარგა“, „რძალო, დედამთილი გიჩივისო! – რას მიჩივის ის სულძაღლიო? – აი სწორედ მაგას გიჩივისო“.

ჩვენ მიერ გაანალიზებულ ქართულ (35 ერთეული) და ინგლისურ (55 ერთეული) ანდაზებში ძირითადად გამოიკვეთა ქალთა სქესის მიმართ უარყოფითი შეხედულებები.

ინგლისური	ქართული
1) ქალილამაზი, მაგრამუჭკუოა;	1) ქალილამაზი, მაგრამუჭკუოა;
2) ქალსჭკუაარმოეკითხება;	2) ქალისსილამაზესახიფათოა;
3) ქალისუსტიარსებაა- მასზე დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ ართმევს;	3) ქალიადვილადსაცდუნებელიადამისგანერთგულებასარუნდაველოდოთ;
4) ქალიადვილადსაცდუნებელიადამისგანე რთგულებასარუნდაველოდოთ;	4) ქალიჭორიკანადაუსარგებლოლაპარაკიუყვარს;
5) ქალიჭორიკანადაუსარგებლოლაპარაკი უყვარს;	5) ცუდისკეთებაში ქალიეშმაკზეძლიერია;
6) ქალი საკუთარ ასაკს მაღავს;	6) ქალიაჩხლი, კაპასიდაშარიანია;
7) ქალიქარივითაა, აზრსხშირადიცვლის;	7) ქალი -უბედურებისსათავეა;
8) ქალი - ჩხუბისთავია;	7) ქალი ცუდი რძალი და დედამთილია;
9) ქალიჯიუტია, თავისიაზრისგატანაუყვარს;	
10) ცუდისკეთებაში ქალიეშმაკზეძლიერია;	
11) ქალი ცუდი რძალი, დედამთილი და მულია;	

ქართულ და ინგლისურ ანდაზებში ქალთა მიმართ ნეგატიური განწყობის გარდა, შეინიშნება „სუსტი სქესის“ მიმართ კეთილგანწყობაც (8 დადებითი ინგლისური ანდაზა; 8 დადებითი ქართული ანდაზა): „ქალი ქვეყნის მარილი და ერის გვირგვინიაო“, „ქალი შემოქმედების გვირგვინიაო“, „ოჯახის სული და გული ქალია“. „ოჯახის ძლიერება ქალის ჭკუაზე და კაცის ჯიბეზე ჰკიდია“, A worthy woman is the crown of her husband (ღირსეული ქალი ქმრის გვირგვინია), Behind every successful man is a woman (ყველა წარმატებული მამაკაცის უკან ქალია).

ინგლისური და ქართული ანდაზები ცხადყოფს, რომ თუკი ქალი შექების ღირსია, მხოლოდ დედის და ბებულის ამპლუაში. ანუ, იქ, სადაც ქალის მზრუნველი ბუნება ჩანს. უფრო მეტიც, კარგი დედა ღმერთს არის შედარებული: Mother is God number two (დედა – მეორე ღმერთია), God could not be everywhere, therefore he decided to make mothers (რაკი

ღმერთი ყველგან ვერ იქნება, მან დედა შექმნა). დედის ტოლფასია ინგლისურ ანდაზებში ბებია: If you do not see your mother, go and find your grandmother (თუკი დედას ვერსად ხედავ, ბებიას მიმართე), A grandmother is a babysitter who watches the kids instead of the television(ბებია ტელევიზორის ყურების ნაცვლად შვილიშვილების მოვლით არის დაკავებული), There's no place like home except Grandma's (არ არსებობს სახლზე კარგი ადგილი, თუმცა ბებიას სახლი გამონაკლისია).

ანალიზმა დაგვანახა, რომ ქალთა სქესზე ანდაზები რაოდენობრივი თვალსაზრისით სჭარბობს მამაკაცებზე შექმნილ ანდაზებს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ქალი იყო და დღემდე რჩება დაკვირვების საგანი და სწორედ მას მოეთხოვებოდა საზოგადოების წესების და ნორმების დაცვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **BelfatmiMeryem(2013)**“The Representation of women in Moroccan proverbs,”IOSR JournalOf Humanities And Social Science (IOSR-JHSS) Volume 17, Issue 1 (Nov. - Dec. 2013), PP 15-21.
2. **Halapchuk-TarnavskaOlena**“Gender – marked age stereotypes in English proverbs and sayings,” <http://esnuir.eunu.edu.ua/bitstream/123456789/9862/3/Gender%20Stereotypes.pdf>
3. **Kochman-HaladyjBożena**“On positively-tinted women proverbs (and quotations) in English and Polish language material,”
4. **LeeJackie F. K. (2015)**“Chinese Proverbs: How are Women and Men Represented?”The Hong Kong Institute of Education, Hong Kong,Multidisciplinary Journal of Gender Studies, 4(1), 559-585.
5. **MishchanchukJulia (2013)** “Representation of a woman in American Proverbs: Structural-Semantic Aspect”http://kpnuconf.at.ua/publ/language_semantics_syntax_and_use/language_semantics_syntax_and_use/representation_of_a_woman_in_american_proverbs_structural_semantic_aspect/2-1-0-18
6. **NasrullaevaNafisaZafarovna(2015)**“The Influence of Gender Component on the Semantics of Phraseological Units (On the Material of English Phraseology),”International Journal of Research in Linguistics, Social and Applied Sciences, Feb-2015, Volume 4.
7. **PavlishchevaYa.A.**“Phraseology as the source of gender stereotypes (at the material of English language),”
8. **Sarwet Rasul (2015)** “Gender and Power Relationships in the Language of Proverbs: Image of a Woman,” FWU Journal of Social Sciences, Winter 2015, Vol.9, No.2. p 53-62.
9. www.inspirationalstories.com/proverbs/t/english-on-woman
10. [www.englishclub.com/ref/Sayings/Men and Woman](http://www.englishclub.com/ref/Sayings/Men_and_Woman)

Thea Shavladze

Shota Rustaveli State University, Batumi

Gender Stereotypes and Language (On the basis of English and Georgian Proverbs)

Abstract

Gender investigations are becoming more and more important in linguistics. The investigation of gender factor makes necessary to study proverbs from gender position. Gender stereotypes are characteristic features of male/female gender group behavior that are expected by a society.

The article investigates English and Georgian proverbs which have gender component in their structure and thus create gender stereotypes of “woman” on the material of English and Georgian phraseology. Moreover, such notions as appearance, social status, intellectual abilities are analyzed as elements forming the gender concepts “woman”.

The analysis showed that, English and Georgian proverbs possess a rich potential of masculine and feminine characteristic and give basis to gender investigation of national peculiarities of gender stereotypes of men and women. As the analysis has shown women have more negative characteristics than men. In both languages the mechanisms of stereotypisation involve subjective evaluation that is reflected in their respective proverbs. Gender stereotypes in English and Georgian

languages are viewed as ethnic stereotypes and perform the function of accumulating and systemizing the social, cultural and historical experiences of English and Georgian people.

საკვანძო სიტყვები: გენდერული სტერეოტიპი, ანდაზა, ენა და კულტურა, ქალი, მამაკაცი.

Key Words: Gender stereotypes, proverb, language and culture, woman, man.

თამარ შაიშმელაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

„ირმის კვალი“ – ლევან გოთუას ხმით ნატირალი

თოვლიან-ყინულოვანი ფერდობები და თვალწარმტაცი მწვერვალები იყო ლევან გოთუას და გურამ თიკანაძის დამაკავშირებელი სამყარო. ლევან გოთუა 27 წლით უფროსი იყო გურამ თიკანაძეზე, მაგრამ მათი მეგობრობისთვის ასაკს ხელი არ შეუშლია, პირიქით, გადასახლებებში გამობრძმედილი და თავისუფლების იდეით სამშობლოში დაბრუნებული „გმირთა ვარამის“ ავტორი გურამისთვის ვაჟკაცობის, მეგობრობისა და ურთიერთგატანის მაგალითი და გულის მესაიდუმლე გახდა.

მთამსვლელ ჯაფარიძეთა შთამომავალი, ცნობილი ჟურნალისტი ივანე ჯაფარიძე ამბობს, რომ ლევან გოთუა და გურამ თიკანაძე მთამ დაამეგობრა.

1936 წლიდან მოყოლებული საქართველოს ალპურ კლუბში, რომელსაც 1945 წელს დამაარსებლის ალიოშა ჯაფარიძის სახელი მიენიჭა, არა მხოლოდ ალპინისტები, არამედ ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც იკრიბებოდნენ, მათ მთასთან დიდი სიყვარული აკავშირებდათ.

კლუბში ხშირად იკრიბებოდნენ სტუდენტი ახალგაზრდები, რომლებიც ნიკო კეცხოველს – უნივერსიტეტის რექტორს და საქართველოს ალპური კლუბის თავმჯდომარეს – უდიდეს პატივს სცემდნენ და ხშირად მისი რჩევით მიდიოდნენ მთაში. ლევან გოთუა მე-20 საუკუნის 40-იან წლებში ალპური კლუბის სწავლული მდივანი იყო და კარგად ესმოდა მთის მოყვარული ახალგაზრდების გულისთქმა.

ლევან გოთუამ უნიჭიერესი ფოტოხელოვანი და მთამსვლელი გურამ თიკანაძე გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ჟურნალ „დროშის“ რედაქციაში გაიცნო, სადაც გურამი, როგორც მახვილი ხედვისა და აზროვნების ფოტოჟურნალისტი, ლევანის ახლო მეგობარმა კოტე ჯავრიშვილმა მიიყვანა. კლუბშიც არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს. სწორედ ეს შეხვედრები გახდა მათი დამეგობრების საწინდარი.

გურამს საოცრად იზიდავდა დაბრძენებულ, მრავალჭირგამოვლილ და მრავლის მნახველ ლევან გოთუასთან ურთიერთობა, რომელსაც ხშირად აკითხავდა არმაზში თეთრი „ვოლგით“ და მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ. უანგარო, საოცარი სიყვარული ჰქონდათ ერთმანეთისა...

ივანე ჯაფარიძის აზრით, ლევან გოთუა უახლოეს, ძველ და ნაცად მეგობრებთან – სერგო ზაქარიაძესთან, კოტე ჯავრიშვილთან, ატე ნემსიწვერიძესთან (ალიოშა ჯაფარიძე უკვე აღარ იყო ცოცხალი) ერთად, ასაკში დიდი სხვაობის მიუხედავად, გურამ თიკანაძესაც მათი რანგის მეგობრად მიიჩნევდა.

გადასახლებიდან დაბრუნებულმა ლევან გოთუამ ახალგაზრდებზე გადაიტანა აქცენტი. მისი მეუღლის, ქალბატონ ციცო ალხაზიშვილის თქმით, ლევანი თავის თავს უთაობო ადამიანს უწოდებდა – მაგის თაობის ხალხი აღარ იყო, მათი უმრავლესობა ხომ რეპრესიებმა შეიწირაო...

საბჭოთა რეჟიმს ლევან გოთუას ოჯახის წევრებიც ემსხვერპლნენ. 20-ან წლებში ვლადიკავკაზში გადასახლებულ ლევანს ძმის დასაფლავებაზე ჩასვლის უფლება არ მისცეს, მამას კი ტრამვაი დაეჯახა, თუმცა, ოჯახის ვარაუდით, მას ავარია მოუწყეს...

ახალგაზრდებზე აქცენტის გადატანა იქნებ არც იყო შემთხვევითი. ლევან გოთუა ახალ თაობაზე ამყარებდა იმედებს და, როგორც ამბობდა: „თაობიდან თაობაში საერთო ღვაწლის გამრავლება ყველასათვის ისევე სავალდებულოა, როგორც სამშობლოს სადარაჯოზე ყოფნა“. (გოთუა. ლ. „სიტყვათქმანი“. 24.)

საერთო ღვაწლიც გურამ თიკანაძის მსგავს გამორჩეულ, ვაჟკაცურ, ნიჭიერ და ზნეობრივად სუფთა ახალგაზრდებს უნდა გადაეცათ თაობიდან თაობაში!

ლევან გოთუამ გაცნობისთანავე დაიახლოვა გურამ თიკანაძე... ზემოთ ჟურნალ „დროშის“ რედაქცია ვახსენე, სადაც პირველად გაიცნო მან გურამი.

ოტია იოსელიანი იხსენებს, რედაქციაში როცა უნდა მივიდო, იქ მუდამ არიან: ედიშერ ყიფიანი, კოტე ჯავრიშვილი და გურამ თიკანაძეო... მწერალი გურამს ვერცხლისწყლის მერცხალს უწოდებს, რომელიც შემოფრინდება, ცინცხალ ფოტოებზე აღბეჭდილ მთის, ბარის, მწვერვალის, ცის, ერის, ბერის, უახლესი ამბებით დააპურებს რედაქციას და მიფრინავსო.

„გურამი საოცრებაა! იგი როცა მიდის, არც მერე ტოვებს იქაურობას. მარტო ფოტოებს კი არა, რაღაცნაირ ხილულ ნათელს ტოვებს და უმისოდ მაინც არ რჩები“... (ჯიშკარიანი, 2017. 164)

იქნებ სწორედ ამ ხილულმა ნათელმა დაატყვევა ლევან გოთუა?

გურამ თიკანაძეს თანამედროვენი ულამაზეს, წარმოსადევ ვაჟკაცად ახასიათებდნენ. მწერალ მარგო თომამეს მიაჩნდა, რომ ვისაც ძალის, სილამაზისა და სიმამაცის ნახვა სურდა, მას მთებში სწორედ გურამ თიკანაძე უნდა ენახა.

გურამ თიკანაძე 1954 წელს ალპინიზმის ინსტრუქტორი გახდა და რამდენიმე რთული ასვლა განახორციელა კავკასიონსა და პამირზე. ხიფათიანი მთები გახდა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, მისი სიყვარულიც და ბედისწერაც.

მთამსვლელი და ჟურნალისტი კოტე ჯავრიშვილი თავის მოგონებებში ხაზს უსვამს, რომ გურამი მთამსვლელი იყო, 40-მდე მწვერვალი დალაშქრა, მოიარა ხევსურეთის, ხევის, ყარაჩისა და სვანეთის მწვერვალები, იმყოფებოდა ცადაზიდულ პამირზე. დალაშქრა მყინვარწვერისა და დოჰახის, ფასის მთისა და ცალგმილის, უშბისა და შხელდის, და ბოლოს, თეთნულდისა და შხარას კლდოვანი და ყინულოვანი მწვერვალები... „არა მარტო მოიარა, ფოტოფირზე ასახა მთები და მთებთან შერკინებული ადამიანები“. („მთა და მოყმე“. 1965. 65.)

თავად გურამის დევიზი სიახლე, სიფხიზლე და მოძრაობა იყო: „მუდამ სიახლე, სიფხიზლე, მოძრაობა. ჩვენ მთასთან და ყინულთან მეტ საერთოს ვნახულობთ, ვიდრე ბართან და ზღვასთან“...

ციცო ალხაზიშვილი – ლევან გოთუას მეუღლე: „ლევანი გამწარებული იყო გურამის დაღუპვით, ძალიან განიცდიდა... გაოგნებული იჯდა დიდი ხნის განმავლობაში და ცრემლები ჩამოსდიოდა. მეც იმდენად განვიცადე, რომ დასაფლავებაზე ვერ წავედი. ლევანმა კი მიუსაჯა თავს და მაინც დაესწრო ამ დასაფლავებას. თითქოს გამოემშვიდობა ამ წერილით...“

ახლაც მახსოვს ყველაფერი, ის სიტყვები, როგორ ამკობდა გურამს, – ვაჟკაცი, ბრგე, ნამდვილი ქართველი, ჭკვიანი ფოტოხელოვანი... ყველაფერს საოცარი თვალთა აკვირდებოდა გურამი. ფოტოგადაღებების დროს მართლა საოცრებას ახდენდა... ერთხელ, მგონი, ცოცხალი თევზიც კი გადაიღო... ლევანის სურათებს შორის გურამის გადაღებულ უამრავ ფოტოს შეხვდებით. ასეთი იყო მათი ხანმოკლე ურთიერთობა“...

გურამ თიკანაძის ხსოვნას ივანე ჯავარიძემ არაერთი წერილი თუ რადიოგადაცემა მიუძღვნა და უნიკალური პიროვნული თვისებების გამო მას „სიკეთის მთესველი მზეჭაბუკი“ უწოდა, ასეთი დარჩა ყველას ხსოვნაში, ვისაც იგი ერთხელ მაინც უნახავს...

გურამ თიკანაძის გამოსამშვიდობებელ პუბლიცისტურ წერილს „ირმის კვალი“ ჰქვია, რომელსაც ივანე ჯავარიძე ლევან გოთუას ხმით ნატირალს უწოდებს...

„...იმ საბედისწერო დღეს, ლევან გოთუა არმაზში ყოფილა... გურამის დაღუპვის ამბავი რომ ამცნეს, მტკვარზე ჩასულა, ბარგიყარიასთან, სადაც გურამთან დაკავშირებული

მოგონებები უფრო მძაფრი იყო... იქ ყოველ მტკაველ მიწას ხომ გურამის ნატერფალი აჩნდა... ვინ იცის, ამ ადგილას რამდენჯერ გადაუცურავთ მტკვარი მხარდამხარ...“ (ჯიშკარიანი. 2017. 55)

წერილი-ჩანახატი „ირმის კვალი“, დიდი განცდით, გურამის გარდაცვალებისთანავე, ცხელ გულზე დაიწერა.

ირმის კვალი, ვფიქრობ, სიმბოლურად ვარსკვლავების ულამაზეს „ირმის ნახტომთან“ ასოცირდება... მწერალმა გვითხრა, რომ გურამმაც ასეთი ლამაზი კვალი დატოვაო. ამავედროულად, *ირემი*, ალეგორიულად, ღვთის მამიებელი სულია, რომელიც წყაროსკენ მიილტვის... არმაზში, იმ ადგილას, სადაც მტკვარი მოედინება, ირმები ჩამოდიოდნენ წყლის დასაღვებად. მეგობრებს ხშირად უვლიათ მათ ნაკვალევზე...

წერილში თხრობის ორი პლანია გადმოცემული... პირველი გმირის პორტრეტის და სახის შექმნას ემსახურება, მეორე თავად ავტორის შინაგანი მონოლოგი-გასაუბრებაა გმირთან, რომელიც ცოცხალი აღარ არის. გარესამყაროს ემოციური აღქმა და სულიერი რეაქციები თხრობას მიმზიდველს ხდის.

ერთ პატარა ნარკვევში ჩვენ თვალწინ გაიღვებს ორი მეგობრის მიერ ერთად გატარებული მთელი ცხოვრება, ფიქრი ლამაზ დღეებზე და წარმავლობის სევდაზე... ავტორი ელაპარაკება გარდაცვლილ გურამ თიკანაძეს და ამით უშუალოდ განცდა შემოაქვს. მიმართვის ფორმა ინტიმს ქმნის და მკითხველზე ზემოქმედება იზრდება.

წერილი იწყება იმ ამბის გაცოცხლებით, რომელიც უწინ ჩვეულებრივი იყო ავტორისთვის.

„იმ დღესაც არმაზში, სადაც მე ვცხოვრობ, მოუმთავრებელ ხელნაწერში გულდაგულ ვიყავი ჩაფლული. ჯერ უსამოსო სიტყვებისა და თვალაუცრელი სახეების აბლაბუდა ირგვლივ მეხვია... უეცრად ჩვენს ეზოში მანქანა შემოგრიალდა... შენც ასე ულოდნელად იცოდი შემოქროლება, ჩემო გურამ... ამჯერად შენ აღარ აღმოჩნდი... და ვაი, რომ საზარელი ამბავი შენ გეხებოდა“... (გოთუა. 1968. 205.)

ეს უვერტურაა, შემზადებაა სიუჟეტის გასაშლელად... მხატვრულ-პუბლიცისტური დამაჯერებლობა პირველ პირში თხრობით და გარემოს გასულიერებით მიიღწევა.

მეგობრის სიკვდილის გაგების შემდეგ ვეება კლდის ჩრდილი ღოჯად ამდგარა და მორევზე გლოვის ძაძად ჩანს, ხოლო მდინარის მოძრავ სხეულს „აღმა ტალღა ურჩხულის ქერეჭივით“ აყრია.

„იმ დღესაც ქარი იყო, შენ რომ ჩემთან თურმე უკანასკნელად ამოიარე. მაგრამ მაშინ ზენა ქროდა, ჭავლი ჭავლს რბილად ეწეოდა და თავგადავლით წყალს მიჰყვებოდა, როგორც ჩახლართული ჟამი წუთისოფლისა“. (აქვე. 2015)

„ჩახლართული ჟამი წუთისოფლისა“ თითქოს გაფრთხილება-გზავნილია, რომელიც მრავალ განსაცდელს უმზადებს ადამიანს.

ლევან გოთუას მოულოდნელად შემოაქვს გმირის ცხოვრებიდან ფრაგმენტები, რომლებიც პირადი განცდებით და ფილოსოფიური წიაღსვლებით არის გამდიდრებული.

„...წყალი გულის კოვზთან რომ ამომადგა, მაშინდა ვიგრძენი და ფიქრსაც მაშინ მოვუპოვე თავგზა – თითქოს შენ ახლა გაღმა მეგულებოდი! მდინარისა და არა ცხოვრების გაღმა!“... (აქვე. 206).

ეს უკანასკნელი – „თითქოს შენ ახლა გაღმა მეგულებოდი! მდინარისა და არა ცხოვრების გაღმა!“ სწორედ ავტორის ლირიკული და სევდიანი წიაღსვლაა.

ასეთი დამოკიდებულება გასდევს მთლიანად ნარკვევს და შიგადაშიგ რეფრენივით გვხვდება ლევან გოთუას სიბრძნით გაჯერებული გამონათქვამები.

სიუჟეტი გვიხატავს ავტორის შინაგან ცხოვრებას, მის ფიქრებს, წიაღსვლებს, რომლებსაც თავად გურამის სიტყვები აცოცხლებს და პუბლიცისტურ დამაჯერებლობას ჰმატებს... ასე, ოსტატურად იძერწება გურამ თიკანაძის პორტრეტი...

„ – აქ გულიანად დუღს წყალი! აი ასეთი დუღილიანი ცხოვრება მწამს და მიყვარს! – ესეც შენი სიტყვებია. დიახ, შენ დუღილის ახალგაზრდა იყავი და მე მუდამ ლექსამოუთქვამ

მგოსნად მესახებოდი. აქ ახლაც დულს მტკვრის მორევი... შენ კი სადღა ხარ? სად დადულდი ასე უდროოდ?“ (აქვე.206)

პოეტური მეტაფორა და მწერლის რიტორიკული შემახილი: „აქ ახლაც დულს მტკვრის მორევი... შენ კი სადღა ხარ? სად დადულდი ასე უდროოდ?“ თხრობას შთამბეჭდავს ხდის.

ლევან გოთუა იხსენებს იმ წუთებს, როცა გურამი დიდ მორევში გადაეშვა და არ ეპუებოდა ტალღებს: „მიცურავდი და თითქოს მტკვარი მხრებით მიგქონდა!“

სწორედ მაშინ დაებადა აზრი, ოდესმე დაეწერა ბალადა „ჩქერი და მოყმე“.

ლევანი „შემძიმებული სუნთქვის ძლევით“ მიჰყვებოდა მორევში მცურავ გურამს, რომელიც „თავს წყალში, როგორც დედის უბეში“, ისე ჰყოფდა...

„მერმე წყალი კეთილნატიფ სახეზე რბილ მარგალიტებად ჩამოგდიოდა...“

მკლავებზე კი ჩქერი გიდულდა“... (აქვე. 207)

მწერალს შემოაქვს რეპორტაჟული სტილი, რომელიც ისევ და ისევ ეპითეტ-მეტაფორებითაა გაჯერებული. გურამის პორტრეტს ცურვის პროცესში, დინამიკაში გვიხატავს:

„შენს აღფრთოვანებულ ჭვრეტაში იყო ცაც და მდინარეც, ახლა მზე გჭრიდა თვალებს!“ (აქვე. 207);

„მე მხიბლავდა შენი ილათიანი ცურვა – ერთდროულად არწივისა და ორაგულის თავმოწონე სილაღე და ტანმოქნილობა!“ (აქვე. 207).

ამ ეპიზოდებში, გმირის გარეგნულ მომხიბლაობასთან ერთად, ხასიათის მთავარი თვისებაა ილუსტრირებული და ხასიათის ფორმირებაც ჩანს. გურამის ლაღი, ცამზიანი სული იხატება...

შემთხვევით არ უნდა ადარებდეს მწერალი წყალს დედის უბეს... წყალი ხომ განახლების სიმბოლოა და მის უბეში შეფარებული შვილის ბედიც ამ სიმბოლიკით თუ აიხსნება... გურამო აღარ არის ცოცხალი, მაგრამ მარადიულობას ნაზიარებია.

ლევან გოთუა განუმეორებელი სახის შესაქმნელად იხსენებს გარდასულ დღეებს, ჩვენ თვალწინ ჩაიქროლებს მათ მიერ „მზისა და სილის აბჯარში“ გახვეული ერთად გატარებული ბედნიერი დღეები... „თბილ, საოცნებო სილაში“ ფიქრებით რამდენჯერ უმოგზაურიათ საგურამოში, ილიასეული კაკლის ძირში მტევნებიანი ვაზის გვირგვინები დაუწნავთ ბაზალეთსა და ბეთლემში მისატანად... ხან ქობთავის კლდეებში ბორიალობდნენ... და ფრიალოს თავზე შენ საყურესავით ეკიდე თოკზეო, – მიმართავს გურამს... (აქვე.211)

თვალწინ გვიდგას მთების მომხიბლავ სამყაროში, კლდის ნაპრალში პალოზე გამობმულ თოკზე უშიშრად ჩამოკიდებული გურამი, რომელიც ფოტოაპარატით ჩასაფრებულა და მზად არის, მზიან-ყინულოვან სამყაროში ფირზე აღბეჭდოს წამის ულამაზესი გაელვება... ლევან გოთუა გურამს „თვალთ მწერალს“ უწოდებს, რომელიც ფოტოებით „პაწაწინა და მკაფიო ნოველებს“ ქმნიდა.

ყველა საშუალება, მხატვრული ხერხი წერილში კონკრეტულ მიზანს ემსახურება – „ვაჟკაცურად მოხდენილი და ლამაზი“ გურამი, „სიძნელეთა მორკინალი და მოქმედების კაცია“...

გომარეთის ციცაბოზეც მან შეარხია ძველი ქვაბსახიზრის შეუვალობა. თითქმის ყოველთვის წინმავალი იყო. უძნელეს საქმეს თავს იდებდა.

...ოცდაორ მწერალ-მოგზაურთა თვალწინ გადააცოცდა ბეთლემის ფრიალოს ვეება ლოდებს და განდეგილის ისტორიულ ჯაჭვს ხელი შეახო, უკვდავება ააჩხრიალეო, – ეუბნება ლევანი გურამს.

მყინვარწვერის უნაგირასთან, მძვინვარე ქარბუქშიც პირველი მიდიოდა. მის ძალასა და შემართებას ყოველი მიმყოლი წელზე შებმული თოკის მარყუქში გრძნობდა და გათოშილებს მისი ძალა ემატებოდათ:

„მხნეობა ხომ შიშზე არა ნაკლებ გადამდებია!

გახსოვს, მაშინ, აქ – მტკვარს ვუმხერდით და ტბა გვაგონდებოდა? ჩვენ ხომ ერთად გვიცურავია ბაზალეთის სევდიან ტბაშიც!“ (აქვე. 211)

სულისშემძვრელი ფიქრების აშლის ჟამია... მწერალი შთამბეჭდავად გადმოსცემს გულისნადებს, თავის ნაამბობს აძლევს ისეთ ფორმასაც, რომ მკითხველშიც აღძრას მსგავსი ემოციური გრძნობა და უფრო ადვილად მოახდინოს მათზე ზემოქმედება.

„ჩვენ ხომ ერთად გვიცურავია ბაზალეთის სევდიან ტბაშიც!“ – აქ ლევან გოთუა სიტყვა „სევდიანს“ შემთხვევით არ უსვამს ხაზს. ბაზალეთის ტბაში ცურვა უბრალო ცურვა არ არის... ამ ადგილს უკავშირდება ყოველი ქართველის „ჩუმი ნატვრა“: „იქნებ აკვანში ის ყრმა წევს“...

ისევ კოტე ჯავრიშვილის სიტყვები მახსენდება, თითქოს სამი თვალთა უმზერდა იგი ქვეყანას, მაგრამ სამივე მიპყრობილი იყო ერთისაკენ. ეს ერთი მისი სამშობლო და ხალხი იყო...

ასევე სამშობლოსკენ იყო მიპყრობილი ლევან გოთუას თვალიც. ამიტომაც იყო, რომ მათი შეხვედრა-საუბრები, ძირითადად, სამშობლოს ზედ-იღბალს და მთებს უკავშირდებოდა... კითხულობ ლევან გოთუას წერილს და გრძნობ, გურამის პიროვნება ღრმად ნაფიქრ-გააზრებული, შეცნობილია, ავტორის, როგორც მოქმედების მონაწილის უფლებამოსილება დიდია. გმირში გარდასახული მწერალი თავად გვთავაზობს საკუთარ ნაფიქრალსა და ნააზრევს...

ამ ნააზრევის გადმოსაცემად შეხვედრის ეპიზოდები, მეტყველების წარმოსახვა, დიალოგები ეხმარება...

ლევან გოთუას თხრობა შთაგონებულია გმირით, გურამ თიკანაძის საოცარი პორტრეტის შექმნას, სტრიქონ-სტრიქონ რეფრენივით გასდევს მწერლის გასაოცარი სიტყვათქმანი... იგი ისეთ ეპიზოდებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებშიც ყველაზე ნათლად წარმოჩინდება გურამის ხასიათი და მისი მოღვაწეობის არსი.

ჯუმბერ ჯიშკარიანის თქმით, ლევან გოთუა გურამის უმთავრეს ღირსებად მაინც მეგობრობის ნიჭს თვლიდა... რადგან კარგად უწყოდა უღალატო მეგობრობის ყადრი:

„...შენი ყველაზე უფრო დიდი და კეთილი ნიჭი იყო უნარი და გრძნობა მეგობრობისა. შენ სამოყვასოდ იყავ გაჩენილი, ამიტომ გყავდა ბევრი მეგობარი და ძმა საკუთრივ უძმოს... იშვიათად შემხვედრია ცხოვრებაში ასეთი სამოყვასო მომხიბლაობა!“ (გოთუა. 1968. 209)

მწერალი უმცროსი მეგობრის ნიჭსა და სამომავლოდ იმედიან მოღვაწეობაზე ამახვილებს ყურადღებას: ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მრავალმხრივ საიმედო მოღვაწისგან ბევრს მოელოდნენ – „შენ კი გაზაფხულის ცისარტყელასავით გადაიარე!“ (აქვე. 212).

აქვე გურამის გონიერებისა და ფოტოხელოვანის ტალანტის გამომხატველი მეტაფორა გაიელვებს:

„შენ ულოდნელი კომპოზიციების ოსტატი იყავი და დაუღალავი ფუტკარივით ყველგან ჰკრეფდი აზრობრივსა და სახეობრივ თაფლს“. (აქვე. 211)

ლევან გოთუა იხსენებს, როგორ შენიშნა გურამმა ირმის კვალი. წარმოსახვით ცოცხლდება ხსოვნა, როგორ დგას გურამი „დევის ლოყებად შემდგარ სილის გორაკზე... ამ მზის, ამ მიწა-წყლის, ამ ბუნების კეთილნარუქი შვილი.

– ირმის კვალი ნახე? – მომადახე და მიმიჩვენე. – აქ ჩამოდიან წყალზე!

მეც მოვატანე გაღმა ნაპირს, მაშინ ვინიშნე, ჩემო გურამ, სილაზე შენი კვალიც ირმისას ჰგავდა!...

...ახლა კი მარტოვამ, სულშემძიმებულად, გადავცურე მტკვრის მორევიც, ჩქერიც, მყუდრო უბეც... და აქ ყველაზე უფრო მწარედ ვიგრძენი, რომ შენც მოკლე ცხოვრებაში ირმის კვალი დასტოვე და გაგვეცალე“... (აქვე. 209)

აქ წარსული და აწმყო არის შეპირისპირებული, რითაც მკითხველზე თხრობის ზემოქმედება ბევრად ძლიერდება. აქცენტი ირმის კვალზეა გადატანილი, რომელიც ჩვეულებრივი კვალი არ არის... მითოლოგიიდან ცნობილია, რომ ცის ან მზის ღვთაება რჩეულ ადამიანს უბოძებს ჯვარს ან მზის გამოსახულებას.

ნაწილიანი შეიძლება იყოს ცხოველიც – ირემი, ჯიხვი, ვეფხვი... ნაწილიან ცხოველს ტყვია არ ეკარება. ირემს და ჯიხვს რქებზე სანთლები ენთებათ... წერილში გურამის დახასიათებისას რამდენჯერმე ხაზგასმულია – ცა, მდინარე, მზე... იქნებ არაშემთხვევით და,

მართლაც, მზის გამოსახულება ჰქონდა ნაბომები? აკი ამბობდა ოტია იოსელიანი, რომ იგი „ხილულ ნათელს“ ტოვებდა?

„წყალში გაცრილად მიდიმოდი, მერმე შენი ღიმილი მტკვარს მიჰქონდა, პირისახიდან კი ვერა და ვერ გაშორებდა. ჩვენ ორივე მზეში ვიყავით... მზეში და მტკვარში!“.. (აქვე. 208)

მთელი ნარკვევი, მისი სულისკვეთება თითქოს ერთ სათქმელს გამოხატავს – ადამიანი, რომელიც ირმის კვალს ტოვებს, მართლაც, ღვთისგან რჩეულია. მზის თანამდევ ნაწილთან ერთად წყალიც განახლების სიმბოლოა. იქნებ ამიტომაცაა ღიმილი „წყალში გაცრილი“, ანუ მარადიული?

მწვერვალი შხარა, სადაც გურამი დაიღუპა დაშვებისას, გაუცნობიერებელი ბედისწერაა, რომელიც თითოეულ ადამიანს თან სდევს და ყოველი ფეხის ნაბიჯზეა ჩასაფრებული.

„ცხოვრების ბოლოში ხომ ყველას გვაქვს ჩვენ-ჩვენი შხარა... მაგრამ შენ ცხოვრების სამი ათეული ძლივს მოითავე და წახვედი იქ, სადაც აღარ ხუცდებიან!“ (აქვე. 212)

გურამმა ლევანს ხელნათურა აჩუქა, რომელსაც აივნიდან ირმის ნაკვალევამდე შუქი უნდა მიეწვდინა და მისთვის წყალზე ჩამოსული ირმები დაენახვებინა...

გურამის ნაჩუქარი ხელნათურა კიდევ ანათებს და ახლაც სწვდება მტკვრის გაღმა ნაპირს... იქ აღარ არის მისი ნავალი, მაგრამ სივრცეში მაინც გაიეღვებს „მზის აბჯრით“ შემოსილი ირემი...

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოთუა. ლ. (1968): მატთანური. ლიტერატურა და ხელოვნება, თბილისი.
2. გოთუა. ლ. (1996): სიტყვათქმანი. თბილისი.
3. კაი ყმის სახელი ლამპარია. <https://www.magticom.ge/magazine/2002-3/2002-3-6-g.html>
4. (1965): მთა და მოყმე. ნაკადული. თბილისი.
5. ჯიმკარიანი ჯ. (2017): შურსა და ცილზე ამაღლებული. თბილისი.

Tamar Shaishmelashvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

„The Deer’s Trace“ – Wept with Levan Gotua’s Voice

Abstract

The doctoral student of Iakob Gogebashvili Telavi State University Tamar Shaishmelashvili’s treatise – „The deer’s trace“ – wept with Levan Gotua’s voice“ – describes the relations between a public figure – Levan Gotua and a mountaineer and photographer – Guram Tikanadze.

Levan Gotua was 27 years older than Guram Tikanadze, but the difference between the ages did not interrupt their friendship.

The mountain made them friends. Levan built big hopes on fearless mountaineer and traveller, photojournalist of original view and thinking – Guram Tikanadze. The terrible tragedy happened 30-years old Guram Tikanadze died while descending mount „Ushba“.

Levan GoTua dedicated his younger friend a journalistic writing – „The deer’s trace“. Levan Gotua makes Tikanadze’s wonderful portrait and highlights such episodes in wich are most slearly seen Guram’s character and essence ofhis activity.

საკვანძო სიტყვები: მთამსვლელი, მწვერვალი, ირემი, წყალი, კვალი

Key Words: Mountaineer, Peak, Deer, Water, Trace

პიროვნების თავისუფლების ადგილი კრიზისების ეპოქის გლობალიზებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოდელში

გლობალიზაციის ეპოქის თანამედროვე მსოფლიოში სიტყვა „კრიზისი“ და „კრიზისები“ ერთობ ჩვეულებრივ, ამასთან ძალიან მაღალი სიხშირით გამოყენებად ცნება-ტერმინად იქცა. კრიზისის ნიშნები დაეტყო მსოფლიო ეკონომიკას, სოციალურ ყოფასა და კულტურას. კრიზისული გახდა თანამედროვე ადამიანის ყოფაც.

აღნიშნული პროცესი, ბუნებრივია, დღეს არ დაწყებულა, იგი პერიოდულად იჩენდა თავს სხვადასხვა დონეზე, თუმცა ბოლო დროს მან მასობრივი ხასიათი მიიღო. უნებლიედ გვახსენდება ცნობილი ესპანელი ფილოსოფოსის ხოსე ორტეგა-ი-გასეტის მიერ ჯერ კიდევ XX ს-ის 30-40-იან წლებში ნაწინასწარმეტყველვე პროცესები, რომელიც მან თავის ხელოვნების ელიტარულ თეორიაში განიხილა და მასობრივი კულტურის (მასათა) წინააღმდეგ მიმართულ შეხედულებებად ჩამოაყალიბა.

ორტეგა-ი-გასეტი ბევრი თავისი ევროპელი წინამორბედი მოაზროვნის კვალდაკვალ აშკარად ხედავდა, რომ უკვე იმ დროისათვის არსებული რეალური ვითარება, განსაკუთრებით კი გაძლიერებული ურბანიზებული ყოფისა და ინფორმაციული ბუმის წიაღში ჩამოყალიბებული ადამიანები, მათთან ერთად კი ისტორია და კულტურა ღრმა კრიზისში შედიოდა. ორტეგა ევროპის კრიზის მთავარ ნიშნებად რამდენიმე ძირითად ფაქტორს მიიჩნევდა. მათ შორის:

ა) კულტურალიზმი, ანუ სიცოცხლის ღირებულებათა მიმართ კულტურის ღირებულებათა დაპირისპირება და ამ უკანასკნელთათვის უპირატესობის მინიჭება.

ბ) დაქირავებული შრომის აბსოლუტიზება, რაც საფუძველს უყრის „ადამიან-მასის“ წარმოშობის პროცესს. ეს უკანასკნელი კი გაბატონებულ ადგილს იჭერს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მიუხედავად იმისა, რომ არც განსაკუთრებული განათლება აქვს და არც მაღალი პროფესიონალიზმი თამამად ირგებს „თვითკმაყოფილი ვაჟბატონის“, „ცრუ არისტოკრატის“ ნიღაბს და ერთადერთი საფიქრალი აქვს, ესაა საკუთარი კეთილდღეობა და მასზე ზრუნვა.

გ) რჩეული უმცირესობის (ინტელექტუალური ელიტა) კატასტროფული სიმცირე.

ორტეგას აზრით, ასეთი ჩიხური სიტუაციიდან თავის დასაღწევად აუცილებელად უნდა მომხდარიყო ღირებულებათა გადაფასება, იმდროინდელი ევროპის კულტურის ახალი სიმკტომების, ახალი მახასიათებლების გათვალისწინებით. ამისათვის კი აუცილებელი იყო, თავის დროზე ნატურალიზმის მიერ დაფუძნებული სიცოცხლის ორიენტირების შეცვლა(5.26-27)

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ პროცესები, რომლის შესახებაც ორტეგა-ი-გასეტი, მისი წინამორბედნი თუ თანამედროვენი სუბრობდნენ, მიმდინარე ეტაპზე ბევრად უფრო შორს წასული და გამძაფრებულია. ამასთან, თანამედროვე საინფორმაციო სივრცის და გლობალური ეკონომიკური გადაჯაჭვულობის ფენომენის მეოხებით კრიზისის მასშტაბები ელვისებური სისწრაფით იზრდება, ფართოვდება მისი არეალი, თუმცა უცვლელი რჩება მოთხოვნა – ადამიანი არ ჩამორჩეს აღნიშნულ პროცესებს, არ გაირიყოს რეალობიდან, რადგან მხოლოდ მას ძალუძს ჩიხური სიტუაციიდან გამოსასვლელი გზების პოვნა.

ადამიანის შესაძლებლობათა შესახებ ჩამოყალიბებული ეს უპირობო რეფლექსია ცარიელი სიტყვები არ არის, თუმცა გარკვეული კითხვა მაინც ჩნდება კერძოდ, როგორ ადამიანზეა აქ საუბარი. როგორი თავისუფლებითა და პასუხისმგებლობითაა დატვირთული ადამიანი-პიროვნება, რომელსაც ძალუძს თავის თავზე აიღოს ეს ურთულესი მისია, რათა

კრიზისით მოტანილი წინააღმდეგობების დაძლევის პროცესი აუცილებელი პროგრესით დასრულდეს. (2,289)

დღეს აღარავინ კამათობს იმის თაობაზე, რომ თანამედროვე ადამიანის შესახებ კულტურულ-ანტროპოლოგიური წარმოდგენა ძირეულად განსხვავდება ტრადიციული ნატურალისტური გაგებისაგან. უფრო მეტიც, იგი თავისი არსით ანტინატურალისტურია და ადამიანის სპეციფიკას სწორედ იმაში ხედავს, რითაც იგი ნატურისაგან, ანუ ბუნებისაგან განსხვავდება. ამ თვალსაზრისით წარმოდგენილი ადამიანი ამდღეულია ნატურაზე, იგი „ღიაა სამყაროსადმი“, აქტიური ღირებულებითი დამოკიდებულებების საფუძველზე მოქმედებს და ამ გზით სრულყოფს როგორც გარემომცველ რეალობას, ასევე საკუთარ არსებასაც.

აღნიშნული პროცესების შეუქცევადობა და მისი პროგრესირებადი ხასიათი კი თავის მხრივ დაკავშირებულია საზოგადოებრივი განვითარების ისეთი მოდელების არსებობასთან, სადაც სრული ძალით ვლინდება პიროვნების თავისუფლება და იქმნება ხელშემწყობი პირობები მაღალი მორალური შინაარსის მატარებელი ქცევითი საქმიანობის გასაშლელად. (2,22)

ცნობილია, რომ გასული საუკუნეების ფილოსოფიურ-ანტროპოლოგიური თვალსაზრისები ადამიანის, მისი თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ხასიათის შესახებ, ერთმანეთის გამომრიცხავ, ზოგჯერ კი წინააღმდეგობრივ იდეებზე იყო დაფუძნებული.

რენესანსის შემდგომი პერიოდის ფილოსოფიურ აზროვნებაში ადამიანი განიხილებოდა, როგორც სამყაროს ცენტრში მდგომი არსება, რომელსაც არა მარტო შეუძლია, არამედ, უბრალოდ მოვალეცაა იბატონოს სამყაროზე, ბუნებაზე, რათა გარდაქმნას და გადააკეთოს ეს უკანასკნელი საკუთარი მოთხოვნილების გათვალისწინებით. ამ ტიპის აზროვნებასა და კულტურაში გაფეთქებული იყო რაციო და, შესაბამისად, რაციონალიზმი, რომელიც მეცნიერულ მიგნებების წყალობით კორექტირებას უკეთებს ღვთით ბოძებულ რეალობას და აყალიბებს საკუთარ ადამიანურ მოთხოვნილებებზე მომართულ სარგებლიან გარემოს. აღნიშნული თვალსაზრისი თავის პოპულარობას ინარჩუნებდა პოსტმოდერნისტული ფილოსოფიური აზროვნების გამოჩენისა და შესატყვისი კულტურის ტიპის ჩამოყალიბება-განვრცობის ეტაპის დადგომამდე. პოსტმოდერნში ადამიანი აღარ განიხილება როგორც სუვერენული, დამოუკიდებელი და სამყაროს მამოძრავებელი თვითკმარი სუბიექტი. სწორედ ამგვარი ამოსავალი პოზიციის გამო პოსტმოდერნიზმში პოპულარული გახდა ყოვლისშემარყეველი და ყოვლის გამკილავი „ინტელექტუალური ნიჰილიზმი“, „სოციალური სკეპტიციზმი“ და „პოლიტიკური ცინიზმი“. აღნიშნული თვალსაზრისები ასაზრდოებდა XX ს-ის გარკვეული პერიოდის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ აზროვნებას და საკუთრივ ხელოვნების სფეროს. მომდევნო ეტაპზე ამგვარ თეორიასა და პრაქტიკას სულ მკაცრად უპირისპირდება თეორიული გააზრებები, რომელიც დამყარებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინფორმაციული საზოგადოების და, საერთოდ ინფორმაციონალიზმის ფენომენის სრულიად ახლებურ გაგებაზე. ნათელი ხდება, რომ თანამედროვე ტექნოლოგიურ პროცესებზე დაფუძნებული ინფორმაციის მეცნიერება, მისი ფლობა თუ გადაცემა, თანაც გარკვეული იდეოლოგიური აქცენტებით აშკარად იწვევს ძალაუფლების წარმოშობასა და მწარმოებლურ-ეკონომიკური საქმიანობის სასურველი ტიპის ჩამოყალიბებას. (4.50-55)

ინფორმაციონალიზმის საყრდენია ინფორმაციული ტექნოლოგია, რომელსაც შესწევს უნარი ახლებურად წარმოაჩინოს ადამიანური მოღვაწეობის საყრდენი ელემენტი-ინფორმაცია, უზრუნველყოს მისი ადაპტირება, გადაცემა-გავრცელება და ამით მოძრაობაში მოიყვანოს სოციალური პროცესები. ინფორმაციული ტექნოლოგიების და მათთან დაკავშირებული პროცესები ქმნიან ე.წ. „სოციალურ ქსელებს“, რომლებიც თავისი ერთგვარი „ქსელური ლოგიკით“ უზარმაზარ ზეგავლენას ახდენენ როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ პროცესებზე. ნათქვამის პრაქტიკულ დადასტურებას წარმოადგენს უკანასკნელი პერიოდის ე.წ. „არაბული რევოლუციების“ ტალღა და მისი გამოვლინებანი

მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, რომელთა ორგანიზებაც სწორედ „სოციალური ქსელების“ მეშვეობით ხდებოდა და ხდება.

ამრიგად, საქმე გვაქვს ახალ რეალობასთან, რომელმაც მოიცვა, როგორც საზოგადოება და კულტურა, ასევე ადამიანის ყოფა მათი უფლებებისა და თავისუფლების გამოვლენის სფეროები.

უნებლიეთ იბადება ტრადიციული კითხვა – ასეთ შემთხვევაში ხომ არ ჩნდება საფრთხე იმისა, რომ ექვექვემ დადგეს პიროვნების თავისუფლების საკითხი და დარჩება თუ არა იგი სამომავლოდ საზოგადოებრივი პროგრესის უმაღლეს კრიტერიუმად?

აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ამთავითვე შეიძლება გაეცეს – როგორი ტიპის საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც არ უნდა ჩამოყალიბდეს და რა სიახლეების მოწმენიც არ უნდა გავხდეთ უახლესი ათწლეულების მანძილზე მათ პროგრესულობაზე საუბარიც კი დაუშვებელი იქნება თუ კი შეიზღუდება პიროვნების თავისუფლება და მის ავტონომიურობას რაიმე საფრთხე დაემუქრება. (4,130-135)

როდესაც პიროვნების, საზოგადოდ ადამიანის თავისუფლებასა და ავტონომიურობაზე ვსაუბრობთ, აქ მხედველობაში ის გარემოება გვაქვს, რომ ადამიანი სწორედ თავისუფლების მეოხებით ახერხებს თვითრეალიზაციას და საკუთარი მეობის გამოვლენას. ადამიანი, როგორც უკვე აღინიშნა მთლიანობით არ არის ჩართული ბუნებრივი დეტერმინაციის სისტემაში. ამის გამო თავისუფლება მისი არსებობის წესია, ესაა ძალა, რომელიც არ „ასვენებს“ ადამიანს და აღძრავს მის ქმედებას. თავისუფალია ის ვინც საკუთარ თავს განაგებს, ანუ ვინც ფლობს საკუთარ თავს. ესაა სივრცე, რომელიც მოიცავს „მინდას“ და „უნდას“, ანუ თავისუფალი მოქმედებისაკენ სწრაფვის პასუხიმგებლობასთან მორიგების ვრცელ სამყაროს.

როდესაც ადამიანის, პიროვნების თავისუფლებაზე ვმსჯელობთ, კარგად უნდა გვესმოდეს, რომ აქ საუბარი არ არის აბსოლიტურ თავისუფლებაზე. ადამიანს უბრალოდ არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს შინაგან და გარეგან დეტერმინანტებს. ესაა თანდაყოლილი მიდრეკილებები, ხასიათის ტიპი. მემკვიდრეობითი თვისებები... ამ მიმართულებით ადამიანის თავისუფლების ხარისხის ზედა ზღვარი საკუთარი თავის კარგად შესწავლასა და ცნობაზე გადის. ამასთან არის დატერმინანტების სხვა ჩამონათვალი, რომელიც ადამიანის ირგვლივ და მის იქით ძევს. ესაა სოციალური გარემო და იქ მიმდინარე პროცესები, რომელთათვისაც ანგარიშის გაუწევლობა, უბრალოდ შეუძლებელია. უკვე ეს გარემოება ნათელს ხდის, რომ ადამიანის თავისუფლებას ფარდობითი ხასიათი აქვს.. ამგვარ ფარდობით სივრცეში ადამიანი ნებისყოფის საშუალებით არეგულირებს საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საკითხს, მეორეს მხრივ, კი არჩევანის მეოხებით აწესრიგებს სოციალური გარემოს ფაქტორებისადმი ურთიერთობის პრობლემებს. მარტინ ჰაიდეგერი თავისუფლების არსს იმაში ხედავდა, რომ ადამიანი მისი მეშვეობით გადალახავს ყოფნის მიღწეულ დონეს და უფრო სრულყოფილი ყოფნისაკენ მიემართება. ეს მოძრაობა დაუსრულებელია, რადგან ადამიანი აბსოლუტურად სრულ ყოფნას ვერც ვერასოდეს მიაღწევს. რაღაც ამდაგვარი სჭირს საკაცობრიო პროგრესსაც, რადგან ისიც ერთი დროებითი იდეალიდან მეორისაკენ მოძრაობს. მარადიული როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მხოლოდ მოძრაობაა და არა იდეალი. აღნიშნული გარემოება, ვფიქრობთ გარკვეულ მინიშნებასა თუ პასუხს შეიცავს ჩვენს მიერ ზემოთ დასმულ კითხვაზე – კრიზისული ეპოქის რეალობის ფონზე ხომ არ ჩაყლაპავს, ხომ არ გადაფარავს პროგრესის მაღალი მაჩვენებლები ადამიანურ თავისუფლებათა სპექტრს. ვერ გადაფარავს, რადგან პროგრესი, სოციალურ-პოლიტიკური პროცესები წინ ვერ წაიწევენ, ვერ შედგება მამძიბელი და ახლის პოვნაზე ორიენტირებული თავისუფალი ადამიანის გარეშე. თავისუფლების მოხელთება და სასრული სახით მისი ფლობა შეუძლებელია. ამიტომ თავისუფლება ისაა რაც არის და რაც უნდა იყოს. ამასთან, რაც უნდა იყოს, ანუ თავისუფლების ჯერარსული დონე ვარიანტულია და არჩევანის შესაძლებლობას ტოვებს. ეს ნიშანი არის, სწორედ საზოგადოებრივი პროგრესის განმსაზღვრელი კრიტერიუმი. თუ კი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების რომელიღაც დონეზე ყოფა ისე მოეწყობა, რომ იგი შეზღუდავს ადამიანის

არჩევანის თავისუფლებას, გააუარესებს მის სოციალურ გარემოს, მოახდენს უნარ-ჩვევების სტანდარტიზაციას, გაადვილებს მასების ვიტალურ ამბიციებს, მოაკლებს მათ სულიერებას, მაშინ თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ სახეზე გვაქვს რეგრესი და არა პროგრესი. თეორიულად ამგვარი რამ, ცხადია, შესაძლებელია და კაცობრიობამ საამისო მაგალითებიც იცის.

სამწუხაროდ, კრიზისების ეპოქის რეალობები ამგვარ საფრთხეებს ზრდის, თუმცა იგი საბოლოო ჯამში ადამიანის წინსვლას, მისი უფლება-მოვალეობების შესახებ მაღალ ფილოსოფიურ-ეთიკურ წარმოდგენებს ვერ მოხსნის, ვერ შეაბრუნებს და ვერც გააუქმებს.

ექვგარეშეა, რომ რაც უფრო მაღალია პიროვნების თავისუფლების ხასიათი და არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოდელში მისადმი დადებითი დამოკიდებულობის მაჩვენებლები, მით უფრო ადვილად დამლევადია ნებისმიერი კრიზისი თუ დაბრკოლებანი პროგრესის გზაზე. (1,45)

ვფიქრობთ, ამგვარი მიდგომა პიროვნების თავისუფლების საკითხისადმი უნდა განხორციელდეს, როგორც კრიტერიუმი საერთო საზოგადოებრივი პროგრესისა. ამ გაგებით პიროვნების თავისუფლების საკითხი თავისთავად იძენს უნივერსალური, ზოგად-სოციოლოგიური კრიტერიუმის სახეს, რომელიც თავისი უნივერსალობის გამო გამოსადეგი, მისაღები და დასაყრდენი ხდება, თუნდაც კრიზისების ეპოქის სოციალური ყოფის, კულტურისა და თვით ხელოვნების ცალკეული დარგების პროგრესულობის მაჩვენებელთა შესაფასებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბალანჩივაძე რევაზ,(2011), *ანთროპოლოგიური პედაგოგიკა*, თბილისი:უნივერსალი
2. ბალანჩივაძე რევაზ,(2010), *ფილოსოფიური და პუბლიცისტური წერილები*, თბილისი: უნივერსალი
3. Л. Хьелл, Д. Зиглер,(2003), *Теории Личности*, 3-е Международное издание, Питер
4. В. Грант,(1991), *Эволюционный Процесс*, Москва: Мир
5. Е.Н. Кравцева.(1974), *«Массовая культура» и проблемы личности*, Москва: Наука
6. Гассет Хосе Ортега,, (1991), *Дегуманизация искусства* , Москва: Радуга

Irma Shioshvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Place of Person's Freedom in Globalized Society-Political Model of Crisis Epoch

Abstract

The modern world is characterized with sharply identified crisis signs. In such social – political life person's freedom issue gains new measurement, this because of its universal importance preserves the function of the highest criteria of progress again.

Key words: freedom, progress, society-political model, crisis

საკვანძო სიტყვები: თავისუფლება, პროგრესი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოდელი, კრიზისი

შედარების თარგმნის ზოგიერთი ასპექტი ზღაპრებში

(ნ. მათიკაშვილის „ინგლისური ხალხური ზღაპრების“ თარგმანების მიხედვით)

ტროპი, როგორც გამოსახვის ენობრივი ფორმა, როგორც წესი, ორგანულად უკავშირდება შინაარსს, სიტყვებისა და ფრაზების პირდაპირი მნიშვნელობის გადატანითი აზრობრივი დატვირთვით გამოიყენება და ხელს უწყობს ახალი ესთეტიკური ღირებულების მიღებას. ენის გამომსახველობითი საშუალებებისაგან არც ერთს არ აქვს აბსოლუტურად დამოუკიდებელი მნიშვნელობა, არც ტროპებია გამონაკლისი. ტროპები გარკვეული ხერხია, რაც ხელს უწყობს ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის მთლიანობის უზრუნველყოფას [ანთაძე, 2014].

კვლევა ეხება ენობრივი გამომსახველობითი საშუალების შედარების თარგმნის ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხებს ზღაპარში, ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნის პირობებში. კერძოდ კი, ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს ნანა მათიკაშვილის „ინგლისური ხალხური ზღაპრების“ ქართული თარგმანები.

ინგლისური ხალხური ზღაპრები გამოირჩევა ტროპული მეტყველების მრავალფეროვნებით. ენობრივ-სტილისტიკური გამომსახველობის საშუალებათა შესწავლისას ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში ყველაზე მეტად ტროპული მეტყველების ისეთ სახეს ვხვდებით, როგორიცაა: შედარება.

შედარება ტროპის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი სახეა. ეს არის „გამოსახვის სტილისტიკური ხერხი, მხატვრული დახასიათების ერთ-ერთი ფორმა... ტროპის ისეთი სახეა, სადაც საგნები და მოვლენები შეფარდებულია, შეპირისპირებულია ერთმანეთთან გარეგნულად მსგავს ან შინაგან დამახასიათებელ ნიშან თვისებათა გადატანის საფუძველზე“ [ჭილაია, ა., ჭილაია, რ. 1984: 335].

„შედარება ძალზე გავრცელებულია ენის ყველა ტიპსა და გადმოცემის სახეში. უმრავლეს შემთხვევაში შედარება დასრულებულ ფრაზას (წინადადებას) წარმოადგენს“ [გვენცაძე, 1974: 51].

მოგეხსენებათ, თარგმანზე მუშაობა ურთულესი, მაგრამ უაღრესად საინტერესო პროცესია. მთარგმნელი ვალდებულია, „მთლიანად და მაქსიმალურად ზუსტად გადმოსცეს დედნის შინაარსი და შეინარჩუნოს ორიგინალის ტექსტში აქტივიზირებული ექსპრესიული ლექსიკა თარგმანის ენის ტიპიზებული სტილისტიკური ხერხების ან მოზაიკური ხერხების გამომსახველობითი საშუალებების

გამოყენებით [თარგმნის ლექსიკონი, 2001: 136], რაც პრაქტიკულად საკმაოდ რთული განსახორციელებელია. „მთარგმნელის წინაშე ხშირად დგება საკითხი, რამდენად ემთხვევა ფუნქციითა და ღირებულებით მის მიერ შერჩეული ენობრივი საშუალებები დედნისას, რამდენად შეძლებს ის თარგმანის მკითხველამდე დედნის სათქმელის სრულყოფილად მიტანას [ფანჯიკიძე, 2005: 30] და მრავალი სხვა.

თარგმნის პროცესში „მთარგმნელი განუწყვეტლად იბრძვის ორი ენის შესაყარზე, არცერთ ენას არ უშვებს მხედველობის არედან, ერთმანეთს უპირისპირებს მათ კანონებს, ჩადის თითოეულის სიღრმეში [ფანჯიკიძე, 2005: 31], რაც მისგან გულმოდგინებასა და უდიდეს შრომისმოყვარეობას მოითხოვს.

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში პერსონაჟის დახასიათების დროს ეს იქნება ცხოველი, თუ ადამიანი, მოქმელი აშკარად მიმართავს შედარების ხერხს და ასე წარმოგვიდგენს ზღაპრებში.

აღ. ლლონტი აღნიშნავს [ლლონტი, 1966: 284], რომ შედარება გულისხმობს ამა თუ იმ გარკვეული ნიშან-თვისების, სიდიდე - სიძლიერის მთლიანად ან ნაწილობრივ შეტოვებას მეორე საგანთან. ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში, ხშირად გვხვდება ისეთი შემთხვევები,

როდესაც პერსონაჟის ნიშან-თვისებებს მთქმელი სიდიდე - სიმდიერის შეტოლებით გადმოსცემს და შედარებას ამ ფორმით წარმოგვიდგენს თხრობაში. ეს მთქმელს ესაჭიროება აღწერილი საგნისა თუ მოვლენის მხატვრული დახასიათებისათვის.

„I am a giant with three heads, and besides thou knowest I can fight five hundred men in armour, and make them fly like chaff before the wind“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackgiantkiller.html>

„სამთავიანი გოლიათი, ხუთასი მეომარი ვერაფერს დამაკლებს, სულ ყველას ბუზივით ვიფრენ“ [მათიკაშვილი, 1983:265].

„The giant roared out at this like thunder: ‘Who’s there?’“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackgiantkiller.html>

„ვინ არის? _ გრგვინვასავით გაისმა გოლიათის ღრიალი“ [მათიკაშვილი, 1983: 25].

“Here, late at night, he found a lonesome house, and knocked at the door, which was opened by an aged man with a head as white as snow“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackgiantkiller.html>

“მთის ძირში ეულად მდგარი სახლი დაინახა, ჭიშკართან მივიდა და დააკაკუნა, კარები მოხუცმა კაცმა გაუღო, რომელსაც თოვლივით თეთრი თმა და წვერი ჰქონდა”

დედანში მოცემული შედარებები ძირითადად სწორად აისახება თარგმანებში:

„like chaff before the wind - ყველას ბუზივით ვიფრენ“, „like thunder - გრგვინვასავით“, „as white as snow - თოვლივით თეთრი“.

გმირის არაჩვეულებრივობა ინგლისურ ხალხურ ზღაპარში, შეტოლების ნიშნით გამოიხატება. ეს განსაკუთრებულობა კი, ზღაპარში დაბადებისთანავე იჩენს ხოლმე თავს და იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამზავი სწორედ ამ „სხვანაირ“ ბავშვს შეეხება. „ცერის ოდენა - thumb“ შედარების საუკეთესო ნიმუშს გვაძლევს. დედანში მოცემული შედარება ძირითადად სწორად აისახება თარგმანში:

„Accordingly, in a short time after, the ploughman's wife had a son, who, wonderful to relate! was not a bit bigger than his father's thumb“ <http://www.sacred-texts.com/neu/eng/eft/eft26.htm>

„სულ მოკლე ხანში ქალს ბიჭი შეეძინა, ბავშვი არც მეტი, არც ნაკლები, მამის ცერის ოდენა თუ იქნებოდა“ [მათიკაშვილი, 1983: 73].

ტროპის ეს სახე გულისხმობს საგნებისა და მოვლენების შედარებას ერთმანეთთან რაიმე ნიშნის მსგავსების საფუძველზე, მაგრამ იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ მხატვრული შედარების პროცესში საგნიდან საგანზე ნიშან – თვისებათა გადატანა უნდა ხდებოდეს მხოლოდ მხატვრულ – გამომ- სახველობითი მიზნით [ანთაძე, 2014].

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში შედარების ეს ხერხი კარგად ჩანს, ზღაპრის პერსონაჟის დახასიათებისას, ანდა, მისი ფიზიკური აღწერილობის დროს. ინგლისურ ზღაპრებში ზოგჯერ შედარება, ამომწურავად და მხატვრულად მიმზიდველად ახასიათებს პერსონაჟებს.

ქვემოთ მოყვანილი ზღაპრის ერთ-ერთ მაგალითში ვხვდებით ისეთ პასაჟებს, სადაც აღწერილია გოლიათის გარეგნული მხარე, სადაც მხატვრულად არის შედარებული თვალები აგიზგიზებულ ცეცხლთან, ლოყები შებოლილი ღორის ხორცის ნაჭრებთან, ჯაგრიანი წვერი რკინის მავთულთან, ხოლო მის განიერ მხრებზე ჩამოშვებული თმები კი ჩხრიალა გველებთან.

„His goggle eyes were like flames of fire, his countenance grim and ugly, and his cheeks like a couple of large flitches of bacon, while the bristles of his beard resembled rods of iron wire, and the locks that hung down upon his brawny shoulders were like curled snakes or hissing adders“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackbeanstalk.html>

„გოლიათი გადმოკარკლული თვალებიდან ცეცხლს აკვებსებდა, ლოყები ვაშლივით დაბრაწოდა, განიერ მხრებზე ჩამოშვებული თმები კი ჩხრიალა გველებს მიუგავდა“ [მათიკაშვილი, 1983: 29].

დედანში მოცემული შედარება თარგმანშიც აისახება, იმ განსხვავებით, რომ შესადარებელი საგანი თარგმანში შეცვლილია. დედანთან მისი შედარებისას თარგმანში შეინიშნება გარკვეული ცვლილებები. თარგმანი აცდენილია დედანისეული ტექსტის

შინაარსს, რაც თარგმანში არასწორი ეკვივალენტების მისადაგებით აისახება. კერძოდ, დედანში მოცემული ფრაზა „*his cheeks like a couple of large flitches of bacon*“ ქართულ თარგმანში გადმოტანილია, როგორც „*ლოყები ვაშლივით დაბრაწოდა*“, რაც არასწორია და არ შეესაბამება ტექსტში მის ადეკვატურ თარგმანს ე. ი. შეცვლილია ზღაპრის თარგმანში შესადარებელი საგანი.

რაც შეეხება შემდეგ ფრაზას - „*his beard resembled rods of iron wire*“ მთარგმნელს ამოღებული აქვს საერთოდ ტექსტიდან და არ აქვს ნათარგმნი.

ახლა განვიხილოთ დედანში ისეთი პასაჟები, სადაც აშკარად იკვეთება მეტაფორული შედარების მაგალითები:

„And soon he heard it coming, roaring and raging from afar off, and at last it came near, spitting fire, and with a tongue like a great spear“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/littlebullcalf.html>

„ცოტა ხნის შემდეგ არემარე გამძვინვარებული გველემავის ღრიალმა გააყრუა. ურჩხული იმ ადგილისაკენ მოდიოდა, სადაც მსხვერპლი ეგულებოდა, მალიმალ აჩენდა ნიჩბისოდენა ენას, ხახიდან ცეცხლს აფრქვევდა და შემზარავად ღრიალებდა“ [მათიკაშვილი, 1983: 54].

როგორც ვხედავთ, დედანში მოცემული მეტაფორული შედარება თარგმანში არ აისახება. მთარგმნელს არ აქვს გადმოტანილი მხატვრული მეტყველების ეს თავისებური შედარების ხერხი. ის პირდაპირ გადმოგვცემს, რომ პირიდან ყრიდა ცეცხლს და აჩენდა ნიჩბისოდენა ენას. დედანში კი, ენა შედარებულია სასროლ შუბთან, ანუ აჩენდა ენას, როგორც სასროლი შუბი, რაც მთარგმნელს ამოღებული აქვს საერთოდ დედანიდან.

„The beanstalk grew up quite close past Jack’s window, so all he had to do was to open it and give a jump on to the beanstalk which ran up just like a big ladder“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackbeanstalk.html>

„იქვე სულ ახლოს, ფანჯარასთან, იმ მარცვლებიდან, დედამ რომ ბაღში გადაყარა, საოცარი მცენარე ამოსულიყო, ერთი ღამის განმავლობაში ტანი აეყარა, ისეთი მაღალი გაზრდილიყო, რომ თვალს ვერ აუწვდენდი, ღეროც უცნაურად დაგრეხოდა, გეგონებოდათ კიბის საფეხურებიაო“ [მათიკაშვილი, 1983: 11].

თარგმანში შეინიშნება მთარგმნელის მიერ დამატებული ასეთი ფრაზა „*თვალს ვერ აუწვდენდი*“, რომელიც არ დასტურდება დედანისეულ ტექსტში. აქ, ვფიქრობთ, მთარგმნელმა უფრო მეტი გამმაფრების მიზნით გამოიყენა ამ ადგილას ქართულ ხალხურ ზღაპრებში გავრცელებული ეს ფრაზა და მისცა მას ემოციურ-ექსპრესიული დატვირთვა იმ მიზნით, რომ უკეთ წარმოეჩინა ზღაპარში თხრობა.

ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში შედარება ძირითადად აღმოჩნდა შემდეგი ფორმით: **like - ვით, მსგავსად.**

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მრავალფეროვანი და ზოგჯერ უჩვეულოც არის მთარგმნელის მიერ შემოთავაზებული შესადარებელი საგნები:

So he mounts his Arab steed, and off he goes like a shot out of a gun.
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>

ჯეკი არაბულ რაშს მოახტა და დეზი ჰკრა, რაშიც ტყვიასავით მოსწყდა და წინ გაიჭრა [მათიკაშვილი, 1983: 114].

„Making nothing of carrying half a dozen oxen on his back at a time; and as for their sheep and hogs, he would tie them round his waist like a bunch of tallow-dips“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackgiantkiller.html>

“არაფრად უღირდა ერთბაშად ექვსიოდე ხარი მოეგდო ზურგზე, ცხვარსა და ღორს ხომ პირდაპირ ქამარზე იკიდებდა ხოლმე *მწერებივით*“ [მათიკაშვილი, 1983: 18].

დასახელებული პირველი მაგალითიდან ირკვევა, რომ დედანში მოცემული შედარება ძირითადად სწორად აისახება თარგმანში „*like a shot out of a gun - ტყვიასავით მოსწყდა*“.

ანალიზური ფორმა like - ვით, სიტყვის წარმოება მთარგმნელს გადმოტანილი აქვს თარგმანში სიზუსტით. ამდენად, მოცემული პასაჟი დედანთან მიახლოებული ვარიანტია და ზღაპრის თარგმანში ტროპისგან მიღებული ეფექტიც შესაბამისია.

რაც შეეხება მეორე მაგალითს, დედანში მოცემული შედარება თარგმანშიც აისახება, იმ განსხვავებით, რომ შესადარებელი საგანი თარგმანში შეცვლილია, კერძოდ, დედანში მოცემული „*tallow-dips*“, თარგმანში სიტყვა „*მწერებით*“ არის შეცვლილი. რადგანაც „*tallow - dips*“ თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე ნიშნავს ქონში ამოვლებულ და გაკეთებულ სანთელს, ჩვენი აზრით, ეს ერთგვარი მინიშნებაა ზღაპარში პერსონაჟის დიდ ძალაზე. მთარგმნელმა ალბათ სწორად შეცვალა ის მწყერით, რაკი ნანადირევი მწყერი მსუბუქი იყო სანთელივით, რომელსაც ის წელზე შემორტყმული ქამარზე გასაკეთებლად იყენებდა.

მათიკაშვილი ინგლისური ზღაპრების თარგმნისას, ხშირად იყენებს როგორც დამატებით, ასევე შეცვლა - ჩანაცვლების გრამატიკული ტრანსფორმაციის მეთოდებს. მათი საშუალებით წინადადების სტრუქტურაში ის ახდენს გარკვეულ ცვლილებებს ლექსიკური თვალსაზრისით. სანიმუშოდ მოვიყვანოთ მაგალითები:

“When the giant saw the work done he was in a rage, and said: 'I've a worse job for you tomorrow’” <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/nixnought.html>

“როცა გოლიათს ეს დავალებაც შესრულებული დაუხვდა, სიბრაზისგან ჭარხალივით გაწითლდა და დაიღრიალა”: [მათიკაშვილი, 1983: 129].

როგორც ვხედავთ, დედანში არ არის დასახელებული სიტყვა „*ჭარხალივით*“. მთარგმნელი ამ სიტყვას იმის გამო ამატებს თარგმანში, რომ წითელ ფერთან აიგივებს გოლიათის გაბრაზებას ზღაპრებში და მას უფრო მეტი სიმძაფრისათვის გადმოსცემს, რაც უფრო მეტ ორიგინალურობას სძენს ზღაპრის ნარატივს.

“Now Jack, about four months afterwards, walking near this wood in his journey to Wales, being weary, seated himself near a pleasant fountain and fell fast asleep” <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackgiantkiller.html>

“ერთ დღეს ჯეკი შორეული მოგზაურობიდან მშობლიურ უელსში ბრუნდებოდა. გზად სწორედ ამ ტყეზე უნდა გაევიღო. დაღლილ-დაქანცული ბიჭი წყაროსთან ჩამოჯდა და მაშინვე მკვდარივით ჩაეძინა” [მათიკაშვილი, 1983: 20].

ორიგინალიდან ამ მაგალითის თარგმნისას მთარგმნელს დამატებული აქვს სიტყვა „*მკვდარივით*“, რაც დედნისეულ ტექსტში სრულიად არ დასტურდება.

დედანში მოცემული წინადადება ასეთი შინაარსისაა: „ბიჭი წყაროსთან ჩამოჯდა და მაშინვე ჩაეძინა“. ვფიქრობთ, მთარგმნელმა გრამატიკული ტრანსფორმაციის მეთოდის გამოყენებით, დაამატა სიტყვა „*მკვდარივით*“, ზღაპრებში ექსპრესიის გაძლიერების მიზნით. ზღაპარში ამ სიტყვის დამატება, წინადადებაში მხატვრულ მთლიანობას ემსახურება და ამდენად გამართლებულია.

კვლევისას აღმოჩნდა, რომ ხშირ შემთხვევაში დედანში წარმოდგენილი შედარებები მთარგმნელს არ აქვს ნათარგმნი და სრულიად ამოღებული აქვს ზღაპრის შინაარსიდან ის ძირითადი ფრაზა, სადაც შედარება უფრო ეფექტურს და მხატვრულად მიმზიდველს ხდის ზღაპრის ნარატივს. მაგალითად:

„The young man went to bed, and had a good night's rest, and got up the next morning as fresh as newly caught trout. Breakfast being over, he out comes the other horse“..... <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>.

დედანში დასტურდება შედარება, რომელიც შემდეგნაირად გვხვდება: „*got up the next morning as fresh as newly caught trout - ყმაწვილი მეორე დილით ადგა, როგორც ახლად დაჭერილი კალმახი*“. ახლა ვნახოთ როგორია მისი თარგმნილი ვარიანტი.

„მართლაც, იმ ღამეს უფლისწულმა კარგად გამოიძინა და მეორე დილით ისაუზეს თუ არა, უფროსმა ძმამ საჯინიბოდან ცხენი გამოუყვანა.....“

როგორც ვხედავთ, დედნიდან ამოღებული ფრაზა, რომელსაც ორიგინალში შედარების თვალსაზრისით განსაკუთრებული მხატვრულ-ემოციური დატვირთვა აქვს და

ასევე მიანიშნებს პერსონაჟის სულიერ მდგომარეობაზე, ვფიქრობთ მისი გამოტოვება არასწორია, რადგან ის სრულიად აუბრალოდს თარგმნილ ვარიანტს.

შედარება, საინტერესოაა წარმოდგენილი ერთ-ერთ ინგლისურ ხალხურ ზღაპარში, ადამიანის გარეგნული მდგომარეობის ჩვენების თვალსაზრისით:

„He could scarcely walk from his toe-nails curling up **like ram's horns** that had not been cut for many hundred years, and big long hair“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>

„მოხუცს ცალკე გრძელი თმა უშლიდა ხელს, ცალკე ყოჩის რქასავით დახვეული გრძელი ფრჩხილები“ [მათიკაშვილი, 1983: 116].

თარგმნისას, წარმოდგენილ პასაჟში შედარება ზუსტად აისახება: *“like ram's horns - ყოჩის რქასავით.”*

უნდა აღინიშნოს ის, რომ ხშირ შემთხვევებში თარგმანში და დედანშიც შედარება ეფექტური, სხარტი და მოქნილია.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში მოცემული შედარებები მრავალფეროვანია, როგორც საგნობრივად, ისე შინაარსობრივად. შესადარებელი საგნები, მოვლენები თუ ზღაპრის პერსონაჟები იძლევა ემოციურ ეფექტს, რაც შეძლებისდაგვარად აისახება ჩვენს მიერ განხილულ მათიკაშვილისეულ თარგმანებში.

თარგმანში შეინიშნება მთარგმნელის მიერ დამატებული ფრაზები, მაგალითად „თვალს ვერ აუწვდენდი“, რომელიც არ დასტურდება დედნისეულ ტექსტში. ვფიქრობთ, მთარგმნელმა უფრო მეტი გამძაფრების მიზნით გამოიყენა ქართულ ხალხურ ზღაპრებში გავრცელებული ფრაზა თარგმანებში და მისცა მას ემოციურ-ექსპრესიული დატვირთვა იმ მიზნით, რომ უკეთ წარმოეჩინა ზღაპარში თხრობა.

თარგმანში ხშირად ფიქსირდება, ისეთი შემთხვევები, როდესაც მთარგმნელს არ აქვს გადმოტანილი მხატვრული მეტყველების ეს თავისებური შედარების ხერხი.

ამგვარად, მათიკაშვილის თარგმანების ინგლისური ხალხური ზღაპრების დედანთან შედარების საფუძველზე, გამოვლენილია რიგ შემთხვევებში ხარვეზები თარგმანებში, ენობრივი გამომსახველობითი საშუალების, კერძოდ კი, შედარების გადატანის კუთხით. ეს კი, შესაძლებელია გამოწვეული იყოს, მთარგმნელის მიერ არჩეული არასწორი მეთოდებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანთაძე, გ. (2014). კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიდოსტატის მარჯვენის“ ინგლისური და რუსული თარგმანები, თბილისი.
2. გვენცაძე, ალ. (1974). ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
3. მთარგმნელის ამოცანა (2001). წიგნ.: თარგმანის ლექსიკონი. თბილისი.
4. მათიკაშვილი, ნ. (1983). ინგლისური ზღაპრები. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
5. ფანჯიკიძე, დ. (2005). ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები, თბილისი.
6. ღლონტი, ალ. (1966). ქართული ხალხური ნოველა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
7. ჭილაია, ა. რ. (1984). ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackgiantkiller.html>
9. <http://www.sacred-texts.com/neu/eng/eft/eft26.htm>
10. <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/english/jackbeanstalk.html>
11. <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/littlebullcalf.html>
12. <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>

About Some Aspects of Translating Simile in Folk Tales
(According to the translation of “English Folk Tales” by N. Matikashvili)

Abstract

The article deals with the translation of one of the most important stylistic devices - simile from English into Georgian languages. In this article Simile serves to compare the translations of folk tales basing on their similarity. The presented issue make interesting research material and enable us to analyze the Georgian translation of English folk tales by N. Matikashvili with the help of contrastive studies. Translation from English folk tales into Georgian language are showing the level of explication of comparison in. The impression got by simile in Georgian translations is not as sharp as in the original. At the same time have been observed some inaccuracies, defects and changes in translation process. This may be caused to the wrong methods chosen by the translator.

საკვანძო სიტყვები: შედარება, შეპირისპირებითი კვლევები, ინგლისური ზღაპრები, სტილისტური ხერხები

Keywords: Simile, contrastive studies, English folk tales, trope, stylistic devices.

მამა ილია (ნუგზარ) ჩიკვაძე

საღვთისმეტყველო საკითხები ქართულ ჰაგიოგრაფიაში
(ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიის ზოგადი შტრიხები)

ქართული კულტურა კავკასიური ცივილიზაციის კალაპოტში იღებს სათავეს. საქართველოს სულიერი მობილიზაცია ჩვ.წ. აღ-მდე IV-III ს-ში სახელმწიფოებრიობის სახით დგინდება (სურგულაძე, 3, 1990).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკურსა და კავკასიურ ცივილიზაციებს შორის საკმაო მანძილია, თითქმის ორი ათასწლეული, კავკასიური ცივილიზაცია, 4-3 ათასწლეულის მოვლენაა, ანტიკური კი მეორე ათასწლეულის მე-2 ნახევრის პირმო.

ყოველი საკითხისადმი ადამიანის თუ საზოგადოების მიდგომა განისაზღვრება იმ ეპოქის კულტურული მდგომარეობით. შემდგომ საუკუნეში ეს ყოველივე ნათელს ჰფენს გარდასული პერიოდის სულიერების სურათს და გვაძლევს შესაძლებლობას გვქონდეს წარმოდგენა იმ ეპოქის სულსა და სულისკვეთებაზე.

ქრისტიანული პერიოდი კაცობრიობის ისტორიაში ცნობიერების დაცემის ხანაა, დაირღვა მცნება მორჩილებისა და ცოდვით დაეცა ადამი. დაცემის შემდეგ წუთისოფელში სიკვდილი შემოხდა და ქრისტიანული პერიოდი, საღვთისმეტყველო თავისაზრისით, დედამიწაზე სიკვდილის ბატონობის ხანაა, დემონური ძალების უღელქვეშმოყვობის არსებობაა (რაფაელი, წერილები, 1997).

„დაითესვის ხრწნილებით და აღსდგების უხრწნილებით, დაითესვის გინებით და აღსდგების დიდებით“ (პავლე, 2009). დაცემის ხანა საფუძველია აღდგინებისა. ღვთის მოწყალება განსაზღვრავს ადამიანთა გადარჩენის შესაძლებლობებს. უკეთურობის, ურჩობის, უგუნურობის მიუხედავად კაცობრიობა აგრძელებს სიცოცხლეს და არარსებობისკენ მიექანება. ესაა ქრისტიანობამდელი ხანის სულიერი მდგომარეობის ამსახველი კარდიოსურათი. ამიტომაც, ავადმყოფობა გადამჭრელ მკურნალობას ითხოვს. ამ სიკვდილისმიერი ყოფის დასამხოზად განხორციელდა სიტყვა ღვთისა, ძე ღმერთი - იესო ქრისტე. აილო ჩვენი ცოდვები ისე, რომ თავად ცოდვა არ განუცდია, ჯვარცმით და აღდგომით მისცა კაცობრიობას თავისი სისხლი და ხორცი მისატყვევლად ცოდვათა.

განახლებისა და აღდგინების სასწაული არსობრივად გამოიხატა სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, მათ შორის ლიტერატურაში.

ურჩობა-მორჩილებით, მრუშობა-უმანკოებით, ამპარტავნობა-სიმდაბლით, სიძულვილი-სიყვარულით, ეს სამკურნალო თვისებები გამოვლინდა უფლის მიერ და დაიწყო სიცოცხლის ხანა - ქრისტეს ეპოქა. იესო ქრისტემ მამა ღმერთს შეარიგა განდგომილი კაცობრიობა სული წმინდის მეშვეობით. ქრისტე უშუალო თანაზიარია მამა ღმერთისა, მაგრამ კაცობრიობა მას სული წმინდის მეშვეობით ეზიარება. წმინდა მამათა შრომებში არის სწავლება, რომ ქრისტიანი უნდა ჰკრეტდეს მამა ღმერთის მარჯვენას, რომელსაც მიყვარათ უფალ იესო ქრისტესთან სული წმინდის მეშვეობით (თეოფანე, 1990). ქრისტე უშუალო თანაზიარია მამა ღმერთისა. იგი არის გზა ჭეშმარიტებისა. აღსრულდა გამოხსნის დოგმატი და ის საკრალური საიდუმლო, რომელიც ბიბლიურად განისაზღვრა ათასწლეულის წინ და სამყაროს მშვენიერების აღქმისათვის ახალი პოსტულატები შეიძინა. შეიცვალა მიმართულება სამყაროსი. დაცემა-აღდგენით, სიკვდილი-სიცოცხლით, ქრისტემდე მართლებიც ჯოჯოხეთში ჩადიოდნენ, ჯვარცმის შემდეგ მონანიე ცოდვილნი სამოთხის მკვიდრნი შეიქმნენ” (რაფაელი, 1991, 03).

ყოველი ეპოქის სულისკვეთება ფორმულირდება გარკვეულ პარამეტრებში, კულტურულ და ზნეობრივ გამოცდილებაში. იგი ასახავს იმ დროის სულიერ დონეს, სულიერ თვალსაზრისს; ცნაურდება, თუ რა არის იმ ეპოქის გასაშინჯავი წერტილი, რა გადასახედიდან აზროვნებს იმ ეპოქის სული.

მაგალითად: ანტიკური გამოთქმა - ლამაზ სხეულში ლამაზი სულია, ზედმიწევნით გადმოგვცემს ანტიკური ეპოქის დაცემული ცნობიერების სურათს, იმდროინდელ დეფორმირებულ აზროვნებას. დეფორმირება არარაობისკენ ლტოლვაა, რაც ფორმას კარგავს. სადაც ფორმა ირღვევა, იქ არარაობასთან გვაქვს საქმე. უფორმოა არარსებობის სიცივეს შეიცავს. ფორმის შექმნა კი თავისთავად სიცოცხლე და სიკეთეა. აქვე შევნიშნავთ, რომ ანტიკური ეპოქის ეს ფორმულა მშვენიერებასთან მიმართებაში ამ დროის აზროვნების მაქსიმუმია, რადგან ქრისტემდე დაცემულობისა და სულიერი დეგრადაციის პირობებში ეს იყო შესაძლებლობების უმაღლესი ზღვარი.

ახლა ვნახოთ რას იტყვის აღდგენილი, ქრისტიანული, ცოდვასთან მებრძოლი ცნობიერება.

იგი იკითხავს, მაშ მახინჯ სხეულში მახინჯი სულიაო? და ამით მოგვცემს სულიერებისაკენ ლტოლვის უმაღლეს ფორმულირებას. ამდენად ქრისტიანული ეპოქა აზროვნებს საპირისპიროდ, მშვენიერების უწმინდეს კრიტერიუმებს განიხილავს სულიერ ასპექტში საღმრთო წერილთან მიმართებაში და სიმახინჯედ, გრიგოლ ღვთისმეტყველისა არ იყოს, სულიერი სისაძაგლეს ასახელებს (ღვთისმეტყველი, 1989, შრომები).

ცხადია, მშვენიერი სხეული ღვთის დიდი წყალობაა, მაგრამ სულიერი მშვენიერების გარეშე მარტო სხეულის სინატიფე ვერაფერი შვილია. ქრისტიანობაში აქცენტი კეთდება სულსა და სულიერებაზე და მშვენიერების აღქმის საფუძველიც სწორედ ქრისტიანულ საფუძველში ძევს. ეს არის ის ერთადერთი და ეპოქალური გარდატეხა, რამაც შეცვალა აზროვნების კრიტერიუმები და მიმართულება ქვემოდან ზემოთ, ცოდვიდან-უცოდველობისაკენ.

ამდენად, აღდგა ურთიერთობა ღმერთთან კაცობრიობისათვის საჭირო, საცხოვნებელ შესაძლებელ ფორმებში. აღდგენილი ცნობიერება ანუ მიმართულება ცოდვიდან უცოდველობისაკენ, ბოროტების გამომრიცხველია, ბოროტება თავისთავად არ არსებულობს, იგი ქმედითობის საწინააღმდეგოა. იგი ეწინააღმდეგება არსებობას. არსებობა კი დაფუძნებულია სიკეთეზე.

ყოველგვარი სიკეთის საწყისი ღმერთია. ღმერთი უმაღლესი სიკეთეა. მშვენიერებაც ღვთისაგან მომდინარე მაღლია, და რაც არსებობს მშვენიერია, რადგან არარსებობა გამორიცხავს მშვენიერებას.

შედარებითობის პრინციპი სიკეთეებისა, რომლის საფუძველი და წყარო უმაღლესი სიკეთეა - ღმერთია, გულისხმობს სუბსტანციების ღმერთთან მიმართებაში საფუძვლიან

გააზრებას - ღმერთზე უკეთესი სიკეთე არ არსებობს, ხოლო ქვემოთ მდგომი სუბსტანციები შედარებით უმდაბლესი სიკეთეები არიან, იმიტომ, რომ ქვემოთ მდგომნი დაქვემდებარებულნი არიან წახდენას, ცვალებადობას. მაგრამ ეს წახდენა, ცვალებადობა, თავისი საბოლოო შედეგებით აღდგინებისაკენ არის მიმართული, ანუ უმაღლესი სიკეთისაკენ (ავგუსტინე, 3, 1992). ასე ვთქვათ, საკითხი დინამიურია და მისი გააზრება-განხილვისას ვრწმუნდებით ქრისტიანული აზროვნების სინატიფესა და ზოგადკაცობრიულ მნიშვნელობაში. ამოსავალი აზრი ანუ გასასინჯი წერტილი ამ აზროვნება-მდგომარეობის აღდგინებაა, ანუ მიმართულება - ქვემოდან ზემოთ.

ცოდვიდან უცოდვილობისაკენ, რათა სრულ იქმნას ღვთისაგან შექმნილი არსება, თავისავე ურჩობით წახდენას, ცვლილებას, ცოდვას, სიკვდილს დაქვემდებარებული. ამ ზემაღალი ცნობიერების გადასახედიდან ბოროტება არ არსებულია, ანუ სიმახინჯე არ არსებობს, ღმერთი უმაღლესი სიკეთეა და სხვა ყველაფერი შედარებით ქვემოთ მდგომია, იმ ქვემოთ მდგომზე კიდევ ქვემოთ მდგომი და ა. შ. ყველა ეს სუბსტანციები, როგორც ზემოთ ითქვა, შედარებითობის პრინციპების საფუძველზე უფრო დაბალი რანგის სიკეთეები არიან. ასე მოდის ეს ქვემოთ, და პირიქით, ქვემოდან ზემოთ, აღდგინებისა და უმაღლესი სიკეთისაკენ. ამ ლოგიკიდან გამომდინარე მთლად წახდენილი და სიკვდილს დაქვემდებარებული, რომელსაც არ ექნება სიკეთის მცირე ნაწილიც კი, არ შეიძლება არსებულად ჩაითვალოს, მცირე ნაწილაკიც სიკეთისა არსებულად ქმნის ღვთივშექმნილ არსებას და ბოროტებას სიკეთის მასშტაბის მიხედვით არარსებულად რაცხავს, რაც წახდენას, ანუ ცვლილებას ექვემდებარება თავისთავად სიკეთეა. სიკეთე და მშვენიერება ერთი და იგივე ცნებაა, ამდენად ესთეტიკის საფუძვლებიც ღვთისმეტყველებაში უნდა ვეძიოთ. ხოლო ესთეტიკური თვალსაზრისები ლიტერატურული თხზულების კვლევისას ერთი მნიშვნელოვანი იარაღი და გზამკვლევაა.

რაც არსებობს ყველაფერი სიკეთეა, რადგან არარსებული არ არსებობს და ამდენად, არ შეიძლება რაიმე იყოს. ხოლო არსებობა თავისთავად ფორმაა, ფორმირება კი კეთებისა და სიკეთის თავისთავად განვითარებაა, ანუ, სიკეთეა თავისი მასშტაბით და გარშემოწერილობით.

ბოროტებაა არა მდინარე, არამედ მდინარეში თავის დახრჩობა, სიკვდილისაკენ მიდრეკილება. წმინდა მამები აზრობენ, რომ ადამიანს სიკვდილის იმიტომ ეშინია, იგი არაბუნებრივი მდგომარეობაა მისთვის.

ადამიანები გაურბიან მძვინვარე საზოგადოებას, რადგან პირველქმნილი ბუნებისათვის იგი არაბუნებრივი მოვლენაა და არარსებობას ნიშნავს.

მახვილი თავისთავად არ არის ბოროტება. მახვილით სამშობლოსაც იცავენ. იმ გადასახედიდან, რომელიც ქრისტიანული აზროვნების მახასიათებელია, ყველა მოვლენა ღვთიური ბეჭდითაა აღბეჭდილი. ყველა მოვლენა მრავალწახნაგოვნად აღიქმება და ამ მრავალწახნაგოვან ფონზე ვითარდება დასიმბოლოებული აზროვნების სტილი.

„ფილოსოფია თუ პირდაპირი, მშრალად გადმოგვცემს თავის დამოკიდებულებას საკითხებისადმი, მწერლობის ხელოვნებას (ხელოვნების კლასიკური განმარტება ხომ სახეებით აზროვნებაა) პოეზიას მართებს სახე-სიმბოლოებით ასახოს თავისი დამოკიდებულებები. ღვთისადმი ადამიანური ლტოლვის მისტიური გამოცდილებები“ (ჩიკვაძე, 2014).

რუსთაველის მიხედვით „შაირობა სიბრძნისაა ერთი დარგია“. შაირობა საღვთისმეტყველო დარგია და ხელოვნების ეს ფორმა საუკეთესოდ გადმოსცემს ადამიანის სულიერ სწრაფვას ზეიდიანებისადმი. აზროვნების ეს სტილი, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ეყრდნობა პეტრე იბერისა და ნეტარე ავგუსტიანეს შრომებს.

„სიმბოლური აზროვნების ფორმა იგავმეტყველებაა, ანუ სახეებით აზროვნებაა. იგი ბიბლიური საუკუნეებიდან იღებს სათავეს. სახარებაში მაცხოვარი მოციქულებს პირდაპირ ესაუბრება, ხოლო უბრალო ადამიანებს იგავებით, რათა უფრო გასაგები გახადოს მათთვის სასუფევლისმიერი სიბრძნე. ლიტერატურული აზროვნებაც, სწორედ ამ პრინციპებს ემყარება, იგავმეტყველების პრინციპს, სახე-სიმბოლოებით აზროვნების პრინციპს, რათა

მაღალიდეური სიბრძნე უფრო ადვილად მისაღები გახდეს ადამიანური აზროვნებისათვის (ჩიკვაძე, 2014).

ფილოლოგიური მსჯელობა მეცნიერული ანალიზის სფეროა, რომელიც ითვალისწინებს მრავალწახნაგოვან გააზრებას არსებული ფილოლოგიური მასალისა, თხზულებისა, ნაშრომისა.

ჩვენს შემთხვევაში, მსჯელობა მოიცავს ლიტერატურული თხზულების ანალიზს ქრისტიანული თვალსაზრისით, განხილვა-შეჯერებას საღვთისმეტყველო წერილთან, წმინდა მამათა შრომებთან, აგრეთვე დასკვნებს, რომელიც სავსებით შესაძლებელია თხზულებათა სწორად, თანმიმდევრულად განხილვის შემთხვევაში.

პირველი სამსჯელო ნაწარმოები, რომელშიც, უხვად მოიპოვება მასალა, ამ თვალსაზრისით, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“.

ქრისტიანული საფუძვლები ესაა ბაზა, საძირკველი, რომელზედაცაა აშენებული თხზულება, ესაა მწერლის მსოფლმხედველობა, რომლის მიღმაც ვეძებთ სახე-სიმბოლოების, ფაქტი-სიმბოლოების და პერსონაჟი-სიმბოლოების ერთობლივ სისტემას, ამასთანავე ამ სისტემაში შესასვლელ გზებს.

„შუშანიკის წამების“ ტრადიციულად არსებული გააზრება რამდენადმე უახლოვდება ჩვენს მსჯელობას. იგი ითვალისწინებს შუშანიკის ქრისტიანული ცხოვრების, მოწამეობის აღწერით თხრობას. არსებული რეალობა მიგვანიშნებს, რომ ვიმსჯელოთ მასზე, როგორც არა მარტო დოკუმენტურად, ოღონდ მხატვრულ-ალეგორიული ფორმებით გადმოცემულ თხზულებაზე, არამედ, როგორც ბიბლიაში, საღვთო წერილში, წმინდა მამათა შრომებში არსებული სიბრძნის მხატვრულ გამონაშუქზე, საღვთო სწავლების ლიტერატურული ფორმით გადმოცემის მისტიურ აქტზე.

პირველი, რაც „შუშანიკის წამების“ კითხვისას არსებული თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას იპყრობს, ესაა მგლოვიარე შუშანიკი. როგორც ტექსტიდან ვიცით, შუშანიკი ქართლის პიტიახშის, ვარსკენის მეუღლეა და სომეხთა მხედართმთავარის ვარდან მამიკონიანის ასულია. ქართლში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება იმდენადაა დაძაბული, რომ თვით ასეთი თანამდებობის მქონე პირი, ვარსკენი, ვერ ინარჩუნებს პიროვნულ თუ მსოფლმხედველობრივ წონასწორობას და საკუთარი საზოგადოებრივი მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით მაზდეანობას იღებს. უფრო მეტიც, სპარსეთისათვის ერთგულების დასამტკიცებლად შეირთავს ცოლს სპარსეთის სამეფო კარზე და ქართლში დაბრუნდება.

„დავარდა იგი ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწართა იტყოდა, საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსკენ, რამეთუ უვარჰყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა არტომანი და შეერთო იგი უღმრთოთა“.

შუშანიკის რეაქცია თითქოს ბუნებრივია. აქ გასაკვირი არაფერი არ არის, იგი როგორც მეუღლე აპროტესტებს მეუღლის ღალატს, თითქოს მოტივაცია ამ ქმედებისა ვარსკენისაგან ცოლის შერთვაა, სინამდვილეში კი, არსებული ვითარების ფესვური განხილვისას, ჩვენს წინაშეა მრავალმხრივი პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირი საღვთო წერილთან და წმიდა მამათა შრომებთან.

„და აწ დამტკიცებულად გითხრა თქვენ აღსასრული წმინდისა და სანატრელისა შუშანიკისი“. - გვითხრობს იაკობ ხუცესი და შევყავართ ქრისტიანობის დამტკიცებისათვის თავდადებული ბრძოლის სამაგალითო სამყაროში.

პირველი რაც ჩვენს ყურადღებას იპყრობს, როგორც ვთქვით, მგლოვიარე შუშანიკია. „დავარდა იგი ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწართა იტყოდა“.

ამ შემთხვევაში შუშანიკის სახე-სიმბოლო, როგორც ქრისტიანულ-მისტიური პარადიგმა გვიმჟღავნებს შემდეგს, რომ შუშანიკის გლოვა მოყვასისათვის გლოვაა, მისი სულისთვის ზრუნვის გამოხატულებაა მასზე დახარჯული და ღოცვაა. აგრეთვე საკუთარი პოზიციის, ზნეობრივ-რელიგიური მრწამსის სიმტკიცისა და სულიერების გამომხატველია.

შუშანიკი სომეხთა მხედართმთავრის ვარდან მამიკონიანის ასულია. ბავშვობიდან ქრისტეს რჯულზე აღზრდილი. მისი მეუღლე ვარსკენ - ქართლის პიტიახში - ძე არშუშანისი,

თავიდან ქრისტიანი, ქრისტიანი მშობლების შვილი, მაგრამ სპარსთა მეფისაგან პატივის მიღების მიზნით განუდგება ქრისტეს და მაზდეანობას იღებს.

„მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაი“.

შუშანიკისთვის ორმაგი განსაცდელი იჩენს თავს. ერთი მეუღლეობრივი, მეორე სარწმუნოებრივი, თუმცა მეუღლეობრივი სარწმუნოებრივთან მჭიდრო კავშირშია, რადგან ქორწინების საიდუმლო ითვალისწინებს ცოლ-ქმრული კავშირის დაურღვევლობას და განსაცდელში ურთიერთშეწევნას (იოანე, 117, 1992). ამდენად, საკითხი ერთგვარად დგას: შუშანიკი მგლოვიარეა როგორც მეუღლე და მართლმორწმუნე და შემწეცაა ვარსკენისა თავისი ქმედებით, რათა შეაგონოს, გააგონოს, რომ მის თავზე მოწვენილია დიდი განსაცდელი ქრისტეს რჯულის უარყოფისა.

„უკეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცხოველმცა ხართ იგიცა და შენცა. უკეთუ სულით მომკვდარ ხართ, მოკითხვაი ეგე შენადვე მიიქეცინ“.

ესაა ვარსკენის მიერ გაგზავნილი მოციქულისადმი პასუხი, სადაც უკვე გამოკვეთილია შუშანიკის, ქრისტეს რჯულის ერთგული მცველის სახე-პოზიცია...

სიცოცხლე ბიბლიურად ღმერთთან ერთობას უკავშირდება. „და ამცნო უფალმან ღმერთმან ადამს და რქვა: ყოვლისაგან ხისა სამოთხისა ჭამით შჭამოთ, ხოლო ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა სჭამოთ მისგან და რომელსა დღესა უკუე შჭამოთ მისგან სიკვდილით მოკვდეთ“ (დაბადება, 1884, 4).

აქ საუბარია ადამის, ღვთის პირმშოს მიერ უფლის მცნების, ამ შემთხვევაში მორჩილების მცნების დაცვაზე, რაც ღმერთთან მისი ურღვევი კავშირისა და ერთობის გარანტიაა. წინააღმდეგ შემთხვევაში „სიკვდილით მოკუდეთ“ ამბობს ღმერთი. სიკვდილი ბიბლიურად ცოდვის ჩადენაა, ღმრთისაგან დაშორებაა. სიცოცხლე კი ღმერთი - ღმერთში მყოფობაა.

„მე ვარ გზაი, ჭეშმარიტებაი“ (მარკოზი, 2009). ამდენად, შუშანიკის განაცხადი ვარსკენის მოციქულისადმი, სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ, სავსებით თანხვედრილია ბიბლიურ სწავლებასთან და საღვთისმეტყველო დოგმატიკის საფუძვლების მიხედვით მოიაზრება, როგორც მსჯელობა ღმერთსა და მის რჯულის აღსრულებაზე (დამასკელი, 2001, 122-132).

ვარსკენის მოციქული, შუშანიკის სიმტკიცის გამო, ვერ გაბედავს სიტყვის დაცდას ვარსკენის უღმერთობაზე, თუმცა შუშანიკი წმინდანისეული ძალით გამოიძიებს ვითარებას და შეიტყობს რომ: „ვარსკენ უარჰყო ჭეშმარიტი ღმერთი“. „ვითარცა ესმა ნეტარსა შუშანიკს დავარდა იგი ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწართა იტყოდა“. ცრემლითა მწართა, გლოვის სახე-სიმბოლო შუშანიკის დამოკიდებულების გამომხატველი სიმბოლოა. უფრო მეტიც, მწარე ცრემლს წინ უძღვის მძაფრი და ღრმად ემოციური მოქმედება: „დავარდა იგი ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა“. ესაა უმხურვალესი გამოხატულება ქრისტიანული მეუღლეობრივი და მაცხოვრისეული სიყვარულისა ზნეობრივი ღვთისმეტყველების თავლასაზრისით (ფილარეტი, 1995, 28).

მეუღლეობრივი კავშირის სწორედ წარმართვა არის გარანტია შთამომავლობის სწორად აღზრდისა, მათზე უფლის მადლისა და კურთხევის გარდამოსვლისა. ამდენად, შუშანიკი საღვთისმეტყველო თვალსაზრისით სავსებით წარმოადგენს ქრისტიანი მეუღლის სამაგალითო სახეს, რაც შემდგომ საფუძვლად ედება მის წმინდანად ჩამოყალიბების ურთულეს პროცესს და მის საზოგადო, სახელმწიფო, საქვეყნო მასშტაბში მოღვაწეობას ადამიანური, ზნეობრივი და სარწმუნოებრივი თვალსაზრისით. ამას ეფუძნება შუშანიკის გადაწყვეტილება პიტიახშის სასახლიდან წასვლის შესახებ. იგი ტაძრად მივალს, წარუდგენს შვილებს უფალს და შესთხოვს, სულიწმინდის მადლმა დაიცვას შვილნი მისნი უღმერთოებისაგან.

მისგან სასახლის დატოვება ბრძოლის დასაწყისია უღმერთობისა და ურჯულოების წინააღმდეგ. თხზულებაში, როგორც პერსონაჟი, დიდი მწერლური ოსტატობით, ფაქიზად შემოდის ნაწარმოების ავტორი - იაკობ ხუცესი.

იგი ამხნეებს შუშანიკს: „მხნე იყავ, მომთმინე და სულგრძელი“. ქრისტიანული ყოფის მთავარი პოსტულატი საღვთისმეტყველო სათნოება - მხნეობა ანუ სასოება გაცნაურებულია იაკობ ცურტაველის მრავლისმომცველ სწავლებაში. ცნობილია ცხრა ნაყოფი სულისა წმინდისანი: 1) სიყვარული, 2) სიხარული, 3) მშვიდობა, 4) სულგრძელობა, 5) სიტკბოება, 6) სახიერება, 7) სარწმუნოება, 8) მყუდროება, 9) მოთმინება (ყუბანიეშვილი, 1991, 12).

აქედან, ორი - სულგრძელობისა და მოთმინების სწავლება-შეგონება იაკობ ხუცესის მიერ არის სულიწმინდის მადლის მოხვეჭისათვის ლოცვა-კურთხევა და შემდგომი სარწმუნოებრივი ცხოვრების განმტკიცებისათვის მოწოდება.

დოგმატური და ზნეობრივი ღვთისმეტყველების საკითხები თხზულების შემდგომ საფეხურებზეც ვლინდებიან.

იაკობ ცურტაველი, როგორც ჭეშმარიტი მღვდელი, განდმრთობილი მოძღვარია. მან უფლის ცნებით იცის ვარსკენს მწარე გონება აქვს, გუემაი და ტანჯვაი მოაწიოს მოწამე შუშანიკს. იგი ჭირისა და სარწმუნოების თავდადებისათვის მოგვრილი სიხარულს ერთობაზე მიაწიშნებს შუშანიკს და ცდილობს ძალა შესძინოს მოწამე დედოფალს სამომავლო მოღვაწეობისათვის. ცურტაველი მოძღვარი არც შემცდარა, - ვარსკენი უღმერთოდ გასტანჯავს, წუთისოფლის მსგავსად, წმინდა კრავს უფლისას.

I საუკუნის უდიდესი წმინდანის, ეპისკოპოსის ეგნატე ღმერთშემოსილის სწავლებით არსებობს ორი ქალაქი - ღვთისა და ეშმაკისა. ამ ორი ქალაქის ბრძოლისა და ღვთის ქალაქის ძლევამოსილი გამარჯვების ამსახველია „შუშანიკის წამება“, რომელმაც განუზომელი კვალი აღბჟდა საქართველოს სინამდვილეში ქრისტიანული ცნობიერების განმტკიცებისათვის მომავალი თაობების აღზრდაში.

ნიშანდობლივი და ხაზგასასმელია წმინდა შუშანიკის მხნეობა მისი მსასოფარი მდგომარეობა. იგი ვერც ვარსკენის მზაკვარ მსტოვარს შეუშინდება, არც თავისი მაზლის, ჯოჯიკის და მისი ცოლის დატევება გაუჭირდება. მისთვის პირველია ღმერთი და მისი მცნება სიყვარულის შესახებ (მათე, 2009, 10, თ.5, 44-48).

ვერაგი ვარსკენი ხუცესთ მოიხმობს და ფარისევლურად დაეთათბირება შუშანიკის „საქციელის“ შესახებ.

„ - რაისა ხელიწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესე, ვითარის საქმედ? აწ მივედით და რქვით, ვითარმედ - შენ ჩემი ხატი დაამხუ, და სარგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ, და შენი ადგილი დაგიტევებიეს და სხუად წარსულხარ“ და ა. შ.

ხოლო წმიდამან შუშანიკ რქვა: „- არა თუ მე აღმართა ხატი იგი და მემცა დავამხვუ, ხოლო მამამან შენმან აღმართა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენა და შენ მამისა შენისა საქმენი გარჰყუნ და სხვად გარდააქციენ კეთილნი მისნი, მამამან შენმან წმიდანნი შემოიხუნა სახიდ თვისად, ხოლო შენ დევნი შემოიხუნ. მან ღმერთი ცათაი და ქვეყანისაი აღიარა და რწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უარჰყავ და ცეცხლსა თაყვანის ეც და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უარჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხყავ. და თუ მრავალი ტანჯვაი მოიწიო ჩემზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა“.

ეს სიტყვები ჭეშმარიტი ღმერთის აღმსარებლის ნამდვილი ტრაქტატია.

უნდა შევნიშნოთ, „ხოლო შენ დევნი შემოხვენ“. დევის სიმბოლიკა მოხმობილია ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, როგორც ბოროტების, სივერაგის გამომხატველი („ნაცარქექია“, 1973, 98).

ამდენად, იკვეთება გარკვეული კავშირები ჰაგიოგრაფიასა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებას შორის. მათ მიერ სათქმელის გადმოცემის ხერხებთან დაკავშირებული დასიმბოლოებული აზროვნების ხელოვნება ყველა ჟანრისათვის მახასიათებელია, მათ შორის ხალხური ზეპირსიტყვიერებისთვის.

ამდენად, კავშირები და ანალოგიები, ამ თითქოს, ერთი შეხედვით ფრიად განსხვავებული მიმართულებებისათვის გასაკვირი არ არის და ვფიქრობთ, შემდგომში სათანადო კვლევას საჭიროებს.

განრისხებული ქართლის პიტიახში თავის ძმას ჯოჯიკს და მის ცოლს მიავლენს მასთან, რათა დააბრუნოს შუშანიკი სასახლეში, მაგრამ შუშანიკი აქ სახარებისეული სამართლიანობის დაცვის პრინციპით იმოქმედებს.

შუშანიკი არა თუ მხოლოდ უარყოფს მათ მოწოდებას, არამედ „შენ, ჯოჯიკ, არღარა ჩემი მაზლი ხარ, და არცაღა მე შენი ძმის ცოლი, არც ცოლი შენი დაი ჩემი არს, რომელნი მის კერძო და მისთა საქმეთა ზიარ ხართ“.

მათეს სახარება გვამცნობს: „მაშინ რქუა ვინმე მას: აჰა დედაი შენი და ძმაი შენნი დგანან გარეშე და უნებს რაიმე სიტყუად შენდა.“

ხოლო იესო მიუგო მარტვილსა მას და ჰრქუა: ვინ არს დედაი ჩემი? ანუ, ვინ არიან ძმანნი ჩემნი?

და მიჰყო ხელი მისი მოწაფეთა მიმართ თვისთა და რქუა: აჰა დედაი ჩემი და ძმანნი ჩემნი, რამეთუ რომელმან ყოს ნებაი მამისა ჩემისა ზეცათაისაი, იგი არს ძმაი და დაი და დედაი ჩემი” (მათე, 2009, 24, 12, 47-50).

შუშანიკი ჭეშმარიტი აღმსარებლის სულისკვეთების მატარებელია. იგი თანდათანობით იზრდება და მტკიცდება როგორც მოღვაწე. „ნუ ეზიარებით საქმეთა მათ ბნელთასა, არამედ უფროისლა ამხილებდითა” (პავლე, 2009, 346).

ვინც ბოტორებას ამხელს, აღმსარებელია - ბრძანებს წმინდა მამა ეგნატე ღმერთშემოსილი. აღმსარებლობის სიმტკიცეს შუშანიკი უფრო მეტად გამოავლენს პურის ჭამისას, როდესაც ვარსკენი მოისურვებს ჯოჯიკთან და მის ცოლთან ერთად შუშანიკმაც ჭამოს პური.

„ოდეს ყოფილა არს აქამომდე, თუმცა დედათა და მამათა ერთად ეჭამოთ პური?” ღვინით სავსე ჭიქას შეაღწევს ჯოჯიკის ცოლს და ამით გაამჟღავნებს სახარებისმიერი სწავლების ერთგულებას და კერპთმსახურებისაგან განდრეკის უწმინდეს ქცევას (პავლე, 2009, 334-335).

„ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოსა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა და საქციელსა უსჯულოთასა არა დაჯდა. არამედ, სჯულსა უფლისასა არს ნებაი მისი და სჯულსა მისსა ზრახვენ იგი დღე და ღამე. და იყოს იგი ვითარცა ხე დანგრეული თანაწარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცის ნაყოფი მისი ჟამსა თვისსა და ფურცელნი მისნი არა დასცვივენ, და ყოველივე რაიცა ყოს, წარემოართოს მას” (ფსალმუნი, 2003, 12).

ამ მოქმედების გამო, უღმერთო ვარსკენმა საშინლად ჰგვემა წმინდა დედოფალი. კრავი და მგელი - ასეთი შედარება აქვს მოხმობილი იაკობ ხუცესს. აქ თვალში საცემია ძალთა თანაფარდობა. „თქვენ ეტლებითა და ჰუნებითა, ხოლო ჩვენ სახელით უფლისაითა” (ფსალმუნი, 2003).

კრავნი უფლის მარჯვენით სასუფეველის მკვიდრნი არიან, მგელნი - ბოროტი ძალები საუკუნო ტანჯვისა და კბილთა ღრჭენისათვის არიან განწირულნი.

ვარსკენი დაატუსაღებს შუშანიკს, არავის აქვს მასთან შესვლის ნება, მხოლოდ იაკობ ხუცესი შევა მალვით. მალვით შესვლის ძალა უხილავად ზემოქმედების მადლია მხოლოდ წმინდანური მადლია (გიორგი, 2008, 50).

იაკობი აზიარებს შუშანიკს ქრისტეს სისხლსა და ხორცს. შუშანიკიც აწ საბოლოოდ მზადმყოფი დასტოვებს ამსოფლიურ მტვერს. - მოიხსნის სამკაულებს და გადასცემს იაკობ ხუცესს. მისი სამკაული უკვე ღმერთის დიდებაა.

ეს სურათი ამსახველია შუშანიკის კათარზისული მდგომარეობისა, მისი სულიერი და სამოღვაწეო ასპარეზობის განვითარების დასტურია.

სამკაულების მოხსნის აქტი, ესაა მისტიური აქტი, ლიტერატურული თვალსაზრისით კი სახე-სიმბოლო, რომელიც გვამცნობს, რომ მოწამე დედოფალი ღმერთთან მიმართებაში სრულად გაფორმდება ვით მისი მსახური და ჩვენს წინ იხატება მისი წმინდანად ჩამოყალიბების დინამიური სურათი.

„გინდა თუ სჭამდეთ, გინა თუ სუამდეთ, გინა თუ რასაცა იქმოდეთ, ყოველსავე სადიდებლად ღვთისა იქმოდეთ.

დაუბრკოლებელ იყვენით ურიათა მიმართ და წარმართთა და ეკლესიათა ღვთისათა, ვითარცა მე ყოველითავე ყოველთა სათნო ვეყოფვ. რამეთუ არა ვეძიებ თავსა ჩემისა უმჯობესა, არამედ მრავალთასა რათა ცხონდნენ ” (პავლე, 2009, 335). კორინთელა მიმართ წიგნი I, თვ. 10. 31, 32,33.

ღვთის მადლის მოხვეჭის, განდმრთობის გარეშე არავის ძალუმს უფლისათვის ტანჯვის დათმენა. თხზულებაში მოცემული კრიზისული ვითარება იმდენად მწვავეა, თვით სამღვდელო პირებსაც კი აშინებთ ვარსკენის სივერაგე. საპრობილემში მიმავალ შუშანიკს ერთი სამღვდელო პირი ცდილობს სიტყვა შეაწიოს „მტკიცედ დეგ!“ მაგრამ, რა დაინახავს ვარსკენმა შეასწრო თვალი, სიტყვა ყელში გაეჩხირება და „მტკი...“ ამასლა იტყვის.

წამებულ შუშანიკს ერი და ბერი ცხარე ცრემლით სტირის, ხოლო „მგელი იგი“ ვერაგი ვარსკენი ბოროტებით და გულარძნით ავობს. საპრობილემში ამყოფებს ექვს წელს, რათა მოკვდეს. წმიდა შუშანიკს ქედზე ჯაჭვი ადგას და ხელზე ბორკილი ადევს. ჯოჯიკის ვედრებით ვარსკენი ბრძანებს ახსნან ქედიდან ჯაჭვი, ხოლო ბორკილს თავად ისურვებს შუშანიკი, დაიტოვოს, რათა მარადიულად განიცდიდეს ტანჯვას.

ეკლესიის სწავლებით ქრისტესთვის ტანჯვა დიდ ნეტარებას ანიჭებს წმინდანებს. წამებასაც მხოლოდ ღვთის ძლიერებით უძლებენ.

ექვსი წლის მანძილზე მარხვით, ლოცვა-მოდვაწეობით დაამშვენა შუშანიკმა საპრობილე „განაზრწყინა და განაშვენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნართა“. პრობილობის ექვსი წელი სრულყოფილი ღვთის წმინდანის მოღვაწეობის ჟამია. მას უკვე ღვთისაგან ძალმოსილს შეუძლია განკურნოს ავადმყოფნი, უფალმა ხომ აღუთქვა თავის წმინდანებს.

სულიერი მდგომარეობის საფეხურები შემდეგია:

„ 1) ცოდვილი

2) ადამიანი

3) მორწმუნე - მორწმუნედ ითვლება ის, რომელსაც ჩაბარებული აქვს აბრაამის გამოცდა, ანუ ადამიანი, რომლისთვისაც მთავარია ღმერთი

4) მონაზონი - ანუ მორჩილი, ის არის ღვთის კანონების შემეცნების დამწყები. აქ იგულისხმება არა მხოლოდ ხორციელი ყოფა მონასტერში

5) ბერი ანუ პიროვნება. გამოცდილი, ნატანჯი, ასაკოვანი მონაზონი.

6) წმინდანი ანუ ინდივიდი - თავისი ინდივიდუალური შემეცნებით

ამის ზევით კიდევ არის საკმაოდ სულიერი საფეხურები” (ქართველობა ძნელია, 2008, 63). წმიდა შუშანიკს ამ ყველა საფეხურის გავლის შემდეგ ენიჭება ძალა, როგორც მკურნალსა და მაკურთხეველს. მისთვის მთავარია ღმერთი. საპრობილემში ეტყვიან, რომ მისმა შვილებმა უარჰყვეს ჭემმარიტი ღმერთი. შუშანიკი იგლოვებს შვილთა დაკარგვას, შემდეგ მადლობას შესწირავს ღმერთს და შესთხოვს დაიცვას მტრის (ეშმაკის) მზაკვრობისაგან. ხოლო შვილნი კიო...„სახელიცა მათი სმაგდა სმენად“.

ტანჯვა-გვემათა ფართო სპექტრში იკვეთება „შუშანიკის წამების“ მაღალი იდეა - ღვთის ქალაქის ბრძოლა ეშმაკის ქალაქთან.

ვარსკენის ხელმწიფება საბოლოოდ დაკარგავს ძალას, როდესაც იგი რისხვით მოითხოვს: „ანუ ნებაი ჩემი ჰყავ და მოვედ ტაძრად, უკეთუ არა მოხვიდე შინა, ჯორად წარგცე შენ, ანუ კარად კარაულითა“.

„ნებაი ჩემი ჰყავ“ - ამ მოთხოვნას უპირისპირდება შუშანიკის ნება, რომელიც ღვთის ნებასთან სინერგიზებულია; ღვთის ნების აღსრულების უწმინდეს იდეალებს უპირისპირდება ვარსკენი და მწარედ მარცხდება სულიერი, მორალურ-ზნეობრივი და საბოლოოდ ფიზიკური თვალსაზრისითაც.

შუშანიკი არ უშინდება სასჯელს, პირიქით, კეთილად რაცხს კიდევ თავის ბოლომდე დამცირებასა და შეურაცხყოფას: „- უზადოო და უგულისხმო, ხოლო მე თუ კარად ანუ ჩორდწარმცე, ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რასმე შევემთხვიო და ბოროტსა მას განვერნე!“

ვარსკენი იფიქრებს, ალბათ, ვინმე დიდებულის ცოლობას ფიქრობსო. ღალატისა და ორგულობის მოზიარე სულს არ ძალუმს ზეციური ზრახვა. მისი აზრები მხოლოდ მიწიერ

განზომილებაში ტრიალებენ. ბილწი ზრახვები ხომ ვერასდროს შეიცნობენ წმინდანთა ზრახვებს.

წმინდა შუშანიკი მტკიცედ გადაწყვეტს ბოლომდე დაჰყოს პერობილებაში. „და ერთსა მას ციხესა შინა ექვს წელ პერობილ იყო და მძიმეთა მათ საკრველთა შინა ადიდებდა ღმერთსა“.

უმძიმესი პირობების მიუხედავად მადლობდა ღმერთს. ბოლოს მატლი ეხვია მოწამეს. დასნეულებული მეშვიდე წელს გარდაიცვალა.

მან აკურთხა ჯოჯიკი და მისი ცოლი. მათ ცრემლით ითხოვეს შენდობა მისგან. აკურთხა ერი „და იგინი ქმნულნი, ცრემლით სავსენი ძლევისა მისთვის დიდებასა ღმრთისა მიმართ შესწირვიდეს და გამოვიდეს ციხით და წარვიდეს“.

და მოიწია დღე იგი წოდებისა მისისაი და მოუწოდა ეპისკოპოსსა მისსა სახლისასა აფოცს და მადლისა მისცემდა მისა მიმართ მოწილეობისა მისისათვის, ვითარცა მამასა და მამამშუმესა. შემვედრა მე, კაცი ცოდვილი და გლაზაკი ესე და შეჰვედრებდა ნეშტთა მათ ძვალთა მისთასა და უბრძანებდა დასხმად ადგილსა მას, ვინაიცა იგი პირველად გამოათრიეს და ეტყოდა: „უკეთუ ღირს რაიმე ვარ უკანასკნელი ესე მეათერთმეტეი მოქმედი ვენახისაი, იყვენით ყოველნი კურთხეული უკუნისამდე ჟამთა. - და ჰმადლობდა ღმერთსა და რქუა: კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი, რამეთუ მშვიდობით მას ზედა დავეწვ და დავიძინე“ და გარდაიცვალა.

„შუშანიკის წამების“ სიმბოლური გააზრება სავსებით აკმაყოფილებს საღვთისმეტყველო აზროვნების კრიტერიუმებს, რადგან მასში დასმული საკითხი პიროვნების სულიერი განვითარების საფეხურეობრივი სისტემის შესახებ სრულად შეესაბამება ბიბლიურ მსოფლმხედველობას.

დარგობრივი მიმართულებები, ხშირად გამოხატავენ ამა თუ იმ სამეცნიერო ჯგუფების პოზიციებს. ჰაგიოგრაფიის საღვთისმეტყველო გააზრება ვერ ჯდება ვერც ერთი მიმართულების ინტერესებში. იგი საღმრთო წერილის ინტერპრეტაციაა ლიტერატურული აზროვნების სპექტრში, ამდენად, მიუკერძოებელია თავისი არსით და მოვლენებს განიხილავს დოგმატური და ზნეობრივი ღვთისმეტყველების კრილში. ნიშანდობლივია ჰაგიოგრაფიაში ავტორის საკითხიც. ზემოხსენებულ შემთხვევაში „შუშანიკის წამების“ ავტორი მაღალზნეობრივი, მაღალიდებური წმინდა პიროვნებაა, რომ არა სიწმინდე, იგი ვერ შესძლებდა შეუმჩნევლად საპერობილეში შესვლას და შუშანიკის ზიარებას. ასეთი რამ მხოლოდ დიდ წმინდანებს შეუძლიათ წმინდანური ძალის გამოყენების საშუალებით.

ავტორის პერსონაჟირების საკითხი ეს ცალკე თემაა, რომლის თავისებურებებზე მსჯელობაც შემდეგ მოგვიწევს. ჟანრობრივი განსხვავების მიუხედავად ავტორი-პერსონაჟი ძირითადი მამოძრავებელი მუხტია ყოველ თხზულებაში და ეს საკითხი ნიუანსობრივ კვლევას საჭიროებს.

იმდენად, რამდენადაც საღვთისმეტყველო ნაწილი, ანუ არსი ჰაგიოგრაფიისა არის კიდევ სამქადაგებლო საქმიანობა, თავისთავად სამოციქულო დანიშნულებისაა. განასახიერებს საეკლესიო ფუნქციას და სამოძღვრებო თვისებების მატარებელია. იაკობ ხუცესის, როგორც მწერლის და აგრეთვე პერსონაჟის მახასიათებელი, განსაზღვრულია სწორედ ამ თვალსაზრისით და თხზულების კვლევისას გვაძლევს საღვთისმეტყველო სამოძღვრებო კუთხის პრობლემის თავმოყრასა და ერთ სისტემურ სივრცეში გააზრების შესაძლებლობას.

მოძღვრება, როგორც ასეთი, სამოციქულო მადლია, რომელსაც იაკობი ყოველ ნაბიჯზე ავრცელებს, მის ყოველ სიტყვას და ქმედებას და ეს მადლი ამკობს. საღვთისმეტყველო გააზრება ჰაგიოგრაფიისა ნათელს ჰფენს თხზულების ავტორთა ღრმა სულიერებას, მათ განსწავლულობას და სიწმინდეს, რაც გამოხატულია კიდევ ამ ნაწარმოებებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ავგუსტინე, 1992 - ნეტარი ავგუსტინე, ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის, „სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა“, ტ. III-IV, თბ. 1992წ.
- გიორგი, 2008 - არქიმანდრიტი გიორგი ბასილაძე, თავნი და ბოლონი იტყვიან გიორგი, თბ. 2008წ.
- დაბადება, 1884 - დაბადება, ბიბლია, თბ. 1884წ.
- დამასკელი, 2011 - წმ. იოანე დამასკელი, დოგმატური ღვთისმეტყველების საფუძვლები, საქართველოს საეკლესიო კალენდარი 2012, თბ. 2011წ.
- თეოფანე, 1990 - წმინდა თეოფანე დაყუდებული, ჭეშმარიტებისათვის, შრომები, თბ. 1990წ.
- იოანე, 1992 - წმ. იოანე ოქროპირი, სიტყვა დაქორწინების მსურველთა, „სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა“, ტ. III, Tb. 1992წ.
- მათე, 2009 - წიგნი ახლისა აღთქუმისანი, სახარება მათესი, თბ. 2009წ.
- მარკოზი, 2009 - წიგნი ახლისა აღთქუმისანი, სახარება მარკოზისა, თბ. 2009წ.
- პავლე, 2009 - წიგნი ახლისა აღთქუმისანი, რომელთა მიმართ ეპისტოლე წმინდისა პავლე მოციქულისა, თბ. 2009წ.
- პავლე, 2009 - წიგნი ახლისა აღთქუმისა, კორინთელთა მიმართ პირველი წიგნი წმინდისა პავლე მოციქულისა, თვ. 10, 14, 20, 21, 2009წ.
- რაფელი, 1997 - არქიმანდრიტი რაფაელ კარელინი, დემონური გამოვლინებანი ჩვენს დროში, წერილები, თბ. 1997წ.
- რაფელი, 1991 - არქიმანდრიტი რაფაელ კარელინი, ადამინის სულის გამხრწნელი რვა ვნების შესახებ, გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, თბ. 1991წ.
- სურგულაძე, 1990 - აკაკი სურგულაძე, „საქართველოს კულტურის ისტორია“, თბ. 1990წ.
- ფილარეტი, 1995 - ილუმენი ფილარეტი, ზნეობრივი ღვთისმეტყველების კონსპექტი - მცირე სამწყსო, თბ. 1995წ.
- ფსალმუნი, 2003 - ფსალმუნი დავითისი, თბ. 2003წ.
- ქართველობა ძნელია, 2008 - არქიმანდრიტი გიორგი ბასილაძე, ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი, თბ. 2008წ.
- ღვთისმეტყველი, 1989 - გრიგოლ ღვთისმეტყველი, შრომები, თბ. 1989წ.
- ყუბანეიშვილი, 1991 - არქიმანდრიტი ნესტორ ყუბანეიშვილი, საღვთო სჯული, თბ. 1991წ.
- ჩიკვაძე, 2014 - ნუგზარ ჩიკვაძე (მღვდელი ილია ჩიკვაძე), ფსიქოლოგიზმის ზოგადი შტრიხები XX საუკუნის ქართულ მწერლობაში, დისერტაცია, თელავი, 2014წ.
- „ნაცარქექია“ 1973 - ქართული ხალხური ზღაპრები, თბ. 1973წ.

Father Ilia (Nugzar) Chikvaidze

Iakob Gogebashvili State University, Telavi)

Theological Issues in Georgian Hagiography (General Aspects of the History of the Georgian Christian Culture)

The article deals with the theological aspects in Georgian hagiography, mainly in “The Martyrdom of Saint Shushanik” by Iakob Tsurtaveli. Personification of the author is outlined in the article which is the principal research topic not only for hagiography but generally for the literary works. Personification of the author indicates to the direct position of the author.

Key words: The Martyrdom of Saint Shushanik, Iakob Tsurtaveli, hagiography, personification, theological issues

საკვანძო სიტყვები: შუშანიკის წამება, იაკობ ცურტაველი, ჰაგიოგრაფია, პერსონაჟირება, საღვთისმეტყველო საკითხები

პედაგოგის ინოვაციური კულტურა

განათლებაზე ზრუნვა საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია. თანამედროვე ცივილიზაციის გამოწვევის პირობებში მეტ მნიშვნელობას იძენს და წინა პლანზე იწევს ახლებურად აზროვნების მნიშვნელობა, რაც ადამიანის პიროვნული ფორმირების აუცილებელი წინაპირობაა. მოზარდის პიროვნულ ფორმირებაზე კი განსაკუთრებით ზრუნავს სკოლა და მასწავლებელი. XX საუკუნის დასასრულს განსაკუთრებულად აქტუალური გახდა პედაგოგის როლი, მისი საქმიანობა, მზაობა იმ სიახლეების გაზიარებაში და დამკვიდრებაში, რაც ინოვაციურმა გარემომ მოიტანა.

ინოვაცია, ანუ ახალშემონადებდამახასიათებელია ყველა პროფესიისათვის, მათ შორის პედაგოგიკისათვის. ჩვენში XXI საუკუნის პედაგოგიური ინოვაცია თანდათან ყალიბდება, როგორც პედაგოგიური მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს, სკოლის განვითარების პროცესებს, პრაქტიკულ სწავლებას და პედაგოგის ინოვაციური კულტურის ჩამოყალიბებას. თანამედროვე ცვლილებები საგანმანათლებლო სივრცეში მნიშვნელოვნად შეეხო მასწავლებელთა კვალიფიკაციის საკითხს, მათ მომზადება-გადამზადებას თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

დღეს, პედაგოგიური კორპუსის მიერ, მიმდინარეობს ინოვაციური გარემოს გააზრების პროცესი, რომელშიც ერთის მხრივ შეინიშნება ზოგადკონცეფტუალური მიდგომები საგანმანათლებლო დაწესებულებების განახლებისადმი, მეორეს მხრივ კი პედაგოგების ფრთხილი დამოკიდებულება ნოვაციებთან მიმართებაში, შეინიშნება შიში, უარი თქვან სასწავლო პროცესის ორგანიზების ტრადიციულ მეთოდებსა და ფორმებზე. ასეთ ვითარებაში განათლებაში ინოვაციური პროცესების წარმატებით წარმართვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პედაგოგის ინოვაციური კულტურის ჩამოყალიბების საკითხს.

პედაგოგიური პრაქტიკა დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ნოვაციები წარმოადგენს განათლების ეფექტურობის ამაღლების ყველაზე ოპტიმალურ საშუალებას. ინოვაციურმა პროცესებმა განათლებაში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ხელი შეუწყო მრავალი ახალი ან მოდერნიზებული პედაგოგიური იდეის აღმოცენებას, სულ უფრო ფართო გამოყენება ჰპოვეს ისეთმა საგანმანათლებლო ტექნოლოგიებმა, როგორიცაა პრობლემური, ინტერაქტიული, კონტექსტური და სხვა. პედაგოგებსა და სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელებს საშუალება მიეცათ გაცილებით თავისუფლად და მრავალმხრივად მიუდგნენ განათლების შინაარსსა და მისი ორგანიზების ფორმებს. ამ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პედაგოგის ინოვაციური კულტურის ფორმირების საკითხს. უნდა აღინიშნოს, რომ სიახლეების დანერგვის მოთხოვნილებასა და მათ განხორციელებას შორის დევს აუცილებელი მეთოდურ-თეორიული და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური კონცეფციების მთელი პლასტი.

ცნება განათლება, თანამედროვე სამყაროში ასოცირდება ისეთ ტერმინებთან, როგორიცაა „სწავლება“, „აღზრდა“, „განვითარება“, რომლებიც ფართე გაგებით ნიშნავს ფორმირებას ან ახლის შექმნას. სწორედ ეს არის ინოვაცია. ამგვარად, განათლება თავისი არსით უკვე წარმოადგენს ინოვაციას.

ამერიკელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და განათლების სპეციალისტი ჯონ დიუი არის პროგრესული განათლების პრონციპების აქტიური იდეოლოგი. მისი კონცეფციის მიხედვით განათლება გამოცდილების განვითარებაა, რომელსაც ახლებური განათლების მოტანა შეუძლია. ამ მოსაზრების გათვალისწინებით მივიჩნევთ, რომ საჭიროა ახალი განათლებისათვის შესაფერისი მასალების, მეთოდებისა და სოციალური ურთიერთობების

შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ განათლების თანმიმდევრულ უწყვეტობას და განგრძობითობას. [1].

უკანასკნელ წლებში სპეციალურ ლიტერატურაში მკაფიოდ შეინიშნება სიახლეებისათვის მზაობა. იკვეთება ისეთი შემოქმედებითი სტილი, რომელშიც განსხვავებულად შეერწყმება კონკრეტული პიროვნული მიმართულებები (მისწრაფება, სიახლეების დანერგვის მოთხოვნილება).

განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებმა, საგანმანათლებლო სივრცის სტრუქტურების ცვლილებების აუცილობლობა განაპირობა. XXI საუკუნე მოზარდს მრავალ მოთხოვნას უყენებს. ეს კი გამოიხატება იმაში, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა მზად უნდა იყოს გააზრებული და საპასუხისმგებლო არჩევანისათვის სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში. სწორედ ეს უნდა გახდეს თანამედროვე ნოვატორი მოსწავლისათვის აღზრდისა და სწავლის მთავარი მიზანი.

თუ ერთმანეთს შევადარებთ ტრადიციული და ინოვაციური სწავლების თავისებურებებს, უფრო თვალსაჩინო გახდება ინოვაციური სწავლების უპირატესობა და აქედან გამომდინარე პედაგოგის ინოვაციური კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების აუცილებლობა.

საგანმანათლებლო მოდელების შედარებითი დახასიათება

	თავისებურებები	ტრადიციული - ცოდნაზე ორიენტირებული პედაგოგიკა	ინოვაციური - უნარების განვითარებაზე ორიენტირებული პედაგოგიკა
1	მიზანი	ცოდნისა და უნარ- ჩვევების ფორმირება	პიროვნების განვითარება
2	ინტეგრალური მახასიათებლები	„მეხსიერების სკოლა“	„განვითარების სკოლა“
3	პედაგოგის დევიზი	„გააკეთე როგორც მე ვაკეთებ“	„არ დააშავო“
4	ურთიერთობის დომინირება და ტიპი და ხასიათი	სუბიექტი ობიექტურია	- სუბიექტი-სუბიექტურია
5	ურთიერთზე მოქმედების ტიპი და სტილი	ავტორიტარულობა. მონოლოგიურობა. ჩაკეტილობა	დემოკრატიულობა. დიალოგი. გახსნილობა, რეფლექსიურობა
6	სწავლების ფორმები	ილუსტრირებულ- ახსნითი ინფორმაციული	პრობლემური; ნაწილობრივ- მოძიებითი, გადმოცემითი, ევრისტიკული კვლევითი
7	ორგანიზების ფორმები	ფრონტალური, ინდივიდუალური	ჯგუფური, კოლექტიური
8	წამყვანი პრინციპი	„იმულებითი“	„აღმზრდელობითი“
9	ცოდნის დაძლევის წამყვანი ტიპი	რეპროდუქციული, აღქმადი	პროდუქტიული, შემოქმედებითი, პრობლემური
10	სწავლების „ფორმულა“	ცოდნა - რეპროდუქციული მოღვაწეობა	პრობლემური მოღვაწეობა - რეფლექსია - ცოდნამოძიებითი, გააზრებული მოღვაწეობა, რეფლექსია
11	ათვისების ხერხები	დამახსოვრება, დასწავლა ალგორითმების მიხედვით	მოძიებითი, გააზრებული საქმიანობა, რეფლექსია
12	მასწავლებლის	ინფორმაციის	თანამშრომლების ორგანიზატორი,

	ფუნქციები	მატარებელი, ნორმებისა და ტრადიციების დამცველი, საგნოვრივ-დისციპლინური ცოდნის პროპაგანდისტი	კონსულტანტი, მოსწავლეთა კვლევითი და მოძიებითი სამუშაოს წარმმართველი
13	მოსწავლის პოზიცია	პასიურობა, ინტერესის უქონლობა, პიროვნული აღზრდის ინტერესის უქონლობა	აქტიურობა, თვისრულყოფის მოტივის ქონა, უნტერესის არსებობა დამოუკიდებელი მოღვაწეობისადმი

სხვადასხვა მეცნიერთა აზრით, პედაგოგიური შემოქმედება, ეს არის პედაგოგიური კვალიფიკაციის გაცილებით მაღალი დონე. [3, 5]. ის დაკავშირებულია არა იმდენად ახალი იდეებისა და პრინციპების პროდუცირებასთან, არამედ მათ მოდერნიზებასთან.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ მასწავლებელთა მიდგომა პედაგოგიური ინოვაციებისადმი დამოკიდებულია იმაზე, თუ პროფესიული ზრდის რომელ საფეხურზე იმყოფებიან ისინი. იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ პედაგოგების დამოკიდებულებაზე ინოვაციურ პედაგოგიურ პროცესებზე, უნდა აღინიშნოს

- სიახლეების (ნოვაციების) მიზანი;
- სიახლეების დანერგვის მეთოდოლოგია;
- პედაგოგების მოტივაცია.

პედაგოგის ინოვაციური საქმიანობის გამოცდილებას მივყავართ პედაგოგის ინოვაციური კულტურის მოდელის ჩამოყალიბებამდე. ასევე პედაგოგიური უნარების განსაკუთრებული სტრუქტურის ფორმირებამდე, რომელიც თავისთავად წარმოადგენს მრავალგანზომილებად სისტემას, მისი რეფლექსური შესაძლებლობების, უნარების მრავალმხრივ სისტემას, საკუთარი პროფესიული სრულყოფის მართვაში. მის ძირითად ელემენტებად მიიჩნევენ:

- ზოგადმსოფლმხედველობრივ და ზოგადმეთოდოლოგიურ კულტურას;
- ფსიქოლინგვისტურ (ინტელექტუალურ) უნარებს;
- სერსორულ გამოცდილებას.

ამ ელემენტებს ემატება სიახლეები, რომლებიც ქმნიან პედაგოგის ინოვაციური კულტურის რეფლექსური შინაარსის ერთობლივ მოდულს. სიახლეებს შორის არის:

- პედაგოგიური ინოვაციის ცოდნა;
- შემოქმედებითი საქმიანობის უნარები;
- პროფესიული აქტიურობა;
- მუდმივი თვითგანვითარება და თვითგანსწავლა;
- აღმზრდელობითი და სასწავლო პროცესის პროგნოზირებისა და მოდულირების შესაძლებლობა;
- ინოვაციური მულტიმედიური სასწავლო-მეთოდური კომპლექსების შექმნის უნარი.

პედაგოგის ინოვაციური კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე საუბრისას არ შეიძლება არ განვიხილოთ აქსიოლოგიური და ონტოლოგიური ასპექტები.

აქსიოლოგიური ასპექტი მდგომარეობს პედაგოგის მიერ მიღებული ცოდნის, მისი თვისებრივი ღირებულებების და აქტუალობის აღიარებაში, მათი გამოყენების გარკვეულ მოტივაციაში საწავლო პროცესის ხარისხის განვითარებისათვის.

პედაგოგიური ინოვაციის მეთოდური და მეთოდოლოგიური ცოდნის ღირებულებითი არსი მდგომარეობს არა მხოლოდ ინოვაციების შემოტანაში, არამედ მათთვის მიმართულების მიცემაში ახალი პედაგოგიური შედეგების მისაღებად.

რაც შეეხება ონტოლოგიურ ასპექტს, ის მდგომარეობს პედაგოგის შესაძლებლობაში მიზანმიმართულად გამოიყენოს სწავლებასა და აღზრდაში პედაგოგიური ინოვაციები,

შექმნას შემოქმედებითი, ერთობლივი სამოღვაწეო გარემო მათთან ერთად ვისაც ასწავლის. აგრეთვე განუვითაროს მათ შემოქმედებითი და წარმოსახვითი უნარები [4].

ინოვაციური პროცესების გააზრებისას საჭიროა ეს პროცესები გარკვეული საკითხების ირგვლივ დავაჯგუფოთ:

1. როგორია ინოვაციური პროცესების ბუნება და ხასიათი, თავისებურებები და განმასხვავებელი ნიშნები.
2. ვინ არიან ამ პროცესის სუბიექტები და როგორ ვლინდება ეს სუბიექტურობა.
3. რომელი პრობლემის გადასაჭრელად წარიმართება ინოვაციური პროცესი.
4. ინოვაციების რომელი ტიპები, სახეობები გამოიკვეთა განათლებაში განსაკუთრებით.
5. პედაგოგის მზაობა (ფსიქოლოგიური, მეთოდური, კოგნიტური) სიახლეების გამოყენებისადმი სასწავლო პროცესში.
6. ინოვაციური პროცესების მოტივაციური უზრუნველყოფა სასწავლო დაწესებულებაში.
7. სასწავლო ტექნოლოგიები და მათი როლი განათლების რეფორმირებაში.

პედაგოგიური პროფესიული ხარისხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია პედაგოგიური ინოვაციების განვითარებაში, სწავლისა და აღზრდის პროცესში ინფორმაციულ-მულტიმედიური ტექნოლოგიების გამოყენება. ეს არის ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ პედაგოგის ნაყოფიერ მუშაობას კომპიუტერული გრაფიკის, ანიმაციის, ტექნიკისა და მეტყველების საშუალებით, როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ვიდეოგამოსახულების გამოყენებით.

ფსიქოლოგების მიერ დამტკიცებულია, რომ ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული გაკვეთილის დროს აქტიურდება ტვინის მარჯვენა ჰემისფერო, რომელიც ასოციაციურ აზროვნებას განაპირობებს, ბადებს ახალ იდეებს, ააქტიურებს ინტუიციას და წარმოსახვის უნარს, აუმჯობესებს მოსწავლის ფსიქოემოციურ მდგომარეობას. ამ დროს აქტიურდება მოსწავლის დადებითი, პოზიტიური ემოციები.

თანამედროვე საზოგადოების მიერ მოთხოვნილია ის პედაგოგი, რომელსაც შეუძლია პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე მუდმივად ცვალებადი და განვითარების პროცესში მყოფი საგანმანათლებლო გარემოს პირობებში, სუბიექტი, რომელსაც გაცნობიერებული აქვს საკუთარი პროფესიული დანიშნულება ეწევა ინოვაციურ პედაგოგიურ საქმიანობას, როგორც უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს. ამიტომ ინოვაციური კულტურა ახალისაუკუნის სტრატეგიულ რესურსს წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც ყალიბდება მოსწავლეთა განვითარების ინოვაციური ველი.

ამრიგად, პედაგოგის ინოვაციური კულტურა წარმოადგენს სასწავლო დაწესებულების ინოვაციური გარემოს განვითარების მთავარ ფაქტორს. პედაგოგის ინოვაციური შედეგის კრიტერიუმები განსაზღვრავს მის საქმიანობას, რომელიც ხელს უწყობს პედაგოგიური ინოვაციების გენერირებას, ინოვაციური სასწავლო დაწესებულების შექმნას.

გამოყენებულილიტერატურა:

1. ჯონ დიუი. „გამოცდილება და განათლება“. „ტრადიციული დანათლება პროგრესული განათლების წინააღმდეგ“
2. К.А. Аггеловский «Учителя и инновации». Перевод с македонского М. Просвещение 1991.
3. В.И. Загвязинский «Теория обучения». Современная интерпретация. М. Академия 2001.
4. М.М. Зиновкина. «Педагогическое творчество». Модульно-кодое учебное пособие. М. МГИУ. 2007.
5. А.В. Хуторской «Компетентностный подход в обучении». Научно-методическое пособие. М. Издательство «Эйдос». 2013.
6. nsportal.ru.
7. oecd.org/education/measuring/innovation-in education.htm.
8. herzen.sph.ru/img.
9. <http://sincom.ru>.
10. <http://childpsy.ru> Детская психология.

The Innovative Culture of a Pedagogue

Abstract

The practice convincingly demonstrates that innovation is a special optimal way to increase the effectiveness of education.

According to didactic studies, heads of educational institutions and teachers have been able to vary the direction of different activities, the content of education and its organizing forms. In such conditions, the formation of pedagogical innovative culture is especially important, that is the basis of further development of education in general.

საკვანძო სიტყვები: პედაგოგიური კულტურა, ინოვაციური კულტურა, პედაგოგიური ინოვაციები, ინოვაციური კულტურის ფორმირება.

Keywords: pedagogical culture, innovative culture, pedagogical innovations, the Formation of innovative culture.

ჰარუნ ჩიმქე

რეჯეფ ტაიფ ერდოღანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რიზე

-ში, -ზე თანდებულთა სემანტიკური ნიუანსები ხატოვანი სიტყვებისა და გამონათქვამების მიხედვით

ქართულში ყველა ბრუნვას აქვს თავისი გამოკვეთილი ფუნქცია. აქედან ზოგს მხოლოდ ერთი ფუნქცია მოეპოვება, ზოგს კი – რამდენიმე. განსხვავებული ფუნქციების გამოხატვის საშუალება იქმნება ბრუნვის ფორმებზე თანდებულის დართვის დროსაც.

ქართული ენის თანდებულთა შორის ყველაზე საინტერესო და სემანტიკური ნიუანსების თვალსაზრისით მდიდარია მიცემითი ბრუნვის თანდებულები **-ვით, -ზე, -თან, -ში**, თუმცა ავ. შანიძეს მიაჩნია, რომ მათ შორის **-ზე, -ში** არის სადაობითი ბრუნვის ნიშნები: წყალ-ში, გულ-ში, ქალაქ-ში, სოფელ-ში... წყალ-ზე, გულ-ზე, ქალაქ-ზე, სოფელ-ზე... (შანიძე 1973: 75). მათი გამოყენების დროს თანამედროვე ქართულში ბევრი თავისებურება იჩენს თავს. ეს ეხება განსაკუთრებით **-ზე, -ში** თანდებულებს, რომელთა გამოყენების დროს პრობლემა ექმნება არა მარტო უცხოელებს, არამედ ზოგჯერ თვით ქართველებიც კი უშვებენ შეცდომებს. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ქართულ სალიტერატურო ენაში ზოგი სახელის **-ზე** და **-ში** თანდებულიანი ფორმის ერთი და იმავე დანიშნულებით გამოყენება. ასეთებია: *ბაზარში იყიდება – ბაზარზე იყიდება; ბინაში ეწვია – ბინაზე ეწვია; ქუჩაში გავიდა – ქუჩაზე გავიდა; გზაზე ეყარა – გზაში ეყარა; ტრანსპორტში ავიდა – ტრანსპორტზე ავიდა; ქორწილში დაპატიჟა – ქორწილზე დაპატიჟა; წესრიგში მოჰყავს – წესრიგზე მოჰყავს; მონაწილეობას იღებს ასპარეზობაში – მონაწილეობას იღებს ასპარეზობაზე...* (ქსკს 1985: 157).

ძველ ქართულში **შინა** (< -ში) თანდებულის ფუნქცია უფრო გამოკვეთილი იყო. შდრ.: *იყოფოდა მცხეთასა შინა* (ადგ.) – *წარემართა მცხეთას* (მიმართ.) (სალინაძე 2008: 66). რაც შეეხება **-ზე** (< ზედა) თანდებულს, მან V-XI საუკუნეებიდან დღემდე ლექსიკური მნიშვნელობა საგრძნობლად შეიცვალა. იგი გამდიდრდა ფუნქციურადაც (მარტიროსოვი 1946: 217).

ცნობილია, რომ ქართულ ენაში **-ზე** და **-ში** თანდებულიანი ფორმების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია მოქმედების ადგილის ჩვენებაა: ა) **-ში** გამოხატავს საგნის შიგ, შინაგან სივრცეში (სიღრმეს ან შემოზღუდულ რასმე) მყოფობას (სახლში, უნივერსიტეტში, ქალაქში...), **-ზე** კი – საგნის ზედაპირზე მყოფობას (ჭერზე, გზაზე, მკერდზე...) (შანიძე 1973:

601; ჯორბენაძე 1983: 214); ბ) დროის სემანტიკის მქონე სახელების ერთი ნაწილი დროული მიმართების გადმოსაცემად დაირთავს **-ში** თანდებულს (ზაფხულში, ზამთარში), მეორე ნაწილი კი – **-ზე** თანდებულს (გაზაფხულზე, შემოდგომაზე...). მათი სხვა ფორმით გამოყენება სალიტერატურო ენაში დაუშვებელია (ქსკს 1985: 157-159).

საერთო ფუნქციების გარდა, **-ში** თანდებულს შეუძლია გამოხატოს, აგრეთვე: შინაარსი „შორის“ (ქალაქებში, ფრინველებში, ცხოველებში...), **-ზე**-ს კი – ხარისხობრივი მიმართება (თქვენზე უფროსი, ქვიშაზე უმრავლესი...) (თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია 2011: 138).

-ზე თანდებულის ფუნქციები ამით არ ამოიწურება. ზოგჯერ ჭირს მისი კონკრეტული დანიშნულების მოძებნა, მაგრამ აქედანაც ჩანს, რომ, ძველი ქართულიდან მოყოლებული დღემდე, ამ თანდებულმა საკმაოდ შეიცვალა ლექსიკური მნიშვნელობა. ამის შედეგია, ალბათ, ზოგჯერ **-ზე** თანდებულის გამოყენება სხვა თანდებულის ადგილას. მაგალითად, *ის გაუყვანია დაფაზე* (მარტიროსოვი 1946: 217). შდრ. *დაფასთან გაუყვანია; დიდი ნამსახური და გარჯილი ხარ ჩვენზედ* (= ჩვენთვის) (იქვე)... არაიშვიათად ერთმანეთს ენაცვლებიან **-ზე** და **-ში** თანდებულები: *მეც უნდა წავიდე საყდარზე* (= საყდარში); *შენს მოლოდინზე* (= მოლოდინში) *დავმალე არაყიანი მინაო* (იქვე).

საყოველთაოდ ცნობილი ფუნქციების გარდა, **-ზე** და **-ში** დართულმა მიცემითმა შეიძლება გამოხატოს სხვა სემანტიკაც: ინტერესი, თანაობა, დანიშნულება, ინსტრუმენტალისი, მსგავსება, მიწვევითობა, გამონაკლისობა, მიმართულება, საგანთან სიახლოვე, ფარდობითი დრო და სხვა (სალინაძე, ჩიმქე 2011: 198).

ნაშრომში შევეცდებით, წარმოვაჩინოთ სწორედ ამ თანდებულთა ის სემანტიკური ნიუანსები და თავისებურებები, რაც გვხვდება ქართულ ხატოვან სიტყვებსა და გამონათქვამებში, აგრეთვე წერითსა და ზეპირ მეტყველებაში. ბ. ჯორბენაძეს მიაჩნია, რომ ბრუნვათა სემანტიკური დიფერენცირება ენის სემანტიკური შესწავლის ერთ-ერთი საშუალებაა. ამგვარი დიფერენციაციის გარეშე, როგორც მეცნიერი წერს, „წარმოუჩინებელი დაგვიჩვენებს“ ენის შესაძლებლობა, ნაირგვარ კონტექსტში ერთი და იმავე ფორმით გამოიხატოს განსხვავებული ფორმები (ჯორბენაძე 1983: 212). იგივე შეიძლება ითქვას თანდებულიანი ფორმებისთვისაც.

იმისათვის, რომ განხორცილდეს **-ზე** და **-ში** თანდებულიან ფორმათა უკეთ აღქმა, საჭიროა, გამოიყოს სემანტიკური ჯგუფები:

ა. **-ზე** და **-ში** თანდებულიან ფორმათა იდენტური ფუნქციები:

1. **მოქმედების ადგილის ჩვენება:** **-ზე** გამოხატავს საგნის ზედაპირზე მყოფობას (ჭერზე, გზაზე, კონცერტზე...), **-ში** კი – საგნის შიგ, შინაგან სივრცეში (სიღრმე ან შემოზღუდული რაიმე) მყოფობას (სახლში, უნივერსიტეტში, ქალაქში...). მაგალითები:

-ზე: კვალზე წასვლა: მიბაძვა, მიყოლა, ვისიმე მსგავსად კეთება საქმისა (სახოკია: 329); **ახლა კი დავაბი ვირი ბაგაზე:** *ახლა კი მოვრჩი საქმეს. ახლა ავისრულე გულის წადილი, რაც მინდოდა, გავაკეთე, საზრუნავი არა მაქვს რა, არაფერი მაღარდებს, შემიძლია მოვისვენო* (იქვე: 39); **ბედზე ფეხის დაჭირება:** ბედის მოშორება, სიკეთის არიდება, სიკეთეზე უარის თქმა, ცუდ ყოფაში ჩაგდება თავისა (იქვე: 50); **ანკესზე წამოგება:** მოტყუება, ვისიმე ხრიკების მსხვერპლად გახდომა, მახეში გაბმა (ონიანი: 17)...

-ში: ბაზალეთში დაღუპულა: სულ დაღუპულა, ველარ გადარჩა (სახოკია: 44); **ამაზე მეტი აღარ ჩავიდა ყელში:** მეტის მოთმენა აღარ შეიძლება! (იქვე: 16); **ამღვრეულ წყალში თევზის ჭერა:** არეულობის გამოყენება პირადი ინტერესებისათვის (ონიანი: 16)...

-ზე და **-ში** თანდებულიან ფორმათა ეს ფუნქციები, ჩვეულებრივ, კარგად არის გამიჯნული. საჭიროების შემთხვევაში ერთ-ერთი თანდებულის ამორჩევა შინაარსის მიხედვით ხდება, კერძოდ: ზედაპირზე მყოფობისათვის არის **-ზე**, შინაგანი სივრცისა და შიგ მყოფობისათვის – **-ში**.

-ზე და **-ში** თანდებულიან ფორმათა ფუნქცია ყოველთვის ასე ნათელი და გამჭვირვალე არ არის. მიცემითი ბრუნვის **-ზე** და **-ში** თანდებულიან ფორმათა ზემოთ აღნიშნული

ფუნქცია თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ყველაზე პრობლემური საკითხია, რადგან ორივე თანდებულის გამოყენებისას ბევრ შემთხვევაში ხდება აღრევა. ქართველის მეტყველებაში არსებულ წინააღმდეგობაზე მიუთითებს მაგალითები, რომელთაგან პირველი მიჩნეულია უმართებულოდ, მეორე – მართებულად: *დიდუბზე / ვაკეზე ცხოვრობს – დიდუბეში / ვაკეში ცხოვრობს, ქორწილზე მიიწვია / მიიპატიჟა – ქორწილში მიიწვია / მიიპატიჟა, აუზზე დადის – აუზში დადის, ბაზარზე დგას – ბაზარში დგას, ქუჩაზე მიდიოდა / ეგდო – ქუჩაში მიდიოდა / ეგდო, ბინაზე იმყოფება – ბინაში იმყოფება...* ან პირიქით: *გზაში დაყრილი – გზაზე დაყრილი, გზაში მიდის – გზაზე მიდის, წიგნის ბაზარში გამოჩნდა – წიგნის ბაზარზე გამოჩნდა* (ქირია, ჭ., ქირია, ნ. 2008: 97-106). ასევე მართებულად უნდა ჩაითვალოს გამოთქმა – *ვაკეზე* (= ვაკე ადგილზე) *ცხოვრობს* – იმ შემთხვევაში, როცა იგულისხმება ვაკე, სწორი ადგილი.

აღნიშნული ფორმების გამოყენებისას აუცილებელია ნიუანსობრივი მხარეების ცოდნაც. მაგალითად, სიტყვასთან **ქუჩა** რომელი თანდებული უნდა გამოვიყენოთ **-ზე** თუ **-ში**? თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გამართლებულია ორივე, ოღონდ უნდა ვიცოდეთ მათი ადგილი: **1. -ზე** თანდებულიანი კონსტრუქცია გამოიყენება მაშინ, როდესაც რომელიმე კონკრეტულ ქუჩას ვასახელებთ ან მივუთითებთ: *ბარათაშვილის ქუჩაზე, ქალაქის მთავარ ქუჩაზე...* **2.** სხვა შემთხვევაში კი, როცა კონტექსტის მიხედვით მხოლოდ ფაქტი გვაინტერესებს და არა კონკრეტული ადგილი, მაშინ ერთვის **-ში** თანდებული: *ქუჩაში მიდიოდა, ქუჩაში წაიქცა, მთელი დღე ქუჩაშია...* (ქსკს 1985: 367).

-ზე და **-ში** თანდებულიანმა ფორმებმა, ადგილის ჩვენების გარდა, შეიძლება მიუთითოს მოქმედების გარედან შიგნით მიმართულებაც. მაგალითად: *ქალაქში მიდის, სახლში შედის...* (<http://ena.ge/explanatory-online>).

ჩვენი კვლევისას აღმოჩნდა, რომ **-ზე** და **-ში** თანდებულიან ხატოვან სიტყვებსა და გამონათქვამებში ჭარბობს მოქმედების ადგილის ჩვენების ფუნქცია.

2. მანძილის (სიშორე-სიახლოვის) გამოხატვა: **თოფის მანძილზე:** შორს, სათოფეზე არ მეკარება; მერიდება, შორს გამიბრის, ახლო არ მეკარება (სახოკია: 278); **ორი ფეხის გადადგმაზე:** სულ ახლო, არა შორს, აქვე, ხუთ ყურზე ახლოს არიან: ის ადგილი შორს არ გეგონოს, ხუთ ყურზე ახლოსაა (იქვე: 475); **სიკვდილის პირზე მივარდნილი:** მომაკვდავი, სასიცოცხლოდ სულ ცოტა ხანი დარჩენილი. ამ შემთხვევაში შედარება გამოყენებულია სიახლოვის აღსანიშნავად (იქვე: 573); **ცხრა დღის სავალზე:** მეტად შორი გზა (იქვე: 825); **ცხვირში დგომა (ვისთანმე):** პირდაპირ გაჩერება ვისთანმე, ახლოს ყოფნა (იქვე: 823)... ქართულში გავრცელებულია ფრაზა: *მეცხრე ცაზე სიხარულით*, რაც უკავშირდება წარმოდგენას ცხრა განზომილებიანი ცის შესახებ, მაგრამ, როგორც ცნობილია, არსებობს სხვა წარმოდგენაც, რომლის მიხედვითაც ცა იყო შვიდი. თ. სახოკიას ლექსიკონის მიხედვით გვხვდება გამოთქმა: *მეშვიდე ცამდე მიღწეული*. ალ. ონიანის მიხედვითაც: *მეშვიდე ცაში აიყვანა...* აქ განმსაზღვრელია კონტექსტი, ზმნა. მოცემულ შემთხვევებში ყველა თანდებული გამოხატავს ადგილს.

3. დროის გამოხატვა: დროის სემანტიკის მქონე სახელების ერთი ნაწილი დროული მიმართების გადმოსაცემად დაირთავს **-ში** თანდებულს (ზაფხულში, ზამთარში), მეორე ნაწილი კი – **-ზე** თანდებულს (გაზაფხულზე, შემოდგომაზე...). აღნიშნული ფორმების გამოყენებისას ჩნდება კითხვა: რატომ დაერთვის **გაზაფხულზე, შემოდგომაზე** ფორმებს **-ზე** და **ზაფხულში, ზამთარში** ფორმებს **-ში**? ამასთან დაკავშირებით „ქართული სიტყვის კულტურის საკითხებში“ მითითებულია, რომ თანდებულთა ამგვარი გამოყენება თუ განაწილება ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ენობრივი ტრადიციით არის გამართლებული (ქსკს 1985: 156); **შავ დღეზე გაჩენილი:** უბედური, ბედუკუდმართი, უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული (ონიანი: 167); **უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული:** უბედო, ბედუკუდმართი, შავ დღეზე გაჩენილი (იქვე: 148); **მარტშია დაბადებული** (ვისიმე): მიზეზიანია, ჭინჭელიანია (სახოკია: 374); ჩემს პატარა ბიჭობაში ბევრი კარგი ნახულა (მარტიროსოვი 1946: 219).

4. -ზე და -ში თანდებულის გამოყენება მნიშვნელობის გასაძლიერებლად: განმეორებული ობიექტიდან მეორე სახელი -ზე თანდებულისა: *დაჩემებით სცლიდა ყანწს ყანწზე...* ზოგჯერ სახელის განმეორებას ენაცვლება ზმნისართი *ზედაზედ ან ზედიზედ: პაპიროსს ზედიზედ ეწეოდა*. მნიშვნელობის გასაძლიერებლად -ზე დართულ სახელს კვლავ *ზედ* ზმნისართი ემატება ხოლმე: *საღდათებმა ზედ გვერდზედ ჩამოუარეს* (იქვე: 217); *საქმე საქმეზედ მოიყვანა*: დამთავრება, დასრულება საქმისა, რისამე გაკეთება (სახოკია: 555); *ქვა ქვაზე არ დატოვა*: გაანადგურა, მოსპო, დაანგრია, ნაცარტუტად აქცია, მიწასთან გაასწორა (ონიანი: 158). მნიშვნელობის გასაძლიერებლად -ში თანდებულისა სახელს წინ ემატება ზმნისართი *შიგ*: *შიგ შუა წყალში ცხენიდან გადმოვხტი* (მარტიროსოვი 1946: 217).

5. -დან თანდებულის ფუნქციით გამოყენება: *ცალ ყურში შეუშვა, მეორეში გამოუშვა: გაიგონა რამე თუ არა, დაავიწყდა, რაც უნდა ექნა, გულისყურით არ უსმენდა* (სახოკია: 796); *თავზე ხელაღებული*: თავგანწირული, მოურიდებელი ყოველგვარი ბოროტებისა, ავკაცობის არაფრად მიმჩნევი, უარმყოფი ადამიანობისა; ვინც თავისათვის არა ზრუნავს, ვინც არა ნაღვლობს, რაც მოუვა; უშიშარი, უკრძალველი, თავმოძულებული, ყველაფერი – ავი და კარგი – ჩაღად რომ უჩანს, კადნიერი, შეუპოვარი (იქვე: 225). შდრ. *გულიდან ამოღება, ფანჯარაში გადმოიხედოს, კიბეზე ჩავიდეს / ავიდეს...*

6. -ით ბრუნვის ნიშნის ფუნქციით გამოყენება (თანაობა): *მგლის თვალზე ნახვა* (ვისიმე): არ მოწონება, პირველი ცუდი შთაბეჭდილება ვისიმე ნახვაზე. *გულში მისი სიძულვილის აღძვრა, შეზიზღება, ათვალისწინება, ბოროტების გამოხატვა* (იქვე: 382); *რა თვალზე ნახა?! მნახველზე რა შთაბეჭდილება დატოვა?! (იქვე: 512); ცუდ თვალზე დანახვა* (ვისიმე): ათვალწინება, მოუწონებლობა, შეძულება (იქვე: 817); *რა ენაზე ვთქვი*: ბედნიერ ენაზე მომიხდა ამის თქმა. *რა ენით ვთქვი!* (იქვე: 511); *იმაზე ხომ არ ჩამოწყვეტილა სალამი: სხვაც ბევრია მაგის მსგავსი, მისი ოდნობის გამწევი სხვაც მრავალია* (იქვე: 286); *ცხელ გულზე*: აღელვების, წყრომის, გაბრაზების ჟამს (ონიანი: 177); *გვერდში (გვერდით) ამოყენება* ვისიმე: მუდმივ დამხმარედ, თანამებრძოლად გახდა (იქვე: 25)... აღნიშნული ფორმების გამოყენება შესაძლებელია მოქმედებითი ბრუნვის ნიშნითაც: *მგლის თვალზე ნახვა / მგლის თვალთ ნახვა; ცუდ თვალზე დანახვა / ცუდი თვალთ დანახვა; რა ენაზე ვთქვი / რა ენით ვთქვი; იმაზე ხომ არ ჩამოწყვეტილა სალამი / იმით ხომ არ ჩამოწყვეტილა სალამი; ცხელ გულზე / ცხელი გულით; გვერდში (გვერდით) ამოყენება...*

საინტერესოა, აგრეთვე: ქართული ენით გამოითქმება / ქართულ ენაზე გამოითქმება: „*ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდა რა ენით*“ (ნიკო მარი, <http://georoyal.ge/?MTID=5&TID=40&id=1689>). შდრ.: „*ქართული ძალზე მდიდარი ენაა, ურთულესი გრამატიკით. არ არსებობს აზრი და ემოცია, რომელიც ქართულ ენაზე არ გამოითქმება*“ (ერთ-ერთი ქართველი პოლიგლოტი, ანატოლი გვასალია, <http://www.kvirispalitra.ge/public/9597-ukanaskneli-interviu-kacthan-romelmac-48-ena-icoda.html>).

7. მიზეზი და მიზანი (-თვის თანდებულის სანაცვლოდ): *წყალზე წაიყვანს და უკან წყალდაუღვევლ წამოიყვანს*: ჭკვიანია, ეშმაკია, გამოცდილი (იქვე: 876); *შარზე სიარული*: მიზეზის ძებნა ბოროტის საქნელად (იქვე: 740); *სიკვდილზე მიყვანა*: სიკვდილთან მიახლოება (ვისიმე) (იქვე: 572); *რისხვით მოტრიალებულა ჩვენზე ცის ბორბალი: ღმერთი გაგვრისხვებია, გაგვწყრომია, დიდი დანაშაული ჩავგიდენია, დიდი უბედურება დაგვტეხია* (იქვე: 521); *მარილზე წასვლა, მარილზე გაგზავნა აღზევანს*: გარდაცვალება. *რაზე ჯავრობ? წყალზე მივდივარ* (იქვე: 373)...

სასაუბრო ელფერი აქვს -ზე თანდებულს მიზნის სემანტიკის გადმოსაცემად *პურზე მიდის* ტიპის შესიტყვებებში (ქართული ენა – ენციკლოპედია 2008: 221).

-ში თანდებული რაღაცის სანაცვლოდ, გასამრჯელოდ, ფასად: *თავის გაკრეჭაში სამი მანეთი გადაიხადა, ქუდში თუმანი მისცა* (<http://ena.ge/explanatory-online>). *ამაში გამომიქვითა... ამაში რამდენი გადაიხადე?* ფორმაში -ში ასრულებს -თვის თანდებულის ფუნქციას: ამისთვის რამდენი გადაიხადე?

ზეპირ მეტყველებაში არსებობს სიტყვა **სტარტი**, რომელიც მხოლოდ -ზე თანდებულს ირთავს: **სტარტზე**. მაგალითად, დილის 9 საათიდან **სტარტზე ველოდებით ყველა გუნდს** (დავით ქაცარავა: <http://www.ipress.ge/new/72958-davit-qacarava-dilis-9-saatidan-startze-velodebit-yvela-gunds>). ჩვენი აზრით, -ზე თანდებული აქაც მიზეზის ფუნქციას გამოხატავს. შდრ. გამოთქმები: **სტარტზეა! სტარტზე ვარ!**.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არსებობს ზმნური ფორმები, რომლებიც -ზე თანდებულის გარეშე არ იხმარება. ასეთებია: **ზრუნვა**: 1. წუხს, ფიქრობს ვინმეზე ან რამეზე, ვისიმე ან რისამე დარდი აქვს || ირჯება ვინმესთვის ან რამესთვის (<http://ena.ge/explanatory-online>); **აქცენტის გადატანა**: სამინისტრო სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწყობას მუდმივ რეჟიმში აგრძელებს. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი აქცენტი სკოლისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსებაზეა გადატანილი (<http://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=5789>); **ყურადღების შეჩერება**: არის ერთი ყმაწვილი, რომელზეც განსაკუთრებით ღირს ყურადღების შეჩერება (<http://worldsport.ge/ge/page/magidis-chogburtshi-batumma-tbiliss-adjoba>)... ჩვენი აზრით, აღნიშნულ ფორმებშიც გამოხატულია მიზეზი და მიზანი.

ბ. -ზე და -ში თანდებულიან ფორმათა განსხვავებული ფუნქციები

-ზე თანდებულის ფუნქციები:

1. **შედარება, დაპირისპირება**: შენზე მაღალი, იმაზე დიდი, თქვენზე უფროსი, ქვიშაზე უმრავლესი...: **რამდენი პერანგი მაქვს შენზე (თქვენზე) მეტი გაცვეთილი**: *რამდენი მიცხოვრია შენზე მეტი, რამდენითა ვარ შენზე დიდი, შენზე ხნიერი* (სახოკია: 514); **თვალი ერთმანეთზე შორსა გვექონდა**: *ერთმანეთს დაშორებული ვიყავით, ერთმანეთისა არა ვიცოდით რა* (იქვე: 257); **ყველაზე**: ყველაზე მეტი, ყველაზე დიდი, ყველაზე კარგი, ყველაზე მაღალი... -ზე იმავდროულად ვიდრე კავშირის ფუნქციასაც ასრულებს: *მე შენზე მაღალი ვარ – მე უფრო მაღალი ვარ, ვიდრე შენ; ბათუმი თბილისზე პატარა ქალაქია – ბათუმი უფრო პატარაა, ვიდრე თბილისი...* (ქეგლ IV 1955: 108).

2. **მიმართულება ქვევიდან ზევით**: *ხეზე ავიდა* (ქეგლ IV 1955: 108). **როცა ვირი ხეზე გავა**: არასდროს; **ეშმაკის ცხენზე შეჯდომა**: გაჯიუტება, გაკერპება, თავისი ნათქვამის გატანა, ბოროტის განზრახვა (სახოკია: 191). აღნიშნულ მაგალითებში ქვევიდან ზევით მიმართულებას გამოხატავს არა მარტო -ზე თანდებული, არამედ ამ შემთხვევაში მოქმედებს ზმნისწინიც.

3. **ენაცვლება ვითარებითი ბრუნვის ფორმას**: **მართლობაში ჩამორთმევა**: მართლად ჩათვლა (სახოკია: 373); **სიშურეში ჩამორთმევა**: შურიანად მიჩნევა, სიშურის თვისებების მიკუთვნება ვისთვისმე (იქვე: 586); **სიძუნწეში ჩამორთმევა**: ძუნწად ჩარაცხვა, ძუნწად მიჩნევა (იქვე: 587); **უკმეხოზაში ჩამორთმევა საქციელისა**: წყენინება, გულის მოსასვლელი ქცევა (იქვე: 627); **უყურადღებობაში ჩამორთმევა...**

4. **„შესახებ“ თანდებულის ფუნქციით**: **მოდი, ასეთ კაცს ეშხზე ელაპარაკე**: არაფერი იცის, არაფერი გაეგება ხელოვნებისა, პოეზიისა, რთული საგნის შესახებ (სახოკია: 412); **ძალდი ხსენებაზე**: კაცს ვისმე ახსენებენ და ისიც ამ დროს გამოჩნდება (იქვე: 837); **სიტყვის ჩამოგდება (ვინმეზე, რამეზე)**: ლაპარაკის დაწყება, ხსენება... (ქეგლ, IV: 108).

5. **-თან თანდებულის ფუნქციით**: **სავსე სუფრაზე ზის**: მდიდარია, არაფერი აკლია, საჭმელ-სასმელი საძებარი არა აქვს (სახოკია: 533); **თურქზე დაქორწინდა** (შდრ. თურქთან იქორწინა); **ფინიშზე გავიდა**: ქსკს-ში მითითებულია, რომ სიტყვა **ფინიში** თანამედროვე ქართულში გამოხატავს (შეჯიბრის) დამთავრების ადგილს. ამ შემთხვევაში ქართულისათვის ბუნებრივია -თან თანდებულიანი ფორმა (ფინიშთან). -ზე თანდებულიანი ფორმა (ფინიშზე) რუსულის კალკი უნდა იყოს (ქსკს 1985: 364).

6. **მიწვევითობა**: **მზე ჩაწურვაზეა**: მზე დასავალსაა, უნდა ჩავიდეს (სახოკია: 396); **ასაფრენზეა**: მზად არის რისამე გასაკეთებლად, სადმე წასასვლელად, უნდა წავიდეს (იქვე: 28)...

7. **ნეიტრალური მნიშვნელობის მქონე -ზე თანდებულიანი ფორმები**: **აზრზე არ არის**: არ იცის (რამე), წარმოდგენა არა აქვს (რისამე შესახებ) (ონიანი: 14); **მშრალზე დარჩენა**:

მოტყუებული, პირში ჩალაგამოვლებული დარჩენა, ცარიელზე დარჩენა. უარაფროდ დარჩენა, წაგება, დაკარგვა ყველაფრისა, მოტყუება (სახოკია: 439); **სიტყვაზე**: იხ. სიტყვა: 1. ბგერათშეერთება, რომელსაც ლექსიკური (საგნობრივი) მნიშვნელობა აქვს. 2. მეტყველება, ენა. 3. ლაპარაკი, საუბარი. 4. ნათქვამი, თქმული. 5. რაც უნდა უთხრან, – სათქმელი. 6. საჯარო გამოსვლა, მოხსენება. შესავალი სიტყვა. 7. იგივეა, რაც პირობა. 8. ბრძანება, გადაწყვეტილება (<http://ena.ge/explanatory-online>); **რა შუაშია**: ვალდებული, პასუხისმგებელი არ არის, მისი საქმე არ არის; მისი ბრალი არ არის; მისი დამსახურება არ არის (სახოკია: 130); **თავში, ბოლოში, ჭკუაზე** არ არის... **-ზე** თანდებულის ერთ-ერთი ფუნქცია არის დროის გამოხატვა, მაგრამ მაგალითებში **დილაზე, საღამოზე...** **-ზე**-ს ჩამოშორების შემთხვევაში მნიშვნელობა არ იცვლება: დილას, საღამოს. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ აქ **-ზე** თანდებულს აქვს ნეიტრალური ფუნქცია.

8. ოდენობა: ბეწვზე გადარჩენა: ძლივს გადარჩენა, ბეწვის ოდენა რომ უკლია დაღუპვას, დამარცხებას, დაცემას (სახოკია: 54), **ქუდზე კაცის გამოსვლა (საომრად)**: ყველა მამაკაცის გამოსვლა საბრძოლველად (იქვე: 689); **ქუდზე ძახილი**: საბრძოლველად გამომდხება ყველასი, ვისაც ქუდი ჰხურავს, ე.ი. ვინც მამაკაცია და ბრძოლა შეუძლია (იქვე: 689); **სამების ძალზე**: სამჯერ (იქვე: 543)...

9. წამოწყება: ხაზახუბაზე გადასვლა: უბრალო რამეების კმარება საქმელად (იქვე: 900); **სათავეშივე ამღვრევა წყლისა**: დაწყებისთანავე გაფუჭება საქმისა, რამე წამოწყებისა (იქვე: 534)...

10. ნათესაობითი ბრუნვის მნიშვნელობით: მატჩი პირველობაზე: აღნიშნულთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ სპორტული პრესის ენაში ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება შესიტყვებები **მსოფლიო პირველობის მატჩი** და **მატჩი მსოფლიო პირველობაზე** (ქსკს 1985: 197-198). **-ზე** თანდებულიანი კონსტრუქცია (**მატჩი მსოფლიო პირველობაზე**) რუსულის კალკია (ქეგლ, IV: 99). ჩვენი აზრით, იგივე შინაარსი უნდა გადმოიცეს ქართული კონსტრუქციით ასე: **მატჩი მსოფლიო პირველობისათვის**.

11. დართულობა: ა-ზე ბოლოვდება, ფუძეზე დართული ელემენტი და ა.შ.

-ში თანდებულის ფუნქციები:

1. **-ში** თანდებულს შეუძლია გამოხატოს შინაარსი „შორის“: **მეც იმათში!**.. მაგალითად: რაც სხვებს დაემართება ან ერგება, მეც დამემართოს ანუ მერგოს (სახოკია: 392); **ვირი ხბორებშია**: პატარებში (მაგ., თამაშის დროს) დადის (იქვე: 205); **ათასში ერთხელ ჩავიგდე რთველი**: დაღვინება იშვიათად მღირსებია, ერთთავად გაჭირვებაში ვარ, ჩემი საქმის გამოკეთებას არაფერი ეშველა (იქვე: 13)...

2. **-ში** გამოიყენება ერთნაირ საგანთა შორის ერთ-ერთის ამორჩევისას (ქალაქებში, ფრინველებში, ცხოველებში...): ყვავილებში შენ ხარ ღარიბი, ფრინველებში მე ვარ, მგონი (მარტიროსოვი 1946: 219).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

1. რაოდენობრივად **-ზე** თანდებულიანი ფორმების გამოყენების არე უფრო მდიდარია თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში, ვიდრე **-ში** თანდებულიანი.

2. ზოგი თანდებული (**მიერ, -ურთ, შესახებ**) უპირატესად ერთი ფუნქციით გამოიყენება, ზოგისთვის (**-ზე, -შე, -თვის, -გან**) მრავალფუნქციურობაა დამახასიათებელი. თანდებულთა მრავალფუნქციურობას კონტექსტი შეაპირობებს, კონტექსტის საშუალებითვე ხდება მრავალფუნქციურობის თანმხლებ პრობლემათა დაძლევა (შდრ. ამ თვალსაზრისით: *სოფელში წავიდა, სოფელში ცხოვრობს, ბუჩქებში დაიმაღლა, მთაში აცივდა, აპრილში დაიბადა, მარტოობაში სიმშვიდე პოვა; ტოლებში გამოარჩია, ობლობაში გაიზარდა...* (ქართული ენა – ენციკლოპედია 2008: 221).

3. ქართული ენის გრამატიკის შედგენისას მიცემითბრუნვიანი თანდებულების გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, აგრეთვე, ზმნის ქცევის სახეობაც: *მოედანზე, სცენაზე...* *სოფელში, ქალაქში, თეატრში...* ფორმებში *დაბრუნდა / დაბრუნდება* ზმნების გამოყენებისას **-ზე** და **-ში** ჩვეულებისამებრ ერთვის სახელს, მაგრამ, როცა

დაბრუნება გამოიყენება -უ ქცევის ნიშნით, მაშინ -ზე და -ში-ს ენაცვლება მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს: *სოფელს, ქალაქს, თეატრს... მოედანს, სცენას... დაუბრუნდა / დაუბრუნდება* (შდრ. *ქალაქში მივდივარ – ქალაქს მივემგზავრები*).

4. -ზე და -ში თანდებულთაგან კონსტრუქციისათვის ერთ-ერთის ამორჩევის დროს ზოგჯერ აუცილებელია ზმნის სემანტიკისა და მისი სინტაქსური უნარის გათვალისწინება. მაგალითად, **მონაწილეობას იღებს (მონაწილეობს)** ზმნური ფორმები გრამატიკულად მართებულ კონსტრუქციას მხოლოდ -ში თანდებულისა სახელებთან ქმნის. ამავე დანიშნულებით -ზე თანდებულისა სახელთა გამოყენება სალიტერატურო ენის ნორმათაგან გადახრად შეიძლება შეფასდეს (ქსკს 1985: 159). ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად აღნიშნული მოსაზრება, რადგან ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო ზმნის სემანტიკისა და მისი სინტაქსური უნარი, არამედ უნდა ვიცოდეთ, კონკრეტულად რომელი თანდებული ერთვის შესიტყვებაში სახელს. მაგალითად, **შევდივარ** ზმნურ ფორმაში, მისი შინაარსიდან გამომდინარე, -ში თანდებული უფრო მისაღები ჩანს და არა -ზე თანდებული, მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გამოიყენება **ლექციაზე შევდივარ** ფორმა და არა **ლექციაში შევდივარ**.

5. ზოგიერთი ფორმა კონტექსტიდან განურჩევლად დაერთვის ან -ზე თანდებულს, ან -ში თანდებულს. მაგალითად, მოედანი, გზადკეცილი, მაგისტრალი, ტროტუარი, ქვაფენილი, გამზირი სიტყვები გამოიყენება მხოლოდ -ზე თანდებულთან ერთად (მოედანზე, გზადკეცილზე, მაგისტრალზე, ტროტუარზე, ქვაფენილზე, გამზირზე. შეცდომების თავიდან ასაცილებლად ასეთი კონკრეტული სიტყვების ცოდნაც არის აუცილებელი.

6. თანდებული შესიტყვების წევრებს – სახელსა და სახელს, ზმნასა და სახელს შორის ამყარებს ობიექტურ, სივრცობრივ (ლოკალურ), დროულ, კუთვნილება-დანიშნულებითს, მსგავსება-შედარებითს, მიზეზობრივ, მიზნობრივსა და სხვ. სახის მიმართებას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამ მიმართებათა მნიშვნელობა თანდებულის საშუალებით შეერთებულ შესიტყვების წევრთა სემანტიკაზეა დამოკიდებული (ქართული ენა – ენციკლოპედია 2008: 221).

-ზე და -ში თანდებულისა სახელთა გადმოცემასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია. ეს საკითხი მომავალში უფრო გაღრმავებულ კვლევას საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (2011) გიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.
2. მარტიროსოვი, არამ. (1946) *თანდებულები ქართულში*, იბერიულ კავკასიური ენათმეცნიერება I, გამომცემლობა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“, თბილისი.
3. ონიანი ალ. (1966) ქართული იდიომები, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი.
4. სალინაძე რ. (2008) ძველი ქართული ენა (V-XI საუკუნეები), გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი.
5. სალინაძე რ., ჩიმქე ჰ. (2011) -ზე და -ში თანდებულისა ფორმათა გადმოცემასთან დაკავშირებული პრობლემები ქართულსა და თურქულში, სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები პრობლემები და გამოწვევები, კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების კრებული, თბილისი.
6. სახოკია თედო (1979) ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.
7. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები (1985). წიგნი მეშვიდე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
8. ქეგლ (1955) გამომცემლობა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“, თბილისი.
9. ქირია ჰ., ქირია ნ. (2008). ქართული ენის მართლწერის საკითხები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.
10. ქობალავა იზაბელა (შემდგენელი) (2008) ქართული ენა – ენციკლოპედია, გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“, თბილისი.
11. შანიძე, ავ. (1973) ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი.

12. ჯორბენაძე ბ. (1983) ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, *ბრუნვათა სემანტიკური ანალიზის პრენციპებისათვის ქართულში*, გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი.
13. <http://ena.ge/explanatory-online>.
14. <http://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=5789>.
15. <http://worldsport.ge/ge/page/magidis-chogburtshi-batumma-tbiliss-adjoba>.
16. <http://www.ipress.ge/new/72958-davit-qacarava-dilis-9-saatidan-startze-velodebit-yvela-gunds>.
17. <http://www.kvirispalitra.ge/public/9597-ukanaskneli-interviu-kacthan-romelmac-48-ena-icoda.html>.
18. ნიკო მარი, <http://georoyal.ge/?MTID=5&TID=40&id=1689>.

Harun Chimke

Recep Tayip Erdogan State University, Rize

Semantic Nuances of (-shi, -ze) Prepositions in

Literary/Figurative Expressions

Abstract

Dative Case Prepositions (-ვით, -ში, -ზე, -თან = -in, -above, -like, -with) represent the most interesting and rich ones in terms of semantic nuances. During their usage, many peculiarities of the Georgian language are being revealed. This is especially true for **-shi, -ze** prepositions. In the given paper we will try to elaborate on semantic nuances and peculiarities of these prepositions that are found in literary/figurative expressions, as well as in written and spoken texts.

საკვანძო სიტყვები: სემანტიკური ნიუანსები, თავისებურებები, ზეპირი ტექსტი, წინდებული

Keywords: Semantic nuances, peculiarities, spoken text, preposition

ნელი ცქიტიშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

საინფორმაციო საშუალებების გამოყენება ტურისტულ ბიზნესში კრიზისული სიტუაციის მართვისას

ნაშრომში „საინფორმაციო საშუალებების გამოყენება ტურისტულ ბიზნესში კრიზისული სიტუაციის მართვისას“ განხილულია ტურისტულ ბიზნესში საზოგადოებასთან ურთიერთობის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები, როგორიცაა PR-სა და საინფორმაციო საშუალებების გამოყენება კრიზისული სიტუაციის მართვაში. ხაზგასმულია იმის გათვალისწინება, რომ, ზოგადად, საზოგადოებრივი აზრი იქმნება გარკვეულ მოვლენებთან მიმართებაში და, უპირველესად, ეს ვლინდება ამა თუ იმ ბიზნეს ორგანიზაციაში კრიზისის წარმოქმნისას. ამ დროს სასურველია საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი ქმნიდეს და წარმართავდეს საზოგადოებრივ აზრს, გამოხატავდეს და იცავდეს ორგანიზაციის ინტერესებს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაზარალებდეს ორგანიზაციის იმიჯი და იგი ძნელად დააღწევს თავს კრიზისულ სიტუაციას.

როდესაც საზოგადოება ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფება, ბიზნეს ორგანიზაციები კი ვერ ახერხებენ დამაჯერებელი კომენტარის გავრცელებას, ჟურნალისტები და სხვა დაინტერესებული პირები თვითონ აწვდიან აუდიტორიას საჭირო განმარტებებს, რაც

უარყოფითად მოქმედებს ორგანიზაციის კორპორაციულ იმიჯზე. დადებითი იმიჯის შექმნას დრო და ძალისხმევა სჭირდება, განსაკუთრებით ტურისტულ ბიზნესში, ამდენად, მისი დაკარგვა დიდი მარცხია ნებისმიერი ორგანიზაციისთვის.

იმ აუცილებლობის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაცია მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყოს კრიზისის დასაძლევად, საჭიროა მას წინასწარ ჰქონდეს გადაჭრის გეგმა. ამერიკაში, 70-იან წლებში, მენეჯმენტში ჩამოყალიბდა ახალი მიმართულება, რომელსაც პრობლემის მართვა ეწოდა. ედვარდ ჩეისი, ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, პრობლემის მართვას შემდეგნაირად განმარტავს: „პრობლემის მართვა – ესაა საშუალება გაიგო, მობილიზება გააკეთო, კოორდინაცია გაუწიო და შეიმუშავო სტრატეგიისა და ტაქტიკის ყველა გეგმა, რათა აქტიურად დამყარდეს კონტაქტი საზოგადოებასთან“. პრობლემათა მართვის პროცესი, მისი აზრით, მოიცავს ხუთ კონკრეტულ, თანმიმდევრულ ნაბიჯს: 1.პრობლემათა იდენტიფიკაცია, რომელსაც ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ; 2. ანალიზი და ყოველგვარი პრობლემის დასაწყისის განსაზღვრა იმ თვალსაზრისით, თუ როგორ ახდენს ეს პრობლემა ზეგავლენას საზოგადოებრივ ჯგუფებზე; 3.სტრატეგიის ალტერნატიული ვარიანტების შექმნა და დემონსტრირება; 4.სამოქმედო პროგრამის რეალიზაცია, რომლის მიზანი იქნება ორგანიზაციის პოზიციის საზოგადოებამდე მიტანა და პრობლემის აღქმაზე ზემოქმედება; 5.პროგრამის შესრულების შედეგების შეფასება იმ თვალსაზრისით, ორგანიზაციამ მიზანს მიაღწია თუ არა.

უფრო ვრცლად თუ განვიხილავთ პრობლემათა მართვის პროცესს, ის მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

პრობლემის განხილვა

როგორც წესი, პრობლემათა მართვის პროცესი მოითხოვს მათ განსაზღვრას ორ-სამი წლით ადრე, ვიდრე ის გადაიზრდებოდეს შესაბამის კრიზისში. როგორც წესი, ამ დროს იგეგმება კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის ან კრიზისული სიტუაციის თავიდან აცილების გზები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრობლემის მართვისას, მის აღმოფხვრისათვის უნდა ვიზრუნოთ გაცილებით ადრე, ვიდრე პრობლემა კრიზისად გადაიქცეოდეს.

პრობლემათა სელექციური იდენტიფიკაცია

ტურისტულ ორგანიზაციათა უმრავლესობის შესაძლებლობებს თუ გავითვალისწინებთ, მას შეუძლია ერთდროულად მხოლოდ რამდენიმე პრობლემის გადაჭრით იყოს დაკავებული. იმისთვის, რომ პრობლემის მართვის პროცესი განხორციელდეს, საჭიროა ყურადღების ცენტრში პრიორიტეტული რამდენიმე კონკრეტული პრობლემა მოექცეს, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც ორგანიზაციისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

ყურადღების გამახვილება ორგანიზაციის ძლიერ და სუსტ მხარეებზე

წინასწარ ნავარაუდები პრობლემების უმრავლესობა, ერთის მხრივ, ორგანიზაციას საშუალებას აძლევს გაძლიერდეს, გამოიყენოს საკუთარი რეზერვები, მეორეს მხრივ კი ის მოიცავს საფრთხეს.

დაგეგმვა მიმართულებით „გარედან შიგნით“

პრიორიტეტულ პრობლემათა სელექცია უფრო ხშირად გარეგანი და არა შინაგანი ფაქტორებით ხდება. სწორედ ესაა პრობლემათა მართვის სტრატეგიული დაგეგმარების თავისებურება, რომელიც, რა თქმა უნდა, ორგანიზაციის ამოცანებითა და შინაგანი პრობლემებითაც განისაზღვრება. პრობლემათა მართვა ძირითადად განპირობებულია ორგანიზაციაზე გარეშე ფაქტორების ზემოქმედებით.

მოგებაზე ორიენტაცია

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მკვლევარი პრობლემათა მართვას კრიზისის მოლოდინად აფასებს, მისი ნამდვილი მიზანი უნდა იყოს ორგანიზაციის დაცვა გარეშე ფაქტორებისაგან და მისი გაძლიერება. პრობლემები გამოყენებული უნდა იქნას ორგანიზაციის სასარგებლოდ.

მოქმედების გრაფიკის შედგენა

პრობლემათა მართვის საერთო პროცესი, რომელიც ითვალისწინებს შექმნილი პრობლემების იდენტიფიკაციას და მოწესრიგებას, უნდა მოიცავდეს პრობლემის გადაჭრის გრაფიკს. პრობლემის მართვისათვის ეფექტური გადაწყვეტილებაა მუდმივი მოქმედება.

ტურისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მხრიდან მხარდაჭერა

ვინაიდან საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება უძლურია რაიმე გააკეთოს ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მხრიდან ნდობისა და პატივისცემის გარეშე, პრობლემის მართვის პროცესი უნდა განხორციელდეს მისი მხარდაჭერით. ისევე, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესების მართვა მთლიანობაში, პრობლემის მართვის რეალიზაცია უნდა დაიწყოს პრობლემის განსაზღვრით - როგორც ფორმალური, აგრეთვე არაფორმალური და ტრადიციული კვლევითი მეთოდების დახმარებით. შემდეგ კი უნდა განისაზღვროს, თუ რა შედეგები შეძლება მოჰყვეს პრობლემის გართულებას. სასურველია ეს საქმე დაევალოს სპეციალურად შექმნილ პრობლემის გადაჭრის ჯგუფს.

ანალიტიკური მუშაობის შემდეგ, ორგანიზაციის პოზიციის შესახებ სხვადასხვა პრობლემისადმი მიმართებასთან დაკავშირებით, უნდა გაკეთდეს განცხადება და გადაწყვეტილება ეცნობოს საზოგადოებას. და, ბოლოს, იმისათვის, რომ ორგანიზაციამ მიაღწიოს სასურველ შედეგს, საჭიროა შედგეს პრობლემებზე რეაგირების გეგმა. აქ მთავარია კოორდინაცია, ხელმძღვანელობის გამოსვლები, რეკლამები და მიზნობრივ ჯგუფებთან ურთიერთობა.

კრიზისული სიტუაცია შეიძლება იყოს ორგვარი: პირველ შემთხვევაში კრიზისი სპონტანურად წარმოიქმნება, ხოლო მეორე შემთხვევაში კრიზისის ნიშნები მის გამწვავებამდე შეინიშნება. ასეთი სიტუაციის დროს ჯერ კიდევ შეიძლება გეგმის შემუშავება და ფიქრი.

ორგანიზაციამ კრიზისის წარმოშობის მომენტში: უნდა ჩამოაყალიბოს კრიზისული გუნდი; უნდა მოხდეს ყველა თანამშრომლის მობილიზაცია; უნდა გადანაწილდეს გუნდის წევრებს შორის ფუნქციები; PR სპეციალისტებს უნდა მიეცეთ სრული თავისუფლება, რომ სიტუაციის მიხედვით იმოქმედონ. მათ გუნდთან ერთად უნდა შეაჯამონ და დაამუშავონ ყოველგვარი ინფორმაცია; უნდა შეირჩეს ერთი პირი, რომელიც გასცემს ინფორმაციას და იმაზე ზრუნავდეს, რომ მასმედიაში დროულად განთავსდეს უტყუარი ინფორმაცია არსებული მდგომარეობის შესახებ. ჟურნალისტებს უნდა შეექმნათ მუშაობის საუკეთესო გარემო. თავაზიანობა და კეთილგანწყობა მათ ნდობას გამოიწვევს.

აუცილებელ პირობას წარმოადგენს მართალი ინფორმაციის გავრცელება, რადგან არ შეიძლება ორგანიზაცია მოიტყუოს. ეს დააკარგვინებს აუდიტორიის ნდობას და კრიზისულ სიტუაციას კიდევ უფრო გაამძაფრებს. უნდა მომზადდეს პრესრელიზები. პრესრელიზი კარგი საშუალებაა რაიმე საკითხზე მასმედიის ყურადღების მისაქცევად. სტანდარტული ფორმით, კრიზისული სიტუაციის დროს მომზადებული პრესრელიზი არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი პრესრელიზისაგან, ისიც ამოზრუნებული პირამიდის სტილით იწერება: ძირითადი ინფორმაცია პირველ აბზაცში უნდა იყოს მოთავსდეს, შემდგომ აბზაცებში კი ინფორმაცია უნდა ფართოვდებოდეს და მოვლენა უფრო დეტალურად იქნეს აღწერილი. ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტები პირამიდის ბოლოში თავსდება.

კრიზისული სიტუაციის დროს შესაძლებელია გავრცელდეს ფაქტების მოკლე ცნობარი. ასეთი ცნობარი მოიცავს პრესრელიზზე მეტ მონაცემებს: ძირითად დეტალებს, ფაქტებს, სტატისტიკას, მაგრამ არა - ციტატებს. ფაქტების ცნობარი რაც შეიძლება მარტივად უნდა იკითხებოდეს.

ბიზნეს ორგანიზაციები კრიზისული სიტუაციების დროს ორიენტაციას იღებენ საინფორმაციო სააგენტოებზე, რადგანაც ახალი ამბების კორესპოდენტები ინფორმაციისათვის პირველ რიგში მათ მიმართავენ. ეს განსაკუთრებულად შედეგიანია რადიომაუწყებლობაში, რადგან მათთვის ახალი ამბების მოპოვების ძირითადი წყარო საინფორმაციო სააგენტოები არიან. ყურადღება თანაბრად უნდა იყოს გადანაწილებული ჟურნალისტებზე. მათ არ უნდა იგრძნონ, რომ ვინმე რაიმე უპირატესობით სარგებლობს.

მათმა განაწყენებამ შეიძლება ტურისტულ ორგანიზაციას კრიზისული სიტუაცია გაუმძაფროს.

კრიზისის მართვის ჯგუფმა (მედიასთან ურთიერთობის ჯგუფმა) ინფორმაციის გასავრცელებლად უნდა უნდა გამოიყენოს: ტელევიზია (ოპერატიულობის თვალსაზრისით უპირატესობა ტელევიზიას ენიჭება, რადგან მას ორგანიზაციის შესახებ ვიზუალური ინფორმაციის სწრაფი გავრცელება შეუძლია); ინტერნეტი; რადიო; საინფორმაციო სააგენტოები; ყოველდღიური გაზეთები; ჟურნალები და ყოველკვირეული გაზეთები.

რადგან ჟურნალისტები ყოველთვის ჩქაროვენ და დიდხანს ვერ დაელოდებიან ინფორმაციას, საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი უნდა ეცადოს ჟურნალისტებს რაც შეიძლება ჩქარა მოემსახუროს. კრიზისული სიტუაციის თაობაზე ინფორმაციის გავრცელებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ჟურნალისტებმა მასალა მიიღონ დამუშავებული სახით. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თავად შეეცდებიან დაამუშაონ ინფორმაცია, რასაც შეიძლება შეცდომა მოჰყვეს, ეს კი უარყოფითად იმოქმედებს ორგანიზაციაზე. იმ შემთხვევაში, თუ კრიზისის მართვის გუნდი უძლურია შექმნილ სიტუაციას თავი დააღწიოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფმა უნდა მოიფიქროს ისეთი ღონისძიება ან რაიმე ფაქტი, რომელზეც ჟურნალისტები ყურადღებას გადაიტანენ და კრიზისული სიტუაციის სიმძაფრეს დაივიწყებენ. ამდენად, კრიზისული სიტუაციის დროს მთავარია, რომ ხარისხიანი ინფორმაციით უზრუნველყოთ თვით ორგანიზაციის თანამშრომლები.

ამდენად, თუ ტურისტულ ორგანიზაციაში კრიზისი შეიქმნება, საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება: ინფორმაციის გადაცემის თანმიმდევრობის დაცვა, - ინფორმაციის გაცემისას კრიზისულმა გუნდმა არ უნდა დაივიწყოს კლიენტები. სასურველია, თუ ისინიც მიიღებენ პრესრელიზებს. კარგი იქნება საინფორმაციო ცხელი ხაზის გახსნა, რომლითაც ნებისმიერი მსურველი ან დაზარალებული მიიღებს ინფორმაციას. და, მთავარი - მასმედიასთან გადაუდებელი კონტაქტი, რათა ინფორმაციული ვაკუუმი სწრაფად შეივსოს.

კრიზისული სიტუაციის დროს გასათვალისწინებელია, რომ კომუნიკაციისათვის ამოსავალი წერტილი ესაა: „თუ უბედურება შეგემთხვათ, ნუ ჩაიკეტებით“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ დროს ყველაზე ეფექტური ნაბიჯი მოქმედებაა. კრიზისული სიტუაციის მთავარი გზავნილი შეიძლება ასე ჟღერდეს: „გვიამბეთ თქვენზე და გვიამბეთ დაუყოვნებლივ“, - ეს უკვე მოქმედების დასაწყისია. ცხადია, თუ ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია დროულად მიეწოდება საზოგადოებას, ეს ხელს შეუშლის არასასურველი ცნობების გავრცელებას.

ტურისტულ ბიზნესში მომუშავე საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ის უნდა იყოს მასმედიის პარტნიორი, შეინარჩუნოს სიმშვიდე და გამოხატოს მზაობა, რომ საზოგადოებას მომხდარის შესახებ აუხსნას. ჟურნალისტებთან დაპირისპირებით კრიზისი ვერ განიმუხტება. მათთან თანამშრომლობა, სწორი და დროული ინფორმაციის გავრცელება საუკეთესო საშუალებაა კრიზისის განსამუხტად.

Nelly Tskitishvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Use of News-media in Business Tourism during Critical Situation Management

Abstract

The article deals with the issues concerning such Public relation instruments as the use of PR and Mass-media critical situation management. Public idea is formed on the bases of certain events especially during the crisis existing in a business organization. In such cases PR office

is advisable to observe the public opinion and protect the interests of the organization. Otherwise the organization image will be seriously damaged and will be unable to overcome the critical situation.

საკვანძო სიტყვები: საზოგადოებრივი აზრი, კრიტიკული სიტუაცია, ტურისტული ბიზნესი, კრიტიკული სიტუაციების მართვა, მასმედია

Keywords: public opinion, critical situation, tourism business, critical situation management, mass-media

Elene Dzamiashvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Development of Motivation of Elementary Level Students while Teaching Listening Skill

Introduction

Teaching or learning listening skill is quite difficult process. Teaching English language in elementary level students should be started from listening and speaking as the elementary level students are in difficulties with writing and reading skills even in their native language. The student should be given the knowledge to be able to use the language for communication. Listening plays an important role in communication as it is said that, of the total time spent on communicating, listening takes up 40-50%; speaking, 25-30%; reading, 11-16%; and writing, about 9% (Mendelsohn, 1994, p. 9). For this reason it is essential to improve the students' motivation while teaching listening skill. The teacher should consider the mentioned aspect in order the listening process not to be boring and try to increase the students' interest towards the listening material.

Definitions of Motivation

Motivation refers to reasons that underlie behavior that is characterized by willingness and volition. Intrinsic motivation is animated by personal enjoyment, interest, or pleasure, whereas extrinsic motivation is governed by reinforcement contingencies. Motivation involves a constellation of closely related beliefs, perceptions, values, interests, and actions. Motivation in children predicts motivation later in life. Traditionally, educators consider intrinsic motivation to be more desirable and to result in better learning outcomes than extrinsic motivation. Many educators may be unfamiliar with methods for evaluating and encouraging motivation, particularly at the elementary level. The purpose of this literature review is fourfold: (a) to explore the ways in which motivation has been defined by researchers, (b) to investigate how motivation develops, (c) to learn how teachers can encourage development of motivation in their students, and (d) to review best practices in assessing motivation.

Motivation refers to "the reasons underlying behavior" (Guay et al., 2010, p. 712). Paraphrasing Gredler, Broussard and Garrison (2004) broadly define motivation as "the attribute that moves us to do or not to do something" (p. 106). Intrinsic motivation is motivation that is animated by personal enjoyment, interest, or pleasure. As Deci et al. (1999) observe, "intrinsic motivation energizes and sustains activities through the spontaneous satisfactions inherent in effective volitional action. It is manifest in behaviors such as play, exploration, and challenge seeking that people often do for external rewards" (p. 658). Researchers often contrast intrinsic motivation with extrinsic motivation, which is motivation governed by reinforcement contingencies. Traditionally, educators consider intrinsic motivation to be more desirable and to result in better learning outcomes than extrinsic motivation (Deci et al., 1999).

Motivation involves a constellation of beliefs, perceptions, values, interests, and actions that are all closely related. As a result, various approaches to motivation can focus on cognitive

behaviors (such as monitoring and strategy use), non-cognitive aspects (such as perceptions, beliefs, and attitudes), or both. For example, Gottfried (1990) defines academic motivation as “enjoyment of school learning characterized by a mastery orientation; curiosity; persistence; task-endogeny; and the learning of challenging, difficult, and novel tasks” (p. 525). On the other hand, Turner (1995) considers motivation to be synonymous with cognitive engagement, which he defines as “voluntary uses of high-level self-regulated learning strategies, such as paying attention, connection, planning, and monitoring” (p. 413).

Gottfried (1990) found a relationship between motivation and achievement. Gottfried found that elementary-age children with higher academic intrinsic motivation tend to have higher achievement and IQ, more positive perceptions of their academic competence, and lower academic anxiety. However, in Gottfried’s study, early achievement more strongly predicted later motivation than the reverse. Whereas motivation was mildly correlated with later achievement, the strongest correlations were between achievement at ages 7 and 8 and motivation at age 9, such that high achievement at an early age was associated with high motivation at a later age. Similarly, high IQ at ages 7 and 8 is predictive of high motivation at age 9. However, Gottfried speculates that motivation may be predictive of achievement in the longer-term through one of two possible mechanisms. First, motivation is strongly related to contemporaneous achievement, which is highly predictive of later achievement. Second, early motivation is predictive of later motivation, which is strongly related to contemporaneous achievement.

According to Brown (2000) and Gardner (1985), there are two basic types of motivation: integrative and instrumental. According to Gardner and Lambert (1959 as cited in Pourhosein Gilakjani, Leong, & Saburi, 2012), integrative motivation refers to language learning for personal growth and cultural enrichment; that is, the learner likes to learn a language to enter successfully into the target language society.

Although attitudes and motivation are two distinct individual learner factors, but they are considered to be closely inter-related and are often investigated together. While language attitudes refer to positive or negative feelings about a language and what the learner may connect it with (Gardner & MacIntyre, 1993), Gardner (1985, 2010) defines motivation as a combination of the desire to learn the language, positive attitudes to learning the language, and the effort invested in learning.

Alizadeh (2016:13-14) in his article mentions that there are three key factors of motivation: 1) *Attitude towards the community* is very important in learning the language. 2) *The Enjoyment of Learning* - If learners wish to be motivated they should enjoy learning the language. Intrinsically motivated learners are more likely to continue their studies than extrinsically motivated learners and simply participate in an activity for the pleasure of learning the language. 3) *External Pressures* - Whether it is to please parents, receive a reward, or fulfill some pragmatic aims, learners are motivated to satisfy some external pressures. Noels et al. connect extrinsic and instrumental motivation by stating that they both refer to the desire to learn a second/foreign language because of some pressures or rewards from the social environment, internalized reasons for learning a language, and/or personal decisions to do so and their value for the selected goals (2001, as cited in Liu, 2007).

Motivational components – specific for learning process

Since the end of the 1980s more importance has been attached in the L2 motivation literature to motives related to the learning situation. In order to grasp the array of variables and processes involved at this level of L2 motivation, it appears useful to separate three sets of motivational components (motives and motivational conditions): 1) course-specific motivational components concerning the syllabus, the teaching materials, the teaching method, and the learning tasks; 2) teacher-specific motivational components concerning the teacher's personality, teaching style, feedback, and relationship with the students; and 3) group-specific motivational components concerning the dynamics of the learning group. Course-specific motivational components. Based on

Keller's motivational system-which is particularly comprehensive and relevant to classroom learning-Crookes and Schmidt postulate four major motivational factors to describe L2 classroom motivation: interest, relevance expectancy, and satisfaction. This framework appears to be particularly useful in describing course specific motives. The first category, interest, is related to intrinsic motivation and is centered around the individual's inherent curiosity and desire to know more about him or herself and his or her environment. Relevance refers to the extent to which the student feels that the instruction is connected to important personal needs, values, or goals. At a macro level, this component coincides with instrumentality; at the level of the learning situation, it refers to the extent to which the classroom instruction and course content are seen to be conducive to achieving the goal, that is, to mastering the L2. Expectancy refers to the perceived likelihood of success and is related to the learner's self-confidence and self-efficacy at a general level; at the level of the learning situation, it concerns perceived task difficulty, the amount of effort required, the amount of available assistance and guidance, the teacher's presentation of the task, and familiarity with the task type. Satisfaction concerns the outcome of an activity, referring to the combination of extrinsic rewards such as praise or good marks and to intrinsic rewards such as enjoyment and pride. Attainable proximal sub-goals (as discussed above) are related primarily to this component. Teacher-specific motivational components. Perhaps the most important teacher-related motive has been identified in educational psychology as affiliative drive (3), which refers to students' need to do well in school in order to please the teacher (or other super ordinate figures like parents) whom they like and appreciate. Although this desire for teacher approval is an extrinsic motive, it is often a precursor to intrinsic interest (5), as is attested by good teachers whose students become devoted to their subject. A second teacher-related motivational component is the teacher's authority type, that is, whether he or she is autonomy supporting or controlling. Sharing responsibility with students, offering them options and choices, letting them have a say in establishing priorities, and involving them in the decision making enhance student self-determination and intrinsic motivation (23, 24). A third motivational aspect of the teacher is his or her role in direct and systematic socialization of student motivation (8), that is, whether he or she actively develops and stimulates learners' motivation. There are three main channels for the socialization process: 1) Modeling: teachers, in their position as group leaders, embody the "group conscience" and, as a consequence, student attitudes and orientations toward learning will be modeled after their teachers, both in terms of effort expenditure and orientations of interest in the subject. 2) Task presentation: efficient teachers call students' attention to the purpose of the activity they are going to do, its potential interest and practical value, and even the strategies that may be useful in achieving the task, thus raising students' interest and meta-cognitive awareness. 3) Feedback: this process carries a clear message about the teacher's priorities and is reflected in the students' motivation (Dornyei, 1994:277-278).

A good quality foreign language teaching of foreign languages requires teachers not only to consider the cognitive but also the motivational components of the learning process. The implementation of such a vision requires from the teachers to understand and to be able to recognize language and motivational competences and the needs of their students. Moreover, they have to be able to design such learning activities which will be optimally harmonized and set in the zone of the students' proximal development (Jurišević and Pižorn, 2013: 193).

Development of motivation

Researchers have made several recommendations for educators interested in supporting students' motivation, including the limited use of rewards, using rewards to provide information about competence, increasing student autonomy and choice, using collaborative or cooperative learning methods, and creating a supportive classroom environment with respect to goal structures, attributions, and external evaluation (Deci et al., 1999; Guthrie, 2000; Hidi and Harackiewicz, 2000; Pintrich, 2003; Stipek, 1996; Turner, 1995).

For example, the empirical literature on the effects of extrinsic rewards on student motivation

suggests that teachers should sparingly and carefully use these types of rewards in the classroom (Deci et al., 1999). In particular, tangible rewards (such as grades, candy, cash, or special privileges) have significant negative effects on both free-choice behavior and self-reported interest compared to intangible rewards (such as verbal feedback), although when rewards are unexpected, they tend not to have this dampening effect. When rewards are contingent on engagement or participation in the activity, regardless of whether the student completes or excels at the task, the negative effect of tangible rewards on free-choice behavior is significantly greater for children than for college students. Verbal rewards (such as praise or performance feedback) enhance the free-choice behavior of college students, but not children. However, negative performance feedback significantly attenuates intrinsic motivation for both groups of students. Moreover, even positive feedback, if administered in a controlling tone, can diminish intrinsic motivation. Thus, a comment such as “keep up the good work,” can be experienced as controlling, which can attenuate students’ sense of autonomy and negatively impact intrinsic motivation. The negative effect of rewards on intrinsic motivation was observed for tasks that were interesting or novel only. In other words, the use of extrinsic rewards has no effect on motivation for participating in “boring” tasks (Deci et al., 1999).

Songs

According to Cullen (1998, 1999: 11), songs are significant teaching tools in teaching ESL/EFL because, as most teachers find out, students love listening to music in the language classroom and they often hold strong views about music. This affinity with music makes songs vital tools to create a safe and natural class-room ethos and to overcome feelings of shyness and hesitation on the part of the learners.

According to Sharpe (2001), songs provide an occasion for real language use in a fun and enjoyable situation. She claims that singing is a vital part of the life of a young child, inside and outside the school, and incorporating the foreign language into this fundamental activity is another way of normalizing it. Young children readily imitate sounds and often pleasurably associate singing and playing with rhythms and rhymes from an early age.

A word of caution is necessary. As language teachers, we should always bear in mind that our main responsibility is to teach the target language. No matter how fun and enjoyable song activities may be for YLs, we should not get carried away by the music and rhythm of songs. Our main responsibility is not to teach singing skills, but to teach the target language. Therefore, if songs are used ineffectively, they can easily become mere entertainment and pleasurable interruptions in the school day that, in the long term, result in boredom and a lack of interest. There should be a clear reason in the language teacher’s mind as to why and how to use a song. Songs can be an effective means of developing children’s language skills only when they are well integrated into a scheme of work and carefully selected for the cognitive and linguistic needs of pupils (Sevik, 2012: 12).

Kirsch (2008) states that listening activities should be based on meaningful, appropriate, and authentic texts (e.g., a story, song, or poem) that assist listening and remembering and that match the language and grade level of pupils.

Ersöz (2007, 20) suggests that teachers should be careful to choose songs that:

- contain simple and easily understood lyrics
- link with a topic or vocabulary that learners are studying in class
- contain repetitive lines
- allow children to easily do actions (to help emphasize meaning)

While teaching listening skill via songs, it is helpful to use the method of total physical response. For example, the students make action according to the instructions expressed in the song.

According to Millington (2011:134), most children enjoy singing songs, and they can often be a welcome change from the routine of learning a foreign language. For the teacher, using songs in the classroom can also be a nice break from following a set curriculum. Songs can be taught to any

number of students and even those teachers with the most limited resources can use them effectively. One advantage of using songs in the young learner classroom is their flexibility.

Purcell (1992) states that students can become bored by repeatedly listening to a narration or dialog as they attempt to understand the meaning of new words or phrases in context. In contrast, listening to a song over and over again can seem less monotonous because of the rhythm and melody. Some songs, such as *Hello*, contain common expressions and can be used as good listening activities. For example, the teacher could sing the first three lines of the song below, and students could respond with the following three lines.

Hello,
Hello,
Hello, how are you?
I'm fine,
I'm fine,
I hope that you are, too.

Songs can help to improve listening skills because they provide students with practice listening to different forms of intonation and rhythm. English has a stress-timed rhythm, for which songs can help to establish a feeling. Murphey believes that music has the power to engrave itself into our brains, stating that "songs work on our short- and long-term memory" and are therefore adequate tools for using in the language classroom (1992, p. 3).

Strategies to motivate learners

Dornyei (1994) suggests the list of strategies to motivate language learners. Here in the article are chosen some of them which are proper at the elementary level.

- 1) Share positive L2- related experiences in class, showing films or TV recordings, playing relevant music, and inviting interesting native speaking guests.
- 2) Develop learners' cross-cultural awareness systematically by focusing on cross-cultural similarities and not just differences, using analogies to make the strange familiar, and using "culture teaching" ideas and activities.
- 3) Develop students' self-confidence by trusting them and projecting the belief that they will achieve their goal; regularly providing praise, encouragement, and reinforcement; making sure that students regularly experience success and a sense of achievement; helping remove uncertainties about their competence and self efficacy by giving relevant positive examples and analogies of accomplishment; counterbalancing experiences of frustration by involving students in more favorable, "easier" activities; and using confidence-building tasks.
- 4) Promote favorable self-perceptions of competence in L2 by highlighting what students can do in the L2 rather than what they cannot do, encouraging the view that mistakes are a part of learning, pointing out that there is more to communication than not making mistakes or always finding the right word.
- 5) Increase the attractiveness of the course content by using authentic materials that are within students' grasp; and unusual and exotic supplementary materials, recordings, and visual aids.
- 6) Increase students' interest and involvement in the tasks by designing or selecting varied and challenging activities; adapting tasks to the students' interests; making sure that something about each activity is new or different; including game-like features, such as puzzles, problem-solving, avoiding traps, overcoming obstacles, elements of suspense, hidden information, etc.; including imaginative elements that will engage students' emotions; leaving activities open-ended and the actual conclusion uncertain; personalizing tasks by encouraging students to engage in meaningful exchanges, such as sharing personal information; and making peer interaction (e.g., pair work and group work).

7) Match difficulty of tasks with students' abilities so that students can expect to succeed if they put in reasonable effort.

Teacher-specific motivational components.

8) Try to be empathic, congruent, and accepting; according to the principles of person-centered education, these are the three basic teacher characteristics that enhance learning. Empathy refers to being sensitive to students' needs, feelings, and perspectives. Congruence refers to the ability to behave according to your true self, that is, to be real and authentic without hiding behind facades or roles. Acceptance refers to a nonjudgmental, positive regard, acknowledging each student as a complex human being with both virtues and faults.

9) Adopt the role of a facilitator rather than an authority figure or a "drill sergeant," developing a warm rapport with the students.

10) Model student interest in L2 learning by showing students that you value L2 learning as a meaningful experience that produces satisfaction and enriches your life, sharing your personal interest in L2 and L2 learning with the students, and taking the students' learning process and achievement very seriously (since showing insufficient commitment yourself is the fastest way to undermine student motivation).

11) Introduce tasks in such a way as to stimulate intrinsic motivation and help internalize extrinsic motivation by presenting tasks as learning opportunities to be valued rather than imposed demands to be resisted, projecting intensity and enthusiasm, raising task interest by connecting the task with things that students already find interesting or hold in esteem.

12) Use motivating feedback by making your feedback informational rather than controlling; giving positive competence feedback, pointing out the value of the accomplishment and not overreacting to errors (pp.280-282).

Analysis of the research

In the given article here is given the outcomes of the questionnaires carried out with Telavi public and private school teachers. According to the research, teaching and improving listening skill is very important while teaching/learning foreign (English) language on the elementary level. The teachers use listening materials on their lessons very frequently. They recognize that development of motivation is very essential while teaching listening skill on the elementary level. They use the following ways for developing the students' motivation:

- A) making warm-up activities;
- B) listening to music;
- C) making situational dialogues;
- D) using role plays and situational plays;
- E) making authentic activities;

The teachers agree that the teacher should use the following methods or approaches while working on development of motivation in elementary grade students:

- a) encouraging;
- b) being objective;
- c) using developing evaluation;
- d) awarding with stickers;
- e) while working in groups naming the nominations;
- f) evaluating each others;

The implemented research showed that the teacher should use the above mentioned listening materials from the elementary level as the student acquires the new materials through listening activities and afterwards the students better learn the target material via modified listening materials. The teacher should give the students materials, which are helpful for involving all the students at class. These materials may be songs, situational dialogues, games and etc. of course in accordance

with the age and knowledge of the students. The teachers should use the developing grading instruments which significantly increase the students' motivation.

Conclusions and Recommendations

We can conclude that motivation is defined as the forces that account for the arousal, selection, direction, and continuation of behavior. Motivation has long been a major problem for most teachers of English as a Second Language (ESL) or as a foreign language.

- The first step in solving the problem of motivation is that the teachers need to understand and appreciate the role and importance of motivation in any learning.
- One of the successful ways, if the teacher is resourceful and skilful enough, to motivate his/her students to participate in the lesson is to use "pair work" or "group work" appropriately. Language is best learned through the close collaboration and communication among students. In fact, learners can help each other while working on different types of tasks such as drawing pictures and making comments about them, play roles, etc... While one student is good in drawing, another can be good in expressing ideas verbally; a third other student can be good at role play and imitation. Besides, some students find it less stressful, if not much comfortable to learn certain rules or usages of language from their peers and comrades than from their teacher.
- The way the students are seated in the classroom will often determine the dynamics of the lesson. Indeed, a simple change in the seating pattern can make an incredible difference to group coherence and student satisfaction, and I have seen many other cases where seating has been a crucial element in the success or failure of the lesson.
- It is always asked whether we should correct all students' errors, whenever they occur. Teachers should be aware of when to correct errors and how to do that without any hurt and humiliation. In a learner-centered classroom, it should be better to correct errors, which students make unconsciously, whenever there is a gap of communication or when not treating the error will result in a misunderstanding of the idea expressed.
- Role play is another technique to vary the pace the lesson and to respond to the fundamental notion of variety in teaching. Teachers are advised to use the role play activity in order to motivate their students and to help the less motivated learners take part in the lesson. As good examples of that we can state: the hide (item) and guessing game, dramatizing an interview of customer and shop assistant, doctor and patient conversation, etc...
- Realia is an authentic material that helps the teacher to overcome classroom artificiality.
- Teachers are able to demonstrate techniques of using songs in different ways to teach listening because the students like songs and they motivate the students to learn the English language in an interesting way. Teachers can elicit students' ideas about the song through activities such as prediction, mind maps, word splashes, etc. Students discuss questions such as the feelings in the song, what will happen next, etc. and write their responses in an interesting manner. Students may present how the song makes them feel and then draw a picture of their feelings while listening to the song. Teachers respond to this presentation and ask questions. Then, feedback is provided from the group.
- Teachers should use audio visual materials, magic boards, computer and cassette player when teaching. Indeed, they should include the appropriate material to use while planning their lessons.
 - We can say that mother tongue can be used with beginners, when students are trying to say something but having difficulty, they can say it in their own language and the teacher can reformulate it for them.
 - The teacher should give the students materials, which are helpful for involving all the students at class.

- The teachers should use the developing grading instruments which significantly increase the students' motivation.

References:

1. Alizadeh, M. (2016). *International Journal of Research in English Education*. [The Impact of Motivation on English Language Learning. Lahijan Branch, Islamic Azad University. Iran.](#) Downloaded from [ijreeonline.com](#) at 19:42 +0430 on Wednesday May 5th 2017
2. Brown, H. D. (2000). *Principles of Language Learning and Teaching*. (4th ed.). New York: Addison Wesley Longman.
3. Cullen, B. 1998. Music and song in discussion. *The Internet TESL Journal* 4 (10). <http://iteslj.org/Techniques/Cullen-Music.html> —. 1999. Song dictation. *The Internet TESL Journal* 5 (11). <http://iteslj.org/Techniques/Cullen-SongDictation.html>
4. Dornyei, Z. (1994). *The Modern Language Journal*, vol 78. No 3. Motivation and Motivating in the Foreign Language Classroom. Blackwell Publishing on behalf of the National Federation of Modern Language Teachers Associations pp. 273-284
5. Deci, E. L., Koestner, R., & Ryan, R. M. (1999). A meta-analytic review of experiments examining the effects of extrinsic rewards on intrinsic motivation. *Psychological Bulletin*, 125(6), 627–668.
6. Ersöz, A. 2007. *Teaching English to young learners*. Ankara, Turkey: EDM Publishing.
7. Gardner, R. C. (1985). *Social Psychology in Second Language Learning*. Edward Arnold Ltd, London, Great Britain.
8. Gottfried, A. E. (1990). Academic intrinsic motivation in young elementary school children. *Journal of Educational Psychology*, 82(3), 525–538.
9. Guay, F., Chanal, J., Ratelle, C. F., Marsh, H. W., Larose, S., & Boivin, M. (2010). Intrinsic, identified, and controlled types of motivation for school subjects in young elementary school children. *British Journal of Educational Psychology*, 80(4), 711–735.
10. Guthrie, J. T., Wigfield, A., & VonSecker, C. (2000). Effects of integrated instruction on motivation and strategy use in reading. *Journal of Educational Psychology*, 92(2), 331– 341.
11. Hidi, S., & Harackiewicz, J. M. (2000). Motivating the academically unmotivated: A critical issue for the 21st century. *Review of Educational Research*, 70(2), 151–179.
12. Jurišević M. and Pižorn K. (2013). *Porta Linguarum 19. University of Ljubljana*. Young Foreign Language Learners' Motivation – A Slovenian Experience.pp. 179-198.
13. Mendelsohn, D. J. (1994). *Learning to listen: A strategy-based approach for the second language learner*. San Diego: Dominie Press.
14. Millington N. T. (2011). *Language Education in Asia*, Volume 2, Issue 1. Using Songs Effectively to Teach English to Young Learners. pp. 134-141. <http://dx.doi.org/10.5746/LEiA/11/V2/I1/A11/Millington>
15. Murphey, T. (1992). *Music and song*. Oxford, England: Oxford University
16. Pintrich, P. R. (2003). A motivational science perspective on the role of student motivation in learning and teaching contexts. *Journal of Educational Psychology*, 95(4), 667–686.
17. Purcell, J. M. (1992). Using songs to enrich the secondary class. *Hispania*, 75(1), 192-196. <http://dx.doi.org/10.2307/344779>
18. Sevik, M. (2012). *English Teaching Forum* (3). Teaching Listening Skills to Young Learners through “Listen and Do” Songs. Turkey. pp.10-17.
19. Sharpe, K. 2001. *Modern foreign languages in the primary school: The what, why and how of early MFL teaching*. London: Kogan Page.
20. Stipek, D. J. (1996). Motivation and instruction. In D. C. Berliner & R. C. Calfee (Eds.). *Handbook of educational psychology* (pp. 85–113). New York: Macmillan.
21. Turner, J. C. (1995). The influence of classroom contexts on young children's motivation for literacy. *Reading Research Quarterly*, 30(3), 410–441.

მოტივაციის ამაღლება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში ინგლისური ენის მოსმენის უნარ-ჩვევის სწავლებისას

რეზიუმე

ნაშრომში მოსმენას, როგორც უცხო ენის ათვისების ერთ-ერთ მთავარ ასპექტს, პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. მოსმენის სწავლა/სწავლება რთული პროცესია. დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან, რომელთაც მშობლიურ ენაზეც კი უჭირთ წერა-კითხვა, უცხო ენის სწავლება მოსმენითა და მეტყველებით უნდა დავიწყოთ. მოსწავლეს უნდა მივცეთ ისეთი ცოდნა, რომ მან შეძლოს ენის ეფექტურად გამოყენება კომუნიკაციისათვის. ამისთვის კი აუცილებელია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება ინგლისური ენის მოსმენის უნარ-ჩვევის სწავლებისას. მოტივაცია ძალზედ მნიშვნელოვანი კომპონენტია უცხო ენის სწავლებისას. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული ასპექტი, რათა მოსმენის სწავლების პროცესი არ იყოს მოსწავლეთათვის მოსაბეზრებელი, გაიზარდოს მათი ინტერესი მოსასმენი მასალის მიმართ. ნაშრომში მოცემულია მოტივაციის ზოგადი თეორიული მიმოხილვა და ის გზები და ხერხები/საშუალებები, რომლებიც უფრო საინტერესოს, ადვილსა და ეფექტურს გახდის ენის დაუფლების, კერძოდ კი მოსმენის უნარ-ჩვევის ათვისების პროცესს. ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა თამაშების, მოსასმენი სიმღერებისა და ვიდეოების მნიშვნელობაზე.

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია, მოსმენის უნარ-ჩვევის სწავლება, მოტივაციის ამაღლება, სტრატეგიები, სიმღერები

Key Words: motivation, teaching listening skill, motivation development, strategies, songs

ნინო ძამუკაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

ორი მოთხრობის ლინგვისტურ-ლიტერატურული პარალელები (კონსტანტინე გამსახურდიას და სემუელ ბეკეტის ნაწარმოებების მიხედვით)

როდესაც პროზაიკოსი აკეთებს არჩევანს და გადაწყვეტს, რომ თავისი სათქმელი განსხვავებულად თქვას, მაგალითად რიტმული პროზით მოგვითხროს ამბავი, ეს უკვე თავისთავად ბევრის მთქმელია. უპირველეს ყოვლისა, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ავტორი განსაკუთრებულ, გამორჩეულ გამოხატვის ფორმას ეძებს ალბათ განსაკუთრებული, გამორჩეული შინაარსისთვის. ნაწარმოები კი მხოლოდ იგებს, როდესაც გამოხატვის ფორმა სრულ ჰარმონიაშია შინაარსის ფორმასთან.

რიტმული პროზითაა დაწერილი ორი მოთხრობა, რომელთა მცირე ლიტერატურულ-ენობრივ შედარება-შეპირისპირებასაც შევეცდებით. ვგულისხმობთ შემდეგ ნაწარმოებებს-კონსტანტინე გამსახურდიას „*მკვდართან შეხვედრა*“ და სემუელ ბეკეტის „*ერთ საღამოს*“ (Samuel Beckett „*One Evening*“). ამ ორ ტექსტს გადაკვეთის მრავალი წერტილი დაეძებნებათ: ორივე დაწერილია მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, ორივე ავტორმა დიდი კვალი დააჩნია მეოცე საუკუნის ლიტერატურულ მოდერნიზმს. თუმცა, ყველაზე საინტერესო და ღირებული საერთო მომენტები, რაც ამ ორ ნაწარმოებს გააჩნია, თხრობის სტილი და თემაა.

მწერლებმა სხვადასხვა რიტმული მონახაზი აირჩიეს თავიანთი ამბის მოსაყოლად, ასე ვთქვათ, თავიანთ სათქმელს, როგორც ღვინოს, შესაფერისი ენობრივი „ჭურჭელი“ მოუძებნეს. ბეკეტის თხრობის რიტმული მონახაზი მშვიდია. ძირითადი დატვირთვა მარტივ წინადადებებზე მოდის; ნაწარმოების კულმინაციურ მომენტში და ფინალშიც სახელდებითი წინადადებების სიუხვეა. მშვიდი რიტმი და მშრალი ლექსიკა უხდება ერთი სადამოს აღწერას ქვრივი მოხუცი ქალის ცხოვრებიდან. ბეკეტის მიერ დახატული შავსამოსიანი დედაკაცი ბედს შეგუებული ადამიანია. ის თითქმის აღარაფერს მოელის ცხოვრებისგან. მოთხრობის მთვარი ემოციური აქცენტი რამდენიმე მოულოდნელ იმედგაცრუებაზეა, რაც ხანგრძლივი შინ ყოფნის შემდეგ გარეთ გამოსულ ქალს დახვდება. მწერლის ფოკუსში რიტმულად, რიგ-რიგობით ხვდება მოხუცებული კაცი, მოხუცებული ქალი და ბუნება: „*მიტოვებული მინდვრები. მოხუცი ქალი მთლად შავებში უძრავად. სხეული მიწაზე უძრავად. ყვითელი ფერი შავი მკლავის ბოლოს. ჭაღარა თმა ბალახში. აღმოსავლეთი ღამეში იძირება. ამინდი. ცა მოღუშული მთელი დღე, საღამომდე*“. შემდეგ, ქალის აფორიაქებასთან ერთად რიტმი იცვლება, უფრო სწრაფი და მღელვარე ხდება: „*ჩქარობს მინდვრების მოვლას. გაკვირვებული, რომ არავინ შეხვდა გზად, ციებ-ცხელებიანივით დაეხეტება ყვითელი ყვავილების მოსაძებნად. ციებ-ცხელებიანივით უმზერს ღამის ჩამოწოლას*“. ფინალში რიტმი ისევ მშვიდდება ქალის დამშვიდებასთან ერთად, ის გარინდული უძრავად დგას: „*ამ წუთიდან სიჩუმე ისადგურებს. იქამდე, სანამ ქალი მოძრაობას შესძლებს. ბოლოს და ბოლოს მზე თვალს ეფარება და მასთან ერთად ჩრდილებიც. ყველა ჩრდილი რაც აქაა. მწუხრიც ინავლება. ღამე მთვარისა და ვარსკვლავების გარეშე. მაგრამ ამაზე მეტი აღარაფერი*“.

გამსახურდია სხვა რიტმულ ქარგას ირჩევს თავისი პერსონაჟის დრამის ასაღწერად. რიტმი აქ უფრო ჩქარია და ასე გრძელდება მთელი ნაწარმოების განმავლობაში. დამაბულობა არ ნელდება და ექსპრესიაც უფრო მძლავრობს. თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს. განსხვავებით ბეკეტის პერსონაჟისგან, გამსახურდიას ახალგაზრდა მარტოსული გმირი სულმოუთქმელად, სწრაფი ნაბიჯებით გადის ქალაქიდან, ისიც „ერთ სადამოს“ რათა „*ამოისუნთქოს. შეისვენოს. გადაიჩრდილოს ამ საშინელ სიცხეებში*“ და ასევე სულმოუთქმელად გარბის შინ, როცა თვითმკვლელის ცხედარს გადაეყრება...

ინგლისურენოვანი მოთხრობის შედარებით მშვიდი რიტმისგან სრულიად განსხვავდება გამსახურდიას პერსონაჟისთვის შექმნილი მღელვარე რიტმი; ვგრძნობთ მის პულსაციას, მისი გულის ფეთქვას. ამ მღელვარე რიტმს ჩინებულად გამოხატავს ერთწევრიანი, მხოლოდ შემასმენლით გამოხატული წინადადებები („*ამოვისუნთქო, შევისვენო. გადავიჩრდილო. ბნელდება. გავიქეცი. ვტრიალებ*“), რომელთაგან თითქმის ყველა მოძრაობის გამოხატველი ზმნებია. ასევე, სიმრავლე ძახილის („*ძირს ჩამომიღე, დამასვენე, შე ქრისტიანო!*“ „*როგორ მიამა იატაკის სიგრილე!*“) და კითხვითი წინადადებებისა („*არც ანგარიშს ვაძლევ ჩემ თავს, საითკენ, სად? მაშინ მაინც სად მივიჩქარით? სად მიგვესწრაფის სული?*“ „*რად მიცდის ეს კაცი. რა უნდა, ვინაა?*“)

რიტმული პროზა ორივე ავტორის არჩევანია და შესაბამისად, ორივე მწერალი მაქსიმალურად იყენებს სხვადასხვა მრავალფეროვან ენობრივ შესაძლებლობებს, რაც რიტმული პროზის ექსპრესიას შესანიშნავად გამოხატავს. ფონეტიკის დონეზე, ტექსტების რიტმულ ჟღერადობას და კეთილხმოვანებას განაპირობებს ალიტერაციის, კონსონანსის, ასონანსისა და შინაგანი რითმის სიმრავლე.

მორფოლოგიის დონეზე ორივე მოთხრობაში თვალსაჩინოა უარყოფით ნაწილაკებიანი და უარყოფითი ნაცვალსახელების შემცველი წინადადების სიუხვე (*No one had missed him. No one was looking for him; Not too fast; But there were no lambs. She could see none. No one abroad. Not a single lamb. No one had missed him / მე კი არავის ვეძებ. არავინ მეძებს*).

გამორჩეულად მნიშვნელოვანია რიტმულობის შემქმნელი სინტაქსური საშუალებები. როგორიცაა: ერთმანეთის მიყოლებით სახელდებითი წინადადებების სიმრავლე, ინვერსიული წყობის ხშირი ნიმუშები (მეტად საინტერესო ინვერსიის ნიმუშია შემდეგი წინადადება, სადაც ავტორი ღამის სასპენზის მდგომარეობაში ამყოფებს მკითხველს და

მხოლოდ წინადადების ბოლოში ჩნდება სუბიექტი: *To catch an eye searching from afar there was only the white head*. სიტყვა-სიტყვითი თარგმანი: *ფხიზელი თვალი მხოლოდ შორიდან თუ შეამჩნევდაჰქალარა თავს*); სინტაქსური პარალელიზმები: *No one had missed him. No one was looking for him; A few drops if you will. A few drops in the morning if you will / მე მარტო ვარ ჩემს ფიქრებში. მე მარტო მივდივარ ჩემს ბნელ გზაზე; უკვე ქალაქში ვარ. უკვე სინათლეში ვარ; სიკვდილი ტრიუმფით შესულა თვალების ჭიმკარში და სინათლე გაუნადგეურებია. სიკვდილის უშველებელი ფრთა აწევს ამ კაცს სახეზე*); სტროფული პარალელიზმები; მეორდება მთელი წინადადებები, ზოგი სამჯერ: *No one had missed him. No one was looking for him; It happened so long ago; That seems to hang together; Not too fast*).

და ბოლოს, რა თქმა უნდა, ლექსიკური საშუალებები. სწორედ ავტორების მიერ საგანგებოდ შერჩეული ლექსიკის, უპირველეს ყოვლისა, ტროპული მეტყველების წყალობით, კიდევ დიდხანს რჩება მკითხველის გონებაში მოთხრობების ფერები და ხმები.

მართლაც საინტერესოა ასეთი დამთხვევა: გარდა მსგავსი რიტმული წყობისა, ამ ორ მოთხრობას თემატური მსგავსებაც გააჩნიათ.

ნაწარმოების თემა ქართველი ავტორის სათაურშივე ფიგურირებს „*მკვდართან შეხვედრა*“, იმ დროს, როცა ბეკეტისეული სათაური „*ერთ საღამოს*“ თითქოს მშვიდი, პასტორალური ამბისთვის განგვაწყობს.

ორივე ნაწარმოების პროტაგონისტი მიცვალებულს გადააწყდება: ერთს თავი ჩამოუხრჩვია ქალაქგარეთ პარკში („*მკვდართან შეხვედრა*“). მეორე კი, როგორც ჩანს, ბუნებრივად გარდაცვლილა, ისიც დიდი ქალაქისგან მოშორებით, მოხუცებული, მარტოსული და მიუსაფარი. კიდევ ერთხელ, როგორც მრავალგზის მანამდე, ორივე ნაწარმოების ცენტრშია „ზედმეტი ადამიანი“, რომელიც „*არავის არ მოუკითხავს, რომელსაც არავინ არ ეძებს*“. მარტოსულები და მიუსაფრები მხოლოდ მიცვალებულები როდი არიან ამ მოთხრობებში.

მოხუცებულ ქალს ინგლისურენოვანი მოხრობიდან, „მარტის თუ აპრილის“ ერთ დღეს - თვითონაც არეული აქვს სათვალავი, რამდენიმე სიურპრიზი, უფრო სწორედ, იმედგაცრეუბა ელის წინ. იცის, რომ გაზაფხულის ამ დროს ბევრი ყვითელი ყვავილი უნდა იყოს და რაკი დოლის პერიოდი-ბევრი ბატკანიც. თუმცა, მხოლოდ ერთი-ორი ყვავილი ხვდება. ხანგრძლივი შინ ყოფნის შემდეგ გარეთ გამოსული ვერავის ხვდება, არავინ არ ჩანს, არც ძე ხორციელი, არც ცხოველი. არადა, თეთრი კრავების დანახვას ელოდა. გარეთ კი იმიტომ გამოდის, რომ ის ყვითელი ყვავილები დაკრიფოს, ამ დროს ბლომად რომ ეგულება მინდვრად. მათ ეძებს, რადგან გარდაცვლილ მეუღლეს უყვარდა ისინი. უნდა, რომ დაკრიფოს და საფლავზე მიიტანოს. მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა დაქვრივდა, შავი აღარ გაუხდია. ეტყობა, რომ მარტოა, და ისიც აშკარაა, რომ გარეთ ხშირად არ გამოდის. მისთვის ყველაზე დიდი სიურპრიზი მაინც ბალახში მწოლიარე მიცვალებულია. ქალს არ აშინებს მკვდართან შეხვედრა. პირველი შოკის გავლის შემდეგ, ის მშვიდად ფიქრობს, გაიხსენოს სადმე ხომ არ უნახავს კაცი. ისეთი განცდა ეუფლება მკითხველს, რომ თითქოს ქალს ის უფრო აფორიაქებს, რომ სასურველი ყვავილები იმდენი ვერ ნახა, რამდენსაც ელოდა. ქალი ხვდება, რომ გარდაცვლილი მარტოსული, მიუსაფარი ადამიანია „*არც არავის არ მოენაკლისებინა იგი. არც არავინ არ ეძებდა მას*“. საფლავიც კი არ ეღირსა ჯერ-ჯერობით. მოხუცი ქალი არ გარბის, იქვე ახლოს ჩერდება და თითქოს ირინდება. ამ დროს მზეც ჩადის, მწუხრი იღვევს და ავტორს მეტი არაფერი აღარ აქვს სათქმელი და მისი ბოლო ფრაზაც ესაა: „*მაგრამ ამაზე მეტი აღარაფერი*.“

ბეკეტის მოთხრობა თავისი სიჩუმით უფრო ფერწერულ ტილოს წააგავს, სადაც ოთხი ფერი დომინირებს და დახშული ტრაგედია გამოსჭვივის მოხუცებულების უძრავი ფიგურებიდან (აკი მათ ერთმანეთს უტოლებს კიდევ ავტორი, ათანაბრებს მათ მდგომარეობას: „*მოხუცი ქალი მთლად შავებში უძრავად. სხეული მიწაზე უძრავად*“).

გამსახურდიას მოთხრობის მარტოსულ ახალგაზრდა კაცს აფორიაქებს, აღელვებს ბედნიერ შეყვარებულ წყვილთა ხილვა და იდუმალი ხმები ტყის ბინადართა. ბუნება და გარემომცველი სამყარო ხან ეთანხმება, გულშემატკივრობს და უგებს მას, ხან კი ისეთი

სახით ევლინება, რომ მარტოსული კაცი კიდევ უფრო მწვავედ შეიგრძნობს თავის მარტოობას. ქართულენოვან მოთხრობაში ნაკლები ფერია, მაგრამ ბევრი ხმა და ხმაურია. ბედნიერი ადამიანების ხმები ერწყმის ფრინველთა გადაძახილს. საშინელ სიჩუმეს და მდუმარებას, რომელიც გამეფებულია მოთხრობის შუაგულში, მალევე, ფინალში უპირისპირდება დიდი ქალაქის ხმაურები: „ავტოს ღმუილი“, საათის რეკვა და ეკლესიის ზარების გუგუნი. ყველაზე ხმამაღალი, ალბათ, პროტაგონისტის სინდისის შინაგანი ხმაა, რომელიც მოსვენებას არ აძლევს მას.

ახალგაზრდას აშინებს, აძრწუნებს ჩამოხრჩობილის ხილვა. „სიკვდილი ტრიუმფით მესულა თვალების ჭიმქარში და სინათლე გაუნდგურებია. სიკვდილის უშველებელი ფრთა აწევს ამ კაცს სახეზე...“ ბეკეტის ხანდაზმული გმირი უპატრონო მიცვალებულის ხილვისას იდენტიფიცირებას ახდენს გარდაცვლილთან, ამას გრძნობს მკითხველი და მიჰყვება მის ფიქრთა რიგს: „არავის არ მოენაკლისებინა იგი. არავინ არ ეძებდა მას“. გამსახურდიას პერსონაჟი კი, მიუხედავად იმისა, რომ მრავალგზის აღნიშნავს თავის მარტოშეგრძნობას („მე კი არავის ვეძებ. არავინ მეძებს. ...მე მარტო ვარ ჩემს ფიქრებში. მე მარტო მივდივარ ჩემს ბნელ გზაზე“), მიცვალებულის დანახვაზე ივიწყებს საკუთარ გასაჭირს, ითრგუნება უცნობის ტრაგიკული აღსასრულით და სურვილი უჩნდება, რომ „ვიყვირო, ვიყვირო, და მთელს ქვეყანას შევატყობინო, რომ აქ ტყეში, ბნელში, კაცი ჰკიდა ხეზე და არავინ იცის ეს“. უფრო მეტიც, ახალგაზრდა კაცს (რომელიც სავარაუდოდ მწერლის ალტერ ეგოა) იმდენად შეძრავს უცნობის ბედი, რომ ტრაგედიის პროეცირებას თავისთავზე ახდენს. მისი ტკივილით გამსჭვალული, წარმოიდგენს უცნობის დედას და ჩვენი აზრით, ტიპური ქართველი დედის ხატს ქმნის: „ეგებ ამ კაცს მოხუცი დედა ჰყავს სახლში. ზის მოხუცი, თავის ხელსაქნარს აკეთებს და არც კიცის, რომ მისი შვილი აგერ ჩემს თვალიდან ჰკიდა ხეზე...“

საერთო თემატიკა, თხრობის საერთო რიტმული სტილი ამ ნაწარმოებებს ერთმანეთთან თან აახლოებს და თანაც, უფრო გამოჰკვეთს იმ ენობრივ და ლიტერატურულ განსხვავებულ ნიშნებს, რაც მათ უნიკალურობას უსვამს ხაზს.

ამ მცირე ლინგვისტურ-ლიტერატურულმა პარალელებმა, ჩვენი აზრით, უფრო ნათლად გამჟღავნებდა ის საინტერესო გადაკვეთის წერტილები რაც ამ ორ, ერთმანეთისგან სრულიად დაუკავშირებელ ნაწარმოებს გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამსახურდია, კ. (1959). რჩეული თხზულებანი, ტომი II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
2. Beckett S. (1985). One Evening, from The Complete Short Prose.

<http://tomclarkblog.blogspot.com/2012/05/samuel-beckett-one-evening.html>, Accessed on May 3, 2015.

Nino Dzamukashvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Linguistic-literary Parallels between Two Short-Stories (According to the works by Konstantine Gamsakhurdia and Samuel Beckett)

Abstract

The article aims at showing some interesting parallels of linguistic and literary nature between two short-stories by two very different authors through comparative and contrastive methods. We focus on the similarity of the theme and that of the rhythmic structure of the works.

საკვანძო სიტყვები: კონსტანტინე გამსახურდია, სემუელ ბეკეტი, რიტმული პროზა, ლინგვისტურ-ლიტერატურული პარალელები.

Key words: Konstantine Gamsakhurdia, Samuel Beckett, rhythmic prose, linguistic-literary parallels.

ჟურნალისტური განათლების მოდელირება და მისი განვითარების პერსპექტივები ბულგარეთში

თანამედროვე ჟურნალისტურ განათლებაში აქტუალურად განიხილება ჟურნალისტური კომპეტენციების საკითხი. ამ ტერმინის ქვეშ მოიაზრება ყველა ის პროფესიული სტანდარტი, რომელიც მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნის ჟურნალისტისათვის და რომელსაც ამ მიმართულების საუნივერსიტეტო კურიკულუმები უნდა უზრუნველყოფდეს.

იუნესკოს ჟურნალისტიკის პროგრამის სამოდელო სასწავლო გეგმაში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ 21-ე საუკუნის ჟურნალისტი განსხვავდება მე-20 საუკუნის ჟურნალისტისაგან იმით, რომ მას ციფრულ ეპოქაში მოუწია ცხოვრება. ინტერნეტისა და ვებ 2.0-ის გაჩენამ დიამეტრალურად შეცვალა ჟურნალისტური განათლების მიდგომები მთელ მსოფლიოში. მომავალ ჟურნალისტს ზოგადი ცოდნის ფლობასთან ერთად მულტიმედიური უნარ-ჩვევების ფართო სპექტრი ესაჭიროება. ეს გულისხმობს ყველა ეტაპს, დაწყებული ინფორმაციის მოპოვებით, მისი დამუშავებით, სასაქონლო პროდუქციად ქცევისა და სხვადასხვა მედიაპლათფორმის აუდიტორიამდე მიტანით. პრაქტიკული უნარები და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ფლობა ჟურნალისტისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

მე-20 საუკუნის მე-2 ნახევარში, აღმოსავლეთ ევროპაში განვითარებულმა დემოკრატიულმა პროცესებმა, პლურალიზმმა და მედია თავისუფლების ნიშნების გაჩენამ რეგიონის მედია გარემო მნიშვნელოვნად შეცვალა. ამ პერიოდს უკავშირდება ბულგარეთის მედია ბაზრის გამოცოცხლება, რამაც, უდავოდ, ხელი შეუწყო, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული და ონლაინ მედიის განვითარებას ქვეყანაში. თუმცა, პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები ერთნაირად ხელმისაწვდომი არ ყოფილა თავისუფალი მედიისთვის. დემოკრატიის ტალღამ ეტაპობრივად მოიცვა ბულგარეთის მედია საშუალებები.

მკვეთრად შეიცვალა მედიის როლი და ჟურნალისტების დამოკიდებულება პოლიტიკურ-სოციალური საკითხების მიმართ. დემოკრატიის პირობებში, მედიამ საზოგადოების მოდარაჯის ფუნქცია იტვირთა და საზოგადოების ინტერესების დამცველ და საყრდენ ძალად წარმოჩინდა. მედია ჩაერთო საზოგადოების ინფორმირების საქმეში და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მიზნით უზრუნველყო საჯარო დებატების მხარდაჭერა.

მიმდინარე ცვლილებები რთული აღმოჩნდა, როგორც, კონკრეტულად, ბულგარეთისათვის, ასევე, ყველა ახალგაზრდა დემოკრატიული ქვეყნისთვის, რადგან პოლიტიკური კულტურის განვითარება მოითხოვდა მედიის წარმომადგენლების გარდაქმნასაც.

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებს თან დაერთო ციფრული რევოლუციები, რომელმაც ორ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში ტექნოლოგიური გარდატეხები მოახდინა მთელ მსოფლიოში. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ და ჟურნალისტიკაში მისმა გამოყენებამ ტრადიციული მედიის ალტერნატივა - სოციალური მედია გააჩინა, რომელიც ინფორმაციის მოძრაობისა და გავრცელების შესაძლებლობებით გაცილებით მოქნილი აღმოჩნდა, ვიდრე ტრადიციული მედია.

პოლიტიკურმა და ტექნოლოგიურმა სიახლეებმა რადიკალურად შეცვალა ჟურნალისტური განათლების მიდგომები ბულგარეთში. ამ პროცესებმა ჟურნალისტიკის/მასკომუნიკაციის კურიკულუმების გადახალისება გამოიწვია. აუცილებელ მოთხოვნად იქცა კურიკულუმებში ტექნოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებული ცვლილებების ასახვა და

პრაქტიკული ნაწილის გაძლიერება. ამდენად, ჟურნალისტური განათლების სისტემა და მოდელები ბულგარეთში სერიოზული რევიზირების ობიექტად იქცა.

ბოლო 20-25 წლის განმავლობაში, ჟურნალისტურმა განათლებამ ბულგარეთში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. რეფორმა შეეხო როგორც სახელმწიფო, ასევე იმ კერძო უნივერსიტეტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ამ მიმართულების განათლებას ახორციელებდნენ.

პირველი ჟურნალისტური საგანმანათლებლო პროცესი სოფიის უნივერსიტეტში 1952/1953 წლიდან იწყება. 1968 წელს ჟურნალისტიკის დეპარტამენტი სოფიის უნივერსიტეტის სლავური კვლევების ფაკულტეტის ნაწილი გახდა. ამ ეტაპზე, ჟურნალისტური განათლება, ძირითადად, ეფუძნებოდა ლიტერატურულ მიდგომებსა და ჟურნალისტიკის ჟანრების შესწავლას, თუმცა, პროფესიული პრაქტიკა მისი ყველაზე ძლიერი მხარე იყო [11].

საწყის ეტაპზე ბულგარეთში, ჟურნალისტური განათლება ორი პროგრამის, ორი მოდელის საფუძველზე ჩამოყალიბდა. ერთი დაეფუძნა მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტებში შემუშავებულ ჟურნალისტიკის პროგრამებს, მეორე მოდელი კი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასწავლო გეგმის ანალოგი იყო. ბულგარეთში ჟურნალისტური სწავლების ხუთწლიანი პროგრამა აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენლებთან ერთად შემუშავდა [3].

საბჭოთა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალისტური განათლების გამოცდილებაზე დაყრდნობით გამდიდრდა და გადამუშავდა ავსტრიული მოდელი, რომელიც მანამდეც არსებობდა ბულგარეთში. სოფიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის ფაკულტეტმა დიდხანს შეინარჩუნა ამ სამი ქვეყნის ჟურნალისტური განათლების გავლენა [11].

1969-1973 წლებში, ბულგარეთი ჟურნალისტური განათლების ახალ მოდელზე გადადის. კურიკულუმში ჰუმანიტარულ საგნებთან ერთად ჩნდება ახალი აკადემიური დისციპლინები და ყურადღება ექცევა სპეციალიზებულ განათლებას. პროფესიული პრაქტიკა კი სხვადასხვა მედიასაშუალებებში ხორციელდება. 1974 წელს ცალკე იქმნება ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, ამ დროისათვის, ერთადერთი ფაკულტეტი, რომელიც ჟურნალისტურ განათლებას ახორციელებს ბულგარეთში [3].

1991 წელს ჟურნალისტიკის ფაკულტეტს სახელი შეეცვალა და ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის ფაკულტეტის სახელით გახდა ცნობილი. რეალურად, ასეთი სახელწოდება უფრო ადეკვატურად წარმოაჩენდა მისი საქმიანობის შინაარსს.

2000 წლის შემდეგ, სასწავლო გეგმები და პროგრამები ბოლონის რეფორმის მოთხოვნებს ექვემდებარება და გადადის საკრედიტო სისტემაზე.

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის ფაკულტეტის განკარგულებაში ექცევა აუდიოვიზუალური სასწავლო კომპლექსი, რადიო და სატელევიზიო სტუდიები, კინო და ვიდეო ცენტრი, ფოტო ლაბორატორია, სპეციალიზებული ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ცენტრები. სტუდენტები აქ იძენენ იმ უნარებს, რაც მათ საშუალებას აძლევს ბეჭდური და ინტერნეტ პუბლიკაციებისა თუ ტელე-რადიო პროგრამების მოსამზადებლად. მცდელობაა თეორიული და პრაქტიკული საგნების დაბალანსების, თუმცა, არსებული ტექნიკური რესურსი ამის სრულფასოვანი განხორციელების საშუალებას არ იძლევა. ფაკულტეტის განკარგულებაში არსებული მოძველებული აპარატურა შორს დგას იმ ტექნიკური აღჭურვილობისაგან, რასაც თანამედროვე მედია ბაზარი, განსაკუთრებით, ტელევიზია იყენებს. მიუხედავად იმისა, რომ სწავლება პრაქტიკაზე ორიენტირებულია, ჟურნალისტური განათლების სტანდარტები მაინც არაა დამაკმაყოფილებელი რჩება. ტექნიკის დიდი ნაწილი მოძველებულია და ფაქტობრივად ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. შედეგად, პრაქტიკული კურსებისა და თეორიულ-ისტორიული საგნების ბალანსი ირღვევა [3].

გარდა ამისა, სწავლების პროცესში ჯერ კიდევ არ არის საკმარისად გამოყენებული მულტიმედიური შესაძლებლობები. პროფესიონალებს (ჟურნალისტებს, პროდიუსერებს,

წამყვანებს), რამდენმე წელია, ნება დართეს საუნივერსიტეტო განათლების სისიტემაში ჩამდგარიყვნენ.

ბულგარეთის სხვა უნივერსიტეტები, რომლებიც ჟურნალისტიკური განათლების პროგრამებს სთავაზობენ სტუდენტებს, იმეორებენ ჟურნალისტიკური სწავლების იგივე მოდელს, რასაც სოფიის უნივერსიტეტი. ჟურნალისტიკის ახალი კურსები სხვა უნივერსიტეტებში სოფიის უნივერსიტეტის პედაგოგების მიერაა შემუშავებული.

ზოგადად, ბულგარეთში, ჟურნალისტიკურ პროგრამებს ახორციელებს სამი სახელმწიფო და ორი კერძო უნივერსიტეტი.

საბაკალავრო პროგრამები სამი-ოთხი წელი გრძელდება და 180-240 კრედიტს მოიცავს [8]. სტუდენტები ორი გზით ხვდებიან ჟურნალისტიკის სპეციალობაზე. მიღება ხდება შიდა გამოცდებით, შემოქმედებითი წერითი და ზეპირი ტურის საფუძველზე.

პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულს უფლება აქვს იმუშაოს სპეციალობის მიხედვით. ბაკალავრიატის შემდეგ უნივერსიტეტი სთავაზობს სამაგისტრო პროგრამებს ან შეუძლია შრომის ბაზარზე დასაქმდეს. მაგისტრატურა გრძელდება ერთი ან ორი წელი. შესაბამისად სტუდენტი აგროვებს 60 ან 120 კრედიტს [8].

ყოველწლიურად უნივერსიტეტს ამთავრებს დაახლოებით 1060 სტუდენტი. აქდან 800 სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია [6]. მათ შორის, ბაკალავრიატის საფეხურს 920 სტუდენტი ამთავრებს, დანარჩენი მაგისტრატურაზე მოდის [4].

ბულგარეთის ჟურნალისტიკის სასწავლო კურიკულუმებში იგრძნობა პრაქტიკული კომპონენტის სიმწირე და თეორიული საგნების სიჭარბე. ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ფაკულტეტები ვერ უზრუნველყოფს საკმარის ტექნიკურ აღჭურვილობასა და სპეციალიზებულ ლექტორთა შემადგენლობას [7]. შესამჩნევია პრაქტიკისა და სტაჟირების სიმცირე; უნივერსიტეტებისა და მედია საშუალებებს შორის თანამშრომლობის ნაკლებობა. ტენდენციადაა ქცეული სტუდენტთა გადინება სხვადასხვა მედია საშუალებებში სწავლების საწყის ეტაპზე.

რაც შეეხება თავად სასწავლო პროგრამებს, თვალშისაცემი ხარვეზი არის პრაქტიკული კურსების ნაკლებობა თეორიულთან შედარებით. განსაკუთრებით ყურადსაღებია პროფესიული ეთიკის, უცხოური ენების, სამართლის, საგამომიებო ჟურნალისტიკისა და ციფრული მედიის მომცველ კურსები. მედიამკვლევარები თვლიან, რომ შრომის ბაზრის სისტემური ანალიზი და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინება, მიმდინარე კურიკულუმებს გაცილებით ეფექტურს გახდის [3].

მკვლევართა აზრით [10], ჟურნალისტიკური განათლება ბულგარეთში საჭიროებს რეფორმას. ძირითადი პრობლემები კი უკავშირდება შემდეგ საკითხებს:

- კურიკულუმით შეთავაზებული აკადემიური კურსები არასაკმარისია პრაქტიკული უნარების შეძენა-განმტკიცებისათვის;
- პრაქტიკული სწავლებისას მნიშვნელოვანია თავად, აკადემიური პერსონალის მომზადება/გადამზადება;
- ჟურნალისტიკურ კურიკულუმში იგრძნობა პროფესიული ეთიკის, მედია სამართლის, საგამომიებო ჟურნალისტიკის, მულტიმედიური კურსების სიმწირე;
- კურიკულუმში ვერ უზრუნველყოფს მულტიმედიური უნარების შეძენა-გამომუშავებას.

ბულგარეთში, ჟურნალისტიკის კურსდამთავრებულთა კარიერის შესახებ სტატისტიკა არ არსებობს. უნივერსიტეტები არ ფლობენ ინფორმაციას კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ. არ არსებობს კურსდამთავრებულთა ქსელები, რომელიც პროფესიული კარიერის სისტემურ სურათს შექმნიდა და შეინარჩუნებდა კავშირებს ინსტიტუციონალურ დონეზე. ამიტომ, ძნელია, ისაუბრო პროცენტულ მაჩვენებლებზე, ან შეაფასო კურსდამთავრებულთა რა რაოდენობა რჩება დასაქმებული სპეციალობის მიხედვით.

საერთო ტენდენციად აღიქმება ის ფაქტი, რომ ჟურნალისტიკაში სხვა სპეციალობის კურსდამთავრებულთა ინტეგრაცია ხდება [9], თავად ჟურნალისტიკადამთავრებულები კი სხვა პროფესიებში ინაცვლებენ. განსაკუთრებით PR-ის მიმართულებით (PR-ში მომუშავეთა

თითქმის 50 პროცენტი ჟურნალისტიკის სფეროდანაა) ან მომიჯნავე სფეროებში, რაც გამოწვეულია ჟურნალისტური პროფესიის პრესტიჟის დაცემით, დაბალი ანაზღაურებით, პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლით, იმ საერთო განწყობით, რაც დღეს ბულგარულ მედიაში სუფევს. გარემო, რომელიც ზღუდავს პროფესიის თავისუფლებას და შემოქმედებითობას [11].

ფაკულტეტის განათლება და პროგრამები კვლავ საჭიროებს რეფორმას. ჟურნალისტური განათლება ვერ უზრუნველყოფს მედიასაშუალებებში კურსდამთავრებულთა ინტეგრირებასა და ჟურნალისტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას. იგი ჩამორჩება ახალი კომუნიკაციური პლატფორმებისა და სამოქალაქო ჟურნალისტიკის განვითარებას. ჟურნალისტური განათლების ხარისხი მთლიანად დამოკიდებულია საერთო მედიის ხარისხზე. უმაღლესი პროფესიული და ეთიკური სტანდარტების სწავლება უნივერსიტეტებში არ შეესაბამება მედიაბაზარზე დამკვიდრებულ გასართობი, ბულგარული ტიპის მედიასაშუალებების კომერციულ პრინციპებს; საუნივერსიტეტო ჟურნალისტური განათლების მედიასაშუალებებთან არაკმარისი თანამშრომლობა და ფინანსური რესურსების ნაკლებობა ხელს უშლის პროფესიონალ ჟურნალისტთა მოწვევას უმაღლეს სასწავლებლებში პრაქტიკული კურსების განსახორციელებლად.

მთლიანობაში, ბულგარეთში, ჟურნალისტური განათლება ჩამორჩება წამყვან საერთაშორისო სტანდარტებს, როგორც თეორიის, ასევე, კვლევისა და პრაქტიკის კუთხით [5]. ახალგაზრდა პროფესიონალების ყველაზე დიდ სისუსტედ ითვლება უცხო ენების არასაკმარისი ფლობა, წერის კომპეტენციის ნაკლებობა, კროსმედია და მულტიმედიური საშუალების არასაკმარისი ფლობა და სხვადასხვა მედიაპლატფორმისთვის ჟურნალისტური პროდუქტის მომზადების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს ამბის თხრობას ტექსტის, ფოტოების, ვიდეო რგოლების თუ აუდიო ფაილების გამოყენებით.

საერთაშორისო ჟურნალისტური ორგანიზაციების წარმომადგენლები [1] მიიჩნევენ, რომ ჟურნალისტის მოვალეობაა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული საკითხების გაშუქება, დემოკრატიის სტიმულირება და განმტკიცება, პირადი და ინსტიტუციური ანგარიშვალდებულების გაძლიერება, მოქალაქეთა შესაძლებლობების სტიმულირება. მნიშვნელოვანია, ჟურნალისტს ჰქონდეს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა და ეთიკური სტანდარტების პატივისცემა, საზოგადოებაში ჟურნალისტის როლის მნიშვნელობის გააზრება; დემოკრატიული ფასეულობების ერთგულება, სამართლიანობისა და ობიექტურობის განცდა.

პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებასთან ერთად, რაც გულისხმობს ინფორმაციის სწრაფ შეგროვებას, წყაროების შეფასებას, მთავრი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნას და სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ინფორმაციის შერჩევა და მასალის მომზადება მედიის პლატფორმის შესაბამისად; ლინგვისტური კომპეტენციის განვითარება და ჟურნალისტური პროდუქტის ეფექტური ფორმით წარდგენა. სხვადასხვა ტიპის ტექნიკის გამოყენება სამუშაო პროცესში და მისი ეფექტური ფლობა. ჟურნალისტური განათლების თანამედროვე მიდგომები ბულგარეთის ჟურნალისტურ განათლებას ამ კუთხით რეფორმირებას სთავაზობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Declaration of Tartu. (2013). <http://www.ejta.eu/tartu-declaration>
2. Konrad-Adenauer-Stiftung Media Program South East Europe and Market Links. (2015). *‘Trust in Bulgarian Media. Independence and quality’*. <http://www.kas.de/wf/de/71.4962/> (16.02.2017).
3. Manliherova, M. Zlateva, M. and Petrova, T. (2009). *‘The Bulgarian Journalism Education Landscape’*(ed) European Journalism Education. Chicago: University of Chicago Press
https://www.uni-sofia.bg/index.php/eng/the_university/faculties/faculty_of_journalism_and_mass_communication/degree_programmes/bachelor_s_degree_programmes/faculty_of_journalism_and_mass_communication/journalism

4. Ministry of Education and Science. (2013). Register of Students at Bulgarian Universities. www2.mon.bg/adminureg/html/reports (15. 05.2017).
5. National Evaluation and Accreditation Agency
www.neaa.government.bg/bg/institutions/profesional/hs_lists?content=1636735145096878868
6. National Statistical Institute www.nsi.bg/ORPDOCS/Edu_3.6.2.xls
7. Spassov, O.(2011). *Representation and interpretation of the data on Bulgaria*. Report on the quality and methods of counting the population and housing. <http://www.nsi.bg/otrasal.php?otr=24>
8. National Statistical Institute (2015). Statistical data. Culture. <http://www.nsi.bg/en/content/4526/culture> (21.05.2016).
9. Sofia University. (2016). Sofia University maintained its position among the most prestigious universities in the world.
https://www.uni-sofia.bg/index.php/novini/novini_i_s_bitiya/sofijskiyat_universitet_zapazva_poziciyata_si_sred_naj_prestitizhnite_universiteti_v_sveta2 (20.05. 2017).
10. Spassov, O. (ed) (2014). Balkan Media Barometer: Bulgaria Sofia:
http://www.kas.de/wf/doc/kas_47083-1522-2-30.pdf?170130122152 (10. 05. 2017).
11. Zlateva, M. (2007). *Bulgarian-Austrian relations in the field of academic education in public communication*.

Lali Dzamukashvili

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Modeling Journalism Education and Its Development Prospects in Bulgaria

Abstract

The issue of journalism competences is broadly addressed in contemporary journalistic education. This term covers all professional standards that are important for the journalists of any country and that have to be provided by the university curricula in this direction.

The UNESCO Model teaching plan of Journalism emphasizes that the 21st Century Journalist is different from the 20th Century Journalist because of living in a digital era. The emergence of the Internet and Web 2.0 has dramatically changed journalistic education approaches worldwide. The future journalist needs a wide range of multimedia skills along with the general knowledge. This includes all stages, starting with obtaining information, processing it, turning it into a product and bringing it to different media platform audiences. Having practical and modern digital technology skills hold special significance for journalists.

საკვანძო სიტყვები: ჟურნალისტური განათლება, კურიკულუმი, მულტიმედიური უნარები, მედია, პროფესიული კომპეტენციები.

Key words: journalistic education, curriculum, Multimedia skills, Media, professional competencies.

ქეთევან მოწენიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

ბავშვთა სოციალური დაცვის ზოგადი პრობლემები

საზოგადოებაში შექმნილი ვითარება სკოლასა და ოჯახთან ერთად საგანმანათლებლო საქმიანობის მიმართულების განმსაღვრელია. საზოგადოებრივი პროგრესისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების ზრუნვას ბავშვის

სოციალური დაცვისათვის. დემოკრატიულისაზოგადოების განათლების მიზნები თითოეული ბავშვისათვის თვითგამოხატვის და თვითგანვითარების პირობების შექმნას ითვალისწინებს. ბავშვისაწყო და მომავალი ყოველთვის იყო ჯანსაღი საზოგადოების საზრუნავი. განსაკუთრებით აქტუალურია იგი თანამედროვეობისათვის. საზოგადოებას გადაწყვეტი წვლილის შეტანა შეუძლია ბავშვის და მოზარდის აღზრდის, განათლების, პიროვნული განვითარებისათვის შესაფერისი გარემოს შესაქმნელად. ადამიანი ყალიბდება იმ საზოგადოების სოციალური, ისტორიული და კულტურული გავლენით, რომელშიც ცხოვრობს. გარემოში ბევრი რამ იცვლება. ცვლილებები ჩვენი ეპოქის მთავარი მახასიათებელი გახდა. ისინი უწყვეტად მიმდინარეობს ცხოვრების ყოველ საფეხურზე. საზოგადოებაში არსებული უკლებლივ ყოველი ცვლილება პირდაპირი თუ ირიბი გზით, იმ გარემოცვაზეც აისახება, რომელშიც იზრდებიან და სწავლობენ. გაეცანით რამდენიმე მიმართულებას, რომელიც საგანმანათლებლო-სააღმზრდელო გარემოს ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს:

- ინოვაციური სასწავლო და აღმზრდელობითი პროგრამები
- უახლესი კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა საგანმანათლებლო-აღმზრდელობით პროცესში
- ფსიქოლოგიური მეცნიერებაში არსებული გამოცდილების ინტენსიური გამოყენება
- მართვის პრინციპებისა და სასკოლო ურთიერთობათა დემოკრატიზაცია
- თავისუფალი დროის სწორად ორგანიზების პრინციპები
- ბავშვის დაცვის მექანიზმები

აქედან ჩნდება კითხვა: რა გზებითა და ხერხებით, რა კონკრეტული ნაბიჯებით მოვახერხოთ ყოველივე ეს? სად მოვიძიოთ საჭირო რესურსები? რითი დავიწყოთ?

ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება ისაა, რომ ხშირად სათანადოდ არ არის აღქმული და გააზრებული მოვლენების განვითარება. მაშინ, როდესაც საზოგადოების აქტიურობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, ზოგჯერ იგი გაღიზიანებული, პასიური მოლოდინის პოზიციიდან აკვირდება ბავშვის გარემო მიმდინარე პოზიტიურ თუ ნეგატიურ გაედაქმნებს. მომავალი, რომელიც ბავშვების საცხოვრებელ და სამოღვაწეო ასპარეზს ამზადებს, გაცილებით უფრო სერიოზულ, გააზრებულ მიდგომას მოითხოვს დღევანდელი საზოგადოების ყოველი წევრისგან. ბავშვის განვითარებისა და საარსებო ფორმირებაზე გადაწყვეტ როლს ასრულებს სკოლა, ოჯახი, საზოგადოება. ისინი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესის აკვარგიანობას და ეფექტურობას. რა სახის ურთიერთობაა დასახელებულ რგოლებს შორის და რამდენად ეფექტური და ნაყოფიერია ის? სამწუხაროდ, დღევანდელი არც თუ სასურველ სურათს გვთავაზობს.

ძირითადი პრობლემები, რომელიც ხელს უშლის ამ სამი რგოლის გაერთიანებას ერთ დიდსამკუთხედათ არის მშობლის, პედაგოგისა და საზოგადოების გათიშულობა. შეუძლებელია ამათ საკუთარი კვალი არ დატოვოს ბავშვის ცნობიერებაზე. დღეს საზოგადოების ერთი ნაწილი სკოლასა და ოჯახს ცალ-ცალკე მოიაზრებს. თანამშრომლობისათვის უამრავი პირობა არსებობს. მათ შორის უმთავრესია დაეხმარო მოსწავლეს, წარმატებას მიაღწიოს სკოლაში და შემდგომ ცხოვრებაში. როდესაც მშობელი, მასწავლებელი და ყველა მოზარდილი ადამიანი თანაბრად იზიარებს პასუხისმგებლობას ბავშვებისა და ახალგაზრდების აღზრდა-განათლებაზე და თავს ერთმანეთის პატრონებად მიიჩნევენ, მოსწავლეთა გარშემო იქმნება და მუშაობას იწყებს მზრუნველი საზოგადოება. სკოლა აქამდე ნახევრად ჩაკეტილ ორგანიზაციას წარმოადგენდა. ახალი წესდებით მოხერხდა სკოლის ირგვლივ არსებული „გალავნის“ რღვევა. სკოლა გალავანს შიგნით მოქცეული და თავის პრობლემებთან ერთად საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი არ უნდა იყოს. სკოლის გარშემო საზოგადოებაში არსებობს უამრავი რესურსი, რომელთა მოძიება და გამოყენება ნებისმიერი სკოლისათვის

მნიშვნელოვანი წარმატების საწინდარი იქნებოდა. მოსწავლეთა წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელია ყველა გულშემატკივარ ძალათა გაერთიანება. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებით ეწევა მიზანმიმართულ საქმიანობას „მშობელთა და მასწავლებელთ ასოციაციები“, რომელთა მიზანია ადამიანთა ცოდნისა უნარის მიმართვა თანამშრომლობისა და პარტნიორობათვის ბავშვის საკეთილიდღედ. საქართველოში წარმატებულ საქმიანობას ეწევა „ასოციაცია სკოლა, ოჯახი, საზოგადოებასი“ნი შეძლებისდაგვარად ახერხებენ, მათ გარშემო მყოფი პედაგოგებისა და მშობლების რესურსებს ბავშვთა დაკავშირებული პრობლემების გამოვლენასა და გადაჭრაში. სამართლებრივ სახელმწიფოში არსებობისათვის საზოგადოებას ჭირდება ახლებურად აზროვნება, კანონის უზენაესობის დამკვიდრება, ადამიანისა და ბავშვის უფლებების დაცულობა. ახალგაზრდა თაობას არამარტო ახალ, დამოუკიდებელ ქვეყანაში გზის გაგნება, არამედ მოქმედების, სტრატეგიებისა და ცხოვრებისეული რეალობის სწორი აღქმის უნარის განვითარება სურს. განათლების სისტემაში დემოკრატიულ ატმოსფეროს დაამყარებს ისეთი საგანმანათლებლო პროცესი, რომელშიც განათლებაში მონაწილე ყველა სუბიექტი-სახელმწიფო, საზოგადოება თუ პიროვნება თანაბარ მონაწილეობას მიიღებს. საზოგადოებაში შექმნილი ისეთი გარემო, სადაც ბავშვი თავს დაცულად იგრძნობს, განაპირობებს ეროვნული განათლების მიზნების განხორციელების ერთ-ერთ საშუალებას. საზოგადოების განვითარების დონე განისაზღვრება იმით, თუ რამდენადაა დაცული ადამიანის, ბავშვის უფლებები. ბავშვის უფლებათა კონვენციის პრემბულაში აღნიშნულია: კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები მიიჩნევენ, რომ გაეროს მიერ დეკლარირებული პრინციპების შესაბამისად საზოგადოების ყველა წევრის ღირსების, თანასწორი და ხელშეუვალი უფლებების აღიარება არის დედამიწაზე თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საფუძველი. ბავშვთა უმთავრესი უფლებაა იყვნენ განსაკუთრებული მზრუნველობით გარემოსილნი. ბავშვის დაცვის სამართლებლივი თუ სხვა მექანიზმის უზრუნველყოფის აუცილებლობა, როგორც დაბადებიდან, ისე დაბადების შემდეგ ქმნის ბავშვის უფლების დაცვის მიზნით, საერთაშორისო თანამშრომლობა უდიდესი მნიშვნელობის გლობალური პრობლემაა. 1989 წლის 20 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ბავშვთა უფლებათა კონვენცია, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ბავშვის უფლებების დაცვას მთელს მსოფლიოში. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ კონვენციის მიღებით შექმნა საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები. სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ კონვენციის რატიფიცირება. ამჟამად ბავშვთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 151 ქვეყანამ მათ შორის საქართველომ 1994 წლის 21 აპრილს. კონვენცია შედგება 54 მუხლისაგან, ბავშვად ითვლება 18 წლის ასაკს მიღწეული პირი. თუ რომელიმე ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სრულწლოვნების უფრო მცირე ასაკში კონვენციით გათვალისწინებული უფლებები თანაბრად ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი გამოწვევის გარეშე, ბავშვს აქვს უფლება დაცული იყოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის, ექსპლუატაციის, უკანონო გადაადგილების, ძალადობის, ომის და გაჭირვებისაგან. დაცული უნდა იყოს ოჯახში ბავშვის ნორმალური ცხოვრება, საცხოვრებელი ბინის ხელშეუვალობა, საჭიროების შემთხვევაში დროებით ან მუდმივად მასზე იზრუნოს სახელმწიფომ. ბავშვს აქვს სიცოცხლის, მისი შენარჩუნების, სამედიცინო მომსახურების უფლება, ინვალიდი და ავადმყოფი ბავშვები უნდა სარგებლობდნენ განსაკუთრებული უფლებით. ბავშვს აქვს უფლება განათლების, ინდივიდუალური განვითარების, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობათა სრული გამოვლენის უფლება. ბავშვს შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი და შეხედულებები ნებისმიერი საქმის განხილვისას, მიიღოს ან გასცეს ნებისმიერი ინფორმაცია. კონვენცია აღიარებს შვილად აყვანის სისტემის არსებობას, ბავშვის ინტერესის გათვალისწინებით, კომპეტენტური ორგანოების ნებართვით, ბავშვის კეთილდღეობის მყარი გარანტიების არსებობის შემთხვევაში. კონვენცია ითვალისწინებს ბავშვის ჯანმრთელობისათვის საზიანო სამუშაოს შესრულების, ნარკოტიკულ ნივთიერებათ

უკანონო გამოყენების, ბავშვის მოტაცების, ბავშვებით ვაჭრობის, კონტრბანდისა და ექსპლუატაციის სხვა ფორმებისაგან დაცვას. კონვენციის მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლისათვის შექმნილია კონვენციის მეთვალყურე კომიტეტი ექსპერტების შემადგენლობით, რომელიც განიხილავს მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს კონვენციის განხორციელების მდგომარეობის შესახებ. კომიტეტს შეუძლია ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით ცალკეულ საკითხთა შესასწავლად საგანგებო კვლევის ჩატარება. ბავშვი სრულყოფილად უნდა იყოს მომზადებული საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აღიზარდოს მშვიდობის, ადამიანის ღირსების, პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით. ეს კი შესაძლებელია იქ, სადაც ბავშვი თავს დაცულად გრძნობს. საამისოდ კი საზოგადოებამ უნდა იზრუნოს, მან უნდა შექმნას პირობები ადამიანის ინტელექტუალური, ზნეობრივი თვისებების, შემოქმედებით უნარების გამოსამჟღავნებლად ანუ თვით რეალიზაციისათვის.

სსსმ ბავშვთა სოციალური ინტეგრაცია

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) ბავშვს აქვს უფლება სარგებლობდეს განსაკუთრებული მზრუნველობით, მიიღოს განსაკუთრებული განათლება, რათა შეძლოს ღირსეულად და სრულფასოვნად ცხოვრება ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს მის მაქსიმალურ დამოკიდებულებას და სოციალურ ინტეგრაციას. არსებობენ უნარშეზღუდული ბავშვები. ასეთ შემთხვევაში პედაგოგები მუშაობენ უნარების იმ დონეზე განვითარებისათვის რამდენიც შესაძლებელია. ამასთანავე მუშაობენ იმ უნარების წინ წამოწევაზე, რომლებშიც ამ ბავშვებს შეზღუდვები არ გააჩნიათ. როდესაც უნარშეზღუდული ბავშვი სწავლობს ჩვეულებრივ სკოლაში ასეთ შემთხვევას ჰქვია ინკლუზიური სწავლება. ამ დროს უნარშეზღუდული ბავშვისათვის იქმნება მოდიფიცირებული სასწავლო გეგმა. არ შეიძლება უნარშეზღუდულად ჩაითვალოს ბავშვი, რომელიც ზარმაცია, წყნარია, ზედმეტად აქტიურია ან უყურადღებობის გამო უჭირს მასალის ათვისება. ინკლუზიური განათლების განვითარებისათვის საქართველოში ფართო მასშტაბიანი პროექტია შემუშავებული. ამ საკითხის კვლევა თანადროულობის მოთხოვნაა. ყურადღება გაგმახვილოთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სოციალური ინტეგრაციის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ურთიერთობა ოჯახის სხვა წევრებთან, თანატოლებთან და ა.შ. როცა მედიცინას საქმე აქვს ინვალის ბავშვთან, რომლის მდგომარეობის არც მკურნალობაა ცნობილი და არც მასთან მიდგომა, უმწეობისა და უიმედობის ვითარება იქმნება. ხშირად კონსულტაცია მთავრდება განწყობილებით, რომ ყველაფერი დამთავრებულია და ეს მშობელში იწვევს შიშს. სამწუხაროდ ხშირად ხდება, როცა მშობელი მედიცინის მუშაკებს მიმართვენ კითხვით „რა მეშველება?“ - რაზეც ექიმს მხოლოდ თავისი ტერმინებით შეუძლია უპასუხოს. წარმოიქმნება გაუგებრობა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ აქ დგას არა „განკურნების“, არამედ სსსმ ბავშვის განვითარების საკითხი, რასაც ხელი უნდა შეეწყოს არა ბავშვის ან მისი მდგომარეობის შეცვლით, არამედ გარშემომყოფთა აზრებისა და განწყობის შეცვლით. არსებობს კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც განაპირობებს ის ფაქტი, რომ მშობელები იძულებულნი არიან სხვადასხვაგვარად მოექცენენ ჯანმრთელ და სსსმ ბავშვებს. ჯანმრთელი ბავშვის განწყობა სსსმ ბავშვისადმი მთლიანად დამოკიდებულია მშობლების განწყობაზე. თუ მშობლის განწყობა ცხადი და მკაფიოა, მაშინ ისინი თავიანთ ჯანმრთელ შვილებზე ხალისიან და აქტიურ დახმარებას ვერ იპოვიან. მაგრამ თუ მშობელები ერთნაირად არ ეპყრობიან სსსმ და ჯანმრთელ ბავშვებს, ბუნებრივია, ამ უკანასკნელთ წყრომას დაიმსახურებენ. მშობელები ქვეცნობიერად მიმდინარე, სსსმ ბავშვის აღიარებასთან დაკავშირებულმა გადაუჭრელმა კონფლიქტებმა, შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს მათ ჯანსაღ შვილებს, თუ ამ მხრივ ისინი მიიღებენ მკაფიო და პოზიტიურ გადაწყვეტილებას. ამის შედეგი ხშირად არის არა აგრესიული რეაქცია, არამედ საკუთარ თავში ჩაკეტვა, ზოგჯერ ნამდვილი ემოციური კრახიც კი, განსაკუთრებით, თუ ნორმალური ბავშვი სუსტი

ნებისყოფისაა. სამწუხაროდ, ამგვარ სიტუაციებს უფრო ხშირად სსსმ ბავშვის ოჯახისაგან მოშორება მოსდევს და არა მშობლის ძირეული პრობლემის გადაჭრა. როგორც უკვე ვთქვით, არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ მთელმა ოჯახმა, განსაკუთრებით კი მშობლებმა, არ დაუქვემდებარონ თავიანთი ყოფა და მოთხოვნები სსსმ ბავშვის საჭიროებებს და ანომალური სტანდარტებს. არა მარტო ოჯახს გააჩნია ბავშვის ფრუსტრაციის საშუალებები, არამედ ბავშვსაც შუძლია მთელი ოჯახის ფრუსტრირება, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო ამძიმებს მის არაინტეგრირებულობას. როცა სსსმ ბავშვი ერთადერთი ბავშვია ოჯახში, მშობლები მიდრეკილნი არიან თავიანთი ცხოვრება მთლიანად ბავშვის მოთხოვნებს დაუქვემდებარონ, რაც, ფრთხილად და წინდახედულად არ ხდება, უარყოფითი შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. მთელი ოჯახი გაგებით უნდა მიუდევს ბავშვს, რომელის ერთი წუთითაც არ უნდა დააეჭვდეს ოჯახის, განსაკუთრებით კი მშობლების სიყვარულში. ეს სიყვარული უნდა შენარჩუნდეს მაშინაც კი, როცა ბავშვი ზიანს აყენებს ვინმეს, ან როცა მას უნდა აეკრძალოს რაიმე. დასჯა არავითარ შემთხვევაში არ არის სწორი აღმზრდელობითი მეთოდისიყვარულით უნდა გავუსწოროთ შეცდომები, დარღვევები. ეს კი მიგვიყვანს იქმადე, რომ ბავშვი ისწავლის განცდას იმისას, რომ მისი ზოგიერთი საქციელი მტკივნეულია ოჯახის დანარჩენი წევრებისათვის. სსსმ ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ მთელი ოჯახი დარწმუნებულია მის კეთილ ნებაში, სჯერა, რომ მას ნამდვილად უნდა იყოს მოსიყვარულე და ასიამოვნოს ოჯახისწევრებს. როცა ის იმედს უცრუებს მას და საპირისპიროს ჩადის, ოჯახმა არ უნდა აღიქვას როგორც მარცხი, განსაკუთრებით კი მშობლებს, უნდა ახსოვდეს, რომ ბავშვის განზრახვა შეიძლება დადებითი იყოს, მისი რეალიზაცია კი ფერხდებოდეს. უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა უნარშეზღუდულ ბავშვთან მუშაობის პრობლემა. იგი გასცდა კლინიკურ-ფიზიოლოგიურ კვლევის ჩარჩოებს და მოიცვა ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური სფერო. სსსმ ბავშვი ტოვებს ოჯახს და მიდის სკოლაში ან სპეციალურ სკოლა-პანსიონში. სკოლის ამოცანაა უზრუნველყოს ბავშვი იმგვარი გარემოს შექმნით, რომელიც დაეხმარება მას გამოხატოს და გააცნობიეროს საკუთარი პიროვნება, შეიცნოს თავისი თავი და იპოვოს საკუთარი ადგილი. ამასთან შეიძლება ურთიერთობის დამყარება, როგორც თანატოლებთან, ასევე უფროსებთან. პედაგოგიური გარემო კეთილგანწყობილი ურთიერთობით, ემოციურობით, სიმშვიდით ქმნის ბავშვის ზრდა-განვითარების საფუძველს. საქართველოში განვითარება შეფერხებულ ბავშვთან მუშაობის გამოცდილება იყო ძირითადად სპეციალიზირებულ სკოლა-ინტერნატების სახით. ამჟამად ამ მიმართულებით საქმიანობა ახალ შინაარსს იძენს იგი მნიშვნელოვან ადგილს იჭერს სასწავლო სააღმზრდელო საქმიანობაში იმ მიზნის, გათვალისწინებულ იქნას ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი და ხელი შეუწყოს მათ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას საგანმანათლებლო საქმიანობაში. სასურველია, ზოგიერთი რჩევის გათვალისწინება, კერძოდ: ისაუბრეთ მოკლე ფრაზებით, რათა არ დააბნიოთ ისინი, დაელოდეთ პასუხს-ნუ იფიქრებთ, რომ ბავშვი არ აპირებს პასუხის გაცემას. დაამყარეთ მხედველობითი კონტაქტი ბავშვის დონეზე-დაიხარეთ, რათა მან ნათლად დაინახოს თქვენი თვალები და სახე, როდესაც კომუნიკაციას ამყარებთ მასთან, ყურადღებით დააკვირდით მის პასუხს თქვენს შეკითხვაზე-შესაძლოა იგი რაიმეს მიგანიშნებდეთ, მიეცით არაჩვევანის შესაძლებლობა თუნდაც ეს ისეთი მარტივი, უბრალო რამ იყოს, როგორც მისი მიერ არჩევანის გაკეთება წვენი და წყლის დაღვევას შორის. არჩევანი შეთავაზებით ჩვენ ვასწავლით მას კომუნიკაციის პროცესს, ვზრდით მის თვითკმაყოფილებასა და თვითპატივისცემას. ყოველთვის ელაპარაკეთ ბავშვს იმის და მიუხედავად, თუ რას ფიქრობთ: გაიგებენ თუ არა თქვენს საუბარს, უთხარით მას რას აკეთებთ ან სად მიგყავთ ის. გასათვალისწინებელია, რომ პროგრესი შეიძლება სწრაფად არიქნეს მიღწეული, მაგრამ ნუდანებდებით, შეაქეთ ბავშვინების მიერ საქნიელისათვის და ყველა ძალისხმევისათვის, რომელსაც ის გამოიჩენს, გქონდეთ დადებითი და რეალისტური მოლოდინი, ფოკუსირება მოახდინეთ კომუნიკაციის იმ საშუალებებზე, რომელსაც ბავშვი იყენებს. არსებობს კომუნიკაციის ალტერნატიული სისტემები: კომუნიკაციის სისტემა

აქვს მრავალი სურათი, რომელიც სიტყვებისა და ქმედებების სიმბოლური გამოხატულებაა. ეს სურათები შესაძლოა მოთავსდეს დაფაზე ან მცირე წიგნში, რომლის ტარებაც მოსახერხებელი იქნება. ამ სისტემის გამოსაყენებლად საჭიროა ბავშვს ასწავლო თუ რა სიტყვებს გამოხატავენ ეს სურათები სიმბოლურად. მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა სჭირდება იმ ბავშვებს, რომელთაც მეტყველების სიძნელეები აქვთ ან საერთოდ ვერ მეტყველებენ. მნიშვნელოვანია გამოყენებული იქნას ვერბალური ენა სურათებთან ერთად, თუნდაც ბავშვს არ შეეძლოს მეტყველება. ამით ისინი შეძლებენ გაიგონ და აღიქვან ენა. საორიენტაციო საგნები ყველაზე მნიშვნელოვანია იმ ადამიანებისათვის, რომელთაც შეგრძნების თანდაყოლილი ნაკლი აქვთ. ამ მცირე რეკომენდაციებიდანაც ნათლად ჩანს, რაოდენ რთული და ამასთანავე საჭიროა უნარშეზღუდულ ბავშვებთან მუშაობის უნარჩვევებზე დაუფლება. როგორც სპეციალურად ამ მიმართულებით მომუშავე პედაგოგებისათვის, ასევე ჩვეულებრივ კლასებში მომუშავე პედაგოგებისათვისაც, რათა ისინი მზად იყვნენ იმ ბავშვებთან საქმიანობისთვისაც, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ ისწავლონ ჯანმრთელ ბავშვებთან ერთად, რისი უფლებაც მათ აქვთ. განსაკუთრებით ყურადსაღებია შშმ გამო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ბავშვები. აქ ძირითადად 2 მიმართულება განიხილება ა) შშმ ბავშვი და მისდამი დამოკიდებულება, ბ) ბავშვის აზრი, გრძნობა და განცდა მას შემდეგ, რაც გაიგო თავისი მდგომარეობის შესახებ. კლასის დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლისათვის შემუშავდა პროგრამა მოსწავლეებთან სამუშაოდ. პროგრამის საკითხებია: 1. პრობლემის გამოვლენა. 2. ნდობის მოპოვება. 3. სიტუაციური ანალიზი. 4. თანამშრომლობის გზები და საშუალებები. 5. სიბრალული და თანადგომა. 6. მადლი. 7. თავისუფალ თემაზე წერა. 8. განსჯა თუ განკითხვა. 9. მეგობარი, რომ იყო უნდა შეგეძლოს: ბევრი რამის დავიწყება, ბევრი რამის მოთმენა, ბევრი რამის პატიება. მიზანი მიიღწევა მაშინ, როცა არის ერთობლივი ჩართულობა-მოსწავლეები, კლასის დამრიგებელი, მშობელი, ექიმი, საგნის მასწავლებელი, სოციალური მუშაკი, სკოლის ფსიქოლოგი.

სუიციდი და სუიციდის მცდელობა მოზარდებში

სუიციდი მოზარდებში გლობალური პრობლემაა. მოზარდთა თვითმკვლელობის პრობლემის ცენტრები შეიქმნა ჯერ კიდევ 1906 წელს ნიუ-ორკსა და ინგლისში. ეს ცენტრები უპირველესად შეიქმნა იმ ადამიანების დასახმარებლად ვისაც ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა ან ამის თაობაზე აკვავებული აზრები აწუხებდა. პირველი ცენტრი თვითმკვლელობის თავიდან ასაცილებლად შეიქმნა ვენაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1948 წელს. ლოსანჯელესში 1959 წელს, ბრიუსელში 1970 წელს. თანამედროვე პირობებში განვითარებული ქვეყნები მხარს უჭერენ თვითმკვლელობასთან ბრძოლის ცენტრების გაზრდის ტენდენციას. ქვეყნებში თვითმკვლელობის თავიდან ასაცილებლად პევენციული ღონისძიებები მიმდინარეობს ძირითადად იმ ადამიანებისათვის, რომლებიც იტანჯებიან დეპრესიით. 1978 წელს თვითმკვლელობის თავიდან აცილების პრობლემისათვის მიძღვნილმა საერთაშორისო სიმპოზიუმმა დასაბამი მისცა იაპონიაში თვითმკვლელობის ამცირებელი ასოციაციის შექმნას. ამ ასოციაციის მიზანი იყო საზოგადოების გამოფხიზდელა და ადამიანების დაფიქრება შემაშფოთებელ სიპტომებზე, მოეძებნათ მიდგომები თვითმკვლელობის მცდელობის პოტენციურ მოსურნეებთან, რათა დაერწმუნებინათ ისინი ცხოვრების მომავალში. თვითმკვლელობის მოწადინე მოზარდებისათვის დამახასიათებელი სიპტომები განსაკუთრებით ვლინდება ძლიერი დეპრესიის დროს. ასეთ შემთხვევაში მეგობარს, აღზრდელს, მშობელს დიდი როლის შესრულება შეუძლია, რათა უბედურება თავიდან იქნეს აცილებული განხილული და აღწერილია ისეთი შემთხვევებიც, როცა თვითმკვლელობა დაკავშირებულია პოლიტიკურ და სოციალურ პროცესთან. მაგალითად, ელიოზ ასინოფი აღწერს ორი მოზარდის სტორიას, რომლებმაც სცადეს თავი მოეკლათ ვიეტნამის ომის პროცესის ნიშნად. დიდი ადგილი ეთმობა ბავშვთა თვითმკვლელობასთან დაკავშირებით სუიციდის პრობლემას. მოზარდთა შორის თვითმკვლელობა იღებს თანამედროვე ეპიდემიის სახეს. იგისაზოგადოების ყველა

ფენას მოიცავს. თვითმკვლელობას არ შეიძლება რამე სპეციფიკური ჩარჩო მოეძებნოს. ყოველი მიზეზი თვითმკვლელობისა თავისებურია. ნებისმიერ ქვეყანაში მოზარდთა თვითმკვლელობა მეტია ვაჟებში, ვიდრე გოგონებში. განსაკუთრებით დიდია თვითმკვლელობა ცენტრალურ ევროპაში. მოზარდთა თვითმკვლელობის ყველაზე მაღალი დონე აღინიშნება შვეიცარიაში, ავსტრიაში, გერმანიაში, დაბალი მაჩვენებელია იტალიაში, ნიდერლანდებში, დიდ ბრიტანეთში, ისრაელში და ნორვეგიაში. საქართველოში საერთაშორისო მაჩვენებელი შედარებით დაბალი დონეა, მაგრამ შესამჩნევია მოზარდთა თვითმკვლელობის ფაქტი. ფრანგი ექიმი-დოქტორი ვირჟინი გრანზულანი სენტ-ლაუსიდან 1978 წელს აქვეყნებს თავისი გამოკვლევის შედეგებს. 1971-81 წლებამდე შეისწავლა 12-დან 22 წლამდე ასაკის იმ 265 პაციენტის მდგომარეობა, რომელიც გადარჩა თვითმკვლელობის შედეგად. კითხვები ჯგუფებად დაიყო: რეციდივი, საზოგადოებრივი-პროფესიული ადაპტაცია, ოჯახური ურთიერთობა, ფსიქოლოგიური მდგომარეობა. 5-დან მხოლოდ 15 დაუბრუნდა ნორმალურ მდგომარეობას, 31% ფსიქიკურ საავადმყოფოში მოხვდა. უმეტესობა ისევ უჩიოდა ამ პრობლემებს, რომლებიც სიცოცხლეს უმწარებდნენ. მკურნალობის შემდეგ თავისი თავისადმი რწმენა უძლიერდებოდათ. თვითმკვლელობაზე ფიქრი შეიძლება წარმოიშვას მოზარდის სახლიდან გაქცევის პერიოდში. მშობლის და მასწავლებლის დაკვირვებას, ბავშვის მოსმენას, გაგებას, მისი უცნაური ქცევის ახსნას, დიდი როლის შესრულება შეუძლია. ჯერ კიდევ მწვავე სოციალური ფაქტორი და მისგან თავის დაღწევის გზები საძებნია. სოციოლოგების შეხედულებების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით თვითმკვლელობა ხშირად პოლიციის მიერ ფიქსირდება როგორც „უბედური შემთხვევა“ ან უმაღლეს ოჯახს. თვითმკვლელობაზე მაშინ ლაპარაკობენ, როცა დატოვებულია წერილი ან ფაქტია გახმაურებული. ბევრი პედაგოგი კომპეტენტურია, რომ გაარჩიონ მოზარდის ჩვეულებრივი მდგომარეობა დეპრესიისაგან და დროულად დაეხმაროს მას, მაგრამ ეს პროცესი შეუმჩნეველი ხდება და სავალალო შედეგითაც მთავრდება. თვითმკვლელობის ირგვლივ სხვადასხვა აზრები და მითები გროვდება, ყველაზე ცნობილი აზრია, რომ თვითმკვლელობას ადრე ვერ შეამჩნევ. ეს არასწორია, თვითმკვლეელი თავის თავში ატარებს უბედურებასაც და იმედსაც, რომ ვინმე მას გაუგებს. ნათქვამიდან ჩნდება იდეა, რომ სასკოლო საქმიანობაში კლასის დამრიგებელის და სოციალური მუშაკის მიერ გამოყენებული იქნეს კურსი „სულიერი წონასწორობა“, რათა დაეხმარონ მოზარდს გამოამჟღავნოს წარუმატებლობა, იპოვოს ყველაზე სწორი კონტაქტი შინაგან სამყაროსთან, წარმართოს თავისი ბედი. დაკვირვება ცხადყოფს, რომ ხშირად მშობლებს არ სურს დაიჯერონ, რომ მათ შვილებს აქვთ სიძნელე, მითუმეტეს თუ მას ეუბნება მასწავლებელი. მშობელს არ სურს შეხედოს სიმართლეს თვალეზში, როცა რეალურად მას შეუძლია საქმის მოგვარება. ერთ-ერთი დონის დიებაა უზრუნველყოს ბავშვი სითბოთი და ჰარმონიულობით სახლში, მიაჩვიონ მოზარდი გუნდურ, კოლექტიურ საქმიანობას, რომ მან იგრძნოს თავი საჭიროდ, შექმნას მოზარდის ირგვლივ ნდობის ატმოსფერო. აუცილებელია, რომ მშობლებმა მოუსმინონ თავიანთ შვილებს. თვითმკვლელობის მცდელობა ამერიკის შეერთებულ შტატებში განიხილება, როგორც სამართლდარღვევა, თუმცა თვითმკვლელობის მცდელობისათვის არავინ დაუსჯიათ. რამდენიმე წელია საერთაშორისო პრესა ხშირად აქვეყნებს მასალებს ბავშვთა თვითმკვლელობის შესახებ. სამწუხაროდ პრობლემა პრობლემად რჩება. თვითმკვლელობა მოზარდთა შორის შეიძლება იყოს წინასწარ განზრახულიც და შემთხვევითიც. მოზარდთა თვითმკვლელობის ფაქტების ანალიზით შეიძლება დასახელდეს ზოგიერთი მიზეზი: მშობლელთა ფინანსური მდგომარეობა, სურვილებისა და რეალობის კონტრასტი, მშობლისა დამეზობლის გაუთავებელი ჩხუბი, დამცირება, შეყვარებულისაგან დაწუნება და სიყვარულის აკრძალვა, შეურაცხყოფა თანატოლისგან თვითდაურწმუნებლობა, თვითიდენტიფიკაცია, მომავლის შიში, უნდობლობა, წინააღმდეგობის გადალახვის უუნარობა, ძვირფასი ადამიანის ტრაგედია და ტრამვა. დეპრესიაში ჩავრდნილი ბავშვების რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე გვეგონა. ასეთ ბავშვებს საშუალება არ აქვთ ილაპარაკონ იმაზე, რაც მათ აღელვებთ. მათ შეუძლიათ თავისი მდგომარეობა აღიქვან მხოლოდ უარყოფით პირობებში, კარგავენ თავისი თავისადმი

პატივისცემას, თავი ყველაზე ცუდი და უუნარო ჰგონიათ. ფიქრობენ ვერასოდეს მიაღწევენ მიზანს. ფიქრი თვითმკვლელობაზე - ეს არის წარმოდგენის შედეგი, მხოლოდ სურვილი მართლა შესარულოს იგი-ეს ავადმყოფობაა. საზღვარი პირველ და მეორე შემთხვევას შორის ძალიან პირობითია. თანამედროვე პირობებში მასიური და მოძრავი თამაშების ნაცვლად დაკავებული არიან კომპიუტერით, ინფორმაციით, ტელევიზორით. მათ გარშემო იმატა უარყოფითმა მოვლენებმა-ნარკომანია, ძალადობამ, გაჭირვებამ. ბავშვები ჩაიკეტნენ თავის თავში. წარმოდგენაც არ აქვთ რისთვის გაჩნდნენ, რა არის მათი მომავალი. მშობლები ჩივიან, რომ მათი შვილი სევდიანია, მუდამ წყნარადაა. ბავშვებმა არ იციან რა ქნან, რა გააკეთონ, მათთვის უცხოა სიყვარულის გრძნობა, ყველაფერში დამამცირებელ გულგრილობას ხედავენ, დაკარგული აქვთ ყველაფრისადმი სურვილი და ინტერესი, ან ეჩვენებთ, რომ სურვილს ვერასოდეს შეისრულებენ. ადამიანს დაბადებისთანვე ვინმე უნდა ჰყავდეს გვერდით. თუ ჩვილობაში ეს აუცილებელია ფიზიკური გადარჩენისათვის, მოზარდებში იზრდება სულიერი გადარჩენის ფაქტორი. მოზარდს სჭირდება ვიღაც უგებდეს, უსმენდეს, ვიღაცას სჯეროდეს მისი. მოზარდს სჭირდება მსმენელი, რომელიც არ გათქვამს მის ნაამბობს. ხშირად მშობლებსა და მასწავლებლებს ჰგონიათ, თუ ბავშვს დაელაპარაკებიან სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებზე, თვითმკვლელობაზე, ეს უარყოფით გავლენას იქონიებს და უბიძგებს მოზარდს თვითმკვლელობისაკენ. ეს ასე არ არის. გულჩათხრობილ და თავის თავში ჩაკეტილ ბავშვებს სჭირდება საუბრით გახსნა, ფსიქოლოგის კონსულტაციები. ერთ-ერთ მოზარდზე დაკვირვებისას დასმული იქნა კითხვა: “შენ სიკვდილზე ფიქრობ?” ის პასუხობს: „მე მხოლოდ ამაზე ვფიქრობ“. „აბა რა გიშლის ხელს, რომ მოკვდე?“ მოზარდის პასუხი: „მე მეშინია“. „რისი გეშინია?“ „მეშინია იმის, რა იქნება სიკვდილის შემდეგ“. „შენ რა გგონია, რა იქნება?“ - იწყება გულახდილი საუბარი წარმოდგენებზე, კინოში ნანახზე, რეალურზე, ლიტერატურულ პერსონაჟზე და მოზარდი „გაიხსნა“. გარკვეული დროის შემდეგ იმავე კითხვაზე მოზარდი პასუხობს: „გგონია, სიკვდილი გამოსავალი არ არის,, დადაგა დრო, რომ საზოგადოებამ მთელი სერიოზულობით გააცნობიეროს მოზარდთ თვითმკვლელობის პრობლემა და მისი აცილების ღონისძიებებში ჩაერთოს სკოლა, ოჯახი, საზოგადოება.

ძალადობა ბავშვის მიმართ

სახელმწიფო ვალდებულია ბავშვი დაიცვას მშობლების, კანონიერი მეურვეებისა და ბავშვზე მზრუნველი სხვა პირის მხრიდან ნებისმიერი სახის ძალადობისა და უხეში მოქცევისაგან და შექმნას შესაბამის სოციალური პროგრამები ძალადობის აღკვეთისა და დაზარალებულთა მკურნალობის მიზნით. ძალადობა ვლინდება სხვადასხვაგვარად, განვიხილოთ ძალადობის ზოგიერთი ფორმა: ფიზიკური ძალადობა ბავშვებში იწვევს შიშს, რომელიც ვლინდება უფროსებთან ან თანატოლებთან კონტაქტისას. აღენიშნება ქცევითი დარღვევები, ბავშვი შეშინებულია მაშინაც კი, როდესაც სხვას სჯიან ცდილობს გაექცეს იმ გარემოს, სადაც ფიზიკურ ძალადობას განიცდის, გაურბის ოჯახსაც. არც თუ იშვიათია ვერბალური ძალადობა, ანუ პიროვნების ქცევა, რომლის მიზანია აკონტროლოს, მართოს ბავშვის მოქმედებები. ვერბალური ძალადობის ფორმებია: უხეში სიტყვები, უხეში ტონით მიმართვა, შეკითხვების უპასუხოდ დატოვება, დამცირება, ისეთი საქციელის დაბრალება, რომელიც არ ჩაუდენია და სხვა. ცუდ გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე პრესისი, ტელევიზია, კინოს, კომპიუტერული თამაშების ის სახეობები, რომლებშიც უხვად არის წარმოდგენილი ძალადობის სცენები. ყოველივე ამან შეიძლება გამოიწვიოს მოძალადედ ჩამოყალიბება ან კიდევ პირიქით, ბავშვში ჩამოყალიბდეს ცხოვრებისა და ადამიანების შიში, რომელიც მას შემდგომ ძალიან გაურთულებს ცხოვრებას. ემოციური ძალადობის ერთ-ერთი ფორმა მოზრდილების, მშობლების, ახლობლების ჩუბი ბავშვის თანდასწრებით, მუდმივად დასჯის შიშის ქვეშ ყოფნადაა შ. ემოციური ძალადობის მაჩვენებელია დარღვევა მეტყველებაში, უხასიათობა, სახლიდან გაქცევა, თვითმკვლელობის მცდელობა და ა.შ. სექსუალური ძალადობის ფორმებია: ეროტიკული ერფერია ალერსი, სექსუალური მეტყველება, პორნოგრაფიული სურათების გადაღება ან ჩვენება, გაუპატიურება.

სექსუალური შეურაცხყოფა - მშობლებზე დამოკიდებული უმწიფარი ბავშვებისა და მოზრდილების ჩაბმა სექსუალურ მოქმედებაში, რომელთა აზრის გაგება მათ სრულიად არ შეუძლიათ, არც ინფორმირებული თანხმობის მიცემის უნარი არ გააჩნიათ. მოძალადე შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი, ოჯახის წევრი თუ თანატოლი, რომელიც თავისი სიტყვიერი, ფიზიკური თუ სექსუალური ზემოქმედებით ზიანს აყენებს ბავშვის სხეულს ან ფსიქიკურ მდგომარეობას.

ძალადობაგანცდილი ბავშვები ხშირად თვითონ მიგვანიშნებენ მათ თავზე დატეხილ უსიამოვნებას. დაკვირვებით ცნობილი გახდა ზოგიერთი მინიშნება:

ა) ფიზიკური ნიშნები: სხეულზე დაღურჯებული ადგილები, ზომაზე მეტი სიგამხდრე, მოუწესრიგებელი გარეგნობა, პირად ჰიგიენაზე ზრუნვის ნაკლებობა.

ბ) ქცევა: თავის თავში ჩაკეტილობა, აგრესიულობა, ნერვიულობა, შიშები.

გ) არაპირდაპირი საუბარი, მაგალითად: ყვებიან რაც გადახდათ მათ „მეგობარს“ ,რათ პედაგოგის რეაქცია შეამოწმონ.

დ) პირდაპირი საუბარი -ამბობენ თავისი სიტყვებით, რომ ვიღაცამ გაუკეთა ის, რაც არ მოეწონათ.

სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ბავშვი სექსუალური ძალადობისაგან. იმ ბავშვებთან მუშაობა, რომელთაც განიცადეს სექსუალური ძალადობა, რთულია, მოითხოვს გარკვეული პროცედურებს, გარკვეულობას და ა.შ. ამ მიმართებით მრავალ ნაშრომთაგან საყურადღებოდ მიგვაჩნია ჰელენ კენვორდის შეხედულებები, რომელიც გამოქვეყნდა სტატიაში „შეურაცხყოფის შემდეგ“. ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის ამბის მძიმე ემოციურ მდგომარეობაში აგდებს მშობელს, პედაგოგს, სოციალურ მუშაკს. ამ დროს საჭიროა საკუთრი ემოციების მოთოკვა და გათვალისწინება იმისა, რომ ბავშვს არ სჭირდება მისი ამბით შემრწუნებული კლასის ხელმძღვანელი ან სოციალური მუშაკი. მას უნდა, რომ უფროსებმა შეძლონ მისი განცდების, გრძნობების მოსმენა და გაგება. გასათვალისწინებელია, რომ ზოგჯერ მსგავსი შემთხვევის დროს საქმეში ჩართულია ჯანდაცვა, პოლიცია და სხვა. ბავშვისათვის სასარგებლოა, როცა მასწავლებელი, უბნის რწმუნებული, სოციალური მუშაკი, პედიატრი ერთმანეთთან შეთანხმებულად საუბრობენ თავინთი კუთხით სიმწიფეზე და მიიღებენ გადაწყვეტილებას. როდესაც ჩნდება ტერმინი „სექსუალური შეურაცხყოფა“, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბავშვი რჩება ბავშვად და მასთან ურთიერთობა საჭიროებს პედაგოგიურ ტაქტს და ნდობას. ბავშვის ნდობის მოპოვებას გარკვეული დრო სჭირდება, მის წინაშე დგას ამოცანა: ქცევის შეცვლანორმალური ასაკისათვის შესაფერისი ქცევით, ბავშვის დარწმუნება დაკარგული ბავშვობის დაბრუნების აუცილებლობაში, შიშისგან თავის დაღწევა გულახდილობა უკეთსად გახდობის მიზანი. სექსუალური ძალადობა გადატანილი ბავშვი ერთგვარ ავადმყოფს ემსგავსება, რომელსაც გამოჯანმრთელება სჭირდება. მათ უნდა შევადლებინოთ შეაფასონ მათი მდგომარეობა, როგორც დასავიწყებელი და შეძლონ სამომავლოდ სწორი არჩევანის გაკეთება. შევქმნათ მათ ირგვლივ უსაფრთხო გარემო. ბავშვთა მიმართ ძალადობა მსოფლიოს გლობალური პრობლემაა. იგი მეტნაკლებად, მაგრამ მაინც პოულობს ასახვას საქართველოშიც. ბავშვებს სჭირდებათ დახმარება, რათა არ გახდნენ ძალადობის მსხვერპლი, ამასთან გავრცელებული ჰქონდეთ პრობლემის მთელი სიმწვავე და თავად შეძლონ სხვისდამი დახმარება.

გამოყენებული ლიტერატურა :

ციალა მეგრელაძე, ხათუნა მახარაშვილი, გენადი გელაძე „სოციალური პედაგოგიკა“.

ქეთევან ძოწენიძე, ნინო გელენიძე „სოციალური პედაგოგიკა,, სალექციო კურსი I და II ნაწილი

General problems of children's social security

Abstract

The aim of the education of the democratic community is to create conditions for self-expression and self-development for each child. The present and future of the child was always a concern for the healthy community. It is especially relevant for modern times. Community can contribute to the development of a child and adolescent, education, and personal development. A lot of things are changing, changes are the main character of our era. They are continuously going on at every stage of life. Humans as a harmonious ones are formed by the social, historical and cultural influence of the society in which he lives.

საკვანძო სიტყვები: სოციალური დაცვა, საზოგადოება, ისტორიული და კულტურული გავლენა, თვითგანვითარება, თვითგამოხატვა

Keywords: social security, community, historical and cultural influence, self-development, self-expression

შორენა წიგნაძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

დადებითი ემოციის გამომხატველ სინონიმთა სტრუქტურულ- სემანტიკური მახასიათებლები (ქართული და ინგლისური ენების მიხედვით)

ემოცია ზოგად ადამიანური უნივერსალია, მაგრამ ყველა ენას აქვს, როგორც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებები, ისე - უნივერსალური, ყველა ენისთვის ნიშნადობლივი ნიშნები, უნივერსალიები.

თითოეული ენა ინდივიდუალური სამყაროა. როგორც დიდი გერმანელი მოაზროვნე ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი მიიჩნევს, ყოველ ენს თავისი ენობრივი მსოფლხედვა გააჩნია. თითოეული ადამიანის მსოფლხედვა დამოკიდებულია იმ ენაზე, რომელსაც ფლობს. სხვადასხვა ენა სხვადასხვა მსოფლხედვას ნიშნავს (Humboldt 1996: 64). ერების თავისებურება და ისტორია ენაში აისახება, კერძოდ, ენის ლექსიკაში (Humboldt 1996: 67). ამის გამო ემოციების მეცნიერული ანალიზი ეროვნული ხასიათის თავისებურებების, ეროვნული კულტურის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. ემოციური მდგომარეობის აღწერა ემოციის გამომხატველი ლექსიკის გვერდით, წარმოადგენს ემოციური საშუალებების გამოხატვის ლექსიკურ სისტემას. შესაბამისად, ემოციების გამოხატვის ლექსიკური სისტემა, შესაძლოა ორგვარი იყოს: ემოციური ლექსიკა და ემოციების ლექსიკა. ემოციის ლექსიკა მოიცავს სიტყვებს, რომელთა საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობა ემოციათა ცნებებს შეადგენს. ემოციური ლექსიკა გამოხატავს მთქმელის ემოციებს და მას ემოციური შეფერილობის სიტყვები მიეკუთვნება.

ემოცია, შესაძლებელია, გამოხატული იყოს როგორც შინაგანად, ისე - გარეგნულად. ემოციები, რომელთა გამოცნობა შესაძლებელია, როგორც გარეგნულად, ისე შინაგანად, იწოდება საბაზისოდ, ძირითად ემოციებად (ჯემსი 1993, 87; იზარდი 1999, 54; ვეჟბიკაია 2001, 16). არსებობს ემოციათა რამდენიმე კლასიფიკაცია, რომელთა შორის ყველაზე მოკლე სამი, ხოლო ყველაზე - გრძელი თერთმეტი ემოციისაგან შედგება. ემოციათა კლასიფიკაციების უმეტესობა მოიცავს ხუთიდან ცხრა ემოციას.

ტერმინი „ემოციური გამოხატვა“ პირველმა ჩარლზ დარვინმა გამოიყენა (Darwin, 1872 / 1965, 366). მას მიაჩნდა, რომ „ემოცია არის ბოლო წერტილი, რომელიც გამოიხატება სხეულის

მიერ განცდის შემდეგ“. აღსანიშნავია, რომ ემოციური ელემენტები ენაში ადამიანის ემოციების გამოხატვას ემსახურება, ხოლო ექსპრესიული საშუალებები - როგორც ემოციების, ისე ნებისა და აზრის გამოხატვის გაძლიერებას (ლომია. 2012). „ექსპრესიულობა, როგორც ენობრივი ერთეულის ერთ-ერთი თვისება განიხილება როგორც ენის სემანტიკურ-სტილისტურ ნიშანთა ერთობლიობა, რომელსაც უნარი აქვს კომუნიკაციურ აქტში გამოხატოს მოსაუბრის სუბიექტური დამოკიდებულება მეტყველების აქტის ან მისი ადრესატის მიმართ“ (დიდი ენათმეცნიერული ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1998, 591).

მეტად საინტერესოა სხვადასხვა სისტემის ენებში არსებული დადებითი ემოციის გამომხატველი სინონიმური იდიომური გამოთქმების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებების გამოვლენა და შესაძლო პარალელების გავლება, მათ შორის იზომორფიზმებისა და ალომორფიზმების დადგენა.

კვლევის მასალად შევარჩიეთ ქართულ სინონიმთა ლექსიკონში წარმოდგენილი დადებითი ემოციის გამომხატველი სინონიმები, სინონიმთა ბუდეში არსებული იდიომატური გამოთქმები და მათი შესაბამისი ინგლისური შესატყვისები. იდიომები შევისწავლეთ, როგორც სემანტიკური შესაძლებლობა, რომლითაც ხდება დადებითი ემოციის გამომხატველი სიტყვების სინონიმური ჩანაცვლება. სინონიმურ ბუდეში წარმოდგენილი იდიომური გამოთქმების საშუალებით ხდება ექსპრესიულობის გამოვლენა, რომელიც აღმავალი გრადაციით ხასიათდება.

ემოციათა შერჩევა განვახორციელეთ შემდეგი ჯგუფების მიხედვით: შინაგანი ემოციური განცდები, ემოციური რეაქციები, რომელიც გულიხმობს მიმიკის, ქესტების, სხეულის მოძრაობის, პოზის, ფონაციის და ასევე ფსიქოფიზიოლოგიური სიმპტომების ენობრივ გამოხატულებას. განვიხილეთ: გრძნობა, რომელსაც იწვევს სასიამოვნო რამ; სიამოვნების კმაყოფილების განცდა; ბედნიერება; ბედნიერი, მხიარული, გახარებული; ვინც/რაც სიხარულს იწვევს; შექება; დალოცვა; მოფერება...

ემოციათა აღმნიშვნელი ზოგიერთი სიტყვა თვითონ გამოხატავს ემოციებს, ხოლო ზოგი აღწერს მას (კოვეშჩიკი. 2003). შევისწავლეთ დადებითი ემოციის/გრძნობის გამომხატველი ისეთი სინონიმური ლექსიკა, რომელიც არა მარტო გამოხატავს ემოციას, არამედ აღწერს/გვიჩვენებს/მიგვანიშნებს სუბიექტის ემოციურ მდგომარეობაზე. ესენია: სიხარული /ბედნიერება / გახარება/ აღტაცება /სილამაზე /სიყვარული / მოწონება/ მოფერება / ალერსი/ დალოცვა.

გამოიკვეთა შემდეგი სინონიმური ბუდეები:

სიხარული: გაუხარდება/ გაეხარდება/ გაიხარებს/ ცას დაეწევა (სიხარულით)/ გული უმხიარულებს/ გული უხალისდება;/ უხარია/ სიხარულით ფეხზე აღარ (ვედარ) დგას/ სიხარულით ცას(ა) სწვდება.

აღტაცება: აღტაცება, აღფრთოვანება, აღმაფრენა, ფრთების გამოსხმა.

ბედნიერება: ბედიანი, ბედნიერი, სვებედნიერი, იღბლიანი, ბედკეთილი, ბედის ნებიერი, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, ბედნიერ ფეხზე ამდგარი. ბედი აქვს, ბედი სწყალობს, ბედი გაეხსნება, ბედი გაუღიმებს.

მოფერება/ალერსი: გენაცვალე, გენაცვა, გეთაყა, გეთაყვანე, თავს შემოგეველე, (შენ) შემოგეველე, (შენი) ჭირიმე, შენი კვნესამე. მოფერება/მოუალერსებს/თავზე ხელს გადაუსვამს; მოსიყვარულე/მოსიყვარულე გულის პატრონი; My Honey! (ჩემო ტკბილო!); My love! (ჩემო სიყვარულო!); My dear! (ჩემო ძვირფასო!); My sweet! (ჩემო ტკბილო!) My precious! (ჩემო კარგო).

დალოცვა: იდღეგრძელოს!/იდღეგრძელობა ჰქონდეს!/იდღეგრძელი იყოს!/დიდი დღე მისცეს!/ იცოცხლეთ!/ იდღეგრძელე(თ)!/ ღმერთმა მიცოცხლოს შენი (თქვენი) თავი/ დამირჩა შენი (თქვენი) თავი!

სიყვარული/მოწონება/მოხიბვლა: უყვარს/მზე და მთვარე (მასზე) ამოსდის, გულზე ახატია/ გულში უზის/გული მისწევს/გული შუვარდა/კარგი თვალთ ყურება/თვალის წარტაცება; გულის წაღება.

შექება: შეაქებს/ ხოტბას შეასხამს/ ქება-დიდებას შესძღვნის/ ცამდე აყვანა/ცამდე აწევა.

ინგლისურ ენაში დადასტურდა ქართულის შესატყვისი შემდეგი სინონიმური იდიომები:

სიხარული: *gladden smb's heart* – გულის გახარება, *jump out of one's skin* – სიხარულისაგან ფეხზე არა დგას, *can't believe one's eyes* – თვალებს ვერ ვუჯერებ;

აღტაცება: *have got one's head in the clouds* – თავით ღრუბლებში დაფრინავს.

ბედნიერება: *lose one's own mind on smb. smth.* – ჭკუა მეკეტება, *to turn one's head* – თავბრუს დახვევა.

მოფერება/ალერსი: *to fold in arms* – გულში ჩაკვრა, *to fold to one's breast* – გულში ჩაკვრა, გულში ჩახუტება, *give one's heart to smb.* – გულის მიცემა, ჩხუტება, *to make smb's blood turn* – სისხლის აჩქროლება, *My Honey!* (ჩემო ტკბილო!); *My love!* (ჩემო სიყვარულო!); *My dear!* (ჩემო ძვირფასო!); *My sweet!* (ჩემო ტკბილო!) *my precious!* (ჩემო კარგო).

დალოცვა: *give one's blessing (to); God bless you! God help you!*

სიყვარული/მოწონება/მოხიბვლა: *move smb's heart* – გულის აძგერება, *touch smb's heart* – გული აუტოკა, გული აუყუჩა, *obtain smb's heart* – ვინმეს გულის დაპყრობა, *keep an eye on smth. or smb.* – თვალი გეჭიროს ვინმეზე ან რამეზე, *have got one's eye on smb. or smth.* – თვალი დაადგა (ვინმეს; რამეს), *dear to smb's heart* – ვინმეს გულის ვარდი, *give smb. a glad eye* – კარგი თვალით უყურებს, *win one's heart* – ვისიმე გულის მოგება, *open one's heart* – გულის კარების გაღება, გულის გადაშლა, *burn one's ears* – ყურებამდე გაწითლდა, *head over heels in love with* – თავდავიწყებით შეყვარება, *can hardly take one's eyes off smb: smth.* – თვალის ვერ მოწყვეტა, თვალის ვერ მოშორება. *to have get smb. in one's bones* – ჭკუას კარგავს მისთვის, *lose one's heart to smb.* – გული მისდის ვინმეზე.

შექება: *have a heart of gold* – ოქროს გული აქვს.


easy on the eyes – მწყალობელი თვალთ შეხედვა; წყალობის თვალთ **გადმოხედვა**, *pluck up one's heart* – გულის გაკეთება, *to take smth to heart* – გულთან მიტანა.

სინონიმები, ჩვეულებრივ, სინონიმურ მწკრივში ჯგუფდება. სინონიმთა მწკრივები წარმოადგენს სიტყვებისა და გამოთქმების ისტორიულად ჩამოყალიბებულ დაჯგუფებას, რომელიც სისტემურობით ხასიათდება. სინონიმურ მწკრივში შეიძლება ჩაერთოს ფრაზეოლოგიზმები.

სინონიმურ ბუდეში წარმოდგენილი იდიომებით გადმოცემულია ადამიანის გრძნობა, ემოცია, განწყობა, მოწონება, მოხიბვლა, სიყვარული, განცდა.


ჩვენს მიერ შესწავლილი იდიომები აღწერენ ადამიანის მრავალფეროვან გრძნობებს, ფსიქიკურ მდგომარეობებს, აზრებს, ქცევას. მათ სემანტიკაში დევს ადამიანის სულიერ მდგომარეობაზე მინიშნება, მისი გრძნობების, განზრახვათა, განცდების პროვოცირების გზით მათ გარეგნულ გამოვლინებებზე. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამ იდიომთა უმეტესობა

შეიცავს ადამიანის სხეულის სახელწოდებებს, რომელიც არსებითი სახელით არის გადმოცემული. ესენია: **თავი, გული, თვალი, ხელი, ფეხი, პირი.**



ქართული და ინგლისური ენების იდიომათა კომპონენტების შედარებამ გვაჩვენა, რომ იდიომთა შორის ყველაზე დიდი ოდენობით სომატური იდიომები დასტურდება. განვიხილეთ ქართულში 30, ხოლო ინგლისურში – 26 იდიომა, რომელთაგან 667

ქართულში 18, ინგლისურში კი - 17 სომატური სახელების შემცველია. შესწავლილი იდიომებიდან უმეტესობა დაკავშირებულია ისეთ სომატურ ერთეულებთან, როგორიცაა გული და თვალი. სომატური სინონიმური იდიომების კომპონენტთა კვლევისას მივიღეთ შემდეგი საინტერესო მონაცემები.



სომატური კომპონენტების შემცველი სინონიმური იდიომების გარდა, დადებითი ემოციის გამოსახატად გვხვდება ციური სხეულების აღმნიშვნელი სახელები: **მზე, მთვარე, ცა, ღრუბელი, ვარსკვლავები**. მზე და მთვარე (მასზე) ამოსდის, სიხარულით ცას(ა) სწვდება, ცას დაეწევა (სიხარულით), ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, have got one's head in the clouds – თავით ღრუბლებში დაფრინავს.

სიხარული არის ერთ-ერთი ძირითადი დადებითი ემოცია, იგი სასიამოვნო განცდათა ემოციაა. სიხარული არის სასიამოვნო, სასურველი, სასარგებლო, პოზიტიური გრძნობა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ფსიქოლოგიური კომფორტისა და კეთილდღეობის გრძნობა (იზარდი, 2000) იზარდი მიიჩნევს, რომ სიხარულს თან ახლავს ენერგიისა და სიძლიერის შეგრძნება. სიხარულის ექსტაზის მდგომარეობაში ადამიანი გრძნობს სიმსუბუქეს, ენერგიულობას, უჩნდება ფრენის სურვილი (იზარდი, 1999). სწორედ სიხარულის მდგომარეობას გამოხატავს ფრაზა: She is in the seventh heaven, რაც ქართულ გამოთქმას გვაგონებს: „სიხარულით მეცხრე ცაზეა“. ზოგი მეცნიერი სიყვარულს, სიამოვნებას, აღტაცებას, ბედნიერებას და კმაყოფილებას სიხარულის ეკვივალენტებად მიიჩნევს.

გული/heart – ორივე ენაში გრძნობების, ემოციების და განწყობის სიმბოლოა. გულთან არის დაკავშირებული მოწონება, მოხიზვლა (to win one's heart (ვისიმე გულის მოგება); To obtain smb's heart ვინმეს გულის დაპყრობა; to lose one's heart to smb/to give one's heart to smb.- ვისიმე შეყვარება; სიყვარული (to open one's heart – (გული გაუხსნა, გული გადაუშალა). „სიყვარული რთული ფსიქიკური მდგომარეობაა. მისთვის დამახასიათებელია: გრძნობების, აზრებისა და მოქმედების აკვიატებული კონცენტრირება სიყვარულის ობიექტზე... 2. ეიფორიული ან ამაღლებული გუნება – განწყობილება“ (იმედაძე 2007;223).

ქართულ და ინგლისურ იდიომებში გულს, გამოყენების სიხშირით, მოსდევს eye(s) – თვალი/თვალები. თვალები ადამიანის სხეულის მნიშვნელოვანი ორგანოა - სამყაროს შესახებ ინფორმაციის დიდ ნაწილს ადამიანი თვალების, მხედველობის წყალობით იღებს, თვალების მეშვეობით ხდება ადამიანის მიერ მოვლენების შეიმეცნობა. თვალები აგრეთვე ემოციისა და გრძნობის გამომხატველი მნიშვნელოვანი ორგანოა, ამიტომ ეს კომპონენტი გვხვდება საკმაოდ დიდი რაოდენობის იდიომურ ერთეულებში, რომლებიც ადამიანის ემოციურ მდგომარეობას, მასში მომხდარ ცვლილებებს ასახავენ. თვალთან ძირითადად დაკავშირებულია სიხარულისა და სიყვარულის გამომხატველი იდიომები. სიხარული ადამიანზე დადებით ზეგავლენას ახდენს. როცა პიროვნება გახარებულია იგი გარეგნულად გამოხატავს ამ ემოციას. მაგალითად: ვიღიმით, გულის ფეთქვა გვიძლიერდება, თვალები გვიბრწყინავს, ანუ ეს გამოხატულება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ამჟღავნებს ადამიანის შინაგან მდგომარეობას.

ფეხი/foot - ქართულ ენაში ქვედა კიდურის აღმნიშვნელი ძირითადი სიტყვაა, სიტყვა 'ფეხი' სიმბოლურად აღნიშნავს მოძრაობას, სიჩქარეს. სომატიზმები გამოხატავენ სიმტკიცის

ან მერყეობის მნიშვნელობას (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით). ფეხი - ძირითადად დაკავშირებულია ისეთ ემოციასთან, როგორიცაა სიხარული: სიხარულისაგან ფეხზე არა დგას.

ინგლისური და ქართული ენების იდიომების შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივე ენაში მსგავსი ემოცია უმრავლეს შემთხვევაში ერთი და იგივე კომპონენტით არის გადმოცემული. მაგ: **To have get smb. in one's bones** - ჭკუას კარგავს მისთვის; **Lose one's head** - თავგზის აზნევა, თავის დკარგვა; **Have the heart** - გული შეუვარდა ვინმეზე; **Gain smb's heart** - ვინმეს გულის მოპოვება; **Obtain smb' heart** - ვინმეს გულის დაპყრობა; **Dear to smb' heart** - ვინმეს გულის ვარდი; **Lose one's own mind on smb.** - ჭკუა მეკეტება; **Enter smb's mind** - გონების არევა; **To make one's blood turn** - სისხლის აჩქროლება; **Move smb's hear** - გულის ამგერება; **Touch smb's heart** - გული აუტოკა; **Gladden smb's heart** - გულის გახარება; **Jump out of one's skin** - სიხარულისაგან ფეხზე არა დგას...

სამეცნიერო ლიტერატურაში განმტკიცებულია თვალსაზრისი, რომ სხვადასხვა ენა სხვადასხვანაირად ანაწევრებს აზროვნებას. ენა სხვადასხვანაირად აღნიშნავს, ანაწილებს და აერთიანებს საგანთა სინამდვილეს. ყოველი ენა წარმოადგენს საგანთა თავისებურ აღქმას. ენის უნივერსალური მოდელი განსხვავებული ვარიანტების სახით რეალიზდება ამა თუ იმ ენაში (რუსაძე. 2010). ამას ადასტურებს შემდეგი სომატური იდიომების არსებობა ინგლისურ და ქართულ ენებში. მაგალითად: **to have heart set on something** - თვალი დავადგი (რაიმეს, ვინმეს). ამ მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ ერთი და იმავე საგანს, ინგლისურ და ქართულ ენაზე მოაზროვნე ადამიანები განსხვავებული სომატური კომპონენტით გადმოსცემენ. ინგლისელები იყენებენ სომატიზმს - გული, ხოლო ქართველები - თვალი. თუმცა ამ კომპონენტებს საერთო სემანტიკა აქვთ. ასევეა შემდეგ მაგალითებშიც: **to fold in arms** - გულში ჩაკვრა, **to have get smb. in one's bones** - ჭკუას კარგავს მისთვის, **jump out of one's skin** - სიხარულისაგან ფეხზე არა დგას.

ამიტომ ენათა შორის მსგავსებებიც ბევრია და განსხვავებებიც. შეიძლება ვთქვათ, რომ ენა უნივერსალურია, მაგრამ სხვადასხვაგვარი სტრუქტურული სისტემებით წარმოგვიდგება სხვადასხვა ერში.

ქართული და ინგლისური ენების სინონიმური იდიომები კომპონენტთა შედგენილობის მიხედვით შეიძლება იყოს: ორ, სამ, ოთხ, ხუთ, ექვს და შვიდ კომპონენტიანი. გამოიყოფა იდიომური გამოთქმების ორი ტიპი: სახელური (NP) და ზმნური (VP). იდიომთა კომპონენტების კვლევა შესაძლებელია სიტყვა-ფორმისა და შესიტყვება-ფორმის შესწავლის გზით. პირველი გულისხმობს ნებისმიერი სახის იდიომური გამოთქმის კომპონენტთა შიდაქმედებისა და ურთიერთმიმართების კვლევას, ხოლო მეორე - იდიომური კონსტრუქციების ქმედებას წინადადებაში. ჩვენ იდიომებს შევისწავლით როგორც სიტყვა-ფორმას, რაც გულისხმობს სახელური თუ ზმნური იდიომური გამოთქმების შესწავლას შესიტყვებაში შემავალი ერთეულების გრამატიკული კავშირებისა და შიდამიმართებების გათვალისწინებით.

ქართულ ენაში გამოიკვეთა სახელური და ზმნური სინონიმური იდიომური გამოთქმების შემდეგი მოდელები:

I. სახელურ სინონიმურ იდიომთა მოდელები

ა) ორკომპონენტიანი სინონიმური მოდელები

N+N - არსებითი სახელი + არსებითი სახელი (გულის ვარდი).

N+ADJ - არსებითი სახელი + ზედსართავი (გულის ტოლი; გულის სწორი; კალმით ნახატი).

PR+ADJ - ნაცვალსახელი + ზედსართავი სახელი (ჩემო ძვირფასო; ჩემო საყვარელო).

სინონიმური იდიომური გამოთქმების განხილვისას შეგვხვდა აგრეთვე სახელზმნის შემცველი იდიომები. მათი განხილვა მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ზმნურ იდიომურ გამოთქმებთან, რადგანაც სახელზმნათა სტრუქტურას ახასიათებს, როგორც სახელის, ასევე, ზმნის ზოგიერთი კატეგორია(შანიძე. 1953). სახელზმნის შემცველი იდიომური გამოთქმის წამყვან კომპონენტს წარმოადგენს სწორედ სახელზმნა. თავისი მნიშვნელობით სახელზმნიანი იდიომები პირიანი ზმნის შემცველი იდიომების ვარიანტებია.

II. ზმნურ სინონიმურ იდიომთა მოდელები

ა) ორკომპონენტიანი მოდელები:

N+V - არსებითი სახელი + ზმნა (სიცილით კლავს; ბედი აქვს; ბედი სწყალობს; ბედი გაეხსნა; ბედი გაუღიმებს; გული უმხიარულებს; გული უხალისდება; გულში უზის; გული მისწევს; თვალში მოსდის; თვალები უჩუქუნებს; თვალები უციმციმებს; თვალს დაიჭერს.. თვალს დაადგამს; თვალში მოუვა; თვალი დარჩება; ხოტბას შეასხამს; ქება-დიდებას შესძღვნის).

PR+V - ნაცვალსახელი + ზმნა (**შენი კვნესამე; შენ გენაცვალე; შენ შემოგველე**).

ბ) სამკომპონენტიანი მოდელები

ADJ+N+ADV/V - ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი + სახელზმნა/ზმნა (**ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული; ბედნიერ ვარსკვლავზე ამდგარი; დიდი დღე მისცეს**).

V+PRN+N - ზმნა + ნაცვალსახელი + არსებითი სახელი (**დამირჩა შენი თავი**).

N+ADV+N - არსებითი სახელი + სახელზმნა + არსებითი სახელი (**ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი**).

ADV+ N+N - სახელზმნა + არსებითი სახელი + არსებითი სახელი (**მოსიყვარულე გულის პატრონი**).

N+PTC+V - არსებითი სახელი + ნაწილაკი + ზმნა (თვალს ვეღარ მოაშორებს; თვალს ვეღარ მოსწყვეტს).

ADV+N+V - სახელზმნა + არსებითი სახელი + ზმნა (სიხარულით ცას(ა) სწვდება).

გ) ოთხკომპონენტიანი სინონიმური მოდელები

N+N+PRN+V - არსებითი სახელი + არსებითი სახელი + ნაცვალსახელი + ზმნა სტრუქტურის მქონე იდიომური გამოთქმები: მზე და მთავრე (მასზე) ამოსდის.

N+V+PRN+N - არსებითი სახელი + ზმნა + ნაცვალსახელი + არსებითი სახელი (ღმერთმა მიცოცხლოს შენი თავი).

ADV+N+PTC+V - სახელზმნა + არსებითი სახელი + ნაწილაკი + ზმნა (სიხარულით ფეხზე აღარ (ვეღარ) დგება).

ინგლისურ ენაში გამოიკვეთა სახელური და ზმნური სინონიმური იდიომური გამოთქმების შემდეგი მოდელები:

I. სახელურ სინონიმურ იდიომთა მოდელები

ა) ორკომპონენტიანი მოდელები

PR+N - My Honey! (ჩემო ტკბილო!); My love! (ჩემო სიყვარულო!);

PR+ADJ My dear! (ჩემო ძვირფასო!); My sweet! (ჩემო ტკბილო!) My precious! (ჩემო კარგო).

II. ზმნურ სინონიმურ იდიომთა შემდეგი მოდელები

ა) სამკომპონენტიანი მოდელები

(V)+ (PR)+ (N sing.) - move smb's heart – გულის აძგერება, touch smb's heart – გული აუტოკა, გული აუყუჩა, oblain smb's heart – ვინმეს გულის დაპყრობა; gladden smb's heart – გულის გახარება; dear to smb's heart – ვინმეს გულის ვარდი; win one's heart – ვისიმე გულის მოგება.

(V)+(PRN)+(N) - to turn one's head – თავბრუს დახვევა,

(V)+(prep.)+(Npl.) - to fold in arms – გულში ჩაკვრა,

ბ) ოთხკომპონენტიანი მოდელები

NP=a(VB)+ b(can't believe one's eyes – თვალებს ვერ ვუჯერებ

გ) ხუთკომპონენტიანი მოდელები

(V)+(PRN)+(Art.)+(ADJ)+(N) - give smb. a glad eye – კარგი თვალით უყურებს,

(V)+(PRN)+(N)+(Part.) + (N) - lose one's heart to smb. – გული მისდის ვინმეზე; give one's heart to smb. – გულის მიცემა

(V)+(Prep) +(Prep) +(PRN)+(N) - jump out of one's skin – სიხარულისაგან ფეხზე არა დგას.


დ) ექვსკომპონენტიანი მოდელები

(V)+(PRN)+(N)+(Prep)+(Artc.)+(Npl) - have one's head in the clouds – თავით ღრუბლებში დაფრინავს.


(N)+(Prep)+(N) +(Prep)+(N) +(Prep) - head over heels in love with – თავდავიწყებით შეყვარება.

მოცემული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა დადებითი ემოციების გამოხატველ სინონიმურ იდიომთა შემდეგი სტრუქტურული სურათი:

სახელური სინონიმური იდიომური გამოთქმების პროცენტული მაჩვენებელი



ზმნური სინონიმური იდიომური გამოთქმების პროცენტული მაჩვენებელი



შეპირისპირებამ ცხადყო, რომ კომპონენტების მიხედვით შესწავლილი სინონიმური იდიომური გამოთქმების სტრუქტურა განსხვავებულია, რაც ძირითადად ენის ბუნებაზეა დამოკიდებული - ანალიზურია ის თუ სინთეზური.

გამოიკვეთა სინონიმური იდიომური გამოთქმების კომპონენტთა სტრუქტურის შემდეგი სურათი:

* სახელური სინონიმური იდიომური გამოთქმები

ორივე საანალიზო ენაში შეგვხვდა მხოლოდ ორკომპონენტური. ქართულში პირველ კომპონენტად წარმოდგენილია არსებითი სახელი და ნაცვალსახელი, ინგლისურში - მხოლოდ ნაცვალსახელი;

მეორე კომპონენტად ქართულში გვხვდება არსებითი და ზედსართავი სახელები, ინგლისურში - მხოლოდ ზედსართავი სახელი.

* ზმნური სინონიმური იდიომური გამოთქმები

ქართულში გვაქვს ორ, სამ და ოთხ კომპონენტური, ხოლო ინგლისურში - სამ, ოთხ, ხუთ და ექვს კომპონენტური.

ქართულში იდიომთა უმეტესობა იწყება არსებითი სახელით, ზმნა ძირითადად ბოლოკიდურ პოზიციაშია წარმოდგენილი, იშვიათად იწყებს იდიომს.

ინგლისურ ენაში ზმნა ძირითადად იწყებს იდიომს, ასევე, იდიომი იწყება წინდებულით, ბოლო წევრი უმეტესად გადმოცემულია არსებითი სახელით.

ინგლისურ ენაში იდიომთა მრავალწევრიანობას იწვევს წინდებულისა და არტიკლის გამოყენება.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული მაგალითები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ქართული და ინგლისური ენის სინონიმურ იდიომებში ვლინდება უამრავი ენობრივი

უნივერსალია, ანუ ისეთ ენობრივი მოვლენა, რომლებიც მსოფლიოს ყველა ან უმეტესი ენისთვის არის დამახასიათებელი. მაგრამ სხვადასხვა ენა სხვადასხვანაირად ანაწევრებს აზროვნებას, სხვადასხვანაირად აღნიშნავს, ანაწილებს და აერთიანებს საგანთა სინამდვილეს. ყოველი ენა, წარმოადგენს საგანთა თავისებურ აღქმას.

ჰუმბოლდტი ამბობდა, რომ „ერთი ენის ცოდნა, ალბათ, ადვილდება მეორის ცოდნით და საეჭვოა შევძლოთ, რომელიმე მათგანის საფუძვლიანი ახსნა ჰუმმარიტად დამაკმაყოფილებელი სახით, თუ არ მივმართავთ დასახმარებლად შედარებას ნებისმიერ სხვა ენებთან“ (Гумбольдт 1985. 361).

A ამდენად, ენათა ტიპოლოგიურ კვლევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ამ დროს ვითვალისწინებთ, როგორც ენის გრამატიკულ, ისე ლექსიკურ-სემანტიკურ ფაქტორებს.

ლიტერატურა:

1. კვაჭაძე ლ. (1992). , ქართული ენა, გამოც. „განათლება“, თბილისი.
2. ნეიმანი ალ.(1951)., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი.
3. ნეიმანი ალ.(1961), ქართულ სინონიმთა ლექსიკონი (მე-2 შევსებული და შესწორებული გამოცემა), თბილისი.
4. ფოჩხუა ბ. (1980)., ქართული სინონიმის ლექსიკოგრაფიული საკითხები: იკვ, XXII, „მეცნიერება“, თბილისი.
5. ფერდინანდ დე სოსიური. (2002), ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, „დიოგენე“. თბილისი.
6. შანიძე აკ. (1973). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თსუ. თბილისი.
7. შარაძენიძე თ. (1958). ენათა კლასიფიკაციის პრინციპები, თბილისი.
8. ლლონტი ალ. (1964), ქართული ლექსიკოლოგია, თბილისი.

Shorena Tignadze

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Structural and Semantic Aspects of Synonymic Pairs Expressing Positive Emotion in the English and Georgian Languages

Abstract

Emotion is generally a characteristic feature of a human, though each language expresses emotions (positive, negative) in a different manner. The article deals with the comparative analysis of positive and negative emotions expressed in the Georgian and English languages.

Key words: emotion, positive, negative, synonymic rows,

საკვანძო სიტყვები: ემოცია, დადებითი, უარყოფითი, სინონიმური რიგები

Психо-социальные сложности в изучении французского и русского языков в межкультурной среде (Нейролингвистический подход)

Межкультурная коммуникация - это процесс вербального и невербального общения между коммуникантами, носителями разных языков и культур. Главным в общении людей является их стремление понимать друг-друга, причем в межкультурной коммуникации каждый из ее участников должен осознать «чужеродность» партнера и все-таки стремиться к взаимопониманию.

Каждая культура формируется в соответствии со своими базовыми признаками, к которым чаще всего относят: язык, мышление, национальный характер, восприятие окружающего мира, времени, пространства, невербальные способы общения, ценностные ориентации, нормы поведения, обычаи, социальные роли, социальные отношения и группировки.

Человек, как правило, формируется той культурой, в которой он растет и формируется как языковая личность. Культурно-специфичные (родные ему) особенности являются для него понятными и привычными. В рамках собственной культуры создается прочная иллюзия своего видения мира, образа жизни, менталитета и т.п. как единственного возможного и главное, единственного приемлемого.

Если же вступает в коммуникацию с носителями другой культуры, то начинает осознавать, что существуют и другие способы языкового выражения мыслей, форм переживания, поведения, которые не согласуются с привычными для него формами и способами. Многие вещи он воспринимает как непонятные и странные.

Поэтому иностранный учащийся, прибыв в другую страну, должен не только изучать язык, на котором говорят ее жители, но и приобщиться к национальным ценностям, понять основные особенности национального характера, особенности восприятия мира, времени, пространства, узнать картину мира представителей изучаемого языка.

Картина мира, т.е. представление человека определенной культуры о мире и о своем месте в этом мире, кодируется языковыми средствами выражается через систему концептов, которые существуют в любом мире.

Владение культурными концептами является одним из условий изучения языка, так как их совокупность, характерная для каждой культуры, передает картину мира языковой личности, позволяет узнать систему ценностей и мировоззрение носителя чужого языка, принять чужие нормы поведения.

Только выйдя за рамки своей культуры, т.е. столкнувшись с иным мировоззрением, мироощущением и т.п., можно понять специфику своего общественного сознания, можно увидеть различие или конфликт культур.

Современная психолингвистика различает две сферы, или формы, сознания: когнитивное и языковое, ответственные за существование двух картин мира - общей, как некоторой структурированной совокупности, системы знаний человека о мире, о себе, о ценностях и т. д., и языковой, как включенной в модель общей картины мира и выражающей действительность знаковым способом. При усвоении иностранного языка, как отмечает И.И. Халеева, происходит интерференция как общих, так и языковых картин мира. Языковая картина мира встроена в когнитивную, каждая лингвокультура дает свою интерпретацию взаимоотношений предметов и явлений окружающего мира. Специфика этих отношений и определяет специфику картины мира в каждой культуре. Современные авторы отмечают, что индивид, чья картина мира сформирована родным языком, сталкивается при изучении иностранного языка с двойной трудностью. С одной стороны, его языковое сознание «не хочет» принимать чуждую ему языковую систему, что часто приводит к калькированию с родного языка. С другой стороны, его когнитивное сознание не приемлет того, что чужой язык передает реальность иначе, другими словами и другими структурами предложений.

В каждом языке представлен код мышления человечества, единый для всех, и можно допустить, что замысел высказывания формируется именно в этом универсальном коде. Однако

дальнейшее оформление мысли, по мнению целого ряда авторов, совершается в индивидуально-предметном коде человека. Индивидуально-предметный код формируется на базе родного языка, который будет оказывать наибольшее сопротивление проникновению иностранного языка. Поэтому уверенное владение иностранным языком является результатом преобразования индивидуально-предметного кода в билингвальный, что позволит говорящему оформлять мысли по законам любого из двух языков. Иными словами, чтобы вписать в свой индивидуальный контекст новый смысловой мир, представленный иностранным языком, субъект должен сформировать общую семантическую структуру, которая выступит специализированным переводчиком с одного языка на другой. Таким образом формируется сознание билингва.

Изучая иностранный язык, человек естественно пытается осмыслить его по аналогии с представлениями о родном языке. Когда субъект только приступает к изучению иностранного языка, те простейшие речевые модели и грамматические правила, которые он усваивает, довольно легко вписываются в имеющуюся у него языковую картину мира. Однако наступает момент, когда выводы и обобщения относительно закономерностей иностранного языка, сделанные в рамках смысловой системы родного языка, вступают в противоречие с практикой изучаемого языка. Учащийся производит высказывания на иностранном языке, оформляя их по правилам родного. Эти высказывания оцениваются преподавателем как неправильные. Но сам обучающийся чаще всего не понимает, в чем проблема. По его мнению, он все делает правильно. В результате иностранный язык начинает представляться обучающемуся чем-то нелогичным, недоступным для понимания. О.Я.Кабанова отмечает, что, ориентируясь на систему родного языка, обучаемый лишь «накладывает» на языковые значения своего языка формальные конструкции изучаемого иностранного языка, то есть говорит значениями родного языка, оформляя их при помощи формальных средств иностранного. В результате, независимо от желания говорящего, в его речи происходит несоответствие формы содержанию. «Однако поскольку язык нормативен, постольку нельзя свойства одного языка сводить или добавлять к свойствам другого языка. Необходимо учитывать, что состав и строение каждого языка специфичны в своей национальной самобытности и не могут механически накладываться друг на друга, мысли не могут возникать и существовать одновременно на базе двух языков, и переход с одной языковой базы на другую представляет большие трудности».

В соответствии с теорией языкового сознания, сформулированной П.Я. Гальпериным, именно затруднения с применением средств иностранного языка по нормам родного можно сделать отправной точкой для осознания того, что ни родной, ни иностранный язык не являются прямым отражением внеязыковой действительности, объективного содержания мысли, системой прямых обозначений этого содержания. Поэтому правильная ориентировка в языке начинается с понимания того, как в нем отражается то или иное объективное содержание. С утилитарной точки зрения язык часто представляется как набор технических средств сообщения, но в этом случае язык лишается своей собственной логики, своей сути, которая состоит в том, что язык отражает сознание говорящего на нем народа. «Представляя язык как собрание технических средств сообщения, мы лишаем его собственной логики, а себя - возможности ориентироваться в этой логике, изображаем язык как собрание эмпирических знаков и правил, полных всевозможных исключений, и тем обрекаем изучение языка на путь механического заучивания. И если мы все-таки в полной мере пожинаем плоды такого обучения, то этим мы обязаны стихийным поправкам, которые неизбежно вносятся участниками этого процесса, правда, лишь в меру их чутья к языку, их языковой одаренности».

Представления об иностранном языке и иноязычной культуре формируются в сознании обучающегося на основе образов родного языка и родной культуры и с помощью родного языка, который довольно долго остается основным орудием познания иностранного языка. Отправной точкой в познании иностранного языка является осознание родного языка. Основным механизмом формирования билингвального сознания является диалог культур, который представляет собой общение образов двух культур в сознании индивида, который, познавая образы иноязычной культуры, рефлектирует над их отличиями от образов родной культуры. Картина мира, сформированная родной культурой, является первичной в сознании субъекта. Иноязычная картина мира, или иноязычное сознание, не вытесняет и не заменяет собой эту первичную картину мира, а добавляется к ней. Однако усвоение правил иностранного языка не ведет автоматически к формированию билингвального сознания. Если сведения об иностранном языке вписываются в смысловой контекст родного языка, человек остается по сути моно-лингвальным, хотя и использует для производства высказываний средства двух языковых систем. Система

представлений об иностранном языке в этом случае формируется внутри образа родного языка и отражает не столько закономерности иностранного языка, сколько попытки обучающегося построить образ иностранного языка, не противоречащий смыслу родного языка.

Чтобы формирующийся образ иностранного языка был адекватен этому языку, обучающийся должен понимать внутренние законы иностранного языка, его смысловой мир, в сравнении с соответствующими законами родного языка. Взаимоотношения двух языковых систем в сознании субъекта устанавливаются не на уровне знаков и правил, а на уровне смыслов этих знаков и правил, то есть на когнитивном уровне языкового сознания.

Решение задачи формирования билингвального сознания в обучении иностранному языку предполагает построение в сознании обучающегося некоторого образа или концепта, являющегося «ментальной репрезентацией» системы изучаемого языка. Эта концептуальная картина иностранного языка должна «вырастать» из концептуальной картины родного языка, образуя единую понятийную структуру, в которой значения родного языка служат для объяснения смыслов иностранного языка.

Таким образом, на основании анализа концепций формирования билингвального языкового сознания, предложенных разными авторами, можно сделать вывод о том, что познание иностранного языка осуществляется через родной язык, в результате в сознании субъекта формируется некоторая гибридная структура, представленная интегрированным единством двух картин мира.

Со своей стороны нейропсихоллингвистика изучает этот процесс, который сегодня считается наиболее сложным и захватывающим аспектом лингвистики. Последний интересуется обратной связью человеческого мозга и человеческой речи. Центральным в теории является идея о том, что речь идет о лингвистических и паралингвистических компонентах, каждая из которых обрабатывается различными нейронными системами, которые сходятся в общей выходной системе.

Использованная литература:

1. **Кабанова О.Я.** Основные вопросы методики обучения иностранному языку на основе концепции управления усвоением. М: МГУ, 1976
2. **Тарасов Е.Ф.** Межкультурное общение — новая онтология анализа языкового сознания //Этнокультурная специфика языкового сознания. М: Ин-т языкознания РАН, 1996.
3. **Цветкова Т.К.** Теоретические проблемы лингводидактики. М., 2002.
4. **Белянин В.П.** „Психоллингвистика“, Флинт, М., 2004.

Gvantsa Tchanturia, Khatia Khatiaishvili

Ivane Javakhishvili State University, Tbilisi

Some Psycho-social Aspects of Foreign Language Learning (the main difficulties in foreign language learning)

Abstract

In our report we will explain some problems of studying and teaching a foreign language and what difficulties meet teachers and learners in this process, what methods and techniques they need to eliminate these challenges. The human mind manages the most important achievements of his life: thinking, process of transferring their thoughts and human behavior. For his part, neuropsycholinguistics is studying this process, which today is considered the most challenging and exciting areas of linguistic. The latter is interested in the feedback of the human brain and the human speech. Central to the theory is the idea that speech involves linguistic and paralinguistic components, each of which is processed by different neural systems that converge on a common output system.

Ключевые слова: Язык, Лингвистика, Межкультурная коммуникация, Психоллингвистика

Keywords: Language, Linguistics, Intercultural communication, Psycholinguistics

კახური ნარატივის ენობრივი იმუნიტეტი

დიალექტს, როგორც ეროვნული ენის ნაირსახეობას, „ახასიათებს თავისებური ენობრივი იმუნიტეტი, რაც განაპირობებს სამეტყველო თავისთავადობის შენარჩუნებას“ (ჯორბენაძე, 1989, 40). ამა თუ იმ დიალექტის ენობრივი მახასიათებლები კოლორიტულად წარმოჩინდება ბუნებრივი საუბრის პროცესში. ვინაიდან დიალექტი ზეპირი მეტყველების ფაქტია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საუბრის მანერას: ინტონაციას, მეტყველების ტემპს, საწარმოთქმო თუ გრამატიკულ თავისებურებებს, მოდალურ-ექსპრესიულ მიმოქცევებს, ლექსიკა-ფრაზეოლოგიას... ამ მხრივ საკმაოდ მრავალფეროვანია კახური ნარატივი; ზოგადი სურათის ნათელსაყოფად და საერთო შთაბეჭდილებისათვის წინმსწრებად დავიმოწმებთ საუბრის ფრაგმენტებსა და ცალკეულ ფრაზებს:

დაჩეხილ შეშაჲ პლახ ვეტყვით. ღორი გამოდგომიყო უკან. მკავანით ვაზი შამოეხვევა ჭიგოს. ბაღში ზოგს ნეკერი გამოდის, ზოგს ფოთოლი გაზდის. პატარა სადულრით შაჰამადი შადგა. (ახმეტის რაიონი).

სათვალისთ კარქია, გო, თქვენი ვაშლი. ხუ არ ითაფა პურმა? ვერაფერი უთხარიკე. (თელავის რაიონი).

ვისი ხარ, ვედარა ქცნოფ? აი, ეთერო, რა ვქნა, აქა ხაარ? იმ დღეჲ რო ყარფუზი მოიტანე, მაგათგან ვიყიდევ, პურები წაუღეყე და მამცეს. იმტელა გოგო-მყავ?! მამამთილი მყავდა ეგეთი, რო შვილებითვი ლუკმაჲ არ შამაჰმეინებდა. (ყვარლის რაიონი).

რა ვი, შვილო, ტაძტია თუ რაღაცა, ტასტი არა-მქვიან? გოლვა იყო, გოლვა იგეთი რო... ყრუვი ხუ არ-ალი? ბლუვი იყო. რუვი წყალი მიუგდო ბოძტანში. ყველაყა წავიდა იმადთან. თელაური ქალი მაიყვანეს რძლათ. ჩუმლაყურები სუყველა გაღმა გავიდნენ. რო მამაგონდება, დაგიძახებყე და ჩაგაწერინებყე. მე ორთავეს მოგხადეყე ბოდიში. მაგაზე დაგზარდებიკე? იმდენი რამე გითხარიკე, რო... მოგვეშველენით, ქლიავი მოგვაქ, არ გეცოდებით, რო დავიღალენით? (გურჯაანის რაიონი).

თვალეზიდგან ვედარა ძხედამ? ჭკუას ი/მ/ წავლიან. ორი კაცი წავიდა: ერთი გარეჯული და ერთი გიორგიწმინდული. გამოიქეცი და წამუელი სოფლათ. (საგარეჯოს რაიონი) (ქართული დიალექტოლოგია, 1961, 179).

ზეპირი მეტყველების პროცესში საუბრის მანერას დიდად განაპირობებს მოლაპარაკის ტონი და ინტონაცია, რითაც მთხრობელი გამოხატავს თავის ემოციურ დამოკიდებულებას თქმულისადმი. ამასთანავე, „ინტონაციას ... არა მარტო გამოხატვის ფუნქცია აქვს დაკისრებული, არამედ თავისი შინაარსიც აქვს, როგორც წინადადების სტრუქტურის აუცილებელ კომპონენტს“ (ქლენტი, 1963, 78).

მოსაუბრის ინტონაციური მიმოქცევანი ქმნის რო/რომ კავშირიანი ქვეწყობილი წინადადების თავისებურ შეკუმშულ კონსტრუქციას:

გამდიდრდა ეს ვაჟი ძალიან, გამდიდრდა რო... მეტი აღარ შაიძლებოდა, მ.ი., 108.

ე შვილი კი ისეთი უქნარა ძყვანდა, ისეთი რო... რა გითხრა, მ.ი., 78.

ხშირად ეს კავშირი დამოკიდებული წინადადების ეკვივალენტია:

გოლვა იყო, გოლვა იგეთი რო..., გ.თ.ქ., 179.

ისეთი შვილები დავზარდე, რომა..., მ.ი., 9.

იმდენი რამე გითხრავე, რო..., გ.თ.ქ., 179.

კახურ ნარატივში მკვეთრად დაჩნდება „და“ კავშირ-ნაწილაკის ინტონაციურ-ექსპრესიული ფუნქცია, რაც განსაკუთრებით ხელშესახებია კითხვა-პასუხიან შეკუმშულ კონსტრუქციაში:

რათა ხარ დაღონებულიო? - **რათაო და** ავით შევიქენიო, მ.ი., 99.

შენი შვილი რას აკეთებსო? - **რასა და** მუშაობსო, გ.თ.ქ., 193.

რიდთვინ მოსულხარ, რა გინდაო? - **რაო და** ჩემი შვილითვინ შენი ქალი მინდა ქთხოვოო, მ.ი. 100.

ე მეურმეები მიეწევია **და**: - ხარი ხო არ გინახიათო?, მ.ი. 109.

იმ გიჟმა უყურა, უყურა **და**: - სამათ რათა ჰყოფთ, ორნი არა ვართო?, მ.ი., 79.

ნუ მამკლამო **და**: - რათ უნა მამკლა მაინცო?, მ.ი., 105.

მაინც რა დაარქვი პატარმალსაო? **და**: - შუალოო, მ.ი., 95.

რა გაჭამედ, მელიაო? **და**: - ერთი ხორცი ჩეგდოთო, მ.ი., 95.

რა ჩააკნატუნე, მელიაო? **და**: - თვალი გამოვიგდებინე და ჩავაკნატუნეო, მ.ი., 95.

საუბრისას იმდენად მნიშვნელოვანია ინტონაციის ფაქტორი, რომ ოდენ მისი საშუალებით იქმნება წინადადების სპეციფიკური კონსტრუქცია, რითაც გამჟღავნდება მთქმელის დამოკიდებულება მონათხრობი ამბისადმი:

გამამდგომია დედაჩემი, მომეწივა გზაში და კინწისკვრით გამამაგდო: - **შენმა სიცოცხლემო, რო შენ იქ ზიჭეფთან დაგსოო!**, მ.ი., 7.

გაბმული მეტყველებისას კახელი ხშირად იყენებს „**მერე/მემრე/მამრე**“ ზმნიზედას, რომელიც ასეთ შემთხვევაში **მიერთებითი კავშირია** და გადმოგვცემს არა რომელიმე კონკრეტულ დროს, არამედ მთელი წინადადების დროითი მსაზღვრელია და მიერთებულ ზმნა-შემასმენელთან ერთად გვიჩვენებს წინამავალი ამბის შედეგს ან მოქმედების პროცესის ინტენსივობას, ჩვეულებითობას...

საამისოდ დავიმოწმებთ ქისტაურელი გლეხის მონათხრობს:

ახლა კალოზე კევრ რო გაატარებენ..., **მემრე** გაანიავებენ ნიჩფითა... **მემრე** გაცხავებულ პურ დაახოვებენ... **მემრე** ცხრილში გაატარებენ... **მემრე** გაარჩევენ ხელითა... **მამრე** გადთიბამენ და იმ ნათიბ დააბულულევენ... **მამრე** გადახნამენ... **მამრე** დადთესამენ სიმინდ... **მემრე** იმაღ გადთოხნიან... **მემრე** ტაროდ გაიკეთებს... **მემრე** შამუა სიმინდი, გახმება... **მემრე** დაამტვრევენ ტარობ... **მამრე** მოსჭრიან ფუჩეჩ ნამგლითა... **მემრე** ამ ფუჩეჩ შადკონამენ (მ.ი. 38-39).

აშკარაა, რომ ზმნიზედა **მერე** ქმნის მომავალი დროის სემანტიკურ ველს, თუმცა მოცემულ კონტექსტში მასთან მიერთებული ზმნა-შემასმენლები გამოხატავენ არა კონკრეტულ დროს, არამედ თხრობისას მათ განუსაზღვრელი, ზოგადდროული მნიშვნელობა აქვთ და იმავდროილად მოქმედების მრავალგზისობის გაგებასაც შეიცავენ. ამიტომაცაა, რომ მყოფადი დროის ზმნიზედები (ხვალ... ზეგ...) ზოგჯერ ნამყო დროის ზმნა-შემასმენელს იგუებენ: „**დღეს უთხრა, ხვალ უთხრა, ზეგ უთხრა**, შააღონა ქალმა თავი ქმარი, გ.თ.ქ., 183.

ეს ყოველივე კი ეთანადება აღიარებულ დებულებას, რომლის მიხედვითაც ზოგადდროულობა და ჩვეულებითობა თითოეული დროის შიდასივრცულ განზომილებაშია საძიებელი.

კახურ ნარატივში ყურადღებას იქცევს ადამიანური და გრამატიკული დროის ურთიერთმიმართება; ხშირად მოსაუბრისათვის უფრო მნიშვნელოვანია ფარდობითი დრო, ვიდრე გრამატიკული, რაც მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ დრო არის ოდენ სემანტიკური კატეგორია და არა გრამატიკული (გოგოლაშვილი, 2011). ამავე საკითხს უკავშირდება დროის გადაწევის ფაქტორი: საუბრისას აწმყოში მომხდარი მოქმედება გადატანილია წარსულში:

ერთმა მოლამ და ფქვა კოკის ნატეხარი, წაიღო და... **ყიდის**, მ.ი., 71. ეკაცი შაში
ნ და ა, გაუტია ძალიანადა და **მკის**, 85. მერე წამოწვა ერთ ფურცლი ქვეშ ეს წიწოლა და
აწკარუნებს, **უკრამს** ამ ჩონგურს, მ.ი., 96. და აყარე ერთმანეთ, **ბეგავენ**, მ.ი., 93. და უწყე
კივილი და **გავრბივარ**, მ.ი., 58. შეეშინდა მელას და **მირბის**, მ.ი., 93. წავიდნენ, უღელი
ხარი იშოვნეს, **ხნამენ და თესამენ და ცხოვრობენ**, მ.ი., 14.

მოცემულ შემთხვევაში აწმყოთი გადმოცემული მოქმედება გადააზრიანებულია,
როგორც წარსულში მომხდარი; თუმცა არ შეიცავს კონკრეტული დროის გაგებას;
ფაქტობრივად ესაა ზოგადი აწმყო, რაც მიგვითითებს ადამიანის ზოგად-სავრცულ
აზროვნებაზე.

არც თუ იშვიათად ზოგად-განუსაზღვრელი მნიშვნელობის შემცველია **არის** ზმნა-
შემასმენელი, როდესაც ის ფუნქციურად დამოუკიდებელია და არა შედგენილი შემასმენლის
ნაწილი (ლოლაძე, 2004), რაც ხელშესახებად ვლინდება როგორც ძველ ქართულში, ისე ახალ
ქართულსა და დიალექტებში. ძველ ქართულში **არს** ზმნის მნიშვნელობით გვხვდება ჰგოე
ს, სუფევეს, იმყოფები და ზოგჯერ დგას ზმნაც კი (ქავთარაძე, 1964); ამ მხრივ **არის**
ზმნას ფართო ასპარეზი ეძლევა კახელის მონათხრობში, როდესაც ის „არსებობა-მყოფობის“
სემანტიკური მნიშვნელობის გარდა ქმნის სპეციფიკურ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას:

გუთნიდელა **არი**, გუთანი უბია და ვერა ხნამსო. ცხარი დგას და ბალახს ვერა ძოვს
და ირემი **არი**, ცაში აქ მიბჯენილი რქები და ვერ ინძრევანო, გ.თ.ქ., 210. ერთი გუთნისდელა
არი, ყველაფერი რკინის გაუკეთებიაო... ერთი მეცხვარე **არი**, იმას დუქარდი ვერ უყიდია...
ერთი ირემი **არი**, წითელ პარასკევს რო თავი გააქნიოს, რქები მოძვრება და დაისვენებსო,
გ.თ.ქ., 211.

არის ზმნა თანამედროვე ქართულშიც საკმაოდ ტევად მნიშვნელობისაა:

გურამ დოჩანაშვილი მისთვის დამახასიათებელი მსჯელობის სტილით ნათქვამის
დასტურად შეარჩევს ამ სიტყვას: „ - და ამა სიზმრით, თქვენო უწმინდესობავ, როგორ
მალღივად, როგორი შვებით, რომ - რომ ის დიადი, ნანატრი, ბევრად ნამდვილი ქვეყანა ამ
ჩვენისაზე, და, მაშასადამე, აქაც ერთი ახალგაზრდა ბინადარი, თავის პატარა ბიჭიანა,
როგორ გამოვთქვა, რომელი სიტყვით... **არის**”, რაც ემოციურად განაწყობს როსტომ ჩხეიძეს:
„თურმე რაოდენ ტევადი შეიძლება აღმოჩნდეს ეს სრულიად შეუმჩნეველი. ვითომდაც
ყოვლად გაცვეთილი სიტყვა: „არის“... (რ. ჩხეიძე, „აღსარება გურამ დოჩანაშვილისა“, 2011,
185).

ასევე ყოვლისმომცველ მნიშვნელობას ანიჭებს მოსაუბრე **ვინ** ნაცვალსახელს.

განუსაზღვრელი, დაუკონკრეტებელი და ზოგადპერსონიფიცირებულია **ვინ**
ნაცვალსახელი ისეთ კონტექსტში, როდესაც ის დაცლილია კითხვითობის სემანტიკისაგან:
ვის ამანათი მოუვიდა, **ვინ** თითონ მოვიდა და ნადავლი მოიტანა, **ვინა** თითონ მოვიდა,
მ.ი., 27.

კახურ ნარატივში შეინიშნება წინადადების სტრუქტურული ყალიბის გარდამავალი
საფეხური, რაც გამოკვეთილად დაჩნდება პარატაქსულ კონსტრუქციაზე დაკვირვების
კვალდაკვალ. კერძოდ, ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც საუბრისას ინტენსიურად
მეორდება ერთი და იგივე სიტყვაწევრი:

ზოგმა პური **გაუტანა**, **ზოგმა** კვერცხი **გაუტანა**, **ზოგმა** ფქვილი **გაუტანა**, მ.ი. 35.
კოლექტივში ჯერ სულ უღარიბესი **ხალხი შამოიდა**, მემრე უსაქონლო **ხალხი შამოიდა**, მემრე
საქონლიანმა **ხალხმა** ცალკე შაადგინეს კოლექტივი, მ.ი. 6. სიცხეცა **წყენულობს ცხვარსა**,
სიცივეცა **წყენულობს ცხვარსა**, წყალიცა **წყენულობს ცხვარსა**... გაყინული ბალახიცა
წყენულობს ცხვარსა, ჭყლანტის ბალახიც **წყენულობს ცხვარსა**, მ.ი. 46. ძველათ შილდაში
მამასახლისი იყო. **ჰყვანდა** იმასა თანაშემწე, ნაცვალი, იმას კიდენ თანაშემწეთ **ყვანდა**
გზირი, იმას კიდენ თორმეტი კაცი **ყვანდა**, მ.ი., 11. ჩვენ სოფელში იყვნენ ბატონის **ყმები** და
ეკლესიის **ყმები**. ჩვენ ვიყავით ეკლესიის **ყმები**. ეკლესიის **ყმები** ცოტანი ვიყავით... სხვები
იყვნენ თავადის **ყმები**, მ.ი., 34-35.

დამოწმებულ კონსტრუქციაში გვაქვს საერთო წევრიც და მასთან დაკავშირებული რამდენიმე ერთნაირ სიტყვაწევრიანი პარატაქსული წყვილები, რაც შერწყმული წინადადების ჩამოყალიბების წინაპირობად გვესახება:

ჯვრის საწერი თუმანიც იყო, ხუთი მანეთიც იყო, ხუთმეტი მანეთიც იყო, კოდი პურიც იყო, მ.ი.35//ჯვრის საწერი იყო თუმანიც, ხუთი მანეთიც, ხუთმეტი მანეთიც, კოდი პურიც.

სამეზობი დღეს ენისელში მოდიოდა შილდური ხალხიც, საბური ხალხიც, ალმატური ხალხიც და გრემული ხალხიც, მ.ი.63.// სამეზობი დღეს ენისელში მოდიოდა შილდური, საბური, ალმატური და გრემული ხალხი.

კახური ნარატივი ყურადღებას იქცევს წინადადების წევრთა შედგენილობითაც; კერძოდ, მოსაუბრე ნათქვამის დაზუსტება-დაკონკრეტებისათვის შეარჩევს სიტყვას, რომელიც ინტონაციურად რამდენადმე განმხოლოებული შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა არც განკერძოებულია და ორგანულად მონაწილეობს წინადადების სტრუქტურულ მოდელში:

ჩუმლაყელები სუყველა გაღმა გავიდნენ, გ.თ.ქ., 179. წამოიდნენ შინ ორივენი ცარიელები, მ.ი., 79. მემრე ერთი კაცი გამოცხადათ მთხოვარა, ქ.თ.ქ., 188. ნათლიაჩვენმა მომკილი ძნა მოატაცა შვიდი ათეული, მ.ი., 24.

აღნიშნული სტრუქტურა დამახასიათებელია ყოფნობისა და ყოლა-ქონების სემანტიკის მქონე ზმნა-შემასმენლებიანი წინადადებისათვის:

სუფრა ი ყ ო გაშლილი დიდებული, გ.თ., 182. ქვევრებიც ი ყ ო უშველებელი დიდები, მ.ი., 22.

ქალი სამი მყავ. ორი გათხოვილი მ ყ ა ვ ქმარშვილიანი, მ.ი., 17. მამაჩემ ჰ ყ ვ ა ნ დ ა სამი ქალი დიდები, მ.ი., 17. ერთი ქალი ა ყ ვ ა ნ დ ა იმამა გასათხოვარი, მ.ი., 105. ერთი დედაკაცი ჰ ყ ვ ა ნ დ ა კარგი, მ.ი., 70.

ერთი „დედა-ენა“ გვ ქ ო ნ დ ა ჩემი ძმამ ნახმარი, მ.ი., 7. ერთი დიდი სკივრი ა ქ ო ნ დ ა სამსე, მ.ი., 80.

კონტექსტის თანმდევი ინტონაციით ხაზგასმულთაგან ზოგი პოსტპოზიციურ მსაზღვრელს უახლოვდება, ზოგი - გათიშულ მსაზღვრელს, ზოგიც - განკერძოებულს...

წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალა უნებურად წამოჭრის საკითხს: რა ფუნქციისაა ხაზგასმით აქცენტირებული სიტყვანი და რა კვალიფიკაცია მიენიჭებათ? ვფიქრობთ, მართებული იქნება წინადადების ასეთ კომპონენტს ვუწოდოთ განმხოლოებული წევრი, მოცემულ შემთხვევაში - განმხოლოებული განსაზღვრება.

კახურ ნარატივში შეგვხვდება შერწყმული წინადადების წევრთა სპეციფიკური განლაგება, სადაც ერთგვარი წევრები ჩვეულებრივი ჩამონათვალის რიგს კი არ მიჰყვებიან, არამედ ზმნა-შემასმენელთან მიმართებაში სხვადასხვა პოზიციას იკავებენ. ასეთი კონსტრუქცია უმთავრესად და კავშირიანია:

ბევრი მელიები იყო და კურდღლები, მ.ი., 95. ოთხი ქალი აყვანდა და სიძეები, მ.ი., 29. მოხუცი დედა-აყვანდათ და ერთი გასათხუარი და, გ.თ., 180. იმ ქალმა პურიც გამაცხო და ყველაფერი, მ.ი., 74.

ფრიად მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი კონსტრუქცია უცხო არ არის სალიტერატურო ენისათვისაც (ჭიკაძე, 2008, 170).

გაბმული მეტყველებისას კახელი ხშირად იყენებს სხვათა სიტყვის ო ნაწილას, რომელსაც ურთავს წინადადების ნებისმიერ წევრს, განურჩევლად პოზიციისა:

შეიძლებაო, ძიაო, ამაღამ გამათენებინოო?, მ.ი., 107. ბუზიო, შავკაზმე, ზღვას გაველიო, გ.თ.ქ., 188. წამოდი, მიშველეო და მე დაგიხნამ სავენახე მიწასაო... თუო შენო ჩაყრიო, არაფერი არ მიწადაო, მ.ი., 6. მეც დავიკარქებიო, ხოლოთაო მჭედელსაო რკინი ქალმები ამაასხმეინეო, რკინი ჯოხი გაამართვინეო, წამოდი და მე მეძებეო, მ.ი., 101. ჩვენ წინათ მდიდრები ვიყავითო, უღელი ბატი გვყანდაო და იმითა ვხნავდითო, ვთესავდითო და ქალაქში ქირაზე დავდიოდითო და დიდი ცხოვრება გვქონდაო, მ.ი., 68.

ამრიგად, კახური ნარატივის ბუნებრივ მდინარეებში დაჩნდება ის ენობრივი ნაირფეროვნებანი, რაც ზეპირი მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი; საერთოდაც ხომ „დიალექტი მეტყველების ფაქტია...“, რომელსაც მარტოოდენ შინაგანი, იმანენტური კანონზომიერებანი განაპირობებენ” (ჯორბენაძე, 1989, 9). ამასთანავე, ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ დიალექტებში გამოვლენილი ენობრივი თავისებურებანი არა მხოლოდ ე.წ. დიალექტიზმებია, არამედ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათში შემონახულია უძვირფასესი ენობრივი საგანძური: ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური, ლექსიკა-ფრაზეოლოგიური, მოდალურ-ინტონაციურ-ექსპრესიული, - დამახასიათებელი სასაუბრო ენისა თუ ძველი და ახალი სალიტერატურო ქართულისათვის. ამ მხრივ კახური დიალექტის ნარატიული მიმოქცევანი იძლევა შესანიშნავ მასალას, განპირობებულს ენობრივი იმუნიტეტით.

ლიტერატურა:

გოგოლაშვილი, 2011 - გ. გოგოლაშვილი, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“.

კვანტალიანი, 1990 - ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

კვაჭაძე, 2010 - ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „ცოტნე“, თბილისი.

ლოლაძე, 2004 - ნ. ლოლაძე, არის ზმნა ქართველურ ენებში (ფუნქციური ანალიზი), ენათმეცნიერების საკითხები, №2, თბილისი.

ჟღენტი, 1963 - ს. ჟღენტი, ქართული ენის რიტმულ - მელოდიკური სტრუქტურა, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი.

ქავთარაძე, 1954 - ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ქართულში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

დლონტი, 1975 - ალ. დლონტი, ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი.

ჭიკაძე, ცისკარიშვილი 2012 - რ. ჭიკაძე, მ. ცისკარიშვილი, აბსოლუტური და რელატიური დროის ურთიერთმიმართება (კახური დიალექტისა და წოვა-თუმების ქართული მეტყველების მიხედვით), „ინტელექტი“, №2(43), თბილისი.

ჭიკაძე, 2008 - რ. ჭიკაძე, წინადადების ერთგვარ წევრთა განმხოლოების შემთხვევები სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ ენაში, თესაუ-ს შრომების კრებული, №2(24), თბილისი.

ჭიკაძე, 2015 - რ. ჭიკაძე, ინტონაცია როგორც წინადადების კონსტრუქციის ექსპრესიული აქტუალიზების ფაქტორი (კახური დიალექტის მიხედვით), „კულტურათმშორისი დიალოგები“, №3, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

ჯორბენაძე, 1989 - ბ.ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

საანალიზო წყაროები შემოკლებათა განმარტებითურთ:

გ.თ.ქ.: ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 1961.

მ.ი.: არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1956.

Roin Chikadze

Iakob Gogebashvili state university, Telavi

Linguistic Immunity of the Kakhetian Narrative

Abstract

Dialect ,as a kind of standard language, firmly maintains linguistic immunity, through which speech originality is kept in its memory. Linguistic features of the dialect are colorfully manifested in the process of speaking. Dialect is a fact of oral speech , that's why, a lot of emphasis is put on the manner of speech: intonation, rate of speech , expressive-modal background, phonetic and grammatical features, vocabulary and phraseology. From this point of view, Kakhetian narrative is

quite diverse, in which speech peculiarities, such as , the expressive means of a sentence intonation-expressive tint, the relationship between the relative time and the grammatical tense, the intensity of the action process, and the factor of time shifting are identified. At the same time, the transitional phase of the sentence structural pattern is outlined in it.

Thus, in the Kakhetian narrative, the language diversities peculiar to folklore, are naturally observable.

საკვანძო სიტყვები: ნარატივი, დიალექტი, ინტონაცია, სტრუქტურული, ლექსიკა, იმუნიტეტი

Key words: narrative, dialect, intonation, structural, vocabulary, immunity.

დავით ჭიოტაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი

ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის განვითარება, ფინანსური უზრუნველყოფა და პრობლემები საქართველოში

აბსტრაქტი:

ფინანსური მეცნიერების და თავად სახელმწიფოს ძირითად მიზანს წარმოადგენს საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება და ამ მიზნის მიღწევის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის საკუთარი მოსახლეობის გლობალური ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ვერც სახელმწიფო უზრუნველყოფს საკუთარი მოსახლეობის გლობალურ ჯანდაცვას და ვერც სადაზღვევო ბაზარი უზრუნველყოფს გლობალურ სადაზღვევო დაცვას.

მსოფლიოში მოსახლეობას უნივერსალურ ჯანმრთელობის დაცვას სულ 32 ქვეყანა სთავაზობდა. საქართველო გახდა 33-ე ქვეყანა, რომელმაც ჩამოაყალიბა ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა, რაც თავის მხრივ არის გლობალური ჯანდაცვისკენ და გლობალური სადაზღვევო დაცვისკენ გადადგმული დიდი წარმატებული ნაბიჯი.

ადამიანს საკუთარი კეთილდღეობისათვის ესაჭიროება ჯანმრთელობა და ბედნიერება. თუ რამდენად უზრუნველყოფს ბედნიერებას ფინანსური მეცნიერება, ეს მცირედენ საკამათო საკითხია, აი ჯანმრთელობის დაცვას კი ნამდვილად უზრუნველყოფს. 2014 წლის აპრილში მსოფლიო ბანკის ვაშინგტონის ცენტრალურმა ოფისმა უმასპინძლა მაღალი დონის შეხვედრას, რომელსაც ესწრებოდნენ გაეროს გენერალური მდივანი ბატონი ბანკი-მუნი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი ქალბატონი მარგარეტ ჩენი, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი, ბატონი ჯიმი ონგკიმი და გაეროს წევრი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო სააგენტოების 40-მდე მაღალი რანგის წარმომადგენელი. შეხვედრის მთავარი თემა მსოფლიოში 2030 წლისათვის საყოველთაო ჯანდაცვის მიზნის მისაღწევად გასატარებელი ღონისძიებები იყო. საყოველთაო ჯანდაცვა გლობალური ჯანდაცვის უმთავრესი პრიორიტეტი ჯერ კიდევ 2012 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის შემდეგ გახდა. მსოფლიო ბანკის აპრილის შეხვედრაზე მარგარეტ ჩენმა ასევე განაცხადა, რომ საყოველთაო ჯანდაცვა უკვე აღიარებულია მოსახლეობაში სიღარიბის აღმოფხვრისა და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს იარაღად.

მსოფლიოში წამყვანი სამეცნიერო ჟურნალი „Lancet“ თავის პუბლიკაციაში ასევე ყურადღებას ამახვილებს საყოველთაო ჯანდაცვის მნიშვნელობაზე. ამასთან დადგინდა, რომ ჯანდაცვაში ინვესტირებული თითოეული აშშ დოლარიდან, ქვეყნებს 9-20 აშშ დოლარის ამონაგები უბრუნდებათ.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის განხილვისას გადავწყვიტეთ გაგვეგო, თუ რამდენად ეფექტურია ეს პროგრამა? როგორია მოსახლეობის დამოკიდებულება? რამდენად მიზანმიმართულად იხარჯება სახელმწიფოს რესურსები? რა პრობლემებია და რა პერპექტივებია დაგეგმილი პროგრამის განვითარების შემდგომ ეტაპებზე?

საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების მიზანია, მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისათვის ფინანსური გარანტიების შექმნა და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების უზრუნველყოფა. ასევე საშუალება მისცეს ბენეფიციარებს, თავი დაცულად იგრძნონ და თანაგადახდით ან მის გარეშე, შეუზღუდავად მიიღონ სრულყოფილი სამედიცინო მომსახურება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.

ამ მიზნის მისაღწევად ბევრი ქვეყანა იყენებს სადაზღვევო დაცვის სხვადასხვა მეთოდებს, აფინანსებს კომერციულ სადაზღვევო პროგრამებს, ანვითარებს ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის პროგრამებს ან აყალიბებს საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებს.

განხილვა და დისკუსია:

საქართველოში ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამებმა წლების მანძილზე მრავალი ცვლილება განიცადა დასაყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა სამ ეტაპად უკვე განხორციელდა და ამოქმედდა მეოთხე ეტაპის დიფერენცირებული პროგრამები.

I ეტაპი - 2013 წლის 28 თებერვლიდან საქართველოში ამოქმედდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა. პროგრამის პირველი ეტაპის მიზანი იყო ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა რომელმაც ჯამში 2 300 000 ბენეფიციარი მოიცვა. საყოველთაო დაზღვევის პირველი ეტაპი 6-დან 60-წლამდე ასაკის მქონე ადამიანებისთვის იყო განსაზღვრული, რომელთაც კერძოთუ სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული დაზღვევა არ ჰქონდათ. საყოველთაო დაზღვევა პირველი ეტაპი გეგმიურამბოლატორულ მომსახურებას, გადაუდებელ ამოლატორულ და სტაციონალურ მომსახურებას ითვალისწინებდა.

II ეტაპი - 2013 წლის პირველი ივლისიდან გაფართოვდა მოსახლეობის ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა, პროგრამის ფარგლებში დაზღვეული მოსახლეობის სადაზღვევო პაკეტებს დაემატა სამედიცინო მომსახურებები და კვლევები რამაც დადებითი გავლენა მოახდინა მოსახლეობის ჯანდაცვაზე. 2014 წლის აპრილის მონაცემებით საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია საბაზისო სამედიცინო მომსახურების საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვისა თუ სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო პროგრამებით, მათ შორის დაახლოებით 3.4 მილიონი ადამიანი მოცულია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით, 560 ათასი ადამიანი ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლეა, ხოლო 546 ათასამდე პირს აქვს კერძო ან კორპორატიული დაზღვევა. ჯანდაცვის სექტორისთვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა 2013 წელს 2012 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა და 365 მლნ ლარიდან 634 მლნ ლარამდე გაიზარდა.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებულია გეგმიური და გადაუდებელი ამბოლატორიული მომსახურება, გადაუდებელი სტაციონარული მკურნალობა, გეგმიური ქირურგიული ოპერაციები და მათთან დაკავშირებული გამოკვლევები შესაბამისი ლიმიტის ფარგლებში. ცხადია დაუზღვეველი მოსახლეობის ჩართვამ სახელმწიფო პროგრამაში დადებითად იმოქმედა მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე.

პროგრამაში შედის გეგმიური ოპერაციები, რომლის წლიური ლიმიტი 15 ათასი ლარია (დაფინანსდება 70%-ით), ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობის წლიური ლიმიტი - 12 ათასი ლარი (დაფინანსდება 80%), ორსულთა პატრონაჟი და ფიზიოლოგიური მშობიარობა (500 ლარი), საჭიროების შემთხვევაში საკეისრო კვეთა (800 ლარი). პროგრამით

მოსარგებლებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კლინიკების სურვილისამებრ არჩევის საშუალებაც ეძლევათ.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ ითვალისწინებს თერაპიულ გეგმურ ჰოსპიტალიზაციას, საზღვარგარეთ მკურნალობას, სანატორიულ-კურორტულ მკურნალობას, პლასტიკურ და ესთეტიკურ ქირურგიას, სექსუალური დარღვევებისა და უშვილობის მკურნალობას, ასევე ისეთ დაავადებებს როგორც არის აივ-შიდსი, ქრონიკული ჰეპატიტი, თვითდაშავება და სხვა (ამ დაავადებების ნაწილის მკურნალობა სხვა ფონდებიდან ფინანსდება).

III ეტაპი - სადაზღვევო პროგრამის მესამე ეტაპი კი გულისხმობდა საქართველოს აბსოლუტურად ყველა მოსახლის მინიმალური პაკეტით დაზღვევას. თუმცა, იმ ადამიანებისთვის, ვისაც საშუალება აქვს კერძო სადაზღვევო კომპანიების მომსახურებით ისარგებლოს, უმჯობესი იქნება, თუ მხოლოდ სახელმწიფო დაზღვევის ხარჯზე არ დარჩებიან, რადგან სახელმწიფო გვთავაზობს საბაზო დაზღვევას, ეს დაზღვევა არ გაძლევს სიკვდილის უფლებას. რაც შეეხება მაღალ ტექნოლოგიურ სერვისებს, კვლევებს, წამლებს, ექსტრასერვისებს, ეს ყველაფერი ამ საბაზო პროგრამაში არ შედის. ბიუჯეტს არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ყველას ყველაფერი დაუფაროს. იმ ადამიანებმა, ვისაც შეუძლია რომ ისარგებლოს, მაგალითად, სამსახურებრივი, კორპორაციული დაზღვევით, ამ მომსახურებით უნდა ისარგებლონ.

IV ეტაპი - 2017 წლის პირველი მაისიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში დიფერენცირებული პაკეტები ამოქმედდა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ცვლილებები, ჯუფები და დაფინანსების პირობები: საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეებს, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 1000 ლარზე მეტია, მაგრამ წლიური შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს, არჩევანის საშუალება აქვთ, ისარგებლონ საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის შეზღუდული სერვისებით ან კერძო სადაზღვევო პაკეტით. გარდა ამისა, ამ კატეგორიაში შემავალი მოქალაქეებისთვის პროგრამის ფარგლებში, კერძო დაზღვევის პაკეტის ქონის მიუხედავად, შეუნარჩუნდათ ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა კერძოდ, ქიმიოდაპორმონოთერაპია. ასევე, მშობიარობა/საკეისრო კვეთის მომსახურება. მაღალი შემოსავლის მქონე მოქალაქეებს, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 1000 ლარზე ნაკლებია. ასევე, თვითდასაქმებულ, არარეგულარული შემოსავლის მქონე პირებს კერძო დაზღვევის ქონის მიუხედავად, შეუნარჩუნდათ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობის უფლება, თუმცა მცირედ შეზღუდული პაკეტით. ასევე, ხელმისაწვდომი რჩება ონკოლოგიური დაავადებების მართვა (ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია) და მშობიარობა/საკეისრო კვეთის მომსახურება.

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, პირებს რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000-დან 100 000-მდეა, და 6-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდებს, პედაგოგებსა და შშმ პირებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მოცულობა უცვლელად შეუნარჩუნდათ. ამასთან, მათ არ ეზღუდებათ კერძო სადაზღვევო პაკეტით სარგებლობის უფლება. მაღალი შემოსავლის მქონე მოქალაქეებს, რომელთა შემოსავალი წელიწადში 40 000 ლარს აღემატება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ვეღარ ისარგებლებენ. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სერვისების მოცულობა განისაზღვრება ინდივიდუალური (და არა ოჯახის) შემოსავლის მიხედვით. პროგრამის ფარგლებში მშობიარობა ყველა ჯგუფს უფინანსდება. ასევე, ყველა ჯგუფი დარჩა ჯანდაცვის სახელმწიფო სხვა პროგრამების (მაგ: C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, დიაბეტის მართვისა და ა.შ) მოსარგებლებად. ზაფხულიდან კი პროგრამის ბენეფიციარებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტები დაუფინანსდებათ.


სტატისტიკა და ფინანსური უზრუნველყოფა:

ჯანდაცვის სფერო მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებაა და ჯანდაცვაში დახარჯული თანხა ეკონომიკაში პირდაპირ ინვესტიციას წარმოადგენს.

2013 წელს ჯანდაცვის სამინისტროსთვის 1.8 მილიარდი ლარის დაფინანსება იყო გამოყოფილი, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების 23%-ს შეადგენდა. 2016 წლის ბიუჯეტით ჯანდაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილი დაფინანსების მოცულობა 2.9 მილიარდ ლარს შეადგენს, ხოლო 2017 წელს აღნიშნული თანხა 3.2 მილიარდ ლარამდე გაიზარდა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების 31%-ია. შესაბამისად, 2013-2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება მართლაც პრიორიტეტულ სფეროდ არის მიჩნეული. თავად სახელმწიფო ბიუჯეტს სოციალური ხასიათის ბიუჯეტსაც უწოდებენ.

გთავაზობთ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციას საქართველოს ჯანდაცვის საერთო დანახარჯების შესახებ 2012-2016 წლებში:


გრაფიკი 1: ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 2012-2016 წლებში



ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემა თავისთავად დადებით გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრების დონეზე. დაავადებათა რიცხვის შემცირება და სიკვდილიანობის დონის კლება რა თქმა უნდა დადებითი ფაქტორია და შესაბამისად, ჯანდაცვი სისტემის გაუმჯობესებისთვის გაწეული ხარჯი გარკვეული თვალსაზრისით ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციად შეიძლება განვიხილოთ.

ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის 25% (801.5 მლნლარი) ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებისთვისაა გათვალისწინებული, საიდანაც ყველაზე მეტი ხარჯი 570 მლნ (71%) საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებაზეა გამოყოფილი.

გრაფიკი 2: ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება 2012-2016 წლებში



ჯანდაცვის პროგრამებზე გამოყოფილი ხარჯების დიდი ნაწილი საყოველთაო დაზღვევის ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებაზე მიემართება. საყოველთაო დაზღვევის ჯანდაცვის პროგრამა 2013 წლიდან ამოქმედდა და თანდათანობით ჩაანაცვლა სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა. სახელმწიფო დაზღვევის პროგრამისგან განსხვავებით, რომელიც უფასო სადაზღვევო პაკეტით მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფებს უზრუნველყოფდა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობა ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ერთი შეხედვით სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას ზრდის, პროგრამის საყოველთაო ხასიათი მის ძირითად ხარვეზად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება, მოწყვლადი მოსახლეობის (მიზნობრივი ჯგუფები) მდგომარეობა არ შეცვლილა და ისინი ჯანმრთელობის დაზღვევის ანალოგიური პაკეტით სარგებლობენ. ამასთან, ჯანდაცვის ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მედიკამენტების შესყიდვაზე მოდის. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისთვის მედიკამენტების 50%-იან დაფინანსებას მხოლოდ მცირე ლიმიტის ფარგლებში (50-200 ლარამდე) ითვალისწინებს, რაც საკმარისი არ არის. ამასთან, აღნიშნული შეღავათით ისინი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებამდეც სარგებლობდნენ. პროგრამის დაფინანსების მიზნობრივი დაეფექტური ხარჯვის შემთხვევაში კი, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის მედიკამენტების დაფინანსებაც იქნებოდა შესაძლებელი. ამ ეტაპზე, საყოველთაო ჯანდაცვის სარგებელი მოსახლეობის იმ ნაწილზეც მოდის, რომელთაც კერძო დაზღვევა სახელმწიფო დაზღვევით ჩაანაცვლეს და შესაბამისად საკუთარი პირადი ხარჯები დაზოგეს.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რასაც საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ნაკლოვანებებზე საუბრისას ასახელებენ, ამ პროგრამისთვის გამოყოფილი თანხის არაეფექტური ხარჯვაა. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკურად მომგებიანი, საყოველთაო პრინციპი პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის გაჭირვებული ფენის მდგომარეობას აუარესებს. ამასთანავე, ერთი გადამხდელით დაფინანსების არაკონკურენტული სისტემა ვერ უზრუნველყოფს ხარჯების შეკავებას. სისტემის ხარვეზს წარმოადგენს საავადმყოფოების პირდაპირი გადახდის წესი, რომელსაც საოციალური მომსახურების სააგენტო ახხორციელებს. ეს ართულებს კონტროლს საავადმყოფოები დაინტერესებულნი არიან გაზარდონ მომხმარებლებისათვის ჩატარებული პროგრამით დაფინანსებული მომსახურებები, რომელთა რეალური საჭიორების შემოწმება ფაქტობრივად არ ხდება. ამ პრობლემის მოგვარება მარტივია, როდესაც სახელმწიფო აფინანსებს ჯანდაცვის სექტორს, სასურველია ეს სადაზღვევო კომპანიების გავლით მოხდეს და არა საავადმყოფოების პირდაპირი დაფინანსების წესით, ამ შემთხვევაში ეს არამხოლოდ არაეფექტური ხარჯვაა, არამედ ამით ხელს შეუწყობთ სადაზღვევო საქმიანობის განვითარებას.

რამდენიმე წლის წინ სადაზღვევო კომპანიები (მეტნაკლებად წარმატებულად) უზრუნველყოფდნენ იმას რომ სამედიცინო დაწესებულებები ზედმეტად „შემოქმედებითად“ არ მისდგომოდნენ ხარჯვას და ამ ანგარიშის წარდგენას სახელმწიფო გადამხდელისათვის, რადგან სადაზღვევო კომპანიების ინტერესს წარმოადგენდა კლინიკებისათვის ნაკლები თანხების გადახდა დღეს კი როდესაც ეს სადაზღვევო კომპანიები გამოეთიშნენ საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამას სისტემის კონტროლი გაცილებით გართულდა და სამედიცინო პროვაიდერებს მეტი თავისუფლება მიენიჭათ. რის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს სამი წლის განმავლობაში შესამჩნევად გაზრდილი მწვავე შემთხვევების რაოდენობა. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამიდან სადაზღვევო კომპანიების გამოთიშვა თავისთავად გულისხმობს სადაზღვევო ბაზრის განვითარების და გაფართოებისთვის დაბრკოლებების შექმნას.

მიუხედავად იმისა რომ 2013 წლიდან მოყოლებული განუხრელად იზრდება პროგრამისთვის გამოყოფილი დაფინანსება, რომელმაც 2016 წელს 570 მლნ. ლარს მიახწია რჩება კითხვა საკმარისია თუ არა ეს თანხა პროგრამის მიზნების განსახორციელებლად?

ექსპერტთა ნაწილის განცხადებით ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯების ზრდის მიუხედავად, საქართველო ამ კუთხით ჯერ ისევ ჩამორჩება არამარტო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციების მიერ დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს, არამედ ბევრი დაბალშემოსავლიანი ქვეყნის მაჩვენებლებსაც.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით. ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მთლიან სახელმწიფო დანახარჯებში 15%-ს მაინც უნდა შეადგენდეს საქართველოში კი, ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯების წილი სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებაში საკმაოდ დაბალია და 6.9% -ს შეადგენს. აღნიშნული თითქმის ორჯერ მცირეა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებულ მაჩვენებლებთან შედარებით და დაბალია ისეთ ქვეყნებთან შედარებითაც კი, როგორიცაა: სომხეთი(7,9%), ყაზახეთი (10,9%). უკრაინა (12.2%), ყირგიზეთი (13,2%), ბელორუსი (13.5 %). ამავე ორგანიზაციის რეკომენდაციით, ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯები ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების 40%-ზე მეტს უნდა შეადგენდეს. ქვეყნებში სადაც ეს მაჩვენებელი 40%-ზე ნაკლებია, ჯანდაცვის სექტორში არსებული მდგრადი პრობლემების გადასაჭრელად შეზღუდული შესაძლებლობა გააჩნია. საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები 29,8%-ს შეადგენს. შესაბამისად, სახელმწიფო დაფინანსების წილი მნიშვნელოვნად ჩამორჩება რეკომენდაციით გათვალისწინებულ ზღვარს, ჩამორჩება ისეთ ქვეყნებსაც, როგორიცაა სომხეთი(41.7%), ყაზახეთი (53,1%), უკრაინა (54,5%), ყირგიზეთი (59%).

მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ბევრი პროექტი განხორციელდა საქართველოში, თუმცა სასურველი შედეგის მიღწევა იმაზე რთული აღმოჩნდა ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა

დასკვნა:

არსებობს უამრავი გზა, რომლითაც ქვეყანას შეუძლია მიაღწიოს ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის საყოველთაოებას. ამ მხრივ, თითოეული ქვეყნის გამოცდილება უნიკალურია. შეიძლება ითქვას, რომ საყოველთაო მოცვის სისტემაზე გადასვლისას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია სახელმწიფოს (რეგულირება, აუცილებელი საბაზისო მომსახურების პაკეტი). უნივერსალური მოცვის მოდელები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში განსხვავებულია და ის დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, სამთავრობო პოლიტიკაზე.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა დღეისათვის მსოფლიოს 33 ქვეყანაშია გავრცელებული და კიდევ მრავალი ქვეყანა მიისწრაფვის მისი დანერგვისა და განხორციელებისკენ. აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ ცენტრალიზებულ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სისტემას აქვს ერთი მნიშვნელოვანი მინუსი, არ ყავს კონკურენტი რის გამოც არ არის შეზღუდული პირობების ცვლილებების კუთხით, ასევე გართულებულია კონტროლი ვინაიდან სამედიცინო პროვაიდერების ისევე როგორც ნებისმიერი სხვა კომერციული ორგანიზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს მაქსიმალური მოგების რაც ზრდის სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის ჯანდაცვაზე გაწეულ ხარჯებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შემთხვევაში საყოველთაო დაზღვევა არის ბაზისი და მისი განვითარება უნივერსალურობისაკენ უნდა იყოს მიმართული. უნივერსალური ჯანდაცვა ეს არის პროცესი რომელსაც თანდათან მივაღწევთ. ამისათვის საჭიროა:

1. მოსახლეობის მაქსიმალური მოცვა - პროგრამაში ჩართული მოსახლეობის გაზრდა და არა პირიქით შემცირება;

2. სერვისების ზრდა - პროგრამაში შემავალი მომსახურებების ჩამონათვალის გაზრდა, მათ შორის, სამკურნალო რეაბილიტაციისათვის საჭირო სავალდებულო პროცედურების დამატება.

3. მედიკამენტებით უზრუნველყოფა - მიუხედავად მისა, რომ პროგრამის მიზანს მოსახლეობისთვის სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა წარმოადგენს, მოსახლეობის მოწყვლადი ნაწილისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა, კვლავ

პრობლემად რჩება. აღნიშნული პრობლემის მოგვარება პროგრამისთვის გამოყოფილი და ფინანსების მიზნობრივი და ეფექტური ხარჯვით არის შესაძლებელი.

საქართველოსთვის საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა ახალ სისტემას წარმოადგენს, რომელიც უნდა დაიხვეწოს განხორციელების პროცესში რადგან ყველაფრის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში საქართველოში არსებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა გახდება მაგალითი მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება № 36 საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ. თბილისი. 2013 წლის 21 თებერვალი.
2. პრესრელიზი საყოველთაო ჯანდაცვის ერთი წლის შედეგების შეფასება. ჯანდაცვის სამინისტრო, 2014, 2015, 2016 წწ.
3. www.moh.gov.ge
4. www.insurance.gov.ge
5. www.nbg.gov.ge
6. www.mof.gov.ge

Davit Tchiotashvili

Gori State Teaching University, Gori

Development of Universal Healthcare Assurance, Financial Support and Problems in Georgia

Abstract

The fundamental aim of the financial science and the state itself is to raise the well-being of society and one of the most important factor in achieving this is the global health and social security of its own population. but the problem is that neither the state can provide global health care for its own population and the disruptive market will provide global insurance protection.

A total of 32 countries offered universal health care in the world. Georgia became the 33rd country, which has established a state health insurance program, which is a major step towards global health care and global insurance protection.

Key words: universal healthcare, financial support, well-being of society

საკვანძო სიტყვები: საყოველთაო ჯანდაცვა, ფინანსური მხარდაჭერა, საზოგადოების კეთილდღეობა

ნინო ჭუმბურიძე, თამარ ჭუმბურიძე

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

„მეტყველი“ საკუთარი სახელები გრიმების ზღაპრების ქართულ თარგმანებში

ცნობილია, რომ მხატვრული ტექსტის თარგმნისას მთავარ სირთულეს წარმოადგენს არა ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა, არამედ სათარგმნი ტექსტის სტილის, განწყობის, ხასიათის დაცვა. მთარგმნელთათვის განსაკუთრებით ძნელია ორიგინალისეული იუმორის, სიტყვათა თამაშის, ორაზროვანი გამოთქმების გადმოტანა სათარგმნ ენაზე. ასევე რთულია

პერსონაჟთა გამოგონილი, ე. წ. „მეტყველი“ საკუთარი სახელების თარგმნა, რომლებსაც ტექსტში განსაკუთრებული ფუნქცია აკისრიათ.

„მეტყველი“ სახელები ხშირია ზოგიერთი ხასიათის ტექსტში, კერძოდ, ზღაპრებში, საბავშვო ისტორიებში. ისინი უმეტეს შემთხვევაში ოკაზიონალიზმებია და გამოიყენება სიტყვის ეკონომიის მიზნით, კომიზმის, ირონიის, ხატოვანებისა და ექსპრესიულობის გამოსახატავად (Daniela-Elena Vladu. 957).

ეს სახელები ზღაპრის გმირების თავისებურებებზე ამახვილებენ ყურადღებას და მათ ხასიათს წარმოაჩენენ, მაგრამ მათ გასააზრებლად აუცილებელია კონტექსტის ცოდნა. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ქართული ხალხური ზღაპრების პერსონაჟთა სახელები: ასფურცელა, ხუთკუნჭულა, სიზმარა, მუჟანახევარა.

„მეტყველი“ სახელები ხშირად ფორმოზრივი და აკუსტიკური თავისებურებებითაც ხასიათდება, რაც მეტ ექსპრესიულობას ანიჭებს მათ და კომიკურ, იუმორისტულ ელფერსაც აძლევს.

ბუნებრივია, მხატვრული ტექსტის თარგმნისას ამ სახელების შესატყვისის მიგნება მთარგმნელთაგან დიდ ენობრივ ალღოსა და ძალისხმევას მოითხოვს: ერთი მხრივ, წარმოჩენილი უნდა იყოს ის თვისება, რომელიც პერსონაჟის არსებით თავისებურებას წარმოადგენს და, მეორე მხრივ, არ უნდა დაიკარგოს ამ სახელისათვის დამახასიათებელი ექსპრესიულობა.

საინტერესოა, როგორ ახერხებს ამ სირთულის დაძლევას ცნობილი მწერალი დავით წერედიანი გრიმების ზღაპრების ქართულად თარგმნისას. ამ ზღაპრებში ბევრია გამოგონილი საკუთარი სახელი, რომლებიც გამოირჩევა თავისებური ბგერწერით, აგებულებით, ხატოვანებითა და კომიზმით. მათი გადმოქართულებისას მთარგმნელი საჭიროების მიხედვით მიმართავს სხვადასხვა ენობრივ საშუალებას: კომპოზიციას, დერივაციას, ბგერწერას და ქმნის მხატვრული და სტილისტური თვალსაზრისით ზუსტ შესატყვისებს.

ერთ-ერთი ზღაპრის პერსონაჟთა სახელები გერმანულ დედანში არის: Ferenand getrü, Ferenand ungetrü (Grimms Märchen. II. 103; შემდეგში მითითებული იქნება მხოლოდ ტომი და გვერდი). ზღაპრის გმირებს ერთი და იგივე საკუთარი სახელი ჰქვიათ და განსხვავებული ბუნება აქვთ. getrü (ერთგული) და ungetrü (არაერთგული/ორგული) ანტონიმებია. უარყოფითი თვისების გამომხატველი ungetrü უქონლობის უი აფიქსიტაა ნაწარმოები. სწორედ იმის გამო, რომ მსაზღვრელებად გამოყენებულია საერთო ფუძის მქონე, ფორმის თვალსაზრისით მხოლოდ მაწარმოებლით განსხვავებული, ლექსიკური მნიშვნელობით კი საპირისპირო თვისებების გამომხატველი ზედსართავები, ეს სახელები ექსპრესიულობას, ხატოვანებას იძენს. დ. წერედიანის თარგმანში მათ შესატყვისად გვაქვს ასევე ერთი ფუძისაგან ნაწარმოები და ექსპრესიულობით გამორჩეული „მეტყველი“ სახელები: **ფერენანდ უღალატო და ფერენანდ ღალატანი** (ძმები გრიმები. III. 143.). ზედსართავი სახელი **უღალატო** ძირითადად მყარ შესიტყვებებში გამოიყენება: უღალატო კაცი, უღალატო მეგობარი; **ღალატანი** კი მხოლოდ მხატვრულ, პოეტურ ტექსტებში გვხვდება (შეიძლება გავიხსენოთ: „ვეგმოზ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა“, „ვეფხისტყაოსანი“; „არ იყოს ღალატიანი“, ვაჟა, „ბახტრიონი“). ასე რომ, ამ ზედსართავი სახელების მსაზღვრელად გამოყენება პერსონაჟთა საკუთარ სახელებთან სწორედ იმ ეფექტს ქმნის, რაც ზღაპრის გერმანულ ორიგინალში გვაქვს.

ზოგჯერ მთარგმნელი დერივაციული აფიქსის საშუალებით თვითონ აწარმოებს ოკაზიონალურ ფორმებს. ერთ-ერთი ასეთი ლექსიკური ერთეულია **მოგზაშარავე** ზღაპრიდან „ორი მოგზაშარავე“ (III. 55). გერმანულად ზღაპარს ჰქვია „Die beiden Wanderer“ (II. 38). Wanderer მოხეტიალეს ნიშნავს, მაგრამ უფრო ექსპრესიული და ხატოვანია **მოგზაშარავე**. ეს სახელი მო-ე კონფიქსიტაა ნაწარმოები (შდრ.: მოყიალე, მოხეტიალე). საინტერესოა, რომ ზმნური ფუძე **დაგზაშარაობს**, რომლისაგანაც არის ნაწარმოები ეს მიმღეობა, თავის მხრივ, ნასახელარია და დ. წერედიანსვე აქვს გამოყენებული ერთ-ერთ პოეტურ ტექსტში: „**დაგზაშარაობ**, დადიხარ სტვენით, საქმე კი, ვაგლახ, აღარ

ესწრება“ (ქეგლ). ეს ფორმა რომელიმე სხვა ავტორთან ვერ დავადასტურეთ და ვფიქრობთ, მწერლის ოკაზიონალიზმია.

ახალ სიტყვებს ქმნის დ. წერედიანი სხვა შემთხვევაშიც. ასეთია რედუპლიცირებული ფუძით წარმოქმნილი სახელი **ფართალ-ფურთალა** (II. 48). იგი შინაარსით საკმაოდ განსხვავდება გერმანული შესატყვისისაგან - Rumpelstilzchen (I. 220). ამ კომპოზიციის პირველი კომპონენტი - rumpeln „ხმაურს“ ნიშნავს, მეორე კომპონენტი კი კნინობითი ფორმის სახელისა Stülz და ნიშნავს „კოჭლობით მოსიარულეს“. Rumpelstilzchen არის ხმაურიანი, კოჭლობით მოსიარულე. პერსონაჟი, რომელსაც ასე ჰქვია, უცნაური კაცუნაა. იგი დაეხმარება მეწისქვილის ღარიბ ქალიშვილს მეფის დავალების შესრულებაში, ჯარაზე ჩალას დაართავს და ოქროდ აქცევს. სწორედ ამით არის მოტივირებული დ. წერედიანის მიერ მოფიქრებული სახელი ზღაპრის ქართული ვერსიისათვის: **ფართალ-ფურთალა**. ის **ფართალ** („საფეიქრო ნაწარმი“) ფუძის რედუპლიკაციით, ფუძისეული ხმოვნის შეცვლითა და -ა სუფიქსის დართვით არის წარმოქმნილი. ფუძის გაორკეცება, რასაც ახლავს ერთ-ერთი ნაწილის ფონეტიკური ცვლილება, სახელთა წარმოქმნის საკმაოდ გავრცელებული საშუალებაა ქართულში. ეს საშუალება უმეტესად გამოყენებულია დამცირებით-კნინობითი სახელების წარმოსაქმნელად: **ბიჭბუჭები**, **აჩლაჩურლ-ა** („ჩანჩურა“; ქართლური დიალექტის ლექსიკონი), **ანხლახუნხლ-ა** („არეულ-დარეული“ იქვე)... სწორედ ეს საშუალება გამოიყენა მთარგმნელმა საჭირო ოკაზიონალიზმის შესაქმნელად.

„მეტყველ“ სახელებად ხშირად არის გამოყენებული კომპოზიტები. ერთ-ერთი პერსონაჟის სახელია Allerleirauh (I. 272), რაც ნიშნავს ყველანაირი ბეწვის მქონეს. ამ შინაარსის გადმოსაცემად დ. წერედიანი ქმნის მოხდენილ და ხატოვან სახელს **ნაირბეწვა** (II. 113). სიტყვა **ნაირი** ჩვეულებრივ ცალკე არ გვხვდება, გავრცელებულია გაორკეცებული სახით: **ნაირნაირი**, თუმცა მხატვრულ ლიტერატურაში დადასტურებულია მისი გამოყენების ცალკეული შემთხვევებიც: ნაირად მორთული, ნაირ აღმასებად დაიმსხვრა... (ქეგლ). ეს ფუძე, ა. შანიძის აზრით, არაბულიდან უნდა იყოს შემოსული (ნაზირ - „შესახედავი“, „მსგავსი“, ა. შანიძე. 118). ბევრია კომპოზი, რომელთა ერთ-ერთ კომპონენტსაც ეს ნასესხები ფუძე წარმოადგენს: სხვადასხვანაირი, მრავალნაირი, ბევრნაირი, ერთნაირი, ნაირბალახიანი, ნაირგვაროვანი, ნაირსახეობა... მათი ანალოგიით ქმნის მთარგმნელი სახელს **ნაირბეწვა**, რომელშიც მქონებლობის -იან ან -ოვან სუფიქსის ნაცვლად უფრო მოკლე და საკუთარი სახელისათვის უფრო მოსახერხებელი -ა სუფიქსია გამოყენებული.

დ. წერედიანის მიერ შექმნილი კომპოზიტი-ოკაზიონალიზმია აგრეთვე **ჩიტნაპოვნა** (II. 23). ის გერმანული სახელის Fundevogel (I. 200) ზუსტი შესატყვისია. ასე დაარქვეს დიდი ფრინველის მიერ მოტაცებულ ბავშვს, რომელიც ტყის მცველმა ერთ მაღალ ხეზე იპოვა. ეს სახელი მთარგმნელმა შექმნა იმ კომპოზიტების ანალოგიით, რომლებიც სახელისა და ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის შერწყმით არის მიღებული: გულნატკენი, ხელნაკეთი, თვითნასწავლი, თავისნათქვამა („ადამიანი, რომელიც თავის ნათქვამს არ გადათქვამს“. ქეგლ).

ერთ-ერთი ხატოვანი და ექსპრესიული სახელია **ჰანსლ-მემორინე** (II, 170) - De Spilhansl (I. 315); ეს სახელი შეიძლება ასე თარგმნილიყო: მოთამაშე ჰანსლი, მაგრამ დ. წერედიანი უფრო კონკრეტულ და ზუსტ სიტყვას არჩევს. **მემორინე** სიტყვის მნიშვნელობა სრულიად ნათელია. ამავე დროს იგი აკუსტიკურად გამორჩეული სიტყვაა და უფრო ექსპრესიულია. ის არ არის აქტიური ლექსიკური ერთეული და არ არის შეტანილი ქეგლ-ში, თუმცა გვხვდება ლიტერატურულ ტექტებში (მაგ., ფ. დოსტოევსკის რომანის სათაური „Ирок“ ნათარგმნია როგორც **მემორინე**, მთარგმნელი - ა. ნაგებავილი).

კომპოზიციითა და -ა სუფიქსის დართვით არის წარმოქმნილი პერსონაჟთა მეტყველი სახელები: **გოჯა-ბიჭი** (I. 191) - Daumesdick (I. 156), **ლომჩიტა** (II. 194) - Loweneckerchen (I. 332), **მხალყავილა** (I. 67) - Rapunzel (I. 59), **დათვისტყავა** (III. 35) - Der Bärenhäuter (II. 22).

ზოგჯერ გერმანულ ზღაპარში პერსონაჟის მეტყველი სახელი კომპოზიტით არ არის წარმოდგენილი, დ. წერედიანი კი კომპოზიტს არჩევს: **ყურმახვილ-ა** (III. 183) - Horcher (II. 134); **ოქროგორელი** ხელმწიფე (II. 220) - Der König vom goldenen Berg (I. 345); **მხალყავილა** (I.

61) - Rapunzel (I. 59); **თავისგუნება** მესაკრავე (I. 47) – Der wunderliche Spielmann (I. 45); **მბტუნავ-მოგალობე ლომჩიტა** (II. 194) – Das singende, springende Löweneckerchen (I. 332).

ზოგჯერ კი პირიქით ხდება: გერმანულ ზღაპარში კომპოზიტი საკუთარ სახელად, თარგმანში კი ნაწარმოები სახელი ან სინტაგმა გვაქვს: **ნაცრისა** (I. 118) – Aschenputtel (I. 100); **ფიფქია** (II. 32) – Sneewitchen (I. 207); **ეკლნარის ვარდი** (II. 18) – Dornröschen (I. 197); **კურდღლის საცოლე** (II. 119) – Hänschenbraut (I. 227); **ყმაწვილი დეკაცი** (II. 207) – Dat Erdmänneken (I. 350); **ყოვლის შემეტყობარი დოქტორი** (III. 20) – Doktor Allwissend (II. 13).

რასაკვირველია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მთარგმნელი იმ საშუალებას იყენებს, რომელიც უფრო გამართლებულია მხატვრული და სტილისტური თვალსაზრისით და მისი მიზანი არ არის, კომპოზიტი კომპოზიტითვე გადმოიტანოს თარგმანში, ან შესიტყვება - შესიტყვებით. ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანეთ, რომ გერმანული მეტყველი სახელებისა და მათი ქართული შესატყვისების შედარებისას კარგად ჩანს ენაში არსებული პოტენცია და ამ ტიპის სახელთა წარმოქმნის ენობრივი საშუალებები.

ზოგი საკუთარი სახელი ბგერწერულია, რაც კიდევ უფრო ართულებს შესაფერისი სახელის მოძებნას. ამ ტიპის სახელები ზოგ ქართველ თუ უცხოელ მთარგმნელს უცვლელად გადააქვს სათარგმნ ენაზე, დ. წერედიანი კი მხოლოდ თითქმის ყოველთვის არჩევს ქართულ შესატყვისს. ამის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ **ქალბატონი ზუზუნა** (I. 130) - Frau Holle (I. 110) და **ბაქ ბუქ ხვეტია** (III. 171) - Pif Paf Poltrie (II. 125).

პერსონაჟის სახელი Holle გერმანული მითოლოგიიდან ცნობილ დედამიწისა და ბუნების ღვთაებას უკავშირდება, რომელიც სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი (ჰულდე, ჰოლთი, ჰოლა...). გრიმების ზღაპარში ის ჯადოქარია, რომელიც როცა ქვეშაგებს ბერტყავს, დედამიწაზე თოვს. ქართულ თარგმანში ამ პერსონაჟის სახელად **ზუზუნას** შერჩევა, ერთი მხრივ, მის მკაცრ ხასიათზე მიგვანიშნებს, მეორე მხრივ კი, ბუნებასთან მისი კავშირის გამომხატველია (მდრ.: Der Wind heult – ქარი ზუზუნებს).

რაც შეეხება მეორე ბგერწერულ სახელს - Pif Paf Poltrie, სხვა ენებზე ის ხშირად უცვლელად გადააქვთ, მაგრამ დ. წერედიანი მასაც ქართულ შესატყვისს უძებნის: **ბაქ ბუქ ხვეტია**. ეს იმ პერსონაჟის სახელია, რომელიც ბევრს ბაქიაობს და თავის მოსაწონებელი კი არაფერი აქვს. ეს კომპოზიტი თითქოს კონტამინაციაა „ბაქიბუქასა“ და „შარახვეტისა“ და კარგად გამოხატავს ამ პერსონაჟის ხასიათს. ზღაპარში გადმოცემულია დიალოგი ბაქ ბუქ ხვეტიასა და მის მიერ საცოლედ შერჩეული ქალიშვილის მამას შორის და გამარჯვებულია მედიდური და თავმომწონე ადამიანები. ზღაპრის გმირებს თავი მოაქვთ თავიანთი საქმიანობითა და ქონებით, თუმცა ხელმოკლე გლეხები არიან. კომიკურია მათი საკუთარი სახელებიც, ესენია:

ძამიკო ყინჩაფხორია (III, 171) – der Bruder Hohenstolz (II. 125). სახელი Hohenstolz კომპოზიტი. მისი პირველი ნაწილი ნიშნავს მაღალს, ხოლო მეორე – ამაყს. ამ სახელის ზუსტი შესატყვისია დ. წერედიანის მიერ შექმნილი კომპოზიტი **ყინჩაფხორია**, რომელიც სახელების: **გაყინჩული**, **გაფხორილი** ფუძეთა შერწყმით არის მიღებული და ზუსტად გამოხატავს პერსონაჟის ხასიათს.

დედილო ფურიწველია (III, 171) - Mutter Melkuh (II, 125); Melkuh კომპოზიტი, რომლის პირველი კომპონენტი წველა ზმნის საწყისია, მეორე ფუძე კი აღნიშნავს ძროხას, ფურს. **ფურიწველია** გერმანული სახელის ზუსტი შესატყვისია როგორც ლექსიკურად, ისე მხატვრული თვალსაზრისით.

ლექსიკური თვალსაზრისით დედნისეული სახელისაგან ცოტათი განსხვავებულია სახელი **ხაჭოლამაზა** (III, 171) – Käsetrau (II, 125). ამ კომპოზიტის პირველი კომპონენტით, ისევე როგორც გერმანული სახელით, გამოხატულია პერსონაჟის საქმიანობა: ხაჭოს მომზადება (დედანში – ყველის ამოყვანა), მეორე კომპონენტი კი – **ლამაზა** ქართველი მთარგმნელის მიერ არის მიმატებული, რითაც სახელი უფრო მეტ კომიკურობას იძენს.

ამჯერად ჩვენ მხოლოდ ერთი ნაწილი წარმოვადგინეთ იმ მეტყველი საკუთარი სახელებისა, რომლებიც გრიმების ზღაპრებში გვხვდება, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ ნიმუშებითაც აშკარაა ის სირთულე, რაც ასეთი სახელების თარგმანს ახლავს. გერმანული „მეტყველი“

სახელების ქართული შესატყვისები დიდი ოსტატობით არის შერჩეული დავით წერედიანის მიერ. იგი იყენებს სახელთა წარმოქმნის იმ მრავალფეროვან შესაძლებლობებს, რომლებიც ჩვენს ენაში გვაქვს და ისეთივე მხატვრულ ეფექტს ქმნის, რაც დედნისათვის არის დამახასიათებელი.

ლიტერატურა:

ქართლური დიალექტის ლექსიკონი (1981): შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე. „მეცნიერება“. თბილისი.

ქეგლ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ). რვატომეული. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი.

შანიძე ა.გ. (1980): ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. შრომები. III. თსუ გამომცემლობა. თბილისი.

ძმები გრიმები (1992) : ზღაპრები სამ ტომად. „მარიხი“. თბილისი.

Grimms Märchen (1980): Kinder- und Hausmärchen. Aufbau-verlag Berlin und Weimar. B. I-II.

Daniela-Elena Vladu (2013): Sprechende Namen in deutschen und rumänischen Märchen. Oliviu Felecan (ed.). http://onomasticafelecan.ro/iconn2/proceedings/8_09_Vladu_Daniela-Elena_ICONN_2.pdf

<http://www.maerchenapfel.de/frau-holle/interpretation.html>

Nino Tchumburidze, Tamar Tchumburidze
Arnold Chikobava Institute of Linguistics, Tbilisi

Personal Names of the Characters in Georgian Translation of the Grimms' Fairy Tales

Abstract

It is known that the main difficulty in translating of a fiction text is not communication of the content of the work, but preservation of the style, attitude, and character of the text to be translated. It is very difficult for translators to keep word play, ambiguous expressions, humor of the original text in the language of translation. To the certain difficulties is related translation of the characters' "expressive" personal names/charactonyms, which we meet in the fairy tales of the Grimm brothers. When these personal names are being translated, on the one hand, the characteristic feature of the character should be expressed, and on the other hand, should not be lost their expressiveness and humor. The paper examines the equivalents of these names according to the translations, performed by David Tserediani. During their translation into Georgian, the translator uses various possibilities: onomatopoeia, derivation, dialecticisms etc. In the work are shown, on one hand, the difficulties, occurring during translating and, on the other hand, the language potential and possibilities, David Tserediani has used.

საკვანძო სიტყვები: საკუთარი სახელები, ზღაპრები, თარგმანი, ოკაზიონალიზმი, ექსპრესიულობა
Keywords: personal names, translation, occasionalism, fairy tale, expressiveness.

სასუფეველის საკითხი სულხა-საბა ორბელიანის „სწავლანში“

„ესე არს სამყოფი ანგელოზთა, სადა აწ წმინდანი არიან წინაშე ღმრთისა; ანგელოზთ ადგილი; არს სასუფეველისა სიმგრგვლე ათი ათას ... ბევრის ბევრი ... ეჟი“ (მეტრეველი, ქურციკიძე, 1993, 56) – ასე განმარტავს მწერალი სასუფეველს თავის „სიტყვის კონაში“.

სასუფეველის მოტივი „სწავლანში“ ამა თუ იმ სახით თითქმის ყველა ქადაგებაში ჩანს. საგანგებოდ მიძღვნილი ჰომილიაა „სწავლა სასუფეველისა დიდებისათვის“, რომელიც აღდგომის შემდგომაა წარმოთქმული.

სასუფეველი არის უზენაესის მიერ ბოძებული წყალობა, უმთავრესი ღირებულება, რომელიც მოიპოვება ყოველივე იმის ფასად, რაც ადამიანს გააჩნია: „ცათა სასუფეველი წააგავს განძს, მინდორში დაფარულს, რომელსაც იპოვის კაცი და დამალავს, სიხარულით მიდის და ყიდის ყოველივეს, რაც აბადია და ყიდულობს იმ მინდორს. კიდევ: ცათა სასუფეველი წააგავს ვაჭარს, რომელიც ლამაზ მარგალიტებს ეძებს, როდესაც იპოვის ერთ ძვირფას მარგალიტს, წავა, გაყიდის ყოველივეს, რაც აბადია და იყიდის მას“ (მათე, 13;44).

სასუფეველის დასამკვიდრებლად გარკვეული პირობების აღსრულებაა აუცილებელი. ღმერთი ადამიანს ანიჭებს მადლს, წყალობას, „კეთილს“, კარგს, რაც ადამიანის მხრიდან უპასუხოდ არ უნდა დარჩეს. ქვეყანა ღვთის მიერაა შექმნილი, უზენაესი გონის და ნების გამოვლინებაა და ამდენად, შეუძლებელია, უკეთური იყოს.

„გააჩინა ღმერთმა ორი მთავარი მნათობი ... დასხა ისინი ღმერთმა ცის მყარზე, რომ გაენათებინათ მიწა, განეგოთ დღე და ღამე, გაეყარათ ნათელი და ბნელი, დაინახა ღმერთმა, რომ **კარგი** იყო“ (დაბ.1.16, 1.18).

„შექმნა ღმერთმა დიდი თევზები და ყოველი სულდგმული, მცურავი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით, რაც კი წყალში ფუთფუთებს, და ყველა ფრთოსანი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით დაინახა ღმერთმა, რომ **კარგი** იყო“ (დაბ. 1,21).

„გააჩინა ღმერთმა ნადირი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით, საქონელი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით და ქვემძრომი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით. დაინახა ღმერთმა, რომ **კარგი** იყო“. (დაბ.1.25).

უფალმა ქვეყანა „**კარგად**“ და „**კეთილად**“ შექმნა.

ზირაქის სიბრძნეში ნათქვამია: „შემდგომ ამისა უფალმა მიწას გადმოხედა და აღავსო იგი თავისი **სიკეთით**“ (სიბრძ. ზირ. 16.29).

დავითის ფსალმუნში ვკითხულობთ: „რადგან სიცოცხლეზე მეტია შენი წყალობა, ჩემი ბაგენი გაქებენ შენ“ (ფს. 62. 4). „ნეტარ არს, ვისაც ამოარჩევ და დაიახლოებ, რომ იცხოვროს შენს ეზოში, გავძლებით შენი სახელის სიკეთით, წმიდაა შენი ტაძარი“ (ფს.64. 5). „კეთილად გაიხსენე ქვეყანა და მორწყე, დიდად გაამდიდრე იგი; ნაკადი ღმერთისა სავსეა წყლით, მოამზადე მათი პური, რადგან ასე წარმართე იგი.

მის კვლებს არწყულებ, ასწორებ მის ბელტებს, ჟუჟუნა წვიმით ალბობ, მის აღმონაცენს აკურთხებ. გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევადან წვეთავს სიმსუქნე. წვეთავენ უდაბნოს სამოვრებზე და ქედები ლხინით შეიმოსებიან. სამოვრები ცხვრით აივსებიან და დაბლობები მარცვლეულით დაიფარებიან, ილაღადებენ და იმღერებენ“ (ფს. 64. 10-14).

აი, ასე საოცრად მოწესრიგებულია უფლის მიერ შექმნილთა ერთობლიობა. სწორედ ამ მთლიანობაში, ჰარმონიაში უნდა შევიცნოთ და დავინახოთ ღმერთის ნება და ყოვლისშემძლეობა.

სოფელი ადამიანის „მოსახმარად და სასიხარულოდ“ (თვარაძე, 1985, 70) არის შექმნილი. თვით ეკლესიასტე აღიარებს, რომ „ტკბილია სინათლე და საამურია

თვალთათვის მზის ჭკრეტა“ (ეკლ. 11. 7). ეს თვალსაზრისი გასდევს „ძველ აღთქმას“ და ასევე, მემკვიდრეობით გადაეცემა „ახალ აღთქმასაც“.

სასუფეველის მამიებელმა უნდა გასცეს ყოველი მონაგები (მათე 13.44). უნდა გააჩნდეს თანაღმობა მოყვასისადმი, იყოს მუდამ მისთვის უანგარო მსახურებისთვის გამზადებული და აღასრულოს ზეციური მამის ნება. საამისოდ, უპირველეს ყოვლისა, „აუცილებელია მოქცევა, ახალი დაბადება, რომლის გარეშეც შეუძლებელია ზეციური სასუფეველის ხილვა, „უკუეთუ ვინმე არა იშვების მეორედ, ვერ ჰელეწიფების ხილვად სასუფეველი ცათა (ი.3.3)“ (კალანდარიშვილი, 2005, 107).

სულხან-საბა ქადაგებაში „სწავლა საუკუნესა ზედა შიშისა“ წერს: „ორნი საუკუნონი არიან: საუკუნო დიდება და საუკუნო სატანჯველი ... უკეთუ კეთილი რამე უქმნიეს, საუკუნო ნეტარება მიეცემის და ბოროტისა მოქმედსა – საუკუნო ტანჯვა“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, 57). ე.ი. ადამიანს გააჩნია თავისუფალი ნება და არჩევანის უფლება, რომლის შესაბამისად ის ან ღვთიურ მარადისობას ეზიარება და ან დარჩება მის გარეშე, მიეახლება ჯოჯოხეთს.

„სოფლის“ და „ზემთასოფლის“ თემა საკმაოდ გავრცელებული იყო მე-17, მე-18 საუკუნეებში. წუთისოფლის სიმუხთლე ჩანს თეიმურაზის, არჩილის, ვახტანგ VI-ის ნაწარმოებებში. დ. გურამიშვილი ქვეყანას თავს დატეხილ უბედურებას „მკვიდრ სამეფოსთან“ განშორებას და წუთის, ანუ დროის საზღვრებში მოქცეული სამყაროსადმი სწრაფვას აბრალებს.

სულხან-საბა ორბელიანი ეყრდნობა როგორც ეკლესიის მამათა ნააზრევს და საღვთო წერილს, ასევე მის „სწავლანში“ ჩანს საერო მწერლობის ტრადიციებიც. საოცარი მხატვრული ოსტატობით ჩამოყალიბებულ გააზრებას იგი ქადაგებათა ფორმით გამოთქვამს.

ამქვეყნიური კეთილდღეობა, მწერლის აზრით, არ არის ხანგრძლივი. ის წააგავს სიზმარში ნანახ სიმდიდრეს პატიმარი კაცისა, რომელიც გამოღვიძებისთანავე აღმოაჩენს, რომ ჯაჭვითაა შებორკილი. საწუთროს საპირისპიროდ კი მარადიული და მკვიდრია სასუფეველი.

„გულისხმა-ყავით, ვითარ სანატრელ არს ადგილი უფლისა და სახლი ღმრთისა“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, 164). „სახლი მამამთავართა“, „სადგური“, „სავანე“, - ასეთი ეპითეტებით იხსენიებს ავტორი სასუფეველს. გავიხსენოთ ფსალმუნის სიტყვები: „ნეტარ არიან, რომელნი დამკვიდრებულნი არიან სახლსა შენსა“.

უფლის სახლს დედამიწაზე ეკლესია წარმოადგენს, რომელიც სასუფეველის სახეა, „სამოთხე სახე არს ეკლესიისა“. ეკლესია სუფევის დამამკვიდრებელია. აქ ჩანს იოანეს სახარების გამოძახილი: „მამაჩემის სახლში ბევრია სავანეა. ასე რომ არ იყოს, არ გეტყოდით. მე მივდივარ, რათა ადგილი მოგიმზადოთ. როდესაც წავალ და ადგილს მოგიმზადებთ, ისევ მოვალ და ჩემთან წაგიყვანთ“ (იოანე 14. 2-3). მაცხოვარი ჰპირდება მოციქულთ, რომ დაამკვიდრებს ადგილზე, სადაც „ბევრი სავანეა“. ამ სახლის მაშენებელი თვით უფალია, ქრისტე კი გზას უკვალავს ადამიანებს მასში შესასვლელად. ზეციური მამის სახლი, ანუ სასუფეველი არ იქნება შორს მათთვის, ვინც შეინარჩუნებს რწმენას და ეცდება ღვთისმისგავსებულობას.

შესაძლოა, მკითხველს გაუჭირდეს ღვთის სახლის წარმოდგენა. სულხან-საბა კი ეხმარება მას, რათა ცხადი გახდეს, თუ როგორია ზეციური იერუსალიმი.

„ცარგვალი დიდია, ვრცელი და ფართო, მაგრამ სასუფეველი მას აღემატება“. საბა კონკრეტული რეალობის მოხმობის საშუალებით ცხადს ხდის თითქოსდა წარმოუდგენელს: „განიხილენ სიდიდე გარემოს ცათასა სასუფეველისა, ვითარი სიფართოე ყოფად მისსა არიედ, რომელ აღშენებულ არიან ქალაქნი ღმრთისანი, ზეცისა იერუსალიმნი, უმჯობესნი ყოველთა ქალაქთა მსოფლიოთ განხრწნადთა მეფეთათა, სადა მყოფობენ კაცნი წმინდანი და ანგელოზნი ღმრთისანი“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, 165).

სულხან-საბა განაგრძობს ზეციური იერუსალიმის აღწერას, რაც „ახალი აღთქმის“ ტრადიციაზეა დამყარებული. ავტორის მიერ გამოყენებული სახეები ეფუძნება იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადებას“. აქ ვხვდებით ანალოგიურ გრძნობად - კონკრეტულ

სახეებს. ღვთის ქალაქი გაზომილია როგორც მიწიერი, ადამიანური, ასევე ანგელოზებრივი საზომით: „კაცის საზომით, რომელიც ანგელოზისაა“ (გამ. 22.17) და „შეადგენს ას ორმოცდაათს წყრთას“ (გამ. 22. 17). სულხან-საბა კი გვამცნობს: „რაოდენისა ათასისა ბევრისა ეჯითა უდიდეს არს სრულიად ქვეყანათასა, და განიხილენ სიდიდე გარემოს ცათასა სასუფეველისა, ვითარი სიფართოე ყოფად მისსა არიედ“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, 165).

ზეციური იერუსალიმის გალავანი და კარიბჭე პატიოსანი თვალებითაა შემკული. აქ ვხედავთ თორმეტ საკრალურ თვალს: იასპი, საფირონი, ქალკედონი, ზურმუხტი, სარდონიქსი, სარდიონი, ქრიზოლითი, ბივრილი, ტოპაზი, ქრისოპრასი, იაკინთი, ამეთვისტო. თორმეტ კარიბჭეს ამდენივე მარგალიტი ამშვენებს. ქალაქის ქუჩა სუფთა ოქროა, ქალაქს არ სჭირდება არც მზე და არც მთვარე, რადგან „ღვთის დიდებამ გაანათა იგი“ (გამ. 22. 23). საბას მოთხრობილი ზუსტად ეხმიანება იოანეს აპოკალიფსურ ხედვას: „სახლთა აქვენ ზღუდენი იაგუნდთანი და იატაკნი ზურმუხტისანი, კედელნი ანთრაკისანი და სართულნი ალმასისანი - სადა წალკოტთა ყვავილნი, ლალთა და მარგალიტთანი არა დამოცვივანი“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, 165).

სასუფეველი სიკეთის, სიხარულის, ღვინის, სიყვარულის, მშვიდობის, დაუღუპელი, მოუკლებელი დიდების განსახიერებაა. ბოროტება, შუღლი, ურვა, ჭირი, სამუდამოდაა დათრგუნული. ზეციური იერუსალიმის დამკვიდრებით კი ტანჯვა სიხარულით შეიცვლება, სნეულება – სიმრთელით და სიძულვილი – სიყვარულით: „სადა არა არს ზრუნვა, მოწყენა, დაღრეჯა, არამედ მუნ არს ღვინი გულთა, განცხრომა გონებათა, სადა არა არს ჭირი, ურვა, სულთქმა, პყრობილება, არამედ შვება, უფლება, მეუფება, თავისუფლება, სადა არა არს შური, შუღლი, ცემა, გინება, სნეულება, კვნესა, წყლულება, დაკოდა, სიკვდილი და წარწყმედა, არამედ სიმრთელე, სიხარული, სიყვარული მშვიდობა, მეუდროება“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, 165).

როდესაც აღსრულდება ღვთის და ადამიანის გაერთიანება, ანუ ნათლისღება, მაშინ ქრისტიანები ზეციურ იერუსალიმს მიუახლოვდებიან, ხოლო მაცხოვრის მეორედ მოსვლის ქამს სასუფეველის საბოლოო დამკვიდრება მოხდება.

როგორც აღინიშნა, ეკლესია სიმბოლოა სასუფეველისა. ტაძარი, როგორც ღვთის სახლი, თავისი არსით უკვე ესთეტიკურ ფენომენს წარმოადგენს. ტაძრული ცნობიერება, ანუ ეკლესიური ცხოვრების წესი ადამიანმა ყოველდღიურობაში უნდა გამოავლინოს, მისთვის საარსებო აუცილებლობა, სულის მოთხოვნილება უნდა იყოს. წმინდა მამათა სწავლებით, ეკლესიურობა მხოლოდ ეკლესიაში სიარულით როდი მიიღწევა.

როგორ ხდება ტაძრული შემეცნების ჩამოყალიბება? ამგვარივე კითხვას აყალიბებს მქადაგებელი: „არა გამოიძიებ, თუ რა არს ეკლესია და რაღასათვის აღშენებულ არს?“ ტაძარია ახალი ადამიანის მშობელი და გადამრჩენელი სულისა.

ეკლესია სავსეა ღვთაებრიობით და როდესაც ადამიანთაგან ხდება ამის გაცნობიერება, მყარდება ერთიანობა სასუფეველსა და სოფელს შორის. ვინც უფლის ხმას შეისმენს, მასში დამყარდება ჭეშმარიტი ღვთაებრივი წესრიგი – საღვთო მეუფება.

საბას ღაღადება მოწოდებად უნდა აღვიქვათ: „და იღვიძებდეთ ბჭეთა მისთა წინაშე და სცვდეთ ზღრუბლთა მისთა შესავალთა, რათა ღმერთმან ნეტარეულად გამოგაჩინოსთ, და განეკრძალენით და მიისწრაფეთ ეკლესიად, რათა ქრისტემან დაიმკვიდროს თქვენ შორის და დასთრგუნოთ მტერი თქვენი ეშმაკი ქრისტეს იესუს მიერ, უფლისა ჩვენისა თანა მამით და სულით წმიდითურთ, ამინ“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, 25).

ტაძარში აღსრულება საღვთო საიდუმლოებანი, რომელნიც ადამიანს უფალთან აახლოებენ. ამ საიდუმლოებათა აღმსრულებლად მოძღვარია დადგენილი. აღსრულება კი მრევლთან ერთად უნდა მოხდეს. მრევლის სურვილი უნდა იყოს, რომ მასში საღვთო მეუფების საფუძველი შეიქმნას, რაშიც უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება მოძღვარს, „სულის მკურნალს“, როგორც მას ბასილი კესარიელი უწოდებს: „მკურნალმან მან სულთამან იხილა ჩვენი ესე უძლურებაჲ და ცოდვისა მიმართ გონებითისა სიმაღლე და ამისთჳს ძლიერთა სწავლითა განგუჳკრძალებს“ (წმ. ბასილი კესარიელი, 1983, 989). მოძღვარს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბაც:

„ვითარცა, ოქრო განრყვნილი შთააგდო ბრძმედსა შინა და ცეცხლითა მიერ განიწმინდოს განრყვნილება მისი და ოქრო იგი ოფაზ წმიდა გამოვიდეს ცეცხლისა მისგან, აგრეთვე, ოდეს განრყვნილება სულისა ჩვენისა შთავაგდოთ ყურთა შინა მოძღვრისათა, ცეცხლმან მადლისა დიდისა მოძღვრისამან შეჭამნეს განრყვნილება და შესვარულება სულისა ჩვენისა და გამოვიდეს განწმენდილი და განახლებული უმჯობეს ოქროდსა“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, 38). ციტატაში საუბარია აღსარების საიდუმლოზე, რომლის აღსრულებისას, „განრყვნილება“ სულისა ჩვენისა „შთავარდება“ „ყურთა შინა მოძღვრისასა“, რომლის სახეშიც მოიაზრება იესო ქრისტე (ვინაიდან სახარების მიხედვით მოციქულები მას „მოდვარს“ უწოდებენ).

მოძღვრის მადლი, რომელიც ცეცხლის სახეშია გამოხატული „განრყვნილების“ და „შესვარულების“ „შემჭმელია“, გამანადგურებელია. განახლებული და განწმენდილი სული კი არის „უმჯობეს ოქროდსა“.

საუკუნო დიდების – სასუფეველის მომპოვებლისათვის პროცესი გარდაცვალებისა ერთგვარად ესთეტიკური ღირებულების მომტანი იქნება, ვინაიდან „ეს არს სამყოფი ანგელოზთა“.

ადამიანი იღებს უმაღლეს ესთეტიკურ სიამოვნებას აქ გამეფებული სრულყოფილებისაგან: „სუნელებანი საღმრთოთა სამოთხეთანი და მშვენიერება განცდად ყოველთა მისთანი“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, 167).

„ბოროტ არს დახოცისა ჩვენისა დღე“ - ბრძანებს საბა. ნათქვამის მეტი დამაჯერებლობის მიზნით ის ეფრემ ასურის სიტყვებს მოიშველიებს: „ამისთვის იტყვის წმიდა ეფრემ ასური: „ვაჲ, რა ავი მოსასულელი მოგვივალს! ვაჲ, რა უწვევარი სტუმარი არს! ვაჲ, რა საძაგელ არს ჳამაჲ ჳამბვისა მისისა! ვაჲ რა შესაძრწუნებელ არს განმზადება მისთჳს მასპინძლობად! ვაჲ, რა საზარელ არს შეყრა მისი და საშინელ ხილვა პირისა მისისა!“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, 80).

თვით მაცხოვარიც კი ატირდა მკვდარი ლაზარეს შემხედავი, თუმცა დარწმუნებული იყო მის აღდგინებაში. „აცრემლდა იესო. თქვეს მაშინ იუდეველებმა: „ნახე როგორ ჳყვარებია!“ (იოანე 11, 35-36). სიკვდილის მოლოდინში შიშით არის აღსავსე დავით მეფსალმუნე: „გარს შემომერტყა სიკვდილის ხვია და შემადრწუნეს ნაკადებმა უკუღმართებმა, შუა მოვექეცე ბორკილებში ჯოჯოხეთისა და წინ სიკვდილის ხაფანგები გადამეღობა“ (ფს. 17 5-6).

ქრისტიანმა ქართველმა კაცმა სახელდებით „გარდაცვალება“, დაადასტურა, რომ მისთვის სიკვდილი პროცესია ცვალებისა, ერთი მდგომარეობიდან მეორეში, ამ სოფლიდან იმ სოფელში, ანუ ზეშთასოფელში გადასვლა. ამით გამოხატა თავისი დამოკიდებულება სიკვდილისადმი, როგორც აქტისადმი, სულის და ხორცის გაყრისა.

წმინდა მამათა ნააზრევში გვხვდება ისეთი შემთხვევა, როდესაც სიკვდილი გააზრებულია, როგორც ის ერთადერთი სანატრელი საშუალება, რომელიც მოაცილებს ადამიანს სოფლის ბიწიერებას და დაახლოებს საუკუნო სასუფეველს.

იოანე ოქროპიროპირი „მარგალიტში“ წერს: „ყოველთავე მადლობით შევიწყნარებდეთ, რამეთუ, ყოველნი წმიდანი ესრეთ მოთმინებითა ჳირთა და განსაცდელთა ღირს-იქმნეს ზეცისა სასუფეველსა“ (ჳელიძე, 2015, 65).

და ბოლოს რა არის სიკვდილი? მხოლოდ და მხოლოდ „ბოროტი დღე ჩვენი დახოცვისა“? უფრო მეტად ის მოულოდნელობის გამოა საშიში ავტორისთვის. თუმცა კი ის ამის გამო, ავტორის აზრით, ერთგვარად მასტიმულირებლად უნდა იქცეს, ვინაიდან ადამიანი მუდმივად მზადყოფნაში უნდა იყოს: „ზედა ზედა ვიგონებდეთ სიკვდილსა და განვემზადებოდეთ მისთვის და ვსტიროდეთ, მოველოდეთ წარსვლასა ჩვენსა, გულისხმა-ყოფდეთ საწუთროდსა სიმოკლესა ... სასოება გვქონდეს მკვდრეთით აღდგომისა“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, 82).

„სწავლანის“ მიხედვით, მხოლოდ სულიერი მღვიმარებით „მივეახლებით“ ქრისტეს. უნდა გვქონდეს სინანული, გლახაკთა მოწყალება, სიმაღლე, მოყვასის სიყვარული და მტკიცე რწმენა. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი სიკვდილით გამოწვეული

ყოველსმომცველი შიშის დაძლევა, რადგან ასეთ შემთხვევაში, მას მოსდევს სასუფეველი და შემდგომ კი - აღდგომა. საუკუნო სადიდებელი რჩეულთა ხვედრია.

სულხან-საბა ორბელიანი ხატოვნად აღწერს, თუ როგორ ეგებებიან ნეტარ სულს სასუფეველში. ეს პასაჟი მთლიანად ბიბლიურ სახისმეტყველებაზეა დამყარებული. მქადაგებელი გვიხატავს სულის ეგზალტაციას, საღვთო წიაღში მის დამკვიდრებას. სასუფეველში დამკვიდრებულ სულს ანგელოზნი უგალობენ: „ნეტარ ხარ, სულო **ქრისტეს მორჩილო**, რომელი მან განგვისვენე ჩვენ შენთანა და ჰქმენ ნება ღმრთისა – მაღლობენ წინასწარმეტყველნი და ეტყოდენ: „ნეტარ ხარ შენ, მშვენიერო, რომელმან ისმინენ წინასწარ თქმულნი ჩვენნი“ - აქებენ მოციქულნი და ეტყოდენ: „ნეტარ ხარ შენ, **კურთხეულო**, რომელმან აღაორძინე დათესული იფქლი ჩვენ მიერი და მოგაქვს ნაყოფი ოცდაათეული, სამოცეული და ასეული“, - ნატრიდნენ მოწამენი და ეტყოდენ: „ნეტარ ხარ შენ, **მწნეო**, რომელმან შესძინენ ღვაწლთა ჩვენთა და ცრემლნი დასთხიენ და სიხარული მოიმკევ“. ეტყოდეს ღმრთისმშობელი: „ნეტარ ხარ, **კაცო**, რომელმან არა არცხვინე ნათესაობა ჩემი და აწ ჩემ თანა იხარებ“. - ეტყოდეს ქრისტე: „ნეტარ ხარ, **მსახურო**, რომელმან აღმიარე მე წინაშე კაცთა და აღილე ჯვარი და ნება ჩემი და აწ მეცა აღვიარე წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა“. - ეტყოდეს სული წმიდა: „მოვედ ჩემ თანა, **სადგურო ჩემო**, მოისწრაფე, **სავანეო ჩემო**, დაემკვიდრე ჩემთა თანა, ვიდრემდე მე ვიყო“. ეტყოდეს მამა: „კურთხევა შენდა, მონაო ნების მყოფელო ჩემო და მოსყიდულ სისხლითა ძისა ჩემისათაო, რომელმან განამრავლე ტალანტი სოფელსა ამას წუთისასა, რაოდენიცა მოგცა ძემან ჩემმან საყვარელმან, და აწ დაიმკვიდრე დიდება ჩემი წარუვალი უკუნითი უკუნისამდე“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1963, 166).

სულის სასუფეველში შესვლა ზუსტად ამ სახით არსად გვხვდება „ახალ აღთქმაში“, მაგრამ აქ ვხედავთ დიდ სიახლოვეს საღვთო წერილთან. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ლექსიკური ერთეულები, ესენია წმინდანთა ეპითეტები, შედარებები, თუ სახე-სიმბოლოები. სასუფეველში დამკვიდრებული წინასწარმეტყველნი, მოცემული ციტატის მიხედვით, მაღლობას სწირავენ იქ შესულ ნეტარ სულს, რომელმაც ისმინა მათი ქადაგება, შეიგნო ჭეშმარიტება, აღასრულა ღვთის ნება და შეუერთდა ანგელოზთა დასს. მან სამოციქულო სიტყვას შესძინა „ოცდაათეული, სამოცეული და ასეული“ ნაყოფი.

ნაწარმოების ამ ნაწილის თავისებურება ის არის, რომ მქადაგებელი სასუფეველის მკვიდრის მიმართვაში ნეტარი სულისადმი, გამოყოფს იმ ატრიბუტებს, რომლებიც სახარების მიხედვით თვით ამ წმინდანებს მიემართებათ და მათი ღვაწლის წარმოჩენას ემსახურება.

ანგელოზთათვის ის არის „**ქრისტეს მორჩილო**“, წინასწარმეტყველთათვის - „**მშვენიერი**“, „მოციქულთათვის - „**კურთხეული**“, ხოლო მოწამეთათვის - „**მწნე**“, ღვთისმშობელი „**კაცს**“ უწოდებს, მაცხოვარი მას „**მსახურად**“ მოიხსენიებს, რომელმაც იტვირთა მისი ჯვარი, სული წმინდა ნეტარ სულს „**სადგურს**“, „**სავანეს**“ უწოდებს. სასუფეველში შემავალი ნეტარი სული არის გამამრავლებელი ტალანტისა, რომელიც ქრისტესგან მიეცათ ადამიანებს.

აქ ვხედავთ პარალელებს, პერიფრაზებს სახარების იმ მონაკვეთებიდან, სადაც ჩანს ქრისტეს მიერ მორწმუნეთა აღიარება ზეციური მამის წინაშე (მათე 10.32), ასევე, ხორბლის და ღვარძლის (მათე 13.37), ტალანტებზე (მათე 25.14) იგაგების გამოძახილი.

ამრიგად, საბასეული სულის სამოთხეში აღმასვლა მთლიანად „ახალი აღთქმის“ იდეებზე და ტრადიციებზეა დამყარებული. აქ გვხვდება როგორც სახარებისეული სახისმეტყველება, ასევე, ღვთისმეტყველებაში დამკვიდრებული სარწმუნოებრივი ფორმულები, ტერმინები, სისტემა. ავტორი თავისებურად, მაღალი მხატვრული ოსტატობით და დიდი რწმენით წარმოგვიდგენს ერთგვარ ხილვას.

ვინ დაიმკვიდრებს ზეციურ სასუფეველს? ამ კითხვაზე პასუხი თითქმის 46-ვე ჰომილიაში ჩანს. უფალი განარჩევს წმინდანს ცოდვილისაგან, კეთილს ბოროტისაგან, კრავებს თიკანთაგან. სასუფეველის მოპოვების უმთავრესი პირობაა მოყვასის სიყვარული, მოწყალება, რაც ქრისტეს სიყვარულის ტოლფასია. საბა ადამიანის ცხოვრებას

„საუკუნოთათვის განმზადებად“ მიიჩნევს. იგი ამომწურავად სცემს პასუხს ყველა იმ კითხვას, რომელიც შესაძლოა, მკითხველის, ან მსმენელის წინაშე წამოიჭრას. მწერალი ქადაგებს ქრისტიანული მორალის ნორმებს არა მშრალი, აღმზრდელი პათოსით, არამედ მხატვრული საშუალებების მაქსიმალური გამოყენებით გვმოდვრავს, გვასწავლის. მისი მსჯელობა ლოგიკური და კონკრეტულია, არასოდესაა განყენებული და ინტერესმოკლებული. საბას ქადაგებები ამ ქვეყანაზე ღვთიური წესრიგის დასაცავადაა მოწოდებული. ნაწარმოების მიხედვით, ზნესრულობის მისაღებად აუცილებელია ეკლესიასთან, ქრისტიანულ რწმენასთან ერთიანობა.

ღვთიურ ქმნილებათაგან ერთადერთი გამორჩეული ადამიანია, რომელიც მან თავის „ხატად“ და „სახედ“ შექმნა. უფალმა ადამიანი თავის მიერ შექმნილი სამყაროს მესაკუთრედ დანიშნა, რაც მისგან უსაზღვრო სიყვარულის და ნდობის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ. „ღვთის მსგავსებამ და კურთხევამ ადამიანი ღვთის მეგობრად, მის საყვარელ არსებად ქმნა, ადამიანი გამოარჩია სხვათაგან. მას მიეცა უპირატესობა“ (ჯიქია, 2006, 33).

ამქვეყნიურ სიკეთეთა შორის მქადაგებელი განსაკუთრებულ აქცენტს „პირმეტყველებაზე“ აკეთებს, რაც უფალთან ადამიანის მსგავსების ყველაზე დიდ განმსაზღვრელ ნიშნადაა გასათვალისწინებელი. „ღმერთმან პირმეტყველად დაგბადათ და ნებაგს, რათა შეგაერთოს წმიდათა ზეცისა ძალთა“ (ფს. 39).

ეს თვისება უნდა აღძრავდეს უფლის მიმართ გარკვეულ მოვალებებს, რაც უპირველეს ყოვლისა სიკეთის ქმნაში გამოიხატება. მქადაგებელი მოგვიწოდებს, რომ „ვექმნათ კეთილი“ და ამით „პირმეტყველთ“ შეგვახსენებს ჩვენს ვალდებულებებს.

სასუფეველის დიდების მძებნელმა თავი უნდა მოიზღუდოს ცოდვებისაგან: „არ იქონიოთ კავშირი იმასთან, ვინც ძმად იწოდება, მაგრამ გარყვნილია, ან ხარბი, ან კერპთაყვანისმცემელი, ან მაგინებელი, ან ლოთი, ან მტაცებელი, ასეთთან არც კი ჭამოთ. ... მოიშორეთ ბოროტი თქვენგან“ (I კორ. 6. 10-11). მეტად რთულია სასუფეველს მიახლება.

სამოთხის „მოშურნენი“ უნდა იყვნენ უბიწონი, დაითმინონ ტანჯვა, ვნება, შიმშილი, დევნა, ლანძღვა: „ნეტარ არიან სიმაღლისათვის მშიერ-მწყურვალნი, ვინაიდან ისინი გაძლებიან. ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულნი იქნებიან. ნეტარ არიან გულით სუფთანი, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ. ნეტარ არიან მშვიდობის მყოფენი, ვინაიდან ღვთის ძეგად იწოდებიან. ნეტარ არიან სიმაღლისათვის დევნილნი, ვინაიდან მათია სასუფეველი ცათა“ (მათე 5. 6-10).

ლიტერატურა:

1. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 1989
2. კიკნაძე, ზ. სონდულაშვილი, მ. (მთარგმნელ-რედაქტორები) „ახალი აღთქმა და ფსალმუნები“, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, 1992
3. კალანდარიშვილი, ე. „ქრისტიანული მქადაგებლობა და სულხან-საბა ორბელიანის ჰომილიები“, თბილისი: უნივერსალი (2005)
4. ჯიქია, ა. „ადამიანის პრობლემა სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანში“, თბილისი, 2006
5. სულხან-საბა ორბელიანი, „თხზულებანი“, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1963
6. ჭელიძე, ე. (რედ). „ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები. ეკლესიის ძეგლები“, თბილისი: სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, 2010
7. მეტრეველი, ელ. ქურციკიძე, ც. (რედ). „სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული“, თბილისი, მერანი, 1993
8. მეტრეველი, ელ. ქურციკიძე, ც. (რედ). „სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული“, თბილისი, მერანი, 1991

The Issue of Kingdom of Heaven in "Stsavlani" (Teachings) by Sulkhan-Saba Orbeliani

Abstract

The article discusses the issue of Kingdom, which is given in the Sulkhan-Saba Orbeliani sermons collection "Learning- Staviani". The motive of kingdom "in Learning-Staviani" appears in almost every sermon in every way. Especially dedicated is homily for the "learning of the kingdom glory", which is spoken after the Easter. The author speaks in the article about the kingdom given by the Supreme Personality. According to the „Learning-Staviani“, only by the spiritual awakening we will be near to the Christ. We need to be lamented, repent of the poor, truth, love of the neighbor and firm faith. Only in this way it is possible to overcome a great fear of death, because in this case it is followed by the kingdom and the resurrection. The eternal bliss is the fate of the chosen ones.

Keywords: Kingdom, Homily, God's house, Heavenly Jerusalem, Spiritual Wake, Church, Gospel.

საკვანძო სიტყვები: სასუფეველი, ჰომილია, ღვთის სახლი, ზეციური იერუსალიმი, სულიერი მღვიმარება, ეკლესია, სახარება.

თეა ხორგუაშვილი, ხალიანა ჩიტაძე, ნათია ჟოჟუაშვილი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი

ფინანსური ანალიზი და ბუღალტრული აღრიცხვის პრობლემები სასტუმრო ინდუსტრიაში

აბსტრაქტი

სასტუმროებში ყოველდღიური საქმიანობა იძლევა პირველად სააღრიცხვო ინფორმაციას, რომელიც საჭიროებს გადამუშავებას და რის საფუძველზეც მიიღება გარკვეული ღირებულების მქონე ფინანსური მონაცემები. ეს მონაცემები გამოიყენება ინფორმაციის მომხმარებელთა მიერ მთელი რიგი გადაწყვეტილებების მისაღებად. საბაზრო ურთიერთობების დროს სასტუმროების შეუფერხებელი და წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სასტუმროს მმართველმა იცოდეს არა მხოლოდ საკუთარი სასტუმროს, არამედ მისი პარტნიორი სასტუმროების ფინანსური მდგომარეობის შესახებ. იმასთან დაკავშირებით, რომ გამოიკველიონ სასტუმროს მომავალი პარტნიორების ფინანსური მდგომარეობა, შეისწავლონ და გაანალიზონ ამ სასტუმროთა ფინანსური სტაბილურობა და გადახდისუნარიანობის შეფასება აუცილებელია ფინანსური ანალიზის და სასტუმროს შემოსავლების სტაბილურობის შეფასება. ფინანსური ანალიზის მიზანია სასტუმროებში არა მხოლოდ ფინანსური სტაბილურობის შეფასება, არამედ გამოავლინოს მისი გაუმჯობესების გზები და მომგებიანობის ამაღლების შესაძლებლობა. სასტუმროს მესაკუთრეებს, მმართველებს, ინვესტორებს, დაქირავებულ ადამიანებს და მთლიანად საზოგადოებას აინტერესებს არსებული რესურსების გამოყენების მდგომარეობა, სასტუმროების გადახდისუნარიანობა და მომგებიანობა. ფინანსურ ანალიზს კავშირი აქვს ისეთ მეცნიერებასთან, როგორც ბუღალტრული აღრიცხვა, რომელიც აძლევს საჭირო და მნიშვნელოვან ინფორმაციას სასტუმროს ფინანსური მდგომარეობის შეფასებისა და პროგნოზირებისათვის აღრიცხვა მეცნიერებაა და მხოლოდ პროფესიონალი ბუღალტრების საქმე არ არის, სინამდვილეში თითქმის ყველა ადამიანი თავის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით იყენებს აღრიცხვის მეთოდებს, რაც განაპირობებს თითოეული მოქალაქისათვის განსაზღვრული დოზით ბუღალტრული აღრიცხვის ცოდნას.

შესავალი

ფინანსური ანალიზისასტუმროებში ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის შეფასებას და პროგნოზირებას გულისხმობსდა გვიჩვენებს მომგებიანობის მაჩვენებელთა ცვლილებებს ანუ გადახრებს. სასტუმროს მესაკუთრეებს, მმართველებს, ინვესტორებს, დაქირავებულ ადამიანებს და მთლიანად საზოგადოებას აინტერესებს არსებული რესურსების გამოყენების მდგომარეობა, სასტუმროების გადახდისუნარიანობა და მომგებიანობა.ფინანსური ანალიზი შეისწავლის სასტუმროებში ფინანსური ანგარიშგებას. ფინანსურ ანალიზს კავშირი აქვსისეთ მეცნიერებასთან, როგორიც ბუღალტრული აღრიცხვაა, რომელიც აძლევს საჭირო და მნიშვნელოვან ინფორმაციას სასტუმროს ფინანსური მდგომარეობის შეფასებისა და პროგნოზირებისათვის. აღრიცხვა მეცნიერებაა და მხოლოდ პროფესიონალი ბუღალტრების საქმე არ არის, სინამდვილეში თითქმის ყველა ადამიანი თავის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით იყენებსაღრიცხვის მეთოდებს, რაც განაპირობებს თითოეული მოქალაქისათვის განსაზღვრული დოზით ბუღალტრული აღრიცხვის ცოდნას.საბუღალტრო ოპერაციების აღრიცხვა რესტორნებსა და მცირე ზომის სასტუმროებში გარკვეულ ცოდნას მოითხოვს.

ხშირად მცირე სასტუმროები ისევე როგორც უმსხვილესი სასტუმროები, კოტრდებიან მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი არ ითვალისწინებენ და არ მიჰყვებიან ზუსტ ბუღალტრულ და ფინანსურ პროცედურებს. სწორედ ბუღალტრული აღრიცხვა წარმოადგენს სასტუმროს საქმიანობის შესახებ ძირითადი ფინანსური ინფორმაციის შეგროვების, განზოგადების და წარდგენის საშუალებას, რომლის საფუძველზეც გამოითვლება სასტუმროს საქმიანობის ფინანსური შედეგი.

სასტუმრო ბიზნესის მრავალ მიზანთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია თავის ფინანსურ მდგომარეობაზე ყურადღების გამახვილება. ამიტომ ფირმები თვალყურს ადევნებენ ფულადი სახსრების მოძრაობას და აწარმოებენ ამ მოძრაობის გამომწვევი ოპერაციების აღრიცხვას. აღრიცხვა გამოიყენება, როგორც ინფორმაციული სისტემა, სადაც ხდება ბიზნესის მონაცემთა დამუშავება. ის დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას აძლევს შეაფასონ ბიზნესის აკვარგიანობა, ამ საქმეს ემსახურება საბუღალტრო აღრიცხვა, რომელიც წარმოადგენს სასტუმროს საქმიანობისა და მისი ფინანსური შედეგების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, განზოგადების და წარდგენის საშუალებას. იგი საშუალებას იძლევა შეფასდეს წარსული განვითარების შედეგები, დღევანდელი მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები.

ბუღალტრულ აღრიცხვას “ბიზნესის ენასაც” უწოდებენ, მის მონაცემებს ფართოდ იყენებენ მეწარმეები, მენეჯერები, ინვესტორები, ბანკირები, იურისტები, ბუღალტრები, აუდიტორები და ყველა, ვინც ჩართულია ბიზნესის სფეროში. ბუღალტრული აღრიცხვის დასაუფლებლად აუცილებელია გარკვეული პრაქტიკა, რომელიც სპეციალისტს საშუალებას მისცემს საქმის ცოდნით გამოიკვლიოს სამეურნეო ოპერაციები და მათი შედეგები, ღრმად ჩასწვდეს გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდებს.

განხილვა და დისკუსია

ბუღალტრული აღრიცხვა წარმოადგენს ფინანსური ინფორმაციის აუცილებელ ინსტრუმენტს, ამიტომ ხშირად საქმიან ადამიანებს ან ცალკეულ ჯგუფებს სჭირდებათ ეკონომიკური ინფორმაცია ამა თუ იმ სასტუმროს შესახებ სხვადასხვა გარიგების განსახორციელებლად ან საქმიანი გადაწყვეტილებების მისაღებად. ფინანსური ანალიზი ინფორმაციულ ბაზად იყენებს ფინანსურ ანგარიშგებას, შიდა და გარე აუდიტორულ დასკვნებს.

ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები პირობითად შეიძლება დაიყოს სამ დიდ ჯგუფად:ადმინისტრაცია (მენეჯერები);პირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები.არაპირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები.

ადმინისტრაცია არის მუშაკთა ის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სასტუმროს მართვასა და მის წინაშე დასმული ამოცანის განხორციელებაზე. სასტუმროს წინაშე

მრავალი ამოცანა დგას, მაგრამ კონკურენციის მკაცრ პირობებში წარმატების მიღწევა ადმინისტრაციისაგან მოითხოვს, ყურადღება გაამახვილონ ორ მთავარზე:

მომგებიანობაზე (რენტაბელობა) და ლიკვიდურობაზე (გადახდისუნარიანობა).

მომგებიანი არის ისეთი მოგების უნარი, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტიციის მოზიდვას და საინვესტიციო კაპიტალის დამაგრებას. ლიკვიდურობა ნიშნავს დადგენილი ვადისათვის ვალების გასასტუმრებელი საგადამხდელო საშუალებების არსებობას.

ასეთი საკითხების გადაჭრისათვის ხელმძღვანელობამ ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს უნდა გაუკეთოს ანალიზი და მიიღოს შესაბამისი ეკონომიკური გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, მათი ინტერესის სფეროში ყოველთვის იქნება ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა: რა შედეგით დაამთავრა საწარმომ თავისი საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, მიიღო მოგება თუ იზარალა, არის თუ არა მიღწეული ისეთი შედეგი, რომელსაც მოელოდნენ ინვესტორები; აქვს თუ არა საწარმოს ფულადი საშუალებების ის ოდენობა, რომ შესძლოს მიმდინარე ვალდებულების დაფარვა, რომელი პროდუქტი ან საწარმო ქვედანაყოფის საქმიანობა არის უფრო მომგებიანი, როგორია ამა თუ იმ პროდუქტის თვითღირებულება და ა.შ.

არაპირდაპირი (ირიბი) ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები არიან პირები (როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური), რომლებსაც აინტერესებთ გარკვეული ფინანსური ინფორმაცია, მათ რიცხვს მიეკუთვნება: მთავრობა და მათი უწყებები, მომხმარებლები, მყიდველები და საზოგადოება მთლიანად.

მაგალითად, სასტუმროს საქმიანობამ შეიძლება დიდი წვლილი შეიტანოს ადგილობრივ ეკონომიკაში, მათ შორის მოსახლეობის დასაქმებითა და ადგილობრივი მომწოდებლებისაგან მუდმივი შესყიდვების გზით.

მოპოვებული ინფორმაციის, მონაცემების რეგისტრაციის საშუალებით ხდება სამეურნეო საქმიანობის შედეგების შეფასება, დამუშავება და შენახვა. ეს ინფორმაცია, ადვილად აღსაქმელი რომ იყოს, ყველა დაინტერესებული პირისათვის მზადდება ფინანსური დოკუმენტების სახით და გადაეცემა გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

ფინანსური ინფორმაციის გარე მომხმარებლები სასტუმროს ფინანსურ ანალიზს გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე ახორციელებან, რადგან მიიღონ ზუსტი და სწორად გამოტანილი გადაწყვეტილებები. ფინანსური ინფორმაციის შიდა მომხმარებლები სასტუმროს ფინანსურ ანალიზის დროს მხოლოდ წლიური ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციით არ კმაყოფილდებიან. ფინანსური ანგარიშგება არის სასტუმროებში საქმიანობის, მისი საბოლოო შედეგების ჩაწერის და შეფასების სისტემა. ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად შეგროვილ, დამუშავებულ და მომხმარებლისათვის განსაზღვრული ფორმით მომზადებულ საერთო დანიშნულების ფინანსურ ინ-ფორმაციათა ერთობლიობას. სწორედ აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების მიზანია მომხმარებელმა მიიღოს ინფორმაცია სასტუმროებში ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის ეფექტიანობის და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ, რომელიც დაეხმარება მათ სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.

ფინანსური ანგარიშგება გამოიყენება სასტუმროებში ფინანსური საქმის წარმოების გასაზომად. სტუმართმასპინძლობის მართვაში მომხდარი ოპერაციების გაზომვისა და მომხმარებელთა საერთო ინტერესების გათვალისწინებით გამოვყოფთ ფინანსური ანგარიშგების შემდეგ სახეებს: ბალანსს, მოგების და ზარალის ანგარიშგებას, ანგარიშგებას ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას და წერილობით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი კომპონენტები ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან იმ თვალსაზრისით, რომ ასახავენ ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციების და მოვლენების სხვადასხვა ასპექტს. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ანგარიშგება შეიცავს სხვა ანგარიშგებისაგან განსხვავებულ ინფორმაციას, არც ერთი მათგანი არ ემსახურება

მხოლოდ ერთ მიზანს და ვერც მომხმარებელთა კონკრეტული საინფორმაციო მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა.

მოგება-ზარალის ანგარიშგება ძირითადად გამოიყენება სასტუმროების მენეჯერების მიერ, როგორც მართვის იარაღი და საზომი მომხმარებლის ფინანსური საქმიანობის შედეგის.

მოგება-ზარალის ანგარიშგება გვიჩვენებს შემოსავლებს და ხარჯებს განსაზღვრულ დროის მონაკვეთში: ყოველ თვეს, კვარტალში ერთხელ ან ყოველ წელს. მიღებული მონაცემები წარმოადგენს მოგება-ზარალის წარმოების ძირითად ჩანაწერს. როდესაც სასტუმრო ბიზნესის შემოსავალი მეტია ამ სასტუმროში გაწეულ ხარჯებზე მონაცემები გვიჩვენებს, რომ მოგება უმჯობესდება, თუ პირიქით მოგება მცირდება ან უცვლელი რჩება.

ბალანსი და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება გამოიყენება მფლობელების, ბანკირების და სხვა მომხმარებლების მიერ, რომელთაც აქვთ ფინანსური ინტერესი ბიზნესში. მათ აინტერესებთ: რა რესურსებს ფლობს ბიზნესი? რამდენად ეფექტიანად იყენებს ამ რესურსებს? როგორ ინარჩუნებს მიმდინარე მოგებას?

ბალანსი გვიჩვენებს ბიზნესის სუფთა ღირებულებას აქტივებზე, ვალდებულებებზე და მფლობელის კაპიტალზე დაყრდნობით დროის განსაზღვრულ პერიოდში. ბალანსი გვიჩვენებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას. ბალანსში განთავსებული მონაცემები გვამცნობს სასტუმროს აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის შესახებ ინფორმაციას.

ნაღდი ფულის შემოღინება და ლიკვიდურობა არის ბიზნესის წარმატებისთვის კრიტიკული. ნაღდი ფულის შემოღინება გვიჩვენებს რა რაოდენობის ნაღდი ფული წარმოიშვა სასტუმრო ბიზნესში და რამდენად ეფექტურად არის ის გამოყენებული ბიზნესის წარმოებაში დროის განსაზღვრულ პერიოდში.

სასტუმროს ფინანსურ ანგარიშგებას, როგორც წესი, ადგენს სააღრიცხვო დარგის პერსონალი. მათთან ერთად მონაწილეობს სასტუმროს ხელმძღვანელი. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, მის სისწორეზე და მომხმარებლისათვის წარდგენაზე პასუხისმგებლობა სასტუმროს ხელმძღვანელს ეკისრება. კერძოდ, იგი განმარტავს, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მისი მომხმარებლისათვის წარდგენა ევალება სასტუმროს დირექტორთა საბჭოს და/ან სხვა ხელმძღვანელ ორგანოს.

ფინანსურ ანგარიშგებას საფუძვლად უდევს ხელმძღვანელობის მონაწილეობით შემუშავებული სასტუმროს სააღრიცხვო და საანგარიშგებო პოლიტიკა, რომელიც აგრეთვე ექვემდებარება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს. სააღრიცხვო პოლიტიკა არის განსაკუთრებული წესების, ხერხების, მეთოდების, პრინციპების, შეთანხმებების და პრაქტიკის ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება სასტუმროში ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესში. სასტუმრო დამოუკიდებლად ირჩევს სააღრიცხვო პოლიტიკას და მასზე პასუხისმგებლობა მისხელმძღვანელს ეკისრება. ბასს 1 განმარტავს, რომ ხელმძღვანელობამ სასტუმროს სააღრიცხვო პოლიტიკა ისე უნდა შეარჩიოს და გამოიყენოს, რომ ფინანსური ანგარიშგება შეესაბამებოდეს ყველა შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს და ბასკ-ის ინტერპრეტაციებს. სასტუმროს სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევაში შეუძლია დაეხმაროს საბუღალტრო, საფინანსო, იურიდიული და აუდიტორული სამსახურები.

დასკვნები და წინადადებები

სასტუმრომ დამოუკიდებლად უნდა განსაზღვროს თავისი სააღრიცხვო პოლიტიკა, ასე რომ ვთქვათ, თავისი საქმიანობის ბუღალტრული ცხოვრება. მაგალითად: ორ სასტუმროს, რომლებიც ერთი და იგივე საქმიანობით არიან დაკავებულნი, აღრიცხვიანობა შესაძლებელია ჰქონდეთ განსხვავებული. მაგალითად: სასტუმროს კუთვნილებაში ძირითად საშუალებებზე განსაზღვრული საამორტიზაციო ანარჩებების დარიცხვის წესი, უიმედო და საეჭვო მოთხოვნების განსაზღვრა, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის მეთოდები (მუდმივი ან პერიოდული), ხარჯების აღრიცხვის მეთოდები და ა.შ.

სააღრიცხვო პოლიტიკის დამოუკიდებლად შემუშავების დროს აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლების დაცვა. ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები, მასში ასახულ ინფორმაციას გადააქცევს

მომხმარებლისათვის სასარგებლო ინფორმაციად, რომელიც უტყუარობით და სამართლიანობით მათ ინტერესებს დააკმაყოფილებს. ეს ფინანსური ანალიზის ჩატარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

ბასს-ით გათვალისწინებული ხარისხობრივი მახასიათებლები ფინანსური ანგარიშგების მიზნის მიღწევის საფუძველია.

ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლებია: აღქმადობა, შესაბამისობა, საიმედოობა და შესადარისობა.

აღქმადობა - ფინანსური ანგარიშგებით წარმოდგენილი ინფორმაციის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ეს მახასიათებელი ნიშნავს, რომ ინფორმაცია გასაგები და ადვილად აღქმადი იყოს იმ პირებისათვის, ვინც დაინტერესებულია ბიზნეს-ეკონომიკური საქმიანობით, გააჩნიათ ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი ცოდნა და ინფორმაციის მიზნობრივად შესწავლის სურვილი.

შესაბამისობა - ფინანსური ანგარიშგებით წარმოდგენილი ინფორმაცია სასარგებლო უნდა იყოს მომხმარებლისათვის, ანუ მას დაეხმაროს საჭირო ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. თუ ფინანსური ანგარიშგება რაიმე მიზეზით დროულად არ იქნა მომზადებული და წარდგენილი, იგი კარგავს შესაბამისობის თვისებას.

საიმედოობა - ფინანსური ანგარიშგებით წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს ობიექტური, სამართლიანი, სასარგებლო და საიმედო. ინფორმაცია სასარგებლო რომ იყოს, ის უნდა პასუხობდეს საიმედოობის პრინციპს. ეს ყოველივე მიიღწევა მაშინ, თუ ინფორმაცია არ შეიცავს არსებით შეცდომას და არ არის ტენდენციური.

ინფორმაცია შეიძლება იყოს საიმედო, თუ იგი არის ობიექტური, შინაარსით ფორმაზე აღმატებული, ნეიტრალური და წინდახედულობის პრინციპით შედგენილი.

შესადარისობა - ფინანსური ანგარიშგებით წარმოდგენილი ინფორმაციის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. შესადარისობა ნიშნავს, რომ ანგარიშგების მომხმარებელს უნდა შეეძლოს საწარმოს სხვადასხვა წლების საქმიანობის შედეგების შედარება. მომხმარებელს აგრეთვე უნდა შეეძლოს სხვადასხვა საწარმოთა შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შედარებაც. ამისათვის საწარმოები მსგავსი სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენებისათვის უნდა იყენებდნენ აღრიცხვისა და შეფასების ერთიან წესს.

სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვა იყენებს ორ ძირითად დაშვებას: დარიცხვის მეთოდს და ფუნქციონირებადობას.

დარიცხვის მეთოდი გულისხმობს, რომ სასტუმროში განხორციელებული სამეურნეო მოვლენები და მათი შედეგები აღიარდება მოხდენისთანავე, და არა მაშინ, როდესაც ხდება ფულადი თანხების მიღება ან გადახდა.

ფუნქციონირებადობა ნიშნავს, რომ ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს სასტუმროს ფუნქციონირება განაგრძოს უახლოეს მომავალში, ანუ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში მაინც. აქვე იგულისხმება, რომ სასტუმრო არ აპირებს ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას.

ფინანსური ანგარიშგება ახორციელებს ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა: დაგეგმვა, კონტროლი და შეფასება. აღნიშნული ფუნქციები საჭირო და მნიშვნელოვანია ფინანსური ანალიზის პირველ ეტაპზე.

დაგეგმვა - გულისხმობს გადაწყვეტილებების მიღებას სასტუმროს მიზნებსა და მათი მიღწევის გზებთან დაკავშირებით. როდესაც სასტუმრო დაფუძნდება, შეიმუშავებს მისი საქმიანობის ფორმირებას. იგი გულისხმობს მიზნის დასახვას, მისი მიღწევების მოძიებას და საუკეთესო ალტერნატიული გზის არჩევას. ამ ეტაპზე ბუღალტერმა უნდა წარმოადგინოს არსებული ფინანსური მდგომარეობის ნათელი სურათი, რადგან დაგეგმვისათვის აუცილებელია ინფორმაცია შესაძლო მოგებისა და ფულად საშუალებებზე მოთხოვნის შესახებ.

კონტროლი - გეგმის შესრულებაზე ფაქტობრივად მეთვალყურეობის პროცესია. ამ ეტაპზე ბუღალტერმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია, რომელიც მოიცავს გეგმასთან ფაქტობრივი ხარჯების და შემოსავლების შედარებას.

შეფასება - ანუ ანალიზი საქმიანობის პროცესში გადაწყვეტილებების მიღების მთელი სისტემის შესწავლის პროცესია. ამ ეტაპზე აუცილებელია გაირკვეს, მიღწეულია თუ არა დასახული მიზანი. დადგინდეს, რამ შეუშალა ხელი დასახული მიზნის მიღწევას, რა იყო მიზეზი - დაგეგმვის ან კონტროლის ნაკლოვანება, თუ თვითონ მიზანი იყო არასწორად არჩეული.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ინფორმაციის განსაკუთრებულ წყაროს, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორც სასტუმროს შიგნით, ისე მის გარეთ.

ბუღალტრული აღრიცხვა ასევე ხასიათდება მთელი რიგი პრინციპებით. აღრიცხვის კონცეფცია არის ბუღალტრულიაღრიცხვის წარმოების პრინციპი, რომელიც აყალიბებს პირველად ბუღალტრული ჩანაწერების ბუღალტრულ ანგარიშგებად გარდაქმნის წესს.

ფულადი შეფასების - რაც გულისხმობს იმას, რომ ბუღალტრული აღრიცხვა ისეთ ოპერაციებს გააფორმებს, რომლის გამოსახვა შეიძლება ფულში.

მას ახასიათებს ორადი ჩაწერის პრინციპი - რაც გულისხმობს, რომ საწარმოს ქონება წარმოგვიდგება ტოლობის სახით, რომლის ერთ მხარესაა სამეურნეო საშუალებები, ხოლო მეორე მხარეს, მისი ტოლფასი საშუალებათა წარმოქმნის წყარო.

აქტივი = ვალდებულება + კაპიტალი

უწყვეტობის პრინციპი - საწარმო არ აპირებს ან არ ელოდება ფუნქციონირების შეწყვეტის საშიშროებას.

საწყისი ღირებულების პრინციპი, რაც გულისხმობს აქტივების აღრიცხვასშემენის ან დამზადების ხარჯებით.

ავტონომიურობის პრინციპი - რის თანახმადაც საწარმოს ანგარიშები გამიჯნული უნდა იყოს მისი დამფუძნებლების ანგარიშებისაგან ე.ი. საწარმოს ბუღალტრული ანგარიშგებაში აისახება ინფორმაცია მხოლოდ საწარმოს ფინანსური ოპერაციების შესახებ.

კონსერვატიზმის პრინციპის მიხედვით - ბუღალტრული აღრიცხვა არ უნდა იძლეოდეს ფინანსური მდგომარეობის გაუმართლებელ ოპტიმისტურ შეფასებას.

მატერიალურობის პრინციპის - არსი იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში არარსებითი თანხები ან მოვლენები ცალკე არ გადმოიცემა, არამედ ხდება მათი აგრერირება.

რეალიზაციის პრინციპი - გულისხმობს, რომ შემოსავალი აღრიცხული უნდა იყოს მომსახურეობის, პროდუქციის გადაცემის მომენტიდან.

შესაბამისობის პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოცემულ საანგარიშო პერიოდში ის გასავლები წარმოადგენენ დანახარჯებს, რომელიც უზრუნველყოფენ მოცემულ პერიოდში შემოსავლების მიღებას.

ამ პრინციპების დაცვა და გათვალისწინება მნიშვნელოვანია ფინანსური ანალიზის შესრულებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Abrate, G., Fraquelli, G. & Viglia, G. (2012). Dynamic pricing strategies: Evidence from European hotels. *International Journal of Hospitality Management*.
2. Aslani, S., Modarres, M & Sibdari, S. (2013). A decomposition approach in network revenue management: Special case of hotel. *Journal of Revenue and Pricing Management*,
3. Avinal, E. A. (2006). Revenue management in hotels. *Journal of Foodservice Business Research*,
4. Baker, T. (2014). *London hoteliers worry over commoditization*. HotelNewsNow.com, 21st January. Available online at: <http://www.hotelnewsnow.com/article/12986/London-hoteliers-worry-over-commoditization> (Accessed on 23.01.2014)

5. Bayoumi, A. E.-M., Saleh, M., Atiya, A. & Aziz, H. A. (2013). Dynamic pricing for hotel revenue management using price multipliers. *Journal of Revenue and Pricing Management*, Stanislav Ivanov (2014). *Hotel Revenue Management: From Theory to Practice*. Varna: Zangador.
6. Chen, C., Schwartz, Z. & Vargas, P. (2011). The search for the best deal: How hotel cancellation policies affect the search and booking decisions of deal seeking customers. *International Journal of Hospitality Management*,
7. Coleman, K. (2014). *Hotel business intelligence in action: Interpreting booking pace*. Hotelmarketing.com, 09th January. Available online at: http://hotelmarketing.com/index.php/content/article/trends_that_could_shape_hotel_distribution_in_2014 (Accessed on 09.01.2014). Stanislav Ivanov (2014). *Hotel Revenue Management: From Theory to Practice*. Varna: Zangador. Page **191** of **204**
8. Croes, R. & Semrad, K. (2012a). Does discounting work in the lodging industry? *Journal of Travel Research*, 51(5), 617-631.
9. Eslaminosratabadi, H. (2014). An investigation on green attitudes and demographics: Understanding the intention of international tourists in Malaysia to pay a premium for green hotels. *European Journal of Tourism Research*, 7, 92-108. Stanislav Ivanov (2014). *Hotel Revenue Management: From Theory to Practice*. Varna: Zangador. Page **192** of **204**
10. Jonathan A.Hales. Accounting and Financial Analysis in the Hospitality Industry. *Revenue Management* 135-155;

Tea Khorguashvili, Khaliana Chitadze, Natia Zhozhuashvili

Gori State Teaching University, Gori

Financial Analysis and Accounting Problems in the Hotel Industry

Abstract

Financial analysis in hotels means the assessment and prediction of financial condition on the basis of financial account and shows the changes/deviations of profitability indicators. Hotel owners, managers, investors, employees, hired people and the whole society are interested in the use of existing resources, hotel solvency and profitability. Daily activities in hotels provide the first accounting information, which requires processing and based on this is obtained the financial data with certain value. This data is used to make a number of decisions by users. For uninterrupted and successful functioning of the hotel, during the market relations, the hotel managers need to know not only their own hotels' financial condition, its partner hotels' as well. In order to explore the financial condition of the future partners of the hotel, study and analyze the financial stability and solvency assessment of these hotels, evaluation of financial analysis and hotel incomes stability is necessary. Financial analysis aims not only to evaluate financial stability in hotels, but also to reveal the ways of its improvement and the possibility of raising profitability.

საკვანძო სიტყვები: სასტუმროს ფინანსური ანალიზი, ფინანსური აღრიცხვა, მომგებიანობა

Key words: Hotel Financial Analysis, Financial accounting, profitability

შალვა ნუცუბიძე და ქართული ფოლკლორი

შალვა ნუცუბიძემ ქართული ფოლკლორისადმი მეცნიერული ინტერესი ორი მიმართულებით გამოავლინა. ერთი იყო „ამირანის“ ზეპირსიტყვიერი თქმულებები, ვარიანტები და თქმულება-გადმოცემათა ფრაგმენტები, მეორე - „ვეფხისტყაისანის“ ფოლკლორთან კავშირის, პოემის ზეპირსიტყვიერი ძიების გამოვლენა და მათი მხატვრული ფუნქციის კვლევა. ეს ინტერესი არ იყო შემთხვევითი და მომენტური. ფოლკლორული შემოქმედება მას ქართული კულტურის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით აინტერესებდა, ამ ისტორიაში კი რამდენიმე ეტაპს გამოყოფდა: უშველესი იყო „მითოლოგიურ ხანა, ანტიკა ვიწრო გაგებით“, შემდეგ „ფეოდალიზმი და რენესანსი“. ამასვე კარნახობდა მას მსოფლიო კულტურის ისტორიის შესწავლის იმჟამინდელი მეცნიერული ტრადიციები, რომელსაც ქართული კულტურის აღმშენებლობის დიდი გზაც აღბეჭდავდა. აქ შ. ნუცუბიძეს გამორჩეულად რენესანსის, განსაკუთრებით აღმოსავლური რენესანსის არსის გამოვლენა იზიდავდა, რადგან სწორედ აღმოსავლური რენესანსის კულტუროლოგიური პრობლემატიკით ერთვოდა მსოფლიო კულტურას ქართული კულტურა თავისი საკაცობრიო მასშტაბებითა და ღირებულებებით. ხოლო იმისა გამო, რომ რენესანსის ცნება ანტიკურობას შეიცავს „შ. ნუცუბიძისათვის ქართული მითოლოგიური ეპოსის შესწავლა ქართულ რენესანსზე გადის, რადგან ეს ეპოსი აქ განიცდის ალორმინებას. ასეთი ეპოსის ყველაზე მონუმენტური ძეგლი მისთვის იყო „ამირანი“, „ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ტეხილის უკუფენა და ხალხური შემოქმედების განსახიერება“

შ. ნუცუბიძემ საფუძვლიანად შეისწავლა „ამირანის“ ზეპირსიტყვიერი ტექსტები, ფრაგმენტები. მათი მიმართება მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანთან“, მათი კვალი „ვეფხისტყაოსანში“ და ააგო „ამირანის“ ეპოსის ფოლკლორული, ლიტერატურული და კულტუროლოგიური ისტორია, ანუ შექმნა ფოლკლორისტული ნაშრომი-გამოკვლევა, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა. მაგრამ იგი ამაზე არ შეჩერებულა. მან ეპოსის ბუნების ღრმა ცოდნის საფუძველზე გაამთლიანა ამირანის შესახებ არსებული ფოლკლორული ტექსტები და შექმნა მთლიანი ტექსტის საინტერესო ვარიანტი. მის ეს ვარიანტი უმთავრესად 3 ტექსტუალურ ელემენტს ემყარება:

1. **რესტავრირებულ ნაკვეთებს,**
რომლებიც „გაწმენდილია“ „სხვადასხვა დანალექებისაგან და შერყევებისაგან“;
2. **ფრაგმენტებს,** რომლებიც
შევსებულია „მათი პოეტიკისა და დაცული პროზაული პასაჟების ნიადაგზე“;
3. **შ. ნუცუბიძის მიერ ჩრთულ**
„დანართებს“, რომლებიც ერთ მთლიანობად კრავენ „ამირანიანის“ ტექსტს.

ამგვარად განახორციელა შ. ნუცუბიძემ უპრეცედენტო ფოლკლორისტური ექსპერემინტი. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ მან ეპოსის თარგზე მხოლოდ კი არ დააღაგა და „შეაწება“ ფოლკლორული ფრაგმენტები, არამედ უნიკალური პოეტური ცნობიერებით, როგორც ჭეშმარიტმა ბარდმა აღადგინა ფოლკლორული ჩანაფიქრი და განასრულა ამირანის ეპიკური ამბავი. მან შექმნა ამირანის ეპოსის მთლიანური ტექსტი ისევე, როგორც თავის დროზე ჰომეროსმა ერთ მთლიანობად ჩამოქმნა „ილიადასა“ და „ოდისეას“ ტექსტები, და ისევე უნდა მიბმოდა მის სახელს, როგორც ჰომეროსის სახელი მიება ძველბერძნულ ფოლკლორული ეპოსის ტექსტებს. რესტავრირებულ ტექსტს აშკარად ატყვია შ. ნუცუბიძის ფოლკლორიზმის შინაარსი: „ამირანის“ პოემა ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში ვირტუალურად არსებული მთლიანი ტექსტის გამოვლენა და დალაგება კი არ უნდა ყოფილიყო ისეთი, როგორებიცაა ესპანური ეპოსი „ჩემი სიდი“, ევროპული „სიმღერა ნიბელუნგებზე“, ფინური „კალევალა“, ანდა პ. უმიკაშვილის მიერ გათლიანებული

„ამირანის თქმულება“ თუ „არსენას ლექსი“ (ეპოსი), სადაც რესტავრატორი ფოლკლორისტი ხალხური მთქმელის მაგვარად ჩამოსცილდება მის მიერვე რესტავრირებულ ტექსტს, არამედ სწორედ ჰომეროსისებურად უნდა მიხედოდეს ამგვარ ტექსტს. და რაც მთავარია, ეს ტექსტი ვეღარ უნდა დაბრუნებოდა ფოლკლორის მისი სახელის ხსენების გარეშე, რადგან მან ზეპირსიტყვიერი თხზვის ტრადიციების, პოეტიკის გამოყენებით შექმნა წერილობითი ტექსტი, რომელიც მთლიანად მისი პოეტური ხედვის დემონსტრირებაა.

თავის დროის ამ უჩვეულო, და რაც მთავარია, მშვენიერი შედეგისმქონე შემოქმედებით ექსპერიმენტის არსი შეუმჩნეველი დარჩა ქართულ სინამდვილეში. მეცნიერებმაც და მწერლებმაც შ. ნუცუბიძის მიერ ამირანის ეპოსის მითოლოგიური პოემის ფორმატში რესტავრირების ფაქტში, პოეტური სიტამამისა და პრეტენზიულობის გარდა, ვერაფერი დაინახეს და, სამწუხაროდ, უსაფუძვლო და უსამართლო განქიქების მცდელობით ისახელეს თავი (ცნობილია, რომ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩა ჩვენი იმჟამინდელი მწერალთა კავშირი, სადაც მითოლოგიური პოემა „ამირანის“ განხილვა საქვეყნოდ გახმაურებული შეხლა-შემოხლით დასრულდა, რადგან ვერ მიხვდნენ მთავარს: შ. ნუცუბიძეს არ უთქვამს ფოლკლორული პოემა პ. უმიკაშვილისა და სხვათა მსგავსად აღვადგინეო).

ჰქონდა თუ არა შ. ნუცუბიძეს ამგვარი შემოქმედებითი სიტამამის საფუძველი? - რასაკვირველია, ჰქონდა. ამის, თუნდაც ფორმალური, საფუძველი იყო „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური თარგმანი რუსულ ენაზე და მხატვრული აზროვნების სამყაროში წვდომის უნარი, მისი პოეტური ვიზიონებით შემორკალური პოეტური ქვეყანა. შ. ნუცუბიძემ „ამირანთან“ მიმართებაში იგივე გაიმეორა - მისი ტექსტი „თარგმნა“ რუსულ ენაზე, თანაც ქართული ტექსტის გამოქვეყნებიდან უმოკლეს დროში ქართული „ამირანი“ 1945 წელს გამოაქვეყნა, ხოლო რუსულენოვანი ვერსია - 1946 წელს. ამგვარი „ორენოვნების“ მიზანი სრულიად გასაგებია. შ. ნუცუბიძეს ქართული კულტურის უძველესი ძეგლის პოპულარიზება ჰქონდა დასახული. ამის შესახებ „ამირანის“ წინასიტყვაობაში იგი წერდა: „ჩვენ ვერ მივეცით საშუალება მსოფლიო მეცნიერებას გაეცნო ისეთი ძეგლი ქართული და იმავე დროს საკაცობრიო კულტურისა, როგორიცაა ქართული მითოლოგიური ეპოსის ძეგლი - პოემა „ამირანი“ (გვ. VII). პოემის რუსულენოვანი ტექსტი, ცხადია, იმასაც ცხადყოფს, რომ იგი ნიჭიერი და გამაოგნებელი ხედვა-ხილვების პოეტიკი იყო. საერთოდ, შ. ნუცუბიძე უნიკალური მოვლენა იყო ქართულ სინამდვილეში, - ერთ პიროვნებაში განსახიერებული მკვლევარი - მეცნიერი და არაორდინალური პოეტი, თანაც ორენოვანი.

შ. ნუცუბიძე მითოლოგიური პოემა „ამირანის“ შესავალში პირდაპირ მიუთითებს, რომ მისი „რესტავრატორული მუშაობა უკავშირდება საგანმანათლებლო მუშაობას (გვ. XIX), ხოლო „საგანმანათლებლო“ ფოლკლორული მასალის გადააზრების სიღრმეზე მიუთითებს. ამას ცხადყოფს მისი თქმაც: „არც გვიფიქრია ჩვენს მიერ მოწოდებული ტექსტი პოემა „ამირანის“ მთლიანად რესტავრირებულ პოემად გაგვესაღებინა“ (გვ. XIX). ქართული კულტურისათვის „ამირანიანის“ განსაკუთრებული მნიშვნელობის გაცნობიერების ფაქტებად შ. ნუცუბიძეს მიაჩნდა მისი ტექსტის რამდენიმე გზის რესტავრაციის ცდები „ჩვენი ძველებისა“ - მოსე ხონელის მიერ, შემდეგ მის მიხედვით პროზაული გადაკეთება, ბოლოს XVII საუკუნის გალექსილი ვარიანტის შექმნა თანამედროვეების მიერ.

შ. ნუცუბიძის მიერ პოემა „ამირანის“ ტექსტის ფოლკლორისტული ანალიზი, იმის რკვევა, რამდენად შეინარჩუნა ტექსტმა ფოლკლორულობა, რამდენად სრულია ამ ტექსტის შინაარსობრივი ასპექტი, რამდენადაა დაცული ამირანის ამბის სტრუქტურა და სხვა მსგავსი საკითხები, ცხადია, სპეციალურ კვლევას საჭიროებს, რასაც სამეცნიერო კონფერენციის ფორმატი არ ითვალისწინებს. ამიტომ ამგვარ ანალიზს სხვა დროს წარმოვადგენთ. აქ კი იმას დავამატებთ, რომ ამირანის შესახებ არსებული ზეპირსიტყვიერი თქმულებები, პოეტური და პროზაული ფრაგმენტები, „ამირანიანთან“ შორეული ასოციაციური კავშირების შემცველი სხვა სახის ფოლკლორული ტექსტები შ. ნუცუბიძეს „ამირანიანის“ ერთიანი მონუმენტური ტექსტის არსებობაში არწმუნებდა და ისეთ მასშტაბურ ლიტერატურულ მოვლენად ესახებოდა, რომლის მძლავრ გავლენას ხედავდა თვით „ვეფხისტყაოსანზე“.

ეს გავლენა ამირანის სახის ან ამბის უბრალო ხსენებაში კი არ ვლინდება, არამედ უპირველესად ლექსწყობის სფეროში, ვერსიფიკაციის ასპექტებში. მაგალითად, ქართული შაირის ზომა ყველაზე ძლიერად „ამირანში“ იყო წარმოდგენილი. ვერსიფიკაციის იგივე პრინციპი დაიცვა მოსე ხონელმა, შემდეგ შოთა რუსთაველმა.

შ. ნუცუბიძეს ერთ კონკრეტულ არგუმენტად წარმოდგენილი აქვს ლექსის რითმაში „ვითა“ კავშირის გამოყენება შედარების ფუნქციით. „ამირანში“ ამის მაგალითია: „გავიდე, გამოვიყვანო, ქალია თეთრი მზე-ვითა“. „ვეფხისტყაოსანში“: „ხმა ესმას ჩემსა ხელ-მქმნელსა, ზედა გარმოდგეს მზე ვითა“. აქ შ. ნუცუბიძე იმაზედაც ამახვილებს ყურადღებას, რომ რუსთველი პირდაპირ სარგებლობს მოსე ხონელის „ამირანის“ რითმით „**მზე ვითა**“. გავლენას ხედავს აფორიზმების გამოყენებაშიც. ასეთი მაგალითი მოჰყავს: „სირცხვილიანის შინ მოსვლას სიკვდილ ჯობს სახელიანი“ (პოემა „ამირანი“); „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“ („ვეფხისტყაოსანი“).

„ვეფხისტყაოსნის“ კავშირი ქართულ ფოლკლორთან და პოემის ფოლკლორული სათავეების კვლევა მეორე დიდი თემაა შალვა ნუცუბიძის ფოლკლორისტულ ძიებებში. ქართული ფოლკლორისტიკა (და რამდენადმე რუსთველოლოგიაც) რამდენადმე გაერიდა მის ფოლკლორისტულ დაკვირვებებს, რომლებიც წარმოადგინა ნაშრომში „რუსთაველის შემოქმედება“. არადა, როგორც ამ მიმართულებით გაშლილმა კვლევებმა ცხადყო, შ. ნუცუბიძეზე შორს წასვლა ამ თვალსაზრისით მაინცა და მაინც ვერ მოხერხდა. დღესაც ის მტკიცდება, რაც მან თქვა: „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ხალხური ჯადოსნური ზღაპრის ქარგზეა აგებულიაო.

ქართულ ფოლკლორთან შოთა რუსთაველის სიახლოვე შ. ნუცუბიძემ უპირველესად პოემის კომპოზიციასა და ცალკეულ პასაჟებში დაინახა. ხალხური მხატვრული ცნობიერებიდან მომდინარედ მიიჩნია „პოეტური თხრობის მთელი გაფორმება“, „მეტრიკული არქიტექტონიკა“ - სასიმღერო კილო, ტაქტი, ზომა ანუ ხალხური პროსოდია; პოემის დასაწყისი და დასასრული.

შ. ნუცუბიძის ფიქრით, „იყო და არა იყო რა“, როგორც ფორმულა ისეთის არსებითი გარსია, რაც წინ უძღოდა ქართული ხალხური ზღაპრის ჩვენამდემოდწეულ ფორმას. ხალხურ ზღაპარს სამყარო წარმოუდგენია ყოფნა-არყოფნის ნაერთად. ამ სივრციდან თხრობის დაწყება შეუძლებელი გახდა და დაემატა „ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“, როგორც პირველი ფრაზის პასუხი. რუსთველმა დატოვა „იყო“, რადგან მას არ შეეძლო დაეტოვებინა თხრობის ფორმულა, რომელიც ღმერთს უპირისპირებდა ყოველივეს. რუსთველის ეპოქის რეალიზმმა გამოამკარავა ქართული ხალხური ზღაპრის ფანტასტიკა და დატოვა მხოლოდ „იყო“ („იყო არაბეთს როსტევან“).

ზღაპრისმაგვარია პოემის დასასრულიც - ოპტიმისტური („ბედნიერად ცხოვრობდნენ“) - „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად მოვდეს“.

ზღაპრულობის ელფერს ხედავს შ. ნუცუბიძე „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებში, რომელთაგან ბევრი პირდაპირ ნასესხებია ქართული ზღაპრიდან, თუმცა ისინი (დევები, ქაჯები, გრძნეულები) „დაცლილნი არიან ჯადოსნურობისაგან“. თუმცა ეს აზრი საკამათოა, რადგან ფანტასტიკური არსებები პოემაში ინარჩუნებენ ფანტასტიკურობას და ჯადოსნობას/ჯადოსნურობა, როგორც ზებუნებრიობა პირვანდელობით ხმიანობს. მაგალითად, დევებიც და ქაჯებიც პოემაში უძლეველნი არიან. დევების დამარცხება ტარიელის ზეადამიანური ძალისხმევით ხერხდება. ტარიელი ამირანული პერსონაჟია. მითოსური ეპოსის გმირის მსგავსია მისი გოლიათური ზრდა (საათობითი და არა დღეობით - წლობითი), ხუთი წლისა ლომებს და ვეფხეებს ხოცავს, ვითა კატებს. ამას გარდა, ქაჯებთან ბრძოლაში ამ გოლიათ გმირებს დევებისათვის წართმეული - ნაალაფვეი ჯადოსნური აბჯარი - იარაღი „ეხმარება“. პოემაში არც ქაჯები არიან მოკლებულნი გრძნეულებრიობა-ჯადოსნურობას. ნესტანის დახასიათებით, ისინი ამინდის მართვის მაგიას ფლობენ. შეუძლიათ წვიმის მოგვრა, წყალზე სიარული, კედელში გასვლა და სხვა. შ. ნუცუბიძე „ვეფხისტყაოსანში“ არაერთი ფოლკლორული მოტივის არსებობასაც აფიქსირებს. ერთია დაკარგული მშვენიერი ქალის ძებნის მოტივი. ესაა ლამის პოემის მაგისტრალი - ნესტან-

დარეჯანის ძეგლი. ეს ხალხური ეპოსის აუცილებელი მოტივია და იგი უნდა არსებულიყო „ამირანიანში“ ამირანისა და ყამარის სიყვარულის ისტორიის სახით. ამაში შ. ნუცუბიძეს არწმუნებს ამირანის მიერ ყამარის ძეგლის მოტივი. ხალხურ ეპოსში სატრფოს ადგილსამყოფელი წყალს გაღმა (ზღვის გადაღმა). ეს არის დაფიქსირებული „ამირანიანში“ და „ვეფხისტყაოსანში“ ყამარიც ზღვისგადაღმა, ნესტან-დარეჯანიც, თუმცა ყამარი ზეცას გამოკიდებულ კოშკშია, ნესტანი ქაჯეთის ციხის დედამიწურ კოშკში. შ. ნუცუბიძე აქ ეპოსის ისტორიული ფენების არსებობას ხედავს. ციური კოშკი უფრო ადრინდელი ფენაა, ზღვას იქითა გზა კი შედარებით გვიანდელი.

აქ შ. ნუცუბიძე კი ერთ საინტერესო თეზისს აყალიბებს: „რუსთველისათვის უცხოა ამგვარი ფენები. მისი პოემა მოგვიანებით დაიწერა და ზღაპრული ფანტაზიის ელემენტები XII საუკუნის წარმოდგენების სამყაროს შეესადაგა, როცა მაღალი ციხის ცნება, რომელშიც ნესტანი ჰყავდათ, არ შეიძლებოდა ზეციდან აზომილიყო. ხალხურ ორიენტაციაში სიმაღლე ზეციდან აიზომება, რუსთაველთან კი დედამიწიდან“.

ვეფხისტყაოსნის ხალხურ ძირებთან, ფოლკლორულ ტრადიციებთან კავშირის კიდევ ერთი საინტერესო ასპექტია „სამფერობის“ თემა. ცნობილია, რომ შ. ნუცუბიძემ „ვეფხისტყაოსანი“ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის - არეოპაგიტიკის პრობლემატიკის დონეზე განიხილა.

არეოპაგიტიკა შ. ნუცუბიძის ინტერპრეტაციით სამყაროს საფუძვლად სამ საწყისს ასახელებს. ამ სამყაროულ სამებას ღმერთის შეცნობამდე მივყავართ. რუსთაველთან „სამთა ფერთა“ გულისხმობს სამხმოვან ხალხურ სიმღერას (ხალხურ კონტრაპუნქტს), სადაც სამივე ხმა ცალ-ცალკე მიედინება, ხოლო შემდეგ ეს ხმები ჰარმონიად ერთიანდება. შ. ნუცუბიძის ფიქრით, რუსთაველი ამიტომ ხატავს სამ გმირს, ამიტომაც მიედინება მათი ცხოვრება თავიდან ცალ-ცალკე და შემდეგ ერთ გზად ერთიანდება და ამიტომაც შეირწყმის მათი ცხოვრება საერთო ჰარმონიად. ე. ი. „სამი ფერი“ სამხმოვან ხალხურ სიმღერას და სამგვარ საქებელ ლექსს უთანაბრდება. რუსთაველის ლექსს („სტროფის შიგნით“ და „ტაქსის შიგნით“ განსაზღვრავს ქართული ხალხური სიმღერის პოლიფონიური სტრუქტურა). შ. ნუცუბიძის აზრით „ვეფხისტყაოსნის“ სტრუქტურა აგებულია (განსაზღვრულია) ქართული ხალხური სიმღერის პოლიფონიის პრინციპზე - სამხმინაობაზე.

პოემა სამი პერსონაჟის სიმღერისაგან შედგება. ესენია: ავთანდილის, ტარიელისა და ფრიდონის სიმღერები.

„**სამი ფერი საქებელი ლექსი**“ რუსთველამდე „ამირანიანში“ იყო გამოყენებული, სამი გმირის შესხმისათვის. ეს სამი გმირია **ამირანი** და მისი ძმები - ბადრი (მთავარი ხატი), უსუპი (მზის შუქი).

ამირანი კონკრეტული მნათობის სიმბოლო არ არის. იგი მზის შუქით გასხივოსნებულ-გამთბარი სინათლეა და სიცოცხლის მარადიული აღორძინების საწყისი“.

ხალხურ თქმულებაში გამოთქმას „სამი გმირი - სამი მნათობის“ რეალისტური შინაარსი აქვს.

ხალხურმა ზღაპარმა არ იცის სიმბოლოვა. იგი არ განაცალკევებს **ვირტუალურსა** და **რეალურს**.

რუსთაველთან კი ყველაფერი პირობითია (მეტაფორულია) და პირობითობა დაფარული არ არის. მეტაფორულია ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის მნათობებად წარმოდგენა. აქ ორი წყვილია: **ტარიელი და ავთანდილი** და **ავთანდილ-ფრიდონი**. ისინი ერთმანეთის ძმობილები არიან, ერთმანეთს ბოლოს შეეყრებიან: „სამთა გმირთა მნათობთა“ შეყრა შ. ნუცუბიძის უმნიშვნელოვანესი დაკვირვება „ჰგვანდა, თმცა შეყრილ იყვნეს ორნი მზენი, ერთი მთვარე.

ერთმან ერთი დაამშვენეს,

გაემართნეს, იქცეს გარე“.

აქ გვაქვს ორი მზე და ერთი მთვარე.

ამგვარი შეტოლება პოეტის ნებაზეა დამოკიდებული. მხატვრული ხატები (სახეები) მისი მიზნების განსახიერებებია.

პოეტი ქმნის მხატვრულ სამყაროს, იხილება ამ სამყაროს ხიზლით, თვითონაც შედის ამ მხატვრულ სამყაროში, შიგნით მოქცეული შიგნიდან ხედავს ამ სამყაროს, მის გამო დამაჯერებლობას მატებს საკუთარი ნებით შექმნილ ამ მხატვრულ სამყაროს. შ. ნუცუბიძის დაკვირვებით, მხატვრული ზომიერებისა და საღი რეალიზმის გრძნობა აიძულებს პოეტს ხალხური ფანტაზიის სახეებიდან ის აეღო, რაც ხელს შეუწყობდა წარმოსახული სინამდვილის სურათის გასრულებას. სინათლისა და მნათობთა მეტაფორები ხელს უწყობდა ჭეშმარიტი სინამდვილის დეტალების მკაფიო გაშუქებას.

პლანეტების სხივით რუსთაველი „ამირანიანის“ მსგავსად აშქებდა თავის პერსონაჟებს - წამით სინათლის ძლიერი ნაკადით დააბრმავებდა და ეს დაბრმავება ადრე დანახულის კვლავხილვის მძაფრ სურვილს იწვევდა, *ანუ დაბრმავება დანახვის პირობად არის ქცეული. შ. ნუცუბიძის ფიქრით, ესაა უდიდესი მხატვრული საიდუმლოება, რომელიც რუსთაველმა აღმოაჩინა და „ამით შემოქმედებითი დიალექტიკის ახალი ეტაპი შექმნა“.*

ცხადია, „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ ზეპირსიტყვიერებასთან სიახლოვის მაუწყებელი ფაქტები შ. ნუცუბიძესთან აღნიშნულით არ ამოიწურება. „ამირანიანის“ მსგავსად, ეს თემაც საგანგებო კვლევას საჭიროებს. აღნიშნული კი ცხადყოფს, რომ შ. ნუცუბიძემ გასული საუკუნის 40-50-იან წლებში უაღრესად საინტერესო ფოლკლორისტული პროექტი განახორციელა „ამირანის“ ზეპირსიტყვიერი ტექსტის ორენოვანი „რესტავრაციით“, შექმნა ღრმადსაინტერესო გამოკვლევები, რომელთა მნიშვნელობა განუზომელია ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიისათვის.

Temur Jagodnishvili

Georgian Technical University, Tbilisi

Shalva Nutsubidze and the Georgian Folklore

Abstract

Shalva Nutsubidze carried out some of the most important projects in support of the Georgian folklore studies in the 1940s and 1950s of the last century. He combined folklore fragments of his folk tales of “Amirani” and arranged them in accordance with the poetic epic patterns. The unified text was called “Amirani”. This mythological poem was published in 1946. Then he translated it into Russian and published it separately. He managed to publish the poetic text of Georgian folk mythological epics in unison with the Russian translation of “The Knight in the Panther’s Skin” and he became equal to Homeric poetic pursuits because of the mystery of his poetic creativity.

საკვანძო სიტყვები: შალვა ნუცუბიძე, ამირანიანი, პოეტური ტექსტი, ფოკლორი

Keywords: Shalva Nutsubidze, Amirani, poetic text, folklore

ივანე ჯაგოდნიშვილი

საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

ენობრივი პიროვნება მასობრივი კომუნიკაციის სივრცეში

თანამედროვე ლინგვისტიკის უმთავრესი პრინციპი ანთროპოცენტრიზმია. მისთვის მთავარი პერსონაჟია მოლაპარაკე ადამიანი, რომელიც ქმნის ენას და რომელიც თავს ენასა და ენის მეშვეობით იცნობიერებს. ამით ლინგვისტიკა აქტიურად არის ჩართული XXI

საუკუნის ცენტრალური პრობლემის კვლევებში, რომლის მიზანია ადამიანის ყოველმხრივი შესწავლა.

მოლაპარაკე ადამიანის ფენომენისა და მისი სამეტყველო სტრატეგიების ლინგვისტიკური ასპექტების კვლევებმა ბუნებრივად გააძლიერა ინტერესი ადამიანისადმი, როგორც ენობრივი პიროვნებისადმი. **ენობრივი პიროვნება გულისხმობს ადამიანს, რომელიც ითავისებს ენას და რომლისთვისაც ენა არის მეტყველება.** ენობრივი პიროვნება ის კი არ არის, ვინც იცის თუ რა არის ენა, არამედ ის, ვინც იცის მისი გამოყენება.

ენობრივ პიროვნებას აქტიურად უკანასკნელ ათწლეულებში შეისწავლიან და ინტერესი ამ პრობლემისადმი სულ უფრო იზრდება. **"ენობრივი პიროვნება"**, როგორც ლინგვისტიკური ტერმინი XX საუკუნის 30-იან წლებში დაფიქსირდა. ზოგი მკვლევარი ამ ტერმინს რუსი ენათმეცნიერის ვ. ვ. ვინოგრადოვის იმ მიზეზებს უკავშირებს, რომელთა მიზანი კონკრეტული დროის ლიტერატურის სისტემაში ავტორის იდეოსტილის ფუნქციისა თუ ადგილის კვლევა შეადგენდა. სამეცნიერო წრებრუნვაში **"ენობრივი პიროვნების"** ცნება და პრობლემა მოგვიანებით დამკვიდრდა. XX ს. 80-იან წლებში უკვე გამოიკვეთა ენობრივი პიროვნების კონცეფციის თეორიული საფუძვლები და განისაზღვრა მისი, როგორც ცნების, შინაარსი.

"ენობრივი პიროვნების" თეორიის ჩამოყალიბების პროცესში მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა თავად "ენობრივი პიროვნების" ცნების ტერმინოლოგიური შინაარსის განსაზღვრაში, უფრო სწორად კვლევის ობიექტის საბაზო კომპონენტის განსაზღვრაში. საბაზო ცნებად ხან "ადამიანს" გამოიყენებდნენ (გ. ი. ბოგინი), ხანაც "პიროვნებას" (ი. ნ. კარაულოვი). მოგვიანებით ისეთი ცნებებიც გაჩნდა, როგორებიც არის **"სუბიექტი", "ინდივიდი", "ენის მატარებელი"** და ა. შ. უფრო ზუსტ ცნებად აღიარებულია **"პიროვნება"**, რადგან ამ შემთხვევაში შენარჩუნებულია კავშირი ტერმინსა და ასახვის ობიექტს შორის. ჯერ ერთი, ენობრივი პიროვნება არის პიროვნება ამ ცნების ყოველმხრივი გაგებით (გარე სინამდვილისადმი სისტემური დამოკიდებულებითა და აღქმის უნარით) და რაც მთავარია, ენობრივი მოღვაწეობით. ამასთან პიროვნების ცნებითი კატეგორიულობა დისციპლინათმორისი კვლევების ობიექტის ასახვის თვალსაზრისითაც ადეკვატურია, რომელთადაც ინტერესიც სწორედ უკანასკნელ ხანს გლობალური კომუნიკაციების პირობებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გამო პიროვნების ევოლუციური ზრდის წყალობით გაძლიერდა. პიროვნების ცნება ამჟამად პრიორიტეტულ მიმართულებებთან კავშირში სრულიად სხვადასხვა სფეროებში გვხვდება: ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიაში, ლინგვისტიკაში, ლიტერატურათმცოდნეობაში, კულტუროლოგიასა და მეცნიერებების სხვა დარგებში.

საინტერესო ისიცაა, რომ აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა **"ენობრივი პიროვნების"** ტერმინით ასახული ობიექტის განზოგადება-აბსტრაგირების დონის გააზრებაშიც, ანუ იმის გაცნობიერებაშიც, თუ ვინ უნდა გვეგულისხმა "ენობრივ პიროვნებაში", - **კონკრეტული მოლაპარაკე თუ კონკრეტული ენის მატარებელი.**

ამჟამად ენობრივ პიროვნებაში მოიაზრებენ:

- პერსონას და ტექსტების ავტორს, რომელსაც საკუთარი ინტერესები, სოციალური პრიორიტეტები, განწყობა, ხასიათი აქვს;
- იროვნებას - ენის მატარებელს, მოცემული ენობრივი ერთიანობის ტიპურ ან მისი ვიწრო სოციალური ჯგუფის წარმომადგენელს;
- მთელი კაცობრიობის ტიპურ წარმომადგენელს.

ენობრივი პიროვნების თეორიის კონცეფციაში თავს იჩენს პიროვნების ორი ასპექტი: კოლექტიური და ინდივიდუალური. ამ ფენომენის ორივე ასპექტის გათვალისწინებით, ი. სეტენბერგმა ენობრივი პიროვნების საერთო შინაარსი გამოკვეთა, ანუ მოცემული (კონკრეტული) ენის მატარებლის ზოგადი სახეხატი და კონკრეტული ენობრივი მატარებლის - ინდივიდუალური ენობრივი პიროვნების პორტრეტი გამოკვეთა.

სხვა მკვლევართა თვალსაზრისითაც, ტიპური ენობრივი პიროვნება ისეთი თვისებებით ხასიათდება, როგორიცაა აბსტრაქტულობა, ეტალონურობა, კრებსითობა,

უპიროვნულობა. რაც მთავარია, დადგინდა, რომ სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში ყველა ეს თვისება კონკრეტულ ენობრივ პიროვნებაში რეალიზდება, თუმცა ნებისმიერ ენობრივ პიროვნებას საერთოსთან ერთად, ინდივიდუალური თვისებებიც ახასიათებს. ამაში ვლინდება ენობრივი პიროვნების შინაარსის მრავალსახოვნობა.

თანამედროვე ლინგვისტიკაში აღნიშნული მიმართულებით აქტიურად შეისწავლიან სხვადასხვა ასაკის, სოციალური მდგომარეობის, პროფესიის, სქესის ადამიანების ენობრივ პიროვნებებს, მაგალითად, ტელეწამყვანის, ბიზნესმენის, პოლიტიკოსის, საჯარო მოხელის ენობრივ პიროვნებებს და სხვა.

ენობრივი პიროვნების თანამედროვე კვლევები ცხადყოფს, რომ ამ სფეროში ახალი ტერმინებიც ჩნდება. ისინი ერთ შემთხვევაში ძველის გვერდით იკავებენ ადგილს, სინონიმური ტერმინის სტატუსით, სხვა შემთხვევაში კი მთლიანად ენაცვლებიან ან ტრადიციულს. ამგვარი ტერმინია, მაგალითად "კომუნიკაციური პიროვნება". "კომუნიკაციური პიროვნების" ცნება ინფორმაციული საზოგადოების შინაარსს აირეკლავს და იმ მოსაზრებას ემყარება, რომ კომუნიკაციების მნიშვნელობის არნახული ზრდის ეპოქაში "ენობრივი პიროვნება" შეიძლება განხილულ იქნას როგორც "კომუნიკაციური პიროვნება". იკვეთება სხვა ტერმინიც, მაგალითად, "სამეტყველო/მეტყველებითი პიროვნება". ამ შემთხვევაში მხედველობაში ის არის მიღებული, რომ თუ ენობრივი პიროვნება მეტყველებითი პიროვნების პარადიგმაა, მაშინ მეტყველებითი პიროვნება, პირიქით, იგივე ენობრივი პიროვნებაა, ოღონდ რეალური ურთიერთობის პარადიგმაში.

ენობრივი პიროვნება რთული, დონეებრივი ფენომენია. აქ, ჩვეულებრივ, სამ დონეს გამოყოფენ: ნულოვანს, პირველადსა და უმაღლესს.

- **ნულოვანი** ანუ ვერბალურ-სემანტიკური დონე (სვაგვარად მას სტრუქტურულ-სემანტიკურსაც უწოდებენ) ასახავს ყოველდღიური (სასაუბრო-საურთიერთო) ენის ფლობას და ენობრივი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს.
- **პირველადი დონე კოგნიურია.** ამ დონეზე მიმდინარეობს ენობრივი პიროვნებისათვის დამახასიათებელი წარმოდგენებისა და ცოდნის აქტუალიზაცია და იდენტიფიკაცია და ამით ინდივიდუალური და კოლექტიური ენობრივი ცნობიერების კოგნიტიური სივრცის განსაზღვრა.
- **უმაღლესი, ანუ პრაგმატიკული დონე** ენობრივი პიროვნების განვითარების ხელშემწყობი მოტივებისა და მიზნების აღწერა-დახასიათებას მოიცავს. მას ტექსტის წარმოქმნის დონედაც მოიხსენიებენ. ამ დონეზე აქტიურდება პიროვნების კომუნიკაციური მისწრაფებები: კომუნიკაციური ამოცანების გადაწყვეტა, ენობრივი საშუალებების არჩევა და შეფასება. სწორედ ამ დონეზე წარმოსდგება ენობრივი პიროვნება კომუნიკაციურ პიროვნებად.

რიტორიკული ეპოსის სივრცეში ენობრივ პიროვნებაში სამ დონეს გამოყოფენ (მ. კანჩერი). ესენია: **სტილისტიკური, კომუნიკაციურ-პრაგმატული** და **ლინგვოკულტუროლოგიური**. აქ სტილისტიკურ დონეს ქმნიან ენობრივი საშუალებები და მათი გამოყენების ის ხერხები, რომლებსაც ირჩევს ენობრივი პიროვნება, მეორე დონეს ქმნიან სტრატეგიული და ტაქტიკური სვლები, მესამე - პიროვნების ენობრივი სურათხატის შესაბამისი ეროვნულ-კულტურული სამატყველო სცენარები, ნორმები და მოდელები.

ენობრივი პიროვნების, როგორც კომუნიკაციური პიროვნების, სტრუქტურაში განარჩევენ **ღირებულებით, შემცნებით** და **ქცევით** პლანებს. ღირებულებით პლანში გულისხმობენ კომუნიკაციური პიროვნების ქცევის იმ ეთიკურ და უტილიტარულ ნორმებს, რომლებიც გარკვეულ ეთნოსს ახასიათებს კონკრეტულ პერიოდში. ეს ნორმები შესულია ხალხის ეთიკურ კოდექსში, ასახავს მის ისტორიას, მენტალობას და აღბეჭდილია ენასა და კულტურაში. ზნეობრივი კოდექსი ენაში ნაწილობრივ აისახება, უპირატესად ხატოვანი თქმებში, აფორიზმებში, მაქსიმებში, ანდაზებში და სხვა ისეთ გამონათქვამებში, ტექსტებში, რომლებიც გასაგებია ენის, ეტიკეტის, შემფასებლური ლექსიკა-ფრაზეოლოგიის საშუალო მცოდნისათვის.

ენობრივი პიროვნებისადმი დიდ ინტერესს იჩენს კოგნიტიური ლინგვისტიკა, რადგანაც ენის სოციალური არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი, პირველ ყოვლისა, ინდივიდუალურ და კოლექტიურ ენობრივ ცნობიერებამ არსებობს. ენობრივი ცნობიერების უშუალო მატარებელია ენობრივი პიროვნება, ანუ ურთიერთობაში მყოფი ადამიანი.

ენობრივი პიროვნების პრობლემით დაინტერესებულია თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა, რომლისათვისაც პრიორიტეტულია პიროვნების ის დამახასიათებელი თვისებები, რომლებიც თავს იჩენენ მის კომუნიკაციურ ქმედებებში და უზრუნველყოფენ პიროვნების კომუნიკაციურ ინდივიდუალურობას.

უკანასკნელ ხანს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ენობრივი პიროვნების კომუნიკაციური-მოღვაწეობითი ასპექტები. ამას განაპირობებს თანამედროვე ლინგვისტიკის უმნიშვნელოვანესი - კომუნიკაციური - მიმართულების პრიორიტეტულობა.

ენობრივი პიროვნების პრობლემატიკას ინტენსიურად იკვლევენ ლინგვოკულტუროლოგებიც, მათთვის ენობრივი პიროვნება ენისა და კულტურის ურთიერთკავშირის და მათი განვითარების დიალექტიკის გულისგულს წარმოადგენს.

ენობრივი პიროვნების გააზრება ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტში, რომლის სივრცეში აქცენტირებულია კულტურულ-ისტორიული განზოგადებული, კრებსითი სახეხატი, უპირველესად გულისხმობს ამა თუ იმ ენობრივი საზოგადოების ეროვნული კულტურისა და მენტალიტეტის შესწავლას. ამ მიმართულებისათვის ენობრივი პიროვნება არის ინდივიდთა ზოგადი, ერთიანი სახე-ხატი.

აღიარებულია, რომ ენობრივი პიროვნების კონცეფციის გაღრმავება უპირველესად სწორედ კოგნიტიური, ლინგვოკულტუროლოგიური და კომუნიკაციური ასპექტების კვლევებთან არის დაკავშირებული. ეროვნული ენის, კულტურის, ეთნოსის კავშირის ცენტრალური პერსონაჟის - ენობრივი პიროვნების - ფიზიკური, სულიერი და სოციალური "მე"-ს გაცხადების უპირველესი სტრატეგია მეტყველების, - ზეპირმეტყველების ენობრივ-სამეტყველო მოდელებია. *შემოთავაზებული ნაშრომი ამ ენობრივ-სამეტყველო მოდელების აღწერა-დამახასიათებელს მოიცავს.* ენობრივი პიროვნება ამ მოდელების გათავისების საფუძველზე იბადება და საკუთარი ენობრივი პრაქტიკით არა მარტო მათს (ამ მოდელების) სიცოცხლისუნარიანობას ცხადყოფს, არამედ მათი არსებობის პირობასაც წარმოადგენს.

ენობრივი პიროვნება ენობრივი პრაქტიკის ყველა დონეზე შობს *კომუნიკაციურ პიროვნებას* და განსაზღვრავს მის რაგვარობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ашева А.А., (2012): Теория языковой личности в русистике: проблемы и перспективы развития;
2. Караулов Ю. Н., (2007): Русский язык и языковая личность, Москва;
3. Сентенберг И. И., (1994): Языковая личность в коммуникативно-деятельном аспекте//Языковая личность: проблемы значения и смысла, Волгоград;
4. Шевченко О. Н., (2005): Языковая личность переводчика (на материале дискурса Б. В. Заходера), автореферат диссерт., Волгоград;
5. Канчер М. А., (2002): Языковая личность телеведущего в рамках русского риторического этоса (авт. диссерт.), Екатеринбург;
6. Беспмятный Г. Н., (1994): Языковая личность телевизионного ведущего (автореф. диссерт.), Воронеж;
7. Воробьев В. В., (1997): Лингвокультурология, Москва.

Ivane Jagodnishvili
Georgian Technical University, Tbilisi

A Linguistic Character in Mass Communication Area

Abstract

Human research is a central problem of XXI humanitarian and social sciences. Linguistic character is a person who acquires language and designs speech. In the field of language communication, more

exactly in mass communication there is an interest towards journalism, publicism and the professional speech strategies of a linguistics character.

Key words: Linguistic character, mass communication, journalism, communication

საკვანძო სიტყვები: ენობრივი პიროვნება, მასობრივი კომუნიკაცია, ჟურნალისტიკა, კომუნიკაცია

ეთერ ჯაყელი, მიხეილ ჭიჭაყუა,
ნიკოლოზ ზაზაშვილი, ნოდარ მინდიაშვილი
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი
ბიორაციონალური ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრი

სტიმუფუნგის გამოყენების პერსპექტივები

მაღალპროდუქტიული სავარგულების და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდა შეუძლებელია სასუქების გამოყენების გარეშე. სასუქებს ყოფენ ორ ჯგუფად – მინერალურად და ორგანულად. მინერალური სასუქების უმრავლესობა შეიცავს ბალასტს, მათ შორის ტოქსიკურ ელემენტებსაც. ამავე დროს მინერალური სასუქებიდან აქტიური ნივთიერების შეთვისების კოეფიციენტი ძალიან დაბალია. აზოტისთვის იგი შეადგენს 35–50%-ს, ფოსფორისთვის – 20%-ს, ხოლო კალიუმისთვის – 25–60%-ს, ამიტომ ექვგარეშეა, რომ მინერალური სასუქების გამოყენება უკავშირდება გარემოს დაბინძურებას, რაც აგროტექნიკური ღონისძიებების არასწორ შერჩევას შეიძლება მოყვეს. აღსანიშნავია ისიც, რომ გასული საუკუნის შუა ხანებში მინერალური სასუქების გამოყენებამ ფართო მასშტაბი მიიღო, გამახვილდა ყურადღება მათში მინარევების სახით არსებულ მძიმე ტოქსიკურ ელემენტებსა და ბუნებრივ რადიონუკლიდებზე, რომელთა კონცენტრაცია არა იშვიათ შემთხვევაში ათჯერ აღემატება ნიადაგში არსებულ ამავე ქიმიურ და ამასთან რადიოაქტიურ ელემენტებს.

საქართველოსათვის, მცირე მიწიანი მიწათმოქმედების ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესია შხამქიმიკატების მინიმუმაცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისას. ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო გამოსავალი არის ბიოლოგიური სასუქები, რომლებიც მცენარეული ნედლეულისაგან არის მიღებული, განსაკუთრებით კი ნანოტექნოლოგიური გზით მიღებული პროდუქტები (ზ. ჩანსქელიანი და სხვა).


დღეს მსოფლიოში აქტუალურია ბიოპროდუქცია. „ბიოტექსის“ მიერ უკვე წარმოებულია რამდენიმე დასახელების ბიოპროდუქტი, რომლებიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში. მათ შორისაა „სტიმუფუნგი“ – მცენარეული წარმოშობის ორგანული სასუქი. „სტიმუფუნგს“ აღებული აქვს ბიოსერტიფიკატი. პრეპარატის სუბსტანციას აწარმოებს შპს „ლარკი“, მზა ფორმით უშვებს კომპანია „ბიოტექსი“. პრეპარატი გამოდის სითხის სახით.

ბიოპრეპარატი „სტიმუფუნგი“ ორგანული წარმოშობისაა. მოქმედ ნივთიერებას წარმოადგენს: ორგანული ნივთიერებები 10%; აზოტი 2,2მგ/მლ; პეპტიდები 15მგ/მლ; ამინომჟავები 2,5მგ/მლ; ფიტოჰორმონები 0,2მგ/მლ; ნახშირბადი 4,3მგ/მლ. სტიმუფუნგი არ შეიცავს მძიმე ლითონებს, ნიტრატებსა და სხვა ქსენობიოტიკებს და არ წარმოადგენს საშიშროებას გარემოსა და ადამიანებისათვის. ამინომჟავები და პეპტიდები ფართოდ არის გავრცელებული ბუნებაში და წარმოადგენს ორგანული მატერიის განუყოფელ ნაწილს, ამავდროულად ეს ნივთიერებები წარმოადგენენ ცხოველების, ფრინველების, თევზების და მიკროორგანიზმების საკვებ ელემენტებს. მცენარეთა პრეპარატი და მშენებლების შედეგად ის შეიძლება მოხვდეს წყალსატევებში და გრუნტის წყლებში. წყლის ორგანიზმებისათვის იგი უსაფრთხოა და არ თრგუნავს ნიადაგის მიკროფლორას.

შვეისწავლეთ სტიმუფუნგის გავლენა ფორთოხლის-ვაშინგტონ ნაველის ნაყოფების ზოგიერთ ბიოქიმიურ მაჩვენებლებზე და შენახვისუნარიანობაზე. კვლევა ჩატარდა


ქობულეთის რაიონში გაშენებულ ციტრუსოვანთა კერძო ნაკვეთში, კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ფორთოხალ ვაშინგტონ ნაველის ზედასრული ხეები, გაშენებული 60 -იან წლებში. საცდელ ხეებს ვასხურებდით სტიმუფუნგის ხსნარს (2,5 მლ/ლ) ოთხჯერადი დამუშავებით. პირველი შესხურება ვაწარმოეთ ყვავილობის ფაზაში, შემდეგ ორი კვირის, ერთი და ორი თვის ინტერვალით. შესხურებას ვაწარმოებდით საცდელი ვარიანტების სამჯერადი განმეორებით. ნაყოფები დავკრიფეთ ტექნიკური სიმწიფის პერიოდში. განვსაზღვრეთ ტიტრული მჟავიანობა, ნახშირწყლების ჯამი და ვიტამინი C, რომლებიც განაპირობებენ ნაყოფის საგემოვნო თვისებებს. ანალიზი ჩავატარეთ როგორც ახლად დაკრეფილ ნაყოფებში, ისე შენახვის (სამი თვის) შემდეგ. ლაბორატორიული კვლევები განხორციელდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე.

ლაბორატორიული კვლევის შედეგებმა (დიაგრამა1) გვიჩვენა, რომ სტიმუფუნგით დამუშავებული ფორთოხლის ვაშინგტონ ნაველის საცდელი ვარიანტების საშუალო მონაცემების მიხედვით ტიტრული მჟავიანობა საკონტროლო ვარიანტის (შესხურებელი) ნაყოფებთან შედარებით 1,5-ჯერ ნაკლებია; ნახშირწყლების ჯამი საცდელ ვარიანტებში, საკონტრილოსთან შედარებით მეტია 1,24-ჯერ; შაქარმჟავა ინდექსი საცდელ ვარიანტში, საკონტროლოსთან შედარებით მეტია 1,95-ჯერ, ხოლო რაც შეეხება ვიტამინ C-ს, მისი შემცველობა საკონტროლო ვარიანტთან შედარებით საცდელ ვარიანტებში მეტია 1,34-ჯერ.




დიაგრამა 1. სტიმუფუნგის გავლენა ფორთოხლის ვაშინგტონ ნაველის ნაყოფის ქიმიურ შემცველობაზე ნაყოფების შენახვამდე.

ლაბორატორიული კვლევები ფორთოხლის ნაყოფებში გავიმეორეთ შენახვის (3 თვის) შემდეგ. ანალიზმა აჩვენა რომ: როგორც საცდელ, ისე საკონტროლო ვარიანტებში შემცირდა ქიმიური მაჩვენებლების რიცხვითი მნიშვნელობები, თუმცა საცდელ ვარიანტში შენარჩუნებულია უკეთესი მაჩვენებლები (დიაგრამა 2).



შენახვის შემდეგ განვსაზღვრეთ ნაყოფის შენახვისუნარიანობა: დავთვაღეთ თითოეულ ვარიანტში დამპალი ნაყოფების რაოდენობა. სტიმუფუნგიტით დამუშავებულ ვარიანტებში საშუალოდ დამპალი ნაყოფების რაოდენობა შეადგენს 16,6%-ს, ხოლო საკონტროლო ვარიანტში - 41,2%. შენახვისუნარიანობა გაიზარდა 2,48 - ჯერ. რაც საუკეთესო მაჩვენებელია ციტრუსოვანთა კულტურის შენახვისათვის.



დიაგრამა 3. სტიმუფუნგის გავლენა ფორთოხალ ვაშინგტონ ნაველის შენახვისუნარიანობაზე.

მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა ექსპერიმენტი გაგრძელდეს სხვა ციტრუსოვან კულტურებზე, სტიმუფუნგის ხსნარით დამუშავების ოპტიმალური დოზებისა და პერიოდების დასადგენად.

კომპანია „ლარკის“ მიერ ბიოპრეპარატი „სტიმუფუნგი“ გამოიცადა სხვადასხვა საბოსტნე და მარცვლეულ კულტურებზე, ხეხილოვნებზე, გაზონის ბალახებზე და დეკორაციულ მეყვავილეობაში. კვლევები ჩატარდა შპს „ლარკის“ მიერ გარდაბნის და ყვარლის რაიონებში, კერძო ფერმერების ნაკვეთებში. ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა კომპანია „ბიოტექსის“ ლაბორატორიაში და პარალელურად აგრარული ეკოლოგიისა და რადიოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე.

მოგვყავს კვლევების შედეგად მიღებული მაჩვენებლები გამოყენების მეთოდიკით:

ბოსტნეული კულტურები:

ბოსტნეულ კულტურებში (პომიდორი, კიტრი, ყაბაყი, წიწაკა, სტაფილო, ბადრიჯანი, ხახვი, კამა, სალათა, კომბოსტო და სხვ.) „სტიმუფუნგი“ დამუშავება უზრუნველყოფს ადრეული და საერთო მოსავლიანობის მატებას 10–20%-ით, თესლების გაღივებადობის მატებას 3–15%-ით, ვეგეტაციური ზრდისა და ყვავილობის სტიმულაციას, მდგრადობას დაავადებების, გვალვისა და გარემოს სხვა არახელსაყრელი პირობებისადმი, ზრდის ვიტამინების (ბეტა-კაროტინის, ასკორბინმჟავის და სხვ.) შემცველობას მოსავალში 10–25%-ით, ამცირებს ნიტრატებისა და ნიტროზამინების შემცველობას 5–15%-ით. შეიძლება „სტიმუფუნგის“ დამატება-გამოყენება მცენარეთა სტანდარტული დამუშავების დროს ინსექტიციდებთან, ჰერბიციდებთან, ნემატოციდებთან და სასუქებთან ერთად.

გამოყენების მეთოდიკა: თესლის დასამუშავებლად გამოიყენება 40მლ/კგ; ვეგეტაციის დროს შესხურება ხორციელდება ორჯერადად, 2–3 ნამდვილი ფოთლის ფაზაში და 15 დღეში პირველი დამუშავების შემდეგ. ხარჯვის ნორმა 1000მლ/ჰა.

კარტოფილი :

„სტიმუფუნგი“ სასურსათო კარტოფილზე ზრდის ტუბერების გაღივებადობას 3-5%-ით, აჩქარებს ამონაყარის გამოჩენას რამდენიმე დღიდან ერთ კვირამდე, აჩქარებს დამწიფებას და ზრდის მოსავლის ხარისხს 30%-მდე. ტუბერების მოსავლის მომატება მიიღწევა ფოთლის უფრო ადრეული და მძლავრი განვითარებისა და უფრო ადრეული კვდომის ხარჯზე, რასაც თან სდევს საკვებ ნივთიერებათა გადადინება ტუბერებში.

გამოყენების მეთოდიკა: ახდენენ გორგლების თესვისწინა დამუშავებას 20მლ/კგ. დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს „სტიმუფუნგი“ კარტოფილის დამუშავებას ვეგეტაციის დროს: ორ-სამჯერადი შესხურება ბუტონიზაციის ფაზაში და შემდეგ 15–20 დღის ინტერვალით. დოზა 1000 მლ/ჰა.

მარცვლოვანი კულტურები :

„სტიმუფუნგის“ გამოყენება თავთავიან მარცვლოვნებზე (საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბალი, ჭვავი, ქერი), საველე ცდების არსებული მონაცემებით, უზრუნველყოფს მოსავლიანობის ზრდას 3–5 ც/ჰა-ზე, თესლის გაღივებადობისა – 2-15%-ით, ზრდის ენერგიისა – 5–10%-ით, ბუჩქოვნობისა – 6–55%, პროდუქტიული ღეროების რაოდენობისა – 10–140 ცალი/მ². ხდება მეორეული ფესვების გაძლიერებული წარმოქმნა და ფესვთა სისტემის სიგრძის მატება საშუალოდ 0,8 სმ-ით, გვალვამდეგობის ზრდა 10–30%-ით, ფენოფაზების გავლის ვადების დაჩქარება 2-10 დღით. ხდება აგრეთვე მოსავლის სტრუქტურის მაჩვენებლების ოპტიმიზაცია: 1000 მარცვლის მასა მატულობს 0,5–4,1 გ-ით, თავთავის სიგრძე – 1,2–2 სმ-ით, მარცვალთა რიცხვი თავთავში – 0,5–9 ცალით, ფუყეთავთავიანობის შემცირება საშუალოდ შეადგენს 20%. წებოვანას შემცველობა ხორბლის მოსავალში იზრდება 0,5–5%-ით (საშუალოდ 2,5%-ით).

გამოყენების მეთოდიკა

ვეგეტაციური დამუშავების დოზაა 1000 მლ/ჰა. თესლის დამუშავება 1მლ/კგ. დამუშავება ტარდება ორჯერადად, დაყლორტვა-აღერებისა და დათავთავება-ყვავილობის ფაზებში.

მზესუმზირა:

მზესუმზირას მოსავლის ნამატი სტიმუფუნგის ზეგავლენით შეადგენს საშუალოდ 10%-25%. მოსავლის ზრდის გარდა, სტიმუფუნგი ზრდის მზესუმზირის თესლის დამწიფებას 6–7 დღით, ზრდის კალათის დიამეტრს 2,5–5 სმ-ით, ზეთის გამოსავალს – 22%-ით.

გამოყენების მეთოდიკა

თესლის დამუშავება 5 მლ/კგ. დოზა 1000 მლ/ჰა, ორჯერადი დამუშავება, 4–7 ნამდვილი ფოთლის ფაზისა და ყვავილობის დაწყების (კალათის გაშლის) ფაზაში.

სიმინდი:

ჩატარებული ცდების შედეგების მიხედვით სტიმუფუნგი ზრდის სიმინდის მწვანე მასის მოსავლიანობას 14–50 ც/ჰა-ზე და მარცვლისა – საშუალოდ 3,5 ც/ჰა-ზე, ტაროს მასას 3–6%-ით.

გამოყენების მეთოდიკა:

თესლის დამუშავება: 2 მლ/კგ. მოხმარების დოზა: 1000 მლ/ჰა; დამუშავება ტარდება ორჯერადად დაყლორტვა-აღერების ფაზაში.

ვაშლი :

საშუალოდ, სტიმუფუნგით დამუშავება ზრდის ვაშლის მოსავალს 10 ც/ჰა-ით.

გამოყენების მეთოდიკა

დამუშავების დოზა 2000 მლ/ჰა, სამჯერადი დამუშავებით თანაყვავილეების გამოსვლის, ყვავილობის დასასრულს, „თხილის“ ან „კაკლის“ ფაზებში.

ვაზი:

ზრდის სტიმულაცია ვლინდება მცენარის ყველა ორგანოზე: რტოებზე, ფოთლებსა და მტევნებზე. სტიმუფუნგი იძლევა ვაზის რქის წლიურ ზრდას 30–65%-ით, ვაზის ნამატს

რქაზე გაანგარიშებით – 30–55%-ით და მომწიფებულ რქაზე – 50–65%-ით, ზრდის მარცვლების მომწიფების პროცენტს 3–14%-ით, მტევნის ავსებასა და მასას – 21–24%-ით.

გამოყენების მეთოდიკა

დამუშავების დოზაა 1000–1500 მლ/ჰა, ოთხჯერადი დამუშავებით, ყვავილობის წინა, ყვავილობის შემდგომ, მარცვლების ზრდის დასაწყისში, მტევნებად მარცვლების შეკვრის ფაზებში.

ყვავილოვანი კულტურები

ღია და დახურული გრუნტის ყვავილოვან კულტურებში სტიმუფუნგი იწვევს უფრო ადრიან და უხვ ყვავილობას, აჩქარებს აყვავებას 3–15 დღით, ზრდის ყვავილობის ხანგრძლივობას 4–35 დღით (1,5–2,5-ჯერ), ზრდის თითო მცენარეზე ყვავილების რიცხვს, აუმჯობესებს მათ დეკორატიულ თვისებებს, ზრდის I და ექსტრა კლასის ყვავილთა პროდუქციის გამოსავალს 10–15%-ით და მედეგობას დაავადებების მიმართ. მცენარეთა უჯრედებში სტიმუფუნგის გავლენით ქლოროფილისა და ანტიოქსიდანტების გამდიერებული სინთეზის წყალობით აღინიშნება ფოთლებისა და ყვავილების უფრო ხასხასა, ნაჯერი შეფერილობა. სტიმუფუნგის მნიშვნელოვანი თვისებაა ყვავილობის ინდუქცია, აყვავების მომენტის დაჩქარება, უფრო ერთიანი ყვავილობა და მცენარეზე ყვავილთა რიცხვის ზრდა.

გამოყენების მეთოდიკა

გამოყენების დოზა 1000 მლ/ჰა, რეკომენდირებულია 3-ჯერადი დამუშავება, ბეტონიზაციის დასაწყისში, შემდეგში 2-კვირიანი ინტერვალით.

გაზონის ბალახები

გაზონის შეწამვლა სტიმუფუნგით უზრუნველყოფს ყლორტიანობასა და გამოზამთრების შემდეგ ზრდის მატებას 6–56%-ით, ზრდის პროცესების გამდიერებას 33–68%-ით, მწვანე ბიომასის ნამატს 7–17%-ით, ქლოროფილის შემცველობის ზრდას 8–10%-ით, თანაბარ ზრდას, ამოზრდის სიჩქარისა და ბალახის სიმაღლის მატებას, გაზონის უფრო ერთიანი, მკვრივი ზრდის უზრუნველყოფას სხვადასხვა ჯიშის ბალახის თანაბარი ზრდით.

გამოყენების მეთოდიკა

1 კგ თესლის დასამუშავებლად იყენებენ 20 მლ სტიმუფუნგის ხსნარს. ვეგეტაციისას სტიმუფუნგის ხარჯვის დოზაა 1000 მლ/ჰა. გაზონის შეწამვლა ზრდის დასაწყისიდან (გაზაფხულზე), შემდეგი – 7 დღის ინტერვალით. დამუშავებათა ჯერადობა – 2–5 ვეგეტაციაზე. რეკომენდებულია სტიმუფუნგის გამოყენება გაზონის ზრდისა და ბუჩქოვნობის სტიმულაციისათვის კრიტიკულ პერიოდებში (გამოზამთრების, მოთიბვის, სასუქებისა და პესტიციდების შეტანის შემდეგ, გვალვის დროს). სტიმუფუნგის შესხურება ნორმალური ზრდის დროს არასასურველია, რადგან იწვევს ბალახის ჭარბ ზრდას.

დეკორატიული ხეები და ბუჩქები

დეკორატიული მწვანე ნარგავების შესხურება სტიმუფუნგით უზრუნველყოფს ყლორტების ზრდის დაჩქარებას და მათი წლიური ნამატის ზრდას საშუალოდ 20%-ით, ფოთლებში ქლოროფილის შემცველობის გადიდებას 6–12%-ით, ფოთლების ფიზიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მათი ასიმილაციური ზედაპირის ზრდას 15–75%-ით, ყვავილობის დაწყების დაჩქარებას 3–10 დღით, ბუჩქზე ყვავილთა რიცხვის ზრდას 9–10%-ით, მცენარეთა მედეგობის გაზრდას სტრესების მიმართ (ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურება, ტემპერატურის ცვალებადობა).

გამოყენების მეთოდიკა

გამოყენების დოზაა 3000 მლ/ჰა, 3-ჯერადი დამუშავება, კვირტების გაშლის/ბუტონიზაციის სტადიიდან, შემდგომ 15 დღიანი ინტერვალებით.

ამრიგად, სტიმუფუნგი პერსპექტიულია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მისაღებად, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, ხელს უწყობს ყვავილობას, ამცირებს პარაზიტებით, ჰერბიციდებით, კლიმატური ცვლილებებით გამოწვეულ სტრესს. ხელს უწყობს ხარისხიანი მოსავალის მიღებას, ახანგრძლივებს პროდუქციის შენახვის ვადას.

ლიტერატურა:

1. ჩანსქელიანი ზ., ჭიჭაყუა მ., მინდიაშვილი ნ., ჯაყელი ე, ზარდიაშვილი მ., 2010: მინერალური სასუქები და გარემოს ეკოლოგია // „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, #27, 315–317.

Eter Jakeli¹, Michael Chichakua², Nikoloz Zazashvili², Nodar Mindiashvili²

Batumi Shota Rustaveli State University¹,

Biorational Technologies Research Center²

Prospects for Using Stimufung

Abstracte

The article discusses importance of organic fertilizer for ecological safety. The survey was made using bioproduct – Stimufung. Influence of stimufung on different vegetable cultures has been studied. As a result, the quality of the crop and the storageability increases. Doses of treatment with Stimufung and its periods that are necessary to get pure product are determined.

Keywords: Stimufung, bioproduct, ecology, fruit, storageability

ქეთევან ჯაში

სევილიის უნივერსიტეტი, ესპანეთი

არტიკლის კატეგორია ფრანგულში და ქართულ ენაზე მისი გადმოცემის ხერხები

წინამდებარე სტატია განიხილავს ფრანგულ ენაში გამოყენებულ მზა სტრუქტურებში შემავალი არტიკლის სტილისტურ მახასიათებლებს, იმ ფორმებსა და ხერხებს, რომლითაც უნდა გადმოვცეთ ის ქართულ ენაზე. ნაშრომის კვლევა ეფუძნება შედარებით-შეპირისპირებითი ტიპოლოგიის პრინციპებს. მისი მიზანია იმ თავისებურებების დადგენა, რაც ფრანგულ არტიკლს ახასიათებს და იმ სირთულეების დაძლევა, რომლებიც თავს იჩენს ქართულ ენაზე არარსებული გრამატიკული კატეგორიის ნიუანსების გამოსახატვის დროს. ნაშრომში განხილულია ფრანგი მწერლების მხატვრული ნაწარმოებებიდან აღებული მაგალითები. საკვლევი მასალა შეადგენს 230 ერთეულს.

შესავალი

ყველა ენაში გამოიყოფა ლექსიკო-გრამატიკულ სიტყვათა ჯგუფები, რომლებსაც მეტყველების ნაწილებს უწოდებენ. გამოხატვის ხერხების მიხედვით ანსხვავებენ ძირითად და დამხმარე მეტყველების ნაწილებს. ფრანგულში გვაქვს დამხმარე მეტყველების ნაწილების სამი კატეგორია, რომლებიც ქართულში არ არსებობს. ესენია: არტიკლები, დეტერმინატივები, დამხმარე ნაცვალსახელები. არტიკლი არის სიტყვა, რომელსაც დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა არა გააჩნია. ის დაისმის არსებითი სახელის წინ, მიუთითებს მის სქესსა და რიცხვზე. ქართულ ენაში არტიკლის კატეგორია არ არსებობს, თუმცა ძველ ქართულში არსებობდა ნაწევარი. იგი გამოიყენებოდა საზოგადო სახელთან და განსაზღვრავდა სახელს (ჯაში 2008: 37).

ფრანგული ენის თავისებურება სწორედ იმაში ვლინდება, რომ მასში არსებობს დამხმარე სიტყვათა ისეთი კატეგორია, რომლებიც დამხმარე სიტყვებისა და ნაცვალსახელების ნიშან-თვისებებს აერთიანებს (გაკი 1983: 92).

დეტერმინაცია (განსაზღვრება/განუსაზღვრელობა) დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენადაა ინფორმირებული მოსაუბრე იმ საგანზე, რომელსაც საუბრისას იყენებს. ფრანგულ ენაში დეტერმინაციაზე შეიძლება ვისაუბროთ როგორც გრამატიკულ კატეგორიაზე, რადგანაც ის გამოიხატება რეგულარულად განსაკუთრებული დამხმარე

სიტყვით, არტიკლით, რომელიც წინადადებაში აფორმებს სახელად ჯგუფს. არსებითი სახელი შეიძლება დახასიათდეს თვისობრივი ან რაოდენობრივი თვალსაზრისით და ამიტომაც დეტერმინაციის კატეგორიას, რომელიც არტიკლით გამოიხატება ორი ასპექტი აქვს: თვისობრივი და რაოდენობრივი. თვისობრივი დეტერმინაცია ეხება თვლად არსებით სახელებს და გამოიხატება ოპოზიციით *le/un*; რაოდენობრივი დეტერმინაცია ეხება უთვლად არსებით სახელებს და გამოიხატება ოპოზიციით *le/du*. (გაკი 1983:113).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ ენაში არტიკლის კატეგორია არ გვაქვს, მაგრამ მის მიერ გამოხატული მნიშვნელობები შეიძლება გადმოვცეთ გრამატიკული ან ლექსიკური საშუალებებით (გაკი, 1983: 113). ქართულ ენაში დეტერმინაცია სხვადასხვა საშუალებით გადმოიცემა: ლექსიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური საშუალებებით. ფრანგულ ენაში არტიკლს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს. ის არსებითი სახელისათვის სამ ძირითად ამოცანას ასრულებს. 1. პირველ რიგში, ის განსაზღვრავს არსებით სახელს, რომელიც ახდენს საგნის, მოვლენის სახელდებას და დაკავშირებულია მოცემულ სიტუაციასთან; 2. არტიკლი აღნიშნავს აბსტრაქტულ ცნებას, რომელიც აღებულია სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით. არსებითი სახელის თვისობრივი მახასიათებლის გარდა, არტიკლს შეუძლია გამოყოს რაოდენობრივი მხარე, ანუ არტიკლმა შეიძლება მიგვანიშნოს იმაზე, ერთეულ საგანზეა, თუ ბევრ საგანზეა საუბარი. 3. არტიკლმა შეიძლება მიგვანიშნოს იმაზე, რომ საუბარია ერთგვაროვანი და უფორმო ნივთიერების რაღაც განუსაზღვრელ რაოდენობაზე, რომელიც უთვლადი არსებითი სახელითაა გამოხატული. პირველი ორი ამოცანის განხორციელება „განსაზღვრულ“ და „განუსაზღვრელ“ არტიკლებს ეხება, ხოლო მესამე კი „ნაწილობითი“ არტიკლის ფუნქციას წარმოადგენს (რეფეროვსკაია, ვასილიევა 1982:70).

დღემდე არ არსებობს ლინგვისტიკაში არტიკლის ბუნებასთან დაკავშირებული ერთნაირი დამოკიდებულება. არტიკლი სუფთა გრამატიკული მოვლენაა. სტილისტიკისათვის კი მნიშვნელოვანია არტიკლის განსხვავებული ფორმების ზუსტი განსაზღვრება. ყველაზე საინტერესო კვლევა მე-20-ე საუკუნის დასაწყისში არტიკლთან დაკავშირებით ჩატარებული აქვს ფრანგ მეცნიერ გუსტავ გიომს, რომელიც შემდგომში მისმა მოსწავლეებმა განავითარეს. არტიკლის გ. გიომისეული თეორია ლინგვო-ფილოსოფიურ ცნებებს ეყრდნობა, რომელთა მიხედვითაც ნებისმიერი ენა საკუთარი ელემენტებით ასახავს ადამიანის მიერ რეალური სამყაროს აღქმის საკუთარ ფორმას. სამყაროს ორი ატრიბუტია დრო და სივრცე. ის, რაც არსებობს სამყაროში მდებარეობს სივრცეში, ყველაფერი რაც ხდება, ხდება დროში. არსებითი სახელები აღნიშნავენ საგნებს, რომლებიც სივრცეში არსებობს, როგორც ამ სივრცის ელემენტები. არტიკლი ხაზს უსვამს არსებით სახელს როგორც სიტყვის ინტერპრეტაციას: 1)ის ინდივიდუალურ კონცეპტს აღნიშნავს, რომელიც საგანს განიხილავს როგორც მოცემულ სიტუაციასთან დაკავშირებულს; 2)ის აღნიშნავს ზოგად ცნებას როგორც აბსტრაქტულ ცნებას წარმოდგენილს თავისი მოცულობის მთელი სისრულით (რეფეროვსკაია, ვასილიევა 1982 :70).

არტიკლის ფუნქციები და მათი მნიშვნელობა სიგნიფიკატიურ დონეზე; არტიკლის ტიპები ფრანგულ ენაში

ფრანგულ ენის ნორმატიული გრამატიკის მიხედვით 4 სახის არტიკლი არსებობს. ესენია: განუსაზღვრელი, განსაზღვრული, შერწყმული, ნაწილობითი. ლინგვისტიკა, არტიკლის სისტემაში გამოყოფს სამ ტიპს. ესენია: განუსაზღვრელი, განსაზღვრული, ნაწილობითი, ნულოვანი. არტიკლის არქონა გამოირიცხავს რეფერენციას (ილია 1970: 30).

განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობა დაკავშირებულია მოლაპარაკის ინფორმაციასთან საგნის შესახებ და ახასიათებს მთელ გამონათქვამს. განსაზღვრულ არტიკლს შეუძლია გადმოსცეს საერთო ცნებითი მნიშვნელობა ანუ მიუთითებს იმაზე, რომ არსებითი სახელი აღნიშნავს საგანს, რომელიც აღებულია მთელი მისი მოცულობით. განუსაზღვრელი არტიკლი მიუთითებს ერთეულ საგანზე. თითქოს საგანი გამოიყოფა ერთნაირ საგანთა რიგიდან, რომლებიც განზოგადოებულია შესაბამის ცნებაში. რაც შეეხება ნაწილობით არტიკლს, ის მიუთითებს ცნების უფორმო, გამოუხატავ ბუნებაზე. ნულოვანი არტიკლი, ანუ არტიკლის გამოტოვება უმეტესად ილუზორული საგნობრიობის გადმოცემის საშუალებაა.

გრამატიკაში არტიკლს ძირითადი დიფერენციალური ნიშნების გარდა უჩნდება მეორეული დამატებითი მნიშვნელობები. კერძოდ, სტილისტური თავისებურებები. არტიკლის ძირითადი და მეორეული მნიშვნელობები საუკეთესო პირობებს უქმნიან მწერლებს სტილისტური ნოვატორობისათვის. ამგვარად, არტიკლის გამოყენების სფეროში, სტილისტური გრამატიკა თავის ძირითად ყურადღებას აპყრობს არტიკლის ძირითადი და მეორეული მნიშვნელობების ვარიაციებსა და მათ სტილისტურ გამოყენებას (დოზა 1947:197).

განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობა გადმოიცემა სიტყვათა რიგით, ლექსიკური საშუალებებით (ნაცვალსახელი, ზედსართავი). განსაზღვრულ არტიკლს განსაზღვრულობის გრამატიკული მნიშვნელობის გარდა, აქვს ჩვენებითი მნიშვნელობა, რომელიც მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობაა. მაგალითად: *le<illum, la<(il)lam, les <(il)los*. ეს ფორმები ლათინურიდანაა ნაწარმოები. *Le* არტიკლის სემანტიკურ კავშირი ჩვენებით ნაცვალსახელთან, გრამატიკოსებს დაყავთ მთელ რიგ მყარ შესიტყვებამდე, როგორებიცაა: *tout à l'heure, à l'instant, de la sorte, pour le coup* (ვაგნერი, პენშონი 1962: 62). ამას გარდა, როგორც ამაზე ენობრივი პრაქტიკა მიუთითებს, განსაზღვრულ არტიკლს „le“-ს უნარი აქვს შეინარჩუნოს თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა თავისუფალ შესიტყვებებშიც: კონკრეტულ და აბსტრაქტულ, სულიერ და უსულო არსებით სახელებთან, ნებისმიერ სინტაქსურ პოზიციაში.

ასეთებია მაგალითად წინდებულიანი და უწინდებულო სინტაგმები, რომელთა აზრობრივი ბირთვი დროისა და სივრცის მნიშვნელობით სახელადი კომპონენტია. მაგალითად: *âge, époque, semaine, coin, canton, quartier*, რომლებიც წინადადებაში დროის ან ადგილის გარემოების მნიშვნელობით გამოდის. მაგალითად: *Contre toute attente, il m'a répondu dans la semaine*- ყოველგვარი მოლოდინის მიუხედავად, მან ამ კვირაში მიპასუხა. მოყვანილ მაგალითები „le“-ს ეკვივალენტი ქართულ ენაში ჩვენებითი ნაცვალსახელია. ეკვივალენტის შერჩევა ხდება კონტექსტის შესაბამისად. შევადაროთ ორი წინადადება: *-C'est le plus grand acteur de l'époque, se dit-il*-ეს ჩვენი დროის უდიდესი მსახიობია-გაიფიქრა მან. *Il reconnut le langage auquel la littérature de l'époque l'avait habitué*-მან იცნო ის სტილი, რომელსაც იმდროინდელმა ლიტერატურამ მიაჩვია. პირველ მაგალითში შემასმენელი დგას აწმყო დროში და არტიკლის „le“-ს ჩვენებითობის ფუნქციას პოსესიურობის ფუნქცია ემრევება, რაც განსაზღვრავს კიდევ ეკვივალენტის, ნაცვალსახელის „ჩვენი“-ის შერჩევას. მეორე წინადადებაში შემასმენელი წარსულ დროშია. არტიკლი „le“ ინარჩუნებს სუფთა ეტიმოლოგიურ მნიშვნელობას და ღებულობს ეკვივალენტს „ის, იმდროინდელი“. ამგვარად, არტიკლის „le“-ს ეკვივალენტის შერჩევისას, როდესაც ის ეტიმოლოგიური მნიშვნელობითაა გამოყენებული, უნდა გავითვალისწინოთ ზმნის დროისეული ფორმა. ქართულ ენაზე „Le“-ს ეტიმოლოგიური მნიშვნელობა შეიძლება ზედსართავი სახელით გადმოცეთ, რომელსაც ჩვენებითი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად: *J'ouvris la bouche pour dire enfin ce que j' avais à dire sur la question*-პირი გავაღე, რომ ჩემი აზრი გამომეთქვა მოცემულ [ამ] საკითხზე.

ამგვარად, არტიკლს „le“-ს შეუძლია შეინარჩუნოს თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა ნებისმიერი ტიპის არსებით სახელთან ნებისმიერ სინტაქსურ პოზიციაში, რომლის დროსაც ის ასრულებს არსებითი სახელის აქტუალიზატორის როლს და სქესსა და რიცხვს გამოხატავს. მისი ქართული ეკვივალენტებია ჩვენებითი ნაცვალსახელები „ის, ეს“, რომლებიც შეიძლება ზედსართავებით „ისეთივე“, „მოცემული“, „მსგავსი“ გავამდიეროთ.

განუსაზღვრელი არტიკლის ძირითადი არსი ისაა, რომ ის გამოხატავს საგანს, რომელიც გარკვეული საგანების ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებსაც იდენტური თვისებები და მსგავსი სახელდება გააჩნია. განუსაზღვრელი არტიკლი განსაზღვრული არტიკლის „le“-ს მსგავსად შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნას თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით - „ერთი“- *un*. ლათინური ფორმებიდან მივიღეთ: *un<unum, une<unam*. ასეთ შემთხვევაში „un“ შეიძლება დავუპირისპიროთ ნებისმიერი რაოდენობის აღმნიშვნელ სხვა დეტერმინანტის. მაგალითად: *Elle n'eut qu'une pensée: s'enfuir*-მას მხოლოდ ერთი აზრი ჰქონდა: გაქცეულიყო.

განუსაზღვრელი არტიკლი „un“, ეტიმოლოგიური მნიშვნელობით შეიძლება ემფაზისათვის⁷⁸ გამოვიყენოთ. მისი ეკვივალენტი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს : „ერთეული, ერთადერთი“. მაგალითად: *Une seule lettre d'Anne, mais il n'était pas une ligne qui ne plût à Thérèse*-ანასაგან ერთადერთი წერილი მიეღო, რომელშიც არც ერთი სტრიქონი არ იყო ისეთი, ტერეზას რომ არ მოსწონებოდა.

განუსაზღვრელი არტიკლი „un“ შეიძლება გამოვიყენოთ განუსაზღვრელი ნაცვალ-სახელის მნიშვნელობით. თარგმნისას ვიყენებთ განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს - „ვინმე, რაღაც, ვიღაც“. მაგალითად: *-C'était dans les Tuilleries, je vois un Monsieur avec sa dame*-ეს იყო ტიულერის ბაღში. უცებ, დავინახე ვიღაც მამაკაცი ქალთან ერთად.

მრავლობითი რიცხვის განუსაზღვრელი არტიკლის „des“-ს ეკვივალენტად ვიღებთ იმავე განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს მრავლობით რიცხვში, ასევე ისეთ განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს, როგორებიცაა: „ზოგიერთი“, „რამდენიმე“. ეს მნიშვნელობა განსაკუთრებით თავს იჩენს, როდესაც ხდება „un“-ს და „des“-ს მონაცვლეობა. მაგალითად: *-Il a des idées, mais il ne connaît pas les faits* - მას რაღაც იდეები აქვს, მაგრამ ფაქტები უცნობია. მას შეიძლება ეკვივალენტად განუსაზღვრელი ნაცვალსახელები ჰქონდეს: „სხვადასხვა“, „ყოველნაირი“. მაგალითად: *-Je gagne bien. Je suis riche. Quand je suis arrivé en France, je n'arrêtais pas de m'acheter des choses*-კარგ ფულს ვშოულობ. მდიდარი ვარ. როდესაც საფრანგეთში ჩამოვედი, მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რომ ვყიდულობდი სხვადასხვა ნივთს.

განუსაზღვრელობის მნიშვნელობასთან ერთად არტიკლს შეიძლება პოსესიურობის მნიშვნელობაც ჰქონდეს. თარგმნისას განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს ვიყენებთ სუბსტანციური მსაზღვრელის სინტაქსური ფუნქციით: „ვიღაცის“, „ვინმესი“. მაგალითად: *Elle vit des mains et des yeux: ça et là une tâche de lumière* - მან დაინახა ვიღაცის ხელები და თვალები: აქა-იქ ნათელი ლაქები. კონკრეტულ არსებით სახელებთან „le“-ს თარგმნისას ეკვივალენტად შეიძლება გამოვიყენოთ ყველაზე ზოგადი სემანტიკის მქონე განყენებული არსებითი სახელი. მაგალითად: *En l'homme se retrouvait les Français de France et les Norvégiens de Norvège* - ადამიანის ცნება გულისხმობს, როგორც ფრანგებს საფრანგეთიდან, ასევე ნორვეგიელებს ნორვეგიიდან.

ფრანგულ ენაში „le“ არტიკლის განმაზოგადოებელი მნიშვნელობის შესაბამისად, ერთიანი სიმრავლის აღსანიშნავად შესაძლებელია მხოლოდითი რიცხვის არსებითი სახელის შედარებით ფართო მნიშვნელობით გამოყენება. ასე მაგალითად, „le“ არტიკლი, განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ცხოველების აღმნიშვნელ არსებით სახელებთან. მაგალითად: *C'était la saison du canard sauvage* -ეს იყო გარეულ იხვებზე ნადირობის სეზონი. განსაზღვრული არტიკლი „le“ ადამიანის ორგანოების აღმნიშვნელი კონკრეტული არსებითი სახელების წინ განზოგადოებული მნიშვნელობით გამოიყენება. ქართულ ენაში მისი ეკვივალენტი ფრანგულის მსგავსად მხოლოდითი რიცხვშია. მაგალითად: *L'oeil de Julien suivait machinalement l'oiseau* - ჟულიენი უნებლიედ ჩიტს თვალს ადევნებდა. იმ არსებით სახელებთან, რომლებიც კვირის დღეებს აღნიშნავენ არტიკლი „le“ გამოხატავს რეგულარულობას და მიუთითებს იმ კავშირზე, რომელიც არსებობს მოქმედებასა და შესაბამის დროს შორის, ხოლო „un“ არტიკლი - გამოხატავს ამ კავშირის შემთხვევით ხასიათს. მაგალითად: ნულოვანი არტიკლი კი აკავშირებს მოქმედებას მიმდინარე კვირის დღესთან. მაგალითად: *Le jeudi et le dimanche, ma tante Rose venait déjeuner à la maison-*ხუთშაბათობით და კვირაობით, დეიდა როზა ჩვენთან სადილობდა. *Venez me voir un mardi à 7 h. Je reçois ce jour-là*-შემომდარეთ როგორმე ერთ სამშაბათს, 7 საათზე. მიღება მაქვს ამ დღეს. *Elle viendra nous voir jeudi*-ის ჩვენთან ხუთშაბათს მოვა. განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ სტრუქტურაზე „*Prépositif+les+S*“-დროის მონაკვეთის მნიშვნელობით. მაგალითად: **rentrer vers les une heure**- დამის პირველი საათისკენ დაბრუნება. მოცემულ მაგალითში „les“-ს ქართულ ენაში ეკვივალენტი არა აქვს. ხოლო მიახლოებითობის მნიშვნელობა შეიძლება ლექსიკური საშუალებით „დაახლოებით“, ან თანდებული „კენ“-იანი დროის გამოხატველი

⁷⁸ ემფაზა-ლინგვისტური ტერმინია და ნიშნავს „გამოყოფას, ხაზგასმას“.

არსებითი სახელით გადმოვცეთ. თუ ასეთ სტრუქტურაში განუსაზღვრელი არტიკლი „des“ გამოიყენება, გამონათქვამი ემოციურ-შეფასებით ელფერს ღებულობს, რომელსაც ქართულად პეიორაციული შეფასების ლექსიკური გამოხატვის საშუალებები შეესაბამება. მაგალითად: *-Il rentre à des 3 heures du matin !*-რა სირცხვილია, შინ, ღამის სამ საათზე ბრუნდება!

ნაწილობით არტიკლიანი არსებითი სახელის ეკვივალენტის გამოხატვის სირთულე ქართულ ენაში

ნაწილობითი არტიკლის გამოყენება დაკავშირებულია უთვლად არსებით სახელებთან. თუმცა, ასეთი ტიპის რომელიმე არსებითი სახელი არ მოითხოვს აუცილებლად, რომ მის წინ დაისვას ნაწილობითი არტიკლი. ის მაშინ ჩნდება, როდესაც სურთ ხაზი გაუსვან ამა თუ იმ ერთგვაროვანი და უფორმო ნივთიერების განუსაზღვრელ რაოდენობას და როდესაც სურთ ხაზი გაუსვან მათ საერთო მახასიათებლებს. ამ შემთხვევაში ნაწილობითი არტიკლი ასრულებს განუსაზღვრელი არტიკლის ანალოგიურ ფუნქციას, რომელიც მას თვლად არსებით სახელებთან გააჩნია. ნაწილობითი არტიკლი ერთ კონკრეტულ საგანს აღნიშნავს, რომელიც მოცემულ კლასს განეკუთვნება. ნაწილობითი არტიკლი მოცემული ნივთიერების განსაზღვრულ რაოდენობას აღნიშნავს. როდესაც არ სურთ აქცენტი ნივთიერების რაოდენობრივ მხარეზე გააკეთონ, მაშინ ყოველთვის განსაზღვრულ არტიკლს ირჩევენ (რეფეროვსკაია, ვასილევა 1982 : 88). მაგალითად: *Elle se fourre du coton dans les oreilles pour ne pas entendre quand on tape*-ყურებში ბამბა ჩაიდო, რომ დარტყმის ხმა არ გაეგონა. ნივთიერების აღმნიშვნელი არსებითი სახელების წინ შეიძლება გამოვიყენოთ განუსაზღვრელი არტიკლიც. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც მოცემულ ნივთიერებას სახეობის შიგნით უფრო შეზღუდულ ტიპს ვუკავშირებთ. მაგალითად: *De rares troupeaux brouaient dans cette plaine une herbe courte*-მცირერიცხოვანი ფარა ამ მიწაზე მოკლედეროიან ბალახს ძოვდა. ბოლო დროს, სულ უფრო ხშირად იყენებენ ნაწილობით არტიკლს აბსტრაქტულ და ბუნების მოვლენების აღმნიშვნელ არსებით სახელებთან. ამ პროცესმა დასაბამი XVII საუკუნეში აიღო და დღემდე გრძელდება. მაგალითად: *Vous appelez cela de l'amour, moi, je l'appelle de l'égoïsme* -ამას თქვენ სიყვარულის გამოვლინებას უწოდებთ, ჩემთვის ეს ეგოიზმია. იმ შემთხვევაში, როდესაც აბსტრაქტული არსებითი სახელი აღებულია ზოგადი მნიშვნელობით და იგი განსაზღვრულია კონტექსტში, მის წინ დაისმის განსაზღვრული არტიკლი. მაგალითად: *La bonté est une belle qualité*-სიკეთე კარგი თვისებაა. სტრუქტურა „un/du+N de mat.“⁷⁹ შესაბამისი ნივთიერების მოცულობას გამოხატავს და ქართულ ენაში ლექსიკური საშუალებით გადმოიცემა. მაგალითად: *Écroulé sur une chaise, il demanda un café* -ის მძიმედ დაეშვა სკამზე და მოითხოვა ფინჯანი ყავა. *Paul s'est éveillé et boit le café*-პოლმა გაიღვიძა და სვამს (თავის)⁸⁰ყავას. ამგვარად, სქემატურად, ფრანგულ და ქართულ სტრუქტურებს შორის მიმართება შეიძლება გამოვხატოთ ასე: „un+N.mat.=S“, რომელიც შესაბამისი ნივთიერების რაოდენობას (მოცულობას) გამოხატავს. ქართული სიტყვათშეერთების პირველი კომპონენტის შერჩევა ხდება მეორე კომპონენტის მნიშვნელობის მიხედვით (მაგალითად: *un sucre*-ნატეხი შაქარი, *une bière*-კათხა ლუდი, *une crème*⁸¹-ნაღების პორცია).

ნაწილობითი არტიკლი „du“ შეიძლება გამოვიყენოთ ცხოველების აღმნიშვნელი არსებითი სახელების წინ. ამ შემთხვევაში ნაწილობითი არტიკლი იმისათვის გამოიყენება, რომ თვლადი არსებითი სახელის ტრანსპოზიცია მოხდეს უთვლადი არსებითი სახელის კატეგორიაში. მაგალითად: *C'était la seule fois de l'année où le paysan mangeait chez lui de la viande fraîche. Cette fois-ci, c'était du bœuf*-წელიწადში ერთხელ ხდებოდა, როდესაც გლეხს ახალი ხორცის ჭამა შეეძლო. ამჯერად, საქონლის ხორცი იყო. ნაწილობითი არტიკლი „du“

⁷⁹ N de mat.-Nom de matière

⁸⁰ მოცემულ კონტექსტში მისი გამოყენება ფაკულტატიურია.

⁸¹ ანალოგიური მიმართება არსებობს Adj. num.+ N.mat. მაგალითად: *deux aspirines*-ორი ტაბლეტი ასპირინი.

გამოიყენება ასევე ცხოველის სახეობისა და ინდივიდის აღსანიშნავად. მისი ეკვივალენტი ქართულ ენაში მრავლობითი რიცხვის არსებითი სახელია. მაგალითად: *Il y a du lièvre ici* - აქ კურდღლები იცის. სტრუქტურის „du+N concret“, გამოყენება იწვევს არსებითი სახელის მნიშვნელობის ცვლილებას განყენებული თვისების აღნიშვნისას, რომელიც მეტონიმური ურთიერთობით შესაბამისს კონკრეტულ არსებით სახელთანაა დაკავშირებული. ამას საგნის კონკრეტული მნიშვნელობის გაქრობამდე მივყავართ. წინა პლანზე მისი თვისობრივი ნიშნები გამოდის. მაგალითად: *-Je vous ferai connaître un théâtre-* ინფორმაციას ერთი თეატრის შესახებ მოგაწვდით. *Ses cris, ses larmes, tout ça, c'est du théâtre!* - მისი ცრემლები და ყვირილი, ყველაფერი (თეატრია) თამაშია.

ამგვარად, სტრუქტურა „du+N. concret“ შეიძლება საგნის დასახასიათებლად გამოვიყენოთ. მყარ შესიტყვებებში შეიძლება მოხდეს მნიშვნელობის გადაადგილება კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ. მაგალითად: *avoir du nez* - კარგი ყნოსვის ქონა. „du+N. concr.“-ს ეკვივალენტი შეიძლება იყოს შემდეგი სახის სიტყვათშეერთება: „რადაც“ + იმავე ფუძის სუბსტანტივირებული ზედსართავი სახელი, რაც კონკრეტული არსებითი სახელის ლექსიკური ეკვივალენტია ან კიდევ „რადაც“ + არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაში + სუფიქსი „ელი“, „ური“. მაგალითად: *Il y a du Napoléon chez lui* - მასში რადაც ნაპოლეონისეულია. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სტრუქტურა „art+N propre“, რადგანაც როგორ წესი, საკუთარი არსებითი სახელები ფრანგულ ენაში არტიკლის გარეშე გამოიყენება. მოცემულ შემთხვევაში არტიკლის ფუნქცია არსებითი სახელის ლექსიკური ჯგუფით ზუსტდება, ან კიდევ ამ პოზიციაში არტიკლი არსებითი სახელის ლექსიკურ მნიშვნელობაზე ზემოქმედებს. „Le+N.pr“. სტრუქტურაში არტიკლმა შეიძლება შეინარჩუნოს თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში საკუთარი სახელი გამოიყენება განსაზღვრებით ან განსაზღვრებითი წინადადებით. მაგალითად: *La tendre Cécile, la Cécile que j'adore* - ის ალერსიანი სესილი, სესილი, რომელსაც ვაღმერთებ. მოცემულ წინადადებაში განსაზღვრული არტიკლის ეკვივალენტია ჩვენებითი ნაცვალსახელი. სტრუქტურა „un+N.pr.“ როგორც „un+N.comm.“⁸² სტრუქტურა შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომყოფი ფუნქციით განუსაზღვრელი ნაცვალსახელის მნიშვნელობით, რომლის ეკვივალენტებია: „ვიღაც“, „ვინმე“, „რომელიღაც“. მაგალითად: *-Est-ce qu'un Jean Renaud Sarti est domicilié chez vous ?-* თქვენთან ხომ არ ცხოვრობს ვინმე ჟან რენო სარტი? განუსაზღვრელი არტიკლის გამომყოფი კონკრეტული ფუნქცია ვლინდება ასევე სტრუქტურაში „un+N.pr.+Adj.“. მაგალითად: *C'était une Thérèse inconnue* - ეს იყო ვიღაც ახალი, [უცნობი] ტერეზა. არტიკლი მხატვრების, მოქანდაკეების, მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრული ნაწარმოებების შემსრულებლების გამომხატველ საკუთარ არსებით სახელებთან ახდენს მათ მეტონიმოზაციას. ქართულ ენაში ეს ფუნქცია გამოდმოიცემა ლექსიკური საშუალებებით ან კიდევ საკუთარი სახელის მეტონიმური გამოყენებით. მაგალითად: *-Quand je pense au Matisse qu'il y a chez lui...* - როდესაც მატისის ტილოზე ვფიქრობ, რომელიც მას აქვს...

გამოჩენილი პიროვნების გვართან „le“ ნიშნავს ყველა ნაწარმოებს, ხოლო du, ნაწარმოების რაღაც ნაწილს. მაგალითად: *J'ai lu du Balzac* ანდა *j'ai lu le Balzac*. „Un+N propre“ - აღნიშნავს მის ერთ (რომელიღაც) ნაწარმოებს - *un Balzac*. სტრუქტურა „du+N propre“- გამოჩენილი ადამიანის გვართან შეიძლება აღნიშნავდეს მის სტილსაც. ეკვივალენტად შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი ტიპის ლექსიკური საშუალება როგორიცაა: „სტილი“ + საკუთარი არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაში. მაგალითად: *Les vers de ce poète ne sont guère originaux, c'est du Prévert* - ამ პოეტის ლექსები ძალიან ორიგინალური არ არის. პრევერის სტილია (მიბაძვა).

ნულოვანი არტიკლის გადმოცემა ქართულ ენაში

ფრანგულ ენაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც არტიკლი არ გამოიყენება. ლინგვისტიკაში, მას ნულოვან არტიკლს უწოდებენ. მრავალნაირი ფაქტორი უწყობს ხელს

⁸² N. comm.=nom commun-ს ა ზოგ ა დო ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ

არტიკლის გამოტოვებას. ასეთი შეიძლება იყოს არქაული კონსტრუქციები, ძველი ანდაზები და ანდაზური გამოთქმები, რომლებიც წარმოადგენს ადრინდელი გამოყენების ჩვევას და საერთო არაფერი არა აქვთ თანამედროვე ფრანგული ენის წესებთან. მაგალითად: *A bon chat, bon rat* (სიტყვასიტყვით)-კარგ კატას კარგი ვირთხა უნდაო. ეკვივალენტი: თუ კატა მკვირცხლია, არც თაგვია დონდლო. შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც არტიკლის ჩანაცვლება ხდება სხვა ელემენტით. ესენია: ნაცვალსახელოვანი დეტერმინატივები, წინდებული „de“-თი, ასევე ისეთი სიტყვების შემდეგ, რომლებიც გამოხატავენ რაოდენობასა და ზომას. ამ შემთხვევაში წინდებული „de“ ხდება მაკავშირებელი ნაწილაკი, რომელსაც არსებითი სახელი შემოყავს. მაგალითად: *Un pot de colle, peu de personnes, un sac de pommes* -ქილა წებო, ცოტა ხალხი, ერთი ტომარა კარტოფილი.

ნულოვანი არტიკლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სამ ძირითად შემთხვევაში: 1) როდესაც ცნებას იყენებენ რომელიმე სიტყვის შეფასებითი მნიშვნელობით, რომელიც ვირტუალური კონცეპტის მომიჯნავეა. შეიძლება საუბარი იყოს მაგალითად, უბრალოდ სიტყვის, ცნების მნიშვნელობაზე, რომლის მინიჭება რომელიმე კონკრეტული სიტყვის მიმართ ვერ მოხერხდა. მაგალითად: *Antimatière est certes une formule frappante. On ne peut pour autant la prendre au pied de la lettre* -ანტიმატერია, რა თქმა უნდა საოცარი ფორმულირებაა. თუმცა, შეუძლებელია, მისი სიტყვასიტყვით გაგება. 2) საკუთარ არსებით სახელებთან. ამაზე ჩვენ ვისაუბრეთ და აქ მეტი აღარ შევჩერდებით. *Réveillez-vous, les (mes) gars ! Allez jouer plus loin, les gosses ! Cet emploi a lieu dans la langue familière* -მიმართვისას გამოყენებული სიტყვა განსაზღვრულ არტიკლს დაირთავს, როდესაც თავისი მნიშვნელობით კუთვნილებით დეტერმინაციას ან პირის ნაცვალსახელს უახლოვდება და განსაკუთრებულ სტილისტურ ეფექტს ქმნის: გაიღვიძეთ ბიჭებო! ცოტა იქით ითამაშეთ ბავშვებო! ასეთი ფორმა ფამილარულ მეტყველებაში გვხვდება. 3) ნულოვანი არტიკლი ასევე ისეთი კონცეპტების შემთხვევაში გამოიყენება, რომლებიც მთელის შემადგენელ ნაწილს ქმნიან. ამ შემთხვევაში ნულოვანი არტიკლი ნათელს ჰფენს შიდა კავშირებს, რომლითაც ინდივიდი ერთი და იმავე პროცესებში მონაწილე სხვა ინდივიდს ან ინდივიდებს უკავშირდება. ნულოვან არტიკლს « კრებითი არტიკლის » მნიშვნელობა აქვს. დასახელებულ საგნებს საკუთარი არსებობის უნარი არ გააჩნია. ისინი არ გამოხატავენ დამოუკიდებელ საგნებს და ამიტომ, მათი რც ინდივიდალუალობა, არც განზოგადება არ შეიძლება არტიკლების მეშვეობით. მაგალითად: *Il avait pris les petits frais : eau, gaz, installation électrique, etc., à sa charge* -წვრილი ხარჯები: წყალი, გაზი, შუქი და სხვ. თავის თავზე აიღო. ნულოვანი არტიკლი გამოიყენება ეტიკეტებზე, მისამართებზე, აბრებზე, წიგნის სათაურში. ყველა ამ შემთხვევაში თუ ინდივიდს გამოვყოფთ გარე კავშირების ხაზგასმით, არტიკლი ხელახლა ჩნდება. მაგალითად: *-Un perroquet ! Cadeau d'anniversaire de mon oncle d'Afrique !* -ვაი, თუთიყუში! ბიძაჩემმა დაბადების დღისათვის გამომიგზავნა აფრიკიდან!

დასკვნა

ფრანგულ ენაში დეტერმინაცია დებულობს გამოხატვის გრამატიზირებულ და უნიფიცირებულ ფორმას არტიკლებში, რომელიც არსებით სახელს აფორმებს. ის წარმოადგენს გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც მუდამ გამოიყენება სახელად ჯგუფებში. ქართულ ენაში დეტერმინაცია გადმოიცემა სხვადასხვა საშუალებებით: ლექსიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური. დეტერმინაცია ასევე ვლინდება ზმნიზებებისა და ზმნური ფორმების გამოყენებისას. დეტერმინაციის გამოხატვის საშუალებების ერთგვაროვნება ამარტივებს მათ გამოყენებას შეუსაბამო სემანტიკური ტიპის არსებით სახელებთან, რაც წარმოქმნის არტიკლით გამოხატულ მრავალფეროვან მეორეულ მნიშვნელობებს. დაბოლოს, ჩვენ შევეცადეთ მოგვეხდინა არტიკლის კატეგორიის ზოგიერთი ექსპრესიულ-სტილისტური და მხატვრულ-სტილისტური საშუალებების განხილვა. ქართულ ენაში არტიკლის კატეგორიის არქონა, სრულებითაც არ უმლის ხელს ფრანგული არტიკლის ფუნქციებისა და ნიუანსების გადმოცემას. მზა სტრუქტურების ეკვივალენტების ცოდნა საინტერესოა სწორედ მთარგმნელებისათვის, განსაკუთრებით მათთვის ვინც მხატვრულ

ლიტერატურულ ნაწარმოებებს ფრანგულიდან ქართულად თარგმნის და ცდილობს კარგი და სრულყოფილი თარგმანი წარმოადგინოს. ფეოდოროვის სიტყვებით რომ ვთქვათ, სრულყოფილი თარგმანი ორიგინალის სემანტიკური სტრუქტურის ამომწურავ გადმოცემას ნიშნავს ისე, რომ თარგმანი ორიგინალს ფუნქციურად და სტილისტურად სრულიად შეესაბამებოდეს (მ. ჯაში, ქ. ჯაში, 2003: 13).

ბიბლიოგრაფია

1. Dauzat A. (1947) : Génie de la langue française, Lucien Febvre, Paris.
2. Гак В.Г.(1983): Сравнительная типология, „Просвещение“, Москва.
3. Илия Л. И. (1970): Очерки по грамматике современного французского языка. Высшая школа. Москва.
4. Référovskaja E., Vassileva, A. (1982) : Essai de grammaire française, cours théorique, Prosvesčeniye, Moscou.
5. ჯაში, ქ. (2003): ფრანგული და ქართული ენების შეპირისპირებითი ტიპოლოგია, ენა და კულტურა, თბილისი.
6. Wagner R.L., Pinchon J. (1962): Grammaire du français classique et moderne.Hachette. Paris.
7. ჯაში მ., ჯაში ქ. (2003): თარგმნის ტექნიკა, ენა და კულტურა, თბილისი.

Ketevan Djachy

Researcher of Seville (Spain); Seville, Spain

The grammatical category in French and the methods of its expression in Georgian **Abstract**

This article concerns the stylistic characteristics of the articles forming part of the structures all made, as well as the forms and processes of their expression in Georgian. The research is based on the principles of the contrastive typology. Its aim is to define the peculiarities that characterize the article and to overcome the difficulties that arise during the expression in Georgian of the nuances the non-existent grammatical category. The corpus, whose number is 230 units, is listed in the literary works of the French writers.

საკვანძო სიტყვები: არტიკლის კატეგორია, სტილისტური თავისებურებები, შედარებით-შეპირისპირებითი ტიპოლოგია, ლექსიკოლოგია, ეკვივალენტი

Key-words: the category of the article, the stylistic characteristics, the contrastive typology, lexicology, Equivalent

ასლან ჯაში, ნანა რინკიაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი
ტურიზმის გავლენა დასაქმებაზე
(კახეთის რეგიონის მაგალითზე)

ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ეკონომიკური ზრდაა, რაც უფრო მეტი რაოდენობის და უკეთესი ხარისხის საქონლის და მომსახურების წარმოებას გულისხმობს, ანუ ცხოვრების უფრო მაღალ დონეს. თავის-თავად ეკონომიკური ზრდა მიიღწევა არსებული რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების გზით.


საქართველო თავისი ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, კარგ საშუალებას იძლევა ტურიზმის განვითარებისათვის. უკვე რამდენიმე წელია გვესმის რომ საქართველოში ტურიზმის განვითარება პირდაპირპროპორციულად მოგვითმს ძლიერ ეკონომიკას, გაზრდილ საშუალო ფენას და საზოგადოებრივ კეთილდღეობას. ქვეყნისთვის ტურისტული სფეროს განვითარება ეკონომიკის ზრდის ერთ-

ერთი განუყოფელი ნაწილია. ტურიზმის სექტორს, როგორც ეკონომიკის ნაწილს, კარგად განვითარების შემთხვევაში საკმაოდ მაღალი შემოსავლების მოტანა შეუძლია სახელმწიფოსთვის. იგი დღესდღეობით მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი და მაღალშემოსავლიანი ინდუსტრიაა, რომელიც სწრაფი ნაბიჯებით აგრძელებს განვითარებას. ქვეყანაში ტურიზმის პოპულარიზაცია იწვევს ისეთი მომსახურების სფეროების განვითარებას როგორებიცაა: სასტუმროები და რესტორნები, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, რაც თავის მხრივ იწვევს დამატებით სამუშაო ადგილების გაჩენას. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეგიონებისთვის, სადაც მოსახლეობის დასაქმების მხრივ დაბალი მაჩვენებელია. ტურიზმი არსებით გავლენას ახდენს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, აუმჯობესებს ინფრასტრუქტურას და ა.შ.

ტურიზმი, როგორც მომსახურებით ვაჭრობა, მსოფლიო ბაზარზე შესაძლოა მოვიხსენიოთ როგორც უჩინარი ექსპორტი, რომელსაც შეაქვს თავისი წილი ქვეყნის განვითარებაში. ტურიზმს, როგორც მომსახურების სფეროს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში და მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც. ტურიზმის უმნიშვნელოვანესი ნაწილია სასტუმრო ბიზნესი. გლობალიზაციის პირობებში, სასტუმრო ინდუსტრია კონკურენციის მაღალი დონით გამოირჩევა. ყოველწლიურად იზრდება სასტუმრო პროდუქტის მომხმარებელთა მოთხოვნა და შესაბამისად, რაც უფრო მაღალია მომსახურების კულტურა და ხარისხი, მით უფრო მიმზიდველი და ეკონომიკურად წარმატებულია სასტუმრო. ბოლო პერიოდში საქართველოში განხორციელებული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა საქმიანი და კულტურული ურთიერთობები ჩვენს ქვეყანასა და მსოფლიო თანამეგობრობას შორის, რაც შესაბამისად აისახა უცხოელ სტუმართა რაოდენობაზე ჩვენს ქვეყანაში. გაჩნდა მათი განთავსების აუცილებლობა მაღალი კლასის სასტუმროებში, რამაც განაპირობა ინვესტიციების ზრდა სასტუმრო ბიზნესში. განხორციელდა სასტუმროების მშენებლობის პროექტებისხვა ქალაქებში. საქართველოს ტურისტული ბაზრით დაინტერესდნენ სასტუმროთა ისეთი ტრანსნაციონალური კომპანიები, როგორებიცაა: ჰილტონი, ჰაიატი, მარიოტი, რედისონი, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის ნამდვილად სასარგებლოა.

ეკონომისტთა უმრავლესობა აღიარებს რომ ტურიზმი მაშინაა მომგებიანი თუ ქვეყანა იმპორტზე ნაკლებადაა დამოკიდებული და თავს ადგილობრივი წარმოებით ირჩენს. ეს კიდევ დამატებით მოტივაციას იძლევა ადგილობრივი წარმოების სტიმულირების, ქართული პროდუქციის შექმნის, მისი ხარისხის, უზრუნველყოფისა და წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიების განვითარებას. აღნიშნულ მიზნების განხორციელებას ხელს უწყობს ადგილობრივი დარგების განვითარებისათვის შექმნილი სახელმწიფო პროგრამები, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში“ და „უმასპინძლე საქართველოში“. აღნიშნული პროგრამები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი წარმოების, სასასტუმრო და სარესტორნო ბიზნესების განვითარებას, ამავდროულად გაიზრდება ქვეყანაში ტურისტების ნაკადი, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას.


საერთაშორისო შემოსვლების
სტატისტიკა



<http://gnta.ge/statistics/>

ტურიზმი ხელს უწყობს შემოსავლებისა და ხარჯების სამართლიან განაწილებას. იგი ქმნის სამუშაო ადგილებს უშუალოდ ადგილობრივი ტურიზმისა და მის მონათესავე სფეროებში; ხელს უწყობს მომგებიანი ადგილობრივი დარგების განვითარებას - სასტუმროები და სხვა სარეკრეაციო ობიექტები, რესტორნები და კვების სხვა ობიექტები, სატრანსპორტო სისტემები, ხალხური რეწვა და საექსკურსიო-საინფორმაციო საქმე; ხელს უწყობს რეგიონში უცხოური ვალუტის შემოსვლას და ადგილობრივ ეკონომიკაში კაპიტალის დაბანდებას, ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას, განსაკუთრებით სასოფლო რაიონებში, სადაც დასაქმებას შეიძლება ჰქონდეს სეზონური ან შემთხვევითი ხასიათი; ხელს უწყობს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას და სხვ. ბოლო წლებში შეიმჩნევა დიდი ტემპით ზრდა სასტუმროების და რესტორნების დატვირთულობის და ბრუნვების მოცულობის ტურიზმის განვითარების ხარჯზე.

სასტუმროებისა და რესტორნების ბრუნვის
მოცულობა რეგიონების მიხედვით, მლნ. ლარი




http://geostat.ge/?action=page&p_id=304&lang=geo

უმუშევრობა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და რთულად მოგვარებადი პრობლემაა. უმუშევრობა შრომაში სასურველი ანაზღაურების (ხელფასის) მოთხოვნის თავისუფლებამ წარმოშვა. შესაბამისად, თუ ქვეყანაში არასასურველი ეკონომიკური მდგომარეობაა და საკმარისად ანაზღაურებული სამუშაო ადგილების ნაკლებობაა, ხოლო ადამიანებს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა აქვთ, მოსახლეობის ნაწილს არ უღირს დაბალი ხელფასისთვის დაქირავებულად მუშაობა და ცდილობს, სხვა ქვეყანაში იპოვოს უკეთესი სამსახური, ან სოფელში, მიწაზე მუშაობით მოიპოვოს არსებობისთვის საჭირო მინიმალური შემოსავალი (ხშირად – ნატურალური პროდუქტის სახით). საქართველოსთვის ორივე სიტუაცია დამახასიათებელია – ემიგრაცია და მიწაზე მუშაობაც.

საქართველოს შედარებით დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია უმუშევრობის დახმარების არარსებობით, მინიმალური ხელფასის ქვედა ზღვრის ფაქტობრივად არარსებობითა და სოფლის მოსახლეობაში არსებული დაბალი უმუშევრობის დონით. ვინც სოფელში მიწაზე შრომობს ან მეცხოველეობას ეწევა, ყველა დასაქმებულად ითვლება. სოფლის მოსახლეობის წილი კი საქართველოს მთლიან მოსახლეობაში დაახლოებით 45%-ია. ოფიციალური სტატისტიკით, სოფელში უმუშევრობის დონე 5% -ია, ხოლო ქალაქში – 21.1%. საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობაში თვითდასაქმებულები (სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, საცალო ვაჭრობასა და სხვა) ჭარბობს.

უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში, %




<http://geostat.ge/cms/>

[site_images/_files/georgian/labour/dasaqmeba-umushevroba%202016_GEO.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/dasaqmeba-umushevroba%202016_GEO.pdf)

წინაწელთან შედარებით უმუშევრობის დონე რეგიონულ ჭრილში გაზრდილია იმერეთის, თბილისისა და შიდა ქართლის რეგიონებში. თბილისში, სადაც უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია, აღნიშნული მაჩვენებელი 0.6 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი, ხოლო იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში შესაბამისად 2.0 და 0.2 პროცენტული პუნქტით. უმუშევრობის დონე ყველაზე მეტად შემცირებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონსა და აჭარის ა.რ.-ში, შესაბამისად 2.5 და 2.1 პროცენტული პუნქტით. კახეთის რეგიონშიც შეინიშნება უმუშევრობის დონის შემცირება.


უმუშევრობის დონის ცვლილება 2016 წელს 2015 წელთან მიმართებაში, %



http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/dasaqmeba-umushevroba%202016_GEO.pdf

